Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

**5 Classics of Marxism**

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

**http://ciml.250x.com**




Georgian Section

**www.joseph-stalin.net**

**SHMG Press**

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

# ლენინი

# ლენინი

## თხზულებანი

### 30

იბეჭდება
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

# В. И. ЛЕНИН

## СОЧИНЕНИЯ

*Издание четвертое*

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1950

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

# ვ. ი. ლენინი

## თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1952

# ვ. ი. ლენინი

## ტომი

## 30

*1919* სექტემბერი — *1920* აპრილი

## წინასიტყვაობა

ოცდამეათე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია 1919 წლის სექტემბრიდან 1920 წლის აპრილამდე, უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის გაძლიერების პერიოდში და ხანმოკლე შესვენების დროს, რომელიც დადგა კოლჩაკისა და დენიკინის განადგურების შემდეგ.

ოცდამეათე ტომში შესულ ნაწარმოებებში ასახულია ლენინის მრავალმხრივი მოღვაწეობა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის საქმეში.

ტომის შინაარსის მეტ ნაწილს შეადგენს ლენინის სტატიები, მოხსენებები და სიტყვები, რომლებიც მიძღვნილია სოციალისტური სამშობლოს დაცვის, საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისა და ბოლშევიკური პარტიის რიგების განმტკიცების საკითხებისადმი.

ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლენინის მიერ მუშათა და წითელარმიელთა უპარტიო კონფერენციებზე, სამდინარო ტრანსპორტის მუშების, სამთამადნო მუშების, ფეიქრების პროფესიულ კავშირთა ყრილობებზე, მშრომელი კაზაკების ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვებს. ამ სიტყვებში, რომლებიც მიმართულია მშრომელთა ფართო მასებისადმი, ლენინი მოუწოდებს ფრონტისა და ზურგის ერთიანობის განმტკიცებისაკენ, წითელი არმიისათვის მხარისდაჭერისაკენ, სახალხო მეურნეობის აღდგენასა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში აქტიური მონაწილეობისაკენ. ლენინი ზრდის მასებს გამძლეობის, გმირობის, თავგანწირვისა და რკინისებური დისციპლინის სულისკვეთებით, უნერგავს რა მათ საკუთარი ძალების რწმენას, გამარჯვების რწმენას.

ტომში მოთავსებულ მთელ რიგ სტატიებში ლენინი ავითარებს მოძღვრებას პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც სოციალისტური საზოგადოების აშენების იარაღის შესახებ. საბჭოთა დემოკრატიას ლენინი უპირისპირებს ყალბ, ბურჟუაზიულ დემოკრატიას; დასავლეთ ევროპის სოციალისტებს— მენშევიკებსა და ესერებს, რომლებიც «წმინდა დემოკრატიის» სახით იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურას იცავენ, ის ამხელს როგორც სოციალიზმის მოღალატეებს და იმპერიალიზმის ლაქიებს. ასეთ ნაშრომთა რიცხვს ეკუთვნის: «პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ», «ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში», «დამფუძნებელი კრების არჩევნები და პროლეტარიატის დიქტატურა», «პუბლიცისტის შენიშვნები» და სხვა.

ნაწარმოებებში «წერილი უკრაინის მუშებსა და გლეხებს დენიკინზე გამარჯვების გამო», «ამხანაგ თურქესტანელ კომუნისტებს», «მოხსენება აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე» 1919 წ. 22 ნოემბერს, «პროექტი რკპ(ბ) ც. კ-ის რეზოლუციისა უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ» ლენინი განმარტავს საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის არსს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და შინაური კონტრრევოლუციის ძალებზე გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ წინათ დაჩაგრული ხალხები მჭიდროდ დაირაზმებიან რუსი ხალხის გარშემო.

«სიტყვაში სამიწათმოქმედო კომუნებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელების I ყრილობაზე» 1919 წ. 4 დეკემბერს, «მოხსენებაში შაბათობების შესახებ რკპ(ბ) მოსკოვის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე» 1919 წ. 20 დეკემბერს, სტატიაში «საუკუნეობრივი წყობის რღვევიდან ახლის შემოქმედებისაკენ» გაშუქებულია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში შრომის ახალი, სოციალისტური ფორმების შექმნის საკითხები. «მოხსენებაში სრულიად რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს

მუშაობის შესახებ VII მოწვევის სრულიად რუსეთის ცაკ-ის პირველ სესიაზე» 1920 წ. 2 თებერვალს, რომელიც სრულად პირველად იბეჭდება, ლენინი ასაბუთებს რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმის დამუშავების აუცილებელ საჭიროებას.

ტომში შეტანილ ლენინის ნაწარმოებებში დიდი ადგილი უკავია მეურნეობის მართვა-გამგეობის მოწყობის, სახელმწიფო აპარატის გამუშურების, სამეურნეო მშენებლობაში პროფესიული კავშირების მონაწილეობის საკითხებს და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხებს. «წერილში რკპ ორგანიზაციებისადმი პარტიული ყრილობისათვის მზადების შესახებ», მოხსენებებსა და სიტყვებში რკპ(ბ) IX ყრილობაზე, პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის III ყრილობაზე და სხვ. ლენინი იცავს ერთმმართველობის, შრომის დისციპლინის განმტკიცების და სამრეწველო საწარმოების მართვა-გამგეობაში პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერების აუცილებლობას. ლენინი გადაჭრით ეწინააღმდეგება «დემოკრატიული ცენტრალიზმის» მომხრეთა ანტიპარტიულ ჯგუფებს, რომლებიც მიისწრაფოდნენ უპასუხისმგებლობა დაენერგათ მრეწველობის ხელმძღვანელობაში.

სიტყვაში «საბჭოთა რესპუბლიკაში მუშა-ქალთა მოძრაობის ამოცანების შესახებ» და სტატიებში «საბჭოთა ხელისუფლება და ქალის მდგომარეობა», «მუშა ქალებს», «მუშა ქალთა საერთაშორისო დღისათვის» ლენინი ცხადყოფს ქალის მძიმე და უუფლებო მდგომარეობას კაპიტალიზმის დროს, განმარტავს, რა ბევრი რამ მისცა ქალს საბჭოთა ხელისუფლებამ და მოუწოდებს ქალებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სტატიებში «როგორ იყენებს ბურჟუაზია რენეგატებს», «სალამი იტალიელ, ფრანგ და გერმანელ კომუნისტებს», დოკუმენტში «პროექტი (ანუ თეზისები) რუსეთის კომუნისტური პარტიის პასუხისა გერმანიის დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის წერილზე» ლენინი, როგორც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ბელადი, კომუნისტურ პარტიებს ზრდის პროლეტა-

რიატის დიქტატურისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულების სულისკვეთებით, კომუნისტური ინტერნაციონალის გარშემო რაზმავს რევოლუციური პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლებს.

ოცდამეათე ტომში იბეჭდება 14 დოკუმენტი, რომლებიც პირველად არის შეტანილი ვ. ი. ლენინის თხზულებებში.

ახალ დოკუმენტთა შორის არის ოთხი დეპეშა ი. ბ. სტალინისადმი და დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძისადმი, რომლებშიც ასახულია ლენინისა და სტალინის თანამეგობრობა და მათი ერთობლივი მოღვაწეობა საბჭოთა სახელმწიფოს და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ხელმძღვანელობის საქმეში.

დოკუმენტების ჯგუფი—პასუხები გაზეთების: «The Ghicago Daily News», «New York Evening Journal», «Daily Express»-ის კორესპონდენტების კითხვებზე — უმთავრესად მიძღვნილია საბჭოთა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი. თავის პასუხებში ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა რუსეთის ურყევ მისწრაფებას მშვიდობისადმი და ყველა კაპიტალისტურ ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებისადმი, ამხელს იმპერიალისტებს როგორც ომის გამჩაღებლებს.

თხზულებებში პირველად იბეჭდება ორი სიტყვა — «სიტყვა 1905 წლის დეკემბრის აჯანყების წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგზე პრესნიის რაიონში» 1919 წ. 19 დეკემბერს და «სიტყვა სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებების სკოლისგარეშე ქვეგანყოფილებათა გამგეების სრულიად რუსეთის III თათბირზე» 1920 წ. 25 თებერვალს, მისასალმებელი წერილი «პეტროგრადის გუბერნიის ქალთა ყრილობის ბიუროს» და «დადგენილებათა პროექტები და დირექტივები კოოპერაციის შესახებ».

წერილში «ამხანაგ კომუნისტებს, რომლებიც შედიან საერთო «გერმანიის კომუნისტურ პარტიაში» და რომლებმაც ახლა ახალი პარტია შეადგინეს» და დაუმთავრებელ სტატიაში «კომპრომისების შესახებ» ლენინი იძლევა მითითებებს მოძმე კომუნისტურ პარტიათა ტაქტიკის საკითხებზე.

ვ. ი. ლენინი

1920

# სიტყვა ბასმანის, ლეფოლრტის, ალექსეევისა და სოკოლნიკის რაიონების უპარტიო მუშათა და წითელარმიელთა კონფერენციაზე 1919 წ. 3 სექტემბერს

ამხანაგებო! ნება მომეცით მივესალმო თქვენს უპარტიო მუშათა და წითელარმიელთა კონფერენციას, საარტილერიო კურსების წითელ მეთაურთა გამოშვებასთან ერთად. ეს კრება მოწვეულია იმისათვის, რომ განხილულ იქნეს ჩვენი სახელმწიფო წყობილებისა და ჩვენი სახელმწიფო აპარატის განმტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები.

მუშათა მასები ყველა ქვეყანაში დაჩაგრული არიან. ისინი ვერ სარგებლობენ კაპიტალისტური კულტურის სიკეთით, ამავე დროს კი სწორედ მშრომელი მასები უნდა იყვნენ მთელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების საფუძველი. ამხანაგებო, ჩვენში საბჭოთა რესპუბლიკის საფუძველსა და ნიადაგს მშრომელი მასები შეადგენენ. 1917 წ. თებერვალში მშრომელთა გამარჯვების შემდეგ მთელ რუსეთში ერთბაშად შეიქმნა საბჭოები. საბჭოების იდეა პირველად გაჩნდა არა 1917 წელს, არამედ იგი ჯერ კიდევ 1905 წელს წარმოიშვა. უკვე მაშინ არსებობდნენ მუშათა დეპუტატების საბჭოები. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებას თანაგრძნობით შეხვდნენ ყველა ქვეყნის მუშები. ეს აიხსნება ღრმა შინაგანი მიზეზებით.

ნება მომეცით, ამხანაგებო, შევჩერდე საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების მთავარ საფუძვლებზე. მე არ მომეპოვება ზუსტი მასალები ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის გასაშუქებლად; ამაზე, განსაკუთრებით მუშურ-გლეხური მთავრობის სასურსათო პოლიტიკაზე, ალბათ,

სხვა მომხსენებლები ილაპარაკებენ; მე კი შევეხები მხოლოდ ამ პოლიტიკის პოლიტიკურ ნაწილს.

რათა უკეთ გავერკვეთ საბჭოთა ხელისუფლების ძირითად ვითარებაში, ჩვენ უნდა მივიხედოთ უკან, ყურადღება უნდა მივაპყროთ ჩვენი რევოლუციის მსვლელობას, დაწყებული 1917 წლიდან. ჩვენს რევოლუციაში ორი ხანა იყო: ერთი — კერენშჩინისა და კორნილოვშჩინის ხანა, რომელიც წინ უსწრებდა საბჭოთა ხელისუფლებას, და მეორე — კალედინშჩინის, კოლჩაკოვშჩინისა და დენიკინშჩინის ხანა, რომელიც ანგრევს საბჭოთა ხელისუფლებას. უპარტიო, მაგრამ მშრომელი მუშის წინაშე უნდა წამოიჭრას საკითხი, რატომ შეიქმნა ჩვენში ეს ორი ხანა და რატომ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული.

ამხანაგებო! ყოველი მუშა, ყოველი წითელარმიელი, ყოველი მშრომელი უნდა ჩაუფიქრდეს იმას, თუ რატომ სდებენ ტერორში ბრალს ჩვენს საბჭოთა ხელისუფლებას, რატომ ლაპარაკობენ, რომ ბოლშევიკები დიქტატორები არიან, ბოლშევიკები თავზე ხელაღებულნი არიანო. მეორე მხრივ, ყოველი მშრომელი უნდა ეკითხებოდეს თავის თავს, რატომ ასე ადვილად დაემხო კერენსკის, კალედინისა და კოლჩაკის ხელისუფლება. თქვენ ყველას მოგეხსენებათ, რომ კერენსკის ხელისუფლების დროს მთელი რუსეთი მოფენილი იყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ქსელით, და მათ გვერდით მთელი ძალაუფლება ხელში ეჭირა ბურჟუაზიას. ბურჟუაზიას მხარს უჭერდნენ მოკავშირენი, რომელთაც სურდათ, რომ რუსეთს ომი განეგრძო, ხოლო თვით რუსეთის ბურჟუაზიას ომის განგრძობა იმისათვის უნდოდა, რომ დარდანელი მიეღო. ამიტომაც კერენსკის ბურჟუაზიულ მთავრობას, რომელსაც მხარს უჭერდნენ მენშევიკები და ესერები, არ სურდა და არც შეეძლო ნიკოლოზ პირსისხლიანის მთავრობის მიერ მოკავშირეებთან დადებულ საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნება. ამით ბურჟუაზია მენშევიკების და ესერების დახმარებით მოტყუებით ბატონობდა მშრომელ მასებზე.

ყველა თქვენგანს ახსოვს, რომ 1917 წლის რევოლუციის დასაწყისში საბჭოებში ბოლშევიკები ცოტანი იყვნენ. მე მახსოვს, რომ ივნისში, საბჭოების I ყრილობის დროს, ბოლშევიკები ერთ მეშვიდედსაც არ შეადგენდნენ. ბოლშევიკებს შეუძლიათ გამხრწნელი ზემოქმედება იქონიონ მშრომელებზეო, — ამბობდნენ ჩვენ შესახებ ბურჟუაზია და მენშევიკებისა და ესერების ეგრეთწოდებული სოციალისტური პარტიები. მაგრამ რას აკეთებდა ამ დროს კერენსკის ბურჟუაზიული მთავრობა? ის მშრომელ მასებს კვებავდა მხოლოდ დაპირებებით, რომლებიც ცხოვრებაში არ ტარდებოდა. კანონი მიწის შესახებ არ ყოფილა გამოცემული. ხოლო როდესაც საადგილმამულო კომიტეტები შეეცდებოდნენ ხოლმე მემამულეთა მიწის აღებას, რათა გაენაწილებინათ ის ღარიბ გლეხთა შორის, ასეთ საადგილმამულო კომიტეტებს აპატიმრებდნენ. მშრომელებისათვის ცხადი ხდებოდა, რომ ეს ხელისუფლება მათ არაფერს მისცემდა. მათ დაიწყეს იმის შეგნება, რომ მათთვის რისიმე მიცემა შეუძლია მხოლოდ საკუთარ ხელისუფლებას, მუშებისა და უღარიბესი გლეხების ხელისუფლებას.

ამავე დროს მოხდა კორნილოვის ლაშქრობა პეტროგრადზე. კორნილოვის ლაშქრობა შემთხვევითი არ ყოფილა: იგი შეიქმნა კერენსკის მთავრობის მატყუარა პოლიტიკის გამო; ეს მთავრობა მუდამ იმის ცდაში იყო, რომ შეერიგებინა მემამულეები და გლეხები, მშრომელები და ექსპლოატატორები, შრომა და კაპიტალი. და სწორედ მაშინ მემამულეებმა, ოფიცრებმა, კაპიტალისტებმა მოინდომეს საბოლოოდ აეღოთ თავიანთ ხელში მთელი ძალაუფლება. ამიტომაც მოხდა კორნილოვის ლაშქრობა. საბჭოებმა შეიგნეს საშიშროება, ისინი დაირაზმნენ კორნილოვის წინააღმდეგ. ხოლო როდესაც კერენსკის ბურჟუაზიულმა მთავრობამ ამის შემდგომაც განაგრძო თავისი პოლიტიკა — მოტყუების პოლიტიკა, მუშათა მასების შეგნებამ სწრაფად იწყო ზრდა, და, ამასთანავე, დაიწყო ბოლშევიკების რაოდენობის სწრაფი გადიდება საბჭოებში ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე. ხოლო

როდესაც ჩვენ ოქტომბერში ხელთ ავიღეთ ძალაუფლება, მენშევიკები და ესერები სმოლნში დასეირნობდნენ და გვემუქრებოდნენ, ფრონტი მოვა და აღგგვით პირისაგან მიწისაო. პასუხად ჩვენ მხოლოდ დაცინვით ვუმასპინძლდებოდით მათ, რადგან ვიცოდით, რომ მშრომელი მასები გაიგებდნენ ჩვენს განმარტებებს, რომ ისინი მხარს უჭერენ მშრომელთა ძალაუფლებას, მაშასადამე, საბჭოების ძალაუფლებას. და მართლაც, როცა პეტროგრადში ჩამოდიოდა მრავალრიცხოვანი დელეგაციები ფრონტიდან და როცა ჩვენ მათ ვუხსნიდით საქმის ვითარებას, ყველა ისინი ჩვენს მხარეზე გადმოდიოდნენ. ეს თქვენთვის—მშრომელებისათვის, უპარტიოებისათვის —თვალსაჩინო გაკვეთილია. ყოველმა მშრომელმა, ყოველმა მუშამ, ყოველმა წითელარმიელმა უნდა ისწავლოს კერენსკის მთავრობის ისტორიის მაგალითზე, მთავრობისა, რომელსაც, ვიმეორებ, სურდა შეეთანხმებინა მემამულეებისა და გლეხების ინტერესები, მუშებისა და მეპატრონეების ინტერესები, შრომისა და კაპიტალის ინტერესები.

თითქოს, კერენსკის მთავრობა ძლიერი უნდა ყოფილიყო, რადგან მას მხარდაჭერას შეჰპირდნენ მოკავშირე ბურჟუაზიული მთავრობები, მაგრამ ის დაიმსხვრა. კერენსკის მთავრობა იმიტომ დაიმსხვრა, რომ ტყუილს ეყრდნობოდა და ნიადაგი არ ჰქონდა ფეხქვეშ. კერენსკის მთავრობა მშრომელებს დაჰპირდა საყოველთაო-სახალხო არჩევნებს, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ ამ არჩევნებით თვალი აეხვია მშრომელი მასებისათვის, რომ მათი ყურადღება აეცდინა საქმის ნამდვილი ვითარებისათვის. ამიტომ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, როდესაც ძალაუფლება თვითონ პროლეტარიატმა აიღო ხელში, მან პირველ რიგში მოაწყო მართვა-გამგეობის საკუთარი ორგანოები — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.

მუშურ-გლეხურმა მთავრობამ ერთბაშად უკუაგდო კერენსკის ბურჟუაზიული მთავრობის მატყუარა პოლიტიკა. სახალხო კომისართა საბჭოს პირველი საქმე იყო ნიკოლოზ პირსისხლიანის მთავრობის მიერ ჩვენს ყოფილ მოკავშირეებთან

დადებულ საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნება. მუშურ-გლეხურმა მთავრობამ პირდაპირ განაცხადა, რომ მას აღარ სურს ომის წარმოება ბურჟუაზიის ინტერესების გულისათვის, და, მიუხედავად ბურჟუაზიის ლაქიების — მენშევიკებისა და ესერების მიერ შეთითხნილი ყოველგვარი ცილისწამებისა, წინადადება მისცა ყველა მეომარ ქვეყანას დაეწყოთ საზავო მოლაპარაკება. მაშინ ყველა ქვეყნის მუშებმა დაინახეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ სურს ომის განგრძობა. დადებულ იქნა მძარცველური ბრესტის ზავი, რომელიც თავს მოახვიეს უიარაღო რუსეთს გერმანელმა მტაცებლებმა. ყველა ქვეყნის შეგნებულ მუშათა მასებში მტკიცდებოდა და იზრდებოდა სიმპათიები საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ხოლო როდესაც ანტანტის ბურჟუაზიულმა მთავრობებმა აიძულეს გერმანელი მძარცველები ხელი მოეწერათ კიდევ უფრო მძიმე და უფრო მძარცველურ ზავზე, მაშინ ყველა ქვეყნის მუშები მიხვდნენ, თუ როგორ ასულელებდნენ მათ ყოველთვის. გაისმა, გაძლიერდა და გამრავლდა ხმები იმათ წინააღმდეგ, ვინც მუდამ ატყუებდა მათ. მუშებმა იწყეს მშრომელი მასების — მუშებისა და გლეხების — ხელისუფლების მოთხოვნა, საბჭოების ძალაუფლების მოთხოვნა.

აი რატომ დაემხო ასე მალე ბურჟუაზიული ხელისუფლება კერენსკისა და კოლჩაკისა, რომლებსაც მხარს უჭერდნენ მენშევიკები და ესერები. (თქვენ ყველამ იცით, რომ მენშევიკი მაისკი ციმბირის მთავრობაში[1] შედიოდა.) მენშევიკებიც, ესერებიც და ჩეხოსლოვაკებიც, რომლებსაც უცხოეთის ბურჟუაზია უჭერდა მხარს, — ყველანი გაერთიანდნენ ჯერ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, შემდეგ კი სრულიად-სახალხო დემოკრატიული ხელისუფლების შექმნაში. მაგრამ რას ვხედავთ? კოლჩაკის ტიპის ოფიცრებმა გარეკეს დამფუძნებელი კრება ციმბირში და დაამყარეს ოფიცრების, კაპიტალისტებისა და მემამულეების ხელისუფლება. ამრიგად, ციმბირის მშრომელმა მასებმა გამოცდილებით დაინახეს, რომ მათ ატყუებენ, აი რატომ შეძლო წითელმა არმიამ მთელი ციმბირის ასე ადვილად დაპყრობა ასე მცირე ხნის განმავლობაში, რაკი ახლა თვით

ციმბირელი მუშები და გლეხები ეხმარებოდნენ წითელ არმიას.

ამხანაგებო, ახლა საჭიროა დავუფიქრდეთ იმას, თუ რატომ ლაპარაკობენ, რომ ბოლშევიკები ძალადობას ხმარობენ, ბოლშევიკები დიქტატორები არიანო. რატომ მოხდა, რომ ყველამ, ვინც მენშევიკებს, ესერებს, ჩეხოსლოვაკებსა და კოლჩაკს მიჰყვებოდა, მალე ზურგი შეაქცია მათ? რატომ მოხდა, რომ ციმბირის მთავრობაში მყოფმა მემამულეებმა, კაპიტალისტებმა და ოფიცრებმა, როგორც კი ხელში ჩაიგდეს ციმბირში ძალაუფლება, გააძევეს მენშევიკები და ესერები და მათ ადგილას კოლჩაკი დასვეს? რატომ მოხდა, რომ ეს მთავრობა, რომელსაც ყოველი მხრივ მხარს უჭერდნენ, ასე მალე დაიშალა? იმიტომ, რომ ყველა მათი სიტყვა, ყველა მათი საქმე მხოლოდ მატყუარობა და სიცრუე იყო. იმიტომ, რომ მათ არ შეასრულეს თავიანთი სიტყვა, არ მისცეს ხალხს არც დამფუძნებელი კრება, არც სახალხო ხელისუფლება, არც რაიმე სხვა დემოკრატიული ხელისუფლება; მათ დაამყარეს მემამულეებისა და ოფიცრების დიქტატურა.

ამხანაგებო, თავისი კლასობრივი ინტერესების გამო ბურჟუაზია იძულებული იყო სიცრუისა და მშრომელთა მოტყუების გზას დასდგომოდა. ყველაფერი ეს გაიგეს მუშებმა და გლეხებმა. მათ გაიგეს, რომ მხოლოდ მაშინ, როცა ძალაუფლება მშრომელთა ხელში გადავა, აღარ იქნება სიცრუე, აღარ იქნება მოტყუება და აღარ იქნება აგრეთვე ის საშინელებანი, რომელთა გადატანა მოუხდათ პროლეტარიატსა და უღარიბეს გლეხობას ოთხი წლის ომის განმავლობაში, როცა ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია იდგა, და რომელთაც ახლაც იტანენ ისინი ამ ოთხი წლის ომის შემდეგ. პროლეტარიატი მიხვდა, რომ არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი — კაპიტალისტების ხელისუფლების დამხობა, რომ შეუძლებელია რაიმე მორიგება შრომასა და კაპიტალს შორის, რის შესახებაც მუდამ ლაპარაკობენ მენშევიკები და ესერები. მართლაც, ციმბირის მუშებმა და გლეხებმა ათიათასობით დახვრეტილთა და სასიკვდილოდ ნაცემთა მძიმე ფასით

ზღეს თავიანთი მიმნდობლობისათვის. ჩვენ გადავიტანეთ ციმბირის მუშებისა და გლეხების სისხლის გაღების მძიმე გამოცდილება, მაგრამ ვიცით, რომ ეს გამოცდილება გაკვეთილი იქნება მათთვის. ეს გამოცდილება ბოლშევიზმის საუკეთესო მასწავლებელია მუშებისა და გლეხებისათვის. ამის შემდეგ მშრომელი მასები მიხვდებიან, რომ საშუალო რამ არ არსებობს. სხვა არჩევანი არ არის: ან მუშებისა და გლეხების ხელისუფლება — საბჭოების ხელისუფლება, ან კაპიტალისტებისა და მემამულეების ხელისუფლება. ბურჟუაზია ძალითა და მოტყუებით ცდილობს მშრომელთა გონების დაბნელებას, მაგრამ მთელი მისი შრომა ხუხულასავით ინგრევა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის მზარდი შეგნების წინაშე.

ავანტიურა დენიკინისა, რომელიც უკრაინაში კოლჩაკის გაკვეთილს იმეორებს, უკრაინის მუშებსა და გლეხებს შეაგნებინებს თავიანთ შეცდომას, რომელსაც ახლა სჩადიან ისინი, როცა არასაკმარისი ენერგიით ებრძვიან დენიკინს. ჩვენ ვიცით, რომ უკრაინაში დენიკინის პარპაშის შემდეგ უკრაინის მუშები და გლეხები უფრო გაკაჟდებიან და უკვე არა სიტყვით, არამედ საქმით დაიცავენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას, როგორც ახლა ამას შვრებიან ჩვენი ციმბირელი ძმები. მუშურ-გლეხური ხელისუფლება ეუბნება გლეხებსა და ყველა მშრომელს: «მოგვყევით ჩვენ, აშენეთ თქვენი პროლეტარული სახელმწიფო. შეხედეთ კოლჩაკისა და დენიკინის გამოცდილებას, და დაინახავთ, თუ როგორია ცხოვრება არა საბჭოთა ხელისუფლების დროს». ჩვენთვის ეს გამოცდილება საუკეთესო აგიტაციაა.

ძლიერი მუშურ-გლეხური ხელისუფლება ახშობს მის წინააღმდეგ მოწყობილ ყოველგვარ თეთრგვარდიულ შეთქმულებას. რკინის ცოცხით აძევებს იგი მოღალატეებს თავისი რიგებიდან. მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ შექმნა წითელი არმია, დააყენა იქ სპეციალისტები, მიუჩინა მათ მთელი რიგი კომუნისტი-კომისრები. ათობით სპეციალისტები, რომლებიც მოღალატენი აღმოჩნდნენ, ჩვენ გავაძევეთ წითელი არმიის რიგებიდან, ხოლო ათასობით, ათიათასობით სამხედრო

სპეციალისტები, რომლებიც პატიოსნად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, რჩებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში. ეს არის მშრომელი მასების პოლიტიკური განთავისუფლების მთავარი და ძირითადი გამოცდილება.

ყოველივე ის, ამხანაგებო, რაზედაც მე დღეს გელაპარაკეთ, უკვე ნათელი ხდება სხვა ქვეყნების მშრომელთათვის. ყველგან იზრდება და ფართოვდება მუშათა მასების მოძრაობა, რომლებიც საბჭოების ძალაუფლებას მოითხოვენ. თქვენ მოგეხსენებათ, რომ გერმანიაში ახლა მთავრობის სათავეში მენშევიკები დგანან, რომ მათ დახმარებას უწევს ანტანტის შეიარაღებული ძალა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გერმანელი მუშები საბჭოების ძალაუფლებას მოითხოვენ. და გერმანიის მთავრობა იძულებულია ამ დღეებში თავის კონსტიტუციაში შეიტანოს პუნქტი, რომლითაც მთელ გერმანიაში შემოღებული იქნება მუშათა დეპუტატების საბჭოები. მაგრამ ამ საბჭოებს არა აქვთ უფლება განიხილონ ქვეყნის ცხოვრების პოლიტიკური საკითხები. სოციალ-გამცემლების კონსტიტუციით გერმანიის საბჭოებს უფლება აქვთ განიხილონ ქვეყნის მხოლოდ ეკონომიური მდგომარეობა. ჩვენ ძალიან მცირე ცნობები მოგვდის დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებიდან, ვინაიდან ყოველი მხრივ მტრებით ვართ გარშემორტყმული, მაგრამ ის ცნობებიც, რომლებიც ჩვენამდე აღწევენ, მოწმობენ იმას, რომ, იზრდება და მტკიცდება მოძრაობა ბოლშევიკების სასარგებლოდ. მე თქვენ მოგითხრობთ პატარა ინციდენტს, რომელიც საფრანგეთში მოხდა და რომელიც ყოველგვარ სიტყვებზე უფრო მჭევრმეტყველურად ამტკიცებს ჩემი მოსაზრებების სისწორეს და ბევრ რამესაც გაგაგებინებთ. საფრანგეთში გამოდის ორი ბოლშევიკური გაზეთი. ერთ მათგანს სურდა სახელწოდება «ბოლშევიკი» ჰქონოდა, მაგრამ ცენზურამ (დემოკრატიულ საფრანგეთში ცენზურა არსებობს!) აკრძალა ეს სახელწოდება, — მაშინ გაზეთმა დაირქვა «აკრძალული სახელწოდება». მუშა, როცა ამ გაზეთს ყიდულობს და ასეთ სახელწოდებას ხედავს, თვითონ დასძენს: «ბოლშევიკი». (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

დასასრულ, ამხანაგებო, ნება მომეცით გაგიზიაროთ ის ცნობა, რომელიც დღეს ამხ. ზინოვიევისაგან, პეტროგრადის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარისაგან, მივიღე. ამხ. ზინოვიევი მატყობინებს, რომ პეტროგრადში გადმოსხეს ასი ტყვე ესტლანდიელი, რომლებსაც შემდეგი უამბნიათ მისთვის. თეთრგვარდიულ ესტლანდიაში შედგა პროფესიულ კავშირთა წევრ მუშების უპარტიო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 417 დელეგატი, მათში მხოლოდ 33 მენშევიკი, ყველა დანარჩენი კი — ბოლშევიკი! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.) კონფერენციამ მოითხოვა ზავის დადება რუსეთთან. როცა ამის შესახებ ინგლისელებმა გაიგეს, კონფერენციაზე გამოცხადდა მათი წარმომადგენელი და წინადადება შეიტანა — დაემხოთ ესტლანდიის თეთრგვარდიული მთავრობა[2], მაგრამ მუშებმა ამის პასუხად გააგდეს ის და მოითხოვეს ზავი დაედოთ რუსეთთან და მშვიდობიან ცხოვრებას დაბრუნებოდნენ. მაშინ კონფერენცია გარეკეს. ასი კაცი გამოგზავნეს რუსეთში «ბოლშევიზმის საძებნელად»; 26 კაცი დააპატიმრეს და დახვრეტას უპირებენ. თეთრგვარდიული ესტლანდიის ასეთ მოქმედებაზე ჩვენ ვუპასუხეთ მოწოდებით მათი ქვეყნის მუშებისა და მოსახლეობისადმი, ხოლო მათს მთავრობას განვუცხადეთ, რომ დავხვრეტთ ყველა მძევალს, რომლებიც ჩვენ გვყავს. (ტ ა შ ი.) იქ კი მთავრობას ხომ მენშევიკები და ესერები უჭერდნენ მხარს!

პატარა ესტლანდიამ თავის პროფესიულ კავშირთა უპარტიო კონფერენციაზე საკადრისი პასუხი გასცა ძლიერ ინგლისს, — ინგლისს, რომელიც თოთხმეტი სახელმწიფოს კავშირით გვემუქრებოდა.

სიტყვის დასასრულს ნება მომეცით გამოვთქვა რწმენა, რომ საბჭოთა რუსეთი, რომელიც ორი წლის განმავლობაში იმარჯვებდა თავისი ქვეყნის შიგნით, — მალე დაამარცხებს ბურჟუაზიის ძალაუფლებას მთელ მსოფლიოში. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

«პრავდა» № 201, 1919 წ.
11 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

## როგორ იყენებს ბურჟუაზია რენეგატებს

ჩვენი რადიოსადგურები იჭერენ კარნარვონის (ინგლისი), პარიზისა და ევროპის სხვა ცენტრების რადიოდეპეშებს. პარიზი ახლა იმპერიალისტების მსოფლიო კავშირის ცენტრია, და ამიტომ მისი რადიოცნობები ხშირად განსაკუთრებით საინტერესოა. ამ დღეებში, 13 სექტემბერს, მსოფლიო იმპერიალიზმის ამ ცენტრიდან მთავრობის რადიომ მთელ ქვეყნიერებას აუწყა ცნობილი რენეგატის, II ინტერნაციონალის ბელადის, კარლ კაუცკის ახალი წიგნის გამოსვლა, რომელიც ბოლშევიზმის წინააღმდეგ არის მიმართული.

მილიონერები და მილიარდერები ტყუილუბრალოდ როდი აამუშავებენ თავიანთ მთავრობის რადიოს. მათ საჭიროდ ცნეს ყველასათვის ეცნობებინათ კაუცკის ახალი ლაშქრობის ამბავი. მათ უხდებათ ყველაფერს ჩასჭიდონ ხელი კარსმომდგარ ბოლშევიზმთან საბრძოლველად, — ყველაფერს, ხავსსაც კი, კაუცკის წიგნსაც კი. გულწრფელ მადლობას ვუძღვნით ბატონ ფრანგ მილიონერებს: ისინი ასე კარგად გვეხმარებიან ბოლშევიზმის პროპაგანდაში! ისინი გვეხმარებიან, როცა ყველას სასაცილოდ გამოუფენიათ კაუცკის ობივატელური და ფილისტერული ჭექა-ქუხილი ბოლშევიკების წინააღმდეგ!

დღეს, 18 სექტემბერს, მე მომიტანეს კ. ლიბკნეხტისა და რ. ლუქსემბურგის მკვლელების — გერმანელი სოციალ-შოვინისტების გაზეთ «**Vorwärts**»-ის * 7 სექტემბრის ნომერი,

* — «წინ». რ ე დ.

სადაც მოთავსებულია ფრიდრიხ შტამპფერის სტატია კაუცკის ამ ახალი წიგნის («ტერორიზმი და კომუნიზმი») შესახებ ამ წიგნიდან ამოღებული მთელი რიგი ციტატებით. როცა ერთმანეთს ვუპირისპირებთ შტამპფერის სტატიას და პარიზის რადიოს, ვხედავთ, რომ უკანასკნელი, უეჭველად, პირველის საფუძველზეა შედგენილი. ბატონი შეიდემანები და ნოსკეები, გერმანიის ბურჟუაზიის მცველები და გერმანელი კომუნისტების ჯალათები, ქება-დიდებას ასხამენ კაუცკის წიგნს და ერთიანდებიან ანტანტის იმპერიალისტებთან საერთაშორისო კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. სანახაობა მეტისმეტად ჭკუისსასწავლია! ჩვენი მენშევიკები კი, ბერნის, ყვითელი, ინტერნაციონალის[3] ეს უაღრესად ტიპიური წარმომადგენლები, სიტყვებს ვერ ნახულობდნენ თავიანთი აღშფოთების გამოსათქმელად იმის გამო, რომ მე კაუცკის (ჩემს წიგნში: «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი») ბურჟუაზიის ლაქია ვუწოდე.

ეს ფაქტია, ბატონებო, რაც უნდა გულისწყრომას გამოთქვამდეთ თქვენ! ჩემთან პირშეთქმით ხომ არ დაუწყიათ «**Vorwärts**»-ის შეიდემანელებსა და ანტანტის მილიონერებს კაუცკის ქება და მისი წამოყენება მსოფლიო ბოლშევიზმთან ბრძოლის იარაღად. კაუცკი ფაქტიურად აღმოჩნდა, თუნდაც რომ მას ეს არც გაეგებოდეს და არც სურდეს, სწორედ იმად, — ბურჟუაზიის მიმართ, — რაზედაც მე ვლაპარაკობდი.

რომ დაგანახვოთ, თუ სადამდე მივიდა ეს, მარქსიზმის სახელს ამოფარებული, განდგომა სოციალიზმისაგან და რევოლუციისაგან, მოვიყვანთ კაუცკის რამდენიმე ყველაზე «მრისხანე» ბრალდებას ბოლშევიკებისადმი.

...«კაუცკი დაწვრილებით გვიჩვენებს, — წერს შტამპფერი — თუ ბოლშევიკები ყოველთვის ბოლოს და ბოლოს როგორ აღწევენ იმის საწინააღმდეგოს, რასაც მიზნად ისახავდნენ: ისინი სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგენი იყვნენ და მასობრივი დახვრეტებით კი მოქმედებენ»...

ჯერ-ერთი, პირდაპირი სიცრუეა ის, თითქოს ბოლშევიკები რევოლუციის ეპოქისათვის სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგენი იყვნენ. ჩვენი პარტიის II ყრილობაზე, 1903 წელს,

როდესაც ბოლშევიზმი წარმოიშვა, პარტიის პროგრამას ვადგენდით, და ყრილობის ოქმებში აღნიშნულია, რომ პროგრამაში სიკვდილით დასჯის გაუქმების შეტანის აზრმა მხოლოდ ირონიული წამოძახილები გამოიწვია: «ნიკოლოზ მეორისათვისაცო?». მენშევიკებმაც კი ვერ გაბედეს 1903 წელს კენჭის საყრელად შემოეტანათ წინადადება მეფისათვის სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. 1917 წელს კი, კერენშჩინის დროს, მე «პრავდაში» ვწერდი, რომ ვერც ერთი რევოლუციური მთავრობა გვერდს ვერ აუვლის სიკვდილით დასჯას და რომ მთელი საკითხი მხოლოდ ისაა, თუ რომელი კლასის წინააღმდეგ მიმართავს ეს მთავრობა სიკვდილით დასჯის იარაღს-მეთქი. კაუცკი იმდენად გადაეჩვია რევოლუციურად აზროვნებას, იმდენად ჩაეფლო ობივატელურ ოპორტუნიზმში, რომ ვერც კი წარმოუდგენია, თუ როგორ შეეძლო რევოლუციურ პროლეტარულ პარტიას თავის გამარჯვებამდე დიდი ხნით ადრე აშკარად ეღიარებინა სიკვდილით დასჯის აუცილებლობა კონტრრევოლუციონერებისათვის! ამიტომაა, რომ «პატიოსანი» კაუცკი, როგორც პატიოსანი ადამიანი და პატიოსანი ოპორტუნისტი, მოურიდებლად წერს სიცრუეს თავის მოწინააღმდეგეებზე.

მეორეც, ამ ადამიანს რომ ოდნავ მაინც გაეგებოდეს რევოლუცია, მას არ დაავიწყდებოდა, რომ ახლა ლაპარაკია არა რევოლუციაზე საერთოდ, არამედ იმ რევოლუციაზე, რომელიც წარმოშობილია ხალხთა უდიდესი იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის ნიადაგზე. განა წარმოსადგენია ასეთი ომის ნიადაგზე წარმოშობილი პროლეტარული რევოლუცია იმ ათეული და ასეული ათასობით ოფიცრების შეთქმულებათა და კონტრრევოლუციურ მცდელობათა გარეშე, რომლებიც მემამულეებისა და კაპიტალისტების კლასს ეკუთვნიან? განა წარმოსადგენია მუშათა კლასის ისეთი რევოლუციური პარტია, რომელსაც უაღრესად მძვინვარე სამოქალაქო ომისა და ბურჟუაზიის იმ შეთქმულებათა ეპოქაში, რომელთა მიზანია მუშათა მთავრობის დასამხობად უცხოეთის ჯარების შემოსევა, სიკვდილით დასჯისთვის არ მიემართოს ასეთი გამოსვლებისა-

თვის? არც ერთი ადამიანი, გარდა გაუსწორებელი და სასაცილო პედანტებისა, სხვაგვარად არ გასცემდა ამ კითხვებზე პასუხს, თუ არა უარყოფითად. მაგრამ კაუცკი, რომელსაც წინათ ეხერხებოდა საკითხების დაყენება მათს კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, გადაეჩვია ამას.

მესამე. თუ კაუცკის არა აქვს თავისი საგნის შესწავლის უნარი და სიცრუეს წერს ბოლშევიკების შესახებ, თუ კაუცკის არა აქვს აზროვნების უნარი და ისიც კი არ ძალუძს, რომ დააყენოს საკითხი ოთხწლიანი ომის ნიადაგზე წარმოშობილი რევოლუციის თავისებურებათა შესახებ, კაუცკის ის მაინც შეეძლო, რომ თვალყური ედევნებინა, თუ რა ხდება მის გარშემო. რას ამტკიცებს კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის მოკვლა ოფიცრების მიერ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში? რას ამტკიცებს მკვლელობისათვის შემდეგში ასე სამასხროდ მსუბუქად დასჯილი ოფიცრების გაქცევა? ბატონი კაუცკი და მთელი მისი «დამოუკიდებელი» (პროლეტარიატისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ წვრილბურჟუაზიულ ცრურწმენათაგან ფრიად დამოკიდებული) პარტია ასეთ კითხვებს თავიდან იშორებს წუწუნით, დაგმობით და ფილისტერული ლამენტაციებით. მაგრამ სწორედ ამიტომ ყველა რევოლუციონერი მუშა მთელ მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მეტად ზურგს აქცევს კაუცკებს, ლონგეებს, მაკდონალდებს, ტურატებს და გადადის კომუნისტების მხარეზე, ვინაიცან რევოლუციურ პროლეტარიატს ესაჭიროება კონტრრევოლუციაზე **გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა**, და არა მისი უილაჯო «დაგმობა».

მეოთხე. «ტერორიზმის» საკითხი, როგორც ეტყობა, ძირითადი საკითხია კაუცკის წიგნში. ეს ჩანს მისი სათაურიდან. ეს ჩანს აგრეთვე შტამპფერის სიტყვებიდანაც: ...«კაუცკი, უეჭველად, მართალია, როცა ამტკიცებს, რომ კომუნის ძირითადი პრინციპი იყო არა ტერორიზმი, არამედ საყოველთაო საარჩევნო უფლებაო». ჩემს წიგნში «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი» მე საკმაო მასალა მოვიყვანე იმის დასამტკიცებლად, თუ მარქსიზმის როგორი აბუჩად აგდებაა ასეთი მსჯელობა «ძირითადი პრინციპის» შესახებ. ამჟამად ჩემი

ამოცანა სხვაა. იმის ნათელსაყოფად, თუ რა ღირებულება აქვს კაუცკის მსჯელობას «ტერორიზმის» შესახებ, ვის უწევს სამსახურს ეს მსჯელობა, რომელ კლასს, მე მოვიყვან სრულად ერთ პატარა ლიბერალურ სტატიას. ეს სტატია წარმოადგენს წერილს ლიბერალური ამერიკული ჟურნალის «ახალი რესპუბლიკის» («The New Republic», June 25-th 1919) რედაქციისადმი. ეს ჟურნალი, რომელიც საერთოდ წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დგას, მისდა სასარგებლოდ იმით განსხვავდება ბატონ კაუცკების ნაწერებისაგან, რომ ამ თვალსაზრისს არ უწოდებს არც რევოლუციურ სოციალიზმს და არც მარქსიზმს.

აი სრულად ეს წერილი რედაქციისადმი:

«მანერჰეიმი და კოლჩაკი

ბატონო რედაქტორო! მოკავშირე მთავრობებმა რუსეთის საბჭოთა მთავრობის ცნობაზე უარი თქვეს, როგორც ისინი ამბობენ, შემდეგი მიზეზების გამო:

1. საბჭოთა მთავრობა არის — ან იყო—გერმანოფილური (pro-german, გერმანიის მხარეზე მდგომი).

2. საბჭოთა მთავრობა ეყრდნობა ტერორიზმს.

3. საბჭოთა მთავრობა არადემოკრატიულია და რუსი ხალხის წარმომადგენელი არ არის.

ამავე დროს კი, მოკავშირე მთავრობებმა უკვე დიდი ხანია იცნეს ფინეთის ახლანდელი თეთრგვარდიული მთავრობა გენერალ მანერჰეიმის დიქტატორობით, თუმცა აშკარაა შემდეგი:

1. გერმანიის ჯარები ეხმარებოდნენ თეთრგვარდიელებს ფინეთის სოციალისტური რესპუბლიკის გასრესაში, და გენერალ მანერჰეიმს არა ერთხელ გაუგზავნია კაიზერისათვის დეპეშა თანაგრძნობისა და პატივისცემის გამოთქმით. საბჭოთა მთავრობა კი ენერგიულად უთხრიდა ძირს გერმანიის მთავრობას რუსეთის ფრონტზე მყოფ ჯარებს შორის პროპაგანდით. ფინეთის მთავრობა გაცილებით უფრო გერმანოფილური იყო, ვიდრე რუსეთის მთავრობა.

2. ფინეთის ახლანდელმა მთავრობამ, როცა ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში, რამდენიმე დღის განმავლობაში გულდამშვიდებით დასაჯა სიკვდილით ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკის 16 700 მოქალაქე და საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსა და მით შიმშილით სიკვდილი განუმზადა კიდევ 70 000-ს. ამავე დროს კი, რუსეთში ერთი წლის განმავლობაში, 1918 წლის 1 ნოემბრამდე, ოფიციალური ცნობების მიხედვით, სიკვდილით

დასჯილ იქნა სულ 3 800 კაცი, მათ შორის ბევრი მოსყიდული საბჭოთა თანამდებობის პირისა და აგრეთვე კონტრრევოლუციონერის ჩათვლით. ფინეთის მთავრობა გაცილებით უფრო ტერორისტული იყო, ვიდრე რუსეთის მთავრობა.

3. მოკლა და დაუპატიმრა რა 90 000-მდე სოციალისტი და საზღვარგარეთ, რუსეთში, განდევნა რა კიდევ 50 000-მდე კაცი, — ფინეთი პატარა ქვეყანაა, ამომრჩეველთა რიცხვი იქ მხოლოდ 400 000-მდეა — თეთრგვარდიულმა მთავრობამ საკმაოდ უშიშრად ცნო არჩევნების ჩატარება. მიუხედავად წინასწარ მიღებული ყოველგვარი ზომებისა, უმრავლესობა სოციალისტები იქნენ არჩეული, მაგრამ გენერალმა მანერჰეიმმა, მსგავსად მოკავშირეებისა ვლადივოსტოკში მომხდარი არჩევნების შემდეგ, არც ერთი მათგანის მანდატი არ დაამტკიცა. ამავე დროს კი, საბჭოთა მთავრობამ საარჩევნო უფლება ჩამოართვა ყველა იმათ, ვინც არ ასრულებს სასარგებლო მუშაობას საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად. ფინეთის მთავრობა გაცილებით უფრო ნაკლებად დემოკრატიული იყო, ვიდრე რუსეთის მთავრობა.

სწორედ ასეთივეა დემოკრატიისა და ახალი წესწყობილების დიდი ფალავნის, ადმირალ კოლჩაკის საქმეც ომსკში, ამ ადმირალს კი მოკავშირე სახელმწიფოები მხარს უჭერდნენ, მის ჯარებს ყველაფრით ამარაგებდნენ და ახლა მის ოფიციალურად ცნობას აპირებენ.

ამრიგად, ყოველი არგუმენტი, რომელსაც მოკავშირეები საბჭოების ცნობის წინააღმდეგ აყენებდნენ, მეტი ძალით და პატიოსნებით შეიძლება გამოვიყენოთ მანერჰეიმისა და კოლჩაკის წინააღმდეგ. მაგრამ ეს უკანასკნელნი იცნეს, ხოლო ბლოკადა შიმშილით მომაკვდავი რუსეთის ირგვლივ სულ უფრო და უფრო სასტიკი ხდება.

ვაშინგტონი. სტიუარტ ჩეისი (Stuart Chase)».

ბურჟუაზიული ლიბერალის ეს პატარა სტატია ჩინებულად ამჟღავნებს ბატონ კაუცკების, მარტოვების, ჩერნოვების, ბრანტინგების და ყვითელი, ბერნის ინტერნაციონალის სხვა გმირების მთელ ფლიდობასა და სოციალიზმისადმი ღალატს.

კაუცკი და ყველა ეს გმირი, ჯერ-ერთი, ცრუობენ საბჭოთა რუსეთზე ტერორიზმისა და დემოკრატიის საკითხში. მეორეც, ისინი მოვლენებს აფასებენ არა ფაქტიურად, მსოფლიო მასშტაბით და ფრიად მწვავე ფორმით წარმოებული კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით, არამედ მეშჩანური, ფილისტერული ოხვრის თვალსაზრისით იმაზე, თუ რა იქნებოდა, რომ არ

არსებობდეს კავშირი ბურჟუაზიულ დემოკრატიასა და კაპიტალიზმს შორის, რომ არ ყოფილიყვნენ ქვეყნად თეთრგვარდიელები, რომ მათ მხარს არ უჭერდეს მსოფლიო ბურჟუაზია და სხვ. და ა. შ.. მესამეც, როცა ამერიკელის ამ პატარა სტატიას ვუპირისპირებთ კაუცკისა და კომპ. მსჯელობებს, აშკარად ვხედავთ, რომ მისი ობიექტური როლი არის ბურჟუაზიის წინაშე ლაქიობა.

მსოფლიო ბურჟუაზია მხარს უჭერს მანერჰეიმებსა და კოლჩაკებს, როდესაც ცდილობს ჩაახრჩოს საბჭოთა ხელისუფლება, უსაფუძვლოდ გამოჰყავს რა იგი ტერორისტულ და ანარქიულ ხელისუფლებად. ასეთია ფაქტები. და კაუცკი, მარტოვი, ჩერნოვი და კომპანია მხოლოდ ბურჟუაზიის ბანის მიმცემნი არიან, როცა ღიღინებენ ტერორიზმსა და დემოკრატიზმზე. მსოფლიო ბურჟუაზია სწორედ ამ ჰანგებით, სწორედ მისი საშუალებით ატყუებს მუშებს და ახრჩობს მუშათა რევოლუციას. პირადი პატიოსნება იმ «სოციალისტებისა», რომლებიც «გულწრფელად», ე. ი. უკიდურესი სიჩლუნგის გამო, იმეორებენ ამ ჰანგებს, ოდნავადაც არ ცვლის ამ ჰანგის ობიექტურ როლს. «პატიოსანი ოპორტუნისტები» — კაუცკები, მარტოვები, ლონგეები და კომპ. «პატიოსანი» (თავიანთი უსაზღვრო უნიათობის გამო) კონტრრევოლუციონერები გახდნენ.

ასეთია ფაქტი.

ამერიკელი ლიბერალი მიხვდა — არა თავისი თეორიული მომზადების გამო, არამედ მოვლენების საკმაოდ ფართო, ე. ი. სახელდობრ მსოფლიო მასშტაბით უბრალო ბეჯითი დაკვირვებით, — მიხვდა, რომ მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია აწყობს და აწარმოებს სამოქალაქო ომს რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ, რისთვისაც მხარს უჭერს კოლჩაკსა და დენიკინს რუსეთში, მანერჰეიმს — ფინეთში, ბურჟუაზიის ლაქიებს, ქართველ მენშევიკებს — კავკასიაში, პოლონელ იმპერიალისტებს და პოლონელ კერენსკებს — პოლონეთში, გერმანელ შეიდემანელებს — გერმანიაში, კონტრრევოლუციონერებს

(მენშევიკებსა და კაპიტალისტებს) — უნგრეთში და სხვა და სხვა.

ხოლო კაუცკი, როგორც ნამდვილი რეაქციონერი მეშჩანი, განაგრძობს წუწუნს სამოქალაქო ომით გამოწვეული შეძრწუნებისა და საშინელებათა გამო! აქ არა მარტო ქრება რევოლუციური შეგნების ყოველგვარი ნასახი, ისტორიული რეალიზმის ყოველგვარი ნასახი (ვინაიდან ცოდვა არ იქნება, ბოლოს და ბოლოს, გავიგოთ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის გარდუვალობა), აქ გამოდის პირდაპირ ბურჟუაზიის აყოლა, მ ი ს თ ვ ი ს დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს გ ა წ ე ვ ა, აქ კაუცკი ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს მ ხ ა რ ე ზ ე აღმოჩნდა იმ სამოქალაქო ომში, რომელიც მთელ მსოფლიოში ან უკვე წარმოებს, ან სრული სიცხადით მზადდება.

როგორც თეორეტიკოსი, კაუცკი ხმაურით, ყვირილით, ტირილით, ისტერიკით სამოქალაქო ომის გამო — ფარავს იმ გარემოებას, რომ მან სრული მარცხი განიცადა. მართალი აღმოჩნდნენ სწორედ ბოლშევიკები, რომლებმაც 1914 წლის შემოდგომაზე მთელ მსოფლიოს აუწყეს ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ო მ ი ს ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ო მ ა დ გ ა დ ა ქ ც ე ვ ა. ყველა ჯურის რეაქციონერები აღშფოთებული იყვნენ ან იცინოდნენ, მაგრამ ბოლშევიკები მ ა რ თ ა ლ ი აღმოჩნდნენ. რომ დაფარო შენი სრული დამარცხება, შენი სირეგვნე, შენი სიბეცე, უნდა ეცადო დააფრთხო წვრილი ბურჟუები სამოქალაქო ომის საშინელებით. სწორედ ასე იქცევა კაუცკი, როგორც პოლიტიკოსი.

თუ რა სასაცილო სისულელეებს ამბობს იგი ამასთან, ეს ჩანს შემდეგიდან. მსოფლიო რევოლუციის იმედი უსაფუძვლოაო, ამტკიცებს კაუცკი, და—როგორ ფიქრობთ, რაში მდგომარეობს მისი არგუმენტი? რუსეთის ტიპის რევოლუცია ევროპაში—ეს იქნებოდა «ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ო მ ე ბ ი ს გ ა ნ ბ ლ ე ბ ა (**Entfessellung**, გამოწვევა) მ თ ე ლ მ ს ო ფ ლ ი ო ში მ თ ე ლ ი თ ა ო ბ ი ს მ ა ნ ძ ი ლ ზ ე ო», ამასთან არა ნამდვილი კლასობრივი ბრძოლის გამოწვევა, არამედ «ძ ლ ი ერ ა მ ქ ლ ე ტ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ს შ ო რ ი ს ო».

ეს ხაზგასმული ციტატები, სწორედ როგორც კაუცკის სიტყვები, მოჰყავს შტამპფერს და, რა თქმა უნდა, იგი აღტაცებულია ამ სიტყვებით.

როგორ არ უნდა იყვნენ აღტაცებულნი ამ სიტყვებით არამზადები და შეიდემანის მსახური ჯალათები! «სოციალისტების ბელადი» რევოლუციით აშინებს ხალხს და ცდილობს ჩამოაშოროს იგი რევოლუციას! მაგრამ სასეირო ამბავია, რომ კაუცკიმ ამასთან ერთი რამ ვერ შენიშნა: აი თითქმის უკვე ორი წელია რაც მსოფლიო მასშტაბით ძლიერი ანტანტა ეომება რუსეთს და ამით რევოლუციას აჩაღებს თავის ქვეყანაში. ოღონდ კი ერთი დაიწყოს რევოლუცია ახლა, თუნდაც მხოლოდ თავის შემთანხმებლურ სტადიაში, თუნდაც ანტანტის მხოლოდ ერთ-ორ დიდ სახელმწიფოში, ეს ერთბაშად შეწყვეტდა სამოქალაქო ომს რუსეთში, ეს ერთბაშად გაათავისუფლებდა ასეულ მილიონობით ხალხს კოლონიებში, ვინაიდან იქ ბობოქრობს გულისწყრომა და აღშფოთება, მას მხოლოდ ევროპის ძალადობა აკავებს.

გარდა იმისა, რომ კაუცკიმ მთელი იმპერიალისტური ომის განმავლობაში გამოამჟღავნა თავისი საზიზღარი ლაქიური სულის მშვენიერებანი, მას ახლა ამოქმედებს აშკარად გამოხატული ასეთი მოტივი: მას შეეშინდა, რომ სამოქალაქო ომმა რუსეთში გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. შიშით მან ვერ მოისაზრა, რომ რუსეთის წინააღმდეგ იბრძვის მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია. რევოლუცია ევროპის ერთ-ორ დიდ სახელმწიფოში საბოლოოდ ძირს გამოუთხრიდა ბურჟუაზიის ძალას საერთოდ, მისი ბატონობა ძირშივე მოტყდებოდა და მას თავშესაფარი აღარსად ექნებოდა დედამიწაზე.

სინამდვილეში, მსოფლიო ბურჟუაზიის ორი წლის ომი რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ იმედს უნერგავს მთელი მსოფლიოს რევოლუციონერებს, ამტკიცებს გამარჯვების მეტისმეტ სიახლოვეს და სიადვილეს მსოფლიო მასშტაბით.

რაც შეეხება სამოქალაქო ომს «პროლეტარებს შორის», ეს მოსაზრებანი ჩვენ უკვე გვსმენია ჩერნოვებისა და მარტოვებისაგან. ამ მოსაზრების მთელი უსაზღვრო ფლიდობის შესაფასებლად ავიღოთ თვალსაჩინო მაგალითი. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს გლეხების ერთი ნაწილი, სახელდობრ ვანდეელები იბრძოდნენ მეფისათვის რესპუბლიკის წინააღმდეგ. 1848 წლის ივნისსა და 1871 წლის მაისში მუშების ერთი ნაწილი იმყოფებოდა კავენიაკისა და გალიფეს ჯარებში, რომლებიც რევოლუციას ახრჩობდნენ. რას იტყოდით თქვენ იმ ადამიანზე, რომელიც განაცხადებდა: მე დავსტირი «სამოქალაქო ომს საფრანგეთის გ ლ ე ხ ებ ს შ ო რ ი ს 1792 წელს», — «მუშებს შორის 1848 და 1871 წლებში»? თქვენ იტყოდით, რომ ის რეაქციის, მონარქიის, კავენიაკების ყოვლად ფლიდი დამცველია.

და თქვენ მართალი იქნებოდით.

მხოლოდ ნამდვილმა იდიოტმა შეიძლება ვერ გაიგოს ახლაც კი ის გარემოება, რომ რუსეთში წარმოებს (და მთელ მსოფლიოში იწყება ან მწიფდება) პროლეტარიატის სამოქალაქო ომი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. არასოდეს არ ყოფილა და არასოდეს არ შეიძლება იყოს ისეთი კლასობრივი ბრძოლა, რომ მოწინავე კლასის ნ ა წ ი ლ ი რეაქციის მხარეზე არ დარჩენილიყოს. იგივე ითქმის სამოქალაქო ომზეც. ჩამორჩენილი მუშების ნაწილი აუცილებლად ეხმარება — ცოტად თუ ბევრად მოკლე ხნით — ბურჟუაზიას. ბურჟუაზიის მხარეზე თ ა ვ ი ს ი გადასვლის ა მ ი თ დაცვა მხოლოდ არამზადებს შეუძლიათ.

თეორიულად, აქ ჩვენ ვხედავთ იმის გაგების მოუწადინებლობას, რის შესახებაც 1914 წლიდან გაჰყვირის, ღაღადებს მთელი მუშათა მოძრაობის მთელი ისტორიის ყველა ფაქტი მთელ მსოფლიოში. გათიშვა მეშჩანობით, ოპორტუნიზმით გარყვნილ, «შემოსავლიანი ადგილებით» და ბურჟუაზიის სხვა ნასუფრალით მ ო ს ყ ი დ უ ლ მუშათა კლასის ზ ე დ ა ფ ე ნ ე ბ ს შორის დაისახა 1914 წლის შემოდგომაზე მსოფლიო მასშტაბით, საბოლოოდ განვითარდა 1915—1918 წლებში.

როცა ამ ისტორიულ ფაქტს ვერ ხედავს და კომუნისტებს გათიშვაში სდებს ბრალს, კაუცკი მეათასედ ამტკიცებს მხოლოდ, რომ ის ბურჟუაზიის ლაქიის როლს ასრულებს.

მარქსი და ენგელსი 40 წლის განმავლობაში, 1852-დან 1892 წლამდე, ლაპარაკობდნენ ინგლისის მუშების ერთი ნაწილის (სახელდობრ ზედაფენების, ბელადების, «არისტოკრატიის») გ ა ბ უ რ ჟ უ ე ბ ი ს შესახებ ინგლისის კოლონიურ უპირატესობებთან, მონოპოლიებთან დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ. დღესავით ნათელია, რომ იმპერიალისტურ მონოპოლიებს მთელი რიგი ქვეყნებისათვის XX საუკუნეში ისეთივე მოვლენა უნდა შეექმნათ, როგორც ინგლისში. ყველა მოწინავე ქვეყანაში ჩვენ ვხედავთ მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ბ ე ლ ა დ ე ბ ი ს ა და მისი ზ ე დ ა ფ ე ნ ე ბ ი ს გათახსირებას, მოსყიდულობას, ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლას — ბურჟუაზიის მიერ ნასუფრალის გაცემასთან დაკავშირებით, ბურჟუაზიის, რომელიც «შემოსავლიან ადგილებს» აძლევს ამ ბელადებს, თავის მოგებათა ნამცეცებს აძლევს ამ ზედაფენებს, ყველაზე მცირესაზღაურიანი და ყველაზე შავი სამუშაოს სიმძიმეს აკისრებს უცხოეთიდან შემოყვანილ ჩამორჩენილ მუშებს, აძლიერებს «მუშათა კლასის არისტოკრატიის» პრივილეგიებს მასასთან შედარებით.

1914 — 1918 წლების ომმა საბოლოოდ დაამტკიცა პროლეტარიატის ბ ე ლ ა დ ე ბ ი ს ა და ზ ე დ ა ფ ე ნ ე ბ ი ს, ყველა სოციალ-შოვინისტის, ჰომპერსების, ბრანტინგების, რენოდელების, მაკდონალდების, შეიდემანებისა და სხვათა ღალატი სოციალიზმისადმი, მათი გადასვლა ბურჟუაზიის მხარეზე, ამასთან, რა თქმა უნდა, მუშათა მასის ნაწილი ჩამორჩენილობის გამო ერთხანს ამ ბურჟუაზიულ არამზადებს მიჰყვება.

ჰიუისმანსების, ვანდერველდეების, შეიდემანების ბერნის ინტერნაციონალი სავსებით ჩამოყალიბდა ახლა, როგორც სოციალიზმის ამ მოღალატეთა ყვითელი ინტერნაციონალი. მათ წინააღმდეგ ბრძოლის გარეშე, მათთან გათიშვის გარეშე ლაპარაკიც კი შეუძლებელია რაიმე ნ ა მ დ ვ ი ლ

სოციალიზმზე, რაიმე გ უ ლ წ რ ფ ე ლ მუშაობაზე სოციალური რევოლუციის სასარგებლოდ.

დაე გერმანელმა დამოუკიდებლებმა სცადონ ორ სკამს შუა ჯდომა, ასეთი ყოფილა მათი ბედი. შეიდემანელები ეფერებიან და გულში იხუტებენ კაუცკის, როგორც «თავის» კაცს, შტამპფერი გაჰყვირის ამის შესახებ, და მართლაც კაუცკი შეიდემანების ნამდვილი ამხანაგია. ჰილფერდინგი კი, ისიც დამოუკიდებელი და კაუცკის მეგობარი, ლუცერნში წინადადებას იძლეოდა ინტერნაციონალიდან გაერიცხათ შეიდემანები. რა თქმა უნდა, ჰილფერდინგი მხოლოდ სასაცილოდ აიგდეს ყვითელი ინტერნაციონალის ნამდვილმა ბელადებმა. ჰილფერდინგის წინადადება ან უაღრესი სისულელე იყო, ანდა უაღრესი თვალთმაქცობა: «მემარცხენის» სახელი გაეთქვა მუშათა მასაში და ამავე დროს ადგილი შეენარჩუნებინა ბურჟუაზიის მსახურთა ინტერნაციონალში! მაგრამ, როგორც უნდა ავხსნათ ერთ-ერთი ბელადის, ჰილფერდინგის, საქციელი, ერთი რამ უეჭველია: «დამოუკიდებელთა» უნიათობაც და შეიდემანების, ბრანტინგების, ვანდერველდეების ფლიდობაც გარდუვალად გამოიწვევს პროლეტარიატის მასის სულ უფრო მეტად ჩ ა მ ო შ ო რ ე ბ ა ს მ ო ღ ა ლ ა ტ ე ბ ე ლ ა დ ე ბ ი-ს ა გ ა ნ. ზოგიერთ ქვეყანაში იმპერიალიზმს შეუძლია საკმაოდ დიდხანს გათიშოს მუშები, ეს დაამტკიცა ინგლისის მაგალითმა, მაგრამ რევოლუციონერების გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა, მასების გაერთიანება მათთან, ყვითლების განდევნა განუხრელად წინ მიდის მსოფლიო მასშტაბით. ამას ამტკიცებს კომუნისტური ინტერნაციონალის უდიდესი წარმატებანი: ამერიკაში უკვე შეიქმნა კომუნისტური პარტია[4], პარიზში ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის აღმდგენი კომიტეტი და სინდიკალური დაცვის კომიტეტი[5] III ინტერნაციონალს მიემხრნენ. პარიზში III ინტერნაციონალის მხარეზე გადავიდა ორი გაზეთი: «ინტერნაციონალი»[6] რეიმონდ პერიკისა და «აკრძალული სახელწოდება» («ბოლშევიკი»?) ჟორჟ ანკეტილისა. ინგლისში დღეს-ხვალ შეიქმნება კომუნისტური პარტია, რომელსაც სოლიდარობას უცხადებენ აგრეთვე ბრიტანეთის

სოციალისტური პარტიის[7] «საფაბრიკო მამასახლისთა კომიტეტების» (Shop Stewards Committees)[8], რევოლუციური ინდუსტრიალისტების და სხვ. საუკეთესო ადამიანები. შვედი მემარცხენენი, ნორვეგიელი სოციალ-დემოკრატები, ჰოლანდიელი კომუნისტები, შვეიცარიისა[9] და იტალიის[10] სოციალისტური პარტიები უკვე ერთ რიგში დგანან გერმანელ სპარტაკელებთან[11] და რუს ბოლშევიკებთან ერთად.

კომუნისტური ინტერნაციონალი 1919 წლის რამდენიმე თვეში გადაიქცა მსოფლიო ინტერნაციონალად, რომელიც მიუძღვის მასებს და უეჭველი მტერია «ყვითელ» ინტერნაციონალში გაერთიანებული სოციალიზმის მოღალატე ბერნელი და ლუცერნელი მეგობრებისა.

დასასრულ შევჩერდეთ ერთ განსაკუთრებით საგულისხმო ცნობაზე, რომელიც შუქს ჰფენს ოპორტუნისტული ბელადების როლს. ლუცერნში, როცა იქ მიმდინარე წლის აგვისტოში ყვითელი სოციალისტების კონფერენცია მიმდინარეობდა, გამოდიოდა ჟენევის გაზეთ «La Feuille»-ს («ფურცელი»)[12] საგანგებო გამოცემა ანგარიშებითა და ცნობებით, სხვადასხვა ენაზე. ინგლისურ გამოცემაში (№ 4, Wednesday, August 6-th *) მოთავსებულია ინტერვიუ ჰოლანდიის ოპორტუნისტული პარტიის ცნობილ ბელად ტრულსტრასთან.

აი რა თქვა ტრულსტრამ:

«გერმანიის 9 ნოემბრის რევოლუციამ დიდი აღელვება გამოიწვია ჩვენს (ჰოლანდიის) პოლიტიკურ და პროფესიულ ბელადებს შორის. ჰოლანდიის მმართველი ჯგუფები რამდენიმე დღეს პანიკით იყვნენ შეპყრობილი, მით უმეტეს, რომ იმავე დროს თითქმის საყოველთაო აღშფოთებამ იფეთქა არმიაში.

როტერდამისა და ჰაგის ბურგომისტრებმა გულმოდგინედ შეკრიბეს თავიანთი საკუთარი ორგანიზაციები, როგორც კონტრრევოლუციის დამხმარე ძალები. ყოფილი გენერლებისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელთა შორის იყო ერთი ძველი ოფიცერი, რომელსაც თავი მოჰქონდა ჩინეთის ბოქსიორთა აჯანყების ჩაქრობით, შეეცადა გზა აებნია რამდენიმე ამხანაგისათვის და შეეგულიანებინა ისინი რევოლუციის წინააღმდეგ. მათ

* — ოთხშაბათი, 6 აგვისტო. რ ე დ.

ცდას, რასაკვირველია, საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა, და როტერდამში იყო მომენტი, როცა თითქოს მუშათა საბჭო უნდა შექმნილიყო. მაგრამ პოლიტიკური და პროფესიული ორგანიზაციების ბელადები იმ აზრისა იყვნენ, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო ასეთი მეთოდებისათვისო, და დასჯერდნენ მუშათა მოთხოვნების პროგრამა-მინიმუმის წამოყენებასა და მასებისადმი მგზნებარე მოწოდების გამოქვეყნებას».

ასე ილაპარაკა ტრულსტრამ. მან კიდევ ბევრი რამ დაჩ-ვეხნა: როგორ წარმოთქვამდა ის რევოლუციურ სიტყვებს, როგორ უჭერდა ის მხარს ძალაუფლების ხელში ჩაგდებასაც კი, როგორ ესმის მას, რომ არ კმარა პარლამენტები და წმინდა პოლიტიკური დემოკრატია, როგორ აღიარებს ის გარდამავალი დროისათვის ბრძოლის «არალეგალურ საშუალებებსაც» და «პროლეტარიატის დიქტატურასაც» და სხვა და ა. შ.

ტრულსტრა ნიმუშია გამყიდველი, ოპორტუნისტული ბელადისა, რომელიც ბურჟუაზიას ემსახურება და მუშებს ატ-ყუებს. სიტყვით ის, როგორც ხედავთ, ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს აღიარებს, რაც გნებავთ: საბჭოებსაც, პროლეტარიატის დიქ-ტატურასაც. საქმით კი ტრულსტრა მუშების უსაზიზღრესი მოღალატეა, ბურჟუაზიის აგენტია. საქმით ის ჰოლანდიის «პოლიტიკური და პროფესიული მუშათა ორგანიზაციების» სწორედ იმ «ბელადების» ბ ე ლ ა დ ი ა, რომლებმაც გადა-მწყვეტ მომენტში ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლით ჰ ო ლ ა ნ-დ ი ი ს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა ი ხ ს ნ ე ს.

ტრულსტრას მიერ მოყვანილი ფაქტები სავსებით ცხადი და გარკვეულია. ჰოლანდიაში მოხდა არმიის მობილიზაცია. პრო-ლეტარიატი შეიარაღებული და გაერთიანებული იყო არმიაში მთელი ხალხის უღარიბეს ფენებთან. გერმანიის რევოლუციამ გამოიწვია მუშების აღმავლობა და «თითქმის საყოველთაო აღშფოთება არმიაში». ცხადია, რევოლუციური ბელადების მოვალეობა იყო გაძღოლოდნენ მასებს რევოლუციისაკენ, ხ ე ლ ი დ ა ნ ა რ გ ა ე შ ვ ა თ მომენტი, როცა მუშების შეიარა-ღებას და გერმანიის რევოლუციის გავლენას შეეძლო საქმის ერთბაშად გადაწყვეტა.

მოღალატე-ბელადები, ტრულსტრას მეთაურობით, ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ. მუშები გამოკვებეს რეფორმებით და კიდევ უფრო რეფორმების დაპირებებით, «მგზნებარე მოწოდებებით» და რევოლუციური ფრაზებით დაამშვიდეს მუშები — და მოატყუეს ისინი. არმიის დემობილიზაციაში ბურჟუაზიას დაეხმარნენ და კაპიტალისტები იხსნეს სწორედ ბატონმა ტრულსტრამ და მისმა მსგავსმა «ბელადებმა», რომლებიც შეადგენენ ბერნისა და ლუცერნის II ინტერნაციონალს.

მუშათა მოძრაობა წინ წავა, შორს გადაისვრის გამცემლებსა და მოღალატეებს, ტრულსტრებსა და კაუცკებს, თავს დააღწევს იმ გაბურჟუებულ ზედაფენას, რომელიც ატყუებს მასებს, ხოლო სინამდვილეში კაპიტალისტების პოლიტიკას აწარმოებს.

ნ. ლენინი

1919 წ. 20 სექტემბერი.

---

P. S. * შტამპფერის გადმოცემის მიხედვით თუ განვსჯით, კაუცკის სახელმწიფოს საბჭოთა სისტემის შესახებ არაფერი უთქვამს. ხომ არ დათმო მან ამ მთავარ საკითხში თავისი პოზიცია? ხომ არ აიღო ხელი იმ უმსგავსოებათა დაცვაზე, რასაც წერდა ამის შესახებ თავის ბროშურაში «პროლეტარიატის დიქტატურის» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ? ხომ არ ამჯობინა მ თ ა ვ ა რ ი დ ა ნ მეორეხარისხოვანზე გადასვლა? ამ კითხვების პასუხს ჩვენ ვიხილავთ, როცა შესაძლებელი გახდება გავეცნოთ თვით კაუცკის ბროშურას.

გამოქვეყნდა
1919 წ. სექტემბერში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

# ამერიკელ მუშებს

ამხანაგებო! დაახლოებით ერთი წლის წინათ «წერილში ამერიკელ მუშებს» (1918 წ. 20 აგვისტოს) მე გაგაცანით საქმის ვითარება საბჭოთა რუსეთში და მისი ამოცანები. ეს იყო ჯერ კიდევ გერმანიის რევოლუციამდე. მას შემდეგ მსოფლიო ამბებმა დაადასტურეს იმ შეფასების სისწორე, რომელიც ბოლშევიკებმა მისცეს 1914 — 1918 წლების იმპერიალისტურ ომს საერთოდ და ანტანტის იმპერიალიზმს განსაკუთრებით. მას შემდეგ კი საბჭოთა ხელისუფლება გასაგები და მახლობელი გახდა მთელი მსოფლიოს მუშათა მასების გონებისა და გულისათვის. მუშათა მასები ყველგან, მიუხედავად ძველი, შოვინიზმითა და ოპორტუნიზმით გაჟღენთილი ბელადების გავლენისა, რწმუნდებიან ბურჟუაზიული პარლამენტების სიდამპლეში და საბჭოთა ხელისუფლების, მშრომელთა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობაში კაპიტალის უღლისაგან კაცობრიობის განსათავისუფლებლად. და საბჭოთა ხელისუფლება გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში, როგორიც უნდა იყოს ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის მძვინვარება და გააფთრება. ბურჟუაზია სისხლით რწყავს რუსეთს, ომს აწარმოებს რა ჩვენთან, გვისისიანებს რა კონტრრევოლუციონერებს, კაპიტალის უღლის აღდგენის მომხრეებს. ბურჟუაზია ბლოკადით და კონტრრევოლუციისათვის მხარისდაჭერით გაუგონარ ტანჯვას აყენებს რუსეთის

მშრომელ მასებს, მაგრამ ჩვენ დავამარცხეთ კოლჩაკი და გამარჯვების სრული რწმენით ვაწარმოებთ ომს დენიკინის წინააღმდეგ.

23. IX. 1919. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

* * *

ხშირად მეკითხებიან, მართალი არიან თუ არა ის ამერიკელები, არა მარტო მუშები, არამედ უმთავრესად ბურჟუებიც, რომლებიც უარყოფითად ეკიდებიან რუსეთთან ომს და ზავის დადების შემთხვევაში ჩვენგან ელოდებიან არა მარტო სავაჭრო ურთიერთობის განახლებას ჩვენთან, არამედ განსაზღვრული კონცესიების მიღების შესაძლებლობასაც რუსეთში. ვიმეორებ, რომ მართალი არიან. მტკიცე ზავი მდგომარეობის ისეთი შემსუბუქება იქნებოდა რუსეთის მშრომელი მასებისათვის, რომ ეს მასები, უეჭველად, დათანხმდებოდნენ განსაზღვრული კონცესიების გაცემაზეც. გონიერი პირობების საფუძველზე კონცესიების გაცემა ჩვენთვისაც სასურველია, როგორც ერთ-ერთი საშუალება რუსეთში ტექნიკური დახმარების მოსაზიდად ამ მხრივ უფრო მოწინავე ქვეყნებიდან იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ ერთიმეორის გვერდით იარსებებენ სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოები.

23. IX. 1919. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
1919 წ. 27 დეკემბერს
ჟურნალში «Soviet Russia» № 30

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1930 წ. 7 ნოემბერს გაზეთ
«პრავდაში» № 308

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# საბჭოთა რესპუბლიკაში მუშა-ქალთა მოძრაობის ამოცანების შესახებ

## სიტყვა მუშა-ქალთა მოსკოვის IV საერთო-საქალაქო უპარტიო კონფერენციაზე 1919 წ. 23 სექტემბერს

ამხანაგებო, დიდად მოხარული ვარ მივესალმო მუშა-ქალთა კონფერენციას. ჩემს თავს ნებას მივცემ არ შევეხო იმ თემებს და იმ საკითხებს, რომლებიც ამჟამად, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო აღელვებენ ყოველ მუშა-ქალს და მშრომელი მასის ყოველ შეგნებულ ადამიანს. ეს ყველაზე მწვავე საკითხებია — პურისა და ჩვენი სამხედრო მდგომარეობის საკითხი. მაგრამ, რამდენადაც საგაზეთო ანგარიშებიდან ვიცი თქვენი კრებების შესახებ, ეს საკითხები ამომწურავად გაგაცნეს თქვენ აქ ამხ. ტროცკიმ სამხედრო საქმის მხრივ და ამხანაგებმა იაკოვლევამ და სვიდერსკიმ — პურის საკითხის შესახებ, ამიტომაც ნება მომეცით ამ საკითხებს არ შევეხო.

მე მსურს რამდენიმე სიტყვა ვთქვა საბჭოთა რესპუბლიკაში მუშა-ქალთა მოძრაობის საერთო ამოცანების შესახებ, როგორც იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სოციალიზმზე გადასვლასთან საერთოდ, ისე იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც ახლა განსაკუთრებით დაჟინებით დგებიან პირველ რიგში. ამხანაგებო, ქალის მდგომარეობის საკითხი თავიდანვე დააყენა საბჭოთა ხელისუფლებამ. მე ვფიქრობ, სოციალიზმზე გარდამავალი ყოველი მუშათა სახელმწიფოს ამოცანა ორგვარი იქნება. და ამ ამოცანის პირველი ნაწილი შედარებით უბრალო და ადვილია. ის ეხება იმ ძველ კანონებს, რომლებიც ქალს არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში აყენებდა მამაკაცის მიმართ.

დასავლეთ ევროპაში დიდი ხანია ყველა განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები არათუ ათეული წლების, არამედ ასეული წლების მანძილზე აყენებდნენ ამ მოძველებული კანონების გაუქმებისა და კანონით მამაკაცთან ქალის გათანაბრების მოთხოვნას, მაგრამ ევროპის ვერც ერთმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ, ვერც ერთმა უალრესად მოწინავე რესპუბლიკამ ვერ განახორციელა ეს, რადგან იქ, სადაც კაპიტალიზმი არსებობს, იქ, სადაც შენარჩუნებულია მიწის კერძო საკუთრება, ფაბრიკებისა და ქარხნების კერძო საკუთრება, იქ, სადაც შენარჩუნებულია კაპიტალის ბატონობა, პრივილეგიები მამაკაცებს დარჩებათ. რუსეთში ამის განხორციელება მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ 1917 წლის 25 ოქტომბრიდან აქ მუშების ხელისუფლება დამყარდა. საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე ამოცანად ისახავდა ეარსებნა როგორც მშრომელთა ხელისუფლებას, რომელიც მტერია ყოველგვარი ექსპლოატაციისა. ის ამოცანად ისახავდა მემამულეებისა და კაპიტალისტების მიერ მშრომელთა ექსპლოატაციის შესაძლებლობის, კაპიტალის ბატონობის მოსპობას. საბჭოთა ხელისუფლება ისწრაფოდა მიეღწია იმისათვის, რომ მშრომელებს თავიანთი ცხოვრება მოეწყოთ მიწის კერძო საკუთრების გარეშე, ფაბრიკებისა და ქარხნების კერძო საკუთრების გარეშე, იმ კერძო საკუთრების გარეშე, რომელმაც ყველგან, მთელ ქვეყნიერებაზე, სრული პოლიტიკური თავისუფლების დროსაც კი, თვით ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც კი ფაქტიურად მშრომელები ჩააყენა სიღატაკისა და დაქირავებული მონობის მდგომარეობაში, ქალი კი — ორმაგი მონობის მდგომარეობაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც მშრომელთა ხელისუფლებამ, მისი არსებობის პირველ თვეებშივე, ფრიად გადამწყვეტი გადატრიალება მოახდინა კანონმდებლობის იმ ნაწილში, რომელიც ქალს ეხება. საბჭოთა რესპუბლიკაში ქვა-ქვაზე არ დარჩენილა იმ კანონებიდან, რომლებიც ქალს დამორჩილებულ მდგომარეობაში აყენებდნენ. მე ვლაპა-

რაკობ სახელდობრ იმ კანონებზე, რომლებმაც სპეციალურად გამოიყენეს ქალის უფრო სუსტი მდგომარეობა, ჩააყენეს რა ის არათანასწორუფლებიან და ხშირად დამამცირებელ მდგომარეობაშიც კი, ე. ი. კანონებზე განქორწინებისა და ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის შესახებ, ბავშვის უზრუნველსაყოფად ქალის მხრივ ბავშვის მამისათვის სარჩელის წაყენების უფლების შესახებ.

უნდა ითქვას, რომ ბურჟუაზიული კანონმდებლობა სწორედ ამ სფეროში, თვით ყველაზე მოწინავე ქვეყნებშიც კი, იყენებს ქალის უფრო სუსტ მდგომარეობას, ხდის რა მას არათანასწორუფლებიანად და ამცირებს რა მას. და სწორედ ამ სფეროში საბჭოთა ხელისუფლებამ ქვა-ქვაზე არ დატოვა ამ ძველი, უსამართლო, მშრომელი მასის წარმომადგენელთათვის აუტანელი კანონებიდან. და ახლა ჩვენ შეგვიძლია სრული სიამაყით, სრულიად გაუზვიადებლად ვთქვათ, რომ, გარდა საბჭოთა რუსეთისა, არ არის მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა, სადაც ქალის სრული თანასწორუფლებიანობა არსებობდეს და სადაც ქალი ჩაყენებული არ იყოს დამამცირებელ მდგომარეობაში, რაც განსაკუთრებით საგრძნობია ყოველდღიურ, ოჯახურ ცხოვრებაში. ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

თუ თქვენ გიხდებათ ურთიერთობის დაჭერა ბოლშევიკების მიმართ მტრულად განწყობილ პარტიებთან, ან თუ თქვენ ხელში გივარდებათ გაზეთები, რომლებიც რუსულ ენაზე გამოდის კოლჩაკის ან დენიკინის მიერ დაკავებულ ოლქებში, ან თუ გიხდებათ ლაპარაკი ამ გაზეთების თვალსაზრისზე მდგომ ადამიანებთან, მათგან თქვენ ხშირად გაიგონებთ, რომ ისინი ბრალს სდებენ საბჭოთა ხელისუფლებას დემოკრატიის დარღვევაში.

ჩვენ, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს, ბოლშევიკ-კომუნისტებს და საბჭოთა ხელისუფლების მომხრეებს, მუდამ გვისაყვედურებენ იმას, რომ ჩვენ დავარღვიეთ დემოკრატია, და ამ ბრალდების დასამტკიცებლად აყენებენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გარეკა დამფუძნებელი

კრება. ამ ბრალდებებზე ჩვეულებრივ ჩვენ ასე ვუპასუხებთ: იმ დემოკრატიას და იმ დამფუძნებელ კრებას, რომლებიც წარმოიშვნენ მიწის კერძო საკუთრების არსებობის პირობებში, როცა ადამიანები ერთმანეთთან გათანასწორებულნი არ იყვნენ, როცა ის, ვისაც საკუთარი კაპიტალი ჰქონდა, პატრონად ითვლებოდა, ხოლო დანარჩენები, რომლებიც მასთან შრომობდნენ, მისი დაქირავებული მონები იყვნენ, — ასეთ დემოკრატიას ჩვენ არ ვაფასებთ. ასეთი დემოკრატია თვით ყველაზე მოწინავე სახელმწიფოებშიც კი მონობას ფარავდა. ჩვენ, სოციალისტები, დემოკრატიის მომხრენი მხოლოდ იმდენად ვართ, რამდენადაც იგი ამსუბუქებს მშრომელთა და ჩაგრულთა მდგომარეობას. სოციალიზმი მთელ მსოფლიოში მიზნად ისახავს ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლას. ჩვენთვის ჭეშმარიტი მნიშვნელობა იმ დემოკრატიას აქვს, რომელიც ემსახურება ექსპლოატირებულთ, იმათ, ვინც არათანასწორუფლებიან მდგომარეობაშია ჩაყენებული. თუ არამშრომელს ერთმევა საარჩევნო უფლება, ეს არის სწორედ ნამდვილი თანასწორობა ადამიანთა შორის. არამშრომელმა არც უნდა ჭამოს.

ამ ბრალდებებზე ჩვენ ვუპასუხებთ, რომ უნდა დაისვას საკითხი, ამა თუ იმ სახელმწიფოში როგორ ხორციელდება დემოკრატია. ყველა დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩვენ ვხედავთ, რომ აღიარებულია თანასწორობა, ხოლო სამოქალაქო კანონებში და კანონებში ქალის უფლებათა შესახებ ოჯახში მისი მდგომარეობის მხრივ, განქორწინების მხრივ, ყოველ ნაბიჯზე ჩვენ ვხედავთ ქალის უთანასწორობას და დამცირებას, და — ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის დემოკრატიის დარღვევა და სწორედ ჩაგრულთა მიმართ. საბჭოთა ხელისუფლებამ სხვა, ყველაზე მოწინავე ქვეყნებზე უფრო მეტად განახორციელა დემოკრატია მით, რომ თავის კანონებში ხსენების ნატამალიც კი არ დატოვა ქალის არათანასწორუფლებიანობისა. ვიმეორებ, რომ არც ერთ სახელმწიფოს და არც ერთ დემოკრატიულ კანონმდებლობას არ გაუკეთებია ქალისათვის იმის

ნახევარიც კი, რაც გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველსავე თვეებში.

რა თქმა უნდა, მარტო კანონები არ კმარა, და ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვჯერდებით მარტოოდენ დეკრეტებს. მაგრამ კანონმდებლობის სფეროში ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც მოგვეთხოვებოდა მამაკაცის მდგომარეობასთან ქალის მდგომარეობის გათანაბრებისათვის, და ჩვენც უფლება გვაქვს ვიამაყოთ ამით. ქალის მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში ახლა ისეთია, რომ იგი იდეალურია ყველაზე მოწინავე სახელმწიფოების თვალსაზრისით. მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ეს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ მხოლოდ დასაწყისია.

ქალის მდგომარეობა, საოჯახო მეურნეობაში მისი მოსაქმეობის გამო, ჯერ კიდევ შებოჭილი რჩება. ქალის სრული განთავისუფლებისა და მამაკაცთან მისი ნამდვილი გათანაბრებისათვის საჭიროა არსებობდეს საზოგადოებრივი მეურნეობა და ის, რომ ქალი მონაწილეობდეს საერთო ნაყოფიერ შრომაში. მაშინ ქალი ისეთსავე მდგომარეობას დაიკავებს, როგორც მამაკაცი.

რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ ქალი გათანაბრებულ იქნეს შრომის ნაყოფიერების, შრომის ოდენობის, მისი ხანგრძლივობის, შრომის პირობების მხრივ და სხვ., არამედ ლაპარაკია იმაზე, რომ ქალი მამაკაცისაგან განსხვავებით არ იჩაგრებოდეს მეურნეობაში მისი მდგომარეობით. თქვენ ყველას მოგეხსენებათ, რომ სრული თანასწორუფლებიანობის დროსაც კი ქალის ეს ფაქტიური დაბეჩავება მაინც რჩება, რადგან მას აკისრებენ მთელ საოჯახო მეურნეობას. ეს მეოჯახეობა უმთავრესად ყველაზე არამწარმოებლური, ყველაზე ველური და ყველაზე მძიმე შრომაა, რომელსაც ქალი ასრულებს. ეს არის მეტისმეტად წვრილმანი შრომა, რომელიც არ შეიცავს არაფერს, რაც რამდენადმე მაინც ხელს უწყობდეს ქალის განვითარებას.

ვისახავთ რა სოციალისტურ იდეალს, ჩვენ გვსურს ვიბრძოლოთ სოციალიზმის სრული განხორციელებისათვის, და აქ ქალისათვის მუშაობის უდიდესი ასპარეზი იშლება. ჩვენ ახლა

სერიოზულად ვემზადებით ნიადაგის გასაწმენდად სოციალისტური მშენებლობისათვის, ხოლო თვით სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა მხოლოდ მაშინ დაიწყება, როცა ჩვენ, მივაღწევთ რა ქალის სრულ თანასწორობას, შევუდგებით ახალ მუშაობას ამ წვრილმანი, დამაჩლუნგებელი, არამწარმოებლური მუშაობისაგან განთავისუფლებულ ქალთან ერთად. ეს სამუშაო გვეყოფა მრავალი, მრავალი წლის განმავლობაში.

ეს მუშაობა ვერ მოგვცემს სწრაფ შედეგებს და ვერ ახდენს ბრწყინვალე ეფექტს.

ჩვენ ვქმნით სანიმუშო დაწესებულებებს, სასადილოებს, ბაგებს, რომლებიც გაათავისუფლებენ ქალს საოჯახო მეურნეობიდან. და სწორედ აქ ქალს ყველაზე მეტად აწვება მუშაობა ყველა ამ დაწესებულების მოწყობისათვის. უნდა ითქვას, რომ ამჟამად რუსეთში ძალიან ცოტაა ისეთი დაწესებულებები, რომლებიც დახმარებას გაუწევდნენ ქალს თავი დააღწიოს შინაური მონის ამ მდგომარეობას. მათი რაოდენობა უმნიშვნელოა, და ის პირობები, რომლებშიც ახლა საბჭოთა რესპუბლიკაა ჩაყენებული, — სამხედრო, სასურსათო პირობები, რომელთა შესახებაც დაწვრილებით გიამბეს აქ ამხანაგებმა, — ხელს გვიშლიან ამ მუშაობაში. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ეს დაწესებულებები, რომლებიც ათავისუფლებენ ქალს შინაური მონის მდგომარეობიდან, ჩნდებიან ყველგან, სადაც კი ოდნავი შესაძლებლობა მაინც არის საამისოდ.

ჩვენ ვამბობთ, რომ მუშათა განთავისუფლება თვით მუშების საქმე უნდა იყოს, და სწორედ ასევე მუშა-ქალების განთავისუფლება თვით მუშა-ქალების საქმე უნდა იყოს. თვითონ მუშა-ქალები უნდა ზრუნავდნენ ასეთ დაწესებულებათა გამრავლებაზე, და ქალის ეს საქმიანობა გამოიწვევს მისი იმ ძველი მდგომარეობის სრულ გარდაქმნას, რომელიც მას კაპიტალისტურ საზოგადოებაში ჰქონდა.

პოლიტიკისათვის რომ ხელი მოგეკიდა, ძველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში საჭირო იყო საგანგებო მომზადება,

და ამიტომ ქალების მონაწილეობა პოლიტიკაში, თვით ყველაზე მოწინავე და თავისუფალ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი უმნიშვნელო იყო. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკა ხელმისაწვდომი გავხადოთ ყოველი მშრომელი ქალისათვის. იმ მომენტიდან, რაც მოისპო მიწისა და ფაბრიკების კერძო საკუთრება და დამხობილ იქნა მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება, პოლიტიკის ამოცანები მშრომელი მასისა და მშრომელი ქალებისათვის მარტივი, ცხადი და ყველასთვის სავსებით გასაგები ხდება. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ქალი ისეთ უუფლებო მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ მამაკაცთან შედარებით მისი მონაწილეობა პოლიტიკაში გამოიხატება უმნიშვნელო წილით. ეს მდგომარეობა რომ შეიცვალოს, ამისათვის საჭიროა არსებობდეს მშრომელთა ხელისუფლება, და მაშინ პოლიტიკის მთავარი ამოცანები იქნება ყველაფერი ის, რაც უშუალოდ ეხება თვით მშრომელთა ბედს.

და აქ აუცილებლად საჭიროა არა მარტო პარტიული და შეგნებული, არამედ უპარტიო და ყველაზე უფრო შეუგნებელი მუშა-ქალის მონაწილეობაც. აქ მუშა-ქალს საბჭოთა ხელისუფლება მოქმედების ფართო სარბიელს უხსნის.

ჩვენ დიდ სიძნელეებს განვიცდიდით იმ მტრული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ლაშქრობას აწყობენ საბჭოთა რუსეთზე. ჩვენ ბრძოლა გვიჭირდა სამხედრო სფეროშიც იმ ძალებთან, რომლებიც ომს აჩაღებენ მშრომელთა ხელისუფლების წინააღმდეგ, და სასურსათო სფეროშიც სპეკულანტების წინააღმდეგ, იმიტომ რომ საკმაოდ დიდი არ არის იმ ადამიანთა რიცხვი, იმ მშრომელთა რიცხვი, რომლებიც მთელი არსებით გაგვიწევდნენ დახმარებას თავიანთი საკუთარი შრომით. და აქაც საბჭოთა ხელისუფლება ყველაზე მეტად აფასებს დახმარებას უპარტიო მუშა-ქალთა ფართო მასის მხრივ. დაე იცოდნენ მათ, რომ, შესაძლოა, ძველ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პოლიტიკური მოღვაწეობისათვის საჭირო იყო რთული მომზადება, და ეს ქალისათვის მიუწვდომელი იყო. მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკის პოლიტიკური

მოღვაწეობა მთავარ ამოცანად ისახავს ბრძოლას მემამულეებთან, კაპიტალისტებთან, ბრძოლას ექსპლოატაციის მოსასპობად და ამიტომ საბჭოთა რესპუბლიკაში მუშა-ქალს ეხსნება ისეთი პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზი, სადაც ქალი თავისი ორგანიზატორული უნარით დახმარებას გაუწევს მამაკაცს.

ჩვენ გვესაჭიროება არა მარტო ორგანიზატორული მუშაობა მილიონიანი მასშტაბით. ჩვენ გვესაჭიროება ორგანიზატორული მუშაობა სულ მცირე მასშტაბითაც, რაც შრომის საშუალებას აძლევს ქალებსაც. ქალს შეუძლია იშრომოს სამხედრო პირობებშიც, როცა საქმე ეხება არმიის დახმარებას, აგიტაციას მასში. ქალმა ყველაფერ ამაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს, რათა წითელი არმია ხედავდეს, რომ მასზე ზრუნავენ, მისთვის თავს იწუხებენ. ქალს შეუძლია იშრომოს აგრეთვე სასურსათო სფეროშიც — პროდუქტების განაწილებასა და მასობრივი კვების გაუმჯობესებაზე, იმ სასადილოების გამრავლებაზე, რომლებიც ასე ფართოდ არის ახლა დაყენებული პეტროგრადში.

აი რა სფეროებში პოულობს მუშა-ქალების საქმიანობა ნამდვილ ორგანიზატორულ მნიშვნელობას. ქალის მონაწილეობა საჭიროა დიდ საცდელ მეურნეობათა დაყენებაშიც, მათ მეთვალყურეობაშიც, რათა ეს საქმე ჩვენში არ დარჩეს ერთეულების საქმედ. ეს საქმე განუხორციელებელია, თუ მასში მონაწილეობა არ მიიღო მშრომელი ქალების დიდმა რაოდენობამ. და მუშა-ქალი სავსებით გამოსადეგია ამ საქმისათვის როგორც პროდუქტების განაწილების მეთვალყურეობის, ისე პროდუქტების შოვნის გაადვილების აზრითაც. ეს ამოცანა სავსებით შეეფერება უპარტიო მუშა-ქალის ძალღონეს და ამასთანავე ამ ამოცანის განხორციელება ყველაზე უფრო შეუწყობს ხელს სოციალისტური საზოგადოების განმტკიცებას.

აუქმებს რა მიწის კერძო საკუთრებას და თითქმის მთლიანად აუქმებს რა ფაბრიკებისა და ქარხნების კერძო საკუთრებასაც, საბჭოთა ხელისუფლება მიისწრაფვის იმისკენ, რომ

ყველა მშრომელი, არა მარტო პარტიულები, არამედ უპარტიოებიც, და არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც, იღებდნენ მონაწილეობას ამ სამეურნეო მშენებლობაში. ეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული საქმე მხოლოდ მაშინ შეიძლება წინ წავწიოთ, როცა მთელ რუსეთში ასეულ ქალთა ნაცვლად მასში მონაწილეობას მიიღებს მრავალი მილიონი ქალი. მაშინ სოციალისტური მშენებლობის საქმე, დარწმუნებული ვართ, განმტკიცდება. მაშინ მშრომელები დაამტკიცებენ, რომ მათ ცხოვრება და მეურნეობის წარმართვა შეუძლიათ უმემამულეებოდ და უკაპიტალისტებოდაც. მაშინ სოციალისტური მშენებლობა რუსეთში ისე მტკიცედ იქნება დაყენებული, რომ საბჭოთა რესპუბლიკისათვის საშიში აღარ იქნებიან არავითარი გარეშე მტრები სხვა ქვეყნებში და რუსეთის შიგნით.

«პრავდა» № 213,
1919 წ. 25 სექტემბერი

იბეჭდება ბროშურის — ვ. ი. ლენინი.
«სიტყვა მუშა-ქალთა ყრილობაზე»,
მოსკოვი, 1919, — ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია გაზეთ
«პრავდის» ტექსტთან

# პეტროგრადის მუშების მაგალითი

გაზეთებმა უკვე გვაცნობეს, რომ პეტროგრადის მუშებმა დაიწყეს გაძლიერებული მობილიზაცია და საუკეთესო მუშაკების გაგზავნა სამხრეთის ფრონტზე.

დენიკინის მიერ კურსკის აღება და ორიოლზე გამოლაშქრება სავსებით გასაგებს ხდის პეტროგრადის პროლეტარიატის ენერგიის ამ აღმავლობას. მის მაგალითს უნდა მიბაძონ სხვა სამრეწველო ცენტრების მუშებმაც.

დენიკინელებს იმედი აქვთ, რომ პანიკას გამოიწვევენ ჩვენს რიგებში და გვაიძულებენ ვიფიქროთ მხოლოდ თავდაცვაზე, მხოლოდ ამ მიმართულებაზე. უცხოეთის რადიოცნობები ცხადყოფენ, თუ რა გულმოდგინებით ეხმარებიან დენიკინს საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტები ამაშიც, როგორ ეხმარებიან ისინი დენიკინს შეიარაღებით და ასეულ მილიონობით ფულითაც. უცხოეთის რადიოები ყუურებს უჭედავენ მთელ მსოფლიოს, გზა მოსკოვისაკენ გახსნილიაო. ასე სურთ კაპიტალისტებს ჩვენი დაშინება.

მაგრამ ისინი ვერ შეძლებენ ჩვენს დაშინებას. ჩვენი ჯარები განლაგებულია მოფიქრებული გეგმის მიხედვით, რომელიც მტკიცედ ტარდება. ჩვენი შეტევა მტრის ძალების მთავარ წყაროზე განუხრელად გრძელდება. ამ დღეებში მიღწეული გამარჯვებანი, — 20 ქვემეხის ხელში ჩაგდება ბოგუჩარის რაიონში, სტანიცა ვეშენსკაიას აღება, — გვიჩვენებს ჩვენი ჯარების წარმატებით წინსვლას კაზაკობის ცენტრისაკენ, კაზაკობისა, რომელიც მარტოდმარტო აძლევდა და

აძლევს დენიკინს სერიოზული ძალის შექმნის შესაძლებლობას. დენიკინი გატეხილი იქნება, როგორც გატეხილია კოლჩაკი. ჩვენ ვერ შეგვაშინებენ, და ჩვენ საქმეს საბოლოო გამარჯვებამდე მივიყვანთ.

კურსკის აღება და მტრის გამოლაშქრება ორიოლზე ჩვენ წინაშე აყენებს ამოცანას: მივაშველოთ დამატებითი ძალები, რათა უკუვაგდოთ აქ მტერი. და პეტროგრადელმა მუშებმაც თავისი მაგალითით ცხადყვეს, რომ მათ სწორად გაითვალისწინეს ამოცანა. ჩვენ არ ვფარავთ საშიშროებას, ოდნავადაც არ ვამცირებთ მას და ვამბობთ: პეტროგრადის მაგალითი ამტკიცებს, რომ დამატებითი ძალები ჩვენ მოგვეპოვება. ორიოლზე შემოტევა რომ მოვიგერიოთ, კურსკისა და ხარკოვისაკენ შეტევაზე რომ გადავიდეთ, საჭიროა, იმას გარდა, რაც ჩვენს განკარგულებაშია, მობილიზაცია გავუკეთოთ საუკეთესო მუშაკებს პროლეტარიატის რიგებიდან. კურსკის დაცემით შექმნილი საშიშროება სერიოზულია. მოსკოვთან ასე ახლოს მტერი ჯერ არასოდეს არ ყოფილა. მაგრამ ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, დამატებით ჯარის წინანდელი ძალებისა, ჩვენ ვძრავთ მოწინავე მუშების ახალ რაზმებს, რომელთაც შეუძლიათ გარდატეხა მოახდინონ უკანდახეული ნაწილების განწყობილებაში.

სამხრეთის ჯარებში თვალსაჩინო ადგილი ეკავა არმიის რიგებში დაბრუნებულ დეზერტირს. უმეტეს შემთხვევაში ის ნებაყოფლობით დაბრუნდა იმ აგიტაციის ზეგავლენით, რომელიც მას განუმარტავდა თავის მოვალეობას, განუმარტავდა მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების აღდგენის საფრთხის მთელ სერიოზულობას. მაგრამ დეზერტირმა, აღარ ეყო რა სიმტკიცე, ვერ გაუძლო და ძალიან ხშირად ბრძოლაში ჩაუბმელად იწყო უკან დახევა.

აი რატომ იღებს პირველხარისხოვან მნიშვნელობას არმიისადმი დახმარება პროლეტარული ძალების ახალი ნაკადით. მერყევი ელემენტები განმტკიცდებიან, განწყობილება ამაღლდება და გარდატეხას მივაღწევთ. პროლეტარიატი, როგორც

ეს მუდამ ხდებოდა ჩვენს რევოლუციაში, დაეხმარება და წარმართავს მშრომელი მოსახლეობის მერყევ ფენებს.

პეტროგრადში მუშებს უკვე დიდი ხანია უხდებათ კიდევ უფრო მეტი სიძნელეების გადატანა, ვიდრე სხვა სამრეწველო ცენტრების მუშებს. შიმშილიც, სამხედრო საშიშროებაც, საუკეთესო მუშების წამოწევაც საბჭოთა თანამდებობებზე მთელ რუსეთში — ყოველივე ეს პიტერის პროლეტარიატს უფრო მეტ ტვირთად აწვებოდა, ვიდრე სხვა ადგილების პროლეტარიატს.

და მაინც ჩვენ ვხედავთ, რომ პიტერის მუშებში არავითარი სასოწარკვეთილება, ძალების არავითარი მოდუნება არ არის. პირიქით. ისინი გამობრძმედილი არიან. მათ ახალი ძალები მოიკრიბეს. ისინი ახალ მებრძოლებს აყენებენ. ისინი ჩინებულად ასრულებენ მოწინავე რაზმის ამოცანას, გვეხმარებიან და ხელს გვიწყობენ რა იქ, სადაც ეს ყველაზე უფრო საჭიროა.

როცა ასეთი ახალი ძალები მიეშურებიან ჩვენი არმიის შემდრკალი ნაწილების გასამაგრებლად, მაშინ მშრომელი მასები, გლეხი-ჯარისკაცები, ახალ ბელადებს იძენენ თავიანთი წრიდან, უფრო განვითარებულ, უფრო შეგნებულ, სულიერად უფრო მტკიცე იმავე მშრომელთა წრიდან. აი ჩვენს გლეხურ არმიაში ასეთი დახმარება რატომ გვაძლევს გადამწყვეტ უპირატესობას მტერზე, ვინაიდან მტერი მისი გლეხური არმიის «დასახმარებლად» იყენებს მხოლოდ მემამულეთა ნაშიერთ, ჩვენ კი ვიცით, რომ ასეთმა «დახმარებამ» დაღუპა კოლჩაკი, და ეს დაღუპავს დენიკინსაც.

ამხანაგო მუშებო! ხელი მოვკიდოთ ყველამ ახალ სამუშაოს პეტროგრადელი ამხანაგების მაგალითის მსგავსად! მეტი ძალები ჯარში სამუშაოდ, მეტი თაოსნობა და გაბედულება, მეტი შეჯიბრება, რათა გავუთანაბრდეთ პეტროგრადელებს, და გამარჯვება მშრომელებს დარჩებათ, მემამულური და კაპიტალისტური კონტრრევოლუცია განადგურებულ იქნება.

ნ. ლენინი

P. S. * ეს-არის გავიგე, რომ მოსკოვიდან ფრონტზე წავიდნენ რამდენიმე ათეული უერთგულესი ამხანაგები. პიტერს მიჰყვა მოსკოვი. მოსკოვს დანარჩენებიც უნდა მიჰყვნენ.

1919 წლის 3 ოქტომბერი. ნ. ლ.

«პრავდა» № 221, 1919 წ.
4 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

---

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე ც.

# პასუხი ამერიკული გაზეთის «THE CHICAGO DAILY NEWS»-ის კორესპონდენტის კითხვებზე

5. X. 1919.

გთხოვთ მომიტევოთ, რომ ინგლისური ენა კარგად არ ვიცი. მოხარული ვარ გიპასუხოთ თქვენს კითხვებზე:

1. როგორია საბჭოთა მთავრობის ახლანდელი პოლიტიკა ზავის საკითხში?

2. როგორია ზოგადად საბჭოთა რუსეთის მიერ წამოყენებული საზავო პირობები?

ჩვენი საზავო პოლიტიკა წინანდელი დარჩა, ე. ი. ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ბულიტის[13] საზავო წინადადება. ჩვენ არასოდეს არ შეგვიცვლია ჩვენი საზავო პირობები (მე-2 კითხვა), რომლებიც ჩამოყალიბებულია ბ-ნ ბულიტთან ერთად.

ბ-ნ ბულიტის ჩამოსვლამდე ჩვენ მრავალჯერ ოფიციალურად შევთავაზეთ ზავი ანტანტას.

3. მზად არის თუ არა საბჭოთა მთავრობა იკისროს იმის გარანტია, რომ აბსოლუტურად არ ჩაერევა უცხოეთის სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში?

ჩვენ მზადა ვართ ვიკისროთ ასეთი გარანტია.

4. მზად არის თუ არა საბჭოთა მთავრობა დაამტკიცოს, რომ ის წარმოადგენს რუსი ხალხის უმრავლესობას?

დიახ, საბჭოთა მთავრობა ყველაზე უფრო დემოკრატიულია მსოფლიოს ყველა მთავრობასთან შედარებით. ჩვენ მზადა ვართ დავამტკიცოთ ეს.

5. როგორია საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამერიკასთან ეკონომიური შეთანხმების მხრივ?

ჩვენ გადაჭრით მხარს ვუჭერთ ეკონომიურ შეთანხმებას ამერიკასთან,—ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით კი ამერიკასთან.

თუ საჭიროა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სრული ტექსტი ჩვენი საზავო პირობებისა, რომლებიც ჩამოაყალიბა ჩვენმა მთავრობამ ბ-ნ ბულიტთან ერთად.

ვლ. ულიანოვი (ნ. ლენინი)

დაიბეჭდა 1919 წ.
27 ოქტომბერს გაზეთში
«The Chicago Daily News»
№ 257

რუსულ ენაზე გამოქვეყნდა
1942 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

# სალამი იტალიელ, ფრანგ და გერმანელ კომუნისტებს

უჩვეულოდ მცირეა ის ცნობები, რომელთაც საზღვარგარეთიდან ვღებულობთ. იმპერიალისტურ მხეცთა ბლოკადა გაჩაღებულია, მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა ძალმომრეობა თავს გვატყდება ექსპლოატატორების ძალაუფლების აღდგენისათვის. და რუსეთისა და მთელი მსოფლიოს კაპიტალისტების მთელი ეს მხეცური გაბოროტება იფარება, რასაკვირველია, ლაყბობით «დემოკრატიის» დიდი მნიშვნელობის შესახებ! ექსპლოატატორების ბანაკი არ ღალატობს თავის თავს: ბურჟუაზიულ დემოკრატიას ის ასაღებს «დემოკრატიად» საერთოდ, და ყველა ფილისტერი, ყველა წვრილი ბურჟუა, ყველანი თვით ბატონ ფრიდრიხ ადლერის, კარლ კაუცკისა და გერმანიის «დამოუკიდებელი» (ესე იგი რევოლუციური პროლეტარიატისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ წვრილბურჟუაზიულ ცრურწმენათაგან დამოკიდებული) სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადთა უმრავლესობის ჩათვლით ბანს აძლევენ ამ ბანაკს.

მაგრამ რაც უფრო იშვიათად ვღებულობთ ცნობებს რუსეთში საზღვარგარეთიდან, მით უფრო მეტი სიხარულით ვადევნებთ თვალყურს კომუნიზმის უდიდეს, საყოველთაო წარმატებებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მუშებში, წარმატებებს ამ მასების ჩამოშორებაში დამპალ და მოღალატე ბელადებისაგან, რომლებიც, შეიდემანით დაწყებული კაუცკამდე, ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ.

იტალიის პარტიის შესახებ ჩვენ მხოლოდ ის გავიგეთ, რომ მისმა კონგრესმა დიდი უმრავლესობით გადაწყვიტა შეუერთდეს III ინტერნაციონალს და მიიღო პროლეტარიატის დიქტატურის პროგრამა[14]. ამრიგად, იტალიის სოციალისტური პარტია შეუერთდა კომუნიზმს საქმით, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მან შეინარჩუნა ძველი სახელწოდება. მხურვალე სალამი იტალიელ მუშებსა და მათ პარტიას!

საფრანგეთის შესახებ ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ მარტო პარიზში უკვე ორი კომუნისტური გაზეთია: «ინტერნაციონალი» რეიმონდ პერიკის რედაქტორობით და «აკრძალული სახელწოდება» ჟორჟ ანკეტილის რედაქტორობით. III ინტერნაციონალს მიემხრნენ უკვე მთელი რიგი პროლეტარული ორგანიზაციები. მუშათა მასების თანაგრძნობა უეჭველად კომუნიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა.

გერმანელი კომუნისტების შესახებ ჩვენ მხოლოდ ის გავიგეთ, რომ მთელ რიგ ქალაქებში არსებობს კომუნისტური პრესა. ეს გაზეთები ხშირად ატარებენ სახელწოდებას «წითელი დროშა». ბერლინის «წითელი დროშა»[15] არალეგალურად გამოდის და გმირულ ბრძოლას აწარმოებს ჯალათ შეიდემან-ნოსკეებთან, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ისევე ლაქიობენ ბურჟუაზიის წინაშე, როგორც «დამოუკიდებლები» ლაქიობენ მის წინაშე სიტყვებით და თავიანთი «იდეური» (წვრილბურჟუაზიულ-იდეური) პროპაგანდით.

კომუნისტთა ბერლინის გაზეთის — «წითელი დროშის» — გმირული ბრძოლა დიდ აღფრთოვანებას იწვევს. როგორც იქნა გვყავს გერმანიაში პატიოსანი და გულწრფელი სოციალისტები, რომლებიც მტკიცე და შეუდრეკელი დარჩნენ მიუხედავად ყოველგვარი დევნისა, მიუხედავად საუკეთესო ბელადების მუხანათური მკვლელობისა! როგორც იქნა გერმანიაში გვყავს მუშა-კომუნისტები, რომლებიც ეწევიან გმირულ ბრძოლას, რაც ღირსია საქმით «რევოლუციურის» სახელწოდებისა! როგორც იქნა პროლეტარული მასის წიაღიდან გერმანიაში წარმოიშვა ისეთი ძალა, რომლისთვისაც

სიტყვები «პროლეტარული რევოლუციის» შესახებ ს ი მ ა რ თ ლ ე დ იქცა!

სალამი გერმანელ კომუნისტებს!

შეიდემანები და კაუცკები, რენერები და ფრიდრიხ ადლერები, რა დიდი განსხვავებაც უნდა იყოს ამ ვაჟბატონებს შორის მათი პირადი პატიოსნების მხრივ, ერთნაირად წვრილი ბურჟუები, სოციალიზმის უაღრესად სამარცხვინო მოღალატენი და გამცემლები, ბურჟუაზიის მომხრეები აღმოჩნდნენ, რადგან ყველა ისინი 1912 წელს წერდნენ და ხელს აწერდნენ ბაზელის მანიფესტს მოახლოებული იმპერიალისტური ომის შესახებ, მაშინ ყველა ისინი ლაპარაკობდნენ «პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ რევოლუციაზე», ხოლო საქმით ყველა ისინი წვრილბურჟუაზიული დემოკრატები, მეშჩანურ-რესპუბლიკური, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ილუზიების რაინდები, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ხელშემწყობნი აღმოჩნდნენ.

გააფთრებულმა დევნამ, რაც თავს დაატყდათ გერმანელ კომუნისტებს, გამოაწრთო ისინი. თუ ახლა გერმანელი კომუნისტები რამდენადმე დაქსაქსულნი არიან, ეს მოწმობს მათი მოძრაობის სიფართოვესა და მასობრივ ხასიათს, კომუნიზმის ზრდის სიძლიერეს მუშათა მასების სიღრმიდან. დაქსაქსულობა გარდუვალია მოძრაობისთვის, რომელსაც ასე გააფთრებით დევნიან კონტრრევოლუციური ბურჟუები და მათი მსახური შეიდემან-ნოსკეები და რომელიც იძულებულია არალეგალურად ჩამოყალიბდეს.

ბუნებრივია აგრეთვე ისიც, რომ მოძრაობა, რომელიც ასე სწრაფად იზრდება, ასეთ სასტიკ დევნას განიცდის, წარმოშობს საკმაოდ მწვავე უთანხმოებას. ამაში საშიში არაფერია. ეს ზრდის ავადმყოფობაა.

დაე შეიდემანები და კაუცკები ბოროტად ხარობდნენ თავიანთ გაზეთებში «**Vorwärts**»-სა * და «**Freiheit**»-ში[16] კომუნისტებს შორის არსებული უთანხმოების გამო. დამპალი მეშჩანობის ამ გმირებს სხვა არაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა,

* — «წინ». რ ე დ.

რომ საკუთარი სიდამპლე დაჰფარონ თავის ქნევით კომუ-
ნისტების მიმართ. მაგრამ თუ საქმის არსებით მხარეზე ვილა-
პარაკებთ, მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ ახლა მაინც არ დაი-
ნახონ სიმართლე. და ეს სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ
შეიდემანელებმა და კაუცკელებმა სამარცხვინოდ გასცეს
გერმანიის პროლეტარული რევოლუცია, უღალატეს
მას, ფაქტიურად კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის
მხარეზე აღმოჩნდნენ. ჰენრიხ ლაუფენბერგმა თავის ჩინებულ
ბროშურაში «პირველ და მეორე რევოლუციას შორის» შესა-
ნიშნავი სიძლიერით, თვალსაჩინოდ, ნათლად, დამაჯერებლად
ცხადყო და დაამტკიცა ეს. უთანხმოება შეიდემანელებსა და
კაუცკელებს შიგნით — ეს არის უთანხმოება გახრწნილი, მო-
მაკვდავი პარტიებისა, რომელთაც შერჩენიათ უმასო ბელა-
დები, უარმიო გენერლები. მასა ტოვებს შეიდემანელებს და
კაუცკელების მხარეზე გადადის მათი მემარცხენე ფრთის
გულისთვის (ეს ჩანს მასობრივი კრებების ყოველი ანგარიში-
დან), ეს მემარცხენე ფრთა კი აერთიანებს — უიდეოდ, ლაჩ-
რულად — წვრილი ბურჟუაზიის ძველ ცრურწმენას პარლა-
მენტური დემოკრატიის შესახებ პროლეტარული რევო-
ლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოთა ხელის-
უფლების კომუნისტურ აღიარებასთან.

«დამოუკიდებლების» დამპალი ბელადები ყოველივე ამას
აღიარებენ სიტყვით, მასების ზეგავლენით, საქმით კი
რჩებიან წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებად, ლუი ბლანისა
და 1848 წლის სხვა რეგვნების ტიპის «სოციალისტებად»,
რომელთაც ასე დაუნდობლად დასცინოდა და სამარცხვინო
ბოძზე აკრავდა მარქსი.

აი ეს უთანხმოება მართლაც შეურიგებელია. იმ მეშჩა-
ნებსა, რომლებიც, როგორც 1848 წლის მეშჩანები, ლოცუ-
ლობენ ბურჟუაზიულ «დემოკრატიაზე», ისე რომ არც კი
იცნობენ მის ბურჟუაზიულ ხასიათს, და პროლეტარულ რევო-
ლუციონერებს შორის შერიგება შეუძლებელია. ერთად მუ-
შაობა მათ არ შეუძლიათ. ჰააზეს და კაუცკის, ფრიდრიხ ად-
ლერს და ოტო ბაუერს შეუძლიათ რამდენიც უნდათ იმდენი

იწრიალონ და უამრავი ქაღალდი ჯღაბნონ, წარმოთქვან გრძელ-გრძელი სიტყვები — ისინი უარს ვერ იტყვიან იმ ფაქტზე, რომ საქმით ისინი ამყღავნებენ პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების სრულ გაუგებლობას, რომ საქმით ისინი მეშჩანური დემოკრატები, ლუი ბლანისა და ლედრიუ-როლენის მსგავსი «სოციალისტები» არიან, რომ საქმით ისინი საუკეთესო შემთხვევაში სათამაშო ტიკინები არიან ბურჟუაზიის ხელში, უარეს შემთხვევაში კი — მისი პირდაპირი დამქაშნი.

«დამოუკიდებლები», კაუცკელები, ავსტრიის სოციალ-დემოკრატები ერთიან პარტიად გამოიყურებიან; სინამდვილეში მათი პარტიის წევრთა მასა არ ეთანხმება ბელადებს ძირითადში, უმთავრესში, ყველაზე უფრო არსებითში. მასა პროლეტარულ რევოლუციურ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისთვის დაიწყებს მაშინვე, როგორც კი დადგება ახალი კრიზისის მომენტი, «ბელადები» კი მაშინაც, როგორც ახლაც, კონტრრევოლუციონერებად დარჩებიან. ორ სკამს შუა ჯდომა სიტყვით ძნელი არ არის, ჰილფერდინგიც გერმანიაში, ფრიდრიხ ადლერიც ავსტრიაში გვიჩვენებენ ამ კეთილშობილი ხელოვნების მაღალ ნიმუშებს.

მაგრამ რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში ის ადამიანები, რომლებიც გართული არიან შეურიგებლის შერიგებით, საპნის ბუშტები აღმოჩნდებიან. ეს დაგვანახვა 1848 წლის ყველა «სოციალისტმა» გმირმა, ეს დაგვანახვეს მათმა ღვიძლმა ძმებმა, მენშევიკებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა 1917 — 1919 წლების რუსეთში, ამას ცხადყოფს ბერნის ანუ ყვითელი II ინტერნაციონალის ყველა რაინდი.

უთანხმოება კომუნისტებს შორის სხვაგვარია. ძირითადი განსხვავება აქ შეიძლება ვერ დაინახოს მხოლოდ მან, ვისაც არ სურს დაინახოს. ეს არის უთანხმოება წარმოუდგენლად სწრაფად გაზრდილი მასობრივი მოძრაობის წარმომადგენლებს შორის. ეს არის უთანხმოება ერთ საერთო, ქვასავით მტკიცე, ძირითად ბაზაზე: პროლეტარული რევოლუციის აღიარების, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ილუზიებთან და

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარლამენტარიზმთან ბრძოლის, პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების აღიარების ბაზაზე.

ასეთ ბაზაზე წარმოშობილი უთანხმოება საშიში არ არის. ეს ზრდის ავადმყოფობაა და არა სიბერის მიხრწნილობა. ამგვარი უთანხმოება არა ერთხელ განუცდია ბოლშევიზმსაც, ასეთი უთანხმოების გამო მას განუცდია მცირე გათიშვებიც კი, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, ძალაუფლების დაპყრობისა და საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის მომენტში, ბოლშევიზმი აღმოჩნდა მთლიანი, მან თავისკენ მიიზიდა რაც კი რამ საუკეთესო იყო მასთან ახლო მდგომი სოციალისტური აზროვნების მიმდინარეობებში, მან თავის გარშემო გააერთიანა პროლეტარიატის **მთელი** ავანგარდი და მშრომელთა **უდიდესი უმრავლესობა.**

ასე მოუვათ გერმანელ კომუნისტებსაც.

შეიდემანელები და კაუცკელები ჯერ კიდევ განაგრძობენ ლაპარაკს «დემოკრატიაზე» საერთოდ, ისინი ჯერ კიდევ 1848 წლის იდეებით იკვებებიან, ისინი სიტყვით მარქსისტები არიან, საქმით კი — ლუი ბლანები. ისინი ლაპარაკობენ «უმრავლესობაზე» და ფიქრობენ, რომ საარჩევნო ბიულეტენთა თანასწორობა ნიშნავს ექსპლოატირებულისა და ექსპლოატატორის, მუშისა და კაპიტალისტის, ღარიბისა და მდიდრის, მშიერისა და მაძღრის თანასწორობას.

შეიდემანელებს და კაუცკელებს ისე გამოუდით, თითქოს კეთილ, პატიოსან, კეთილშობილ, მშვიდობისმოყვარე კაპიტალისტებს არასდროს **არ** გამოუყენებიათ სიმდიდრის ძალა, ფულის ძალა, კაპიტალის ბატონობა, ბიუროკრატიისა და სამხედრო დიქტატურის მხრივ ჩაგვრა და საქმეს წყვეტდნენ ჭეშმარიტად «უმრავლესობის მიხედვით»!

შეიდემანელები და კაუცკელები (ნაწილობრივ თვალთმაქცობის, ნაწილობრივ გონების უკიდურესი სიჩლუნგის გამო, რაც გამოწვეულია ათეული წლობით რეფორმისტული მუშაობით) **აფერადებენ** ბურჟუაზიულ დემოკრატიას, ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმს, ბურჟუაზიულ რესპუბლიკას და

საქმეს ისე გვიხატავენ, თითქოს კაპიტალისტები სახელმწიფოებრივ საქმეებს უმრავლესობის ნება-სურვილით და არა კაპიტალის ნება-სურვილით, მოტყუების, ჩაგვრის, ღარიბების მიმართ მდიდრების ძალმომრეობის საშუალებებით წყვეტენ.

შეიდემანელები და კაუცკელები მზად არიან «აღიარონ» პროლეტარული რევოლუცია, მაგრამ მხოლოდ ისე, რომ ჯერ კაპიტალისა და სიმდიდრის ძალის, ბატონობის, ჩაგვრის, პრივილეგიების შენარჩუნებით ჩატარდეს უმრავლესობის ხმისმიცემა (სახელმწიფო ხელისუფლების ბურჟუაზიული აპარატის დროს, რომელიც არჩევნებს ახდენს) «რევოლუციის სასარგებლოდ»!! ძნელი წარმოსადგენია მეშჩანური სიჩლუნგის მთელი ის უფსკრული, რომელიც თავს იჩენს ასეთი შეხედულებისას, — კაპიტალისტებისადმი, ბურჟუაზიისადმი, გენერლებისადმი, სახელმწიფო ხელისუფლების ბურჟუაზიული აპარატისადმი მეშჩანური მიმნდობლობის (**Vertrauensduselei**) მთელი უფსკრული.

სინამდვილეში ყოველთვის სწორედ ბურჟუაზია თვალთმაქცობდა, «დემოკრატიას» უწოდებდა რა ფორმალურ თანასწორობას, საქმით კი ძალმომრეობას ხმარობდა ღარიბთა, მშრომელთა, წვრილ გლეხთა და მუშათა მიმართ უთვალავი ტყუილის, ჩაგვრის და სხვათა ფანდებით. იმპერიალისტურმა ომმა (რომელსაც სამარცხვინოდ აფერადებდნენ შეიდემანები და კაუცკები) გამოააშკარავა ეს მილიონობით ადამიანებისთვის. პროლეტარიატის დიქტატურა ერთადერთი საშუალებაა მშრომელთა დასაცავად კაპიტალის მხრივ ჩაგვრისაგან, ბურჟუაზიის სამხედრო დიქტატურის ძალმომრეობისაგან, იმპერიალისტური ომებისაგან. პროლეტარიატის დიქტატურა ერთადერთი ნაბიჯია თანასწორობისა და დემოკრატიისაკენ საქმით, არა ქაღალდზე, არამედ ცხოვრებაში, არა პოლიტიკური ფრაზით, არამედ ეკონომიურ სინამდვილეში.

ვერ გაიგეს რა ეს, შეიდემანები და კაუცკები სოციალიზმის საზიზღარი გამცემლები და ბურჟუაზიის იდეების დამცველები აღმოჩნდნენ.

* * *

კაუცკური (ანუ «დამოუკიდებელი») პარტია იღუპება და გარდუვალად, მალე, დაიღუპება და დაიშლება კონტრრევოლუციურ «ბელადთა» და პარტიის მასობრივად აღებულ რევოლუციურ წევრთა შორის უთანხმოების გამო.

კომუნისტური პარტია განმტკიცდება და გამოიწრთობა სწორედ ისეთი (არსებითი) უთანხმოების განცდით, რომელსაც ბოლშევიზმიც განიცდიდა.

უთანხმოება გერმანელ კომუნისტებს შორის, რამდენადაც შემიძლია განვსაჯო, ამოიწურება საკითხით «ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენების» (როგორც ბოლშევიკები ამბობდნენ 1910 — 1913 წლებში), ბურჟუაზიული პარლამენტის, რეაქციული პროფესიული კავშირების გამოყენების, შეიდემანელებისა და კაუცკელების მიერ დამახინჯებული «საბჭოების შესახებ კანონის» (**Betriebsratgesetz**) გამოყენების, ასეთ დაწესებულებებში მონაწილეობის ან მათი ბოიკოტის გამოყენების შესახებ.

ჩვენ, რუსმა ბოლშევიკებმა, სწორედ ასეთი უთანხმოება განვიცადეთ 1906 და 1910 — 1912 წლებში. და ჩვენ აშკარად ვხედავთ, რომ ბევრ გერმანელ ახალგაზრდა კომუნისტს ემჩნევა რევოლუციური გამოცდილების უბრალო ნაკლებობა. მათ რომ ორიოდე ბურჟუაზიული რევოლუცია (1905 და 1917) განეცადათ, ისინი ასე გადაჭრით არ დაიწყებდნენ ბოიკოტის ქადაგებას, დროგამოშვებით არ გაიმეორებდნენ სინდიკალიზმის შეცდომებს.

ეს არის ზრდის ავადმყოფობა. ის გაივლის მოძრაობის ზრდისდამიხედვით, ეს მოძრაობა კი ჩინებულად იზრდება. და ამ ცხად შეცდომებს უნდა ვებრძოლოთ აშკარად, ვეცადოთ არ გავაზვიადოთ უთანხმოება, რადგან ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ახლო მომავალში ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავიდან აგვაშორებს ამ უთანხმოების უმეტეს ნაწილს.

როგორც მარქსისტული თეორიის თვალსაზრისით, ისე სამი რევოლუციის (1905 წ., 1917 წ. თებერვლის, 1917 წ. ოქტომბრის) გამოცდილების თვალსაზრისითაც მე უეჭველად შემცდარად მიმაჩნია უარის თქმა ბურჟუაზიულ პარლამენტში, რეაქციულ (ლეგინის, გომპერსისა და სხვ.) პროფესიულ კავშირში, შეიდემანელების მიერ დამახინჯებულ ურეაქციულეს მუშათა «საბჭოში» და სხვა ასეთებში მონაწილეობის მიღებაზე.

ხანდახან, ცალკეულ შემთხვევაში, ცალკეულ ქვეყანაში ბოიკოტი სწორია, როგორც სწორი იყო, მაგალითად, მეფის სათათბიროს ბოიკოტი ბოლშევიკების მიერ 1905 წელს. მაგრამ იგივე ბოლშევიკები მონაწილეობას იღებდნენ 1907 წლის გაცილებით უფრო რეაქციულ და პირდაპირ კონტრრევოლუციურ სათათბიროში. 1917 წელს ბოლშევიკებმა მონაწილეობა მიიღეს ბურჟუაზიული დამფუძნებელი კრების არჩევნებში, ხოლო 1918 წელს ჩვენ ის გავრეკეთ, რამაც მეშჩანი დემოკრატების, კაუცკების და სოციალიზმის სხვა რენეგატების შეძრწუნება გამოიწვია. ჩვენ ვმონაწილეობდით ურეაქციულეს, წმინდა მენშევიკურ პროფესიულ კავშირებში, რომლებიც (კონტრრევოლუციურობის მხრივ) არაფრით ჩამორჩებოდნენ ლეგინის უსაზიზღრეს და ურეაქციულეს პროფესიულ კავშირებს გერმანიაში. ჩვენ ახლაც კი, სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობის ორი წლის შემდეგ, ჯერ კიდევ არ დაგვიმთავრებია ბრძოლა მენშევიკური (ე. ი. შეიდემანური, კაუცკური, გომპერსული და სხვ.) პროფესიული კავშირების ნაშთებთან: იმდენად ხანგრძლივი პროცესია ეს! იმდენად დიდია წვრილბურჟუაზიულ იდეათა გავლენა ცალკეულ ადგილებსა და ცალკეულ პროფესიებში!

ჩვენ წინათ უმცირესობას წარმოვადგენდით საბჭოებში, უმცირესობას წარმოვადგენდით პროფესიულ კავშირებში, კოოპერატივებში. ხანგრძლივი შრომით, ხანგრძლივი ბრძოლით — პოლიტიკური ძალაუფლების **დაპყრობამდეც** და მისი დაპყრობის **შემდეგაც**—ჩვენ მოვიპოვეთ უმრავლე-

სობა ყ ვ ე ლ ა მუშათა ორგანიზაციაში, შემდეგ კი არა-მუშურ და წვრილ-გლეხურ ორგანიზაციებშიც.

მხოლოდ არამზადებს და რეგვნებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ პროლეტარიატმა ჯერ უმრავლესობა უნდა მოიპოვოს კენჭისყრაში, რომელიც ხდება ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს ზ ე გ ა ვ ლ ე ნ ი თ, დ ა ქ ი რ ა ვ ებ უ ლ ი მ ო ნ ო ბ ი ს ზ ე გ ა ვ ლ ე ნ ი თ და შემდეგ უნდა დაიპყროს ძალაუფლებაო. ეს სიჩლუნგის ან თვალთმაქცობის ძწვერვალია, ეს არის კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციის შეცვლა კენჭისყრით ძველი წყობილების, ძველი ხელისუფლების პირობებში.

პროლეტარიატი თავის კლასობრივ ბრძოლას აწარმოებს და კენჭისყრას კი არ ელოდება გაფიცვის დასაწყებად, — თუმცა გაფიცვა რომ სრული წარმატებით ჩატარდეს, საჭიროა თანაგრძნობა მშრომელთა უმრავლესობისა (და, მაშასადამე, მოსახლეობის უმრავლესობისაც). პროლეტარიატი თავის კლასობრივ ბრძოლას აწარმოებს, როცა ბურჟუაზიას ამხობს, და ამავე დროს არ ელოდება არავითარ წინასწარ (და ბურჟუაზიის მიერ ჩატარებულ, მისი ზეგავლენით მიმდინარე) კენჭისყრას, ამასთან პროლეტარიატმა მშვენივრად იცის, რომ მისი რევოლუციის წარმატებისათვის, ბურჟუაზიის წარმატებით დამხობისათვის **უეჭველად საჭიროა** თანაგრძნობა მშრომელთა უმრავლესობისა (მაშასადამე, მოსახლეობის უმრავლესობისაც).

პარლამენტის კრეტინები და თანამედროვე ლუი ბლანები აუცილებლად «მოითხოვენ» კენჭისყრას და აუცილებლად ბურჟუაზიის მიერ ჩატარებულ კენჭისყრას მშრომელთა უმრავლესობის ამ თანაგრძნობის გამოსარკვევად. მაგრამ ეს არის შეხედულება პედანტებისა, მკვდრებისა ან ხელმარჯვე თვალთმაქცებისა.

ცოცხალი ცხოვრება, ნამდვილ რევოლუციათა ისტორია ცხადყოფს, რომ ძალიან ხშირად «თანაგრძნობა მშრომელთა უმრავლესობისა» არ შეიძლება დამტკიცებულ იქნეს არავითარი კენჭისყრით (რომ არაფერი ვთქვათ იმ კენჭისყრათა შესახებ, რომელთაც ახდენენ ექსპლოატატორები,

ექსპლოატატორისა და ექსპლოატირებულის «თანასწორობის» პირობებში!). ძალიან ხშირად «თანაგრძნობა მშრომელთა უმრავლესობისა» მტკიცდება ა რ ა კენჭისყრით საერთოდ, არამედ ერთ-ერთი პარტიის ზრდით, ან მის წევრთა რიცხვის ზრდით საბჭოებში, ან წარმატებით ცალკეული გაფიცვისა, რომელმაც რატომღაც უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა, ან სამოქალაქო ომში მიღწეული წარმატებით და სხვ. და ა. შ.

ჩვენი რევოლუციის ისტორიამ ცხადყო, მაგალითად, რომ ურალისა და ციმბირის თვალუწვდენელი სივრცის მშრომელთა უმრავლესობის მხრივ პროლეტარიატის დიქტატურისადმი თანაგრძნობა გამოაშკარავდა არა კენჭისყრით, არამედ ურალსა და ციმბირში მეფის გენერლის — კოლჩაკის — ერთი წლის ბატონობის გამოცდილებით. ამასთან კოლჩაკის ბატონობაც დაიწყო შეიდემანელებისა და კაუცკელების (ჩვენებურად: «მენშევიკებისა» და «სოციალისტ-რევოლუციონერების», დამფუძნებელი კრების მომხრეების) «კოალიციის» ბატონობით, ისე როგორც ახლა გერმანიაში ბატონი ჰააზეები და შეიდემანები თავიანთი «კოალიციით» გზას უკაფავენ ფონ-ჰოლცისა და ლუდენდორფის ძალაუფლებას, ფარავენ, ალამაზებენ ამ ძალაუფლებას. ფრჩხილებში შევნიშნავთ: ჰააზესა და შეიდემანის კოალიცია მთავრობაში გათავდა, მაგრამ სოციალიზმის ამ მოღალატეთა პოლიტიკური კოალიცია დარჩა. დამამტკიცებელი საბუთი: კაუცკის წიგნები, შტამპფერის სტატიები «Vorwärts»-ში, კაუცკელებისა და შეიდემანელების სტატიები მათი «გაერთიანების» შესახებ და სხვ.

პროლეტარული რევოლუცია შეუძლებელია ისე, თუ მშრომელთა უდიდესი უმრავლესობა არ თანაუგრძნობს და მხარს არ უჭერს თავის ავანგარდს: პროლეტარიატს. მაგრამ ეს თანაგრძნობა, ეს მხარისდაჭერა ერთბაშად კი არ მიიღება, კენჭისყრით კი არ წყდება, არამედ მ ო ი პ ო ვ ე ბ ა ხანგრძლივი, ძნელი, მძიმე კლასობრივი ბრძოლით. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა მშრომელთა უმრავლესობის თანაგრძნობის, მხარისდაჭერის მ ო ს ა პ ო ვ ე ბ ლ ა დ პროლე-

ტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობით როდი მთავრდება. ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ ეს ბრძოლა გრძელდება, მხოლოდ სხვა ფორმებში. რუსეთის რევოლუციაში პროლეტარიატისათვის (მის ბრძოლაში თავისი დიქტატურისათვის) საქმის ვითარება განსაკუთრებით ხელსაყრელად მოეწყო, რადგან პროლეტარული რევოლუცია იმ დროს მოხდა, როცა მთელი ხალხი შეიარაღებული იყო და როცა მთელ გლეხობას სურდა მემამულეთა ხელისუფლების დამხობა, მთელი გლეხობა აღშფოთებული იყო სოციალ-გამცემლების, მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების «კაუცკური» პოლიტიკით.

მაგრამ რუსეთშიც კი, სადაც პროლეტარული რევოლუციის მომენტში საქმის ვითარება განსაკუთრებით ხელსაყრელად მოეწყო, სადაც ერთბაშად მიღწეულ იქნა მთელი პროლეტარიატის, მთელი არმიის, მთელი გლეხობის უდიდესი ერთიანობა, რუსეთშიც კი პროლეტარიატის ბრძოლა, — პროლეტარიატისა, რომელიც თავის დიქტატურას ახორციელებს, პროლეტარიატის ბრძოლა მშრომელთა უმრავლესობის თანაგრძნობის, მხარისდაჭერის მოსაპოვებლად მთელი თვეები და წლები გაგრძელდა. ორი წლის განმავლობაში ეს ბრძოლა თითქმის დამთავრდა, მაგრამ პროლეტარიატის სასარგებლოდ ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ჩვენ მხოლოდ ორ წელიწადში მოვიპოვეთ საბოლოოდ ველიკოროსიის, — ურალისა და ციმბირის ჩათვლით, — მუშათა და მშრომელ გლეხთა უდიდესი უმრავლესობის თანაგრძნობა და მხარისდაჭერა, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაგვიმთავრებია უკრაინის მშრომელ გლეხთა (ექსპლოატატორ-გლეხთაგან განსხვავებით) თანაგრძნობისა და მხარისდაჭერის მოპოვება. ჩვენ შეიძლება გაგვსრისოს (მაგრამ მაინც ვერ გაგვსრესს) ანტანტის სამხედრო ძლიერებამ, მაგრამ რუსეთის შიგნით ჩვენ ახლა ისე მტკიცედ თანაგვიგრძნობს მშრომელთა ისეთი უდიდესი უმრავლესობა, რომ მსოფლიოს ჯერ კიდევ არ უნახავს უფრო დემოკრატიული სახელმწიფო.

თუ ჩავუკვირდებით ძალაუფლებისათვის პროლეტარიატის ბრძოლის ამ რთულ, ძნელ, ხანგრძლივ ისტორიას, რომელიც მდიდარია განსაკუთრებული მრავალფეროვანი ფორმებით, მკვეთრ ცვლილებათა, გარდატეხათა, ბრძოლის ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლათა არაჩვეულებრივი სიუხვით, ცხადი გახდება იმათი შეცდომა, ვისაც სურს «აკრძალოს» მონაწილეობის მიღება ბურჟუაზიულ პარლამენტში, რეაქციულ პროფესიულ კავშირებში, მუშათა მამასახლისების მეფის ან შეიდემანის კომიტეტებში, ან საქარხნო საბჭოებში და სხვ. და ა. შ.. ეს შეცდომა გამოწვეულია მუშათა კლასიდან გამოსულ უაღრესად გულწრფელ, უდიდესი რწმენის მქონე, გმირ რევოლუციონერთა რევოლუციური გამოუცდელობით. ამიტომ კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი ათასჯერ მართალი იყვნენ, როდესაც 1919 წლის იანვარში ხედავდნენ ამ შეცდომას, მიუთითებდნენ მასზე, მაგრამ ამჯობინებდნენ იმ პროლეტარულ რევოლუციონერებთან დარჩენას, რომლებიც ცდებოდნენ არცთუ იმდენად მნიშვნელოვან საკითხში, ვიდრე სოციალიზმის იმ მოღალატეებთან, შეიდემანელებთან და კაუცკელებთან დარჩენას, რომლებიც არ ცდებოდნენ ბურჟუაზიულ პარლამენტში მონაწილეობის საკითხში, მაგრამ აღარ იყვნენ სოციალისტები, გახდნენ მეშჩანი დემოკრატები, ბურჟუაზიის დამქაშები.

მაგრამ შეცდომა მაინც შეცდომად რჩება და მისი გაკრიტიკება საჭიროა, საჭიროა ბრძოლა მის გამოსასწორებლად.

ბრძოლა სოციალიზმის მოღალატეებთან, შეიდემანელებთან და კაუცკელებთან, ულმობელი უნდა იყოს, მაგრამ ეს ბრძოლა უნდა წარმოებდეს არა იმ ხაზით, მონაწილეობა მივიღოთ ბურჟუაზიულ პარლამენტში, რეაქციულ პროფესიულ კავშირებში და სხვ., თუ წინააღმდეგი ვიყოთ მათში მონაწილეობისა. ეს უეჭველი შეცდომა იქნებოდა, და კიდევ უფრო მეტი შეცდომა იქნებოდა მარქსიზმის იდეებიდან და მისი პრაქტიკული ხაზიდან (მტკიცე, ცენტრალიზებული პოლიტიკური პარტია) გადახვევა სინდიკალიზმის იდეებისა და პრაქტიკისაკენ. უნდა ვისწრაფოდეთ იმისაკენ, რომ პარტია

მონაწილეობას იღებდეს ბურჟუაზიულ პარლამენტებშიც, რეაქციულ პროფესიულ კავშირებშიც, «საქარხნო საბჭოებშიც», რომლებიც შეიდემანის ყაიდაზეა შეკვეცილი და შესუსტებული, მონაწილეობას იღებდეს ყველგან, სადაც კი არიან მუშები, სადაც შეიძლება მუშებთან ლაპარაკი, მუშათა მასაზე გავლენის მოხდენა. საჭიროა რადაც უნდა დაჯდეს შევაერთოთ არალეგალური მუშაობა ლეგალურთან, სისტემატურად და განუხრელად განვახორციელოთ არალეგალური პარტიის, მისი მ უ შ ა თ ა ორგანიზაციების უსასტიკესი კონტროლი ლეგალური მუშაობის მიმართ. ეს იოლი საქმე როდია, — მაგრამ «იოლი» ამოცანები, ბრძოლის «იოლი» საშუალებები პროლეტარულ რევოლუციას საერთოდ არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს.

ეს ძნელი ამოცანა უნდა გადაწყდეს რადაც უნდა დაჯდეს. შეიდემანელებისა და კაუცკელებისაგან ჩვენ არა მარტო იმით განვსხვავდებით (და უმთავრესად არა იმით), რომ ისინი არ აღიარებენ შეიარაღებულ აჯანყებას, ჩვენ კი ვაღიარებთ. მთავარი და ძირითადი განსხვავება ის არის, რომ ისინი მუშაობის ყ ვ ე ლ ა სარბიელზე (ბურჟუაზიულ პარლამენტებშიც, პროფესიულ კავშირებშიც, კოოპერატივებშიც, ჟურნალისტიკაშიც და სხვ.) აწარმოებენ არათანამიმდევრულ, ოპორტუნისტულ ანდა პირდაპირ მოღალატურ და გამცემლურ პოლიტიკას.

სოციალ-გამცემლების წინააღმდეგ, რეფორმიზმისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ — ეს პოლიტიკური ხაზი შეიძლება და უნდა ტარდებოდეს ბრძოლის გამოუკლებლივ ყ ვ ე ლ ა ასპარეზზე. და მაშინ ჩვენ დავიპყრობთ მუშათა მასას. ხოლო მუშათა მასასთან ერთად პროლეტარიატის ავანგარდი, მარქსისტული ცენტრალიზებული პოლიტიკური პარტია საიმედო გზით წაიყვანს ხალხს პროლეტარიატის ძლევამოსილი დიქტატურისაკენ, პროლეტარული დემოკრატიისაკენ ბურჟუაზიულის ნაცვლად, საბჭოთა რესპუბლიკისაკენ, სოციალისტური წყობილებისაკენ.

მესამე ინტერნაციონალმა რამდენიმე თვეში მთელი რიგი ბრწყინვალე, არნახული გამარჯვება მოიპოვა. მისი ზრდის სისწრაფე გასაოცარია. კერძო ხასიათის შეცდომები და ზრდის ავადმყოფობა ვერ შეგვაშინებს. პირდაპირ და აშკარად მათი გაკრიტიკებით ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ყველა კულტურული ქვეყნის მარქსისტულად აღზრდილი მუშათა მასა მალე კინწისკვრით გააგდებს სოციალიზმის მოღალატე ყ ვ ე ლ ა ერის შეიდემანელებსა და კაუცკელებს (ეს ტიპები კი ყველა ერშია).

კომუნიზმის გამარჯვება გარდუვალია. გამარჯვება მას დარჩება.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1919 წ. 10 ოქტომბერი.

**გამოქვეყნდა 1919 წ. ოქტომბერში**

**იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით**

# მუშათა სახელმწიფო და პარტიული კვირა

პარტიული კვირა[17] მოსკოვში დაემთხვა საბჭოთა ხელისუფლების მძიმე პერიოდს. დენიკინის წარმატებებმა გამოიწვია შეთქმულებათა თავგანწირული გაძლიერება მემამულეების, კაპიტალისტებისა და მათი მეგობრების მხრივ, გაძლიერება ბურჟუაზიის ჭაპანწყვეტისა, რათა გამოიწვიოს პანიკა, ყოველგვარი საშუალებებით ძირი გამოუთხაროს საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეს. მერყევი, არამტკიცე, შეუგნებელი ობივატელები და მათთან ერთად ინტელიგენტები, ესერები, მენშევიკები, როგორც ყოველთვის, კიდევ უფრო მერყევნი გახდნენ და პირველნი შეუშინდნენ კაპიტალისტებს.

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მოსკოვში პარტიული კვირის დამთხვევა მძიმე მომენტთან უფრო ჩვენთვისაა ხელსაყრელი, რადგან უფრო სასარგებლოა საქმისათვის. პარტიული კვირა ჩვენ საპარადოდ როდი გვესაჭიროება. პარტიის მოჩვენებითი წევრები ჩვენ მუქთადაც კი არ გვინდა. მსოფლიოში ერთადერთი მმართველი პარტია, რომელიც ზრუნავს არა წევრთა რიცხვის გადიდებაზე, არამედ მათი ხარისხის გაუმჯობესებაზე, პარტიის გაწმენდაზე «მიტმასნილთაგან», არის ჩვენი პარტია — რევოლუციური მუშათა კლასის პარტია. ჩვენ არა ერთხელ ჩაგვიტარებია პარტიის წევრთა ხელახალი აღრიცხვა, რათა გაგვედევნა ეს «მიტმასნილნი», რათა პარტიაში დაგვეტოვებინა მხოლოდ შეგნებულნი და კომუნიზმისადმი გულწრფელად თავდადებულნი[18]. ჩვენ ვსარგებლობდით

ფრონტისათვის მობილიზაციებითაც და შაბათობებითაც, რათა პარტია გაგვეწმინდა იმათგან, ვისაც სურს მხოლოდ «ხელი მოითბოს» მმართველი პარტიის წევრობის ხელსაყრელი მდგომარეობით, ვისაც არ სურს იტვირთოს კომუნიზმის სასარგებლოდ თავდადებული მუშაობის სიძნელენი.

და ახლაც, როცა ხდება გაძლიერებული მობილიზაცია ფრონტისათვის, პარტიული კვირა იმითაა კარგი, რომ არ აცთუნებს მიტმასნის მსურველთ. პარტიაში ჩვენ ფართოდ მოვუწოდებთ მხოლოდ უბრალო მუშებს და უღარიბეს გლეხებს, მშრომელ გლეხებს, **და არა** სპეკულანტ-გლეხებს. ამ რიგითს წევრებს ჩვენ არ ვპირდებით და არც ვაძლევთ არავითარ სარფას პარტიაში ჩარიცხვით. პირიქით, პარტიის წევრებს ახლა ჩვეულებრივზე უფრო მძიმე და უფრო საშიში მუშაობა ეკისრებათ.

მით უკეთესი. პარტიაში შევლენ კომუნიზმის მხოლოდ გულწრფელი მომხრეები, მუშათა სახელმწიფოსადმი მხოლოდ კეთილსინდისიერად ერთგულნი, მხოლოდ პატიოსანი მშრომელნი, კაპიტალიზმის დროს დაჩაგრული მასების მხოლოდ ნამდვილი წარმომადგენლები.

ჩვენც მხოლოდ პარტიის ასეთი წევრები გვინდა.

არა რეკლამისათვის, არამედ სერიოზული მუშაობისათვის გვინდა ჩვენ პარტიის ახალი წევრები. მათ მოვუწოდებთ ჩვენ პარტიაში. მშრომელებს ჩვენ ფართოდ ვუღებთ პარტიის კარს.

საბჭოთა ხელისუფლება მშრომელთა ხელისუფლებაა, რომელიც იბრძვის კაპიტალის უღლის სრული დამხობისათვის. ამ ბრძოლისათვის პირველად ამხედრდა ქალაქებისა და საფაბრიკო ცენტრების მუშათა კლასი. მან მოიპოვა პირველი გამარჯვება და დაიპყრო სახელმწიფო ძალაუფლება.

ის იერთებს გლეხების უმრავლესობას. ვინაიდან კაპიტალისაკენ, ბურჟუაზიისაკენ ისწრაფვის მხოლოდ ჩარჩი გლეხი, სპეკულანტი გლეხი და არა მშრომელი გლეხი.

ყველაზე განვითარებულმა, ყველაზე შეგნებულმა მუშებმა, პიტერის მუშებმა, ყველაზე მეტი ძალები გამოყვეს რუსეთის მართვა-გამგეობისათვის. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მშრომელი მასების ინტერესებისადმი ერთგული და ხელმძღვანელი მუშაობის უნარის მქონე ადამიანები ძალიან, ძალიან ბევრია უბრალო მუშებსა და გლეხებს შორის. მათ შორის ძალიან ბევრია ორგანიზატორობისა და ადმინისტრატორობის ნიჭით დაჯილდოებულნი, რომელთაც გასაქანს არ აძლევდა კაპიტალიზმი, რომელთაც ჩვენ ყოველმხრივ ვეხმარებით და უნდა დავეხმაროთ — დაწინაურდნენ და ხელი მოჰკიდონ სოციალიზმის მშენებლობის საქმეს. ამ ახალი, თავმდაბალი, ჩუმი ტალანტების პოვნა არც ისე ადვილია. არ არის ადვილი სახელმწიფო მუშაობაში ჩაბმა უბრალო მუშებისა და გლეხებისა, რომელთაც მთელი საუკუნეების განმავლობაში ჩაგრავდნენ და აშინებდნენ მემამულეები და კაპიტალისტები.

**მაგრამ სწორედ ეს ძნელი სამუშაო** უნდა ჩავატაროთ, აუცილებლად უნდა ჩავატაროთ, რათა მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის უფრო ღრმა ფენებიდან წამოვაყენოთ ახალი **ძალები.**

შედით პარტიაში, ამხანაგო უპარტიო მუშებო და მშრომელო გლეხებო! ჩვენ ამით არ გპირდებით სარფას, ჩვენ მოგიწოდებთ ძნელ სამუშაოზე, სახელმწიფო მშენებლობის სამუშაოზე. თუ თქვენ კომუნიზმის გულწრფელი მომხრე ხართ, ხელი მოჰკიდეთ ამ სამუშაოს უფრო გაბედულად, ნუ შეუშინდებით მის სიახლესა და სიძნელეს, ნუ შეგაკრთობთ ძველი ცრურწმენა, თითქოს ეს სამუშაო მხოლოდ მათ ძალუძთ, ვისაც სახელმწიფო განათლება მიუღია. ეს არ არის მართალი. სოციალიზმის მშენებლობის სამუშაოს ხელმძღვანელობა შეუძლიათ სულ უფრო და უფრო მეტ უბრალო მუშებსა და მშრომელ გლეხებს, და მათ კიდევაც **უნდა შეძლონ ეს.**

მშრომელთა მასა ჩვენს მხარეზეა. ამაშია ჩვენი ძალა. ამაშია წყარო მსოფლიო კომუნიზმის უძლეველობისა. მეტი ახალი მუშაკები მასიდან პარტიის რიგებში, დამოუკიდებელი მონაწილეობისათვის ახალი ცხოვრების მშენებლობაში — ასეთია ჩვენი ხერხი ყოველგვარ სიძნელეებთან ბრძოლისა, ასეთია ჩვენი გზა გამარჯვებისაკენ.

11. X. 1919.

«პრავდა» № 228, 1919 წ. 12 ოქტომბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

# სიტყვა მობილიზებული მუშა-კომუნისტების წინაშე მოსკოვის მუშ. და გლ. დეპ. საბჭოს აივნიდან 1919 წ. 16 ოქტომბერს

## საქრონიკო ჩანაწერი

(ლენინის გამოჩენას მქუხარე ტაშით ხვდებიან.) ამხანაგებო! ნება მომეცით მივესალმო იაროსლავლის და ვლადიმირის გუბერნიების მუშებს, რომლებიც კვლავ გამოეხმაურნენ ჩვენს მოწოდებას და საუკეთესო ძალები მოგვცეს მუშურ-გლეხური რესპუბლიკის დასაცავად. თქვენ იცით გაზეთებიდან, რომლებშიც ჩვენ სრულიად დაუფარავად მთელ სიმართლეს ვწერთ, თუ რა ახალ და მრისხანე საშიშროებას გვიმზადებენ მეფის გენერლები — დენიკინი ორიოლის აღებით და იუდენიჩი — წითელი პიტერისათვის საფრთხის შექმნით. მაგრამ ჩვენ ვხედავთ ამ საშიშროებას და ვებრძვით მას, როგორც ყოველთვის: ჩვენ მივმართავთ შეგნებულ პროლეტარიატსა და მშრომელ გლეხობას და მოვუწოდებთ მკერდით დაიცვან თავიანთი მონაპოვარნი.

მდგომარეობა მეტისმეტად მძიმეა. მაგრამ ჩვენ სასოწარკვეთილებას არ ვეძლევით, რადგან ვიცით, რომ ყოველთვის, როცა მძიმე მდგომარეობა იქმნება საბჭოთა რესპუბლიკისათვის, მუშები სასწაულებრივ სიმამაცეს იჩენენ და თავიანთი მაგალითით ამხნევებენ და აღაფრთოვანებენ ჯარებს და მიჰყავთ ისინი ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

ჩვენ ვიცით, რომ მთელ მსოფლიოში, ყველა ქვეყანაში გამოუკლებლივ, რევოლუციური მოძრაობა, თუმცა უფრო ნელა, ვიდრე ჩვენ გვსურს, მაგრამ განუხრელად იზრდება. ჩვენ ისიც ვიცით, რომ მუშათა კლასის გამარჯვება მთელ მსოფლიოში უზრუნველყოფილია.

თუმცა მძიმეა რუსეთის მიერ გაღებული მსხვერპლი, თუმცა რუსეთი გაწამებული და დატანჯულია, მაგრამ ის მაინც შეუპოვრად იბრძვის ყველა მუშის საერთო საქმისათვის. იმპერიალისტებს შეუძლიათ კიდევ ერთი-ორი რესპუბლიკა გასრისონ, მაგრამ ისინი ვერ იხსნიან მსოფლიო იმპერიალიზმს, რადგან იგი განწირულია, რადგან მას აღგვის მომავალი სოციალიზმი.

აი რატომ მოგესალმებით თქვენ, ვლადიმირისა და იაროსლავლის გუბერნიების მუშებო, მტკიცედ დარწმუნებული, რომ თქვენ პირადი მაგალითით სულიერად გაამხნევებთ წითელ არმიას და გაუძღვებით მას გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს მუშებსა და გლეხებს!

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა რესპუბლიკას!

«პრავდა» № 232,
1919 წ. 17 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

# პეტროგრადის მუშებისა და წითელარმიელებისადმი

ამხანაგებო! დადგა გადამწყვეტი მომენტი. მეფის გენერლებმა კვლავ მიიღეს მარაგი და სამხედრო საჭურველი ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის კაპიტალისტებისაგან, კვლავ ცდილობენ მემამულეების ნაშიერთა ბანდებით აიღონ წითელი პიტერი. მტერი თავს დაგვესხა ესტლანდიასთან ზავზე მოლაპარაკების დროს, თავს დაესხა ჩვენს წითელარმიელებს, რომელთაც სჯეროდათ ეს მოლაპარაკება. თავდასხმის ამ მუხანათური ხასიათით აიხსნება ნაწილობრივ მტრის სწრაფი წარმატებები. აღებულია კრასნოე სელო, გატჩინა, ვირიცა. გადაჭრილია ორი რკინიგზა პიტერისაკენ. მტერი მიისწრაფვის გადაჭრას მესამე, ნიკოლოზის რკინიგზა, და მეოთხე, ვოლოგდისა, რათა დამშევით აიღოს პიტერი.

ამხანაგებო! თქვენ ყველამ იცით და ყველანი ხედავთ, რა უდიდესი საშიშროება ემუქრება პეტროგრადს. რამდენიმე დღეში გადაწყდება პეტროგრადის ბედი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სანახევროდ გადაწყდება საბჭოთა ხელისუფლების ბედი რუსეთში.

მე ზედმეტად მიმაჩნია პეტროგრადის მუშებსა და წითელარმიელებს ველაპარაკო მათ მოვალეობაზე. მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიასთან სიძნელეების მხრივ უმაგალითო და გამარჯვებათა მიხედვით უმაგალითო საბჭოთა ორი წლის ბრძოლის მთელმა ისტორიამ დაგვანახვა პიტერის მუშების მხრივ არა მარტო მოვალეობის შესრულების ნიმუში, არამედ უმაღლესი

გმირობის, ქვეყნად არნახული რევოლუციური ენთუზიაზმისა და თავგანწირვის ნიმუშიც.

ამხანაგებო! პეტროგრადის ბედი წყდება! მტერი ცდილობს ხელში ჩაგვიგდოს მოულოდნელად. მას სუსტი, სულ უმნიშვნელო ძალები ჰყავს, ის ძლიერია სისწრაფით, ოფიცრების თავხედობით, მომარაგებისა და შეიარაღების ტექნიკით. პიტერის მაშველი ძალები ახლოსაა, ჩვენ ის დავძარით. ჩვენ მტერზე გაცილებით უფრო ძლიერი ვართ. იბრძოლეთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ამხანაგებო, არ დათმოთ არც ერთი მტკაველი მიწა, იყავით ბოლომდე ურყევნი, გამარჯვება შორს არაა! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

17/X ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი)

«პეტროგრადსკაია პრავდა»
№ 237, 1919 წ. 19 ოქტომბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# ამხანაგ-წითელარმიელებისადმი

ამხანაგო წითელარმიელებო! მეფის გენერლები — იუდენიჩი ჩრდილოეთში, დენიკინი — სამხრეთში — კვლავ ძაბავენ ძალებს, რათა დაამარცხონ საბჭოთა ხელისუფლება, რათა აღადგინონ მეფის, მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება.

ჩვენ ვიცით, როგორ დამთავრდა კოლჩაკის ამგვარივე ცდა. დიდი ხნით ვერ მოატყუა მან ურალის მუშები და ციმბირის გლეხები. ურალის მუშებმა და ციმბირის გლეხებმა, როცა დაინახეს ტყუილი, გამოსცადეს დაუსრულებელი ძალმომრეობა, გაწკეპვლა, ძარცვა-გლეჯა ოფიცრების, მემამულეებისა და კაპიტალისტების ნაშიერთა მხრივ, დახმარება აღმოუჩინეს ჩვენს წითელ არმიას კოლჩაკის დამარცხებაში. ორენბურგელი კაზაკები პირდაპირ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოვიდნენ.

აი რატომ ვართ მტკიცედ დარწმუნებული ჩვენს გამარჯვებაში იუდენიჩსა და დენიკინზე. ვერ შეძლებენ ისინი მეფისა და მემამულეთა ბატონობის აღდგენას. ეს არ მოხდება! გლეხები უკვე აჯანყებას აწყობენ დენიკინის ზურგში. კავკასიაში დენიკინის წინააღმდეგ აჯანყების ცეცხლი გიზგიზებს. ყუბანელი კაზაკები დრტვინავენ და ღელავენ, უკმაყოფილონი დენიკინის ძალმომრეობითა და ძარცვა-გლეჯით მემამულეებისა და ინგლისელების სასარგებლოდ.

ვიყოთ მტკიცენი, ამხანაგო წითელარმიელებო! მუშები და გლეხები სულ უფრო და უფრო დარაზმულად, სულ უფრო და

უფრო მეტი შეგნებით, სულ უფრო და უფრო გადაჭრით დგებიან საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

წინ! ამხანაგო წითელარმიელებო. ჩავებათ ბრძოლაში მუშურ-გლეხური ხელისუფლებისათვის, მემამულეების წინააღმდეგ, მეფის გენერლების წინააღმდეგ! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

19. X. 1919. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

**დაიბეჭდა 1919 წ.** **იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით**

# პარტიული კვირის შედეგები მოსკოვში და ჩვენი ამოცანები

მოსკოვში პარტიული კვირის დროს პარტიაში ჩაეწერა 13 600 კაცი.

ეს არის უდიდესი, სრულიად მოულოდნელი წარმატება. მთელი ბურჟუაზია და განსაკუთრებით ქალაქის წვრილი ბურჟუაზია იმ სპეციალისტების, მოხელეების, მოსამსახურეების ჩათვლით, რომლებიც შეძრწუნებული არიან თავიანთი პრივილეგიური, «ბატონის» მდგომარეობის დაკარგვით, — მთელი ეს ხალხი სწორედ უკანასკნელ ხანებში, სწორედ პარტიული კვირის განმავლობაში მოსკოვში, წელებზე ფეხს იდგამდა, რათა პანიკა გამოეწვია, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ეწინასწარმეტყველებინა ახლო ხანში დაღუპვა, ხოლო დენიკინისათვის — ახლო ხანში გამარჯვება.

და რა საუცხოო ხელოვნებით ეხერხება ამ «ინტელიგენტ» ხალხს ამ იარაღის — პანიკის გავრცელების გამოყენება! ეს ხომ ნამდვილი იარაღი გახდა პროლეტარიატის წინააღმდეგ ბურჟუაზიის კლასობრივ ბრძოლაში. წვრილი ბურჟუაზია ისეთ მომენტებში, როგორიცაა ახლანდელი მომენტი, «ერთ რეაქციულ მასად» უერთდება ბურჟუაზიას და «გატაცებით» სჭიდებს ხელს ამ იარაღს.

სწორედ მოსკოვში, სადაც განსაკუთრებით ძლიერი იყო ვაჭართა ელემენტი, სადაც ყველაზე მეტად იყვნენ თავმოყრილი ექსპლოატატორები, მემამულეები, კაპიტალისტები, რანტიერები, სადაც კაპიტალისტურმა განვითარებამ თავი მოუყარა

ბურჟუაზიული ინტელიგენციის მასებს, სადაც ცენტრალურმა სახელმწიფო მართვა-გამგეობამ გამოიწვია მოხელეების განსაკუთრებით დიდი შეჯგუფება — სწორედ მოსკოვში განსაკუთრებით ხელსაყრელი ნიადაგი იყო ბურჟუაზიული ჭორისათვის, ბურჟუაზიული გაკილვისათვის, ბურჟუაზიული პანიკის გასავრცელებლად. დენიკინისა და იუდენიჩის მარჯვე შემოტევის «მომენტი» მეტისმეტად ხელს უწყობდა ამ ბურჟუაზიული იარაღის «წარმატებებს».

და მიუხედავად ამისა, პროლეტარული მასიდან, რომელიც ხედავდა დენიკინის «წარმატებებს» და რომელმაც იცოდა მთელი ის სიძნელე, სიმძიმე, საშიშროება, რაც სწორედ ახლა დაკავშირებულია კომუნისტების სახელწოდებასთან და თანამდებობასთან, ათასობით დაიძრნენ კომუნისტთა პარტიის მისაშველებლად, დაიძრნენ იმისათვის, რომ იკისრონ სახელმწიფო მართვა-გამგეობის წარმოუდგენლად მძიმე ტვირთი.

საბჭოთა ხელისუფლების წარმატება, ჩვენი პარტიის წარმატება პირდაპირ შესანიშნავია!

ამ წარმატებამ დედაქალაქის მოსახლეობას და შემდეგ მთელ რესპუბლიკასაც და მთელ მსოფლიოსაც დაუმტკიცა და თვალსაჩინოდ დაანახვა, რომ სწორედ პროლეტარიატის ქვედაფენებში, სწორედ მშრომელი მასის ნამდვილ წარმომადგენლებში საბჭოთა ხელისუფლების ძალისა და სიმტკიცის საიმედო წყარო. პროლეტარიატის დიქტატურამ, უაღრეს სიძნელეთა და საშიშროებათა მომენტში, პარტიაში ნებაყოფლობითი ჩაწერის ამ წარმატებით საქმით გვიჩვენა თავისი თავი ი მ მ ხ რ ი ვ, რის დანახვაც ბოროტი განზრახვით არ სურთ მტრებს და რასაც ყველაზე უფრო მეტად აფასებენ კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების ნამდვილი მეგობრები, სახელდობრ მასებზე პროლეტარიატის (რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება) მ ო რ ა ლ ურ ი ზეგავლენის (ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით) განსაკუთრებული ძალის მხრივ, ამ ზეგავლენის ხ ე რ ხ ე ბ ი ს მხრივ.

პროლეტარიატის მოწინავე ფენებმა, ხელთ ეპყრათ რა სახელმწიფო ძალაუფლება, თავიანთი მაგალითით დაანახვეს

მშრომელთა მასას, დაანახვეს მთელი ორი წლის მანძილზე (უდიდესი ვადაა პოლიტიკური განვითარების ჩვენი, განსაკუთრებით სწრაფი ტემპისათვის) მშრომელთა ინტერესებისადმი ისეთი ერთგულების, მშრომელთა მტრებთან (საერთოდ ექსპლოატატორებთან და, კერძოდ, «მესაკუთრეებთან» და სპეკულანტებთან) ბრძოლაში ისეთი ენერგიის, მძიმე წუთებში ისეთი გამძლეობის, მსოფლიო იმპერიალიზმის ყაჩაღთა მოგერიების ისეთი თავდადების ნიმუში, რომ მხოლოდ თავიანთი ავანგარდისადმი მუშათა და გლეხთა თანაგრძნობის ძალამ შეძლო სასწაულები მოეხდინა.

ეს ხომ სასწაულია: მუშები, რომლებმაც გადაიტანეს შიმშილის, სიცივის, ნგრევის, გაჩანაგების გაუგონარი წამება, არათუ ინარჩუნებენ სრულ სულიერ მხნეობას, საბჭოთა ხელისუფლებისადმი სრულ თავდადებას, თავგანწირვისა და გმირობის მთელ ენერგიას, არამედ აგრეთვე კისრულობენ, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად მოუმზადებელი და გამოუცდელი არიან, სახელმწიფო გემის მართვის ტვირთს! და ეს ისეთ დროს, როცა ქარიშხალი ესოდენ გააფთრებულია...

ასეთი სასწაულებით არის სავსე ჩვენი პროლეტარული რევოლუციის ისტორია. ასეთი სასწაულები უეჭველად და უთუოდ მიგვიყვანს, — როგორი მძიმეც უნდა იყოს ცალკეული განსაცდელი, — მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკის სრულ გამარჯვებამდე.

ჩვენ ახლა უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ სწორად გამოვიყენოთ პარტიის ახალი წევრები. ამ ამოცანას განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ეს ამოცანა ადვილი არ არის, ეს ამოცანა ახალია და ძველი შაბლონებით მას ვერ გადაწყვეტ.

კაპიტალიზმი მრავალ ტალანტს ახშობდა, გასაქანს არ აძლევდა, ანადგურებდა მუშათა და მშრომელ გლეხთა წრეში. ეს ტალანტები იღუპებოდნენ გაჭირვების, სიღატაკის, ადამიანის პიროვნების აბუჩად აგდების გამო. ამჟამად ჩვენს მოვალეობას შეადგენს გამოვძებნოთ ეს ტალანტები და ჩავაბათ ისინი მუშაობაში. პარტიული კვირის დროს პარტიაში შესულ

ახალ წევრთა უმრავლესობა, უეჭველად, გამოცდილი და სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში დახელოვნებული არ არის. მაგრამ ასევე უეჭველია, რომ ესენი არიან უაღრესად ერთგული, უაღრესად გულწრფელი და უაღრესად ნიჭიერი ადამიანები იმ საზოგადოებრივი ფენებიდან, რომელთაც კაპიტალიზმი ხელოვნურად აჩერებდა ქვევით, ხდიდა «დაბალ» ფენებად, საშუალებას არ აძლევდა მათ ზევით ასულიყვნენ. ხოლო ძალა, სიახლე, უშუალობა, გამობრძმედილობა, გულწრფელობა მათში მეტია, ვიდრე სხვებში.

აქედან ის გამომდინარეობს, რომ ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებით უნდა მოიფიქროს, როგორ გამოვიყენოთ პარტიის ეს ახალი წევრები. საჭიროა უფრო გაბედულად მივცეთ მათ რაც შეიძლება უფრო მრავალფეროვანი სახელმწიფო სამუშაო, საჭიროა სასწრაფოდ გამოვცადოთ ისინი პრაქტიკულად.

რა თქმა უნდა, გაბედულება ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ერთბაშად ჩავაბაროთ ახლებს პასუხსაგები პოსტები, რაც მოითხოვს ცოდნას, რომელიც ახლებს არა აქვთ. გაბედულება საჭიროა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის აზრით: ჩვენმა პარტიულმა პროგრამამ ტყუილად კი არ დააყენა მთელი გარკვეულობით საკითხი ბიუროკრატიზმის ერთგვარი აღორძინების მიზეზებისა და ამის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ. გაბედულება საჭიროა, ჯერ-ერთი, კონტროლის დაწესების აზრით მოსამსახურეების, მოხელეების, სპეციალისტების მიმართ პარტიის ახალი წევრების მხრივ, რომლებიც კარგად იცნობენ ხალხის მასების მდგომარეობას, მათ საჭიროებებს, მათ მოთხოვნებს. გაბედულება საჭიროა იმ აზრით, რომ დაუყოვნებლივ მიეცეთ საშუალება ამ ახლებს გაშალონ თავიანთი შესაძლებლობა და თავი გამოიჩინონ ფართო სამუშაოზე. გაბედულება საჭიროა ჩვეულებრივი შაბლონების მსხვრევის აზრით (ვაი რომ ხშირად ჩვენშიც ვხედავთ დადგენილი საბჭოთა შაბლონების ხელყოფის მეტისმეტ შიშს, თუმცა ამ შაბლონებს ზოგჯერ «ადგენენ» არა შეგნებული კომუნისტები, არამედ ძველი მოხელეები და

მოსამსახურეები); გაბედულება საჭიროა იმ აზრით, რომ მზად ვიყოთ რევოლუციური სისწრაფით შევცვალოთ მუშაობის სახე პარტიის ახალ წევრთათვის, რათა უფრო ჩქარა გამოვცადოთ ისინი და უფრო ჩქარა მივუჩინოთ მათ სათანადო ადგილი.

ბევრ შემთხვევაში პარტიის ახალი წევრები შეიძლება ისეთ თანამდებობებზე დავაყენოთ, როცა, კონტროლს გაუწევენ რა იმას, თუ რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებენ ძველი მოხელეები თავიანთ ამოცანებს, პარტიის ეს წევრები სწრაფად შეისწავლიან საქმეს და შეძლებენ დამოუკიდებლად გაიწაფონ მასში. სხვა შემთხვევებში ისინი შეიძლება ისე განვალაგოთ, რომ განვაახლოთ, გადავახალისოთ კავშირურთიერთობა, ერთი მხრივ, მუშათა და გლეხთა მასასა და, მეორე მხრივ, სახელმწიფო აპარატს შორის. ჩვენს სამრეწველო «მთავარ სამმართველოებსა და ცენტრებში», ჩვენს სამიწათმოქმედო «საბჭოთა მეურნეობებში» ბევრი, ჯერ კიდევ მეტად ბევრი შემორჩა მესაბოტაჟე, მიმალული მემამულე და კაპიტალისტი, რომლებიც ყოველნაირად ზიანს აყენებენ საბჭოთა ხელისუფლებას. ცენტრსა და ადგილებზე გამოცდილ პარტიულ მუშაკთა დახელოვნება იმაში უნდა გამოიხატოს, რომ გაძლიერებით გამოვიყენოთ ახალი, ენერგიით სავსე პარტიული ძალები ამ ბოროტებასთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

საბჭოთა რესპუბლიკა უნდა გახდეს ერთიანი სამხედრო ბანაკი, რომელიც უდიდესად დაძაბავს ძალებს, უდიდესად დაზოგავს მათ, უაღრესად შეკვეცავს საქმის ყოველგვარ გაჭიანურებას, ყოველგვარ უმაქნისო ფორმალობას, უაღრესად გაამარტივებს აპარატს, დიდად დაუახლოებს მას არა მარტო მასის საჭიროებებს, არამედ მასის გაგებასაც, ამ აპარატში მასის დამოუკიდებელ მონაწილეობას.

გაძლიერებით წარმოებს პარტიის ძველ წევრთა მობილიზაცია სამხედრო სამუშაოზე. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევასუსტოთ ეს მუშაობა, პირიქით, სულ უფრო და უფრო უნდა გავაძლიეროთ იგი. მაგრამ, ამასთან ერთად, და ომში წარმატების მისაღწევად საჭიროა გავაუმჯობესოთ,

გავამარტივოთ, გადავახალისოთ მართვა-გამგეობის ჩვენი სამოქალაქო აპარატი.

ომში იმარჯვებს ის, ვისაც მეტი რეზერვები ჰყავს, ძალის მეტი წყაროები აქვს, მეტი გამძლეობა აქვს ხალხის სიღრმეში.

ჩვენ ყოველივე ეს მეტი გვაქვს, ვიდრე თეთრებს, მეტი გვაქვს, ვიდრე «მსოფლიო მასშტაბით ძლიერ» ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმს, ამ თიხისფეხებიან გოლიათს. ჩვენ ეს მეტი გვაქვს, რადგან ჩვენ შეგვიძლია ეს რეზერვები მივიღოთ და კიდევ დიდხანს მივიღებთ მუშათა და მშრომელ გლეხთა სულ უფრო და უფრო ღრმა ფენებიდან, იმ კლასებიდან, რომელთაც ჩაგრავდა კაპიტალიზმი და რომლებიც ყველგან მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ. ჩვენ შეგვიძლია რეზერვები მივიღოთ ამ უდიდესი რეზერვუარიდან, რადგან ის იძლევა ყველაზე გულწრფელ, ცხოვრების სიძნელეებით ყველაზე გამობრძმედილ, მუშებისა და გლეხების ყველაზე მახლობელ ბელადებს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

ჩვენს მტრებს, არც რუსეთის ბურჟუაზიას და არც მსოფლიო ბურჟუაზიას, არ მოეპოვებათ ამ რეზერვუარის თუგინდ შორეულად მსგავსი რამ, მათ ფეხქვეშ სულ უფრო და უფრო ირყევა ნიადაგი, მათ სულ უფრო და უფრო შორდებიან ყოფილი მომხრეები მუშათა და გლეხთაგან.

აი, საბოლოო ანგარიშით, რატომ არის უზრუნველყოფილი და გარდუვალი მსოფლიო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება.

1919 წ. 21 ოქტომბერი.

რკპ(ბ) ც. კ-ის «იზვესტია» № 7,
1919 წ. 22 ოქტომბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება რკპ(ბ) ც. კ-ის
«იზვესტიის» ბიულეტენის
ტექსტის მიხედვით

# სიტყვა ფრონტზე მიმავალ სვერდლოვის უნივერსიტეტის მსმენელთა წინაშე, 1919 წ. 24 ოქტომბერს

ამხანაგებო! თქვენ იცით, რომ დღეს ჩვენ აქ ერთად შეგვყარა არა მარტო იმის სურვილმა, რომ ვიდღესასწაულოთ თქვენი უმეტესობის მიერ საბჭოთა სკოლის კურსის დამთავრება, არამედ იმ გარემოებამაც, რომ მთელი თქვენი გამოშვების დაახლოებით ნახევარმა გადაწყვიტა ფრონტზე წასვლა, რათა ახალი, ექსტრაორდინარული და არსებითი დახმარება აღმოუჩინოს ფრონტზე მებრძოლ ჯარებს.

ამხანაგებო! ჩვენ მშვენივრად ვიცით, რა უდიდეს სიძნელეებს უქმნის მთელ ჩვენს მართვა-გამგეობას როგორც ქალაქში, ისე, განსაკუთრებით, სოფლებში გამოცდილი, მცოდნე ამხანაგების ნაკლებობა. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ პეტროგრადის, მოსკოვის, ივანოვო-ვოზნესენსკისა და სხვა ქალაქების ის მოწინავე მუშები, მოწინავე ამხანაგები, რომლებიც დღემდე, შეიძლება ითქვას, საკუთარი მხრებით ატარებდნენ ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობის მთავარ სიმძიმეს გაუგონრად მძიმე პირობებში, მუშებისა და გლეხების გაერთიანებისა და მათი ხელმძღვანელობის მთავარ სიმძიმეს, ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ისინი მეტისმეტად დაუძლურებული არიან იმ, ზოგჯერ ზეადამიანური მოთხოვნებით, რომელთაც მათ უყენებს საბჭოთა რესპუბლიკის დაცვის ინტერესები. ამიტომ აქ იმის შესაძლებლობას, რომ შევკრიბოთ რამდენიმე ასეული მუშა და გლეხი, მივცეთ მათ საშუალება სისტემატურად იმეცადინონ რამდენიმე თვის განმავლობაში, გაიარონ საბჭოთა მეცნიერებების

კურსი, რათა აქედან ერთად, ორგანიზებულად, დარაზმულად, შეგნებულად დაიძრან მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მისაღებად, იმ უდიდეს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, რომლებიც კიდევ დარჩენილან, — ამ შესაძლებლობას დიდი ფასი აქვს ჩვენთვის, და ჩვენც მეტისმეტი სიძნელით, მეტისმეტად უხალისოდ და ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ამ გამოშვების თითქმის ნახევარი გავგზავნოთ ფრონტზე სამუშაოდ. მაგრამ ფრონტზე შექმნილი პირობები ისეთია, რომ არჩევანი აღარ იყო. და ჩვენ ვფიქრობდით, რომ გადაწყვეტილება, რომელიც ნებაყოფლობით იქნა მიღებული და რომლის მიზანია ფრონტზე კვლავ მთელი რიგი საუკეთესო წარმომადგენლების გაგზავნა, რომლებიც ძალიან სასარგებლო იქნებოდნენ ყოველგვარ ადმინისტრაციულ-საამშენებლო მუშაობაში, ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია უეჭველად აუცილებელი გარემოებებით.

ამხანაგებო, ნება მომეცით მოკლედ შევჩერდე იმ მდგომარეობაზე, რომელიც შეიქმნა ახლა სხვადასხვა ფრონტზე, რათა განსაჯოთ, რამდენად სასწრაფოა ეს აუცილებლობა.

ბევრ ფრონტზე, რომლებიც წინათ ფრიად მნიშვნელოვნად ითვლებოდნენ და რომლებზედაც მტერი უდიდეს იმედებს ამყარებდა, სწორედ უკანასკნელ ხანებში საქმე ისე წავიდა, რომ ახლოვდება სრული და, ყველა ნიშნის მიხედვით, საბოლოო გამარჯვება ჩვენს სასარგებლოდ. ჩრდილოეთის ფრონტზე, სადაც მურმანსკზე შემოტევა მტერს განსაკუთრებით დიდ ხელსაყრელ მდგომარეობას უქადიდა, სადაც ინგლისელებმა უკვე დიდი ხანია თავი მოუყარეს უზარმაზარ და საუცხოოდ შეიარაღებულ ძალებს, სადაც ჩვენთვის, სურსათისა და სამხედრო საჭურვლის უქონლობის გამო, მეტისმეტად ძნელი იყო ბრძოლა, — იქ, თითქოს, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტებს ბრწყინვალე პერსპექტივები უნდა ჰქონოდათ. და სწორედ იქ აღმოჩნდა, რომ მტრის მთელი შემოტევა საბოლოოდ ჩაიშალა. ინგლისელები იძულებული გახდნენ უკანვე გაეყვანათ თავიანთი ჯარები, და ჩვენ ახლა ვხედავთ იმის სრულ დადასტურებას, რომ ინგლისელ მუშებს

არ სურთ ომი რუსეთთან და, ახლაც კი, როდესაც ინგლისში ჯერ კიდევ სრულიად არ არის რევოლუციური ბრძოლა, ისინი ისეთ გავლენას ახდენენ თავიანთ მტაცებლურ და მძარცველურ მთავრობაზე, რომ აიძულებენ მას ჯარები გაიყვანოს რუსეთიდან. ისინი იძულებული გახდნენ დაეთმოთ ეს ფრონტი, რომელიც განსაკუთრებით საშიში იყო, იმიტომ რომ მტერი იქ ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდა, რადგან საზღვაო გზა მის ხელში იყო. იქ რჩებიან რუსი თეთრგვარდიელების მცირეოდენი ძალები, რომელთაც თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ.

ავიღოთ მეორე ფრონტი — კოლჩაკისა. თქვენ იცით, რომ, როდესაც კოლჩაკის ჯარები ვოლგისკენ უტევდნენ, ევროპის კაპიტალისტური პრესა ჩქარობდა მთელი მსოფლიოსათვის ეუწყებინა სიბჭოთა ხელისუფლების დამხობა და კოლჩაკის ცნობა რუსეთის უმაღლეს მმართველად. მაგრამ საზეიმო სიგელი ამ ცნობის შესახებ არც კი იყო მისული თვით კოლჩაკამდე, რომ ჩვენმა ჯარებმა გარეკეს ის ციმბირში, და თქვენ იცით, რომ ჩვენ ვუახლოვდებოდით პეტროპავლოვსკს და ირტიშს, და კოლჩაკი იძულებული გახდა თავისი ძალები სხვაგვარად განელაგებინა, ვიდრე ფიქრობდა. იყო დრო, როცა ჩვენ მოგვიხდა უკან დახევა, იმიტომ რომ ადგილობრივ მუშებსა და გლეხებს დაუგვიანდათ მობილიზაცია. მაგრამ კოლჩაკის ზურგიდან მიღებული ცნობები იმაზე მეტყველებს, რომ მისი საქმე უეჭველად იფუშება, მოსახლეობა კი სულ ერთიანად მხედრდება მის წინააღმდეგ, შეძლებული გლეხებიც კი. და ჩვენ ვუახლოვდებით იმას, რომ კოლჩაკის ძალების უკანასკნელი სიმაგრე გატეხილ იქნება, და ამით ჩვენ დავასრულებთ რევოლუციის ერთ წელიწადს, რომლის განმავლობაში მთელ ციმბირში კოლჩაკის ხელისუფლება იყო, როცა მას ეხმარებოდნენ ესერებიც და მენშევიკებიც, რომლებმაც ერთხელ კიდევ გაიმეორეს ბურჟუაზიულ მთავრობასთან შეთანხმების ისტორია. თქვენ იცით, რომ კოლჩაკს დახმარებას უწევდა მთელი ევროპის ბურჟუაზია. თქვენ იცით, რომ ციმბირის ხაზს იცავდნენ პოლონელებიც, ჩეხებიც, იყვნენ

იტალიელებიც, ამერიკელი მოხალისე-ოფიცრებიც. ყველაფერი, რასაც კი შეეძლო რევოლუციის გაქარწყლება, ყველაფერი კოლჩაკის დასახმარებლად გამოეშურა. და ყველაფერი ეს ჩაიფუშა, იმიტომ რომ გლეხებმა, ციმბირის გლეხებმა, რომლებიც ყველაზე ნაკლებ ემორჩილებიან კომუნიზმის გავლენას, იმიტომ რომ ყველაზე ნაკლებ ხედავენ მას, ისეთი გაკვეთილი, ისეთი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი შედარება (გლეხებს კი უყვართ პრაქტიკული შედარებები) მიიღეს კოლჩაკისაგან, რომ შეგვიძლია ვთქვათ: კოლჩაკმა ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების მილიონობით მომხრე შეგვძინა სამრეწველო ცენტრებიდან უაღრესად დაშორებულ რაიონებში, სადაც ჩვენთვის ძნელი იყო მათი მომხრობა. აი რით დამთავრდა კოლჩაკის ბატონობა, და აი რატომ ვგრძნობთ ჩვენ თავს ამ ფრონტზე ყველაზე უფრო მტკიცედ.

დასავლეთის ფრონტზე ჩვენ ვხედავთ, რომ პოლონელების შემოტევა დასასრულს უახლოვდება. ისინი დახმარებას ღებულობდნენ ინგლისისაგან, საფრანგეთისა და ამერიკისაგან, რომლებიც ისწრაფოდნენ გაეღვივებინათ პოლონეთის ძველი სიძულვილი ველიკორუსი მჩაგვრელებისადმი და ცდილობდნენ შემამულეებისა და მეფაბრიკეებისადმი პოლონელი მუშების ასწილ დამსახურებული სიძულვილი რუს მუშებსა და გლეხებზე გადაეტანათ, აფიქრებინებდნენ რა მათ, რომ ბოლშევიკებიც, ისევე როგორც რუსი შოვინისტები, პოლონეთის დაპყრობაზე ოცნებობენო. და დროებით მათ ეს ტყუილი გაუვიდათ. მაგრამ ჩვენ ვხედავთ იმის გარკვეულ ნიშნებს, რომ ის დრო, როცა ამ ტყუილს გასავალი ჰქონდა, გადის, რომ პოლონელ ჯარებში იწყება დაშლა. და ამერიკული ცნობებიც, რომელთაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავწამებთ კომუნიზმისადმი თანაგრძნობას, ადასტურებენ, რომ პოლონელ გლეხებში სულ უფრო და უფრო ძლიერდება მოთხოვნები — რადაც უნდა დაჯდეს დამთავრდეს ომი პირველი ოქტომბრისათვის, და ამ მისწრაფებებს მხარს უჭერენ ყველაზე უფრო პატრიოტულად განწყობილი პოლონელი სოციალ-შოვინისტებიც კი (პპს) [19], რომელთაც ჩვენებური მენშევიკებისა და ესერების ადგილი

უჭირავთ და რომლებიც სულ უფრო და უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ თავიანთ მთავრობას. ამ ხნის განმავლობაში პოლონელების განწყობილება ძლიერ შეიცვალა.

რჩება ორი ფრონტი — პეტროგრადისა და სამხრეთის, სადაც ყველაზე უფრო სერიოზული ამბები ხდება. მაგრამ აქაც ყველა ნიშანი იმას მოწმობს, რომ მტერი უკანასკნელ ძალებს იკრებს. ჩვენ ზუსტი ცნობები მოგვეპოვება იმის შესახებ, რომ ინგლისში სამხედრო მინისტრმა ჩერჩილმა და კაპიტალისტების პარტიამ წამოიწყეს ეს სამხედრო ავანტიურა პეტროგრადის მიმართ, რათა დაენახვებინათ, თუ რა სწრაფად შეიძლება საბჭოთა რუსეთისათვის ბოლოს მოღება, და რომ იქ ინგლისური პრესა ამ ავანტიურას უყურებს, როგორც შოვინისტებისა და მინისტრ ჩერჩილის უკანასკნელ ცდას, წინააღმდეგ მოსახლეობის უმრავლესობის უეჭველი ნება-სურვილისა.

პეტროგრადზე შემოსევას ჩვენ ვუყურებთ, როგორც დენიკინისათვის დახმარების ღონისძიებას. ეს დასკვნა ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ პეტროგრადის ფრონტზე არსებული მდგომარეობიდან.

თქვენ იცით, რომ ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის მთავრობებმა თანხმობა განაცხადეს მოლაპარაკება დაიწყონ საზავო წინადადებაზე. და ბუნებრივიცაა, რომ ამ უკანასკნელმა ცნობებმა მერყეობა გამოიწვია ჩვენს ჯარებში, იმედი აღძრა მათში, რომ ომი მთავრდება. მოლაპარაკება უკვე დაიწყო. ამ დროს კი ინგლისმა შეკრიბა თავისი გემები და გადმოსხა რამდენიმე ათასი თეთრგვარდიელი, რომლებიც მომარაგებული იყვნენ საუცხოო ტექნიკური საშუალებებით. მაგრამ ამ შეიარაღების ჩვენში შემოტანა მათ არ შეუძლიათ, თუ მოტყუებით არ აუხვიეს ხალხს თვალი, იმიტომ რომ ინგლისსა და საფრანგეთში იყო შემთხვევები, როცა სამხედრო მასალით გემების დატვირთვის ცდა ამაო ხდებოდა, რადგან ნავსადგურის მუშები გაფიცვებს აწყობდნენ და ამბობდნენ, რომ ისინი არ დაუშვებენ იმ გემების დატვირთვას, რომელთაც განადგურების საჭურველი მიაქვთ საბჭოთა რუსეთშიო. და ინგლისელი იმპერიალისტებიც იძულებული ხდებოდნენ სხვა-

ქვეყნებიდან მიეღოთ ეს საჭურველი, ატყუებდნენ რა საკუთარ ხალხს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მათ საბჭოთა რუსეთში გადმოსხეს რამდენიმე ასეული თუ ათასი რუსი თეთრგვარდიელი ოფიცერი. ინგლისში არსებობს ბანაკები, სადაც მოთავსებული ჰყავთ ეს თეთრგვარდიელი ოფიცრები, აჭმევენ მათ და წვრთნიან რუსეთზე შესევისათვის, ხოლო შემდეგ კი ამბობენ, ეს შინაური ომია, ბოლშევიკების ტერორით გამოწვეულიო. ბანაკები, რომლებსაც წინათ ჩვენი ტყვეებით ავსებდნენ, ახლა რუსი თეთრგვარდიელი ოფიცრებითაა გატენილი. სწორედ ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ, როდესაც ჩვენ ლიტვისა და ლატვიის მხრივ დროებითს ზავს ველოდებოდით, მტერმა პირველ დღეებში ასე დიდ წარმატებებს მიაღწია, გადმოისროლა რა ეს ძალები პეტროგრადის ფრონტზე. ახლა თქვენ იცით, რომ პეტროგრადის ფრონტზე გარდატეხა მოხდა. ზინოვიევისა და ტროცკის ცნობებიდან თქვენ იცით, რომ დანაკლისი უკვე შევსებულია, რომ წინანდელ მერყეობას ბოლო მოეღო, რომ ჩვენი ჯარები უტევენ და უტევენ წარმატებით, ძლევენ რა უსასტიკეს წინააღმდეგობას. ეს ბრძოლები განსხვავდებიან არაჩვეულებრივი სიმძაფრით. ამხ. ტროცკიმ ტელეფონით მაცნობა პეტროგრადიდან, რომ დეტსკოე სელოში, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ავიღეთ, ცალკეული სახლებიდან ისროდნენ თეთრგვარდიელები და დარჩენილი ბურჟუაზია, ისინი ფრიად შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევენ, უფრო მეტს, ვიდრე ყველა წინა ბრძოლაშიო. მტერი გრძნობს, რომ გარდატეხა ხდება მთელ ომში და რომ დენიკინი ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, როცა საჭიროა მისთვის დახმარების აღმოჩენა და მის წინააღმდეგ მიმართული ჩვენი ძალების დაბანდება. შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ეს მათ ვერ შეძლეს. ყველაფერი, რითაც ჩვენ პეტროგრადს დავეხმარეთ, მიღებულ იქნა სამხრეთის ფრონტის სრულიად შეუსუსტებლად. პეტროგრადის ფრონტზე სამხრეთიდან არც ერთი ნაწილი არ ყოფილა გადმოყვანილი, და ის გამარჯვება, რომლის მიღწევაც ჩვენ დავიწყეთ და რომელსაც ბოლომდე მივიყვანთ, განხორციელებული

იქნება სრულიად შეუსუსტებლად სამხრეთის ფრონტისა, სადაც გადაწყდება ომის ბედი მემამულეებისა და იმპერიალისტების წინააღმდეგ. გადაწყდება იქ, სამხრეთის ფრონტზე, ახლო მომავალში.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ, ერთი მხრივ, სამხრეთის ფრონტზე მტერი ყველაზე მეტად ეყრდნობოდა კაზაკებს, რომლებიც იბრძოდნენ თავიანთი პრივილეგიებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, იქ შეიქმნა მოხალისეთა არმიის ყველაზე მეტი პოლკები, რომლებიც, აღშფოთებითა და გაბოროტებით აღვსილნი, იბრძოდნენ თავიანთი კლასის ინტერესებისათვის, მემამულეებისა და კაპიტალისტების ძალაუფლების აღდგენისათვის. ამიტომ აქ ჩვენ გადამწყვეტი ბრძოლის გადახდა მოგვიხდება, და აქ ჩვენ იმასვე ვხედავთ, რაც კოლჩაკის მაგალითზე დავინახეთ, კოლჩაკისა, რომელმაც ჯერ უდიდესი გამარჯვებები მოიპოვა, მაგრამ რაც უფრო გრძელდებოდა ბრძოლა, მით უფრო თხელდებოდა ოფიცრებისა და შეგნებული კულაკობის რიგები, რომლებიც კოლჩაკის მთავარ ძალას შეადგენდნენ, და მით უფრო მეტი მუშებისა და გლეხების აყვანა უხდებოდა მას. მათ ეხერხებათ სხვისი ხელებით ბრძოლა, მათ არ უყვართ საკუთარი თავის გამეტება და ამჯობინებენ, რომ მუშები სწირავდნენ თავს მათი ინტერესების გულისათვის. და როდესაც კოლჩაკს მოუხდა თავისი არმიის გადიდება, ამ გადიდებამ ის გამოიწვია, რომ ასეული ათასები გადმოვიდნენ ჩვენს მხარეზე. ათეულობით თეთრგვარდიელი ოფიცრები და კაზაკები, კოლჩაკისაგან გადმოსულნი, ამბობდნენ: კოლჩაკი რომ ბითუმად და ნაწილ-ნაწილ ჰყიდის რუსეთს, ამაში დავრწმუნდით და, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკურ შეხედულებებს არ ვიზიარებდით, წითელი არმიის მხარეზე გადმოვდიოდითო. ასე დაამთავრა კოლჩაკმა, ასე დაამთავრებს დენიკინიც. დღეს თქვენ საღამოს გაზეთებში წაიკითხავდით აჯანყებათა შესახებ დენიკინის ზურგში, — უკრაინას ცეცხლის ალი ედება. ჩვენ ცნობები გვაქვს კავკასიის ამბების შესახებ, სადაც სასოწარკვეთილებამდე მისული მთიულები ეკვეთნენ შკოროს პოლკებს და ხელცარიელი

დატოვეს ისინი, წაართვეს რა შაშხანები და საჭურველი. გუშინ ჩვენ მივიღეთ უცხოური რადიო, რომელიც იძულებულია აღიაროს, რომ დენიკინის მდგომარეობა მძიმეა: მას საუკეთესო ძალების ჩაბმა უხდება ბრძოლაში, რადგან უკრაინა ცეცხლის ალშია გახვეული და კავკასიაშიც აჯანყებაა. დგება მომენტი, როცა დენიკინმა ყველაფერი სასწორზე უნდა დადოს. ჯერ არასდროს არ ყოფილა ისეთი სისხლისმღვრელი, გამძვინვარებული ბრძოლები, როგორიც ორიოლთანაა, სადაც მტერი ბრძოლაში აბამს საუკეთესო პოლკებს, ეგრეთწოდებულ «კორნილოვის» პოლკებს, რომელთა შემადგენლობის მესამედი ყველაზე უფრო კონტრრევოლუციური, ყველაზე უფრო გაწვრთნილი, მუშებისა და გლეხებისადმი სიძულვილით ყველაზე უფრო გააფთრებული ოფიცრებია, რომლებიც იცავენ საკუთარი მემამულური ძალაუფლების პირდაპირ აღდგენას. აი რატომ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ახლა გადამწყვეტი მომენტი ახლოვდება სამხრეთის ფრონტზე. გამარჯვებამ ორიოლთან და ვორონეჟთან, სადაც მტრის დევნა გრძელდება, ცხადყო, რომ აქაც, ისე როგორც პეტროგრადთან, გარდატეხა უკვე მოხდა. მაგრამ ჩვენ ეს წვრილმანი და ნაწილობრივი შეტევა უნდა გადავაქციოთ მასობრივ, უდიდეს შეტევად, რომელიც ბოლომდე მიიყვანს გამარჯვებას.

აი რატომ ვასრულებთ თქვენს სურვილს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მსხვერპლის გაღება, — ფრონტზე გაგზავნა ასობით კურსანტებისა, რომლებიც თავმოყრილია აქ და აშკარად საჭიროა რუსეთში სამუშაოდ, — ძალიან მძიმეა ჩვენთვის. იქ, სამხრეთისა და პეტროგრადის ფრონტებზე, უახლოეს კვირეებში თუ არა, ყოველ შემთხვევაში თვეებში მაინც, წყდება ომის ბედი. ასეთ მომენტში ყოველმა შეგნებულმა კომუნისტმა უნდა თქვას: ჩემი ადგილია იქ, სხვებზე წინ ფრონტზე, სადაც ძვირფასია სკოლაგავლილი ყოველი შეგნებული კომუნისტი.

თუ ჯარი შედრკა, ეს გამოწვეულია იმით, რომ ხალხი დაიღალა ომით. თქვენ მშვენივრად იცით, თუ როგორი შიმშილი, ნგრევა და წამება გადაიტანა ამ ორი წლის განმავლობაში მუშამ და გლეხმა მთელი მსოფლიოს იმპერიალისტების წინააღ-

მდეგ ბრძოლაში. თქვენ იცით, რომ მეტისმეტად დაღლილნი დიდხანს ვერ უძლებენ დაძაბულობას, და ამ მომენტით სარგებლობს მტერი, რომელსაც უკეთესი კავშირი აქვს, მეთაურთა შემადგენლობა უკეთესი ჰყავს და არც მოღალატენი ჰყავს, — და მთელი ძალებით გვიტევს. სწორედ ამით იყო გამოწვეული წარუმატებლობანი სამხრეთის ფრონტზე. სწორედ ამიტომაც მუშებისა და გლეხების ყველაზე შეგნებული წარმომადგენლები, რომლებმაც გაიარეს სამხედრო კურსები და თქვენი კურსების მსგავსი კურსები, ორგანიზებულად, დარაზმულად, დიდ თუ მცირე ჯგუფებად დანაწილებულნი სამხედრო ხელისუფლებთან შეთანხმებით, მოვალეობათა ურთიერთშორის განაწილების შემდეგ, უნდა დაიძრან ფრონტისაკენ, რათა მიეშველონ ჯარებს, რომელთა შორის თავი იჩინა ერთგვარმა მერყეობამ, სადაც უფრო ძლიერია მტრების იერიში. ყოველთვის, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ორი წლის მანძილზე, როცა თავს იჩენდა ხოლმე ერთგვარი მერყეობა გლეხთა მასაში, რომელსაც არ უნახავს საბჭოთა მუშაობა და რომელიც არ იცნობს მას, ჩვენ დახმარებისათვის მივმართავდით ქალაქის პროლეტარიატის ყველაზე უფრო ორგანიზებულ ნაწილს და მისგან ვიღებდით უაღრესად გმირულ დახმარებას.

დღეს მე ვნახე ამხანაგი ივანოვო-ვოზნესენსკელი მუშები, რომელთაც პასუხისმგებელ მუშაკთა მთელი შემადგენლობის დაახლოებით ნახევარი მოუხსნიათ ფრონტზე გასაგზავნად. ერთმა მათგანმა მე დღეს მიამბო, როგორი ენთუზიაზმით აცილებდნენ მათ ათი ათასობით უპარტიო მუშები, როგორ მივიდა მათთან ერთი მოხუცი, უპარტიო, და უთხრა: «ნუ სწუხართ, წადით, თქვენი ადგილი იქ არის, აქ კი თქვენს მაგივრად ჩვენ გავართმევთ თავსო». აი, როდესაც უპარტიო მუშებში ასეთი განწყობილება ჩნდება, როდესაც უპარტიო მასები, რომლებიც სავსებით ჯერ კიდევ ვერ ერკვევიან პოლიტიკურ საკითხებში, ხედავენ, რომ ჩვენ პროლეტარიატისა და გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლებს ვგზავნით ფრონტზე, სადაც ისინი კისრულობენ ყველაზე ძნელ, ყველაზე

პასუხსაგებ და მძიმე ვალდებულებებს, და სადაც მათ მოუხდებათ პირველ რიგებში ყველაზე მეტი მსხვერპლის გაღება და თავგანწირულ ბრძოლებში დაღუპვა, — ჩვენი მომხრეთა რიცხვი შეუგნებელ უპარტიო მუშებსა და გლეხებში ერთიათად იზრდება, და შემდრკალი, დასუსტებული, დაღლილი ჯარები ნამდვილ სასწაულებს ახდენენ.

აი, ამხანაგებო, ის დიდი, მძიმე და ძნელი ამოცანა, რომელიც მხრებზე გაწევთ. მათთვის, ვინც ფრონტზე მიდის, როგორც მუშებისა და გლეხების წარმომადგენლები, არჩევანი არ არსებობს. მათი ლოზუნგი უნდა იყოს — სიკვდილი ან გამარჯვება. თვითეულმა თქვენგანმა უნდა იცოდეს როგორ მიუდგეს ყველაზე ჩამორჩენილ, ყველაზე შეუგნებელ წითელარმიელებს, რათა მეტად გასაგები ენით, მშრომელი ადამიანის თვალსაზრისით, განუმარტოს მდგომარეობა, დაეხმაროს მათ გაჭირვების დროს, გაუქარწყლოს ყოველგვარი მერყეობა, ასწავლოს მათ როგორ ებრძოლონ საბოტაჟის, მოდუნების, მოტყუებისა და ღალატის მრავალრიცხოვან გამოხატულებას. თქვენ იცით, რომ ასეთი გამოხატულებანი ჯერ კიდევ ბევრია ჩვენს რიგებში და მეთაურთა შემადგენლობაში. აქ საჭირო არიან ისინი, ვინც გაიარა მეცნიერების განსაზღვრული კურსი, ვისაც ესმის პოლიტიკური მდგომარეობა და შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს მუშებისა და გლეხების ფართო მასებს მათ ბრძოლაში ღალატთან ან საბოტაჟთან. გარდა პირადი სიმამაცისა, საბჭოთა ხელისუფლება თქვენგან მოელის, რომ ყოველმხრივი დახმარება გაუწიოთ ამ მასებს, მოსპოთ ყოველგვარი მერყეობა მათში და უჩვენოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ჰყავს ძალები, რომელთაც იგი მიმართავს ყოველგვარი გაჭირვების ჟამს. ასეთი ძალები ჩვენ საკმარისი რაოდენობით გვყავს.

ახლა, ვიმეორებ, ჩვენ ამ დიდი მსხვერპლის გაღება გვიხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მთავარი და უკანასკნელი ფრონტია, სადაც ყველა ნიშნის მიხედვით უახლოეს კვირეებში ან თვეებში გადაწყდება მთელი სამოქალაქო ომის ბედი. აქ ჩვენ შეგვიძლია ერთხელ და სამუდამოდ ისეთი ლახვარი ჩავცეთ მტერს, რომლისგანაც ის წელში ვეღარ გაიმართება.

და თეთრგვარდიელებთან სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, — ბრძოლისა, რომელიც მათ თავს მოგვახვიეს, ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, გადავალთ ჩვენს საქმეზე, ნამდვილი მშენებლობის საქმეზე, უფრო თავისუფალნი, გაათკეცებული ენერგიით. აი, ამხანაგებო, რატომ მივესალმები მე თქვენთაგან იმათ, ვინც ამჟამად კისრულობს ამ უძნელეს და უდიდეს ამოცანას — ბოლომდე ბრძოლას ფრონტის მოწინავე რიგებში, და ვემშვიდობები მათ სრული რწმენით, რომ ისინი სრულ და საბოლოო გამარჯვებას მოგვიტანენ.

«პრავდა» №№ 240 და 241;
1919 წ. 26 და 28 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

# ამხანაგ ლოკრიოს და ყველა ფრანგ მეგობარს, რომლებიც III ინტერნაციონალს მიემხრნენ

28. X. 1919.

ძვირფასო მეგობარო! სულითა და გულით მადლობას გიძღვნით წერილისათვის, რომელიც მით უფრო საგულისხმოა ჩვენთვის, რაც უფრო იშვიათად ვგებულობთ თქვენგან ამბებს.

საფრანგეთში, ისე როგორც ინგლისში, ძლევამოსილმა იმპერიალიზმმა არათუ გამდიდრების საშუალება მისცა წვრილი ბურჟუების განსაზღვრულ რიცხვს, არამედ შეუძლია «მოწყალება» გადაუგდოს მუშების ზედაფენასაც, მუშათა კლასის ამ არისტოკრატიას, მოისყიდოს იგი, დააინტერესოს იგი ნამცეცების მიღებით იმპერიალისტური მოგებიდან, კოლონიების ძარცვიდან და სხვ.

მაგრამ ომით გამოწვეული კრიზისი იმდენად დიდია, რომ თვით გამარჯვებულ ქვეყნებშიც კი მშრომელთა მასა საშინელ სიღატაკეშია ჩავარდნილი. აქედან გასაგებია კომუნიზმის სწრაფი ზრდა, სიმპათიის ზრდა საბჭოთა ხელისუფლების, III ინტერნაციონალის მიმართ.

რა თქმა უნდა, თქვენ კიდევ დიდხანს მოგიხდებათ ბრძოლა ლონგეს ყაიდის განსაკუთრებით გაქნილ ფრანგულ ოპორტუნიზმთან. «გამოცდილი» პარლამენტარიები და პოლიტიკანები ჯერ კიდევ ბევრჯერ შეეცდებიან დასჯერდნენ რევოლუციური ტაქტიკისა და პროლეტარიატის დიქტატურის სიტყვიერ აღიარებას, საქმით კი ახალი ხრიკებითა და ფანდებით მოატყუონ პროლეტარიატი, როგორც მოატყუეს იგი ლონგემ.

მერჰეიმმა და კომპანიამ 21 ივლისს [20], განაგრძონ ძველი ოპორტუნისტული პოლიტიკა, კი არ დაეხმარონ, არამედ ზიანი მიაყენონ და ხელი შეუშალონ რევოლუციას. საფრანგეთსა და ინგლისში მუშების ძველი, გახრწნილი ბელადები ამის მსგავს ათასნაირ ცდას მოახდენენ.

მაგრამ ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ კომუნისტები, რომლებიც პროლეტარიატის მასასთან მჭიდრო კავშირში მუშაობენ, შეძლებენ ამ ცდის გატეხასა და დაძლევას. რაც უფრო მტკიცედ და გადაჭრით იმოქმედებენ კომუნისტები, მით უფრო მალე მიაღწევენ ისინი სრულ გამარჯვებას.

კომუნისტური სალამით
ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
1920 წ. 3 იანვარს გაზეთ
«The Workers' Dreadnought»-ში № 41

რუსულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა
1932 წ.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# წერილი გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გათიშვის გამო [21]

ამხანაგ პაულ ლევის, კლარა ცეტკინს, ედგერლეინსა და გერმანიის კომუნისტური პარტიის ც. კ-ის ყველა წევრს

28. X. 1919.

ძვირფასო მეგობრებო! პრესაში გამოსაქვეყნებლად მე თქვენ გამოგიგზავნეთ 1919 წლის 10 ოქტომბრით დათარიღებული წერილი: «სალამი ფრანგ, იტალიელ და გერმანელ კომუნისტებს» და იქ, სხვათა შორის, შევეხე თქვენს უთანხმოებას ბოიკოტის მომხრეებთან, ნახევრადსინდიკალისტებთან და სხვ.. დღეს გერმანიის მთავრობის რადიოთი (ნაუენიდან) მე ვგებულობ თქვენი პარტიის გათიშვის შესახებ: თუმცა წყარო ბინძურია, მაგრამ, ალბათ, ამ შემთხვევაში ის მართალს ამბობს, რადგან გერმანიიდან ჩვენი მეგობრების მიერ გამოგზავნილი წერილებიც გათიშვის შესაძლებლობაზე ლაპარაკობს.

არ მჯერა ამ რადიოს მხოლოდ ის ცნობა, რომ თქვენ, გაქვთ რა 25 ხმა 18-ის წინააღმდეგ, პარტიიდან გ ა რ ი ც ხ ე თ უმცირესობა, რომელმაც, თითქოს, შემდგომ საკუთარი პარტია შექმნა. მე ძალიან ცოტა რამ ვიცი ამ გამოთიშული ოპოზიციის შესახებ, მინახავს მხოლოდ ბერლინის «Rote Fahne»-ს * ზოგიერთი ნომერი. მეტად ნიჭიერი აგიტატორები არიან, მაგრამ გამოუცდელნი, ახალგაზრდები, მსგავსად 1918 წლის ჩვენი «მემარცხენე კომუნისტებისა» (გამოუცდელობითა და ახალგაზრდობით), — ასეთია ჩემი შთაბეჭდილება. თუ თანხმობა იქნება ძ ი რ ი თ ა დ შ ი (მხარდაჭერა საბჭოების ძალაუფლებისათვის ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის წინააღმდეგ),

* — «წითელი დროშა». რ ე დ.

გაერთიანება, ჩემი აზრით, შესაძლებელია და აუცილებელიც — ისევე, როგორც აუცილებელია კაუცკელებთან გათიშვა. თუ გათიშვა გარდუვალი აღმოჩნდა, უნდა ვეცადოთ არ გავაღვივოთ იგი, შუამავლობისათვის მივმართოთ III ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს, ვაიძულოთ «მემარცხენეები» ჩამოაყალიბონ, თეზისებსა და ბროშურაში, მათი უთანხმოება. ინტერნაციონალური თვალსაზრისით, გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთიანობის აღდგენა შესაძლებელიც არის და აუცილებელიც. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ თქვენს წერილს მივიღებ ამ თემაზე. ამასთანავე ვურთავ წერილს გამოთიშულთადმი — იმედი მაქვს, მას გადასცემთ ჩემი სტატიის დაბეჭდვის დროისთვის, სტატიისა, რომელიც სავსებით ცნობს თქვენს სიმართლეს და დაწერილია გათიშვის შესახებ ცნობის მ ი ღ ე ბ ა მ დ ე.

მაგრად გართმევთ ხელს და მხურვალედ გისურვებთ წარმატებას მძიმე მუშაობაში. მთელ მსოფლიოში კომუნისტური მოძრაობა ჩინებულად იზრდება — უფრო ნელა, ვიდრე ჩვენ გვსურს, მაგრამ ფართო, მძლავრი, ღრმა და უძლეველი. ისევე როგორც რუსეთში, ყველგან გამოისახა «მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების» («II ინტერნაციონალის») ბატონობის სტადია. ამ ბატონობას მოჰყვება კომუნისტების ბატონობა, პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება.

კომუნისტური სალამით

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად გამოქვეყნდა
1932 წ.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# ამხანაგ კომუნისტებს, რომლებიც შედიან საერთო «გერმანიის კომუნისტურ პარტიაში» და რომლებმაც ახლა ახალი პარტია შეადგინეს

28. X. 1919.

ძვირფასო ამხანაგებო! მე მხოლოდ დღეს გავიგე გერმანიის მთავრობის მოკლე რადიო-დეპეშით (ნაუენიდან) გათიშვის შესახებ. ჩემი სტატია: «სალამი ფრანგ, იტალიელ და გერმანელ კომუნისტებს» მე დავწერე გათიშვის შესახებ ცნობების მიღებამდე.

ამ სტატიაში მე შევეცადე ინტერნაციონალური კომუნიზმის თვალსაზრისით შემეფასებინა თქვენი პოზიცია, რამდენადაც მე მას გავეცანი ბერლინის გაზეთის «**Rote Fahne**» *-ს ცალკეული ნომრების მიხედვით. ჩემი რწმენით, კომუნისტებს, რომლებიც ეთანხმებიან ერთმანეთს ძირითადში, — პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლებისთვის ბრძოლაში, შეურიგებლად მტრულად არიან განწყობილი ყველა ერის შეიდემანელებისა და კაუცკელების მიმართ, — შეეძლოთ და კიდევაც უნდა გამოსულიყვნენ ერთსულოვნად. ჩემი აზრით, უთანხმოება უფრო ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხებში შეიძლება გაქრეს და უეჭველად გაქრება კიდეც: ასეთი შედეგი გამოწვეული იქნება მართლაც მრისხანე მტრის, ბურჟუაზიის, მის პირდაპირ (შეიდემანელები) და ფარულ (კაუცკელები) მსახურთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ლოგიკით.

მე არ შევდივარ III ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის გერმანიის კომუნის-

* — «წითელი დროშა». რედ.

ტებს შესთავაზებს თავის სამსახურს გერმანული კომუნიზმის ერთიანობის აღდგენის საქმეში. გასაკვირი არ არის, რომ გააფთრებულმა დევნამ, არალეგალური გახადა რა პარტია, გააძნელა მისი მუშაობა, გააძნელა აზრთა წესიერი გაცვლა-გამოცვლა და საერთო ტაქტიკის შემუშავება. უთანხმოების გულდასმით განხილვას, აზრთა გაცვლა-გამოცვლას ინტერნაციონალური მასშტაბით შეეძლო დახმარება გაეწია გერმანული კომუნიზმის საქმისათვის და მისი ძალების დარაზმვისათვის.

მე დიდი მოხარული ვიქნებოდი, აზრთა გაცვლა-გამოცვლას რომ შევძლებდეთ ამ საკითხებზე.

კომუნისტური სალამით
ნ. ლ ე ნ ი ნ ი

**იბეჭდება პირველად,**
**ხელნაწერის მიხედვით**

# ამხანაგ სერატის და საერთოდ იტალიელ კომუნისტებს

29. X. 1919.

ძვირფასო მეგობარო! ცნობები, რომელთაც იტალიიდან ვღებულობთ, ძალიან მცირეა. მხოლოდ უცხოური (არა კომუნისტური) გაზეთებიდან გავიგეთ თქვენი პარტიის ბოლონიის ყრილობის შესახებ და კომუნიზმის ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ. მთელი სულითა და გულით გილოცავთ თქვენ და ყველა იტალიელ კომუნისტს და გისურვებთ საუკეთესო წარმატებებს. იტალიის პარტიის მაგალითს უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი მსოფლიოსათვის. კერძოდ თქვენი ყრილობის გადაწყვეტილება ბურჟუაზიული პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, ჩემი აზრით, სავსებით სწორია და, იმედი მაქვს, ის ხელს შეუწყობს ამის გამო ახლახან გათიშული გერმანიის კომუნისტური პარტიის გაერთიანებას.

ეჭვი არ არის, აშკარა და ფარული ოპორტუნისტები, რომლებიც ასე ბევრნი არიან იტალიის პარტიის პარლამენტარიებში, შეეცდებიან გვერდი აუარონ ბოლონიის ყრილობის გადაწყვეტილებებს, არარად აქციონ ისინი. ამ მიმდინარეობებთან ბრძოლა ჯერ სულაც არ დამთავრებულა. მაგრამ ბოლონიაში მიღწეული გამარჯვება გააადვილებს შემდგომ გამარჯვებებს.

იტალიის საერთაშორისო მდგომარეობის გამო იტალიის პროლეტარიატის წინაშე ძნელი ამოცანები დგას. შესაძლებელია, რომ ინგლისი და საფრანგეთი, იტალიის ბურჟუაზიის

მონაწილეობით, შეეცდებიან პროვოკაციულად გამოიწვიონ იტალიის პროლეტარიატის უდროო აჯანყება, რათა უფრო ადვილად ჩააქრონ იგი. მაგრამ პროვოკაცია მათ არ გაუვათ. იტალიელი კომუნისტების ბრწყინვალე მუშაობა იმის თავდებია, რომ ისინი ასეთივე წარმატებით შეძლებენ მთელი სამრეწველო და მ თ ე ლ ი ს ო ფ ლ ი ს პროლეტარიატისა და წვრილი გლეხობის მიმხრობას და მაშინ, მარჯვე საერთაშორისო მომენტის შერჩევისას, პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება იტალიაში მტკიცე იქნება. ამის თავდებია აგრეთვე კომუნისტების წარმატებანი საფრანგეთში, ინგლისსა და მთელ მსოფლიოში.

კომუნისტური სალამით

ნ. ლ ე ნ ი ნ

დაიბეჭდა იტალიურ ენაზე
1919 წ. 5 დეკემბერს გაზეთ
«Avanti!»-ში (რომი) № 332

**რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1932 წ.**

**იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით**

# პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ

დაწერილია 1919 წ. სექტემბერ — ოქტომბერში

პირველად დაიბეჭდა 1925 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დამუშავების მიზნით ბროშურაში საკითხი იყოფა 4 დიდ განყოფილებად:

*A*)) პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმები (სხვანაირად: მისი ახალი სტადია, ახალი ამოცანებით).

*B*)) პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიის დანგრევა და პროლეტარული დემოკრატიის შექმნა.

*C*)) პროლეტარიატის დიქტატურა და იმპერიალიზმის (ანუ კაპიტალიზმის იმპერიალისტური სტადიის) თავისებურებანი.

*D*)) პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოთა ხელისუფლება.

დამუშავების გეგმა ამ 4 განყოფილების მიხედვით:

## I (A) პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმები

1. «სოციალისტების» მიერ პროლეტარიატის დიქტატურის გაუგებლობის ძირითადი

წყარო ის არის, რომ მათ ბოლომდე არ მიჰყავთ კლასობრივი ბრძოლის იდეა (cf.* Marx 1852)[22].

პროლეტარიატის დიქტატურა არის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის **განგრძობა ახალ** ფორმებში. ეს არის თავიდათავი, ეს არ ესმით.

პროლეტარიატი, როგორც **განსაკუთრებული** კლასი, მარტოდმარტო განაგრძობს თავის კლასობრივ ბრძოლას.

2. სახელმწიფო მხოლოდ = პროლეტარიატის **იარაღია** მის კლასობრივ ბრძოლაში. განსაკუთრებული კეტია, rien de plus! **.

ძველი ცრურწმენა სახელმწიფოს შესახებ (cf. «სახელმწიფო და რევოლუცია»). სახელმწიფოს ახალი ფორმები = *B* განყოფილების თემა; აქ მხოლოდ ამისადმი მიდგომაა.

3. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ფორმები, მისი დიქტატურის დროს, არ

* — confer — შეადარე. რედ.
** — მეტი არაფერი! რედ.

შეიძლება წინანდელი იყოს. **ხუთი** ახალი (უმთავრესი) ამოცანა და respective* ახალი ფორმა:

4. ((1)). **ექსპლოატატორების წინააღმდეგობის დათრგუნვა.** ამას, როგორც **ეპოქის** ამოცანას (და შინაარსს), სრულიად ივიწყებენ ოპორტუნისტები და «სოციალისტები».

ექსპლოატატორების წინააღმდეგობა იწყება მათ **დამხობამდე** და შემდეგ **მწვავდება ორი** მხრივ. ბრძოლა **ბოლომდე** თუ «ლაყბობა» (კ. კაუცკი, წვრილი ბურჟუაზია, «სოციალისტები»).

აქედან:

(αα) კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებული (უდიდესი) გააფთრება.

(ββ) წინააღმდეგობის ახალი ფორმები, რომლებიც შეეფერება კაპიტალიზმს და მის უმაღლეს სტადიას (შეთქმულებები + საბოტაჟი + ზემოქმედება წვრილ ბურჟუაზიაზე, etc. etc.**)

და კერძოდ

5. ((2)) (γγ) **სამოქალაქო ომი.**

რევოლუცია საერთოდ და სამოქალაქო ომი (1649.1793.) cf. **კ. კაუცკი** 1902 «სოციალურ რევოლუციაში».

სამოქალაქო ომი და პარტიათა «მოსპობა» (კ. კაუცკი).

---

* — შესაბამისად. რ ე დ.

** — et cetera — და სხვა. რ ე დ.

სამოქალაქო ომი კაპიტალიზმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის ეპოქაში.

იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად. («სოციალისტების» უმეცრება და საძაგელი სილაჩრე.)

cf. Marx 1870[23]: შეასწავლის პროლეტარიატს იარაღის ხმარებას. 1871—1914 **ეპოქა** და სამოქალაქო ომების **ეპოქა**.

6. ((3)) **წვრილი ბურჟუაზიის, განსაკუთრებით გლეხობის, «ნეიტრალიზაცია».**

კომუნისტური მანიფესტი (რეაქციული და რევოლუციურია «იმდენად რამდენადაც»)[24].

**კ. კაუცკი** «Agrarfrage» *-ში ნეიტრალიზაცია—იგივე აზრი **verballhornt** **.

«ნეიტრალიზაცია» პრაქტიკულად

- აღკვეთა ძალით
- (ენგელსი 1895)
- მაგალითი
- დარწმუნება etc. etc.

მიზიდვა + აღკვეთა, «იმდენად რამდენადაც».

ტერორი და სამოქალაქო ომი.

α) **რუსეთი**, უნგრეთი, **ფინეთი, გერმანია.**
β) შვეიცარია და ამერიკა.

+ სამოქალაქო ომის რევოლუციურ ომებთან შეერთების გარდუვალობა (cf. რკპ-ის პროგრამა).

«გაბატონებული კლასი». ბატონობა გამორიცხავს «თავისუფლებასა და თანასწორობას».

ამ ცნებათა კლასობრივი შინაარსია «გაუძღვე», «უხელმძღვანელო», «თან გაიყოლიო».

NB*** | გლეხი და მუშა. გლეხი როგორც მშრომელი და გლეხი როგორც ექსპლოატატორი (სპეკულანტი, მესაკუთრე). «იმდენად რამდენადაც». მერყეობა ბრძოლის

* — «აგრარულ საკითხში». რ ე დ.

** — გაუარესებულია გასწორების სახით. რ ე დ.

*** — Nota bene — დაიხსომეთ. რ ე დ.

| მსვლელობაში. ბრძოლის **გამოცდილება.**

«მხოლოდ რეაქციული მასა»: ენგელსი 1875 მიაკუთვნებს **კომუნას** [25].

7. ((4)). **ბურჟუაზიის «გაშოყენება».**

«სპეცები». არათუ წინააღმდეგობის დათრგუნვა, არათუ «ნეიტრალიზაცია», არამედ სამუშაოზე აყვანა, იძულება პროლეტარიატს ემსახურონ.

Cf. რკპ-ის პროგრამა. «სამხედრო სპეციალისტები».

8. ((5)). **ახალი დისციპლინის გამომუშაგება.**

(α) პროლეტარიატის დიქტატურა და პროფესიული კავშირები.

(β) პრემიები და სანარდო ხელფასი.

(γ) პარტიის წმენდა და მისი როლი.

(δ) «კომუნისტური შაბათობები».

## II (B) პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც გურჟუაზიული დემოკრატიის დანგრევა და პროლეტარული დემოკრატიის შექმნა

9. დიქტატურა და დემოკრატია, როგორც «ზოგადი» (კ. კაუცკის მიხედვით «წმინდა») ცნებები.

სახელმწიფო და «თავისუფლება» (cf. ენგელსი 1875) [26].

| | |
|---|---|
| დიქტატურა როგორც დემოკრატიის უარყოფა. ვისთვის? | |
| აბსტრაქტული (წვრილბურჟუაზიული) დემოკრატიული თვალსაზრისი და მარქსიზმი (კლასობრივი ბრძოლა). | |
| დეფინიცია *. ძალმომრეობა (ენგელსი). | |
| 10. «თავისუფლება». = საქონელმფლობელისა. | |
| რეალური თავისუფლება დაქირავებული მუშებისათვის;— გლეხებისათვის. | |
| თავისუფლება ექსპლოატატორებისათვის. | |
| თავისუფლება ვისთვის? | |
| » ვისგან? რისგან? | |
| » რაში? | |
| 11. «თანასწორობა». ენგელსი ანტი-დიურინგში (ცრურწმენაა, თუ კლასთა მოსპობაზე შორს მიდის) [27]. | თანასწორობა საქონელმფლობელთა. |
| თანასწორობა ექსპლოატირებულისა ექსპლოატატორთან. | |
| » მშიერისა მაძღართან. | |

* — განსაზღვრა. რედ.

თანასწორობა მუშისა გლეხთან.

თანასწორობა ვისი ვისთან? რაში?

12. გადაწყვეტა უმრავლესობის მიხედვით.

მისი პირობები: ფაქტიური თანასწორობა (კულტურა)

ფაქტიური თავისუფლება

Cf. პრესა, კრებები etc.

ყველა თანასწორია, **მიუხედავად** ფულისა, კაპიტალისა, მიწისა...

13. გადაწყვეტა უმრავლესობის მიხედვით. მისი მეორე პირობაა=მორჩილების «კეთილსინდისიერება».

რეფორმიზმის უტოპია.

კაპიტალიზმის შელამაზება.

ჯერ უნდა დავამხოთ ფულის უღელი, კაპიტალის ბატონობა, კერძო საკუთრება, შემდეგ **ამ** ახალ ნიადაგზე «კეთილსინდისიერების» ხანგრძლივი ზრდა.

14. **ბურჟუაზიულ**-დემოკრატიული რესპუბლიკის რეალობა.

Engels-ი ბირჟასთან და კაპიტალთან მთავრობის კავშირის შესახებ[18].

მოქრთამვა
პრესა
მოტყუება
კრებები
პარლამენტი
ჩვეულება
კაპიტალის ზემოქმედება
(საზოგადოებრივი აზრი etc.).

ფორმალური თანასწორობა ბურჟუაზიული ჩაგვრის, კაპიტალის ბატონობის, დაქირავებული მონობის შენარჩუნებისას.

15. იმპერიალისტური ომი 1914—1918, როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიის «უკანასკნელი სიტყვა».

«ზავი» 1918—1919.

საგარეო პოლიტიკა.

არმია და ფლოტი.

16. ბიუროკრატია. სასამართლოები. მილიტარიზმი.

ბურჟუაზიის დიქტატურა, რომელიც იფარება პარლამენტური ფორმებით.

17. გადაწყვეტა უმრავლესობის მიხედვით და უმრავლესობის **ძალა**. «პროლეტარიატის» 51%.

| | |
|---|---|
| იმპერიალისტური გავლენა, წვრილი ბურჟუაზიის მდგომარეობა etc. «ნახევრადპროლეტარიატი». | versus* 20 პრ.+40? ½ პრ. |

18. მშვიდობიანი კენჭისყრა და გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ეკონომიური და პოლიტიკური პირობები.

---

* — მიმართ. რედ.

გადაწყვეტა «ყველას» მიერ? წინააღმდეგ მერყეთა და გარდა ექსპლოატატორებისა.

ნების გამომჟღავნების მოტივები (ბურჟუაზიული ვითარება).

ჯერ «გადაწყვეტა», შემდეგ მშვიდობიანი კენჭისყრა?

ჯერ კლასობრივი ბრძოლის განვითარება.

ბურჟუაზიული ვითარების, ბურჟუაზიის მხრივ ნების მოტივაციის რეალური პირობების დანგრევა.

19. დემოკრატიზმის რეალობა პროლეტარული დემოკრატიის დროს.

დემოკრატიზმის წარმატებანი: ყრილობები, კრებები, პრესა, რელიგია, ქალები, ჩაგრული ერები.

20. ისტორიული გარდატეხა ბურჟუაზიული დემოკრატიიდან პროლეტარული დემოკრატიისაკენ.

პირველის «გადაზრდა», «შეცოცება» თუ მსხვრევა, მეორის წარმოშობა? = რევოლუცია თუ ურევოლუციოდ? პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება ახალი კლასის მიერ, ბურჟუაზიის დამხობა თუ კლასთა მორიგება, შეთანხმება?

## III (C.) პროლეტარიატის დიქტატურა და იმპერიალიზმის თავისებურებანი

21. იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია.

ჩემი წიგნის რეზიუმე.

დეფინიცია.

22. კოლონიები და დამოკიდებული ქვეყნები.

პროლეტარიატის აჯანყება საკუთარი ქვეყნის

ბურჟუაზიის წინააღმდეგ + ხალხთა აჯანყება კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში.

რევოლუციურ-პროლეტარული და ნაციონალური ომები (cf. რკპ-ის პროგრამა).

23. მიწის მიტაცება «ერთა ლიგის» მიერ.

«ერთიანი» მჩაგვრელი. ბრძოლის კონცენტრაცია.

ეტაპების ნაირსახეობა.

24. პროლეტარიატის ბურჟუაზიული ზედაფენი.

1852—1892 ენგელსი და Marx-ი [29].

1872 Marx-ი ინგლისის ტრედ-უნიონების ბელადების შესახებ [30].

Labor lieutenants of the capitalist class*.

სოციალ-შოვინიზმი.

გათიშვა 1915—1917 «ცენტრი».

1917—1919 (cf. რკპ-ის პროგრამა).

2 მთავარი «ნაკადი»: გამყიდველნი და ფილისტერები.

*Vorwärts* («Radikalisierung der englischen Arbeiter»). . «eine gewisse Grösse»** ბოლშევიკებისა.

*Wiener «Arbeiter Zeitung»**** № 180 (2.VII.1919) Friedrich Adler-ი მოხსენებაში.

ΣΣΣ **** მოღალატის სოფიზმები.

---

* — კაპიტალისტთა კლასის მუშა ნოქრები. რ ე დ.

** — «წინ» («ინგლისის მუშების გამემარცხენება»)... «გარკვეული ძალა». რ ე დ.

*** — «ვენის მუშათა გაზეთი». რ ე დ.

**** — Summa summarum — საერთო ჯამი. რ ე დ.

25. 2 ინტერნაციონალი. კლასის **რევოლუციური** ელემენტების დიქტატურა.

ერთი ქვეყანა და მთელი მსოფლიო.

## IV (D) პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოთა ხელისუფლება

26. საბჭოების წარმოშობა.

1905 და 1917.

27. რუსეთის თავისებურებანი.

კაუცკი: «სლავები და რევოლუცია»

28. საბჭოები და «შემთანხმებლობა»

III—X 1917.

მენშევიკები და ესერები.

1894 (სტრუვე) და 1899 (ბერნშტეინი)

მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები (1917)—1918—1919—1920 — — — (ევროპაში).

29. II ინტერნაციონალის **ბელადთა** უვიცობა და ყეყეჩობა. *Nil** საბჭოების შესახებ.

კაუცკი ბროშურაში **August** ** 1918.

საბჭოები ბრძოლისათვისაა **და არა** სახელმწიფო ძალაუფლებისათვის!!

---

* — არაფერი. **რ ე დ.**

** — აგვისტო. **რ ე დ.**

30. სხვანაირად პროლეტარული **მასა**: კლასობრივი ინსტინქტი!

31. საბჭოს იდეის ტრიუმფალური მსვლელობა მთელ მსოფლიოში.

აღმოჩენილია (პროლეტარიატის მასობრივი მოძრაობით) პროლეტარიატის დიქტატურის ფორმა!!

III ინტერნაციონალი.

32. რსფს რესპუბლიკის საბჭოთა კონსტიტუცია.

მისი 23-ე პარაგრაფი[31]

*N. B.*

საბჭოს იდეის პირდაპირი და **არაპირდაპირი** (გერმანიის კონსტიტუციაში შეტანა) გამარჯვება.

იდეა დაეუფლა მასებს.

1793—1794 versus 1917—1919.



1

[illegible]

2.

[illegible]

**პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში». — 1919 წ. 30 ოქტომბერი**

დაპატარავებული

# ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში

საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის იუბილესათვის განვიზრახე დამეწერა პატარა ბროშურა სათაურში აღნიშნულ თემაზე. მაგრამ ყოველდღიური მუშაობის ორომტრიალში დღემდე ვერ მოვახერხე გავცილებოდი ცალკეული ნაწილების წინასწარ მომზადებას. ამიტომ ვცადე, ჩემი შეხედულებით, ყველაზე უფრო არსებითი აზრების მოკლე, კონსპექტური გადმოცემა ამ საკითხზე. რასაკვირველია, გადმოცემის კონსპექტურ ხასიათს თან ახლავს ბევრი უხერხულობა და ნაკლი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პატარა საჟურნალო სტატიისათვის შესაძლოა მისაღწევი აღმოჩნდეს მცირედი მიზანი: მოგვცეს საკითხის დაყენება და ქარგა ამ საკითხის განსახილველად სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტების მიერ.

## I

თეორიულად ეჭვი არ არის, რომ კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის ძევს ერთგვარი გარდამავალი პერიოდი. ის არ შეიძლება არ აერთიანებდეს საზოგადოებრივი მეურნეობის ორივე ამ წყობის ნიშნებს ან თვისებებს. ეს გარდამავალი პერიოდი არ შეიძლება არ იყოს პერიოდი ბრძოლისა მომაკვდავ კაპიტალიზმსა და წარმოშობის პროცესში მყოფ კომუნიზმს შორის; — ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: დამარცხებულ, მაგრამ ჯერ მოუსპობელ,

კაპიტალიზმსა და წარმოშობილ, მაგრამ ჯერ კიდევ სრულიად ცუსტ, კომუნიზმს შორის.

არათუ მარქსისტისათვის, არამედ ყოველი განათლებული ადამიანისათვის, რომელიც ასე თუ ისე იცნობს განვითარების თეორიას, თავისთავად ნათელი უნდა იყოს აუცილებლობა ძველი ისტორიული ეპოქისა, რომელიც განირჩევა გარდამავალი პერიოდის ამ ნიშნებით. მაგრამ მაინც ყველა ის მსჯელობა სოციალიზმზე გადასვლის შესახებ, რომელიც ჩვენ გვესმის წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის თანამედროვე წარმომადგენლებისაგან (ხოლო ასეთები არიან, მიუხედავად თავიანთი ვითომდა-სოციალისტური იარლიყისა, II ინტერნაციონალის ყველა წარმომადგენელი, ისეთ ადამიანთა ჩათვლით, როგორიც არიან მაკდონალდი და ჟანლონგე, კაუცკი და ფრიდრიხ ადლერი), განირჩევა ამ უადრესად ცხადი ტენშარიტების სრული დავიწყებით. წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს სჩვევიათ ზიზღი კლასობრივი ბრძოლისადმი, ოცნება იმაზე, რომ იოლად წავიდნენ უიმისოდ, მისწრაფება — შეარბილონ და შეარიგონ, დააბალანსონ მახვილი კუთხეები. ამიტომ ასეთი დემოკრატები ან გაურბიან კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის მთელი ისტორიული ხანის ყოველგვარ აღიარებას, ანდა ამოცანად ისახავენ ორივე მებრძოლი ძალის შერიგების გეგმათა შეთხზვას იმის ნაცვლად, რომ უხელმძღვანელონ ერთ-ერთი ამ ძალის ბრძოლას.

## 2

პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში აუცილებლად უნდა განირჩეოდეს ერთგვარი თავისებურებებით მოწინავე ქვეყნებთან შედარებით ჩვენი ქვეყნის ძლიერ დიდი ჩამორჩენილობისა და წვრილბურჟუაზიულობის გამო. მაგრამ ძირითადი ძალები — და საზოგადოებრივი მეურნეობის ძირითადი ფორმები — რუსეთში იგივეა, რაც ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში, ასე რომ ეს თავისებურებანი შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ არა ყველაზე მთავარს.

საზოგადოებრივი მეურნეობის ეს ძირითადი ფორმებია: კაპიტალიზმი, წვრილი სასაქონლო წარმოება, კომუნიზმი. ეს ძირითადი ძალებია: ბურჟუაზია, წვრილი ბურჟუაზია (განსაკუთრებით გლეხობა), პროლეტარიატი.

რუსეთის ეკონომიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში წარმოადგენს კომუნისტურად გაერთიანებული, — უდიდესი სახელმწიფოს ერთიანი მასშტაბით, — შრომის პირველი ნაბიჯების ბრძოლას წვრილ სასაქონლო წარმოებასთან და კაპიტალიზმთან, რომელიც რჩება და აღორძინებასაც განიცდის წვრილი სასაქონლო წარმოების ბაზაზე.

რუსეთში შრომა გაერთიანებულია კომუნისტურად იმდენად, რამდენადაც, ჯერ-ერთი, გაუქმებულია წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, და, მეორე, რამდენადაც პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება საერთო-ნაციონალური მასშტაბით აწყობს მსხვილ წარმოებას სახელმწიფო მიწაზე და სახელმწიფო საწარმოებში, ანაწილებს სამუშაო ძალას მეურნეობის სხვადასხვა დარგთა და საწარმოთა შორის, ანაწილებს სახელმწიფოს კუთვნილ მოხმარების პროდუქტების მასობრივ რაოდენობას მშრომელთა შორის.

ჩვენ ვლაპარაკობთ კომუნიზმის «პირველ ნაბიჯებზე» რუსეთში (როგორც ამას ამბობს აგრეთვე ჩვენი პარტიული პროგრამაც, მიღებული 1919 წლის მარტში), რადგან ყველა ეს პირობა ჩვენში განხორციელებულია მხოლოდ ნაწილობრივ, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ამ პირობათა განხორციელება მხოლოდ დაწყებითს სტადიაში იმყოფება. ერთბაშად, ერთი რევოლუციური დარტყმით, გაკეთებულია ის, რისი გაკეთებაც კი საერთოდ შეიძლება ერთბაშად: მაგალითად, პროლეტარიატის დიქტატურის პირველ დღესვე, 1917 წ. 26 ოქტომბერს (1917 წ. 8 ნოემბერს), გაუქმებულია მიწის კერძო საკუთრება, მსხვილი მესაკუთრეებისათვის საზღაურის მიუცემლად, ექსპროპრიირებული არიან მიწის მსხვილი მესაკუთრენი. რამდენიმე ოვეში ექსპროპრიირებულია, აგრეთვე აუნაზღაურებლად, თითქმის ყველა მსხვილი კაპიტალისტი, ფაბრიკების, ქარხნების,

სააქციო საწარმოთა, ბანკების, რკინიგზების მფლობელნი და სხვ.. მსხვილი წარმოების სახელმწიფო ორგანიზაცია მრეწველობაში, ფაბრიკების, ქარხნების, რკინიგზების მიმართ «მუშათა კონტროლიდან» «მუშათა მართვა-გამგეობაზე» გადასვლა, — ეს, ძირითადად და უმთავრესად, უკვე განხორციელებულია, მაგრამ მიწათმოქმედების მიმართ ეს მხოლოდ ეს-ეს არის დაწყებულია («საბჭოთა მეურნეობები», მსხვილი მეურნეობები, რომლებიც მოწყობილია მუშათა სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო მიწაზე). ასევე მხოლოდ ეს-ეს არის დაწყებულია წვრილ მიწათმოქმედთა სხვადასხვა ფორმის ამხანაგობების ორგანიზაცია, როგორც გადასვლა წვრილი სასაქონლო მიწათმოქმედებიდან კომუნისტურ მიწათმოქმედებაზე *. იგივე უნდა ითქვას კერძო ვაჭრობის ნაცვლად პროდუქტების განაწილების სახელმწიფო ორგანიზაციის შესახებ, ე. ი. პურის სახელმწიფო დამზადებისა და ქალაქებისათვის მიწოდების, ხოლო სოფლისათვის სამრეწველო პროდუქტების მიწოდების შესახებ. ქვემოთ მოყვანილი იქნება ამ საკითხზე არსებული სტატისტიკური მონაცემები.

ბლეხური მეურნეობა კვლავ წვრილ სასაქონლო წარმოებად რჩება. აქ ჩვენ გვაქვს კაპიტალიზმის მეტისმეტად ფართო ბაზა, რომელსაც ძალიან ღრმად და მტკიცედ აქვს გადგმული ფესვები. ამ ბაზაზე კაპიტალიზმი რჩება და კვლავ აღორძინებას განიცდის — კომუნიზმთან უაღრესად გააფთრებულ ბრძოლაში. ამ ბრძოლის ფორმებია: მეტომრეობა და სპეკულაცია, მიმართული პურის (და აგრეთვე სხვა პროდუქტების) სახელმწიფო დამზადების წინააღმდეგ, — საერთოდ პროდუქტების სახელმწიფო განაწილების წინააღმდეგ.

* «საბჭოთა მეურნეობებისა» და «სამიწათმოქმედო კომუნების» რიცხვი საბჭოთა რუსეთში განისაზღვრება დაახლოებით 3 536 და 1 961-ით; სამიწათმოქმედო არტელების რიცხვი — 3 696-ით. ჩვენი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ამჟამად აწარმოებს ყველა საბჭოთა მეურნეობისა და კომუნის ზუსტ აღწერას. შედეგების მიღება დაიწყება 1919 წლის ნოემბერში.

## 3

ამ აბსტრაქტული თეორიული დებულებების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ კონკრეტული მონაცემები.

პურის სახელმწიფო დამზადებამ რუსეთში, სურსათკომის (სასურსათო სახალხო კომისარიატის) მონაცემების მიხედვით, 1917 წ. 1 აგვისტოდან 1918 წ. 1 აგვისტომდე მოგვცა დაახლოებით 30 მილიონი ფუთი. შემდეგ წელში — დაახლოებით 110 მილიონი ფუთი. დამზადების შემდგომი (1919 — 1920) კამპანიის პირველ სამ თვეში, როგორც ჩანს, მიღწეული იქნება ციფრი დაახლოებით 45 მილიონ ფუთამდე, 37 მილიონი ფუთის წინააღმდეგ 1918 წლის იმავე თვეებში (აგვისტო — ოქტომბერი).

ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებს საქმის ნელ, მაგრამ განუხრელად გაუმჯობესებას, კაპიტალიზმზე კომუნიზმის გამარჯვების აზრით. ამ გაუმჯობესების მიღწევა ხდება მიუხედავად მსოფლიოში გაუგონარი სიძნელეებისა, რასაც იწვევს სამოქალაქო ომი, რომელსაც აწყობენ რუსეთის და საზღვარგარეთის კაპიტალისტები მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა მთელი ძალების დაძაბვით.

ამიტომ, როგორც უნდა ცრუობდნენ და ცილს გვწამებდნენ ყველა ქვეყნის ბურჟუები და მათი პირდაპირი და ფარული ხელისშეწყობნი (II ინტერნაციონალის «სოციალისტები»), უეჭველი რჩება: პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ეკონომიური პრობლემის თვალსაზრისით ჩვენში უზრუნველყოფილია კომუნიზმის გამარჯვება კაპიტალიზმზე. მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია სწორედ იმიტომ არის გაოფთრებული და გამძვინვარებული ბოლშევიზმის წინააღმდეგ, იმიტომ აწყობს სამხედრო შემოსევებს, შეთქმულებებსა და სხვ. ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომ მას საუცხოოდ ესმის ჩვენი გამარჯვების აუცილებლობა საზოგადოებრივი მეურნეობის გარდაქმნაში, თუ ჩვენ არ გაგვსრისეს სამხედრო ძალით. ხოლო ამ გზით ჩვენს გასრესას იგი ვერ ახერხებს.

სახელდობრ რამდენად დავამარცხეთ უკვე კაპიტალიზმი იმ მოკლე ვადაში, რომელიც მოცემული გვქონდა, და მსოფლიოში

იმ უნახავი სიძნელეების დროს, რომელთა პირობებშიც მოქმედება მოგვიხდა, ჩანს შემდეგი შეჯამებითი ციფრებიდან. ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ეს-ეს არის მოამზადა დასაბეჭდად მონაცემები პურის წარმოებისა და მოხმარების შესახებ არა მთელი საბჭოთა რუსეთის, არამედ მისი 26 გუბერნიის მიხედვით.

შედეგები ასეთი გამოვიდა:

| საბჭოთა რუსეთის 26 გუბერნია | მოსახლეობა (მილიონობით) | პურის წარმოება (თესლისა და საკვების ჩაუთვლელად) (მილიონობით ფუთი) | პურის მიწოდება: სურსათ-კომის მიერ (მლნ. ფუთ.) | პურის მიწოდება: მეტომრეების მიერ (მლნ. ფუთ.) | პურის მთელი რაოდენობა, რომელიც ჰქონდა მოსახლეობას (მილიონობით ფუთი) | პურის მოხმარება სულზე (ფუთობით) |
|---|---|---|---|---|---|---|
| მწარმოებელი | ქალაქები 4,4 | — | 20,9 | 20,6 | 41,5 | 9,5 |
| გუბერნიები | სოფლები 28,6 | 625,4 | — | — | 481,8 | 16,9 |
| მომხმარებელი | ქალაქები 5,9 | — | 20,0 | 20,0 | 40,0 | 6,8 |
| გუბერნიები | სოფლები 13,8 | 114,0 | 12,1 | 27,8 | 151,4 | 11,0 |
| სულ (26 გუბერნია) | 52,7 | 739,4 | 53,0 | 68,4 | 714,7 | 13,6 |

ამრიგად, ქალაქებს პურის დაახლოებით ნახევარს სასურსათო კომისარიატი აწვდის, მეორე ნახევარს აწვდიან მეტომრეები. ქალაქის მუშების კვების ზუსტმა გამოკვლევამ 1918 წელს სწორედ ეს პროპორცია მოგვცა. სამასთან სახელმწიფოს მიერ მიწოდებულ პურში მუშა იხდის ცხრაჯერ ნაკლებს, ვიდრე მეტომრეებისაგან შეძენილში. პურის სპეკულაციური ფასი ერთიათად აღემატება სახელმწიფო ფასს. ამას გვეუბნება მუშათა ბიუჯეტების ზუსტი შესწავლა.

4

მოყვანილი მონაცემები, თუ მათ კარგად ჩავუფიქრდებით, იძლევა ზუსტ მასალას, რომელიც გვიხატავს რუსეთის თანამედროვე ეკონომიკის ყველა ძირითად ნიშანს.

მშრომელნი განთავისუფლებულნი არიან საუკუნეობრივი მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორებისაგან, მემამულეებისა და კაპიტალისტებისაგან. ამ ნამდვილი თავისუფლებისა და ნამდვილი თანასწორობის წინგადადგმულ ნაბიჯს, რომელიც თავისი ოდენობით, ზომით, სისწრაფით უმაგალითოა მსოფლიოში, არ ითვალისწინებენ ბურჟუაზიის მომხრენი (მათ შორის წვრილბურჟუაზიული დემოკრატები), რომლებიც თავისუფლებასა და თანასწორობაზე ლაპარაკობენ პარლამენტური ბურჟუაზიული დემოკრატიის აზრით და უსაფუძვლოდ აცხადებენ მას საერთოდ «დემოკრატიად» ანუ «წმინდა დემოკრატიად» (კაუცკი).

მაგრამ მშრომელნი ითვალისწინებენ სწორედ ნამდვილ თანასწორობას, ნამდვილ თავისუფლებას (თავისუფლებას მემამულეებისა და კაპიტალისტებისაგან) და ამიტომაც ასე მტკიცედ იცავენ საბჭოთა ხელისუფლებას.

გლეხურ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურით პირველ რიგში მოიგეს, ყველაზე მეტად მოიგეს, ერთბაშად მოიგეს საერთოდ გლეხებმა. რუსეთში მემამულეებისა და კაპიტალისტების დროს გლეხი შიმშილობდა. გლეხს ჯერ არასდროს, ჩვენი ისტორიის მრავალი საუკუნის განმავლობაში, არ ჰქონია შესაძლებლობა თავისთვის ემუშავნა: ის შიმშილობდა, აძლევდა რა ასეულ მილიონობით ფუთ პურს კაპიტალისტებს, ქალაქებსა და საზღვარგარეთს. პროლეტარიატის დიქტატურის დროს გლეხი პირველად მუშაობდა თავისთვის და ქალაქელზე უკეთ იკვებებოდა. გლეხმა პირველად იხილა თავისუფლება საქმით: თავისუფლება — ჭამოს თავისი პური, თავისუფლება შიმშილისაგან. მიწის განაწილების დროს, როგორც ცნობილია, მაქსიმალური თანასწორობა დამყარდა: უმეტეს შემთხვევებში გლეხები იყოფენ მიწას «მჭამელთა მიხედვით».

სოციალიზმი არის კლასების მოსპობა.

კლასების მოსასპობად საჭიროა, ჯერ-ერთი, მემამულეებისა და კაპიტალისტების დამხობა. ამოცანის ეს ნაწილი ჩვენ შევასრულეთ, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია **და ისიც არ**

ყველაზე ძნელი ნაწილი. კლასების მოსასპობად საჭიროა, მეორე, განსხვავების მოსპობა მუშასა და გლეხს შორის, ყველას გადაქცევა მუშაკებად. ამის ერთბაშად გაკეთება შეუძლებელია. ეს შეუდარებლად უფრო ძნელი ამოცანაა და, აუცილებლობის გამო, ხანგრძლივიც. ეს არის ამოცანა, რომლის გადაჭრა რომელიმე კლასის დამხობით შეუძლებელია. მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის ორგანიზაციული გარდაქმნით, ერთეული, განცალკევებული, წვრილი სასაქონლო მეურნეობიდან მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობაზე გადასვლით. ასეთი გადასვლა აუცილებლობის გამო მეტისმეტად ხანგრძლივია. ნაჩქარევი და მოუფიქრებელი ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ზომებით ასეთი გადასვლა შეიძლება მხოლოდ შევანელოთ და გავაძნელოთ. ამ გადასვლის დაჩქარება შეიძლება მხოლოდ გლეხისათვის ისეთი დახმარებით, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს უდიდესი მასშტაბით გააუმჯობესოს მთელი სამიწათმოქმედო ტექნიკა, ძირფესვიანად გარდაქმნას იგი.

ამოცანის მეორე, უძნელესი, ნაწილის გადასაჭრელად პროლეტარიატმა, რომელმაც დაამარცხა ბურჟუაზია, განუხრელად უნდა გაატაროს თავისი პოლიტიკის შემდეგი ძირითადი ხაზი გლეხობის მიმართ: პროლეტარიატმა უნდა გამოყოს, გამიჯნოს მშრომელი გლეხი მესაკუთრე გლეხისაგან, — მუშაკი გლეხი ჩარჩი გლეხისაგან, — მაშვრალი გლეხი სპეკულანტი გლეხისაგან.

ამ გამიჯვნაშია სოციალიზმის მთელი არსი.

და გასაკვირიც არ არის, რომ სიტყვით სოციალისტებს, საქმით წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს (მარტოვებს და ჩერნოვებს, კაუცკებს და კომპანიას) სოციალიზმის ეს არსი არ ესმით.

აქ აღნიშნული გამიჯვნა ძალიან ძნელია, რადგან სინამდვილეში «გლეხის» ყველა თვისება, რაც უნდა სხვადასხვაგვარი, რაც უნდა წინააღმდეგობრივი იყვნენ ისინი, შეერთებულია ერთ მთელად. მაგრამ გამიჯვნა მაინც შესაძლებე-

ლია და არათუ შესაძლებელია, არამედ ის აუცილებლად გამომდინარეობს გლეხური მეურნეობისა და გლეხური ცხოვრების პირობებიდან. მშრომელ გლეხს საუკუნეობით ჩაგრავდნენ მემამულეები, კაპიტალისტები, ჩარჩები, სპეკულანტები და მ ა თ ი სახელმწიფო, ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკების ჩათვლით. მშრომელ გლეხს საუკუნეების განმავლობაში ჩაენერგა სიძულვილი და მტრობა ამ მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორებისადმი, ხოლო ეს «ჩანერგვა», რაც ცხოვრებამ მოახდინა, ა ი ძ უ ლ ე ბ ს გლეხს ეძებოს კავშირი მუშასთან კაპიტალისტის წინააღმდეგ, სპეკულანტის წინააღმდეგ, ჩარჩის წინააღმდეგ. ხოლო ამავე დროს ეკონომიური ვითარება, სასაქონლო მეურნეობის ვითარება, აუცილებლად ხდის გლეხს (არა ყოველთვის, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში) ჩარჩად და სპეკულანტად.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები აშკარად გვიჩვენებს განსხვავებას მშრომელ გლეხსა და სპეკულანტ გლეხს შორის. აი ის გლეხი, რომელმაც 1918 — 1919 წელს ქალაქთა მშიერ მუშებს მისცა 40 მილიონი ფუთი პური მტკიცე, სახელმწიფო, ფასებში, მისცა სახელმწიფო ორგანოებს, მიუხედავად ამ ორგანოების მთელი ნაკლისა, რაც საუცხოოდ აქვს შეგნებული მუშურ მთავრობას, მაგრამ რომლის თავიდან აცილებაც სოციალიზმზე გადასვლის პირველ პერიოდში შეუძლებელია, აი ეს გლეხი არის მშრომელი გლეხი, სოციალისტი მუშის სრულუფლებიანი ამხანაგი, მისი უაღრესად საიმედო მოკავშირე, ღვიძლი ძმა კაპიტალის უღლის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხოლო ის გლეხი, რომელმაც მალულად გაყიდა 40 მილიონი ფუთი პური სახელმწიფო ფასზე ერთიათად უფრო მაღალ ფასში, გამოიყენა რა ქალაქის მუშის გაჭირვება და შიმშილი, მოატყუა სახელმწიფო, გააძლიერა და წარმოშვა ყველგან სიცრუე, ძარცვა-გლეჯა, თაღლითური ხრიკები, აი ის გლეხი არის სპეკულანტი, კაპიტალისტის მოკავშირე, მუშის კლასობრივი მტერი, ექსპლოატატორი. რადგან, გქონდეს პურის ნაჭარბი,

აღებული საერთო-სახელმწიფო მიწაზე იმ იარაღების საშუალებით, რომელთა შექმნაში ჩაქსოვილია ასე თუ ისე არა მარტო გლეხის, არამედ მუშის შრომაც და სხვა, გქონდეს პურის ნაჭარბი და სპეკულაციას ეწეოდე იმით, ეს ნიშნავს იყო მშიერი მუშის ექსპლოატატორი.

თქვენ თავისუფლების, თანასწორობის, დემოკრატიის დამრღვევნი ხართ, — გვიკიჟინებენ ყოველი მხრიდან, მიგვითითებენ რა მუშისა და გლეხის უთანასწორობაზე ჩვენს კონსტიტუციაში, დამფუძნებელი კრების გარეკვაზე, პურის ნაჭარბის ძალით ჩამორთმევაზე და სხვ.. ჩვენ ვუპასუხებთ: არ ყოფილა ქვეყნად სახელმწიფო, რომელსაც ასე ბევრი გაეკეთებინოს იმ ფაქტიური უთანასწორობის, იმ ფაქტიური არათავისუფლების მოსასპობად, რომელთაგან საუკუნეობით იჩაგრებოდა მშრომელი გლეხი. მაგრამ სპეკულანტ გლეხთან თანასწორობას ჩვენ არასოდეს არ ვცნობთ, როგორც არ ვცნობთ ექსპლოატატორის «თანასწორობას» ექსპლოატირებულთან, მაძღრის თანასწორობას მშიერთან, პირველის «თავისუფლებას» — ძარცვოს მეორე. და იმ განათლებულ ადამიანებს, რომელთაც არ სურთ ამ განსხვავების გაგება, ჩვენ მოვეპყრობით როგორც თეთრგვარდიელებს, თუნდაც ამ ადამიანებს ეწოდებოდეთ დემოკრატები, სოციალისტები, ინტერნაციონალისტები, კაუცკები, ჩერნოვები და მარტოვები.

## 5

სოციალიზმი არის კლასთა მოსპობა. √ პროლეტარიატის დიქტატურამ რაც კი შეეძლო ყველაფერი გააკეთა ამ მოსპობისათვის. √ მაგრამ კლასების ერთბაშად მოსპობა შეუძლებელია.

√ და კლასები დ ა რ ჩ ნ ე ნ და დ ა რ ჩ ე ბ ი ა ნ პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქის განმავლობაში. დიქტატურა საჭირო აღარ იქნება, როცა გაქრებიან კლასები. ისინი არ გაქრებიან პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე.

კლასები დარჩნენ, მაგრამ თვითეულმა სახე იცვალა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში; შეიცვალა მათი ურთიერთდამოკიდებულებაც. კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის დროს კი არ ქრება, არამედ მხოლოდ სხვა ფორმებს იღებს.

კაპიტალიზმის დროს პროლეტარიატი იყო ჩაგრული კლასი, წარმოების საშუალებათა ყოველივე საკუთრებას მოკლებული კლასი, ისეთი კლასი, რომელიც მარტოდმარტო იყო უშუალოდ და მთლიანად დაპირისპირებული ბურჟუაზიისადმი და ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ მას შესწევდა უნარი ბოლომდე რევოლუციური ყოფილიყო. პროლეტარიატი, დაამხო რა ბურჟუაზია და მოიპოვა რა პოლიტიკური ძალაუფლება, გაბატონებული კლასი გახდა: მას ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება, ის განაგებს უკვე განსაზოგადოებულ წარმოების საშუალებებს, ის ხელმძღვანელობს მერყევ, შუალედ ელემენტებს და კლასებს, ის თრგუნავს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის გაზრდილ ენერგიას. ყოველივე ეს კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებული ამოცანებია, რომელთაც წინათ პროლეტარიატი არ ისახავდა და არც შეეძლო დაესახა.

ექსპლოატატორების, მემამულეებისა და კაპიტალისტების კლასი არ გამქრალა და არც შეიძლება ერთბაშად გაქრეს პროლეტარიატის დიქტატურის დროს. ექსპლოატატორები დამარცხებული არიან, მაგრამ მოსპობილი არ არიან. მათ დარჩათ საერთაშორისო ბაზა, საერთაშორისო კაპიტალი, რომლის განყოფილებასაც ისინი წარმოადგენენ. მათ დარჩათ ნაწილობრივ ზოგიერთი წარმოების საშუალება, დარჩათ ფული, დარჩათ უდიდესი საზოგადოებრივი კავშირურთიერთობა. მათი წინააღმდეგობის ენერგია ასჯერ და ათასჯერ გაიზარდა სწორედ მათი დამარცხების გამო. სახელმწიფო, სამხედრო, ეკონომიური მართვა-გამგეობის «ხელოვნება» ძალიან, ძალიან დიდ უპირატესობას ანიჭებს მათ, ასე რომ მათი მნიშვნელობა შეუდარებლად უფრო მეტია, ვიდრე მათი წილი მოსახლეობის საერთო რიცხვში. დამხობილი

ექსპლოატატორების კლასობრივი ბრძოლა ექსპლოატირებულთა გამარჯვებული ავანგარდის წინააღმდეგ, ე. ი. პროლეტარიატის წინააღმდეგ, განუზომლად უფრო მძვინვარე შეიქნა. და ეს არც შეიძლება სხვანაირად იყოს, თუ ვილაპარაკებთ რევოლუციაზე, თუ ამ ცნებას არ შევცვლით (როგორც ამას სჩადის II ინტერნაციონალის ყველა გმირი) რეფორმისტული ილუზიებით.

დასასრულ, გლეხობას, ისე როგორც საერთოდ ყოველ წვრილ ბურჟუაზიას, პროლეტარიატის დიქტატურის **დროსაც** საშუალო, შუალედი მდგომარეობა უკავია: ერთი მხრივ, ეს არის მშრომელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი (ხოლო ჩამორჩენილ რუსეთში უდიდესი) მასა, გაერთიანებული მშრომელთა საერთო ინტერესით — განთავისუფლდნენ მემამულისა და კაპიტალისტისაგან; მეორე მხრივ, ესენი არიან განცალკევებული წვრილი მეპატრონენი, მესაკუთრენი და ვაჭრები. ასეთი ეკონომიური მდგომარეობა აუცილებლად იწვევს მერყეობას პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ხოლო ამ უკანასკნელთა შორის გამწვავებული ბრძოლის დროს, ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმოუდგენლად მძაფრი მსხვრევის დროს, როცა უაღრესად დიდია ჩვევა ძველისადმი, რუტინულისადმი, უცვლელისადმი სწორედ გლეხებისა და საერთოდ წვრილი ბურჟუების მხრივ, ბუნებრივია, რომ ჩვენ აუცილებლად დავინახავთ მათ შორის გადასვლებს ერთი მხარიდან მეორეზე, მერყეობას, შემობრუნებას, ყოყმანს და სხვ.

პროლეტარიატის ამოცანა ამ კლასის — ან ამ საზოგადოებრივი ელემენტების — მიმართ მდგომარეობს ხელმძღვანელობაში, ბრძოლაში მასზე გავლენისათვის. გაიყოლიოს მერყევნი, არამტკიცენი — აი რა უნდა გააკეთოს პროლეტარიატმა.

თუ ერთმანეთს დავუპირისპირებთ ყველა ძირითად ძალას ან კლასს და პროლეტარიატის დიქტატურის მიერ სახეშეცვლილ მათს ურთიერთდამოკიდებულებას, დავინახავთ, თუ რა უსაზღვრო თეორიულ უაზრობას, გონების რა სიჩლუნგეს

წარმოადგენს მოარული, წვრილბურჟუაზიული წარმოდგენა სოციალიზმზე გადასვლის შესახებ საერთოდ «დემოკრატიის საშუალებით», რასაც ჩვენ ვხედავთ II ინტერნაციონალის ყველა წარმომადგენელში. ბურჟუაზიისაგან მემკვიდრეობით გადმოცემული ცრურწმენა «დემოკრატიის» უთუო, არაკლასობრივი შინაარსის შესახებ — აი ამ შეცდომის საფუძველი. ნამდვილად კი პროლეტარიატის დიქტატურის დროს დემოკრატიაც გადადის სრულიად ახალ ფაზაში, და კლასობრივი ბრძოლაც ადის უფრო მაღალ საფეხურზე, იმორჩილებს რა ყველა და ყოველგვარ ფორმას.

ზოგადი ფრაზები თავისუფლების, თანასწორობის, დემოკრატიის შესახებ სინამდვილეში უდრის იმ ცნებათა ბრმა განმეორებას, რომლებიც სასაქონლო წარმოების ურთიერთობის ასლს წარმოადგენენ. ამ ზოგადი ფრაზების საშუალებით პროლეტარიატის დიქტატურის კონკრეტული ამოცანების გადაჭრა ნიშნავს მთელი ხაზით ბურჟუაზიის თეორიულ, პრინციპულ პოზიციაზე გადასვლას. პროლეტარიატის თვალსაზრისით საკითხი მხოლოდ ასე ისმება: თავისუფლება რომელი კლასის ჩაგვრისაგან? თანასწორობა რომელი კლასისა რომელთან? დემოკრატია კერძო საკუთრების ნიადაგზე თუ კერძო საკუთრების გაუქმებისათვის ბრძოლის ბაზაზე? და სხვ.

ენგელსმა დიდი ხანია განმარტა «ანტი-დიურინგში», რომ თანასწორობის ცნება, როგორც სასაქონლო წარმოების ურთიერთობის ასლი, იქცევა ცრურწმენად, თუ თანასწორობას კ ლ ა ს ე ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ი ს აზრით არ გავიგებთ[22]. ამ ანბანურ ჭეშმარიტებას იმ განსხვავების შესახებ, რომელიც თანასწორობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ გაგებას შორის არსებობს, მუდამ ივიწყებენ. ხოლო თუ მას არ დავივიწყებთ, მაშინ ცხადი ხდება, რომ პროლეტარიატი, რომელმაც დაამხო ბურჟუაზია, ამით უაღრესად გადამჭრელ ნაბიჯს დგამს კლასების მოსპობისაკენ და რომ ამის დასამთავრებლად პროლეტარიატმა უნდა განაგრძოს

თავისი კლასობრივი ბრძოლა, გამოიყენოს სახელმწიფო ხელისუფლების აპარატი და ბრძოლის, გავლენის, ზემოქმედების სხვადასხვა ხერხი დამხობილი ბურჟუაზიის მიმართ და მერყეევი წვრილი ბურჟუაზიის მიმართაც.

(გაგრძელება იქნება.) [33]

30. X. 1919.

«პრავდა» № 250, 1919 წ. 7 ნოემბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

# სალამი პეტროგრადის მუშებს

საბჭოთა რესპუბლიკის ორი წლისთავის დღეს პირველ რიგში მისალმების ღირსი არიან პეტროგრადის მუშები. როგორც რევოლუციურ მუშათა და ჯარისკაცთა ავანგარდმა, როგორც რუსეთისა და მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების ავანგარდმა, პეტროგრადის მუშებმა პირველებმა დაამხვეს ბურჟუაზიის ძალაუფლება და აღმართეს პროლეტარული რევოლუციის დროშა კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ორი წელია საბჭოთა რესპუბლიკის მუშები და მშრომელი გლეხები ძლევამოსილად ინარჩუნებენ ამ დროშას მიუხედავად ყოველგვარი სიძნელეებისა და შიმშილით, სიცივით, ნგრევითა და გაჩანაგებით გამოწვეული ტანჯვისა. ორი წლის სოციალისტურმა მშენებლობამ, მიუხედავად ბურჟუაზიის გააფთრებული გაბოროტებისა და წინააღმდეგობისა, მიუხედავად მსოფლიო იმპერიალიზმის სამხედრო შემოსევისა, დიდი გამოცდილება შეგვძინა, განამტკიცა საბჭოთა ხელისუფლება.

მთელი მსოფლიოს მუშების თანაგრძნობა ჩვენს მხარეზეა. ნელა და დიდი სიძნელით, მაგრამ განუხრელად მწიფდება ყველა ქვეყანაში პროლეტარული რევოლუცია, და ბურჟუაზიის მხრივ მხეცური ძალმომრეობა მხოლოდ ამწვავებს ბრძოლას, მხოლოდ აჩქარებს პროლეტარიატის გამარჯვებას.

სწორედ უკანასკნელ დღეებში ინგლისელმა რეაქციონერმა იმპერიალისტებმა უკანასკნელი იმედი პეტროგრადის აღებაზე

დაამყარეს. მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია, განსაკუთრებით კი რუსეთის ბურჟუაზია, უკვე წინასწარ ტკბებოდა გამარჯვებით. მაგრამ გამარჯვების ნაცვლად მათ დამარცხება იგემეს პეტროგრადთან.

იუდენიჩის ჯარები დამარცხდნენ და უკან იხევენ.

ამხანაგო მუშებო, ამხანაგო წითელარმიელებო! დაძაბეთ მთელი ძალ-ღონე! რადაც უნდა დაჯდეს დაედევნეთ უკან-დახეულ ჯარებს, ურტყით მათ, ნუ მოასვენებთ ნურც ერთი საათით, ნურც ერთი წუთით. ახლა ყველაზე უფრო შეგვიძლია და კიდევაც უნდა დავარტყათ რაც შეიძლება ძლიერ, რათა საბოლოოდ გავანადგუროთ მტერი.

გაუმარჯოს წითელ არმიას, რომელიც ამარცხებს მეფის გენერლებს, თეთრგვარდიელებს, კაპიტალისტებს! გაუმარჯოს საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკას!

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

5. XI. 1919.

«პეტროგრადსკაია პრავდა» № 255,
1919 წ. 7 ნოემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# საბჭოთა ხელისუფლება და ქალის მდგომარეობა

საბჭოთა ხელისუფლების ორი წლისთავი გვავალდებულებს თვალი გადავავლოთ საერთოდ იმას, რაც განხორციელებულია ამ ხნის განმავლობაში და ჩავუფიქრდეთ მომხდარი გადატრიალების მნიშვნელობასა და მიზნებს.

ბურჟუაზია და მისი მომხრეები ბრალს გვდებენ დემოკრატიის დარღვევაში. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საბჭოთა გადატრიალებამ ქვეყნად არნახული ბიძგი მისცა დემოკრატიის გაღრმავებასა და გაფართოებას, ამასთან დემოკრატიისა სწორედ მშრომელი და კაპიტალიზმის მიერ დაჩაგრული მასებისათვის, — მაშასადამე, დემოკრატიისა ხალხის უდიდესი უმრავლესობისათვის, მაშასადამე, სოციალისტური (მშრომელთათვის) დემოკრატიისა, განსხვავებით ბურჟუაზიული (ექსპლოატატორებისათვის, კაპიტალისტებისათვის, მდიდრებისათვის) დემოკრატიისაგან.

ვინ არის მართალი?

კარგად ჩავუფიქრდეთ ამ კითხვას, უფრო ღრმად გავიგოთ იგი — ეს ნიშნავს გავითვალისწინოთ ორი წლის გამოცდილება და უკეთ მოვემზადოთ მისი შემდგომი განვითარებისათვის.

ქალის მდგომარეობა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ცხადყოფს განსხვავებას ბურჟუაზიულ და სოციალისტურ დემოკრატიას შორის, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ უპასუხებს დასმულ კითხვაზე.

ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში (ე. ი. იქ, სადაც არსებობს მიწის, ფაბრიკების, ქარხნების, აქციებისა და სხვათა კერძო საკუთრება), თუნდაც ეს უაღრესად დემოკრატიული რესპუბლიკაც იყოს, ქალის მდგომარეობა არსად მთელ მსოფლიოში, არც ერთ უაღრესად მოწინავე ქვეყანაში არ გამხდარა სავსებით თანასწორუფლებიანი. და ეს მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის დიდი (ბურჟუაზიულ-დემოკრატიული) რევოლუციის დროიდან 1¼ საუკუნეზე მეტმა განვლო.

ბურჟუაზიული დემოკრატია სიტყვით გვპირდება თანასწორობასა და თავისუფლებას. საქმით კი ადამიანის მოდგმის ქალთა ნახევრისათვის არც ერთ, თუნდაც ყველაზე მოწინავე, ბურჟუაზიულ რესპუბლიკას არ მიუცია არც მამაკაცთან სრული თანასწორობა კანონით, არც მამაკაცის მხრივ მეურვეობისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლება.

ბურჟუაზიული დემოკრატია არის დემოკრატია მაღალფარდოვანი ფრაზებისა, საზეიმო სიტყვებისა, ლამაზი დაპირებებისა, თავისუფლებისა და თანასწორობის მყვირალა ლოზუნგებისა, საქმით კი ეს ფარავს იმ გარემოებას, რომ ქალი მოკლებულია თავისუფლებასა და თანასწორობას, მშრომელნი და ექსპლოატირებულნი მოკლებული არიან თავისუფლებასა და თანასწორობას.

საბჭოთა ანუ სოციალისტური დემოკრატია უკუაგდებს მაღალფარდოვან, მაგრამ ცრუ სიტყვებს, ულმობელ ბრძოლას უცხადებს «დემოკრატების», მემამულეების, კაპიტალისტების თვალთმაქცობას, იმ მაძღარი გლეხების თვალთმაქცობას, რომლებიც ჯიბეს ისქელებენ მშიერი მუშებისათვის ნაჭარბი პურის სპეკულაციურ ფასში მიყიდვით.

ძირს ეს საზიზღარი სიცრუე! შეუძლებელია იყოს, არ არის და არც იქნება ჩაგრულთა და მჩაგვრელთა, ექსპლოატირებულთა და ექსპლოატატორთა «თანასწორობა». შეუძლებელია იყოს, არ არის და არც იქნება ნამდვილი «თავისუფლება», ვიდრე არ არსებობს ქალის თავისუფლება მამაკაცისათვის კანონით მინიჭებული პრივილეგიებისაგან, მუშის

თავისუფლება კაპიტალის უღლისაგან, მშრომელი გლეხის თავისუფლება კაპიტალისტის, მემამულის, ვაჭრის უღლისაგან.

დაე მატყუარებმა და თვალთმაქცებმა, ყეყეჩებმა და ბრმებმა, ბურჟუებმა და მათმა მომხრეებმა მოატყუონ ხალხი საერთოდ თავისუფლებაზე, საერთოდ თანასწორობაზე, საერთოდ დემოკრატიაზე ლაპარაკით.

ჩვენ ვეუბნებით მუშებსა და გლეხებს: ჩამოგლიჯეთ ნიღაბი ამ მატყუარებს, აუხილეთ თვალი ამ ბრმებს. შეეკითხეთ:

— თანასწორობა რომელი სქესისა რომელ სქესთან?

— რომელი ერისა რომელ ერთან?

— რ ო მ ე ლ ი კ ლ ა ს ი ს ა რ ო მ ე ლ კ ლ ა ს თ ა ნ?

— თავისუფლება რომელი უღლისაგან ან რომელი კლასის უღლისაგან? თავისუფლება რომელი კლასისათვის?

ვინც ლაპარაკობს პოლიტიკაზე, დემოკრატიაზე, თავისუფლებაზე, თანასწორობაზე, სოციალიზმზე და არ ა ყ ე ნ ე ბ ს ამ კითხვებს, არ წამოწევს მათ პირველ რიგში, არ იბრძვის ამ კითხვების დაფარვის, დამალვის, მიჩქმალვის წინააღმდეგ, — ის უცუდესი მტერია მშრომელებისა, ის ცხვრის ტყავში გახვეული მგელია, ის უბოროტესი მტერია მუშებისა და გლეხებისა, ის მსახურია მემამულეებისა, მეფეებისა, კაპიტალისტებისა.

ორი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში ქალის განთავისუფლებისათვის, «ძლიერ» სქესთან მისი თანასწორობისათვის იმდენი გააკეთა, რამდენიც 130 წლის მანძილზე არ გაუკეთებია მთელი მსოფლიოს ყველა მოწინავე, განათლებულ, «დემოკრატიულ» რესპუბლიკას ერთად.

განათლება, კულტურა, ცივილიზაცია, თავისუფლება — მთელი ეს მაღალფარდოვანი სიტყვები მსოფლიოს ყველა კაპიტალისტურ, ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში უერთდება გაუგონრად-საზიზღარ, საძაგლად-ბინძურ, მხეცურად-უხეშ კანონებს ქალის უთანასწორობის შესახებ, კანონებს

საქორწინო სამართლისა და გაყრის შესახებ, ქორწინებისგარეშე შობილი და «კანონიერი» ბავშვის უთანასწორობის შესახებ, მამაკაცის პრივილეგიების შესახებ, ქალის დამცირებისა და შეურაცხყოფის შესახებ.

კაპიტალის უღელი, «წმიდათა წმიდა კერძო საკუთრების» მხრივ ჩაგვრა, მეშჩანური სიყეყეჩის, წვრილმეპატრონული ანგარების დესპოტიზმი — აი რამ შეუშალა ხელი ბურჟუაზიის ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკებს ხელეყოთ ეს საძაგელი და საზიზღარი კანონები.

საბჭოთა რესპუბლიკამ, მუშურ-გლეხურმა რესპუბლიკამ ერთბაშად აღგავა ეს კანონები, ქვა ქვაზედაც არ დატოვა ბურჟუაზიული სიცრუისა და ბურჟუაზიული თვალთმაქცობის ნაგებობაში.

ძირს ეს სიცრუე! ძირს ცრუპენტელები, რომლებიც ლაპარაკობენ თავისუფლებასა და თანასწორობაზე ყ ვ ე ლ ა სთ ვ ი ს, ვიდრე არსებობს ჩაგრული სქესი, ვიდრე არსებობენ მჩაგვრელი კლასები, ვიდრე არსებობს კაპიტალისა და აქციების კერძო საკუთრება, ვიდრე არსებობენ მაძღარნი თავიანთი ნაჭარბი პურითურთ, რომლებიც იმონებენ მშივრებს. არა თავისუფლება ყველასათვის, არა თანასწორობა ყველასათვის, არამედ ბ რ ძ ო ლ ა მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, ჩაგვრისა და ექსპლოატირების შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ა. აი ჩვენი ლოზუნგი!

თავისუფლება და თანასწორობა დაჩაგრული სქესისათვის!

თავისუფლება და თანასწორობა მუშისათვის, მშრომელი გლეხისათვის!

ბრძოლა მჩაგვრელების, კაპიტალისტების, სპეკულანტი კულაკის წინააღმდეგ!

აი ჩვენი საბრძოლო ლოზუნგი, აი ჩვენი პროლეტარული სიმართლე, სიმართლე კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლისა, სიმართლე, რაც ჩვენ სახეში მივახალეთ კაპიტალის სამყაროს, რომელიც მოთაფლული, მლიქვნელური, მაღალფარ-

დოვანი ფრაზებით ლაპარაკობს ს ა ე რ თ ო დ თავისუფლებასა და თანასწორობაზე, თავისუფლებასა და თანასწორობაზე ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს.

და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ნიღაბი ჩამოვგლიჯეთ ამ თვალთმაქცობას, რომ ჩვენ რევოლუციური ენერგიით ვახორციელებთ თავისუფლებასა და თანასწორობას ჩაგრულთა და მშრომელთათვის — მჩაგვრელთა, კაპიტალისტთა, კულაკთა წინააღმდეგ, — სწორედ ამიტომ გახდა ასე ძვირფასი მთელი მსოფლიოს მუშებისათვის საბჭოთა ხელისუფლება.

სწორედ ამიტომაა, საბჭოთა ხელისუფლების ორი წლისთავზე, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მუშათა მასების თანაგრძნობა, ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე.

სწორედ ამიტომაა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ორი წლისთავზე, მიუხედავად შიმშილისა და სიცივისა, მიუხედავად ყველა ჩვენი გაჭირვებისა, რაც თავს დაგვატეხა იმპერიალისტების შემოსევამ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაზე, ჩვენ აღსავსე ვართ მტკიცე რწმენით ჩვენი საქმის სიმართლეში, მტკიცე რწმენით მსოფლიო საბჭოთა ხელისუფლების გარდუვალ გამარჯვებაში.

«პრავდა» № 249, 1919 წ. 6 ნოემბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

# საბჭოთა ხელისუფლების ორი წელი

«ბედნოტის» [4] მკითხველთა მთავარ მასას გლეხები შეადგენენ. და საბჭოთა ხელისუფლების ორი წლისთავზე, მივესალმები რა ათეულ მილიონობით მშრომელ გლეხებს, რომლებიც განთავისუფლდნენ მემამულეებისა და კაპიტალისტების უღლისაგან, ორიოდე სიტყვას ვიტყვი ამ განთავისუფლების გამო.

საბჭოთა ხელისუფლება, მშრომელთა ხელისუფლება, ხელისუფლება, რომელმაც დაამხო კაპიტალის უღელი, რუსეთში იბრძვის გაუგონარი, წარმოუდგენელი სიძნელეების წინააღმდეგ.

რუსეთის და შემდეგ მთელი მსოფლიოს მემამულეები და კაპიტალისტები გააფთრებული სიძულვილით ომობენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ეშინიათ რა მისი მაგალითისა, ეშინიათ რა იმისა, რომ იგი მოიპოვებს მთელი მსოფლიოს მუშების თანაგრძნობასა და მხარისდაჭერას.

შეთქმულებები ქვეყნის შიგნით, ჩეხოსლოვაკების მოსყიდვა, უცხოეთის ჯარების გადმოსხმა ციმბირში, არხანგელსკში, კავკასიაში, სამხრეთში, პეტროგრადთან, ასეულ მილიონობით მანეთი, რომელსაც აბნევდნენ კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩის და მეფის სხვა გენერლების დასახმარებლად, — ყოველივე ამას იყენებენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები, რომლებმაც მილიონები და მილიარდები დააგროვეს სამხედრო მიწოდებებზე, ყოველივე ამას იყენებენ საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

და ყველაფერი ამაოა. საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ დგას, იგი ძლევს ამ არნახულ და გაუგონარ სიძნელეებს, ძლევს უსაშინელეს ტანჯვას, რომელიც გამოწვეულია ომით, ბლოკადით, შიმშილით, საქონლის უქონლობით, ტრანსპორტის ნგრევით, მთელი ჩვენი ქვეყნის გაჩანაგებით.

*რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე მოიმხრო მთელი მსოფლიოს მუშები.* არ არსებობს არც ერთი ისეთი ქვეყანა, სადაც არ ლაპარაკობდნენ ბოლშევიზმზე და საბჭოთა ხელისუფლებაზე.

კაპიტალისტები მასზე ლაპარაკობენ სიძულვილით, გაოფთრებული გაბოროტებით, მიმართავენ დაუსრულებელ ცილისწამებასა და სიცრუეს. მაგრამ სწორედ თავიანთი გაბოროტებით ააშკარავებენ ისინი საკუთარ გულისთქმას, და მთელი მსოფლიოს მუშები მასობრივად ზურგს აქცევენ ძველ ბელადებს და საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოდიან.

საბჭოთა ხელისუფლება შევიწროებული და გაწამებულია რუსეთზე მტრების შემოტევის გამო. მაგრამ მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე დაამარცხა მთელი მსოფლიო — დაამარცხა იმ აზრით, რომ მშრომელი მასების თანაგრძნობა უკვე ყველგან მოპოვებულია ჩვენ მიერ.

*საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება მთელ მსოფლიოში უზრუნველყოფილია. ეს მხოლოდ დროის საკითხია.*

რატომ არის მტკიცე საბჭოთა ხელისუფლება, მიუხედავად შიმშილით გამოწვეული გაუგონრად მძიმე განსაცდელისა და ტანჯვისა, მიუხედავად ომითა და ნგრევით შექმნილი სიძნელეებისა?

იმიტომ, რომ იგი თვით მშრომელთა ხელისუფლებაა, მილიონობით მუშისა და გლეხის ხელისუფლება.

მუშებს უპყრიათ ხელთ სახელმწიფო ძალაუფლება. მუშები ეხმარებიან მილიონობით მშრომელ გლეხს.

საბჭოთა ხელისუფლებამ დაამხო მემამულეები და კაპიტალისტები და ის მტკიცედ იცავს ხალხს მათი ბატონობის აღდგენის ცდისაგან.

საბჭოთა ხელისუფლება მთელი ძალღონით ეხმარება მშრომელ გლეხებს, უღარიბეს და საშუალო გლეხებს, რომლებიც უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ.

საბჭოთა ხელისუფლება გასაქანს არ აძლევს კულაკს, მდიდარს, მესაკუთრეს, სპეკულანტს, იმას, ვისაც სურს უშრომლად გამდიდრდეს, იმას, ვისაც სურს გამდიდრდეს ხალხის გაჭირვებისა და შიმშილის წყალობით.

საბჭოთა ხელისუფლება იცავს მშრომელებს, ილაშქრებს სპეკულანტების, მესაკუთრეების, კაპიტალისტების, მემამულეების წინააღმდეგ.

აი რაშია საბჭოთა ხელისუფლების ძალისა და სიმტკიცის წყარო, მთელ მსოფლიოში მისი უძლეველობის წყარო.

მთელი მსოფლიოს ათეულ და ასეულ მილიონობით მუშა და გლეხი იტანდა მემამულეებისა და კაპიტალისტების მხრივ ჩაგვრას, აბუჩად აგდებას, ძარცვა-გლეჯას. ძველი სახელმწიფო კი, მონარქიებიც და «დემოკრატიული» (ვითომ დემოკრატიული) რესპუბლიკებიც ეხმარებოდნენ ექსპლოატატორებს, ავიწროებდნენ მშრომელებს.

ეს იცის, ეს უნახავს, ეს გადაუტანია, ეს განუცდია და ამას დღესაც განიცდის ყველა ქვეყნის მრავალი ათეული და ასეული მილიონი მუშა და გლეხი.

ოთხ წელზე მეტი გრძელდებოდა იმპერიალისტური ომი, ათეული მილიონი ადამიანი მოკლული და დასახიჩრებულია— და მერე რისთვის? კაპიტალისტების ნადავლის გაყოფისათვის, ბაზრების მოპოვებისათვის, მოგებისათვის, კოლონიებისათვის, ბანკების ბატონობისათვის.

გერმანიის იმპერიალიზმის მტაცებლები დაამარცხეს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის მტაცებლებმა, რომლებიც ამჟამად დღითი დღე ააშკარავებენ თავს, როგორც ყაჩაღები და მძარცველები, მშრომელთა მჩაგვრელები, რომლებიც

მდიდრდებიან ხალხის გაჭირვების წყალობით, ავიწროებენ სუსტ ხალხებს.

აი რატომ იზრდება მთელ მსოფლიოში მუშებისა და გლეხების თანაგრძნობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

მძიმე და ძნელი ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ ძლევამოსილად დაიწყო რუსეთში. ეს ბრძოლა ფართოვდება ყველა ქვეყანაში.

ეს ბრძოლა დამთავრდება მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებით.

«ბედნოტა» № 478,
1919 წ. 7 ნოემბერი
ხელმოწერა: ლენინი

იბეჭდება გაზეთ «ბედნოტას» ტექსტის მიხედვით

# საბჭოთა ხელისუფლების ოარი წელი

## სიტყვა ოქტომბრის რევოლუციის ოარი წლისთავისადმი მიძღვნილ სრ. რუს. ცაკ-ის, მოსკოვის მუშ. და გლეხ. დეპ. საბჭოს, პროფ. კავშ. სრ. რუს. ცენტრ. საბჭოს და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა გაერთიანებულ სხდომაზე 1919 წ. 7 ნოემბერს

ამხანაგებო! ორი წლის წინათ, როდესაც ჯერ კიდევ გაცხარებული იმპერიალისტური ომი წარმოებდა, რუსეთის ბურჟუაზიის ყველა მომხრეს, ხალხის მასებს და, ვგონებ, დანარჩენი ქვეყნების მუშების უმრავლესობასაც კი რუსეთის პროლეტარიატის აჯანყება, მის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდება გაბედულ, მაგრამ უიმედო ცდად ეჩვენებოდა. მაშინ მსოფლიო იმპერიალიზმი ისეთ უზარმაზარ, უძლეველ ძალად ჩანდა, რომ როცა ჩამორჩენილი ქვეყნის მუშები აჯანყებას აპირებდნენ მის წინააღმდეგ, ეს სიგიჟედ მიაჩნდათ. ახლა კი, როცა უკან ვიხედებით და თვალს ვავლებთ განვლილ ორ წელს, ვხედავთ, რომ ჩვენი მტრებიც კი სულ უფრო და უფრო მეტად რწმუნდებიან ჩვენს სიმართლეში. ჩვენ ვხედავთ, რომ იმპერიალიზმი, რომელიც ასეთ უძლეველ ბუმბერაზად ჩანდა, ყველას თვალწინ თიხისფეხებიანი ბუმბერაზი აღმოჩნდა, და ბრძოლის ის ორი წელი, რომელიც ჩვენ განვვლეთ, სულ უფრო და უფრო ნათლად მოწმობს არა მარტო რუსეთის, არამედ აგრეთვე საერთაშორისო პროლეტარიატის გამარჯვებასაც.

ამხანაგებო, ჩვენი ხელისუფლების არსებობის პირველ წელს ჩვენ თვალყურს ვადევნებდით გერმანიის იმპერიალიზმის ძლიერებას, ტანჯვას განვიცდიდით ძალმომრეობითი და მტაცებლური ზავის გამო, რომელიც თავს მოგვახვიეს, განცალკევებულნი მოვუწოდებდით რევოლუციისაკენ, მაგრამ

ვერავითარ მხარისდაჭერას და გამოძახილს ვერ ვპოულობდით. და თუ ჩვენი ხელისუფლების პირველი წელი იმპერიალიზმთან ჩვენი ბრძოლის პირველი წელი იყო, ჩვენ მალე დავრწმუნდით იმაში, რომ ამ უზარმაზარი საერთაშორისო იმპერიალიზმის სხვადასხვა ნაწილის ბრძოლა მხოლოდ სულთმობრძაობაა და მეტი არაფერი, და რომ ამ ბრძოლით დაინტერესებულია გერმანიის იმპერიალიზმიც და ინგლისსაფრანგეთის ბურჟუაზიის იმპერიალიზმიც. ამ წლის განმავლობაში ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ეს ბრძოლა მხოლოდ განამტკიცებს, მხოლოდ ადიდებს და აღადგენს ჩვენს ძალებს და წარმართავს ამ ძალებს მთელი იმპერიალიზმის წინააღმდეგ. და თუ ჩვენ ასეთი მდგომარეობა შევქმენით პირველი წლის განმავლობაში, მთელი მეორე წლის განმავლობაში ჩვენ პირისპირ მივადექით ჩვენს მტერს. იყვნენ პესიმისტები, რომლებიც ჯერ კიდევ გასულ წელს ძლიერ ილაშქრებდნენ ჩვენ წინააღმდეგ, ისინი ჯერ კიდევ გასულ წელს ამბობდნენ, რომ ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა — ეს ისეთი უდიდესი, ისეთი უზარმაზარი ძალაა, რომელიც გასრესს ჩვენს ქვეყანასო. გავიდა ერთი წელი, და თქვენ ხედავთ, რომ თუ ამ პირველ წელს შეიძლება ვუწოდოთ საერთაშორისო იმპერიალიზმის ძლიერების წელი, მეორე წელს უნდა ვუწოდოთ ინგლისამერიკის იმპერიალიზმის შემოსევისა და ამ შემოსევის დამარცხების, კოლჩაკისა და იუდენიჩის დამარცხების და დენიკინზე გამარჯვების დასაწყისის წელი.

ჩვენ კი მშვენივრად ვიცით, რომ ყველა ის სამხედრო ძალა, რომლებიც ჩვენ მოგვისიეს, გამოგზავნილი იყო გარკვეული წყაროდან. ჩვენ ვიცით, რომ იმპერიალისტები აწვდიდნენ მათ მთელ სამხედრო მომარაგებას, მთელ შეიარაღებას; ჩვენ ვიცით, რომ მათ თავიანთი საქვეყნოდ განთქმული სამხედრო ფლოტის ნაწილი გადასცეს ჩვენს მტრებს და ახლა ისინი ყოველნაირად ეხმარებიან მათ და ამზადებენ ძალებს სამხრეთ რუსეთშიც და არხანგელსკშიც. მაგრამ ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმის ყველა ეს, თითქოს, გრანდიოზული და უძლეველი ძალა საიმედო არ

არის, საშიში არ არის ჩვენთვის, რომ ეს ძალები დამპალია შიგნით, რომ ისინი სულ უფრო და უფრო მეტ სიმტკიცეს გვმატებენ და ეს განმტკიცება საშუალებას მოგვცემს გავიმარჯვოთ საგარეო ფრონტზე და ბოლომდე მივიყვანოთ ეს გამარჯვება. მე ამაზე არ შევჩერდები, იმიტომ რომ ამ ამოცანას ამხ. ტროცკი დაგვისურათებს.

ჩემი აზრით, ახლა ჩვენ უნდა შეეცადოთ ზოგადი გაკვეთილები გამოვიტანოთ ორი წლის გმირული მშენებლობიდან.

ის, რაც, ჩემი შეხედულებით, საბჭოთა რესპუბლიკის ორი წლის მშენებლობის ყველაზე მნიშვნელოვან დასკვნას შეადგენს, რაც, ჩემ თვალში, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის — ეს არის მუშური ხელისუფლების მშენებლობის გაკვეთილი. მე ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ჩვენ არ უნდა დავჯერდეთ იმ კონკრეტულ, ცალკეულ ფაქტებს, რომლებიც ეხება ამა თუ იმ კომისარიატის მუშაობას და რომლებიც ბევრი თქვენგანისათვის ცნობილია საკუთარი გამოცდილებით. ჩემი აზრით, ახლა ჩვენ საერთოდ უნდა გადავავლოთ თვალი განცდილს და ამ მშენებლობიდან გამოვიტანოთ ზოგადი გაკვეთილი, რომელსაც ჩვენ შევითვისებთ და უფრო ფართოდ გავავრცელებთ მშრომელ მასებში. ეს ის გაკვეთილია, რომ მხოლოდ მუშების მონაწილეობამ სახელმწიფოს საერთო მართვა-გამგეობაში მოგვცა შესაძლებლობა გაგვეძლო ასეთ უზომო სიძნელეთა პირობებში და რომ, თუ მხოლოდ ამ გზით ვივლით, სრულ გამარჯვებას მივაღწევთ. მეორე გაკვეთილი, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიტანოთ, ეს არის სწორი დამოკიდებულება გლეხებისადმი, მრავალმილიონიანი გლეხობის უდიდესი მასისადმი, რადგან მხოლოდ ამან მოგვცა საშუალება წარმატებით გაგვეტანა თავი ყოველგვარი სიძნელეების მიუხედავად, და მხოლოდ ეს მიგვითითებს იმ გზას, რომლითაც ჩვენ წარმატებიდან წარმატებაზე გადავდივართ.

თუ მოიგონებთ წარსულს, თუ მოიგონებთ საბჭოთა ხელისუფლების პირველ ნაბიჯებს, თუ მოიგონებთ რესპუბლიკის მთელ მშენებლობას მართვა-გამგეობის ყველა დარგში, სამხედრო საქმის გამოუკლებლივ, დაინახავთ, რომ ორი წლის

წინათ, ოქტომბერში, მუშათა კლასის ხელისუფლება მხოლოდ დასაწყის პერიოდში იყო, როცა სახელმწიფო ხელისუფლების აპარატი სინამდვილეში ჩვენს ხელში არ იყო, და თქვენ, როცა თვალს გადაავლებთ განვლილ ორ წელიწადს, დამეთანხმებით, რომ ყოველ დარგში — სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ დარგებში — თითო მტკავლობით გვიხდებოდა ყოველი პოზიციის დაპყრობა სახელმწიფო ხელისუფლების ნამდვილი აპარატის შესაქმნელად, გზიდან ვიშორებდით რა იმათ, ვინც ჩვენამდე სათავეში ედგნენ მუშებსა და მშრომელ მასებს.

ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს გავიგოთ ამ ხნის განმავლობაში განვლილი განვითარება, იმიტომ რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ეს განვითარება იმავე გზით მიდის. მუშები და მშრომელი მასები პირველ ნაბიჯებს დგამენ არა თავიანთ ნამდვილ ხელმძღვანელებთან ერთად, — ახლა პროლეტარიატი თვითონ იღებს ხელში სახელმწიფოს მართვა-გამგეობას, პოლიტიკურ ძალაუფლებას, პროლეტარიატის სათავეში ჩვენ ყველგან ვხედავთ ბელადებს, რომლებიც სპობენ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ძველ ცრურწმენას, რომლის გამომხატველნი ჩვენში არიან მენშევიკები და ესერები, ხოლო მთელ ევროპაში — ბურჟუაზიული მთავრობების წარმომადგენლები. წინათ ეს იყო გამონაკლისი, ახლა კი ეს საერთო წესი გახდა. და თუ ოქტომბერში, ორი წლის წინათ, ბურჟუაზიული მთავრობა რუსეთში — მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენლებთან მისი კავშირი, მისი კოალიცია — დაიმსხვრა, ჩვენ ვიცით, როგორ მოგვიხდა შემდეგ, როცა მუშაობას ვაგვარებდით, მართვა-გამგეობის ყოველი დარგის გარდაქმნა იმგვარად, რომ პროლეტარიატის ნამდვილ წარმომადგენლებს, რევოლუციურ მუშებს, ნამდვილ ავანგარდს აეღო თავის ხელში ხელისუფლების მშენებლობის საქმე. ეს იყო ოქტომბერში, ორი წლის წინათ, როცა მეტისმეტი დაძაბული მუშაობა წარმოებდა; მიუხედავად ამისა ჩვენ ვიცით და უნდა ვთქვათ, რომ ეს მუშაობა ახლაც არ დამთავრებულა. ჩვენ ვიცით, როგორი წინააღმდეგობა

გაგვიწია სახელმწიფო ხელისუფლების ძველმა აპარატმა, თავ-დაპირველად როგორ ცდილობდნენ მოხელეები უარი ეთქვათ მართვა-გამგეობაზე, — ეს უაღრესად უხეში საბოტაჟი რამ-დენიმე კვირაში გატეხა პროლეტარულმა ხელისუფლებამ. ამ ხელისუფლებამ დაგვანახვა, რომ ამ უარისთქმით ვერავი-თარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენ მასზე; და მას შემდეგ, რაც ეს უხეში საბოტაჟი გავტეხეთ, როგორ დაადგა იგივე მტერი სხვა გზას.

მუდამ ისე იყო, რომ მუშათა მართვა-გამგეობასაც კი ბურჟუაზიის მომხრეები აგებდნენ; ჩვენ ისე ჩავებით ამ საქ-მეში, რომ მთლიანად მუშათა ძალები გამოვიყენეთ. ავიღოთ, მაგალითად, ის ეპოქა, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, როცა რკინიგზის სამმართველოს, რკინიგზის პროლეტარიატის სა-თავეში იდგნენ ადამიანები, რომლებიც პროლეტარული გზით კი არ წარმართავდნენ მას, არამედ ბურჟუაზიული გზით[35]. ჩვენ ვიცით, რომ ყველა დარგში, სადაც კი ჩვენ ვახერხებ-დით ბოლო მოგვეღო ბურჟუაზიისათვის, ჩვენ ამას ვაკეთებ-დით, მაგრამ რა ფასით! ყოველ დარგში ჩვენ თითო მტკავ-ლობით ვიპყრობდით პოზიციებს და ვაწინაურებდით მუშათა ძალებს, ვაყენებდით ჩვენს მოწინავე ადამიანებს, რომლებმაც განვლეს სახელმწიფო ხელისუფლების მართვა-გამგეობის მოწყობის ძნელი სკოლა. შესაძლოა, როცა გარედან უყუ-რებ, მთელი ეს საქმე არ წარმოადგენდეს დიდ სიძნელეს, ნამდვილად კი, თუ ჩაუფიქრდებით, დაინახავთ, რა სიძნელით მოიპოვეს მუშებმა, რომლებმაც ბრძოლის ყველა საფეხური განვლეს, თავიანთი უფლებები, როგორ დააყენეს მათ საქმე მრეწველობის მიმართ მუშათა კონტროლით დაწყებული მუშათა მართვა-გამგეობამდე, ანდა რკინიგზის საქმეში, ყბად-აღებული რკინიგზელთა კავშირის სრ. რუს. აღმასრულებელი კომიტეტით დაწყებული, როგორ მოაწყვეს შრომისუნარიანი აპარატი; თქვენ დაინახავთ, მუშათა კლასის წარმომადგენლე-ბი როგორ თანდათანობით შედიან ყველა ჩვენს ორგანიზა-ციაში და თავიანთი მუშაობით განამტკიცებენ მათ. ავიღოთ, მაგალითად, კოოპერაცია, სადაც ჩვენ ვხედავთ მუშათა წარმო-

მადგენლების უდიდეს რიცხვს. ჩვენ ვიცით, რომ წინათ იგი თითქმის მთლიანად არამუშათა კლასის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. და აქაც, ძველ კოოპერაციაში, ჩვენ ვხვდებოდით ადამიანებს, რომლებიც გამსჭვალული იყვნენ ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების შეხედულებებით და ინტერესებით. ამ მხრივ მუშებს ბევრი ბრძოლა მოუხდათ, რომ ხელთ ეგდოთ ძალაუფლება და კოოპერაცია დაემორჩილებინათ თავიანთი ინტერესებისათვის, ეწარმოებინათ უფრო ნაყოფიერი მუშაობა.

მაგრამ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მუშაობა ჩვენ ჩავატარეთ ძველი სახელმწიფო აპარატის გარდაქმნის დარგში, და თუმცა ეს მუშაობა ძნელი იყო, მაგრამ ჩვენ ორი წლის მანძილზე ვხედავთ მუშათა კლასის ძალ-ღონის დაძაბვის შედეგებს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დარგში ჩვენ გვყავს მუშათა ათასობით წარმომადგენელი, რომელთაც განვლეს ბრძოლის მთელი ცეცხლი, თანდათან აძევებდნენ რა ბურჟუაზიული ხელისუფლების წარმომადგენლებს. მუშებს ჩვენ ვხედავთ არა მარტო სახელმწიფო აპარატში, მათ წარმომადგენლებს ჩვენ ვხედავთ სასურსათო საქმეში, იმ დარგში, სადაც თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ძველი ბურჟუაზიული მთავრობის, ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფოს წარმომადგენლები იყვნენ. მუშებმა შექმნეს სასურსათო აპარატი, და თუ ერთი წლის წინათ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ვართმევდით თავს ამ აპარატს, თუ ერთი წლის წინათ მუშების წარმომადგენლები იქ მხოლოდ 30% იყო, ახლა სასურსათო აპარატის შინაგან მშენებლობაში მუშების წარმომადგენელთა დაახლოებით 80%-ს ვითვლით. ამ უბრალო, თვალსაჩინო ციფრებით შეგვიძლია გამოვხატოთ ის ნაბიჯი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გადადგა, და ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ დიდ შედეგებს მივაღწიეთ პროლეტარული ხელისუფლების მშენებლობაში.

გარდა ამისა, მუშებმა ჩაატარეს და ახლაც ატარებენ მნიშვნელოვან მუშაობას — ეს არის პროლეტარიატის ბელადთა

აღზრდა. ათი და ასი ათასობით მამაცი მუშა გამოდის ჩვენი წრიდან და ილაშქრებს თეთრგვარდიელი გენერლების წინააღმდეგ. თანდათანობით ვართმევთ მტერს ძალაუფლებას, და თუ წინათ მუშები მთლიანად დაუფლებული არ იყვნენ ამ საქმეს, ახლა თანდათან ვართმევთ მტერს სხვადასხვა სფეროს, და ვერავითარი სიძნელეები ვერ შეაჩერებს პროლეტარიატს. პროლეტარიატი ეუფლება ყოველ სფეროს, თანდათანობით, ერთიმეორის მიყოლებით, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელეებისა და იზიდავს პროლეტარული მასების წარმომადგენლებს იმისათვის, რომ მართვა-გამგეობის ყოველ სფეროში, ყოველ პატარა უჯრედში, თავიდან ბოლომდე, — ყველგან პროლეტარიატის წარმომადგენლებმა თვითონ განვლონ მშენებლობის სკოლა, თვითონ აღზარდონ ათეულ და ასეულ ათასობით ადამიანი, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებლად გაუძღვენ სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სახელმწიფო მშენებლობის ყოველგვარ საქმეს.

ამხანაგებო! უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვიხილეთ იმის განსაკუთრებით ბრწყინვალე მაგალითი, თუ როგორი წარმატება ჰქონდა ჩვენს მუშაობას. ჩვენ ვიცით, როგორ ფართოდ გავრცელდა შეგნებულ მუშებში შაბათობები. ჩვენ ვიცნობთ შიმშილით და სიცივით დიდად განაწამებ კომუნიზმის წარმომადგენლებს, რომლებსაც ზურგში არანაკლები სარგებლობა მოაქვთ, ვიდრე წითელ არმიას ფრონტზე; ჩვენ ვიცით, თუ კრიზისულ მომენტში, როცა მტერი პეტროგრადს უტევდა, ხოლო დენიკინმა ორიოლი აიღო, როცა ბურჟუაზიამ ფრთები შეისხა და მიმართა თავის უკანასკნელ ჩვეულ იარაღს — პანიკის გავრცელებას, როგორ გამოვაცხადეთ ჩვენ მაშინ პარტიული კვირა. ასეთ მომენტში მუშა-კომუნისტები მიდიოდნენ მუშებთან და მშრომელებთან, იმათთან, ვისაც ყველაზე მეტად აწვებოდა იმპერიალისტური ომის ტვირთი და ვინც შიმშილით და სიცივით იტანჯებოდა, იმათთან, ვისზედაც ყველაზე მეტ იმედს ამყარებდნენ პანიკის ბურჟუაზიული გამავრცელებელნი, იმათთან, ვინც ყველაზე მეტი სიმძიმე გადაიტანა საკუთარი ზურგით, — მათ მივმართავთ ჩვენ პარ-

ტიული კვირის დროს და ვეუბნებით: «თქვენ გაშინებთ მუშური ხელისუფლების სიმძიმე, იმპერიალისტებისა და კაპიტალისტების მუქარა; თქვენ ხედავთ ჩვენს მუშაობას და სიძნელეებს; მოგიწოდებთ თქვენ, და მხოლოდ თქვენ, მხოლოდ მშრომელთა წარმომადგენლებს ფართოდ ვუღებთ ჩვენი პარტიის კარს. მძიმე მომენტში თქვენზე ვამყარებთ იმედს და მოგიწოდებთ ჩვენს რიგებში, რათა იტვირთოთ სახელმწიფო მშენებლობის მთელი სიმძიმე». თქვენ იცით, რომ ეს საშინლად მძიმე მომენტი იყო როგორც მატერიალური მხრივ, ისე მტრის საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო წარმატების მხრივ. და თქვენ იცით, როგორი გაუგონარი, მოულოდნელი და წარმოუდგენელი წარმატებით დამთავრდა ეს პარტიული კვირა მარტო მოსკოვი რომ ავიღოთ, სადაც ჩვენ პარტიის 14 ათასზე მეტი ახალი წევრი შევიძინეთ. აი იმ პარტიული კვირის შედეგი, რომელიც სრულიად გადაახალისებს, გარდაქმნის მუშათა კლასს და ბურჟუაზიული ხელისუფლების, ექსპლოატატორების, ბურჟუაზიული სახელმწიფოს უმოქმედო, უნებისყოფო იარაღიდან მუშაობის გამოცდილებით ქმნის მომავალი კომუნისტური საზოგადოების ნამდვილ შემოქმედ. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ათეულ და ასეულ ათასობით რეზერვები, რომელთაც უნახავთ და იციან მემამულური და ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი ძველი ჩაგვრა, რომელთაც უნახავთ მშენებლობის გაუგონარი სიძნელეები, რომელთაც უხილავთ, როგორი გმირები მოგვცა მუშაკთა პირველმა გაწვევამ 1917 და 1918 წლებში, მუშაკებისა, რომლებიც ჩვენთან მოდიან მით უფრო ფართოდ, მით უფრო თავდადებით, რაც უფრო მეტად გვიჭირს. ეს რეზერვები სრულ რწმენას გვინერგავენ, რომ ჩვენ ორი წლის მანძილზე მივაღწიეთ მტკიცე, აღმოუფხვრელ სიმაგრეს და შევიძინეთ წყარო, რომლიდანაც კიდევ დიდხანს შეგვიძლია მივიღოთ ახალი ძალები კიდევ უფრო ფართო მასშტაბით, რათა მშრომელთა წარმომადგენლებმა თვითონ მოჰკიდონ ხელი სახელმწიფო მშენებლობის საქმეს. ამ მხრივ ორი წლის მანძილზე ჩვენ მუშური მართვა-გამგეობის

ბამოყენების ისეთი გამოცდილება გვქონდა ყველა სფეროში, რომ აქ თამამად და სრულიად გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლა მხოლოდ ისღა დაგვრჩა, რომ განვაგრძოთ ის, რაც დავიწყეთ, და საქმე ისე წავა, როგორც ამ ორი წლის განმავლობაში მიდიოდა, და უფრო და უფრო ჩქარი ტემპითაც.

სხვა სფეროში, გლეხობისადმი მუშათა კლასის დამოკიდებულების სფეროში, გაცილებით უფრო მეტი სიძნელეები გვქონდა. 1917 წელს, ორი წლის წინათ, როცა ძალაუფლება საბჭოების ხელში გადავიდა, ეს დამოკიდებულება ჯერ კიდევ სრულიად გაურკვეველი იყო. გლეხობამ უკვე მთლიანად ზურგი შეაქცია მემამულეებს, მხარი დაუჭირა მუშათა კლასს, იმიტომ რომ მასში დაინახა გლეხთა მასის სურვილების შემსრულებლები, ნამდვილი მებრძოლი მუშები, და არა ისინი, ვინც მემამულეებთან კავშირში ღალატობდა გლეხობას. მაგრამ ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ გლეხობის შიგნით ბრძოლა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გაჩაღებული. პირველი წელი ისეთი წელი იყო, როცა ქალაქის პროლეტარიატს სოფლად მტკიცე პოზიცია ჯერ კიდევ არ ჰქონდა. ამას ჩვენ განსაკუთრებით თვალნათლივ ვხედავთ იმ განაპირა მხარეებში, სადაც დროებით ფეხს იკიდებდა თეთრგვარდიელთა ხელისუფლება. ეს ჩვენ ვნახეთ შარშან ზაფხულში, 1918 წელს, როდესაც მათ იოლი გამარჯვება მოიპოვეს ურალში. ჩვენ ვნახეთ, რომ პროლეტარული ხელისუფლება თვით სოფელში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი, რომ არ ქმარა გარედან მოიტანო პროლეტარული ხელისუფლება და მისცე იგი სოფელს. საჭიროა, რომ გლეხობა თავისი გამოცდილებით, თავისი მშენებლობით მივიდეს იმავე დასკვნებამდე, და თუმცა ეს მუშაობა განუზომლად უფრო ძნელია, უფრო ნელი და მძიმეა, მაგრამ ის შეუდარებლად უფრო ნაყოფიერია შედეგების მხრივ. ეს არის ჩვენი მთავარი მონაპოვარი საბჭოთა ხელისუფლების მეორე წლის განმავლობაში.

მე არ ვილაპარაკებ კოლჩაკზე გამარჯვების სამხედრო მნიშვნელობის შესახებ, ოღონდ ვიტყვი: **გლეხობას რომ არ**

ჰქონოდა გამოცდილება, რომელიც ერთმანეთს ადარებდა ბურჟუაზიის დიქტატორთა ხელისუფლებას და ბოლშევიკების ხელისუფლებას, ამ გამარჯვებას ვერ მოვიპოვებდით. ხოლო დიქტატორებმა ხომ კოალიციით, დამფუძნებელი კრებით დაიწყეს, ამ ხელისუფლებაში მონაწილეობას იღებდნენ იგივე ესერები და მენშევიკები, რომელთაც ჩვენი მუშაობის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით, როგორც გუშინდელი დღის ადამიანებს, როგორც კოოპერაციის, პროფესიული კავშირების, მასწავლებელთა ორგანიზაციების და სხვა უამრავი ორგანიზაციის მშენებლებს, ორგანიზაციებისა, რომელთა გადაკეთებაც ჩვენ გვიხდება. კოლჩაკმა იმით დაიწყო, რომ კავშირი გააბა იმ ადამიანებთან, რომლებმაც კერენსკის გამოცდილება არ იკმარეს და ახალი ცდა მოახდინეს. ეს ცდა იმისათვის აღმოჩნდა საჭირო, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ ამხედრებულიყვნენ ცენტრისაგან ყველაზე უფრო მოწყვეტილი განაპირა მხარეები. ჩვენ არ შეგვეძლო ციმბირის გლეხებისათვის მიგვეცა ის, რაც გლეხებს მისცა რევოლუციამ რუსეთში. ციმბირში გლეხებს არ მიუღიათ მემამულეთა მიწა, იმიტომ რომ იქ მემამულეთა მიწა არ იყო, და ამიტომ მათ უფრო ადვილად დაუჯერეს თეთრგვარდიელებს. ამ ბრძოლაში ჩაბმული იყო ანტანტისა და იმპერიალისტების იმ არმიის მთელი ძალები, რომელიც ყველაზე ნაკლებ დაზარალდა ომში, — იაპონიის არმიისა. ჩვენ ვიცით, რომ ასეულ მილიონობით მანეთი დაიხარჯა კოლჩაკის დასახმარებლად, რომ ყოველგვარი საშუალება იყო გამოყენებული მის დასახმარებლად. რა არ იყო მის მხარეზე? ყველაფერი იყო. ყველაფერი, რაც კი აქვთ მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებს, გლეხობა და უზარმაზარი ტერიტორია, სადაც სამრეწველო პროლეტარიატი თითქმის არ ყოფილა. მაშ რატომ დაიმსხვრა ყველაფერი ეს? იმიტომ, რომ მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების გამოცდილებამ ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ ბოლშევიკების წინასწარმეტყველება, მათ მიერ საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობის გათვალისწინება სწორი იყო, ბოლშევიკები მართალი იყვნენ, როცა ამბობდნენ, რომ მუშათა და გლეხთა

კავშირის განხორციელება ძნელია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს არის ერთადერთი უძლეველი კავშირი კაპიტალისტების წინააღმდეგო.

ეს მთელი მეცნიერებაა, ამხანაგებო, თუკი შეიძლება აქ მეცნიერებაზე ლაპარაკი. კომუნიზმის მშენებლობის ეს ცდა ყველაზე ძნელი, ყველაფრის გამთვალისწინებელი და ყველაფრის განმამტკიცებელი ცდაა; კომუნიზმის აშენება ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია, თუ გლეხობა შეგნებულად მივა გარკვეულ დასკვნამდე. ჩვენ ამას შევძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავამყარებთ კავშირს გლეხებთან. ამაში ჩვენ დავრწმუნდით კოლჩაკის მაგალითით. კოლჩაკის ეპოპეა სისხლისმღვრელი ცდა იყო, მაგრამ ამაში დამნაშავე ჩვენ როდი ვიყავით.

თქვენ ახლა მშვენივრად იცნობთ მეორე სახის ჩაგვრას, რომელიც თავს დაგვატყდა, თქვენ იცით, რომ შიმშილი და სიცივე ყველაზე მეტად თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას. თქვენ იცით, რომ ამაში კომუნიზმს სდებენ ბრალს, მაგრამ თქვენ მშვენივრად იცით ისიც, რომ კომუნიზმი აქ არაფერ შუაშია. ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველ ქვეყანაში ფართოვდება და ღრმავდება შიმშილი და სიცივე, და მალე ყველა დარწმუნდება იმაში, რომ რუსეთის ასეთი მდგომარეობა კომუნიზმის შედეგი კი არ არის, არამედ იგი ოთხი წლის საერთაშორისო ომის შედეგია. ამ ომმა შექმნა მთელი ის საშინელება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, შექმნა ეს შიმშილი და სიცივე. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ მალე დავაღწევთ თავს ამ წრეს. მთელი საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საჭიროა მუშებმა იშრომონ, ოღონდ იშრომონ თავისთვის და არა იმათთვის, ვინც ოთხი წლის განმავლობაში ყელს გვჭრიდა. ბრძოლა შიმშილთან და სიცივესთან უკვე ყველგან წარმოებს. უაღრესად ძლიერი სახელმწიფოებიც განიცდიან ახლა ამ ჩაგვრას.

ჩვენ მოგვიხდა სახელმწიფო აკრეფის გზით ჩვენს მრავალმილიონიან გლეხობაში შეგვეგროვებინა პური, და ჩვენ ეს მოვიმოქმედეთ არა იმ გზით, რომელსაც მიმართავდნენ კაპიტალისტები, რომლებიც სპეკულანტებთან ერთად მოქმედებ-

დნენ. ამ საკითხის გადაწყვეტაში ჩვენ მუშებთან ერთად ვმოქმედებდით, სპეკულანტების წინააღმდეგ ვილაშქრებდით. ჩვენ ვადექით დარწმუნების გზას, ჩვენ მივდიოდით გლეხთან და ვეუბნებოდით: ჩვენ ყოველივე ამას ვშვრებით მხოლოდ შენი და მუშების დახმარების გულისათვის. გლეხი, რომელსაც აქვს ნაჭარბი პური და გვაბარებს მას მტკიცე ფასში, ჩვენი თანამებრძოლია. ის კი, ვინც ამას არ შვრება, — ჩვენი მტერია, დამნაშავეა, ექსპლოატატორი და სპეკულანტია, და მასთან ჩვენ არ შეგვიძლია საერთო რამ გვქონდეს. ჩვენ გლეხთან მივდიოდით ქადაგებით და ეს ქადაგება სულ უფრო და უფრო იზიდავდა ჩვენკენ გლეხობას. ამ მხრივ ჩვენ სრულიად გარკვეული შედეგები მივიღეთ. თუ გასული წლის აგვისტო-სექტემბერში ჩვენ დამზადებული გვქონდა 37 მილიონი ფუთი პური, მიმდინარე წელს დამზადებული გვაქვს 45 მილიონი ფუთი, თუმცა ეს საგანგებოდ, გულდასმით შემოწმებული არ არის. როგორც ხედავთ, გაუმჯობესება ხდება, ნელი, მაგრამ უეჭველი გაუმჯობესება. ის ხარვეზიც რომ მივიღოთ მხედველობაში, რომელიც ჩვენში შეიქმნა დენიკინის მიერ ჩვენი მოსავლიანი რაიონის დაკავების გამო, საქმე მაინც იქითკენ მიდის, რომ შევძლებთ დამზადების გეგმის და სახელმწიფო ფასის მიხედვით განაწილების გეგმის შესრულებას. ამ მხრივ ჩვენი აპარატიც ერთგვარად შექმნილია, და ახლა სოციალისტურ გზას ვადგებით.

ამჟამად ჩვენ წინაშე დგას სათბობის კრიზისის საკითხი. პურის საკითხი ჩვენში ახლა უკვე ისე მწვავედ არა დგას; ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როცა პური გვაქვს, მაგრამ არა გვაქვს სათბობი. დენიკინმა წაგვართვა ქვანახშირის რაიონი. ქვანახშირის ამ რაიონის წართმევამ არნახული სიძნელეები შეგვიქმნა და ამ შემთხვევაში ჩვენ ისევე ვიქცევით, როგორც პურის მიმართ ვიქცეოდით. ჩვენ ისევე მივმართავთ მუშებს, როგორც წინათ მივმართავდით. ისევე, როგორც გარდავქმენით ჩვენი სასურსათო აპარატი, რომელმაც, განმტკიცებისა და მოგვარების შემდეგ, სრულიად გარკვეული, ბრწყინვალე შედეგების მომცემი სამუშაო შეასრულა,

სწორედ ასევე ახლაც დღითი დღე ვაუმჯობესებთ ჩვენს სათბობის მომარაგების აპარატს. ჩვენ ვეუბნებით მუშებს, საიდან გვიახლოვდება ესა თუ ის საშიშროება, საით და რომელი რაიონიდან უნდა მივაშველოთ ახალი ძალები, და დარწმუნებული ვართ, რომ ისევე, როგორც გასულ წელს ვძლევდით პურის გასაჭირს, ახლაც დავძლევთ ჩვენს სიძნელეებს სათბობის საკითხში.

ნება მომეცით ჯერჯერობით დავჯერდე ჩვენი მუშაობის ამ შედეგს. დასასრულ თავს ნებას მივცემ მხოლოდ რამდენიმე სიტყვით აღვნიშნო, თუ როგორ უმჯობესდება ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა. მას შემდეგ, რაც ჩვენ შევამოწმეთ ჩვენი გზა, შედეგებმა ცხადყვეს, რომ ეს გზა პირდაპირი და სწორი იყო. როდესაც 1917 წელს ძალაუფლება ავიღეთ, ჩვენ მარტონი ვიყავით. 1917 წელს ყველა ქვეყანაში ამბობდნენ, ბოლშევიზმი შეუძლებელია დაინერგოსო. ახლა იმავე ქვეყნებში უკვე არსებობს ძლიერი კომუნისტური მოძრაობა. ჩვენ მიერ ძალაუფლების აღების მეორე წელს და III ინტერნაციონალის, კომუნისტების ინტერნაციონალის დაარსების ნახევარი წლის შემდეგ ეს ინტერნაციონალი ფაქტიურად უკვე გადაიქცა ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის ყველაზე მთავარ ძალად. ამ მხრივ ჩვენმა ცდამ უბრწყინვალესი, არნახული, სწრაფი შედეგები მოგვცა. მართალია, მოძრაობა თავისუფლების მოსაპოვებლად ევროპაში ისე არ ხდება, როგორც ჩვენში. მაგრამ თუ მოიგონებთ ორი წლის ბრძოლას, დაინახავთ, რომ უკრაინაშიც, თვით რუსეთის ზოგიერთ ველიკორუსულ ნაწილშიც, სადაც განსაკუთრებული შემადგენლობის მოსახლეობა იყო, მაგალითად, ციმბირის კაზაკებით დასახლებულ ნაწილებში, მაგალითად, ურალში, იქ მოძრაობა გამარჯვების მისაღწევად ისე ჩქარა და ისეთი გზით არ მიდიოდა, როგორც პეტერბურგსა და მოსკოვში — რუსეთის ცენტრში. გასაგებია, ჩვენ ვერ გაგვაკვირვებს ევროპის მოძრაობა, რომელიც უფრო ნელა მიმდინარეობს, სადაც საჭირო ხდება შოვინიზმის, იმპერიალიზმის მეტი ზეგავლენის დაძლევა, მაგრამ მიუხედავად ამისა მოძრაობა იქ განუხრელად მიმდინა-

რეობს იმავე გზით, რომელსაც ბოლშევიკები მიუთითებენ. ყველგან ვხედავთ, თუ როგორ მიდის წინ ეს მოძრაობა. მენშევიკებისა და ესერების მქადაგებლები გზას უთმობენ III ინტერნაციონალის წარმომადგენლებს. ეს ბელადები ემხრობიან, ყველგან დაიწყო კომუნისტური მოძრაობა, და ამიტომ ახლა, საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არათუ რუსეთის სახელმწიფოს მასშტაბით, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, და ეს დამტკიცებულია ფაქტებით, რომ საერთაშორისო მასშტაბითაც ამჟამად ჩვენს მხარეზეა, რაც კი რამ შეგნებული, რაც კი რამ რევოლუციურია მასებში, რევოლუციურ სამყაროში. და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ გადავიტანეთ, ვერავითარი სიძნელეები ვერ შეგვაშინებს, რომ ჩვენ ყველა ამ სიძნელეს გავუძლებთ, და შემდეგ ჩვენ ყველანი დავძლევთ მათ. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

«პრავდა» № 251,
1919 წ. 9 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტთან შედარებული სტენოგრამის მიხედვით

# ამხანაგ თურქესტანელ კომუნისტებს[36]

ამხანაგებო! ნება მომეცით მოგმართოთ არა როგორც **სახ-**კომსაბჭოსა და თავდაცვის საბჭოს[37] თავმჯდომარემ, არამედ როგორც პარტიის წევრმა.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ახლა რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისათვის თურქესტანის ხალხებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას უზარმაზარი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

მთელი აზიისა და მსოფლიოს ყველა კოლონიისათვის, ათასობით მილიონი ადამიანისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება საბჭოთა მუშურ-გლეხური რესპუბლიკის დამოკიდებულებას სუსტი, დღემდე დაჩაგრული ხალხებისადმი.

ძალიან გთხოვთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ ამ საკითხს, — ყოველგვარი ღონისძიება იხმაროთ, რომ მაგალითით, საქმით დაამყაროთ ამხანაგური ურთიერთობა თურქესტანის ხალხებთან, — საქმით დაუმტკიცოთ მათ, რომ ჩვენი გულწრფელი სურვილია აღმოვფხვრათ ველიკორუსული იმპერიალიზმის ყოველგვარი კვალი და თავდადებით ვიბრძოლოთ მსოფლიო იმპერიალიზმის და მის მეთაურ ბრიტანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, — უდიდესი ნდობით მოეპყრათ ჩვენს თურქესტანის კომისიას და მკაცრად დაიცვათ მისი დირექტივები, რაც მას, თავის მხრივ, მიცემული აქვს სრ. რუს. ცაკ-ისაგან სწორედ ასეთი სულისკვეთებით.

ძალიან მადლობელი ვიქნებოდი ამ წერილზე რომ მიპასუხებდეთ და შემატყობინებდეთ საქმისადმი თქვენს დამოკიდებულებას.

კომუნისტური სალამით
ვ. ულიანოვი (ლენინი)

«ტურკესტანსკი კომმუნისტ»,
«თურქესტანის რესპუბლიკის საბჭოების
ცაკ-ის «იზვესტია და «კრასნი ფრონტ»
(საიუბილეო გამოცემა),
1919 წ. 7 — 10 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

# ვებრძოლოთ სათბობის კრიზისს

## ცირკულარული წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი

ამხანაგებო! ჩვენს პარტიას, როგორც პროლეტარიატის ორგანიზებულ ავანგარდს, წილად ხვდა მუშათა კლასის ბრძოლის გაერთიანების ამოცანა და მისი ბრძოლის ხელმძღვანელობა მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ძლევამოსილად ჩავატარეთ რა ეს ბრძოლა ორი წლის განმავლობაში, ჩვენ ახლა კარგად ვიცით, რა საშუალებებს მივმართავდით იმ უზომო სიძნელეების დასაძლევად, რომლებიც შეგვიქმნა ოთხი წლის იმპერიალისტური ომით ჩვენი ქვეყნის გაჩანაგებამ და როგორც რუსეთის, ისე საერთაშორისო ექსპლოატატორების წინააღმდეგობამ.

ამხანაგებო! ჩვენი ძლიერების მთავარი წყაროა: მუშების შეგნებულობა და გმირობა, მუშებისა, რომლებისთვისაც არ შეეძლოთ არ თანაეგრძნოთ მშრომელ გლეხებს, და რომელთაც არ შეუძლიათ არ თანაუგრძნონ, არ შეუძლიათ მხარი არ დაუჭირონ მშრომელმა გლეხებმა. ჩვენი გამარჯვებების მიზეზია: ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პირდაპირი მიმართვა მშრომელი მასებისადმი ყოველგვარ მორიგ სიძნელესა და მორიგ ამოცანაზე მითითებით; უნარი მასებისათვის იმის განმარტებისა, თუ რატომ უნდა დავაწვეთ მთელი ძალ-ღონით საბჭოთა მუშაობის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ამა თუ იმ მომენტში; უნარი მასების ენერგიის, გმირობის, ენთუზიაზმის გამოწვევისა რევოლუციურად დაძაბული ძალ-ღონის თავმოყრით უმნიშვნელოვანეს მორიგ ამოცანაზე.

ამხანაგებო! დადგა დრო, როცა ასეთი უმნიშვნელოვანესი მორიგი ამოცანა გახდა ბრძოლა სათბობის კრიზისთან. ჩვენ

საბოლოოდ ვანადგურებთ კოლჩაკს, ჩვენ დავამარცხეთ იუდენიჩი, ჩვენ წარმატებით ვუტევთ დენიკინს. ჩვენ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ პურის დამზადება და ჩაყრა. მაგრამ სათბობის კრიზისი გვემუქრება მთელი საბჭოთა მუშაობის ჩაშლით: სიცივისა და შიმშილის გამო გარბიან მუშა-მოსამსახურეები, ჩერდებიან პურით დატვირთული მატარებლები, სწორედ სათბობის ნაკლებობის გამო გვემუქრება ნამდვილი კატასტროფა.

სათბობის საკითხი ყველა დანარჩენი საკითხის ცენტრში მოექცა. რადაც უნდა დაჯდეს უნდა დავძლიოთ სათბობის კრიზისი, თორემ ვერ გადავწყვეტთ ვერც სასურსათო, ვერც სამხედრო და ვერც საერთო-სამეურნეო ამოცანას.

სათბობის კრიზისის დაძლევა კი შეიძლება. რადგან, თუმცა დავკარგეთ დონეცის ქვანახშირი და საშუალება არა გვაქვს სასწრაფოდ გავაძლიეროთ ქვანახშირის ამოღება ურალსა და ციმბირში, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ მრავალი ტყე გვაქვს, შეგვიძლია მოვჭრათ და მოვზიდოთ შეშა საკმაო რაოდენობით.

სათბობის კრიზისის დაძლევა შეიძლება. და უნდა შევძლოთ ახლა მთავარი ძალები წარვმართოთ ჩვენს (ამჟამად) მთავარ მტერზე: სათბობის შიმშილზე, უნდა შევძლოთ მშრომელთა მასებში ენთუზიაზმის გამოწვევა, უნდა მივაღწიოთ ენერგიის რევოლუციურად დაძაბვას, რათა რაც შეიძლება სწრაფად მოვიპოვოთ და მოვზიდოთ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ყოველგვარი სათბობი — ქვანახშირი, ფიქალი, ტორფი და სხვა, პირველ რიგში კი შეშა, შეშა და შეშა.

რკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია, პარტიის ყველა წევრი, რომლებმაც ორი წლის განმავლობაში დაამტკიცეს, რომ მათ შესწევთ უნარი და მოხერხება რევოლუციურად გადაწყვიტონ ამაზე არა ნაკლები, არამედ უფრო ძნელი ამოცანები, ამ ამოცანასაც გადაწყვეტენ.

რკპ ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციას მიიღოს განსაკუთრებით შემდეგი ზომები:

1. ამიერიდან ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიული კრებების და, პირველ რიგში, პარტიულ კომიტეტთა კრებების დღის წესრიგის მუდმივ პუნქტად უნდა დააყენოს სათბობის საკითხი და სათბობის კრიზისთან ბრძოლა. რის გაკეთება შეგვიძლია კიდევ, რა უნდა გავაკეთოთ სათბობის კრიზისთან საბრძოლველად? როგორ გავაძლიეროთ ეს მუშაობა? როგორ გავხადოთ ეს მუშაობა უფრო ნაყოფიერი? — ამ საკითხებს უნდა უტრიალებდეს ახლა ყველა პარტიული ორგანიზაცია.

2. იგივე შეეხება ყველა საგუბერნიო აღმასკომს, საქალაქო აღმასკომს, სამაზრო აღმასკომს, სავოლოსტო აღმასკომს, — ერთი სიტყვით, ყველა ხელმძღვანელ საბჭოთა დაწესებულებას. პარტიის წევრებმა უნდა აკისრონ სათანადო მუშაობის გაძლიერების, გაერთიანების, დაძაბვის ინიციატივა საერთო-სახელმწიფო მასშტაბით.

3. საჭიროა ყველგან გავაჩაღოთ უაღრესად ფართო აგიტაცია, უმთავრესად სოფლად, საბჭოთა ხელისუფლებისათვის სათბობის საკითხის გასარკვევად. განსაკუთრებით უნდა ვებრძოლოთ ადგილობრივი და კუთხური, ვიწრო-ეგოისტური ინტერესების ბატონობას სათბობის საქმეში. საჭიროა განვმარტოთ, რომ საერთო-სახელმწიფო საჭიროებათათვის თავდადებული მუშაობის გაუწევლად შეუძლებელია საბჭოების რესპუბლიკის ხსნა, შეუძლებელია მუშურ-გლეხური ხელისუფლების შენარჩუნება.

4. საჭიროა დიდი ყურადღებით შევამოწმოთ პარტიის დავალებათა და საბჭოთა ხელისუფლების მინდობილობათა, მოთხოვნათა და დავალებათა საქმით შესრულება. პარტიის ყველა ახალი წევრი, რომლებიც უკანასკნელი პარტიული კვირის დროს შევიდნენ პარტიაში, უნდა ჩავაბათ ყველას მიერ თავიანთ მოვალეობათა შესრულების შემოწმების საქმეში.

5. მთელი მოსახლეობის შრომის ბეგარა თუ განსაზღვრულ ასაკთა მობილიზაცია ქვანახშირისა და ფიქალის მოსაპოვებლად და რკინიგზის სადგურებზე მისაზიდად, შეშის მოსაჭ-

რელად და რკინიგზის სადგურებზე მისაზიდად უნდა განხორციელდეს უდიდესი სისწრაფით და დაუყოვნებლივ. დაწესდეს შრომითი ნორმები და რადაც უნდა დაჯდეს მივაღწიოთ მათ შესრულებას. დაუნდობელი სიმკაცრით დაისაჯონ ისინი, ვინც, მიუხედავად განმეორებითი დაჟინებითი მოთხოვნისა და ბრძანებისა, თავს აარიდებს მუშაობას. ყოველგვარი მფარველობა, ყოველგვარი სისუსტე დანაშაული იქნება რევოლუციის წინაშე.

ჩვენ განვამტკიცეთ დისციპლინა ჯარში. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ შრომითი დისციპლინა.

6. შაბათობები უნდა ტარდებოდეს უფრო ხშირად, უფრო ენერგიულად, უფრო სისტემატურად, უფრო ორგანიზებულად და პირველ რიგში სათბობის სამუშაოებზე. შრომითი დისციპლინისა და ენერგიის მხრივ პარტიის წევრები ყველაზე წინ უნდა მიდიოდნენ. სათბობის საკითხზე სახკომსაბჭოს, თავდაცვის საბჭოსა და სხვა ცენტრალური, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებების დადგენილებები უნდა სრულდებოდეს არა შიშის, არამედ სინდისის ქვეშ.

7. სათბობის ადგილობრივი დაწესებულებები გაძლიერებულ უნდა იქნენ საუკეთესო პარტიული მუშაკებით. ამ მიზნით უნდა გადაისინჯოს და სათანადოდ შეიცვალოს ძალების განაწილება.

8. ცენტრიდან მოვლინებულ ამხანაგებს ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოეჩინოს, უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდა ძალებს შევასწავლოთ — და ამასთან პრაქტიკულად — სათბობის საქმის ორგანიზაცია, დაყენება და გაძღოლა. ადგილობრივ პრესაში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ მუშაობას, მზრუნველობით უნდა წამოვწიოთ წინ, ყველას საყურადღებოდ, ნამდვილად კარგი მუშაობის ნიმუშები და ულმობლად ვებრძოლოთ რომელიმე რაიონის, განყოფილების, დაწესებულების ჩამორჩენილობას, დაუდევრობას თუ უუნარობას. ჩვენი პრესა უნდა გახდეს ჩამორჩენილთა წახალისების, მუშაობის, შრომითი დისციპლინის, ორგანიზაციის დანერგვის იარაღი.

9. სასურსათო ორგანოების უმთავრესი ამოცანა უნდა გახდეს სათბობის საქმეზე მომუშავეთა უზრუნველყოფა სურსათით და ალაფით. ყოველმხრივი დახმარების გაწევა მათთვის, მათი მუშაობის გაძლიერება, სამუშაოს შესრულების კონტროლი.

10. სათბობის ყველა ორგანოში (ისე როგორც ყველა საბჭოთა დაწესებულებაში) დაუღალავად უნდა ვცდილობდეთ, რომ საქმით იყოს უზრუნველყოფილი **თვითეულის პირადი** პასუხისმგებლობა განსაზღვრული, სასტიკად და ზუსტად დანიშნული სამუშაოსათვის ან სამუშაოს ნაწილისათვის. განხილვის კოლეგიალობა დაყვანილ უნდა იქნეს აუცილებელ მინიმუმამდე და მან არასოდეს არ უნდა შეუშალოს ხელი გადაწყვეტილების მიღების სისწრაფეს და სიმტკიცეს, არ დაფაროს თვითეული ცალკე მუშაკის პასუხისმგებლობა.

11. სათბობის ყველა საკითხში აუცილებელია განსაკუთრებული სიზუსტე და სისწრაფე საქმის წარმოებისას. გაჭიანურების სულ მცირედი გამოვლინება დაუნდობლად უნდა დაისაჯოს. ცენტრისათვის ცნობების მიწოდება სანიმუშოდ უნდა იყოს დაყენებული.

12. საერთოდ სათბობის ორგანოების მთელი მუშაობა სამხედრო ყაიდაზე უნდა იყოს დაყენებული: მუშაობა უნდა წარმოებდეს ისეთივე ენერგიით, სისწრაფით, უსასტიკესი დისციპლინით, როგორც ეს საჭიროა ომში. უამისოდ სათბობის შიმშილის დაძლევა შეუძლებელია. უამისოდ კრიზისს თავს ვერ დავაღწევთ.

რკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ყველა ამხანაგი მთელ თავის ძალ-ღონეს დაძაბავს ამ მითითებათა უაღრესად ენერგიულად და ზუსტად შესრულებისათვის.

ვიბრძოლოთ სათბობის შიმშილის საბოლოოდ დასაძლევად!

რკპ ცენტრალური კომიტეტი

«პრავდა» № 254,
1919 წ. 13 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ხელნაწერთან

# სიტყვა სოფლად პარტიული მუშაობის სრულიად რუსეთის I თათბირზე [38] 1919 წ. 18 ნოემბერს

ამხანაგებო! სამწუხაროდ, მე ვერ შევძელი მონაწილეობა მიმეღო იმ თათბირში, რომელიც თქვენ მოაწყვეთ, ე. ი. თათბირში სოფლად მუშაობის შესახებ. ამიტომ მე მომიხდება დავჯერდე მხოლოდ ზოგად და ძირითად მოსაზრებებს, და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ შეძლებთ თანდათანობით გამოიყენოთ ჩვენი პოლიტიკის ეს ზოგადი მოსაზრებები და ძირითადი წესები იმ ცალკეული დავალებებისა და პრაქტიკული საკითხების მიმართ, რომლებიც თქვენ წინაშე წამოიჭრება.

ამჟამად სოფლად მუშაობის საკითხი ჩვენში მაინც მთელი სოციალისტური მშენებლობის ძირითად საკითხს წარმოადგენს, რადგან პროლეტარიატს შორის მუშაობისა და მისი გაერთიანების საკითხის შესახებ ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის განმავლობაში კომუნისტების პოლიტიკა არათუ სავსებით გამოირკვა, არამედ მან უეჭველად მტკიცე შედეგებს მიაღწია. თავდაპირველად ჩვენ გვიხდებოდა ბრძოლა მუშათა წრეში ინტერესების ერთიანობის შეგნების ნაკლებობასთან, სინდიკალიზმის ცალკეულ გამოვლინებებთან, როცა ცალკეული ფაბრიკების ან მრეწველობის ცალკეული დარგების მუშებს ჰქონდათ მისწრაფება თავიანთი ინტერესები, თავიანთი ფაბრიკის, თავიანთი მრეწველობის ინტერესები საზოგადოების ინტერესებზე მაღლა დაეყენებინათ. ჩვენ გვიხდებოდა

და ახლაც გვიხდება კიდევ ბრძოლა არასაკმაო დისციპლინასთან შრომის ახალი ორგანიზაციის საქმეში. მე ვფიქრობ, თქვენ ყველას გახსოვთ ის დიდი ეტაპები, რომლებიც განვლო ჩვენმა პოლიტიკამ, როცა ჩვენ, ვაწინაურებდით რა სულ ახალ-ახალ მუშებს ახალ პოსტებზე, საშუალებას ვაძლევდით მათ გასცნობოდნენ ჩვენ წინაშე დაყენებულ ამოცანებს, სახელმწიფო მართვა-გამგეობის საერთო მექანიზმს. ახლა პროლეტარიატის კომუნისტური მუშაობის ორგანიზაციამ და კომუნისტების მთელმა პოლიტიკამ სავსებით დასრულებული, მტკიცე ფორმა მიიღო, და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ვდგავართ სწორ გზაზე, რომლითაც სვლა სავსებით უზრუნველყოფილია.

რაც შეეხება სოფლად მუშაობას, აქ, უეჭველად, დიდი სიძნელეები გვხვდება, და პარტიის VIII ყრილობაზე ეს საკითხი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საკითხი, მთელი სიგრძესიგანით იყო დაყენებული ჩვენ მიერ. ჩვენი დასაყრდენი სოფლად, ისევე როგორც ქალაქში, შეიძლება იყვნენ მხოლოდ მშრომელი და ექსპლოატირებული მასების წარმომადგენელნი, მხოლოდ ისინი, ვისაც კაპიტალიზმის დროს მთლიანად აწვებოდა მემამულეებისა და კაპიტალისტების უღელი. რა თქმა უნდა, იმ დროიდან, რაც მუშების მიერ ძალაუფლების მოპოვებამ საშუალება მისცა გლეხებს ერთბაშად აღეგავათ მემამულეთა ბატონობა, მოესპოთ მიწის კერძო საკუთრება, მათ, შეუდგნენ რა მიწის დაყოფას, განახორციელეს რაც შეიძლება მეტი თანასწორობა და ამრიგად მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მიწის ექსპლოატაცია, საშუალო დონეზე მაღლა აიყვანეს იგი. მაგრამ, რასაკვირველია, მთლიანად ამას ვერ მივაღწევდით, იმიტომ რომ ერთპიროვნული მეურნეობის დროს თვითეული გლეხის უზრუნველყოფისათვის თესლის, პირუტყვისა და იარაღების საკმაო რაოდენობით საჭიროა მატერიალურ საშუალებათა უზარმაზარი რაოდენობა. ეს კიდევ ცოტაა, ჩვენს მრეწველობას თუნდაც არაჩვეულებრივი წარმატებისათვის რომ მიეღწია სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების განვითარებაში, კიდევაც რომ წარმოვიდ-

გინოთ, რომ ყველა ჩვენი სურვილი შესრულებულია, ამ შემთხვევაშიც კი ჩვენთვის ადვილი გასაგებია, რომ თვითეული წვრილი გლეხის მომარაგება წარმოების საკმაო საშუალებებით შეუძლებელი საქმეა და მეტისმეტად არარაციონალურია, იმიტომ რომ ეს საშინელი დაქსაქსვის მომასწავებელი იქნებოდა; მხოლოდ საერთო, საარტელო, საამხანაგო შრომით შეიძლება თავი დავაღწიოთ იმ ჩიხს, რომელშიც იმპერიალისტურმა ომმა მოგვამწყვდია.

გლეხურ მასას, რომელიც კაპიტალიზმის დროს ყველაზე მეტად იყო დაჩაგრული თავისი სამეურნეო მდგომარეობის არსის გამო, ყველაზე უფრო ეძნელება იწამოს მკვეთრი გარდატეხებისა და გადასვლების შესაძლებლობა. ის ცდა, რომელიც კოლჩაკმა, იუდენიჩმა და დენიკინმა მოახდინეს გლეხზე, აიძულებს მას განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდოს იმას, რაც მან მოიპოვა. ყოველმა გლეხმა იცის, რომ მის მონაპოვართა სიმკვიდრე ჯერ კიდევ არ არის საბოლოო, რომ მისი მტერი — მემამულე — ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი, ის მიმალულია და დახმარებას მოელის თავისი მეგობრებისაგან, საერთაშორისო კაპიტალის ყაჩაღებისაგან. და თუმცა საერთაშორისო კაპიტალი დღითი დღე სულ უფრო და უფრო მეტად სუსტდება, ხოლო ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა არაჩვეულებრივად გაუმჯობესდა ამ უკანასკნელ ხანებში, მაგრამ თუ ფხიზლად გავითვალისწინებთ საქმის მთელ ვითარებას, უნდა ვთქვათ, რომ საერთაშორისო კაპიტალი ჯერ კიდევ უეჭველად ჩვენზე ძლიერია. მას უკვე აღარ შეუძლია პირდაპირი ომით გამოილაშქროს ჩვენ წინააღმდეგ, — საამისოდ მას უკვე შეკრეჭილი აქვს ფრთები. სწორედ ამ უკანასკნელ დღეებში ევროპის ბურჟუაზიულ პრესაში ყველა ეს ვაჟბატონი იწყებს ლაპარაკს: «შესაძლოა, რუსეთში ჩავეფლოთ, იქნებ უმჯობესი იყოს შევურიგდეთ მას». ეს მუდამ ასე ხდება: როცა მოწინააღმდეგეს დაამარცხებ, ის იწყებს შერიგებას. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს ბატონ ევროპელი იმპერიალისტებისათვის, რომ თანახმა ვართ ზავისა, მაგრამ ისინი ოცნებობდნენ

დაემონებინათ რუსეთი. ახლა კი მათ გაიგეს, რომ მათ ოცნებას განხორციელება არ უწერია.

ამჟამად საერთაშორისო მილიონერები და მილიარდერები ჯერ კიდევ ჩვენზე ძლიერი არიან. გლეხებიც მშვენივრად ხედავენ, რომ იუდენიჩის, კოლჩაკისა და დენიკინის აჯანყების ცდა წარმოადგენს ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტების ფულით ორგანიზებულ ძალას. და გლეხთა მასამაც ჩინებულად იცის, რას უქადის მას სულ მცირეოდენი სისუსტე. ნათელი მოგონება იმისა, თუ რას უქადის მას მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება, გლეხებს ხდის საბჭოთა ხელისუფლების უერთგულეს მომხრეებად. თვედათვე იზრდება საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე და იმ გლეხთა შეგნება, რომლებიც წინათ შრომობდნენ და ექსპლოატაციას განიცდიდნენ და საკუთარ თავზე განიცადეს მემამულეებისა და კაპიტალისტების უღლის მთელი სიმძიმე.

მაგრამ, რა თქმა უნდა, სულ სხვანაირად არის საქმე კულაკების მიმართ, იმათ მიმართ, ვინც თვითონ ქირაობდა მუშებს, ასესხებდა ფულს პროცენტებზე და სხვისი შრომით მდიდრდებოდა. ისინი მასობრივად კაპიტალისტების მხარეზე დგანან და უკმაყოფილონი არიან მომხდარი გადატრიალებით. და ჩვენ ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ გლეხების ამ ჯგუფის წინააღმდეგ კიდევ მოგვიხდება ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა. ხოლო იმ გლეხებსა, რომლებმაც საკუთარი მხრებით გადაიტანეს მემამულეებისა და კაპიტალისტების მთელი უღელი, და იმათ შორის, რომლებიც თვითონ ეწეოდნენ სხვების ექსპლოატაციას, დგას საშუალო გლეხობის მასა. აქ არის ჩვენი უძნელესი ამოცანა. სოციალისტები მუდამ მიუთითებდნენ იმაზე, რომ სოციალიზმზე გადასვლა აყენებს მძიმე ამოცანას — მუშათა კლასის დამოკიდებულებას საშუალო გლეხობისადმი. აქ ამხანაგ-კომუნისტებისაგან ყველაზე მეტად უნდა მოველოდეთ ყურადღებას, ამ რთული და ძნელი ამოცანისადმი ისეთ შეგნებულ დამოკიდებულებასა და მიდგომის უნარს, რომ არ მოხდეს საკითხის ერთი დაკვრით გადაჭრა.

საშუალო გლეხობა, უეჭველად, მიჩვეულია ერთპიროვნულ მეურნეობას. ესენი არიან მესაკუთრე გლეხები, და თუმცა მიწა მათ ჯერჯერობით არა აქვთ, თუმცა მიწის კერძო საკუთრება გაუქმებულია, მაგრამ გლეხი მესაკუთრედ რჩება, უმთავრესად იმიტომ, რომ გლეხების ამ ჯგუფს რჩება სასურსათო პროდუქტები. საშუალო გლეხი უფრო მეტ სურსათს ამზადებს, ვიდრე მას ესაჭიროება, და ამრიგად, აქვს რა ნაჭარბი პური, ის ხდება მშიერი მუშის ექსპლოატატორი. ეს არის ძირითადი ამოცანა და ძირითადი წინააღმდეგობა. გლეხი, როგორც მშრომელი, როგორც ადამიანი, რომელიც საკუთარი შრომით ცხოვრობს, როგორც ადამიანი, რომელმაც კაპიტალიზმის ჩაგვრა განიცადა, — ასეთი გლეხი მუშის მხარეზეა. მაგრამ გლეხი, როგორც მესაკუთრე, რომელსაც ნაჭარბი პური რჩება, მიჩვეულია შეხედოს ამ ნაჭარბს, როგორც თავის საკუთრებას, რომლის გაყიდვა მას თავისუფლად შეუძლია. ხოლო ნაჭარბი პურის გაყიდვა მშიერ ქვეყანაში, — ნიშნავს სპეკულანტად, ექსპლოატატორად გადაიქცე, იმიტომ რომ მშიერი კაცი პურში ყველაფერს მისცემს, რაც მას აბადია. აქ ჩაღდება უდიდესი და ძნელი ბრძოლა, რომელიც ყველა ჩვენგანისაგან, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან, განსაკუთრებით კი სოფლად მომუშავე კომუნისტებისაგან, მოითხოვს უდიდეს ყურადღებას, მეტისმეტად ზოფიქრებულ მოპყრობასა და მიდგომას საკითხისადმი.

ჩვენ მუდამ ვამბობდით, რომ არ გვინდა ძალით მოვახვიოთ თავზე საშუალო გლეხს სოციალიზმი, და პარტიის VIII ყრილობამ ეს სავსებით დაადასტურა. ამხ. კალინინის არჩევა სრ. რუს. ცაკ-ის თავმჯდომარედ იმ ანგარიშიდან გამომდინარეობდა, რომ ჩვენ უშუალოდ უნდა დავუახლოვოთ საბჭოთა ხელისუფლება გლეხობას. და ამხ. კალინინის მეოხებით სოფლად მუშაობას მნიშვნელოვანი ბიძგი მიეცა. გლეხმა, უეჭველია, მიიღო შესაძლებლობა უფრო უშუალო ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა ხელისუფლებასთან, როცა ის მიმართავს ამხ. კალინინს, რომელიც განასახიერებს საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლეს ხელისუფლებას. ამრიგად, საშუალო გლეხს ჩვენ

ვეუბნებოდით: «ლაპარაკიც კი შეუძლებელია სოციალიზმზე გადასვლის რაიმე ძალდატანებითი თავზე მოხვევის შესახებ». მაგრამ საჭიროა ეს მას შევაგნებინოთ, საჭიროა შევძლოთ ამის თქმა გლეხისათვის რაც შეიძლება უფრო გასაგებ ენაზე. აქ შეიძლება მხოლოდ მაგალითით, საზოგადოებრივი მეურნეობის რიგიანი დაყენებით მოქმედება. ხოლო საარტელო, საამხანაგო შრომის მაგალითის საჩვენებლად საჭიროა ჯერ თვითონ მოვაწყოთ რიგიანად ასეთი მეურნეობა. ამ ორი წლის განმავლობაში უაღრესად დიდი იყო ლტოლვა სამიწათმოქმედო კომუნებისა და არტელების მოწყობისაკენ. მაგრამ, თუ საქმეს ფხიზლად შევხედავთ, უნდა ვთქვათ, რომ ბევრი ამხანაგი, რომლებიც გაეშურნენ კომუნების მოსაწყობად, მიწათმოქმედებას, სოფლის მეურნეობას დაეწაფნენ გლეხური ცხოვრების სამეურნეო პირობების არასაკმაო ცოდნით. ამიტომ აქ საჭირო იყო უამრავი შეცდომის, ნაჩქარევი ნაბიჯების, საქმისადმი არასწორი მიდგომის შედეგების მოსპობა. ძალიან ხშირად საბჭოთა მეურნეობებში მიძვრებოდნენ ძველი ექსპლოატატორები, ყოფილი მემამულეები. იქ მათი ბატონობა დამხობილია, მაგრამ თვით ისინი არ არიან მოსპობილი. საჭიროა მათი იქიდან განდევნა ანდა პროლეტარიატის კონტროლისადმი დაქვემდებარება.

ეს ამოცანა დგას ჩვენ წინაშე ცხოვრების ყველა სფეროში. თქვენ გსმენიათ წითელი არმიის მთელ რიგ ბრწყინვალე გამარჯვებათა შესახებ. არმიაში ათიათასობით მუშაობენ ძველი ოფიცრები და პოლკოვნიკები. ისინი რომ არ აგვეყვანა სამსახურში და იძულებული არ გაგვეხადა ემსახურათ ჩვენთვის, ჩვენ ვერ შევძლებდით არმიის შექმნას. და, მიუხედავად ცალკეული სამხედრო სპეციალისტების მხრივ ღალატისა, ჩვენ გავანადგურეთ კოლჩაკი და იუდენიჩი, ჩვენ ვიმარჯვებთ ყველა ფრონტზე. ეს იმიტომ ხდება, რომ წითელ არმიაში კომუნისტური უჯრედების არსებობის გამო, რომელთაც დიდი საპროპაგანდო-სააგიტაციო მნიშვნელობა აქვთ, ოფიცერთა მცირე რიცხვი გარემოცულია ისეთი ვითარებით, იმდენი კომუნისტები ახვევია გარს, რომ მათ უმრავლესობას არ ძალუძს თავი დაიძ-

ვრინოს კომუნისტური ორგანიზაციისა და პროპაგანდის იმ ქსელისაგან, რომელსაც ჩვენ გარს ვარტყამთ მათ.

კომუნიზმის აშენება შეუძლებელია, თუ არა გაქვს ცოდნის, ტექნიკისა და კულტურის მარაგი, ის კი ბურჟუაზიული სპეციალისტების ხელშია. მათი უმრავლესობა არ თანაუგრძნობს საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ მათ გარეშე კომუნიზმის აშენება ჩვენ არ შეგვიძლია. საჭიროა მათ ირგვლივ შევქმნათ ამხანაგური ვითარება, კომუნისტური მუშაობის სულისკვეთება და მივაღწიოთ იმას, რომ ისინი მიდიოდნენ მუშურ-გლეხური ხელისუფლების მხარდამხარ.

გლეხობაში ძალიან ხშირად თავს იჩენს მეტისმეტი უნდობლობა და აღშფოთება, რაც იქამდე მიდის, რომ სრულიად უარყოფენ საბჭოთა მეურნეობებს: არ არის საჭირო საბჭოთა მეურნეობები, იქ ძველი ექსპლოატატორები სხედანო. ჩვენ ვეუბნებოდით — არა, თუ არ შეგიძლიათ თვითონ მოაწყოთ მეურნეობა ახლებურად, საჭიროა სამსახურში აიყვანოთ ძველი სპეციალისტები, უამისოდ სიღატაკეს თავს ვერ დააღწევთ. მათ შორის იმათ, ვინც დაარღვევს საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებებს, ჩვენ დაუნდობლად შევიპყრობთ ისევე, როგორც წითელ არმიაში; ბრძოლა გრძელდება, და ბრძოლა დაუნდობელი. მაგრამ მათ უმრავლესობას ჩვენ ვაიძულებთ იმუშაოს ჩვენებურად.

ეს ძნელი და რთული ამოცანაა, ერთი დაკვრით მას ვერ გადაჭრი. აქ საჭიროა შეგნებული მუშური დისციპლინა, გლეხებთან დაახლოება; საჭიროა ვაჩვენოთ მათ, რომ ჩვენ ვხედავთ ყველა ბოროტმოქმედებას საბჭოთა მეურნეობებში, მაგრამ ვამბობთ, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის ხალხი უნდა ჩავაყენოთ საზოგადოებრივი მეურნეობის სამსახურში, რადგან წვრილი მეურნეობით გაჭირვებიდან ვერ გამოვალთ. და ჩვენც ვიმოქმედებთ ისე, როგორც წითელ არმიაში: ჩვენ ასჯერ დაგვამარცხებენ, ხოლო ასპირველჯერ ჩვენ დავამარცხებთ ყველას. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ მუშაობა სოფლად წარმოებდეს თანხმობით, მწყობრად, ისეთივე სასტიკი წესრიგით, როგორც წარმოებდა მუშაობა წითელ არმიაში და

როგორც წარმოებს მეურნეობის სხვა სფეროებში. ჩვენ ნელ-ნელა და განუხრელად ვუმტკიცებთ გლეხებს საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატესობებს.

აი როგორი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ჩვენ საბჭოთა მეურ-ნეობებში, აი რაში მდგომარეობს სოციალიზმზე გადასვლის სიძნელე და რაშია საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი და საბოლოო განმტკიცება. როცა საშუალო გლეხების უმრავ-ლესობა დაინახავს, რომ მუშებთან კავშირის უქონლად ისინი ეხმარებიან კოლჩაკსა და იუდენიჩს, რომ მთელ მსოფლიოში მათთან დარჩნენ მხოლოდ კაპიტალისტები, რომელთაც სძაგთ საბჭოთა რუსეთი და რომლებიც ჯერ კიდევ წლობით შეეცდე-ბიან თავიანთი ძალაუფლების აღდგენას, მაშინ თვით ყველაზე ჩამორჩენილიც მათ შორის გაიგებს, რომ ან რევოლუციურ მუშებთან კავშირში უნდა გასწიო სრული განთავისუფლებისა-კენ, ანდა დაუშვა თუნდაც სულ მცირე მერყეობა, და მაშინ მტერი, ძველი ექსპლოატატორი-კაპიტალისტი, გაიმარჯვებს. დენიკინზე გამარჯვება ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ მოსპობს კაპიტალისტებს. ეს ყველას უნდა გვესმოდეს. ჩვენ მშვენივ-რად ვიცით, რომ ისინი კიდევ და კიდევ შეეცდებიან მარყუჟი წაუჭირონ ყელში საბჭოთა რუსეთს. ამიტომ გლეხს არჩევანი არა აქვს; იგი უნდა დაეხმაროს მუშებს, რადგან სულ მცირე მერყეობაც კი გამარჯვებას ანიჭებს მემამულეებსა და კაპიტა-ლისტებს. ამ შეგნების განვითარება გლეხებში — ჩვენი პირვე-ლი და ძირითადი ამოცანაა. გლეხი, რომელიც საკუთარი შრომით ცხოვრობს, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული მოკავშირეა, ასეთ გლეხს მუშა ეპყრობა, როგორც თანასწორს, მისთვის მუშური ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს, რისი გაკეთებაც კი მას შეუძლია, და არ არსებობს ისეთი მსხვერპლი, რომლის წინაშეც მუშურ-გლეხური ხელისუფლება შეჩერ-დება ასეთი გლეხის საჭიროებათა დაკმაყოფილების გულისა-თვის.

მაგრამ ის გლეხი, რომელიც ექსპლოატაციას ეწევა იმის წყალობით, რომ მას ნაჭარბი პური აქვს, — ჩვენი მტერია. მშიერი ქვეყნის ძირითად საჭიროებათა დაკმაყოფილების

ვალდებულება — სახელმწიფო ვალდებულებაა. მაგრამ ბევრ გლეხს როდი ესმის, რომ პურის თავისუფალი ვაჭრობა — სახელმწიფო დანაშაულია. «მე პური მოვიყვანე, ეს ჩემი პროდუქტია, და მე უფლება მაქვს მით ვივაჭროო», — ასე მსჯელობს გლეხი, ჩვეულების გამო, ძველებურად. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ეს სახელმწიფო დანაშაულია. პურის თავისუფალი ვაჭრობა ნიშნავს გამდიდრებას ამ პურის წყალობით, — ეს არის სწორედ უკან დაბრუნება ძველი კაპიტალიზმისაკენ, ამას ჩვენ არ დავუშვებთ, აქ ჩვენ ვიბრძოლებთ რადაც უნდა დაჯდეს.

გარდამავალ პერიოდში ჩვენ ვატარებთ პურის სახელმწიფო დამზადებასა და გაწერას. ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ ეს მოგვცემს შესაძლებლობას თავი დავაღწიოთ გაჭირვებასა და შიმშილს. მუშების უდიდესი უმრავლესობა გასაჭირშია იმის გამო, რომ პური არასწორად ნაწილდება, ხოლო იმისათვის, რომ იგი სწორად გავანაწილოთ, საჭიროა პურის სახელმწიფო გაწერას ასრულებდნენ გლეხები დაუყოვნებლივ, კეთილსინდისიერად და უეჭველად. აქ რაიმე დათმობა საბჭოთა ხელისუფლების მხრივ შეუძლებელია. ეს არის არა გლეხებთან მუშური ხელისუფლების ბრძოლის საკითხი, არამედ სოციალიზმის მთელი არსებობის, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის საკითხი. გლეხისათვის ამჟამად საქონლის მიცემა ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან არ არის სათბობი, ჩერდება რკინიგზები. ჯერ საჭიროა, რომ გლეხმა სესხად მისცეს პური მუშას არა სპეკულაციურ, არამედ მტკიცე ფასში, რათა მუშებმა შეძლონ წარმოების აღდგენა. ყოველი გლეხი დაგვეთანხმება ამაში, როცა ლაპარაკია ცალკეულ მუშაზე, რომელიც მის გვერდით შიმშილით კვდება. მაგრამ როცა ლაპარაკია მილიონობით მუშაზე, მაშინ მათ ეს არ ესმით, და სპეკულაციის ძველი ჩვეულება იმარჯვებს.

ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა ამ ჩვეულების წინააღმდეგ, აგიტაცია და პროპაგანდა, ახსნა-განმარტება, იმის შემოწმება, რაც გაკეთებულია, — აი რაში მდგომარეობს ჩვენი პოლიტიკა გლეხობის მიმართ.

მშრომელი გლეხისათვის ყოველმხრივი ხელისშეწყობა, დამოკიდებულება მისდამი, როგორც თანასწორისადმი, არავითარი ცდა ძალით თავს მოვახვიოთ მას რაიმე — აი ჩვენი პირველი ამოცანა. და მეორე ამოცანაა — განუხრელი ბრძოლა სპეკულაციასთან, ჩარჩობასა და გაჩანაგებასთან.

როცა ჩვენ წითელი არმიის შექმნას ვიწყებდით, ეს იყო პარტიზანთა ცალკეული, დაქსაქსული ჯგუფები. ბევრი ზედმეტი მსხვერპლი იყო დისციპლინისა და დარაზმულობის უქონლობის გამო, მაგრამ ჩვენ ეს სიძნელეები გადავლახეთ და პარტიზანული რაზმების ნაცვლად შევქმენით მილიონიანი წითელი არმია. თუ ჩვენ ამას მივაღწიეთ ისეთ მოკლე დროში, როგორიცაა ორი წელი, ისეთ ძნელ, მძიმე და საშიშ საქმეში, როგორც სამხედრო საქმეა, მით უფრო დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ამასვე მივაღწევთ სამეურნეო ცხოვრების ყველა დანარჩენ დარგში.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამ, ერთ-ერთ უძნელეს ამოცანასაც, — მუშების სწორ დამოკიდებულებას გლეხობისადმი, სწორ სასურსათო პოლიტიკას, — გადავჭრით და აქ ისეთსავე გამარჯვებას მოვიპოვებთ, როგორც ფრონტზე მოვიპოვეთ.

«პრავდა» № 259,
1919 წ. 19 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

# მოხსენება აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე[39] 1919 წ. 22 ნოემბერს

(ამხანაგებო! ძალიან მოხარული ვარ, რომ შემიძლია მივესალმო ამხანაგ-კომუნისტების, აღმოსავლეთის მუსლიმანური ორგანიზაციების წარმომადგენლების, ყრილობას და რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმ საკითხზე, თუ როგორი ვითარებაა ამჟამად რუსეთში და მთელ მსოფლიოში. ჩემი მოხსენების თემაა — მიმდინარე მომენტი, და მე ვფიქრობ, რომ ამ საკითხში ამჟამად ყველაზე არსებითია აღმოსავლეთის ხალხთა დამოკიდებულება იმპერიალიზმისადმი და რევოლუციური მოძრაობა ამ ხალხთა შორის.) თავისთავად ცხადია, რომ აღმოსავლეთის ხალხთა ეს რევოლუციური მოძრაობა ამჟამად შეიძლება წარმატებით განვითარდეს, შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციურ ბრძოლასთან უშუალო კავშირში. მთელ რიგ გარემოებათა გამო, — სხვათა შორის, რუსეთის ჩამორჩენილობასთან და მის თვალუწვდენელ სივრცესთან დაკავშირებით, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არის საზღვარი ევროპასა და აზიას შორის, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, — ჩვენ იძულებული გავხდით გვეკისრნა მთელი სიმძიმე — რაც დიდ პატივს გვდებს — მსოფლიო ბრძოლის წამოწყებისა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამიტომ უახლოეს დროში მოსალოდნელი ამბების მთელი მსვლელობა გვიმზადებს კიდევ უფრო მეტად ფართო და შეუპოვარ ბრძოლას საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ის გარდუვალად დაკავშირებული იქნება საბჭოთა რესპუბლიკის

ბრძოლასთან გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის გაერთიანებული იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ.

რაც შეეხება სამხედრო მხარეს, თქვენ იცით, რა ხელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნა ახლა ჩვენთვის ყველა ფრონტზე. მე დაწვრილებით არ შევჩერდები ამ საკითხზე, ვიტყვი მხოლოდ, რომ სამოქალაქო ომმა, რომელიც ძალით თავს მოგვახვია საერთაშორისო იმპერიალიზმმა, ორი წლის განმავლობაში განუზომელი სიძნელენი დაატეხა თავს რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას, ისეთი ტვირთი დააკისრა გლეხებსა და მუშებს, რომელიც აღემატებოდა მათ ძალ-ღონეს და რომელსაც, ხშირად გვეგონა, ისინი ვერ გაუძლებდნენ. მაგრამ ამასთანავე ამ ომმა თავისი უხეში ძალმომრეობით, გამხეცებული ჩვენი ეგრეთწოდებული «მოკავშირეების» ულმობლად უხეში შემოტევით, «მოკავშირეებისა», რომლებიც ჯერ კიდევ სოციალისტური რევოლუციის დაწყებამდე გვძარცვავდნენ, — ამ ომმა სასწაული მოახდინა იმით, რომ ომით დაღლილი ადამიანები, რომელთაც, თითქოს, აღარ შეეძლოთ კიდევ მეორე ომის გადატანა, გადააქცია ისეთ მებრძოლებად, რომლებმაც ორი წლის განმავლობაში არათუ გაუძლეს ომს, არამედ ძლევამოსილად ამთავრებენ მას. ის გამარჯვებები, რომელთაც ჩვენ ახლა ვაღწევთ კოლჩაკზე, იუდენიჩსა და დენიკინზე, ეს გამარჯვებები მომასწავებელია ახალი ხანის დადგომისა მსოფლიო იმპერიალიზმის ბრძოლის ისტორიაში იმ ქვეყნებისა და ერების წინააღმდეგ, რომელთაც ბრძოლა დაიწყეს განთავისუფლებისათვის. ამ მხრივ ჩვენმა ორი წლის სამოქალაქო ომმა არათუ სავსებით დაადასტურა ისტორიის მიერ დიდი ხნის წინათ მოხდენილი დაკვირვება, რომ ომის ხასიათი და მისი წარმატება ყველაზე უფრო დამოკიდებულია იმ ქვეყნის შინაურ წესწყობილებაზე, რომელიც ომში ებმება, რომ ომი არის იმ საშინაო პოლიტიკის ანარეკლი, რომელსაც ესა თუ ის ქვეყანა აწარმოებს ომის წინ. ყოველივე ეს გარდუვალად მოქმედებს ომის წარმოებაზე.

ის საკითხი, თუ რომელი კლასი აწარმოებდა ომს და განაგრძობს ამ ომს, ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია. მხოლოდ

იმიტომ, რომ ჩვენი სამოქალაქო ომი წარმოებს იმ მუშებისა და გლეხების მიერ, რომლებმაც თავი გაითავისუფლეს, და იგი არის პოლიტიკური ბრძოლის განგრძობა მშრომელთა განსათავისუფლებლად საკუთარი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს კაპიტალისტებისაგან, მხოლოდ ამიტომ ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიცაა რუსეთი, რომელიც მოქანცულია ოთხი წლის იმპერიალისტური ომით, აღმოჩნდნენ ძლიერი ნების ადამიანები იმისათვის, რომ ორი წლის უმაგალითო, წარმოუდგენელ სიმძიმესა და სიძნელეში კვლავ განეგრძოთ ეს ომი.

განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დაგვანახვა ეს სამოქალაქო ომის ისტორიამ კოლჩაკის მაგალითზე. ისეთი მტერი, როგორიცაა კოლჩაკი, რომელსაც დახმარებას უწევდა მსოფლიოს ყველა უძლიერესი სახელმწიფო და რომლის ხელშიც იყო რკინიგზის ხაზი, რასაც იცავდა უცხო სახელმწიფოთა ასი ათასობით ჯარისკაცი, მათ შორის საერთაშორისო იმპერიალისტების საუკეთესო ჯარები, როგორიცაა, მაგალითად, იაპონიის ჯარები, რომლებიც ემზადებოდნენ იმპერიალისტური ომისათვის, თითქმის არ მიუღიათ მასში მონაწილეობა და ამიტომ მცირედ დაზარალდნენ, — კოლჩაკი, რომელიც ეყრდნობოდა ციმბირის გლეხებს, ყველაზე შეძლებულთ, რომელთაც არ განუცდიათ ბატონყმობა და რომლებიც ამიტომ, ბუნებრივია, ყველაზე უფრო შორს იდგნენ კომუნიზმისაგან,— თითქოს კოლჩაკი უძლეველ ძალას წარმოადგენდა, იმიტომ რომ მისი ჯარები საერთაშორისო იმპერიალიზმის მოწინავე რაზმი იყო. და დღემდე ჯერ კიდევ მოქმედებენ ციმბირში იაპონიის, ჩეხოსლოვაკიისა და იმპერიალისტურ ერთა მთელი რიგი სხვა ჯარები. მიუხედავად ამისა კოლჩაკის ბატონობის ერთ წელზე მეტმა გამოცდილებამ ციმბირში მისი უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეებით, გამოცდილებამ, რომელსაც თავდაპირველად მხარს უჭერდნენ II ინტერნაციონალის სოციალისტური პარტიები, მენშევიკები და ესერები, რომელთაც დამფუძნებელი კრების კომიტეტის ფრონტი შექმნეს, და ასეთ პირობებში, ობივატელური და ისტორიის ჩვეულებრივი

მსვლელობის თვალსაზრისით, კოლჩაკი მტკიცე და უძლეველი ჩანდა, სინამდვილეში შემდეგი გვიჩვენა: რაც უფრო შორს იჭრებოდა კოლჩაკი რუსეთის სიღრმეში, მით უფრო მეტად სუსტდებოდა, და ბოლოს და ბოლოს ჩვენ ვხედავთ საბჭოთა რუსეთის სრულ გამარჯვებას კოლჩაკზე. ეჭვი არ არის, ჩვენ აქ გვაქვს იმის პრაქტიკული დამტკიცება, რომ კაპიტალისტების უღლისაგან განთავისუფლებული მუშებისა და გლეხების დარაზმული ძალები ნამდვილ სასწაულებს ახდენენ. ჩვენ აქ გვაქვს იმის პრაქტიკული დამტკიცება, რომ რევოლუციური ომი, როცა იგი ნამდვილად იზიდავს და აინტერესებს დაჩაგრულ მშრომელ მასებს, როცა იგი აგნებინებს ამ მასებს, რომ ისინი ექსპლოატატორების წინააღმდეგ იბრძვიან, ასეთი რევოლუციური ომი იწვევს ენერგიას და სასწაულების მოხდენის უნარს.

მე ვფიქრობ, რომ იმას, რაც წითელმა არმიამ მოახდინა, მის ბრძოლას და გამარჯვების ისტორიას უზარმაზარი, მსოფლიო მნიშვნელობა ექნება აღმოსავლეთის ყველა ხალხისათვის. აღმოსავლეთის ხალხებს ის დაანახვებს, რომ რაც უნდა სუსტი იყოს ეს ხალხები, რაც უნდა უძლეველიც ჩანდეს ძლიერება ევროპელ მჩაგვრელთა, რომლებიც ტექნიკისა და სამხედრო ხელოვნების ყოველგვარ სასწაულებს იყენებენ ბრძოლაში, — რევოლუციურ ომში, რომელსაც დაჩაგრული ხალხები აწარმოებენ, თუ ეს ომი მართლაც შეძლებს მილიონობით მშრომელისა და ექსპლოატირებულის გაღვიძებას, მაინც მარხია ისეთი შესაძლებლობანი, ისეთი სასწაულები, რომ აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლება ახლა პრაქტიკულად სავსებით განსახორციელებელია არა მარტო საერთაშორისო რევოლუციის პერსპექტივების თვალსაზრისით, არამედ იმ უშუალო სამხედრო გამოცდილების თვალსაზრისითაც, რომელიც მიღებულია აზიასა და ციმბირში, გამოცდილებისა, რომელიც მიიღო საბჭოთა რესპუბლიკამ, რომელმაც განიცადა იმპერიალიზმის ყველა ძლიერი ქვეყნის სამხედრო შემოსევა.

გარდა ამისა, სამოქალაქო ომის ამ გამოცდილებამ რუსეთში ჩვენ და ყველა ქვეყნის კომუნისტებს დაგვანახვა, თუ

როგორ იქმნება სამოქალაქო ომის ცეცხლში რევოლუციური ენთუზიაზმის განვითარებასთან ერთად ძლიერი შინაგანი სიმტკიცე. ომი ყოველი ერის მთელი ეკონომიური და ორგანიზაციული ძალების გამოცდაა. ბოლოს და ბოლოს, ორი წლის გამოცდილების შემდეგ, რა უსაზღვროდ მძიმეც უნდა იყოს ომი მუშებისა და გლეხებისათვის, რომლებიც შიმშილითა და სიცივით იტანჯებიან, ორი წლის გამოცდილების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვიმარჯვებთ და გავიმარჯვებთ, იმიტომ რომ ჩვენ გვაქვს ზურგი და მაგარი ზურგი, რომ, მიუხედავად შიმშილისა და სიცივისა, გლეხები და მუშები შემჭიდროებული არიან, გამაგრდნენ და ყოველ მძიმე დარტყმაზე უპასუხებენ ძალთა შეკავშირებისა და ეკონომიური ძლიერების გადიდებით, და მხოლოდ ამიტომ იყო შესაძლებელი გამარჯვება კოლჩაკზე, იუდენიჩზე და მათ მოკავშირეებზე, მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებზე. განვლილი ორი წელი გვიჩვენებს, ერთი მხრივ, რევოლუციური ომის განვითარების შესაძლებლობას, მეორე მხრივ კი — საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას უცხოური შემოსევის მძიმე დარტყმებით, შემოსევისა, რომელიც მიზნად ისახავს ჩქარა მოტეხოს რევოლუციის კერა, მოტეხოს რესპუბლიკა მუშებისა და გლეხებისა, რომლებმაც გაბედეს ომის გამოცხადება საერთაშორისო იმპერიალიზმისათვის. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მოეტეხათ რუსეთის მუშები და გლეხები, მხოლოდ გამობრძმედეს ისინი.

ასეთია მთავარი შედეგები, მთავარი შინაარსი მიმდინარე მომენტისა. ჩვენ ვუახლოვდებით გადამწყვეტ გამარჯვებებს დენიკინზე, უკანასკნელ მტერზე, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე დარჩენილა. ჩვენ თავს ვგრძნობთ ძლიერად და ათასჯერ შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ არ ვცდებით, როცა ვამბობთ, რომ რესპუბლიკის შინაგანი მშენებლობა განმტკიცდა და დენიკინთან ომიდან ჩვენ გამოვალთ ბევრად უფრო მაგარი და უფრო მომზადებული სოციალისტური შენობის მშენებლობის ამოცანის განსახორციელებლად, — მშენებლობისა, რომელსაც სამოქალაქო ომის დროს მეტად მცირე დროსა და

ძალას ვანდომებდით და რომელსაც უეჭველად შეგვიძლია შევწიროთ მთელი ძალ-ღონე მხოლოდ ახლა, თავისუფალ გზაზე გამოსვლისას.

დასავლეთ ევროპაში ჩვენ ვხედავთ იმპერიალიზმის გახრწნას. თქვენ იცით, რომ ერთი წლის წინათ თვით გერმანიის სოციალისტებსაც, — ისევე როგორც სოციალისტების უდიდეს უმრავლესობასაც, რომელთაც არ ესმოდათ საქმის ვითარება, — ეგონათ, რომ წარმოებს მსოფლიო იმპერიალიზმის ორი ჯგუფის ბრძოლა, და ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ ბრძოლამ შეავსო ისტორია, რომ არ არსებობს ძალები, რომელთაც შეეძლოთ სხვა რაიმეს მოცემა; მათ ეგონათ, რომ სოციალისტებსაც კი მხოლოდ ისღა დარჩენიათ, რომ მიემხრონ უძლიერეს მსოფლიო მტაცებელთა ერთ-ერთ ჯგუფს. ასე ჩანდა 1918 წლის ოქტომბრის დამლევს. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ მას შემდეგ მსოფლიო ისტორიამ ერთი წლის განმავლობაში განიცადა არნახული მოვლენები, ფართო და ღრმა, რომელთაც თვალი აუხილეს ბევრს იმ სოციალისტთაგან, რომლებიც იმპერიალისტური ომის დროს პატრიოტები იყვნენ და თავიანთ მოქმედებას იმით ამართლებდნენ, რომ მათ წინაშე მტერი იდგა; ამართლებდნენ კავშირს ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტებთან, რომლებსაც თითქოს გერმანიის იმპერიალიზმისაგან განთავისუფლება მოჰქონდათ. შეხედეთ, რამდენი ილუზია დაამსხვრია ამ ომმა! ჩვენ ვხედავთ გერმანიის იმპერიალიზმის გახრწნას, რამაც გამოიწვია არა მარტო რესპუბლიკური რევოლუცია, არამედ სოციალისტურიც. თქვენ იცით, რომ ამჟამად გერმანიაში კიდევ უფრო გამწვავდა კლასთა ბრძოლა და სულ უფრო და უფრო ახლოვდება სამოქალაქო ომი, გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა გერმანიის იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც რესპუბლიკური ფერით შეინიღბნენ, მაგრამ იმპერიალიზმის წარმომადგენლები დარჩნენ.

ყველამ იცის, რომ დასავლეთ ევროპაში სოციალური რევოლუცია მწიფდება არა დღითი დღე, არამედ საათობით, რომ იგივე ხდება ამერიკაშიც, ინგლისშიც — ამ თითქოს კულტურისა და ცივილიზაციის წარმომადგენლებში და

ჰუნებზე — გერმანიის' იმპერიალისტებზე — გამარჯვებულებში, — ხოლო როდესაც საქმე მიდგა ვერსალის ზავზე, ყველაფერ დაინახა, რომ ვერსალის ზავი ასწილ უფრო მძარცველურია, ვიდრე ბრესტის ზავი, რომელიც გერმანელმა მძარცველებმა მოგვახვიეს თავს, და რომ ვერსალის ეს ზავი უდიდესი ლახვარია, რომლის ჩაცემაც კი შეეძლოთ თავის თავისათვის ამ ბედუკუღმართი გამარჯვებული ქვეყნების კაპიტალისტებსა და იმპერიალისტებს. ვერსალის ზავმა თვალი აუხილა სწორედ გამარჯვებულ ერებს და დაამტკიცა, რომ ჩვენ წინაშე არიან არა კულტურისა და ცივილიზაციის წარმომადგენლები, არამედ, ინგლისისა და საფრანგეთის სახით, ჩვენ წინაშეა თუმცა დემოკრატიული სახელმწიფოები, მაგრამ ისეთები, რომელთაც მტაცებელი იმპერიალისტები განაგებენ. შინაური ბრძოლა ამ მტაცებლებს შორის ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ ჩვენ შეგვიძლია გვიხაროდეს, როცა ვიცით, რომ ვერსალის ზავი მხოლოდ გარეგნული გამარჯვებაა მოზეიმე იმპერიალისტებისა, საქმით კი ეს არის მთელი იმპერიალისტური სამყაროს კრახი და მშრომელი მასების გადაჭრით ჩამოშორება იმ სოციალისტებისაგან, რომლებიც ომის დროს კავშირში იყვნენ დამპალი იმპერიალიზმის წარმომადგენლებთან და იცავდნენ მებრძოლ მტაცებელთა ერთ-ერთ ჯგუფს. თვალი აეხილათ მშრომელებს, იმიტომ რომ ვერსალის ზავი მტაცებლური აღმოჩნდა და მან გვიჩვენა, რომ საფრანგეთი და ინგლისი ნამდვილად ებრძოდნენ გერმანიას, რათა თავიანთი ძალაუფლება განემტკიცებინათ კოლონიებზე და გაედიდებინათ თავიანთი იმპერიალისტური ძლიერება. ეს შინაგანი ბრძოლა რაც უფრო შორს მიდის, მით უფრო ფართოდ ვითარდება. დღეს მე ვნახე რადიოდეპეშა ლონდონიდან 21 ნოემბრის თარიღით, რომელშიც ამერიკელი ჟურნალისტები — ადამიანები, რომელთაც ვერ დავწამებთ რევოლუციონერებისადმი სიმპათიას, — იტყობინებიან, საფრანგეთში გაუგონარმა სიძულვილმა იფეთქა ამერიკელების მიმართ, იმიტომ რომ ამერიკელები უარს ამბობენ ვერსალის საზავო ხელშეკრულების დამტკიცებაზეო-

ინგლისმა და საფრანგეთმა გაიმარჯვეს, მაგრამ ისინი ყველამდე არიან ჩაფლული ამერიკის ვალში, ამერიკისა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ფრანგები და ინგლისელები რაც უნდა გამარჯვებულებად თვლიდნენ თავს, ის მაინც ნაღებს მოხდის და ერთიორად აიღებს პროცენტებს მის მიერ ომის დროს გაწეული დახმარებისათვის, ხოლო ეს უნდა უზრუნველყოს ამერიკის ფლოტმა, რომელიც ახლა შენდება და თავისი სიდიდით წინ უსწრებს ინგლისისას. ხოლო ამერიკელების მტაცებლური იმპერიალიზმი რომ ასე უხეშად გამოდის, ეს იქიდან ჩანს, რომ ამერიკის აგენტები ყიდულობენ ცოცხალ საქონელს, ქალებსა და გოგონებს, და მიჰყავთ ამერიკაში, ავითარებენ რა პროსტიტუციას. თავისუფალი, კულტურული ამერიკა ცოცხალ საქონელს აწვდის საროსკიპოებს! პოლონეთსა და ბელგიაში კონფლიქტები ხდება ამერიკის აგენტებთან. ეს პატარა ილუსტრაციაა იმისა, რაც უდიდესი ოდენობით ხდება ყოველ პატარა ქვეყანაში, რომელმაც დახმარება მიიღო ანტანტისაგან. ავიღოთ თუნდაც პოლონეთი. თქვენ ხედავთ, რომ იქ ამერიკელი აგენტები და სპეკულანტები მიდიან იმისათვის, რომ შეისყიდონ მთელი სიმდიდრე პოლონეთისა, რომელიც იკვეხნის, რომ ამჟამად დამოუკიდებელი სახელმწიფო ვარო. პოლონეთს ყიდულობენ ამერიკის აგენტები. არ არის არც ერთი ფაბრიკა, არც ერთი ქარხანა, მრეწველობის არც ერთი დარგი, რომელიც ჯიბეში არ ედოს ამერიკელებს. ამერიკა ისე გათავხედდა, რომ იწყებს «დიდი თავისუფალი გამარჯვებული» საფრანგეთის დამონებას, რომელიც წინათ მევახშეთა ქვეყანა იყო, ახლა კი სულ მთლად ამერიკის ვალშია ჩაფლული, რადგან მას გამოელია ეკონომიური ძალა და აღარ შეუძლია თავი გაიტანოს არც თავისი პურით, არც თავისი ქვანახშირით, არ შეუძლია ფართოდ განავითაროს თავისი მატერიალური ძალები, ამერიკა კი მოითხოვს, რომ მთელი ხარკი უცილობლად იქნას გადახდილი. ამრიგად, რაც დრო გადის, მით უფრო ცხადი ხდება საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა ძლიერი ქვეყნების ეკონომიური კრახი. არჩევნებმა საფრანგეთში უპირატესობა კლერიკალებს არგუნა. საფრანგეთის ხალხმა,

რომელიც მოატყუეს იმით, რომ მთელი ძალები უნდა გაეღო თავისუფლებისა და დემოკრატიის გულისათვის გერმანიის წინააღმდეგ, ახლა ჯილდოდ მიიღო უსაზღვრო დავალიანება, მტაცებელი ამერიკელი იმპერიალისტების მხრივ აბუჩად აგდება, ხოლო შემდეგ კლერიკალური უმრავლესობა უაღრესად ველური რეაქციის წარმომადგენლებისა.

მდგომარეობა მთელ მსოფლიოში განუზომლად უფრო აირ-დაირია. ჩვენი გამარჯვება კოლჩაკზე, იუდენიჩზე, საერთაშორისო კაპიტალის ამ მსახურებზე, დიდია, მაგრამ კიდევ უფრო დიდია, თუმცა არა ისე აშკარა, ის გამარჯვება, რომელსაც ჩვენ ვაღწევთ საერთაშორისო მასშტაბით. ეს გამარჯვება მდგომარეობს იმპერიალიზმის შინაგან გახრწნაში, იმპერიალიზმისა, რომელსაც არ ძალუძს თავისი ჯარების დაძვრა ჩვენ წინააღმდეგ. ანტანტამ ეს სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, იმიტომ რომ მისი ჯარები იხრწნება, როცა ჩვენს ჯარებს ხვდება და ეცნობა ჩვენს რუსეთის საბჭოთა კონსტიტუციას, რომელიც მათ ენებზეა გადათარგმნილი. მიუხედავად დამპალი სოციალიზმის ბელადების გავლენისა, ჩვენი კონსტიტუცია ყოველთვის იპყრობს მშრომელი მასების სიმპათიებს. სიტყვა «საბჭო» ახლა ყველასთვის გასაგებია, საბჭოთა კონსტიტუცია კი გადათარგმნილია ყველა ენაზე და მას ყოველი მუშა იცნობს. მან იცის, რომ ეს მშრომელთა კონსტიტუციაა, რომ ეს არის პოლიტიკური წყობილება მშრომელებისა, რომლებიც საერთაშორისო კაპიტალზე გამარჯვებისაკენ მოუწოდებენ, იცის, რომ ეს არის მონაპოვარი, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ საერთაშორისო იმპერიალისტებზე გამარჯვებით. ამ ჩვენმა გამარჯვებამ გავლენა მოახდინა ყოველ იმპერიალისტურ ქვეყანაზე, რაკი ჩვენ წავართვით, ბრძოლით წავართვით მათ საკუთარი ჯარები, წავართვით შესაძლებლობა დაეძრათ ისინი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

მათ სცადეს ომი ეწარმოებინათ სხვისი ჯარებით, ფინეთის, პოლონეთის, ლატვიის ჯარებით, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. რამდენიმე კვირის წინათ ინგლისის მინისტრი ჩერჩილი პალატაში წარმოთქმულ თავის სიტყვაში იკვეხნიდა, —

და ამის შესახებ დეპეშები დაეგზავნა მთელ მსოფლიოს, — რომ მოწყობილია 14 ეროვნების ლაშქრობა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და ახალი წლისათვის რუსეთი დამარცხებული იქნებაო. და მართლაც, ამ ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა მრავალი ერი — ფინეთი, უკრაინა, პოლონეთი, საქართველო, ჩეხოსლოვაკები, იაპონელები, ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რა გამოვიდა აქედან! ჩვენ ვიცით, რომ ესტონელებმა მიატოვეს იუდენიჩის ჯარები, და ამჟამად გააფთრებული პოლემიკა წარმოებს გაზეთებში იმის გამო, რომ ესტონელებს არ სურთ დაეხმარონ მას, ხოლო ფინეთმა, თუმცა ძალიანაც უნდოდა ეს მის ბურჟუაზიას, დახმარება არ აღმოუჩინა იუდენიჩს. ამრიგად, ჩაიშალა ჩვენზე შემოტევის მეორე ცდაც. პირველი ეტაპი — ანტანტის საკუთარი ჯარების გამოგზავნა, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ სამხედრო ტექნიკის ყველა წესის მიხედვით, ასე რომ გეგონებოდათ — დაამარცხებენ საბჭოთა რესპუბლიკასო. მათ უკვე დატოვეს კავკასია, არხანგელსკი, ყირიმი და ჯერ კიდევ დარჩნენ მურმანში, ისევე როგორც ჩეხოსლოვაკები ციმბირში, მაგრამ დარჩნენ როგორც პატარა კუნძულები. საკუთარი ჯარებით ჩვენი დამარცხების პირველი ცდა ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. მეორე ცდა იმაში მდგომარეობდა, რომ აემხედრებინათ ჩვენ წინააღმდეგ ჩვენი მეზობელი ერები, რომლებიც ფინანსურად მთლიანად ანტანტაზე არიან დამოკიდებული, და აეძულებინათ ისინი გამოვეხრჩვეთ, როგორც სოციალიზმის ბუდე. მაგრამ ეს ცდაც ჩაიშალა: აღმოჩნდა, რომ არც ერთ ამ პატარა სახელმწიფოს არ შესწევს ასეთი ომის უნარი. კიდევ მეტი—ყოველ პატარა სახელმწიფოში განმტკიცდა სიძულვილი ანტანტისადმი. თუ ფინეთი არ წავიდა პეტროგრადის ასაღებად, როცა იუდენიჩმა უკვე კრასნოე სელო აიღო, ეს იმიტომ, რომ ის მერყეობდა და ხედავდა, რომ საბჭოთა რუსეთის გვერდით მას შეუძლია დამოუკიდებლად იცხოვროს, ხოლო ანტანტასთან მშვიდობიანად ცხოვრება მას არ შეუძლია. ამას განიცდიდა ყველა პატარა ერი. ამას განიცდიან ფინეთი, ლიტვა, ესტლანდია, პოლონეთი, სადაც სულ მთლად შოვინიზმია გამეფებული, მაგ-

რამ სადაც არსებობს სიძულვილი ანტანტისადმი, რომელიც იქ თავის ექსპლოატაციას ავითარებს. და ახლა, სრულიად გადაუჭარბებლად, მოვლენათა მსვლელობის ზუსტი გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ საერთაშორისო ომის არათუ პირველმა, არამედ მეორე ეტაპმაც კრახი განიცადა. ახლა დაგვრჩენია მხოლოდ დენიკინის ჯარების დამარცხება, რომლებიც სანახევროდ უკვე დამარცხებულია.

ასეთია ახლანდელი რუსეთის და საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც მოკლედ დავახასიათე ჩემს მოხსენებაში. დასასრულ ნება მომეცით შევჩერდე იმაზე, თუ როგორი მდგომარეობა იქმნება აღმოსავლეთის ეროვნებათა მიმართ. თქვენ ხართ აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციებისა და კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები. მე უნდა ვთქვა, რომ თუ რუსეთის ბოლშევიკებმა შეძლეს ნაპრალი გაეჩინათ ძველ იმპერიალიზმში, იკისრეს რევოლუციის ახალი გზების შექმნის არაჩვეულებრივ ძნელი, მაგრამ არაჩვეულებრივ კეთილშობილი ამოცანა, თქვენ, აღმოსავლეთის მშრომელი მასების წარმომადგენლებს, მოგელით კიდევ უფრო დიდი და კიდევ უფრო ახალი ამოცანა. სავსებით ირკვევა, რომ სოციალისტური რევოლუცია, რომელიც ახლოვდება მთელ მსოფლიოში, არავითარ შემთხვევაში არ მოხდება ისე, რომ თვითეული ქვეყნის პროლეტარიატმა გაიმარჯვოს თავისი ქვეყნის ბურჟუაზიაზე. ეს შესაძლებელი იქნებოდა, რევოლუციები რომ ადვილად და სწრაფად ხდებოდეს. ჩვენ ვიცით, რომ იმპერიალისტები ამას არ დაუშვებენ, რომ ყველა ქვეყანა შეიარაღებულია თავისი შინაური ბოლშევიზმის წინააღმდეგ და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ დაამარცხოს ბოლშევიზმი თავის ქვეყანაში. ამიტომ ყოველ ქვეყანაში იწყება სამოქალაქო ომი, რომელშიც ბურჟუაზიის მხარეზე მონაწილეობის მისაღებად მიზიდული არიან ძველი სოციალისტ-შემთანხმებლები. ამრიგად, სოციალისტური რევოლუცია არ იქნება მარტოოდენ და უმთავრესად რევოლუციური პროლეტარების ბრძოლა თვითეულ ქვეყანაში

თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, — არა, იგი იქნება იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ყველა კოლონიისა და ქვეყნის, ყველა დამოკიდებული ქვეყნის ბრძოლა საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩვენი პარტიის პროგრამაში, რომელიც მიღებული გასული წლის მარტში, ჩვენ, ვახასიათებდით რა მსოფლიო სოციალური რევოლუციის მოახლოებას, ვამბობდით, რომ მშრომელთა სამოქალაქო ომი იმპერიალისტებისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ ყველა მოწინავე ქვეყანაში უერთდება ნაციონალურ ომს საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამას ადასტურებს და მომავალშიც სულ უფრო და უფრო დაადასტურებს რევოლუციის მსვლელობა. ასევე იქნება აღმოსავლეთშიც.

ჩვენ ვიცით, რომ აქ აღსდგებიან აღმოსავლეთის ხალხთა მასები, როგორც დამოუკიდებელი მონაწილენი, როგორც შემოქმედნი ახალი ცხოვრებისა, იმიტომ რომ ამ მოსახლეობის ასეული მილიონები ეკუთვნიან დამოკიდებულ, არასრულუფლებიან ერებს, რომლებიც დღემდე იმპერიალიზმის საერთაშორისო პოლიტიკის ობიექტი იყვნენ, რომლებიც კაპიტალისტური კულტურისა და ცივილიზაციისათვის არსებობდნენ მხოლოდ როგორც გასაპოხიერებელი მასალა. და როდესაც ლაპარაკობენ კოლონიებზე მანდატების გაცემის შესახებ, ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ეს არის დატაცების, ძარცვის მანდატების გაცემა, რომ ეს არის უფლების მიცემა დედამიწის მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილისათვის ექსპლოატაცია გაუწიოს დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობას. ეს უმრავლესობა, რომელიც დღემდე სრულიად არ იღებდა მონაწილეობას ისტორიულ პროგრესში, იმიტომ რომ დამოუკიდებელ რევოლუციურ ძალას არ წარმოადგენდა, XX საუკუნის დამდეგს, როგორც ვიცით, ასეთ პასიურ როლს აღარ ასრულებს. ჩვენ ვიცით, რომ 1905 წლის შემდეგ რევოლუციები მოხდა თურქეთში, სპარსეთში, ჩინეთში, რომ ინდოეთში განვითარდა რევოლუციური მოძრაობა. იმპერიალისტურმა ომმაც შეუწყო ხელი რევოლუციური მოძრაობის ზრდას, იმიტომ რომ საჭირო გახდა კოლონიურ ხალხთა მთელი პოლკების ჩაბმა ევროპის იმპერია-

ლისტების ბრძოლაში. იმპერიალისტურმა ომმა გამოაღვიძა აღმოსავლეთიც, საერთაშორისო პოლიტიკაში ჩაითრია მისი ხალხები. ინგლისი და საფრანგეთი აიარაღებდნენ კოლონიურ ხალხებს და ეხმარებოდნენ მათ გაცნობოდნენ სამხედრო ტექნიკას და გაუმჯობესებულ მანქანებს. ამ მეცნიერებას ისინი გამოიყენებენ ბატონ იმპერიალისტების წინააღმდეგ. აღმოსავლეთის გამოღვიძების პერიოდს თანამედროვე რევოლუციაში მოსდევს პერიოდი აღმოსავლეთის ყველა ხალხის მონაწილეობისა მთელი მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში, რათა არ გახდნენ მხოლოდ გამდიდრების ობიექტი. აღმოსავლეთის ხალხები იღვიძებენ იმისათვის, რათა პრაქტიკულად იმოქმედონ, რათა ყოველი ხალხი წყვეტდეს მთელი კაცობრიობის ბედის საკითხს.

აი რატომ ვფიქრობ მე, რომ მსოფლიო რევოლუციის განვითარების ისტორიაში, რევოლუციისა, რომელიც, დასაწყისის მიხედვით თუ განვსჯით, მრავალ წელს გაგრძელდება და ბევრ შრომას მოითხოვს, — რევოლუციურ ბრძოლაში, რევოლუციურ მოძრაობაში თქვენ მოგელით დიდი როლის შესრულება, მოგელით ამ ბრძოლაში შეერთება ჩვენს ბრძოლასთან საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. საერთაშორისო რევოლუციაში მონაწილეობა თქვენ დაგაყენებთ რთული და ძნელი ამოცანის წინაშე, რომლის გადაწყვეტა საფუძველი გახდება საერთო წარმატებისა, იმიტომ რომ მოსახლეობის უმრავლესობა აქ პირველად ებმება დამოუკიდებელ მოძრაობაში და აქტიური ფაქტორი გახდება საერთაშორისო იმპერიალიზმის დამხობისათვის ბრძოლაში.

აღმოსავლეთის ხალხთა უმრავლესობა უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე ევროპის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა — რუსეთი, მაგრამ ჩვენ შევძელით რუსი გლეხებისა და მუშების შეერთება ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში, და ჩვენი ბრძოლა იმიტომ ჩატარდა ასე იოლად, რომ კაპიტალისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ შეერთდნენ გლეხები და მუშები. აქ აღმოსავლეთის ხალხებთან კავშირი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმიტომ

რომ აღმოსავლეთის ხალხთა უმრავლესობა მშრომელი მასების ტიპიური წარმომადგენელია, — ისინი არიან არა მუშები, რომლებსაც განვლილი აქვთ კაპიტალისტური ფაბრიკებისა და ქარხნების სკოლა, არამედ გლეხთა მშრომელი, ექსპლოატირებული მასების ტიპიური წარმომადგენლები, რომლებიც იტანჯებიან შუასაუკუნეობრივი ჩაგვრით. რუსეთის რევოლუციამ ცხადყო, თუ როგორ მოხდა, რომ პროლეტარები, რომელთაც დაამარცხეს კაპიტალიზმი, შეუერთდნენ რა მრავალმილიონიან დაქსაქსულ მშრომელ გლეხთა მასებს, ძლევამოსილად აჯანყდნენ შუასაუკუნეობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ. ახლა ჩვენმა საბჭოთა რესპუბლიკამ თავის გარშემო უნდა დარაზმოს აღმოსავლეთის ყველა გამოღვიძებული ხალხი, რათა მათთან ერთად აწარმოოს ბრძოლა საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

აქ თქვენ წინაშე დგას ამოცანა, რომელიც წინათ არ იდგა მთელი მსოფლიოს კომუნისტების წინაშე: ზოგად-კომუნისტურ თეორიასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით თქვენ, იმ თავისებურ პირობებთან შეფარდებით, რომლებიც არ არსებობს ევროპის ქვეყნებში, უნდა შესძლოთ ამ თეორიისა და პრაქტიკის გამოყენება ისეთ პირობებში, როცა მთავარ მასას გლეხობა წარმოადგენს, როცა საჭიროა არა კაპიტალის წინააღმდეგ, არამედ შუასაუკუნეობრიობის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანის გადაჭრა. ეს ძნელი და თავისებური ამოცანაა, მაგრამ ის განსაკუთრებით მადლიანია, იმიტომ რომ ბრძოლაში ებმება ის მასა, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიუღია მონაწილეობა ბრძოლაში, ხოლო, მეორე მხრივ, აღმოსავლეთში კომუნისტური უჯრედების მოწყობის მეოხებით თქვენ შესაძლებლობა გეძლევათ უმჭიდროესი კავშირი იქონიოთ III ინტერნაციონალთან. თქვენ უნდა გამოძებნოთ აღმოსავლეთის ხშირად შუასაუკუნეობრივ პირობებში მცხოვრებ მშრომელ და ექსპლოატირებულ მასებთან მთელი მსოფლიოს მოწინავე პროლეტარების ამ კავშირის თავისებური ფორმები. პატარა მასშტაბით ჩვენს ქვეყანაში უკვე განვახორციელეთ ის, რასაც თქვენ დიდი მასშტაბით დიდ ქვეყნებში განახორციელებთ.

იმედი მაქვს, ამ მეორე ამოცანასაც წარმატებით შეასრულებთ. აღმოსავლეთის კომუნისტური ორგანიზაციების მეოხებით, რომელთა წარმომადგენლებიც თქვენ ხართ, თქვენ კავშირი გაქვთ მოწინავე რევოლუციურ პროლეტარიატთან. თქვენ წინაშე დგას ამოცანა, რომ შემდეგშიც იზრუნოთ იმაზე, რომ ყოველი ქვეყნის შიგნით წარმოებდეს კომუნისტური პროპაგანდა ხალხისათვის გასაგებ ენაზე.

თავისთავად ცხადია, რომ საბოლოო გამარჯვებას მიაღწევს მხოლოდ მსოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყნის პროლეტარიატი, და ჩვენ, რუსები, ვიწყებთ იმ საქმეს, რომელსაც განამტკიცებს ინგლისის, საფრანგეთის ან გერმანიის პროლეტარიატი; მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ვერ გაიმარჯვებენ ყველა დაჩაგრულ კოლონიურ ხალხთა, და პირველ რიგში აღმოსავლეთის ხალხთა მშრომელი მასების დაუხმარებლად. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ მარტო ავანგარდს არ შეუძლია კომუნიზმზე გადასვლა განახორციელოს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოვაღვიძოთ რევოლუციური აქტივობა მშრომელი მასების თვითმოქმედებისა და ორგანიზაციისადმი, მიუხედავად იმისა, თუ რა დონეზე დგანან ისინი, ყოველი ხალხის ენაზე გადავთარგმნოთ ის ჭეშმარიტი კომუნისტური მოძღვრება, რომელიც განკუთვნილია უფრო მოწინავე ქვეყნების კომუნისტებისათვის, განვახორციელოთ ის პრაქტიკული ამოცანები, რომელთა დაუყოვნებლივ განხორციელება საჭიროა, და შევუერთდეთ საერთო ბრძოლაში სხვა ქვეყნების პროლეტარებს.

აი ის ამოცანები, რომელთა გადაწყვეტას თქვენ ვერ იპოვით ვერც ერთ კომუნისტურ წიგნში, მაგრამ რომელთა გადაწყვეტას თქვენ იპოვით იმ საერთო ბრძოლაში, რომელიც რუსეთმა დაიწყო. თქვენ მოგიხდებათ ამ ამოცანის დაყენება და მისი საკუთარი გამოცდილებით გადაჭრა. ამაში თქვენ დაგეხმარებათ, ერთი მხრივ, სხვა ქვეყნების მშრომელთა ავანგარდთან მჭიდრო კავშირი, ხოლო მეორე მხრივ — აღმოსავლეთის იმ ხალხებისადმი მიდგომის უნარი, რომელთაც თქვენ აქ წარმოადგენთ. თქვენ მოგიხდებათ დაყრდნობა იმ ბურჟუაზიულ

ნაციონალიზმზე, რომელიც იღვიძებს ამ ხალხებში, და არ შეიძლება არ იღვიძებდეს, და რომელსაც ისტორიული გამართლება აქვს. ამასთანავე თქვენ გზა უნდა გაიკაფოთ ყოველი ქვეყნის მშრომელი და ექსპლოატირებული მასებისაკენ და მათთვის გასაგებ ენაზე უთხრათ, რომ განთავისუფლების ერთადერთი იმედია საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვება, და რომ საერთაშორისო პროლეტარიატი ერთადერთი მოკავშირეა აღმოსავლეთის ასეულ მილიონობით მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხებისა.

აი უჩვეულო გაქანების ამოცანა, რომელიც თქვენ წინაშე დგას და რომელიც, რევოლუციის ეპოქისა და რევოლუციური მოძრაობის ზრდის მეოხებით — ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია — აღმოსავლეთის კომუნისტური ორგანიზაციების საერთო ძალ-ღონით წარმატებით გადაწყდება და მიყვანილი იქნება საერთაშორისო იმპერიალიზმზე სრულ გამარჯვებამდე.

რკპ(ბ) ც. კ-ის «იზვესტია» № 9, 1919 წ. 20 დეკემბერი

ბეჭდება რკპ(ბ) ც. კ-ის «იზვესტიის» ბიულეტენის ტექსტის მიხედვით

# პროექტი რკპ(ბ) ც. კ-ის რეზოლუციისა უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ[40]

1) განიხილა რა საკითხი უკრაინის მშრომელი ხალხისადმი დამოკიდებულების შესახებ, ხალხისადმი, რომელიც თავისუფლდება დენიკინის ბანდების მიერ დროებითი დაპყრობისაგან, რკპ ცენტრალური კომიტეტი ურყევად ატარებს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და საჭიროდ თვლის კვლავ დაადასტუროს, რომ რკპ ურყევად დგას უკრაინის სს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობის თვალსაზრისზე.

2) რკპ შეეცდება დაამყაროს ფედერაციული კავშირი რსფს რესპუბლიკასა და უკრაინის სს რესპუბლიკას შორის სრ. რუს. ცაკ-ის 1919 წ. 1 ივნისისა და უკრაინის ცაკ-ის 1919 წ. 18 მაისის დადგენილებათა საფუძველზე[41] (რეზოლუცია თან ერთვის).

3) რადგან უკრაინულ კულტურას (ენას, სკოლას და სხვ.) საუკუნეების განმავლობაში ახშობდნენ რუსეთის ცარიზმი და ექსპლოატატორი კლასები, რკპ ცენტრალური კომიტეტი ავალდებულებს პარტიის ყველა წევრს ყოველნაირად შეუწყონ ხელი უკრაინული ენისა და კულტურის თავისუფალი განვითარების ყოველგვარი დაბრკოლების აღმოფხვრას. რამდენადაც მრავალსაუკუნოვანი ჩაგვრის ნიადაგზე უკრაინის მასების ჩამორჩენილ ნაწილში არსებობს ნაციონალისტური ტენდენციები, რკპ წევრები ვალდებული არიან უდიდესი სიფრთხილით მოეპყრან მათ, დაუპირისპირონ მათ ამხანაგური ახსნა-განმარტება, რომ უკრაინისა და რუსეთის მშრომელი მასების ინტერესები ერთი და იგივეა. რკპ წევრებმა უკრაინის

ტერიტორიაზე საქმით უნდა განახორციელონ მშრომელი მასების უფლება — ისწავლონ და ყველა საბჭოთა დაწესებულებაში ილაპარაკონ დედა ენაზე, ყოველნაირი წინააღმდეგობა გაუწიონ უკრაინული ენის უკანა რიგში დაყენების რუსიფიკატორულ ცდას, გადააქციონ იგი მშრომელი მასების კომუნისტური განათლების იარაღად. დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ზომები, რათა ყველა საბჭოთა დაწესებულებაში საკმაო რაოდენობით იყოს უკრაინული ენის მცოდნე მოსამსახურეები, და რომ შემდეგში ყველა მოსამსახურემ იცოდეს უკრაინული ენა.

4) საჭიროა უზრუნველვყოთ საბჭოთა დაწესებულებების უმჭიდროესი კავშირი ქვეყნის მკვიდრ გლეხურ მოსახლეობასთან, რისთვისაც წესად უნდა იქნეს მიღებული, რომ პირველ ხანებშიც კი, რევკომებისა და საბჭოების შემოღებისთანავე, მათში უმრავლესობა უთუოდ ეკუთვნოდეს მშრომელ გლეხობას, ღარიბი გლეხებისათვის გადამწყვეტი გავლენის უზრუნველყოფის პირობებში.

5) იღებს რა მხედველობაში, რომ უკრაინაში, კიდევ უფრო მეტი ოდენობით, ვიდრე რუსეთში, მოსახლეობის უდიდეს მასას გლეხობა შეადგენს, საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას უკრაინაში წარმოადგენს ნდობის მოპოვება არა მარტო ღარიბი გლეხობის მხრივ, არამედ საშუალო გლეხობის ფართო ფენების მხრივაც, რომელიც თავისი ნამდვილი ინტერესებით უმჭიდროესად დაკავშირებულია საბჭოთა ხელისუფლებასთან. კერძოდ, ვინარჩუნებთ რა სასურსათო პოლიტიკის პრინციპს (პურის სახელმწიფო დამზადება მტკიცე ფასებში), აუცილებელია შეიცვალოს მისი განხორციელების წესები.

უკრაინაში სასურსათო პოლიტიკის უახლოესი ამოცანა უნდა იყოს ნაჭარბი პურის ამოღება მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული რაოდენობით, რაც საჭიროა უკრაინის ღარიბების, მუშებისა და წითელი არმიის მოსამარაგებლად. ნაჭარბის ამოღებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საშუალო გლეხობის ინტერესებს, ამასთან საშუალო გლეხობა სასტიკად უნდა გამოიყოს კულაკური ელემენტებისგან. საჭიროა საქმით გამოვააშკარაოთ უკრაინის გლეხობის წინაშე

კონტრრევოლუციური დემაგოგია, რომელიც შთააგონებს მას, თითქოს საბჭოთა რუსეთის ამოცანას შეადგენდეს პურის და სხვა სასურსათო პროდუქტების გამოზიდვა უკრაინიდან რუსეთში.

ცენტრალური ხელისუფლების აგენტებს, ყველა პარტიულ მუშაკს, ინსტრუქტორს და სხვ. უნდა დაევალოს ფართოდ მიიზიდონ ღარიბი და საშუალო გლეხობა მართვა-გამგეობის საქმეში.

მშრომელთა ნამდვილი ხელისუფლების დამყარების იმავე მიზნით დაუყოვნებლივ მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რომ საბჭოთა დაწესებულებები არ აივსოს უკრაინის ქალაქელი მეშჩანობის ელემენტებით, რომლებსაც არაფერი გაეგებათ გლეხთა ფართო მასების საყოფაცხოვრებო პირობებისა და რომლებიც ხშირად კომუნისტების სახელსაც კი ეფარებიან.

როგორც პარტიის რიგებში, ისე საბჭოთა დაწესებულებებში ამგვარი ელემენტების მიღების პირობა უნდა იყოს წინასწარი შემოწმება მათი შრომისუნარიანობისა და საქმით მშრომელთა ინტერესებისადმი და უწინარეს ყოვლისა ფრონტზე, არმიის რიგებში თავდადებისა. ყველგან და ყოველგვარ პირობებში ასეთი ელემენტები უნდა ექვემდებარებოდნენ პროლეტარიატის სასტიკ კლასობრივ კონტროლს.

რადგან უკრაინის სოფლის მოსახლეობაში არსებული დიდძალი იარაღი, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ღარიბთა დაურაზმველობის გამო, გარდუვალად ხელში უვარდებათ კულაკურ და კონტრრევოლუციურ ელემენტებს, რაც მშრომელთა დიქტატურის ნაცვლად ბანდიტური კულაკობის ფაქტიურ ბატონობას იწვევს, საბჭოთა მშენებლობის უპირველეს ამოცანას უკრაინაში წარმოადგენს მთელი იარაღის შეგროვება და მისი გადაცემა მუშურ-გლეხური წითელი არმიისათვის.

6) ასევე, საადგილმამულო პოლიტიკის გატარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბი და საშუალო გლეხობის სამიწათმოქმედო მეურნეობის ინტერესებს.

უკრაინაში საადგილმამულო პოლიტიკის ამოცანას უნდა შეადგენდეს:

1) დენიკინის მიერ აღდგენილი მემამულური მიწათმფლობელობის სრული ლიკვიდაცია და მემამულეთა მიწების გადაცემა უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხებისათვის.

2) საბჭოთა მეურნეობები მოეწყოს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული რაოდენობითა და ზომით, ყოველ ცალკე შემთხვევაში გარშემო მცხოვრები გლეხობის ინტერესებთან მკაცრად შეხამებით.

3) გლეხთა გაერთიანების მხრივ კომუნებად, არტელებად და სხვ. სასტიკად გატარდეს პარტიის პოლიტიკა, რომელიც შეუწყნარებლად თვლის ამ მხრივ ყოველგვარ იძულებას, ანდობს რა მხოლოდ და მხოლოდ თვით გლეხებს თავისუფლად გადაწყვიტონ ეს და სასტიკად სჯის რა ამ საქმეში იძულების საწყისის შეტანის ყოველგვარ ცდას.

* * *

2. უდავოდ მიაჩნია რა ყოველი კომუნისტისა და ყოველი შეგნებული მუშისათვის ყველა საბჭოთა რესპუბლიკის უმჭიდროესი კავშირი მათ ბრძოლაში მსოფლიო იმპერიალიზმის მრისხანე ძალების წინააღმდეგ, რკპ იმ პოზიციაზე დგას, რომ ამ კავშირის ფორმებს საბოლოოდ გადაწყვეტენ თვით უკრაინელი მუშები და მშრომელი გლეხები.

დაწერილია
1919 წ. ნოემბერში

იბეჭდება საწერ მანქანაზე
გადაბეჭდილი ასლის მიხედვით;
დამატებითი მუხლი მე-2 —
ხელნაწერის მიხედვით

# რკპ(ბ) სრულიად რუსეთის VIII კონფერენცია[42]

1919 წ. 2 — 4 დეკემბერი

1

## სიტყვა კონფერენციის გახსნისას 2 დეკემბერს

ამხანაგებო! ნება მომეცით რკპ (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით გახსნილად გამოვაცხადო ჩვენი პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია.

ამხანაგებო! პარტიის წესდებით ასეთი კონფერენციის მოწვევა უნდა ხდებოდეს ყოველ 3 თვეში, მაგრამ იმ მძიმე გარემოებამ, რომელსაც რამდენიმე თვის წინათ განვიცდიდით სამხედრო მდგომარეობასთან დაკავშირებით, გვაიძულა ისე დაგვეძაბა ძალები და ისე შეგვეკუმშა არა მარტო საბჭოთა, არამედ პარტიული მუშაობის ყველა აპარატი, რომ, სამწუხაროდ, ვერ შევძელით წესდების ზუსტად შესრულება, და კონფერენცია გადადებულ იქნა.

ამხანაგებო! ჩვენ ახლა კონფერენცია მოვიწვიეთ საბჭოების ყრილობასთან დაკავშირებით ისეთ მომენტში, როცა უდიდეს გაუმჯობესებას მივაღწიეთ ფრონტებზე და როცა დარწმუნებული ვართ, რომ ვდგავართ უკეთესობისაკენ უდიდესი გარდატეხის წინაშე როგორც საერთაშორისო მდგომარეობის, ისე სამხედრო მხრივ, აგრეთვე მთელ ჩვენ შინაურ მშენებლობასთან დაკავშირებით. თუ რა ამოცანები ისახება ჩვენ წინაშე, ამაზე არა ერთხელ თქმულა პარტიულ კრებებზე, პრესაში, და მათ შესახებ ჩვენ ვილაპარაკებთ დღის წესრიგის ცალკეული,

კონკრეტული პუნქტების განხილვის დროს. ამიტომ ჩემ თავს ნებას მივცემ პირდაპირ გადავიდე საქმეზე და გთხოვოთ აირჩიოთ კონფერენციის პრეზიდიუმი.

გთხოვთ მიგვითითოთ, რა წინადადებები გაქვთ ამ საკითხზე.

სრ. რუს. ცაკ-ის «იზვესტია»
№ 271, 1919 წ. 3 დეკემბერი

იბეჭდება სრ. რუს. ცაკ-ის «იზვესტიის» ტექსტთან შედარებული სტენოგრამის მიხედვით

## 2

## ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება 2 დეკემბერს

(ტ ა შ ი.) ამხანაგებო! ფორმალური მხრივ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებას ამჟამად თქვენთვის უნდა მოეცა, უმთავრესად, ამ ხნის განმავლობაში განვლილი გამოცდილების შეჯამება. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ასეთი ამოცანა — ისტორიით დაკმაყოფილება, ან თუნდაც მხოლოდ ისეთი ანგარიშის წარმოდგენა, რომელიც მთავარ ყურადღებას ისტორიას მიაქცევდა, — მეტისმეტად არ შეეფერება ჩვენი დროის სულისკვეთებას და იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენ წინაშე დგას. ამიტომ ამ მოხსენებაში, რომლის წარდგენა მე მსურს საბჭოების ყრილობისთვისაც, ჩემს თავს ნებას მივცემ სიმძიმის ცენტრი გადავიტანო იმდენად არა იმის აღწერაზე, რაც ჩვენ განვიცადეთ, რამდენადაც გამოცდილების იმ მონაცემებზე, რომელთაც ჩვენ ვიღებთ და უნდა მივიღოთ ჩვენი უშუალო პრაქტიკული მუშაობისათვის.

თუმცა, სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ამ ხნის განმავლობაში ჩვენ უდიდესი წარმატებები მოვიპოვეთ, თუმცა უმთავრესი სიძნელე უკვე განვლილი გვაქვს, მაგრამ მაინც ეჭვს გარეშეა, რომ წინ გვიდგას კიდევ ძალიან, ძალიან დიდი სიძნელეები. ბუნებრივია, რომ პარტიის ყურადღება მთლიანად მიპყრობილი უნდა იყოს ამ ამოცანების გადაწყვეტაზე, ისტორიაში შეჭრის უფლებას კი თავს მივცემთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს უთუოდ აუცილებელია ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

რა თქმა უნდა, უმთავრესი საკითხი, რომელსაც ჩვენ ყველაზე მეტ ყურადღებას ვაქცევდით საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე, უცილობლად სამხედრო საკითხია. გასაგებია, რომ სამოქალაქო ომმა ყველაფერი დაფარა, და თავისთავად ცხადია, რომ არსებობისათვის ამ ბრძოლაში პარტიის საუკეთესო ძალები უნდა მოგვეწყვიტა მუშაობისა და საქმიანობის ყველა დანარჩენი დარგისაგან და სამხედრო სამუშაოზე გადაგვეყვანა. ომიანობის პირობებში სხვანაირად შეუძლებელიც იყო. მაგრამ სამაგიეროდ, თუმცა ამ გადაყვანამ დიდი ზიანი მიაყენა შემოქმედებითს მუშაობას ჩვენი საბჭოთა და პარტიული საქმიანობის ბევრ დარგში, ჩვენ მართლაც შევძელით სამხედრო სფეროში ძალთა ისეთი თავმოყრისათვის და ისეთი კარგი შედეგებისათვის მიგვეღწია, რაც წინათ, ალბათ, შეუძლებლად იქნებოდა მიჩნეული არა მარტო ჩვენი მტრების, არა მარტო მერყევთა მიერ, არამედ უმრავლესობის მიერაც ჩვენს საკუთარ წრეში. ვინაიდან ორ წელიწადს გაძლება იმ დროს, როცა ჩვენს ყველა მტერს პირდაპირ და არაპირდაპირ ეხმარებოდა ჯერ გერმანიის იმპერიალიზმი, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო ძლიერი ანტანტის იმპერიალიზმი, რომელიც განუყოფლად დაეპატრონა მთელ მსოფლიოს — ორ წელიწადს გაძლება ასე გაჩანაგებულ და ასე ჩამორჩენილ ქვეყანაში, ეს ისეთი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტა უეჭველად «სასწაული» იყო. ამიტომ, ჩემი აზრით, ჩვენ უნდა ჩავუფიქრდეთ, ეს როგორ მოხდა, რომ ასეთი «სასწაული» განხორციელდა, და რა პრაქტიკული დასკვნები გამომდინარეობს აქედან, რომელთა საფუძველზე ჩვენ შეგვეძლება მტკიცედ ვთქვათ, — მე კი მგონია, ჩვენ მართლაც შეგვიძლია მტკიცედ ვთქვათ: რაც უნდა დიდი იყოს შინაური მშენებლობის სიძნელეები, ჩვენ მათ უახლოეს დროში ისეთივე წარმატებით დავძლევთ, როგორც წარმატებით გადავწყვიტეთ სამხედრო თავდაცვის საკითხები.

მსოფლიო იმპერიალიზმმა, რომელმაც, არსებითად, სამოქალაქო ომი გამოიწვია ჩვენში და რომლის ბრალიცაა მისი გაჭიანურება, ამ ორი წლის განმავლობაში დამარცხება განი-

ცადა, და ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა დავაყენოთ საკითხი: როგორ მოხდა, რომ მსოფლიო იმპერიალიზმთან ბრძოლაში, რომელიც უეჭველად დღესაც კი ჩვენზე ბევრად უფრო ძლიერია, ასეთ დიდ წარმატებას მივაღწიეთ? ამ კითხვაზე რომ პასუხი გავცეთ, საჭიროა თვალი გადავავლოთ რუსეთის სამოქალაქო ომის ისტორიას, ანტანტის ჩარევის ისტორიას. უწინარეს ყოვლისა უნდა დავადგინოთ ამ ომში რუსეთის წინააღმდეგ ანტანტის სამხედრო მოქმედების ორი, ანტანტის საქმიანობის ხერხის მიხედვით ძირიან-ფესვიანად განსხვავებული, პერიოდის ანუ ორი ძირითადი მეთოდის არსებობა.

უწინარეს ყოვლისა, ანტანტა, რომელმაც გერმანია დაამარცხა, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ჩახრჩობის გეგმის განხორციელებაში, ბუნებრივია, ემყარებოდა თავის საკუთარ ჯარებს. და, რასაკვირველია, ანტანტას რომ შესძლებოდა გერმანიის დამარცხების შემდეგ განთავისუფლებული თავისი უზარმაზარი არმიების თუნდაც მცირე ნაწილის, ამ ჯარების თუნდაც მხოლოდ ერთი მეათედის დაძვრა როგორც წესი და რიგია რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, თავისთავად გასაგებია, ჩვენ ვერ გავუძლებდით. და რუსეთის სამოქალაქო ომის პირველ პერიოდს ახასიათებს ის, რომ ანტანტის ცდამ თავისი საკუთარი ჯარებით მოეტეხა საბჭოთა რესპუბლიკა — მარცხი განიცადა. ანტანტა იძულებული გახდა მოეხსნა არხანგელსკის ფრონტზე მოქმედი ინგლისის ჯარები. საფრანგეთის ჯარების გადმოსხმა სამხრეთ რუსეთში დამთავრდა ფრანგი მატროსების მთელი რიგი აჯანყებებით, და ამჟამად, მიუხედავად სამხედრო ცენზურის მძვინვარებისა, — თუმცა ომი არ არის, მაგრამ ყოფილი სამხედრო, ახლა არასამხედრო ცენზურა განაგრძობს არსებობას ვითომ თავისუფალ ქვეყნებში — ინგლისსა და საფრანგეთში, — და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე იშვიათად აღწევს გაზეთები, ჩვენ მაინც მოგვეპოვება ინგლისიდან და საფრანგეთიდან სავსებით ზუსტი დოკუმენტური ცნობები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ცნობები, მაგალითად, შავ ზღვაში საფრანგეთის სამხედრო გემებზე მატროსების აჯანყების შესახებ მოხვედრილა ფრანგულ

პრესაში, რომ რამდენიმე ფრანგი მატროსისათვის კატორღის მისჯა ვაუგიათ საფრანგეთში, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მთელი კომუნისტური, მთელი რევოლუციური მუშათა პრესა იმოწმებს ამ ფაქტებს, რომ, მაგალითად, სახელი ამხ. ჟანა ლიაბურბისა, რომელიც ფრანგებმა ოდესაში დახვრიტეს ბოლშევიკური აგიტაციისათვის, ლოზუნგი გახდა ფრანგული სოციალისტური მუშათა პრესის არა მარტო კომუნისტური ფრთისა: ისეთმა გაზეთმაც კი, როგორიცაა «ლუმანიტე» [43], რომელიც, არსებითად, თავისი ძირითადი პრინციპების მიხედვით ყველაზე უფრო უახლოვდება ჩვენი მენშევიკებისა და ესერების თვალსაზრისს, ამ გაზეთმაც კი ლიაბურბის სახელი საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, რუსეთის საქმეებში ჩაურევლობისათვის ბრძოლის ლოზუნგად გაიხადა. ასევე განიხილავდნენ ინგლისურ მუშათა პრესაში არხანგელსკის ფრონტზე ნამყოფ ინგლისელ ჯარისკაცთა წერილებს. ამის თაობაზე ჩვენ მოგვეპოვება სავსებით ზუსტი დოკუმენტური მონაცემები. ამიტომ ჩვენთვის ნათელია, რომ აქ ნამდვილად მოხდა უდიდესი ძვრა, რომელზედაც ჩვენ წინათ ყოველთვის მივუთითებდით, რომელზედაც დიდ იმედს ვამყარებდით და რომელიც თუმცა არაჩვეულებრივ ნელა, მაგრამ უეჭველად ფაქტი გახდა ამ ბოლო ხანებში.

ამ ძვრას გარდუვალად იწვევდა თვით საქმის ვითარება. სწორედ ის ქვეყნები, რომლებიც ყველაზე მეტად ითვლებოდნენ და ითვლებიან დემოკრატიულ, ცივილიზებულ და კულტურულ ქვეყნებად, სწორედ ისინი აწარმოებდნენ ომს რუსეთის წინააღმდეგ უაღრესად მხეცური საშუალებებით, ისე, რომ კანონიერების აჩრდილიც კი არა ჩანდა. ბოლშევიკებს ბრალს სდებენ დემოკრატიზმის დარღვევაში, — ეს მენშევიკების, ესერებისა და ევროპის მთელი ბურჟუაზიული პრესის მოარული საბუთია ჩვენ წინააღმდეგ. მაგრამ ვერც ერთი ამ დემოკრატიული სახელმწიფოთაგანი ვერ ბედავს და ვერც გაბედავს თავისი საკუთარი ქვეყნის კანონების მიხედვით ომი გამოუცხადოს საბჭოთა რუსეთს. ამასთან ერთად მიმდინარეობს გარეგნულად უჩინარი, მაგრამ მეტად ღრმა პროტესტი

მუშათა პრესის მხრივ, რომელიც აცხადებს: სად არის ჩვენს კონსტიტუციაში, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის კონსტიტუციაში, ის კანონები, რომლებიც ომის წარმოების ნებას იძლეოდეს მის გამოუცხადებლად და პარლამენტის დაუკითხავად? და ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის პრესაში ქვეყნდებოდა წინადადებები — პასუხისგებაში მიეცათ თავიანთი სახელმწიფოების მეთაურები სახელმწიფო დანაშაულობათათვის, პარლამენტის ნებადაურთველად ომის გამოცხადებისათვის. ასეთი წინადადებები იყო. მართალია, ასეთი წინადადებები ქვეყნდებოდა ფურცლებში, რომლებიც მხოლოდ ერთხელ გამოდიოდა კვირაში, რომელთა კონფისკაციაც, ალბათ, თვეში ერთხელ მაინც ხდებოდა და რომლებიც ასობით ან ათასობით ვრცელდებოდა. მმართველ პასუხისმგებელ პარტიათა ბელადებს შეეძლოთ კიდევაც ანგარიში არ გაეწიათ ასეთი ფურცლებისათვის. მაგრამ აქ საჭიროა აღინიშნოს ორი ძირითადი ნაკადი: გაბატონებული კლასები მთელ მსოფლიოში ყოველდღიურად სცემენ მილიონობით ეგზემპლარ ცნობილ კაპიტალისტურ გაზეთებს, რომლებიც სავსეა გაუგონარი სიცრუით და ცილისწამებით ბოლშევიკების მიმართ. ქვედაფენებში კი, მუშათა მასებში, იციან რუსეთიდან დაბრუნებული ჯარისკაცებისაგან, რომ მთელი ეს კამპანია მატყუარობაა. ამრიგად, ანტანტისათვის აუცილებელი ხდება გაიყვანოს თავისი ჯარები რუსეთიდან.

როდესაც ჩვენ თავიდანვე ვლაპარაკობდით, რომ მთელ იმედს მსოფლიო რევოლუციაზე ვამყარებთო, ამას დასცინოდნენ და ათასჯერ გამოუცხადებიათ და ახლაც აცხადებენ — ეს განუხორციელებელიაო. მაგრამ ორი წლის მანძილზე ჩვენ ზუსტი მასალა მივიღეთ ამის შესამოწმებლად. ჩვენ ვიცით, რომ თუ ამ იმედზე ვილაპარაკებთ ევროპაში სწრაფი და უშუალო აჯანყების იმედის აზრით, ეს არ ყოფილა. მაგრამ ეს იმედი რომ ძირითადად ფრიად სწორი აღმოჩნდა და რომ მან თავიდანვე ნიადაგი გამოაცალა ანტანტის შეიარაღებულ ჩარევას, — ორი წლის შემდეგ და განსაკუთრებით კოლჩაკის დამარცხების შემდეგ, არხანგელსკიდან და მთელი ჩრდილოეთის

ფრონტიდან ინგლისის ჯარების წასვლის შემდეგ, — ეს სრულიად უდავო ისტორიული ფაქტია. საკმარისი იყო ანტანტის არმიების სულ მცირე რაოდენობა, რომ ჩვენ გავესრისეთ. მაგრამ ჩვენ შევძელით მტრის დამარცხება, იმიტომ რომ უმძიმეს წუთში მთელი მსოფლიოს მუშების თანაგრძნობამ თავისი ძალა გვიჩვენა. და, ამრიგად, ანტანტის შემოსევის ამ პირველ პერიოდს ჩვენ ღირსეულად დავაღწიეთ თავი. მაგონდება, რომ ერთ სტატიაში, მგონი რადეკისა, ლაპარაკი იყო, რომ ანტანტის ჯარების ფეხის დადგმა რუსეთის მხურვალე ნიადაგზე, რუსეთის, რომელმაც სოციალისტური რევოლუციის ხანძარი დაანთო, ამ ჯარებსაც აანთებსო. სინამდვილემ ცხადყო, რომ მართლაც სწორედ ასე მოხდა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ის პროცესი, რომელიც ხდება ინგლისელ და ფრანგ ჯარისკაცებსა და მატროსებში, რომელთაც იციან იმათი ვინაობა, ვინც ბოლშევიკური აგიტაციისათვის დახვრიტეს, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ რაც უნდა სუსტი იყოს ეს პროცესი, რაც უნდა სუსტი იყოს იქ კომუნისტური ორგანიზაციები, — ისინი უზარმაზარ სამუშაოს ასრულებენ. შედეგები თვალწინაა: მათ აიძულეს ანტანტა უკანვე გაეწვია თავისი ჯარები. მხოლოდ ამან მოგვანიჭა ჩვენ პირველი უდიდესი გამარჯვება.

ანტანტის მეორე ხერხი, მისი ბრძოლის მეორე სისტემა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ წინააღმდეგ გამოეყენებინა პატარა სახელმწიფოები. ამა წლის აგვისტოს დამლევს შვეციის გაზეთი იტყობინებოდა, თითქოს ინგლისის სამხედრო მინისტრმა ჩერჩილმა განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ 14 სახელმწიფო გაილაშქრებს და, მაშასადამე, უახლოეს ვადაში, ყოველ შემთხვევაში ამ წლის დამლევს, პეტროგრადისა და მოსკოვის დაცემა უზრუნველყოფილიაო. მგონი, შემდეგ ჩერჩილმა ეს განცხადება უარყო და თქვა, ის ბოლშევიკებმა შეთხზესო. მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება ზუსტი ცნობები, თუ შვეციის რომელ გაზეთში იყო ეს ცნობა მოთავსებული. ამიტომ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს ცნობა ევროპის წყაროებიდან გამომდინარეობს. გარდა ამისა, მას ფაქტებიც ადასტურებენ.

ფინეთისა და ესტლანდიის მაგალითზე ჩვენ აბსოლუტური ხიზუსტით დავადგინეთ, რომ ანტანტა ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რომ აეძულებინა ისინი შეეტიათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. პირადად მე მომიხდა ინგლისური გაზეთის «ტაიმსის» * ერთი მოწინავის წაკითხვა, რომელიც ეხებოდა ფინეთის საკითხს, ისეთ დროს, როცა იუდენიჩის ჯარები პეტროგრადიდან რამდენიმე ვერსზე იდგნენ და პეტროგრადს უდიდესი საფრთხე მოელოდა. ეს სტატია სავსე იყო გულისწყრომით, აღშფოთებით და დაწერილი იყო გაუგონარი, გაზეთისათვის უჩვეულო აღტყინებით (ჩვეულებრივად ასეთი გაზეთები დიპლომატიურად წერენ, როგორც წერდა ჩვენში მილიუკოვის «რეჩი»). ეს იყო ფინეთისადმი მიმართული უაღრესად გააფთრებული პროკლამაცია, რომელიც პირდაპირ აყენებდა საკითხს: მსოფლიოს ბედი დამოკიდებულია ფინეთზე, რომელსაც ყველა ცივილიზებული კაპიტალისტური ქვეყანა შეჰყურებსო. ჩვენ ვიცით, რომ მომენტი, როცა იუდენიჩის ჯარები პეტროგრადიდან რამდენიმე ვერსზე იდგნენ, გადამწყვეტი მომენტი იყო. სულ ერთია, თქვა თუ არ უთქვამს ჩერჩილს ზემომოყვანილი სიტყვები, მაგრამ ასეთ პოლიტიკას იგი აწარმოებდა. ცნობილია, რა ზეგავლენას ახდენდა ანტანტის იმპერიალიზმი ამ პატარა, ნაუცბათევად შექმნილ, უძლურ ქვეყნებზე, რომლებიც სავსებით, თვით საარსებო საკითხებშიც კი, როგორიცაა სურსათის საკითხი, და ყველა სხვა მხრივაც, დამოკიდებული იყვნენ ანტანტაზე. ამ დამოკიდებული მდგომარეობიდან თავის დაღწევა მათ არ შეუძლიათ. გამოყენებული იყო ზეგავლენის ყოველგვარი საშუალება — ფინანსური, სასურსათო, სამხედრო, რათა აეძულებინათ ესტლანდია, ფინეთი და აგრეთვე, უთუოდ, ლატვიაც, ლიტვაც და პოლონეთიც, აეძულებინათ სახელმწიფოთა მთელი ეს ციკლი შემოეტია ჩვენ წინააღმდეგ. პეტროგრადზე იუდენიჩის უკანასკნელი ლაშქრობის ისტორიამ საბოლოოდ ცხადყო, რომ ანტანტის მიერ ომის წარმოების ეს მეორე მეთოდი ჩაიშალა. არავითარი ეჭვი არ არის, რომ საკმარისი იქნებოდა

* — «დროება». რ ე დ.

ფინეთის მხრივ სულ მცირე დახმარება, ან — ცოტა უფრო მეტი — დახმარება ესტლანდიის მხრივ, რომ პეტროგრადის ბედი გადაწყვეტილიყო. არავითარი ეჭვი არ არის, რომ, შეგნებული ჰქონდა რა მდგომარეობის სერიოზულობა, ანტანტამ ყოველგვარ ღონისძიებას მიმართა ამ დახმარების მისაღებად, მაგრამ მიუხედავად ამისა მან მაინც კრახი განიცადა.

ეს არის მეორე უდიდესი საერთაშორისო გამარჯვება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ, და პირველზე უფრო რთული გამარჯვება. პირველი გამარჯვება იმიტომ მოვიპოვეთ, რომ აღმოჩნდა — რუსეთის ტერიტორიაზე მართლაც არ შეიძლებოდა ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების გაჩერება: ბრძოლის ნაცვლად ისინი ინგლისსა და საფრანგეთს აწვდიდნენ მეამბოხეებს, რომლებიც ინგლისისა და საფრანგეთის მუშებს ამხედრებდნენ თავიანთ მთავრობათა წინააღმდეგ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ, თუმცა რუსეთს გარს შემოარტყეს და ახლაც განგებ გარს არტყამენ პატარა სახელმწიფოების რკალს, სახელმწიფოებისა, რომელთაც ქმნიან და ეხმარებიან, ცხადია, ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ეს იარაღიც ანტანტის წინააღმდეგ მიიმართება. ყველა ამ სახელმწიფოში არსებობენ ბურჟუაზიული მთავრობები, რომელთაც თავის შემადგენლობაში თითქმის ყოველთვის ჰყავთ ბურჟუაზიული შემთანხმებლები, ადამიანები, რომლებიც თავიანთი კლასობრივი მდგომარეობის გამო ილაშქრებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. თვითეული ამ ერთაგანი უთუოდ გადაჭრით მტრულად არის განწყობილი ბოლშევიკების მიმართ, მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით ამ ბურჟუებისა და შემთანხმებლების ჩვენს მხარეზე გადმოყვანა. ეს წარმოუდგენლად გვეჩვენება, მაგრამ ეს სწორედ ასეა, იმიტომ რომ ყოველ ამ სახელმწიფოს განცდილი იმპერიალისტური ომის შემდეგ არ შეუძლია არ მერყეობდეს საკითხში—ხელსაყრელია თუ არა მათთვის იბრძოლონ ბოლშევიკების წინააღმდეგ ახლა, როცა რუსეთში ხელისუფლების სხვა პრეტენდენტი, რომელიც საფუძველს იძლეოდეს მტკიცედ მიიჩნიონ იგი, მხოლოდ კოლჩაკი ან დენიკინია, ე. ი. ძველი იმპერიალისტური რუსეთის

წარმომადგენლები, ხოლო კოლჩაკი ან დენიკინი რომ აქ ძველი რუსეთის წარმომადგენლები არიან, ეს უეჭველია. მაშასადამე, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა დავეყრდნოთ იმპერიალიზმის ბანაკის მეორე ნაპრალს. თუ პირველ თვეებში ჩვენი რევოლუციის შემდეგ ჩვენ გავძელით იმიტომ, რომ გერმანიის და ინგლისის იმპერიალიზმი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჯახნენ ერთმანეთს, თუ ამ ნახევარი წლის შემდეგ ჩვენ კიდევ ნახევარ წელზე მეტი გავძელით იმიტომ, რომ ანტანტის ჯარებს უნარი არ შესწევდათ ებრძოლათ ჩვენ წინააღმდეგ, შემდგომ წელს, რომლის შესახებაც ახლა გვიხდება უმთავრესად ანგარიშის წარმოდგენა, ჩვენ იმიტომ გავძელით ასეთი წარმატებით, რომ იმ დიდი სახელმწიფოების ცდამ, რომელთა გავლენის ქვეშ უეჭველად და უთუოდ იმყოფება ყველა პატარა ქვეყანა, ჩვენ წინააღმდეგ პატარა ქვეყნების მობილიზაციის მათმა ცდამ მარცხი განიცადა საერთაშორისო იმპერიალიზმის ინტერესებისა და ამ ქვეყნების ინტერესების წინააღმდეგურობის გამო. თვითეულმა ამ პატარა ქვეყანამ უკვე თავის თავზე განიცადა ანტანტის თათები. მათ იციან, რომ როდესაც საფრანგეთის, ამერიკისა და ინგლისის კაპიტალისტები ამბობენ: «დამოუკიდებლობის გარანტიას გაძლევთო» — ეს პრაქტიკულად ნიშნავს: «ჩვენ ვყიდულობთ თქვენ სიმდიდრეთა ყველა წყაროს და მონობაში გამყოფებთ. გარდა ამისა, აბუჩად გიგდებთ იმ ოფიცრის თავხედობით, რომელიც სხვისი ქვეყნის სამართავად და სასპეკულაციოდ მოსულა და არ სურს ვინმეს ანგარიში გაუწიოს». მათ იციან, რომ ძალიან ხშირად ასეთ ქვეყანაში ინგლისის ელჩი მეტს ნიშნავს, ვიდრე რომელიმე იქაური მეფე ან პარლამენტი. და თუ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს ეს ჭეშმარიტება დღემდე ვერ გაუგიათ, ახლა სინამდვილე მათ აიძულებს გაიგონ ეს. თურმე, იმ პატარა ქვეყნების ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ელემენტების მიმართ, რომელთაც იმპერიალისტები ძარცვავენ, ჩვენ წარმოვადგენთ თუ მოკავშირეებს არა, იმპერიალისტებზე უფრო საიმედო და ძვირფას მეზობლებს მაინც.

ეს არის მეორე გამარჯვება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ საერთაშორისო იმპერიალიზმზე.

აი რატომ გვაქვს ახლა უფლება ვთქვათ, რომ მთავარი სიძნელენი განვლილი გვაქვს. ეჭვი არ არის, ანტანტა ჯერ კიდევ ბევრჯერ შეეცდება სამხედრო გზით ჩაერიოს ჩვენს საქმეებში. თუ კოლჩაკზე და იუდენიჩზე უკანასკნელმა გამარჯვებებმა აიძულეს ყველა ამ სახელმწიფოს წარმომადგენლები ილაპარაკონ ახლა იმაზე, რომ რუსეთზე ლაშქრობა უიმედოა, და ზავი შემოგვთავაზონ, ჩვენ ნათლად უნდა შევიგნოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ასეთ გამოსვლებს. მე გთხოვთ აქ ნუ ჩაწერთ...

თუ ჩვენ ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ჩვენს ულმობელ მტრებს გამოვგლიჯეთ ასეთი აღსარება, უფლება გვაქვს აქაც ვთქვათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა არა მარტო მუშათა კლასის სიმპათიები, არამედ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ფართო წრეებისაც. ობივატელების, წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, იმათი წარმომადგენლები, ვინც შრომისა და კაპიტალის გააფთრებულ შეჯახებაში მერყეობდნენ, გადაჭრით ჩვენს მხარეზე დადგნენ, და ახლა ნაწილობრივ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ მათი მხარდაჭერისა.

ამ გამარჯვებას ჩვენ უნდა ჩავუკვირდეთ, და, თუ ჩვენ მას დავუკავშირებთ იმას, თუ, ბოლოს და ბოლოს, როგორ მოვიპოვეთ კოლჩაკზე გამარჯვება, კიდევ უფრო დამაჯერებელ დასკვნას მივიღებთ... და აქ შეგვიძლია წერა დავიწყოთ, იმიტომ რომ დიპლომატია აქ თავდება.

თუ დავსვამთ საკითხს, რა ძალებმა განაპირობეს კოლჩაკზე ჩვენი გამარჯვება, უნდა ვაღიაროთ, რომ კოლჩაკზე გამარჯვება, მიუხედავად იმისა, რომ იგი მოქმედებდა ისეთ ტერიტორიაზე, სადაც პროლეტარიატი ყველაზე ნაკლებია და სადაც მემამულეთა ბატონობის დასამხობად ჩვენ არ შეგვეძლო ისეთი უშუალო რეალური დახმარება აღმოგვეჩინა გლეხისათვის, როგორც რუსეთში აღმოვუჩინეთ, მიუხედავად იმისა, რომ კოლჩაკმა დაიწყო იმ ფრონტით, რომელსაც მხარს უჭერ-

დნენ მენშევიკები და ესერები, რომლებმაც დამფუძნებელი კრების ფრონტი შექმნეს, მიუხედავად იმისა, რომ იქ საუკეთესო პირობები იყო ისეთი სახელმწიფო ხელისუფლების შესაქმნელად, რომელიც მსოფლიო იმპერიალიზმის დახმარებას დაემყარებოდა, — მიუხედავად ამისა ეს ექსპერიმენტი კოლჩაკის სრული დამარცხებით დამთავრდა. აქედან ჩვენ უფლება გვაქვს ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომელსაც ჩვენთვის უაღრესად არსებითი მნიშვნელობა აქვს და რომელიც სახელმძღვანელო უნდა იყოს მთელ ჩვენს მოქმედებაში: ისტორიულად იმარჯვებს ის კლასი, რომელსაც შეუძლია გაიყოლიოს მოსახლეობის მასა. თუ მენშევიკები და ესერები დღემდე ლაპარაკობენ დამფუძნებელ კრებაზე, ერის ნებაზე და სხვ., ჩვენ ამ ხნის განმავლობაში გამოცდილებით დავრწმუნდით იმაში, რომ რევოლუციურ ხანაში კლასობრივი ბრძოლა მეტად საშინელ ფორმებში წარმოებს, მაგრამ მან შეიძლება გამარჯვებამდე მიგვიყვანოს მხოლოდ მაშინ, როდესაც იმ კლასს, რომელიც ამ ბრძოლას აწარმოებს, შეუძლია გაიყოლიოს მოსახლეობის უმრავლესობა. ამ მხრივ იმ შედარებამ, რომელიც მოხდა არა ბილეთებით ხმისმიცემით, არამედ უაღრესად მძიმე, უაღრესად სისხლისმღვრელი ბრძოლის ერთ წელზე მეტი გამოცდილებით, ბრძოლისა, რომელიც ასწილ მეტ მსხვერპლს მოითხოვდა, ვიდრე ესა თუ ის პოლიტიკური ბრძოლა, — ამ გამოცდილებამ კოლჩაკის მიმართ დაგვანახვა, რომ ჩვენ ვახორციელებთ სწორედ იმ კლასის ბატონობას, რომლის უმრავლესობის გაყოლიებაც შეგვიძლია ისე, რომ უკეთ, ვიდრე რომელიმე სხვა პარტია, ვიერთებთ გლეხობას მეგობრად და მოკავშირედ. ეს კოლჩაკის მაგალითმა დაამტკიცა. ეს მაგალითი სოციალური მხრივ ჩვენი სულ უკანასკნელი გაკვეთილია. იგი ცხადყოფს, ვის შეგვიძლია დავეყრდნოთ და ვინ ილაშქრებს ჩვენ წინააღმდეგ.

მუშათა კლასი, რაც უნდა დასუსტებული იყოს იმპერიალისტური ომით და ნგრევით, ახორციელებს პოლიტიკურ ბატონობას, მაგრამ ის ამას ვერ შეძლებდა, მოკავშირედ და მეგობრად რომ მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობა,

რუსეთის პირობებში — გლეხობა არ მიეზიდა. ეს განხორციელდა წითელ არმიაში, სადაც ჩვენ შევძელით იმ სპეციალისტების გამოყენება, რომელთა უმრავლესობა ჩვენ წინააღმდეგ იყო განწყობილი, და ისეთი არმიის შექმნა, რომელიც, ჩვენი მტრების, ესერების, აღიარებით მათი პარტიის უკანასკნელი საბჭოს რეზოლუციაში, წარმოადგენს არა დაქირავებულთა არმიას, არამედ სახალხო არმიას. მუშათა კლასმა შეძლო ამ არმიის შექმნა, რომლის უმრავლესობა მის კლასს არ ეკუთვნის, შეძლო მის წინააღმდეგ განწყობილი სპეციალისტების გამოყენება მხოლოდ იმიტომ, რომ მას შეეძლო გაეყოლებია, შეეძლო მეგობრებად და მოკავშირეებად გაეხადა მშრომელთა ის მასა, რომელიც დაკავშირებულია წვრილ მეურნეობასთან, რომელიც დაკავშირებულია საკუთრებასთან და რომელიც ამიტომ ურყევად მიილტვის თავისუფალი ვაჭრობისაკენ, ე. ი. კაპიტალიზმისაკენ, ფულის ბატონობის დაბრუნებისაკენ. ამაშია ყოველივე იმის საფუძველი, რასაც ჩვენ ორი წლის მანძილზე მივაღწიეთ. მთელ ჩვენს შემდგომ მუშაობაში, მთელ ჩვენს შემდგომ საქმიანობაში, იმ საქმიანობაში, რომელსაც უნდა შევუდგეთ განთავისუფლების პროცესში მყოფ უკრაინაში, და იმ მშენებლობაში, რომლის ამოცანათა მთელი სიმძიმე და მთელი სერიოზულობა გაიშლება დენიკინზე გამარჯვების შემდეგ, ეს ძირითადი გაკვეთილი ყველაზე მეტად უნდა დავიხსომოთ, ყველაზე მეტად უნდა შთავიბეჭდოთ მეხსიერებაში. მე ვფიქრობ, ჩვენი საქმიანობის პოლიტიკური შედეგები ყველაზე უფრო ამას ნიშნავს და აქ იყრის თავს.

ამხანაგებო! უკვე ითქვა, რომ ომი პოლიტიკის გაგრძელებაა. ჩვენ ეს განვიცადეთ ჩვენი საკუთარი ომის მაგალითზე. იმპერიალისტური ომი, რომელიც იმპერიალისტების, გაბატონებული კლასების, მემამულეებისა და კაპიტალისტების პოლიტიკის გაგრძელება იყო, მტრულ დამოკიდებულებას იწვევდა ხალხის მასებში და ამ მასების გარეევოლუციონერების საუკეთესო საშუალება იყო. ამ ომმა ჩვენში, რუსეთში, გააადვილა როგორც მონარქიის დამხობა, ისე მემამულური მიწათმფლობელობისა და ბურჟუაზიის დამხობა, რაც გაუგო-

ნარი სიადვილით მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ იმპერიალისტური ომი იყო იმპერიალისტური პოლიტიკის გაგრძელება, გამწვავება, გათავხედება. ჩვენი ომი კი ჩვენი კომუნისტური პოლიტიკის, პროლეტარიატის პოლიტიკის გაგრძელება იყო. დღემდე მენშევიკებისა და ესერების პრესაში ვკითხულობთ და უპარტიო და მერყეევი ადამიანებისაგან გვესმის: «თქვენ ჰპირდებოდით ზავს, მიეცით კი ომი, თქვენ მოატყუეთ მშრომელი მასებიო». ჩვენ კი ვამბობთ, რომ მშრომელმა მასებმა, თუმცა მათ მარქსიზმი არ უსწავლიათ, მაგრამ მაინც დაჩაგრულ ადამიანთა კლასობრივი ინსტინქტით, იმ ადამიანებისა, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში თავიანთ თავზე გრძნობდნენ, თუ რა არის მემამულე და კაპიტალისტი, — მშვენივრად შეითვისეს განსხვავება იმპერიალისტურ ომსა და სამოქალაქო ომს შორის. ყველა მათთვის, ვინც თავის თავზე გამოცადა ჩაგვრის ათეული წლები, ყველა მათთვის ეს განსხვავება ომებს შორის გასაგებია. იმპერიალისტური ომი იმპერიალისტური პოლიტიკის გაგრძელება იყო. იგი მასებს ამხედრებდა თავიანთ ბატონთა წინააღმდეგ. მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ სამოქალაქო ომი კი ამ მემამულეებისა და კაპიტალისტების დამხობის პოლიტიკის გაგრძელება იყო, და თვედათვე ამ ომის გაგრძელება განამტკიცებდა მშრომელი მასების კავშირს პროლეტარიატთან, რომელიც ამ ომს ხელმძღვანელობს. თუმცა დიდი იყო განსაცდელი, თუმცა ხშირი იყო უდიდესი დამარცხებები, თუმცა ხშირად იყო ისეთი მომენტები, როცა მტერი უდიდეს გამარჯვებებს აღწევდა და საბჭოთა ხელისუფლების არსებობა ბეწვზე ეკიდა, — ასეთი მომენტები იყო, უეჭველია, რომ ანტანტა შეეცდება კვლავ იბრძოლოს ჩვენ წინააღმდეგ, — მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ის გამოცდილება, რომელიც ჩვენ განვვლეთ, — ძალიან სერიოზული გამოცდილებაა. ამ გამოცდილებამ ცხადყო, რომ ომი განამტკიცებს მშრომელი მასების შეგნებას და უჩვენებს მათ საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობას. გულუბრყვილო ადამიანები, ან ის ადამიანები,

რომელთაც სავსებით ძველი მეშჩანობის ცრურწმენით და ძველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტარიზმით უდგიათ სული, გლეხისაგან მოელიან, რომ მან საარჩევნო ბიულეტენით გადაწყვიტოს—ბოლშევიკ-კომუნისტებს მიჰყვება ის თუ ესერებს; სხვანაირი გადაწყვეტის აღიარება მათ არ სურთ, იმიტომ რომ ისინი დემოკრატიის, თავისუფლების, დამფუძნებელი კრებისა და სხვ. მომხრენი არიან. ცხოვრებამ კი ისე გადაწყვიტა, რომ გლეხს ამ საკითხის შემოწმება საქმით მოუხდა. მას შემდეგ, რაც დამფუძნებელ კრებაში მან უმრავლესობა ესერებს არგუნა, მას შემდეგ, რაც ესერების პოლიტიკამ კრახი განიცადა, და გლეხებს პრაქტიკულად მოუხდათ ბოლშევიკებთან საქმის დაჭერა, გლეხი დარწმუნდა, რომ ეს ხელისუფლება მტკიცეა, ეს არის ხელისუფლება, რომელიც საკმაოდ ბევრ რამეს მოითხოვს, ეს არის ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია რადაც უნდა დაჯდეს მიაღწიოს ამ მოთხოვნათა შესრულებას, ეს არის ხელისუფლება, რომელიც გლეხის უეჭველ მოვალეობად თვლის პურის სესხებას მშიერისთვის, თუნდაც ეს უეკვივალენტოდ იყოს, ეს არის ხელისუფლება, რომელიც ცდილობს რადაც უნდა დაჯდეს ეს პური გადაეცეს დამშეულებს. ამას ხედავდა გლეხი, მან ეს ხელისუფლება შეადარა კოლჩაკისა და დენიკინის ხელისუფლებას და არჩევანი მოახდინა არა კენჭისყრით, არამედ საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტით, როცა მას მოუხდა გამოეცადა ერთი ხელისუფლებაც და მეორეც. გლეხი ამ საკითხს წყვეტს და მომავალშიც გადაწყვეტს ჩვენ სასარგებლოდ.

აი რა დაგვიმტკიცა კოლჩაკის დამარცხების ისტორიამ და რას გვიმტკიცებს ჩვენი გამარჯვებები სამხრეთში. აი რატომ ვამბობთ ჩვენ, რომ სოფლად მცხოვრები მასები, მილიონობით ადამიანები, მილიონობით გლეხები, მართლაც საბოლოოდ დგებიან ჩვენს მხარეზე. ჩემი აზრით, ამაში მდგომარეობს მთავარი პოლიტიკური გაკვეთილი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გამოვიტანეთ და რომელიც უნდა გამოვიყენოთ შინაური მშენებლობის იმ ამოცანების მიმართ, რომლებიც ახლა, დენიკინზე ჩვენი გამარჯვების დამთავრების შემდეგ, დღის

წესრიგში დადგება, რადგან შესაძლებლობა მივიღეთ მთელი ყურადღება შინაურ მშენებლობას მივაპყროთ.

დღემდე ევროპის წვრილი ბურჟუაზია ყველაზე მეტად გვდებდა ბრალს ტერორიზმში, ინტელიგენციისა და ობივატელის უხეშად ჩახშობაში. ამაზე ჩვენ ვიტყვით: «ყოველივე ეს თავს მოგვახვიეთ თქვენ, თქვენმა მთავრობებმა». როდესაც ტერორის შესახებ გვიკიჟინებენ, ჩვენ ვუპასუხებთ: «როდესაც ის სახელმწიფოები, რომელთა ხელშია მსოფლიო ფლოტი, რომელთაც ჩვენზე ასჯერ მეტი სამხედრო ძალები ჰყავთ, თავს გვესხმიან და ყველა პატარა სახელმწიფოს აიძულებენ იომონ ჩვენ წინააღმდეგ, — ეს ტერორი არ იყო?». — ეს ნამდვილი ტერორი იყო, როცა ერთი ყველაზე ჩამორჩენილი და ომიანობით დასუსტებული ქვეყნის წინააღმდეგ ყველა სახელმწიფო გაერთიანდა. თვით გერმანიაც კი განუწყვეტლივ ეხმარებოდა ანტანტას ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც დამარცხებული არ იყო და კრასნოვს კვებავდა, — უკანასკნელ დრომდე, როდესაც იგივე გერმანია ბლოკადას გვიქმნის და პირდაპირ დახმარებას უწევს ჩვენს მტრებს. მსოფლიო იმპერიალიზმის ეს ლაშქრობა, ეს სამხედრო ლაშქრობა ჩვენ წინააღმდეგ, შეთქმულთა ეს მოსყიდვა ქვეყნის შიგნით, — განა ეს ტერორი არ იყო? ჩვენი ტერორი იმით იყო გამოწვეული, რომ თავს დაგვესხა ისეთი სამხედრო ძალები, რომელთა წინააღმდეგ საჭირო იყო მთელი ჩვენი ძალების გაუგონარი დაძაბვა. საჭირო იყო ქვეყნის შიგნით გვემოქმედნა მთელი შეუპოვრობით, საჭირო იყო მთელი ძალების შეგროვება. აქ ჩვენ არ გვინდოდა ჩავვარდნილიყავით — და გადავწყვიტეთ, რომ არ ჩავვარდებით — ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც შემთანხმებლები აღმოჩნდნენ კოლჩაკთან ციმბირში, როგორშიც ხვალ ჩავარდებიან გერმანელი შემთანხმებლები, რომელთაც წარმოუდგენიათ, თითქოს ისინი არიან მთავრობა და ეყრდნობიან დამფუძნებელ კრებას, სინამდვილეში კი ასეულ ან ათას ოფიცერს ყოველ წუთს შეუძლია კინწის კვრით გააგდოს ასეთი მთავრობა. და ეს გასაგებიცაა, იმიტომ რომ ეს ოფიცრობა

წარმოადგენს გაწვრთნილ, ორგანიზებულ, სამხედრო საქმის ჩინებულად მცოდნე მასას, რომლის ხელშიც თავმოყრილია ყველა ძაფი და რომელიც საუცხოოდ ინფორმირებულია ბურჟუაზიისა და მემამულეების შესახებ, უზრუნველყოფილია მათი თანაგრძნობით.

ეს ცხადყო ყველა ქვეყნის ისტორიამ იმპერიალისტური ომის შემდეგ, და ახლა ანტანტის მხრივ ასეთი ტერორის დროს ჩვენ უფლება გვქონდა ამ ტერორისათვის მიგვემართა.

აქედან ის გამომდინარეობს, რომ ტერორიზმის ბრალდება, რამდენადაც ეს სამართლიანია, ჩვენ მიმართ კი არ უნდა იყოს წამოყენებული, არამედ ბურჟუაზიის მიმართ. ტერორი მან მოგვახვია თავს. და ჩვენ პირველნი გადავდგამთ ნაბიჯს, რომ მინიმალურ მინიმუმამდე შევზღუდოთ იგი, როგორც კი ბოლოს მოვუღებთ ტერორიზმის ძირითად წყაროს, მსოფლიო იმპერიალიზმის შემოსევას, სამხედრო შეთქმულებებს და ჩვენს ქვეყანაზე მსოფლიო იმპერიალიზმის სამხედრო ზემოქმედებას.

და როცა აქ ტერორიზმზე ვლაპარაკობთ, უნდა ითქვას იმ საშუალო ფენისადმი, იმ ინტელიგენციისადმი დამოკიდებულებაზეც, რომელიც ყველაზე მეტს ჩივის საბჭოთა ხელისუფლების უხეშობაზე, ჩივის იმაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლება მას უფრო ცუდ მდგომარეობაში აყენებს, ვიდრე წინათ იყო.

იმას, რის გაკეთებაც შეგვიძლია ჩვენი ხელმოკლეობის დროს ინტელიგენციის მიმართ, ჩვენ ვაკეთებთ მის სასარგებლოდ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცით, რა მცირე რამეს ნიშნავს ქაღალდის მანეთი, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რას წარმოადგენს კერძო სპეკულაცია, რომელიც ერთგვარ დახმარებას უწევს იმათ, ვისაც არ შეუძლია ისაზრდოოს ჩვენი სასურსათო ორგანოების დახმარებით. ამ მხრივ ჩვენ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას უპირატესობას ვაძლევთ. ჩვენ ვიცით, რომ იმ მომენტში, როცა მსოფლიო იმპერიალიზმი თავს დაგვესხა, ჩვენ უნდა შემოგვეღო უმკაცრესი სამხედრო დისციპლინა და წინააღმდეგობა გაგვეწია ჩვენს განკარგულებაში არსებული მთელი

ძალებით. და, რა თქმა უნდა, როცა რევოლუციურ ომს ვაწარმოებთ, ჩვენ არ შეგვიძლია ისე მოვიქცეთ, როგორც იქცეოდა ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომლებიც ომის მთელ სიმძიმეს მშრომელ მასებს აკისრებდნენ. არა, სამოქალაქო ომის სიმძიმე უნდა გაინაწილოს და კიდევაც გაინაწილებს მთელი ინტელიგენციაც, მთელი წვრილი ბურჟუაზიაც და ყველა საშუალო ელემენტიც, — ყველა იკისრებს ამ ტვირთს. რა თქმა უნდა, მათთვის გაცილებით უფრო ძნელი იქნება ეს ტვირთი, იმიტომ რომ ისინი ათეული წლების განმავლობაში პრივილეგიურ მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ სოციალური რევოლუციის ინტერესებისათვის ეს ტვირთი მათაც უნდა დავაკისროთ. ჩვენ ასე ვმსჯელობთ და ვმოქმედებთ, და სხვანაირად არც შეგვიძლია.

სამოქალაქო ომის დასასრული ნაბიჯის გადადგმა იქნება ამ ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ჩვენ კი ახლაც ჩვენი სატარიფო პოლიტიკით ვამტკიცებთ და ჩვენს პროგრამაშიც ვამბობთ, რომ საჭიროდ ვცნობთ ამ ჯგუფების უკეთეს მდგომარეობაში ჩაყენებას, იმიტომ რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოუყენებლად შეუძლებელია, და ყველა ჩვენს გამარჯვებას, ჩვენი წითელი არმიის ყველა გამარჯვებას, არმიისა, რომელსაც ხელმძღვანელობს პროლეტარიატი, რომელმაც თავის მხარეზე მიიზიდა ნახევრადმშრომელი, ნახევრადკერძომესაკუთრე გლეხობა, ჩვენ ვაღწევდით ნაწილობრივ ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოყენების უნარის წყალობით. ეს ჩვენი პოლიტიკა, გამოხატული სამხედრო საქმეში, ჩვენი შინაური მშენებლობის პოლიტიკა უნდა გახდეს.

გამოცდილება, რომელიც ჩვენ ამ ხნის განმავლობაში მივიღეთ, გვეუბნება, რომ ძალიან ხშირად შენობის საძირკვლის ამოყვანასთან ერთად ჩვენ ხელს ვკიდებდით გუმბათის, ყოველგვარი სამკაულის და სხვათა შენებას. სოციალისტური რესპუბლიკისათვის შეიძლება ეს ერთგვარად აუცილებელიც იყო. შეიძლება, ჩვენ მშენებლობა უნდა გაგვეჩაღებინა სახალხო ცხოვრების ყველა სფეროში. მშენებლობით ეს

გატაცება ყველა სფეროში სავსებით ბუნებრივია. თუ დავაკვირდებით ჩვენი სახელმწიფო მშენებლობის გამოცდილებას, ძალიან ხშირად დავინახავთ ბევრ დაწყებულ, მიტოვებულ ნაგებობას, ისეთებს, რომ, როცა მათ უყურებ, შეიძლება თქვა: იქნებ, საჭირო იყო ეს ნაგებობა არც კი დაგვეწყო, ჯერ მთავარი გაგვეკეთებინაო. სავსებით გასაგებია, რომ ყველა მუშაკი ბუნებრივად გატაცებულია იმ ამოცანებით, რომელთა შესრულება შესაძლებელია მხოლოდ საძირკვლის ჩაყრის შემდეგ. მაგრამ ამ გამოცდილების შემდეგ ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომავალში ჩვენს ძალღონეს უფრო მეტად მივმართავთ ძირითადზე, საძირკველზე, იმ უმარტივეს ამოცანებზე, რომელთა გადაწყვეტა ყველაზე უფრო ძნელია, მაგრამ რომელთაც ჩვენ მაინც გადავწყვეტთ. ეს არის პურის, სათბობის, ტილებთან ბრძოლის ამოცანა. აი ის სამი უმარტივესი ამოცანა, რომელთა გადაჭრა საშუალებას მოგვცემს ავაშენოთ სოციალისტური რესპუბლიკა, და მაშინ ჩვენ ასწილ უფრო ძლევამოსილად, ზეიმით და ტრიუმფალურად დავამარცხებთ მთელ მსოფლიოს, ვიდრე ანტანტის თავდასხმები მოვიგერიეთ.

პურის საკითხის შესახებ: გაწერის გამოყენებაში ჩვენ შორს წავედით. ჩვენმა სასურსათო პოლიტიკამ საშუალება მოგვცა მეორე წლის განმავლობაში სამჯერ მეტი პური შეგვეგროვებინა, ვიდრე პირველ წელს. უკანასკნელი კამპანიის სამი თვის განმავლობაში პური უფრო მეტია დამზადებული, ვიდრე გასული წლის სამი თვის განმავლობაში, თუმცა, როგორც სასურსათო სახალხო კომისრის მოხსენებიდან მოისმენთ, ეს მოხდა უეჭველად უფრო მეტი სიძნელეების დროს. მარტოოდენ მამონტოვის თარეში, რომელმაც ცენტრალური სამიწათმოქმედო ზოლის სამხრეთი ნაწილი ჩაიგდო ხელში, ძალიან ძვირი დაგვიჯდა. მაგრამ ჩვენ ვისწავლეთ გაწერის გამოყენება, ე. ი. ვისწავლეთ იძულების გამოყენება იმისათვის, რომ სახელმწიფოს პური ჩაბარდეს მტკიცე ფასებში, უეკვივალენტოდ. ჩვენ, რა თქმა უნდა, კარგად ვიცით, რომ საკრედიტო ბილეთი პურის ეკვივალენტი

არ არის. ჩვენ ვიცით, რომ გლეხი პურს სესხად იძლევა; ჩვენ ვეუბნებით მას: ეკვივალენტის მოლოდინში განა უნდა დააკავო პური, რომ მუშა შიმშილით მოკვდეს? გსურს განა თავისუფალ ბაზარზე ვაჭრობა და ამრიგად ჩვენი უკან, კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება? ბევრ ინტელიგენტს, რომელსაც მარქსი წაუკითხავს, არ ესმის, რომ ვაჭრობის თავისუფლება — კაპიტალიზმისაკენ დაბრუნებაა, მაგრამ გლეხს ეს გაცილებით უფრო ადვილად ესმის. მას ესმის, რომ პურის თავისუფალ ფასებში გაყიდვა, როცა მშიერი მზადაა რამდენიც გნებავთ გადაიხადოს, მზადაა ყველაფერი მოგცეს, რაც კი აბადია, რათა შიმშილით არ მოკვდეს, — რომ ეს არის ექსპლოატაციისაკენ დაბრუნება, რომ ეს არის ჯიბის გასქელების თავისუფლება მდიდრებისათვის და გაჩანაგება ღარიბებისათვის. და ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის სახელმწიფო დანაშაული, და მასთან ბრძოლაში ჩვენ იოტის ოდენადაც არაფერს დავთმობთ.

პურის გაწერისათვის ამ ბრძოლაში გლეხს უხდება სესხის მიცემა მშიერი მუშისათვის — ეს არის ერთადერთი საშუალება იმისათვის, რომ წესიერი მშენებლობა დავიწყოთ, იმისათვის, რომ მრეწველობა აღვადგინოთ და სხვ.. თუ გლეხი ამას არ შვრება, ეს არის კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება. როცა გლეხი გრძნობს თავის კავშირს მუშებთან, ის მზადაა გასცეს ნაჭარბი პური მტკიცე ფასებში, ე. ი. უბრალო ფერად ქაღალდში, — ეს აუცილებელი რამაა, უამისოდ შეუძლებელია მშიერი მუშის ხსნა სიკვდილისაგან, უამისოდ შეუძლებელია მრეწველობის აღდგენა. ეს ამოცანა უზომოდ ძნელია. ამ ამოცანის გადაწყვეტა მარტოოდენ ძალმომრეობით შეუძლებელია. რაც უნდა გაჰკიოდნენ, ბოლშევიკები გლეხების მიმართ ძალმომრეობის გამოყენების პარტია არისო, ჩვენ ვამბობთ: ბატონებო, ეს სიცრუეა! ჩვენ რომ გლეხების მიმართ ძალმომრეობის გამოყენების პარტია ვიყოთ, როგორ გავუძლებდით კოლჩაკს, როგორ შევძლებდით არმიის შექმნას საყოველთაო სამხედრო ბეგარითურთ, რომელშიც რვა მეათედი გლეხებია, რომელშიც

ყველანი შეიარაღებული არიან, რომელშიც იმპერიალისტური ომის მაგალითზე ყველამ დაინახა, რომ იმავე შაშხანის შეტრიალება ადვილია სხვადასხვა მხრივ? როგორ შეგვიძლია გლეხების მიმართ ძალმომრეობის გამოყენების პარტია ვიყოთ, ჩვენ ვართ პარტია, რომელიც ახორციელებს მუშების კავშირს გლეხებთან, რომელიც ეუბნება გლეხებს, რომ თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლა არის კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება და რომ ნაჭარბის ძალით ჩამორთმევას ვიყენებთ სპეკულანტის და არა მშრომელთა მიმართო?

პურის გაწერა საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს საქმიანობას. სასურსათო საკითხი საფუძვლად უდევს ყველა საკითხს. ჩვენ დიდი ძალა უნდა გამოვიყენოთ დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად. ვიდრე სრული გამარჯვებისათვის არ მიგვიღწევია, ყოველთვის შესაძლებელია კიდევ შემობრუნება, და რაიმე დაეჭვება და მოუფიქრებლობა შეუწყნარებელია. მაგრამ, როგორც კი სამხედრო მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდება, რაც შეიძლება მეტი ძალ-ღონე უნდა მოვახმაროთ სასურსათო საქმეს, რადგან ეს ყველაფრის საფუძველია. გაწერა ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. და მხოლოდ მაშინ, როცა ამ ამოცანას გადავწყვეტთ და სოციალისტური საძირკველი ჩაყრილი გვექნება, ჩვენ შევძლებთ ამ სოციალისტურ საძირკველზე სოციალიზმის მთელი იმ საუცხოო შენობის აგებას, რომლის ზევიდან აგება არა ერთხელ დაგვიწყია და რომელიც არა ერთხელ დანგრეულა.

მეორე ძირითადი საკითხი — ეს არის სათბობის, ჩვენი მშენებლობის მთავარი საფუძვლის საკითხი. ეს ის საკითხია, რომელსაც ჩვენ ახლა წავაწყდით, როცა არ შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენი სასურსათო წარმატება, რადგან ვერ შემოგვაქვს პური, მთლიანად ვერ ვიყენებთ ჩვენს გამარჯვებებს, იმიტომ რომ სათბობი არა გვაქვს. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ნამდვილი აპარატი იმისათვის, რომ მოვაგვაროთ სათბობის საკითხი, მაგრამ მისი მოგვარების საშუალება კი არსებობს.

ქვანახშირის შიმშილს ახლა მთელი ევროპა განიცდის. თუ უაღრესად მდიდარ გამარჯვებულ ქვეყნებში, ისეთშიც კი, როგორიცაა ამერიკა, რომელსაც არ განუცდია არც თავდასხმები, არც შემოსევა, — თუ იქ ასე მწვავედ დგას საათბობის საკითხი, ბუნებრივია, რომ ის ჩვენზეც მოქმედებს. ქვანახშირის მრეწველობას ჩვენ საუკეთესო პირობებშიც კი ვერ აღვადგენთ რამდენიმე წელზე უფრო ადრე.

თავს უნდა ვუშველოთ შეშით. ამისათვის ჩვენ სულ ახალ-ახალი პარტიული ძალები გადაგვყავს ამ სამუშაოზე. სახალხო კომისართა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოში უკანასკნელი კვირის განმავლობაში მთავარი ყურადღება ექცეოდა ამ საკითხს და მიღებულია მთელი რიგი ზომები, რომლებმაც ამ მხრივ ისეთივე გარდატეხა უნდა მოგვცეს, როგორსაც ჩვენ მივაღწიეთ სამხრეთის ფრონტის ჩვენი არმიების მიმართ. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ არ შეიძლება ჩვენი მუშაობის შესუსტება, რომ ყოველი ჩვენი ნაბიჯი გამარჯვების ნაბიჯი უნდა იყოს სათბობის შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლაში. მატერიალური საშუალებები ჩვენ გვაქვს. ვიდრე ქვანახშირის მრეწველობას დავაყენებდეთ როგორც საჭიროა, ჩვენ შეგვიძლია იოლად წავიდეთ შეშით და მრეწველობა უზრუნველვყოთ სათბობით. ამ ძირითად ამოცანას, ამხანაგებო, ჩვენ უნდა მოვახმაროთ მთელი პარტიული ძალები.

ჩვენი მესამე ამოცანაა ტილებთან ბრძოლა, იმ ტილებთან, რომელნიც პარტახტიან ტიფს ავრცელებენ. ეს პარტახტიანი ტიფი შიმშილით დასუსტებულ, დაავადებულ მოსახლეობაში, რომელსაც არა აქვს პური, საპონი, სათბობი, ისეთ უბედურებად შეიძლება გადაიქცეს, რომელიც შესაძლებლობას არ მოგვცემს თავი გავართვათ რაიმე სოციალისტურ მშენებლობას.

აქ არის კულტურისათვის ბრძოლის ჩვენი პირველი ნაბიჯი და აქ არის ბრძოლა არსებობისათვის.

ეს ძირითადი ამოცანებია. მინდოდა პარტიის წევრ ამხანაგების ყურადღება ყველაზე მეტად მათზე მიმექცია.

ამ ძირითად ამოცანებს დღემდე არაპროპორციულად მცირე ყურადღებას ვაქცევდით. ამ უპირველესი ამოცანისაკენ უნდა მივმართოთ იმ ჩვენი ძალების ცხრა მეათედი, რაც გადარჩა სამხედრო მუშაობას, რომლის შესუსტება ერთი წუთითაც არ შეიძლება. ჩვენ ახლა ნათლად გვაქვს წარმოდგენილი ამ საკითხის სიმწვავე. ყველამ შეძლებისდა მიხედვით მთელი თავისი ძალ-ღონე ამ საქმეს უნდა მოახმაროს. აქეთკენ უნდა მივმართოთ მთელი ჩვენი ძალები.

ამით ვამთავრებ მოხსენების პოლიტიკურ ნაწილს. რაც შეეხება საერთაშორისო ნაწილს, ამას დეტალურად გააშუქებს ამხ. ჩიჩერინი და წაიკითხავს იმ წინადადებას, რომელიც საბჭოების ყრილობის სახელით გვინდა წარვუდგინოთ მებრძოლ სახელმწიფოებს.

სულ მოკლედ შევეხები პარტიულ ამოცანებს. რევოლუციის მსვლელობაში ჩვენი პარტია ერთ-ერთი უდიდესი ამოცანის წინაშე დადგა. ერთი მხრივ, ბუნებრივია, რომ მმართველ პარტიას ეტმასნებიან უცუდესი ელემენტები უკვე იმიტომ, რომ ეს პარტია მმართველი პარტიაა. მეორე მხრივ, მუშათა კლასი დაუძლურებულია და გაჩანაგებულ ქვეყანაში, ბუნებრივია, დასუსტებულია. ამავე დროს თავისი ქვეყნის გაძღოლა შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასის მოწინავე ნაწილს, მხოლოდ მის ავანგარდს. საერთო-სახელმწიფოებრივი მშენებლობის მხრივ ამ ამოცანის გადასაწყვეტად ჩვენ მივმართავდით, როგორც ერთ-ერთ საშუალებას, შაბათობებს. ჩვენ წამოვაყენეთ ლოზუნგი: ჩვენს პარტიაში მოდიან ისინი, რომლებიც უწინარეს ყოვლისა ფრონტზე იგზავნებიან; მათ კი, ვისაც ბრძოლა არ შეუძლია, ადგილობრივ უნდა დაამტკიცონ, რომ ესმით რა არის მუშათა პარტია, უნდა გვიჩვენონ კომუნიზმის პრინციპების გამოყენება საქმით. ხოლო კომუნიზმი, თუ ამ სიტყვას ზუსტი მნიშვნელობით ვიხმართ, ეს არის უსასყიდლო საზოგადოებრივი მუშაობა, რომელიც არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ განსხვავებებს, შლის საყოფაცხოვრებო ცრურწმენის მოგონების ყოველგვარ კვალს, შლის დახავსებულობას, ჩვეულებებს, განსხვავებას მუშა-

ობის ცალკეულ დარგთა შორის, განსხვავებას ხელფასში და სხვ.. ეს ერთ-ერთი უდიდესი საწინდარია იმისა, რომ არა მარტო სამხედრო სფეროში, არამედ მშვიდობიანი მშენებლობის სფეროშიც ჩვენ ვაბამთ მუშათა კლასს და მშრომელებს. კომუნისტურ შაბათობათა შემდგომი განვითარება სკოლად უნდა იქცეს. თვითეულ ნაბიჯს თან უნდა სდევდეს ის, რომ ჩვენს პარტიაში ვიზიდავთ მუშურ ელემენტებს და ყველაზე უფრო სანდო ელემენტებს სხვა კლასებიდან. ამას ჩვენ ვაღწევთ ხელახალი აღრიცხვით. ჩვენ არ გვაშინებს იმათი გარიცხვა, ვინც სავსებით საიმედო არ არის. ჩვენ ამას აგრეთვე იმითაც ვაღწევთ, რომ ვენდობით პარტიის იმ წევრს, რომელიც მძიმე წუთში მოდის ჩვენთან. პარტიის ის წევრები, როგორც ცენტრალური კომიტეტის დღევანდელი ანგარიში გვიჩვენებს, ის ათასები და ასეული ათასები, რომლებიც ჩვენთან მოდიოდნენ, როცა იუდენიჩი რამდენიმე ვერსზე იყო პეტროგრადიდან, ხოლო დენიკინი ჩრდილოეთით უახლოვდებოდა ორიოლს, როცა მთელი ბურჟუაზია უკვე ზეიმობდა, პარტიის ეს წევრები ღირსნი არიან ჩვენი ნდობისა. პარტიის ასეთ გაფართოებას ჩვენ ვაფასებთ.

მას შემდეგ, რაც ჩვენ პარტიის ასეთი გაფართოება მოვახდინეთ, უნდა დავხუროთ ჭიშკარი, განსაკუთრებით ფრთხილი უნდა ვიყოთ. ჩვენ უნდა ვოქვათ: ახლა, როცა პარტია იმარჯვებს, პარტიის ახალი წევრები ჩვენ არ გვინდა. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ლპობად კაპიტალისტურ საზოგადოებაში პარტიას მიეტმასნება უამრავი მავნე ელემენტი. ჩვენ ისეთი პარტია უნდა შევქმნათ, რომელიც იქნება მუშების პარტია, რომელშიც აღარ იქნებიან მიტმასნილები, მაგრამ მუშაობაში მის გარეთ მდგომი მასებიც უნდა მივიზიდოთ. როგორ გავაკეთოთ ეს? აქ გვეხმარება მუშათა და გლეხთა უპარტიო კონფერენციები. ამას წინათ «პრავდაში» დაიბეჭდა სტატია უპარტიო კონფერენციებზე. ეს სტატია, ამხ. როსტოპჩინის სტატია, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. მე არ მეგულვება სხვა საშუალება, რომლის

შემწეობითაც შეიძლებოდეს ამ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანის გადაწყვეტა. პარტიას არ შეუძლია ფართოდ გააღოს კარი, რადგან კაპიტალიზმის გახრწნის ეპოქაში აბსოლუტურად გარდუვალია, რომ ის მიიზიდავს უცუდეს ელემენტებს. პარტია იმდენად ვიწრო უნდა იყოს, რომ მუშათა კლასის გარეშე სხვა კლასებიდან გამოსულთაგან მიიზიდოს მხოლოდ ისინი, რომელთა უდიდესი სიფრთხილით შემოწმების შესაძლებლობა მას აქვს.

მაგრამ იმ ქვეყანაში, რომელიც ასეულ მილიონობით მოსახლეობას ითვლის, ჩვენ გვყავს პარტიის რამდენიმე ასი ათასი წევრი. როგორ შეუძლია მართვა ასეთ პარტიას? ჯერ-ერთი, მას თანაშემწედ ჰყავს და კიდევაც უნდა ჰყავდეს პროფესიული კავშირები, რომელნიც მილიონებს მოიცავენ; მეორე თანაშემწეა უპარტიო კონფერენციები. ამ უპარტიო კონფერენციებზე ჩვენ უნდა შეგვეძლოს მიდგომა არაპროლეტარული წრისადმი, უნდა დავძლიოთ ცრურწმენა და წვრილბურჟუაზიული მერყეობა — ეს ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი და მთავარი ამოცანაა.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების წარმატება უნდა გამოვარკვიოთ არა მარტო იმით, თუ პარტიის რამდენი წევრი მუშაობს ამა თუ იმ სამუშაოზე, არა მარტო იმით, როგორი წარმატებით მიმდინარეობს ხელახალი აღრიცხვა, არამედ აგრეთვე იმითაც, საკმაოდ სწორად და ხშირად ხდება თუ არა ეს უპარტიო მუშათა და გლეხთა კონფერენციები, ე. ი. გვაქვს თუ არა უნარი მივუდგეთ იმ მასას, რომელსაც ამჟამად არ შეუძლია პარტიაში შემოსვლა, მაგრამ რომელიც უნდა ჩავაბათ მუშაობაში.

თუ ჩვენ ანტანტა დავამარცხეთ, ეს შეიძლება იმიტომ, რომ ჩვენ სიმპათია მოვიპოვეთ მუშათა კლასში, სწორედ ამ უპარტიო მასაში. თუ ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, კოლჩაკი დავამარცხეთ, ეს, შეიძლება, სწორედ იმიტომ, რომ კოლჩაკმა დაკარგა მშრომელი მასების რეზერვუარიდან შემდგომი ძალების მიღების შესაძლებლობა. ჩვენ კი ისეთი რეზერვუარი გვაქვს, როგორიც არც ერთ მთავრობას არა

აქვს მსოფლიოში და რომელიც არც შეიძლება ჰქონდეს რომელიმე მთავრობას მსოფლიოში, გარდა მუშათა კლასის მთავრობისა, იმიტომ რომ მხოლოდ მუშათა კლასის მთავრობას შეუძლია გაბედულად, წარმატების აბსოლუტური რწმენით, მიიღოს ძალები ყველაზე დაჩაგრულ, ყველაზე ჩამორჩენილ მშრომელთა წრიდან. ძალების მიღება ჩვენ შეგვიძლია და უნდა მივიღოთ უპარტიო მუშებისა და გლეხების წრიდან, იმიტომ რომ ესენი არიან ჩვენი უერთგულესი მეგობრები. პურით, სათბობით უზრუნველყოფის ამ ამოცანების გადასაწყვეტად და პარტახტიანი ტიფის დასაძლევად, ჩვენ შეგვიძლია ძალების მიღება სწორედ ამ მასებიდან, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაჩაგრული კაპიტალისტებისა და მემამულეების მიერ. და ამ მასების მხარისდაჭერა ჩვენთვის უზრუნველყოფილია. ჩვენ შემდეგშიც განვაგრძობთ სულ უფრო და უფრო მეტი ძალების მიღებას ამ წრიდან, და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლოს და ბოლოს ყველა ჩვენს მტერს დავამარცხებთ. მშვიდობიანი მშენებლობის სფეროშიც, რომელსაც ჩვენ დენიკინზე გამარჯვების შემდეგ გავშლით როგორც წესი და რიგია, ჩვენ გაცილებით მეტ სასწაულებს მოვახდენთ, ვიდრე ამ ორი წლის მანძილზე მოვახდინეთ სამხედრო სფეროში.

რკპ(ბ) ც. კ-ის
«იზვესტია» № 9, 1919 წ.
20 დეკემბერი

იბეჭდება რკპ(ბ) ც. კ-ის «იზვესტიის» ბიულეტენის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან

## 3

## საბოლოო სიტყვა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების გამო 2 დეკემბერს

ამხ. საპრონოვს რომ არ შევეგულიანებინე, უარს ვიტყოდი საბოლოო სიტყვაზე, ახლა კი მსურს ცოტა შევეკამათო მას. ეჭვი არ არის, რომ ორგანიზაციული გამოცდილების მქონე ადგილობრივ მუშაკებს ყური უნდა დავუგდოთ. ყველა მათი რჩევა-დარიგება საგულისხმოა ჩვენთვის. მაგრამ გეკითხებით, რა არის ცუდი იმაში, რაც აქ წერია? მე ამ მუხლს არ ვიცნობდი. საპრონოვმა მომცა იგი. აქ წერია: «პროექტი ინსტრუქციისა საგუბერნიო, სამაზრო და სავოლოსტო კომიტეტებს სოფლად მუშაობის შესახებ» [11]. მაშასადამე, ინსტრუქცია მიმართულია იმ ადგილობრივი მუშაკებისადმი, რომელთა მეშვეობითაც წარმოებს მთელი ადგილობრივი მუშაობა. თუ ლაპარაკობენ აგიტატორების, კომისრების, ცენტრალური კომიტეტის აგენტების ან რწმუნებულთა გაგზავნაზე, ისინი ყოველთვის და უეჭველად ღებულობენ ინსტრუქციებს. მე-9 მუხლში აქ ნათქვამია: «საბჭოთა მეურნეობები და კომუნები დაითანხმონ იმაზე, რომ უშუალოდ რეალურად დაეხმარონ გარეშემო მცხოვრებ გლეხებს». მე მაინც ვფიქრობდი, რომ ცენტრალური კომიტეტის აგენტსაც აქვს ჭკუა. თუ დებულება მართლაც დამტკიცებულია, როგორ შეუძლია მას მოითხოვოს, რომ მისცენ ურემი, ცხენი და სხვ.? ამის თაობაზე ჩვენ საკმაო ინსტრუქციები გვაქვს, ზოგი იმასაც კი ამბობს, რომ ეს ინსტრუქციები ჭარბადაა. ც. კ-ის აგენტსაც რაიმეს მოთხოვნა მხოლოდ ინსტრუქციის ფარგლებში შეუძლია, და კომუნის

არც ერთ გამგეს არ შეუძლია დაუშვას, რომ ურემი, ცხენი ან ძროხა მისცენ ვინმეს. მაგრამ ეს სერიოზული საკითხია, რადგან ამ ნიადაგზე გლეხებთან ხშირად გვიფუჭდება ურთიერთობა, უკრაინაში კი შეიძლება ისევ გაგვიფუჭდეს ეს ურთიერთობა, თუ ვერ შევძელით ჩვენი პოლიტიკური ხაზის განხორციელება. მისი განხორციელება კი ძნელი არ არის, და გლეხები მოხარული იქნებიან მცირე დახმარებისაც კი. საჭიროა არა მარტო ის, რომ ინსტრუქცია მივიღოთ, არამედ მისი გატარებაც უნდა შეგვეძლოს. თუ ამხ. საპრონოვს ეშინია, რომ საბჭოთა მეურნეობას წაართმევენ ძროხას, ცხენს, ურემს, გაგვიზიაროს თავისი ჩინებული გამოცდილება ამ მუხლში და გვითხრას: მოდით, მივცეთ გლეხებს იარაღები მუქთად ან იაფად; აი ეს მესმის. ყოველ შემთხვევაში ამით მე-9 მუხლი კი არ გაუქმდება, არამედ დადასტურდება. კომუნებისა და საბჭოთა მეურნეობების ურთიერთობა გარეშემო მცხოვრებ გლეხობასთან, ეს მთელი ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი ფრიად საჭირბოროტო საკითხია. ასეთი ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად საჭირბოროტო იქნება უკრაინაში, ხვალ იგი ასეთივე გახდება ციმბირშიც. ამჟამად ჩვენ იდეურად მოვიმხრეთ ციმბირელი გლეხი, როცა გავათავისუფლეთ ის კოლჩაკისაგან. მაგრამ ეს მტკიცე არ იქნება, თუ ვერ შევძელით ამ საქმის ისე დაყენება, რომ ამ გლეხს აღმოეჩინოს რეალური დახმარება, და, რა თქმა უნდა, სოფლად მომუშავე ყოველმა აგენტმა უნდა მიიღოს ასეთი ინსტრუქცია. და ანგარიშის ჩაბარების დროს ყოველ აგენტს უნდა ვკითხოთ: სად და რით დაეხმარნენ გლეხს საბჭოთა მეურნეობები? ამხ. საპრონოვის მითითებანი ამ მუხლის გამო სწორი არ იყო. ადგილობრივ მუშაკთა გამოცდილების გამოყენება — ჩვენი ძირითადი, უეჭველი ვალდებულებაა. (ტ ა შ ი.)

რკპ(ბ) ც. კ-ის
«იზვესტია» № 9, 1919 წ.
20 დეკემბერი

იბეჭდება რკპ(ბ) ც. კ-ის «იზვესტიის»
ბიულეტენის ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან

## 4

## პროექტი რეზოლუციისა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხზე [45]

რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას სურს მშვიდობიანად იცხოვროს ყველა ხალხთან და მთელი თავისი ძალები მიმართოს შინაურ მშენებლობაზე, რათა საბჭოთა წყობილების ნიადაგზე მოაგვაროს წარმოება, ტრანსპორტი და საზოგადოებრივი მართვა-გამგეობა, რასაც დღემდე ხელს უშლიდა ანტანტის ჩარევა და შიმშილის ბლოკადა.

მუშურ-გლეხურ მთავრობას არა ერთხელ შეუთავაზებია ზავი ანტანტის სახელმწიფოებისათვის, სახელდობრ: 1918 წ. 5 აგვისტოს — საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიმართვა ამერიკის წარმომადგენლის ბ-ნ პულისადმი; 1918 წ. 24 ოქტომბერს — პრეზიდენტ ვილსონისადმი; 1918 წ. 3 ნოემბერს — შეთანხმების ყველა სახელმწიფოსადმი ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთა მეშვეობით; 1918 წ. 7 ნოემბერს — საბჭოების სრულიად რუსეთის VI ყრილობის სახელით; 1918 წ. 23 დეკემბერს — ლიტვინოვის ნოტა სტოკჰოლმში ანტანტის ყველა წარმომადგენლისადმი; შემდეგ 1919 წ. 12 იანვრის, 17 იანვრის, 4 თებერვლის მიმართვები და პროექტი ხელშეკრულებისა ბულიტთან 1919 წ. 12 მარტს; 1919 წ. 7 მაისს — ნანსენის მეშვეობით.

სავსებით იწონებს რა სახალხო კომისართა საბჭოს და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ყველა ამ ნაბიჯს, საბჭოების VII ყრილობა კვლავ ადასტურებს თავის ურყევ

მისწრაფებას ზავისადმი, კიდევ ერთხელ მიმართავს ანტანტის ყველა სახელმწიფოს — ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, იტალიას, იაპონიას, ყველას ერთად და ცალ-ცალკე, დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება ზავის შესახებ და ავალებს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს სისტემატურად განაგრძონ ეს მშვიდობიანი პოლიტიკა (ანუ: სისტემატურად განაგრძონ ეს მშვიდობიანი პოლიტიკა და მიიღონ ყოველგვარი ზომები მისი წარმატებისათვის).

დაწერილია 1919 წ. 2 დეკემბერს

პირველად გამოქვეყნდა
1932 წ.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

## 5

## საბოლოო სიტყვა უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების საკითხის გამო 3 დეკემბერს

ამხანაგებო! საბოლოო სიტყვაში ცოტა მაქვს სათქმელი, თუმცა, სამწუხაროდ, პასუხის გაცემა მომიხდება უფრო არა ამხ. იაკოვლევისათვის, რომელმაც ჩემზე წინ ილაპარაკა, არამედ ამხ. ბუბნოვისა და დრობნისისათვის, რომლებმაც ჩემ შემდეგ ილაპარაკეს. მიუხედავად ამისა, მაინც მხოლოდ კერძო ხასიათის შენიშვნის გაკეთება მიხდება.

ამხ. რაკოვსკის სიტყვის გამო უნდა ვთქვა, რომ როცა მან განაცხადა — საბჭოთა მეურნეობები ჩვენი კომუნისტური მშენებლობის საფუძველი უნდა იყოსო, ეს არ არის სწორი. ასე საქმის დაყენება არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია. უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად უნდა დავუთმოთ კულტურულ მეურნეობათა მხოლოდ სულ მცირე ნაწილი, სხვანაირად წვრილ გლეხობასთან ბლოკს ვერ მივიღებთ, ეს ბლოკი კი ჩვენთვის აუცილებელია. როდესაც ზოგიერთი ამხანაგი ამბობდა, თითქოს მე ბოროტბისტებთან[46] ბლოკის მომხრე ვიყო, ეს გაუგებრობაა. მე აქ ერთმანეთს ვადარებდი იმ პოლიტიკას, რომელიც ბოროტბისტების მიმართ უნდა ვაწარმოოთ, და იმ პოლიტიკას, რომელსაც მემარჯვენე ესერების მიმართ ვაწარმოებდით. მაშინ, პირველ კვირაში ოქტომბრის შემდეგ, სხვათა შორის გლეხთა ყრილობებზე ჩვენ ბრალს გვდებდნენ იმაში, რომ ხელისუფლების აღების შემდეგ არ გვსურს გამოვიყენოთ გლეხთა ძალები. მე ვამბობდი: ჩვენ მთლიანად მივიღეთ თქვენი პროგრამა გლეხთა ძალების გამო-

საყენებლად, ჩვენ ეს გვინდა, მაგრამ ესერებთან კავშირი არ გვინდა. ამიტომ ამხ. მანუილსკი, ისევე როგორც ამხ. დრობნისი და ბუბნოვი, მეტისმეტად უცნაურ შეცდომას სჩადის, როცა აცხადებს თითქოს ბოროტბისტებთან ბლოკის მომხრე ვიყო. ჩემი აზრი სწორედ ის არის, რომ აღვნიშნო ბლოკის საჭიროება უკრაინის გლეხობასთან, და ეს ბლოკი რომ განხორციელდეს, ჩვენ ბოროტბისტებთან პოლემიკა უნდა ვაწარმოოთ არა ისე, როგორც მას აწარმოებენ. ყველამ, ვინც ნაციონალურ საკითხზე ლაპარაკობდა, — ამას ამბობდნენ ამხ. დრობნისიც და ბუბნოვიც და ბევრი სხვებიც, — მათ ც. კ-ის რეზოლუციის თავიანთი კრიტიკით დაგვანახვეს, რომ ისინი სწორედ იმ თავისთავადობას ამჟღავნებენ, რასაც ჩვენ კიეველებს ვუსაყვედურებდით. ამხ. მანუილსკი მეტისმეტად შემცდარია, როცა ფიქრობს, რომ ჩვენ თავისთავადობას ვუსაყვედურებდით ნაციონალური გაგებით, უკრაინის დამოუკიდებლობის აზრით. ჩვენ თავისთავადობას ვუსაყვედურებდით იმ აზრით, რომ მათ არ სურდათ ანგარიში გაეწიათ მოსკოვის შეხედულებებისათვის, მოსკოვში მყოფი ცენტრალური კომიტეტის შეხედულებებისათვის. ამ სიტყვას, რომელიც ხუმრობით იხმარებოდა, სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა.

ახლა საკითხი ასე დგას: გვესაჭიროება თუ არა ბლოკი უკრაინელ გლეხობასთან, გვესაჭიროება თუ არა ისეთივე პოლიტიკა, როგორიც საჭირო იყო 1917 წლის დამლევს და 1918 წლის მრავალი თვის მანძილზე? მე ვამტკიცებ, რომ საჭიროა, და ამიტომ საბჭოთა მეურნეობების მეტი ნაწილი უნდა გადავცეთ ფაქტიურად გასაყოფად. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მსხვილ მეურნეობათა წინააღმდეგ, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ წვრილბურჟუაზიულ ცრურწმენათა წინააღმდეგ, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ პარტიზანობის წინააღმდეგ. ბოროტბისტები ბევრს ლაპარაკობენ ნაციონალურ საკითხზე, მაგრამ არ ლაპარაკობენ პარტიზანობაზე. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რომ ბოროტბისტებმა გარეკონ მასწავლებელთა სპილკა *, თუნდაც უკრაინულ

* — კავშირი. რ ე დ.

ენაზე, თუნდაც ის იყოს უკრაინის სახელმწიფო ბეჭდის დასმით, მაგრამ პროლეტარული კომუნისტური პოლიტიკის იმავე პრინციპების გულისათვის, რომელთა გულისათვის გავრეკეთ ჩვენი სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირი, რადგან იგი პროლეტარული დიქტატურის პრინციპებს კი არ ატარებდა, არამედ წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა და მის პოლიტიკას ატარებდა.

პირველად დაიბეჭდა
1932 წ.

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

# სიტუაცია სამიწათმოქმედო კომუნებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელების I ყრილობაზე[47] 1919 წ. 4 დეკემბერს

ამხანაგებო, ძლიერ მოხარული ვარ მთავრობის სახელით მივესალმო თქვენს სამიწათმოქმედო კომუნებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელების პირველ ყრილობას. თქვენ, რა თქმა უნდა, ყველამ იცით საბჭოთა ხელისუფლების მთელი მოღვაწეობიდან, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევთ კომუნებს, არტელებსა და საერთოდ ყოველგვარ ორგანიზაციებს, რომლებიც მიმართული არიან იქითკენ, რომ წვრილი, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა გარდაიქმნას, თანდათანობით ხელი შეეწყოს ამ გარდაქმნას, საზოგადოებრივ, საამხანაგო ანუ საარტელო მეურნეობად. თქვენ იცით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე დიდი ხანია დააწესა მილიარდიანი ფონდი ამგვარი წამოწყებების დასახმარებლად[48]. «დებულებაში სოციალისტური მიწათმოწყობის შესახებ»[49] განსაკუთრებით ხაზგასმით არის აღნიშნული კომუნების, არტელებისა და მიწის საზოგადოებრივი დამუშავების ყველა წამოწყების მნიშვნელობა, და საბჭოთა ხელისუფლება მთელ თავის ძალ-ღონეს მიმართავს იქითკენ, რომ ეს კანონი მხოლოდ ქაღალდზე კი არ დარჩეს, არამედ მას ნამდვილად მოჰქონდეს ის სარგებლობა, რომელიც მან უნდა მოიტანოს.

ყველა ამგვარ წამოწყებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ, წინანდელი, ღარიბული, ღატაკური, გლეხური მეურნეობა ძველებურად რომ დარჩენილიყო, მაშინ ლაპარაკიც კი შეუძლებელი იქნებოდა რაიმე მკვიდრი სოციალისტური

საზოგადოების აგებაზე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევძლებთ საქმით დავანახვოთ გლეხებს მიწის საზოგადოებრივი, კოლექტიური, საამხანაგო, საარტელო დამუშავების უპირატესობანი, მხოლოდ მაშინ, თუ შევძლებთ დახმარება გავუწიოთ გლეხს საამხანაგო, საარტელო მეურნეობის შემწეობით, მხოლოდ მაშინ მუშათა კლასი, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება, ნამდვილად დაუმტკიცებს გლეხს თავის სიმართლეს, ნამდვილად მიიმხრობს მტკიცედ და როგორც საჭიროა მრავალმილიონიან გლეხურ მასას. ამიტომ საამხანაგო, საარტელო მიწათმოქმედების ხელშემწყობ ყოველგვარ წამოწყებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მილიონობით გვაქვს მივარდნილ სოფლებში დაქსაქსული, დაფანტული ცალკეული მეურნეობანი. ამ მეურნეობათა გარდაქმნა რაიმე სწრაფი წესით, რაიმე ბრძანებით, გარედან ზემოქმედებით, უაზრო იქნებოდა. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ზეგავლენის მოხდენა მილიონობით წვრილ გლეხურ მეურნეობაზე შეიძლება მხოლოდ თანდათანობით, ფრთხილად, მხოლოდ მარჯვე პრაქტიკული მაგალითით, რადგან გლეხები მეტად პრაქტიკული ხალხია, მეტად მტკიცედ არიან დაკავშირებული ძველ სამიწათმოქმედო მეურნეობასთან, რომ რაიმე სერიოზული ცვლილებები მოახდინონ მხოლოდ წიგნის რჩევა-დარიგებებისა და მითითებების საფუძველზე. ეს შეუძლებელია და ეს უაზრობაც იქნებოდა. მხოლოდ მაშინ, როცა პრაქტიკულად, გლეხებისათვის გასაგები გამოცდილებით დამტკიცებული იქნება, რომ საამხანაგო, საარტელო მიწათმოქმედებაზე გადასვლა აუცილებელია და შესაძლებელი, მხოლოდ მაშინ გვექნება უფლება ვთქვათ, რომ ისეთ უზარმაზარ გლეხურ ქვეყანაში, როგორიცაა რუსეთი, გადადგმულია სერიოზული ნაბიჯი სოციალისტური მიწათმოქმედების გზაზე. ამიტომ კომუნების, არტელებისა და ამხანაგობების ეს უდიდესი მნიშვნელობა, რაც თქვენ ყველას უდიდეს სახელმწიფო და სოციალისტურ ვალდებულებებს გაკისრებთ, ბუნებრივად აიძულებს საბჭოთა ხელის-

უფლებას და მის წარმომადგენლებს განსაკუთრებული ყურადღებით და სიფრთხილით მოეპყრან ამ საკითხს.

ჩვენს კანონში სოციალისტური მიწათმოწყობის შესახებ ნათქვამია, რომ ჩვენ საამხანაგო, საარტელო მიწათმოქმედების ყოველგვარი წამოწყების უთუო ვალდებულებად ვთვლით არ განკერძოვდეს, არ ჩამოშორდეს გარშემო მყოფ გლეხურ მოსახლეობას, არამედ აუცილებლად დახმარება გაუწიოს მას. კანონში ეს დაწერილია, ყველა კომუნის, არტელისა და ამხანაგობის ნორმალურ წესდებებში ეს განმეორებულია, ჩვენი მიწათმოქმედების კომისარიატის და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს ინსტრუქციებსა და ბრძანებულებებში ეს მუდამ ვითარდება. მაგრამ მთელი საქმე ისაა, რომ ვიპოვოთ ნამდვილი პრაქტიკული საშუალება, თუ როგორ გამოვიყენოთ ეს ცხოვრებაში. აქ მე ჯერ კიდევ არ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენ ეს მთავარი სიძნელე დავძლიეთ. და ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ თქვენმა ყრილობამ, სადაც თქვენ შესაძლებლობა გაქვთ გაუზიაროთ ერთმანეთს რუსეთის ყველა კუთხიდან შეკრებილ საზოგადოებრივი მეურნეობების პრაქტიკულ მუშაკთა გამოცდილება, ბოლო მოუღოს ყოველგვარ ეჭვს და დაამტკიცოს, რომ ჩვენ ვეუფლებით არტელების, ამხანაგობების, კომუნების და საერთოდ ყოველგვარ კოლექტიურ, საზოგადოებრივ სამიწათმოქმედო წამოწყებათა განმტკიცების პრაქტიკულ საქმეს, ვიწყებთ ამ პრაქტიკული საქმის დაუფლებას. მაგრამ ამის დასამტკიცებლად საჭიროა, მართლაც, პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი შედეგები.

როცა ვკითხულობთ სამიწათმოქმედო კომუნების წესდებებს ან ამ საკითხისადმი მიძღვნილ წიგნებს, გვგონია, რომ მეტად დიდ ადგილს ვუთმობთ მათში კომუნების ორგანიზაციის აუცილებლობის პროპაგანდას, თეორიულ დასაბუთებას. რა თქმა უნდა, ეს აუცილებელი რამაა — საამხანაგო მიწათმოქმედების უპირატესობათა საფუძვლიანი პროპაგანდისა და ახსნა-განმარტების გარეშე, ამ აზრის ათასჯერ და ათიათასჯერ განმეორების გარეშე, ჩვენ არ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ,

რომ გლეხობის ფართო მასებში აღიძრება ინტერესი და დაიწყება მისი განხორციელების ხერხთა პრაქტიკული გამოცდა. რა თქმა უნდა, პროპაგანდა საჭიროა, და განმეორებათა შიშიც ზედმეტია, იმიტომ რომ ის, რაც ჩვენ განმეორებად გვეჩვენება, მრავალი ასეული და ათასი გლეხისათვის, ვგონებ, იქნება არა განმეორება, არამედ მათ მიერ პირველად აღმოჩენილი ჭეშმარიტება. და თუ ჩვენ გვებადება აზრი, რომ მეტისმეტად დიდ ყურადღებას ვაქცევთ პროპაგანდას, საჭიროა ითქვას, რომ ჩვენ ეს აუცილებლად კიდევ ასჯერ უფრო მეტად უნდა ვაკეთოთ. მაგრამ თუ მე ამას ვამბობ, ვამბობ იმ აზრით, რომ თუ ჩვენ გლეხობას განვუმარტავთ საერთოდ სამიწათმოქმედო კომუნების მოწყობის სარგებლიანობას და ამასთანავე არ შეგვწევს უნარი საქმით ვუჩვენოთ მას ის პრაქტიკული სარგებლობა, რომელიც მისთვის მოაქვს საამხანაგო, საარტელო მეურნეობებს, ის აღარ ენდობა ჩვენს პროპაგანდას.

კანონი ამბობს, რომ კომუნები, არტელები და ამხანაგობები უნდა დაეხმარონ გარშემო მყოფ გლეხურ მოსახლეობას. მაგრამ სახელმწიფო, მუშური ხელისუფლება იმისათვის იძლევა მილიარდიან ფონდს, რომ დახმარება გაუწიოს სამიწათმოქმედო კომუნებსა და არტელებს. და, რა თქმა უნდა, თუ ესა თუ ის კომუნა დახმარებას აღმოუჩენს გლეხებს ამ ფონდიდან, ვშიშობ, რომ გლეხების მხრივ ეს მხოლოდ დაცინვას გამოიწვევს. და ეს სავსებით საფუძვლიანიც იქნება. ყოველი გლეხი იტყვის: «რასაკვირველია, თუ თქვენ გაძლევენ მილიარდიან ფონდს, თქვენთვის ხომ ძნელი არ არის ცოტა რამ აქედან ჩვენც გადმოგვიგდოთო». ვშიშობ, რომ გლეხი მხოლოდ დასცინებს ამას, რადგან ამ საკითხს ის ეპყრობა დიდი ყურადღებით და დიდი უნდობლობით. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში გლეხი შეეჩვია სახელმწიფო ხელისუფლების მხრივ მხოლოდ ჩაგვრას, ამიტომ ის უნდობლობით უყურებს ყველაფერს, რაც ხაზინიდან მოდის. და თუ სასოფლო-სამეურნეო კომუნები დახმარებას გლეხებს მხოლოდ იმისათვის გაუწევენ, რომ შეასრულონ კანონის სიტყვა, ასეთი დახმარება არათუ

უსარგებლო იქნება, არამედ მხოლოდ ზიანს მოიტანს. რადგან სასოფლო-სამეურნეო კომუნების სახელწოდება მეტად დიდია და დაკავშირებულია კომუნიზმის ცნებასთან. კარგია, თუ კომუნები პრაქტიკულად გვიჩვენებენ, რომ მათში ნამდვილად წარმოებს სერიოზული მუშაობა გლეხური მეურნეობის გასაუმჯობესებლად, — მაშინ, უეჭველია, აიწევს ავტორიტეტი კომუნისტებისაც და კომუნისტური პარტიისაც. მაგრამ ძალიან ხშირად ისე ხდებოდა, რომ კომუნები გლეხობაში იწვევდნენ მხოლოდ უარყოფით დამოკიდებულებას კომუნისადმი, და სიტყვა «კომუნა» ზოგჯერ კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგადაც კი იქცეოდა. და ასე ხდებოდა არა მარტო მაშინ, როცა სისულელეს სჩადიოდნენ და ძალით შეყავდათ გლეხები კომუნებში. ამის უაზრობა ისე მკვეთრად ეცემოდა ყველას თვალში, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი ხანია გაილაშქრა ამის წინააღმდეგ. და მე იმედი მაქვს, რომ თუ ახლაც გვხვდება ამ ძალმომრეობის ცალკეული მაგალითები, ისინი ცოტაა, და თქვენ ამ ყრილობით ისარგებლებთ იმისათვის, რომ ამ უმსგავსოების უკანასკნელი კვალიც კი აღგავოთ საბჭოთა რესპუბლიკაში, და რომ გარშემო მცხოვრებ გლეხურ მოსახლეობას არ შეეძლოს არც ერთი მაგალითის დამოწმება იმ ძველი აზრის დასაცავად, თითქოს კომუნაში შესვლა რაიმე ძალმომრეობასთან იყოს დაკავშირებული.

მაგრამ ეს ძველი ნაკლი კიდევაც რომ მოვიშოროთ თავიდან და სავსებით აღვგავოთ ეს უმსგავსოება, ეს მაინც უმცირესი წილი იქნება იმისა, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ. ვინაიდან კომუნებისათვის სახელმწიფოს დახმარების აუცილებლობა დარჩა, და ჩვენ არ ვიქნებოდით კომუნისტები და სოციალისტური მეურნეობის შემოღების მომხრენი, რომ არ ვახორციელებდეთ სახელმწიფო დახმარებას ყოველგვარი კოლექტიური სამიწათმოქმედო წამოწყების მიმართ. ჩვენ იძულებული ვართ ეს გავაკეთოთ იმიტომაც, რომ ეს შეესაბამება ყველა ჩვენს ამოცანას, და იმიტომაც, რომ ჩვენ მშვენივრად ვიცით — ეს ამხანაგობები, არტელები და კოლექტიური ორგანიზაციები ახალი საქმეა, და თუ მას მხარი არ დაუჭირა ხელისუფლების

სათავეში მყოფმა მუშათა კლასმა, ის ფეხს ვერ მოიკიდებს. ხოლო იმისათვის, რომ მან ფეხი მოიკიდოს, ჩვენ სწორედ იმის გამო, რომ სახელმწიფო უწევს მას ფულად და სხვა ყოველ-გვარ დახმარებას, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გლეხები ამას დაცინვით არ ხვდებოდნენ. ჩვენ მუდამ უნდა ვერიდებოდეთ იმას, რომ გლეხმა არ თქვას კომუნარზე და არტელების და ამხანაგობების წევრებზე, რომ ისინი ხაზინის მუქთამჭამლები არიან და გლეხებისაგან მხოლოდ იმით განირჩევიან, რომ მათ შეღავათს აძლევენო. თუ მისცემ მიწას და დახმარებას მშენებ-ლობისათვის მილიარდიანი ფონდიდან, ყოველი ბრიყვი იცხოვრებს ცოტა უკეთესად, ვიდრე უბრალო გლეხი. რა არის აქ კომუნისტური და რა გაუმჯობესებაა აქ, — იტყვის გლეხი, — რისთვის უნდა მოვეპყრათ მათ პატივისცემით? რა თქმა უნდა, თუ აირჩევთ რამდენიმე ათეულ ან ასეულ კაცს და მისცემთ მათ მილიარდებს, ისინი იმუშავებენო.

აი სწორედ ასეთი დამოკიდებულება გლეხების მხრივ ყვე-ლაზე მეტ შიშს იწვევს, და მე მინდოდა ამ ყრილობაზე ჩამოსული ამხანაგების ყურადღება მიმექცია ამ საკითხზე. საჭიროა მისი პრაქტიკულად ისე გადაჭრა, რომ შეგვეძლოს ვთქვათ, რომ ჩვენ არათუ თავიდან ავიცილეთ ეს საფრთხე, არა-მედ აგრეთვე საშუალებაც ვიპოვეთ ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ გლეხს არ შეეძლოს ასე ფიქრი, არამედ, პირიქით, რომ მან ყოველ კომუნაში, ყოველ არტელში დაინახოს რაღაც ისეთი რამ, რასაც სახელმწიფო ხელისუფლება ეხმარება, და იპო-ვოს მასში მიწათმოქმედების ახალი წესები, რომლებიც არა წიგ-ნებში და არა სიტყვებში (ეს ძალზე იაფია), არამედ პრაქტიკულ ცხოვრებაში გვიჩვენებენ თავიანთ უპირატესობას ძველის წინა-შე. აი რაშია ამოცანის გადაჭრის სიძნელე, და აი რატომ არის ჩვენთვის ძნელი, როცა თვალწინ გვაქვს მხოლოდ მშრალი ციფ-რები, მსჯელობა იმაზე, დავამტკიცეთ თუ არა საქმით, რომ ყოველი კომუნა, ყოველი არტელი ნამდვილად უფრო მაღლა დგას ძველი წესწყობილების ყველა წამოწყებაზე, რომ მუშური ხელისუფლება აქ გლეხს ეხმარება.

მე ვფიქრობ, რომ პრაქტიკულად ამ საკითხის გადასაწყვეტად ძალიან სასურველი იქნებოდა, რომ თქვენ, რომლებიც პრაქტიკულად იცნობთ მთელ რიგ გარშემო არსებულ კომუნებს, არტელებს და ამხანაგობებს, შეიმუშავებდეთ იმის ნამდვილად ფაქტიური კონტროლის ხერხებს, თუ როგორ ხორციელდება კანონი, რომელიც მოითხოვს დახმარება გაეწიოს გარშემო მყოფ მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო კომუნების მხრივ; როგორ ხორციელდება სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლა და რაში გამოიხატება ის კონკრეტულად ყოველ კომუნაში, არტელში, ამხანაგობაში; სახელდობრ როგორ ტარდება ეს, რამდენი ამხანაგობა, კომუნა ატარებს მას საქმით, ხოლო რამდენი მხოლოდ აპირებს მის გატარებას; რამდენჯერ გაუწიეს დახმარება კომუნებმა და როგორ ხასიათს ატარებდა ეს დახმარება — ფილანთროპიულს თუ სოციალისტურს.

თუ კომუნები და არტელები იმ დახმარებიდან, რომელიც მათ აღმოუჩინა სახელმწიფომ, ნაწილს აძლევენ გლეხებს, მაშინ ეს მხოლოდ საბაბს მისცემს ყოველ გლეხს იფიქროს, რომ აქ მხოლოდ კეთილი ადამიანები ეხმარებიან მას, მაგრამ სრულიად არ ამტკიცებს გადასვლას სოციალისტურ წესწყობილებაზე. გლეხები კი უხსოვარი დროიდან მიჩვეული არიან უნდობლობით უყურონ ასეთ «კეთილ ადამიანებს». საჭიროა შევძლოთ იმის შემოწმება, თუ რაში გამოიხატა ნამდვილად ეს ახალი საზოგადოებრივი წესწყობილება, რა გზით უმტკიცდება გლეხებს, რომ მიწის საამხანაგო, საარტელო დამუშავება უკეთესია ერთპიროვნულ გლეხურ დამუშავებაზე და უკეთესია **არ** ა **სახაზინო** დახმარების წყალობით; საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ შევძლოთ დავუმტკიცოთ გლეხებს სახაზინო დახმარების **გარეშეც** ამ ახალი წესწყობილების პრაქტიკული განხორციელება.

სამწუხაროდ, მე არ მომიხდება ბოლომდე დავესწრო თქვენს ყრილობას და ამიტომ ვერ შევძლებ მონაწილეობა მივიღო შემოწმების ამ წესების შემუშავებაში. მაგრამ დარწმუნებული

ვარ, რომ იმ ამხანაგებთან ერთად, რომლებიც ხელ-მძღვანელობენ ჩვენს მიწათმოქმედების კომისარიატს, თქვენ ასეთ წესებს გამონახავთ. მე სიამოვნებით წავიკითხე მიწათ-მოქმედების სახალხო კომისრის ამხ. სერედას სტატია, რომელშიც ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნები და ამხანა-გობები კი არ უნდა მოწყდნენ გარშემო მცხოვრებ გლეხურ მოსახლეობას, არამედ უნდა ეცადონ გააუმჯობესონ მისი მეურნეობა. კომუნა ისე უნდა დავაყენოთ, რომ ის გახდეს სა-ნიმუშო და რომ მეზობელი გლეხები თვითონ მიილტვოდნენ მის-კენ; უნდა შევძლოთ პრაქტიკულად ვუჩვენოთ მათ მაგალითი, თუ როგორ უნდა დავეხმაროთ იმ ადამიანებს, რომლებიც მე-ურნეობას ეწევიან უსაქონლობისა და საყოველთაო ნგრევის ასეთ მძიმე პირობებში. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ამის განხორციელების პრაქტიკული წესები, საჭიროა შევიმუშაოთ ძლიერ ვრცელი ინსტრუქცია, რომელშიც ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა სახის დახმარება გარშემო მცხოვრები გლეხური მოსახლეობისათვის და რომელიც უნდა ეკითხებოდეს ყოველ კომუნას, რა გააკეთა მან გლეხების დასახმარებლად, მიუთი-თებდეს იმ წესებს, თუ როგორ მივაღწიოთ იმას, რომ არსე-ბული ორი ათასი კომუნიდან და დაახლოებით ოთხი ათასი არტელიდან ყოველი მათგანი იყოს უჯრედი, რომელიც შეძ-ლებს საქმით განამტკიცოს გლეხებში იმის რწმენა, რომ კოლექტიური მიწათმოქმედება, როგორც სოციალიზმზე გადა-სვლა, სასარგებლო საქმეა და არა ჟინი, არა უბრალო ბოდვა.

მე უკვე ვთქვი, რომ კანონი მოითხოვს კომუნებისაგან დახ-მარება გაუწიონ გარშემო მცხოვრებ გლეხურ მოსახლეობას. აზრის როგორმე სხვაგვარად გამოთქმა კანონში, მასში რაიმე პრაქტიკული მითითებების მოცემა ჩვენ არ შეგვეძლო. ჩვენ უნდა დაგვედგინა ზოგადი დებულებანი და გვევარაუდა, რომ შეგნებული ამხანაგები ადგილებზე კეთილსინდისიერად გამო-იყენებენ ამ კანონს და შეძლებენ ათასი საშუალების გამონახ-ვას, თუ როგორ გამოიყენონ ის პრაქტიკულად ყოველი ად-გილის კონკრეტულ სამეურნეო პირობებში. მაგრამ, რასაკვირ-ველია, ყოველი კანონის გვერდის ავლა შეიძლება, თვით მისი

შესრულების მოჩვენებითაც. და კანონი გლეხების დახმარების შესახებ, მისი არაკეთილსინდისიერად გამოყენებისას, შეიძლება ნამდვილ სათამაშოდ გადაიქცეს და მან სრულიად საწინააღმდეგო შედეგებს მიაღწიოს.

კომუნები უნდა განვითარდნენ იმ მიმართულებით, რომ მათთან ურთიერთობით შეიცვალოს გლეხური მეურნეობის პირობები, გაეწევა რა მას სამეურნეო დახმარება, და რომ ყოველ კომუნას, არტელს ან ამხანაგობას შეეძლოს საფუძველი ჩაუყაროს ამ პირობების გაუმჯობესებას და პრაქტიკულად განახორციელოს იგი გლეხებისათვის იმის საქმით დამტკიცებით, რომ ამ ცვლილებას მათთვის მხოლოდ სარგებლობა მოაქვს.

ბუნებრივია, თქვენ შეგიძლიათ იფიქროთ, რომ გვეტყვიან: მეურნეობა რომ გააუმჯობესო, უნდა გქონდეს პირობები, რომლებიც განსხვავდებიან ახლანდელი ნგრევის პირობებისაგან, რაც გამოწვეულია ოთხი წლის იმპერიალისტური და ორი წლის სამოქალაქო ომით, რომელიც ჩვენ იმპერიალისტებმა მოგვახვიეს თავზე. ისეთ პირობებში, როგორიც ჩვენ გვაქვს, ფიქრიც კი ზედმეტია სამიწათმოქმედო მეურნეობების გაუმჯობესების ფართოდ გავრცელებაზე — ღმერთმა ქნას როგორმე გავძლოთ და შიმშილით არ ამოვწყდეთო.

სავსებით ბუნებრივია, რომ ამგვარი ეჭვები შეიძლება გამოითქვას. მაგრამ მე რომ მომიხდეს პასუხის გაცემა მსგავს მოსაზრებებზე, შემდეგს ვიტყოდი. ვთქვათ, რომ, მართლაც, მოშლილი მეურნეობის გამო, ნგრევის, უსაქონლობის, ტრანსპორტის სისუსტის, პირუტყვისა და იარაღების განადგურების გამო, მეურნეობის ფართოდ გაუმჯობესება შეუძლებელია. მაგრამ უეჭველია, რომ მთელ რიგ ცალკეულ შემთხვევებში მეურნეობის რამდენადმე გაუმჯობესება შესაძლებელია. მაგრამ ვთქვათ, რომ ესეც არა გვაქვს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ კომუნებს არ შეუძლიათ ცვლილებები შეიტანონ გარშემო მცხოვრებ გლეხთა ცხოვრებაში და არ შეუძლიათ დაუმტკიცონ გლეხებს, რომ კოლექტიური სამიწათმოქმედო წამოწყებები ხელოვნურად, სათბურში ნაზარდი მცენარე კი არ არის, არამედ მუშური ხელისუფლების ახალი დახმარებაა

მშრომელი გლეხობისათვის, ხელისშეწყობაა მისთვის მის ბრძოლაში კულაკობის წინააღმდეგ? მე დარწმუნებული ვარ, თუნდაც ასედაც რომ დავაყენოთ საკითხი, თუ დავუშვებთ გაუმჯობესებათა განხორციელების შეუძლებლობას ახლანდელი ნგრევის პირობებში, მაშინაც, თუ კომუნებსა და არტელებში კეთილსინდისიერი კომუნისტები გვეყოლებიან, შეიძლება ძალიან, ძალიან ბევრ რამეს მივაღწიოთ.

ლიტონი სიტყვა რომ არ დამირჩეს, დავიმოწმებ იმას, რასაც ჩვენს ქალაქებში შაბათობები უწოდეს. ასე უწოდეს ქალაქის მუშების უფასო მუშაობას იმაზე ზევით, რაც მოეთხოვება თვითეულ მუშას,—მუშაობას, რომელიც ხმარდება რამდენიმე საათის განმავლობაში რაიმე საზოგადოებრივ მოთხოვნილებას. შაბათობა პირველად შემოიღეს მოსკოვში მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მუშებმა. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ მოწოდებაზე, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ფრონტზე წითელარმიელები გაუგონარ მსხვერპლს იღებენ და, მიუხედავად ყოველგვარი გაჭირვებისა, რის გადატანაც მათ უხდებათ, გაუგონრად იმარჯვებენ მტრებზე, და რომელიც ამასთანავე ამბობს, რომ ამ გამარჯვებების ბოლომდე მიყვანას ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ ამ გმირობას, ამ თავგანწირვას ადგილი ექნება არა მარტო ფრონტებზე, არამედ ზურგშიც,—მოსკოვის მუშებმა შაბათობების მოწყობით უპასუხეს. უეჭველია, რომ მოსკოვის მუშებს უხდებათ გაცილებით მეტი უბედურების და გაჭირვების გადატანა, ვიდრე გლეხებს, და თუ თქვენ გაეცნობით მათი ცხოვრების პირობებს და ჩაუფიქრდებით იმას, რომ მათ შეძლეს შაბათობათა განხორციელების დაწყება ამ გაუგონარ მძიმე პირობებში, დამეთანხმებით, რომ არავითარი მძიმე პირობების გამო არ შეიძლება იმაზე უარის თქმა, რის გაკეთებაც შეიძლება ყოველგვარ პირობებში, თუ გამოვიყენებთ იმავე წესს, რაც მოსკოვის მუშებმა გამოიყენეს. არაფერს ისე არ შეუწყვია ხელი კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის აწევისათვის ქალაქში, პატივისცემის ისე გაძლიერებისათვის უპარტიო მუშების მხრივ კომუნისტებისადმი, როგორც ამას ხელი შეუწყო შაბათობებმა, როცა ისინი

უკვე აღარ წარმოადგენენ ერთეულ მოვლენას და როცა უპარტიო მუშებმა საქმით დაინახეს, რომ მმართველი კომუნისტური პარტიის წევრებმა იკისრეს ვალდებულებანი, და კომუნისტები პარტიაში ახალ წევრებს იმისათვის კი არ იღებენ, რომ მათ მმართველი პარტიის მდგომარეობასთან დაკავშირებული სიკეთეებით ისარგებლონ, არამედ იმისათვის, რომ ისინი გვიჩვენებდნენ ნამდვილი კომუნისტური შრომის მაგალითს, ე. ი. ისეთი შრომისა, რომელიც უფასოდ წარმოებს. კომუნიზმი სოციალიზმის განვითარების უმაღლესი საფეხურია, როცა ადამიანები მუშაობენ საერთო სარგებლობისათვის მუშაობის აუცილებლობის შეგნების გამო. ჩვენ ვიცით, რომ ამჟამად სოციალისტური წესწყობილების შემოღება არ შეგვიძლია, — ღმერთმა ქნას, რომ ჩვენში მის დამყარებას მოესწრონ ჩვენი შვილები, ან შეიძლება შვილიშვილები. მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ მმართველი კომუნისტური პარტიის წევრები კისრულობენ ყველაზე მეტ სიძნელეებს კაპიტალიზმთან ბრძოლაში, მობილიზაციას უკეთებენ საუკეთესო კომუნისტებს ფრონტზე გასაგზავნად, ხოლო იმათგან, რომელთა გამოყენება შეუძლებელია საამისოდ, მოითხოვენ შაბათობების შესრულებას.

თუ გამოიყენებთ ამ შაბათობებს, რაც გავრცელდა ყოველ მსხვილ სამრეწველო ქალაქში და რაშიც მონაწილეობის მიღებას პარტია მოითხოვს ამჟამად ყოველი თავისი წევრისაგან, სჯის რა შეუსრულებლობისათვის თვით პარტიიდან გარიცხვით, თუ ამ საშუალებას გამოიყენებთ კომუნებში, არტელებსა და ამხანაგობებში, თქვენ შესძლებთ და კიდევაც უნდა მიაღწიოთ თვით უცუდეს პირობებშიც კი იმას, რომ გლეხი ყოველ კომუნაში, არტელში, ამხანაგობაში ხედავდეს კავშირს, რომელიც განირჩევა არა იმით, რომ ის ღებულობს სახაზინო დახმარებას, არამედ იმით, რომ მასში თავმოყრილია მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც არა მარტო სხვებისათვის ქადაგებენ სოციალიზმს, არამედ თვითონაც ეხერხებათ მისი განხორციელება, ეხერხებათ იმის ჩვენება, რომ თვით უცუდეს პირობებშიც კი ისინი ახერხებენ მეურნეობის

კომუნისტურად წარმართვას და დახმარების გაწევას, რითაც შეუძლიათ, გარშემო მყოფი გლეხური მოსახლეობისათვის. ამ პუნქტში არ შეიძლება არავითარი მომიზეზება, აქ არ შეიძლება უსაქონლობის, თესლის უქონლობის ან პირუტყვის დაცემის დამოწმება. აქ ჩვენ ვღებულობთ შემოწმებას, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, საშუალებას მოგვცემს გარკვევით ვთქვათ, რამდენად დავეუფლეთ ჩვენ პრაქტიკულად იმ ძნელ ამოცანას, რომელიც დავისახეთ.

დარწმუნებული ვარ, რომ კომუნების, ამხანაგობებისა და არტელების წარმომადგენელთა საერთო კრება იმსჯელებს ამაზე და შეიგნებს, რომ ასეთი წესის გამოყენება მართლაც უდიდესი საშუალება გახდება კომუნებისა და ამხანაგობების განმტკიცების საქმეში და მიიღწევს იმ პრაქტიკულ შედეგებს, რომ არსად რუსეთში არ იყოს კომუნების, არტელებისა და ამხანაგობების მიმართ მტრული დამოკიდებულების არც ერთი შემთხვევა გლეხების მხრივ. მაგრამ ეს ცოტაა; საჭიროა, რომ გლეხობა მათ თანაგრძნობით ეკიდებოდეს. და ჩვენ, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები, ჩვენი მხრივ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ამას დავეხმაროთ, და რომ ჩვენი სახელმწიფო დახმარება მილიარდიანი ფონდიდან თუ სხვა წყაროებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდეს, როცა ნამდვილად პრაქტიკულად განხორციელდება შრომითი კომუნებისა და არტელების დაახლოება გარშემო მცხოვრები გლეხების ცხოვრებასთან. ამ პირობების გარეშე ყოველგვარი დახმარება არტელებისა ან ამხანაგობებისათვის ჩვენ მიგვაჩნია არა მარტო უსარგებლოდ, არამედ უეჭველად საზიანოდაც. კომუნების დახმარება გარშემო მცხოვრები გლეხებისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ დახმარებად, რომელსაც მიმართავენ მხოლოდ სიჭარბის გამო, მაგრამ საჭიროა, რომ ეს იყოს სოციალისტური დახმარება, ე. ი. ისეთი დახმარება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს გლეხებს განცალკევებული, ერთპიროვნული მეურნეობიდან გადავიდნენ საამხანაგო მეურნეობაზე. ეს კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ შაბათობათა იმ წესით, რომლის შესახებაც აქ ვილაპარაკე.

თუ თქვენ გაითვალისწინებთ ამ გამოცდილებას ქალაქის მუშებისას, რომლებმაც გააჩაღეს მოძრაობა შაბათობათა სასარგებლოდ განუზომლად უფრო უარესი ცხოვრების პირობებში, ვიდრე გლეხები იმყოფებიან, მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი საერთო, ერთსულოვანი დახმარებით ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ყოველი ამჟამად არსებული რამდენიმე ათასი კომუნა და არტელი გახდება კომუნისტურ იდეათა და წარმოდგენათა ნამდვილი კერა გლეხებს შორის, პრაქტიკული მაგალითი, რომელიც უჩვენებს მათ, რომ თუმცა იგი სუსტი, ჯერ კიდევ ნორჩი ყლორტია, მაგრამ მაინც არა ხელოვნური, არა სათბურში გაზრდილი, არამედ ახალი სოციალისტური წყობილების ნამდვილი ყლორტი. მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ ჩვენ მტკიცე გამარჯვებას ძველ სიბნელესა, გაჩანაგებასა და გაჭირვებაზე, მხოლოდ მაშინ აღარ იქნება ჩვენთვის საშიში არავითარი სიძნელენი ჩვენს შემდგომ გზაზე.

«პრავდა» № № 273 და 274;
1919 წ. 5 და 6 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

---

# საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობა[50]

**1919 წ. 5—9 დეკემბერი**

დაიბეჭდა 1919 წ. 7, 9 და 10 დეკემბერს გაზეთ «პრავდაში» №№ 275, 276 და 277

იბეჭდება წიგნის — «მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მე-7 ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი, 1920 — ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან

## 1

## სრ. რუს. ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს მოხსენება 5 დეკემბერს

(ტაში, ყრილობის დელეგატები ფეხზე დგებიან და მიესალმებიან ლენინს.) ამხანაგებო! მე უნდა გაგიკეთოთ პოლიტიკური მოხსენება, რომელშიც პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეერთებულია სრ. რუს. ცაკ-ის მოხსენება და სახკომსაბჭოს მოხსენება. იმედი მაქვს, რომ თქვენ არ მოელით ჩემგან იმ კანონებისა და ადმინისტრაციული ღონისძიებების ჩამოთვლას, რომლებიც ჩვენ საანგარიშო წელს გავატარეთ. ეჭვი არ არის, რომ ამას თქვენ გაეცანით გაზეთებში. გარდა ამისა, თითქმის ყველა ჩვენმა კომისარიატმა გამოსცა პატარა ბროშურები, რომლებიც ურიგდება ყრილობის ყველა დელეგატს და აღნიშნავენ იმ მთავარს, რაც გაუკეთებია თვითეულ კომისარიატს საანგარიშო პერიოდში. მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ზოგიერთ შემაჯამებელ შედეგზე, რაც ჩემი შეხედულებით შეიძლება გამოყვანილ იქნეს ჩვენ მიერ განცდილიდან და შეიძლება გამოდგეს სასარგებლო მითითებად და მასალად იმ მუშაობისათვის, რომლითაც ყველა ამხანაგი-დელეგატი დაკავებული იქნება ამიერიდან ადგილებზე.

უწინარეს ყოვლისა, როცა ლაპარაკობ ჩვენი მუშაობის პოლიტიკურ შედეგებზე და მისგან გამომდინარე პოლიტიკურ გაკვეთილებზე, თავისთავად პირველ ადგილზე ისმება საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა. ჩვენ მუდამ

ვლაპარაკობდით როგორც ოქტომბრის წინ, ისე ოქტომბრის რევოლუციის დროს, რომ ჩვენს თავს ვუყურებთ და შეგვიძლია ვუყუროთ მხოლოდ როგორც პროლეტარიატის საერთაშორისო არმიის ერთ-ერთ რაზმს, ამასთან ისეთ რაზმს, რომელმაც წინ წამოიწია სრულიადაც არა თავისი განვითარების და თავისი მომზადების გამო, არამედ რუსეთის განსაკუთრებული პირობების გამო, და რომ ამიტომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება შეიძლება საბოლოოდ ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როცა პროლეტარიატი გაიმარჯვებს, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე მოწინავე ქვეყანაში მაინც. და აი ამ მხრივ ჩვენ მოგვიხდა ყველაზე მეტი სიძნელეების გადატანა.

ჩვენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ვარაუდი საერთაშორისო რევოლუციისა დადასტურდა ყოველმხრივ, თუ საქმეს შევხედავთ საერთოდ და მთლიანად. მაგრამ განვითარების სისწრაფის თვალსაზრისით ჩვენ განვიცადეთ განსაკუთრებით მძიმე დრო, ჩვენ საკუთარ თავზე განვიცადეთ, რომ რევოლუციის განვითარება უფრო მოწინავე ქვეყნებში გაცილებით უფრო ნელი, გაცილებით უფრო ძნელი და გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა. ეს ჩვენ ვერ გაგვაკვირვებს, იმიტომ რომ — ბუნებრივია — ისეთი ქვეყნისათვის, როგორიცაა რუსეთი, გაცილებით უფრო ადვილი იყო სოციალისტური რევოლუციის დაწყება, ვიდრე მოწინავე ქვეყნებისათვის. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთ ევროპაში სოციალისტური რევოლუციის ამ უფრო ნელმა, უფრო რთულმა, უფრო ზიგზაგისებრმა განვითარებამ წარმოუდგენელი სიძნელეები დაგვაკისრა. და უწინარეს ყოვლისა ეკითხები თავს: როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ისეთი სასწაული, რომ ჩამორჩენილ, ომისაგან გაჩანაგებულ და დაქანცულ ქვეყანაში ორ წელიწადს გაძლო საბჭოთა ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ შეუპოვრად გვებრძოდა გერმანიის იმპერიალიზმი, რომელიც მაშინ ყოვლადძლიერად ითვლებოდა, ხოლო შემდეგ ანტანტის იმპერიალიზმი, რომელმაც ერთი წლის წინათ დაამარცხა გერმანია, ანტანტისა, რომელსაც არ ჰყავდა მეტოქეები და რომელიც ბატონობდა დედამიწის ყველა ქვეყანაზე, სრულიად

გამოუკლებლივ? ძალთა უბრალო გათვალისწინების თვალსაზრისით, ძალთა სამხედრო აწონ-დაწონის თვალსაზრისით, ეს მართლაც სასწაულია, იმიტომ რომ ანტანტა იყო და რჩება განუზომლად უფრო ძლიერი, ვიდრე ჩვენა ვართ. და მიუხედავად ამისა, საანგარიშო წელი ყველაზე მეტად ღირსშესანიშნავია სწორედ იმით, რომ ჩვენ მოვიპოვეთ უდიდესი გამარჯვება, — იმდენად დიდი გამარჯვება, რომ, მგონი, გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ მთავარი სიძნელეები უკვე განვლილია. თუმცა ჯერ კიდევ მეტად დიდი საშიშროებანი და სიძნელენი მოგველის, მაგრამ მთავარი მაინც, როგორც ჩანს, განვლილია. საჭიროა გავარკვიოთ ამის მიზეზები და, რაც მთავარია, სწორად განვსაზღვროთ ჩვენი პოლიტიკა მომავალში, რადგან მომავალი თითქმის უეჭველად კიდევ არა ერთხელ მოგვიტანს ანტანტის ცდას — გაიმეოროს თავისი ჩარევა, და, შესაძლოა, კვლავ გაჩნდეს წინანდელი ყაჩაღური კავშირი საერთაშორისო და რუსეთის კაპიტალისტებისა — მემამულეებისა და კაპიტალისტების ძალაუფლების აღსადგენად, საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად რუსეთში, ერთი სიტყვით, შესაძლოა კვლავ გაჩნდეს კავშირი, რომელსაც ექნება იგივე მიზანი—ჩააქროს მსოფლიო სოციალისტური ხანძრის ის კერა, რადაც გახდა რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა.

როცა ამ თვალსაზრისით ვიხილავთ ანტანტის ჩარევის ისტორიას და ჩვენ მიერ მიღებულ პოლიტიკურ გაკვეთილს, მე ვიტყვი, რომ ეს ისტორია იყოფა სამ მთავარ ეტაპად, რომელთაგან თვითეული ერთიმეორეზე გვაძლევს დიდ და მტკიცე გამარჯვებას.

პირველი ეტაპი, ბუნებრივად უფრო ხელმისაწვდომი და უფრო ადვილი ანტანტისათვის, იყო მისი ცდა — გასწორებოდა საბჭოთა რუსეთს თავისი საკუთარი ჯარებით. რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც ანტანტამ დაამარცხა გერმანია, მას ჰყავდა მილიონიანი არმიები, რომლებიც ჯერ კიდევ პირდაპირ არ მოითხოვდნენ ზავს და რომლებიც უცბად არ მოსულან გონს გერმანიის იმპერიალიზმის იმ საფრთხობელასაგან,

რომლითაც მათ აშინებდნენ დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ასეთ დროს სამხედრო თვალსაზრისით, საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით ანტანტისათვის არაფერს არ წარმოადგენდა თავისი არმიების ერთი მეათედი ნაწილი გადმოესროლა რუსეთში. დაიხსომეთ, რომ მის ხელში იყო სრული ბატონობა ზღვაზე, სრული ბატონობა ფლოტზე. ჯარების გადასხმა და მომარაგება მუდამ სავსებით მის ხელში იყო. იმ დროს რომ ანტანტას, რომელსაც ჩვენ ისე ვძულვართ, როგორც შეუძლია სძულდეს ბურჟუაზიას სოციალისტური რევოლუცია, — მას რომ შესძლებოდა თავისი არმიების თუნდაც მეათედი ნაწილის რამდენადმე წარმატებით გადმოსროლა ჩვენ წინააღმდეგ, — ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა რუსეთის ბედი გადაჭრილი იქნებოდა და მას უნგრეთის ბედი ეწეოდა.

რატომ ვერ შეძლო ეს ანტანტამ? მან ჯარები გადმოსხა მურმანსკში. ციმბირზე გალაშქრება მოეწყო ანტანტის ჯარების დახმარებით, და იაპონიის ჯარებს დღემდე უჭირავთ აღმოსავლეთ ციმბირის შორეული ნაკვეთი, ხოლო მთელ დასავლეთ ციმბირში იყვნენ, თუმცა რიცხვით მცირედი, მაგრამ იყვნენ ანტანტის ყველა სახელმწიფოს ჯარების რაზმები. შემდეგ საფრანგეთის ჯარები გადმოსხეს სამხრეთ რუსეთში. ეს არის პირველი ეტაპი საერთაშორისო ჩარევისა ჩვენს საქმეებში, პირველი ცდა, ასე ვთქვათ, საბჭოთა ხელისუფლების ჩახრჩობისა იმ ჯარებით, რომლებიც ანტანტამ მოიყვანა თავის ქვეყნებიდან, ე. ი. უფრო მოწინავე ქვეყნების მუშების და გლეხების მეოხებით, ამასთან ისინი მომარაგებული იყვნენ საუცხოოდ, და საერთოდ კამპანიის ტექნიკური და მატერიალური პირობების მხრივ არაფერი იყო ისეთი, რის დაკმაყოფილებაც ანტანტას არ შესძლებოდა. მას არავითარი დაბრკოლებები არ ეღობებოდა წინ. მაშ რით აიხსნება, რომ ეს ცდა ჩაიშალა? იგი დამთავრდა იმით, რომ ანტანტა იძულებული გახდა ჯარები გაეყვანა რუსეთიდან, იმიტომ რომ ანტანტის ჯარები უნარმოკლებული აღმოჩნდნენ ეწარმოებინათ ბრძოლა რევოლუცი-

ური საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ეს, ამხანაგებო, მუდამ შეადგენდა ჩვენთვის მთავარ და ძირითად არგუმენტს. რევოლუციის დაწყებიდანვე ჩვენ ვამბობდით, რომ წარმოვადგენთ ინტერნაციონალური პროლეტარიატის პარტიას, და თუმცა დიდია რევოლუციის სიძნელეები, მოვა დრო, — და სწორედ გადამწყვეტ მომენტში თავს იჩენს თანაგრძნობა და სოლიდარობა მუშებისა, რომლებიც დაჩაგრული არიან საერთაშორისო იმპერიალიზმის მიერ. ამისათვის ჩვენ გვაბრალებდნენ უტოპიზმს. მაგრამ გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ თუ ყოველთვის და პროლეტარიატის ყველა გამოსვლაზე არ უნდა ვამყარებდეთ იმედს, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ისტორიის ამ ორი წლის მანძილზე ჩვენ ათასჯერ მართალი აღმოვჩნდით. ინგლისელებისა და ფრანგების ცდა — თავიანთი ჯარებით ჩაეხრჩოთ საბჭოთა რუსეთი, ცდა, რომელიც პირდებოდა მათ დანამდვილებით უაღრესად ადვილ გამარჯვებას უმოკლეს დროში, — ეს ცდა კრახით დამთავრდა: ინგლისის ჯარები წავიდნენ არხანგელსკიდან, საფრანგეთის ჯარები კი, რომლებიც გადმოსხეს სამხრეთში, ყველა სამშობლოში დააბრუნეს. და ჩვენ ვიცით ახლა, — მიუხედავად ბლოკადისა, იმ რკალისა, რომელიც გარს გვარტყია, ჩვენამდე მაინც აღწევს ცნობები დასავლეთ ევროპიდან, ჩვენ ვღებულობთ, თუმცა კანტიკუნტად, ინგლისურ და ფრანგულ გაზეთებს, რომელთა შემწეობით ვგებულობთ, რომ ინგლისელი ჯარისკაცების წერილები არხანგელსკის ოლქიდან მაინც აღწევდა ინგლისში და იქ ბეჭდებოდა. ჩვენ ვიცით, რომ ფრანგი ქალის, ამხ. ჟანა ლაბურბის სახელი, რომელიც გაემგზავრა ოდესაში ფრანგ მუშებსა და ჯარისკაცებს შორის კომუნისტური სულისკვეთებით სამუშაოდ და დახვრეტილ იქნა იქ, — ეს სახელი ცნობილი გახდა მთელი საფრანგეთის პროლეტარიატისათვის და ბრძოლის ლოზუნგი გახდა, გახდა იმ სახელად, რომლის გარშემო ყველა ფრანგი მუშა, განურჩევლად სინდიკალიზმის ფრაქციული მიმდინარეობებისა, რაც ესოდენ ძნელად დასაძლევი გვეჩვენებოდა, — ყველანი გაერთიანდნენ საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ გამოსასვლელად. ის, რასაც წერდა ერთხელ ამხ.

რადეკი, — რომელიც, საბედნიეროდ, როგორც დღეს გვაუწყებენ, გაათავისუფლა გერმანიამ და რომელსაც, შესაძლოა, მალე ვიხილავთ, — რომ რევოლუციური ცეცხლის ალში გახვეული რუსეთის ნიადაგი მიუწვდომელი აღმოჩნდება ანტანტის ჯარებისათვისო, ის, რაც პუბლიცისტის უბრალო გატაცებად გვეჩვენებოდა, ფაქტი აღმოჩნდა, რომელიც ზუსტად განხორციელდა საქმით. მართლაც, ჩვენს ნიადაგზე, მიუხედავად მთელი ჩვენი ჩამორჩენილობისა, მიუხედავად ჩვენი ბრძოლის მთელი სიმძიმისა, ინგლისის და საფრანგეთის მუშებმა და გლეხებმა ვერ შეძლეს ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლა. შედეგი ჩვენი სასარგებლო დარჩა. პირველად, როცა ცადეს ჩვენ წინააღმდეგ მასობრივი სამხედრო ძალები დაეძრათ, — ხოლო უამისოდ გამარჯვება შეუძლებელია, — ამან გამოიწვია, სწორი კლასობრივი ინსტინქტის წყალობით, მხოლოდ ის, რომ საფრანგეთისა და ინგლისის ჯარისკაცებმა რუსეთიდან ჩაიტანეს ბოლშევიზმის სწორედ ის სენი, რომლის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ გერმანელი იმპერიალისტები, როცა ბერლინიდან აძევებდნენ ჩვენს ელჩებს[51]. ამგვარად ისინი ფიქრობდნენ ბარიკადებით თავის დაცვას ბოლშევიზმის სენისაგან, რომელიც ახლა მთლად მოედო მთელ გერმანიას მუშათა მოძრაობის გაძლიერებით. ეს გამარჯვება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ, ვაიძულეთ რა გაეყვანათ ინგლისის და საფრანგეთის ჯარები, იყო უმთავრესი გამარჯვება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ ანტანტაზე. ჩვენ მას წავართვით მისი ჯარისკაცები. ჩვენ მის უსაზღვრო სამხედრო და ტექნიკურ უპირატესობაზე იმით ვუპასუხეთ, რომ წავართვით ეს უპირატესობა მშრომელთა სოლიდარობით იმპერიალისტური მთავრობების წინააღმდეგ.

და აქ გამოაშკარავდა, თუ როგორი ზერელე, როგორი ბუნდოვანია ამ ვითომდა-დემოკრატიულ ქვეყნებზე მსჯელობა იმ ნიშნებით, რომელთა მიხედვითაც მიღებულია მათზე მსჯელობა. პარლამენტებში მათ მტკიცე ბურჟუაზიული უმრავლესობა ჰყავთ. ამას უწოდებენ ისინი «დემოკრატიას». რომ კაპიტალი ბატონობს და ახშობს ყველაფერს, მიმართავს დღემდე სამხედრო ცენზურას, ამას უწოდებენ ისინი «დემოკრა-

ტიას». მათი გაზეთებისა და ჟურნალების მრავალ მილიონ ნომრებს შორის ძნელად თუ მოიპოვება უმნიშვნელო ნაწილიც კი, სადაც ნათქვამი იყოს რამე, თუნდაც ენაბორკილად, ბოლშევიკების სასარგებლოდ. ამიტომ ისინი ამბობენ: «ჩვენ დაცული ვართ ბოლშევიკებისაგან, ჩვენში ბატონობს წესრიგი», და ამას ისინი «დემოკრატიას» უწოდებენ. როგორ მოხდა, რომ ინგლისელი ჯარისკაცების და ფრანგი მატროსების მცირე ნაწილმა შეძლო აეძულებინა ისინი ანტანტის ჯარები გაეყვანათ რუსეთიდან? აქ რაღაც სხვა ამბავია! მაშასადამე, ხალხის მასები ჩვენს მხარეზეა, თვით ინგლისში, საფრანგეთში და ამერიკაშიც; მაშასადამე, მთელი ეს ზედაფენები სიცრუეა, როგორც ამას მუდამ ამტკიცებდნენ სოციალისტები, რომლებსაც არ სურდათ სოციალიზმისათვის ეღალატნათ; მაშასადამე, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი, ბურჟუაზიული დემოკრატია, ბეჭდვითი სიტყვის ბურჟუაზიული თავისუფლება არის მხოლოდ თავისუფლება კაპიტალისტებისათვის, თავისუფლება საზოგადოებრივი აზრის მოსყიდვისა და მასზე ფულის მთელი ძალით ზეგავლენისა. აი რას ლაპარაკობდნენ მუდამ სოციალისტები, ვიდრე იმპერიალისტურმა ომმა არ გათიშა ისინი ნაციონალურ ბანაკებად და სოციალისტების ყოველი ნაციონალური ჯგუფი არ გადააქცია თავისი ბურჟუაზიის ლაქიებად. ამას ლაპარაკობდნენ სოციალისტები ომამდე, ამას მუდამ ლაპარაკობდნენ ინტერნაციონალისტები და ბოლშევიკები ომის დროს, — ყოველივე ეს სრული სიმართლე აღმოჩნდა. მთელი ეს ზედაფენები, მთელი ეს გარეგნული მხარე, ეს არის მოტყუება, რაც სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება მასებისათვის. ისინი ყველანი გაჰყვირიან დემოკრატიზმზე, მაგრამ მსოფლიოს ვერც ერთ პარლამენტში მათ ვერ გაბედეს თქმა, რომ ომს უცხადებენ საბჭოთა რუსეთს. ამიტომ მთელ რიგ ფრანგულ, ინგლისურ და ამერიკულ გამოცემებში, რომლებმაც მოაღწია ჩვენამდე, ვკითხულობთ წინადადებას: «სამართალში იქნენ მიცემული სახელმწიფოთა მეთაურნი იმისათვის, რომ მათ დაარღვიეს კონსტიტუცია, იმისათვის, რომ ომს აწარმოებენ რუსეთთან ომის გამოუცხადებლად». როდის, სად,

კონსტიტუციის რომელმა პარაგრაფმა, რომელმა პარლამენტმა დართო ამის ნება? სად შეკრიბეს მათ წარმომადგენლები, თუნდაც ყველა ბოლშევიკისა და, როგორც ფრანგული პრესა ამბობს, მობოლშევიკო ელემენტების საპყრობილეში წინასწარ ჩასმით? ამ პირობებშიც კი მათ ვერ შეძლეს ეთქვათ თავიანთ პარლამენტებში, რომ ისინი რუსეთთან ომობენ. აი რა იყო იმის მიზეზი, რომ ინგლისის და საფრანგეთის საუცხოოდ შეიარაღებულმა ჯარებმა, რომლებსაც არასოდეს არ უგეშნიათ დამარცხება, ვერ შეძლეს ჩვენი დამარცხება და წავიდნენ ჩრდილოეთ არხანგელსკიდან და სამხრეთიდან.

ეს — ჩვენი პირველი და ძირითადი გამარჯვებაა, იმიტომ რომ ეს არის არა მარტო სამხედრო და სრულიადაც არა სამხედრო გამარჯვება, არამედ საქმით გამარჯვება მშრომელთა იმ საერთაშორისო სოლიდარობისა, რომლის გულისთვისაც დავიწყეთ ჩვენ მთელი რევოლუცია, რომელზედაც მითითებით ჩვენ ვლაპარაკობდით, რომ, რაც უნდა ბევრი განვიცადოთ, ყველა ეს მსხვერპლი ასწილ ანაზღაურებული იქნება საერთაშორისო რევოლუციის განვითარებით, რომელიც გარდუვალია. ამან თავი იჩინა იმაში, რომ ისეთ საქმეში, სადაც ყველაზე მეტ როლს ასრულებს უაღრესად უხეში და მატერიალური ფაქტორები, სამხედრო საქმეში, ჩვენ დავამარცხეთ ანტანტა იმით, რომ წავართვით მას ჯარისკაცის მუნდირში გამოწყობილი მუშები და გლეხები.

ამ პირველი გამარჯვების შემდეგ დადგა ჩვენ საქმეებში ანტანტის ჩარევის მეორე ეპოქა. ყოველი ერის სათავეში დგას იმ პოლიტიკოსების ჯგუფი, რომელთაც საუცხოო გამოცდილება აქვთ, და ამიტომ მათ, გაუცრუვდათ რა ეს იმედი, სხვა რამეზე დაამყარეს იმედი, ისარგებლეს რა თავიანთი ბატონობით მთელ მსოფლიოზე. არ არსებობს არც ერთი ქვეყანა, არ დარჩენილა ახლა დედამიწის არც ერთი ნაკვეთი, სადაც ფაქტიურად არ ბატონობდეს მთლიანად ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის ფინანსური კაპიტალი. ამაზე იყო დამყარებული მათი ახალი ცდა — აეძულებინათ ის პატარა სახელმწიფოები, რომლებიც გარს არტყიან რუსეთს და რომელთაგან ბევრნი განთავისუფლ-

დნენ და მხოლოდ ომის დროს მიიღეს შესაძლებლობა დამოუკიდებლად გამოეცხადებინათ თავი — პოლონეთი, ესტლანდია, ფინეთი, საქართველო, უკრაინა და სხვ., — ეცადათ აეძულებინათ ეს პატარა სახელმწიფოები ეომათ რუსეთის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის ფულით.

თქვენ, იქნებ, გახსოვთ, ამხანაგებო, ჩვენს გაზეთებში მოთავსებული ცნობა ინგლისის ცნობილი მინისტრის ჩერჩილის სიტყვის შესახებ, რომელმაც თქვა, რომ რუსეთზე შეტევას დაიწყებს 14 სახელმწიფო და რომ სექტემბერში დაეცემა პეტროგრადი, ხოლო დეკემბერში — მოსკოვიო. როგორც გავიგე, ჩერჩილი შემდეგ უარყოფდა ამ ცნობას, მაგრამ ცნობა აღებული იყო შვედური გაზეთის «ფოლკეტს დაგბლად პოლიტიკენ»*-ის 25 აგვისტოს ნომრიდან. მაგრამ თუნდაც ეს წყარო არასწორი ყოფილიყო, ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ჩერჩილისა და ინგლისის იმპერიალისტების საქმენი სწორედ ასეთი იყო. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ფინეთზე, ესტლანდიაზე და სხვა წვრილ სახელმწიფოებზე ყოველგვარ ზეგავლენას ახდენდნენ იმისათვის, რომ მათ ეომათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მე მომიხდა ინგლისური გაზეთის «ტაიმსის» **, — ინგლისის ყველაზე გავლენიანი ბურჟუაზიული გაზეთის, — ერთი მოწინავე სტატიის წაკითხვა, რომელიც დაწერილი იყო იმ დროს, როცა იუდენიჩის ჯარები, წინასწარ მომარაგებული, გამოწყობილი და ანტანტის გემებით ჩამოყვანილი, რამდენიმე ვერსზე იდგნენ პეტროგრადიდან და დეტსკოე სელო აღებული იყო. სტატია წარმოადგენდა ნამდვილ გამოლაშქრებას, სადაც იძულების — სამხედრო, დიპლომატიური და ისტორიული იძულების — მთელი ძალები იყო გამოყენებული. ინგლისის კაპიტალი თავს ესხმოდა ფინეთს და ულტიმატუმს უყენებდა მას: «მთელი მსოფლიო შეჰყურებს ფინეთს, — ამბობდნენ ინგლისის კაპიტალისტები, — ფინეთის მთელი ბედი დამოკიდებულია იმაზე, შეიგნებს თუ არა იგი თავის დანიშნულებას, დაგვეხმარება თუ არა ის ბოლშევიზმის ჭუჭყიანი, მღვრიე,

* — «სახალხო პოლიტიკური ყოველდღიური გაზეთი». რ ე დ.

** — «დროება». რ ე დ.

სისხლიანი ტალღის დათრგუნვისა და რუსეთის განთავისუფლების საქმეში». და ამ «დიდი და ზნეობრივი» საქმისათვის, ამ «კეთილშობილი, კულტურული» საქმისათვის ფინეთს დაჰპირდნენ ამდენ და ამდენ მილიონ გირვანქას, ტერიტორიის ამა და ამ ნაკვეთს და ამა და ამ სიკეთეს. და რა შედეგი მივიღეთ? იყო დრო, როცა იუდენიჩის ჯარები რამდენიმე ვერსზე იდგნენ პეტროგრადიდან, ხოლო დენიკინი ორიოლის ჩრდილოეთით იდგა, როცა ოდნავი დახმარება მათთვის სწრაფად გადაწყვეტდა პეტროგრადის ბედს ჩვენი მტრების სასარგებლოდ, უმოკლეს ვადაში და სულ მცირედი მსხვერპლით.

ანტანტის მთელი ზემოქმედება თავს დაატყდა ფინეთს, ხოლო ფინეთი ყელამდე მის ვალშია ჩაფლული. და არათუ მოვალეა: ამ ქვეყნების დაუხმარებლად იგი ერთ თვესაც ვერ იარსებებს. მერე როგორ მოხდა ისეთი «სასწაული», რომ ჩვენ მოვიგეთ დავა ასეთ მოწინააღმდეგესთან? ხოლო ჩვენ ის მოვიგეთ. ფინეთი ომში არ ჩაერია, იუდენიჩიც და დენიკინიც ისეთ მომენტში დამარცხდნენ, როცა მათი ერთობლივი ბრძოლა უეჭველად, სწრაფად გადაწყვეტდა მთელი ბრძოლის ბედს საერთაშორისო კაპიტალიზმის სასარგებლოდ. ჩვენ მოვიგეთ დავა საერთაშორისო იმპერიალიზმთან ამ უაღრესად სერიოზული, საშინელი განსაცდელის დროს. როგორ მოვიგეთ ჩვენ იგი? როგორ მოხდა ასეთი «სასწაული»? ეს მოხდა იმიტომ, რომ ანტანტას აღებული ჰქონდა ისეთი ვარაუდი, რომელსაც მიმართავს ყველა კაპიტალისტური სახელმწიფო, რომლებიც მოქმედებენ მხოლოდ და მხოლოდ მოტყუებით, ზემოქმედებით, და ამიტომ ყოველი თავისი მოქმედებით ის იწვევდა ისეთ წინააღმდეგობას, რომ სარგებლობა გამოდიოდა ჩვენთვის. ჩვენ სუსტად შეიარაღებული, ქანცგაწყვეტილი ვიყავით და ვეუბნებოდით ფინეთის მუშებს, რომლებიც დათრგუნა ფინეთის ბურჟუაზიამ: «თქვენ არ უნდა იომოთ ჩვენ წინააღმდეგ». ანტანტა იდგა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, მთელი თავისი გარეგნული ძლიერებით აღჭურვილი, მთელი თავისი სასურსათო სიკეთით, რომლის მიცემაც მას შეეძლო ამ ქვეყნებისათვის, და მოითხოვდა, რომ მათ ებრძოლათ ჩვენ წინააღმდეგ. ჩვენ მოვი-

გეთ ეს დავა. მოვიგეთ იმიტომ, რომ ანტანტას უკვე აღარ ჰყავდა თავისი ჯარები, რომელთა გამოყვანასაც შესძლებდა იგი ჩვენ წინააღმდეგ, მას უნდა ემოქმედნა პატარა ერების ძალებით, ხოლო პატარა ერები, არა მარტო მუშები და გლეხები, არამედ ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილიც კი, ბურჟუაზიისა, რომელმაც გასრისა მუშათა კლასი, ბოლოს და ბოლოს არ წამოვიდნენ ჩვენ წინააღმდეგ.

როცა ანტანტის იმპერიალისტები ლაპარაკობდნენ დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის შესახებ, ამ ხალხებმა გამოიჩინეს კადნიერება — ანტანტის თვალსაზრისით, ჩვენი თვალსაზრისით კი — სისულელე, სერიოზულად მიეღოთ ეს დაპირებანი და დამოუკიდებლობა გაეგოთ ისე, რომ ეს ნამდვილი დამოუკიდებლობაა და არა საშუალება ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტების გასამდიდრებლად. ისინი ფიქრობდნენ, რომ დემოკრატია იმას ნიშნავს, რომ თავისუფლად იცხოვრებ, და არა იმას, რომ ყველა ამერიკელ მილიარდერს შეუძლია მათი ქვეყანა ძარცვოს და ყოველ აზნაურ-ოფიცერს შეუძლია თავი დაიჭიროს ტუტუცურად და გადაიქცეს თავხედ სპეკულანტად, რომელიც რამდენიმე ასეული პროცენტი მოგებისათვის უსაზიზღრეს საქმეებს სჩადის. აი რით გავიმარჯვეთ ჩვენ! ანტანტა, ზეგავლენას ახდენდა რა ამ პატარა ქვეყნებზე, თვითეულ ამ 14 ქვეყანათაგანზე, წინააღმდეგობას ხვდებოდა. ფინეთის ბურჟუაზიას, რომელმაც თეთრი ტერორით დათრგუნა ათეული ათასი ფინელი მუშა და იცის, რომ ამას მას არ დაუვიწყებენ, რომ უკვე აღარ არის გერმანული ხიშტი, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევდა ეს ჩაედინა, — ფინეთის ამ ბურჟუაზიას მთელი არსებით სძულს ბოლშევიკები, როგორც კი შეუძლია სძულდეს მტაცებელს მუშები, რომლებმაც ის ჩამოაგდეს! მიუხედავად ამისა ფინეთის ეს ბურჟუაზია ამბობდა: «თუ ავყევით ანტანტის კარნახს — ეს იმას ნიშნავს, რომ უეჭველად დავკარგოთ ყოველგვარი იმედი დამოუკიდებლობისაო». ხოლო ეს დამოუკიდებლობა მათ მისცეს ბოლშევიკებმა 1917 წ. ნოემბერში, როცა ფინეთში ბურჟუაზიული მთავრობა იყო. ამრიგად, ფინეთის ბურჟუაზიის ფართო წრეების აზრი

მერყევი აღმოჩნდა. ჩვენ მოვიგეთ დავა ანტანტასთან, იმიტომ რომ მას იმედი ჰქონდა წვრილი ერებისა და ამავე დროს ისინი ჩამოიცილა.

ამ უდიდესი, მსოფლიო-ისტორიული მასშტაბის გამოცდილებით მტკიცდება ის, რასაც ჩვენ მუდამ ვამბობდით. დედამიწაზე არსებობს ორი ძალა, რომლებსაც შეუძლიათ განსაზღვრონ კაცობრიობის ბედი. ერთი ძალაა — საერთაშორისო კაპიტალიზმი, და რაკი ის გაიმარჯვებს, ის გამოამჟღავნებს ამ ძალას უსაზღვრო მხეცობით, — ეს ჩანს ყოველი პატარა ერის განვითარების ისტორიიდან. მეორე ძალაა — საერთაშორისო პროლეტარიატი, რომელიც იბრძვის სოციალისტური რევოლუციისათვის პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით, რომელსაც ის მუშების დემოკრატიას უწოდებს. ჩვენ არ გვიჯერონ-დნენ არც მერყევი ელემენტები ჩვენში, რუსეთში, არც წვრილი ქვეყნების ბურჟუაზია, გვიწოდებდნენ რა უტოპისტებს ან ყაჩაღებს, ანდა კიდევ უარესს, რადგან არ არსებობს ისეთი უაზრო და საშინელი ბრალდება, რომელსაც ჩვენ წინააღმდეგ არ აყენებდნენ. მაგრამ როცა პირდაპირ დაისვა საკითხი: გაყვნენ ანტანტას, დაეხმარონ მას ბოლშევიკების ჩახრჩობაში, თუ თავისი ნეიტრალიტეტით დაეხმარონ ბოლშევიკებს, — აღმოჩნდა, რომ ჩვენ მოვიგეთ დავა და მივიღეთ ნეიტრალიტეტი. თუმცა ჩვენ არ გვქონდა არავითარი ხელშეკრულებები, ხოლო ინგლისს, საფრანგეთსა და ამერიკას ჰქონდათ ყოველგვარი თამასუქები, ყოველგვარი ხელშეკრულებები, — მაინც პატარა ქვეყნები მოიქცნენ ისე, როგორც ჩვენ გვინდოდა, არა იმიტომ, რომ პოლონეთის, ფინეთის, ლიტვის და ლატვიის ბურჟუაზიას სიამოვნებას გვრიდა ეწარმოებინა თავისი პოლიტიკა ბოლშევიკების ლამაზი თვალების გულისათვის, — ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა, — არამედ იმიტომ, რომ ჩვენ მართალი ვიყავით მსოფლიო-ისტორიული ძალების განსაზღვრაში: რომ ან მხეცური კაპიტალი გაიმარჯვებს და, როგორი დემოკრატიული რესპუბლიკაც უნდა იყოს, ის ყელში სწვდება მსოფლიოს ყველა პატარა ერს; ან პროლეტარიატის დიქტატურა გაიმარჯვებს, — და მხოლოდ ამაშია ყველა მშრომელის და ყველა

პატარა, დაბეჩავებული, სუსტი ერის იმედი. აღმოჩნდა, რომ ჩვენ მართალი ვიყავით მსოფლიო პოლიტიკის არა მარტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც. როცა ჩვენ შორის დაიწყო ეს დავა ფინეთის, ესტლანდიის ჯარების გამო, ჩვენ ეს დავა მოვიგეთ, თუმცა მათ შეეძლოთ ჩვენი გასრესა უმნიშვნელო ძალებით. მიუხედავად იმისა, რომ ანტანტამ მთელი თავისი ფინანსური ზეგავლენის, სამხედრო ძლიერებისა და სურსათის მიწოდების უზარმაზარი ძალა — ყველაფერი შეაგდო სასწორზე, რომ აეძულებინა ფინეთი გამოსულიყო, — ჩვენ ეს დავა მაინც მოვიგეთ.

ეს, ამხანაგებო, საერთაშორისო ჩარევის მეორე ეტაპია, ეს არის ჩვენი მეორე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება. ჯერ-ერთი, ჩვენ გადმოვიბირეთ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის მუშები და გლეხები. ამ ჯარებმა ვერ შეძლეს ბრძოლა ჩვენ წინააღმდეგ. მეორე, ჩვენ გადმოვიბირეთ ეს პატარა ქვეყნები, რომლებიც ყველანი ჩვენ წინააღმდეგ არიან და რომლებშიც ყველგან ბატონობს არა საბჭოთა, არამედ ბურჟუაზიული ხელისუფლება. ჩვენ მიმართ მათ განახორციელეს მეგობრული ნეიტრალიტეტი და მით გაილაშქრეს მსოფლიო მასშტაბით ძლიერი ანტანტის წინააღმდეგ, რადგან ანტანტა იყო მტაცებელი, რომელსაც უნდოდა მათზე ზეგავლენა მოეხდინა.

აქ საერთაშორისო მასშტაბით მოხდა იგივე, რაც მოუვიდა ციმბირელ გლეხს, რომელსაც სწამდა დამფუძნებელი კრება, ეხმარებოდა ესერებს და მენშევიკებს შეერთებოდნენ კოლჩაკს და დაერტყათ ჩვენთვის. როცა მან გამოცადა, რომ კოლჩაკი — ეს არის მემამულეებისა და კაპიტალისტების უაღრესად ექსპლოატატორული, მტაცებლური დიქტატურის წარმომადგენელი, მეფეზე უარესი, მაშინ მან მოაწყო ის მთელი რიგი დიდი აჯანყებები ციმბირში, რომელთა შესახებ ჩვენ მივიღეთ ზუსტი ცნობები ამხანაგებისაგან და რომლებიც ახლა უზრუნველყოფენ ციმბირის სრულ დაბრუნებას ჩვენს ხელში,— ამჯერად შეგნებულად. ის, რაც მოუვიდა ციმბირელ გლეხს, მთელი მისი შეუგნებლობისა და პოლიტიკური სიბნელის გამო,

იგივე მოუვიდა ახლა უფრო ფართო მასშტაბით, მსოფლიო-ისტორიული მასშტაბით, ყველა პატარა ერს. მათ სძულდათ ბოლშევიკები, ზოგიერთი მათგანი სისხლიანი ხელით, გააფთრებული თეთრი ტერორით თრგუნავდა ბოლშევიკებს, ხოლო როცა დაინახეს «განმათავისუფლებლები», ინგლისელი ოფიცრები, მაშინ მიხვდნენ, თუ რას ნიშნავს ინგლისური და ამერიკული «დემოკრატია». როცა ინგლისის და ამერიკის ბურჟუაზიის წარმომადგენლები გაჩნდნენ ფინეთში, ესტლანდიაში, მათ დაიწყეს ჩახშობა მეტი თავხედობით, ვიდრე რუსეთის იმპერიალისტები ახშობდნენ, — უფრო მეტი თავხედობით იმიტომ, რომ რუსეთის იმპერიალისტები იყვნენ ძველი დროის წარმომადგენლები და ჩახშობაც, როგორც საჭიროა, არ იცოდნენ, ამ ხალხმა კი ჩახშობა იცის და ახშობს ბოლომდე.

აი რატომაა მეორე ეტაპზე მოპოვებული ეს გამარჯვება გაცილებით უფრო მტკიცე, ვიდრე ამჟამად გვეჩვენება. მე სრულიადაც არ ვაჭარბებ და გადაჭარბება მეტისმეტად სახიფათოდ მიმაჩნია. მე ოდნავადაც ეჭვი არ მეპარება, რომ ანტანტა კვლავ შეეცდება შეაგულიანოს ჩვენ წინააღმდეგ ხან ერთი, ხან მეორე პატარა სახელმწიფო, რომელიც ჩვენ მეზობლად ცხოვრობს. ასეთი ცდა იქნება, იმიტომ რომ პატარა სახელმწიფოები მთლიანად დამოკიდებული არიან ანტანტაზე, იმიტომ რომ ყველა ეს სიტყვა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის შესახებ მხოლოდ თვალთმაქცობაა, და ანტანტას შეუძლია აიძულოს ისინი კვლავ აღმართონ ხელი ჩვენ წინააღმდეგ. მაგრამ თუ ეს ცდა ჩაიშალა ასეთ ხელსაყრელ მომენტში, როცა ასე ადვილი იყო ბრძოლის წარმოება ჩვენ წინააღმდეგ, მე მგონია, შეიძლება გარკვეულად ითქვას: ამ მხრივ, უეჭველად, მთავარი სიძნელე განვლილია. ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ ეს სრულიად გაუზვიადებლად და იმის სრული შეგნებით, რომ ძალების უდიდესი სიჭარბე ანტანტის მხარეზეა. ჩვენ მტკიცედ გავიმარჯვეთ. ცდები კვლავ იქნება, მაგრამ ჩვენ მათ უფრო ადვილად დავამარცხებთ, იმიტომ რომ პატარა სახელმწიფოები, მიუხედავად მთელი მათი ბურჟუა-

ზიული წყობილებისა, დარწმუნდნენ გამოცდილებით, არა თეორიულად, — თეორიისათვის ეს ვაჟბატონები არ ვარგან, — რომ ანტანტა არის უფრო თავხედი და მტაცებელი მხეცი, ვიდრე მათ ეჩვენებათ ბოლშევიკები, რომლებითაც აშინებენ ბავშვებს და კულტურულ მეშჩანებს მთელ ევროპაში.

მაგრამ ჩვენი გამარჯვებები ამით არ დამთავრებულა. ჯერ-ერთი, ჩვენ გადმოვიბირეთ ანტანტის მუშები და გლეხები, მეორე, შევიძინეთ იმ პატარა ერების ნეიტრალიტეტი, რომლებიც წარმოადგენენ მის მონებს, და, მესამე, დავიწყეთ გადმობირება ანტანტის საკუთარ ქვეყნებში წვრილი ბურჟუაზიის და განათლებული მეშჩანობისა, რომლებიც ერთიანად ჩვენი მოწინააღმდეგენი იყვნენ. ამის დასამტკიცებლად მე ნებას მივცემ თავს დავიმოწმო გაზეთი «ლუმანიტე» *, 26 ოქტომბრის თარიღით, რომელიც ხელთა მაქვს. ეს გაზეთი, რომელიც მუდამ II ინტერნაციონალს ეკუთვნოდა, ომის დროს გააფთრებული შოვინისტური იყო, ისეთი სოციალისტების თვალსაზრისზე იდგა, როგორიც არიან ჩვენი მენშევიკები და მემარჯვენე ესერები, და ამჟამადაც შემრიგებლის როლს ასრულებს, — ეს გაზეთი აცხადებს, რომ დარწმუნდა მუშების განწყობილების შეცვლაში. ეს მან დაინახა არა ოდესაში, არამედ პარიზის ქუჩებში და კრებებზე, როცა მუშები ლაპარაკის საშუალებას არ აძლევდნენ იმას, ვინც ბედავდა სიტყვის დაძვრას ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ. და როგორც პოლიტიკოსები, რომლებმაც ცოტა რამ ისწავლეს რამდენიმე რევოლუციის განმავლობაში, როგორც ადამიანები, რომლებმაც იციან, თუ რას წარმოადგენენ ხალხის მასები, ისინი სიტყვის დაძვრასაც ვერ ბედავენ ჩარევის სასარგებლოდ და ყველანი ამის წინააღმდეგ გამოდიან. მაგრამ ეს ცოტაა. არ კმარა ის, რომ ამას აცხადებენ სოციალისტები (ისინი თავიანთ თავს სოციალისტებს უწოდებენ, თუმცა ჩვენ დიდი ხანია ვიცით, როგორი სოციალისტებიც არიან ისინი); «ლუმანიტეს» 26 ოქტომბრის იმავე ნომერში, რომლიდანაც მე ციტატები

* — «კაცობრიობა». რ ე დ.

შოვიყვანე, მოთავსებულია საფრანგეთის ინტელიგენციის, საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის მთელ რიგ წარმომადგენელთა განცხადება. ამ განცხადებაში, რომელიც იწყება ანატოლ ფრანსის ხელმოწერით, სადაც არის ფერდინანდ ბიუისონის ხელმოწერა, მე დავითვალე ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა 71 გვარი, რომლებსაც იცნობს მთელი საფრანგეთი და რომლებიც აცხადებენ, რომ წინააღმდეგი არიან რუსეთის საქმეებში ჩარევისა, იმიტომ რომ ბლოკადა, შიმშილით სიკვდილის გამოყენება, რომლის გამოც იღუპებიან ბავშვები და მოხუცნი, შეუწყნარებელია კულტურისა და ცივილიზაციის თვალსაზრისით, რომ ისინი ამას ვერ შოითმენენ. ხოლო ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ოლარი, რომელიც მთლიანად ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დგას, თავის წერილში ამბობს: «მე, როგორც ფრანგი, — ბოლშევიკების მტერი ვარ, როგორც ფრანგი — დემოკრატიის მომხრე ვარ, სასაცილოა ჩემში ეჭვის შეტანა წინააღმდეგში, მაგრამ როცა ვკითხულობ, რომ საფრანგეთი იწვევს გერმანიას მონაწილეობა მიიღოს რუსეთის ბლოკადაში, როცა ვკითხულობ, რომ საფრანგეთი ასეთი წინადადებით მიმართავს გერმანიას, — სახეზე სირცხვილის სიწითლეს ვგრძნობ». ეს, შესაძლოა, გრძნობების უბრალო სიტყვიერი გამოხატვა იყოს ინტელიგენციის წარმომადგენლის მხრივ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მესამე გამარჯვება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ იმპერიალისტურ საფრანგეთზე თვით მის შიგნით. აი რას მოწმობს ეს გამოსვლა, თავისთავად მერყეევი, უბადრუკი გამოსვლა-იმ ინტელიგენციისა, რომელსაც, როგორც დავინახეთ ათეულ და ასეულ მაგალითზე, შეუძლია მილიონჯერ მეტი ხმაური ატეხოს, ვიდრე ძალა შესწევს, მაგრამ რომელიც განირჩევა კარგი ბარომეტრის თვისებით — იძლეოდეს იმის მაჩვენებელს, საითკენ იხრება წვრილი ბურჟუაზია, იძლეოდეს იმის მაჩვენებელს, საითკენ იხრება საზოგადოებრივი აზრი, მთლიანად ბურჟუაზიული. თუ ჩვენ საფრანგეთის შიგნით, სადაც ყველა ბურჟუაზიული გაზეთი მხოლოდ და მხოლოდ უაღრეს სიყალბეს წერს

ჩვენ შესახებ, მივაღწიეთ ასეთ შედეგს, ჩვენ ვამბობთ: იმასა ჰგავს, რომ საფრანგეთში დრეიფუსის მეორე საქმე იწყება, მხოლოდ ბევრად უფრო დიდი. მაშინ ბურჟუაზიული ინტელიგენცია კლერიკალური და სამხედრო რეაქციის წინააღმდეგ იბრძოდა, მუშათა კლასს არ შეეძლო მაშინ ეს თავის საქმედ ჩაეთვალა, მაშინ არ იყო ობიექტური პირობები, არ იყო ისეთი ღრმა რევოლუციური განწყობილება, როგორც ახლაა. ამჟამად კი? თუ საფრანგეთის ბურჟუაზიული ინტელიგენცია იმის შემდეგ, რაც არჩევნებში უაღრესად გააფთრებულმა რეაქციამ გაიმარჯვა, იმ რეჟიმის შემდეგ, რომელიც იქ არსებობს ახლა ბოლშევიკების მიმართ, თუ ის ამბობს, რომ მას რცხვენია უაღრესად რეაქციული საფრანგეთის კავშირისა უაღრესად რეაქციულ გერმანიასთან, რათა შიმშილით ჩაახრჩონ რუსეთის მუშები და გლეხები, — ჩვენ ვამბობთ: ეს, ამხანაგებო, მესამე და უდიდესი გამარჯვებაა. და მე მსურს ვიხილო, ასეთი მდგომარეობის დროს სახელმწიფოს შიგნით ბატონი კლემანსო, ლოიდ-ჯორჯი და ვილსონი როგორ განახორციელებენ რუსეთზე თავდასხმის თავიანთ ახალ გეგმას, რაზედაც ისინი ოცნებობენ. სცადეთ, ბატონებო! (ტ ა შ ი.)

ამხანაგებო, ვიმეორებ, უდიდესი შეცდომა იქნებოდა აქედან მეტისმეტად წინდაუხედავი დასკვნების გამოტანა. ეჭვი არ არის, რომ ისინი თავიანთ ცდას განაახლებენ, მაგრამ ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ეს ცდა, რა დიდი ძალებითაც უნდა იყოს იგი დაწყებული, კრახით დამთავრდება. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის სამოქალაქო ომი, რომელსაც ჩვენ ასეთი დაუსრულებელი მსხვერპლით ვაწარმოებდით, ძლევამოსილი იყო. იგი ძლევამოსილი აღმოჩნდა არა მარტო რუსეთის მასშტაბით, არამედ მსოფლიო-ისტორიული მასშტაბითაც. თვითეული ის დასკვნა, რომელიც მე თქვენ გაგაცანით, გავაკეთე სამხედრო კამპანიის შედეგების საფუძველზე. აი რატომ მოელის, ვიმეორებ, ახალ ცდებსაც მარცხი,—იმიტომ რომ ეს ცდები წინანდელზე გაცილებით უფრო სუსტია, ჩვენ კი გაცილებით უფრო გავძლიერდით კოლჩაკზე და იუდენიჩზე გამარჯვების შემდეგ, დენიკინზე გამარჯვების შემდეგ, რაც

იწყება და, როგორც ჩანს, სრული გამარჯვებით დამთავრდება. განა კოლჩაკს არ ეხმარებოდა ეს მსოფლიო მასშტაბით ძლიერი ანტანტა? განა ურალის და ციმბირის გლეხებმა, რომლებმაც დამფუძნებელი კრების არჩევნებში ბოლშევიკების უმცირესი პროცენტი მოგვცეს, მხარი არ დაუჭირეს მთლიანად დამფუძნებელი კრების ფრონტს, რომელიც მაშინ მენშევიკებისა და ესერების ფრონტი იყო, — განა ისინი ადამიანთა საუკეთესო მასალას არ წარმოადგენდნენ კომუნისტების წინააღმდეგ? განა ციმბირი არ წარმოადგენდა ისეთ ქვეყანას, სადაც არ ყოფილა მემამულური მიწათმფლობელობა, და სადაც ჩვენ არ შეგვეძლო ერთბაშად დავხმარებოდით გლეხთა მასებს ისე, როგორც დავეხმარეთ ყველა რუს გლეხს? რაღა აკლდა კოლჩაკს ჩვენზე გასამარჯვებლად? აკლდა ის, რაც აკლია ყველა იმპერიალისტს. ის რჩებოდა ექსპლოატატორად, მას უნდა ემოქმედნა მსოფლიო ომის მემკვიდრეობის ვითარებაში, იმ ვითარებაში, რომელიც საშუალებას იძლეოდა მხოლოდ ელაყბათ დემოკრატიისა და თავისუფლების შესახებ, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა ჰქონოდათ ან ერთი, ან მეორე დიქტატურა: ან ექსპლოატატორების დიქტატურა, რომელიც გააფთრებით იცავს თავის პრივილეგიებს და აცხადებს, რომ გადახდილი უნდა იქნეს ხარკი იმ თამასუქების მიხედვით, რომლებითაც მათ სურთ ააღლიტონ მილიარდები ყველა ერს, ან მუშების დიქტატურა, რომელიც ებრძვის კაპიტალისტების ძალაუფლებას და რომელსაც სურს მტკიცედ უზრუნველყოს მშრომელთა ძალაუფლება. მხოლოდ ამის გამო დაემხო კოლჩაკი. აი რა საშუალებით, არა საარჩევნო ბიულეტენის მიცემით, — რა თქმა უნდა, არც ეს საშუალებაა ცუდი, განსაზღვრულ გარემოებაში, — არამედ საქმით განსაზღვრა თავისი ბედი ციმბირის და ურალის გლეხმა. ის უკმაყოფილო იყო ბოლშევიკებით 1918 წლის ზაფხულში. მან დაინახა, რომ ბოლშევიკები აიძულებენ მას მისცეს ნაჭარბი პური არა სპეკულაციურ ფასებში, და მან პირი იბრუნა კოლჩაკისაკენ. ახლა მან ნახა, შეადარა და სხვა დასკვნამდე მივიდა. მან ეს შეიგნო წინააღმდეგ მთელი იმ მეცნიერებისა, რომელსაც მას ასწავლიდნენ, იმიტომ რომ თავისი

საკუთარი გამოცდილებით ისწავლა ის, რისი გაგებაც არ სურთ მეცნიერებიდან ბევრ ესერსა და მენშევიკს (ტ ა შ ი),— რომ შეიძლება იყოს მხოლოდ ორი დიქტატურა, რომ უნდა აირჩიო ან მუშების დიქტატურა, — და ეს ნიშნავს დახმარება გაუწიო ყველა მშრომელს ექსპლოატატორთა უღლის დამხობაში, — ანდა ექსპლოატატორების დიქტატურა. ჩვენ გლეხი მოვიმხრეთ, ჩვენ უმძიმესი, გაუგონარ სიძნელეებს გამოვლილი გამოცდილებით დავამტკიცეთ, რომ გლეხობის გაყოლიებას ჩვენ, როგორც მუშათა კლასის წარმომადგენლები, უკეთ, მეტი წარმატებით შევძლებთ, ვიდრე რომელიმე სხვა პარტია. სხვა პარტიებს უყვართ ჩვენთვის ბრალის დადება იმაში, რომ ჩვენ ბრძოლას ვაწარმოებთ გლეხობასთან და ვერ მოგვიხერხებია სწორი ხელშეკრულების დადება, და ყველანი გვთავაზობენ თავიანთ კეთილ, კეთილშობილურ სამსახურს — მოგვარიგონ გლეხებთან. დიდ მადლობას მოგახსენებთ, ბატონებო, მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ თქვენ ამას იზამთ. ჩვენ კი, ყოველ შემთხვევაში, დიდი ხანია დავამტკიცეთ, რომ ამის გაკეთება შევძელით. ჩვენ არ ვუხატავდით გლეხს ლამაზ სურათებს, რომ მას შეუძლია თავი დააღწიოს კაპიტალისტურ საზოგადოებას მუშათა კლასის რკინისებური დისციპლინისა და მაგარი ხელისუფლების გარეშე, რომ ბიულეტენების უბრალო შეგროვება გადაწყვეტს კაპიტალთან ბრძოლის მსოფლიო-ისტორიულ საკითხს. ჩვენ პირდაპირ ვამბობდით: დიქტატურა — სასტიკი, მძიმე და სისხლიანი სიტყვაც კია, მაგრამ იმასაც ვამბობდით, რომ მუშების დიქტატურა უზრუნველყოფს ექსპლოატატორების უღლის დამხობას, და ჩვენ მართალი აღმოვჩნდით. გლეხმა საქმით გამოცადა ორივე დიქტატურა, არჩია მუშათა კლასის დიქტატურა და ამ გზით წავა წინ სრულ გამარჯვებამდე. (ტ ა შ ი.)

ამხანაგებო, იქიდან, რაც მე ვთქვი ჩვენი საერთაშორისო გამარჯვებების შესახებ, გამომდინარეობს, — და, მე მგონია, ამაზე არ მოგვიხდება დიდხანს შეჩერება, — რომ მაქსიმალური საქმიანობით და სიმშვიდით უნდა გავიმეოროთ ჩვენი საზავო წინადადება. ჩვენ ეს უნდა ვქნათ იმიტომ, რომ უკვე ბევრჯერ

წამოგვიყენებია ასეთი წინადადება. და ყოველთვის, როცა ვაყენებდით მას, ყოველი განათლებული ადამიანის თვალში, თვით ჩვენი მტრის თვალშიც კი მოგებული ვრჩებოდით, და ამ განათლებულ ადამიანს სირცხვილის სიწითლე ედებოდა სახეზე. ასე იყო, როცა აქ ჩამოვიდა ბულიტი, როცა ის მიიღო ამხ. ჩიჩერინმა, საუბარი ჰქონდა მასთან და ჩემთან და როცა ჩვენ რამდენიმე საათში წინასწარი ხელშეკრულება დავდევით ზავის შესახებ. და ის გვარწმუნებდა (ამ ვაუბატონებს უყვართ თავის ქება), რომ ამერიკა — ეს ყველაფერია, საფრანგეთს კი ვინ უწევს ანგარიშს, როცა ამერიკა ასე ძლიერია? ხოლო როცა ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას, საფრანგეთის და ინგლისის მინისტრებმაც ამგვარი ჟესტი გააკეთეს. (ლ ე ნ ი ნ ი ა კ ე თ ე ბ ს მ ჭ ე ვ რ მ ე ტ ყ ვ ე ლ უ რ ჟ ე ს ტ ს ფ ე ხ ი თ. ს ი ც ი ლ ი.) ბულიტს ხელში შერჩა სრულიად ცარიელი ქაღალდი, და მას უთხრეს: «ვინ მოელოდა, რომ შენ ასე გულუბრყვილო, ასე სულელი იქნებოდი და დაიჯერებდი ინგლისის და საფრანგეთის დემოკრატიზმსო!». (ტ ა შ ი.) ხოლო შედეგად სწორედ ამ ნომერში ვკითხულობ ბულიტთან დადებული ხელშეკრულების სრულ ტექსტს ფრანგულად, — და ეს დაბეჭდილია ყველა ინგლისურ და ამერიკულ გაზეთში. შედეგად მათ თვითონ გამოიყვანეს თავიანთი თავი მთელი ქვეყნიერების წინაშე გაიძვერებად თუ ბავშვებად, — დაე ამოირჩიონ! (ტ ა შ ი.) ხოლო მთელი თანაგრძნობა თვით მეშჩანობისაც, თვით რამდენადმე განათლებული ბურჟუაზიისაც კი, რომელმაც გაიხსენა, რომ ისიც ოდესღაც ებრძოდა თავის ხელმწიფეებსა და მეფეებს — ჩვენს მხარეზეა, იმიტომ რომ ჩვენ საქმიანად მოვაწერეთ ხელი ზავის უმძიმეს პირობებს და ვთქვით: «მეტად ძვირფასია ჩვენთვის ჩვენი მუშებისა და ჯარისკაცების სისხლი; თქვენ, როგორც ვაჭრებს, მძიმე ხარკს გადაგიხდით ზავისათვის; ჩვენ დავთანხმდებით მძიმე ხარკზე, ოღონდ კი შევინარჩუნოთ მუშებისა და გლეხების სიცოცხლე». ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ზედმეტია ბევრი ლაპარაკი, და დასასრულ წაგიკითხავთ იმ რეზოლუციის პროექტს,

რომელიც საბჭოების ყრილობის სახელით გამოთქვამდა ზავის პოლიტიკის გატარების ჩვენს ურყევ სურვილს. (ტ ა შ ი.)

ახლა მე მსურს გადავიდე მოხსენების საერთაშორისო და სამხედრო ნაწილიდან პოლიტიკურ ნაწილზე.

ჩვენ მოვიპოვეთ სამი დიდი გამარჯვება ანტანტაზე, და ეს არ იყო მხოლოდ სამხედრო გამარჯვებები. ეს იყო გამარჯვებები, რომელთაც აღწევდა მუშათა კლასის დიქტატურა, და ყოველი ასეთი გამარჯვება განამტკიცებდა ჩვენს მდგომარეობას არა მხოლოდ იმიტომ, რომ სუსტდებოდა და უჯაროდ რჩებოდა ჩვენი მოწინააღმდეგე, — ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა მტკიცდებოდა იმიტომ, რომ ჩვენ მოგებული ვრჩებოდით მთელი მშრომელი კაცობრიობის და თვით ბურჟუაზიის მრავალი წარმომადგენლის თვალში. და ამ მხრივ ის გამარჯვებანი, რომელნიც ჩვენ მოვიპოვეთ კოლჩაკზე, იუდენიჩზე ღა რომლებსაც ახლა ვაღწევთ დენიკინზე, შესაძლებლობას მოგვცემს მომავალშიც მშვიდობიანი გზით მეტი და მეტი თანაგრძნობა მოვიპოვოთ, ვიდრე დღემდე.

ჩვენ მუდამ ბრალს გვდებდნენ ტერორიზმში. ეს გაცვეთილი ბრალდებაა, რომელიც არ ცილდება პრესის ფურცლებს. ეს ბრალდება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ პრინციპად გავიხადეთ ტერორიზმი. ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: «თქვენ თვითონ არ გჯერათ ასეთი ცილისწამება». იგივე ისტორიკოსი ოლარი, რომელმაც წერილი მოათავსა გაზეთ «ლუმანიტეში», წერს: «მე ვსწავლობდი ისტორიას და სხვებსაც ვასწავლიდი მას. როცა ვკითხულობ, რომ ბოლშევიკებს მხოლოდ მახინჯები, მონსტრები და საფრთხობელები ჰყავთო, ვამბობ: იმავეს წერდნენ რობესპიერსა და დანტონზე. ამით, — ამბობს ის, — შე სრულიად არ ვადარებ ამ დიდ ადამიანებს ახლანდელ რუსებს, სრულიადაც არა; არავითარი ამის მსგავსი რამ მათში არ არის. მაგრამ მე, როგორც ისტორიკოსი, ვამბობ: ხომ არ შეიძლება ყოველგვარ ჭორს დავუჯეროთ». როცა ბურჟუაზიული ისტორიკოსი იწყებს ასეთ ლაპარაკს, ჩვენ ვხედავთ, რომ ის სიცრუეც, რომელიც ჩვენ შესახებ ვრცელდება, იწყებს გაფანტვას.

ჩვენ ვამბობთ: ჩვენ თავს მოგვახვიეს ტერორი. ივიწყებენ, რომ ტერორიზმი გამოწვეული იყო საქვეყნოდ-ძლიერი ანტანტის შემოსევით. განა ეს ტერორი არ არის, როცა მსოფლიო ფლოტი ბლოკადას უქმნის მშიერ ქვეყანას? განა ეს ტერორი არ არის, როცა უცხოეთის წარმომადგენლები, ემყარებიან რა ვითომ დიპლომატიურ ხელუხლებლობას, აწყობენ თეთრგვარდიელთა აჯანყებებს? საჭიროა, მაინც, საქმეს შევხედოთ თუნდაც რამდენადმე ფხიზლად. ხომ უნდა გვესმოდეს, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმმა რევოლუციის ჩასახშობად ყველაფერი სასწორზე დადო, ის არაფერს ზოგავს და ამბობს: «ერთ ოფიცერში — ერთი კომუნისტი, და ჩვენ მოვიგებთო!». და ისინი მართალი არიან. ჩვენ რომ გვესინჯა ამ ჯარებზე, რომლებიც შექმნა საერთაშორისო მტაცებლობამ და გამხეცებული არიან ომის გამო, გვემოქმედნა სიტყვით, დარწმუნებით, ზეგავლენა მოგვეხდინა როგორმე სხვანაირად, არა ტერორით, ორ თვესაც ვერ გავძლებდით, სულელები ვიქნებოდით. ტერორი თავს მოგვახვია ანტანტის ტერორიზმმა, საქვეყნოდ-ძლიერი კაპიტალიზმის ტერორმა, რომელიც ახრჩობდა, ახრჩობს და შიმშილით სიკვდილს უმზადებს მუშებსა და გლეხებს იმიტომ, რომ ისინი იბრძვიან თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისათვის. და ტერორის ამ პირველმიზეზსა და მიზეზზე ჩვენი გამარჯვების ყოველ ნაბიჯს აუცილებლად და მუდამ მოჰყვება ის, რომ ჩვენს მართვა-გამგეობაში აღარ მივმართავთ დარწმუნებისა და ზემოქმედების ამ საშუალებას.

რასაც ჩვენ ტერორიზმზე ვამბობთ, იმასვე ვიტყვით ყველა მერყეევი ელემენტისადმი ჩვენი დამოკიდებულების შესახებაც. ჩვენ ბრალს გვდებენ იმაში, რომ წარმოუდგენლად მძიმე პირობები შევქმენით საშუალო ადამიანებისათვის, ბურჟუაზიული ინტელიგენციისათვის. ჩვენ ვამბობთ: იმპერიალისტური ომი იმპერიალისტური პოლიტიკის გაგრძელება იყო, ამიტომ მან გამოიწვია რევოლუცია. იმპერიალისტური ომის დროს ყველა გრძნობდა, რომ ბურჟუაზია მას აწარმოებს თავისი მტაცებლური ინტერესების გულისათვის, რომ ამ ომში ხალხი იღუ-

პება, ხოლო ბურჟუაზია მდიდრდება. ეს არის ძირითადი მოტივი, რომლითაც გამსჭვალულია მთელი მისი პოლიტიკა ყველა ქვეყანაში, და ეს ღუპავს მას და დაღუპავს ბოლომდე. ხოლო ჩვენი ომი არის რევოლუციის პოლიტიკის გაგრძელება, და ყოველმა მუშამ და გლეხმა იცის, ხოლო თუ არ იცის, ის ინსტინქტით გრძნობს და ხედავს, რომ ეს არის ომი, რომელიც წარმოებს ექსპლოატატორებისაგან დაცვისათვის, ომი, რომელიც ყველაზე მეტ მსხვერპლს აკისრებს მუშებსა და გლეხებს, მაგრამ არაფრის წინაშე არ ჩერდება, რომ ეს მსხვერპლი სხვა კლასებსაც დააკისროს. ჩვენ ვიცით, რომ ეს მათთვის უფრო მძიმეა, ვიდრე მუშებისა და გლეხებისათვის, იმიტომ რომ ისინი ეკუთვნოდნენ პრივილეგიურ კლასს. მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ, როცა საქმე ეხება იმას, რომ ექსპლოატაციისაგან გავათავისუფლოთ მილიონობით მშრომელი, მაშინ მთავრობა, რომელიც შეჩერდებოდა მსხვერპლის სხვა კლასებისათვის დაკისრების წინაშე, იქნებოდა არა სოციალისტური, არამედ მოღალატური მთავრობა. თუ ჩვენ სიმძიმეს საშუალო კლასებს ვაკისრებდით, ეს იმიტომ, რომ ანტანტის მთავრობებმა გაუგონრად მძიმე პირობებში ჩაგვაყენეს. და ჩვენი გამარჯვების ყოველ ნაბიჯს, — ამას ჩვენ ვხედავთ ჩვენი რევოლუციის გამოცდილებიდან, მხოლოდ მე არ შემიძლია ამაზე დეტალურად შევჩერდე, — თან ახლავს ის, რომ მთელი მერყეობისა და უკან დაბრუნების მრავალრიცხოვანი ცდის შემდეგ, მერყევი ელემენტების წარმომადგენელთა სულ უფრო და უფრო მეტი რიცხვი რწმუნდება იმაში, რომ მართლაც არ არსებობს სხვა არჩევანი, თუ არა არჩევანი მშრომელთა დიქტატურასა და ექსპლოატატორთა ძალაუფლებას შორის. თუ ამ ელემენტებისათვის მძიმე ხანა იყო, ამაში დამნაშავეა არა ბოლშევიკური ხელისუფლება, არამედ დამნაშავენი არიან თეთრგვარდიელები, დამნაშავეა ანტანტა, და მათზე გამარჯვება ყველა ამ კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების ნამდვილი და მტკიცე პირობა იქნება. ამ მხრივ, ამხანაგებო, მე მინდა, გადავდივარ რა ქვეყნის შიგნით პოლიტიკური გამოცდილების გაკვეთილებზე,

რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ომს.

ჩვენი ომი რევოლუციის პოლიტიკის, ექსპლოატატორების, კაპიტალისტებისა და მემამულეების დამხობის პოლიტიკის გაგრძელებაა. ამიტომ ჩვენი ომი, თუმცა ის უსაზღვროდ მძიმეა, ჩვენკენ იზიდავს მუშებისა და გლეხების სიმპათიებს. ომი არის არა მარტო პოლიტიკის გაგრძელება, იგი არის პოლიტიკის შეჯამება, პოლიტიკის სწავლება ამ გაუგონრად მძიმე ომში, რომელიც თავს დაგვატეხეს მემამულეებმა და კაპიტალისტებმა საქვეყნოდ-ძლიერი ანტანტის დახმარებით. ამ ცეცხლში მუშებმა და გლეხებმა ბევრი რამ ისწავლეს. მუშებმა ისწავლეს, თუ როგორ გამოიყენონ სახელმწიფო ძალაუფლება და როგორ შექმნან ყოველი ნაბიჯიდან პროპაგანდისა და განათლების წყარო, როგორ გადააქციონ ეს წითელი არმია, რომელშიც უმრავლესობა გლეხებია, გლეხობის განათლების იარაღად, როგორ გადააქციონ წითელი არმია ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოყენების იარაღად. ჩვენ ვიცით, რომ ამ ბურჟუაზიული სპეციალისტების უდიდესი უმრავლესობა ჩვენი წინააღმდეგია, — და მათი უდიდესი უმრავლესობა კიდევაც უნდა იყოს ჩვენი წინააღმდეგი, — რადგან აქ თავს იჩენს მათი კლასობრივი ბუნება, და ამ მხრივ ჩვენ არავითარი ეჭვი არ გვეპარება. ეს სპეციალისტები ჩვენ გვლალატობდნენ ასობით და ათასობით, ხოლო გვემსახურებოდნენ სულ უფრო და უფრო ერთგულად ათი ათასობით, იმიტომ, რომ თვით ბრძოლის მსვლელობაში გვემხრობოდნენ ისინი, იმიტომ, რომ ის რევოლუციური ენთუზიაზმი, რომელიც სასწაულებს ახდენდა წითელ არმიაში, წარმოსდგებოდა იმისაგან, რომ ჩვენ ვემსახურებოდით და ვაკმაყოფილებდით მუშებისა და გლეხების ინტერესებს. ეს ვითარება ერთსულოვნად მოქმედი მუშათა და გლეხთა მასისა, რომელმაც იცოდა, თუ რისთვის იბრძოდა, თავის საქმეს აკეთებდა, და იმ ადამიანთა სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი, რომლებიც გადმოდიოდნენ ჩვენს მხარეზე სხვა ბანაკიდან, ზოგჯერ შეუგნებლად, ხდებოდა და ხდება ჩვენ შეგნებულ მომხრეებად.

ამხანაგებო, ახლა ჩვენ წინაშე დგას ამოცანა — ის გამოცდილება, რომელიც შევიძინეთ ჩვენს სამხედრო მუშაობაში, გადავიტანოთ მშვიდობიანი მშენებლობის სფეროში. არაფერი არ ავსებს ჩვენს გულს ისეთი სიხარულით და არ გვაძლევს ისეთ შესაძლებლობას მივესალმოთ საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობას, როგორც შემობრუნების პუნქტი საბჭოთა რუსეთის ისტორიაში, როგორც ის, რომ განვლილია იმ სამოქალაქო ომების მთავარი ხანა, რომელთაც ჩვენ ვაწარმოებდით, და წინა გვაქვს მთავარი ხანა იმ მშვიდობიანი მშენებლობისა, რომელიც ჩვენ გვიტაცებს, რომელიც ჩვენ გვსურს, რომელიც ჩვენ უნდა შევქმნათ და რომელსაც ჩვენ შევწირავთ მთელ ჩვენს ძალ-ღონეს და მთელ ჩვენს სიცოცხლეს. ახლა ომის მძიმე განსაცდელთა საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძირითადად, სამხედრო და საერთაშორისო მხრივ, ჩვენ გამარჯვებული აღმოვჩნდით. ჩვენ წინაშე იხსნება მშვიდობიანი მშენებლობის გზა. რა თქმა უნდა, საჭიროა გვახსოვდეს, რომ მტერი ყოველ ნაბიჯზე გვიდარაჯებს და კიდევ მრავალჯერ შეეცდება ჩამოგვაგდოს ყოველნაირი საშუალებით, რომელიც კი მას შეიძლება აღმოაჩნდეს: ძალმომრეობით, მოტყუებით, მოსყიდვით, შეთქმულებებით და სხვა. ჩვენი ამოცანაა — მთელი ის გამოცდილება, რომელიც სამხედრო საქმეში შევიძინეთ, წარვმართოთ ახლა მშვიდობიანი მშენებლობის ძირითადი საკითხების გადასაჭრელად. მე დავასახელებ ამ მთავარ საკითხებს. უწინარეს ყოვლისა ეს არის ს უ რ ს ა თ ი ს ს ა კ ი თ ხ ი, პ უ რ ი ს ს ა კ ი თ ხ ი.

ჩვენ ვაწარმოებდით უმძიმეს ბრძოლას ცრურწმენისა და ჩვეულების წინააღმდეგ. გლეხი, ერთი მხრივ, არის მშრომელი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა ჩაგვრას მემამულისა და კაპიტალისტის მხრივ, მან დაჩაგრული ადამიანის ინსტინქტით იცის, რომ ესაა მხეცი, რომელიც არ დაერიდება სისხლის მორევს ძალაუფლების დასაბრუნებლად. მაგრამ, მეორე მხრივ, გლეხი არის მესაკუთრე. მას სურს თავისუფლად გაყიდოს პური, მას სურს «ვაჭრობის თავისუფლება», მას არ ესმის, რომ პურის გაყიდვის თავისუფლება მშიერ

ქვეყანაში — ეს არის სპეკულაციის თავისუფლება, გამდიდრების თავისუფლება მდიდრებისათვის. და ჩვენ ვამბობთ: ამაზე ჩვენ არასდროს არ დავთანხმდებით, ყველანი დავიხოცებით, ამას კი არ დავთმობთ.

ჩვენ ვიცით, რომ ამ საქმეში ვატარებთ ისეთ პოლიტიკას, როცა მუშები არწმუნებენ გლეხებს გასცენ პური სესხად, რადგან ქაღალდი არ არის პურის ეკვივალენტი, არ არის ტოლფასიანი. გლეხი პურს გვაძლევს მტკიცე ფასებში და ვერ ღებულობს საქონელს, რადგან იგი ჩვენ არა გვაქვს, ის ღებულობს ფერად ქაღალდებს. ის იძლევა პურს სესხად და ჩვენ ვეუბნებით: «თუ შენ მშრომელი კაცი ხარ, შეგიძლია განა ილაპარაკო იმის წინააღმდეგ, რომ ეს სამართლიანია? როგორ შეგიძლია არ დაეთანხმო იმას, რომ ნაჭარბი პური გასცე სესხად მტკიცე ფასებში და არ გაასაღო სპეკულაციის გზით, რადგან სპეკულაცია არის დაბრუნება კაპიტალიზმისაკენ, დაბრუნება ექსპლოატაციისაკენ, იმისაკენ, რის წინააღმდეგაც ჩვენ ვიბრძოდით?». ეს უდიდესი სიძნელეა, ეს დიდ მერყეობად დაგვიჯდა. ჩვენ მრავალი ნაბიჯი გადავდგით და ვდგამთ ხელის ცეცებით, მაგრამ ჩვენ შევიძინეთ ძირითადი გამოცდილება. როცა თქვენ მოისმენთ ამხ. ციურუპას ან სასურსათო დარგის სხვა მუშაკების მოხსენებას, დაინახავთ, რომ გაწერას, — როცა სახელმწიფო ეუბნება გლეხებს, რომ მათ სესხად უნდა მოგვცენ პური, — როგორ ეჩვევიან გლეხები ამ გაწერას, რომ ჩვენ გვაქვს ცნობები მთელი რიგი ვოლოსტებიდან გაწერის მთელი 100 პროცენტით შესრულების შესახებ, რომ მიუხედავად უმნიშვნელო წარმატებისა, წარმატება მაინც არის, რომ ჩვენი სასურსათო პოლიტიკა სულ უფრო და უფრო ნათლად აგებინებს გლეხს: თუ გსურს პურის ვაჭრობის თავისუფლება გაჩანაგებულ ქვეყანაში, — წადი უკან, იგემე კოლჩაკი, დენიკინი! ამის წინააღმდეგ ჩვენ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. აქ რაიმე დათმობა შეუძლებელია. ამ ძირითად საკითხში, პურის საკითხში, ჩვენ მთელი ძალ-ღონით შევეცდებით, რომ არ იქნეს სპეკულაცია, რომ პურის გაყიდვა არ ამდიდრებდეს მდიდრებს, არამედ მთელი ნაჭარბი პური, რომელიც მოდის საერთო-

სახელმწიფო მიწაზე მშრომელთა მთელი თაობების შრომით, რომ მთელი ეს ნაჭარბი პური სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენდეს, რომ ახლა, როდესაც სახელმწიფო გაღატაკებულია, ეს ნაჭარბი პური გლეხებმა სესხად მისცენ მუშურ სახელმწიფოს. თუ გლეხი ამას იზამს, ჩვენ თავს დავაღწევთ ყველა სიძნელეს, აღვადგენთ მრეწველობას, და მუშა თავის ვალს ასკეცად დაუბრუნებს გლეხს. ის უზრუნველყოფს მისთვისაც და მისი შვილებისთვისაც არსებობის შესაძლებლობას ისე, რომ არ იმუშაოს მემამულისა და კაპიტალისტისათვის. ამას ვეუბნებით გლეხს, და ისიც რწმუნდება, რომ სხვა არჩევანი არ არსებობს. ამაში ვარწმუნებთ გლეხს არა იმდენად ჩვენ, რამდენადაც ბატონი ჩვენი მოწინააღმდეგენი — კოლჩაკი და დენიკინი. ისინი ყველაზე მეტად აძლევენ გლეხს ცხოვრების ფაქტიურ გაკვეთილებს, პირს აბრუნებინებენ მას ჩვენკენ.

მაგრამ, ამხანაგებო, პურის საკითხს მოსდევს მეორე საკითხი — სათბობის შესახებ. ამჟამად დამზადების ადგილებში შეგროვილია სავსებით საკმარისი პური იმისათვის, რომ გამოვკვებოთ პიტერისა და მოსკოვის მშიერი მუშები. მაგრამ გაიარეთ მოსკოვის მუშათა უბნებში და დაინახავთ საშინელ სიცივეს, საშინელ გაჭირვებას, რაც ამჟამად გამწვავდა სათბობის საკითხის გამო. აქ ჩვენ განვიცდით საშინელ კრიზისს, აქ ჩვენ ჩამოვრჩით მოთხოვნილებას. ამ უკანასკნელ ხანებში თავდაცვის საბჭოს და სახკომსაბჭოს მთელი რიგი სხდომები მოვანდომეთ მთლიანად სათბობის კრიზისიდან თავის დასაღწევი ზომების შემუშავებას. ჩემი სიტყვისათვის ამხ. ქსანდროვმა მომაწოდა მასალა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ჩვენ დავიწყეთ ამ მწვავე კრიზისიდან თავის დაღწევა. ოქტომბრის დამდეგს ერთ კვირაში დატვირთულ იქნა 16 ათასი ვაგონი, ოქტომბრის დამლევისათვის ეს ციფრი დავიდა 10 ათასამდე კვირაში. ეს იყო კრიზისი, ეს იყო კატასტროფა, ეს იყო შიმშილი მოსკოვის, პეტროგრადის და მთელი რიგი სხვა ადგილების მთელი რიგი ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებისათვის. ამ კატასტროფის შედეგები დღემდე იჩენს თავს. შემდეგ, ჩვენ დავაწექით ამ საქმეს, დავძაბეთ მთელი

ჩვენი ძალ-ღონე, გავაკეთეთ ის, რასაც ვაკეთებდით სამხედრო საქმის მიმართ, ჩვენ ვთქვით: ყველაფერი, რაც კი რამ არის შეგნებული, ყველაფერი — სათბობის საკითხის გადასაჭრელად არა კაპიტალიზმის ძველი გზით, როცა სპეკულანტებს პრემიას აძლევდნენ და ისინი მდიდრდებოდნენ ამ საქმეზე რაიმე შეკვეთების მიღებისას, — არა, ჩვენ ვთქვით: გადაჭერით საკითხი სოციალისტური გზით, თავგანწირვის გზით, გადაჭერით იმ გზით, რომლითაც ვიხსენით წითელი პიტერი, გავათავისუფლეთ ციმბირი, რომლითაც ვიმარჯვებდით რევოლუციის ყველა ძნელ წუთში, ყველა ძნელი ამოცანის დროს და რომლითაც გავიმარჯვებთ ყოველთვის. და 12 ათას ვაგონიდან ოქტომბრის უკანასკნელ კვირაში დატვირთვა 20 ათასამდე ავიდა. ჩვენ თავს ვაღწევთ ამ კატასტროფას, მაგრამ ჯერ კიდევ შორს ვართ სრული თავდაღწევისაგან. საჭიროა ყველა მუშამ იცოდეს და დაიხსომოს, რომ თუ ხალხს არ ექნა პური, თუ მრეწველობას არ ექნა პური, ე. ი. სათბობი, ქვეყანას მოელის უბედურება. და არა მარტო ჩვენს ქვეყანას. დღევანდელი გაზეთები იტყობინებიან, რომ საფრანგეთში, გამარჯვებულ ქვეყანაში, ჩერდება რკინიგზები. რაღა უნდა ვთქვათ რუსეთზე? საფრანგეთი კრიზისს თავს დააღწევს კაპიტალისტური გზით, კაპიტალისტების გამდიდრების და მასების შეუწყვეტელი გაჭირვების გზით. საბჭოთა რუსეთი კი კრიზისს თავს დააღწევს მუშების დისციპლინისა და თავგანწირვის გზით, გლეხებისადმი მტკიცედ მოპყრობის გზით, და ამ მტკიცედ მოპყრობას გლეხი, ბოლოს და ბოლოს, ყოველთვის იგნებს. გლეხი გამოცდილებით იგნებს იმას, რომ თუმცა მძიმეა გადასვლა, მაგარია მუშათა სახელმწიფო ძალაუფლების ხელი, მაგრამ ეს არის ხელი მშრომელისა, რომელიც იბრძვის მშრომელთა მასების კავშირისათვის, ყოველგვარი ექსპლოატაციის სრული მოსპობისათვის.

გვიახლოვდება მესამე უბედურებაც — ტ ი ლ ი, პ ა რ ტ ა ხ ტ ი ა ნ ი ტ ი ფ ი, რომელიც მუსრს ავლებს ჩვენს ჯარებს. და აქ, ამხანაგებო, შეუძლებელია იმ საშინელების წარმოდგენა, რაც ხდება პარტახტიანი ტიფით მოდებულ ადგილებში, როცა

მოსახლეობა დაუძლურებულია, დასუსტებულია, მატერიალური საშუალებები არ არის, — ქრება ყოველგვარი სიცოცხლე, ყოველგვარი საზოგადოებრიობა. აქ ჩვენ ვამბობთ: «ამხანაგებო, მთელი ყურადღება ამ საკითხს. ან ტილები დაამარცხებენ სოციალიზმს, ან სოციალიზმი დაამარცხებს ტილებს!». და ამ საკითხში ჩვენ, ამხანაგებო, ვმოქმედებთ რა ასეთივე მეთოდებით, ვიწყებთ კარგი შედეგების მიღწევას. რა თქმა უნდა, კიდევ არიან ისეთი ექიმები, რომლებიც ფრთხილად და უნდობლობით უყურებენ მუშათა ხელისუფლებას და ამჯობინებენ ჰონორარი მიიღონ მდიდრებისაგან, ვიდრე მძიმე ბრძოლა გაუმართონ პარტახტიან ტიფს. მაგრამ ასეთები უმცირესობაა, ასეთები სულ უფრო და უფრო ნაკლები ხდებიან, ხოლო უმრავლესობა — ისეთებია, რომლებიც ხედავენ, რომ ხალხი იბრძვის არსებობისათვის, ხედავენ, რომ მას სურს თავისი ბრძოლით გადაჭრას ყოველგვარი კულტურის ხსნის ძირითადი საკითხი, — და ეს ექიმები ამ მძიმე და ძნელ საქმეს არანაკლები თავგანწირვით ეკიდებიან, ვიდრე რომელიც გნებავთ სამხედრო სპეციალისტი. ისინი მზად არიან მთელი თავიანთი ძალ-ღონით იმუშაონ მშრომელთათვის. უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ამ კრიზისსაც ვაღწევთ თავს. ამხ. სემაშკომ მომცა ცნობა ამ მუშაობის შესახებ. 1 ოქტომბრისათვის, ფრონტიდან მიღებული ცნობებით, იქ ჩავიდა 122 ექიმი, 467 ფერშალი. მოსკოვიდან გაგზავნილია 150 ექიმი. საფუძველი გვაქვს მოველოდეთ, რომ 15 დეკემბრისათვის ფრონტზე მივიღებთ კიდევ 800 ექიმს, რომლებიც დაგვეხმარებიან პარტახტიან ტიფთან ბრძოლაში. ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ უბედურებას.

მთავარი ყურადღება ჩვენ უნდა მივაქციოთ იმას, რომ განვამტკიცოთ ეს ჩვენი საძირკველი — პური, სათბობი, ბრძოლა პარტახტიან ტიფთან. ამხანაგებო, მე მით უფრო მინდოდა მეთქვა ამის შესახებ, რომ ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში შემჩნეული იყო ერთგვარი დაფანტულობა. ეს გასაგებია. როცა გადაწყვეტილია მთელი მსოფლიოს გარდაქმნა, სავსებით ბუნებრივია, რომ ამ მუშაობაში იზიდავენ გამოუცდელ

მუშებსა და გამოუცდელ გლეხებს. ეჭვი არ არის, რომ დიდი ხანი გავა, ვიდრე სწორად განვსაზღვრავდეთ, თუ ყველაზე უფრო რას უნდა მიექცეს ყურადღება. გასაკვირი არ არის, რომ ასეთ დიდ ისტორიულ ამოცანებს ხშირად გამოუწვევია დიდი ფანტაზიები, ხოლო დიდი ფანტაზიები წარმოიშობა ბევრ წვრილმან უხეირო ფანტაზიასთან ერთად. ბევრი შემთხვევა ყოფილა, როცა ჩვენ შენებას ვიწყებდით ზევიდან, რომელიმე პატარა ფლიგელიდან, ლავგარდანიდან, ხოლო საძირკველს საჭირო ყურადღებას არ ვაქცევდით. მინდა გაცნობოთ, როგორც ჩემი გამოცდილების, მუშაობის ჩემი დაკვირვების შედეგი, ჩემი აზრი, რომ საარსებო ამოცანა ჩვენი პოლიტიკისათვის — ამ საძირკვლის მოცემაა. საჭიროა ყოველი მუშა, ყოველი ორგანიზაცია, ყოველი დაწესებულება ეუბნებოდეს ამას თავის თავს ყოველ სხდომაზე. თუ ჩვენ მოვმარაგდებით პურით, თუ ჩვენ მივაღწევთ სათბობის რაოდენობის გადიდებას, თუ ჩვენ დავძაბავთ მთელ ჩვენს ძალ-ღონეს იმისათვის, რომ რუსეთის მიწაწყლიდან აღვგავოთ პარტახტიანი ტიფი, — უკულტურობის, სიღატაკის, სიბნელისა და უვიცობის შედეგი, — თუ ჩვენ მთელ იმ ძალებს, მთელ იმ გამოცდილებას, რომელიც შევიძინეთ სისხლისმღვრელ ომში, გამოვიყენებთ ამ უსისხლო ომში, — შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ამ საქმეში, რომელიც მაინც გაცილებით უფრო ადვილია, გაცილებით უფრო ადამიანურია, ვიდრე ომი, რომ ამ საქმეში ჩვენ უფრო და უფრო მეტ წარმატებას მოვიპოვებთ.

სამხედრო მობილიზაცია ჩვენ განვახორციელეთ. ის პარტიები, რომლებიც ჩვენი ყველაზე უფრო შეურიგებელი მტრები იყვნენ, რომლებიც ყველაზე უფრო ხანგრძლივად იცავდნენ და იცავენ კაპიტალიზმის იდეებს, როგორც, მაგალითად, ესერები, იძულებული იყვნენ ელიარებინათ, მიუხედავად ყველა იმ ბრალდებისა, რასაც უხვად გვიყენებდნენ ბურჟუაზიული იმპერიალისტები, რომ წითელი არმია სახალხო გახდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ამ უძნელეს საქმეში განვახორციელეთ მუშათა კლასის გაერთიანება გლეხობის უდი-

დეს მასასთან, რომელიც მის მხარეზე გადადიოდა, და მით ვუჩვენეთ მას, თუ რა არის მუშათა კლასის ხელმძღვანელობა.

სიტყვები «პროლეტარიატის დიქტატურა» აშინებს გლეხებს. რუსეთში ეს საფრთხობელაა გლეხებისათვის. ისინი ზურგს აქცევენ მათ, ვინც ამ საფრთხობელას მიმართავს. მაგრამ გლეხებმა იციან ახლა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა, შესაძლოა, მეტად უცნაური ლათინური სიტყვაც იყოს, მაგრამ იგი პრაქტიკულად ის საბჭოთა ხელისუფლებაა, რომელიც მუშებს გადასცემს სახელმწიფო აპარატს. ამრიგად, ეს არის მშრომელთა უერთგულესი მეგობარი და მოკავშირე და ყოველგვარი ექსპლოატაციის უაღრესად დაუნდობელი მტერი. აი რატომ დავამარცხებთ ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, ყველა იმპერიალისტს. იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ძალთა ისეთი ღრმა წყარო, ადამიანთა მასალის ისეთი ფართო და ღრმა რეზერვუარი, რომელიც არა აქვს და არსად არ ექნება არც ერთ ბურჟუაზიულ მთავრობას. ჩვენ გვაქვს ის მასალა, რომლიდანაც შეგვიძლია ვისაზრდოოთ სულ უფრო ქვევით და უფრო ღრმად, გადავიდეთ არა მარტო მოწინავე მუშებიდან საშუალოებზე, არამედ უფრო ქვევითაც — მშრომელ, ღარიბ და უღარიბეს გლეხებზე. უკანასკნელ დროს პეტროგრადელი ამხანაგები ლაპარაკობდნენ, რომ პიტერმა გამოჰყო ყველა თავისი მუშაკი და მეტის გამოყოფა აღარ შეუძლიაო. ხოლო როცა დადგა კრიზისული მომენტი, პიტერი გასაოცარი აღმოჩნდა, როგორც სამართლიანად თქვა ამხ. ზინოვიევმა, აღმოჩნდა ისეთი ქალაქი, რომელმაც თითქოს შობა ახალი ძალები. ის მუშები, რომლებიც საშუალოებზე დაბლა ითვლებოდნენ, რომელთაც არ ჰქონდათ არავითარი სახელმწიფო და პოლიტიკური გამოცდილება, წელში გასწორდნენ და მოგვცეს აურაცხელი მუშაკი პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციისათვის, მოახდინეს ახალ-ახალი სასწაულები. ეს წყარო ახალ-ახალი სასწაულებისათვის ჩვენ კიდევ ძალზე ბევრი გვაქვს. მუშაობაში ჯერ ჩაუბმელი მუშებისა და გლეხების ყოველი ახალი ფენა, ეს არის ჩვენი უერთგულესი მეგობრები და მოკავშირეები. ჩვენ ამჟამად ძალიან ხშირად გვიხდება სახელმწიფოს მართვის დროს

დავემყაროთ მოწინავე მუშების მეტად თხელ ფენას. ჩვენ ისევ და ისევ უნდა მივმართოთ უპარტიოებს როგორც ჩვენს პარტიულ მუშაობაში, ისე ჩვენს საბჭოთა პრაქტიკაში, უფრო და უფრო გაბედულად მივმართოთ უპარტიო მუშებს და გლეხებს, არა იმ მიზნით, რომ ერთბაშად მოვიმხროთ ისინი, ჩავაბათ ჩვენს პარტიაში, — ამას არა აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა, — არამედ იმ მიზნით, რომ გავაღვიძოთ მათში იმის შეგნება, რომ ქვეყნის ხსნისათვის საჭიროა მათი დახმარება. აი როცა მათ, ვისაც მემამულეები და კაპიტალისტები ყველაზე ნაკლებ იყენებდნენ სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში, როცა მათ გავუღვიძებთ იმის შეგნებას, რომ ჩვენ მოვუწოდებთ მათ ჩვენთან ერთად აშენონ სოციალისტური რესპუბლიკის მტკიცე საძირკველი, მაშინ ჩვენი საქმე საბოლოოდ უძლეველი იქნება.

აი ორი წლის გამოცდილების საფუძველზე რატომ შეგვიძლია გითხრათ აბსოლუტური დარწმუნებით, რომ ყოველი ნაბიჯი ჩვენს სამხედრო გამარჯვებებში უდიდესი სისწრაფით მოაახლოებს იმ დროს, — რომელიც ახლა უკვე სულ ახლოსაა, — როცა მთლიანად მოვანდომებთ ჩვენს ძალ-ღონეს მშვიდობიან მშენებლობას. იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც ჩვენ შევიძინეთ, შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ მშვიდობიანი მშენებლობის ამ საქმეში ჩვენ უახლოეს წლებში შეუდარებლად მეტ სასწაულებს მოვახდენთ, ვიდრე მოვახდინეთ საქვეყნოდ-ძლიერი ანტანტის წინააღმდეგ ძლევამოსილი ომის ამ ორი წლის განმავლობაში. (ტ ა შ ი.)

ამხანაგებო, დასასრულ ნება მომეცით გაგაცნოთ იმ რეზოლუციის პროექტი, რომელიც შემომაქვს:

«რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას სურს მშვიდობიანად იცხოვროს ყველა ხალხთან და მთელი თავისი ძალები მიმართოს შინაურ მშენებლობაზე, რათა საბჭოთა წყობილების ნიადაგზე მოაგვაროს წარმოება, ტრანსპორტი და საზოგადოებრივი მართვა-გამგეობა, რასაც დღემდე ხელს უშლიდა ანტანტის ჩარევა და შიმშილის ბლოკადა.

მუშურ-გლეხურ მთავრობას არა ერთხელ შეუთავაზებია ზავი ანტანტის სახელმწიფოებისათვის, სახელდობრ: 1918 წ. 5 აგვისტოს — საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიმართვა ამერიკის წარმომადგენლის ბ-ნ პულისადმი; 1918 წ. 24 ოქტომბერს — პრეზიდენტ ვილსონისადმი; 1918 წ. 3 ნოემბერს — შეთანხმების ყველა სახელმწიფოსადმი ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთა მეშვეობით; 1918 წ. 7 ნოემბერს — საბჭოების სრულიად რუსეთის VI ყრილობის სახელით; 1918 წ. 23 დეკემბერს — ლიტვინოვის ნოტა სტოკჰოლმში ანტანტის ყველა წარმომადგენლისადმი; შემდეგ 1919 წ. 12 იანვრის, 17 იანვრის, 4 თებერვლის მიმართვები და პროექტი ხელშეკრულებისა ბულიტთან 1919 წ. 12 მარტს; 1919 წ. 7 მაისს — ნანსენის მეშვეობით.

სავსებით იწონებს რა სახალხო კომისართა საბჭოს და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ყველა ამ ნაბიჯს, საბჭოების VII ყრილობა კვლავ ადასტურებს თავის ურყევ მისწრაფებას ზავისადმი, კიდევ ერთხელ მიმართავს ანტანტის ყველა სახელმწიფოს — ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, იტალიას, იაპონიას, ყველას ერთად და ცალ-ცალკე, დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება ზავის შესახებ და ავალებს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს სისტემატურად განაგრძონ ეს მშვიდობიანი პოლიტიკა და მიიღონ ყოველგვარი ზომები მისი წარმატებისათვის».

---

2

## საბოლოო სიტყვა სრ. რუს. ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს მოხსენების გამო 6 დეკემბერს

(ხმები: «გაუმარჯოს ამხანაგ ლენინს! ვაშა!». ტაში.) ამხანაგებო! მე ვფიქრობ, რომ მარტოვმა თავისი სიტყვით და დეკლარაციით იმის მეტისმეტად თვალსაჩინო ნიმუში მოგვცა, თუ როგორ უყურებენ საბჭოთა ხელისუფლებას ის ჯგუფები და პარტიები, რომლებიც წინათაც ეკუთვნოდნენ და ახლაც ეკუთვნიან II ინტერნაციონალს, რომლის წინააღმდეგ ჩვენ ახლა კომუნისტური ინტერნაციონალი დავაარსეთ. ყოველ თქვენგანს თვალში მოხვდა განსხვავება მარტოვის სიტყვასა და მის დეკლარაციას შორის, — განსხვავება, რომელიც ამხ. სოსნოვსკიმაც კი ხაზგასმით აღნიშნა, როცა პრეზიდიუმიდან მარტოვს შენიშნა: «ეს თქვენი დეკლარაცია შარშანდელი ხომ არ არისო?». მართლაც, მარტოვის სიტყვა, უეჭველად, 1919 წელს, მის დამლევს ეკუთვნის, დეკლარაცია კი ისეა შედგენილი, რომ მასში ჩვენ ვხედავთ იმის სრულ განმეორებას, რასაც ისინი ამბობდნენ 1918 წელს. (ტაში.) და როცა მარტოვმა სოსნოვსკის ამ შენიშვნაზე უპასუხა, რომ ეს დეკლარაცია «უკუნითი უკუნისამდეაო», მე მაინც აქ ნებას მივცემ ჩემს თავს დავიცვა მენშევიკები მარტოვისაგან. (ტაში, სიცილი.) რადგან მე, ამხანაგებო, მენშევიკების განვითარებას და მათ საქმიანობას, ვგონებ, უფრო დიდხანს და მეტი ყურადღებით ვადევნებდი თვალს, — რაც არც ისე სასიამოვნო იყო, — ვიდრე სხვა ვინმე. და ამ თხუთმეტი წლის დაკვირვების საფუძველზე მე ვამტკიცებ, რომ ეს დეკლარაცია არათუ

«უკუნითი უკუნისამდე», არამედ ერთ წელიწადსაც ვერ იარსებებს (ტ ა შ ი), იმიტომ რომ მენშევიკების მთელი განვითარება, განსაკუთრებით ისეთ დიად მომენტში, რომელიც რუსეთის რევოლუციის ისტორიაში დაიწყო, გვიჩვენებს: უდიდეს მერყეობას მათში, რაც საერთოდ და მთლიანად იმაში მდგომარეობს, რომ მენშევიკები დიდი გაჭირვებით, თავისდაუნებურად, შორდებიან ბურჟუაზიასა და მის ცრურწმენას. ისინი ბევრჯერ ფეხს ითრევენ, მაგრამ მაინც უახლოვდებიან — ძალიან ნელა, მაგრამ მაინც უახლოვდებიან — პროლეტარიატის დიქტატურას; ერთი წლის შემდეგ ისინი კიდევ რამდენიმე ნაბიჯს გადადგამენ, — ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ. და ამ დეკლარაციის განმეორება შეუძლებელი გახდება, რადგან, თუ ამ დეკლარაციას მოაცლით საერთო დემოკრატიული ფრაზებისა და პარლამენტური გამოთქმების გარსს, რაც სასახელო იქნებოდა პარლამენტური ოპოზიციის ყოველი ბელადისათვის, თუ უკუაგდებთ ამ სიტყვებს, რომლებიც ბევრს მოსწონს, ჩვენ კი მოსაწყენად მიგვაჩნია, და საქმის ნაძდვილ არსს აიღებთ, მთელი დეკლარაცია ერთ რამეს ამბობს: უკან, ბურჟუაზიული დემოკრატიისაკენ და მეტი არაფერი. (ტ ა შ ი.) და აი, როცა ასეთი დეკლარაციები გვესმის იმ ადამიანებისგან, რომლებიც წინათ თანაგრძნობას გვიცხადებდნენ, ვამბობთ: არა, ტერორიც და საგანგებო კომისიაც — აბსოლუტურად აუცილებელი რამაა. (ტ ა შ ი.)

ამხანაგებო, თქვენ რომ არ დამწამოთ ახლა ან ვინმე სხვამ არ დამწამოს, თითქოს შარს ვდებდე ამ დეკლარაციას, მე, პოლიტიკური ფაქტების საფუძველზე, ვამტკიცებ, რომ ასეთ დეკლარაციას ახლა ორივე ხელს მოაწერს მემარჯვენე მენშევიკიც და მემარჯვენე ესერიც. ამის დამამტკიცებელი საბუთი მე მაქვს. მემარჯვენე ესერების პარტიის საბჭო, მემარჯვენე ესერებისა, რომელთაც ვოლსკი და მისი ჯგუფი იძულებული იყო გამოსთიშოდა, — ვოლსკი, დამფუძნებელი კრების კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც თქვენ მოუსმინეთ ტრიბუნიდან, — მიმდინარე წელს შემდგარი მემარჯვენე ესერების საბჭო ადგენს, რომ მათ სურთ შეუერთდნენ მენშევიკების

პარტიას, რომელსაც ესერები თავიანთ მახლობლად თვლიან. რატომ? იმიტომ, რომ ისეთი რამეების დაბეჭდვას, რაც დეკლარაციაში და მენშევიკურ გამოცემებშია (რომლებიც თითქოს წმინდა თეორიული ხასიათისაა და რომელთა დაბეჭდვას ჩვენ თითქოს ამაოდ ვკრძალავთ, როგორც ამბობდა ბუნდის წარმომადგენელი, გვისაყვედურებდა რა იმას, რომ ჩვენ არა გვაქვს პრესის სრული თავისუფლება), ასეთი რამეების დაბეჭდვას იცავენ მემარჯვენე ესერები, რომლებიც სოლიდარული არიან მენშევიკებთან, რომელთა დეკლარაცია მთლად იმავე პრინციპებზეა აგებული, როგორც მემარჯვენე ესერების დეკლარაცია. ამავე დროს, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, ვოლსკის ჯგუფი იძულებული გახდა გამოსთიშოდა. აი ის დომხალი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ აქ ჩვენ კი არ ვემიზეზებით მენშევიკებს, არამედ საქმეთა ნამდვილი ვითარება, — რის მაგალითსაც გვაძლევს ესერების უმცირესობის ჯგუფი. აქ მართებულად მოიგონეს მენშევიკი როზანოვი, რომელსაც მარტოვი და პარტია უთუოდ გარიცხავდნენ, ამ დეკლარაციას კი ხელს მოაწერენ ესერებიც და მენშევიკებიც.

მაშასადამე, მათში დღემდე არსებობს ორი სხვადასხვა მიმდინარეობა, რომელთაგან ერთი ნანობს, ცრემლებს აფრქვევს, თანაუგრძნობს და თეორიულად დემოკრატიზმისაკენ დაბრუნებას ლამობს, ხოლო მეორე მოქმედებს. მარტოვი ამაოდ ამბობს, თითქოს მე თავს ვიმართლებდი ტერორიზმის საკითხში. უკვე მარტო ეს გამოთქმა გვიჩვენებს, რა უსაზღვროდ შორსაა ჩვენგან წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის შეხედულებანი და რა ახლოსაა ეს შეხედულებები II ინტერნაციონალთან. ნამდვილად ეს შეხედულებები სრულიად არაფერს შეიცავენ სოციალისტურს, სწორედ პირიქით. როცა სოციალიზმი მოგვიახლოვდა, კვლავ ძველ ბურჟუაზიულ შეხედულებებს გვიქადაგებენ. მე თავს კი არ ვიმართლებდი, არამედ ვლაპარაკობდი სპეციალური პარტიის შესახებ, რომელიც ომმა შექმნა, იმ ოფიცრების პარტიის შესახებ, რომლებსაც მეთაურთა თანამდებობანი ეჭირათ იმპერიალისტური ომის დროს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ამ ომში და იციან, თუ რა

არის პრაქტიკული პოლიტიკა. როცა გვეუბნებიან: «თქვენი საგანგებო კომისია ან უნდა გააუქმოთ, ან უკეთ უნდა მოაწყოთო», ჩვენ, ამხანაგებო, ვუპასუხებთ: ჩვენ არ ვიჩემებთ, რომ ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ — საუცხოოა, და ყოველთვის მზადა ვართ და მოხარული ვართ ვისწავლოთ. მაგრამ როცა დამ_ფუძნებელი კრების ყოფილი წევრები გვასწავლიან, თუ როგორ დავიცვათ თავი მემამულეებისა და თეთრგვარდიელების ნაშიერთაგან და ოფიცრებისაგან, ჩვენ მათ ვუპასუხებთ: თქვენ ხომ ხელისუფლების სათავეში იყავით და კერენსკისთან ერთად კორნილოვის წინააღმდეგ იბრძოდით, კოლჩაკთანაც იყავით, და იქიდან სწორედ იგივე თეთრგვარდიელები უბრძოლველად, ბავშვებივით, გერეკებოდნენ. და ამის შემდეგ კიდევ ამბობთ, რომ ჩვენი საგანგებო კომისია ცუდად არის მოწყობილი! (ტ ა შ ი.) არა, ჩვენი საგანგებო კომისია საუცხოოდ არის მოწყობილი. (ტ ა შ ი.) და როცა ბატონი შეთქმულები ახლა გერმანიაში დასცინიან მუშებს, როცა იქ ოფიცრები ფელდმარშლების მეთაურობით გაიძახიან: «ძირს ბერლინის მთავრობაო», როცა იქ დაუსჯელად კლავენ კომუნისტების ბელადებს და თეთრგვარდიელები აბუჩად იგდებენ II ინტერნაციონალის ბელადებს და ისე ეპყრობიან მათ, როგორც ბიჭბუჭებს, ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ეს შემთანხმებლური მთავრობა სათამაშოდ გაუხდია შეთქმულთა ჯგუფს. და როცა თვალწინ ასეთი მაგალითი გვაქვს, როცა ჩვენ ეს-ეს არის გამოვდივართ გზაზე, ეს ადამიანები გვეუბნებიან: «თქვენი ტერორი გადაჭარბებულიაო». მერე რამდენი კვირაა, რაც შეთქმულება აღმოვაჩინეთ პეტროგრადში [52]? რამდენი კვირაა, რაც იუდენიჩი რამდენიმე ვერსზე იდგა პეტროგრადიდან, ხოლო დენიკინი ორიოლიდან? ამ მერყეევი პარტიების და მერყეევი დემოკრატიის წარმომადგენლები გვეუბნებიან: «ჩვენ მოხარული ვართ, რომ იუდენიჩი და კოლჩაკი დამარცხდნენო». მე სავსებით მწამს, რომ ისინი მოხარული არიან, რადგან იციან, რა მოელოდათ მათაც იუდენიჩისა და კოლჩაკისგან. (ტ ა შ ი.) მე ეჭვი არ მეპარება ამ ადამიანთა გულწრფელობაში. მაგრამ ვეკითხები მათ: როცა საბჭოთა ხელისუფლება მძიმე წუთებს განიცდის, როცა

ბურჟუაზიული ელემენტები შეთქმულებებს აწყობენ და როცა კრიზისულ მომენტში ხერხდება ამ შეთქმულებათა გახსნა, — რა არის ეს, ამ შეთქმულებების გახსნა სრულიად შემთხვევითია? არა, არ არის შემთხვევითი. ამ შეთქმულებათა გახსნა იმიტომ ხერხდება, რომ შეთქმულებს უხდებათ მასებს შორის ცხოვრება, იმიტომ რომ მათ არ შეუძლიათ უმუშებოდ და უგლეხებოდ მოაწყონ ეს შეთქმულება, აქ კი ისინი ბოლოს და ბოლოს ყოველთვის აწყდებიან ადამიანებს, რომლებიც მიდიან ამ, როგორც აქ ამბობენ, ცუდად მოწყობილ საგანგებო კომისიაში და ამბობენ: «იქ ექსპლოატატორები შეკრებილანო». (ტ ა შ ი.) ამიტომ მე ვამბობ, რომ, როცა საშინელი საფრთხის აცილების შემდეგ, ყველასათვის დასანახი შეთქმულების დროს, მოდიან ჩვენთან და გვეუბნებიან, რომ კონსტიტუციას არ იცავთ, რომ საგანგებო კომისია ცუდადაა მოწყობილია, აქ შეიძლება ითქვას, რომ ამ ადამიანებმა თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში პოლიტიკა ვერ ისწავლეს, ისინი კერენსკისთან, იუდენიჩთან და კოლჩაკთან მიღებულ გამოცდილებას ვერ ჩაუფიქრდნენ და იქიდან რაიმე პრაქტიკული დასკვნის გამოტანის უნარი არ შესწევთ. და რამდენადაც თქვენ, ბატონებო, იწყებთ იმის შეგნებას, რომ კოლჩაკი და დენიკინი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ, რომ საჭიროა არჩევანი მოახდინოთ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, იმდენად დროა «უკუნითი უკუნისამდე» მიატოვოთ მარტოვის დეკლარაცია. (ს ი ც ი ლ ი.) კონსტიტუციაში გათვალისწინებულია ჩვენი ორი წლის ხელისუფლების მთელი გამოცდილება, ურომლისოდაც, როგორც ჩემს სიტყვაში განვაცხადე, და რის უარყოფა არც კი უცდიათ აქ, — ურომლისოდაც ჩვენ ვერ გავძლებდით არათუ ორ წელს, არამედ ორ თვესაც. დაე სცადოს ამის უარყოფა ვინმემ, ვინც მოისურვებს რამდენადმე ობიექტურად მიუდგეს საბჭოთა ხელისუფლებას, თუნდაც ისტორიკოსის, და არა პოლიტიკური მოღვაწის, თვალსაზრისით, რომელსაც სურს ლაპარაკი მუშათა მასებთან, მათთან ერთად მოქმედება და მათზე გავლენის მოხდენა.

გვეუბნებიან: საბჭოები იშვიათად იკრიბებიან, მათი ხელახალი არჩევნები საკმაოდ ხშირად არ ხდებაო. მე ვფიქრობ, ასეთ საყვედურს სიტყვებით და რეზოლუციებით კი არ უნდა ვუპასუხოთ, არამედ საქმით. ჩემი აზრით, ამის საუკეთესო პასუხი იქნება ის, თუ თქვენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებულ მუშაობას იმის შესაჯამებლად, თუ საბჭოების რამდენი სამაზრო და საქალაქო ხელახალი არჩევნები მოხდა ადგილებზე, საბჭოების რამდენი ყრილობა მოხდა და სხვ., — თუ თქვენ ამ მუშაობას დაამთავრებთ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ვლადიმირსკიმ გამოაქვეყნა ამ ყრილობათა ისტორიის მასალა. როცა მე ეს მასალა ვნახე, ვთქვი: აი ისტორიული მასალა, რომელიც, სხვათა შორის, ამტკიცებს, რომ ცივილიზებული ერების ისტორიაში ჯერ არ ყოფილა არც ერთი ქვეყანა, სადაც პროლეტარული დემოკრატია ისე ფართოდ გამოეყენებინოთ, როგორც ჩვენში, რუსეთში. თუ გვეუბნებიან, რომ საბჭოების ხელახალ არჩევნებს იშვიათად ვახდენთ, რომ ყრილობებს იშვიათად ვიწვევთ, მე ვთხოვ ყოველ დელეგატს იშუამდგომლოს სათანადო ორგანოს წინაშე, რომ ჩვენ ამ ყრილობაზე გავავრცელოთ კიდევ დამატებითი საანკეტო, შეკითხვის ფურცელი, და მასში თვითეულმა დელეგატმა ჩაწეროს: რომელ თვეში, რიცხვსა და წელიწადში და რომელ მაზრაში, ქალაქსა და სოფელში იკრიბებოდნენ საბჭოების ყრილობები. თუ თქვენ ამ იოლ სამუშაოს შეასრულებთ და ყოველი თქვენგანი ასეთ შეკითხვის ფურცელს შეავსებს, მიიღებთ მასალას, რომელიც შეავსებს ჩვენს არასრულ ცნობებს და დაგიმტკიცებთ, რომ ისეთ მძიმე დროს, როგორიც ომიანობის დროა, როცა საუკუნეების განმავლობაში შემოღებული, დასავლეთ ევროპელი ადამიანისათვის ჩვეულებად ქცეული ევროპული კონსტიტუციების მოქმედება თითქმის მთლიანად შეჩერებული იყო, ამ დროს საბჭოთა კონსტიტუციას მართვა-გამგეობაში ხალხის მასების მონაწილეობის მიღების, ყრილობებზე და საბჭოებში მართვა-გამგეობის საქმეების დამოუკიდებლად გადაწყვეტის აზრით და ხელახალ არჩევნებში ისე ფართოდ იყენებდნენ ადგილებზე, როგორც

არსად დედამიწის ზურგზე. ხოლო თუ გვეუბნებიან, რომ ეს ცოტაა, თუ გვაკრიტიკებენ და ამტკიცებენ, რომ «თუ თქვენი ცაკ-ი არ იკრიბებოდა, ეს მართლაც საშინელი დანაშაულიაო», ამხ. ტროცკიმ ბუნდის წარმომადგენელ ქალს ამაზე მშვენივრად უპასუხა, როცა უთხრა, ცაკ-ი ფრონტზე იყოო. ამაზე ბუნდის წარმომადგენელმა,—იმ ბუნდისა, რომელიც საბჭოთა პლატფორმაზე დადგა და რომელმაც ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, მართლაც გაიგო, ბოლოს და ბოლოს, რა არის საბჭოთა ხელისუფლების საფუძველი, — ბუნდის წარმომადგენელმა ქალმა — მე ჩავწერე მისი პასუხი — თქვა: «ეს კურიოზია, რომ ცაკ-ი ფრონტზე ყოფილა, მას შეეძლო სხვები გაეგზავნაო».

ჩვენ ბრძოლას ვაწარმოებთ კოლჩაკის, დენიკინისა და სხვების წინააღმდეგ — ისინი ცოტანი როდი იყვნენ! დამთავრდა იმით, რომ რუსეთის ჯარებმა ისინი დაიფრინეს როგორც ბავშვები. ჩვენ მძიმე ძლევამოსილ ბრძოლას ვაწარმოებთ. თქვენ იცით, რომ ყოველი შემოსევის დროს ჩვენ იძულებული ვიყავით ცაკ-ის ყველა წევრი ფრონტზე გადაგვესროლა, ჩვენ კი გვიპასუხებენ: «ეს კურიოზია, სხვები უნდა მოგენახათო». განა ჩვენ დროისა და სივრცის გარეშე ვმოქმედებდით? ანდა ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე კომუნისტი ვბადოთ (ტ ა შ ი) კვირაში? ჩვენ ეს არ შეგვიძლია: ისეთი მუშები, რომლებიც გამოწრთობილი არიან რამდენიმე წლის ბრძოლაში, რომლებსაც გამოცდილება აქვთ მიღებული და შეუძლიათ ხელმძღვანელობა, — ასეთი მუშები ჩვენ, ამხანაგებო, უფრო ნაკლები გვყავს, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანას. მუშური ახალგაზრდობის, კურსანტების, მოსამზადებლად ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ, და ამისათვის რამდენიმე თვე, შეიძლება რამდენიმე წელიწადიც დაგვჭირდეს. და როცა ეს მეტისმეტად ძნელ პირობებში ხდება, ამაზე ჩვენ ღიმილით გვიპასუხებენ. ეს ღიმილი მხოლოდ ამ პირობების სრულ გაუგებლობას ამტკიცებს. ეს, მართლაც, სასაცილო ინტელიგენტური გაუგებლობაა, როცა გვაიძულებენ ამ ომიანობის პირობებში ისე არ ვიმოქმედოთ, როგორც დღემდე ვმოქმედებდით.

ჩვენ უკიდურესად უნდა დავძაბოთ ძალები, და ამიტომ საუკეთესო მუშაკები და ცაკ-ისა და აღმასკომების წევრები ფრონტზე უნდა გავგზავნოთ. დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი ადამიანი, რომელსაც მართვა-გამგეობის რაიმე პრაქტიკული გამოცდილება აქვს, არათუ არ გაგვიცხავს, არამედ მოგვიწონებს იმას, რომ ჩვენ მაქსიმუმი გავაკეთეთ იმისათვის, რათა აღმასკომებთან არსებული კოლეგიალური დაწესებულებები მინიმუმამდე დაგვეყვანა, იმიტომ რომ ომის გავლენით მათ მაგივრად დარჩა მხოლოდ აღმასკომი, იმიტომ რომ მუშაკები ფრონტზე მიეშურებოდნენ, როგორც ახლა ასობით და ათასობით მიეშურებიან სათბობის დარგში სამუშაოდ. ეს არის ის საძირკველი, ურომლისოდაც საბჭოთა რესპუბლიკა ვერ იარსებებს. თუ ეს გვიჯდება იმის ფასად, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში საბჭოები უფრო იშვიათად შეიკრიბება, არ მოიძებნება არც ერთი გონიერი მუშა თუ გლეხი, რომელიც ვერ შეიგნებდა ამის აუცილებლობას, რომელიც არ მოიწონებდა ამას.

მე ვამბობ, რომ დემოკრატიისა და დემოკრატიზმის შესახებ ჩვენ კვლავ ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ცრურწმენას გვაწვდიან. აქ ოპოზიციის პარტიიდან ამბობდნენ, უნდა შევაჩეროთ ბურჟუაზიის შემუსვრაო. საჭიროა მაინც დაუფიქრდე იმას, რასაც ლაპარაკობ. რას ნიშნავს ბურჟუაზიის შემუსვრა? მემამულის შემუსვრა და მოსპობა შეიძლება იმით, რომ მოსპობილია მემამულური მიწათმფლობელობა და მიწა გადაეცა გლეხებს. მაგრამ განა შეიძლება ბურჟუაზიის შემუსვრა და მოსპობა იმით, რომ მოსპობილია მსხვილი კაპიტალი? ყველამ, ვისაც მარქსიზმის ანბანი უსწავლია, იცის, რომ ასე ბურჟუაზიის შემუსვრა შეუძლებელია, რომ ბურჟუაზიას წარმოშობს სასაქონლო წარმოება; სასაქონლო წარმოების ამ პირობებში გლეხი, რომელსაც აქვს ასობით ფუთი ზედმეტი პური, რომელიც მის ოჯახს არ ესაჭიროება, რომელსაც ის მუშურ სახელმწიფოს არ აძლევს სესხად მშიერი მუშის დასახმარებლად და სპეკულაციას ეწევა, — ეს რა არის? განა ეს ბურჟუაზია არ არის? განა ის აქ არ იბადება? ამ საკითხში, საკითხში პურის

შესახებ, შიმშილით გამოწვეული ტანჯვის შესახებ, რომელსაც მთელი ინდუსტრიული რუსეთი განიცდის, განა დახმარებას გვიწევენ ისინი, ვინც კონსტიტუციის დარღვევას, ბურჟუაზიის შემუსვრას გვისაყვედურებს? არა! გვეხმარებიან თუ არა ისინი ამ მხრივ? ისინი ეფარებიან სიტყვებს — «მუშებისა და გლეხების შეთანხმება». დიახ, ეს, რა თქმა უნდა, საჭიროა. ჩვენ ცხადვყავით, როგორ ვაკეთებთ ამას, როცა 1917 წ. 26 ოქტომბერს მივიღეთ ესერების პროგრამის ის ნაწილი, რომელიც გლეხების დახმარებას ეხება და მთლიანად გავატარეთ ოგი. მაშინ ჩვენ ამით ყველას დავანახვეთ, რომ გლეხი, რომელიც მემამულის ექსპლოატაციას განიცდიდა, რომელიც თავისი შრომით ცხოვრობს და სპეკულაციას არ ეწევა, — ასეთი გლეხი ერთგულ დამცველს პოულობს მუშაში, რომელიც ცენტრალურმა სახელმწიფო ხელისუფლებამ გამოგზავნა. აქ ჩვენ განვახორციელეთ გლეხთან შეთანხმება. როცა ჩვენ ვატარებთ სასურსათო პოლიტიკას, რომელიც მოითხოვს, რომ ნაჭარბი პური, რომელიც არ ესაჭიროება გლეხის ოჯახს, სახელმწიფო სესხად მიეცეს მუშებს, ამის წინააღმდეგ წასვლა სპეკულაციის მხარისდაჭერაა. ეს ჯერ კიდევ დარჩენილია ბურჟუაზიულ ცხოვრებას მიჩვეულ წვრილბურჟუაზიულ მასებში. აი რა გვაშინებს, აი სად არის საფრთხე სოციალური რევოლუციისათვის! გვეხმარებოდნენ თუ არა ამ მხრივ ოდესმე მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენლები, თუნდაც ყველაზე მემარცხენენი? არა, არასოდეს! მათი ის პრესა, რომელსაც ჩვენ თითქოს «თავისუფლების პრინციპების» გულისათვის ნება უნდა დავრთოთ და რომლის ნიმუშებიც გვაქვს, გვიჩვენებს, რომ არც ერთი სიტყვით,—საქმეზე უკვე აღარ ვლაპარაკობ,— ისინი არ გვეხმარებიან. ვიდრე სავსებით არ დაგვიძლევია ძველი ჩვეულება, ძველი წყეული ცნება — ყველა თავისთვის, ერთი ღმერთია ყველასათვისო, ჩვენთვის ერთადერთი გამოსავალია ნაჭარბი პურის სესხად აღება მშიერი მუშისათვის. ეს საშინლად ძნელი საქმეა,—ეს ჩვენ ვიცით. აქ ძალმომრეობით ვერაფერს გახდები. მაგრამ სასაცილოა იმის ლაპარაკი, რომ ჩვენ მუშათა კლასის უმცირესობას წარმოვადგენთ, — ეს მხო-

ლოდ სიცილს იწვევს. ეს შეიძლება თქვა პარიზში, მაგრამ იქაც კი დღეს ამის თქმას არავის ანებებენ მუშათა კრებებზე. იმ ქვეყანაში, სადაც მთავრობა ასე ადვილად დაამხვეს, სადაც მუშები და გლეხები შაშხანით იცავენ თავიანთ ინტერესებს, სადაც ისინი შაშხანას იყენებენ თავიანთი ნების იარაღად, — ასეთ ქვეყანაში ლაპარაკი, რომ ჩვენ მუშათა კლასის უმცირესობას წარმოვადგენთ, — სასაცილოა. მე მესმის, როცა ასეთი სიტყვები გვესმის კლემანსოს, ლოიდ-ჯორჯისა და ვილსონისგან. აი ვისი სიტყვებია ეს, აი ვისი იდეებია ეს! როცა ვილსონის, კლემანსოს და ლოიდ-ჯორჯის, ყველაზე უცუდესი მტაცებლების, იმპერიალიზმის მხეცების ამ სიტყვებს იმეორებს აქ მარტოვი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით (ს ი ც ი ლ ი), მე ვამბობ, საჭიროა სიფხიზლე და უნდა იცოდე, რომ აქ საგანგებო კომისია აუცილებელია! (ტ ა შ ი.)

ოპოზიციის ორატორები, მათ შორის ბუნდის წარმომადგენლებიც, გვისაყვედურებენ, რომ ჩვენ ვარღვევთ კონსტიტუციას. მე ვამტკიცებ, რომ ჩვენ სასტიკად ვიცავთ კონსტიტუციას. (ხ მ ა ლ ო ჟ ი დ ა ნ: «ოჰო!».) და თუმცა იმ ლოჟიდან, რომელიც წინათ მეფის ლოჟა იყო, ახლა კი ოპოზიციის ლოჟაა (ს ი ც ი ლ ი), მე მესმის ირონიული წამოძახილი «ოჰო!», — მიუხედავად ამისა მე ამას ახლავე დაგიმტკიცებთ. (ტ ა შ ი.) მე წაგიკითხავთ კონსტიტუციის იმ მუხლს, რომელსაც ჩვენ სასტიკად ვიცავთ და რომელიც გვიჩვენებს, რომ ჩვენ მთელ ჩვენს საქმიანობაში ვიცავთ კონსტიტუციას. როცა კრებებზე, რომელთაც მენშევიკებისა და ესერების მომხრეები ესწრებოდნენ, კონსტიტუციაზე ლაპარაკი მიხდებოდა, სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ არ ვიცოდი—იშოვებოდა თუ არა კონსტიტუციის ტექსტი, რომ ციტატები მომეყვანა. მაგრამ კრებები უმეტეს შემთხვევაში ისეთ შენობებში იმართებოდა, სადაც კონსტიტუცია კედელზე ჰკიდია. ამ კრებაზე ეს არ არის, მაგრამ მიხსნა ამხ. პეტროვსკიმ, რომელმაც გადმომცა ბროშურა, რომლის სათაურია «რუსეთის სფს რესპუბ-

ლიკის კონსტიტუცია». ვკითხულობ 23-ე პარაგრაფს: «რუსეთის სფს რესპუბლიკა, ხელმძღვანელობს რა მუშათა კლასის ინტერესებით საერთოდ, ცალკეულ პირებსა და ცალკეულ ჯგუფებს ართმევს იმ უფლებებს, რომელთაც ისინი სოციალისტური რევოლუციის ინტერესების საზიანოდ იყენებენ».

ამხანაგებო, ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ საერთოდ ჩვენს საქმიანობას და კერძოდ ჩვენს კონსტიტუციას არასდროს არ ვთვლიდით უნაკლოდ. ამ ყრილობაზე დაყენებულია საკითხი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ჩვენ თანახმა ვართ ცვლილებების შეტანისა და მოდით განვიხილოთ ეს ცვლილებები, მაგრამ ჩვენ ამას ვერ დავადგენთ «უკუნითი უკუნისამდე». მაგრამ მაინც, თუ თქვენ ბრძოლა გსურთ, მოდით ვიბრძოლოთ პატიოსნად. თუ თქვენ გინდათ, რომ კონსტიტუცია დავიცვათ, გინდათ თუ არა, რომ 23-ე პარაგრაფიც იყოს დაცული? (ტ ა შ ი.) თუ თქვენ ეს არ გინდათ, მაშინ ვიკამათოთ, საჭიროა თუ არა იმ პარაგრაფის გაუქმება, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ ხალხში არ მივდიოდეთ ფრაზებით მშრომელთა საერთო თავისუფლებისა და საერთო თანასწორობის შესახებ. თქვენ საუცხოოდ გისწავლიათ კონსტიტუციური სამართალი, მხოლოდ ძველი ბურჟუაზიული სახელმძღვანელოებით. თქვენ გაგონდებათ სიტყვები «თავისუფლებისა და დემოკრატიის» შესახებ, თქვენ იმოწმებთ კონსტიტუციას და იგონებთ წინანდელ სიტყვებს, და ხალხს პირდებით ყველაფერს, რათა შემდეგ ეს არ შეასრულოთ. ჩვენ კი არაფერს ასეთს არ ვპირდებით, ჩვენ არ გთავაზობთ მუშებისა და გლეხების თანასწორობას. თქვენ გვთავაზობთ,—მოდით ვიმსჯელოთ. იმ გლეხებთან, რომელთაც მემამულეები და კაპიტალისტები უწევდნენ ექსპლოატაციას, რომლებიც თავიანთი ოჯახისათვის შრომობენ მემამულეებისათვის ჩამორთმეულ მიწაზე,—ასეთ გლეხებთან სრული თანასწორობა, მეგობრობა და ძმური კავშირი. ხოლო იმ გლეხებს, რომლებიც ძველი ჩვეულების, სიბნელისა და ანგარების გამო უკან, ბურჟუაზიისაკენ მიიწევენ,—ჩვენ არ ვაძლევთ თანასწორობას. თქვენ საერთო

ფრაზებით ლაპარაკობთ მშრომელთა თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ, დემოკრატიის შესახებ, მუშებისა და გლეხების თანასწორობის შესახებ. ჩვენ არავის ვპირდებით, რომ კონსტიტუცია საერთოდ თავისუფლებასა და თანასწორობას უზრუნველყოფს. თავისუფლება, — მაგრამ რომელი კლასისათვის და რა საჭიროებისათვის? თანასწორობა, — მაგრამ ვისი ‘ვისთან? იმათი, ვინც შრომობს, ვისაც ათეული და ასეული წლების განმავლობაში ექსპლოატაციას უწევდა ბურჟუაზია და ვინც ახლაც იბრძვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ? კონსტიტუციაშიც სწორედ ეს არის ნათქვამი: მუშებისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურა ბურჟუაზიის შესამუსრავად. როცა კონსტიტუციაზე ლაპარაკობთ, რატომ არ მოგყავთ ეს სიტყვები: «ბურჟუაზიის შესამუსრავად, სპეკულანტების შესამუსრავად»? გვიჩვენეთ ასეთი ქვეყნის ნიმუში, თქვენი მშვენიერი მენშევიკური კონსტიტუციის ნიმუში. იქნებ იპოვოთ ასეთი ნიმუში თუნდაც სამარის ისტორიაში, სადაც მენშევიკური ხელისუფლება იყო? ან, შეიძლება, ის იპოვოთ საქართველოში, სადაც ახლა მენშევიკური ხელისუფლებაა, სადაც ბურჟუაზიის შემუსვრა, ესე იგი სპეკულანტების შემუსვრა სრული თავისუფლებისა და თანასწორობის საფუძველზე ხდება, თანამიმდევრული დემოკრატიის საფუძველზე და საგანგებო კომისიის ჩაურევლად? გვიჩვენეთ ასეთი მაგალითი, და ჩვენც ვისწავლით. მაგრამ თქვენ ამის ჩვენებაც არ შეგიძლიათ, რადგან იცით, რომ ყველგან, სადაც ბოგინობს შემთანხმებლური ხელისუფლება, მენშევიკური ან ნახევრადმენშევიკური, იქ გააფთრებული, აღვირახსნილი სპეკულაცია მძვინვარებს. და ის ვენა, რომლის შესახებაც სამართლიანად ლაპარაკობდა თავის სიტყვაში ტროცკი, სადაც მთავრობაში ფრიდრიხ ადლერის მსგავსი ადამიანები იღებენ მონაწილეობას, სადაც არ არის «ბოლშევიზმის საშინელებანი», ისევე შიმშილობს და იტანჯება, როგორც პეტროგრადი და მოსკოვი, მაგრამ იმის შეუგნებლად, რომ ვენის მუშები შიმშილის ფასად იკაფავენ გზას ბურჟუაზიაზე გამარჯვებისაკენ. ვენა უფრო

შიმშილობს და იტანჯება, ვიდრე პეტროგრადი და მოსკოვი, იქვე კი ავსტრიისა და ვენის ბურჟუაზია ვენის ქუჩებში, ვენის ნევის პროსპექტზე და კუზნეცკის ხიდზე, სპეკულაციისა და ძარცვა-გლეჯის მხრივ საშინელებას სჩადის. კონსტიტუციას თქვენ კი არა, ჩვენ ვიცავთ, როცა თავისუფლებასა და თანასწორობას მხოლოდ იმათთვის ვაღიარებთ, ვინც პროლეტარიატს ეხმარება ბურჟუაზიის დამარცხებაში. და 23-ე პარაგრაფით ჩვენ ვამბობთ, რომ გარდამავალი პერიოდისათვის არ ვხატავთ რძის მდინარეებსა და თაფლის ნაპირებს. ჩვენ ვამბობთ, რომ საჭიროა გავძლოთ არა თვეები, არამედ წლები, რათა დავამთავროთ ეს გარდამავალი პერიოდი. ორი წლის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, და უთუოდ დაგვიჯერებენ ამას, რომ შეგვიძლია გავძლოთ რამდენიმე წელი სწორედ იმიტომ, რომ კონსტიტუციაში ჩავწერეთ უფლებათა ჩამორთმევა ცალკეული პირებისა და ჯგუფებისათვის. ხოლო ვის ვართმევთ უფლებებს,—ამას არ ვფარავთ და აშკარად ვამბობთ—მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერების ჯგუფს. ამისათვის გვკიცხავდნენ II ინტერნაციონალის მოღვაწეები, მაგრამ ჩვენ პირდაპირ ვეუბნებით მენშევიკებისა და ესერების ჯგუფს, რომ მზადა ვართ ყველაფრისათვის, ოღონდ ისინი უნდა დაგვეხმარონ მშრომელთა პოლიტიკის წარმოებაში სპეკულანტების წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, ვინც ხელს უწყობს სასურსათო სპეკულაციას, ვინც ხელს უწყობს ბურჟუაზიას. თქვენ მიერ ამის საქმით დამტკიცებისდაკვალად, ჩვენ მოგხსნით იმას, რაც კონსტიტუციით გავატარეთ, მანამდე კი თქვენი უშინაარსო სიტყვები, ეს მხოლოდ ფანდია. ჩვენს კონსტიტუციას არ ახასიათებს ლამაზი სიტყვები, იგი ეუბნება გლეხებს: რაკი შენ მშრომელი გლეხი ხარ, ყველა უფლება გაქვს, მაგრამ არ შეიძლება ყველას თანასწორი უფლებები ჰქონდეს ისეთ საზოგადოებაში, სადაც მუშები შიმშილობენ, სადაც ბრძოლა წარმოებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მუშას კი იგი ეუბნება: თანასწორობა იმ გლეხთან, რომელიც გვეხმარება ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში და არავითარი განზოგადება! აქ მძი-

მე ბრძოლაა. ვისაც სურს დაგვეხმაროს, მას ჩვენ უდიდესი სიხარულით ვიღებთ მიუხედავად მისი წარსულისა, მიუხედავად სხვადასხვა სახელწოდებისა. და ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ადამიანები სხვა პარტიებიდან და უპარტიოებიდან სულ უფრო და უფრო მეტი მოდიან ჩვენთან, და ეს უზრუნველყოფს ჩვენს გამარჯვებას. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი, შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი «ვაშა».)

---

## 3

## სიტყვა ორგანიზაციულ სექციაში[53]
## 8 დეკემბერს

ამხანაგებო! რამდენიმე ბარათი მივიღე დელეგატებისაგან, მთხოვენ გამოვთქვა აზრი ამ საკითხზე. მე მეგონა, რომ ეს არ იყო საჭირო და თავს ვიკავებდი ამ შეკითხვების მიღებამდე, იმიტომ რომ, სამწუხაროდ, შესაძლებლობა არ მქონდა ადგილობრივ მუშაობას გავცნობოდი პრაქტიკულად, ის ცოდნა კი, რომელსაც სახკომსაბჭოში მუშაობის დროს ღებულობ, თავისთავად ცხადია, არ კმარა. გარდა ამისა, მე სავსებით ვეთანხმები იმას, რაც ამხ. ტროცკიმ თქვა, და ამიტომ დავჯერდები მცირე შენიშვნებს.

როცა სახკომსაბჭოში ჩვენ წინაშე დაისვა საკითხი საბჭოთა მეურნეობების შესახებ და საგუბერნიო საადგილმამულო განყოფილებებისათვის მათი გადაცემის თაობაზე, როცა დაისვა საკითხი მთავარი კომიტეტებისა და ცენტრების შესახებ, მე არასდროს ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ამ ორივე სახის დაწესებულებებში ბევრი იყო კონტრრევოლუციური ელემენტი. მაგრამ როცა ცდილობენ საბჭოთა მეურნეობებს ბრალი დასდონ იმაში, რომ ეს დაწესებულებები განსაკუთრებით კონტრრევოლუციურნი არიან, მე მუდამ ასე ვფიქრობდი, და ახლაც ასე ვფიქრობ, რომ ეს მიზანს არ ხვდება, იმიტომ რომ ვერც საბჭოთა მეურნეობები, ვერც მთავარი კომიტეტები და ცენტრები, ვერც რომელიმე მსხვილი სამრეწველო საწარმოები, საერთოდ ვერც ერთი ცენტრალური თუ ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც განაგებს სახალხო

მეურნეობის რამდენადმე მნიშვნელოვან დარგს, ვერ იარსებებს ვერც ახლა და ვერც მომავალში, თუ არ გადაწყდა ბურჟუაზიული სპეციალისტების მონაწილეობის საკითხი. მე ვფიქრობ, რომ თავდასხმები მთავარ კომიტეტებსა და ცენტრებზე, სრულიად კანონიერი თავდასხმები იმ თვალსაზრისით, რომ აქ საჭიროა საფუძვლიანი წმენდა, მაინც არ არის სწორი, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში დაწესებულებათა ეს ტიპი ეთიშება მთელ რიგ სხვა ანალოგიურ დაწესებულებებს. ამავე დროს სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაობიდან ცხადზე უცხადესად ჩანს, რომ ამ პუნქტში მთავარი კომიტეტების, ცენტრებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოყოფა შეუწყნარებელია, იმიტომ რომ მთელი ჩვენი საბჭოთა მუშაობა სამხედრო სფეროშიც, ჯანდაცვის სფეროშიც და განათლების სფეროშიც, ყველგან და ყოველთვის ეჯახებოდა და ეჯახება ამგვარ საკითხს. ძველი სპეციალისტების დაუხმარებლად ჩვენ არ შეგვიძლია გარდავქმნათ სახელმწიფო აპარატი და აღვზარდოთ იმ მუშებისა და გლეხების საკმაო რაოდენობა, რომლებიც კარგად იქნებიან გაცნობილი სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეს. ეს არის ის ძირითადი გაკვეთილი, რომელიც გამოგვყავს მთელი ჩვენი მშენებლობიდან, და ეს გამოცდილება გვეუბნება, რომ ყველა სფეროში, მათ შორის სამხედრო სფეროშიც, ძველ სპეციალისტებს — იმიტომაც არიან ისინი ძველები — ვერსად ვიშოვით, თუ არ კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ეს საზოგადოება შესაძლებლობას იძლეოდა სპეციალისტები გამხდარიყვნენ მემამულეებისა და კაპიტალისტების ოჯახებიდან გამოსული მეტად მცირერიცხოვანი ფენები, და გლეხებიდან გამოსული სულ უმნიშვნელო რიცხვი, ისიც მხოლოდ შეძლებულნი. ამიტომ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ვითარებას, რომელშიც ეს ადამიანები აღიზარდნენ და რომელშიც ახლა მოქმედებენ, სრულიად აუცილებელი ხდება ის ფაქტი, რომ ეს სპეციალისტები, ე. ი. ადამიანები, რომელთაც აქვთ მართვა-გამგეობის ჩვევები ფართო სახელმწიფო მასშტაბით, ცხრა მეათედით გამსჭვალული არიან ძველი ბურჟუაზიული მსოფლმხედველობით და ცრურწმენით, და რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა

ისინი პირდაპირი მოღალატეები არ არიან (ეს კი არა შემთხვევითი, არამედ მუდმივი მოვლენაა),—ამ შემთხვევაშიც კი მათ არ ძალუძთ გაიგონ ახალი პირობები, ახალი ამოცანები, ახალი მოთხოვნები. ამ ნიადაგზე ყველგან, ყველა კომისარიატში ვხედავთ შეხლა-შემოხლას, მარცხს, არევ-დარევას.

ამიტომ მე მგონია, უმიზნოა ყვირილი სწორედ საბჭოთა მეურნეობების, მთავარი კომიტეტებისა და ცენტრების რეაქციულობაზე, ამ საკითხის გამოყოფა ჩვენი საერთო საკითხიდან იმის შესახებ, თუ როგორ ვასწავლოთ მართვა-გამგეობა ფართო სახელმწიფო მასშტაბით მუშებისა და გლეხების დიდ რაოდენობას. ჩვენ ამას ისეთი სისწრაფით ვაკეთებთ, რომ, თუ ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობას და მძიმე პირობებს მივიღებთ მხედველობაში, ასეთი სისწრაფე უთუოდ უმაგალითოა მსოფლიო ისტორიაში. მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს ეს სისწრაფე, ჩვენ მაინც ვერ დაგვაკმაყოფილებს, იმიტომ რომ მართვა-გამგეობის საქმეში დახელოვნებულ და მართვა-გამგეობის სპეციალური დარგების მცოდნე მუშებსა და გლეხებზე მოთხოვნილება ისე დიდია, რომ ერთი მეათედითაც, ერთი მეასედითაც კი არ არის დაკმაყოფილებული. ამიტომ, როცა გვეუბნებოდნენ ან სახკომსაბჭოს სხდომებზე ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა მეურნეობები ძალიან ხშირად ისეთ ადგილებს წარმოადგენენ, სადაც თავს აფარებენ ოდნავ ფერშეცვლილი, ზოგჯერ კი სრულიად ფერშეუცვლელი ძველი მემამულეები, რომ იქ იქმნება ბიუროკრატიზმის ბუდეები, რომ ასეთ მოვლენებს ხშირად ვხედავთ მთავარ კომიტეტებსა და ცენტრებშიო, — მე არასოდეს ეჭვი არ შემპარვია ამის სისწორეში. მაგრამ მე ვამბობდი, რომ თუ ფიქრობთ ამ ბოროტების აღმოფხვრას იმით, რომ საბჭოთა მეურნეობებს დაუქვემდებარებთ საგუბერნიო მიწგანებს, თქვენ ცდებით-მეთქი.

რად შემორჩა მთავარ კომიტეტებსა და ცენტრებში, საბჭოთა მეურნეობებში მეტი კონტრრევოლუციური ელემენტები, მეტი ბიუროკრატიზმი, ვიდრე სამხედრო სფეროში? რატომ არის სამხედრო სფეროში ნაკლები ეს ელემენტები? იმიტომ

რომ ამ სფეროს საერთოდ მეტი ყურადღება ექცეოდა, იქ მეტი კომუნისტები, მეტი მუშები და გლეხები იგზავნებოდა, იქ უფრო ფართოდ მუშაობდნენ პოლიტიკური განყოფილებები, ერთი სიტყვით, მოწინავე მუშებისა და მოწინავე გლეხების ზეგავლენა მთელ სამხედრო აპარატზე უფრო ფართო, უფრო დიდი და უფრო სისტემატური იყო. ამის წყალობით მივაღწიეთ იმას, რომ აქ ბოროტება თუ ჯერ სავსებით აღმოფხვრილი არ არის, ახლოს მაინც ვართ მის აღმოფხვრასთან. მე ვამბობ: ამას ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ჩვენ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ საბჭოთა მეურნეობების მჭიდროდ დასაკავშირებლად გარშემო მყოფ გლეხურ მოსახლეობასთან და კომუნისტურ ჯგუფებთან, რომ კომისრები ვიყოლიოთ ყველგან და არა მარტო სამხედრო სფეროში და არა მარტო ქაღალდზე. კოლეგიის წევრები იქნებიან ეს, გამგეთა თანაშემწეები თუ კომისრები — ჩვენთვის აუცილებელია ერთპიროვნული პასუხისმგებლობა: როგორც კოლეგიალობა აუცილებელია ძირითადი საკითხების განსახილველად, ისევე აუცილებელია ერთპიროვნული პასუხისმგებლობაც და ერთპიროვნული გამგებლობაც, რომ აღარ იქნეს გაჭიანურება, რომ შეუძლებელი იყოს პასუხისმგებლობის თავიდან აცილება. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი ადამიანები, რომლებიც ყოველ შემთხვევაში შეისწავლიან დამოუკიდებელ მართვა-გამგეობას. თუ ეს მოხდება, ჩვენ საუკეთესოდ გამოვასწორებთ ბოროტებას.

დასასრულ ვიტყვი, რომ მე სავსებით ვეთანხმები ამხ. ტროცკის, როდესაც ის ლაპარაკობდა, რომ აქ სრულიად უმართებულოდ ცდილობდნენ ჩვენი დავა წარმოედგინათ, როგორც დავა მუშებსა და გლეხებს შორის, და ერთმანეთში ურევდნენ მთავარი კომიტეტებისა და ცენტრების საკითხს და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხსო. ჩემი აზრით, ეს ძირითადი შეცდომაა. პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი შეიძლება წამოიჭრას მაშინ, როცა ლაპარაკია ბურჟუაზიის ჩახშობაზე. მაშინ გასაგებია ეს საკითხი, მაშინ გვესაჭიროება ეს დიქტატურა, რადგან მხოლოდ დიქტატურის შემწეობით

შეგვიძლია ჩავახშოთ ბურჟუაზია და ძალაუფლება გადავცეთ მშრომელთა იმ ნაწილს, რომელსაც შეუძლია მტკიცედ იმოქმედოს და სულ უფრო და უფრო მეტი მერყევი ელემენტები მიიმხრეს. ამ შემთხვევაში არავითარი ამის მსგავსი რამ ჩვენ არა გვაქვს. ჩვენ ვკამათობთ იმაზე, თუ რამდენად მეტი ან ნაკლები ცენტრალიზმია საჭირო ამა თუ იმ სფეროში და ამა თუ იმ მომენტში. თუ ადგილობრივი ამხანაგები ლაპარაკობენ, და ამხ. ტროცკიც და სხვა სახალხო კომისრებიც ადასტურებენ, რომ უკანასკნელ ხანებში საგუბერნიო და, საგრძნობლად, სამაზრო მუშაკთა დონე მეტისმეტად აიწიაო (ამგვარი მტკიცება მუდამ მესმის ამხ. კალინინისაგანაც, რომელსაც ხშირი მიმოსვლა აქვს ადგილებზე, და ადგილებიდან ჩამოსულ ამხანაგებისაგანაც), ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ, უნდა დავაყენოთ საკითხი, სწორად გვესმის თუ არა ცენტრალიზმის საკითხი ამ შემთხვევაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის ამგვარი გამოსწორება ძალიან ხშირად მოგვიხდება. ამ მხრივ მხოლოდ ახლა ვიძენთ მშენებლობის გამოცდილებას. და რამდენადაც ამ გამოცდილებას თავდაცვის საბჭოს ან სახკომსაბჭოს თვალით უცქერი, იმდენად უფრო ნათლად ხედავ, რომ ამას ვერ გამოხატავ ვერავითარი ციფრებით, შეუძლებელია გადმოსცე მოკლე სიტყვაში. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ადგილებზე მუშაობენ ცენტრალური ხელისუფლების ძირითადი დავალებების მიხედვით. ასეთი მდგომარეობა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში შეიქმნა.

აქ სრულიად არ დგას პროლეტარიატის დიქტატურისა და სხვა საზოგადოებრივი ელემენტების კონფლიქტის საკითხი. აქ არის ჩვენი საბჭოთა მშენებლობის გამოცდილების, ჩემი აზრით, არცთუ კონსტიტუციური გამოცდილების საკითხი. აქ ბევრი ილაპარაკეს კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ საკითხი ასე არ დგას. კონსტიტუცია ლაპარაკობს ცენტრალიზმის ძირითად დებულებებზე. ეს ძირითადი დებულება ყველა ჩვენთვის იმდენად უდავოა (ჩვენ ყველამ შევისწავლეთ იგი კოლჩაკის, იუდენიჩის, დენიკინის

თვალსაჩინო, მნიშვნელოვან და სასტიკ მაგალითზე და პარტიზანობაზე), რომ ამის შესახებ აქ ლაპარაკიც ზედმეტია. ცენტრალიზმის ამ ძირითად დებულებაზე არც ამხ. საპრონოვი ამბობს უარს, როცა ლაპარაკია იმაზე, რომ აცილების უფლება მიენიჭოს სახალხო. კომისარს ან სახკომსაბჭოს. ეს არის არა კონსტიტუციური საკითხი, არამედ პრაქტიკული მოხერხებულობის საკითხი. ჩვენ ხან ერთ მხარეს უნდა დავაწვეთ და ხან მეორეს, რომ დადებით შედეგებს მივაღწიოთ. როდესაც საბჭოთა მეურნეობების საგუბერნიო განყოფილებებსა და საგუბერნიო მიწგანებზე ვლაპარაკობთ, სიმძიმის ცენტრი იმაშია, რომ დავუმორჩილოთ ისინი მუშების და გარშემო მცხოვრებ გლეხების კონტროლს. ეს სრულიად დამოუკიდებლად იმისაგან, თუ ვის ემორჩილებიან ისინი. მე მგონია, რომ კონსტიტუციის ვერავითარი ცვლილებებით თქვენ ვერასოდეს ვერ გამორეკავთ ვერც მიმალულ მემამულეებს, ვერც ფერშეცვლილ კაპიტალისტებსა და ბურჟუებს. დაწესებულებებში ვიწრო კოლეგიების წევრებად, ცალკეული გამგეების თანაშემწეებად ან კომისრებად საკმაო რაოდენობით უნდა შევიყვანოთ პრაქტიკულად გამოცდილი და უეჭველად ერთგული მუშები და გლეხები. ამაშია დედააზრი! ამრიგად შექმნით იმ მუშებისა და გლეხების სულ უფრო და უფრო მეტ რაოდენობას, რომლებიც სწავლობენ მართვა-გამგეობის საქმეს და, ძველ სპეციალისტებთან ერთად გაივლიან რა სწავლის ვადას, დაიჭერენ მათ ადგილებს, ისეთივე დავალებებს შეასრულებენ და ჩვენს სამოქალაქო საქმეში, მრეწველობის მართვის საქმეში, სამეურნეო საქმიანობის მართვის საქმეში უფროსთა შემადგენლობის ისეთსავე ცვლილებას მოამზადებენ, როგორც ჩვენს სამხედრო უწყებაში ხდება. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ აქ არავითარი საფუძველი არ არის იმ პრინციპული მოსაზრებებით ვიხელმძღვანელოთ, რომელთაც აქ ზოგჯერ გამოთქვამდნენ, და ეს საკითხი უნდა განვიხილოთ როგორც პრაქტიკული გამოცდილების და არა როგორც კონსტიტუციური საკითხი. თუ ადგილობრივი ამხანაგების უმრავლესობა ყოველმხრივი განხილვის შემდეგ საჭიროდ მიიჩნევს,

რომ საბჭოთა მეურნეობების საგუბერნიო განყოფილებები საგუბერნიო მიწგანებს დავუმორჩილოთ, — ძალიან კარგი, ჩვენ ამას ვცდით და საკითხს პრაქტიკული გამოცდილების თვალსაზრისით გადავწყვეტთ. მაგრამ უწინარეს ყოვლისა უნდა გადავწყვიტოთ, ამ გზით მოვიშორებთ თუ არა თავიდან მიმალულ მემამულეებს, უკეთ დავაყენებთ თუ არა სპეციალისტების გამოყენების საქმეს? მოვამზადებთ თუ არა ასე მუშებისა და გლეხების მეტ რაოდენობას იმისათვის, რომ თვითონ მართავდნენ? ჩავაბამთ თუ არა გარშემო მცხოვრებ გლეხებს საბჭოთა მეურნეობების საქმით შემოწმებაში? შევიმუშავებთ თუ არა ამ შემოწმების პრაქტიკულ ფორმებს? აი რაშია დედააზრი! თუ ამ ამოცანებს გადავჭრით, მე აღარ ვიტყვი, რომ ფუჭად დაიკარგა ჩვენი დრო და ჩვენი შრომა. ვცადოთ თუნდაც სხვადასხვა კომისარიატში სხვადასხვა სისტემა: ერთი სისტემა შევქმნათ საბჭოთა მეურნეობების, მთავარი კომიტეტებისა და ცენტრების მიმართ, მეორე — სამხედრო საქმის ან ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატის მიმართ. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოცდილების გზით ფართოდ მივიზიდოთ სპეციალისტები, შევცვალოთ ისინი უფროსთა ახალი შემადგენლობის, სპეციალისტების ახალი წრის მომზადებით, რომლებმაც უნდა ისწავლონ მართვა-გამგეობის მეტისმეტად ძნელი, ახალი და რთული საქმე. ეს აუცილებლად ერთფეროვან ფორმებში როდი უნდა მოხდეს. ამხ. ტროცკი სრულიად მართალი იყო, როცა თქვა, რომ ეს არ წერია არც ერთ წიგნში, რომელსაც სახელმძღვანელოდ მივიჩნევდით, არ გამომდინარეობს არც ერთი სოციალისტური მსოფლმხედველობიდან, არავის გამოცდილებით არ არის დადგენილი, იგი მხოლოდ ჩვენი საკუთარი გამოცდილებით უნდა იქნეს დადგენილიო. ამ მხრივ, მე მგონია, უნდა დავაგროვოთ ეს გამოცდილება და მისი პრაქტიკული განხორციელების დროს უნდა შევამოწმოთ კომუნისტური მშენებლობა, რათა საბოლოოდ დავადგინოთ, როგორ მოვიქცეთ იმ საკითხების მიმართ, რომლებიც ჩვენ წინაშე დგას.

4

## საბოლოო სიტყვა ყრილობის დახურვისას 9 დეკემბერს

(ხანგრძლივი ტაში. ყრილობის დელეგატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და რამდენიმე წუთის განმავლობაში მქუხარე ტაშით მიესალმებიან.) ამხანაგებო! რამდენიმე სიტყვით მინდა შევჩერდე უმთავრესზე, რამაც ჩვენ თვალწინ გაიარა ამ ყრილობაზე.

ამხანაგებო, ჩვენ პატარა დისკუსია გვქონდა დემოკრატიისა და საბჭოთა ხელისუფლების საკითხზე. თუმცა ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ ეს დისკუსია შორს იყო საბჭოთა რესპუბლიკის პრაქტიკულ საარსებო და საჭირბოროტო ამოცანებისაგან, მე მაინც მგონია, რომ ის სრულიადაც არ არის უსარგებლო. ამხანაგებო! მთელ მსოფლიოში ყველა მუშათა ორგანიზაციაში, ძალიან ხშირად კი ბურჟუაზიულ პარლამენტებშიც და, ყოველ შემთხვევაში, ბურჟუაზიული პარლამენტების არჩევნებში მიმდინარეობს ახლა იგივე ძირითადი დისკუსია დემოკრატიის, ძველი ბურჟუაზიული დემოკრატიის შესახებ, რაც ბევრს არ ესმის, და ახალი საბჭოთა ხელისუფლების შესახებ. ძველი, ანუ ბურჟუაზიული, დემოკრატია აცხადებს თავისუფლებას და თანასწორობას, თანასწორობას იმისაგან დამოუკიდებლად, აქვს კაცს საკუთრება თუ არა, იმისაგან დამოუკიდებლად, აქვს მას კაპიტალი თუ არა, აცხადებს, რომ კერძო მესაკუთრეებმა თავისუფლად განაგონ მიწა, კაპიტალი, ხოლო ვისაც ეს არა აქვს — თავისუფლად მიჰყიდონ მუშახელი კაპიტალისტს.

ამხანაგებო! ჩვენმა საბჭოთა ხელისუფლებამ გადაჭრით უარყო ასეთი თავისუფლება და ასეთი თანასწორობა, როგორც სიცრუე (ტ ა შ ი) და უთხრა ყველა მშრომელს, რომ იმ სოციალისტებს, რომელთაც ასე ესმით თავისუფლება და თანასწორობა, დაავიწყდათ სოციალიზმის საწყისები, ანაბანა და მთელი შინაარსი. ვინაიდან ჩვენ და ის სოციალისტები, რომელთაც ჯერ კიდევ არ უღალატნიათ სოციალიზმისათვის, ყოველთვის ვამხილებდით იმ ბურჟუაზიული საზოგადოების სიცრუეს, მატყუარობასა და თვალთმაქცობას, რომელიც თავისუფლებასა და თანასწორობაზე ლაპარაკობს, თუნდაც თავისუფლებასა და თანასწორობაზე არჩევნებში, როცა სინამდვილეში კაპიტალისტების ბატონობა, მიწის, ფაბრიკებისა და ქარხნების კერძო საკუთრება წარმოადგენს არა თავისუფლებას, არამედ მშრომელთა ჩაგვრასა და მოტყუებას ყველა და ყოველგვარი «დემოკრატიული და რესპუბლიკური» წესწყობილების დროს.

ჩვენ ვამბობთ: ჩვენი მიზანი, როგორც მსოფლიო სოციალიზმის მიზანი, არის კლასების მოსპობა, კლასები კი—ეს ისეთი ჯგუფებია, რომელთაგან ერთი ცხოვრობს მეორის შრომით, ერთი ითვისებს მეორის შრომას. და აი, თუ ჩვენ ვილაპარაკებთ ამ თავისუფლებაზე, ამ თანასწორობაზე, უნდა ვაღიაროთ, როგორც ამას აღიარებს მშრომელთა უდიდესი უმრავლესობა რუსეთში, რომ ასე მოკლე დროში ჯერ არც ერთ ქვეყანას არ მოუცია ასე ბევრი რამ ნამდვილი თავისუფლებისა და ნამდვილი თანასწორობისათვის, ასე მოკლე დროში არც ერთ ქვეყანას არ მიუცია მშრომელებისათვის თავისუფლება მათი მთავარი ექსპლოატატორული კლასისაგან — მემამულეებისა და კაპიტალისტებისაგან, არც ერთ ქვეყანას არ მოუცია ამდენი თანასწორობა საარსებო საშუალებათა მთავარი წყაროს — მიწის მიმართ. და ამ გზაზე, ბურჟუაზიული კლასების მხრივ ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისა და კლასების სრული მოსპობის გზაზე, ჩვენ დავიწყეთ გადამწყვეტი ბრძოლა და განვაგრძობთ ამ ბრძოლას კლასების

სრული მოსპობისათვის. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ეს კლასები დამარცხებულია, მაგრამ მოსპობილი არ არის. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ მემამულეები და კაპიტალისტები დამარცხებული არიან, მაგრამ მოსპობილი არ არიან. კლასობრივი ბრძოლა გრძელდება, და პროლეტარიატმა უღარიბეს გლეხობასთან ერთად უნდა განაგრძოს ბრძოლა კლასების სრული მოსპობისათვის, მიიზიდოს ყველა ისინი, ვინც შუაში იდგა, მთელი თავისი გამოცდილებით, ბრძოლის მაგალითით მიიზიდოს ყველა ისინი, ვინც დღემდე მერყეევთა წრეში იდგა.

ამხანაგებო, გადავდივარ რა ჩვენი ყრილობის მუშაობაზე, უნდა ვთქვა, რომ პირველად VII ყრილობამ შეძლო ასე ბევრი დრო დაეთმო მშენებლობის საქმიანი ამოცანებისათვის, პირველად შევძელით საფუძველი ჩაგვეყარა იმ ამოცანების პრაქტიკული, უშუალო გამოცდილებით მიღებული, განხილვისათვის, რომლებიც ეხება საბჭოთა მეურნეობის უკეთ მოწყობას, საბჭოთა მართვა-გამგეობის უკეთ მოწყობას.

რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან მცირე დრო გვქონდა, რომ უფრო დეტალურად შევჩერებულიყავით ამ საკითხზე, მაგრამ ბევრი რამ მაინც გავაკეთეთ აქ, და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ადგილობრივი ამხანაგების მთელი შემდგომი მუშაობა წავა აქ ჩაყრილი საძირკვლის ნიშნით.

ბოლოს, ამხანაგებო, მე მსურს ცალკე შევეხო იმას, თუ რით ვამთავრებთ ამ ყრილობას ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის მხრივ.

ამხანაგებო, ჩვენ აქ გავიმეორეთ საზავო წინადადება შეთანხმების ყველა სახელმწიფოსა და ქვეყნის მიმართ. ჩვენ აქ გამოვთქვით რწმენა, დამყარებული ძალიან მდიდარ და ძალიან სერიოზულ გამოცდილებაზე, — რწმენა იმისა, რომ მთავარი სიძნელენი განვლილია და იმ ომიდან, რომელიც თავს მოგვახვია ანტანტამ, იმ ომიდან, რომელსაც ორი წელიწადია ვაწარმოებთ ჩვენზე ბევრად უფრო ძლიერი მტრის წინააღმდეგ, ჩვენ უეჭველად ძლევამოსილად გამოვდივართ.

მაგრამ, ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ ის მიმართვა, რომელიც ახლა მოვისმინეთ ჩვენი წითელი არმიის

წარმომადგენლისაგან, მაინც სავსებით დროული იყო. ამხანაგებო, თუ მთავარი სიძნელენი განვლილია, უნდა ითქვას, რომ ჩვენ წინაშე მშენებლობის ამოცანებიც გაუგონრად ფართოდ იშლება. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ჯერ კიდევ მოიპოვება მეტად გავლენიანი და მეტად ძლიერი, ბევრ ქვეყანაში უთუოდ გაბატონებული კაპიტალისტური ჯგუფები, რომელთაც გადაუწყვეტიათ რადაც უნდა დაჯდეს ბოლომდე განაგრძონ ომი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ახლა, როცა ჩვენ მოვიპოვეთ ერთგვარი გადამწყვეტი გამარჯვება, საჭიროა კიდევ და კიდევ დავხარჯოთ დამატებითი ძალ-ღონე, კიდევ დავძაბოთ ძალ-ღონე, რომ ვისარგებლოთ ამ გამარჯვებით და ბოლომდე მივიყვანოთ იგი. (ტ ა შ ი.)

ამხანაგებო! ნუ დაივიწყებთ ორ რამეს: ჯერ-ერთი, ჩვენს საერთო სისუსტეს, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს სლავურ ხასიათთან, — ჩვენ ვერა ვართ საკმაოდ შეუპოვარი, მტკიცე დასახული მიზნების მიღწევაში, — და, მეორეც, გამოცდილებამ დაგვანახვა ერთხელ აღმოსავლეთში, მეორედ სამხრეთში, რომ გადამწყვეტ მომენტში საკმაოდ ძლიერ ვერ შევუტიეთ გაქცეულ მტერს და შესაძლებლობა მივეცით მას კვლავ წელში გასწორებულიყო. ოდნავი ეჭვიც კი არ გვეპარება იმაში, რომ ამჟამად დასავლეთ ევროპის მთავრობები და სამხედრო კლასები ახალ გეგმებს ამზადებენ იმისათვის, რომ იხსნან დენიკინი. ოდნავი ეჭვიც კი არ გვეპარება, რომ ისინი ახლა შეეცდებიან ერთიანად გააძლიერონ ის დახმარება, რომელსაც მას უწევდნენ, იმიტომ რომ მათ ესმით, რა დიდი საშიშროება მოელის მას საბჭოთა რუსეთისაგან. და ამიტომ ახლა, ისევე, როგორც ვამბობდით მძიმე ხანაში, უნდა ვთქვათ ამ დაწყებულ გამარჯვებათა დროსაც: «ამხანაგებო, გახსოვდეთ, რომ ამჟამად შეიძლება რამდენიმე კვირაზე, შეიძლება ორ-სამ თვეზე იყოს დამოკიდებული — დავამთავრებთ ომს გადამწყვეტი გამარჯვებით, მტრის სრული მოსპობით, თუ კვლავ განვუმზადებთ ათი და ასი ათასობით ადა-

მიანს ხანგრძლივ და მტანჯველ ომს. ახლა, ჩვენ მიერ განვლილი გამოცდილების საფუძველზე, სრული დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ შევძლებთ ჩვენი ძალ-ღონის გასამკეცებას, რამდენიმე კვირაზე ან ორ-სამ თვეზეა დამოკიდებული არა მარტო იმის შესაძლებლობა, რომ ბოლომდე გავიმარჯვოთ, არამედ იმისაც, რომ მოვსპოთ მტერი და მოვიპოვოთ მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა».

ამიტომ, ამხანაგებო, მე ყველაზე უფრო იმას გთხოვთ, რომ თვითეულმა თქვენგანმა, როცა ადგილზე მიხვალთ, პარტიის ყოველ ორგანიზაციაში, ყოველ საბჭოთა დაწესებულებაში, მუშებისა და გლეხების ყოველ კრებაზე დასვათ ასეთი საკითხი: ამხანაგებო, ამ ზამთრის კამპანიას უეჭველად შეუძლია მოგვცეს მტრის სრული მოსპობა, თუ წარმატებით გამხნევებულნი და საბჭოთა მშენებლობის პერსპექტივების ამჟამად გადაშლილი სიცხადით შევხედავთ მომავალ კვირეებსა და თვეებს, როგორც იმ დაძაბულ ხანას, როცა უნდა გავასამკეცოთ ის ძალ-ღონე, რომელსაც ვწირავთ სამხედრო მუშაობას და მასთან დაკავშირებულ მუშაობას, — და მაშინ სულ უმოკლეს ვადაში მივაღწევთ მტრის ისე მოსპობას, სამოქალაქო ომის ისე დამთავრებას, რომ მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობისათვის ხანგრძლივი და მტკიცე დრო მოგვეცემა, ამხანაგებო. (ტ ა შ ი.)

# დამფუძნებელი კრების არჩევნები და პროლეტარიატის დიქტატურა

სოციალისტ-რევოლუციონერების კრებულში «რუსეთის რევოლუციის ერთი წელი. 1917 — 1918» (მოსკოვი. 1918. მოსკოვის გამომცემლობა «ზემლია ი ვოლია») მოთავსებულია ნ. ვ. სვიატიცკის დიდად საინტერესო სტატია: «სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები (წინასიტყვაობა)». ყველა 79 საარჩევნო ოლქიდან ავტორი ციფრებს იძლევა 54 საარჩევნო ოლქის მიხედვით.

ავტორის გამოკვლევაში შესულია ევროპული რუსეთისა და ციმბირის თითქმის ყველა გუბერნია. აქედან არ შესულა გუბერნიები: ოლონეცის, ესტლანდიის, კალუგის, ბესარაბიის, პოდოლსკის, ორენბურგის, იაკუტსკისა და დონის.

ჯერ მოვიყვანთ ნ. ვ. სვიატიცკის მიერ გამოქვეყნებულ ძირითად შედეგებს, შემდგომ კი განვიხილავთ ამ მონაცემებიდან გამომდინარე პოლიტიკურ დასკვნებს.

## I

54 საარჩევნო ოლქში 1917 წლის ნოემბერში სულ მიცემულია 36 262 560 ხმა. ავტორს მოჰყავს ციფრი 36 257 960, განაწილებული 7 ოლქზე (პლუს არმია და ფლოტი), მაგრამ მის მიერ მოყვანილი ციფრების ჯამი ცალკე პარტიების მიხედვით იძლევა სწორედ ჩემ მიერ აღნიშნულ ციფრს.

განაწილება პარტიების მიხედვით ასეთია: რუსმა ესერებმა მიიღეს 16,5 მილიონი ხმა, ხოლო სხვა ერების (უკრაინელ, მუსლიმან და სხვ.) ესერებს თუ მივუმატებთ, 20,9 მილიონი, ე. ი. 58%.

მენშევიკებმა მიიღეს 668 064 ხმა, ხოლო თუ ამას მივუმატებთ «სახალხო სოციალისტების» (312 ათასი), «ედინსტვოს» (25 ათასი), კოოპერატორების (51 ათასი), უკრაინელი სოციალ-დემოკრატების (95 ათასი), უკრაინელი სოციალისტების (507 ათასი), გერმანელი სოციალისტების (44 ათასი) და ფინელი სოციალისტების (14 ათასი) ანალოგიურ ჯგუფებს, მივიღებთ ჯამს 1,7 მილიონს.

ბოლშევიკებმა მიიღეს 9 023 963 ხმა.

კადეტებმა მიიღეს 1 856 639 ხმა. თუ მათ მივუმატებთ «მიწის მესაკუთრეთა და მიწათმფლობელთა კავშირს» (215 ათასი), «მემარჯვენე ჯგუფებს» (292 ათასი), ძველი სარწმუნოებრივი წესების მიმდევრებს (73 ათასი), ებრაელ ნაციონალისტებს (550 ათასი), მუსლიმან ნაციონალისტებს (576 ათასი), ბაშკირებს (195 ათასი), ლატვიელებს (67 ათასი), პოლონელებს (155 ათასი), კაზაკებს (79 ათასი), გერმანელებს (130 ათასი), ბელორუსებს (12 ათასი) და «სხვადასხვა ჯგუფისა და ორგანიზაციის სიებს» (418 ათასი), მივიღებთ მემამულეთა და ბურჟუაზიული პარტიების ხმების ჯამს — 4,6 მილიონს.

ცნობილია, რომ ესერებსა და მენშევიკებს ბლოკი ჰქონდათ შეკრული რევოლუციის მთელი პერიოდის მანძილზე 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე. გარდა ამისა, მოვლენათა მთელმა მსვლელობამ ამ ხნის განმავლობაშიც და მის შემდეგაც ცხადად დაამტკიცა, რომ ორივე ეს პარტია ერთად წარმოადგენს წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას, რომელიც ისევე შეცდომით იჩემებს სოციალისტობას და სოციალისტურს უწოდებს თავს, როგორც II ინტერნაციონალის ყველა პარტია.

ვაერთიანებთ რა პარტიათა სამ ძირითად ჯგუფს დამფუძნებელი კრების არჩევნებში, ასეთ ჯამს ვღებულობთ:

| | | | |
|---|---|---|---|
| პროლეტარიატის პარტია (ბოლშევიკები) | 9,02 მლნ | = | 25% |
| წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის პარტიები (სოციალისტ-რევოლუციონერები, მენშევიკები და სხვ.)..... | 22,62 » | = | 62% |
| მემამულეებისა და ბურჟუაზიის პარტიები (კადეტები და სხვ.)..... | 4,62 » | = | 13% |
| სულ..... | 36.26 მლნ | = | 100% |

ახლა მოვიყვანოთ მონაცემები, რომელთაც ნ. ვ. სვიატიცკი იძლევა ოლქების მიხედვით:

მ ი ც ე მ უ ლ ი ხ მ ე ბ ი ს რ ი ც ხ ვ ი ა თ ა ს ო ბ ი თ

| ოლქები* (და არმია ცალკე) | რუსი ესერებისათვის | % | ბოლშევიკებისათვის | % | კადეტებისათვის | % | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრდილოეთის..... | 1 140,0 | 38 | 1 177,2 | 40 | 393,0 | 13 | 2 975,1 |
| ცენტრალურ-სამრეწველო..... | 1 987,9 | 38 | 2 305,6 | 44 | 550,2 | 10 | 5 242,5 |
| ვოლგისპირეთ - შავნიადაგიანი..... | 4 733,9 | 70 | 1 115,6 | 16 | 267,0 | 4 | 6 764,3 |
| დასავლეთის..... | 1 242,1 | 43 | 1 282,2 | 44 | 48,1 | 2 | 2 961,0 |
| აღმოსავლეთ - ურალის..... | 1 547,7 | 43 (62%**) | 443,9 | 12 | 181,3 | 5 | 3 583,5 |
| ციმბირის..... | 2 094,8 | 75 | 273,9 | 10 | 87,5 | 3 | 2 786,7 |
| უკრაინა..... | 1 878,1 | 25 (77%***) | 754,0 | 10 | 277,5 | 4 | 7 581,3 |
| არმია და ფლოტი.... | 1 885,1 | 43 | 1 671,3 | 38 | 51,9 | 1 | 4 363,6 |

* სავსებით ჩვეულებრივი არ არის ავტორის მიერ რუსეთის დაყოფა რაიონებად: **ჩრდილოეთის:** არხანგელსკის, ვოლოგდის, პეტროგრადის, ნოვგოროდის, ფსკოვის, ლიფლანდიის. — **ცენტრალურ-სამრეწველო:** ვლადიმირის, კოსტრომის, მოსკოვის, ნიჟნი-ნოვგოროდის, რიაზანის, ტულის, ტვერის, იაროსლავლის. — **ვოლგისპირეთ-შავნიადაგიანი:** ასტრახანის, ვორონეჟის, კურსკის, ორიოლის, პენზის, სამარის, სარატოვის, სიმბირსკის, ტამბოვის. — **დასავლეთის:** ვიტებსკის, მინსკის, მოგილიოვის, სმოლენსკის. — **აღმოსავლეთ-ურალის:** ვიატკის, ყაზანის, პერმის, უფის. — **ციმბირის:** ტობოლსკის, ტომსკის, ალტაის, ენისეის, ირკუტსკის, იმიერბაიკალის, ამურისპირეთის — **უკრაინა:** ვოლინის, ეკატერინოსლავის, კიევის, პოლტავის, თავრიდის, ხარკოვის, ხერსონის, ჩერნიგოვის.

** სვიატიცკი ფრჩხილებში ჩასმულ ციფრს, 62%, იღებს მუსლიმანი და ჩუვაშელი ესერების მიმატებით.

*** ფრჩხილებში ჩასმულ ციფრს, 77%, ვიძლევი უკრაინელი ესერების მიმატებით.

ამ მონაცემებიდან ოლქების მიხედვით ჩანს, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ბოლშევიკები პროლეტარიატის პარტიას წარმოადგენდნენ, ესერები — გლეხობის პარტიას. წმინდა გლეხურ რაიონებში, ველიკორუსულსა (ვოლგისპირეთ-შავნიადაგიანი, ციმბირი, აღმოსავლეთ-ურალის) და უკრაინულში, ესერებს ჰქონდათ ხმების 62 — 77%. სამრეწველო ცენტრებში ბოლშევიკები სჭარბობდნენ ესერებს. ეს სიჭარბე შემცირებულია იმ რაიონულ მონაცემებში, რომელნიც მოყვანილი აქვს ნ. ვ. სვიატიცკის, ვინაიდან ყველაზე უფრო სამრეწველო ოკრუგებს ის აერთებს ნაკლებ სამრეწველო და სრულიად არასამრეწველო ოკრუგებთან. სვიატიცკის მიერ მოყვანილი საგუბერნიო მონაცემები ესერების, ბოლშევიკების, კადეტების პარტიებისათვის და შემდგომ «ნაციონალური და სხვა ჯგუფებისათვის», გვიჩვენებს, მაგალითად, შემდეგს:

ჩრდილოეთის ოლქში ბოლშევიკების სიჭარბე თითქოს უმნიშვნელოა: 40% წინააღმდეგ 38%-ისა. მაგრამ ამ ოლქში შედის არასამრეწველო ოკრუგები (არხანგელსკის, ვოლოგდის, ნოვგოროდის, ფსკოვის გუბერნიები), სადაც ესერები სჭარბობდნენ, და სამრეწველო: თვით დედაქალაქი პეტროგრადი — 45% ბოლშევიკები (ხმების რაოდენობის მიხედვით), 16% ესერები; პეტროგრადის გუბერნია — 50% ბოლშევიკები, 26% ესერები; ლიფლანდიის გუბ. — 72% ბოლშევიკები, 0 — ესერები.

ცენტრალურ-სამრეწველო ოლქის გუბერნიებიდან მოსკოვის გუბერნიამ მოგვცა 56% ბოლშევიკები, 25% ესერები; დედაქალაქ მოსკოვის ოკრუგმა — 50% ბოლშევიკები, 8% ესერები; ტვერის გუბერნიამ — 54% ბოლშევიკები, 39% ესერები; ვლადიმირის გუბერნიამ — 56% ბოლშევიკები, 32% ესერები.

გაკვრით აღვნიშნოთ, ამ ფაქტების წინაშე რა სასაცილოა ლაპარაკი იმაზე, თითქოს ბოლშევიკებს პროლეტარიატის «უმცირესობა» უჭერდა და უჭერს მხარს! ასეთი ლაპარაკი

კი გვესმის მენშევიკებისაგანაც (668 ათასი ხმა, ხოლო ამიერკავკასიის დამატებით კიდევ 700 — 800 ათასი ხმა წინააღმდეგ ბოლშევიკების 9 მილიონი ხმისა) და II ინტერნაციონალის სოციალ-გამცემლებისაგანაც.

## II

როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი სასწაული: ბოლშევიკების გამარჯვება, რომელთაც ხმების ერთი მეოთხედი ჰქონდათ, წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებზე, რომლებიც კავშირში (კოალიციაში) იყვნენ ბურჟუაზიასთან და მასთან ერთად ჰქონდათ ხმების სამი მეოთხედი?

ვინაიდან გამარჯვების ფაქტის უარყოფა ახლა, როცა ორი წელია რაც ანტანტა — საქვეყნოდ ძლიერი ანტანტა — ეხმარება ბოლშევიზმის ყველა მტერს, პირდაპირ სასაცილოა.

საქმეც ისაა, რომ დამარცხებულთა, მათ შორის II ინტერნაციონალის ყველა მომხრის, გააფთრებული პოლიტიკური სიძულვილი მათ იმის საშუალებასაც კი არ აძლევს, რომ სერიოზულად დასვან უაღრესად საინტერესო ისტორიული და პოლიტიკური საკითხი ბოლშევიკების გამარჯვების მიზეზების შესახებ. საქმეც ისაა, რომ «სასწაული» აქ მხოლოდ იმ ვულგარული წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის თვალსაზრისითაა, რომლის უვიცობისა და ცრურწმენის მთელ სიღრმეს ააშკარავებს ეს კითხვა და მასზე გაცემული პასუხი.

კლასობრივი ბრძოლისა და სოციალიზმის თვალსაზრისით, ამ თვალსაზრისით, რომელიც მიატოვა II ინტერნაციონალმა, საკითხი უდავოდ წყდება.

ბოლშევიკებმა, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ გაიმარჯვეს, რომ მათ მიჰყვებოდა პროლეტარიატის უდიდესი უმრავლესობა და მასში თვით ყველაზე შეგნებული, ენერგიული, რევოლუციური ნაწილი, ამ მოწინავე კლასის ნამდვილი ავანგარდი.

ავიღოთ ორივე დედაქალაქი, პეტროგრადი და მოსკოვი. სულ იქ დამფუძნებელი კრების არჩევნებისას მიცემულ იქნა 1 765,1 ათასი ხმა. აქედან მიიღეს:

ესერებმა ..... 218,0 ათასი
ბოლშევიკებმა..... 837,0 »
კადეტებმა..... 515,4 »

რამდენიც უნდა იმტვრიონ შუბლი წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატებმა, რომლებიც სოციალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს უწოდებენ თავს (ჩერნოვებმა, მარტოვებმა, კაუცკებმა, ლონგეებმა, მაკდონალდებმა და კომპანიამ), «თანასწორობის», «საყოველთაო კენჭისყრის», «დემოკრატიის», «წმინდა დემოკრატიის» ან «თანამიმდევრული დემოკრატიის» ღვთაებათა წინაშე, ამით არ გაქრება ქალაქისა და სოფლის უ თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტი.

ეს გარდუვალი ფაქტია საერთოდ კაპიტალიზმის დროს და კერძოდ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის დროს.

ქალაქი შეუძლებელია სოფლის თანასწორი იყოს. სოფელი შეუძლებელია ქალაქის თანასწორი იყოს ამ ეპოქის ისტორიულ პირობებში. ქალაქი აუცილებლად წ ი ნ მ ი უ ძ ღ ვ ი ს სოფელს. სოფელი აუცილებლად მ ი ჰ ყ ვ ე ბ ა ქ ა ლ ა ქ ს. საკითხი მხოლოდ იმაშია, «ქალაქის» კლასებიდან რ ო მ ე ლ ი კ ლ ა ს ი შეძლებს წინ გაუძღვეს სოფელს, დაძლიოს ეს ამოცანა და რა ფორმებს მიიღებს ქ ა ლ ა ქ ი ს ეს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ა.

ბოლშევიკებს 1917 წლის ნოემბერში პროლეტარიატის უდიდესი უმრავლესობა მიჰყვებოდა. პროლეტარიატში მისი მეტოქე პარტია, მენშევიკების პარტია, ამ დროისათვის სასტიკად დამარცხებული იყო (9 მილიონი ხმა 1,4 მილიონის წინააღმდეგ, თუ შევაერთებთ 668 ათასს და ამიერკავკასიის 700 — 800 ათასს). ამასთან ეს პარტია დამარცხებულ იქნა თხუთმეტწლიან ბრძოლაში (1903 — 1917), რომელმაც გ ა მ ო ა წ რ თ ო, გაანათლა, დარაზმა პროლეტარიატის ავანგარდი,

გამოჭედა მისგან ნამდვილად რევოლუციური ავანგარდი. ამასთანავე პირველმა, 1905 წლის რევოლუციამ, მოამზადა შემდგომი განვითარება, პრაქტიკულად განსაზღვრა ორივე პარტიის ურთიერთდამოკიდებულება, გენერალური რეპეტიციის როლი შეასრულა 1917 — 1919 წლების დიადი ამბების მიმართ.

წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს, II ინტერნაციონალის «სოციალისტებად» რომ მოაქვთ თავი, უყვართ თავის დაძვრენა ფრიად სერიოზული ისტორიული საკითხისაგან მოთაფლული ფრაზებით პროლეტარიატის «ერთიანობის» სარგებლიანობის შესახებ. ამ მოთაფლული ლაყბობით მათ ავიწყდებათ 1871 — 1914 წლების მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის დაგროვების ისტორიული ფაქტი, ავიწყდებათ (ან არ სურთ) იფიქრონ ოპორტუნიზმის კრახის მიზეზების შესახებ 1914 წლის აგვისტოში, საერთაშორისო სოციალიზმის გათიშვის მიზეზების შესახებ 1914 — 1917 წლებში.

თუ პროლეტარიატის რევოლუციური ნაწილი ფრიად სერიოზულად და ყოველმხრივ არ მოემზადა ოპორტუნიზმის განსადევნად და ჩასახშობად, ფიქრიც კი სისულელეა პროლეტარიატის დიქტატურაზე. რუსეთის რევოლუციის ეს გაკვეთილი კარგად უნდა დაიხსომონ გერმანიის «დამოუკიდებელი» სოციალ-დემოკრატიის, ფრანგული სოციალიზმის და სხვათა ბელადებმა, რომელთაც ახლა სურთ თავი დაიძვრინონ პროლეტარიატის დიქტატურის სიტყვიერი აღიარებით.

შემდეგ. ბოლშევიკებს მიჰყვებოდა არა მარტო პროლეტარიატის უმრავლესობა, არა მარტო ოპორტუნიზმთან ხანგრძლივ და შეუპოვარ ბრძოლაში გამობრძმედილი პროლეტარიატის რევოლუციური ავანგარდი. მათ ჰყავდათ, თუ შესაწყნარებელია სამხედრო ტერმინის ხმარება, ძლიერი «დამკვრელი მუშტი» დედაქალაქებში.

გადამწყვეტ მომენტში გადამწყვეტ პუნქტში გქონდეს ძალების დიდი სიჭარბე — სამხედრო წარმატებათა ეს

«კანონი» აგრეთვე პოლიტიკური წარმატების კანონიცაა, განსაკუთრებით კლასთა იმ მძაფრ, გაცხარებულ ომში, რომელსაც რევოლუცია ეწოდება.

ხალხის პოლიტიკურ ბედს მნიშვნელოვნად წყვეტს დედაქალაქები ან საერთოდ უდიდესი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები (ჩვენში, რუსეთში, ეს ცნებები ერთმანეთს ემთხვეოდნენ, მაგრამ ყოველთვის როდი ემთხვევიან), — რასაკვირველია, იმ პირობით, თუ ცენტრებს მხარს უჭერენ საკმაო ადგილობრივი, სოფლის ძალები, თუნდაც ეს მხარდაჭერა დაუყოვნებლივი არც იყოს.

ორივე დედაქალაქში, რუსეთის ორივე უმთავრეს სავაჭრო-საძრეწველო ცენტრში ბოლშევიკებს ძალთა უდიდესი, გადამწყვეტი უმრავლესობა მოეპოვებოდათ. ჩვენ აქ თითქმის ოთხჯერ მეტი გვყავდა, ვიდრე ესერებს. ჩვენ აქ მეტი გვყავდა, ვიდრე ესერებსა და კადეტებს, ერთად აღებულთ. გარდა ამისა, ჩვენი მტრები დაქსაქსულნი იყვნენ, რადგან კადეტების «კოალიცია» ესერებთან და მენშევიკებთან (მენშევიკებს პეტროგრადშიც და მოსკოვშიც სულ ჰქონდათ ხმების 3% თვითეულს) უაღრესად სახელგატეხილი იყო მშრომელთა მასებში. ესერებისა და მენშევიკების რაიმე ნამდვილ ერთიანობაზე კადეტებთან ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყო იმ მომენტში*. როგორც ვიცით, 1917 წლის ნოემბერში თვით ესერებისა და მენშევიკების ბელადებიც კი, რომლებიც ასჯერ უფრო ახლოს იყვნენ კადეტებთან ბლოკის იდეასთან, ვიდრე ესერი და მენშევიკი მუშები და გლეხები, ეს ბელადებიც კი ფიქრობდნენ (და გვევაჭრებოდნენ) ბოლშევიკებთან კოალიციის შესახებ უკადეტებოდ!

1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერში დედაქალაქებს ჩვენ დანამდვილებით ვიპყრობდით, რადგან ძალების უდიდესი

* საინტერესოა აღვნიშნოთ ზემომოყვანილი მონაცემებით გამოაშკარავებული ერთიანობა და დარაზმულობა პროლეტარიატის პარტიისა, — წვრილი ბურჟუაზიის პარტიებისა და ბურჟუაზიის პარტიების უდიდესი დაქსაქსულობის დროს.

სიჭარბე და ძალიან სერიოზული პოლიტიკური მომზადება გვქონდა როგორც ბოლშევიკური «არმიების» შეგროვების, თავმოყრის, გაწვრთნის, გამოცდის, გამოწრთობის მხრივ, ისე «მტრის» «არმიების» გახრწნის, დაუძლურების, დაქსაქსვის, დემორალიზაციის მხრივ.

ხოლო გვქონდა რა შესაძლებლობა სწრაფი, გადამწყვეტი დარტყმით უეჭველად ჩაგვეგდო ხელში ორივე დედაქალაქი, სახელმწიფოს მთელი კაპიტალისტური მანქანის ორივე ცენტრი (როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მხრივ), ჩვენ, მიუხედავად ბიუროკრატიისა და «ინტელიგენციის» გაფთრებული წინააღმდეგობისა, საბოტაჟისა და სხვ., შეგვეძლო სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური აპარატის შემწეობით ს ა ქ მ ი თ დ ა გ ვ ე მ ტ კ ი ც ე ბ ი ნ ა მშრომელი არაპროლეტარული მასებისათვის, რომ პროლეტარიატი მათი ერთადერთი საიმედო მოკავშირე, მეგობარი და ხელმძღვანელია.

## III

მაგრამ ვიდრე გადავიდოდეთ ამ, ყველაზე მნიშვნელოვან, საკითხზე — არაპროლეტარული მშრომელი მასებისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების საკითხზე — საჭიროა კიდევ შევჩერდეთ ა რ მ ი ა ზ ე.

იმპერიალისტური ომის დროს არმიამ თავის რიგებში მიიზიდა ხალხის რჩეული ძალები, და თუ II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული არამზადები (არა მარტო სოციალ-შოვინისტები, ე. ი. «სამშობლოს დაცვის» მხარეზე პირდაპირ გადასული შეიდემანები და რენოდელები, არამედ «ცენტრელებიც») თავიანთი სიტყვებითა და საქმეებით განამტკიცებდნენ არმიის დამორჩილებას როგორც გერმანიის, ისე ინგლის-საფრანგეთის ჯგუფის იმპერიალისტურ ყაჩაღთა ხელმძღვანელობისადმი, ნამდვილი პროლეტარული რევოლუციონერები არასოდეს არ ივიწყებდნენ მარქსის მიერ 1870 წელს ნათქვამ სიტყვებს: «ბურჟუაზია შეასწავლის პროლეტარიატს იარაღის

ხმარებას»[54]! იმპერიალისტურ, ე. ი. ორივე მხრივ მძარცველურ, ომში «სამშობლოს დაცვაზე» ლაპარაკი შეეძლოთ მხოლოდ სოციალიზმის ავსტრიელ-გერმანელ და ინგლისელ-ფრანგ-რუს გამცემლებს, პროლეტარული რევოლუციონერები კი მთელ ყურადღებას მიმართავდნენ (დაწყებული 1914 წლის აგვისტოდან) არმიის გარევოლუციონერებაზე, მის გამოყენებაზე ბურჟუაზიის იმპერიალისტური ყაჩაღების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, იმპერიალისტურ მტაცებელთა ორ ჯგუფს შორის ამტყდარი უსამართლო და მძარცველური ომის გადაქცევაზე თვითეული ქვეყნის პროლეტარებისა და ჩაგრული მშრომელი მასების სამართლიან და კანონიერ ომად «თავისი», «ნაციონალური» ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

სოციალიზმის გამცემლებს 1914 — 1917 წლების განმავლობაში არ მ ო უ მ ზ ა დ ე ბ ი ა თ არმიის გამოყენება თ ვ ი თ ე უ ლ ი ერის იმპერიალისტურ მთავრობათა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

ბოლშევიკებმა ეს მოამზადეს მთელი თავიანთი პროპაგანდით, აგიტაციით, არალეგალურ-ორგანიზაციული მუშაობით 1914 წლის აგვისტოდან. რა თქმა უნდა, სოციალიზმის გამცემლები, ყველა ერის შეიდემანები და კაუცკები, ამის გამო თავს იძვრენდნენ ლაყბობით ბოლშევიკური აგიტაციით არმიის გ ა ხ რ წ ნ ი ს შესახებ, მაგრამ ჩვენ ვ ა მ ა ყ ო ბ თ იმით, რომ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ, როცა გავხრწენით ჩვენი კლასობრივი მტრის ძალები, ხელიდან გამოვგლიჯეთ მ ა ს შეიარაღებული მუშებისა და გლეხების მასები ექსპლოატატორების წინააღმდეგ ს ა ბ რ ძ ო ლ ვ ე ლ ა დ.

ჩვენი მუშაობის შედეგები, სხვათა შორის, დაეტყო დამფუძნებელი კრების არჩევნების იმ კენჭისყრასაც 1917 წლის ნოემბერში, რომელშიც (კენჭისყრაში) რუსეთში მონაწილეობას იღებდა არმიაც.

აი ამ კენჭისყრის მთავარი შედეგები, როგორც ის მოჰყავს ნ. ვ. სვიატიცკის:

ხმების რაოდენობა (ათასობით), მიცემული 1917 წლის ნოემბერში დამფუძნებელი კრების არჩევნებში

| არმიისა და ფლოტის ნაწილები | | ესერებისათვის | ბოლშევიკებისათვის | კადეტებისათვის | ნაციონალური და სხვ. ჯგუფებისათვის | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრდილოეთის | ფრონტი... | 240,0 | 480,0 | ? | 60,0** | 780,0 |
| დასავლეთის | » ... | 180,6 | 653,4 | 16,7 | 125,2 | 976,0 |
| სამხრეთ-დასავლეთის | » ... | 402,9 | 300,1 | 13,7 | 290,6 | 1 007,4 |
| რუმინეთის | » ... | 679,4 | 167,0 | 21,4 | 260,7 | 1 128,6 |
| კავკასიის | » ... | 360,0 | 60,0 | ? | — | 420,0 |
| ბალტიის | ფლოტი ... | — | (120,0)* | — | — | (120,0)* |
| შავი ზღვის | » ... | 22,2 | 10,8 | — | 19,5 | 52,5 |
| სულ..... | | 1 885,1 | 1 671,3 | 51,8 | 756,0 | 4 364,5 |
| | | | +(120.0)* | + ? | | + (120,0)* |
| | | | 1 791,3 | | | + ? |

ჯამი: ესერებისათვის მიუციათ 1 885, 1 ათასი ხმა, ბოლშევიკებისათვის — 1 671, 3 ათასი. ხოლო თუ უკანასკნელთ მივუმატებთ 120,0 (დაახლოებით) ბალტიის ფლოტისაგან, მივიღებთ ბოლშევიკებისათვის 1 791, 3 ათას ხმას.

მაშასადამე, ბოლშევიკებმა ცოტათი ნაკლები მიიღეს, ვიდრე ესერებმა.

მაშასადამე, 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბრისათვის არმია ს ა ნ ა ხ ე ვ რ ო დ უ ქვე ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი იყო.

უამისოდ ჩვენ ვერ გავიმარჯვებდით.

იმ დროს, როცა საერთოდ არმიაში ხმების თითქმის ნახევარი გვქონდა, დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ე ბ ი ს უ ა ხ ლ ო ე ს

* ციფრები დაახლოებითია: არჩეულია 2 ბოლშევიკი. საშუალოდ ნ. ვ. სვიატიცკი 1 არჩეულზე ანგარიშობს 60 000 ხმას. სწორედ ამიტომ ვიღებ მე ციფრს 120 000.

** ცნობები არ არის იმის შესახებ, თუ რომელმა პარტიამ მიიღო 19,5 ათასი ხმა შავი ზღვის ფლოტისაგან. ამ სვეტის დანარჩენი ციფრები კი, როგორც ჩანს, თითქმის მთლიანად ეკუთვნით უკრაინელ სოციალისტებს, რადგან არჩეული იყო 10 უკრაინელი სოციალისტი და 1 სოციალ-დემოკრატი (ე. ი. მენშევიკი).

და საერთოდ არა მეტისმეტად დაშორებულ ფრონტებზე დიდი უმეტესობა ჩვენს მხარეზე იყო. კავკასიის ფრონტის გამოკლებით ბოლშევიკებს საერთოდ ესერებზე მეტი ხმები აქვთ. ხოლო თუ ავიღებთ ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფრონტებს, ბოლშევიკებს ექნებათ 1 მილიონ ხმაზე მეტი ესერების 420 ათასი ხმის წინააღმდეგ.

მაშასადამე, 1917 წლის ნოემბრისათვის ბოლშევიკებს არმიაშიც ჰქონდათ უკვე პოლიტიკური «დამკვრელი მუშტი», რომელიც უზრუნველყოფდა მათთვის ძალთა დიდ სიჭარბეს გადამწყვეტ პუნქტში გადამწყვეტ მომენტში. ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყო არმიის მხრივ რაიმე წინააღმდეგობის გაწევაზე პროლეტარიატის ოქტომბრის რევოლუციისათვის, პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის, როცა ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფრონტებზე ბოლშევიკებს უდიდესი უმრავლესობა ჰყავდათ, ხოლო ცენტრისაგან დაშორებულ დანარჩენ ფრონტებზე ბოლშევიკებს დრო და შესაძლებლობა ჰქონდათ ხელიდან გამოეგლიჯათ გლეხები ესერების პარტიისათვის, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

## IV

დამფუძნებელი კრების არჩევნების მონაცემების საფუძველზე ჩვენ შევისწავლეთ ბოლშევიზმის გამარჯვების სამი პირობა: 1) დიდი უმრავლესობა პროლეტარიატში; 2) თითქმის ნახევარი არმიაში; 3) ძალთა დიდი სიჭარბე გადამწყვეტ მომენტში გადამწყვეტ პუნქტებში, სახელდობრ: დედაქალაქებსა და ცენტრის მახლობელი ფრონტების არმიებში.

მაგრამ ამ პირობებს შეეძლოთ მოეცათ მხოლოდ სულ ხანმოკლე და არამტკიცე გამარჯვება, ბოლშევიკებს რომ თავის მხარეზე არ გადმოეყვანათ **არა**პროლეტარული მშრომელი მასების უმრავლესობა, არ გამოეგლიჯათ **ისინი** ხელიდან ესერებისათვის და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიებისათვის.

მთავარი სწორედ ეს არის.

და II ინტერნაციონალის «სოციალისტების» (იგულისხმე: წვრილბურჟუაზიული დემოკრატების) მხრივ პროლეტარიატის დიქტატურის გაუგებლობის მთავარი წყარო მდგომარეობს მათ მიერ იმის გაუგებლობაში, რომ

> სახელმწიფო ხელისუფლება ერთი კლასის, პროლეტარიატის, ხელში შეიძლება და კიდევაც უნდა გადაიქცეს პროლეტარიატის მხარეზე არაპროლეტარული მშრომელი მასების გადმოყვანის იარაღად, ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიული პარტიების ხელიდან მასების გამოგლეჯის იარაღად.

II ინტერნაციონალის ბატონი «სოციალისტები» აღსავსენი არიან წვრილბურჟუაზიული ცრურწმენით, მათ დაივიწყეს თავიდათავი მარქსის მოძღვრებაში სახელმწიფოს შესახებ და სახელმწიფო ხელისუფლებას უყურებენ როგორც რაღაც წმიდათა წმიდას, კერპს ან ფორმალურ კენჭისყრათა ტოლქმედს, «თანამიმდევრული დემოკრატიის» აბსოლუტს (და კიდევ სხვა ასეთ აბდაუბდას). სახელმწიფო ხელისუფლებაში ისინი ვერ ხედავენ უბრალო იარაღს, რომლითაც სხვადასხვა კლასებს შეუძლიათ და კიდევაც უნდა ისარგებლონ (და უნდა შეეძლოთ სარგებლობა) თავიანთი კლასობრივი მიზნებისათვის.

ბურჟუაზია სახელმწიფო ხელისუფლებას იყენებდა როგორც კაპიტალისტთა კლასის იარაღს პროლეტარიატის წინააღმდეგ, ყველა მშრომელის წინააღმდეგ. ასე იყო ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში. მხოლოდ მარქსიზმის მოღალატეებს «დაავიწყდათ» ეს.

პროლეტარიატმა (საკმაოდ ძლიერი, პოლიტიკური და სამხედრო, «დამკვრელი მუშტების» თავმოყრით) უნდა

დაამხოს ბურჟუაზია, წაართვას მას სახელმწიფო ხელისუფლება, რათა ეს ი ა რ ა ღ ი აამუშაოს თ ა ვ ი ს ი კლასობრივი მიზნებისათვის.

ხოლო როგორია პროლეტარიატის კლასობრივი მიზნები?

ბურჟუაზიის წინააღმდეგობის ჩახშობა.

გლეხობის «ნეიტრალიზაცია», ხოლო, შეძლებისდამიხედვით, მისი მიზიდვა — ყოველ შემთხვევაში მისი მშრომელი არაექსპლოატატორული ნაწილის მიზიდვა — თავის მხარეზე.

მსხვილი სამანქანო წარმოების მოწყობა ბურჟუაზიის ექსპროპრიირებული ფაბრიკებისა და საერთოდ წარმოების საშუალებათა საფუძველზე.

სოციალიზმის აშენება კაპიტალიზმის ნანგრევებზე.

* * *

ბატონი ოპორტუნისტები, მათ შორის კაუცკელებიც, ხალხს «ასწავლიან», მარქსის მოძღვრების დასაცინად: პროლეტარიატმა ჯერ უმრავლესობა უნდა მოიპოვოს საყოველთაო საარჩევნო უფლების მეოხებით, შემდეგ, უმრავლესობის ასეთი კენჭისყრის საფუძველზე, უნდა მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლება და უკვე ამის შემდეგ, «თანამიმდევრული» (ზოგნი ამბობენ: «წმინდა») დემოკრატიის ამ საფუძველზე, მოაწყოს სოციალიზმიო.

ჩვენ კი, მარქსის მოძღვრებისა და რუსეთის რევოლუციის გამოცდილების საფუძველზე, ვამბობთ:

პროლეტარიატმა ჯერ უნდა დაამხოს ბურჟუაზია და დ ა ე პ ა ტ რ ო ნ ო ს სახელმწიფო ხელისუფლებას, შემდეგ კი ეს სახელმწიფო ხელისუფლება, ესე იგი პროლეტარიატის დიქტატურა, გამოიყენოს როგორც თავისი კლასის იარაღი მშრომელთა უმრავლესობის თანაგრძნობის მოსაპოვებლად.

* * *

როგორ გახდება სახელმწიფო ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის იარაღად არაპროლეტარულ მშრომელ მასებზე გავლენის

მოსახდენად? პროლეტარიატის მხარეზე მათ გადმოსაბირებლად? ბურჟუაზიისაგან მათ მოსაწყვეტად, გამოსაგლეჯად?

ჯერ-ერთი, პროლეტარიატი ამას იმით აღწევს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ძველ აპარატს კი არ იყენებს, არამედ მთლიანად ა მ ს ხ ვ რ ე ვ ს მას, ქვას ქვაზე არ ტოვებს მასში (წინააღმდეგ დაშინებული მეშჩანების გოდებისა და მესაბოტაჟეთა მუქარისა) და ქმნის ა ხ ა ლ სახელმწიფო აპარატს. ეს ახალი სახელმწიფო აპარატი შეგუებულია პროლეტარიატის დიქტატურასთან და მის ბრძოლასთან ბურჟუაზიის წინააღმდეგ არაპროლეტარული მშრომელი მასების მ ი ს ა მ ხ რ ო ბ ა დ. ეს ახალი აპარატი ვინმეს კი არ გამოუგონია, არამედ წ ა რ მ ო შ ვ ა პროლეტარიატის კლასობრივმა ბრძოლამ, მისმა გაფართოებამ და გაღრმავებამ. სახელმწიფო ხელისუფლების ეს ახალი აპარატი, სახელმწიფო ხელისუფლების ახალი ტ ი პ ი არის ს ა ბ ჭ ო თ ა ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა.

რუსეთის პროლეტარიატმა, როცა სახელმწიფო ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, დაუყოვნებლივ, რამდენიმე საათში, დათხოვნილად გამოაცხადა ძველი სახელმწიფო აპარატი (რომელსაც საუკუნეობით უფარდებდნენ, როგორც მარქსმა დაგვანახვა, ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების სამსახურს, თუნდაც ყველაზე დემოკრატიული რესპუბლიკის დროს[55]) და მ თ ე ლ ი ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა ს ა ბ ჭ ო ე ბ ს გადასცა. საბჭოებში კი დაშვებული იყვნენ მხოლოდ მშრომელები და ექსპლოატირებულნი, და გამორიცხავდნენ ყველა და ყოველგვარ ექსპლოატატორს.

ამრიგად, ერთბაშად, ერთი დარტყმით, დაუყოვნებლივ პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდების შ ე მ დ ე გ, პროლეტარიატი ბურჟუაზიას ა რ თ მ ე ვ ს მის მომხრეთა უ დ ი დ ე ს მ ა ს ა ს წვრილბურჟუაზიულ და «სოციალისტურ» პარტიათაგან, რადგან ეს მასაა — მშრომელნი და ექსპლოატირებულნი, რომელთაც ბურჟუაზია (მათ შორის მისი დამქაშები — ჩერნოვები, კაუც-

კები, მარტოვები და კომპანია) ატყუებდა და რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების მიღებით პირველად იღებენ ხელში მასობრივი ბრძოლის იარაღს თავიანთი ინტერესების დასაცავად ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მეორე, პროლეტარიატს შეუძლია და მან ერთბაშად ან ყოველ შემთხვევაში ძალიან ჩქარა უნდა გამოგლიჯოს ხელიდან ბურჟუაზიას და წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას «მათი» მასები, ე. ი. ის მასები, რომლებიც მათ მიჰყვებოდნენ, — მოიმხროს მემამულეებისა და ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის ანგარიშზე მათი ყველაზე უფრო საარსებო ეკონომიურ საჭიროებათა რევოლუციური დაკმაყოფილებისგზით.

ბურჟუაზიას ეს არ შეუძლია, რაც უნდა «ძლიერი» სახელმწიფო ხელისუფლების პატრონიც იყოს.

პროლეტარიატს ეს შეუძლია მის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდების მეორე დღესვე, რადგან საამისოდ მას აქვს აპარატიც (საბჭოები) და ეკონომიური საშუალებებიც (მემამულეებისა და ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია).

რუსეთის პროლეტარიატმა სწორედ ასე გამოგლიჯა ხელიდან ესერებს გლეხობა და გამოგლიჯა სწორედ რამდენიმე საათში პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ. რადგან პეტროგრადში ბურჟუაზიაზე გამარჯვების რამდენიმე საათის შემდეგ გამარჯვებულმა პროლეტარიატმა გამოსცა «დეკრეტი მიწის შესახებ», ხოლო ამ დეკრეტში მთლიანად და ერთბაშად, რევოლუციური სისწრაფით, ენერგიითა და თავდადებით, განახორციელა გლეხების უმრავლესობის ყველა ფრიად საარსებო ეკონომიური საჭიროება, ექსპროპრიაცია გაუკეთა მემამულეებს მთლიანად და გამოუსყიდველად.

გლეხებისათვის რომ დაემტკიცებინათ, რომ პროლეტარებს მათი მაიორიზება კი არ სურთ, მათ მიმართ

მბრძანებლობა კი არ სურთ, არამედ სურთ დაეხმარონ მათ და მეგობრები იყვნენ მათი. გამარჯვებულმა ბოლშევიკებმა თავიანთი ერთი სიტყვაც კი არ ჩაურთეს «დეკრეტში მიწის შესახებ», არამედ სიტყვასიტყვით გადმოიწერეს იგი გლეხთა იმ (რა თქმა უნდა, უფრო რევოლუციური) განაწესებიდან, რომლებიც ესერებმა გამოაქვეყნეს ესერულ გაზეთში.

ესერები ცხარობდნენ, აღშფოთებული იყვნენ, გულისწყრომას გამოთქვამდნენ, გოდებდნენ, «ბოლშევიკებმა პროგრამა მოგვპარესო», მაგრამ ამისათვის ესერებს მხოლოდ დასცინოდნენ: კარგი პარტია კი ყოფილა ის პარტია, რომლის დამარცხება და მთავრობიდან გაგდება გახდა საჭირო, რათა მისი პროგრამიდან განეხორციელებინათ ყოველივე რევოლუციური და მშრომელთათვის ყოველივე სასარგებლო!

აი ეს დიალექტიკა ვერასოდეს ვერ გაიგეს II ინტერნაციონალის გამცემლებმა, ყეყეჩებმა და პედანტებმა: პროლეტარიატი ვერ გაიმარჯვებს, თუ თავის მხარეზე არ გადაიყვანა მოსახლეობის უმრავლესობა. მაგრამ ამ გადაყვანის შემოფარგვლა ან გაპირობება არჩევნებში ხმების უმრავლესობის მიღებით ბურჟუაზიის ბატონობის დროს სრული ჭკუამოკლეობაა ან მუშების პირდაპირი მოტყუება. მოსახლეობის უმრავლესობის თავის მხარეზე გადმოსაყვანად პროლეტარიატმა, ჯერ-ერთი, უნდა დაამხოს ბურჟუაზია და ხელში ჩაიგდოს სახელმწიფო ძალაუფლება; მეორე, მან უნდა შემოიღოს საბჭოთა ხელისუფლება, ნამსხვრევებად აქციოს ძველი სახელმწიფო აპარატი, რითაც ის ერთბაშად ძირს უთხრის ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიული შემთანხმებლების ბატონობას, ავტორიტეტსა და გავლენას არაპროლეტარულ მშრომელ მასებში. მესამე, მან ბოლო უნდა მოუღოს ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიული შემთანხმებლების გავლენას არაპროლეტარული მშრომელი მასების უმრავლესობაში მათი ეკონომიური მოთხოვნილებების რევოლუციური განხორციელებით **ექსპლოატატორების ხარჯზე.**

ყველა ამის შესაძლებლობა მოცემულია, რასაკვირველია, მხოლოდ კაპიტალისტური განვითარების განსაზღვრული დონით. ამ ძირითადი პირობის გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის ცალკე კლასად გამოყოფაც და ისიც, რომ წარმატება ჰქონდეს მის ხანგრძლივ მომზადებას, აღზრდას, სწავლას, მრავალი წლის საგაფიცვო ბრძოლაში გამოცდას, დემონსტრაციებს, ოპორტუნისტების შერცხვენასა და განდევნას. ამ ძირითადი პირობის გარეშე შეუძლებელია ის ეკონომიური და პოლიტიკური როლი ჰქონდეთ ცენტრებს, რომელთა ხელში ჩაგდებით პროლეტარიატი ხელთ იგდებს მთელ სახელმწიფო ძალაუფლებას ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მის სასიცოცხლო ნერვს, გულს, კვანძს. ამ ძირითადი პირობის გარეშე შეუძლებელია ის ნათესაობა, ახლობლობა, კავშირი პროლეტარიატის მდგომარეობასა და არაპროლეტარული მშრომელი მასების მდგომარეობას შორის, რომლებიც (ნათესაობა, ახლობლობა, კავშირი) აუცილებელია ამ მასებზე პროლეტარიატის გავლენისათვის, მათზე პროლეტარიატის ზემოქმედების წარმატებისათვის.

## V

გავყვეთ ქვევით.

პროლეტარიატს შეუძლია ხელში ჩაიგდოს სახელმწიფო ძალაუფლება, განახორციელოს საბჭოთა წყობილება, ეკონომიურად დააკმაყოფილოს მშრომელთა უმრავლესობა ექსპლოატატორების ხარჯზე.

განა საკმარისია ეს სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის?

არა.

მხოლოდ წვრილბურჟუაზიული დემოკრატების, «სოციალისტებისა» და «სოციალ-დემოკრატების», როგორც მათი თანამედროვე მთავარი წარმომადგენლების, ილუზიას შეუძლია წარმოიდგინოს, თითქოს კაპიტალიზმის დროს მშრომელ მასებს შეუძლიათ შეიძინონ ისეთი მაღალი შეგნებულობა,

ხასიათის სიმტკიცე, შორსმჭვრეტელობა და ფართო პოლიტიკური ჰორიზონტი, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ მხოლოდ კენჭისყრით გადაწყვიტონ ან საერთოდ როგორმე წინასწარ გადაწყვიტონ, ბრძოლის ხანგრძლივი გამოცდილების გარეშე, რომ ისინი მიჰყვებიან ამა და ამ კლასს ან ამა და ამ პარტიას.

ეს ილუზიაა. ეს პედანტებისა და კაუცკების, ლონგეების, მაკდონალდების ტიპის მოთაფლული სოციალისტების მოთაფლული ჩმახია.

კაპიტალიზმი არ იქნებოდა კაპიტალიზმი, იგი რომ, ერთი მხრივ, არ უმზადებდეს მასებს დაბეჩავების, ჩაგვრის, დაშინების, დაქსაქსულობის (სოფელი!), უმეცრების მდგომარეობას; — იგი (კაპიტალიზმი) რომ, მეორე მხრივ, ბურჟუაზიას ხელში არ აძლევდეს სიცრუისა და მოტყუების, მუშებისა და გლეხების მასობრივად გაბრიყვების, მათი გამოყეყეჩების უზარმაზარ აპარატს და სხვ.

ამიტომ მშრომელთა გადაყვანა კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს. მშრომელთა წვრილბურჟუაზიული თუ ნახევრადწვრილბურჟუაზიული მასის მხრივ ურთულესი პოლიტიკური საკითხის — «მუშათა კლასთან თუ ბურჟუაზიასთან ყოფნა» — წინასწარ გადაწყვეტაზე ფიქრიც კი ზედმეტია. გარდუვალია არაპროლეტარული მშრომელი ფენების მერყეობა, აუცილებელია მათი საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება, რაც საშუალებას იძლევა შეადარონ ბურჟუაზიის ხელმძღვანელობა და პროლეტარიატის ხელმძღვანელობა.

აი ამ გარემოებას ყოველთვის მხედველობიდან უშვებენ სწორედ «თანამიმდევრული დემოკრატიის» თაყვანისმცემლები, რომელთაც წარმოუდგენიათ, თითქოს ფრიად სერიოზული პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა კენჭისყრით შეიძლებოდეს. სინამდვილეში ამ საკითხებს, თუ ისინი მწვავეა და გამწვავებულია ბრძოლით, წყვეტს სამოქალაქო

ომი, ამ ომში კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს არაპროლეტარული მშრომელი მასების (პირველ რიგში გლეხების) გამოცდილებას, მათ მიერ პროლეტარიატის ხელისუფლებისა და ბურჟუაზიის ხელისუფლების შედარების, დაპირისპირების გამოცდილებას.

ამ მხრივ მეტისმეტად საგულისხმოა რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები 1917 წლის ნოემბერში, დაპირისპირებული 1917 — 1919 წლების ორწლიან სამოქალაქო ომთან.

ვნახოთ, რომელი რაიონები აღმოჩნდა ყველაზე ნაკლებ ბოლშევიკური. ჯერ-ერთი, აღმოსავლეთ-ურალის და ციმბირის: ბოლშევიკებმა მიიღეს ხმების 12% და 10%. მეორე, უკრაინა: ბოლშევიკებმა მიიღეს ხმების 10%. დანარჩენი რაიონებიდან ხმების უმცირეს პროცენტს ბოლშევიკების სასარგებლოდ იძლევა ველიკოროსიის გლეხური რაიონი, ვოლგისპირეთ-შავნიადაგიანი რაიონი, მაგრამ იქ ბოლშევიკებმა მიიღეს ხმების 16%.

და აი სწორედ იმ რაიონებში, სადაც 1917 წლის ნოემბერში ბოლშევიკების ხმების პროცენტი ყველაზე ნაკლები იყო, ჩვენ ვხედავთ კონტრრევოლუციური მოძრაობის, აჯანყებათა, კონტრრევოლუციის ძალების ორგანიზაციის ყველაზე დიდ წარმატებას. სწორედ ამ რაიონებში თვეობით ძლებდა კოლჩაკისა და დენიკინის ბატონობა.

ამ რაიონებში განსაკუთრებული სიცხადით გამომჟღავნდა წვრილბურჟუაზიული მოსახლეობის მერყეობა იქ, სადაც ყველაზე ნაკლებია პროლეტარიატის გავლენა:

ჯერ ბოლშევიკებს ემხრობიან, როცა მათ მიწა მისცეს და დემობილიზებულმა ჯარისკაცებმა ცნობა მოიტანეს ზავის შესახებ. შემდეგ ბოლშევიკების წინააღმდეგ მიდიან, როცა ბოლშევიკები, რევოლუციის ინტერნაციონალური განვითარებისა და რუსეთში მისი კერის შენარჩუნებისათვის, ბრესტის ზავს დათანხმდნენ და ამით უღრმესი წვრილბურჟუაზიული, პატრიოტული გრძნობები «შელახეს». გლეხებს პროლეტარიატის დიქტატურა განსაკუთრებით არ მოეწონათ

იქ, სადაც პურის ყველაზე მეტი ნაჭარბია, როცა ბოლშევიკებმა დაანახვეს, რომ მკაცრად და გაბედულად შეეცდებიან, რათა ეს ნაჭარბი გადაეცეს სახელმწიფოს მტკიცე ფასებში. ურალის, ციმბირის და უკრაინის გლეხობა პირს იბრუნებს კოლჩაკისა და დენიკინისაკენ.

შემდეგ, კოლჩაკისა და დენიკინის «დემოკრატიის» გამოცდილებამ, «დემოკრატიისა», რომლის შესახებ კოლჩაკეთისა და დენიკინეთის ყოველი მეგაზეთე გაჰყვიროდა თეთრგვარდიული გაზეთების ყოველ ნომერში, გლეხებს დაანახვა, რომ სინამდვილეში ფრაზები დემოკრატიისა და დამფუძნებელი კრების შესახებ მხოლოდ საფარი იყო მემამულისა და კაპიტალისტის დიქტატურისა.

იწყება ახალი შემობრუნება ბოლშევიზმისაკენ: ფართოვდება გლეხთა აჯანყებები კოლჩაკისა და დენიკინის ზურგში. წითელ ჯარებს გლეხები ხვდებიან როგორც განმათავისუფლებლებს.

საბოლოო ანგარიშში საბჭოთა ხელისუფლებისა და კოლჩაკ — დენიკინის ხელისუფლების ბედს წყვეტდა გლეხობის, როგორც მშრომელთა წვრილბურჟუაზიული მასის მთავარი წარმომადგენლის, სწორედ ეს მერყეობა. მაგრამ ამ «საბოლოო ანგარიშამდე» გადიოდა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი მძიმე ბრძოლისა და მწარე განსაცდელისა, რაც რუსეთში არ დამთავრებულა ორი წლის განმავლობაში, არ დამთავრებულა სწორედ ციმბირსა და უკრაინაში. და არ შეიძლება იმის თავდებობა, რომ ეს ს ა ბ ო ლ ო ო დ დამთავრდება კიდევ, ვთქვათ, ერთი წლის განმავლობაში და ა. შ.

«თანამიმდევრული» დემოკრატიის მომხრენი არ ჩაფიქრებიან ამ ისტორიული ფაქტის მნიშვნელობას. მათ წარმოდგენილი ჰქონდათ და ახლაც წარმოუდგენიათ საბავშვო ზღაპარი, თითქოს კაპიტალიზმის დროს პროლეტარიატს კენჭისყრით შეუძლია მშრომელთა უმრავლესობის «დარწმუნება» და მათი მტკიცედ გადმოყვანა თავის მხარეზე. სინამდვილე კი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ხანგრძლივ და

სასტიკ ბრძოლაში მიღებულ მძიმე გამოცდილებას მ ი ჰ ყ ა ვ ს. მ ე რ ყ ე ვ ი წ ვ რ ი ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა, კაპიტალისტების დიქტატურასთან პროლეტარიატის დიქტატურის შედარების შემდეგ, იმ დასკვნამდე, რომ უკანასკნელი პირველზე უკეთესია.

თეორიულად ყველა სოციალისტი, რომლებსაც მარქსიზმი უსწავლიათ და სურთ გაითვალისწინონ მოწინავე ქვეყნების პოლიტიკური ისტორიის გამოცდილება XIX საუკუნის მანძილზე, აღიარებს პროლეტარიატსა და კაპიტალისტების კლასს შორის წვრილი ბურჟუაზიის მ ე რ ყ ე ო ბ ი ს გარდუვალობას. ამ მერყეობის ეკონომიურ ფესვებს თვალნათლივ ააშკარავებს ეკონომიური მეცნიერება, რომლის ჭეშმარიტებები მილიონჯერ ყოფილა განმეორებული II ინტერნაციონალის სოციალისტების გაზეთებსა, ფურცლებსა და ბროშურებში.

მაგრამ ზოგიერთებს არ შეუძლიათ ამ ჭეშმარიტებათა მიყენება პროლეტარიატის დიქტატურის თავისებური ეპოქისადმი. კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ადგილას ისინი აყენებენ წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ცრურწმენასა და ილუზიებს (კლასთა «თანასწორობის» შესახებ, «თანამიმდევრული» ანუ «წმინდა» დემოკრატიის შესახებ, დიდი ისტორიული საკითხების კენჭისყრით გადაწყვეტის შესახებ და სხვ.). არ სურთ გაიგონ, რომ პროლეტარიატი, რომელმაც სახელმწიფო ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, ამით თავის კლასობრივ ბრძოლას კი არ წყვეტს, არამედ სხვა ფორმით, სხვა საშუალებებით განაგრძობს მას. პროლეტარიატის დიქტატურა არის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ისეთი იარაღის საშუალებით, როგორიცაა სახელმწიფო ხელისუფლება, კლასობრივი ბრძოლა, რომლის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენს ხანგრძლივ გამოცდილებაზე, მრავალ პრაქტიკულ მაგალითზე დაყრდნობით არაპროლეტარული მშრომელი ფენებისათვის იმის დემონსტრირება, რომ მათთვის უფრო ხელსაყრელია მხარი დაუჭირონ პროლეტარიატის

დიქტატურას, ვიდრე ბურჟუაზიის დიქტატურას, და რომ მესამე რამ შეუძლებელია იყოს.

მონაცემები დამფუძნებელი კრების 1917 წლის ნოემბრის არჩევნების შესახებ გვაძლევს იმ სურათის ძირითად ფონს, რომელსაც ამის შემდეგ ორი წლის განმავლობაში გვიჩვენებს სამოქალაქო ომის განვითარება. ამ ომის ძირითადი ძალები მთელი სიცხადით ჩანს უ კ ვ ე დამფუძნებელი კრების არჩევნებში: ჩანს პროლეტარული არმიის «დამკვრელი მუშტის» როლი, ჩანს მერყევი გლეხობის როლი, ჩანს ბურჟუაზიის როლი. «კადეტებს — წერს ნ. ვ. სვიატიცკი თავის სტატიაში — ყველაზე მეტი წარმატება ჰქონდათ იმავე ოლქებში, სადაც წარმატება ჰქონდათ ბოლშევიკებსაც: ჩრდილოეთ და ცენტრალურ-სამრეწველო ოლქებში» (გვ. 116). ბუნებრივია, რომ ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ცენტრებში ყველაზე სუსტი იყვნენ შუალედი ელემენტები, რომლებსაც შუა ადგილი ეჭირათ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ბუნებრივია, რომ ამ ცენტრებში კლასობრივი ბრძოლა ყველაზე სასტიკი იყო. სწორედ აქ იყო ბურჟუაზიის მთავარი ძალები, სწორედ აქ, მხოლოდ აქ, შეეძლო პროლეტარიატს ბურჟუაზიის დამარცხება. და მხოლოდ პროლეტარიატს შეეძლო მისი სასტიკად დამარცხება. და მხოლოდ მისი სასტიკად დამარცხების შემდეგ შეეძლო პროლეტარიატს, გამოიყენებდა რა ისეთ იარაღს, როგორიცაა სახელმწიფო ხელისუფლება, მოსახლეობის წვრილბურჟუაზიული ფენების თანაგრძნობისა და მხარდაჭერის საბოლოოდ მოპოვება.

მონაცემები დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ, თუ იცი მათი გამოყენება, თუ იცი მათი წაკითხვა, კიდევ და კიდევ გვიჩვენებს კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული მოძღვრების ძირითად ჭეშმარიტებებს.

სხვათა შორის. ეს მონაცემები ცხადყოფს აგრეთვე ნაციონალური საკითხის როლსა და მნიშვნელობას. აიღეთ უკრაინა. ამ სტრიქონების დამწერს ზოგიერთი ამხანაგი უკრაინის საკითხის გამო გამართულ უკანასკნელ თათბირებზე

ბრალს დებდა უკრაინაში ნაციონალური საკითხის მეტის-მეტად «წინ წამოწევაში». მონაცემები დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში უკრაინაში უმრავლესობა მიიღეს უ კ რ ა ი ნ ე ლ-მ ა ესერებმა და სოციალისტებმა (3,4 მლნ. ხმა + 0,5 = 3,9 მლნ. წინააღმდეგ რუსი ესერებისათვის მიცემული 1,9 მლნ. ხმისა, მთელ უკრაინაში საერთოდ 7,6 მლნ. ხმის დროს). სამხ-რეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტებზე არმიაში უკრაი-ნელმა სოციალისტებმა მიიღეს ყველა ხმის 30% და 34% (როცა რუსმა ესერებმა მიიღეს 40% და 59%).

საქმის ასეთი ვითარების დროს ნაციონალური საკითხის უგულებელყოფა უკრაინაში, — ამ შეცდომას ძალიან ხშირად უშვებენ ველიკოროსები (და თითქმის ველიკოროსებზე ცოტა უფრო ნაკლებად უშვებენ ამ შეცდომას ებრაელები) — ნიშნავს დიდი და საშიში შეცდომის დაშვებას. შეუძლებელია შემთხვევითი იყოს უკრაინაში რუსი და უკრაინელი ესერების დაყოფა ჯერ კიდევ 1917 წელს. და, როგორც ინტერნაციონა-ლისტები, ჩვენ, ჯერ-ერთი, ვალდებული ვართ განსაკუთრე-ბით ენერგიულად ვიბრძოლოთ «რუს» კომუნისტებში ველიკო-რუსული იმპერიალიზმისა და შოვინიზმის (ზოგჯერ შეუც-ნობელი) ნაშთების წინააღმდეგ; მეორე, ჩვენ ვალდებული ვართ სწორედ ნაციონალურ საკითხში, როგორც შედარებით ნაკლებმნიშვნელოვან საკითხში (ინტერნაციონალისტისათვის სახელმწიფოთა საზღვრების საკითხი მეორეხარისხოვანი სა-კითხია, თუ მეათეხარისხოვანი არა), დათმობებზე წავიდეთ. მნიშვნელოვანია სხვა საკითხები, მნიშვნელოვანია პროლეტა-რული დიქტატურის ძირითადი ინტერესები, მნიშვნელოვანია დენიკინის წინააღმდეგ მებრძოლი წითელი არმიის ერთიანობ-ისა და დისციპლინის ინტერესები, მნიშვნელოვანია პროლე-ტარიატის ხელმძღვანელი როლი გლეხობის მიმართ; გაცი-ლებით ნაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი, უკრაინა ცალკე სახელმწიფო იქნება თუ არა. ჩვენ სრულებითაც ვერ გაგვა-კვირვებს — და ვერც შეგვაშინებს — ისეთი პერსპექტივაც კი, რომ უკრაინელი მუშები და გლეხები გამოცდიან სხვადა-

სხვა სისტემას და, ვთქვათ, რამდენიმე წლის განმავლობაში პრაქტიკულად გამოცდიან რსფს რესპუბლიკასთან შეერთებასაც, მისგან გამოყოფასაც ცალკე უკრაინის თვითმყოფ სს რესპუბლიკად, მათი მჭიდრო კავშირის სხვადასხვა ფორმასაც და სხვ., და ა. შ.

ამ საკითხის წინასწარ, ერთხელ და სამუდამოდ, «მტკიცედ» და «ურყევად» გადაწყვეტის ცდა — ეს იქნებოდა გაგების სივიწროვე ანდა პირდაპირ სიყეყეჩე, რადგან არაპროლეტარული მშრომელი მასების მერყეობა ასეთ საკითხში სრულიად ბუნებრივია, გარდუვალიც კია, მაგრამ პროლეტარიატისთვის სრულიად არ არის საშიში. პროლეტარიატის წარმომადგენელი, რომელსაც ნამდვილად შეუძლია ინტერნაციონალისტი იყოს, ვალდებულია ასეთ მერყეობას უდიდესი სიფრთხილით და შემწყნარებლობით მოეპყრას, ვალდებულია თვით არაპროლეტარულ მშრომელ მასებს მიანდოს ამ მერყეობის აღმოფხვრა საკუთარი გამოცდილებით. შეუწყნარებელი და ულმობელი, შეურიგებელი და ურყევი ჩვენ უნდა ვიყოთ სხვა, უფრო ძირითად საკითხებში, რაც ნაწილობრივ მე უკვე აღვნიშნე ზემოთ.

## VI

დაპირისპირება რუსეთის დამფუძნებელი კრების 1917 წლის ნოემბრის არჩევნებისა და პროლეტარული რევოლუციის განვითარებისა 1917 წლის ოქტომბრიდან 1919 წლის დეკემბრამდე შესაძლებლობას იძლევა გამოვიტანოთ დასკვნები, რომლებიც შეეხება ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმსა და პროლეტარულ რევოლუციას. შევეცდებით მოკლედ გადმოვცეთ, ან თუნდაც დავსახოთ, მთავარი დასკვნები აქედან.

1. საყოველთაო საარჩევნო უფლება მაჩვენებელია სხვადასხვა კლასის მიერ თავისი ამოცანების გაგების სიმწიფისა. ის გვიჩვენებს, თავისი ამოცანების გადაწყვეტის როგორი მიდრეკილება აქვს სხვადასხვა კლასს. თვით ამ ამოცანების გადაწყვეტა ხდება არა კენჭისყრით, არამედ

ყოველგვარი სახის კლასობრივი ბრძოლით, თვით სამოქალაქო ომამდე.

2. II ინტერნაციონალის სოციალისტები და სოციალ-დემოკრატები ვულგარული წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის თვალსაზრისზე დგანან და იზიარებენ მის ცრურწმენას, თითქოს კენჭისყრით შეიძლებოდეს კლასთა ბრძოლის ძირითადი საკითხების გადაჭრა.

3. რევოლუციური პროლეტარიატის პარტიისათვის აუცილებელია ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმში მონაწილეობის მიღება მასების განათლების გულისათვის, რასაც ვაღწევთ არჩევნებით და პარტიათა ბრძოლით პარლამენტში. მაგრამ კლასთა ბრძოლის შეზღუდვა პარლამენტის შიგნით ბრძოლით, ანდა ამ უკანასკნელის აღიარება უმაღლეს, გადამწყვეტ ბრძოლად, რომელიც იმორჩილებს ბრძოლის დანარჩენ ფორმებს, ეს ნიშნავს ფაქტიურად გადახვიდე ბურჟუაზიის მხარეზე პროლეტარიატის წინააღმდეგ.

4. ბურჟუაზიის მხარეზე ასე გადადის ფაქტიურად II ინტერნაციონალის ყველა წარმომადგენელი და მომხრე და გერმანიის ეგრეთწოდებული «დამოუკიდებელი» სოციალ-დემოკრატიის ყველა ბელადი, როცა ისინი სიტყვიერად აღიარებენ პროლეტარიატის დიქტატურას, საქმით კი თავიანთი პროპაგანდით იმ აზრს უნერგავენ პროლეტარიატს, რომ ჯერ მან უნდა მიაღწიოს იმას, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ ფორმალურად გამოხატოს თავისი ნება კაპიტალიზმის დროს (ე. ი. მიიღოს ხმების უმრავლესობა ბურჟუაზიულ პარლამენტში), რათა შემდეგ პოლიტიკური ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში გადავიდეს.

ამ დებულებიდან გამომდინარე გერმანიის «დამოუკიდებელი» სოციალ-დემოკრატებისა და დამპალი სოციალიზმის სხვა მათი მსგავსი ბელადების მთელი გოდება «უმცირესობის დიქტატურის» წინააღმდეგ და სხვა ამგვარი რამ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამ ბელადებს არ ესმით თვით ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც კი ფაქტიურად გაბატონე-

ბული ბურჟუაზიის დიქტატურა და არ ესმით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლით მისი დანგრევის პირობები.

5. ეს გაუგებლობა განსაკუთრებით შემდეგში მდგომარეობს: ივიწყებენ, რომ ბურჟუაზიული პარტიები უმთავრესად ბატონობენ მათ მიერ მოსახლეობის მასების მოტყუებით, კაპიტალის მხრივ ჩაგვრით, რასაც ზედ ერთვის თავის მოტყუება კაპიტალიზმის არსის შესახებ, თავის მოტყუება, რაც ყველაზე მეტად დამახასიათებელია წვრილბურჟუაზიული პარტიებისათვის, რომელთაც ჩვეულებრივ სურთ კლასობრივი ბრძოლა შეცვალონ კლასთა შერიგების ცოტად თუ ბევრად შენიღბული ფორმებით.

«დაე ჯერ, კერძო საკუთრების არსებობის პირობებში, ე. ი. კაპიტალის ბატონობისა და მისგან ჩაგვრის არსებობის პირობებში, მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭიროს პროლეტარიატის პარტიას, — მხოლოდ მაშინ შეუძლია მას აიღოს და კიდევაც უნდა აიღოს ძალაუფლება» — ასე ლაპარაკობენ წვრილბურჟუაზიული დემოკრატები, ბურჟუაზიის ფაქტიური მსახურნი, რომელნიც «სოციალისტებს» უწოდებენ თავს.

«დაე ჯერ რევოლუციურმა პროლეტარიატმა დაამხოს ბურჟუაზია, მოსპოს კაპიტალის მხრივ ჩაგვრა, დაამსხვრიოს ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი, — მაშინ გამარჯვებული პროლეტარიატი სწრაფად მოიპოვებს მშრომელი არაპროლეტარული მასების უმრავლესობის თანაგრძნობას და მხარისდაჭერას, დაკმაყოფილებს რა მათ ექსპლოატატორების ხარჯზე» — ვამბობთ ჩვენ. საწინააღმდეგო რამ იშვიათი გამონაკლისი იქნება ისტორიაში (ასეთი გამონაკლისის დროსაც კი ბურჟუაზიას შეუძლია მიმართოს სამოქალაქო ომს, როგორც ეს ცხადყო ფინეთის მაგალითმა [56]).

6. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ:

«ჯერ ვიკისროთ ვალდებულება, რომ ვაღიარებთ თანასწორობის ან თანამიმდევრული დემოკრატიის პრინციპს კერძო საკუთრებისა და კაპიტალის უღლის (ე. ი. ფორმალური თანასწორობის დროს ფაქტიური უთანასწორობის) შენარჩუ-

ნების პირობებში და ვეცდებით მივაღწიოთ უმრავლესობის გადაწყვეტილებას ამ საფუძველზე» — ასე ლაპარაკობენ ბურჟუაზია და მისი ამყოლები, წვრილბურჟუაზიული დემოკრატები, რომლებიც სოციალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს უწოდებენ თავიანთ თავს.

«ჯერ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა, ხელთ იგდებს რა სახელმწიფო ძალაუფლებას, ანგრევს ფაქტიური უთანასწორობის დასაყრდენს და საფუძვლებს, ხოლო შემდეგ ექსპლოატატორებზე გამარჯვებული პროლეტარიატი სათავეში უდგება მშრომელ მასებს და მიჰყავს ისინი კ ლ ა ს ე ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ი ს ა კ ე ნ, ე. ი. იმ ერთადერთი სოციალისტური თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს ა კ ე ნ, რომელიც არ წარმოადგენს მოტყუებას» — ვამბობთ ჩვენ.

7. ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, პროლეტარიატთან ან პროლეტარიატის იმ ნაწილთან ერთად, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი რევოლუციური ამოცანები და უნარი შესწევს იბრძოლოს მათ განსახორციელებლად, არსებობენ ბურჟუაზიის მიერ მოტყუებული მშრომელი მასების მრავალრიცხოვანი შეუგნებელი პროლეტარული, ნახევრადპროლეტარული, ნახევრადწვრილბურჟუაზიული ფენები, რომლებიც მიჰყვებიან ბურჟუაზიას და ბურჟუაზიულ დემოკრატიას (მათ შორის II ინტერნაციონალის «სოციალისტებსაც»), დაჰკარგეს რა საკუთარი ძალის თუ პროლეტარიატის ძალის რწმენა, შეგნებული არა აქვთ რა იმის შესაძლებლობა, რომ თავიანთ საარსებო საჭიროებებს დაიკმაყოფილებენ ექსპლოატატორთა ექსპროპრიაციის ხარჯზე.

მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ეს ფენები პროლეტარიატის ავანგარდს აძლევენ მოკავშირეებს, რომლებთან ერთად მას მოსახლეობის მტკიცე უმრავლესობა ჰყავს, მაგრამ ამ მოკავშირეების მოპოვება პროლეტარიატს შეუძლია მხოლოდ ისეთი იარაღის შემწეობით, როგორიცაა სახელმწიფო ხელისუფლება, ესე იგი მხოლოდ ბურჟუაზიის დამხობისა და მისი სახელმწიფო აპარატის დამსხვრევის შემდეგ.

8. ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში პროლეტარიატის ძალა შეუდარებლად უფრო მეტია, ვიდრე პროლეტარიატის წილი მოსახლეობის საერთო ჯამში. ეს იმიტომ, რომ პროლეტარიატი ეკონომიურად ბატონობს კაპიტალიზმის მთელი სამეურნეო სისტემის ცენტრსა და ნერვზე, აგრეთვე იმიტომაც, რომ კაპიტალიზმის დროს პროლეტარიატი, ეკონომიურად და პოლიტიკურად, მშრომელთა უდიდესი უმრავლესობის ნამდვილ ინტერესებს გამოხატავს.

ამიტომ პროლეტარიატს, მაშინაც კი, როცა იგი მოსახლეობის უმცირესობას შეადგენს (ან როცა პროლეტარიატის შეგნებული და ნამდვილად რევოლუციური ავანგარდი მოსახლეობის უმცირესობას შეადგენს), უნარი შესწევს ბურჟუაზიაც დაამხოს და შემდეგ ბევრი მოკავშირეც მოიმხროს ნახევრადპროლეტარებისა და წვრილი ბურჟუების ისეთი მასიდან, რომელიც წინასწარ პროლეტარიატის ბატონობას არასოდეს არ დაუჭერს მხარს, ამ ბატონობის პირობებსა და ამოცანებს ვერ გაიგებს და მხოლოდ თავისი შემდგომი გამოცდილებით დარწმუნდება პროლეტარული დიქტატურის გარდუვალობაში, მართებულობასა და კანონზომიერებაში.

9. დასასრულ, ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში ყოველთვის მოიპოვება წვრილი ბურჟუაზიის ძალიან ფართო ფენები, რომლებიც აუცილებლად მერყეობენ კაპიტალსა და შრომას შორის. პროლეტარიატმა რომ გაიმარჯვოს, ჯერ-ერთი, სწორად უნდა შეარჩიოს ბურჟუაზიაზე გადამწყვეტი თავდასხმის მომენტი და, სხვათა შორის, გაითვალისწინოს ბურჟუაზიის გათიშვა მის წვრილბურჟუაზიულ მოკავშირეებთან ან მათი კავშირის სისუსტე და სხვა. მეორე, პროლეტარიატმა გამარჯვების შემდეგ ისე უნდა გამოიყენოს წვრილი ბურჟუაზიის ეს მერყეობა, რომ გაანეიტრალოს იგი, ხელი შეუშალოს მას ექსპლოატატორების მხარეზე დადგომაში, უნდა შეძლოს გაძლება რამდენიმე ხანს მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ მ ი ს ი მ ე რ ყ ე ო ბ ი ს ა და სხვა და ასე შემდეგ.

10. გამარჯვებისათვის პროლეტარიატის მომზადების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას შეადგენს ხანგრძლივი და შეუპო-

ვარი, ულმობელი ბრძოლა ოპორტუნიზმის, რეფორმიზმის, სოციალ-შოვინიზმისა და სხვა ამგვარ ბურჟუაზიულ გავლენათა და მიმდინარეობათა წინააღმდეგ, რაც აუცილებელია, რამდენადაც პროლეტარიატი მოქმედებს კაპიტალისტურ ვითარებაში. თუ ასეთი ბრძოლა არ წარმოებს, თუ წინასწარ სრულიად არ იქნა დაძლეული ოპორტუნიზმი მუშათა მოძრაობაში, — ლაპარაკიც კი შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურაზე. ბოლშევიზმი 1917 — 1919 წლებში ვერ დაამარცხებდა ბურჟუაზიას, მას რომ წინასწარ, 1903—1917 წლებში, არ ესწავლა გამარჯვების მოპოვება და პროლეტარული ავანგარდის პარტიიდან დაუნდობლად არ განედევნა მენშევიკები, ე. ი. ოპორტუნისტები, რეფორმისტები, სოციალ-შოვინისტები.

და უსაშიშროეს თავის მოტყუებას — ზოგჯერ კი მუშების პირდაპირ მოტყუებას — წარმოადგენს ახლა პროლეტარიატის დიქტატურის სიტყვიერი აღიარება გერმანელ «დამოუკიდებელთა» ბელადების ანფრანგი ლონგეტისტების და სხვათა მიერ, რომლებიც ს ა ქ მ ი თ განაგრძობენ ოპორტუნიზმისადმი დათმობებისა და მცირე დათმობების, მასთან შერიგების, ბურჟუაზიული დემოკრატიის («თანამიმდევრული დემოკრატიის» ანუ «წმინდა დემოკრატიის», როგორც ისინი ამბობენ), ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისა და სხვ. წინაშე მონური ქედის მოხრის ძველ, ჩვეულ პოლიტიკას.

16. XII. 1919.

გამოქვეყნდა 1919 წ.
დეკემბერში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# ჩვენს ცვლას [57]

მივესალმები პეტროგრადის გუბერნიის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას წითელი კვირის ჩატარების დღეებში.

გააძლიერეთ, ახალგაზრდა ამხანაგებო, თქვენი მუშაობა ამ მიმართულებით, რათა მჩქეფარე ახალგაზრდული ძალ-ღონით მოჰკიდოთ ხელი ახალი, ნათელი ცხოვრების მოწყობას.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

«სმენა» № 1, 1919 წ.
18 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «სმენის» ტექსტის მიხედვით

# სიტყვა 1905 წლის დეკემბრის აჯანყების წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგზე პრესნიის რაიონში 1919 წ. 19 დეკემბერს

ამხანაგებო, დღეს ჩვენ შევიკრიბეთ მოსკოვის დეკემბრის აჯანყებისა და 14 წლის წინათ პრესნიაზე მომხდარი ბრძოლის დღის საპატივცემულოდ.

ამხანაგებო, მოსკოვის 1905 წლის აჯანყება რუსეთის რევოლუციური მუშების ერთ-ერთი უდიდესი მოძრაობა იყო და მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ამ აჯანყებას ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა წარმატება ჰქონოდა, მიუხედავად ამისა, მისი მნიშვნელობა უდიდესი აღმოჩნდა. მხოლოდ ახლა, როცა ვხედავთ რუსეთის რევოლუციის მთელ მრავალწლოვან ისტორიულ მომზადებას, შეგვიძლია ჯეროვნად შევაფასოთ 1905 წლის დეკემბრის აჯანყება და ის ბრძოლები, რომელთაც მაშინ ცარიზმის ძალების წინააღმდეგ ეწეოდნენ კრასნაია-პრესნიელი მუშები. ამხანაგებო, ახლა ჩვენ ნათლად ვხედავთ, ჯერ კიდევ რა უმნიშვნელო იყო მაშინ რუსი მუშის ძალები; ჩვენ ვხედავთ, მაშინ გაღებული მსხვერპლი როგორ ანაზღაურდა ერთიანად.

მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ცარიზმი უკვე 1905 წლის დეკემბერში იძულებული იყო დაეძაბა მთელი თავისი ძალები, რომ ჩაეხშო მუშების ეს ჯერ კიდევ სუსტი, ჯერ კიდევ ჩანასახოვანი აჯანყებაც კი. ამას წინათ ჩვენი პარტიის მოსკოვის ორგანიზაციამ გამოსცა ორი კრებული, მიძღვნილი დეკემბრის აჯანყების, პრესნიის დღეების მოგონებისადმი, იმისადმი, თუ როგორ ამზადებდა მაშინ არალეგალური სუსტი პარტიული

ორგანიზაცია ამ აჯანყებას და არა მარტო მუშებმა, არამედ მოსკოვის მთელმა მშრომელმა მოსახლეობამაც რა უდიდესი თანაგრძნობით დაუჭირა მხარი ამ აჯანყებას. ამას წინათ გამოქვეყნებულ ამ ახალ მასალებში განსაკუთრებით საინტერესოა აღსარება ჟანდარმერიის ერთი მოხელის და პოლიციელისა, რომელიც ამბობს, რომ მაშინ, 1905 წლის დეკემბერში, რევოლუციონერებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, როგორი სუსტი ვიყავით ჩვენ, ცარიზმის მომხრეებიო. «რევოლუციონერების იერიში რომ ცოტათი უფრო ძლიერი და ხანგრძლივი ყოფილიყო, — აღიარებს მეფის ეს მსახური, — იმ მოშლილობის დროს, რომელიც უკვე მაშინაც ჩანდა ჩვენში, ჩვენ ვერ გავუძლებდით». აი საიდუმლო პოლიციის აგენტის განსაკუთრებით საინტერესო აღსარება, რომელიც ცხადყოფს, რომ მაშინ პრესნიელი მუშები ამაოდ არ დაეცნენ მსხვერპლად თავისუფლების საქმისა და მუშათა განთავისუფლების საქმისათვის, რომ მაშინაც კი თავიანთი გმირული მაგალითით მათ დაანახვეს მტრებს მუშათა კლასის ძალა და თავიანთი მაგალითით დაანთეს ის მილიონობით ნაპერწკალი, რომელიც შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ხანგრძლივი და ძნელი გზით გაღვივდა და ძლევამოსილ რევოლუციად გადაიქცა.

1905 წლის შემდეგ მუშათა მოძრაობას რუსეთში მოუხდა თავისი ისტორიის უაღრესად მძიმე და უაღრესად სისხლისმღვრელი ფურცლების გადაშლა. ცარიზმი გაუგონრად მხეცურად გაუსწორდა იმ გმირებს, რომლებიც აჯანყდნენ მოსკოვში 1905 წელს. მოსკოვის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ რუსეთის მუშათა კლასი კიდევ რამდენიმეჯერ შეეცადა გაემართა მასობრივი ბრძოლა. 1906 წლის გაზაფხულზე მასობრივი გაფიცვები გაჩაღდა და დაიწყო გლეხთა მოძრაობა; 1907 წელს ერთი ცდა კიდევ მოხდა, — მაგრამ ასეთი ცდა მხოლოდ ანელებდა რეაქციის იერიშს, თუმცა სავსებით მისი შეჩერება არ შეეძლო. და დადგა წლები, როცა მოძრაობა იძულებული გახდა იატაკქვეშეთში მიმალულიყო; როცა ასობით და ათასობით მუშათა კლასის შვილები იღუპებო-

დნენ სახრჩობელებზე, საპყრობილეებში, გადასახლებასა და კატორღაში.

შემდეგ კი ვხედავთ, 1910 — 11 — 12 წლიდან როგორ დაიწყო მუშათა კლასმა კვლავ ძალების შეკრება, ლენის 1912 წლის აპრილის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ როგორ დაიწყო აზვირთება ძლიერი მასობრივი გაფიცვებისა, რომელნიც კიდით კიდემდე ედებოდნენ ჩვენს ქვეყანას და რომლებმაც იმდენად შეარყიეს ცარიზმი, რომ 1914 წლის ზაფხულისათვის საქმე მივიდა ბარიკადების აგებამდე პეტროგრადში, და, შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც დააჩქარა მეფის მთავრობის უიმედო გადაწყვეტილება ომის დაწყებისა, შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი იყო მათი იმედი ასეთი გზით გაეტეხათ რევოლუციური მოძრაობა. მაგრამ რევოლუციური მოძრაობის გატეხის ნაცვლად ომმა ის გამოიწვია, რომ რევოლუციური მოძრაობა ყველა მოწინავე ქვეყანას მოედო.

ოთხწლიან ომს, როგორც ნათლად ვხედავთ, აწარმოებდნენ მტაცებლები — არა მარტო გერმანიის იმპერიალიზმი, არამედ ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალიზმიც — მძარცველური მიზნებით. როდესაც გერმანელებმა 1918 წელს თავს მოგვახვიეს მძარცველური ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, საფრანგეთსა და ინგლისში ყველა გმობდა ამ ზავს, ხოლო როდესაც იმავე 1918 წელს, ერთი წლის შემდეგ, გერმანია დამარცხდა, როცა გერმანიის იმპერია დაეცა, მაშინ საფრანგეთის და ინგლისის კაპიტალისტებმა დამარცხებულ გერმანიას თავს მოახვიეს ის ვერსალის ზავი, რომელიც ახლა იმაზე კიდევ უფრო მხეცური, ძალმომრეობითი ზომების ნიმუშია, ვიდრე ჩვენი ბრესტ-ლიტოვსკის ზავი იყო.

და ახლა ჩვენ უკვე ვხედავთ, კვირით კვირამდე როგორ ეხილებათ თვალი საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის ასობით, ათასობით და მილიონობით მუშას, რომლებიც მოატყუეს, რომლებსაც არწმუნებდნენ — თქვენ ომს აწარმოებთ გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგო, და რომლებმაც დაინახეს, რომ ამ ომში ათეულ მილიონობით ადამიანი დაიღუპა და დასახიჩრდა. მერე რის გულისათვის? იმ ერთი მუჭა

მილიონერების გასამდიდრებლად, რომლებიც ამ ომის შემდეგ მილიარდერები გახდნენ, რომლებმაც ყველა ქვეყანა გაჩანაგებამდე მიიყვანეს.

ამხანაგებო, ჩვენ ახლა მძიმე ხანას განვიცდით იმ უბედურებათა მხრივ, რომლებიც თავს დაატყდათ მრეწველობისა და განსაკუთრებით ქალაქელ მუშებს. თქვენ იცით, რა ძნელია ამ ხანის გადატანა, როგორ შიმშილს და სიცივეს განიცდის ჩვენი მუშათა კლასი. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ არა მარტო ჩამორჩენილი რუსეთი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში იტანჯებოდა ომის გამო და მის შემდეგ ორი წელია განაგრძობს ომს, რომელიც თავს მოახვიეს მას ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით, — არა მარტო იგი აღმოჩნდა გაჩანაგებული, არამედ უაღრესად მოწინავე და მდიდარი ქვეყნებიც, გამარჯვებული ქვეყნები, როგორც, მაგალითად, საფრანგეთი და ამერიკა, ისინიც სრულიად გაჩანაგდნენ. იქ განიცდიან ქვანახშირის კრიზისს, იქ უხდებათ რკინიგზის მოძრაობის შეწყვეტა, რადგან ოთხი წლის ომის გამო მრეწველობა და ტრანსპორტი გაუგონრად გაპარტახებული და დანგრეული აღმოჩნდა. მილიონობით საუკეთესო საწარმოო ძალა დაიღუპა ამ იმპერიალისტურ ომში და შედეგად ვხედავთ, რომ ის გზა, რომელიც რუსეთის მუშათა კლასმა უჩვენა მუშებს, მთელ ქვეყნიერებას ჯერ კიდევ 1905 წელს, როცა ის აჯანყდა ცარიზმის წინააღმდეგ, ის გზა, რომელსაც განაგრძობდა რუსეთის მუშათა კლასი, როდესაც ბურჟუაზიას ამხობდა, — ეს გზა ისეთი გზა აღმოჩნდა, რომელიც იზიდავს ყველა, თვით ყველაზე მოწინავე, ქვეყნის მუშების ყურადღებასა და თანაგრძნობას.

მე უკვე ვთქვი, ამხანაგებო, რომ ჩვენ გვიხდება ამ ზამთარშიც გადავიტანოთ გაუგონარი გაჭირვებანი და მძიმე პირობები. მაგრამ ჩვენ ვამბობთ: გავუძლებთ ბოლომდე, იმიტომ რომ, მიუხედავად ყოველგვარი მძიმე პირობებისა და გაჭირვებისა, მუშების საუკეთესო წარმომადგენლები, ყველაზე შეგნებული მუშები და გლეხები გვეხმარებოდნენ, გვეხმარებოდნენ იმით, რომ ქმნიდნენ წითელ არმიას, რომლის

წყალობითაც ვაღწევთ საბოლოო გამარჯვებას. ჩვენ ვიცით, რომ ახლა, როცა საბოლოოდ განადგურებულია კოლჩაკის ჯარები, როცა ამ ცოტა ხნის წინათ ციმბირში მომხდარმა აჯანყებებმა, როგორც ჩანს, საშუალება მოსპეს კოლჩაკის არმიის ნარჩენები გადაესროლათ დენიკინის დასახმარებლად, როცა ნოვონიკოლაევსკთან ხელში ჩაგვივარდა დიდი სამხედრო ძალები, — ცხადია, კოლჩაკის არავითარი არმია აღარ არსებობს. ამჟამად სამხრეთში, სადაც დენიკინს შესაძლებლობა ჰქონდა დაეტრაბახა წარმატებით, ჩვენ ვხედავთ, რომ იქ სულ უფრო და უფრო ძლიერდება ჩვენი წითელი არმიის შეტევა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ კიევი, პოლტავა და ხარკოვი აღებულია და ჩვენი წინსვლა დონეცის აუზისაკენ, ქვანახშირის საბადოებისაკენ, უდიდესი სისწრაფით ხდება.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, ამხანაგებო, რომ მთელი ის გაუგონარი მძიმე გაჭირვება, რაც მუშათა კლასმა გადაიტანა კაპიტალზე სრული გამარჯვების გულისათვის, მთელი ეს მსხვერპლი მთლიანად ნაზღაურდება. ჩვენ ვხედავთ, რომ საზღვარგარეთ, სადაც კაპიტალისტები დღემდე მილიონობით ფულად და ყოველგვარი სამხედრო მასალით ეხმარებოდნენ ჯერ კოლჩაკს, ხოლო შემდეგ იუდენიჩსა და დენიკინს, ჩვენ ვხედავთ, როგორ შეყოყმანდნენ ისინი.

თქვენ იცით, რომ მათ ბლოკადის რკინისებური რგოლით მოწყვიტეს რუსეთი სხვა ქვეყნებს, თქვენ იცით, რომ ისინი ჩვენს წარმომადგენლებს არ უშვებდნენ საზღვარგარეთ. თქვენ იცით, რომ ამხ. ლიტვინოვი, ერთ-ერთი რევოლუციონერი, რომელიც ჯერ კიდევ 1905 წელზე უფრო ადრე იბრძოდა ბოლშევიკებთან ერთად ცარიზმის წინააღმდეგ, თქვენ იცით, რომ როცა ის ინგლისში იყო ელჩად, იქ არ ყოფილა არც ერთი მუშათა კრება, სადაც ლიტვინოვს არ შეხვედროდნენ ისეთი ტაშის გრიალით და ისეთი პროტესტებით საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ, რომ ინგლისელები შეეცადნენ საჩქაროდ გამოეძევებინათ ამხ. ლიტვინოვი. ახლა კი ლიტვინოვის ამ მთელი არსებით მოძულეებმა ნება დართეს მას გამგზავრებულიყო კოპენჰაგენში და არათუ ნება

დართეს, არამედ წასვლის შესაძლებლობაც კი მისცეს (ამხ. ლიტვინოვი იქ ჩავიდა ინგლისის კრეისერით). და ჩვენ ვიცით, რომ ამხ. ლიტვინოვის კოპენჰაგენში ყოფნის ყოველი დღე რუსეთის სულ უფრო და უფრო მეტი გამარჯვების მომასწავებელია. იქ მას განუწყვეტლივ მიმართავენ მუშების წარმომადგენლები და აგრეთვე ათასობით ბურჟუაზიული გაზეთის კორესპონდენტები იმის განმარტებისათვის, თუ რაში მდგომარეობს ეს გარდატეხა. ჩვენ კი ვიცით, რომ ეს გარდატეხა იმაში მდგომარეობს, რომ ბლოკადის განგრძობა, რუსეთის კონტრრევოლუციური გენერლებისათვის მილიონობით ფულადი დახმარების გაწევა დასავლეთის ბურჟუაზიას აღარ შეუძლია, იმიტომ რომ ამის ნებას არ აძლევს მას ყოველი ამ მდიდარი და მოწინავე ქვეყნის მუშა.

შესაძლოა იმ გარდატეხის ფრიად თვალსაჩინო გამოხატულებას, რომელიც მოხდა ევროპის ქვეყნების პოლიტიკაში, წარმოადგენდეს იტალიის პალატაში დეპუტატების კენჭისყრა, რომლის შესახებ ჩვენ ვიცით იმ ცნობიდან, რომელიც საფრანგეთმა რადიოთი გადასცა ამერიკას და ჩვენმა რადიოსადგურმა დაიჭირა. ეს ცნობა იმაში მდგომარეობდა, რომ იტალიის პალატაში იხილავდნენ რუსეთის საკითხს, და როცა სოციალისტებმა წამოაყენეს წინადადება დაუყოვნებლივ ეცნოთ საბჭოთა რესპუბლიკა, მათმა წინადადებამ შეკრიბა ასი ხმა, წინააღმდეგი კი იყო ორასი; მაშასადამე, მხოლოდ მუშები უჭერდნენ მხარს იმას, რომ ეცნოთ საბჭოთა რესპუბლიკა, ბურჟუაზიის ყველა წარმომადგენელმა კი ეს უარყო. ამის შემდეგ კი იტალიის პალატამ ერთხმად დაადგინა, რომ იტალიის მთავრობამ მოთხოვოს მოკავშირეებს სრულიად შეწყვიტონ ბლოკადა და რუსეთის საქმეებში ყოველგვარი ჩარევა. აი ის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია დეპუტატთა პალატის მიერ, რომლის ორი მესამედი, თუ სამი მეოთხედი არა, მემამულეებისა და კაპიტალისტებისაგან შედგება, რომელიც მიღებულია ერთ-ერთ გამარჯვებულ ქვეყანაში, რომელიც მიღებულია პირდაპირ მუშათა მოძრაობის გავლენით.

ეს გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ მართლაც ახლოვდება გარდატეხა საერთაშორისო პოლიტიკაში, რომ ყოველი ქვეყნის მუშათა მოძრაობის უდიდესმა შინაგანმა ძალებმა მართლაც გამოიწვია ის, რის იმედიც ჩვენ ყოველთვის გვქონდა, რასაც ჩვენ მივუთითებდით რუსეთის მუშებს, რის გულისათვისაც — ვეუბნებოდით ჩვენ მათ — ღირს და კიდევაც უნდა ვიბრძოლოთ და მძიმე მსხვერპლი გავიღოთ, რის გულისათვისაც ანაზღაურებული იქნება ის უბედურება და ტანჯვა, რასაც ჩვენ ვიტანთ, ვითმენთ რა შიმშილსა და სიცივეს. რადგან ჩვენ ამით არათუ ვიცავთ საბჭოთა რუსეთს, არამედ კვირით კვირამდე ბრძოლით ვპოულობთ აგრეთვე სხვა ქვეყნებიხ მილიონობით მუშის თანაგრძნობასა და მხარისდაჭერას. აი ამიტომ არის, რომ ამჟამად, როდესაც ვიგონებთ ჩვენს დაღუპულ ამხანაგებს და კრასნაია პრესნიას გმირებს, ამ მოგონებით ყველას კიდევ უფრო გვემატება სიმხნევე, მოახლოებული გამარჯვების მტკიცე რწმენა.

ჩვენ, მიუხედავად მთელი სიძნელეებისა და მსხვერპლისა, თვითონაც მივალთ და ყველა ქვეყნის მუშებსაც მივიყვანთ კაპიტალზე სრულ გამარჯვებამდე. (ტ ა შ ი.)

მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა
1919 წ. 20 დეკემბერს გაზეთში
სრ. რუს. ცაკ-ის «იზვესტია» № 286

სრულად იბეჭდება პირველად

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

# მოხსენება შაბათობების შესახებ რკპ(ბ) მოსკოვის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე[58]

## 1919 წ. 20 დეკემბერს

ამხანაგებო, როგორც კონფერენციის მომწყობებმა მაცნობეს, თქვენ დაგინიშნავთ მოხსენება შაბათობების საკითხზე და იგი გაგიყვიათ ორ ნაწილად, რათა შესაძლებლობა გქონებოდათ დაწვრილებით გაცნობოდით უმთავრესს ამ საკითხში: ჯერ-ერთი, შაბათობების მოწყობას მოსკოვში და მათ შედეგებს და, მეორეც, პრაქტიკულ დასკვნებს შემდეგში მათ მოსაწყობად. მე მინდა დავჯერდე მხოლოდ ზოგად დებულებებს და გაგიზიაროთ ის აზრები, რომელთაც ბადებს შაბათობების მოწყობა, როგორც ახალი მოვლენა ჩვენს პარტიულ და საბჭოთა მშენებლობაში. ამიტომ პრაქტიკულ მხარეზე მე მხოლოდ სულ მოკლედ შევჩერდები.

როდესაც სულ პირველად მოეწყო კომუნისტური შაბათობები, ჯერ კიდევ ძნელი იყო თქმა, რამდენად ყურადღების ღირსია ეს მოვლენა და შეიძლება თუ არა აქედან დიდი რამ წარმოიშვას. მახსოვს, როცა ამის შესახებ პირველი ცნობები გამოქვეყნდა პარტიულ პრესაში, იმ ამხანაგების აზრი, რომლებიც ახლოს იდგნენ პროფესიული მშენებლობის საქმესთან და შრომის კომისარიატთან, თავდაპირველად მეტისმეტად თავდაჭერილი იყო, თითქოს პესიმისტურიც. მათ ეგონათ, რომ არავითარი საფუძველი არ იყო ამ შაბათობებისათვის დიდი მნიშვნელობის მისაცემად. მას შემდეგ შაბათობები ისე გაფართოვდა, რომ მათს დიდ მნიშვნელობას ჩვენს მშენებლობაში ვერავინ უარყოფს.

მართლაც, ჩვენ ძალიან ხშირად ვხმარობთ სიტყვა «კომუნიზმს», იმდენად ხშირად, რომ ის ჩვენი პარტიის სახელწოდებაშიც კი შევიტანეთ. მაგრამ როცა უფიქრდები ამ საკითხს, გებადება აზრი, იმ სიკეთესთან ერთად, რაც ამას მოჰყვა, ერთგვარი საშიშროებაც ხომ არ შექმნილა ჩვენთვისო. მთავარი მიზეზი, რამაც გვაიძულა შეგვეცვალა პარტიის სახელწოდება, ეს იყო სურვილი რაც შეიძლება მკვეთრად გავმიჯნოდით II ინტერნაციონალის გაბატონებულ სოციალიზმს. მას შემდეგ რაც სოციალიზმის ოფიციალური პარტიების დიდი უმრავლესობა, მათი ბელადების სახით, იმპერიალისტური ომის დროს თავისი ქვეყნის ბურჟუაზიის ანუ თავისი მთავრობის მხარეზე დადგა, ჩვენთვის ცხადი გახდა ძველი სოციალიზმის უდიდესი კრიზისი, მისი კრახი. და მკვეთრად რომ გაგვესვა ხაზი იმ გარემოებისათვის, რომ სოციალისტებად ვეღარ ჩავთვლით იმათ, ვინც იმპერიალისტური ომის დროს გვერდში ედგა თავის მთავრობას, რომ დაგვენახვებინა, რომ ძველი სოციალიზმი დალპა, მოკვდა, ამისათვის, უმთავრესად, წარმოიშვა სწორედ ჩვენი პარტიის სახელწოდების შეცვლის აზრი. მით უმეტეს, რომ წმინდა თეორიული თვალსაზრისით სახელწოდება «სოციალ-დემოკრატია» დიდი ხანია აღარ არის სწორი. ჯერ კიდევ ორმოციანი წლებიდან, საფრანგეთში, როცა იგი ფართოდ პირველად შემოვიდა ხმარებაში პოლიტიკური აზრით, ეს სახელწოდება დაირქვა წვრილბურჟუაზიული სოციალისტური რეფორმიზმის პარტიამ და არა რევოლუციური პროლეტარიატის პარტიამ. ამრიგად, მთავარი წამქეზებელი, მამოძრავებელი პარტიის სახელწოდების შეცვლისა, სახელწოდების, რომელიც ახალი ინტერნაციონალის სახელწოდება გახდა, ეს იყო სურვილი გადაჭრით გავმიჯნოდით ძველ სოციალიზმს.

თუ შევეკითხებით ჩვენს თავს, რით განსხვავდება კომუნიზმი სოციალიზმისაგან, უნდა ვთქვათ, რომ სოციალიზმი არის ისეთი საზოგადოება, რომელსაც უშუალოდ წარმოშობს კაპიტალიზმი, ეს არის ახალი საზოგადოების პირველი სახე. კომუნიზმი კი არის საზოგადოების უფრო მაღალი სახე, და

ის შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მაშინ, როცა სავსებით განმტკიცდება სოციალიზმი. სოციალიზმი გულისხმობს მუშაობას კაპიტალისტების დაუხმარებლად, საზოგადოებრივ შრომას ორგანიზებული ავანგარდის, მშრომელთა მოწინავე ნაწილის მხრივ უსასტიკესი აღრიცხვის, კონტროლისა და მეთვალყურეობის პირობებში; ამასთან განსაზღვრულ უნდა იქნეს შრომის ოდენობაც და მისი ანაზღაურებაც. ასეთი განსაზღვრა აუცილებელია იმიტომ, რომ კაპიტალისტურმა საზოგადოებამ დაგვიტოვა ისეთი კვალი და ისეთი ჩვეულება, როგორიცაა დაქსაქსულად მუშაობა, უნდობლობა საზოგადოებრივი მეურნეობისადმი, წვრილი მეპატრონის ძველი ჩვეულებები, რაც გაბატონებულია ყველა გლეხურ ქვეყანაში. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება ნამდვილი კომუნისტური მეურნეობის პრინციპებს. კომუნიზმს კი ჩვენ ვუწოდებთ ისეთ წესწყობილებას, როცა ადამიანები ეჩვევიან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებას იძულების განსაკუთრებული აპარატის უქონლად, როცა უსასყიდლოდ მუშაობა ყველას სასარგებლოდ საყოველთაო მოვლენა ხდება. თავისთავად ცხადია, რომ იმათი თვალსაზრისით, ვინც პირველ ნაბიჯებს დგამს კაპიტალიზმზე სრული გამარჯვებისათვის, «კომუნიზმის» ცნება მეტისმეტად შორეულია. ამიტომ, მართალია სწორი იყო ჩვენი პარტიის სახელწოდების შეცვლა, მართალია უდიდესი სარგებლობა მოიტანა ამან, მართალია დიდი საქმე გაკეთდა, რამაც უზარმაზარი გაქანება მიიღო, — რადგან კომუნისტური პარტიები ახლა უკვე მთელ მსოფლიოში არსებობენ, და თუმცა ჯერ კიდევ ერთი წელიც არ გასულა კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების დროიდან, მაგრამ მუშათა მოძრაობის თვალსაზრისით იგი შეუდარებლად უფრო ძლიერია, ვიდრე ძველი, მომაკვდავი II ინტერნაციონალი, — მაგრამ მაინც, თუ სახელწოდებას «კომუნისტური პარტია» ისე გავიგებთ, თითქოს ახლა ხორციელდებოდეს კომუნისტური წყობილება, გამოვა უდიდესი დამახინჯება და პრაქტიკული ზიანი, რაც ცარიელ ბაქიაობას ნიშნავს.

აი რატომ მოითხოვს დიდ სიფრთხილეს სიტყვა «კომუნისტური» ხმარება, და აი რატომ გახდა კომუნისტური შაბათობები განსაკუთრებით საგულისხმო, როცა ეს პრაქტიკაში შემოდის, რადგან მხოლოდ ამ, მეტისმეტად მცირე, მოვლენაში იჩინა თავი ცოტა რამ კომუნისტურმა. მემამულეებისა და კაპიტალისტების ექსპროპრიაციით ჩვენ მხოლოდ შესაძლებლობა მივიღეთ ავაშენოთ სოციალიზმის ყველაზე პირველადი ფორმები, მაგრამ კომუნისტური რამ აქ ჯერ არაფერია. თუ ავიღებთ ჩვენს ახლანდელ მეურნეობას, მასში დავინახავთ სოციალიზმის ჯერ კიდევ მეტად სუსტ ჩანასახებს და ძველი სამეურნეო ფორმების უდიდეს ბატონობას, რაც გამოიხატება ან წვრილი მეურნეობის სიჭარბეში, ანდა საშინელი, აღვირახსნილი სპეკულაციის გაჩაღებაში. მაგრამ როდესაც ჩვენი მოწინააღმდეგენი, ბურჟუაზიული დემოკრატები, მენშევიკები და ესერები ჩვენ წინააღმდეგ ილაშქრებენ და გვეუბნებიან: თქვენ დაამსხვრიეთ მსხვილი კაპიტალიზმი, ხოლო მის ნაცვლად უხვად იფურჩქნება უცუდესი სახის სპეკულაციური, სავაჭრო კაპიტალიზმიო, ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: თუ თქვენ იმას ფიქრობდით, რომ მსხვილი კაპიტალიზმიდან ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ კომუნიზმზე გადავიდეთ, თქვენ ყოფილხართ არა რევოლუციონერები, არამედ რეფორმისტები ან უტოპისტები.

მსხვილ კაპიტალიზმს ძირი გამოეთხარა ყველგან, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც სოციალიზმისაკენ ჯერ არავითარი ნაბიჯები არ გადადგმულა. ამ თვალსაზრისით თუ განვსჯით, მთელი ეს კრიტიკა, მთელი ეს საწინააღმდეგო მოსაზრებები, რასაც ჩვენი მოწინააღმდეგენი აყენებენ ჩვენ წინააღმდეგ, სრულიად არასერიოზულია. რა თქმა უნდა, მსხვილი კაპიტალიზმის დამსხვრევის შემდეგ მის ადგილას ჩნდებიან ახალი, წვრილი, სპეკულაციური კაპიტალიზმის ყლორტები. ჩვენ გააფთრებით ვებრძვით მსხვილი კაპიტალიზმის ნარჩენებს, რომელიც ჩაება ყოველგვარ წვრილმან სპეკულაციაში, სადაც მისი დაჭერა უფრო ძნელია და სადაც იგი იღებს ვაჭრობის უცუდეს, სრულიად არაორგანიზებულ სახეს.

ომიანობის ვითარებაში გაცილებით უფრო გამძვინვარებულმა ბრძოლამ წარმოშვა უაღრესად მხეცური სპეკულაცია, განსაკუთრებით იქ, სადაც კაპიტალიზმი უფრო დიდი მასშტაბით იყო ორგანიზებული, და რევოლუციური გადასვლა რომ სხვანაირად წარმოგვედგინა, სრულიად არ იქნებოდა სწორი. ასეთია საქმის ვითარება ახლანდელი ეკონომიკის თვალსაზრისით. თუ დავაყენებთ საკითხს, რას წარმოადგენს საბჭოთა რუსეთის თანამედროვე ეკონომიური წყობილება, უნდა ვთქვათ, რომ ეს არის სოციალიზმის საძირკვლის ჩაყრა მსხვილ წარმოებაში, ძველი კაპიტალისტური მეურნეობის გარდაქმნა კაპიტალიზმის ფრიად შეუპოვარი წინააღმდეგობის პირობებში, რაც უამრავ სახეს იღებს. დასავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც ისევე დაზარალდნენ ომში, როგორც ჩვენი ქვეყანა, როგორც, მაგალითად, ავსტრია, ჩვენგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ იქ კაპიტალიზმის ეს გახრწნა, ეს სპეკულაცია კიდევ უფრო მეტი ძალით იჩენს თავს, ხოლო სოციალისტური მშენებლობის საწყისები, ის, რაც წინააღმდეგობას უწევს კაპიტალიზმს, იქ არ არის. მაგრამ ჩვენს სამეურნეო წყობილებაში კომუნისტური ჯერჯერობით სრულიად არაფერია. «კომუნისტური» რამ მხოლოდ მაშინ იწყება, როცა ჩნდება შაბათობები, ე. ი. ცალკეულ პირთა უსასყიდლო შრომა საზოგადოების სასარგებლოდ ფართო მასშტაბით, რომლის არავითარ ნორმირებას არ ახდენს ხელისუფლება, სახელმწიფო. ეს არ არის მეზობლის დახმარება, რაც მუდამ არსებობდა სოფლად, ეს არის შრომა, ფართო მასშტაბით ორგანიზებული და უსასყიდლო, რომელიც წარმოებს საერთო-სახელმწიფო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა სიტყვა «კომუნისტური» გვეხმარა არა მარტო პარტიის სახელწოდების მიმართ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ცხოვრების იმ სამეურნეო მოვლენების მიმართაც, რომელნიც ნამდვილად ახორციელებენ კომუნისტურ საქმეს. რუსეთის ახლანდელი წყობილება თუკი შეიცავს რაიმე კომუნისტურს, ეს არის მხოლოდ შაბათობები, ყოველივე დანარჩენი კი არის

ჭხოლოდ ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ სოციალიზმის განმტკიცებისათვის, რომლიდანაც, მისი სრული გამარჯვების შემდეგ, უნდა წარმოიშვას სწორედ ის კომუნიზმი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ შაბათობებზე არა წიგნებიდან, არამედ ცოცხალი სინამდვილიდან.

ასეთია პრინციპული მნიშვნელობა შაბათობებისა, რომელნიც ცხადყოფენ, რომ აქ მთელი სახელმწიფოს მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ფართოდ ორგანიზებული უსასყიდლო შრომის სახით იქმნება და წარმოშობას იწყებს რაღაც სრულიად ახალი რამ, რაც ეწინააღმდეგება ყველა ძველ კაპიტალისტურ წესს, რაღაც უფრო მაღალი რამ, ვიდრე არის კაპიტალიზმის შემმუსვრელი სოციალისტური საზოგადოება. ამიტომ, როცა წელს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას — დავეხმაროთ ჩვენს ქვეყანას — პირველ რიგში გამოეხმაურნენ მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც ყველაზე უფრო დამშეული არიან და ყველაზე მეტ გაჭირვებას განიცდიან, და როცა გამოჩნდა იმის ნიშნები, რომ კომუნისტური შაბათობები ერთეული მოვლენა აღარ არის, ფართო ხასიათს იღებს და მათ თანაგრძნობით ეგებებიან მასები, — შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ჩვენ წინაშეა დიდმნიშვნელოვანი პრინციპული მოვლენა და ჩვენ მართლაც ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მას მხარი, თუ გვსურს ვიყოთ კომუნისტები არა მარტო პრინციპულად, არა მარტო კაპიტალიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით. სოციალისტური საზოგადოების პრაქტიკული მშენებლობის თვალსაზრისით ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. უნდა ითქვას, რომ საქმით ამ მოძრაობას შეიძლება მიეცეს მასობრივი ხასიათი. დავამტკიცეთ თუ არა ეს, — ვერ ვიტყვი, რადგან ჯერ კიდევ არ არის შეჯამებული იმ მოძრაობის სიდიდე, რომელსაც ჩვენ კომუნისტურ შაბათობებს ვუწოდებთ. მე ხელთა მაქვს მხოლოდ კანტიკუნტი ცნობები და პარტიული პრესიდანაც ვიცი, რომ ეს შაბათობები სულ უფრო და უფრო ფართოვდება მთელ რიგ ქალაქებში. პეტროგრადელმა ამხანაგებმა გადმომცეს, რომ შაბათობებმა პეტროგრადში გაცილებით უფრო ფართო

ხასიათი მიიღო, ვიდრე მოსკოვშიო. რაც შეეხება პროვინციას, ბევრმა ამხანაგმა — იმათგან, ვინც პრაქტიკულად იცნობს ამ მოძრაობას — მიამბო, რომ ისინი აგროვებენ დიდ მასალას ამ ახალი სახის საზოგადოებრივი შრომის შესახებ. მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც არა ერთგზის იქნება განხილული ეს საკითხი პრესაში და სხვადასხვა ქალაქის პარტიულ კონფერენციებზე, ჩვენ შევძლებთ მივიღოთ ის შეჯამებული მონაცემები, რომელთა საფუძველზე შეგვეძლება ვთქვათ, მართლაც გახდა თუ არა შაბათობები მასობრივი მოვლენა და მართლაც მივაღწიეთ თუ არა ამ სფეროში სერიოზულ წარმატებებს.

ყოველ შემთხვევაში, მალე მივიღებთ თუ გვიან ამგვარ სრულ და შემოწმებულ მონაცემებს, ჩვენთვის უეჭველი უნდა იყოს, რომ პრინციპული თვალსაზრისით სხვა მოვლენა, რომელიც მიუთითებდეს, რომ ჩვენ არათუ გვქვია კომუნისტები, არათუ გვსურს ვიყოთ კომუნისტები, არამედ საქმითაც ვახორციელებთ რაღაც კომუნისტურს — და არა მარტო სოციალისტურს, — სხვა მოვლენა, გარდა შაბათობებისა, არ არსებობს. ამიტომ ყოველმა კომუნისტმა, ყველამ, ვისაც სურს ერთგული იყოს კომუნიზმის პრინციპებისა, მთელი თავისი ძალ-ღონე, მთელი თავისი ყურადღება უნდა მიმართოს იქითკენ, რომ დაეხმაროს ამ მოვლენის გარკვევის და მის პრაქტიკულ გამოყენებას. ასეთია შაბათობების პრინციპული მნიშვნელობა. ამიტომ ყოველ პარტიულ კონფერენციაზე განუწყვეტლივ უნდა დავაყენოთ და განვიხილოთ ეს საკითხი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მხრივ. ჩვენ არ უნდა შევზღუდოთ ეს მოვლენა მხოლოდ თეორიული, პრინციპული მხარით. კომუნისტურ შაბათობებს ჩვენთვის უდიდესი ღირებულება აქვს არა მარტო იმიტომ, რომ ისინი პრაქტიკულად ახორციელებენ კომუნიზმს. გარდა ამისა, შაბათობებს ჩვენთვის ორგვარი მნიშვნელობა აქვს: სახელმწიფო თვალსაზრისით — წმინდა პრაქტიკული დახმარება სახელმწიფოსათვის — და პარტიული თვალსაზრისით, რაც ჩვენთვის, როგორც პარტიის წევრთათვის, არ უნდა დარჩეს მიჩქ-

მალული, — შაბათობებს დიდი მნიშვნელობა აქვს მიტმასნილი ელემენტებისაგან პარტიის გაწმენდისათვის, იმ ზეგავლენის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რომელსაც განიცდის პარტია გახრწნის გზაზე დამდგარი კაპიტალიზმის ვითარებაში.

მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა
1919 წ. 21 დეკემბერს გაზეთში
სრ. რუს. ცაკ-ის «იზვესტია» № 287

სრულად პირველად დაიბეჭდა
1927 წ.

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

(1)

Письмо к рабочим и крестьянам Украины по поводу побед над Деникиным.

Товарищи! Вчера шестые сутки, как вся армия УССР и мы, шлем дружеские приветствия рабочим и крестьянам по поводу побед над Колчаком.

Теперь я перепечатываю это письмо повторяя для рабочих и крестьян Украины по поводу побед над Деникиным.

Красные войска взяли Киев, Полтаву, Харьков и побережье Азовского моря. В Украине кипит возгорание против Деникина. Необходимо сбросить все силы, чтобы разбить до конца белых, подавить возгорание белых помещиков и капиталистов. Необходимо разгромить Деникина, чтобы обеспечить себя от дальнейшей вероятности новых капиталистов!

Рабочие и крестьяне Украины обязаны обратить с теми уроками, которые на великорусских крестьян и рабочих оказывают на опыте завоевания Сибири Колчаком и освобождения Сибири красными войсками после долгих месяцев полного и капиталистического ига.

На Украине наступление Деникина дало

Первый абзац в. и. ленинского рукописного «Письма украинских рабочих и крестьян по поводу побед над Деникиным». — 1919 г. 28 декабря

დაპატარავებულია

# წერილი უკრაინის მუშებსა და გლეხებს დენიკინზე გამარჯვების გამო

ამხანაგებო! ოთხი თვის წინათ, 1919 წლის აგვისტოს დამლევს, მე შემთხვევა მქონდა მიმემართა წერილით მუშებისა და გლეხებისადმი კოლჩაკზე გამარჯვების გამო.

ამჟამად მე ამ წერილს მთლიანად ხელახლა ვბეჭდავ უკრაინის მუშებისა და გლეხებისათვის დენიკინზე გამარჯვების გამო.

წითელმა ჯარებმა აიღეს კიევი, პოლტავა, ხარკოვი და ძლევამოსილად მიიწევენ როსტოვისაკენ. უკრაინაში გაჩაღებულია აჯანყება დენიკინის წინააღმდეგ. საჭიროა მთელი ძალების მოკრება, რომ საბოლოოდ დავამარცხოთ დენიკინის ჯარები, რომლებიც ცდილობენ მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლების აღდგენას. საჭიროა დენიკინის მოსპობა, რომ უზრუნველვყოთ თავი ახალი შემოსევის ოდნავი შესაძლებლობისაგან.

უკრაინის მუშები და გლეხები უნდა გაეცნონ იმ გაკვეთილებს, რომლებიც ცხადი გახდა ყველა რუსი გლეხისა და მუშისათვის კოლჩაკის მიერ ციმბირის დაპყრობისა და წითელი ჯარების მიერ ციმბირის განთავისუფლების გამოცდილებით მემამულური და კაპიტალისტური ჩაგვრის მრავალი თვის შემდეგ.

უკრაინაში დენიკინის ბატონობა ისეთსავე მძიმე განსაცდელს წარმოადგენდა, როგორიც იყო კოლჩაკის ბატონობა ციმბირში. ეჭვი არ არის, რომ ამ მძიმე განსაცდელის გაკვეთილების შემდეგ უკრაინის მუშები და გლეხები — ისე

როგორც ურალისა და ციმბირისა — უფრო ნათლად შეიგნებენ საბჭოთა ხელისუფლების ამოცანებს და უფრო მტკიცედ დაიცავენ მას.

ველიკოროსიაში მემამულური მიწათმფლობელობა მთლიანად მოსპობილია. იგივე უნდა მოხდეს უკრაინაშიც, და უკრაინის მუშებისა და გლეხების საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა განამტკიცოს მემამულური მიწათმფლობელობის სრული მოსპობა, უკრაინის მუშებისა და გლეხების სრული განთავისუფლება მემამულეების ყოველგვარი ჩაგვრისა და თვით მემამულეებისაგან.

მაგრამ ამ ამოცანისა და მთელი რიგი სხვა ამოცანების გარდა, რომლებიც ერთნაირად იდგა და დგას ველიკორუსი და უკრაინელი მშრომელი მასების წინაშე, უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დასმულია განსაკუთრებული ამოცანები. ერთ-ერთი ასეთი განსაკუთრებული ამოცანა ამჟამად უდიდეს ყურადღებას იპყრობს. ეს არის ნაციონალური საკითხი ანუ საკითხი იმის შესახებ, იყოს თუ არა უკრაინა ცალკე და დამოუკიდებელი უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, დაკავშირებული (ფედერაციულად) რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასთან, თუ შეუერთდეს უკრაინა რუსეთს ერთ მთლიან საბჭოთა რესპუბლიკად. ყველა ბოლშევიკი, ყველა შეგნებული მუშა და გლეხი ყურადღებით უნდა ჩაუფიქრდეს ამ საკითხს.

უკრაინის დამოუკიდებლობა აღიარებულია რსფს რესპუბლიკის, რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სრ. რუს. ცაკ-ის (სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის) მიერაც და რუსეთის ბოლშევიკების კომუნისტური პარტიის მიერაც. ამიტომ თავისთავად ცხადია და სავსებით ხაყოველთაოდ ცნობილია, რომ მხოლოდ თვითონ უკრაინის მუშებსა და გლეხებს თავიანთ სრულიად უკრაინის საბჭოების ყრილობაზე შეუძლიათ გადაწყვიტონ და კიდევაც გადაწყვეტენ საკითხს იმის შესახებ — შეუერთონ თუ არა უკრაინა რუსეთს, დატოვონ თუ არა უკრაინა თვითმყოფ და დამოუკიდებელ რესპუბლიკად

და, უკანასკნელ შემთხვევაში, სახელდობრ როგორი ფედერაციული კავშირი დაამყარონ ამ რესპუბლიკასა და რუსეთს შორის.

როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი მშრომელთა ინტერესების თვალსაზრისით? კაპიტალის უღლისაგან შრომის სრული განთავისუფლებისათვის მათი ბრძოლის წარმატების თვალსაზრისით?

ჯერ-ერთი, შრომის ინტერესები მოითხოვს სრულ ნდობას, უმჭიდროეს კავშირს სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ერის მშრომელთა შორის. მემამულეებისა და კაპიტალისტების, ბურჟუაზიის მომხრეები ცდილობენ დაქსაქსონ მუშები, გააძლიერონ ეროვნული შუღლი და მტრობა, რათა დააუძლურონ მუშები, რათა განამტკიცონ კაპიტალის ბატონობა.

კაპიტალი საერთაშორისო ძალაა. მის დასამარცხებლად საჭიროა მუშათა საერთაშორისო კავშირი, მათი საერთაშორისო ძმობა.

ჩვენ ეროვნული მტრობის, ეროვნული შუღლის, ეროვნული განცალკევებულობის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ საერთაშორისო სოლიდარობის მომხრენი, ინტერნაციონალისტები ვართ. ჩვენ მივისწრაფვით მსოფლიოს ყველა ერის მუშებისა და გლეხების მჭიდრო გაერთიანებისა და სრული შეერთებისაკენ ერთიან მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკად.

მეორე, მშრომელებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ კაპიტალიზმმა დაყო ერები მჩაგვრელ, დიდმპყრობელურ (იმპერიალისტურ), სრულუფლებიან, პრივილეგიურ ერთა მცირე რაოდენობად და დაჩაგრულ, დამოკიდებულ და ნახევრადდამოკიდებულ, არათანასწორუფლებიან ერთა უდიდეს უმრავლესობად. 1914 — 1918 წლების უაღრესად დანაშაულებრივმა და ურეაქციულესმა ომმა კიდევ უფრო გააძლიერა ეს დაყოფა, გაამწვავა გაბოროტება და სიძულვილი ამ ნიადაგზე საუკუნეობით დაგროვდა არასრულუფლებიანი და დამოკიდებული ერების აღშფოთება და უნდობლობა დიდმპყრობელური და მჩაგვრელი ერების მიმართ, — ისეთი ერებისა,

როგორიცაა უკრაინელი ერი, ისეთი ერებისადმი, როგორიცაა ველიკორუსი ერი.

ჩვენ გვსურს ერების ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ი კავშირი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობითს თანხმობაზე. ასეთი კავშირის ერთბაშად განხორციელება შეუძლებელია; ასეთ კავშირამდე უნდა მიგვიყვანოს მუშაობამ უდიდესი მოთმინებითა და სიფრთხილით, რომ საქმე არ გავაფუჭოთ, უნდობლობა არ გამოვიწვიოთ, რომ აღმოვფხვრათ უნდობლობა, დატოვებული მემამულეებისა და კაპიტალისტების, კერძო საკუთრებისა და მისი გაყოფის და გადაყოფის გამო გამოწვეული საუკუნეობრივი ჩაგვრით.

ამიტომ, ურყევად ვისწრაფვით რა ერების ერთიანობისაკენ, ულმობლად ვდევნით რა ყველაფერს, რაც მათ თიშავს, ჩვენ მეტად ფრთხილნი, მომთმენნი, დამთმობნი უნდა ვიყოთ ნაციონალური უნდობლობის ნაშთების მიმართ. ხოლო დაუთმობელნი, შეურიგებელნი უნდა ვიყოთ ყოველივე იმისადმი, რაც ეხება შრომის ძირითად ინტერესებს კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ხოლო ის საკითხი, თუ როგორ განვსაზღვროთ სახელმწიფო საზღვრები ამჟამად, დროებით — რადგან ჩვენ მივისწრაფვით სახელმწიფო საზღვრების სრული მოსპობისაკენ — ეს საკითხი არ არის ძირითადი, მნიშვნელოვანი, იგი მეორეხარისხოვანია. ეს საკითხი შეიძლება გადავდოთ და უნდა გადავდოთ, რადგან გლეხების ფართო მასებისა და წვრილი მეპატრონეების ნაციონალური უნდობლობა ხშირად უაღრესად მტკიცეა, და ჩქარებით შეიძლება ის კიდევ უფრო გავაძლიეროთ, ე. ი. ვავნოთ სრული და საბოლოო ერთიანობის საქმეს.

რუსეთის მუშურ-გლეხური რევოლუციის, 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბრის რევოლუციის გამოცდილებამ, საერთაშორისო და რუსეთის კაპიტალისტების შემოსევის წინააღმდეგ მისი ორი წლის ძლევამოსილი ბრძოლის გამოცდილებამ

ცხადზე უცხადესად დაგვანახვა, რომ კაპიტალისტებმა შეძლეს დროებით გამოეყენებინათ პოლონელი, ლატვიელი, ესტლანდიელი და ფინელი გლეხებისა და წვრილი მეპატრონეების ნაციონალური უნდობლობა ველიკოროსებისადმი, შეძლეს დროებით შუღლი ჩამოეგდოთ ჩვენსა და მათ შორის ამ უნდობლობის ნიადაგზე. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ეს უნდობლობა ისპობა და ქრება მხოლოდ ძალიან ნელა და, რაც უფრო მეტ სიფრთხილესა და მოთმინებას იჩენენ ველიკოროსები, რომლებიც დიდხანს მჩაგვრელ ერს წარმოადგენდნენ, მით უფრო ნამდვილად ქრება ეს უნდობლობა. სახელდობრ პოლონეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტლანდიის, ფინეთის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის ცნობით ჩვენ ნელა, მაგრამ ურყევად ვიმსახურებთ მეზობელ პატარა სახელმწიფოთა ყველაზე ჩამორჩენილი, კაპიტალისტების მიერ ყველაზე უფრო მოტყუებული და დაბეჩავებული მშრომელი მასების ნდობას. სწორედ ასეთი გზით ყველაზე უტყუარად ვგლეჯთ მათ «მათი» ნაციონალური კაპიტალისტების გავლენისაგან, ყველაზე უტყუარად მიგვყავს ისინი სრული ნდობისაკენ, მომავალი ერთიანი საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკისაკენ.

ვიდრე უკრაინა მთლად არ განთავისუფლებულა დენიკინისაგან, მის მთავრობას, საბჭოების სრულიად უკრაინის ყრილობამდე, წარმოადგენს სრულიად უკრაინის რევოლუციური კომიტეტი, სრულიად უკრაინის რევკომი. ამ რევკომში უკრაინელ კომუნისტ-ბოლშევიკებთან ერთად მუშაობენ, როგორც მთავრობის წევრები, უკრაინელი კომუნისტი-ბოროტბისტები. ბოროტბისტები ბოლშევიკებისაგან სხვათა შორის იმით განსხვავდებიან, რომ იცავენ უკრაინის უეჭველ დამოუკიდებლობას. ბოლშევიკები ა მ ა ს არ ქმნიან განხეთქილების და გათიშვის საგნად, ა მ ა შ ი არ ხედავენ არავითარ დაბრკოლებას შეთანხმებული პროლეტარული მუშაობისათვის. ოღონდ ერთიანობა იყოს ბრძოლაში კაპიტალის უღლის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, თორემ ნაციონალური საზღვრების, სახელმწიფოთა შორის

ფედერაციული თუ სხვა კავშირის საკითხის გამო კომუნისტები არ უნდა გაითიშონ. ბოლშევიკებს შორის არიან უკრაინის სრული დამოუკიდებლობის მომხრეები, არიან ცოტად თუ ბევრად მჭიდრო ფედერაციული კავშირის მომხრეები, არიან რუსეთთან უკრაინის სრული შეერთების მომხრეები.

ამ საკითხების გამო გათიშვა შეუწყნარებელია. ამ საკითხებს გადაწყვეტს საბჭოების სრულიად უკრაინის ყრილობა.

თუ ველიკორუსი კომუნისტი დაჟინებით იცავს უკრაინის შეერთებას რუსეთთან, უკრაინელები ადვილად მიიტანენ მასზე ეჭვს, რომ ის ასეთ პოლიტიკას იცავს არა კაპიტალთან ბრძოლაში პროლეტარების ერთიანობის მოსაზრებით, არამედ ძველი ველიკორუსული ნაციონალიზმის, იმპერიალიზმის ცრურწმენის გამო. ასეთი უნდობლობა ბუნებრივია, რამდენადმე აუცილებელი და კანონიერია, რადგან ველიკორუსები საუკუნეობით იმსჭვალებოდნენ, მემამულეებისა და კაპიტალისტების მხრივ ჩაგვრის გამო, ველიკორუსული შოვინიზმის სამარცხვინო და საძაგელი ცრურწმენით.

თუ უკრაინელი კომუნისტი დაჟინებით მოითხოვს უკრაინის უეჭველ სახელმწიფო დამოუკიდებლობას, შეიძლება ეჭვი მიიტანონ მასზე, რომ ის ასეთ პოლიტიკას იცავს არა უკრაინელი მუშებისა და გლეხების დროებითი ინტერესების თვალსაზრისით მათ ბრძოლაში კაპიტალის უღლის წინააღმდეგ, არამედ წვრილბურჟუაზიული, წვრილმეპატრონული ნაციონალური ცრურწმენის გამო. ვინაიდან გამოცდილებას ათასჯერ დაუნახვებია ჩვენთვის, თუ სხვადასხვა ქვეყნის წვრილბურჟუაზიული «სოციალისტები» — ყველა ეს პოლონელი, ლატვიელი, ლიტველი ვითომდა სოციალისტები, ქართველი მენშევიკები, ესერები და სხვები — როგორ ინიღბებოდნენ პროლეტარიატის მომხრეებად ერთადერთი მიზნით — მოტყუებით გაეპარებინათ «თავიანთ» ნაციონალურ ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის პოლიტიკა რევოლუციური მუშების წინააღმდეგ. ეს ჩვენ დავინახეთ კერენშჩინის მაგალითით რუსეთში 1917 წლის თებერვალ-ოქტომბერში, ეს ჩვენ დავინახეთ და ამას ვხედავთ ყველა და ყოველგვარ ქვეყანაში.

ამრიგად, ველიკორუს და უკრაინელ კომუნისტებს შორის ურთიერთისადმი უნდობლობა ძალიან იოლად ჩნდება. როგორ ვებრძოლოთ ამ უნდობლობას? როგორ დავძლიოთ იგი და მოვიპოვოთ ურთიერთის ნდობა?

ამის საუკეთესო საშუალებაა — ერთად მუშაობა პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად ყველა ქვეყნის მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ბრძოლაში მათი ცდის წინააღმდეგ — აღადგინონ თავიანთი სრული ბატონობა. ასეთი შეერთებული ბრძოლა ნათლად დაგვანახვებს პრაქტიკულად, რომ როგორც უნდა გადაწყდეს სახელმწიფო დამოუკიდებლობისა თუ სახელმწიფო საზღვრების საკითხი, ველიკორუს და უკრაინელ მუშებს აუცილებლად ესაჭიროებათ მჭიდრო სამხედრო და სამეურნეო კავშირი, თორემ «ანტანტის», «შეთანხმების», ესე იგი უმდიდრესი კაპიტალისტური ქვეყნების — ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იაპონიის, იტალიის კავშირის კაპიტალისტები სათითაოდ გაგვსრესენ და დაგვახრჩობენ. ჩვენი ბრძოლის მაგალითმა კოლჩაკისა და დენიკინის წინააღმდეგ, რომელთაც ფულსა და იარაღს აწვდიდნენ ეს კაპიტალისტები, ნათლად დაგვანახვა ეს საშიშროება.

ვინც არღვევს ველიკორუსი და უკრაინელი მუშებისა და გლეხების ერთიანობასა და უმჭიდროეს კავშირს, ის ეხმარება კოლჩაკებს, დენიკინებს, ყველა ქვეყნის კაპიტალისტ-მტაცებლებს.

ამიტომ ჩვენ, ველიკორუსი კომუნისტები, უდიდესი სიმკაცრით უნდა ვდევნიდეთ ჩვენს წრეში ველიკორუსული ნაციონალიზმის ოდნავ გამოვლინებას, რადგან ასეთ გამოვლინებას, როგორც საერთოდ კომუნიზმისადმი ღალატს, უდიდესი მავნებლობა მოაქვს, გვთიშავს რა უკრაინელი ამხანაგებისაგან და ამით ხელს უწყობს დენიკინსა და დენიკინშჩინას.

ამიტომ ჩვენ, ველიკორუსი კომუნისტები, დამთმობნი უნდა ვიყოთ უკრაინელ კომუნისტ-ბოლშევიკებთან და ბოროტბისტებთან უთანხმოებისას, თუ ეს უთანხმოება ეხება უკრაინის სახელმწიფო დამოუკიდებლობას, რუსეთთან მისი

კავშირის ფორმებს, საერთოდ ნაციონალურ საკითხს. ჩვენ ყველანი, ველიკორუსი, უკრაინელი და ყოველი სხვა ერის კომუნისტები დაუთმობელნი და შეურიგებელნი უნდა ვიყოთ პროლეტარული ბრძოლის მთავარ, ძირითად, ყველა ერისათვის ერთნაირ საკითხებში, პროლეტარული დიქტატურის, ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის შეუწყნარებლობის, იმ ძალების დაქსაქსვის შეუწყნარებლობის საკითხებში, რომლებიც დენიკინისაგან გვიცავენ.

დავამარცხოთ დენიკინი, გავანადგუროთ იგი, შეუძლებელი გავხადოთ მსგავსი შემოსევის განმეორება — ასეთია ძირითადი ინტერესი როგორც ველიკორუსი, ისე უკრაინელი მუშებისა და გლეხებისა. ეს ბრძოლა ხანგრძლივი და ძნელია, რადგან მთელი მსოფლიოს კაპიტალისტები ეხმარებიან დენიკინს და დაეხმარებიან სხვადასხვა ჯურის დენიკინებს.

ამ ხანგრძლივ და ძნელ ბრძოლაში ჩვენ, ველიკორუსი და უკრაინელი მუშები, უმჭიდროეს კავშირში უნდა ვიმყოფებოდეთ, ვინაიდან ცალ-ცალკე ჩვენ, უთუოდ, ვერაფერს გავხდებით. როგორიც უნდა იყოს უკრაინისა და რუსეთის საზღვრები, როგორიც უნდა იყოს მათი სახელმწიფოებრივი ურთიერთდამოკიდებულების ფორმები, ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, აქ შეიძლება და უნდა წავიდეთ დათმობაზე, აქ შეიძლება ვცადოთ ერთიც, მეორეც და მესამეც, — ამით მუშებისა და გლეხების საქმე, კაპიტალიზმზე გამარჯვების საქმე არ დაიღუპება.

მაგრამ აი თუ ჩვენ ვერ შევინარჩუნეთ უმჭიდროესი კავშირი ურთიერთ შორის, კავშირი დენიკინის წინააღმდეგ, კავშირი ჩვენი ქვეყნებისა და ყველა ქვეყნის კაპიტალისტებისა და კულაკების წინააღმდეგ, მაშინ შრომის საქმე უთუოდ დაიღუპება დიდი ხნით იმ მხრივ, რომ მაშინ კაპიტალისტები შ ე ძ ლ ე ბ ე ნ გასრისონ და დაახრჩონ საბჭოთა უკრაინაც და საბჭოთა რუსეთიც.

ყველა ქვეყნის ბურჟუაზიაც და ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული პარტიებიც, «შემთანხმებლური» პარტიები, რომლებსაც დასაშვებად მიაჩნიათ ბურჟუაზიასთან კავშირი

მუშების წინააღმდეგ, ყველაზე მეტად ცდილობდნენ გაეთიშათ სხვადასხვა ეროვნების მუშები, გაეღვივებინათ უნდობლობა, დაერღვიათ მუშების მჭიდრო საერთაშორისო კავშირი და საერთაშორისო ძმობა. როდესაც ბურჟუაზია ამას შეძლებს, მუშების საქმე წაგებულია. მაშ დაე რუსეთისა და უკრაინის კომუნისტებმა მოთმინებითი, მედგარი, შეუპოვარი, გაერთიანებული მუშაობით დაძლიონ ყოველგვარი ბურჟუაზიის ნაციონალისტური ზრახვები, ყოველგვარი ნაციონალისტური ცრურწმენა და მთელი მსოფლიოს მშრომელებს დაანახვონ სხვადასხვა ერის მუშებისა და გლეხების მართლაც მჭიდრო კავშირის მაგალითი საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მემამულეებისა და კაპიტალისტების მხრივ ჩაგვრის მოსპობისათვის, მსოფლიო ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისათვის ბრძოლაში.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

28. XII. 1919.

«პრავდა» № 3, 1920 წ.
4 იანვარი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ხელნაწერთან.

# რუსული ენის გაწმენდის შესახებ

## (ფიქრები მოცლილობისას, ე. ი. კრებებზე სიტყვების მოსმენის დროს)[59]

რუსულ ენას ჩვენ ვაფუჭებთ. უცხოურ სიტყვებს ვხმარობთ საჭიროების გარეშე. ვხმარობთ მათ უმართებულოდ. რისთვის უნდა ვამბობდეთ «დეფექტი», როცა შეიძლება ვთქვათ ნაკლი, ნაკლოვანება ან ხარვეზი?

რა თქმა უნდა, როცა ადამიანი, რომელსაც ახლახან უსწავლია საერთოდ კითხვა და განსაკუთრებით გაზეთის კითხვა, იწყებს მის გულმოდგინედ კითხვას, ის უნებლიეთ ითვისებს გაზეთის ენას. მაგრამ სწორედ გაზეთის ენაც იწყებს გაფუჭებას ჩვენში. თუ იმას, ვისაც კითხვა ახლახან უსწავლია, ეპატიება იხმაროს, როგორც ახალი რამ, უცხოური სიტყვები, ლიტერატორებს ეს არ ეპატიებათ. განა დრო არ არის ომი გამოვუცხადოთ უცხოური სიტყვების ხმარებას საჭიროების გარეშე?

უნდა გამოვტყდე, რომ თუ უცხოური სიტყვების წარამარა ხმარება მაბრაზებს (რადგან ეს აძნელებს ჩვენს გავლენას მასაზე), იმათ ზოგიერთ შეცდომას, ვინც გაზეთებში წერს, უკვე სავსებით შეუძლია მოთმინებიდან გამოიყვანოს კაცი. მაგალითად, ხმარობენ სიტყვას «будировать» გაღიზიანების, შენჯღრევის, გაღვიძების აზრით. მაგრამ ფრანგული სიტყვა «bouder» (ბუდე) ნიშნავს გაჯავრებას, გაბუტვას. ამიტომ «будировать» ნამდვილად ნიშნავს «გაჯავრებას», «გაბუტვას». ფრანგულ-ნიუნინოვგოროდული სიტყვათხმარების გადმოღება იმას ნიშნავს, რომ უცუდესი რამ გადმოიღო რუს

მემამულეთა კლასის უცუდესი წარმომადგენლებისაგან, რომელიც ფრანგულად სწავლობდა, მაგრამ, ჯერ-ერთი, ბოლომდე ვერ ისწავლა, და, მეორეც, ამახინჯებდა რუსულ ენას.

განა დრო არ არის ომი გამოვუცხადოთ რუსული ენის დამახინჯებას?

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.
3 დეკემბერს გაზეთში «პრავდა» № 275
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

# პეტროგრადის გუბერნიის ქალთა ყრილობის ბიუროს

ამხანაგებო! არა მაქვს რა შესაძლებლობა დავესწრო თქვენს ყრილობას, მსურს წერილობით გადმოგცეთ ჩემი მისალმება და გისურვოთ საუკეთესო წარმატებანი.

ახლა ჩვენ ბედნიერად ვამთავრებთ სამოქალაქო ომს. საბჭოთა რესპუბლიკა მტკიცდება ექსპლოატატორებზე თავისი გამარჯვებებით. საბჭოთა რესპუბლიკას შეუძლია და უნდა მოანდომოს ამიერიდან მთელი თავისი ძალ-ღონე უფრო მნიშვნელოვან, ყველა ჩვენთაგანისათვის, ყველა მშრომელისათვის უფრო მახლობელ და მშობლიურ ამოცანას: ვაწარმოოთ უსისხლო ომი, ომი შიმშილის, სიცივისა და ნგრევის დასაძლევად. და ამ უსისხლო ომში მუშა და გლეხი ქალები მოწოდებული არიან შეასრულონ განსაკუთრებით დიდი როლი.

დაე პეტროგრადის გუბერნიის ქალთა ყრილობა დაეხმაროს მშრომელების ქალთა არმიის შექმნას, დარაზმვასა და მოწყობას ამ უსისხლო ომში, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლებას უნდა მოუტანოს და მოუტანს კიდევ უფრო დიად გამარჯვებებს.

კომუნისტური სალამით
ვ. ულიანოვი (ლენინი)

10/I 1920

«პეტროგრადსკაია პრავდა» № 11,
1920 წ. 16 იანვარი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# ი. ბ. სტალინს

## ამხანაგ სტალინს

ცენტრალური კომიტეტის მიერ მოცემული დირექტივის[60] საფუძველზე, ჩემი აზრით, საჭიროა სამივე პროექტი გადამუშავდეს ერთ პროექტად.

ჩემი აზრით, დაემატოს:

1) მუშურ-გლეხური ინსპექციის «განყოფილება» სახელმწიფო კონტროლთან დროებითი უნდა იყოს და მის ამოცანას უნდა შეადგენდეს, დანერგოს მუშურ-გლეხური ინსპექცია სახელმწიფო კონტროლის **ყველა** განყოფილებაში და მაშინ ის, როგორც განსაკუთრებული განყოფილება, გაქრეს.

2) მიზანი: მ თ ე ლ მშრომელ მასას, კაცებსაც და **ქალებსაც განსაკუთრებით**, მონაწილეობა მივაღებინოთ მუშურ-გლეხურ ინსპექციაში.

3) ამისათვის ადგილებზე შედგეს სიები (კონსტიტუციის თანახმად), გამოირიცხონ მოსამსახურეები, და ა. შ.

— დანარჩენებს ყველას **რიგრიგობით** მონაწილეობა მივაღებინოთ მუშურ-გლეხურ ინსპექციაში.

4) ეს მონაწილეობა უნდა იქნეს სხვადასხვანაირი, მონაწილეთა განვითარების დონის მიხედვით: დაწყებული «თვალით მნახველის» ან მოწმის ან დამსწრის ან მოსწავლის როლით წერა-კითხვის უცოდინარი და სრულიად განუვითარებელი მუშებისათვის და გლეხებისათვის, — გათავებული ყველა (ან თითქმის ყველა) უფლებით წერა-კითხვის მცოდნეთათვის, განვითარებულთათვის, **ასე თუ ისე გ ა მ ო ც დ ი ლ თ ა თ ვ ი ს.**

5) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს (და უაღრესად ზუსტი წესებით განისაზღვროს) — ასევე უფრო ფ ა რ თ ო დ უნდა იქნეს შემოღებული მუშურ-გლეხური ინსპექციის კონტროლი პროდუქტების, ს ა ქ ო ნ ლ ი ს, საწყობების, იარაღების, მასალების, სათბობისა და ა. შ. და სხვ. მისთ. (განსაკუთრებით სასადილოებისა და სხვ.) აღრიცხვის საქმეში.

ამ საქმეში **აუცილებლად** უნდა ჩავაბათ ქ ა ლ ე ბ ი, ამასთან ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო დ.

6) რათა არ გამოიწვიოს არევ-დარევა მონაწილეთა მასის ჩაბმამ, უნდა დაწესდეს თანდათანობით, რიგრიგობით ჩაბმა, და ა. შ.. აუცილებელია აგრეთვე მონაწილეობის ფორმების გულდასმით მოფიქრება (2 — 3, იშვიათად და განსაკუთრებულ შემთხვევებში მეტი მონაწილე, რათა ტყუილუბრალოდ არ მოაცდინონ მოსამსახურენი სამუშაოს).

7) უნდა შემუშავდეს დეტალური ინსტრუქცია.

8) სახელმწიფო კონტროლის მოხელეები ვალდებული უნდა იყვნენ (საგანგებო ინსტრუქციით) ჯერ-ერთი, ყველა თავიანთ ოპერაციაში ჩააბან მუშურ-გლეხური ინსპექციის წარმომადგენლები (ან ჯგუფები), ხოლო, მეორე, უკითხონ ლექციები მუშათა და გლეხთა უ პ ა რ ტ ი ო კონფერენციებს (ლექციები საგანგებოდ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით, პოპულარული, სახელმწიფო კონტროლის საფუძვლებისა და მისი ხერხების შესახებ: შეიძლება, ლექცია შეიცვალოს იმ ბროშურის წაკითხვით, რომელსაც ჩვენ გამოვცემთ (ე. ი. სახელმწიფო კონტროლი, სტალინი და ავანესოვი, გამოსცემს პარტიის განსაკუთრებული მონაწილეობით), და ამ ბროშურის კომენტარით).

9) **თანდათანობით** გამოწვეულ იქნენ გლეხები ადგილებიდან (აუცილებლივ უპარტიო გლეხები) სახელმწიფო კონტროლში მონაწილეობის მისაღებად ცენტრში: დაწყებულ იქნეს თუნდაც (თუ მეტი არ შეიძლება) 1 — 2-ით გუბერნიიდან, შემდეგ კი, ტრანსპორტისა და სხვა პირობებისდაკვალად, **გაფართოვდეს**. იგივე უპარტიო მუშებისათვის.

10) თანდათანობით შემოღებულ იქნეს სახელმწიფო კონტროლში მშრომელთა მონაწილეობის შემოწმება პარტიისა და პროფესიული კავშირების საშუალებით, ე. ი. მათი საშუალებით შემოწმდეს, მონაწილეობს თუ არა ყველა და როგორია მონაწილეობის შედეგები მონაწილეთა მიერ სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმის შესწავლის თვალსაზრისით.

ლ ე ნ ი ნ ი

24/I 1920

პირველად დაიბეჭდა 1928 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

# სიტუაცია პრესნიის რაიონის მუშათა და წითელარმიელთა უპარტიო კონფერენციაზე 1920 წ. 24 იანვარს

## საგაზეთო ანგარიში

წითელი არმიის უკანასკნელ გამარჯვებებთან დაკავშირებით ძალიან შეიცვალა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა, და საჭიროა ახალი გზები ვეძებოთ ჩვენი ინტერნაციონალური ამოცანების გადასაწყვეტად.

როგორც კი შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლება, საერთაშორისო კაპიტალის მთელი ძალები თავს დაესხნენ მას, ხოლო ეს ძალები გაცილებით უფრო მეტია საბჭოთა ხელისუფლების ძალებზე, და ამიტომ მერყეევთ შეეძლოთ დაეჭვებულიყვნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებაში. მაგრამ მან მაინც გაიმარჯვა. და საკმარისია ჩავუფიქრდეთ იმას, თუ როგორ გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ, რათა გავიგოთ, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ მომავალშიც გავიმარჯვოთ.

ამხანაგი ლენინი აღნიშნავს, თუ რა დიდია გამარჯვება კაპიტალის ძალებზე, რა დიდია კოლჩაკის განადგურება, რამაც აიძულა მოკავშირეები მოეხსნათ ბლოკადა და ხელი აეღოთ რუსეთის მოხრჩობის გეგმაზე.

ეს ჩვენი გამარჯვება გაცილებით უფრო ძლიერ მტერზე ცხადყოფს, რომ მართალნი იყვნენ ბოლშევიკები, და არა ისინი, ვინც ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ უიმედო საქმეს ვიწყებთ, როცა მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოვდივართ. თუმცა ბლოკადის მოხსნა ერთგვარად გვიმსუბუქებს მდგომარეობას, დასავლეთის ბურჟუაზია, ალბათ, მაინც შეეცდება კვლავ შეგვებრძოლოს ჩვენ. უკვე ახლავე, მოხსნა რა ბლოკადა,

იგი გვისისიანებს პოლონელ თეთრგვარდიელებს, ამიტომ ისევ აუცილებელია ფხიზლად ვიყოთ, ვემზადოთ ახალი თავდასხმებისათვის და ვისარგებლოთ ორწლიანი ბრძოლის გაკვეთილებით, ვისარგებლოთ იმ საშუალებებით, რომლებითაც ჩვენ აქამდე ვიმარჯვებდით.

მენშევიკები ხშირად აღნიშნავდნენ: დასავლეთის პროლეტარები მხარს არ გვიჭერენ, ისინი საშუალებას აძლევენ მტრებს, რომ ჩვენ დაგვახრჩონ, მათ საშუალება მისცეს მტრებს დაეხრჩოთ უნგრეთიო. თითქოს ეს მართალიცაა. მაშ რატომ წავიდნენ ანტანტის ჯარები ჩრდილოეთიდან და ოდესიდან? იმიტომ რომ მათი ჯარისკაცები, თვითონ მუშები, რაც უფრო ღრმად იჭრებიან საბჭოთა რუსეთში, მით უფრო გადაჭრით ამბობენ უარს ჩვენ წინააღმდეგ ომზე. მაშასადამე, ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ჩვენ წინააღმდეგ ომი შეიძლება მხოლოდ დიდი ძალით, დიდი არმიის შედგენა კი შეიძლება მხოლოდ მუშებისა და გლეხებისაგან, მაგრამ დასავლეთის ამ მუშებს არ სურთ ჩვენთან ომი. მაშასადამე, ჩვენ გავიმარჯვეთ არა იმიტომ, რომ უფრო ძლიერი ვიყავით, არამედ იმიტომ, რომ ანტანტის ქვეყნების მშრომელები ჩვენთან უფრო ახლოს აღმოჩნდნენ, ვიდრე თავიანთ საკუთარ მთავრობასთან.

გამარჯვების მეორე მიზეზია — «14 სახელმწიფოს გამოლაშქრების» მარცხი. ეს ნიშნავს, რომ პატარა სახელმწიფოებს არ შეუძლიათ გაერთიანდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგან მათ ეშინიათ, თუ ვინიცობაა მათ გაიმარჯვეს და ამავე დროს დენიკინშჩინა გაიმარჯვებს, აღსდგება რუსეთის იმპერია, რომელიც კვლავ ცხოვრების საშუალებას არ მისცემს პატარა ხალხებს. და ჩვენ ზავს ვდებთ ესტონეთთან, რაც ჩვენთვის ბლოკადის ფაქტიურ გარღვევას მოასწავებს, თუნდაც რომ ბლოკადის ფორმალური მოხსნა მხოლოდ მოტყუება იყოს.

ანტანტის დიდი სახელმწიფოები ვერ გაერთიანდებიან საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად, რადგან ძალიან მტრობენ ერთიმეორეს. გერმანია გულში მალავს საფრანგეთზე

შურისძიების აზრს ვერსალის მძარცველური ზავის გამო, საფრანგეთი ჩვენ გვისისიანებს პოლონეთს, ხოლო ინგლისი ნებას რთავს ესტონეთს შეგვირიგდეს, ოღონდ კი ამ ესტონეთმა ინგლისთან ივაჭროს. იაპონია, რომელსაც უფრო ძლიერი არმია ჰყავს ციმბირში, ვიდრე ჩვენ, ვერ შეგვებრძოლება, რადგან ეშინია ამერიკის თავდასხმისა, რომელთანაც მტრობა აქვს იმპერიალიზმის კოლონიური ინტერესების გამო ჩინეთში. მაშასადამე, ჩვენი გამარჯვების მეორე მიზეზი ისაა, რომ მუშები ერთმანეთთან სოლიდარულნი არიან, ხოლო ბურჟუებს, რამდენადაც ისინი ბურჟუებად რჩებიან, არ შეუძლიათ ერთმანეთს არ უღრინონ და არ ეომონ ზედმეტი მოგებისათვის.

და ამრიგად, ჩვენ გამარჯვებულნი გამოვედით სამოქალაქო ომის ამ პირველი ორი წლიდან, რომლებიც ყველაზე მძიმე წლები იყო, რადგან ჩვენ გაჩანაგებული ვიყავით იმპერიალისტური ომისაგან, ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით პურსა და ნახშირს. მაგრამ ახლა ჩვენ პური და სათბობი ჭარბად გვაქვს. ციმბირში ერთმა გაწერამ მოგვცა 21 მილიონი ფუთი პური. მართალია, ჩვენ არ შეგვიძლია ის უცებ გამოვზიდოთ, მაგრამ ტრანსპორტი ხომ მთელ ევროპაში მოშლილია, ჩვენში კი მას შეგნებულად ანგრევდნენ თეთრგვარდიელები. მათ დნეპრის ყველა ხიდი ააფეთქეს, კიევის ხიდის გარდა; ამით კი აიხსნება როგორც სამხედრო ოპერაციების დაბრკოლება, ისე პურის გადმოზიდვის შეფერხება. ჩვენ გვაქვს გურიევის ნავთი, ჩვენ მას გადმოვზიდავთ, როდესაც კასპიის ზღვის ნაპირები გალხვება. ყოველივე ამას ჩვენ ვითვალისწინებთ და ვემზადებით მის გადმოსაზიდავად. ტრანსპორტის აღსადგენად ჩვენ ვქმნით შრომის არმიებს, რომელთაგან ერთი უკვე შეუდგა ალექსანდროვ-გაი — გურიევის გზის შენებას ნავთის გადმოსაზიდავად. ჩვენ არ შეგვიძლია მოვახდინოთ არმიის დემობილიზაცია, იმიტომ რომ ჩვენ კიდევ გვყავს მტრები, როგორიცაა პოლონეთი. დემობილიზაციას ხელს უშლის აგრეთვე ტრანსპორტის მოშლაც. ამიტომ ჩვენ არმიას გამოვიყენებთ ტრანსპორტის აღსადგენად.

ყველა თავიანთ ფურცელში თეთრგვარდიელები წერენ, რომ ბოლშევიკებს მშვენიერი აგიტაცია აქვთო, რომ ისინი ფულს არ იშურებენ აგიტაციისათვისო. მაგრამ ხალხს ხომ სმენია ყოველგვარი აგიტაცია — თეთრგვარდიულიცა და დამფუძნებლურიც. სასაცილოა იმაზე ფიქრი, თითქოს ხალხი ბოლშევიკებს იმიტომ გაჰყვა, რომ მათი აგიტაცია უფრო ოსტატური იყო. არა, საქმე იმაშია, რომ მათი აგიტაცია მართალი იყო.

თვით დენიკინისა და კოლჩაკის მოქმედება წარმოადგენდა მათივე საწინააღმდეგო აგიტაციას, აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. ამიტომაც გავიმარჯვეთ ჩვენ. ჩვენ ადვილად ჩამოვაგდეთ მეფე რამდენიმე საათში. მემამულეები და კაპიტალისტები ჩვენ დავამხვეთ რამდენიმე კვირაში. მაგრამ ეს მხოლოდ ნახევარი სამუშაოა. საჭიროა ვისწავლოთ მუშაობა ახლებურად. წინათ შრომის ორგანიზაციას ეწეოდა ექსპლოატატორი, წინათ შრომას აერთიანებდა შიმშილი, ახლა შრომა უნდა გააერთიანოს მუშათა და გლეხთა შეგნებამ, რომ უნდა ვიშრომოთ, რათა მძიმე მდგომარეობიდან გამოვიდეთ.

მაგრამ ეს შეგნება ჯერ კიდევ ყველას არა აქვს. და ჩვენ ვიწყებთ ახალ უსისხლო ბრძოლას ამ შეგნებულობისათვის. აქამდე ყველა რევოლუცია თავდებოდა ერთი მუჭა კაპიტალისტებისა და ექსპლოატატორების სასარგებლოდ. ეს იმიტომ, რომ აჯანყებულ მშრომელებს სოლიდარობის შეგნება არ ჰქონდათ. თვითეული ფიქრობდა მხოლოდ თავის თავზე, ყველა ერთიმეორეს ებრძოდა, ზედაპირზე კი ამოტივტივდებოდნენ ხოლმე თაღლითები და სპეკულანტები.

აი არის გლეხი, რომელსაც პური აქვს, ხოლო გვერდით დგას მშიერი, და ეს გლეხი არჩევს პური მშიერს მიჰყიდოს 1 000 მანეთად, ვიდრე ეს პური სესხად მისცეს მუშათა ხელისუფლებას. აქ ვიღაც კიდეც ამბობს: «მართალია!». აი დენიკინმა და კოლჩაკმაც ცადეს თავისუფალი ვაჭრობა, მაგრამ საუკეთესო, შეგნებულმა მუშებმა და გლეხებმა საქმით დაინახეს, თუ რა არის ეს, და ზურგი შეაქციეს მათ.

უწინ ამბობდნენ: «თვითეული თავისთვის, ღმერთი კი ყველასათვისო», და რამდენი უბედურება მოჰყვა ამას.

ჩვენ ვიტყვით: «თვითეული ყველასთვის, ხოლო ღმერთის გარეშეც როგორმე იოლად წავალთ». და ჩვენ ვიბრძოლებთ მუშებისა და გლეხების ძმური კავშირისათვის, იმ გლეხებისა, რომლებიც პურს სესხად აძლევენ სახელმწიფოს, — სესხად იმიტომ, რომ სამაგიეროდ ჯერჯერობით არაფრის მიცემა არ შეგვიძლია, ხოლო ფერად-ფერადი ქაღალდები — ეს არაა ფული. აქამდე ჩვენ გვიხდებოდა ბრძოლა მხოლოდ იმისათვის, რომ მტერს არ დავეხრჩვეთ, ახლა კი, როდესაც უფრო ძლიერი მტერი დამარცხებულია, ხელფეხი გახსნილი გვაქვს, და ხელი უნდა მოვკიდოთ ახალი ცხოვრების მშენებლობას და, პირველ რიგში, უნდა აღვიდგინოთ ტრანსპორტი.

სამხრეთში ჩვენ გვაქვს წითელი არმიის მიერ დაპყრობილი სახელოსნოები იმ ადგილებში, სადაც პურია ახლოს, მაშ ავამუშაოთ ეს სახელოსნოები სრული დატვირთვით, სამ ცვლად, და არა ისე, როგორც მშიერი ადამიანები მუშაობენ ხოლმე.

ტრანსპორტის აღდგენისაკენ უნდა მივმართოთ ჩვენი კომუნისტური აგიტაციის მთელი ძალა, რომლის დახმარებითაც ჩვენ გავიმარჯვეთ გარეშე მტერზე.

ოდესღაც ჩვენ გაჩაღებული გვქონდა «ბრწყინვალე» საგარეო ვაჭრობა, გაგვქონდა 700 მილიონი ფუთი პური. ამით მდიდრდებოდნენ რუსი და საზღვარგარეთელი მილიონერები, რუსი მუშები და გლეხები კი შიმშილობდნენ. ახლა კი ჩვენ ყველა უნდა დავარწმუნოთ, რომ ერთადერთი ხსნაა: «ყველა ყველასათვის!». ჩვენ, რადაც უნდა დაჯდეს, უნდა მოვსპოთ თავისუფალი ვაჭრობა და სპეკულაცია, რომელიც პურს მხოლოდ მცირე ჯგუფს აძლევს, დანარჩენებს კი შიმშილით უმასპინძლდება. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ გლეხები, — და ისინი ჩვენ დაგვიჯერებენ, რადგან თავისუფალი სპეკულაციის «სიკეთენი» მათ დენიკინმა უჩვენა, — ისინი გაიგებენ, რომ ერთადერთი ხსნაა — მისცენ სესხად პური მუშას და ხელო-

სანს, და ისინი ამ ვალს მათ გადაუხდიან არა ფერად-ფერადი ქაღალდებით, არამედ ნაწარმითა და მანუფაქტურით.

ჩვენ დავიწყეთ დიადი ომი, რომელსაც მალე ვერ დავამთავრებთ: ესაა — შრომის არმიების უსისხლო ბრძოლა შიმშილის, სიცივისა და პარტახტიანი ტიფის წინააღმდეგ, — განათლებული, ნათელი, მაძღარი და ჯანსაღი რუსეთისათვის, მაგრამ ჩვენ ამ ომს ისეთივე გადამწყვეტი გამარჯვებით დავამთავრებთ, როგორც დავამთავრეთ თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლა.

ესტონეთთან ზავის პირობების საკითხზე ამწანაგმა ლენინმა უპასუხა, რომ ჩვენ ბევრი დავუთმეთ, აქედან მთავარია იმ სადავო ტერიტორიის დათმობა, რომელიც დასახლებულია შერეული — რუსული და ესტონური — მოსახლეობით. მაგრამ ჩვენ არ გვინდა, რომ მუშებისა და წითელარმიელების სისხლი დავღვაროთ ერთი ნაჭერი მიწის გულისათვის, მით უფრო, რომ ეს დათმობა საუკუნო როდია: ესტონეთი განიცდის კერენშჩინის პერიოდს, მუშები იწყებენ თავიანთი დამფუძნებელი კრების ბელადების ფლიდობის გაგებას, ბელადებისა, რომლებმაც გაძარცვეს პროფესიული კავშირები და 20 კომუნისტი მოკლეს, ისინი მალე დაამხობენ ამ ხელისუფლებას და შექმნიან საბჭოთა ესტონეთს, რომელიც ჩვენთან ახალ ზავს შეკრავს.

«პრავდა» № 18,
1920 წ. 28 იანვარი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

# დადგენილებათა პროექტები და დირექტივები კოოპერაციის შესახებ [61]

ხვალ სახკომსაბჭოში შეტანილ იქნეს პროექტი დეკრეტისა არა კოოპერაციათა შეერთების შესახებ, არამედ კოოპერაციათა ყველა სახის გაერთიანების დამთავრების შესახებ, გადამუშავდება რა ო. ი. შმიდტის მიერ წარმოდგენილი პროექტი იმ სახით, რომ წარმოებითი ტიპის ადგილობრივი არასამომხმარებლო კოოპერაციისადმი დამოკიდებულება იყოს მეტად ფრთხილი, ხოლო კოოპერაციული ყრილობების საბჭო მოისპოს უმოკლეს ვადაში.

დირექტივები:

α) მეტი მზრუნველობა მშრომელთა ინტერესებზე და არა მხოლოდ შეძლებული და კულაკური ნაწილის ინტერესებზე. ამ თვალსაზრისით შეიცვალოს დეკრეტის შესავალი ნაწილის ფორმულირება.

β) უფრო ფართო ხელშეწყობა საწარმოო კოოპერაციებისადმი, ადგილობრივი ინიციატივის განსაკუთრებულ განვითარებასა და მიწათმოქმედებისა და სარეწავების უმაღლესი ფორმების წახალისებასთან ერთად.

γ) ახალი სრულიად კოოპერაციული ცენტრის კონკრეტული ნაბიჯები საწარმოო კოოპერაციების გაერთიანებისაკენ გადაიდგას სახკომსაბჭოს მოწონებით.

ა) მიენდოს ციურუპასა და ლეუავას სახკომსაბჭოში შეიტანონ დადგენილების პროექტი (იმის წინასწარ გადაუწყვეტლად, გამოქვეყნდეს თუ არა იგი), რომელ დადგენილებაშიაც მითითებული უნდა იყოს უფრო ზუსტი, სისტემატური

და გარკვეული წესები სხვადასხვა პროდუქტების დამზადებაში კოოპერატივების მონაწილეობის შესახებ, ამ მონაწილეობის განხორციელების სახეების, ფორმების, პირობებისა და ხერხების შესახებ.

ბ) მიენდოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს... ვადაში, მომხმარებელ საზოგადოებათა ცენტრალურ კავშირთან, სასურსათო სახალხო კომისარიატთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, შეადგინოს კოოპერაციის მონაწილეობით და ამ მონაწილეობის გარეშე სასურსათო პროდუქტების ადგილებზე დამზადებათა ხერხებისა და შედეგების გამოკრეფითი გამოკვლევის პროგრამა.

პროგრამა დასამტკიცებლად და თვით გამოკვლევის დასანიშნად შეტანილ იქნეს სახკომსაბჭოში.

მოვიფიქროთ, შეიძლება თუ არა აგრეთვე ანკეტის გამოყენება, და, თუ შეიძლება, მივცეთ სახკომსაბჭოს მისი მოკლე გეგმა?

---

გამოკვლევის მიზანია: დეტალური შესწავლა თუნდაც მცირერიცხოვანი, მაგრამ ტიპიური და ზუსტად დადგენილი ფაქტებისა იმის შესახებ, სახელდობრ როგორ, რომელი პროდუქტები და რამდენია შეგროვებული, მოზიდული, დაცული, გადაზიდული, რა მანძილზე და ა. შ.? იძულებისა და სახელდობრ როგორი იძულების შემთხვევათა რიცხვი? საქონლის გაცემა გაცვლის წესით, რამდენისა და რომლისა? გაწერისა და ნაჭარბის რამდენი %%-ია აღებული და რა ვადაში? გლეხობის სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობა პურის მოტანაში (და საქონლის მიღებაში, თუ კი მოხდა საქონლის მიღება)?

**დაიწერა 1920 წ. 26 იანვარს**
**იბეჭდება პირველად**

**იბეჭდება ხელნაწერის**
**მიხედვით**

---

# სიტყვა სახალხო მეურნეობის საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობაზე[62] 1920 წ. 27 იანვარს

## საგაზეთო ანგარიში

ამხანაგი ლენინი ლაპარაკობს, რომ ის მხოლოდ გაკვრით შეეხება იმ საკითხებს, რომლებსაც იგი ბოლო ხანებში უფრო მეტად აწყდებოდა. ერთ-ერთი ასეთი საკითხია მართვა-გამგეობის ორგანიზაცია, კოლეგიალობისა და ერთმმართველობის საკითხი. ამ საკითხზე წარმოებულ დავაში საკითხი იმ განყენებულ მსჯელობათა ნიადაგზეა დასმული, რომლებიც ამტკიცებენ კოლეგიალობის უპირატესობას ერთმმართველობასთან შედარებით. მაგრამ ეს ძალიან გვაშორებს დღევანდელი დღის პრაქტიკულ ამოცანებს. ასეთ მსჯელობას ჩვენ გადავყავართ საბჭოთა ხელისუფლების თავდაპირველი მშენებლობის იმ ეტაპზე, რომელიც ჩვენ უკვე განვლეთ. დროა გადავიდეთ საკითხის უფრო საქმიან დაყენებაზე.

კოლეგიალობა, როგორც საბჭოთა მმართველობის ორგანიზაციის ძირითადი ტიპი, წარმოადგენს ჩანასახოვან რამეს, აუცილებელს პირველ სტადიაზე, როდესაც ახლად შენება გვიხდება. მაგრამ ცოტად თუ ბევრად მტკიცე ფორმების დამყარების დროს პრაქტიკულ მუშაობაზე გადასვლა დაკავშირებულია ერთმმართველობასთან, როგორც ისეთ სისტემასთან, რომელიც ყველაზე უფრო მეტად უზრუნველყოფს ადამიანის უნარიანობათა საუკეთესოდ გამოყენებას და მუშაობის არა სიტყვიერ, არამედ რეალურ შემოწმებას.

ის გამოცდილება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გაიარა სამხედრო მშენებლობის საქმეში, არ შეიძლება განხი-

ლულ იქნეს როგორც იზოლირებული გამოცდილება. ომი მშენებლობის ყველა დარგის ყველა სახეს მოიცავს. ჩვენი არმიის მშენებლობას მხოლოდ იმიტომ შეიძლებოდა მოჰყოლოდა წარმატებითი შედეგები, რომ იგი იქმნებოდა საერთო საბჭოთა მშენებლობის სულისკვეთებით, კლასობრივ თანაფარდობათა საფუძველზე, რომლებიც თავს იჩენენ ყოველგვარი მშენებლობის დარგში. აქ ჩვენ ვხედავთ ხელმძღვანელი კლასის — პროლეტარიატის იმავე თხელ ფენასა და გლეხობის მასას. და თუ სხვა დარგებში ამ თანაფარდობის არსი სრული სიცხადით არ გამომჟღავნდა, მან ნამდვილი გამოცდა მიიღო არმიაში, რომელიც დგას მტრის წინაშე და რომელსაც ძვირად უჯდება თვითეული თავისი შეცდომა. ამ გამოცდილებას უნდა ჩავუფიქრდეთ. იგი კანონზომიერად ვითარდებოდა და შემთხვევითი, უსახური კოლეგიალობიდან გაიარა ორგანიზაციის სისტემად ქცეული კოლეგიალობა, რითაც არმიის ყველა დაწესებულება იყო გამსჭვალული, და ახლა, როგორც საერთო ტენდენცია, მიადგა ერთმმართველობას, როგორც მუშაობის ერთადერთ სწორ დაყენებას. საბჭოთა მუშაობის ყოველ სფეროში თქვენ შეგხვდებათ შეგნებულ პროლეტართა მცირე რაოდენობა, ნაკლებ განვითარებულთა მასა და, როგორც ყოველივე ამის ქვენიადაგი, გლეხობის უზარმაზარი მასა მთელი თავისი ჩვეულებებით ერთპიროვნული მეურნეობისადმი . და, მაშასადამე, ვაჭრობისა და სპეკულაციის თავისუფლებისადმი, რომელსაც მენშევიკები, ესერები და უპარტიონი თავისუფლებას უწოდებენ, ჩვენ კი კაპიტალიზმის მემკვიდრეობას ვუწოდებთ. ეს ის გარემოა, რომელშიაც გვიხდება მოქმედება, და იგი მოქმედების სათანადო მეთოდებს მოითხოვს. და არმიის გამოცდილებამაც დაგვანახვა მართვა-გამგეობის ორგანიზაციის კანონზომიერი განვითარება კოლეგიალობის თავდაპირველი ფორმებიდან ერთმმართველობამდე, რომელიც ახლა იქ ტარდება არა ნაკლებ ხუთი მეათედით.

კოლეგიალობა უკეთეს შემთხვევაში ძალთა უდიდეს გაფლანგვას იწვევს და ვერ უზრუნველყოფს მუშაობის სისწრაფესა და გარკვეულობას, რომელსაც მოითხოვს ცენტრალიზებული

მსხვილი მრეწველობის პირობები. თუ თქვენ აიღებთ კოლეგიალობის დამცველებს, მათს რეზოლუციებში უაღრესად აბსტრაქტული სახით ნახავთ იმ ფორმულირებას, რომ კოლეგიის ყოველმა წევრმა ერთპიროვნულად უნდა აგოს პასუხი დავალების შესრულებისათვის. ეს ჩვენთვის ანაბანად იქცა. მაგრამ თვითეულმა თქვენგანმა, ვისაც კი პრაქტიკული გამოცდილება აქვს, იცის, რომ 100 შემთხვევიდან ერთი შემთხვევაა, რომ ამას სინამდვილეში იყენებდნენ. უმეტეს შემთხვევაში კი ეს მხოლოდ ქაღალდზე რჩება. კოლეგიის წევრთა შორის არავინ არ იღებს ზუსტ დავალებებს და ეს დავალებები პირადი პასუხისმგებლობით არ სრულდება. ჩვენ, საერთოდ, მუშაობის არავითარი შემოწმება არა გვაქვს. წარმოიდგინეთ, რომ პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი ასახელებს კანდიდატად ვასილ ვასილის-ძე ვასილიევს, და თქვენ მოითხოვეთ, რომ მოგცენ იმ დავალებათა სია, რომლებიც მან შეასრულა და შემოწმებულია საქმიანი ადამიანების მიერ. თქვენ ამის მსგავსს ვერაფერს მიიღებთ. ყველა ჩვენგანი მხოლოდ ეს-ეს არის ახლა ვიწყებთ ნამდვილი საქმიანობისათვის ხელის მოკიდებას.

ჩვენი დანაშაული ის არის, რომ ჩვენ ვოცნებობთ ყველაფერი ჩვენი ძალ-ღონით შევასრულოთ. ჩვენ ყველაზე მწვავე ნაკლებობას განვიცდით იმ მხრივ, რომ მუშაკები არა გვყავს, ხოლო ჩვენ არც იმის უნარი გვაქვს, რომ ისინი ავიყვანოთ რიგითი მუშებისა და გლეხების წრიდან, რომელთა შორის იფარება უამრავი ნიჭიერი, როგორც ადმინისტრაციული, ისე ორგანიზატორული ნიჭის მქონე ადამიანი. ბევრად უკეთესი იქნება, თუ ზოგადი და უმეტეს შემთხვევაში სრულიად უნაყოფო კამათიდან მალე გადავალთ საკითხის საქმიან დაყენებაზე. მაშინ ჩვენ ფაქტიურად შევასრულებთ მოწინავე კლასის ორგანიზატორების მოვალეობას და ასობით და ათასობით ახალ, ორგანიზატორული ნიჭის მქონე ადამიანებს აღმოვაჩენთ. ჩვენ ისინი წინ უნდა წამოვწიოთ, გამოვცადოთ, მივცეთ მათ დავალებანი, გავუდიდოთ ეს დავალებანი. მე იმედი მაქვს, ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ სახალხო მეურნეობის საბ-

ჭოების ყრილობის შემდეგ, მუშაობის შეჯამების შემდეგ, ჩვენ ამ გზას დავადგებით, გავაფართოებთ, გავამრავლებთ ორგანიზატორთა რიცხვს, რათა ის უზომოდ ვიწრო ფენა, რომელიც ამ ორი წლის მანძილზე გაცვდა, შეივსოს და გადიდდეს, ვინაიდან იმ ამოცანებისათვის, რომელთაც ჩვენ ვისახავთ, რომელთაც რუსეთი უნდა დაიხსნან სიღატაკისაგან, შიმშილისა და სიცივისაგან, ჩვენ ათჯერ უფრო მეტი ორგანიზატორები გვჭირდება, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებოდნენ ათეულობით მილიონების წინაშე.

მეორე საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად გვაინტერესებს, არის შრომის არმიების საკითხი.

აქ ჩვენ წინაშე დგას ისეთი ამოცანა, რომელიც ჩვენი მოღვაწეობის ორი ზოლის შეცვლას ეხება. ის ზოლი, რომელიც მთლიანად ომს ეჭირა, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მთელი რიგი ნიშნები მეტყველებენ იმას, რომ ომის გაგრძელება რუს კაპიტალისტებს არ შეუძლიათ. მაგრამ ისინი რომ შეეცდებიან შემოესიონ რუსეთს, — ეს ეჭვს არ იწვევს. და ჩვენც ფხიზლად უნდა ვიყოთ. მაგრამ საერთოდ და მთლიანად ის ომი, რომელიც მათ თავს დაგვატეხეს ამ ორი წლის წინათ, ძლევამოსილად დამთავრდა, და ჩვენ მშვიდობიან ამოცანებზე გადავდივართ.

უნდა გავიგოთ ამ გადასვლის ორიგინალობა. ქვეყანა უაღრესად გაჩანაგებული, ქვეყანა დამშეული და გათოშილი, სადაც სიღატაკემ უმაღლეს წერტილს მიაღწია, და ამ ქვეყანაშია ხალხი, რომელიც წამოდგა მთელი თავისი ძალ-ღონით და რომელსაც გაუჩნდა რწმენა თავის თავისადმი, როდესაც ის დარწმუნდა, რომ უნარი შესწევს მთელ ქვეყნიერებას გაუმკლავდეს, გადაუჭარბებლად — მთელ ქვეყნიერებას, ვინაიდან დამარცხება ხომ მთელმა კაპიტალისტურმა სამყარომ განიცადა, და აი ამ თავისებურ ვითარებაში გადაუდებელ ამოცანათა გადასაჭრელად ჩვენ ვაყენებთ შრომის არმიას.

მთელი ჩვენი ყურადღება მთავარ საკითხს უნდა მივაპყროთ — შევაგროვოთ და ცენტრში მოვზიდოთ პური. ყოველი გადახვევა აქედან, ოდნავი დაქსაქსვა უდიდესი საფრთხე,

დაღუპვა იქნება ჩვენი საქმისათვის. ხოლო იმისათვის, რომ მთელი შესაძლებელი სისწრაფით გამოვიყენოთ ჩვენი აპარატი, ჩვენ უნდა შევქმნათ შრომის არმია. ამის შესახებ თქვენ უკვე გაქვთ ცენტრალური კომიტეტის თეზისები და მოხსენებები, და დაწვრილებით აღარ შევეხები ამ საკითხის კონკრეტულ მხარეებს. მე ის მინდოდა მხოლოდ აღმენიშნა, რომ სამოქალაქო ომიდან ახალ ამოცანებზე გადასვლის მომენტში ყველაფერი შრომის ფრონტზე უნდა გადავისროლოთ და თავი მოვუყაროთ აქ მთელ ძალებს მაქსიმალური დაძაბულობით, სამხედრო გაბედულობით, დაუნდობელი გამბედაობით. ახლა ჩვენ არავითარ გადახვევას არ დავუშვებთ. ვაყენებთ რა ამ ლოზუნგს, ჩვენ ვაცხადებთ, რომ უაღრესად უნდა დავძაბოთ მუშათა და გლეხთა მთელი ცოცხალი ძალები და მოვითხოვოთ, რომ ისინი მთლიანად დაგვეხმარონ ამ საქმეში. და მაშინ, შრომის არმიის შექმნის გზით, მუშათა და გლეხთა მთელი ძალების დაძაბვის გზით, ჩვენ შევასრულებთ ჩვენს ძირითად ამოცანას. ჩვენ მოვახერხებთ ასეულ მილიონობით ფუთი პურის შეგროვებას. ეს პური ჩვენ გვაქვს. მაგრამ საჭიროა არაჩვეულებრივად მძიმე, ჯოჯოხეთური ღონისძიება, ჩვენი ქვეყნის მთელი ძალების დაძაბვა, სამხედრო გამბედაობა და ენერგია, რომ ეს ასეულ მილიონობით ფუთი პური შევაგროვოთ და ცენტრში მოვზიდოთ. აქ, ცენტრში, ჩვენ უმთავრესად ამისათვის გეგმის შედგენაზე ვიმუშავებთ და უმთავრესად ამაზე ვილაპარაკებთ, ხოლო ყველა დანარჩენმა საკითხმა, დაფინანსების, მრეწველობის მშენებლობის საკითხებმა და ყველა საკითხმა ფართო პროგრამების შესახებ — ამჟამად არ უნდა გაგვიტაცოს. ჩვენ წინაშე ახლა ეს ძირითადი ამოცანა დგას — ავმხედრდეთ ამჟამად ფართო გეგმებითა და ამოცანებით გატაცების სახიფათო ცდის წინააღმდეგ. მთელი ჩვენი ყურადღება მთავარსა და ძირითადს უნდა მივაპყროთ, არ უნდა დავუშვათ ყურადღების არავითარი ჩამოშორება ჩვენ მიერ დასახული მთავარი ამოცანიდან, სახელდობრ — შევაგროვოთ პური და პროდუქტები, შევაგროვოთ ისინი სახელმწიფო გზით, მტკიცე ფასებში, მუშური სახელმწიფოს სოცია-

ლისტური გზით და არა სპეკულაციის კაპიტალისტური გზით, დავძლიოთ ტრანსპორტის მოშლილობა და ცენტრში მოვზიდოთ ისინი. დანაშაული იქნება, თუ ვინმე ამ ამოცანას დაივიწყებს.

რათა ჩვენი ძირითადი ამოცანის შესრულება ცოტად თუ ბევრად სწორად დავაყენოთ, ყველა სახელმწიფო ორგანოს, კერძოდ სახალხო მეურნეობის საბჭოების, ხელმძღვანელებმა ამისათვის უნდა აამოქმედონ ათეულ მილიონობით მუშა და გლეხი. ამისათვის მოცემული იქნება რუსეთის გარდაქმნის ფართო გეგმა. ამისათვის ჩვენ საკმაოდ გვაქვს სახსრები, მასალები, ტექნიკური შესაძლებლობანი, ნედლეული, საკმაოდ გვაქვს ყველაფერი, რომ დავიწყოთ ეს მუშაობა რუსეთის ყოველმხრივ გარდასაქმნელად და ამ მუშაობაში ჩავაბათ ყველა მუშა და გლეხი. ჩვენ გავაჩაღებთ, ამხანაგებო, შეუპოვარ ბრძოლას, ბრძოლას, რომელიც დიდ მსხვერპლს მოითხოვს ამ პერიოდში შრომის ფრონტზე, მაგრამ რომელიც აუცილებლად უნდა ჩავატაროთ, რადგან ჩვენშია შიმშილობა, სიცივე, ტრანსპორტის მოშლილობა, პარტახტიანი ტიფი. ყველა ამ უბედურებას ჩვენ უნდა ვებრძოლოთ და ყოველი მხრიდან დავიწყოთ ჩვენი სახელმწიფოს შენება მსხვილი მანქანური მრეწველობის ნიადაგზე, რათა ვაქციოთ ჩვენი ქვეყანა კულტურულ ქვეყნად და სწორი სოციალისტური ბრძოლის გზით თავი დავაღწიოთ იმ ჭაობს, რომელშიც ჩაფლული არიან ამჟამად მსოფლიო კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ქვეყნები.

«პრავდა» № 19, 1920 წ. 29 იანვარი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

---

# თავდაცვის საბჭოს წევრებს

1/II

რკინიგზის ტრანსპორტის მდგომარეობა სრულიად კატასტროფულია. პ ურ ი ს გ ა მ ო ზ ი დ ვ ა შ ე წ ყ დ ა. თავს რომ ვუშველოთ, საჭიროა მივიღოთ მართლაც სასწრაფო ზომები. ორი თვით (თებერვალი — მარტი) უნდა გავატაროთ ამგვარი ღონისძიებანი (და გამოინახოს კიდევ ამ სახის სხვა სათანადო ღონისძიებანი):

I. პურის არსებული ულუფა შ ე უ მ ც ი რ დ ე ს იმათ, ვინც ტრანსპორტზე არ მუშაობს, გ ა უ დ ი დ დ ე ს იმათ, ვინც მუშაობს.

დაე დაიღუპონ კიდევ ათასები, მაგრამ ქვეყანა გადარჩება.

II. პასუხისმგებელ მუშაკთა სამი მეოთხედი ყველა უწყებიდან, გარდა სასურსათო კომისარიატისა და სამხედრო უწყებისა, ამ ორი თვით გაყვანილ იქნეს რკინიგზის ტრანსპორტსა და შეკეთებაზე. ამის შესაბამისად ორი თვით შეწყდეს (ან 10-ჯერ შემცირდეს) სხვა კომისარიატების მუშაობა.

III. 30 — 50 ვერსიან ზოლში **რკინიგზის ხაზების** ორივე მხარეს **შემოღებულ იქნეს სამხედრო წესები** გზების გასაწმენდად შრომითი მობილიზაციისათვის და ა მ რ ა ი ო ნ ი ს ვ ო ლ ო ს ტ ე ბ შ ი გადაყვანილ იქნეს პასუხისმგებელი მუშაკების სამი მეოთხედი **მთელი** სათანადო გუბერნიის ვოლოსტისა და მაზრის აღმასკომებიდან.

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

# მოხსენება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის შესახებ VII მოწვევის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სესიაზე [63] 1920 წლის 2 თებერვალს

ამხანაგებო, ჩემი ანგარიში სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ, რომლის ფუნქციებსაც სხდომებს შორის შუალედში ასრულებდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ბუნებრივად იყოფა ორ ძირითად ქვეგანყოფილებად: ჯერ-ერთი, — საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ, საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და, მეორეც, შინაგანი მშენებლობისა და ძირითადი სამეურნეო ამოცანების შესახებ. ნება მომეცით სწორედ ამ თანამიმდევრობით გადმოვცე ჩვენი მუშაობის მთავარი ფაქტები საანგარიშო პერიოდში, ე. ი. ამ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე.

რაც შეეხება საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობას, ამ მდგომარეობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტი გახდა წითელი არმიის წარმატებები. თქვენ იცით ის, რომ კოლჩაკის არმიის უკანასკნელი ნაშთები თითქმის მოსპობილია შორეულ აღმოსავლეთში, ამასთან იაპონიასა და ამერიკას შორის, რომლებიც ფორმალურად ურთიერთ კავშირში მყოფ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, სულ უფრო ცხადად აშკარავდება მეტოქეობა, მტრობა, რაც მათ შესაძლებლობას არ აძლევს გაშალონ თავიანთი შემოტევის მთელი ძალები საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. იუდენიჩის ჯარების განადგურების შემდეგ, სამხრეთში იანვრის დამდეგს

ნოვოჩერკასკისა და დონის როსტოვის აღების შემდეგ, ისეთი გადამწყვეტი დარტყმა ვაგემეთ მათი ჯარების მთავარ ნაწილს, რომ საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო მდგომარეობა სრულიად რადიკალურად შეიცვალა, და თუმცა ომი გათავებული არ იყო, ყველა სახელმწიფოსათვის მაინც ნათელი გახდა, რომ მათმა უწინდელმა იმედებმა საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო ძალების გასრესის შესაძლებლობის შესახებ კრახი განიცადა.

საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის ამ რადიკალური შეცვლის შეგნება გამოაშკარავდა მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს ჩვენდამი რადიოთი გადმოცემულ გადაწყვეტილებაში (რომელიც ოფიციალურად არ შეუტყობინებიათ). ეს გადაწყვეტილება მათ მიიღეს 16 იანვარს და იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა რესპუბლიკას მოეხსნა ბლოკადა. უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ძირითადი ნაწილი ამბობს: (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს) [64].

მე არ მჭირდება გავაკრიტიკო ის დიპლომატია, რომელიც ამ ფორმულირებაშია, ის მეტისმეტად თვალში საცემია და ამდენად არ ღირს იმაზე შეჩერება, რომ მოკავშირეთა დამოკიდებულება რუსეთისადმი არ შეცვლილა. თუ მოკავშირეებს ისე ესმით თავიანთი პოლიტიკა, რომ ბლოკადის მოხსნა არ ნიშნავს უწინდელი პოლიტიკის შეცვლას, ამით ისინი ცხადყოფენ თავიანთი პოლიტიკის უნიადაგობას. მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა ამ გადაწყვეტილების არა პოლიტიკური, არამედ ეკონომიური მხარე. ბლოკადის მოხსნის ფაქტი დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტია და გვიჩვენებს, რომ დადგა სოციალისტური რევოლუციის ახალი ხანა. რადგან ბლოკადა მართლაც იყო მთავარი, ნამდვილად მტკიცე იარაღი მთელი მსოფლიოს იმპერიალისტების ხელში საბჭოთა რუსეთის დასახრჩობად.

საბჭოების უკანასკნელ ყრილობაზე მე უკვე მომიხდა აღმენიშნა და განმევითარებინა ის აზრი, რომ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლამ გამოიწვია არა მარტო ის, რომ საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა მოწინავე ქვეყნების მუშებმა

და გლეხებმა აიძულეს ხელი აეღოთ ბრძოლაზე, არამედ ბრძოლამ გამოიწვია ის, რომ თვით ამ ქვეყნების შიგნით მოსახლეობის წვრილბურჟუაზიულმა მასებმა იწყეს ოპოზიციის განვითარება ბლოკადის წინააღმდეგ. და რასაკვირველია, მოსახლეობის საშუალო ფენების ასეთ ოპოზიციას ისეთი ქვეყნების შიგნით, როგორიც არიან ინგლისი და საფრანგეთი, არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა საერთაშორისო იმპერიალისტების პოლიტიკაზე. ვიცით რა მათი დიპლომატობა, ჩვენ არ შეგვიძლია მოველოდეთ მათგან იმას, რომ ისინი პირდაპირ მოიქცევიან, ყოველგვარი შენიშვნების გარეშე, რომ არ მოისურვებენ დაიბრუნონ ძველი, რაიმე ეშმაკობით გააპარონ თავიანთი უწინდელი პოლიტიკა, ის პოლიტიკა, რომლის აშკარად წარმოება მათ ახლა არ შეუძლიათ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ძირითადად ჩვენ ვეებერთელა გამარჯვებები მოვიპოვეთ და იარაღი, რომელიც მხოლოდ მოკავშირეებს ეპყრათ ხელთ — ფლოტი, თვით ეს იარაღიც კი ხელიდან გავაგდებინეთ; ხელიდან გავაგდებინეთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაშინებდნენ მერყევი ელემენტები, რომლებიც ამბობდნენ, ფლოტი უძლეველიაო. მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარებამ ცხადყო, რომ ეს უძლეველი ფლოტიც უძლური აღმოჩნდა ჩვენ წინააღმდეგ წამოსულიყო. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა სამხედრო წინააღმდეგობა გაგვეწია ზღვაზე, მაგრამ მაინც ვაიძულეთ იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომ ამ იარაღზე ხელი აეღოთ.

რასაკვირველია, პოლიტიკის ეს შეცვლა საერთაშორისო მასშტაბით მაშინვე არ მეღავნდება, მაგრამ ფაქტია ის, რომ ჩვენ აღმოვჩნდით მთელი მსოფლიოს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობათა სფეროში, რაც შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ მხარდაჭერა უფრო მოწინავე ქვეყნებისაგან. რა თქმა უნდა, ამ ქვეყნების ეკონომიური და ფინანსური მდგომარეობა ძალიან სავალალოა, ისინი სულ უფრო ქვეითდებიან, და ბევრი რამის იმედი ჩვენ არ შეგვიძლია გვქონდეს, მაგრამ გვექნება რა შესაძლებლობა განვავითაროთ მრეწველობა

ჩვენში, ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ მივიღებთ მანქანებს წარმოებისათვის, მანქანებს ჩვენი მრეწველობის აღსადგენად. და ყველაზე მთავარი ისაა, რომ ის, რაც ჩვენ სრულიად გვწყვეტდა მოწინავე ქვეყნებისაგან, გვწყვეტდა ბლოკადის მეოხებით — გატეხილია.

მას შემდეგ, რაც მოკავშირეთა საბჭო იძულებული იყო ხელი აეღო ამ იარაღზე, ჩვენი გამარჯვებები საერთაშორისო პოლიტიკის დარგში გრძელდებოდა, და ყველაზე დიდი გამარჯვება ამ გამარჯვებათა შორის ის იყო, რომ ჩვენ მივაღწიეთ ზავის დადებას ესტონეთთან. დღეს ჩვენ მივიღეთ იოფესა და გუკოვსკისაგან ცნობა, რომელშიც ლაპარაკია: «დღეს 2 თებერვალს ღამის 2 საათზე მოსკოვის დროით ხელმოწერილ იქნა ზავი რუსეთსა და ესტონეთს შორის. ხელმოწერისათვის რეველიდან ჩამოვიდა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბირკი».

ამხანაგებო, ამ საზავო დოკუმენტის ტექსტი, რაც ძალიან დიდი ბჭობის საგანს წარმოადგენდა და უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტია, გამოგზავნილია კურიერით, რომელიც ხვალ დილით უნდა ჩამოვიდეს, მაგრამ ჩვენ ახლა მივიღეთ ტელეგრაფით ზუსტი ტექსტი, და ხვალ იგი უკვე დარიგდება. იგი განხილულ და რატიფიცირებულ იქნება. ამ დოკუმენტს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რუსეთისა და ესტონეთის საზავო ხელშეკრულებას უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს, და ამიტომ, რაკი მივაღწიეთ საზავო ხელშეკრულებას ისეთ მთავრობასთან, რომელიც ასევე დემოკრატიული ხდება და რომელსაც ახლა მტკიცე ურთიერთობა ექნება ჩვენთან, მაგრამ რომელსაც აქამდე მხარს უჭერდა მთელი იმპერიალისტური მსოფლიო, — ჩვენ ეს უნდა განვიხილოთ როგორც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის აქტი.

ჩვენ ვიცით, რომ ადამიანები, რომლებიც დგანან იმპერიალიზმსა და დემოკრატიას შორის, ჩვეულებრივ ყოველთვის გადადიან ხოლმე ან ერთ ან მეორე მხარეზე. ამრიგად, ჩვენ, როგორც თქვენ ხედავთ, უეჭველად ვიმარჯვებთ, იმი-

ტომ რომ ზავი ხელმოწერილია, და ახლა ეს სახელმწიფო ჩვენი მტრის წინააღმდეგ უნდა გამოვიდეს. ამ ფაქტის პრინციპული მნიშვნელობა ისეთია, რომ იმპერიალისტურ ეპოქაში მთელი მსოფლიო იყოფა უზარმაზარი რაოდენობის დიდ და პატარა სახელმწიფოებად, ამასთან წვრილი სახელმწიფოები სრულიად უმწეონი არიან, ისინი უმნიშვნელო გროვას წარმოადგენენ უმდიდრესი სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც მთლიანად იმორჩილებენ მთელ რიგ წვრილ და სუსტ სახელმწიფოებს. იმპერიალიზმმა შექმნა ეპოქა, რომლის დროსაც ხდება მთელი მსოფლიოს, დედამიწის მთელი მოსახლეობის გაყოფა ექსპლოატატორი ქვეყნების — მჩაგვრელი ქვეყნების უმცირესობად და პატარა, სუსტი მოსახლეობის მყოლი ქვეყნების უმრავლესობად, რომლებიც პირველთაგან კოლონიურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

როდესაც ჩვენ მოვიპოვეთ ზავი ესტლანდიასთან, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ჩვენ შეგვწევს უნარი ვიაროთ წინ, როგორც პროლეტარულმა და კომუნისტურმა სახელმწიფომ. რით? ანტანტის ყველა მეომარ სახელმწიფოს, რომლებიც ზავის წინააღმდეგი იყვნენ, დავუმტკიცეთ, რომ ის სიმპათიები, რომლებიც ჩვენ შეგვიძლია ჩავუნერგოთ ჩვენს მოწინააღმდეგეებსა და ბურჟუაზიულ მთავრობებს, პატარა ქვეყნის სიმპათიები უფრო ძლიერია, ვიდრე მთელი ის სამხედრო ჩაგვრა და მთელი ის ფინანსური დახმარება და ყველა ის ეკონომიური ძაფები, რომლებიც აკავშირებენ ამ პატარა ქვეყანას მთელი მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებთან. ანტანტამ დაინახა, რომ ჩვენ შეგვიძლია გავიმარჯვოთ არა მარტო მაშინ, როდესაც ძალადობას მივმართავთ, — ჩვენ ძალგვიძს უკუვაგდოთ ის სიცრუე და ის ცილისწამება, რომელსაც ჩვენ წინააღმდეგ ავრცელებენ მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიული მთავრობები, როდესაც ამბობენ, რომ ბოლშევიკები მხოლოდ ძალმომრეობით ინარჩუნებენ არსებობასო. რით ვაჯობეთ ჩვენ მსოფლიო იმპერიალიზმის შეერთებულ ძალებს ესტლანდიის მიმართ, რომელიც მეფის მემამულური რუსეთის მხრივ მუდამ ძალმომრეობას ხედავდა? იმით, რომ,

მოვიპოვეთ რა, მიუხედავად საერთაშორისო კაპიტალის მთელი დახმარებისა, პატარა სახელმწიფოს ბურჟუაზიული მთავრობის სიმპათიები, ჩვენ დავამტკიცეთ ჩვენი უნარი — თავის დროზე და კეთილსინდისიერად ავიღოთ ხელი ძალმომრეობაზე მშვიდობიან პოლიტიკაზე გადასასვლელად. ეს ისტორიული მნიშვნელობის მქონე ფაქტია. ესტლანდია პატარა ქვეყანაა, პატარა რესპუბლიკაა, მაგრამ იგი იმდენად დაჩაგრულია მსოფლიო იმპერიალისტური კაპიტალის როგორც ეკონომიური, ისე სამხედრო ხასიათის ათასგვარი ხერხებით, რომ მთელი მისი მოსახლეობა ამ ჩაგვრის ქვეშ იმყოფება. და აი ეს ზავი ადასტურებს, რომ ჩვენ, მიუხედავად მთელი დაღლილობისა, სისუსტისა და დაქსაქსულობისა, შეგვიძლია მოვიპოვოთ გამარჯვება თეთრგვარდიელთა არმიაზე, რომელსაც ისინი დახმარებას უწევდნენ. უმძლავრეს ანტანტას შეუძლია ძალადობას კიდევ უფრო ძლევამოსილი ძალმომრეობით უპასუხოს, ეს ზავი კი ამტკიცებს, რომ ჩვენ ძალდატანებით როდი ვიცით ბურჟუაზიის თანაგრძნობისა და მხარდაჭერის მოპოვება.

აქ უძნელესი საერთაშორისო ამოცანა იდგა. კაპიტალიზმის განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობს, სხვადასხვა ვითარებაში, სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით. ერთი ქვეყნის სოციალისტური რესპუბლიკა მთელი მსოფლიოს კაპიტალისტური ქვეყნების გვერდით აღმოჩნდა და აიძულებს მათს ბურჟუაზიას მერყეობდეს. აქედან ასკვნიდნენ: «მაშასადამე, თქვენი მდგომარეობა უიმედოა; თუ თქვენ ძალმომრეობით დაამარცხეთ თეთრგვარდიელები, აი, ხომ არის მთელი დანარჩენი ქვეყნიერება, რას უზამთ მასო?» — ჩვენ მასაც დავამარცხებთ. ეს რომ ფრაზა არ არის, ამას ამტკიცებს ზავი ესტლანდიასთან. საერთაშორისო კაპიტალის მთელი დაწოლა დავამარცხეთ იმ სივრცეზე, სადაც ძალმომრეობაზე ჩვენი უარისთქმა კეთილსინდისიერებად იქნა მიჩნეული. საერთაშორისო კაპიტალი ამბობდა: «არ შეკრათ ზავი ბოლშევიკებთან, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ თქვენ დაგიპყრობთ შიმშილით, არ მოგცემთ

არც ფინანსურ, არც ეკონომიურ დახმარებასო». და ესტლანდია აღმოჩნდა ერთ-ერთი ის პატარა, ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელმაც თავის თავს უთხრა: «ჩვენ უფრო მეტად გვაქვს იმის იმედი, რომ ბოლშევიკებს უნარი შესწევთ მშვიდობიანად ცხოვრობდნენ სხვა, უფრო სუსტ, ხალხებთან, თვით ბურჟუაზიულ მთავრობასთანაც კი, ვიდრე ანტანტის საქვეყნოდ ძლიერ დემოკრატიას».

დემოკრატია ყველაზე მეტად მჟღავნდება ძირითად საკითხში ომისა და ზავის შესახებ. ყველა სახელმწიფო ასეთ მდგომარეობაშია, როცა ისინი ახალ იმპერიალისტურ ომს ამზადებენ. ყოველდღე მთელი მსოფლიოს მუშები ყოველივე ამას ხედავენ. დღეს არა — ხვალ ამერიკა და იაპონია ერთმანეთს ეძგერებიან; ინგლისმა გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ იმდენი კოლონიები დაიპყრო, რომ სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები არასოდეს ამას არ შეურიგდებიან. მზადდება ახალი გაცოფებული ომი, და მასებს ეს შეგნებული აქვთ. და აი აქ გამოდის დემოკრატიული ზავი ესტონეთისა და რუსეთისა მისი უზარმაზარი ძალებით, რუსეთისა, რომელსაც ბრალს სდებენ იმაში, რომ, რაკი ბოლო მოუღო იუდენიჩს, კოლჩაკსა და დენიკინს, ახლა ის მთელ ძალებს პატარა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართავსო. ამასთან ზავი ისეთი პირობებითაა დადებული, როდესაც ჩვენ მთელი რიგი ტერიტორიული დათმობანი დავუშვით, ისეთი დათმობანი, რომლებიც სავსებით როდი შეესაბამებოდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპის მკაცრად დაცვას, როდესაც ჩვენ საქმით დავამტკიცეთ, რომ საკითხი საზღვრების შესახებ ჩვენთვის მეორეხარისხოვანი საკითხია, ხოლო მშვიდობიან ურთიერთობათა საკითხი, საკითხი თვითეული ხალხის შინაგანი ცხოვრების პირობების განვითარების ლოდინის უნარისა, არა მარტო პრინციპულად უმნიშვნელოვანესი საკითხია, არამედ ისეთი საკითხიცაა, რომელშიც ჩვენ შევძელით მოგვეპოვებინა ჩვენდამი მტრულად განწყობილი ერების ნდობა. თუ ჩვენ ეს შევძელით ესტლანდიის მიმართ, აქ შემთხვევითი არაფერი იყო, აქ იყო გამოვლენა იმისა, რომ განცალკევებით არსებულმა

და, თითქოს, უძლურმა, სუსტმა პროლეტარულმა რესპუბლიკამ იწყო ბრძოლით გადმოყვანა თავის მხარეზე იმ ქვეყნებისა, რომლებიც იმპერიალისტური ქვეყნების დამოკიდებულებაში იმყოფებიან, ხოლო ასეთი ქვეყნები უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ. აი რატომ არის რომ ჩვენს ზავს ესტონეთთან მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. როგორც არ უნდა დაძაბოს ანტანტამ თავისი ძალები იმისათვის, რომ ომი დაიწყოს, — თუნდაც რომ მოახერხოს მან ამ ზავის ერთხელ კიდევ შეცვლა ომით, — ყოველ შემთხვევაში, ურყევად დარჩება ისტორიაში ის ფაქტი, რომ, მიუხედავად მსოფლიო კაპიტალის მთელი დაწოლისა, ჩვენ შევძელით პატარა ქვეყნისათვის, რომელსაც ბურჟუაზია მართავს, ჩაგვენერგა უფრო მეტი ნდობა, ვიდრე ეს შეძლო ვითომდა დემოკრატიულმა, ნამდვილად კი მტაცებლურმა იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ.

იმ საკითხზე, თუ როგორი აღმოჩნდა აქ ჩვენი პოლიტიკა მთელი მსოფლიოს ვითომდა დემოკრატიულ, ნამდვილად კი მტაცებლურ სახელმწიფოთა პოლიტიკასთან შედარებით, ჩვენ, შემთხვევით, გვაქვს განსაკუთრებით საინტერესო დოკუმენტები, რომლებიც ნება მომეცით გაგაცნოთ. ეს დოკუმენტები მოიტანა ერთ-ერთმა თეთრგვარდიელმა ოფიცერმა თუ მოსამსახურემ, გვარად ოლეინიკოვმა, რომელსაც ერთი თეთრგვარდიული მთავრობისაგან დავალებული ჰქონდა მიეტანა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები მეორე თეთრგვარდიული მთავრობისათვის, მან კი ეს დოკუმენტები ჩვენ მოგვიტანა[65]. (ტ ა შ ი). მოხერხდა ამ დოკუმენტების რუსეთში გადმოგზავნა, და მე მათ წაგიკითხავთ, თუმცა ისინი საკმაოდ დიდ დროს წაგვართმევენ. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ძალიან საინტერესონი არიან, იმიტომ რომ მეტად ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა სარჩული უძევს პოლიტიკას. პირველი დოკუმენტი — ესაა საზონოვის დეპეშა გულკევიჩისადმი:

პარიზი, 1919 წ. 14 ოქტომბერი, № 668.

ს. დ. საზანოვს, უცხადებს რა თავის სრულ პატივისცემას კონსტანტინე ნიკოლოზის-ძეს, აქვს პატივი ამასთან ახლოს გასაცნობად ბ. ა. ბახმეტევის

№ 1050 და ი. ი. სუკინის № 23 დეპეშების პირები ბალტიისპირა პროვინციებში არსებული მდგომარეობის საკითხზე.

შემდეგ კიდევ უფრო საინტერესო დოკუმენტი — ესაა 11 ოქტომბრის დეპეშა ვაშინგტონიდან:

მიღებ. 1919 წ. 12 ოქტომბერს. შემ. № 3346.
ბახმეტევი — მინისტრს.
ვაშინგტონი, 1919 წ. 11 ოქტომბერი, № 1050.
ვიმოწმებ ჩემს დეპეშას № 1045.

(შიფრი) სახელმწიფო დეპარტამენტმა ზეპირად გამაცნო გედისათვის მიცემული ინსტრუქცია. მას ეწოდება ამერიკის მთავრობის კომისარი რუსეთის ბალტიისპირა პროვინციებში. იგი აკრედიტებული არ არის რუსეთის რომელიმე მთავრობასთან. მისი მისიაა — დაკვირდეს და გვაცნობოს. მისმა საქციელმა ადგილობრივ მოსახლეობას იმედი არ უნდა ჩაუნერგოს იმისა, რომ ამერიკის მთავრობა შეიძლება დასთანხმდეს ისეთ სეპარატისტულ მიმდინარეობათათვის მხარისდაჭერას, რომლებიც ავტონომიაზე უფრო შორს მიდიან. პირიქით, ამერიკის მთავრობა იმედოვნებს, რომ ბალტიისპირეთის მოსახლეობა დაეხმარება თავის რუს ძმებს მათს საერთო-სახელმწიფოებრივ მუშაობაში. ინსტრუქციას საფუძვლად უძევს უმაღლეს მმართველთან მოკავშირე მთავრობათა შეთანხმების ინტერპრეტაცია, როგორც იგი გადმოცემულია 17 ივნისის ჩემს მემორანდუმში მთავრობისადმი. გედს აძლევენ ამონაწერებს პრეზიდენტის უკანასკნელი სიტყვებიდან, რომლებშიაც იგი ბოლშევიზმს ანადგურებდა.

ამრიგად, ამერიკის მთავრობა იტყობინება, რომ მის წარმომადგენელს შეუძლია მისცეს როგორიც ნებავს განკარგულებანი, მაგრამ მხარი არ უნდა დაუჭიროს დამოუკიდებლობას, ე. ი. არ იძლეოდეს დამოუკიდებლობის გარანტიას ამ სახელმწიფოთა მიმართ. აი, რა გამოსჭვიოდა პირდაპირ თუ არაპირდაპირ და რა არ შეიძლებოდა გამოპარვოდა ესტონეთს, რომ დიდი სახელმწიფოები მას ატყუებენ. ამის მიხვედრა, რასაკვირველია, ყველას შეეძლო, მაგრამ ჩვენ გვაქვს დოკუმენტები, და მათ გამოვაქვეყნებთ.

მიღებ. 1919 წ. 12 ოქტომბერს. შემ. № 3347.
სუკინი — მინისტრს.
ომსკი, 1919 წ. 9 ოქტომბერი, № 28.

(შიფრი) ნოქსმა უმაღლეს მმართველს გადასცა ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს ცნობა, რომელშიაც ეს სამინისტრო გაფრთხილებას

იძლევა იმის გამო, რომ ბალტიისპირა სახელმწიფოებს მიდრეკილება აქვთ ზავის დადებისადმი ბოლშევიკებთან, რომლებიც დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ აღიარების გარანტიას აძლევენ მათ. ამასთან ბრიტანეთის სამხედრო სამინისტრო საკითხს სვამს, ხომ არ იქნებოდა საჭირო, რომ მთავრობას მოეხდინა ამ დაპირებათა პარალიზება ისე, რომ თავის მხრივ დაეკმაყოფილებინა აღნიშნულ სახელმწიფოთა სურვილები. ჩვენ ნოქსს ვუპასუხეთ იმ პრინციპების დამოწმებით, რომლებიც გადმოცემულია უმაღლესი მმართველის 4 ივნისის ნოტაში სახელმწიფოებისადმი, და, ამასთანავე, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ბალტიისპირა სახელმწიფოების მიერ ბოლშევიკებთან ზავის დადება უეჭველ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან საბჭოთა ჯარების ნაწილის განთავისუფლების საშუალებას იძლევა და ხსნის იმ ბარიერს, რომელიც ხელს უშლის ბოლშევიზმის დასავლეთში შეჭრას. თვით ფაქტი მზადყოფნისა, რომ ილპარაკონ ზავზე, მოწმობს, ჩვენი აზრით, ამ თვითმმართველ ერთეულთა პარტიების უკიდურეს დემორალიზაციას, ერთეულთა, რომელთაც თვითონ არ შეუძლიათ აგრესიული ბოლშევიზმის შეჭრისაგან თავის დაცვა.

გამოვთქვით რა რწმენა, რომ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ თანაუგრძნონ ბოლშევიზმის შემდგომ გავრცელებას, ჩვენ მივუთითეთ ბალტიისპირა სახელმწიფოებისათვის შემდგომი დახმარების შეწყვეტის აუცილებლობაზე, რაც წარმოადგენს ზემოქმედების ნამდვილ საშუალებას სახელმწიფოების ხელში და მასთან უფრო მიზანშეწონილს, ვიდრე დაპირებებში შეჯიბრება ბოლშევიკებთან, რომლებსაც უკვე დასაკარგი აღარაფერი აქვთ.

გადმოგცემთ რა ზემოაღნიშნულს, გთხოვთ გააკეთოთ სათანადო წარდგენა პარიზსა და ლონდონში; ბახმეტევს მიმართვას ვუგზავნით ცალკე. მიღებ. 1919 წ. 9 ოქტომბერს. შემ. № 3286.

საბლინი — მინისტრს.

ლონდონი, 1919 წ. 7 ოქტომბერი, № 677.

(შიფრი) გუჩკოვისადმი წერილში სამხედრო სამინისტროს ოპერატიული განყოფილების უფროსი, რომელსაც გ. — მა მიმართა წინადადებით ჩვენი ტონაჟის შესახებ, რათა ინგლისელებს გაუადვილდეთ იუდენიჩისათვის მომარაგების მიწოდება, იტყობინება, რომ, სამხედრო სამინისტროს აზრით, იუ. — ს ამჟამად აქვს ყველაფერი, და რომ ინგლისს უძნელდება მისი შემდგომი მომარაგება. მაგრამ იგი დასძენს, რომ რაკი ჩვენ გემები გვაქვს, ჩვენ შეგვეძლო მოგვეწყო იუ. — ის მომარაგება კომერციულ საფუძველზე, იმ პირობით, რომ ჩვენ გამოვნახავთ კრედიტებს. გენერალი რადკლიფი იმავე დროს აღიარებს, რომ იუ. — ის არმია სათანადოდ უნდა იქნეს შეიარაღებული, რადგან იგი არის «ერთადერთი ძალა ბალტიის სახელმწიფოებს შორის, რომელსაც უნარი შესწევს წამოიწყოს აქტიური ოპერაციები ბოლშევიკების წინააღმდეგ».

მინისტრი — ბახმეტევს ვაშინგტონში.
პარიზი, 1919 წ. 30 სექტემბერი, № 2442.

(შიფრი) ფრიად სარწმუნო შვედური წყაროდან ვიგებ, რომ ამერიკელი ელჩი სტოკჰოლმში მორისი ლაპარაკობს ამერიკაში ბოლშევიკებისადმი მზარდი თანაგრძნობისა და იმ განზრახვის შესახებ, რომ შეწყდეს კოლჩაკისადმი დახმარება, რათა ამერიკის ვაჭრობის ინტერესების გულისთვის დამყარდეს ურთიერთობა მოსკოვთან. ოფიციალური წარმომადგენლის ამგვარი განცხადებები უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენენ.
მიღებ. 1919 წ. 5 ოქტომბერს. შემ. № 3244.
ბახმეტევი — მინისტრს.
ვაშინგტონი, 1919 წ. 4 ოქტომბერი, № 1021.
ვიმოწმებ თქვენს დეპეშას № 2442.

(შიფრი) სახელმწიფო დეპარტამენტში მე სარწმუნოდ მაცნობეს, რომ ნამდვილად ელჩი მორისი სტოკჰოლმში და განსაკუთრებით ხენგუტი კოპენჰაგენში ცნობილი არიან თავიანთი პირადი მემარცხენე სიმპათიებით, მაგრამ ისინი არავითარი გავლენით და ავტორიტეტით აქ არ სარგებლობენ და რომ მთავრობა იძულებულია პერიოდულად ჭკუა ასწავლოს მათ და კატეგორიულად მიუთითოს, რომ ამერიკული პოლიტიკა უცვლელადაა მიმართული ჩვენი მთავრობისათვის მხარდაჭერისაკენ ბოლშევიკებთან ბრძოლაში.

აი ყველა ის დოკუმენტი, რომელთაც ჩვენ გამოვაქვეყნებთ და რომლებიც თვალნათლივ ცხადყოფენ, როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა ესტლანდიის ირგვლივ, როგორ ახდენდნენ ანტანტა კოლჩაკთან, ამერიკასთან ერთად, ინგლისი და საფრანგეთი ყოველგვარ ზეგავლენას ესტონეთზე, ოღონდ კი არ დადებულიყო ზავი ბოლშევიკებთან, და როგორ გაიმარჯვეს ამ შეჯიბრებაში ბოლშევიკებმა, რომლებიც იძლევიან ტერიტორიული დათმობების პირობას და დამოუკიდებლობის გარანტიას. მე ვამბობ, რომ ამ გამარჯვებას აქვს უზარმაზარი ისტორიული მნიშვნელობა, იმიტომ რომ ეს გამარჯვება მოპოვებულ იქნა ძალდატანების გამოუყენებლად, ესაა გამარჯვება მსოფლიო იმპერიალიზმზე, გამარჯვება, რომლის მეოხებით ბოლშევიკები მთელი მსოფლიოს თანაგრძნობას მოიპოვებენ. ეს გამარჯვება სრულიადაც არ გვიჩვენებს, რომ ახლავე დადებულ იქნება საყოველთაო ზავი, მაგრამ სამაგიეროდ ეს გამარჯვება ცხადყოფს, რომ ჩვენ წარმოვადგენთ სამშვიდობო ინტერესებს დედამიწის მოსახლეობის

უმრავლესობის მიმართ სამხედრო-იმპერიალისტური მტაცებლების წინააღმდეგ. და ამგვარმა შეფასებამ ის გამოიწვია, რომ ბურჟუაზიულმა ესტლანდიამ, რომელიც კომუნიზმის მოწინააღმდეგეა, ზავი დადო ჩვენთან. თუ ჩვენ, წარმოვადგენთ რა პროლეტარულ ორგანიზაციას, საბჭოთა რესპუბლიკას, ზავს ვდებთ, მშვიდობის სულისკვეთებით ვმოქმედებთ იმ ბურჟუაზიული მთავრობების მიმართ, რომლებიც დაჩაგრულ მდგომარეობაში იმყოფებიან იმპერიალიზმის დიდი მაგნატების მიმართ, მაშინ აქედან საჭიროა დავასკვნათ, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკა.

ამჟამად ჩვენ მთავარ ამოცანად ვისახავთ: დავამარცხოთ ექსპლოატატორები და ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ მერყეევნი, — ეს მსოფლიო ამოცანაა. მერყეობას იჩენენ მთელი რიგი ბურჟუაზიული სახელმწიფოებიც, რომლებსაც, როგორც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, ვძულვართ ჩვენ, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ჩაგრულნი — ამჯობინებენ ზავს ჩვენთან. აქედან გამომდინარეობს იმ ზავის ახსნა, რომელიც დადებულია ესტონეთთან. რასაკვირველია, ეს ზავი მხოლოდ პირველი ნაბიჯია და თავს იჩენს მხოლოდ მომავალში, მაგრამ ის რომ თავს იჩენს — ეს ფაქტია. ლატვიასთან ჩვენ აქამდე გვქონდა მხოლოდ წითელი ჯვრის მეშვეობით მოლაპარაკებანი[66], ისევე როგორც პოლონეთის მთავრობასთანაც. ვიმეორებ, ესტონეთთან ზავმა უსათუოდ უნდა იჩინოს თავი, იმიტომ, რომ საფუძვლები იგივეა — ისევე ცდილობენ რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრიონ ლატვია და პოლონეთი, როგორც ცდილობდნენ ესტონეთის ჩათრევას. და შეიძლება ეს მოახერხონ, ამიტომ ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ, იმის გამო, რომ ომი პოლონეთთან შესაძლებელია, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, — ყველა ძირითადმა მონაპოვარმა ეს დამტკიცა, — რომ ჩვენ შეგვიძლია დავდოთ ხოლმე ზავი და წავიდეთ დათმობებზე, რაც ყოველგვარი დემოკრატიის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. და ახლა ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს, იმიტომ რომ პოლონეთთან საკითხი ძალიან მწვავედ დგას. ჩვენ გვაქვს მთელი რიგი

ცნობები, რომ გარდა ბურჟუაზიული, კონსერვატიული, მემამულური პოლონეთისა, გარდა პოლონეთის ყველა კაპიტალისტური პარტიების ზეგავლენისა, ანტანტის ყველა სახელმწიფო არაფერს არ ზოგავს იმისათვის, რომ ჩააბან პოლონეთი ჩვენ წინააღმდეგ ომში.

თქვენ იცით, რომ სახკომსაბჭომ გამოუშვა მოწოდება პოლონეთის მშრომელი ხალხისადმი[67]. ამ მოწოდების შესახებ ჩვენ გთხოვთ, რომ დაამტკიცოთ იგი, რათა აღვსდგეთ იმ დევნის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებენ პოლონეთის მემამულური წრეები. ჩვენ წარმოგიდგენთ დამატებით ტექსტს პოლონეთის მშრომელი მასებისადმი. ეს მოწოდება ლანძღვარი იქნება იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ცდილობენ მოგვისისიანონ პოლონეთი, ჩვენთვის კი მშრომელთა უმრავლესობის ინტერესები პირველ ადგილზე დგას.

მე ახლა ნებას მივცემ ჩემს თავს გამოვაქვეყნო დეპეშა, რომელიც ჩვენ დავიჭირეთ გუშინ და რომელიც გვაცნობს, თუ როგორ მუშაობს ამერიკის კაპიტალი, რათა გარკვეულ შუქზე წარმოგვადგინოს ჩვენ და ჩაგვაბას პოლონეთთან ომში. ეს დეპეშა ამბობს (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს). არაფერი ამის მსგავსი მე არ მითქვამს და არ გამიგონია, მაგრამ ტყუილის თქმა მათ შეუძლიათ, იმიტომ რომ ტყუილუბრალოდ როდი აძლევენ ისინი თავიანთ კაპიტალს გარკვეული მიზნით, რომ ცრუ ხმები გაავრცელონ. ამას მათთვის უზრუნველყოფს მათი ბურჟუაზიული მთავრობა. (გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ს დ ე პ ე შ ი ს კ ი თ ხ ვ ა ს). აი ეს დეპეშა ევროპიდან ამერიკაში მიდის, მას მომსახურებას უწევს კაპიტალისტთა სახსრები და იგი ასრულებს საქმეს, რომლის საშუალებით ყოვლად უსირცხვილოდ უნდათ ჩაგვაბან პოლონეთთან ომში. ამერიკის კაპიტალი მთელი ძალ-ღონით ცდილობს მოახდინოს ეს ზეგავლენა პოლონეთზე და ამას იგი უსირცხვილოდ სჩადის, თანაც საქმეს ისეთი სახით წარმოადგენს, რომ ბოლშევიკებს სურთ ბოლო მოუღონ კოლჩაკსა და დენიკინს, რათა მთელი თავიანთი «რკინის ჯარები» პოლონეთისკენ მიმართონო.

მთავარი ისაა, რომ ახლავე, აქ, დავამტკიცოთ სახკომსაბჭოს დადგენილება, ხოლო შემდეგ უნდა გავაკეთოთ ის, რასაც ვაკეთებდით ადრეც სხვა სახელმწიფოების მიმართ, აგრეთვე ისიც, რასაც მივმართავდით კოლჩაკისა და დენიკინის ჯარების მიმართ. ჩვენ ის უნდა გავაკეთოთ, რომ ახლავე მივმართოთ პოლონეთის დემოკრატიას და ავუხსნათ საქმის ნამდვილი ვითარება. ჩვენ მშვენივრად ვიცით ეს ჩვენი საშუალება, რომელიც ყველაზე უფრო დადებითად მოქმედებს მათი გახრწნის აზრით. საბოლოო ანგარიშით კი ამ საშუალებას მივყევართ იმ გზისაკენ, რომელიც ჩვენ გვჭირდება, რომელზეც დააყენა მან ყველა ქვეყნის მშრომელი მოსახლეობა. ამ პოლიტიკამ, როგორი ძნელიც უნდა იყოს იგი, გარკვეული საწყისი უნდა დაადგინოს და, რაკილა დავიწყებთ, ჩვენ მას სრულ დამთავრებამდე მივიყვანთ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ დანარჩენი სახელმწიფოების მიმართაც ამგვარსავე პოლიტიკას ვაწარმოებდით. საქართველოს და აზერბაიჯანს წინადადება მივეცით დაედოთ შეთანხმება დენიკინის წინააღმდეგ. მათ უარი თქვეს და ის მოიმიზეზეს, რომ ისინი სხვა სახელმწიფოების საქმეებში არ ერევიან. ჩვენ დავინახავთ, როგორ შეხედავენ ამას საქართველოს და აზერბაიჯანის მუშები და გლეხები.

ეს პოლიტიკა დასავლეთის ხალხების მიმართ კიდევ უფრო ფრთხილი იყო, ვიდრე მაშინ, როცა საქმე ეხებოდა რუსეთის ხალხებს. იგი ეხებოდა ისეთ სახელმწიფოებს, როგორიც არიან ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი, მეორე მხრივ კი, მთელ რიგ აღმოსავლეთის სახელმწიფოებს, რომელთა განვითარების დონე იმ კოლონიური ქვეყნების უდიდესი უმრავლესობის განვითარების დონეს წარმოადგენს, დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობას რომ შეადგენენ. ისინი დაჩაგრული არიან ინგლისის მიერ, რომელსაც აქამდე ხელში უჭირავს კოლონიური მონები. თუ ჩვენი პოლიტიკა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიმართ ისეთი სიფრთხილით გამოირჩევა, რომ იგი დროის შუალედს მოითხოვს, რათა მათ საშუალება მიეცეთ აღმოფხვრან თავიანთი კერენშჩინა, მაშინ

აღმოსავლეთში, სადაც ჩვენ გვყავს ბევრად უფრო ჩამორჩენილი ქვეყნები, რომლებიც რელიგიური ფანატიზმის უღელქვეშ იმყოფებიან, უფრო მეტი უნდობლობით არიან გამსჭვალული რუსი ხალხის მიმართ, ათეულ წლობით და საუკუნეობით მეფის იმ კაპიტალისტური პოლიტიკისა და იმპერიალიზმის უღელქვეშ იმყოფებოდნენ, რომელსაც დიდმპყრობელი რუსეთი აწარმოებდა მათ მიმართ, — აქ ჩვენი პოლიტიკა უფრო ფრთხილი და მომთმენი უნდა იყოს.

ჩვენ ავტონომია მივეცით ბაშკირეთის რესპუბლიკას [68]. ჩვენ უნდა შევქმნათ თათართა ავტონომიური რესპუბლიკა [69], და იმავე პოლიტიკას განვაგრძობთ აღმოსავლეთის ყველა ხალხის მიმართ და ჩვენს თავს ვეუბნებით: ვდგავართ რა იმპერიალისტური სახელმწიფოების უზარმაზარი ფრონტის წინაშე, ჩვენ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლნი, წარმოვადგენთ კავშირს, რომელიც მოითხოვს მჭიდრო სამხედრო დარაზმულობას, და ამ დარაზმულობის დარღვევის ყოველგვარ ცდას განვიხილავთ, როგორც სრულიად დაუშვებელ მოვლენას, როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესების ღალატს. მაგრამ, ვატარებთ რა ამ პოლიტიკას, ჩვენ კიდევ უფრო ფრთხილნი უნდა ვიყოთ. თუ ევროპის ქვეყნებს უხდებათ კერენშჩინის პერიოდის გამოვლა, მაშინ ის ქვეყნები, რომლებიც განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფებიან, კიდევ უფრო მეტად შეიცავენ უნდობლობის ელემენტებს. მათზე უფრო ხანგრძლივი საშუალებით უნდა ვიმოქმედოთ. ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობასა და თავისთავადობას. ჩვენ მივმართავთ მათს მშრომელ მასებს. ჩვენ ვეუბნებით: აუცილებელია სამხედრო ძალთა ერთიანობა, ამ ერთიანობიდან უკანდახევა დაუშვებელია.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, თუ სისტემატურად განვაგრძობთ მჭიდრო კავშირის ჩვენს პოლიტიკას, აღმოსავლეთის ხალხთა მიმართ უფრო დიდ წარმატებებს მივაღწევთ, ვიდრე აქამდე მივაღწიეთ. ეს წარმატებები კი უაღრესად დიდია. აღმოსავლეთის ყველა ხალხთა შორის საბჭოთა რესპუბლიკა

უდიდესი პოპულარობით სარგებლობს იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ჩვენ მოვახერხეთ ზავის დადება დასავლეთის პატარა სახელმწიფოსთან, სახელდობრ იმიტომ, რომ ჩვენში ხედავენ შეუდრეკელ მებრძოლს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, იმიტომ რომ ჩვენ ერთადერთი რესპუბლიკა ვართ, რომელიც ომს ეწევა იმპერიალიზმის წინააღმდეგ და რომელმაც იცის ყოველგვარი მდგომარეობის გამოყენება, მოქმედებს რა არა ძალმომრეობით, არამედ იცის აგრეთვე გამარჯვება ძალმომრეობის გამოყენებაზე უარისთქმითაც.

თავისთავად გასაგებია, რომ იგივე პოლიტიკა ბევრად უფრო გაფორმებული სახით ტარდება უკრაინის რესპუბლიკის მიმართაც. აქ საკითხი გამარტივებულია ჯერ კიდევ ადრე დადებული ხელშეკრულებით, რაც მოხდა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს შორის. ამ ხელშეკრულების ბაზაზე, რომელიც ნიშნავს ორი რესპუბლიკის მჭიდრო ფედერაციას იმპერიალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენ ვაგებთ სულ უფრო და უფრო მჭიდრო კავშირს. და უკრაინის გლეხებისა და მუშების მასა დენიკინის ბატონობის მწარე გამოცდილებით რწმუნდება იმაში, რომ მხოლოდ რუსეთის რესპუბლიკასთან უმჭიდროესი კავშირი იქნება ნამდვილად უძლეველი საერთაშორისო იმპერიალიზმისათვის და რომ სახელმწიფოებრივი გამოყოფა არ შეიძლება ხელსაყრელი იყოს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში, რადგან იგი გამოიყენებს ყოველგვარ გათიშვას იმისათვის, რომ ჩაახშოს საბჭოთა ხელისუფლება; ასეთი გათიშვა დანაშაულია. ჩვენი პოლიტიკა ღრმად იდგამს ფესვებს უკრაინაში, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სრულიად უკრაინის მუშათა და გლეხთა საბჭოების მომავალი ყრილობა საზეიმო სახით დაადასტურებს ამ პოლიტიკას. აი ის მცირე შენიშვნები, რომელთაც მე უნდა დავჯერდე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხზე, ხოლო ის პრაქტიკული წინადადებები, რომლებიც უნდა შემოვიტანო სახკომსაბჭოს სახელით და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმას-

რულებელი კომიტეტის სახელით, მე ჩამოვთვალე, და გთხოვთ ყველა ეს პროექტი დაამტკიცოთ ამ სესიაზე.

გადავდივარ რა საშინაო მშენებლობის მუშაობაზე, მე ჯერ უნდა შევჩერდე ჩვენი მთავრობის ზოგიერთ ცალკეულ ღონისძიებაზე და შემდეგ გადავიდე ყველაზე მთავარ საკითხზე — ახალ რელსებზე გადასვლის საკითხზე, სამხედრო ამოცანებიდან სახელმწიფო მშენებლობის ამოცანებზე გადასვლის საკითხზე.

რაც შეეხება ჩვენი შინაგანი პოლიტიკის ძირითად ღონისძიებებს, რომლებიც საანგარიშო ორი თვის განმავლობაში მეტად თუ ნაკლებად გამოირჩევა მიმდინარე სამუშაოთა რიგში, განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი დადგენილება, რომელიც საჭიროებს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დამტკიცებას. ეს არის დადგენილება სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. თქვენ იცით, რომ დენიკინზე მთავარი გამარჯვებისთანავე, როსტოვის აღებისთანავე, ამხ. ძერჟინსკიმ, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელმა, შემოიტანა წინადადება სახკომსაბჭოში და გაატარა იგი თავის უწყებაში, რომ საგანგებო კომისიისაგან დამოკიდებული ყოველგვარი გამოყენება სიკვდილით დასჯისა გაუქმებულიყო. თუ ევროპაში ბურჟუაზიული დემოკრატია მთელი ძალ-ღონით ავრცელებს სიცრუეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, რომ იგი უმთავრესად ტერორისტულიაო, თუ ამას ავრცელებენ აგრეთვე ბურჟუაზიული დემოკრატიაც და II ინტერნაციონალის სოციალისტებიც, თუ კაუცკის შეეძლო დაეწერა სპეციალური წიგნი სათაურით «ტერორიზმი და კომუნიზმი», რომელშიც აცხადებს, რომ კომუნისტური ხელისუფლება ტერორიზმს ეყრდნობაო, მაშინ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორი სიცრუე ვრცელდება ამის შესახებ, და რომ უკუვაგდოთ ეს სიცრუე, ჩვენ მივედით იმ ნაბიჯამდე, რომელიც გადადგა ამხ. ძერჟინსკიმ და რომელიც მოიწონა სახალხო კომისართა საბჭომ, და ეს ნაბიჯი საჭიროებს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დამტკიცებას.

ტერორი ჩვენ თავს მოგვახვია ანტანტის ტერორიზმმა, როცა მთელი საქვეყნოდ ძლიერი სახელმწიფოები თავს დაგვატყდნენ თავიანთი ურდოებით და არაფერს არ ერიდებოდნენ. ჩვენ ორ დღესაც ვერ ვიბოგინებდით, თუ ოფიცერთა და თეთრგვარდიელთა ამ ცდებს არ ვუპასუხებდით დაუნდობლად, და ეს ტერორს ნიშნავდა, მაგრამ იგი თავს მოგვახვია ანტანტის ტერორისტულმა ხერხებმა. და როგორც კი ჩვენ გადამწყვეტ გამარჯვებას მივაღწიეთ, ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე, როსტოვის აღებისთანავე, ჩვენ უარი ვთქვით სიკვდილით დასჯის გამოყენებაზე და ამით ცხადვყავით, რომ ჩვენს საკუთარ პროგრამას ჩვენ ვეპყრობით ისე, როგორც პირობას ვიძლეოდით. ჩვენ ვამბობთ, რომ ძალმომრეობის გამოყენება გამოწვეულია ექსპლოატატორთა დათრგუნვის, მემამულეთა და კაპიტალისტთა დათრგუნვის ამოცანით; როდესაც ეს გადაწყდება, ჩვენ მაშინ უარს ვამბობთ ყოველგვარ განსაკუთრებულ ღონისძიებებზე. ჩვენ ეს საქმით დავამტკიცეთ. და მე ვფიქრობ, ვიმედოვნებ და დარწმუნებული ვარ, რომ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სახკომსაბჭოს ამ ღონისძიებას ერთხმად დაამტკიცებს და მას გადაწყვეტს ისე, რომ სიკვდილით დასჯა რუსეთში შეუძლებელი გახდეს. თავისთავად გასაგებია, რომ ანტანტის ყოველგვარი ცდა განაახლოს ომის ფანდები, ჩვენ გვაიძულებს განვაახლოთ უწინდელი ტერორი; ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ვცხოვრობთ მტაცებლობის ხანაში, როცა კეთილი სიტყვით არ მოქმედებენ; აი რა გვქონდა მხედველობაში, და როგორც კი გადამწყვეტი ბრძოლა დამთავრდა, ჩვენ მაშინვე ვიწყეთ იმ ღონისძიებათა გაუქმება, რომლებსაც ყველა სხვა სახელმწიფოში იყენებენ უვადოდ.

შემდეგ მე მინდოდა აღმენიშნა მუშათა ინსპექციის საკითხის განხილვა. ამ საკითხზე თქვენ გექნებათ სპეციალური მოხსენება, და მე მართალი არ ვიქნებოდი, თუ დიდხანს შევჩერდებოდი მასზე. აქ ჩვენ წინაშე პირველ რიგში დგება მართვა-გამგეობაში ფართო მასების ჩაბმის ამოცანა; ეს ამოცანა უფრო მწვავედ დგას, ვიდრე ფართო მშენებლობის ამო-

ცანები. თქვენ გექნებათ დეტალური პროექტები, რომელთა განხილვისა და გასწორების შემდეგ გაიგებთ, რომ ეს მშენებლობა უნდა გაგრძელდეს მუშათა ფართო მასების უფრო ფართო მონაწილეობით. ეს ჩვენი ძირითადი ამოცანაა, ძალიან ძნელია მიუდგე მას ისეთი ნგრევის დროს, როგორსაც ახლა ვხედავთ, მაგრამ ამ ამოცანისაკენ ჩვენ განუხრელად მივდივართ.

ჩვენ წინაშე დგას კიდევ ერთი საკითხი — კოოპერაციის შესახებ. ჩვენ ამოცანად დავისახეთ მთელი მოსახლეობა გავაერთიანოთ კოოპერატივებში, რომლებიც განსხვავებული იქნებოდა ძველი კოოპერაციისაგან, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზედაფენებს რომ შეიცავდა.

სოციალიზმი შეუძლებელი იქნებოდა, თუ იგი არ ისწავლიდა იმ ტექნიკის, იმ კულტურის, იმ აპარატის გამოყენებას, რომელიც შექმნა ბურჟუაზიულმა კულტურამ, კაპიტალიზმის კულტურამ. ამ აპარატთა რიცხვს ეკუთვნის კოოპერაცია, რომელიც მით უფრო მეტად ვითარდება, რაც უფრო მაღალი კაპიტალისტური განვითარების დონეზე დგას ქვეყანა. ჩვენს კოოპერაციას ჩვენ ამოცანად დავუსახეთ მოიცვას მთელი ჩვენი ქვეყანა. კოოპერაცია აქამდე მხოლოდ ზედაფენებს მოიცავდა, უპირატესობას აძლევდა იმას, ვისაც სახსრები აქვს შეიტანოს საპაიო შესატანი, არ აძლევდა შესაძლებლობას მისი სამსახურით ესარგებლათ მშრომელ მასებს. ასეთ კოოპერაციასთან ჩვენ გადაჭრით გავწყვიტეთ კავშირი, მაგრამ ისე კი არა, რომ სულ მოვსპოთ კოოპერაცია საზოგადოდ, არამედ ჩვენ 1918 წლის მარტსა და აპრილში ამოცანად დავუსახეთ კოოპერაციას მოეცვა მთელი მოსახლეობა. თუ კი მოიპოვებიან კოოპერატორები, რომლებიც აფასებენ კოოპერაციული მოძრაობის ფუძემდებელთა ანდერძს (კოოპერაციის ძველი ამოცანები — მშრომელთა ინტერესების დაკმაყოფილება), — მათ უნდა თანაუგრძნონ ამას. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ მხარეზეა კოოპერაციული ორგანიზაციების მონაწილეთა უმრავლესობის თანაგრძნობა, თუმცა სრულებითაც არ ვიქმნით ილუზიებს იმის შესახებ, რომ ჩვენს მხარეზე

გადმოვიყვანეთ კოოპერაციის ბელადთა უმრავლესობის თანაგრძნობა, რომლებიც ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დგანან და კოოპერაცია ესმით როგორც მხოლოდ კაპიტალისტური საქმიანობისა და იმ ყბადაღებული ვაჭრობის თავისუფლების ახალი სახე, რომელიც მცირეთათვის გამორჩენას ნიშნავს, უმრავლესობისათვის კი — გაჩანაგებას. ჩვენ ამის მაგიერ სახელმწიფო ამოცანად გამოვაცხადეთ კოოპერაციის გადასვლა მშრომელი მასების ნამდვილ მომსახურებაზე იმ პირობით, რომ კოოპერაციამ მოიცვას მთელი მოსახლეობა. ამის გაკეთება უცბად არ შეიძლებოდა. დავსახეთ რა ასეთი ამოცანა, ჩვენ სისტემატურად ვმუშაობდით და ახლაც კიდევ ვიმუშავებთ, რათა ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ, რათა მთელი მოსახლეობა გაერთიანებულ იქნეს კოოპერატივების მიერ, და ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი საბჭოთა რესპუბლიკა, შესაძლებელია, რამდენიმე კვირის შემდეგ, და იქნებ, სულ რამდენიმე თვის შემდეგაც გადაიქცევა მშრომელთა ერთ დიდ კოოპერატივად. ამის შემდეგ მშრომელთა თვითმოქმედების განვითარება, მათი ჩაბმა მშენებლობაში უფრო ფართო ფარგლებში მოხდება.

დავამთავრეთ რა ეს, ჩვენ დავადგინეთ, რომ კოოპერატივების ყველა სახე, არა მარტო სამომხმარებლო, არამედ საკრედიტო, საწარმოო და ა. შ., გაერთიანებულ იქნას ჯეროვანი თანდათანობითა და სიფრთხილით ცენტრალურ კავშირად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მხრივ ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები მხარდაჭერას პოვებენ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ადგილებზე მომუშავეთა მხრივ, რომლებიც, კოოპერატივების გაერთიანების ფორმალური დამთავრების შემდეგ, თავიანთი მუშაობით სამეურნეო მშენებლობაში და ამ საქმეში მუშათა და გლეხთა უმრავლესობის ჩაბმით მიაღწევენ იმას, — ამას ჩვენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ვისახავდით, — რომ კოოპერაცია აღმოჩნდეს, სხვათა შორის, უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბიუროკრატიზმისა, რომელიც მემკვიდრეობით მოდის ძველი კაპიტალისტური სახელმწიფო-

საგან; ამ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს პროგრამაშიც უმნიშვნელოვანეს ამოცანად გამოვაცხადეთ. და ამ ბრძოლას ჩვენ ვაწარმოებთ ყველა უწყებაში, ყველა გზით და, სხვათა შორის, კოოპერაციული გაერთიანების გზით და ბურჟუაზიული კოოპერაციული ზედაფენების მაგიერ ნამდვილი მშრომელი მასებისადმი მიმართვით, რომლებიც უკლებლივ უნდა წავიდნენ დამოუკიდებელ სამუშაოზე კოოპერაციული მშენებლობის დარგში.

შემდეგ მე მინდა, რომ შინაგანი მშენებლობის საკითხებიდან აღვნიშნო ის, რაც გაკეთებული იყო მიწათმოქმედების დარგში. მიწათსარგებლობის მოწესრიგების მიზნით, მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა 1919 წლის ივლისში გამოსცა ცირკულარი სანადელო მიწების ხშირი გადანაწილების წინააღმდეგ ბრძოლის ზომების შესახებ. ეს ცირკულარი გამოქვეყნებული იყო 1 ივლისს სრ. რუსეთის ცაკ-ის «იზვესტიაში» და შევიდა «მუშურ-გლეხური მთავრობის დაკანონებათა და განკარგულებათა კრებულში». ეს ცირკულარი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ უპასუხებს გლეხთა მრავალრიცხოვან მითითებებსა და განცხადებებს, რომლებიც აღნიშნავენ იმას, რომ ხშირი გადანაწილება ხელს უშლიდა წვრილი მეურნეობის პირობებში შრომის დისციპლინის ამაღლებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. ამ თვალსაზრისზე დგას სახკომსაბჭოც, რომელმაც მიწათმოქმედების კომისარიატს მისცა დავალება, რომ შემოიტანოს დებულების პროექტი გადანაწილებათა წესის შესახებ. ეს პროექტი ახლო ხანში განხილული იქნება. აგრეთვე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი თავის ამოცანად ისახავს მთელ რიგ სასწრაფო ღონისძიებებს ცოცხალი და მკვდარი სამეურნეო ინვენტარის აღდგენის დარგში. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ ადგილობრივ მუშაკთა სისტემატურ მუშაობას, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სრულიად რუსეთის ცეხტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრები სათანადო ზეგავლენას მოახდენენ ხელისუფალთა მიმართ და ხელს შეუწყობენ, რომ მიწათმოქმედების

სახალხო კომისარიატის ეს ღონისძიებები გატარდეს ცხოვრებაში რაც შეიძლება მოკლე ვადაში.

მე ახლა გადავდივარ ჩვენი მშენებლობის უკანასკნელ საკითხზე და არსებითად ყველაზე მთავარ საკითხზე — შრომის არმიებისა და შრომითი მობილიზაციის საკითხზე. საზოგადოებრივი ცხოვრების მკვეთრი გადასვლებისა და ცვლილებების დროს ყველაზე ძნელი ამოცანა არის ყოველგვარი გადასვლის თავისებურების გათვალისწინების ამოცანა. როგორ უნდა იბრძოლონ სოციალისტებმა კაპიტალისტური საზოგადოების შიგნით — ეს ძნელი ამოცანა არაა და იგი დიდი ხანია გადაწყვეტილია. როგორ წარმოვიდგინოთ განვითარებული სოციალისტური საზოგადოება — ესეც ძნელი არ არის. ეს ამოცანაც აგრეთვე გადაწყვეტილია. მაგრამ პრაქტიკულად როგორ განვახორციელოთ გადასვლა ძველი, შეჩვეული და ყველასათვის ცნობილი კაპიტალიზმიდან ახალ სოციალიზმზე, რომელიც ჯერ კიდევ არ დაბადებულა და რომელსაც არა აქვს ურყევი ბაზა, — აი ყველაზე ძნელი ამოცანა. ეს გადასვლა უკეთეს შემთხვევაში მრავალ წელს გასტანს. ამ პერიოდის შიგნით ჩვენი პოლიტიკა იყოფა კიდევ მთელ რიგ წვრილ გადასვლებად. და მთელი სიძნელე ამოცანისა, რომელიც ჩვენ კისრად გვაწვება, მთელი სიძნელე პოლიტიკისა და მთელი ხელოვნება პოლიტიკისა იმაში მდგომარეობს, რომ გავითვალისწინოთ ყოველი ასეთი გადასვლის თავისებური ამოცანები.

ჩვენ ეს-ეს არის გადავწყვიტეთ მთავარ და ძირითად ხაზებში, თუმცა ჯერ კიდევ არა ბოლომდე, ომის ამოცანა. ჩვენ ვისახავდით ჩვენს ამოცანად რადაც უნდა დამჯდარიყო მოგვეგერიებინა თეთრგვარდიელთა იერიში. ჩვენ ვამბობდით: ყველაფერი უნდა გვქონდეს ომისათვის. ეს სწორი პოლიტიკა იყო. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ეს პოლიტიკა ზურგში გაუგონარ სიძნელეებში, სიცივეში. შიმშილსა და გაპარტახებაში გამოიხატა; მაგრამ სწორედ ის გარემოება, რომ წითელმა არმიამ, რომელიც, სხვათა შორის, ისეთ შეფასებას ხვდება, რომლის ნიმუშები მე წავიკითხე, ეს ამოცანა გადაწყვიტა

ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში, — ამტკიცებს, რომ ამ ქვეყანაში არის ახალი ძალები, თორემ სხვაფრივ წარმოუდგენელი იქნებოდა ამ სანიმუშო არმიის შექმნა და გამარჯვება მატერიალურად უფრო ძლიერ არმიებზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ მთელი სახელმწიფო აპარატის ყურადღება ამ საკითხზე გავამახვილეთ და შევძელით ამ ამოცანის თავისებურების გადაწყვეტა იმით, რომ ყველაფერი მთლიანად ომის ინტერესებს დავუქვემდებარეთ, — მდგომარეობა მოითხოვს სწრაფსა და მკვეთრ გადასვლას. ომი ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიმთავრებია. საჭიროა მთელი სამხედრო მზადყოფნა შევინარჩუნოთ, საჭიროა დენიკინის ჯარები მოვსპოთ, უნდა ვაჩვენოთ ყოველი ქვეყნის მემამულეებსა და კაპიტალისტებს, რომ თუ ისინი კიდევ მოისურვებენ რუსეთთან ანგარიში გაასწორონ ომით, მათ ისეთივე ბედი ეწევათ, როგორიც კოლჩაკსა და დენიკინს. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია გადავდგათ არც ერთი ნაბიჯი ჩვენი სამხედრო ძალების შესასუსტებლად. და ამავე დროს საჭიროა მთელი ჩვენი ქვეყნის სხვა რელსებზე გადაყვანა, მთელი მექანიზმის გარდაქმნა. შეუძლებელია შემდგომ გამახვილდეს ყურადღება და აღარც არის საჭირო — ყველაფერი ომისათვის, იმიტომ რომ ომის ამოცანა ძირითადად გადაწყვეტილია.

ისახება ომიდან მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის ამოცანა იმდენად თავისებურ პირობებში, რომ ჩვენ არ შეგვიძლია არმიის გაშვება, რადგან ანგარიში უნდა გავუწიოთ თუნდაც იმავე პოლონეთის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს შემოტევის შესაძლებლობას, რომელთაც ჩვენ კვლავ გვისისიანებს ანტანტა. ამოცანის ეს თავისებურება, როდესაც ჩვენ არ შეგვიძლია შევასუსტოთ ჩვენი სამხედრო ძალები, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მთელი მანქანა, ომზე გამახვილებული, უნდა გადავიყვანოთ მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის ახალ რელსებზე, — მოითხოვს არაჩვეულებრივ ყურადღებას და გვიჩვენებს იმის ნიმუშს, რომ ჩვენ აქ ზოგადი ფორმულების მეოხებით, პროგრამის ზოგადი დებულებების, კომუნიზმის ზოგადი პრინციპების წყალობით ვერაფერს

გავხდებით, არამედ უნდა გავითვალისწინოთ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ამ პირობათა თავისებურება, გადასვლისა იმ ქვეყნის მდგომარეობიდან, რომლის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო ომისაკენ, იმ ქვეყნის მდგომარეობაზე, რომელმაც გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა სამხედრო დარგში და რომელიც უნდა გადავიდეს სამეურნეო ამოცანების სამხედრო გადაწყვეტაზე, სამხედრო გადაწყვეტაზე იმიტომ, რომ მდგომარეობა, როგორც ყველა თქვენგანმა იცის, მეტისმეტად მძიმეა. ზამთრის მიწურულს მოაქვს და მან მოიტანა კიდეც მშრომელი მასებისათვის გაუგონარი ტანჯვა — შიმშილი, სიცივე, გაჩანაგება. ჩვენ რადაც უნდა დაჯდეს ყოველივე ეს უნდა დავძლიოთ. ჩვენ ვიცით, რომ ამის გაკეთება ჩვენ შეგვიძლია. ეს ჩვენ დაგვიმტკიცა წითელი არმიის ენერგიამ.

თუ ჩვენ აქამდე შევძელით ბრძოლა, როდესაც ყოველი მხრივ გარემოცულნი და მოწყვეტილი ვიყავით თვით პურისა და ნახშირის რაიონებს, ახლა, როდესაც ჩვენ ყველაფერი ეს მივიღეთ, როდესაც ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს უკრაინასთან ერთად გადავწყვიტოთ სამეურნეო მშენებლობის ამოცანები, — ჩვენ შეგვიძლია გადავწყვიტოთ ძირითადი ამოცანა: შევაგროვოთ დიდი რაოდენობის პური და სასურსათო პროდუქტები, მოვზიდოთ ისინი სამრეწველო ცენტრებში, რათა დავიწყოთ სამრეწველო მშენებლობა. ამ ამოცანას უნდა მოვანდომოთ მთელი ჩვენი ძალები. მისგან ყურადღების ჩამოცილება და რომელიმე სხვა პრაქტიკულ ამოცანებზე გადატანა დაუშვებელია; ის სამხედრო საშუალებებით უნდა გადავჭრათ, სრული დაუნდობლობით, ყველა დანარჩენი ინტერესების სრული ჩახშობით. ჩვენ ვიცით, რომ მთელ რიგ მეტად კანონიერ მოთხოვნებსა და ინტერესებს ზიანი მიადგება, მაგრამ ჩვენ რომ ამ ზიანზე არ წავსულიყავით — ომში გამსრჯვებას ვერ მოვიპოვებდით. ახლა საჭიროა მოვახდინოთ მკვეთრი და სწრაფი გადასვლა იმაზე, რომ შევიქმნათ მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის ბაზა. ეს ბაზა უნდა იყოს სურსათის დიდი მარაგის შექმნა და მისი მიზიდვა ცენტრალურ რაიონში;

ტრანსპორტის ამოცანა — ნედლეულისა და პროდუქტების მოზიდვის ამოცანაა. თუ 1917 წლის აგვისტოდან 1918 წლის აგვისტომდე ჩვენ შევაგროვეთ 30 მილიონი ფუთი პური, მეორე წელს შევაგროვეთ 110 მილიონი, ახლა 5 თვეში — 90 მილიონი, შევაგროვეთ ჩვენი სასურსათო კომისარიატის აპარატით, შევაგროვეთ სოციალისტური და არა კაპიტალისტური წესით, მტკიცე ფასებში, გლეხებს შორის გაწერით და არა გაყიდვით თავისუფალ ბაზარზე, — მაშასადამე, ჩვენ ჩვენი გზა გამოვნახეთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს გზა სწორია და შესაძლებლობას მოგვცემს მივაღწიოთ ისეთ შედეგებს, რომლებიც უზრუნველყოფდა ჩვენს უზარმაზარ სამეურნეო მშენებლობას.

მთელი ძალები ამ ამოცანისაკენ უნდა იყოს მიმართული, მთელი სამხედრო ძალა, რომელმაც თავი გამოიჩინა სამხედრო მშენებლობაში, ამ ახალ რელსებზე უნდა იქნეს გადასროლილი. აი ის თავისებური გარემოება, ის თავისებური გადასვლა, რომელმაც წარმოშვა შრომის არმიების იდეა, გამოიწვია კანონი პირველი შრომის არმიის შექმნის შესახებ ურალში და უკრაინის შრომის არმიის შესახებ, შემდეგ კანონი სათადარიგო არმიის ძალების შრომის ამოცანებისაკენ მიმართვის შესახებ, შემდეგ დადგენილება, რომელიც გამოსცა საბჭოთა ხელისუფლებამ შრომითი ვალდებულების კომიტეტების შესახებ [70]. ყველა ამ კანონს დაწვრილებითს და საფუძვლიან მოხსენებაში გადმოგცემთ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. მე, რა თქმა უნდა, ამ დარგს ვერ შევეხები, იმიტომ რომ ამის საკმაოდ ნათლად გაშუქება შეიძლება ცალკე მოხსენებაში. მე მხოლოდ ხაზს ვუსვამ მის მნიშვნელობას ჩვენს საერთო პოლიტიკაში, ამ გადასვლის მნიშვნელობას, რომელიც ჩვენ წინაშე თავისებურ ამოცანებს აყენებს — დავძაბოთ მთელი ჩვენი ძალები სამხედრო წესისამებრ, დავრაზმოთ ისინი, რომ შევაგროვოთ სასურსათო პროდუქტების დიდი მარაგი და მოვზიდოთ სამრეწველო მშენებლობის ცენტრებში. ამისათვის — რადაც

უნდა დაჯდეს შევქმნათ შრომის არმიები, სამხედრო წესი-სამებრ დავირაზმოთ, მთელი რიგი დაწესებულებები შევამ-ჭიდროოთ, დავავიწროოთ, დავხუროთ კიდეც, რათა უახლო-ესი თვეების განმავლობაში რადაც უნდა დაჯდეს დავძლიოთ ტრანსპორტის მოშლილობა, გამოვიდეთ ამ სასოწარკვეთილი მდგომარეობიდან, როდესაც ზამთრის მიწურულს მოაქვს ასეთი სიცივე, შიმშილი და გაღატაკება. ამ მდგომარეობას თავი უნდა დავაღწიოთ. ამის გაკეთება ჩვენ შეგვიძლია. და როდესაც სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებე-ლი კომიტეტი დაამტკიცებს ყველა ღონისძიებას შრომითი ვალდებულებისა და შრომის არმიების დარგში, როდესაც იგი მოსახლეობის ფართო მასებში კიდევ უფრო დანერგავს ამ აზრს და ყველა ადგილობრივ მუშაკს მოსთხოვს მის განხორ-ციელებას, — ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ამ უძნელეს ამოცანას ჩვენ თავს გავართმევთ, დავძლევთ, და იოტის ოდენადაც არ შევასუსტებთ ჩვენს სამხედრო მზად-ყოფნას.

რადაც უნდა დაჯდეს ჩვენ უნდა გადავიყვანოთ, ჩვენი სამხედრო მზადყოფნის შეუსუსტებლად, საბჭოთა რესპუბ-ლიკა სამეურნეო მშენებლობის ახალ რელსებზე. უახლოეს კვირეებში, შესაძლებელია უახლოეს თვეებში, ეს ამოცანა შესრულებულ უნდა იქნეს. ყოველმა საბჭოთა ან პარტიულმა ორგანიზაციამ მთელი ძალ-ღონე უნდა დაძაბოს, რათა ბოლო მოვულოთ ტრანსპორტის მოშლას, გავადიდოთ პურის მარაგი.

მაშინ და მხოლოდ მაშინ გვექნება ჩვენ ბაზა, მტკიცე საფუძველი ფართო სამრეწველო მშენებლობისათვის, რუსე-თის ელექტრიფიკაციისათვის. და რომ ვაჩვენოთ მოსახლე-ობას, განსაკუთრებით კი გლეხობას, რომ ჩვენ ამ მხრივ ფართო გეგმები გვაქვს, არა ფანტაზიიდან აღებული, არამედ ტექნი-კით განმტკიცებული, მეცნიერებით მომზადებული, — ამი-სათვის, მე ვფიქრობ, ჩვენ უნდა გავატარონ, — მე იმედი მაქვს, რომ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოი-წონებს ამას, — რეზოლუცია, რომელიც წინადადებას მის-ცემს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მიწათ-

მოქმედების კომისარიატს ერთმანეთთან შეთანხმებით შეიმუშაონ პროექტი რუსეთის ელექტრიფიკაციის საკითხზე.

მე მოვახერხე, სახელმწიფო გამომცემლობის დახმარებისა და ყოფილი კუშნერევის სტამბის, ახლა მე-17 სახელმწიფო სტამბის, მუშების ენერგიის წყალობით, მიმეღწია იმისათვის, რომ ძალიან მოკლე ვადაში გამოცემული ყოფილიყო კრჟიჟანოვსკის ბროშურა «რუსეთის ელექტრიფიკაციის ძირითადი ამოცანები». ხვალ ეს ბროშურა დაურიგდება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ყველა წევრს. ეს ბროშურა ამხ. კრჟიჟანოვსკისა, რომელიც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ელექტროტექნიკურ ქვეგანყოფილებაში მუშაობს, აჯამებს იმას, რაც უკვე გაკეთებულია და აყენებს ისეთ საკითხებს, რომელთა პროპაგანდა, — არა პრაქტიკული გამოყენება, არამედ პროპაგანდა, — შეადგენს ახლა ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ამოცანას.

მე იმედი მაქვს, რომ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიიღებს იმ რეზოლუციას, რომელიც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ამოცანად უსახავს რამდენიმე თვის განმავლობაში შეიმუშაოს, — ჩვენი პრაქტიკული ამოცანები ამ დროს სხვაგვარი იქნება, — შეიმუშაოს მეცნიერებისა და ტექნიკის წარმომადგენელთა დახმარებით რუსეთის ელექტრიფიკაციის ფართო და სრული გეგმა. ბროშურის ავტორი სრულიად მართალია, როდესაც ეპიგრაფად მისთვის შეურჩევია თქმა: «ორთქლის საუკუნე — ბურჟუაზიის საუკუნეა, ელექტრობის საუკუნე — სოციალიზმის საუკუნეა». ჩვენ უნდა გვქონდეს ახალი ტექნიკური ბაზა ახალი ეკონომიური მშენებლობისათვის. ეს ახალი ტექნიკური ბაზა ელექტრობაა. ჩვენ ამ ბაზაზე უნდა ავაგოთ ყველაფერი. ამას მრავალი წელი დასჭირდება. ჩვენ არ შევუშინდებით მუშაობას 10 და 20 წლის განმავლობაში, მაგრამ ჩვენ უნდა ვაჩვენოთ გლეხობას, რომ მრეწველობისა და მიწათმოქმედების ძველი

განცალკევებულობის ნაცვლად, ამ ყველაზე ღრმა წინააღმდეგობის ნაცვლად, რომელიც კაპიტალიზმს კვებავდა, შუღლს თესავდა სამრეწველო მუშებსა და სამიწათმოქმედო მუშებს შორის, — ჩვენ ამოცანად ვისახავთ დავუბრუნოთ გლეხობას ის, რაც მისგან სესხად მივიღეთ პურის სახით, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ეს ქაღალდის ფული, რასაკვირველია, პურის ეკვივალენტი არ არის. ეს სესხი ჩვენ უნდა დავაბრუნოთ მრეწველობის ორგანიზაციისა და მისი პროდუქტებით გლეხების მომარაგების საშუალებით. ჩვენ გლეხებს უნდა ვუჩვენოთ, რომ მრეწველობის ორგანიზაცია თანამედროვე მაღალ ტექნიკურ ბაზაზე, ელექტრიფიკაციის ბაზაზე, ელექტრიფიკაციისა, რომელიც დააკავშირებს ქალაქსა და სოფელს, ბოლოს მოუღებს უთანხმოებას ქალაქსა და სოფელს შორის, შესაძლებლობას მოგვცემს კულტურულად ავამაღლოთ სოფელი, დავამარცხოთ ჩამორჩენილობა, სიბნელე, სიღატაკე, ავადმყოფობა და გაველურება თვით ყველაზე მიყრუებულ კუთხეებშიც. ამას ჩვენ მაშინვე შევუდგებით, როგორც კი დავძლევთ ჩვენს მორიგ, ძირითად ამოცანას. ჩვენ ამისათვის ერთი წუთითაც არ ჩამოვაშორებთ ყურადღებას ჩვენს ძირითად პრაქტიკულ ამოცანას.

უახლოეს თვეებში — მთელი ძალ-ღონე სურსათის მოზიდვასა და სასურსათო ბაზის გაფართოებას. არავითარი გადახვევა აქედან არ დაიშვება. ხოლო ამასთან ერთად მეცნიერებისა და ტექნიკის სპეციალისტებმა დაე შეიმუშაონ მრავალი წლისათვის გათვალისწინებული მთელი რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმა. დაე ის კავშირი გარე სამყაროსთან, კაპიტალისტურ ევროპასთან, კავშირი, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ, ის სარკმელი, რომელიც ჩვენ გავჭერით ესტონეთთან ზავის დადებით, გამოდგეს იმისათვის, რომ ჩვენ ახლავე მივიღოთ საჭირო ტექნიკური დახმარება. და როდესაც ტრანსპორტისა და სურსათის ძირითად ამოცანებს გადავწყვეტთ უახლოეს თვეებში, როცა გადავწყვეტთ შრომითი ბეგარის ამოცანებს, რომელთაც ჩვენ მთლიანად მოვანდომებთ მთელ ჩვენს ძალ-ღონეს, და ამავე დროს სხვა

ფრაფერზე არ გადავიტანთ ჩვენს ყურადღებას უახლოესი ხნის განმავლობაში, როდესაც გადავწყვეტთ მათ, ჩვენ დავამტკიცებთ, რომ უნარი შეგვწევს გადავიდეთ მშენებლობის ამოცანებზე მთელი რიგი წლებისათვის, მთელი რუსეთის უმაღლეს ტექნიკურ ბაზაზე გადაყვანის ამოცანებზე, ტექნიკურ ბაზაზე, რომელიც მოსპობს უთანხმოებას ქალაქსა და სოფელს შორის და შესაძლებლობას მოგვცემს სავსებით და ბადაჭრით დავამარცხოთ ის ჩამორჩენილობა, ის დაქუცმაცებულობა, დაქსაქსულობა, სოფლური სიბნელე, რომელიც მთელი დამყაყებულობის, მთელი ჩამორჩენილობის, მთელი დაბეჩავებულობის მთავარი მიზეზია აქამდე. და ჩვენ, თუკი ამ დარგში, ამ მშვიდობიანი გამარჯვების დარგში მრეწველობის რეორგანიზაციის უსისხლო ფრონტზე, ვიმოქმედებთ მთელი ჩვენი სამხედრო ჩვევებით, მთელი ენერგიით, ძალთა მთელი შემჭიდროებით ამ ამოცანაზე, — ჩვენ ამ დარგში მოვიპოვებთ კიდევ უფრო გადამწყვეტ, კიდევ უფრო დიად გამარჯვებებს, ვიდრე ის გამარჯვებებია, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ სამხედრო ასპარეზზე. (ტ ა შ ი.)

მოკლე ანგარიშები გამოქვეყნებულია
1920 წ. 3 თებერვალს
გაზეთებში «პრავდა» № 23 და
სრ. რუსეთის ცაკ-ის «იზვესტია» № 23

მთლიანად იბეჭდება პირველად

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

# პროექტი (ანუ თეზისები) რუსეთის კომუნისტური პარტიის პასუხისა გერმანიის დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის წერილზე[71]

რაკი მივიღეთ ოფიციალური წინადადება (გერმანელ) დამოუკიდებლებისა მოლაპარაკების შესახებ, ჩვენ ახლა, როგორც პარტიამ, სრულიად გულახდილად უნდა ვუპასუხოთ მათ, იმ «დიპლომატიის» გარეშე, რომელიც რამდენადმე სავალდებულოა კომუნისტური ინტერნაციონალისათვის.

და უნდა ვუპასუხოთ ისე, რომ ავუხსნათ საქმის ვითარება მუშათა მასებს, რომლებიც თანაუგრძნობენ პროლეტარიატის დიქტატურასა და საბჭოთა სისტემას, — მუშათა მასებს, რომელთაც არა მარტო გერმანიაში, არამედ საფრანგეთშიც და ინგლისშიც და კიდევ მთელ რიგ ქვეყნებში ატყუებენ (შეგნებულად და შეუგნებლად, ე. ი. თვითმოტყუების ძალით) ბელადები, მხოლოდ სიტყვით რომ აწერენ ხელს მუშათა შორის გავრცელებულ ამ პოპულარულ ლოზუნგებს (პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოთა ხელისუფლება), საქმით კი მუშაობას, პროპაგანდას, აგიტაციას და სხვ. ეწევიან ძველებურად, არა ამ ლოზუნგების სულისკვეთებით, არამედ ამ ლოზუნგების საწინააღმდეგო სულისკვეთებით.

ქვემომოყვანილი — ესაა თეზისების შავად მონასახი (რუსეთის კომუნისტური პარტიის) ამგვარი პასუხისა (გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი):

(პუნქტების რიგიც აგრეთვე ჯერ კიდევ უნდა გადაკეთდეს)

1. პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს უნარს, მზადყოფნას, გამბედაობას — გადმოვიყვანოთ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელი მასა ჩვენს მხარეზე (პროლეტარიატის რევოლუციური ავანგარდის მხარეზე) რევოლუციურ ლონისძიებათა საშუალებით, ექსპლოატატორთა ექსპროპრიაციის ფასად.

გერმანელ დამოუკიდებელთა ყოველდღიურ აგიტაციაში («Freiheit»-ში, * მაგ.) ესარ არის. ეს არა აქვთ არც ლონგეტისტებს.

2. კერძოდ, განსაკუთრებით აუცილებელია ასეთი აგიტაცია სოფლის პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარებისათვის, აგრეთვე წვრილი გლეხებისათვის (გლეხებისათვის, რომლებიც დაქირავებულ შრომას გაცხარებული მკის დროსაც კი არ იყენებენ და სხვ. მისთ., იმ გლეხებისათვის, რომლებიც პურს ცოტას ყიდიან, ან სულ არ ყიდიან). მოსახლეობის ამ ფენებს ყოველდღიურად, უაღრესად მარტივად, პოპულარულად, ყველაზე უფრო კონკრეტული სახით უნდა განვუმარტოთ, რომ პროლეტარიატი, რაკი სახელმწიფო ძალაუფლებას დაეუფლა, **ექსპროპრიირებული მემამულეების ხარჯზე** დაუყოვნებლივ გ ა ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ ს მათ მდგომარეობას. იხსნის მათ მსხვილ მიწათმფლობელთა ჩაგვრისაგან, მისცემს მათ, როგორც მთლიან ერთეულს, მსხვილ მამულებს, გამოიხსნის ვალებისაგან და ასე შემდეგ და სხვა მისთანა. იგივე უნდა განვუმარტოთ ქალაქის არაპროლეტარულ ან არა სავსებით პროლეტარულ მშრომელ მასასაც.

ასეთ აგიტაციას გერმანელი დამოუკიდებლები (ისე როგორც ლონგეტისტებიც) არ ეწევიან.

3. საბჭოთა სისტემა არის განადგურება იმ ბურჟუაზიული სიცრუისა, რომელიც «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას» უწოდებს ბეჭდვითი სიტყვის მოსყიდვის თავისუფლებას, მდიდრების, კაპიტალისტების მიერ გაზეთის ყიდვის თავისუფლებას, იმ თავისუფლებას, რომლის წყალობითაც

* — «თავისუფლება». რ ე დ.

კაპიტალისტები ასობით ყიდულობენ გაზეთებს და ამგვარად აყალბებენ ეგრეთწოდებულ «საზოგადოებრივ აზრს».

ეს ჭეშმარიტება გერმანელ დამოუკიდებლებს (როცა მათ შესახებ ვილაპარაკებთ, ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ვიგულისხმებთ აგრეთვე ლონგეტისტებსაც, ინგლისელ დამოუკიდებლებსაც და ასე შემდეგ და სხვა მისთანას) ვერ შეუგნიათ, არ ატარებენ მას, ყოველდღიურად არ ეწევიან აგიტაციას იმისათვის, რომ რევოლუციური გზით მოისპოს კაპიტალის მიერ პრესის ის დამონება, რასაც ბურჟუაზიული დემოკრატია ყალბად უწოდებს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას.

რაკი ასეთ აგიტაციას არ ეწევიან, დამოუკიდებლები მხოლოდ სიტყვით აღიარებენ (Lippenbekenntniss) საბჭოთა ხელისუფლებას, საქმით კი მთლად ბურჟუაზიული დემოკრატიის ცრურწმენით რჩებიან დაბეჩავებული.

უნარი არ შესწევთ განმარტონ სტამბებისა და საწყობების, ქაღალდის მარაგის ექსპროპრიაცია, ეს მ თ ა ვ ა რ ი რამ, ვინაიდან თვითონაც არ გაეგებათ.

4. იგივე შეეხება კრებების თავისუფლებას (ეს, ვიდრე მდიდრები საუკეთესო შენობებს ფლობენ ან საზოგადოებრივ შენობებს ყიდულობენ, მოტყუებაა), «ხ ა ლ ხ ი ს შეიარაღებას», სინდისის თავისუფლებას (= თავისუფლებას კაპიტალისათვის იყიდოს და მოისყიდოს მთელი საეკლესიო ორგანიზაციები რელიგიური ოპიუმით მასების გასაბრუებლად) და ყველა დანარჩენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებას.

5. პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს ბურჟუაზიის დამხობას ე რ თ ი კლასის, პროლეტარიატის მიერ, და ამასთან სწორედ მისი რევოლუციური ავანგარდის მიერ. მოთხოვნა იმისა, რომ ამ ავანგარდმა წ ი ნ დ ა წ ი ნ მოიპოვოს ხ ა ლ ხ ი ს უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა კენჭის ყრის საშუალებით ბურჟუაზიულ პარლამენტებში, ბურჟუაზიულ დამფუძნებელ კრებებში და სხვ., ესე იგი კენჭის ყრის საშუალებით დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ ო ნ ო ბ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს დ რ ო ს, ექსპლოატატორების არსებობის დროს, მათ მიერ ჩაგვრის

დროს, საწარმოო საშუალებების მიმართ კერძო საკუთრების არსებობის დროს, ამის მოთხოვნა, ან ამაზე ფიქრი — ნიშნავს საქმით პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისის მიტოვებას და ფაქტიურად ბურჟუაზიული დემოკრატიის თვალსაზრისზე გადასვლას.

სწორედ ასე იქცევიან გერმანელი დამოუკიდებლები და ფრანგი ლონგეტისტები. იმეორებენ რა წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ფრაზებს «ხალხის» (ბურჟუაზიის მიერ მოტყუებული და კაპიტალისაგან დაბეჩავებული) უმრავლესობის შესახებ, ეს პარტიები ობიექტურად ჯერ კიდევ ბურჟუაზიის მხარეზე დგანან პროლეტარიატის წინააღმდეგ.

6. პროლეტარიატის დიქტატურა გულისხმობს და ნიშნავს იმ ჭეშმარიტების ნათელ შეგნებას, რომ პროლეტარიატი, თავისი ობიექტური, ეკონომიური მდგომარეობის ძალით ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ს წ ო რ ა დ გამოხატავს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მ თ ე ლ ი მასის, ყველა ნახევრადპროლეტარის (ე. ი. ვინც ნაწილობრივ სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობს), ყველა წვრილი გლეხის ინტერესებს და სხვა მისთანას.

მოსახლეობის ეს ფენები მიჰყვებიან ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებს (მათ შორის II ინტერნაციონალის «სოციალისტურ» პარტიებს) არა თავისუფალი ნების გამოხატვის გამო (როგორც წვრილბურჟუაზიული დემოკრატია ფიქრობს), არამედ ბურჟუაზიის მიერ მათი პირდაპირი მოტყუების გამო, იმის გამო, რომ მათ ჩაგრავს კაპიტალი, წვრილბურჟუაზიული ბელადების თვითმოტყუების გამო.

მოსახლეობის ამ ფენებს (ნახევრადპროლეტარებსა და წვრილ გლეხებს) პროლეტარიატი თავის მხარეზე გადმოიყვანს, თავის მხარეზე მათ გადმოყვანას შეძლებს მხოლოდ თავისი გამარჯვების შ ე მ დ ე გ, მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, ესე იგი მას შემდეგ, რაც იგი ბურჟუაზიას დაამხობს, ამით ყ ვ ე ლ ა მშრომელს გაათავისუფლებს კაპიტალის ჩაგვრისაგან და პრაქტიკულად უ ჩ ვ ე ნ ებ ს მათ, რა სიკეთეს (ექსპლოატატორებისაგან განთავისუფლების

სიკეთეს) ანიჭებს მათ პროლეტარული სახელმწიფო ძალაუფლება.

ეს აზრი, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის იდეის საფუძველსა და არსს შეადგენს, გერმანელ დამოუკიდებლებს და ფრანგ ლონგეტისტებს არ ესმით, არ უნერგავენ მას მასებს, არ ეწევიან მის პროპაგანდას ყოველდღიურად.

7. პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის ძალდატანებით დათრგუნვის აუცილებლობის შეგნებას, მზადყოფნას, უნარს, გამბედაობას, რომ გაკეთდეს ეს. ხოლო რადგან ბურჟუაზია, ყველაზე უფრო რესპუბლიკური და დემოკრატიულიც კი (მაგალითად, გერმანიაში, შვეიცარიაში, ამერიკაში), სისტემატურად მიმართავს დარბევას, ლინჩის წესით გასამართლებას, მკვლელობას, სამხედრო ძალმომრეობას, ტერორს კომუნისტების წინააღმდეგ და სინამდვილეში პროლეტარიატის ყოველგვარი რევოლუციური ნაბიჯის წინააღმდეგ, ასეთ პირობებში ხელისაღება ძალდატანებაზე, ტერორზე — იმას ნიშნავს, რომ გადაიქცე მტირალა წვრილ ბურჟუად, იმას ნიშნავს, რომ თესო რეაქციული მეშჩანური ილუზიები სოციალური ზავის შესახებ, იმას ნიშნავს — კონკრეტულად თუ ვიტყვით — რომ ხმალმოღერებული ოფიცრის წინაშე დაფრთხე.

რადგან 1914 — 1918 წლების უაღრესად დანაშაულებრივმა და უაღრესად რეაქციულმა იმპერიალისტურმა ომმა ყველა ქვეყანაში აღზარდა და ყველა, უაღრესად დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც კი პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოიყვანა სწორედ ათეულ ათასობით რეაქციული ოფიცერი, რომლებიც ტერორს ამზადებენ და ტერორს ახორციელებენ ბურჟუაზიის სასარგებლოდ, კაპიტალის სასარგებლოდ პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ამიტომ ის დამოკიდებულება ტერორისადმი, რომელსაც საქმით იჩენენ გერმანელი დამოუკიდებელნი და ფრანგი ლონგეტისტები საპარლამენტო სიტყვებში, საგაზეთო სტატიებში, მთელ აგიტაციასა და პროპაგანდაში, არის ფაქტიური სრული უარისთქმა პროლეტარიატის დიქტატურის არსზე,

არის ფაქტიური გადასვლა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის პოზიციაზე, არის მუშების რევოლუციური შეგნების გ ა რ ყ ვ ნ ა.

8. იგივე შეეხება სამოქალაქო ომსაც. იმპერიალისტური ომის შემდეგ, რეაქციული გენერლებისა და ოფიცრების წინაშე, რომლებიც ტერორს იყენებენ პროლეტარიატის წინააღმდეგ, იმ ფაქტის წინაშე, რომ ა ხ ა ლ ი იმპერიალისტური ომები უ კ ვ ე მ ზ ა დ დ ე ბ ა **ყველა** ბურჟუაზიული სახელმწიფოს ახლანდელი პოლიტიკით, — და არა მარტო შეგნებულად მზადდება, არამედ ობიექტური აუცილებლობით გამომდინარეობს კიდეც მთელი მათი პოლიტიკიდან, — ასეთ პირობებში, ასეთ გარემოში, გოდება ექსპლოატატორთა წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო ომის გამო, მისი დაგმობა და მის წინაშე შიში — ეს იმას ნიშნავს, რომ საქმით რეაქციონერი გახდე.

ეს ნიშნავს შიშს მუშათა გამარჯვების წინაშე, რომელმაც შეიძლება ათეული ათასი მსხვერპლი შეიწიროს, და ამავე დროს ნამდვილად ნიშნავს იმას, რომ დაუშვა იმპერიალისტთა მიერ გამართული ახალი ხოცვა-ჟლეტა, რომელმაც მილიონობით მსხვერპლი შეიწირა გუშინ და მილიონობით მსხვერპლს შეიწირავს ხვალ.

ეს ნიშნავს ბურჟუაზიული გენერლებისა და ბურჟუაზიული ოფიცრების რეაქციული და მოძალადური საქციელის, ზრახვების და მზადების ფაქტიურად წ ა ქ ე ზ ე ბ ა ს.

სინამდვილეში სწორედ ასეთი რეაქციულია მოთაფლული, წვრილბურჟუაზიული, სანტიმენტალური პოზიცია გერმანელი დამოუკიდებლებისა და ფრანგი ლონგეტისტებისა სამოქალაქო ომის საკითხში. თვალებს ხუჭავენ თეთრი გვარდიის ოინების წინაშე, ბურჟუაზიის მიერ მისი მომზადების წინაშე, ბურჟუაზიის მიერ მისი შექმნის წინაშე და პირფერულად, ფარისევლურად (ან ლაჩრულად) ზურგს აქცევენ მუშაობას წითელი გვარდიის შესაქმნელად, პროლეტარების წითელი

არმიის შესაქმნელად, რომელსაც უნარი შესწევს დათრგუნოს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა.

9. პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოთა ხელისუფლება ნიშნავს იმის ნათელ შეგნებას, რომ აუცილებლად საჭიროა გ ა ს ტ ე ხ ო, ნამსხვრევებად აქციო, ბურჟუაზიული (თუნდაც რესპუბლიკურ-დემოკრატიული) სახელმწიფო აპარატი, სასამართლოები, ბიუროკრატია, — სამოქალაქო და სამხედრო, და ა. შ.

არც ამ ჭეშმარიტების შეგნებას, არც ყოველდღიურ აგიტაციას მის სასარგებლოდ არ ამჟღავნებენ გერმანელი დამოუკიდებლები და ფრანგი ლონგეტისტები. კიდევ უარესი: ისინი მ თ ე ლ აგიტაციას ეწევიან ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო სულისკვეთებით.

10. ყოველი რევოლუცია (რეფორმისაგან განსხვავებით) თავისთავად ნიშნავს კრიზისს და ძალიან ღრმა კრიზისსაც, როგორც პოლიტიკურს, ისე ეკონომიურსაც. ეს — ომის მიერ შექმნილი კრიზისის მიუხედავად.

პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის ამოცანაა — განუმარტოს მუშებსა და გლეხებს, რომ საჭიროა სიმამაცე, რათა გაბედულად შევხვდეთ ამ კრიზისს და რევოლუციურ ღონისძიებებში ვპოვოთ წ ყ ა რ ო ამ კრიზისის დასაძლევი ძ ა ლ ი ს ა. მხოლოდ მაშინ შეეძლება პროლეტარიატს ექსპლოატატორებზე გამარჯვება და კაცობრიობის საბოლოოდ ხსნა ომებისა, კაპიტალის ჩაგვრისა და დაქირავებული მონობისაგან, თუ იგი დაძლევს ამ უდიდეს კრიზისებს რევოლუციური ენთუზიაზმით, რევოლუციური ენერგიით, რევოლუციური მზადყოფნით ყველაზე მძიმე მსხვერპლთა გასაღებად.

სხვა გამოსავალი არ არის, ვინაიდან კაპიტალიზმისადმი რეფორმისტული დამოკიდებულებით წარმოიშვა გუშინ (და აუცილებლად წარმოიშობა ხვალ) მილიონობით ადამიანების იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტა და ყოველგვარი გაუთავებელი კრიზისები.

ეს ძირითადი აზრი, ურომლისოდაც პროლეტარიატის დიქტატურა ცარიელი ფრაზაა, არ ესმით დამოუკიდებლებსა

და ლონგეტისტებს, თავიანთ პროპაგანდასა და აგიტაციაში არ ამქღავნებენ მას, არ უხსნიან მასებს.

11. დამოუკიდებლები და ლონგეტისტები კი არ აღრმავებენ, კი არ ავითარებენ მასებში იმ რეფორმიზმის სიდამპლისა და დამღუპველობის შეგნებას, რომელიც ფაქტიურად ჭარბობდა II ინტერნაციონალში (1889 — 1914) და რომელმაც დაღუპა იგი, არამედ აბნელებენ ამ შეგნებას, ჩქმალავენ სენს, არ ააშკარავებენ, არ ამხილებენ მას.

12. გამოვიდნენ რა II ინტერნაციონალიდან, დაგმეს რა იგი სიტყვიერად (მაგალითად, კრისპინის ბროშურაში), დამოუკიდებლები სინამდვილეში ხელს უწვდიან ფრიდრიხ ადლერს, ბატონ ნოსკეებისა და შეიდემანების ავსტრიული პარტიის წევრს.

დამოუკიდებლები ითმენენ თავიანთ წრეში ლიტერატორებს, რომლებიც პირწმინდად უარყოფენ პროლეტარიატის დიქტატურის ყველა ძირითად ცნებას.

საქმისა და სიტყვის ეს გათიშვა ახასიათებს გერმანიის დამოუკიდებელთა პარტიისა და საფრანგეთის ლონგეტისტების პარტიის ბ ე ლ ა დ ე ბ ი ს მთელ პოლიტიკას. სწორედ ბელადები იზიარებენ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის და პროლეტარიატის რეფორმისტულად გარყვნილი ზედაფენების ცრურწმენას, წინააღმდეგ მუშათა იმ მ ა ს ე ბ ი ს რევოლუციური სიმპათიებისა, რომლებიც საბჭოთა სისტემისაკენ მიილტვიან.

13. დამოუკიდებლებს და ლონგეტისტებს არ ესმით და ისინი არ უხსნიან მასებს, რომ მოწინავე ქვეყნების იმპერიალისტურმა ზემოგებებმა საშუალება მისცა მათ (და ახლაც აძლევს საშუალებას) მ ო ი ს ყ ი დ ო ნ პროლეტარიატის ზედაფენები, გადაუყარონ ხოლმე მათ ამ ზემოგების (რომელსაც კოლონიებიდან და სუსტი ქვეყნების ფინანსური ექსპლოატაციიდან იღებენ) ნამცეცები, შექმნან განსწავლულ მუშათა პრივილეგიური ფენა და სხვა მისთ.

ამ ბოროტების მხილების გარეშე, არა მარტო ტრედ-უნიონისტურ ბიუროკრატიასთან, არამედ ამქრული მეშჩანობის,

მუშათა არისტოკრატიის, მუშათა ზედაფენის პრივილეგიების ყოველგვარ გამოხატულებასთან ბრძოლის გარეშე, რევოლუციური პარტიიდან ამგვარი განწყობილების წარმომადგენელთა დაუნდობლად გაძევების გარეშე, დაბალი ფენებისადმი, სულ უფრო და უფრო ფართო მასებისადმი, ექსპლოატირებულთა ნამდვილი უმრავლესობისადმი მიმართვის გარეშე ლაპარაკიც კი არ შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურაზე.

14. დამოუკიდებლებს და ლონგეტისტებს რომ არა სურთ ან არ შეუძლიათ იმპერიალიზმით დაავადებული მუშების ზედაფენებთან კავშირის გაწყვეტა, იქიდანაც ჩანს, რომ ისინი არ ეწევიან აგიტაციას კოლონიების ხალხთა ყოველი აჯანყებისა და რევოლუციური მოძრაობის პირდაპირი და აუცილებელი მხარდაჭერის სასარგებლოდ.

ასეთ პირობებში კოლონიური პოლიტიკისა და იმპერიალიზმის დაგმობა პირფერობად ან გონებაჩლუნგი მეშჩანის ფუჭ ოხვრად იქცევა.

15. დამოუკიდებლები და ლონგეტისტები არ ეწევიან აგიტაციას ჯარში (ჯარში შესვლისათვის იმ მიზნით, რომ მოამზადონ იგი მუშების მხარეზე გადასასვლელად ბურჟუაზიის წინააღმდეგ). ისინი არ ქმნიან ორგანიზაციებს ამისათვის.

ბურჟუაზიის ძალმომრეობას, მის მიერ «კანონიერების» დაუსრულებელ დარღვევას (როგორც იმპერიალისტური ომის დროს, ისე მისი დამთავრების შემდეგ) ისინი არ უპასუხებენ არალეგალური ორგანიზაციების სისტემატური პროპაგანდით და ასეთი ორგანიზაციების **შექმნით.**

ლეგალური მუშაობის არალეგალურ მუშაობასთან და ლეგალური ორგანიზაციების არალეგალურ ორგანიზაციებთან შეერთების გარეშე ლაპარაკიც კი არ შეიძლება პროლეტარიატის ნამდვილ რევოლუციურ პარტიაზე არც გერმანიაში, არც შვეიცარიაში, არც ინგლისში, არც საფრანგეთში, არც ამერიკაში.

16. საერთოდ და მთლიანად დამოუკიდებლებისა და ლონგეტისტების მთელი პროპაგანდა, მთელი აგიტაცია, მთელი ორგანიზაცია უფრო მეშჩანურ-დემოკრატიულია, ვიდრე რევოლუციურ-პროლეტარული; — პაციფისტურია და არა სოციალურ-რევოლუციური.

ამის გამო პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა ხელისუფლების «აღიარება» მხოლოდ სიტყვიერი რჩება.

---

დასკვნა: საქმის ასეთი ვითარების გამო რუსეთის კომუნისტურ პარტიას ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად მიაჩნია — არ გაერთიანდეს დამოუკიდებლებთან და ლონგეტისტებთან ერთ ინტერნაციონალში, არამედ დაიცადოს, ვიდრე საფრანგეთისა და გერმანიის მუშათა რევოლუციური მასები გამოასწორებენ ისეთი პარტიების სისუსტეს, შეცდომებს, ცრურწმენებს, არათანმიმდევრობას, როგორიც არიან დამოუკიდებლები და ლონგეტისტები.

კომუნისტურ ინტერნაციონალში ასეთ პარტიებს, რუსეთის კომუნისტური პარტიის აზრით, ადგილი არ უნდა ჰქონდეთ.

მაგრამ ამასთანავე რუსეთის კომუნისტური პარტია უარს არ ამბობს ყველა იმ პარტიასთან მოთათბირებაზე, რომელთაც მასთან თათბირი და მისი აზრის გაგება სურთ.

დაიბეჭდა 1920 წ. მარტში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

# სიტყვა მოსკოვის კვანძის რკინიგზელთა კონფერენციაზე 1920 წლის 5 თებერვალს

## მოკლე საგაზეთო ანგარიში

დიდი სიტყვა წარმოთქვა ვ. ი. ლენინმა, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

საერთაშორისო მდგომარეობაში, თქვა ამხანაგმა ლენინმა, ყველაზე ბრწყინვალე ფაქტია ზავი ესტონეთთან. ეს ზავი — სარკმელია ევროპისაკენ. ამით ჩვენთვის იხსნება შესაძლებლობა დავიწყოთ საქონლის გაცვლა დასავლეთის ქვეყნებთან. ჩვენი მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ, რომ რევოლუცია დასავლეთში შორსაა და რომ უიმისოდ ჩვენ ვერ გავძლებთ. მაგრამ ჩვენ არათუ გავძელით, არამედ გავიმარჯვეთ კიდეც.

გავიმარჯვეთ ისე, რომ არსაიდან არ მიგვიღია არც ერთი ვაზნა, გავიმარჯვეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მუშებმა და წითელარმიელებმა იცოდნენ, თუ რისთვის ომობენ.

თუ პატარა ხალხები, რომლებიც სათამაშოებს წარმოადგენენ ანტანტის ხელში, საბჭოთა რუსეთთან ზავის დადებისაკენ მიილტვიან, ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენ საქმით დავამტკიცეთ, თუ როგორ მოატყუეს ისინი იმპერიალისტებმა და როგორ გულთბილად უწვდის მათ სამშვიდობო ხელს რუსი პროლეტარიატი. ესტონეთს პოლონეთი მიჰყვა. მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ პოლონეთი განიხილავს საბჭოთა რუსეთის საზავო წინადადებას. ამ უსისხლო გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

გადავიდა რა საშინაო მდგომარეობის საკითხზე, ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, რომ ეს მდგომარეობა ტრანსპორტის

მოშლილობასთან ბრძოლაში გამოიხატება. ახლა რკინიგზის ტრანსპორტი ბეწვზე ჰკიდია. თუ მატარებლები გაჩერდა, ეს პროლეტარული ცენტრებისათვის დაღუპვა იქნება. აუცილებლად საჭიროა მუშათა მასების გმირული ძალ-ღონე, რათა ტრანსპორტს ხელი შეეწყოს და გაადვილდეს შიმშილთან და სიცივესთან ბრძოლა. თუ სამოქალაქო ომში, რომელმაც ამდენი მსხვერპლი შეიწირა, შესაძლებელი იყო არნახული გმირობა, რამაც საქმე ჩვენ სასარგებლოდ გადაწყვიტა, ეს გმირობა და მსხვერპლი აუცილებლად საჭიროა ახლაც, როდესაც ომი სხვა ფრონტზე — სამრეწველო ფრონტზე გადავიდა. ახლა აუცილებელია გამარჯვებები ამ უსისხლო ფრონტზე.

უნდა გავიგოთ, რომ აქაც საჭიროა მსხვერპლი. მსხვერპლის ფასად უნდა ავამაღლოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა. «სიკვდილი ან გამარჯვება» — უნდა იქცეს ლოზუნგად სამრეწველო ფრონტზე. საჭიროა, რომ მუშებმა შეიგნონ უაღრესად დაძაბული ბრძოლის აუცილებლობა ამ ფრონტზე გამარჯვებისათვის. ძალიან ძნელი ბრძოლა მოგველის, და ამ ბრძოლის გაწევა მოუხდებათ დაღლილ, დამშეულ მუშებს; მაგრამ თუ ისინი შეიგნებენ, რომ ამ ბრძოლის დამთავრებაზეა დამოკიდებული მუშათა კლასის ბედ-იღბალი — ისინი თავისას გაიტანენ.

საკითხი ტრანსპორტის შესახებ ამჟამად ირჩევა თავდაცვის საბჭოში. მაგრამ თვით მუშები უნდა დაირაზმონ იმისათვის, რომ ებრძოლონ ტრანსპორტის მოშლილობას და სპეკულაციას, რომელიც ხელს უწყობს ამ მოშლას. ისინი, ვინც პურის ნაჭარბს სახელმწიფოს არ აძლევენ, რკინიგზებს სპეკულაციის იარაღად აქცევენ, — ისინი ჩვენ წინააღმდეგ არიან, და შეგნებული მუშები დარაზმულად უნდა იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ.

წითელი არმია გამარჯვებისაკენ მარტო აგიტაციით კი არ მიგვყავდა, არამედ მკაცრი რკინისებური დისციპლინითაც. ის, რაც წითელ არმიაში მოვაწყვეთ, აუცილებლივ უნდა შევქმნათ შრომის ყველა ფრონტზე. წითელი არმიის შექმნის მთელი გამოცდილება უნდა გადავიტანოთ მშრომელთა რკინიგზის

არმიაში, რათა იგი იმავე სიმაღლეზე დავაყენოთ, რომელზეც წითელი არმია ავიდა. უმსხვერპლოდ, რკინისებური დისციპ-ლინის გარეშე, სპეციალისტთა გამოუყენებლად წითელი არმია ვერ გაიმარჯვებდა, ვერ გაიმარჯვებს ვერც რკინიგზის არმია. (ტ ა შ ი.)

«პეტროგრადსკაია პრავდა» № 28, 1920 წ. 7 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «პეტროგრადსკაია პრავდას» ტექსტის მიხედვით

# თუ ომია, ომი იყოს

მემამულეებმა და კაპიტალისტებმა, რომლებიც რუსეთის მუშებმა და გლეხებმა დაამხვეს, თავს მოგვახვიეს ორწლიანი სამოქალაქო ომი მთელი მსოფლიოს კაპიტალისტების დახმარებით.

ამ ომს ჩვენ ძლევამოსილად ვამთავრებთ.

ჩვენ უკვე მოვიპოვეთ პირველი ზავი, რამაც ცხადყო ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის უპირატესობა ყველა ქვეყნის გაერთიანებულ კაპიტალისტთა პოლიტიკასთან შედარებით. ეს კაპიტალისტები მთელი ძალ-ღონით უშლიდნენ ხელს ჩვენსა და ესტონეთს შორის ზავის შეკვრას. ჩვენ ისინი დავამარცხეთ. ჩვენ დავდევით ზავი ესტონეთთან, — პირველი ზავი, რომელსაც მოჰყვება სხვა მრავალი ზავი, რაც ჩვენ ევროპასთან და ამერიკასთან საქონლის გაცვლის შესაძლებლობას მოგვცემს.

სისხლიან ომს, რომელიც ექსპლოატატორებმა თავს მოგვახვიეს, ძლევამოსილად ვამთავრებთ. ორ წელიწადში ჩვენ ვისწავლეთ გამარჯვება და გავიმარჯვეთ.

ახლა ჯერი უსისხლო ომზე მიდგა.

მაშ გამარჯვებისაკენ უსისხლო ომის ფრონტზე შიმშილისა და სიცივის წინააღმდეგ, პარტახტიანი ტიფისა და გაჩანაგების წინააღმდეგ, სიბნელისა და ნგრევის წინააღმდეგ!

ეს უსისხლო ომი თავს მოგვახვია იმ გაჩანაგებამ, რომელიც გამოიწვია სამწლიანმა იმპერიალისტურმა ომმა და

ორწლიანმა სამოქალაქო ომმა. იმისათვის, რომ დავამარცხოთ გაჭირვება და სიღატაკე, შიმშილი და სიდუხჭირე, რომლებიც ამ ომებმა გამოიწვია, მტკიცედ უნდა დავიხსომოთ, კარგად შევითვისოთ და რადაც უნდა დაჯდეს ყველგან გავატაროთ ცხოვრებაში წესი:

თუ ომია, ომი იყოს.

მუშებმა და გლეხებმა შეძლეს შეექმნათ წითელი არმია— მემამულისა და კაპიტალისტის გარეშე, მემამულისა და კაპიტალისტის წინააღმდეგ, შეძლეს ექსპლოატატორთა დამარცხება.

მუშები და გლეხები შეძლებენ შექმნან მშვიდობიანი შრომის წითელი არმიები, — შეძლებენ ახალი ბედნიერების მოპოვებას მიწათმოქმედებისა და მრეწველობის აღდგენით.

პირველი და ძირითადი ნაბიჯი ამისათვის არის, რადაც უნდა დაჯდეს, ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი ს დაუყოვნებლივი ა ღ დ გ ე ნ ა, ჩატარებული რევოლუციური ენერგიით, განხორციელებული სამხედრო გამბედაობით, დარაზმულობით, სისწრაფითა და თავდადებით.

ყველანი სამუშაოზე, ამხანაგებო!

დავამტკიცოთ, რომ მშვიდობიანი შრომის ასპარეზზე ჩვენ შეგვიძლია გმირობისა და გამარჯვების კიდევ უფრო მეტი სასწაულის მოხდენა, ვიდრე ექსპლოატატორების წინააღმდეგ გამართული ომის ასპარეზზე!

1920 წ. 7 თებერვალი.

«პრავდა» № 28, 1920 წ. 8 თებერვალი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

# სიტყვა გლაგუშე-ლეფორტის რაიონის უპარტიო კონფერენციაზე 1920 წ. 9 თებერვალს

## საგაზეთო ანგარიში

თავის სიტყვაში ამხანაგი ლენინი ეხება საბჭოთა თანამედროვეობის ორ მწვავე საკითხს: საერთაშორისო მდგომარეობასა და შრომის ფრონტს.

— ჩვენმა წითელმა არმიამ, — ამბობს ამხანაგი ლენინი, — თავისი გამარჯვებებით განამტკიცა საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა და მოგვცა პირველი გამარჯვება ანტანტის იმპერიალისტებზე. რით აიხსნება ეს გამარჯვება? ცხადია, რომ ამას მივაღწიეთ არა მარტო ფრონტზე გამარჯვებებით, არამედ იმით, რომ ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანეთ იმ ქვეყნების ჯარისკაცები, რომლებიც ჩვენ წინააღმდეგ ომობენ. მოკავშირეებმა დესანტის გადმოსხმით თვითონვე გახრწნეს თავიანთი არმია და იძულებული გახდნენ მალე უკანვე წაეყვანათ იგი. ჯარისკაცებმა უარი თქვეს ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრებაზე. მარტო ერთი სიტყვა «საბჭოთა ხელისუფლება», ე. ი. მშრომელთა ხელისუფლება, სიხარულით ავსებს მთელი მსოფლიოს პროლეტართა გულებს.

აგიტაციისა და პროპაგანდის გზით ჩვენ წავართვით ანტანტას მისი საკუთარი ჯარები. ჩვენ დავამარცხეთ იმპერიალისტები არა მარტო ჩვენი ჯარისკაცების დახმარებით, არამედ იმითაც, რომ ჩვენ დავემყარეთ აგრეთვე მათი საკუთარი ჯარისკაცების ჩვენდამი თანაგრძნობას. მეორე მხრივ, ჩვენ არა სიტყვით, არამედ საქმით დავამტკიცეთ ჩვენი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა ჩვენი მეზობელი პატარა სახელმწიფოების

მიმართ. ჩერჩილის პირით ინგლისი გვემუქრებოდა 14 სახელმწიფოს გამოლაშქრებით, მაგრამ ეს ლაშქრობა ჩაიშალა, როდესაც ჩვენს გამარჯვებებთან ერთად ჩვენ უცვლელად ვიმეორებდით ჩვენს საზავო წინადადებებს. ჩვენ ზავი შევთავაზეთ ესტონეთს და ანგარიში არ გავუწიეთ არავითარ საზღვრებს, ანგარიში გავუწიეთ მხოლოდ იმას, რომ ჩვენ არ გვსურს მუშისა და გლეხის სისხლის დაღვრა არავითარი საზღვრების გულისათვის.

ბლოკადის მოხსნა მხოლოდ და მხოლოდ იმ სიმპათიით აიხსნება, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება უნერგავს ჩვენდამი მტრულად განწყობილი ქვეყნების მუშებს. იტალიაში საქმე იქამდე მივიდა, რომ სოციალისტური პარტიების ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია საბჭოთა რუსეთისათვის ბლოკადის მოხსნისა და მასთან სავაჭრო ურთიერთობათა განახლების შესახებ. პატარა ქვეყნების ბურჟუაზიული მთავრობანი, თუმც მათ ბოლშევიკები არ უყვართ, დარწმუნდნენ, რომ ბოლშევიკებს სურთ მათთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, მაშინ როდესაც ისინი, ვისთანაც გენერალი დენიკინი თუ სხვა რომელიმე გენერალია, გამარჯვების მეორე დღესვე მოსპობდნენ ყოველგვარ ქაღალდს, რაც კი მცირე ხალხების დამოუკიდებლობას შეეხება. ჩვენ ისე დავდევით ზავი და ისე ჩავუყარეთ საფუძველი ზავის დადებას ყველა ჩვენ წინააღმდეგ მეომარ ქვეყანასთან, რომ არ გვისვრია არც ერთი ზარბაზანი, არც ერთი ტყვიამფრქვევი, არ მოგვიხდენია არც ერთი გასროლა. ჩვენ საქმით დავამტკიცეთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკის წინააღმდეგ ყველა მთავრობამ იარაღი უნდა დაყაროს.

ჩვენ უკვე გაჭრილი გვაქვს ევროპისაკენ სარკმელი და შევეცდებით იგი ფართოდ გამოვიყენოთ. ცდილობენ პოლონეთი წაგვისისიანონ, მაგრამ ეს ცდები ჩაეფუშებათ, და შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენ ზავს დავდებთ ყველასთან, თუმცა ისინი გვეუბნებიან, რომ არ გვცნობენ ჩვენ. მათ, როგორც ცეცხლისა, ისე ეშინიათ თავიანთ სახლში ბოლშევიკური სენის გავრცელებისა, მაგრამ, თუმცა მათ ჩინური კედელი

შემოივლეს გარს, თვითეულ ამ ქვეყანაში მაინც არის უკვე ბოლშევიკური სენი, ის თვით მათშია. ეს სენი მიიტანეს ფრანგმა და ინგლისელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც საბჭოთა რუსეთში იყვნენ და მისი ჰაერი ისუნთქეს. ამრიგად, ჩვენ მოვიპოვეთ ორი გამარჯვება. ჩვენ ყველა ფრონტზე შევმუსრეთ თეთრგვარდიელთა ბანდები, ვაღწევთ ზავს საერთაშორისო მასშტაბით და ვაღწევთ არა ზარბაზნებით, არამედ სიმპათიებით, რომლებიც ჩვენ შევძელით ჩაგვენერგა არა მარტო მუშებისათვის, არამედ მცირე ეროვნებათა ბურჟუაზიული მთავრობებისთვისაც კი.

შემდეგ ამხანაგი ლენინი მოკლედ ეხება შრომის ფრონტს.

— ამხანაგებო, — ამბობს იგი, — ჩვენ გაზაფხულს ვუახლოვდებით, ჩვენ გამოვიარეთ არნახული მძიმე ზამთარი, სიცივე, შიმშილი, პარტახტიანი ტიფი და რკინიგზის მოშლილობა. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ამ ფრონტზეც. თუ ჩვენ შევძელით ომის დროს ყველაფერი მსხვერპლად შეგვწირა, გაგვეღო მთელი საუკეთესო ძალები, — მოწინავე მუშები, კომუნისტები და კურსანტები ყველაზე წინ იღუპებოდნენ და ამით მთელ არმიას მხნეობას მატებდნენ, — ჩვენ ახლაც ვამბობთ: უნდა გავუძლოთ სამეურნეო ნგრევის ამ ფრონტს; როგორც მაშინ, კომუნისტებო და მოწინავე მუშებო, ყველაზე კეთილსინდისიერნო, ყველაზე პატიოსანნო, ყველაზე კარგნო, ყველაზე მტკიცენო, წინ! თვითეული მატარებლისათვის, თვითეული ორთქლმავალისათვის უნდა ვიომოთ, უნდა ვიბრძოლოთ. ამისაკენ მოვუწოდებ მე უპარტიო კონფერენციას.

ამხანაგებო, ვიდრე ჩემს მოხსენებას დავამთავრებდე, კიდევ რამდენიმე სიტყვა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიიღო სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უკანასკნელმა სესიამ. სესიამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ამ დღეებში გამოქვეყნდება გაზეთებში და რომლებიც წაკითხულ და გარჩეულ უნდა იქნეს მუშათა ყველა კრებაზე, კლუბებში, ფაბრიკებში, ქარხნებსა და წითელარმიელთა ნაწილებში. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

დადგენილება, რომლისთვისაც, ჩემი აზრით, სერიოზული ყურადღება უნდა მიგვექცია, არის დადგენილება ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ ჩვენს დაწესებულებებში. როგორც ერთ-ერთი ღონისძიება, არის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ჩვენი სახელმწიფო კონტროლის აპარატის გარდაქმნის შესახებ მუშურ-გლეხური კონტროლის ანუ მუშათა ინსპექციის აპარატად[73]. არ გავრეკთ რა ძველ მოხელეებს, სწორედ ისევე, როგორც არც არმიიდან ჩვენ არ გაგვიძევებია სპეციალისტები და მივუჩინეთ მათ მუშა კომისრები, ასევე ამ ბურჟუაზიულ სპეციალისტებს უნდა მივუჩინოთ მუშათა ჯგუფები, რომლებიც თვითონვე დაუკვირდებოდნენ, შეისწავლიდნენ და ხელში აიღებდნენ ამ სამუშაოს. საჭიროა, რომ მუშები შევიდნენ ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, რომ ისინი კონტროლს უწევდნენ მთელ სახელმწიფო აპარატს, და ეს უნდა გააკეთონ უპარტიო მუშებმა, რომლებმაც თავიანთი წარმომადგენლები უნდა აირჩიონ უპარტიო მუშურ-გლეხურ კონფერენციებზე. უნდა დავეხმაროთ კომუნისტებს, რომლებიც იღლებიან მეტისმეტად მძიმე ტვირთისაგან. ამ აპარატში ჩვენ უნდა შევიყვანოთ რაც შეიძლება მეტი მუშები და გლეხები. ჩვენ ამას ხელს მოვკიდებთ, ჩვენ ამას გავაკეთებთ და ამით განვდევნით ბიუროკრატიზმს ჩვენი დაწესებულებებიდან. აუცილებლად საჭიროა, რომ ფართო უპარტიო მასები ამოწმებდნენ ყველა სახელმწიფო საქმეს და თვითონ სწავლობდნენ მართვა-გამგეობას.

«პრავდა» № 32, 1920 წ.
13 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

# პუბლიცისტის შენიშვნები

## I

მოქალაქე ჟან ლონგემ მე გამომიგზავნა წერილი, რომლის ძირითად შინაარსს შეადგენს იგივე საჩივრები, რაც არის ლონგესვე სტატიაში: «როგორ ატყუებენ რუსებს?» («**Populaire**»[73] 1920 წ. 10 იანვრისა). ლონგემ თავისი გაზეთის ეს ნომერიც გამომიგზავნა «ინტერნაციონალის აღდგენის კომიტეტის» («**Comité pour la Reconstruction de l'Internationale**»)[74] ფურცელთან ერთად. ფურცელში დაბეჭდილია რეზოლუციების ორი პროექტი ფრანგული სოციალისტური პარტიის მომავალი ყრილობისათვის, რომელიც სტრასბურგში შედგება. ფურცელს «ინტერნაციონალის აღდგენის კომიტეტის» სახელით ხელს აწერს 24 პირი: ამედეი დიუნუა, მოქალაქე ფანი კლარი, კოსი, დელეპინი, პოლ ფორი, ლ.-ო. ფროსარი, ეჟენ ფრო, გურდო, მოქალაქე ლეისიანი, ლე ტროკე, პოლ ლუი, ჟან ლონგე, მორის მორენი, მაიერა, მურე, მორანჟი, პალიკო, პეშერი, მოქალაქე მარიანა როზი, დანიელ რენუ, სერვანტიე, სიქსტ-კენენი, ტომაზი, ვერფეილი.

მე მგონია ზედმეტია ვუპასუხოთ ჟან ლონგეს საჩივრებსა და გამოლაშქრებას: საკმარისი პასუხია ფ. ლორიოს სტატია 1920 წ. 16 იანვრის «**Vie Ouvrière**»[75]-ში სათაურით: «წყნარად, ლონგე!» («**Tout doux, Longuet!**») და ტროცკის სტატია «კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალის»[76] № 7 — 8-ში «ჟან ლონგე». დასამატებელი სულ ცოტაღა რჩება; მხოლოდ ის, რომ საჭირო იქნებოდა შეგვეგროვებინა მასალები 1919 წლის 21 ივლისის გაფიცვის ჩაშლის ისტორიიდან. მაგრამ მოსკოვიდან

ამის გაკეთება მე არ ძალმიძს. მე მხოლოდ ავსტრიის ერთ კომუნისტურ გაზეთში ვნახე ამონაწერი «Avanti!»-დან[77], სადაც მხილებულია ერთ-ერთი უსაზიზღრესი სოციალ-გამცემლის (ანუ ანარქო-გამცემლის?), ყოფილი სინდიკალისტური და ანტიპარლამენტარისტული მყვირალას ჟუოს (Jouhaux) საზიზღარი როლი ამ საქმეში. რატომ არ შეიძლება ლონგემ ვინმეს მიანდოს სამუშაო, რომლის გაკეთება პარიზში ადვილია და რომელიც შეაგროვებდა ყველა დოკუმენტს, ევროპის კომუნისტური გაზეთების ყველა შენიშვნასა და სტატიას, ყველა დაინტერესებულ ბელადთა და მონაწილეთა ყველა სპეციალურ ინტერვიუს 1919 წ. 21 ივლისის გაფიცვის ჩაშლის საკითხზე? ამ ნაშრომს ჩვენ აღტაცებით გამოვცემდით. «სოციალისტური აღზრდა», რომელზეც მთელი მსოფლიოს «ცენტრისტები» (დამოუკიდებელნი გერმანიაში, ლონგეტისტები საფრანგეთში, I. L. P.* ინგლისში და სხვანი მისთანანი) ასე ბევრსა და ასე ხალისით ლაპარაკობენ, უნდა გავიგოთ არა როგორც სოციალიზმის გადაღეჭილი აზრების პედანტურ-დოქტრინიორული განმეორება, რაც ყველას მობეზრდა და 1914 — 1918 წლების შემდეგ არავის ნდობას არ იმსახურებს, არამედ როგორც ბელადთა შ ე ც დ ო მ ე ბ ი ს ა და მოძრაობის შეცდომების განუხრელი მ ხ ი ლ ე ბ ა.

მაგალითად, ყველა ბელადი, სოც. პარტიების, პროფ. კავშირების, მუშათა კოოპერატივების ყველა გამოჩენილი წარმომადგენელი, რომლებიც 1914 — 1918 წლების ომში «სამშობლოს დაცვის» მომხრენი იყვნენ, იქცეოდა როგორც სოციალიზმის გამცემი. მათი შეცდომის განუხრელი მხილება, სისტემატური ახსნა-განმარტება იმისა, რომ ეს ომი ო რ ი ვ ე მხრივ იყო ყაჩაღების ომი ნაძარცვი ნადავლის გასაყოფად, რომ ამგვარივე ომი **აუცილებლად** განმეორდება, თუ პროლეტარიატმა რევოლუციურად არ დაამხო ბურჟუაზია, — აი ეს ნიშნავს საქმით ეწეოდე «სოციალისტურ აღზრდას».

---

* — Independent Labour Party — დამოუკიდებელი მუშათა პარტია. რ ე დ.

სწორედ ჩემ მიერ დასახელებული რეზოლუციები ასეთ აღზრდაზე ლაპარაკობენ, ნამდვილად კი სოციალისტური გარყვნის სამუშაოს ეწევიან, რადგან მალავენ და ჩქმალავენ იმ ღალატს, გამცემლობას, რუტინას, დამყაყებას, საკუთარ თავზე ზრუნვას, მეშჩანობას, იმ შეცდომებს, რომელთა დაძლევაში, რომელთაგან შეგნებულად თავის დაღწევაში მდგომარეობს სწორედ ნამდვილი აღზრდა.

## II

ლონგეტისტების არც ერთი რეზოლუცია არაფრად ვარგა. თუმცა ისინი ძალიან გამოსადეგია ერთი განსაკუთრებული მიზნისათვის: დასავლეთის მუშათა მოძრაობისათვის ამჟამად, შეიძლება ითქვას, ყველაზე სახიფათო ბოროტების ილუსტრაციისათვის. ეს ბოროტება იმაში მდგომარეობს, რომ ძველი ბელადები, ხედავენ რა მასების შეუკავებელ მისწრაფებას ბოლშევიზმისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი, გამოსავალს ეძებენ (დ ა ხ შ ი რ ა დ პ ო უ ლ ო ბ ე ნ!) პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების ს ი ტ ყ ვ ი ე რ აღიარებაში, ნამდვილად კი რჩებიან ან პროლეტარიატის დიქტატურის მტრებად, ანდა ისეთ ადამიანებად, რომელთაც უნარი არა აქვთ ან არ სურთ გაიგონ მისი მნიშვნელობა და გაატარონ იგი ცხოვრებაში.

თუ რა უზარმაზარია, რა განუზომლად დიდია საფრთხე ამგვარი ბოროტებისა, ეს განსაკუთრებით თვალნათლივ ცხადყო პირველი საბჭოთა რესპუბლიკის დაღუპვამ უნგრეთში[78] (პირველ დაღუპულს მოჰყვება მეორე ძლევამოსილი). «წითელ დროშაში» («Die Rote Fahne», ვენა[79]), ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოში, მთელი რიგი სტატიებით გამოაშკარავებული იყო ამ დაღუპვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი: «სოციალისტების» ღალატი, რომლებიც სიტყვიერად ბელა კუნის მხარეზე გადავიდნენ და თავი კომუნისტებად გამოაცხადეს, საქმით კი არ ატარებდნენ ცხოვრებაში პროლეტარიატის დიქტატურის შესაფერ პოლიტიკას, არამედ მერყეობდნენ, სულმოკლეობდნენ, გადაირბენდნენ

ხოლმე ბურჟუაზიისაკენ, ნაწილობრივ პირდაპირ საბოტაჟს უწევდნენ პროლეტარულ რევოლუციას და ღალატობდნენ მას. უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკას გარშემორტყმულმა მთელი მსოფლიო იმპერიალიზმის უძლიერესმა ყაჩაღებმა (ე. ი. ინგლისის, საფრანგეთის ბურჟუაზიულმა მთავრობებმა და ა. შ.) შეძლეს, რასაკვირველია, ესარგებლათ ამ მერყეობით უნგრეთის საბჭოთა ხელისუფლების მთავრობის შ ი გ ნ ი თ, და მხეცურად ჩაახრჩვეს იგი რუმინელი ჯალათების ხელით.

უეჭველია, რომ უნგრელი სოციალისტების ნაწილი გ უ ლ წ რ ფ ე ლ ა დ გადავიდა ბელა კუნის მხარეზე და მათ გ უ ლ წ რ ფ ე ლ ა დ გამოაცხადეს თავი კომუნისტებად. მაგრამ საქმის არსი ამით სულაც არ იცვლება: ისეთი ადამიანი, რომელმაც თავისი თავი «გულწრფელად» აღიარა კომუნისტად, ხოლო საქმით ნაცვლად დაუნდობლად მტკიცე, შეუდრეკლად გაბედული, თავდადებამდე გამბედავი და გმირული პოლიტიკისა (— მხოლოდ ასეთი პოლიტიკა შეეფერება პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებას) — მერყეობს და სულმოკლეობს, — ამგვარი ადამიანი თავისი უნიათობით, თავისი მერყეობით, თავისი გაუბედაობით ისეთსავე ღალატს სჩადის, როგორც უშუალოდ გამცემი. პირადი აზრით განსხვავება სისუსტის გამო გამცემსა და განზრახ, შეგნებულ და ანგარიშით გამცემს შორის ძალიან დიდია; პოლიტიკური მხრით ასეთი განსხვავება ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს, რადგან პოლიტიკა — მილიონობით ადამიანების ფაქტიური ბედ-იღბალია, ხოლო ეს ბედ-იღბალი არ იცვლება იმით, სისუსტის გამო გამცემლებმა გასცეს მილიონობით მუშა და ღარიბი გლეხი თუ ანგარებით გამცემლებმა.

თუ რა ნაწილი ლონგეტისტებისა, რომელთაც ხელი მოაწერეს ჩვენ მიერ განხილულ რეზოლუციებს, აღმოჩნდება პირველი თუ მეორე დასახელებული კატეგორიის ან რომელიმე მესამე კატეგორიის ადამიანებად, ახლა ამის ცოდნა შეუძლებელია და ასეთი საკითხის გადაჭრის ცდა ფუჭი საქმე იქნებოდა. საყურადღებოა მხოლოდ ის, რომ ეს ლონგეტის-

ტები, როგორც პოლიტიკური მიმართულება, ამჟამად უნგრელი «სოციალისტებისა» და «სოციალ-დემოკრატების» სწორედ იმავე პოლიტიკას ეწევიან, რომელმაც დაღუპა საბჭოთა ხელისუფლება უნგრეთში. ლონგეტისტები სწორედ ამ პოლიტიკას ეწევიან, რადგან სიტყვიერად ისინი თავიანთ თავს პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა ხელისუფლების მომხრეებად აცხადებენ, საქმით კი ისევ ძველებურად იქცევიან, თავიანთ რეზოლუციებშიც განაგრძობენ სოციალ-შოვინიზმისადმი, ოპორტუნიზმისადმი, ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი წვრილ-წვრილი დათმობების ძველ პოლიტიკას, მერყეობის, გაუბედაობის, ორჭოფობის, თავის დაძვრენის, მიჩქმალვისა და სხვა მისთანათა პოლიტიკას. ეს წვრილმანი დათმობანი, მერყეობანი, გაუბედაობა, ორჭოფობა, თავის დაძვრენა და მიჩქმალვა საბოლოო ჯამში აუცილებლად იძლევა პროლეტარიატის დიქტატურის ღალატს.

დიქტატურა დიდი, მკაცრი, სისხლიანი სიტყვაა, სიტყვა, რომელიც გამოხატავს ორი კლასის, ორი სამყაროს, ორი მსოფლიო-ისტორიული ეპოქის ულმობელსა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას.

ასეთი სიტყვების ტყუილ-უბრალოდ წამოსროლა არ შეიძლება.

დღის მორიგ საკითხად პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების წამოყენება და ამავე დროს იმის «შიში», რომ არ «ვაწყენინოთ» ალბერ ტომებს, ბატონ ბრაკებს, სამბებს, უბილწესი ფრანგული სოციალ-შოვინიზმის სხვა რაინდებს, მოღალატური გაზეთის «L'Humanité»-ს,* «La Bataille»-ს[80] გმირებს და სხვ. მისთ., ეს ნიშნავს ეწეოდე მოღალატეობას მუშათა კლასის მიმართ, — თავქარიანობით, შეგნების უქონლობით, უხასიათობით თუ სხვა რამ მიზეზებით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს ნიშნავს ეწეოდე მოღალატეობას მუშათა კლასის მიმართ.

სიტყვისა და საქმის ერთმანეთისაგან მოწყვეტამ დაღუპა მეორე ინტერნაციონალი. მესამეს დაბადების დღიდან ჯერ

* — «კაცობრიობა». რ ე დ.

ერთი წელიც არ შესრულებია, და ის უკვე მოდად და საცდუნებელ საშუალებად ხდება პოლიტიკანებისათვის, რომლებიც იქით მიდიან, საითაც მასა მიდის. მესამე ინტერნაციონალს უკვე ემუქრება სიტყვისა და საქმის ერთმანეთისაგან მოწყვეტა. რადაც უნდა დაჯდეს, ყველგან და ყოველთვის, უნდა ვამხილოთ ეს საფრთხე, ძირფესვიანად უნდა აღმოვფხვრათ ამ ბოროტების ყოველგვარი გამოვლენა.

ლონგეტისტების რეზოლუციები (ისე როგორც გერმანელ დამოუკიდებელთა, ამ გერმანელ ლონგეტისტთა, უკანასკნელი ყრილობის რეზოლუციებიც) «პროლეტარიატის დიქტატურას» აქცევენ ისეთივე ხატად, როგორიც იყო მეორე ინტერნაციონალის რეზოლუციები ბელადებისათვის, პროფ. კავშირთა მოხელეებისათვის, პარლამენტარიებისათვის, კოოპერატივთა თანამდებობის პირებისათვის: ხატზე უნდა ილოცონ, ხატის წინ შეიძლება პირჯვარი გადაიწერონ, ხატს უნდა ეთაყვანონ, მაგრამ ხატი სრულიად არ ცვლის პრაქტიკულ ცხოვრებას, პრაქტიკულ პოლიტიკას.

არა, ბატონებო, ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ლოზუნგი «პროლეტარიატის დიქტატურა» ხატად აქციონ, ჩვენ ვერ შევურიგდებით იმას, რომ III ინტერნაციონალმა მოითმინოს სიტყვისა და საქმის ერთმანეთისაგან მოწყვეტა.

თუ თქვენ პროლეტარიატის დიქტატურას ემხრობით, მაშინ ნუ ეწევით იმ ორჭოფულ, ნახევრად შემთანხმებლურ პოლიტიკას სოციალ-შოვინიზმის მიმართ, რომელსაც თქვენ ეწევით და რომელიც გამოხატულია თქვენი პირველი რეზოლუციის პირველსავე სტრიქონებში: ომმა, თურმე ნუ იტყვით, «გაგლიჯა» (a déchiré) II ინტერნაციონალი, ჩამოაშორა იგი «სოციალისტური აღზრდის» (éducation socialiste) საქმეს, ხოლო ამ «ინტერნაციონალის ზოგიერთმა ნაწილმა» (certaines de ses fractions) «თავი დაიუძლურა» მით, რომ ხელისუფლება გაინაწილა ბურჟუაზიასთან ერთად, და ასე შემდეგ და სხვა მისთანა.

ეს არ არის იმ ადამიანების ენა, რომლებიც შეგნებულად და გულწრფელად იზიარებენ პროლეტარიატის დიქტატურის

იდეას. ეს არის ან იმ ადამიანთა ენა, რომლებიც ერთ ნაბიჯს წინ დგამენ, ხოლო ორს უკან, ანდა პოლიტიკანების ენა. თუ თქვენ გსურთ ილაპარაკოთ ასეთი ენით, — უფრო სწორად რომ ვთქვათ, სანამ თქვენ ასეთი ენით ლაპარაკობთ, სანამ ასეთია თქვენი პოლიტიკა, დარჩით II ინტერნაციონალში, თქვენი ადგილი იქ არის. ან დაე იმ მუშებმა, რომლებიც თავიანთი მასობრივი ზეგავლენით III ინტერნაციონალისაკენ გიბიძგებენ, დაგტოვონ თქვენ II ინტერნაციონალში, ხოლო თვითონ, უ თ ქ ვ ე ნ ო დ, გადავიდნენ III ინტერნაციონალში. ასეთ მუშებს, როგორც ფრანგული სოციალისტური პარტიის, ისე გერმანიის დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიისა და ინგლისის მუშათა დამოუკიდებელი პარტიის მუშებს ჩვენ ვეტყვით, და იმავე პირობით: გთხოვთ მობრძანდეთ!

თუ ვაღიარებთ პროლეტარიატის დიქტატურას, თუ ამასთან ერთად ვილაპარაკებთ 1914 — 1918 წლების ომზე, მაშინ სხვანაირადაც უნდა ვილაპარაკოთ, უნდა ვთქვათ: ეს ომი იყო ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის იმპერიალიზმის ყაჩაღების ომი გერმანია-ავსტრიის იმპერიალიზმის ყაჩაღებთან ნადავლის, კოლონიების, ფინანსური გავლენის «სფეროების» გაყოფის გულისათვის. «სამშობლოს დაცვის» ქადაგება ასეთ ომში სოციალიზმის ღალატი იყო. თუ ამ ჭეშმარიტებას არ განვმარტავთ ბოლომდე, თუ არ აღმოვფხვრით მუშების თავებიდან, გულებიდან, პოლიტიკიდან ამ ღალატს, მაშინ **შეუძლებელია** თავი დავაღწიოთ კაპიტალიზმის უბედურებას, **შეუძლებელია** ვიხსნათ თავი ახალი ომებისაგან, რომლებიც **გარდუვალია** მანამდე, სანამ კაპიტალიზმი არსებობს.

თქვენ არ გინდათ, თქვენ არ შეგიძლიათ ასეთი ენით ილაპარაკოთ, გასწიოთ ა ს ე თ ი პროპაგანდა? თქვენ გინდათ «შეიბრალოთ» თქვენი თავი თუ თქვენი მეგობრები, რომლებიც გუშინ «სამშობლოს დაცვას» ქადაგებდნენ გერმანიაში ვილჰელმის თუ ნოსკეს დროს, ინგლისსა და საფრანგეთში ბურჟუაზიის ხელისუფლების დროს? მაშინ შ ე ი ბ რ ა ლ ე თ III ინტერნაციონალი! გააბედნიერეთ იგი თქვენი იქ არყოფნით!

III

მე აქამდე ვლაპარაკობდი პირველ რეზოლუციაზე ორთაგან. მეორე უკეთესი არაა. «საზეიმო» («solennelle») დაგმობა «კონფუზიონიზმისა» და «ყოველგვარი კომპრომისისაც» კი («toute compromission» — ეს ფუჭი რევოლუციური ფრაზაა, რადგან არ შეიძლება ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი კომპრომისის წინააღმდეგი იყო), ხოლო ამასთან ერთად «პროლეტარიატის დიქტატურის» ორჭოფული, ნახევრული ცნება, რომელიც კი არ განმარტავს «პროლეტარიატის დიქტატურას», არამედ აბუნდოვანებს მას, ზოგადი ფრაზების განმეორება, «ბ-ნ კლემანსოს პოლიტიკის» წინააღმდეგ გალაშქრება (ჩვეულებრივი ხერხია საფრანგეთის ბურჟუაზიული პოლიტიკანებისა, რომლებიც ხროვათა შეცვლას რეჟიმის გამოცვლად გვიხატავენ), ძირითადად რ ე ფ ო რ მ ი ს ტ უ ლ ი პროგრამის გადმოცემა — გადასახადები, «კაპიტალისტური მონოპოლიების ნაციონალიზაცია» და სხვ. მისთ.

ლონგეტისტებმა ვერ გაიგეს და ა რ ს უ რ თ გაიგონ (ნაწილობრივ: უ ნ ა რ ი ა რ შესწევთ გაიგონ), რომ რევოლუციური ფრაზით დაფარული რეფორმიზმი II ინტერნაციონალის მთავარი ბოროტება იყო, მისი სამარცხვინო კრახის მთავარი მიზეზი, «სოციალისტების» მიერ იმ ომის მხარისდაჭერის მთავარი მიზეზი, რომელშიც ათი მილიონი კაცი გაჟლიტეს დიდი საკითხის გადასაჭრელად: მტაცებელ-კაპიტალისტთა ინგლის-რუსეთ-საფრანგეთის ჯგუფმა უნდა ძარცვოს მთელი მსოფლიო თუ გერმანიის ჯგუფმაო.

ლონგეტისტები საქმით დარჩნენ უწინდელ რეფორმისტებად, რომლებიც თავიანთ რეფორმიზმს რევოლუციური ფრაზით ფარავენ და მხოლოდ რევოლუციური ფრაზის სახით იყენებენ ახალ სიტყვას «პროლეტარიატის დიქტატურა». ასეთი ბელადები, ისევე როგორც გერმანიის დამოუკიდებელი სოც.-დემ. პარტიის ბელადები, როგორც ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ბელადები, პროლეტარიატს არ უნდა. ასეთი ბელადებით პროლეტარიატი ვერ შეძლებს თავისი დიქტატურის განხორციელებას.

პროლეტარიატის დიქტატურის აღიარება არ ნიშნავს: რადაც უნდა დაჯდეს ყ ო ვ ე ლ მომენტში იერიშზე გადასვლას, აჯანყების დაწყებას. ეს როშვაა. აჯანყების წარმატებისათვის საჭიროა ხანგრძლივი, მოხერხებული, შეუპოვარი მზადება, რომელიც დიდი მსხვერპლის ფასად ჯდება.

პროლეტარიატის დიქტატურის აღიარება ნიშნავს: გადაჭრით, დაუნდობლად და, რაც მთავარია, სრულიად შეგნებულად, ცხოვრებაში სრულიად თანმიმდევრული გატარებით, კავშირი გაწყვიტო ოპორტუნიზმთან, რეფორმიზმთან, II ინტერნაციონალის ნახევრულობასთან, ორჭოფობასთან;—კავშირი გაწყვიტო იმ ბელადებთან, რომლებსაც ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ ა რ განაგრძონ ძველი ტრადიცია, — ძველ (არა ასაკით, არამედ ხერხებით) პარლამენტარიებთან, პროფ. კავშირების, კოოპერატივების მოხელეებთან და სხვ. მისთ.

მათთან უნდა გაწყვიტო კავშირი. მათი შებრალება დანაშაულია: ეს ნიშნავს ათი თუ ასი ათასის უბადრუკი ინტერესების გულისათვის უღალატო ათეულ მილიონობით მუშისა და წვრილი გლეხის ძირეულ ინტერესებს.

პროლეტარიატის დიქტატურის აღიარება ნიშნავს: ძირფესვიანად გარდავქმნათ პარტიის ყოველდღიური მუშაობა, დავეშვათ დაბლა, მუშების, მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე ე ბ ი ს ა და წვრილი გლეხების იმ მილიონებთან, რომელთა ხსნა კაპიტალიზმისა და ომების უბედურებისაგან არ შეიძლება უ ს ა ბ ჭ ო ე ბ ო დ, ბურჟუაზიის დაუმხობლად. განვმარტოთ ეს კონკრეტულად, მარტივად, ნათლად, მასისათვის, ათეულობით მილიონებისათვის, ვუთხრათ მათ, რომ მ ა თ მ ა საბჭოებმა ხელში უნდა აიღონ მ თ ე ლ ი ძალაუფლება, მათმა ავანგარდმა, რევოლუციური პროლეტარიატის პარტიამ უნდა უ ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ს ბრძოლას, — ა ი რ ა არის პროლეტარიატის დიქტატურა.

ლონგეტისტებს ამ ჭეშმარიტების გაგების ნასახიც არ გააჩნიათ, მათ არავითარი სურვილი და უნარი არა აქვთ იმისა, რომ იგი ყოველდღიურად გაატარონ ცხოვრებაში.

## IV

ავსტრიაში კომუნიზმმა უმძიმესი პერიოდი გამოიარა, რომელიც, მგონია, ჯერ კიდევ მთლად არ დამთავრებულა: ზრდის ავადმყოფობა, ილუზია, თითქოს ჯგუფს შეეძლოს, რაკი თავი კომუნისტებად გამოაცხადა, ძალად იქცეს ღრმა ბრძოლის გარეშე მასებში გავლენის მოსაპოვებლად, — შეცდომები პირების შერჩევაში (შეცდომები, რომლებიც გარდუვალია დასაწყისში ყოველი რევოლუციისათვის; ჩვენ ასეთი შეცდომების მთელი რიგი გაგვაჩნდა).

კომუნისტების ყოველდღიური გაზეთი «წითელი დროშა», კორიჩონერისა და ტომანის რედაქციით, გვიჩვენებს, რომ მოძრაობა სერიოზულ გზას ადგება.

ხოლო თუ რა სირეგვნემდე, სიმდაბლემდე და სიბილწემდე მიდიან ავსტრიელი სოციალ-დემოკრატები, ამას მეტად თვალნათლივ ცხადყოფს რენერისა და მისი მსგავსი ავსტრიელი შეიდემანების მთელი პოლიტიკა, რომლებსაც — ნაწილობრივ უაღრესი სირეგვნისა და უხასიათობის გამო — ეხმარებიან ჩვეულებრივ მოღალატეებად ქცეული ოტო ბაუერები და ფრიდრიხ ადლერები.

აი ერთი მაგალითი: ოტო ბაუერის ბროშურა «გზა სოციალიზმისაკენ». ჩემ წინ ძევს გამომცემლობა «Freiheit» *-ის ბერლინის გამოცემა, როგორც ჩანს, დამოუკიდებელი პარტიისა, რომელიც იმავე უბადრუკ, უხამს და ბილწ დონეზე დგას, როგორზეც ეს ბროშურა.

საკმარისია თვალი გადავავლოთ § 9-ის («ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია») ორიოდე ადგილს:

...«ექსპროპრიაცია არ შეიძლება და არ უნდა მოხდეს კაპიტალისტური და მემამულური საკუთრების უხეში (brutaler, მხეცური) კონფისკაციის ფორმით; ვინაიდან ამ ფორმით არ შეიძლება იგი მოხდეს სხვანაირად, თუ არა მწარმოებელ ძალთა უდიდესი დანგრევის ფასად, რაც თვით ხალხის მასებს გააღატაკებდა, სახალხო შემოსავლის

* — «თავისუფლება». რედ.

წყაროებს დააშრობდა. ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია, პირიქით, უნდა მოხდეს მოგვარებული, მოწესრიგებული ფორმით»... გადასახადების საშუალებით.

და ეს სწავლული კაცი მაგალითით განმარტავს, თუ როგორ შეიძლებოდა გადასახადებით გამოგვერთმია შეძლებული კლასებისათვის მათი შემოსავლის «ოთხი მეცხრედი»...

მგონია, საკმარისია? ჩემდა თავად, ამ სიტყვების შემდეგ (ბროშურის კითხვა კი სწორედ § 9-დან დავიწყე) მეტი არაფერი წამიკითხავს და თუ განსაკუთრებულმა საჭიროებამ არ მოიტანა, არც ვაპირებ წავიკითხო მეტი ბატონ ოტო ბაუერის ბროშურაში. რადგან ცხადია, რომ ეს სოციალ-გამცემთა შორის საუკეთესო — უკეთეს შემთხვევაში სწავლული სულელია, რომელიც სრულიად უიმედოდაა ხელიდან წასული.

იგი ნიმუშია პედანტისა, სულით მთლად წვრილი ბურჟუისა. ის ომამდე სასარგებლო მეცნიერულ წიგნებსა და სტატიებს წერდა, «თეორიულად» დასაშვებად თვლიდა, რომ კლასობრივი ბრძოლა შეიძლება გამწვავდეს და სამოქალაქო ომად იქცესო. იგი მონაწილეობასაც კი იღებდა (თუ მე სწორად ვარ ინფორმირებული) 1912 წლის ბაზელის მანიფესტის შედგენაში, რომელი მანიფესტიც პირდაპირ წინასწარ ჰვრეტს პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს სწორედ იმ ომთან დაკავშირებით, რომელიც კიდევაც ატყდა 1914 წელს.

მაგრამ როდესაც საქმე მართლაც ამ პროლეტარულ რევოლუციაზე მიდგა, გაიმარჯვა პედანტის, ფილისტერის ბუნებამ, რომელიც შეშინდა და ა ბ ო ბ ო ქ რ ე ბ უ ლ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს რ ე ფ ო რ მ ი ს ტ უ ლ ი ფ რ ა ზ ე ბ ი ს ზ ე თ ი ს დ ა ს ხ მ ა დ ა უ წ ყ ო.

მან მტკიცედ დაისწავლა (პედანტებმა ფიქრი არ იციან, მათ იციან დამახსოვრება, მათ შეუძლიათ დაზეპირება), რომ თეორიულად შესაძლებელია ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია უკონფისკაციოდ. ის ყოველთვის ამას იმეორებდა. მან ეს დაისწავლა. მან ეს ზეპირად იცოდა 1912 წელს. მან მახსოვრობით გაიმეორა ეს 1919 წელს.

მას ფიქრის უნარი არ გააჩნია. იმპერიალისტური ომის შემდეგ და ისიც ისეთი ომის შემდეგ, რომელმაც თვით გამარჯვებულებიც კი დაღუპვის პირამდე მიიყვანა, — მთელ რიგ ქვეყნებში სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, — იმის შემდეგ, რაც საერთაშორისო მასშტაბით ფაქტებით დამტკიცებულია იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის აუცილებლობა, იქადაგო, დაბადებიდან ქრისტესა წელსა 1919-სა, ქალაქ ვენაში, კაპიტალისტებისათვის მათი შემოსავლის «ოთხი მეცხრედის» «მოგვარებულად» და «მოწესრიგებულად» ჩამორთმევის შესახებ, — ამისათვის კაცი ან სულით ავადმყოფი უნდა იყო, ანდა ძველი დიადი გერმანული პოეზიის ის ძველი გმირი, რომელიც აღტაცებით გადადის «წიგნიდან წიგნზე»[81]...

ამ საამო გულკეთილმა კაცმა, რომელიც, ალბათ, ოჯახის უაღრესად ქველმოქმედი და სათნო მამაა, უპატიოსნესი მოქალაქეა, უკეთილსინდისიერესი მკითხველი და მწერალია მეცნიერულ წიგნთა, სრულიად პაწაწინა წვრილმანი დაივიწყა: მან დაივიწყა, რომ ამგვარი «მოგვარებული» და «მოწესრიგებული» გადასვლა სოციალიზმზე (გადასვლა, უეჭველად, ყველაზე უფრო ხელსაყრელი «ხალხისათვის», თუ აბსტრაქტულად ვილაპარაკებთ) გულისხმობს პროლეტარიატის გამარჯვების აბსოლუტურ სიმტკიცეს, კაპიტალისტთა მდგომარეობის აბსოლუტურ უიმედობას, მათთვის აბსოლუტურ აუცილებლობასა და მათს მზადყოფნას გასწიონ უკეთილსინდისიერესი მორჩილება.

შესაძლებელია კი გარემოებათა ასეთი დამთხვევა?

თეორიულად, ე. ი. ამ შემთხვევაში სრულიად აბსტრაქტულად, თუ ვილაპარაკებთ: რასაკვირველია, შესაძლებელია. მაგალითად: ვთქვათ, რომ ცხრა ქვეყანაში, მათ შორის ყველა დიდ სახელმწიფოში, ვილსონები, ლოიდ-ჯორჯები, მილიერანები და კაპიტალიზმის სხვა გმირები უკვე ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორც ჩვენში იუდენიჩი, კოლჩაკი და დენიკინი თავიანთი მინისტრებით. ვთქვათ, მეათე პატარა ქვეყანაში ამის შემდეგ კაპიტალისტები მუშებს თავაზობენ:

მოდით, ჩვენ კეთილსინდისიერად დაგეხმარებით, დავემორჩილებით თქვენს გადაწყვეტილებებს — გატარდეს «ექსპროპრიატორთა» «მოწესრიგებული» და მშვიდობიანი (დაუნგრევლად!) «ექსპროპრიაცია», მივიღებთ რა ამისათვის პირველ წელს უწინდელი შემოსავლის 5/9-ს, მეორე წელს — 4/9-ს.

სრულიად საფიქრებელია, რომ ჩემ მიერ აღნიშნულ პირობებში მეათე ქვეყნის კაპიტალისტები წამოაყენებენ ასეთ წინადადებას ერთ-ერთ მეტისმეტად პატარა და «მშვიდობიან» ქვეყანაში, და სწორედ რომ ამ ქვეყნის მუშების მხრივ სრულიადაც არ იქნება ცუდი, თუ ისინი ამ წინადადებას საქმიანი წესით განიხილავენ და (ერთ ხანს შევაჭრების შემდეგ: ვაჭარს შეუვაჭრებლად არ შეუძლია) მიიღებენ.

შესაძლებელია, ახლა, ამ პოპულარული განმარტების შემდეგ თვით სწავლული ოტო ბაუერი და ფილოსოფოსი (ისეთივე მარჯვე, როგორც პოლიტიკოსი) ფრიდრიხ ადლერი მიხვდებიან, რაშია საქმე?

კიდევ არა? გაუგებარია?

დაფიქრდით, ძვირფასო ოტო ბაუერ, ძვირფასო ფრიდრიხ ადლერ, ჰგავს კი მსოფლიო კაპიტალიზმისა და მისი ბელადების მდგომარეობა ამ წუთს იუდენიჩის, კოლჩაკისა და დენიკინის მდგომარეობას რუსეთში?

არა, არა ჰგავს. რუსეთში კაპიტალისტები შემუსრულნი არიან მათი თავგანწირული წინააღმდეგობის შემდეგ. მთელ მსოფლიოში ისინი ჯერ კიდევ ხელისუფლებას სათავეში უდგანან. ისინი ბატონები არიან.

თუ თქვენ, ძვირფასო ოტო ბაუერ და ფრიდრიხ ადლერ, ახლაც კიდევ ვერ გაიგეთ, რაშია საქმე, მაშინ მე დამატებით კიდევ უფრო პოპულარულად განგიმარტავთ:

წარმოიდგინეთ, რომ იმ დროს, როდესაც იუდენიჩი პიტერთან იდგა, კოლჩაკი ურალს ფლობდა, ხოლო დენიკინი — მთელ უკრაინას, როდესაც ყველა ამ სამ გმირს ჯიბეში ვილსონის, ლოიდ-ჯორჯის, მილიერანისა და კომპანიის დასტადასტა დეპეშები ეწყო ფულის, ზარბაზნების, ოფიცრების, ჯარისკაცების გამოგზავნის შესახებ, წარმოიდგინეთ, რომ ამ

დროს იუდენიჩთან, კოლჩაკთან ან დენიკინთან მიდის რუსი მუშების წარმომადგენელი და ეუბნება: ჩვენ, მუშები, უმრავლესობა ვართ, ჩვენ მოგცემთ თქვენ თქვენი შემოსავლის 8/9-ს, შემდეგ კი დანარჩენსაც ჩამოგართმევთ «მოწესრიგებულად» და მშვიდობიანად. ხელი ხელს, «დაუნგრეველად», თანახმა ხართ?

თუ მუშების ეს წარმომადგენელი უბრალოდ იქნებოდა ჩაცმული და მას მიიღებდა მხოლოდ რუსი გენერალი, დენიკინის მსგავსი, იგი ამ მუშას, ალბათ, საგიჟეთში გაგზავნიდა, ან პირდაპირ გარეთ გამოაგდებდა.

მაგრამ თუ მუშათა წარმომადგენელი კარგ კოსტიუმში გამოწყობილი ინტელიგენტი იქნებოდა, ამასთანავე პატივცემული მამის შვილი (ჩვენი კეთილი და საყვარელი ფრიდრიხ ადლერის მსგავსად), თუ ამასთან დენიკინი მარტო არ იქნებოდა და ფრანგ ან ინგლისელ «მრჩეველთან» ერთად მიიღებდა, მაშინ ეს მრჩეველი, უეჭველად, ეტყოდა დენიკინს:

«მომისმინეთ, გენერალო, ეს მუშათა წარმომადგენელი იმდენად ჭკვიანი ჩანს, რომ იგი სწორედ ზედგამოჭრილია იმისათვის, რომ ჩვენი მინისტრი იყოს, მსგავსად ჰენდერსონისა ინგლისში, ალბერ ტომასი — საფრანგეთში, ოტო ბაუერისა და ფრიდრიხ ადლერისა — ავსტრიაში».

14. II. 1920 წ.

დაიბეჭდა 1920 წ.

**იბეჭდება ხელნაწერიხ მიხედვით**

# პასუხი ამერიკული გაზეთის «NEW YORK EVENING JOURNAL»-ის კორესპონდენტის კითხვებზე[82]

1. «ვაპირებთ თუ არა პოლონეთსა და რუმინეთზე თავდასხმას?»

არა. ჩვენ სახალხო კომისართა საბჭოს სახელითაც და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელითაც საზეიმოდ და ოფიციალურად განვაცხადეთ ჩვენს სამშვიდობო განზრახვებზე. სამწუხაროდ, საფრანგეთის კაპიტალისტური მთავრობა აქეზებს პოლონეთს თავს დაგვესხას (ალბათ, რუმინეთსაც). ამაზე ლაპარაკობს რიგი ამერიკის რადიოებისა ლიონიდან.

2. «ჩვენი გეგმები აზიაში?»

იგივეა, რაც ევროპაში: მშვიდობიანი თანაცხოვრება ხალხებთან, მუშებთან და გლეხებთან ყველა ერისა, რომლებიც იღვიძებენ ახალი ცხოვრებისათვის, ცხოვრებისათვის ექსპლოატაციის, მემამულეების, კაპიტალისტების, ვაჭრების გარეშე. 1914 — 1918 წლების იმპერიალისტურმა ომმა, ინგლის-საფრანგეთის (და რუსეთის) ჯგუფის კაპიტალისტთა ომმა გერმანია-ავსტრიის ჯგუფის კაპიტალისტთა წინააღმდეგ მსოფლიოს დანაწილებისათვის გააღვიძა აზია და გააძლიერა იქ, როგორც ყველგან, მისწრაფება თავისუფლებისაკენ, მშვიდობიანი შრომისაკენ, ამიერიდან ომების დაუშვებლობისაკენ.

3. «ამერიკასთან ზავის საფუძვლები?»

დაე ამერიკელი კაპიტალისტები ჩვენ ნუ შეგვეხებიან. ჩვენ მათ არ შევეხებით. ჩვენ მზადაც კი ვართ ოქროთი გადავუხადოთ ტრანსპორტისა და წარმოებისათვის სასარგებლო მანქანების, იარაღების და სხვათა ნაცვლად. და არა მარტო ოქროთი, არამედ ნედლეულითაც.

4. «დაბრკოლებანი ასეთი ზავისათვის?»

ჩვენი მხრივ არავითარი. იმპერიალიზმი ამერიკელი (ისე როგორც ყოველი სხვა) კაპიტალისტების მხრივ.

5. «ჩვენი შეხედულებანი რუსი რევოლუციონერების ამერიკიდან დეპორტაციის შესახებ?»

ჩვენ ისინი მივიღეთ. ჩვენ არ გვეშინია შინ რევოლუციონერებისა. ჩვენ საერთოდ არავისი არ გვეშინია და, თუ ამერიკას ეშინია კიდევ რაღაც ასეული თუ ათასეული თავისი მოქალაქისა, ჩვენ მზადა ვართ დავიწყოთ მოლაპარაკება ყველა და ყოველგვარი, ამერიკისათვის საშიში მოქალაქეების (გარდა სისხლის სამართლის დამნაშავეებისა, რა თქმა უნდა) მიღების შესახებ.

6. «ეკონომიური კავშირის შესაძლებლობა რუსეთსა და გერმანიას შორის?»

შესაძლებლობა, სამწუხაროდ, არ არის დიდი. ვინაიდან შეიდემანები ცუდი მოკავშირეები არიან. ჩვენ მომხრე ვართ კავშირისა ყველა ქვეყანასთან, გამოუკლებლივ.

7. «ჩვენი შეხედულება მოკავშირეთა მოთხოვნაზე ომის დამნაშავეთა გადაცემის შესახებ?»

თუ ამაზე სერიოზულად ვილაპარაკებთ, მაშინ ომის დამნაშავეები ყველა ქვეყნის კაპიტალისტები არიან. გადმოგვეცით ჩვენ ყველა მემამულე (100 ჰექტარზე მეტი მიწის მქონენი) და კაპიტალისტი (100 000 ფრანკზე მეტი კაპიტალის მქონენი), — ჩვენ მათ აღვზრდით სასარგებლო შრომისათვის, ჩვენ მათ გადავაჩვევთ ექსპლოატატორთა და იმ ომის დამნა-

შავეთა სამარცხვინო, საზიზღარ, სისხლიან როლს, რომელიც კოლონიების გაყოფის გულისათვის ხდება. მაშინ ომები ძალიან მალე აბსოლუტურად შეუძლებელი იქნება.

8. «ჩვენთან დადებული ზავის გავლენა ევროპის ეკონომიურ ცხოვრებაზე?»

მანქანების გაცვლა პურზე, სელზე, სხვა ნედლეულზე — განა შეიძლება იგი არ იყოს კეთილისმყოფელი ევროპისათვის? აშკარაა, რომ არ შეიძლება არ იყოს კეთილისმყოფელი.

9. «ჩვენი შეხედულება საბჭოების როგორც მსოფლიო ძალის მომავალ განვითარებაზე?»

მომავალი ეკუთვნის საბჭოთა წყობილებას მთელ მსოფლიოში. ეს ფაქტებმა დაამტკიცეს: საკმარისია დავითვალოთ, ვთქვათ წლის მეოთხედების მიხედვით, იმ ბროშურების, წიგნების, ფურცლების, გაზეთების რიცხვის ზრდა ყოველ ქვეყანაში, რომლებიც საბჭოების მხარეზე დგანან და რომლებიც საბჭოებს თანაუგრძნობენ. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს: რაკი მუშებმა ქალაქებში, მუშებმა, მოჯამაგირეებმა და დღიურად მომუშავეებმა, სოფლებში, შემდეგ წვრილმა გლეხებმა, ე. ი. იმათ, ვინც არ მიმართავს დაქირავებული მუშების ექსპლოატაციას, რაკი მშრომელთა ამ უდიდესმა უმრავლესობამ შეიგნო, რომ საბჭოები მათ ხელში აძლევს მთელ ხელისუფლებას და ათავისუფლებს მათ მემამულეთა და კაპიტალისტთა უღლისაგან, როგორ შეიძლება ხელი შეეშალოს საბჭოთა წყობილების გამარჯვებას მთელ მსოფლიოში? მე ასეთი საშუალება, ყოველ შემთხვევაში, არ ვიცი.

10. «უნდა ეშინოდეს თუ არა კიდევ რუსეთს გარედან კონტრრევოლუციური ჩარევისა?»

სამწუხაროდ, უნდა ეშინოდეს. რადგან კაპიტალისტები ბრეგვენი და ხარბი ადამიანები არიან. მათ ჩარევის მთელი რიგი ისეთი სულელური და ხარბი ცდები მოახდინეს, რომ განმეორებისა უნდა გვეშინოდეს, ვიდრე ყოველი ქვეყნის

მუშები და გლეხები ხელახლა აარაღზრდიან თავიანთ კაპიტალისტებს.

11. «მზად არის თუ არა რუსეთი საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს ამერიკასთან?»

რასაკვირველია, მზად არის, ისე როგორც ყველა ქვეყანასთან. ზავმა ესტონეთთან, რომელსაც ჩვენ ბევრი დავუთმეთ, დაამტკიცა, რომ ჩვენ მზადა ვართ ამის გულისათვის, გარკვეულ პირობებში, კონცესიებზეც კი დავთანხმდეთ.

18/II 1920.

ვ. ულიანოვი (ნ. ლენინი)

დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
1920 წ. 21 თებერვალს გაზეთში
**«New York Evening Journal»**
№ 12671

რუსულ ენაზე პირველად
დაიბეჭდა 1950 წ. 22 აპრილს
გაზეთ «პრავდაში» № 112

ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# პასუხი ინგლისური გაზეთის «DAILY EXPRESS»-ის კორესპონდენტის კითხვებზე[83]

1) «ჩვენი დამოკიდებულება ბლოკადის მოხსნისადმი?»

ჩვენ მას ისე ვეპყრობით როგორც წინგადადგმულ დიდ ნაბიჯს. ამით ჩვენთვის შესაძლებლობა იხსნება, რომ ომიდან, რომელიც ჩვენ თავს მოგვახვიეს ანტანტის კაპიტალისტურმა მთავრობებმა, გადავიდეთ მშვიდობიან მშენებლობაზე. ეს კი ჩვენთვის ყველაზე მთავარია. ვძაბავთ რა მთელ ძალ-ღონეს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების აღსადგენად, რომელიც აოხრებულია ჯერ დარდანელის, კოლონიების გულისათვის კაპიტალისტებს შორის წარმოებული ომით, შემდეგ ანტანტისა და რუსეთის კაპიტალისტების ომით რუსეთის მუშების წინააღმდეგ, ჩვენ, სხვათა შორის, ახლა მთელ რიგ მეცნიერთა და ტექნიკოსთა დახმარებით ვამუშავებთ მთელი რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმას. ეს გეგმა მრავალი წლისათვის არის გათვალისწინებული. ელექტრიფიკაცია გარდაქმნის რუსეთს. ელექტრიფიკაცია საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე შექმნის ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის საფუძვლების, კულტურული ცხოვრების საფუძვლების საბოლოო გამარჯვებას, ცხოვრებისა უექსპლოატატორებოდ, უკაპიტალისტებოდ, უმემამულეებოდ, უვაჭრებოდ.

ბლოკადის მოხსნა უნდა დაეხმაროს ელექტრიფიკაციის გეგმის განხორციელებას.

2) «შეტევაზე ხელისაღების შესახებ მოკავშირეთა გადაწყვეტილების გავლენა საბჭოთა ხელისუფლების შეტევითს მოქმედებაზე?»

ჩვენ გვიტევდნენ ანტანტა, მისი მოკავშირეები და მსახურნი: კოლჩაკი, დენიკინი, იმ სახელმწიფოთა კაპიტალისტები, რომლებიც ჩვენ გარს გვარტყია. ჩვენ არავის არ ვუტევდით. ჩვენ ზავი დავდევით ესტონეთთან და მატერიალური მსხვერპლიც კი გავიღეთ.

ჩვენ მოუთმენლად ველით, რომ მოკავშირეთა «გადაწყვეტილება» მათი ს ა ქ მ ე ე ბ ი თ დამტკიცდეს. სამწუხაროდ, ვერსალის ზავის ისტორია და მისი შედეგები ცხადყოფენ, რომ მოკავშირეების სიტყვა და საქმე უმეტეს წილად ერთმანეთს შორდება, გადაწყვეტილებები ქაღალდზე რჩება.

3) «ვთვლით თუ არა ჩვენ ახლანდელ status quo-ს * დამაკმაყოფილებლად საბჭოთა პოლიტიკისათვის?»

დიახ, ვთვლით, ვინაიდან ყოველგვარი status quo პოლიტიკაში არის ძველიდან ახალზე გადასვლა. ახლანდელი status quo, მრავალი მხრივ, არის გადასვლა ომიდან ზავზე. ასეთი გადასვლა ჩვენთვის სასურველია. ამიტომ და ამდენად status quo ჩვენ მიგვაჩნია დამაკმაყოფილებლად.

4) «ჩვენი მიზნები მოკავშირეთა მხრივ საომარ მოქმედებათა შეწყვეტასთან დაკავშირებით?»

ჩვენი მიზნებია, როგორც უკვე ნათქვამია, მშვიდობიანი ეკონომიური მშენებლობა. მისი დაწვრილებითი გეგმა, ელექტრიფიკაციის საფუძველზე, მუშავდება ახლა მეცნიერთა და ტექნიკოსთა კომისიის მიერ (უფრო სწორად: რამდენიმე კომისიის მიერ) სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თებერვლის (1920) სესიის რეზოლუციის თანახმად.

დაწერილია 1920 წ. 18 თებერვალს

დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე 1920 წ. 23 თებერვალს გაზეთ «Daily Express»-ში № 6198

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1950 წ. 22 აპრილს გაზეთ «პრავდაში» № 112

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — არსებული მდგომარეობა. რ ე დ.

# დეპეშების გაცვლა ი. ბ. სტალინთან

1

## სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს ამხანაგ სტალინს

პირდაპირი მავთულით

მოსკოვი, 20 თებერვალი.

მდგომარეობა კავკასიის ფრონტზე სულ უფრო სერიოზულ ხასიათს იღებს. დღევანდელი ვითარების მიხედვით გამორიცხული არ არის როსტოვისა და ნოვოჩერკასკის დაკარგვის შესაძლებლობა, აგრეთვე მოწინააღმდეგის ცდები შემდგომ განავითაროს წარმატება ჩრდილოეთისაკენ და დაემუქროს დონეცის რაიონს. მიიღეთ განსაკუთრებული ზომები ორმოცდამეორე დივიზიისა და ლატვიური დივიზიის გადაყვანის დასაჩქარებლად და მათი ბრძოლისუნარიანობის გასაძლიერებლად. იმედი მაქვს, რომ, შეაფასებთ რა საერთო მდგომარეობას, განავითარებთ მთელ თქვენს ენერგიას და სერიოზულ შედეგებს მიაღწევთ.

ლ ე ნ ი ნ ი

2

## ი. ბ. სტალინის პასუხი

დარწმუნებული იყავით, რომ გაკეთებული იქნება ყოველივე შესაძლებელი.

პირველად დაიბეჭდა
1935 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 21

იბეჭდება: ვ. ი. ლენინის
დეპეშა — სატელეგრაფო ბლანკის
ტექსტის მიხედვით;
ი. ბ. სტალინის პასუხი —
ხელნაწერის მიხედვით

# მუშა ქალებს

ამხანაგებო! მოსკოვის საბჭოს არჩევნები ცხადყოფენ კომუნისტების პარტიის განმტკიცებას მუშათა კლასში.

საჭიროა, რომ მუშა ქალებმა უფრო მეტი მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. საბჭოთა ხელისუფლებამ პირველმა და ერთადერთმა მსოფლიოში სავსებით მოსპო ყველა ძველი, ბურჟუაზიული, საზიზღარი კანონი, რომელიც ქალს მამაკაცთან შედარებით არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში აყენებს, მამაკაცს პრივილეგიებს ანიჭებს, მაგალითად, საქორწინო უფლების დარგში ან შვილებთან დამოკიდებულების დარგში. საბჭოთა ხელისუფლებამ პირველმა და ერთადერთმა მსოფლიოში, როგორც მშრომელთა ხელისუფლებამ, გაუქმა საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა ის უპირატესობა, რომელიც შერჩენილი ჰქონდა მამაკაცს საოჯახო სამართალში ყველა, თვით ყველაზე დემოკრატიულ, ბურჟუაზიულ რესპუბლიკებშიც კი.

სადაც არიან მემამულეები, კაპიტალისტები, ვაჭრები, იქ არ შეიძლება იყოს ქალისა და მამაკაცის თანასწორობა კანონითაც კი.

სადაც არ არიან მემამულეები, კაპიტალისტები, ვაჭრები, სადაც მშრომელთა ხელისუფლება ახალ ცხოვრებას აშენებს ამ ექსპლოატატორების გარეშე, იქ არის ქალისა და მამაკაცის თანასწორობა კანონით.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია.

კანონით თანასწორობა ჯერ კიდევ არ არის ცხოვრებაში თანასწორობა.

ჩვენ გვინდა, რომ მუშა ქალმა მუშა მამაკაცთან თანასწორობა მოიპოვოს არა მარტო კანონით, არამედ ცხოვრებაშიც. ამისათვის საჭიროა, რომ მუშა ქალებმა სულ უფრო და უფრო მეტი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საწარმოთა მართვა-გამგეობაში და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

მართვა-გამგეობაში მონაწილეობით ქალები სწრაფად გაიწაფებიან და მამაკაცებს დაეწევიან.

მაშ აირჩიეთ საბჭოში მეტი მუშა ქალები, როგორც კომუნისტები, ისე უპარტიონი. ოღონდ კი იყოს პატიოსანი მუშაკი, რომელმაც იცის გონიერი კეთილსინდისიერი მუშაობის წარმოება, დაე იყოს იგი უპარტიო, — აირჩიეთ იგი მოსკოვის საბჭოში!

მეტი მუშა ქალები მოსკოვის საბჭოში! დაე მოსკოვის პროლეტარიატმა დაამტკიცოს, რომ იგი მზად არის გააკეთოს და აკეთებს ყველაფერს, რათა იბრძოლოს გამარჯვებამდე, იბრძოლოს ძველი არათანასწორუფლებიანობის, ქალის ძველი, ბურჟუაზიული დამცირების წინააღმდეგ!

პროლეტარიატი ვერ მიაღწევს სრულ თავისუფლებას, თუ არ მოიპოვა სრული თავისუფლება ქალებისათვის.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1920 წლის 21 თებერვალი.

«პრავდა» № 40, 1920 წ.
22 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

# დეკეშა ი. ბ. სტალინს

ხარკოვი

სტალინს

22/II

აუცილებელია დაუყოვნებლივ აიყვანოთ მთარგმნელები ყველა შტაბსა და სამხედრო დაწესებულებაში, დაავალდებულოთ უსათუოდ ყველა — მიიღონ უკრაინულ ენაზე განცხადებები და ქაღალდები. ეს უთუოდ აუცილებელია — ენის საკითხში ყველა დათმობა და თანასწორუფლებიანობის მაქსიმუმი. რკინიგზელთა ჯამაგირის შესახებ ახლავე გეტყვით. მე თქვენი ლაპარაკი კარგად მესმის, როცა დამარცვლით ლაპარაკობთ, ამიტომ მიპასუხეთ ტელეფონით ჩემს ორივე დეპეშაზე.

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა
1942 წ.

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის მიხედვით

# სიტყვა სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებების სკოლის-გარეშე ქვეგანყოფილებათა გამგეების სრულიად რუსეთის III თათბირზე 1920 წ. 25 თებერვალს

ნება მომეცით სახკომსაბჭოს სახელით მივესალმო თქვენს თათბირს და ამის გამო მოგახსენოთ რამდენიმე აზრი.

რაც შეეხება ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას, მე შემიძლია გიამბოთ იმ რადიოგადმოცემაზე, რომელიც დღეს მივიღეთ ინგლისიდან და რომელიც ყველაზე უკეთესად ახასიათებს ამ საერთაშორისო მდგომარეობას. რადიო გვატყობინებს, რომ გუშინ, 24 რიცხვში, მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თუ რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოები შეეკითხებიან რჩევას პოლიტიკის შესახებ, იგი მათ ეტყვის, რომ ვერ ურჩევს მათ ომს, რომელმაც, შეიძლება, ზიანი მიაყენოს მათ ინტერესებს, და რომ კიდევ უფრო ნაკლებ შეუძლია ურჩიოს მათ შეტევითი ომი რუსეთის წინააღმდეგ; მაგრამ თუ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა მათს კანონიერ საზღვრებს თავს დაესხმება, მოკავშირეთა საბჭო მათ დახმარებას გაუწევს. შემდეგ ბატონ მოკავშირეებს სურთ რუსეთში გაგზავნონ კომისია, რომელიც ეკუთვნის შრომის კომისიას ვაშინგტონში. კონფერენციის მომწყობნი, სოციალ-გამცემლები ალბერ ტომასთან ერთად შეთანხმდნენ ზოგიერთი სოციალური რეფორმის შესახებ და სურთ ეს ხალხი, რომელიც ერთა ლიგის ნაწილს წარმოადგენს, გაგზავნონ რუსეთში, რათა გამოიკვლიონ, თუ რამდენად შეესაბამება რუსეთის პირობები «ცივილიზებული» სახელმწიფოების ჩვეულებრივ მოთხოვნებს.

ეს ცნობა მოკავშირეთა გუშინდელი გადაწყვეტილების შესახებ აშკარად გვიჩვენებს, თუ როგორ დაიბნენ ეს ვაჟბატონები და რა სარგებლობა შეგვიძლია გამოვიტანოთ მათი დაბნეულობიდან. მათ ასეული მილიონები გადაყარეს ომის მხარდასაჭერად (ინგლისის სახელმწიფოს მხრივ) და განაცხადეს, რომ ომის მხარდაჭერა მეტი აღარ შეუძლიათ. ამით მათი შეტევითი ალტყინება ამოიწურა, თუმცა საომარი საჭურველის მიზიდვა პოლონეთში გრძელდება: ისინი განაგრძობენ იარაღის მიზიდვას, ჩვენ გვაქვს ზუსტი ცნობები, რომ პოლონეთი აწარმოებს ჯარების გადაჯგუფებას, რაც შეტევისათვის არის ნავარაუდევი, ასე რომ მათს განცხადებაზე დანდობა გულდაჯერებით ჩვენ არ შეგვიძლია. თუმცა ახლა მოკავშირეების მხრივ საგარეო საფრთხის მუქარა ცხრა მეათედით მოიხსნა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში გარკვეული მუქარა რჩება; დენიკინის წინააღმდეგ ომის დამთავრების შემდეგ სამხედრო მზადყოფნის შენარჩუნება მაინც მოგვიხდება. სრული დემობილიზაციის ვარაუდი ჩვენ არ შეიძლება ვიქონიოთ.

ამრიგად, რუსეთზე საერთაშორისო კაპიტალიზმის თავდასხმის საფრთხე ცხრა მეათედით გაქრა; ისინი იმდენად საკადრისად ჩაფლავდნენ, რომ უკვე მერამდენედ გამოაქვთ წინადადება კომისიის რუსეთში გაგზავნის შესახებ. თუ ამ კომისიის შემადგენლობაში იქნებიან ისეთი ვაჟბატონები, როგორიცაა ალბერ ტომა, რომელმაც რუსეთი ინახულა ომის დროს, მაშინ სხვა არა გამოვა რა, გარდა სკანდალისა მათთვის და აგიტაციის მშვენიერი საბაბისა ჩვენთვის. ჩვენ მათ ისე შევხვდებით, რომ ისინი რაც შეიძლება მალე აიბარგებიან რუსეთიდან, და არაფერი, გარდა აგიტაციისა სხვა ქვეყნების მუშებისათვის, მათ არ გამოუვათ. მათ სურთ დაგვაშინონ, — მაგრამ როცა ჩვენ ვეტყვით, რომ ჩვენ ძვირფას სტუმრებს ვხვდებით, — ისინი თავიანთ ცდას დამალავენ. ეს ცხადყოფს, თუ რამდენად დაიბნენ ისინი. ახლა ჩვენ გვაქვს სარკეული ევროპისაკენ ესტონეთთან დადებული ზავის წყალობით და შეგვიძლია იქიდან ძირითადი პროდუქტები მივიღოთ. ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა მართლაც უდიდეს პროგრესსა

და გაუმჯობესებას წარმოადგენს: ყოველგვარი საგარეო საფრთხე საბჭოთა რესპუბლიკისათვის ცხრა მეათედით აცილებულია.

რაც უფრო მეტად აცილებულია იგი, მით უფრო მეტად შეგვიძლია შევუდგეთ მშვიდობიანი მშენებლობისათვის მუშაობას და ჩვენ იმედს ვამყარებთ თქვენს მოღვაწეობაზე, თქვენზე, რომლებიც სკოლისგარეშე დარგში მუშაობთ. იმისათვის, რომ სასკოლო განათლება უფრო ჯეროვნად დავაყენოთ, საჭიროა მთელი რიგი მატერიალური ცვლილებანი: სკოლების აგება, მასწავლებელთა შერჩევა, შინაგანი რეფორმები მასწავლებელთა პერსონალის ორგანიზაციისა და შერჩევის საქმეში. ეს ყოველივე ისეთი რამ არის, რასაც ხანგრძლივი მზადება ჭირდება. სკოლისგარეშე განათლების მხრივ თქვენ ისე ძალიან არა ხართ შეზღუდული ამ ხანგრძლივი მზადებით. მოსახლეობის მოთხოვნილება მიიღოს განათლება დადგენილი სასკოლო სისტემის გარეშე და მუშაკების საჭიროება ამ დარგში არაჩვეულებრივად ძლიერ იზრდება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საერთო დახმარებით და საერთო ძალღონით გაკეთებული იქნება უფრო მეტი, ვიდრე აქამდე.

დასასრულს მე ვიტყვი სკოლისგარეშე განათლების ხასიათზე, განათლებისა, რომელიც დაკავშირებულია პროპაგანდასა და აგიტაციასთან. განათლების დაყენების ერთ-ერთი ძირეული ნაკლი კაპიტალისტურ საზოგადოებაში ის იყო, რომ ის მოწყვეტილი იყო შრომის ორგანიზაციის ძირითადი ამოცანისაგან იმდენად, რამდენადაც კაპიტალისტს ჭირდებოდა მორჩილი და გაწვრთნილი მუშების გაწაფვა და გაწვრთნა. კავშირი სახალხო შრომის ორგანიზაციის ნამდვილ ამოცანებსა და სწავლებას შორის კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ იყო. გამოსდიოდათ მკვდარი, სქოლასტიკური, კაზიონური, ხუცური გავლენით წაბილწული ხასიათი სწავლებისა, რომელიც ყველგან, ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც, იმას აკეთებდა, რომ ყოველივე ახალი, ჯანსაღი უნდა მოსპობილიყო. უშუალო ცოცხალი მუშაობა გაძნელებული იყო, იმიტომ რომ სახელმწიფო ხელისუფლების აპარატის გარეშე,

მატერიალური და ფინანსური დახმარების გარეშე განათლების ფართოდ დაყენება არ შეიძლება. რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვემზადოთ მთელი ჩვენი საბჭოთა ცხოვრების გადაყვანისათვის სამხედრო მზადებისა და სამხედრო მოგერიების რელსებიდან მშვიდობიანი მშენებლობის რელსებზე, — ამდენად თქვენთვის, სკოლისგარეშე განათლების მუშაკებისათვის, საჭიროა და აუცილებელი გაითვალისწინოთ ეს ცვლილება თქვენს პროპაგანდისტულ მოღვაწეობაშიც, მის ამოცანებსა და პროგრამაში ამ ცვლილებას შეეგუოთ.

იმისათვის, რომ ცხადვყო, თუ როგორ მესმის ამოცანები და მთელი ხასიათი განათლებისა, სწავლებისა, აღზრდისა და სწავლისა საბჭოთა რესპუბლიკის შეცვლილი ამოცანების შესაბამისად, მოგაგონებთ იმ რეზოლუციას ელექტრიფიკაციის შესახებ, რომელიც მიიღო სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უკანასკნელმა სესიამ; ალბათ, იგი ყველასათვის ცნობილია. ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ორი თვის ვადაში (ოფიციალურად დაბეჭდილ ცნობაში ნათქვამი იყო: ორი კვირის ვადაში — ეს შეცდომაა), — რომ ორი თვის ვადაში დამუშავდება ჩვენი ქვეყნის ელექტრიფიკაციის გეგმა, გათვალისწინებული 2 — 3 წლისათვის პროგრამა-მინიმუმის მიხედვით და მაქსიმუმი — 10 წლისათვის. მთელი ჩვენი პროპაგანდის ხასიათი, წმინდა პარტიულისაც და სასკოლო სწავლებისა და განათლებისაც, სკოლისგარეშე სწავლების ხასიათიც უნდა შეიცვალოს არა იმ აზრით, რომ შეიცვალოს სწავლების თვით საფუძვლები და მიმართულება, არამედ იმ აზრით, რომ მოღვაწეობის ხასიათი შეეგუოს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო და ეკონომიური გარდაქმნის ფართო გეგმით გადასვლას მშვიდობიან მშენებლობაზე, იმიტომ რომ საერთო ეკონომიური სიძნელე და საერთო ამოცანა — ესაა ამოცანა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ძალთა აღდგენისა იმგვარად, რომ წვრილი გლეხური მეურნეობის გვერდით პროლეტარულმა რევოლუციამ შეძლოს შექმნას ეკონომიური ცხოვრების ახალი საფუძვლები. აქამდე გლეხს უხდებოდა მუშური სახელმწიფოსათვის

პურის სესხად მიცემა: ფერადფერადი ქაღალდები — ფული გლეხს ვერ დააკმაყოფილებს პურის სანაცვლოდ. გლეხი არ კმაყოფილდება მით და მოითხოვს კანონიერ უფლებას: მისგან ჩაბარებული პურის სანაცვლოდ მიიღოს სამრეწველო პროდუქტები, რომელთა მიცემაც ჩვენ არ შეგვიძლია მანამდე, სანამ არ აღვადგენთ მეურნეობას. აღდგენა — ეს ძირითადი ამოცანაა, მაგრამ აღდგენა ძველ ეკონომიურ და ტექნიკურ საფუძველზე ჩვენ არ შეგვიძლია. ეს ტექნიკურადაც შეუძლებელია, და უცნაურიც იქნებოდა; საჭიროა ახალი საფუძვლის პოვნა. ასეთი ახალი საფუძველი ელექტრიფიკაციის გეგმაა.

ჩვენ გამოვდივართ გლეხობის წინაშე, ყველაზე ნაკლებ განვითარებული მასის წინაშე, იმ მითითებით, თუ რამდენად აუცილებელია ახალი გადასვლა კულტურისა და ტექნიკური განათლების უფრო მაღალ საფეხურზე მთელი საბჭოთა მშენებლობის წარმატებისათვის. ამრიგად, აუცილებელია მეურნეობის აღდგენა. ყველაზე უფრო ბნელ გლეხს ესმის, რომ იგი გალატაკებულია ომის მიერ, რომ მეურნეობის აღდგენის გარეშე ის თავს ვერ გაართმევს სიღატაკეს — ვერ მიიღებს აუცილებელ პროდუქტებს პურის სანაცვლოდ. გლეხობის სწორედ ამ უშუალო, საარსებო გაჭირვებას უნდა ეხებოდეს და ხელს უნდა სჭიდებდეს პროპაგანდის, განათლების, სწავლისა და სკოლისგარეშე განათლების მთელი მუშაობა, რათა იგი მოწყვეტილი არ იყოს ყოველდღიური ცხოვრების ყველაზე არსებითს საჭიროებებს, სახელდობრ გამოდიოდეს მათი განვითარებიდან და გლეხისათვის შესაფერისი შეგნებიდან, ხაზს უსვამდეს იმას, რომ მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ მრეწველობის აღდგენაშია. მაგრამ მრეწველობის აღდგენა არ შეიძლება ძველ ნიადაგზე: იგი უნდა აღვადგინოთ თანამედროვე ტექნიკის ნიადაგზე. ეს ნიშნავს მრეწველობის ელექტრიფიკაციას და კულტურის ამაღლებას. ელექტროსადგურები მოითხოვენ მუშაობას 10 წლამდე, მაგრამ უფრო კულტურულ და შეგნებულ მუშაობას.

ჩვენ გავშლით მუშაობის ფართო გეგმას, რომელიც გლეხობის ფართო მასის წარმოდგენაში დაკავშირებული უნდა იყოს ნათელ, პრაქტიკულად დასმულ მიზანთან. ამის გაკეთება რამდენიმე თვეში არ შეიძლება. პროგრამა-მინიმუმის მოცემა შეიძლება არა ნაკლებ 3 წლით. მაგრამ, თუ უტოპიებს არ გამოვეკიდებით, შეიძლება ითქვას, რომ 10 წლის განმავლობაში ჩვენ შევძლებთ მთელი რუსეთი დავფაროთ ელექტროსადგურების ქსელით და გადავიდეთ ელექტრომრეწველობის ისეთ მდგომარეობაზე, რომელიც დააკმაყოფილებდა ტექნიკის თანამედროვე მოთხოვნებს და ბოლოს მოუღებდა ძველ გლეხურ მიწათმოქმედებას. იგი მოითხოვს უფრო მაღალ კულტურასა და განათლებას.

არ ვუმალავთ რა საკუთარ თავს, რომ ახლა უშუალო პრაქტიკული ამოცანა არის ტრანსპორტის აღდგენა და სურსათის მოზიდვა, რომ მწარმოებლურობის ახლანდელი მდგომარეობის დროს არ შეიძლება ფართო ამოცანებს გამოვეკიდოთ, თქვენ მაინც მხედველობაში უნდა გქონდეთ პროპაგანდისა და განათლების დარგში კულტურულ-ტექნიკური მოთხოვნების შესაფერის ნიადაგზე სრული გარდაქმნის ეს ამოცანა და შეასრულოთ იგი. ჩვენ დიდი სისწრაფით განვიკურნებით პროპაგანდის ძველი მეთოდებისაგან, რომელთა ნაკლს მოძველებულობა შეადგენდა, რომლებიც გლეხს აქამდე უდგებოდნენ ზოგადი ფრაზებით კლასობრივი ბრძოლის შესახებ, რომელთა ნიადაგზეც იგონებდნენ ყოველგვარ სისულელეს პროლეტარული კულტურის[84] შესახებ და ა. შ., მალე განვიკურნებით ამ ხარახურისაგან, რომელიც ძალიან გავს საყმაწვილო სენთ ბალღის ასაკში. პროპაგანდაში, აგიტაციაში, სასწავლო-საგანმანათლებლო მოღვაწეობაში ჩვენ გადავალთ საკითხის უფრო ფხიზელ და საქმიან დაყენებაზე, რაც შეჰფერით საბჭოთა ხელისუფლების ადამიანებს, რომლებმაც ორ წელიწადში ზოგი რამ ისწავლეს და რომლებიც გლეხთან მიდიან მთელი მრეწველობის გარდაქმნის პრაქტიკული, საქმიანი და ნათელი გეგმით და იმის განმარტებით, რომ ახლა გლეხი და მუშა, განათლების ახლანდელი მდგომარეობისას, ამ ამოცანას ვერ

შეასრულებენ და ტალახს, სიღატაკეს, პარტახტიან ტიფსა და ავადმყოფობათ თავს ვერ დააღწევენ. ეს პრაქტიკული ამოცანა, რომელიც ნათლადაა დაკავშირებული კულტურისა და განათლების ამაღლებასთან, უნდა გახდეს ის კვანძი, რომლის ირგვლივ თავს უნდა იყრიდეს ჩვენი პარტიული პროპაგანდისა და მოღვაწეობის, ჩვენი სწავლებისა და წვრთნის მთელი ხასიათი. მაშინ იგი ისე ღრმად შეეხება გლეხური მასის უაღრესად საჭირბოროტო ინტერესებს, ისე დააკავშირებს კულტურისა და ცოდნის საერთო აღმავლობას მწვავე ეკონომიურ საჭიროებებთან, რომ ჩვენ კიდევ ასჯერ გავაძლიერებთ განათლების მოთხოვნილებას მუშათა მასის მხრივ. ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ თუ ორ წელიწადში გადავწყვიტეთ უძნელესი სამხედრო ამოცანა, მაშინ 5 — 10 წელიწადში გადავწყვეტთ კიდევ უფრო ძნელ ამოცანას: კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო ამოცანას.

აი ის სურვილი, რომლითაც მე მინდოდა მომემართა თქვენთვის. (ტ ა შ ი.)

მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია
1920 წ. 2 მარტს გაზეთში —
მუშათა და წითელარმიელთა
დეპუტატების მოსკოვის საბჭოს
«ვეჩერნიე იზვესტია» № 481

პირველად სრულად დაიბეჭდა
1930 წ.

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

# მოხსენება მშრომელ კაზაკთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1920 წ. 1 მარტს

ამხანაგებო! უწინარეს ყოვლისა ნება მომეცით მივესალმო ყრილობას სახალხო კომისართა საბჭოს სახელით. მე ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოვახერხე დავსწრებოდი თქვენს კრებას ყრილობის გახსნის პირველ დღეს და ვერ მოვისმინე ამხ. კალინინის მოხსენება. მაგრამ იქიდან, რაც მან მიამბო, ვასკვნი, რომ ძალიან ბევრი რამ, რაც საბჭოთა მშენებლობის უახლოეს, უშუალო ამოცანებსა და სპეციალურად კაზაკებს ეხება, გაშუქებული იყო მის სიტყვაში. ამიტომ ნება მომეცით ჩემს მოხსენებაში ყველაზე მეტი ყურადღება მივაქციო საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობას და იმ ამოცანებს, რომლებიც ამ საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით დგება მთელი მშრომელი მასის წინაშე, მათ შორის კი კაზაკობის წინაშეც.

საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა არასოდეს არ ყოფილა ისეთი ხელსაყრელი და ძლევამოსილი, როგორიც ახლაა. თუ ჩავუფიქრდებით იმ პირობებს, თუ როგორ ჩამოყალიბდა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა ამ ორი წლის მანძილზე გაუგონარ სიძნელეთა და დაუჯერებელი რაოდენობის მსხვერპლის გაღების პირობებში, თუ ჩავუფიქრდებით ამ მოვლენის მიზეზებს, მაშინ ყოველი გონიერი კაცის წინაშე გადაიშლება ძირითადი ძალები და მამოძრავებელი საშუალებანი, ძალთა ძირითადი თანაფარდობა მთელ დაწყებულ მსოფლიო რევოლუციაში.

როდესაც ჩვენ, ორ წელზე უფრო მეტი ხნის წინათ, ჯერ კიდევ რუსეთის რევოლუციის დასაწყისში, ვლაპარაკობდით ამ მოახლოებული საერთაშორისო მსოფლიო რევოლუციის შესახებ, — ეს იყო წინასწარხედვა და რამდენადმე წინასწარმეტყველება, და იმ მშრომელი მასების დიდი უმრავლესობა, რომლებიც დიდ ქალაქებში არ ცხოვრობდნენ, არ გაევლოთ პარტიული სკოლა, ამ სიტყვებს მოახლოებული საერთაშორისო რევოლუციის შესახებ ან უნდობლად ეკიდებოდა ან გულგრილად, ყოველ შემთხვევაში საკმაოდ არ გაეგებოდა ისინი. შეუძლებელიც იქნებოდა და არაბუნებრივიც იმის მოლოდინი, რომ მშრომელი მოსახლეობის, განსაკუთრებით გლეხური, სამიწათმოქმედო მოსახლეობის ვეებერთელა მასებს, რომლებიც გაფანტული არიან თვალუწვდენელ შორეულ მანძილზე, შესძლებოდათ წინდაწინვე შეედგინათ რამდენადმე სწორი წარმოდგენა იმაზე, თუ რატომ ახლოვდება საერთაშორისო რევოლუცია, და იმაზე, რომ ის ნამდვილად საერთაშორისოა. ის, რაც ჩვენ ამ ორი გაუგონრად მძიმე წლის განმავლობაში გამოვიარეთ, ის გამოცდილება, რომელსაც შორეულ განაპირა კუთხეებში მშრომელი მასები ქმნიან, ეს გამოცდილება ღირსია იმისა, რომ მას კარგად ჩავუფიქრდეთ და არა ზურგი ვაქციოთ მას და ვთქვათ, მძიმე დრო იყო, ახლა კი უფრო იოლი დრო დადგაო. არა, საჭიროა ჩავუფიქრდეთ, რატომ მოხდა ისე, როგორც მოხდა, და რას ნიშნავს ეს, რა გაკვეთილები უნდა გამოვიტანოთ აქედან, და რომელი პარტიების შეხედულებებმა დაადასტურა ის, რაც ჩვენმა საკუთარმა და მსოფლიო ისტორიამ გვიჩვენა ამ ორი წლის განმავლობაში. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ საკითხზე მინდოდა მელაპარაკნა.

საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით ეს საკითხი განსაკუთრებით ცხადია, იმიტომ რომ, როცა საქმეს ვეებერთელა მასშტაბით ვიღებთ, არა ერთი პარტიის ან ერთი ქვეყნის თვალსაზრისით, არამედ ყველა ქვეყნის თვალსაზრისით ერთად, როდესაც საქმეს ვიღებთ ვეებერთელა მასშტაბით, მაშინ კერძოობანი და წვრილმანები ქრება, და ძირითადი

მამოძრავებელი ძალები, რომლებიც მსოფლიო ისტორიას განსაზღვრავენ, თვალსაჩინო ხდებიან.

როდესაც ჩვენ ოქტომბრის რევოლუციას ვიწყებდით, ვამხობდით მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლებას, გამოვაქვეყნეთ მოწოდება ომის დამთავრების შესახებ და ამ მოწოდებით მივმართეთ ჩვენს მტრებს, როდესაც ჩვენ ამის შემდეგ გერმანელი იმპერიალისტების უღელქვეშ მოვყევით, როდესაც შემდეგ 1918 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გერმანია გასრესილ იქნა, ხოლო ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა და ანტანტის სხვა ქვეყნები მთელი დედამიწის ბატონები გახდნენ, — როგორი იყო ჩვენი მდგომარეობა? უდიდესი უმრავლესობა ასე ლაპარაკობდა: განა ახლა ცხადი არ არის, რომ ბოლშევიკების საქმე უიმედოაო? ხოლო ბევრი ასე დასძენდა: ეგ არაფერი, რომ უიმედოა, ბოლშევიკები მატყუარები აღმოჩნდნენ, ისინი ზავს გვპირდებოდნენ, ხოლო ამის ნაცვლად, გერმანელთა უღლის შემდეგ, როცა გერმანია დამარცხდა, ისინი მტრები აღმოჩნდნენ მთელი ანტანტისა, ე. ი. ინგლისისა, საფრანგეთისა, ამერიკისა და იაპონიისა — მთელი მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოებისა, და რუსეთმა, აოხრებულმა, დასუსტებულმა, იმპერიალისტური ომის შემდეგ კიდევ სამოქალაქო ომით განაწამებმა, უნდა გაუძლოს ბრძოლას მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ქვეყნების წინააღმდეგ. ადვილი იყო ამის დაჯერება, და გასაკვირი საქმე როდია, რომ უნდობლობის ნიადაგზე გულგრილობა და ძალიან ხშირად ყველაზე რეალური მტრობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდებოდა. ეს გასაკვირი არაა. გასაკვირი უფრო ისაა, რომ ჩვენ ძლევამოსილი გამოვედით ბრძოლიდან იუდენიჩის, კოლჩაკისა და დენიკინის წინააღმდეგ, რომლებსაც მხარს უჭერდნენ მსოფლიოს უმდიდრესი სახელმწიფოები ყველაფრით, რითაც კი შეეძლოთ, ისეთი სახელმწიფოები, რომელთა წინააღმდეგ დედამიწის ზურგზე არ არსებობს არც ერთი სამხედრო ძალა, თუნდაც დაახლოებით მაინც მათი თანაბარი. ხოლო ეს რომ ასეა, ამას ყოველი ადამიანი ხედავს, ბრმებიც

კი, ხედავენ ისინიც, რომლებიც ბრძებზე უარესნი არიან, რომ-ლებსაც არაფრის გულისათვის არ უნდათ დაინახონ, და მაინც ისინიც ხედავენ, რომ ჩვენ ამ ბრძოლიდან ძლევამოსილი გამოვედით.

როგორ მოხდა ასეთი სასწაული? ამ საკითხზე მინდოდა ყველაზე უფრო მეტად შემეჩერებინა თქვენი ყურადღება, იმიტომ რომ ამ საკითხში უდიდესი სიცხადით აშკარავდება მთელი საერთაშორისო რევოლუციის ძირითადი მამოძრავებელი ძალები. თუ ამ საკითხს საქმიანი წესით გავარჩევთ, ჩვენ შეგვიძლია მას პასუხი გავცეთ, იმიტომ რომ ჩვენ წინაშეა უკვე განცდილი: ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ იმის შესახებ, რაც იყო, უკანა რიცხვით.

ჩვენ გამარჯვება იმიტომ მოვიპოვეთ, რომ ჩვენ გვქონდა და შეგვეძლო გვქონოდა ერთიანობა, იმიტომ, რომ ჩვენ შეგვეძლო შემოგვეერთებინა მოკავშირენი ჩვენი მტრების ბანაკიდან. ხოლო ჩვენმა მტრებმა, უსაზღვროდ უფრო ძლიერებმა, მარცხი განიცადეს იმიტომ, რომ მათ შორის არ იყო, არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც იქნება ერთიანობა, და ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლის თვითეული თვე მათთვის ნიშნავდა რღვევას მათი ბანაკის შიგნით.

გადავალ იმ ფაქტზე, რომელიც ამ დებულებებს ამტკიცებს.

თქვენ იცით, რომ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ ინგლისს, საფრანგეთსა და ამერიკას მოწინააღმდეგე არ ჰყავდათ დედამიწის ზურგზე. მათ გაძარცვეს გერმანიის კოლონიები, არ იყო არც ერთი ნაგლეჯი მიწისა, არც ერთი სახელმწიფო, სადაც ანტანტის სამხედრო ძალები არ ბატონობდნენ. თითქოს, ასეთი მდგომარეობის დროს, როცა ისინი საბჭოთა რუსეთის მტრები იყვნენ, მათ ცხადად ესმოდათ, რომ ბოლშევიზმი მიზნად ისახავს საერთაშორისო რევოლუციას. ხოლო ჩვენ არასოდეს არ დაგვიმალავს ის, რომ ჩვენი რევოლუცია მხოლოდ დასაწყისია, რომ იგი ძლევამოსილ დასასრულამდე მიგვიყვანს მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელ მსოფლიოს მოვდებთ ასეთივე რევოლუციის ცეცხლს, და ჩვენ სრულიად ნათლად

გვესმოდა, რომ კაპიტალისტები საბჭოთა ხელისუფლების ცოფმორეული მტრები იყვნენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი ევროპის ბრძოლიდან გამოვიდნენ მილიონიანი არმიით, უძლიერესი ფლოტით, რომელთა წინააღმდეგ ჩვენ არ შეგვეძლო გამოგვეყვანა არც ფლოტის მსგავსი რამ და არც რამდენადმე ძლიერი არმია. საკმარისი იქნებოდა, ამ მილიონიანი არმიიდან რამდენიმე ასი ათასი ჯარისკაცი გამოეყენებინათ ჩვენ წინააღმდეგ ომში ისევე, როგორც გამოყენებულ იქნენ ისინი გერმანიასთან ომში, რომ ანტანტას გავესრისეთ სამხედრო გზით. ამაში ოდნავი ეჭვიც კი არ შეეპარებოდათ იმათ, ვინც თეორიულად მსჯელობდა ამ საკითხზე, განსაკუთრებით კი მათ, ვინც თვითონ აწარმოებდა ამ ომს, ვინც იცის ეს საკუთარი გამოცდილებითა და დაკვირვებით.

ინგლისმაც და საფრანგეთმაც სცადეს ამ გზით აეღოთ რუსეთი. მათ ხელშეკრულება დადვეს იაპონიასთან, რომელსაც იმპერიალისტურ ომში თითქმის არც მიუღია მონაწილეობა და რომელმაც ასეული ათასი ჯარისკაცი მისცა მათ, რათა დაეხრჩოთ საბჭოთა რესპუბლიკა შორეული აღმოსავლეთიდან; ინგლისმა მაშინ ჯარისკაცები გადმოსხა მურმანსა და არხანგელსკში, აღარაფერს ვამბობთ კავკასიაში მოძრაობაზე, ხოლო საფრანგეთმა კი თავისი ჯარისკაცები და მეზღვაურები სამხრეთში გადმოსხა. ეს იყო პირველი ისტორიული ზოლი იმ ბრძოლისა, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ.

ანტანტას მაშინ მილიონიანი არმია ჰყავდა, მას ჰყავდა ისეთი ჯარისკაცები, რომლებიც, ცხადია, როდი იყვნენ ტოლი თეთრგვარდიელთა იმ ჯარებისა, რომლებსაც იმ დროს რუსეთში კრებდნენ და რომლებსაც არ გააჩნდათ არც ორგანიზატორები და არც შეიარაღება. და ანტანტა წამოუძღვა ამ ჯარისკაცებს ჩვენ წინააღმდეგ. მაგრამ მოხდა ის, რასაც ბოლშევიკები წინასწარმეტყველებდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ საქმე ეხება არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო რევოლუციასაც, რომ ჩვენ გვყავს მოკავშირეები — ყოველი ცივილიზებული ქვეყნის მუშები. ეს წინასწარმეტყველებანი პირდაპირი ფორმით არ გამართლდა მაშინ, როდესაც ჩვენ

ზავი შევთავაზეთ ყველა ქვეყანას[85]. ჩვენმა მოწოდებამ საყოველთაო გამოძახილი ვერ პოვა. მაგრამ 1918 წ. იანვრის გაფიცვამ გერმანიაში დაგვანახვა, რომ ჩვენ იქ გვყავს არა მარტო ლიბკნეხტი, რომელსაც უნარი შესწევდა ჯერ კიდევ ცარიზმის დროს ეწოდებინა ტრიბუნიდან გერმანიის მთავრობისა და ბურჟუაზიისათვის ყაჩაღები, არამედ ჩვენს მხარეზე გვყავდა მუშათა საკმაოდ მნიშვნელოვანი ძალები. ეს გაფიცვა დამთავრდა მუშათა სისხლისღვრითა და ჩახშობით, ხოლო ანტანტის ქვეყნებში მუშებს ბურჟუაზია, რასაკვირველია, ატყუებდა; მან ჩვენი მიმართვის შესახებ ან ტყუილი თქვა, ანდა სრულიად არ გამოაქვეყნა იგი, ამიტომაც ჩვენმა მიმართვამ 1917 წ. ნოემბერში ყველა ხალხისადმი პირდაპირი შესრულება ვერ პოვა, და მათ, ვინც ფიქრობდა, რომ რევოლუცია გამოწვეული იქნება მხოლოდ ამ მიმართვით, რასაკვირველია, მეტისმეტად უნდა გასტეხოდათ გული. მაგრამ ჩვენ მარტო მოწოდების იმედი როდი გვქონდა, ჩვენ იმედი გვქონდა უფრო ღრმა მამოძრავებელი ძალებისა; ჩვენ ვამბობდით, რომ რევოლუცია სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გზით წავა, და, რასაკვირველია, საქმე მარტო იმაში კი არაა, რომ დამქაში რასპუტინი ან თავზე ხელაღებული მემამულე გადავაგდოთ, არამედ საქმე ეხება უფრო განვითარებულ, განათლებულ ბურჟუაზიასთან ბრძოლას.

და აი, როდესაც ინგლისმა ჩრდილოეთში გადმოსხა ჯარები, ხოლო საფრანგეთმა — სამხრეთში, მაშინ დაიწყო გადამწყვეტი გამოცდა და კვანძის საბოლოო გახსნა. აქ ირკვეოდა ის საკითხი, თუ ვინ იყო მართალი? მართალნი იყვნენ ბოლშევიკები, რომლებიც ამბობდნენ: იმისათვის, რომ ამ ბრძოლიდან გამოვიდეთ, მუშების იმედი უნდა გვქონდესო, თუ მენშევიკები იყვნენ მართალი, როდესაც ისინი ლაპარაკობდნენ: ერთ ქვეყანაში რევოლუციის მოხდენის ცდა უგუნურება და ავანტიურა იქნება, იმიტომ რომ მას სხვა ქვეყნები გასრესენო. ეს სიტყვები თქვენ მოგისმენიათ არა მარტო პარტიული ადამიანებისაგან, არამედ ყველასაგან, ვინც კი ის-იყო იწყებდა პოლიტიკაზე მსჯელობას. და აი დაიწყო გადამწყვეტი

გამოცდა. ჩვენ დიდხანს არ ვიცოდით, როგორი იქნებოდა შედეგი. დიდხანს ვერ შევძელით ამ შედეგის გათვალისწინება, მაგრამ ახლა, უკანა რიცხვით, ჩვენ ეს შედეგი ვიცით; უკვე ინგლისურ გაზეთებშიც, მიუხედავად გააფთრებული სიცრუისა, რომელსაც თავზე აყრიდნენ ბოლშევიკებს ყველა ბურჟუაზიულ გაზეთში, უკვე იქაც კი იწყეს გამოჩენა ინგლისელი ჯარისკაცების წერილებმა არხანგელსკიდან; ამ წერილებში ისინი იმაზე ლაპარაკობენ, რომ ისინი რუსეთის მიწაზე ხვდებოდნენ ფურცლებს ინგლისურ ენაზე, სადაც მათ განუმარტავდნენ, რომ ისინი მოატყუეს, რომ მათ აომებენ იმ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, რომელთაც თავისი სახელმწიფო დააარსეს. ეს ჯარისკაცები წერდნენ, რომ ისინი თანახმა არ არიან იომონ. ჩვენ ვიცით საფრანგეთის შესახებ, რომ იქ იყო მეზღვაურთა აჯანყება, რის გამო ახლაც კიდევ ათობით, ასობით და შეიძლება ათასობითაც ფრანგი კატორღაში იმყოფება. ამ მეზღვაურებმა განაცხადეს, რომ ისინი არ წავლენ საომრად საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ახლა ჩვენ ვხედავთ, რატომ არ ილაშქრებენ ჩვენ წინააღმდეგ არც საფრანგეთის ჯარები და არც ინგლისის ჯარები, რატომ გაიყვანეს არხანგელსკიდან ინგლისელი ჯარისკაცები, და რატომ ვერ ბედავს ინგლისის მთავრობა ჩვენს მიწაზე გამოიყვანოს ისინი სალაშქროდ.

ერთ-ერთი ჩვენი პოლიტიკური მწერალი, ამხ. რადეკი, წერდა, რომ რუსეთის ნიადაგი აღმოჩნდება ისეთი ნიადაგი, სადაც სხვა ქვეყნის ვერც ერთი ჯარისკაცი, რომელიც მასზე ფეხს დადგამს, ვერ იომებს. ეს მეტისმეტად მაღალფარდოვანი დაპირება, უბრალო აღთქმა ეგონათ. მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს მართლაც ასე გამოვიდა. ნიადაგი, სადაც საბჭოთა რევოლუცია მოხდა, ძალიან სახიფათო აღმოჩნდა ყველა ქვეყნისათვის. აღმოჩნდა, რომ მართალნი იყვნენ რუსი ბოლშევიკები, რომელთაც ცარიზმის დროს მოასწრეს შეექმნათ ერთობა მუშათა შორის, ხოლო მუშებმა მოასწრეს შეექმნათ პატარა უჯრედები, რომლებიც ყოველ ადამიანს, ვინც მათ უჯერებდა, ფრანგ მუშებსაც და ინგლისელ ჯარისკაცებსაც,

აგიტაციით ხვდებოდნენ მათს მშობლიურ ენაზე. მართალია, ჩვენ გვქონდა მხოლოდ უმნიშვნელო ფურცლები, მაშინ როდესაც ინგლისურ და ფრანგულ პრესაში აგიტაციას ეწეოდა ათასობით გაზეთი, და თვითეული ფრაზა ქვეყნდებოდა ათი ათასობით სვეტზე, ჩვენ კი ვუშვებდით თვეში მეოთხედი ფორმატის სულ 2—3 ფურცელს, უკეთეს შემთხვევაში ერთი ფურცელი ხვდებოდა ათი ათას ფრანგ ჯარისკაცს[86]. მე ისიც არ მჯერა, რომ ამდენიც თუ შეხვდებოდა. რატომ ენდობოდნენ და უჯერებდნენ მაინც ფრანგი და ინგლისელი ჯარისკაცები ამ ფურცლებს? იმიტომ რომ ჩვენ სიმართლეს ვეუბნებოდით და იმიტომ, რომ რუსეთში ჩამოსვლისას ისინი ხედავდნენ, რომ მოტყუებული იყვნენ. მათ ეუბნებოდნენ, რომ მათ უნდა დაეცვათ თავიანთი სამშობლო, ხოლო როცა რუსეთში მოდიოდნენ, ხედავდნენ, რომ მათ უნდა დაეცვათ მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება, უნდა ჩაეხშოთ რევოლუცია. თუ ორი წლის განმავლობაში ჩვენ მოვასწარით ამ ადამიანების მომხრობა, ეს იმიტომ მოხდა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მათ უკვე დავიწყებული ჰქონდათ, თუ როგორ დასაჯეს მათ სიკვდილით თავიანთი მეფეები, — მას შემდეგ, რაც მათ ფეხი შედგეს რუსეთის მიწაზე, რუსეთის რევოლუციამ და რუსი მუშებისა და გლეხების გამარჯვებებმა საფრანგეთისა და ინგლისის ჯარისკაცებს მოაგონეს მათი რევოლუციები, და რუსეთის ამბების წყალობით მათს მეხსიერებაში ამოტივტივდა მოგონებანი იმის შესახებ, რაც ოდესღაც მათთანაც იყო.

სწორედ აქ დამტკიცდა, რომ ბოლშევიკები მართალი იყვნენ, რომ ჩვენი იმედები უფრო საფუძვლიანი აღმოჩნდა, ვიდრე კაპიტალისტების იმედები, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გაგვაჩნდა არც საშუალებები, არც იარაღი, ანტანტას კი იარაღიც ჰქონდა და უძლეველი არმიაც ჰყავდა. აი ეს უძლეველი არმიები მოვიმხრეთ ჩვენ. ჩვენ იმას მივაღწიეთ, რომ ვერც ინგლისელი და ვერც ფრანგი ჯარისკაცების ჩვენზე სალაშქროდ წამოყვანას ვეღარ გაბედავენ, რადგან გამოცდილებით იციან, რომ ამგვარი ცდა მათ საწინააღმდეგოდ

შებრუნდება. აი ეს არის ერთ-ერთი იმ სასწაულთაგანი, რომ-ლებიც საბჭოთა რუსეთში მოხდა.

ახლა, ოთხი წლის ომის შემდეგ, როცა 10 მილიონი კაცი მოკლულია და 20 მილიონი დასახიჩრებული, ახლა, როდესაც იმპერიალისტები თავიანთ თავს ეკითხებიან: რისი გულისა-თვის იყო ომი? — ამგვარი კითხვები ძალიან საინტერესო მხი-ლებებს იწვევენ. ამ ცოტა ხნის წინათ საფრანგეთში გამო-აქვეყნეს მოლაპარაკებანი, რომლებიც 1916 წელს წარმოებდა. ჯერ კიდევ 1916 წელს ავსტრიის მონარქმა საფრანგეთთან მოლაპარაკება დაიწყო ზავის თაობაზე, და საფრანგეთმა იგი და-მალა. ალბერ ტომა, რომელიც თავის თავს სოციალისტს უწო-დებდა და იმ დროს სამინისტროში იჯდა, მაშინ რუსეთში ჩამოვიდა იმისათვის, რომ ნიკოლოზ II-ეს დაჰპირებოდა კონს-ტანტინოპოლს, დარდანელსა და გალიციას. აი ახლა ყველა ეს მხილება დღის სინათლეზე ამოტივტივდა. ისინი დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთში. და ახლა ფრანგი მუშები ეკითხებიან ალ-ბერ ტომას: «შენ ამბობდი, რომ სამინისტროში იმიტომ შეხ-ვედი, რათა დაგეცვა ფრანგთა სამშობლო და ფრანგი მუშე-ბის ინტერესები, მაგრამ 1916 წელს, როდესაც ავსტრიის მო-ნარქმა ზავი შემოგთავაზა, შენ, ალბერ ტომა, ეს დამალე, და ამის გამო მილიონობით ადამიანები დაიღუპნენ, რათა ფრანგი კაპიტალისტები გამდიდრებულიყვნენ». ეს მხილებანი ჯერ კი-დევ არ გათავებულა. ეს მხილებანი ჩვენ იმით დავიწყეთ, რომ დავბეჭდეთ საიდუმლო ხელშეკრულებები, და მთელმა მსოფ-ლიომ დაინახა, თუ რისი გულისათვის დაიღუპა მილიონობით სიცოცხლე, მილიონობით მსხვერპლი. მხოლოდ იმისათვის, რომ ნიკოლოზ II-ეს მიეღო დარდანელი და გალიცია. ეს ყველა იმპერიალისტმა იცოდა. იცოდნენ აგრეთვე მენშევი-კებმა და ესერებმა, ხოლო თუ არ იცოდნენ, მაშინ ისინი სულ მთლად რეგვენები ყოფილან, თუ მანამდე იმდენად ვერ შეის-წავლეს პოლიტიკა და დიპლომატია, რომ არ იცოდნენ ის, რაც ახლა ფრანგულ გაზეთებშია დაბეჭდილი. ეს მხილებანი ახლა სულ უფრო ღრმავდება, და ისინი არც დამთავრდება. ამის წყა-ლობით თვითეული ქვეყნის მუშები და გლეხები სულ უფრო

და უფრო გრძნობენ სიმართლეს და უკვე ერკვევიან, თუ რისი გულისათვის იყო იმპერიალისტური ომი. და ამიტომ სულ უფრო მეტად და მეტად გვიჯერებენ, რომ ჩვენ სიმართლეს ვამბობდით, ხოლო იმპერიალისტები სიცრუეს ეუბნებოდნენ მათ, როდესაც ისინი ვითომდა სამშობლოს დასაცავად მიჰყავდათ.

აი რატომ მოხდა ჩვენი სასწაული, რომ ჩვენ, სამხედრო თვალსაზრისით სუსტებმა და უძლურებმა, გადმოვიბირეთ ინგლისისა და საფრანგეთის ჯარისკაცები. ახლა ეს უკვე ფაქტია და არა წინასწარ განჭვრეტა. მართალია, ეს გამარჯვება ჩვენ დავიმსახურეთ გაუგონარი ტანჯვით, ჩვენ წარმოუდგენელი მსხვერპლი გავიღეთ. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ გაუგონარ ტანჯვა-წამებას განვიცდით შიმშილისაგან. ეს ტანჯვა-წამება თავს დაგვატყდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღმოსავლეთისა და სამხრეთის პურის რაიონები მოწყვეტილი იყო ჩვენგან. და მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გავიმარჯვეთ, რაც წარმოადგენს არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ ყველა ქვეყნის, მთელი კაცობრიობის მონაპოვარს. ასეთი მდგომარეობა ისტორიაში ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა, რომ სამხედრო თვალსაზრისით უძლიერესი სახელმწიფოები ვერ ბედავდნენ გამოლაშქრებას სამხედრო თვალსაზრისით უძლური საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. რატომ მოხდა ეს სასწაული? იმიტომ რომ ჩვენ, ბოლშევიკებმა, როდესაც რუს ხალხს რევოლუციისაკენ მივუძღოდით, მშვენივრად ვიცოდით, რომ ეს რევოლუცია იქნებოდა მტკივნეული, ვიცოდით, რომ მილიონობით მსხვერპლს შევწირავდით, მაგრამ ისიც ვიცოდით, რომ ყველა ქვეყნის მშრომელი მასები ჩვენს მხარეზე იქნებოდნენ და რომ ჩვენი სიმართლე, რომელიც მთელ სიცრუეს ამხელდა, სულ უფრო და უფრო გაიმარჯვებდა.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფოებს ჩაეფუშათ ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ, მათ სხვა იარაღი სცადეს: იქ ბურჟუაზიას ასეული წლების გამოცდილება აქვს და მან შეძლო გამოეცვალა საკუთარი არასაიმედო იარაღი. წინათ რუსეთს

თრგუნავდნენ, ახრჩობდნენ ამ ბურჟუაზიის ჯარისკაცები. ახლა იგი სინჯავს მოახრჩოს რუსეთი განაპირა სახელმწიფოების დახმარებით.

ცარიზმი, მემამულეები, კაპიტალისტები სულს უხუთავდნენ მთელ რიგ განაპირა ხალხებს — ლატვიას, ფინეთს და ა. შ.. მათ აქ სიძულვილი გამოიწვიეს საუკუნეობრივი ჩაგვრით. სიტყვა «ველიკოროსი» ყველაზე საძულველ სიტყვად იქცა ყველა ამ, სისხლში ჩამხრჩვალი ხალხებისათვის. და აი, რაკი ბოლშევიკების წინააღმდეგ საკუთარი ჯარისკაცებით ბრძოლაში დამარცხდა, ანტანტა ახლა პატარა სახელმწიფოებს მიადგა: მოდი, მათი საშუალებით ვცადოთ საბჭოთა რუსეთის დახრჩობაო!

ჩერჩილს, რომელიც ისეთსავე პოლიტიკას ეწევა, როგორსაც ნიკოლოზ რომანოვი ეწეოდა, სურს ომი და ომობს კიდეც ისე, რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევს პარლამენტს. ის იკვეხნიდა, რომ 14 სახელმწიფოს გამოვიყვან რუსეთის წინააღმდეგო — ეს იყო 1919 წელს — და რომ სექტემბერში აღებული იქნება პეტროგრადი, ხოლო დეკემბერში — მოსკოვიო. ცოტა არ იყოს, მეტისმეტი ტრაბახი გამოუვიდა. მას იმის იმედი ჰქონდა, რომ ამ პატარა სახელმწიფოებში ყველგან ,გამეფებულია სიძულვილი რუსეთის მიმართ, მაგრამ დაავიწყდა, რომ ამ პატარა სახელმწიფოებში ნათლად აქვთ წარმოდგენილი, თუ რას წარმოადგენენ იუდენიჩი, კოლჩაკი, დენიკინი. იყო დრო, როდესაც მათ სრულ გამარჯვებამდე რამდენიმე კვირა უკლდათ. იუდენიჩის ლაშქრობის დროს, როდესაც ის შორს არ იყო პეტროგრადიდან, გაზეთ «ტაიმს»- * ში, ყველაზე მდიდარ ინგლისურ გაზეთში, მოთავსებული იყო სტატია, — მე თვით წავიკითხე ეს მოწინავე, — რომელიც ემუდარებოდა, უბრძანებდა ფინეთს, მოითხოვდა: დაეხმარეთ იუდენიჩს, თქვენ შემოგყურებთ მთელი მსოფლიო, თქვენ იხსნით თავისუფლებას, ცივილიზაციას, კულტურას მთელ მსოფლიოში — გაილაშქრეთ ბოლშევიკების წინააღმდეგო. ამას ეუბნებოდა ინგლისი ფინეთს, ინგლისი, რომელსაც მთელი

*— «დროება». რ ე დ.

ფინეთი ჯიბეში ჰყავს, და ფინეთი მის ვალებში ყელამდეა ჩაფლული, კრინტის დაძვრასაც ვერ გაბედავს, იმიტომ რომ მას უინგლისოდ ერთი კვირის სამყოფი პურიც კი არა აქვს.

აი როგორი დაჟინებითი მოთხოვნები იყო იმისათვის, რომ ყველა ამ პატარა სახელმწიფოს ბოლშევიკების წინააღმდეგ ებრძოლა. მაგრამ ესეც ორჯერ ჩაეფუშათ, ჩაეფუშათ იმიტომ, რომ ბოლშევიკების სამშვიდობო პოლიტიკა სერიოზული აღმოჩნდა, აღმოჩნდა, რომ იგი მისმა მტრებმაც დააფასეს, როგორც უფრო კეთილსინდისიერი, ვიდრე სამშვიდობო პოლიტიკა ყველა დანარჩენი ქვეყნებისა, იმიტომ რომ მთელი რიგი ქვეყნები თავიანთ თავს ეუბნებოდნენ: როგორც უნდა გვძულდეს ველიკოროსია, რომელიც ჩვენ გვახრჩობდა, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ გვახრჩობდნენ იუდენიჩი, კოლჩაკი, დენიკინი და არა ბოლშევიკები. ფინეთის თეთრგვარდიული მთავრობის ყოფილ მეთაურს არ დავიწყებია, თუ 1917 წ. ნოემბერში როგორ მიიღო პირადად ჩემი ხელით დოკუმენტი, სადაც ჩვენ სრულიად უყოყმანოდ ვწერდით, რომ უცილობლად ვაღიარებთ ფინეთის დამოუკიდებლობას[87].

მაშინ ეს უბრალო ჟესტი ეგონათ. ფიქრობდნენ, რომ ფინეთის მუშათა აჯანყება ამას დაგვავიწყებინებდა. არა, ასეთ ამბებს არ ივიწყებენ, როდესაც მათ ადასტურებს გარკვეული პარტიის მთელი პოლიტიკა. თვით ფინეთის ბურჟუაზიული მთავრობაც, ისიც კი ამბობდა: «მოდით ვიმსჯელოთ: ჩვენ რაღაც მაინც ვისწავლეთ რუსი მეფეების მხრივ 150 წლის ჩაგვრის მანძილზე. თუ ჩვენ ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოვალთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ხელს შევუწყობთ იუდენიჩის, კოლჩაკისა და დენიკინის წამოსკუპებას. მერე და, ვინ არიან ისინი? განა არ ვიცით? განა ესენი იგივე მეფის გენერლები არ არიან, რომლებმაც დაახრჩვეს ფინეთი, ლატვია, პოლონეთი და მთელი რიგი სხვა ხალხები? და განა ამ ჩვენს მტრებს დავეხმარებით ბოლშევიკების წინააღმდეგ? არა, ჩვენ დავიცდით».

მათ ვერ გაბედეს პირდაპირ ეთქვათ უარი: ისინი ანტანტისაგან არიან დამოკიდებული. მათ პირდაპირი დახმარება არ

აღმოგვიჩინეს, უცდიდნენ, აჭიანურებდნენ, ნოტებს წერდნენ, დელეგაციებს გზავნიდნენ, კომისიებს აწყობდნენ, კონფერენციებზე ისხდნენ და ისხდნენ მანამდე, სანამ იუდენიჩი, კოლჩაკი და დენიკინი გაისრისებოდნენ, და ანტანტა დამარცხებული აღმოჩნდა მეორე კამპანიაშიც. ჩვენ გამოვედით გამარჯვებულნი.

ყველა ეს პატარა სახელმწიფო რომ ჩვენ წინააღმდეგ წამოსულიყო, — მათ კი ამისთვის მისცეს ასეულ მილიონობით დოლარი, საუკეთესო ზარბაზნები, შეიარაღება, მათ ჰყავდათ ინგლისელი ინსტრუქტორები, ომში გამოცდილნი, — ისინი რომ ჩვენ წინააღმდეგ წამოსულიყვნენ, ოდნავადაც არ გვეპარება ეჭვი, რომ დავმარცხდებოდით. ეს მშვენივრად ესმის თვითეულს. მაგრამ მათ არ გამოილაშქრეს, რადგან აღიარეს, რომ ბოლშევიკები უფრო კეთილსინდისიერნი არიან. როდესაც ბოლშევიკები ამბობენ, რომ ისინი ცნობენ ყოველი ხალხის დამოუკიდებლობას, რომ მეფის რუსეთი აგებული იყო სხვა ხალხების ჩაგვრაზე, და რომ ბოლშევიკები ამ პოლიტიკას არასოდეს არ იცავდნენ, არ იცავენ და არც დაიცავენ, რომ ისინი არასოდეს არ დაიწყებენ ომს იმისათვის, რომ ჩაგრონ, — როდესაც ისინი ამას ლაპარაკობენ, მათ უჯერებენ. ამის შესახებ ჩვენ ვიცით არა ლატვიელი ან პოლონელი ბოლშევიკებისაგან, არამედ პოლონეთის, ლატვიის, უკრაინის და ა. შ. ბურჟუაზიისაგან.

ამაში იჩინა თავი ბოლშევიკური პოლიტიკის საერთაშორისო მნიშვნელობამ. ეს იყო შემოწმება არა რუსულ, არამედ საერთაშორისო ნიადაგზე. ეს იყო შემოწმება ცეცხლითა და მახვილით, და არა სიტყვებით. ეს იყო შემოწმება უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლაში. იმპერიალისტებს ესმოდათ, რომ მათ თავისი ჯარისკაცები არა ჰყავთ, რომ ბოლშევიზმის დახრჩობა შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო ძალების თავმოყრით, და აი ყველა საერთაშორისო ძალები დამარცხდნენ.

**რა არის იმპერიალიზმი?** ესაა — როცა ერთი მუჭა უმდიდრესი სახელმწიფოები ახრჩობენ მთელ მსოფლიოს, როცა მათ იციან, რომ მათ ჰყავთ მთელი მსოფლიოს ათას ხუთასი მილი-

ონი ადამიანი, და ახრჩობენ მათ, და ეს ათას ხუთასი მილიონი გრძნობს, თუ რა არის ინგლისური კულტურა, ფრანგული კულტურა და ამერიკული ცივილიზაცია. ეს ნიშნავს: ძარცვოს, ვისაც როგორ ემარჯვება. ამჟამად ფინეთის სამი მეოთხედი უკვე შესყიდული აქვთ ამერიკელ მილიარდერებს. ოფიცრებს, რომლებიც ინგლისიდან და საფრანგეთიდან მოდიოდნენ ჩვენს განაპირა სახელმწიფოებში მათი ჯარების საინსტრუქციოდ, თავი ისე ეჭირათ, როგორც რუს თავხედ აზნაურიშვილებს დამარცხებულ ქვეყანაში. ისინი სპეკულაციას ეწეოდნენ მარჯვნივ და მარცხნივ. და რაც უფრო მეტად შიმშილობენ ფინელი, პოლონელი და ლატვიელი მუშები, მით უფრო ჩაგრავენ მათ ერთი მუჭა ინგლისელი, ამერიკელი და ფრანგი მილიარდერები და მათი დამქაშები. და ეს ხდება მთელ მსოფლიოში.

მხოლოდ რუსეთის სოციალისტურმა რესპუბლიკამ აღმართა ომის დროშა ნამდვილი განთავისუფლებისათვის, და მთელ მსოფლიოში თანაგრძნობაც მის სასარგებლოდ იხრება. პატარა ქვეყნების მეოხებით ჩვენ მოვიპოვეთ დედამიწის ყველა ხალხის თანაგრძნობა, ეს ხალხები კი ასეულ და ასეულ მილიონებს შეადგენენ. ახლა ისინი დაჩაგრული და დატანჯული არიან, ეს — მოსახლეობის ყველაზე განუვითარებელი ნაწილია, მაგრამ ისინი ომმა გააცნობიერა. იმპერიალისტურმა ომმა ხალხთა კოლოსალური მასები ჩაითრია. ინგლისს პოლკები ინდოეთიდან მოჰყავდა იმისათვის, რომ გერმანელების წინააღმდეგ ებრძოლა. საფრანგეთმა თოფქვეშ დააყენა მილიონობით ზანგები გერმანელების წინააღმდეგ საბრძოლველად. მათგან ქმნიდნენ დამკვრელ ჯგუფებს, მათ ისროდნენ ყველაზე სახიფათო ადგილებზე, სადაც ტყვიამფრქვევები მათ ბალახივით ცელავდა. და რაღაც მათაც ისწავლეს. ისე როგორც მეფის დროს რუსმა ჯარისკაცებმა თქვეს: რაკილა დაღუპვაა, მაშ ისევ მემამულეებს შევუტიოთო, — ასევე თქვეს მათაც: რაკი ვიღუპებით, დავიღუპოთ არა იმისათვის, რომ ფრანგ ყაჩაღებს დავეხმაროთ ძარცვონ გერმანელი ყაჩაღი კაპიტალისტი, არამედ იმისათვის, რომ გავთავისუფლდეთ როგორც გერმანელი,

ისე ფრანგი კაპიტალისტებისგანო. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, თვით იმავე ინდოეთში, სადაც ჩაგვრას განიცდის ინგლისელთა სამასი მილიონი მოჯამაგირე, იღვიძებს შეგნება და დღითი დღე იზრდება რევოლუციური მოძრაობა. ყველა ისინი ერთ ვარსკვლავს შეჰყურებენ, საბჭოთა რესპუბლიკის ვარსკვლავს, რადგან იციან, რომ მან უდიდესი მსხვერპლი გაიღო იმპერიალისტებთან ბრძოლისათვის და გაუძლო მრავალ მძიმე განსაცდელს.

აი რას ნიშნავს ანტანტის მეორე მარცხი. ეს ნიშნავს გამარჯვებას საერთაშორისო მასშტაბით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს სამშვიდობო პოლიტიკას იწონებს დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მოკავშირეების რიცხვი ყველა ქვეყანაში იზრდება, მართალია, გაცილებით უფრო ნელა, ვიდრე ეს სასურველია ჩვენთვის, მაგრამ მაინც იზრდება.

ის გამარჯვება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ ჩერჩილის მიერ ჩვენ წინააღმდეგ მოწყობილ შემოტევაში, ცხადყოფს, რომ ჩვენი პოლიტიკა სწორია. ხოლო ამის შემდეგ ჩვენ მოვიპოვეთ მესამე გამარჯვება — გამარჯვება ბურჟუაზიულ ინტელიგენციაზე, ესერებსა და მენშევიკებზე, რომლებიც ყველა ქვეყანაში გაცოფებულნი იყვნენ ჩვენ წინააღმდეგ. შაგრამ მათაც ზურგი შეაქციეს ომს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ყველა ქვეყნის ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ, ესერებმა და მენშევიკებმა — ეს მოდგმა, საუბედუროდ, ყველა ქვეყანაშია (ტ ა შ ი) — დაგმეს რუსეთის საქმეებში ჩარევა. მათ ყველა ქვეყანაში განაცხადეს, რომ ეს სამარცხვინოა.

როდესაც ინგლისმა გერმანელებს შესთავაზა მოეხდინათ საბჭოთა რუსეთის ბლოკირება, ხოლო გერმანიამ უარით უპასუხა, ამან მოთმინებიდან გამოიყვანა ინგლისელი და სხვა ესერები და მენშევიკები. მათ თქვეს: «ჩვენ ბოლშევიკების მოწინააღმდეგენი ვართ და მათ მოძალადეებად და მძარცველებად ვთვლით, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ გერმანელებისათვის შეთავაზებულ იმ წინადადებას, რომ მათ ჩვენთან ერთად დამშევის ბლოკადით სული ამოხადონ

რუსეთს». ამრიგად, მტრის ბანაკის შიგნით, მათ საკუთარ ქვეყნებში, პარიზში, ლონდონში და ა.შ., სადაც ბოლშევიკებს დევნიან და მათ ისევე ეპყრობიან, როგორც მეფის დროს რევოლუციონერებს ეპყრობოდნენ, — ყველა ქალაქში ბურჟუაზიული ინტელიგენცია გამოვიდა მოწოდებით: «ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან». ინგლისში ეს ის ლოზუნგია, რომლითაც ბურჟუაზიული ინტელიგენცია მიტინგებს აწყობს და მოწოდებებს წერს.

აი რატომ მოუხდათ მათ ბლოკადის მოხსნა. მათ ვერ შეძლეს ესტონეთის შენარჩუნება, ჩვენ კი მასთან ხელი მოვაწერეთ ზავზე და შეგვიძლია დავიწყოთ სავაჭრო ურთიერთობა. ჩვენ სარკმელი გავჭერით ცივილიზებულ სამყაროსაკენ. ჩვენს მხარეზეა მშრომელთა უმრავლესობის თანაგრძნობა, ხოლო ბურჟუაზიის საზრუნავია, რაც შეიძლება მალე დაიწყოს ვაჭრობა რუსეთთან.

ახლა იმპერიალისტებს ჩვენი ეშინიათ, და საბუთიც აქვთ ეშინოდეთ, იმიტომ რომ საბჭოთა რუსეთი ამ ომიდან გამოვიდა უფრო ძლიერი, ვიდრე ოდესმე იყო. ინგლისელი მწერლები წერდნენ, რომ არმია მთელ მსოფლიოში იხრწნება, რომ თუ არის მთელ მსოფლიოში ქვეყანა, სადაც არმია ძლიერდება, ეს საბჭოთა რუსეთიაო. ისინი ცდილობდნენ ცილი დაეწამებინათ ამხ. ტროცკისათვის და ამბობდნენ, ეს იმიტომ, რომ რუსეთის არმიაში რკინისებური დისციპლინაა გაბატონებული, რაც ულმობელი ზომებითა და აგრეთვე ოსტატური ფართო აგიტაციით ტარდებაო.

ჩვენ არასოდეს ამაზე უარი არ გვითქვამს. ომი — ომია, იგი რკინისებურ დისციპლინას მოითხოვს. განა თქვენ, ბატონო კაპიტალისტებო, არ იყენებდით ასეთ საშუალებებს? განა თქვენ, ბატონო კაპიტალისტებო, არ განავითარეთ აგიტაცია? განა თქვენ ასჯერ მეტი ქაღალდი და სტამბები არა გაქვთ? თუ შევადარებთ ჩვენი ლიტერატურის რაოდენობას თქვენი ლიტერატურის რაოდენობას, განა მუხუდოს მარცვლისოდენა არ გამოვა ჩვენს მხარეს და მთისოდენა — თქვენს მხარეს? მაგრამ თქვენი აგიტაცია მაინც ჩაიფუშა, ჩვენმა კი გაიმარჯვა.

ესერებმა და მენშევიკებმა ცადეს, ხომ არ შეიძლება მშვიდობიანად მოვურიგდეთ კაპიტალისტებს და მათგან სოციალურ რეფორმაზე გადავიდეთო. მათ მშვიდობიანად უნდოდათ რუსეთში სოციალურ რეფორმაზე გადასვლა, ოღონდ ისე, რომ კაპიტალისტებისათვის არ ეწყენინებინათ. მათ დაივიწყეს, რომ ბატონი კაპიტალისტები კაპიტალისტები არიან და რომ მათი მხოლოდ დამარცხება შეიძლება. ისინი ამბობენ, რომ ბოლშევიკებმა ქვეყანა სისხლით შეღებეს სამოქალაქო ომშიო. მაგრამ განა თქვენ, ბატონო ესერებო და მენშევიკებო, არ გქონდათ 8 თვე თქვენი ცდის მოსახდენად? განა 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე ხელისუფლების სათავეში თქვენ არ იდექით კერენსკისთან ერთად, როდესაც გეხმარებოდნენ ყველა კადეტი, მთელი ანტანტა, მსოფლიოს ყველა უმდიდრესი ქვეყანა? მაშინ თქვენი პროგრამა იყო სოციალური გარდაქმნა სამოქალაქო ომის გარეშე. განა მოიძებნებოდა ქვეყნად თუნდ ერთი სულელიც კი, რომელიც რევოლუციას მიმართავდა, თქვენ რომ ნამდვილად დაგეწყოთ სოციალური რეფორმა? რატომ არ გააკეთეთ ეს? იმიტომ რომ თქვენი პროგრამა იყო ცარიელი პროგრამა, სულელური ოცნება. იმიტომ რომ არ შეიძლება კაპიტალისტებთან შეთანხმება და მათი მშვიდობიანად დამორჩილება, განსაკუთრებით ოთხწლიანი იმპერიალისტური ომის შემდეგ. მერე-და რას ფიქრობთ, — განა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში არ არიან ჭკვიანი ადამიანები, რომლებსაც ესმით, რომ ისინი ამ ომში მიდიოდნენ კოლონიების გასაყოფად? რომ ნადავლის გაყოფის გულისათვის მოკლულია 10 მილიონი და დასახიჩრებულია 20 მილიონი? აი რას წარმოადგენს ეს კაპიტალიზმი. როგორ შეიძლება მისი დაყოლიება, როგორ შეიძლება შეთანხმება ამ კაპიტალიზმთან, რომელმაც 20 მილიონი ადამიანი დაასახიჩრა და 10 მილიონი მოკლა? და ჩვენ მენშევიკებსა და ესერებს ვეუბნებით: «თქვენ გქონდათ შესაძლებლობა ცდა მოგეხდინათ, რატომღა არ გამოგივიდათ? იმიტომ, რომ თქვენი პროგრამა იყო უბრალო უტოპია, უტოპია არა მარტო რუსეთში, არამედ გერმანიაშიც კი, იმ გერმანიაში, სადაც ახლა ხელისუფლების

სათავეში დგანან გერმანელი მენშევიკები და ესერები, რომელთაც არავინ ემორჩილება, იმ გერმანიაში, სადაც გერმანელი კორნილოვი, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, ამზადებს რეაქციას[88], იმ გერმანულ რესპუბლიკაში, სადაც ქალაქების ქუჩებში 15 000 მუშა გაჟლიტეს. და ამას დემოკრატიული რესპუბლიკა ეწოდება!». და ამის შემდეგ გერმანელ მენშევიკებსა და ესერებს კიდევ შეუძლიათ ილაპარაკონ, რომ ბოლშევიკები ცუდები არიან, მათ ქვეყანა სამოქალაქო ომამდე მიიყვანეს, ჩვენ კი სოციალური მშვიდობა გვაქვს, მხოლოდ 15 000 მუშაა ქუჩებში გაჟლეტილიო!

ისინი ლაპარაკობენ, რომ ჩვენთან სამოქალაქო ომი და სისხლისღვრა იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ. მაგრამ გვითხარით, რატომ ხდება იგივე ისეთ არაჩამორჩენილ ქვეყნებში, როგორიცაა ფინეთი? რატომ ხდება უნგრეთში ისეთი თეთრი ტერორი, რომლის გამო მთელი მსოფლიო აღშფოთებულია? რატომ მოკლეს ლუქსემბურგი და ლიბკნეხტი გერმანიის რესპუბლიკაში, სადაც კაიზერის დამხობის შემდეგ ხელისუფლების სათავეში დგანან მენშევიკები და ესერები? რატომ არის იქ ძლიერი არა მენშევიკი, არამედ კორნილოვი, და რატომ არიან იქ კიდევ ძლიერნი ბოლშევიკები, რომლებიც თუმცა შევიწროებულნი არიან, მაგრამ მაინც ძლიერნი არიან თავიანთი საქმის სიმართლის რწმენითა და თავიანთი გავლენით მასებზე?

აი ის საერთაშორისო რევოლუცია, რომლის შესახებაც ლაპარაკობდნენ, რომ ბოლშევიკები მით ხალხს ატყუებენო, ნამდვილად კი ისე გამოვიდა, რომ შეთანხმების ყოველგვარი იმედი ფუჭი როშვა გამოდგა.

თვით ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის დიდი შეხლა-შემოხლა ჩაღდება. ამერიკა და იაპონია მზად არიან ერთმანეთს დაეტაკონ, იმიტომ რომ იაპონია დიდხანს იჯდა იმპერიალისტური ომის დროს და ხელთ იგდო თითქმის მთელი ჩინეთი, — ჩინეთში კი 400 მილიონი კაცია. ბატონი იმპერიალისტები ამბობენ: «ჩვენ რესპუბლიკას, ჩვენ დემოკრატიზმს ვემხრობითო, მაგრამ რატომ იპარავდნენ იაპონელები ჩვენ ცხვირ-

წინ იმაზე მეტს, ვიდრე ჯერ არს?». იაპონია და ამერიკა ომის წინაშე დგანან და არავითარი შესაძლებლობა ამ ომის შეჩერებისა, რომელშიც კიდევ გაიჟლიტება 10 მილიონი და დასახიჩრდება 20 მილიონი ადამიანი, არ არსებობს. საფრანგეთიც ამბობს: «ვის ერგო კოლონიები? — ინგლისს». საფრანგეთმა გაიმარჯვა, მაგრამ ის ყელამდე ვალებშია ჩაფლული, ის გამოუვალ მდგომარეობაშია, მაშინ როდესაც ინგლისი გამდიდრდა. იქ კვლავ იწყება უკვე ახალი კომბინაციები და კავშირები, იქ ხელახლა სურთ ერთმანეთს ეძგერონ კოლონიების გასაყოფად, და იმპერიალისტური ომი კვლავ მზადდება. მისი შეკავება არ შეიძლება — არ შეიძლება იმიტომ კი არა, რომ თვითეული ცალკეულად აღებული კაპიტალისტი ბოროტი ადამიანია, — თვითეული მათგანი, ცალკეულად აღებული, ჩვეულებრივი ადამიანია, — არამედ იმიტომ რომ მათ არ შეუძლიათ სხვაგვარად დააღწიონ თავი ფინანსურ ბორკილებს, იმიტომ რომ მთელი მსოფლიო ვალშია ჩაფლული, კაბალაშია ჩავარდნილი, იმიტომ რომ კერძო საკუთრებამ გამოიწვია და ყოველთვის გამოიწვევს ომს.

ყოველივე ეს სულ უფრო და უფრო აღრმავებს საერთაშორისო რევოლუციას. ამის წყალობით ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანეთ ფრანგი და ინგლისელი ჯარისკაცები, ამის მეოხებით მოვიპოვეთ პატარა სახელმწიფოების ნდობა, და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა ახლა ისე კარგია, როგორც არასოდეს. უბრალო გამოანგარიშების საფუძველზე ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ წინაშე ჯერ კიდევ ბევრი მძიმე ამბებია მოსალოდნელი, მაგრამ ყველაზე დიდი სიძნელენი ჩვენ უკვე დავძლიეთ. საქვეყნოდ ძლიერი ანტანტა ჩვენთვის უკვე საშიში აღარაა: გადამწყვეტ ბრძოლებში ჩვენ იგი დავამარცხეთ. (ტ ა შ ი.)

მართალია, მათ კიდევ შეუძლიათ აამხედრონ ჩვენ წინააღმდეგ პოლონეთი. პოლონელი მემამულეები და კაპიტალისტები შფოთავენ, გვემუქრებიან, რომ მათ უნდათ დაიბრუნონ 1772 წლის ტერიტორია, რომ სურთ დაიმორჩილონ უკრაინა. ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთი აგულიანებს პოლონეთს,

მილიონებს აყრის მას, იმიტომ, რომ სულ ერთია იგი გაკოტრებულია და ახლა უკანასკნელ იმედს პოლონეთზე ამყარებს. და ჩვენ ვეუბნებით პოლონელ ამხანაგებს, რომ ჩვენ პოლონეთის თავისუფლებას ვუფრთხილდებით, ისე როგორც ყოველი სხვა ხალხის თავისუფლებას, რომ რუსმა მუშამ და გლეხმა, რომელმაც ცარიზმის ჩაგვრა გამოცადა, კარგად იცის, თუ რას წარმოადგენდა ეს ჩაგვრა. ჩვენ ვიცით, რომ უდიდესი დანაშაული იყო ის, რომ პოლონეთი განაწილებული იყო გერმანულ, ავსტრიულ და რუსულ კაპიტალს შორის, რომ ამ განაწილებამ პოლონელი ხალხი დასაჩაგრავად გასწირა ხანგრძლივი დროით, როდესაც მშობლიური ენით სარგებლობა დანაშაულად ითვლებოდა, როდესაც მთელი პოლონელი ხალხი ერთი აზრით იზრდებოდა — განთავისუფლებულიყო ამ სამმაგი ჩაგვრისაგან. ამიტომაც ჩვენ გვესმის ის სიძულვილი, რომლითაც გამსჭვალულია პოლონელის სული, და ჩვენ ვეუბნებით მათ, რომ არასოდეს არ გადავლახავთ იმ საზღვარს, სადაც ახლა ჩვენი ჯარი დგას, — ჩვენი ჯარი კი გაცილებით შორს დგას იმ ადგილებიდან, სადაც პოლონელი მოსახლეობა ცხოვრობს. და ჩვენ ამ საფუძველზე ვთავაზობთ ზავს, იმიტომ რომ ვიცით, ეს დიდი შენაძენი იქნება პოლონეთისათვის. ჩვენ არ გვინდა ომი ტერიტორიული საზღვრისათვის, იმიტომ რომ ჩვენ გვინდა აღმოვფხვრათ ის წყეული წარსული, როდესაც ყოველი ველიკოროსი მჩაგვრელად ითვლებოდა.

მაგრამ თუ პოლონეთი ჩვენს საზავო წინადადებას დუმილით უპასუხებს, თუ იგი კვლავ თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევს საფრანგეთის იმპერიალიზმს, რომელიც მას აქეზებს რუსეთის წინააღმდეგ საომრად, თუ პოლონეთში ყოველდღე სამხედრო საჭურვლით დატვირთული ახალ-ახალი მატარებლები მოდის, თუ პოლონელი იმპერიალისტები გვემუქრებიან, რომ ომს გამოვუცხადებთ რუსეთსო, მაშინ ჩვენ ვამბობთ: «სცადეთ! ისეთ გაკვეთილს მიიღებთ, რომ არასოდეს არ დაგავიწყდებათ». (ტ ა შ ი.)

როდესაც იმპერიალისტური ომის დროს ჯარისკაცები კვდებოდნენ მეფისა და მემამულეების გასამდიდრებლად, ჩვენ

მაშინ პირდაპირ და აშკარად ვამბობდით, რომ სამშობლოს დაცვა იმპერიალისტურ ომში გამცემლობაა, რუსი მეფის დაცვაა, რომელმაც უნდა მიიღოს დარდანელი, კონსტანტინოპოლი და ა. შ.. მაგრამ როდესაც ჩვენ გამოვაქვეყნეთ საიდუმლო ხელშეკრულებები, როდესაც ჩვენ რევოლუცია მოვახდინეთ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, როდესაც ამ რევოლუციის გულისათვის გაუგონარი ტანჯვა-წამება გადავიტანეთ, როდესაც ჩვენ დავამტკიცეთ, რომ კაპიტალისტები რუსეთში დათრგუნვილი არიან, რომ ისინი ვერც კი გაბედავენ იმაზე ფიქრს, რომ ძველ წყობილებას დაუბრუნდნენ, მაშინ ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ ვიცავთ არა უცხო ხალხის ძარცვის უფლებას, არამედ ჩვენ ვიცავთ ჩვენს პროლეტარულ რევოლუციას და მას დავიცავთ ბოლომდე. იმ რუსეთს, რომელიც განთავისუფლდა, რომელმაც ორი წლის ტანჯვით მოიპოვა თავისი საბჭოთა რევოლუცია, ამ რუსეთს ჩვენ დავიცავთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე! (ტ ა შ ი.)

ჩვენ ვიცით, რომ გამოვედით იმ ხანიდან, როდესაც იმპერიალისტთა არმიები ყოველი მხრიდან გვავიწროებდნენ და როდესაც მშრომელები რუსეთში ჯერ კიდევ შეუგნებლად ეკიდებოდნენ ჩვენს ამოცანებს. ბატონობდა პარტიზანშჩინა, როდესაც ყოველი ადამიანი თავისთვის ცდილობდა იარაღის ხელში ჩაგდებას და ანგარიშს არ უწევდა მთელს, როდესაც ადგილებზე ბატონობდა უწესოება და ძარცვა-გლეჯა. ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ შევქმენით ერთიანი დისციპლინირებული არმია. ეს ძალიან ძნელი ამოცანა იყო. თქვენ იცით, რომ სამხედრო საქმის ერთბაშად შესწავლა არ შეიძლება. თქვენ ისიც იცით, რომ სამხედრო მეცნიერებანი იცის მხოლოდ ოფიცრობამ — პოლკოვნიკებმა და გენერლებმა, რომლებიც მეფის არმიიდან შემორჩნენ. თქვენ გაგიგონიათ, რასაკვირველია, რომ ამ ძველი პოლკოვნიკებისა და გენერლების წყალობით ბევრ ღალატს ჰქონდა ადგილი, რაც ათეული ათასი სიცოცხლე დაგვიჯდა. ყველა ასეთი მოღალატე უნდა მოგვეცილებინა, და ამავე დროს საჭირო იყო მეთაურთა შემადგენლობის შეგროვება ძველი ოფიცრებისაგან, რომ მუშებსა

და გლეხებს შესძლებოდათ მათგან ესწავლათ, ვინაიდან მეცნიერების გარეშე თანამედროვე არმიის შექმნა არ შეიძლება, და გვიხდება მისი გადაცემა სამხედრო სპეციალისტების ხელში. ეს ძნელი ამოცანაა, მაგრამ ჩვენ ისიც დავძლიეთ.

ჩვენ შევქმენით ერთიანი არმია, რომელსაც ახლა ხელმძღვანელობს მოწინავე ნაწილი გამოცდილი კომუნისტებისა, რომლებმაც ყველგან შეძლეს გაეშალათ აგიტაცია და პროპაგანდა. მართალია, იმპერიალისტებიც ეწევიან თავიანთ აგიტაციას, მაგრამ ახლა უკვე გლეხებსაც თანდათანობით ესმით, რომ აგიტაციაც არის და აგიტაციაც. ისინი თავიანთი ინსტინქტით თანდათანობით გრძნობენ, სად არის სიმართლე და სად არის სიცრუე. ყოველ შემთხვევაში იმ აგიტაციას, რომელსაც მენშევიკები ეწევიან, რომელიც კოლჩაკისა და დენიკინის მიერ წარმოებდა, ამჟამად უკვე ის წარმატება აღარ აქვს. აიღეთ მათი პლაკატები და ბროშურები. იქ ლაპარაკია დამფუძნებელ კრებაზე, იქ ლაპარაკია თავისუფლებასა და რესპუბლიკაზე, მაგრამ მუშებსა და გლეხებს, რომელთაც თავისუფლება სისხლის ფასად მოიპოვეს, უკვე ესმით, რომ სიტყვა «დამფუძნებელი კრების» ქვეშ კაპიტალისტი იმალება. და თუ კოლჩაკთან და დენიკინთან ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ დამთავრდა, მიუხედავად იმისა, რომ კოლჩაკსა და დენიკინს მხარს უჭერდნენ დიდი სახელმწიფოები, ამის მიზეზი ის იყო, რომ ბოლოს და ბოლოს გლეხობაც და მშრომელი კაზაკობაც, რომლებიც დიდხანს მეორე მხარეზე იმყოფებოდნენ, ახლა მუშებისა და გლეხების მხარეზე გადმოვიდნენ, და მხოლოდ ამან გადაწყვიტა საბოლოო ანგარიშით ომი და ჩვენ გამარჯვება მოგვანიჭა.

ვეყრდნობით რა ამ გამარჯვებას, ჩვენ მთელი ძალებით უნდა განვამტკიცოთ იგი ახლა უკვე სხვა ფრონტზე, უსისხლო ფრონტზე, ნგრევის საწინააღმდეგო ომის ფრონტზე, ნგრევისა, რაც გამოიწვია მემამულეებთან, კაპიტალისტებთან, კოლჩაკთან და დენიკინთან ომმა. თქვენ იცით, რა დაგვიჯდა ჩვენ ეს გამარჯვება, თქვენ იცით, რა საშინელი ბრძოლის გადატანა მოგვიხდა, როდესაც ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით პურის რაიონებს, ურალსა და ციმბირს. ამ დროს მოსკოველსა და

პეტროგრადელ მუშებს უნდა გადაეტანათ აუტანელი ტანჯვა შიმშილისაგან. თქვენ გაშინებდნენ სიტყვით «პროლეტარიატის დიქტატურა». ამით აშინებდნენ გლეხებსა და მშრომელ კაზაკობას, ცდილობდნენ მათთვის შთაეგონებინათ, რომ დიქტატურა მუშის თავხედობას ნიშნავსო. ნამდვილად კი იმ დროს, როდესაც ინგლისი და ამერიკა ცდილობდნენ კოლჩაკისა და დენიკინისათვის შეეწყოთ ხელი, ცენტრალური ქალაქების მუშები, ახორციელებდნენ რა თავიანთ დიქტატურას, ცდილობდნენ ყველასათვის თავიანთი მაგალითით ეჩვენებინათ, თუ როგორ უნდა ჩამოშორდნენ მემამულეებსა და კაპიტალისტებს და როგორ უნდა იარონ მშრომელებთან ერთად, ვინაიდან შრომა აერთებს, საკუთრება კი თიშავს. აი ის გაკვეთილი, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ ორი წლის განმავლობაში და რომელმაც ჩვენ გამარჯვებამდე მიგვიყვანა. ჩვენ შეგვაერთა. სწორედ შრომამ, მაშინ როდესაც ანტანტა მუდმივად იხრწნება, იმიტომ რომ საკუთრებამ იმპერიალისტები გარეულ მხეცებად აქცია, რომლებიც პირველ რიგში და უკანასკნელ რიგში ნადავლის გულისთვის უღრენენ ერთმანეთს. შრომამ კი ჩვენგან ის ძალა შექმნა, რომელიც ყველა მშრომელს აერთიანებს. ახლა კი უკვე სიტყვა «დიქტატურას» შეუძლია შეაშინოს მხოლოდ სრულიად ბნელი ადამიანები, თუ კი ასეთები კიდევ დარჩნენ რუსეთში.

არ ვიცი, დარჩა თუ არა თუნდაც ერთი ადამიანი, რომლისთვისაც კოლჩაკსა და დენიკინს არ ესწავლებინოს და რომელსაც არ ესმოდეს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს, რომ დედაქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების პროლეტარიატი არასოდეს ჯერ კიდევ არ ყოფილა ასეთ მძიმე მდგომარეობაში, როგორც ამ ორ წელიწადს. ამჟამად გლეხები მწარმოებელ გუბერნიებში ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ მიწას ფლობენ და მთელი პროდუქტიც თვითონ მიაქვთ. ათასი წლების მანძილზე პირველად, ბოლშევიკების რევოლუციის შემდეგ, რუსი გლეხები მუშაობენ თავისთვის და შეუძლიათ გააუმჯობესონ თავიანთი კვება. და ამავე დროს ბრძოლის ამ ორ წელიწადში მუშა პროლეტარიატი, ახორციელებს

რა თავის დიქტატურას, გაუგონარ ტანჯვა-წამებას განიცდის შიმშილისაგან. ახლა თქვენთვის გასაგებია, რომ დიქტატურა ნიშნავს ხელმძღვანელობას, ეს ნიშნავს გაფანტული, დაქსაქსული მშრომელი მასების გაერთიანებას, შეკავშირებულ ერთიან მთელს კაპიტალისტების წინააღმდეგ, რათა დამარცხებულ იქნენ კაპიტალისტები, რათა მეტი აღარ განმეორდეს სისხლისმღვრელი სასაკლაო, რომელმაც 10 მილიონი მოკლული და 20 მილიონი დასახიჩრებული მოგვცა. იმისათვის, რომ დავამარცხოთ ისეთი ძალა, რომელიც ეყრდნობა უძლიერეს არმიებს, თანამედროვე კულტურას, ამისათვის საჭიროა ყველა მშრომელის შეკავშირება, საჭიროა ერთიანი რკინისებური ნება. და ამ ერთიანი რკინისებური ნების მოცემა შეუძლია მხოლოდ მშრომელ მასებს, მხოლოდ მუშა პროლეტარიატს, მხოლოდ იმ შეგნებულ მუშებს, რომლებიც ათეულ წლობით იზრდებოდნენ ბრძოლაში გაფიცვების, დემონსტრაციების გზით, რომლებმაც შეძლეს დაემხოთ ცარიზმი, იმ მუშებს, რომლებმაც გაუგონარი სამოქალაქო ომის ორი წლის მანძილზე ყველაფერი თავის მხრებზე გადაიტანეს, იბრძოდნენ პირველ რიგებში, შექმნეს ერთიანი წითელი არმია, რომელშიც ათეული ათასი საუკეთესო მუშა, გლეხი და კურსანტი შევიდა, რომლებიც პირველ რიგში იღუპებოდნენ, რომლებიც მოსკოვში, პეტროგრადსა და ივანოვო-ვოზნესენსკში, ტვერში, იაროსლავლში, ყველა სამრეწველო ცენტრში შიმშილისაგან გაუგონარ ტანჯვა-წამებას განიცდიდნენ. და აი ამ ტანჯვა-წამებამ შეაკავშირა მუშები, მწარმოებელი გუბერნიების გლეხები და მშრომელი კაზაკობა აიძულა იწამონ ბოლშევიკების სიმართლე, იმიტომ რომ ბოლშევიკებმა ამით საშუალება მისცეს მათ გაეძლოთ თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში.

აი რატომ აქვს მუშათა კლასს უფლება თქვას, რომ ამ ორი წლის განმავლობაში გაღებული მსხვერპლითა და ომით მან დაუმტკიცა ყველა მშრომელ გლეხს, ყოველ მშრომელ კაზაკს, რომ ჩვენ გვჭირდება გაერთიანება, ჩვენთვის აუცილებელია დარაზმვა. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც შიმშილის მეოხებით სპეკულაციას ეწევა, იმიტომ რომ უფრო

სახეიროა ფუთი პურის გაყიდვა ათას მანეთად და არა მტკიცე ფასებში. ამით შეიძლება გამდიდრება, მაგრამ ამას უკან, ძველი დროებისაკენ მივყავართ, და ჩვენ კვლავ დაწყევლილ ორმოში ამოვყოფთ თავს, როდესაც ცარიზმი მეფობდა და როდესაც კაპიტალისტები თავიანთი მოგების გულისათვის კაცობრიობას იმპერიალისტურ სასაკლაოზე ერეკებოდნენ. ეს უკან დაგვხევს, ეს დაუშვებელია. და მშრომელი გლეხებისთვისაც, კაზაკებისთვისაც ცხადი გახდა კოლჩაკისა და დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგ ის სიმართლე, რომ აუცილებელია დარაზმვა, და ისინი მუშებთან ერთად დგებიან, მუშათა კლასში თავიანთ ხელმძღვანელებს ხედავენ. მშრომელ გლეხებს მუშათა ხელისუფლებისაგან არ უნახავთ არავითარი წყენა და არც შეიძლება ნახონ; წყენა ნახეს მხოლოდ მემამულეებმა, კაპიტალისტებმა, კულაკებმა, ესენი კი მშრომელთა ყველაზე უარესი მტრები არიან, ესენი არიან იმ იმპერიალისტების მოკავშირეები, რომლებმაც გამოიწვიეს მოსახლეობის ყველა უბედურება და სისხლიანი ომი. საჭიროა, რომ ყველა მუშა, მთელი მშრომელი მასები შეკავშირდნენ, და მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ გამარჯვებას.

სისხლიანი ომი დამთავრდა, ახლა ჩვენ უსისხლო ომს ვაწარმოებთ ნგრევის წინააღმდეგ, გაპარტახების, სიღატაკისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ, რაც თავს დაგვატეხა ოთხწლიანმა იმპერიალისტურმა ომმა და ორწლიანმა სამოქალაქო ომმა. თქვენ იცით, რომ ეს გაპარტახება საშინელია. ამჟამად რუსეთის განაპირა მხარეებში, ციმბირში, სამხრეთში ათეულ მილიონობით ფუთი პურია, უკვე აღებული და მოზიდულია მილიონობით ფუთი პური, მოსკოვში კი მწვავე შიმშილია. ადამიანები შიმშილით იხოცებიან იმიტომ, რომ არ შეუძლიათ პური მოზიდონ, ხოლო მისი მოზიდვა არ შეუძლიათ იმიტომ, რომ სამოქალაქო ომმა ქვეყანა უაღრესად გააჩანაგა, მოშალა ტრანსპორტი, დაანგრია ათეულობით ხიდი. ორთქლმავლები გაფუჭებულია და შესაძლებლობა არა გვაქვს სწრაფად შევაკეთოთ ისინი. ამჟამად ჩვენ ძლივს ვაღწევთ საზღვარგარეთიდან

დახმარების მიღებას. მაგრამ ვიცით, რომ ახლა არის შესაძლებლობა გადავიდეთ მრეწველობის სრულ აღდგენაზე.

როგორ მოვიქცეთ, რომ აღვადგინოთ მრეწველობა, როდესაც ჩვენ არ შეგვიძლია პურში საქონელი მივცეთ, რადგან იგი არა გვაქვს?

ჩვენ ვიცით, რომ როდესაც საბჭოთა ხელისუფლება გლეხებისაგან პურს მტკიცე ფასებში იღებს, სამაგიეროს ის მხოლოდ ქაღალდებით უხდის. რა ფასი აქვს ამ ქაღალდებს? ეს არ არის პურის ფასი, ჩვენ კი მხოლოდ ქაღალდის ფულის მიცემა შეგვიძლია. მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ეს აუცილებელია, რომ გლეხებმა ჩვენ პური უნდა მოგვცენ სესხად. და განა თუნდ ერთი მაძღარი გლეხიც კი უარს იტყვის პური მისცეს მშიერ მუშას, თუ კი მან იცის, რომ ეს მუშა, როდესაც დანაყრდება, დაუბრუნებს მას პროდუქტებს? არც ერთი პატიოსანი, შეგნებული გლეხი უარს არ იტყვის სესხად მოგვცეს პური. გლეხებმა, რომლებსაც აქვთ ნაჭარბი პური, სახელმწიფოს უნდა მისცენ ეს პური ქაღალდის ფულზე, — სესხიც სწორედ ამას ნიშნავს. ეს არ ესმის, შეგნებული არა აქვს მხოლოდ კაპიტალიზმისა და ექსპლოატაციის მომხრეს, იმას, ვისაც უნდა, რომ მაძღარი კიდევ უფრო გამდიდრდეს მშიერის ხარჯზე. მუშათა ხელისუფლებისათვის ეს დაუშვებელია, და ამის საწინააღმდეგო ბრძოლაში არავითარი მსხვერპლის წინაშე არ შევჩერდებით. (ტ ა შ ი.)

მრეწველობის აღდგენისაკენ წარვმართეთ ახლა ჩვენ მთელი ძალ-ღონე და განუხრელად მივიწევთ წინ ამ ახალ ომში, რომელშიც ჩვენ ისეთსავე გამარჯვებას მოვიპოვებთ, როგორიც მოვიპოვეთ აქამდე. ჩვენ მეცნიერთა და ტექნიკოსთა კომისიას მივანდეთ შეიმუშაოს რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმა. ეს გეგმა ორი თვის შემდეგ მზად იქნება და სრულ შესაძლებლობას მოგვცემს ნათლად წარმოვიდგინოთ ის, თუ როგორ დაიფარება მთელი რუსეთი რამდენიმე წლის განმავლობაში ელექტრომავთულების ქსელით და აღდგება არა ძველებურად, არამედ ახლებურად, როგორ მიაღწევს იგი იმ კულტურას, რომელიც ჩვენმა ტყვეებმა იხილეს გერმანიაში.

ასე უნდა აღვადგინოთ ჩვენი მრეწველობა, ასე დავუბრუნებთ ჩვენ ერთი ასად პურის სესხს, რომელსაც გლეხებისაგან ვიღებთ. ჩვენ ვიცით, რომ ამ საქმის გაკეთება არ შეიძლება ერთ ან ორ წელიწადში; ელექტრიფიკაციის მინიმალური პროგრამა გაანგარიშებულია არა ნაკლებ სამი წლისათვის, ხოლო ამ კულტურული მრეწველობის სრული გამარჯვება მოითხოვს არა ნაკლებ ათ წელს. მაგრამ თუ ჩვენ გავძელით ორ წელიწადს ასეთ სისხლიან ომში, ჩვენ შევძლებთ გავუძლოთ ყოველგვარ სიძნელეს ათ და მეტ წელიწადსაც. ჩვენ მუშათა საშუალებით მშრომელი მასების ხელმძღვანელობის ისეთი გამოცდილება შევიძინეთ, რომელიც ყველა სიძნელეს გადაგვალახვინებს ნგრევის წინააღმდეგ ბრძოლის ამ უსისხლო ფრონტზე და მიგვიყვანს უფრო დიდ გამარჯვებებამდე, ვიდრე ჩვენი გამარჯვებებია საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ომში. (ტ ა შ ი.)

«პრავდა» №№ 47, 48 და 49;
1920 წ. 2, 3 და 4 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ტექსტთან ბროშურისა: ვ. ი. ლენინი. «სიტყვა მშრომელ კაზაკთა სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე», მოსკოვი, 1920

# სიტყვა მედიკურ-სანიტარული შრომის მუშაკთა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1920 წ. 1 მარტს

## საოქმო ჩანაწერი

(ამხანაგი ლენინი, რომელსაც ხანგრძლივი მქუხარე ტაშითა და «ინტერნაციონალის» სიმღერით შეხვდნენ, წარმოთქვამს მოკლე მისასალმებელ სიტყვას). ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მივესალმო თქვენს ყრილობას სახალხო კომისართა საბჭოს სახელით. აქ ბევრი ლაპარაკი არ მოგვიხდება ყრილობის ამოცანებსა და თქვენ მიერ გაწეულ შრომაზე. შესაძლებელია, რომ სამხედრო ფრონტის შემდეგ, არც ერთ სხვა სამუშაოს არ შეუწირავს იმდენი მსხვერპლი, რამდენიც თქვენმა სამუშაომ შეიწირა. ოთხწლიანმა იმპერიალისტურმა ომმა ის გამოიწვია, რომ კაცობრიობას ჰყავს რამდენიმე მილიონი ხეიბარი და აქვს მთელი რიგი ეპიდემიები.

ჩვენ წილად გვხვდა უდიდესი, მძიმე, პასუხსაგები ამოცანა. სამხედრო ფრონტზე ბრძოლამ დაამტკიცა, რომ იმპერიალისტების ცდებმა ფუჭად ჩაიარა. სამხედრო საქმის ყველაზე დიდი სიძნელენი უკან მოვიტოვეთ, მაგრამ ამჟამად უნდა განვახორციელოთ მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანა. იმ გამოცდილებას, რომელიც ჩვენ სისხლიან ფრონტზე მოვიპოვეთ, გადავიტანთ აგრეთვე უსისხლო ფრონტზეც, სადაც ბევრად უფრო მეტ თანაგრძნობას შევხვდებით.

ჩვენ შევძელით ჩვენს სამსახურში ჩაგვება ათასობით სპეციალისტი, უდიდესი რაოდენობის ოფიცრები და გენერლები, რომლებსაც მუშა კომუნისტებთან ერთად პასუხსაგები პოსტები

უჭირავთ. სამოქალაქო ომის მთელი გაბედულება, მთელი გამოცდილება უნდა მოვახმაროთ ეპიდემიებთან ბრძოლას.

ოდესღაც სამედიცინო პროფესიის წარმომადგენლებიც აგრეთვე უნდობლობით იყვნენ გაჟღენთილი მუშათა კლასის მიმართ, ოდესღაც ისინიც ოცნებობდნენ ბურჟუაზიული წყობილების დაბრუნებაზე. ახლა ისინიც დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ პროლეტარიატთან ერთად შეიძლება რუსეთის მიყვანა კულტურულ აყვავებამდე. მეცნიერების წარმომადგენლებისა და მუშების თანამშრომლობა, — მხოლოდ ასეთ თანამშრომლობას შეუძლია სიღატაკის, სნეულებათა და ჭუჭყის მძიმე უღლის მოსპობა. და ეს გაკეთდება კიდეც.

მეცნიერების, პროლეტარიატისა და ტექნიკის წარმომადგენლების კავშირის წინაშე ვერავითარი ბნელი ძალა ვერ გაძლებს.

მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია
1920 წ. 6 მარტს გაზეთში
სრ. რუსეთის ცაკ-ის «იზვესტია» № 51

იბეჭდება ბროშურის —
«სამკურნალო-სანიტარული საქმის კავშირის
«სრ. რუსეთის მედიკურ-სანიტარული შრომის» მუშაკთა მეორე
სრულიად რუსეთის ყრილობა.
ოქმები და რეზოლუციები».
მოსკოვი, 1920 — ტექსტის მიხედვით

# წერილი რუსეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებს პარტიული ყრილობისათვის მზადების შესახებ

პატივცემულო ამხანაგებო!

პარტიული ყრილობა დანიშნულია 27 მარტისათვის. ყრილობის დღის წესრიგი გამოქვეყნებულია[89], და უეჭველია ყრილობისათვის მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაწყებულია პარტიის ყველა ორგანიზაციის მიერ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს თავის მოვალეობად მიაჩნია გამოთქვას მთელი რიგი მოსაზრებანი ამ მუშაობასთან დაკავშირებით.

ჩვენს პარტიას, რომელმაც 15 წლის განმავლობაში (1903 — 1917) მედგარი ბრძოლით დაამტკიცა თავისი კავშირი რუსეთის მუშათა კლასთან, თავისი უნარი ებრძოლოს ბურჟუაზიულ გავლენებს ამ კლასის შიგნით და უხელმძღვანელოს პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას უაღრესად სხვადასხვანაირ და უაღრესად მძიმე პირობებში, ბუნებრივია, უნდა ეკისრა აგრეთვე პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანათა უშუალო განხორციელება ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ამიტომ ჩვენი პარტიის ყრილობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მთელ მუშათა მოძრაობაში, არამედ საბჭოთა ხელისუფლების მთელ მშენებლობაშიც, რუსეთისა — და რამდენადმე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მთელი ხელმძღვანელობის საქმეშიც.

ჩვენი პარტიული ყრილობის ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება დღევანდელი მომენტის თავისებურებებთან დაკავშირებით, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებას უხდება სამხედრო ამოცანებიდან, რომლებითაც იგი მთლიანად

დაკავებული იყო, მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის ამოცანებზე უძნელესი გადასვლის განხორციელება.

ჩვენი პარტია ძლიერ გაიზარდა თავისი წევრების რიცხვით, უმთავრესად იმის წყალობით, რომ უამრავი მუშა და გლეხი მოაწყდა მას პარტიული კვირეების განმავლობაში, რომლებიც ჩატარდა ჩვენი რევოლუციის ყველაზე მძიმე პერიოდში, როდესაც იუდენიჩი და დენიკინი ყველაზე ახლოს იდგნენ პეტროგრადთან და მოსკოვთან. მუშები და გლეხები, რომლებიც ასეთ მძიმე მომენტში მოვიდნენ პარტიაში, რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხობის არაექსპლოატატორული ნაწილის ხელმძღვანელთა საუკეთესო და ყოვლად საიმედო კადრებს შეადგენენ. ჩვენ წინაშე დგას ამოცანა — მეტად სწრაფად, წარმატებით, საქმიანად დავეხმაროთ პარტიის ამ ახალგაზრდა წევრების ბოლომდე აღზრდას, დავეხმაროთ, რომ მათგან შეიქმნას კომუნიზმის უაღრესად შეგნებულ მშენებელთა კადრები, რომელთაც უნარი ექნებათ შეასრულონ უაღრესად პასუხსაგები თანამდებობები, და ამავე დროს მჭიდრო კავშირი ექნებათ მასებთან, ე. ი. მუშებისა და იმ გლეხების უმრავლესობასთან, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან.

დღის წესრიგის ცენტრალურ პუნქტს მომავალ ყრილობაზე, დღევანდელი ისტორიული მომენტის თავისებურების შესაბამისად, წარმოადგენს საკითხი სამეურნეო მშენებლობის შესახებ და კერძოდ მთავარი კომიტეტების, ცენტრების, საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების აპარატების გამუშურების ღონისძიებათა, ხერხთა, საშუალებათა და შედეგთა შესახებ.

ეს საკითხი პარტიული ყრილობის მთავარ საკითხად უნდა იქცეს, ვინაიდან რუსეთში მთელი საბჭოთა მშენებლობის მთავარი საკითხი (ხოლო რამდენადაც რუსეთი გახდა მთელი მსოფლიო რევოლუციის კერა — მნიშვნელოვანწილად საერთაშორისო კომუნიზმის საკითხიც) არის გადასვლა სისხლიან ფრონტზე ბრძოლიდან უსისხლო ფრონტზე ბრძოლისაკენ, შრომის ფრონტზე, ნგრევის წინააღმდეგ, რუსეთის მთელი

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, გაუმჯობესებისათვის, გადახალისებისა და განვითარებისათვის ომის ფრონტზე.

სურსათის დიდი სახელმწიფო მარაგის შეგროვება და მოზიდვა, მოშლილი ტრანსპორტის აღდგენა, ამ ღონისძიებათა განხორციელება სამხედრო სისწრაფით, სამხედრო ენერგიით, სამხედრო დისციპლინით; ამასთან ერთად და ამასთან განუყრელი კავშირით საბჭოთა ხელისუფლების აპარატის «გამუშურება», იქიდან საბოტაჟისა და ბიუროკრატიზმის განდევნა, შრომის ნაყოფიერების მაქსიმუმის მიღწევა, ქვეყნის მთელი ძალების დაძაბვა უდიდესი მასშტაბით, მისი მეურნეობის აღსადგენად, — ასეთია გარემოებათა მიერ მბრძანებლურად ნაკარნახევი, გადაუდებელი ამოცანა, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტას მილიონი და მილიონი მუშისა და გლეხის თავდადებული რევოლუციური ენერგიის საშუალებებით.

პარტიის ყრილობამ უნდა გაითვალისწინოს შრომის არმიების, ამ ნორჩი და ახალი დაწესებულების გამოცდილება, მხედველობაში მიიღოს საბჭოთა ხელისუფლების ყველა აპარატის ორ წელზე მეტი ხნის მუშაობის გამოცდილება და გამოიტანოს მთელი რიგი ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც მთელ ჩვენს სოციალისტურ რესპუბლიკას საშუალებას მისცემდა გაორკეცებული სიმტკიცით, გამბედაობით, ენერგიით, საქმიანობით გადაესროლა მშრომელი მასების ყველა ძალა ნგრევის სწრაფად და ბოლომდე დამარცხების გადაუდებელი ამოცანის საუკეთესო გადაწყვეტისათვის.

ჩვენ მოვუწოდებთ პარტიის ყველა წევრს, პარტიის ყველა ორგანიზაციას ამ ამოცანის შესრულებისათვის თავი მოუყარონ როგორც ყველა საბჭოთა დაწესებულებაში პრაქტიკული მუშაობის, ისე ყრილობის მოსამზადებელი მუშაობის ძალთა მაქსიმუმს. ვინაიდან ეს ამოცანები ერთ განუყრელ მთელს შეადგენენ.

საბედნიეროდ, წმინდა თეორიულ მსჯელობათა დრო, ზოგად საკითხებზე კამათის, პრინციპული რეზოლუციების გამოტანის დრო წავიდა. ეს უკვე განვლილი საფეხურია, ეს გუშინ და გუშინწინ გადაწყვეტილი ამოცანაა. საჭიროა წინ სვლა,

უნდა შეგვეძლოს იმის გაგება, რომ ახლა ჩვენ წინაშე დგას პრაქტიკული ამოცანა: მთელი ჩვენი ძალ-ღონით, ჭეშმარიტად რევოლუციური ენერგიით, იმავე თავდადებით, რომლითაც ჩვენი საუკეთესო ამხანაგები, მუშა და გლეხი წითელარმიელები ამარცხებდნენ კოლჩაკს, იუდენიჩს, დენიკინს, უნდა გადავწყვიტოთ ნგრევაზე უსწრაფესი გამარჯვების საქმიანი ამოცანა.

საჭიროა წინ სვლა, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალ-ღონით გადამუშავებული **პრაქტიკული გამოცდილება.**

ჩვენ ზოგი რამ ვისწავლეთ, და, იმისათვის, რომ წინ ვიაროთ, იმისათვის, რომ ნგრევა დავამარცხოთ, ხელახლა კი არ უნდა დავიწყოთ თავიდან, მარჯვნივ და მარცხნივ კი არ უნდა გადავაკეთ-გადმოვაკეთოთ, არამედ უნდა შეგვეძლოს უდიდესი მასშტაბით გამოვიყენოთ უკვე შექმნილი. რაც შეიძლება ნაკლები საერთო გადაკეთებ-გადმოკეთება, რაც შეიძლება მეტი საქმიანი, პრაქტიკულად გასინჯული, უკვე მიღწეული შედეგებით შემოწმებული ღონისძიებანი, ხერხები, საშუალებანი, მითითებანი ჩვენი მთავარი მიზნის მისაღწევად: კიდევ უფრო მეტად, კიდევ უფრო ფართოდ, კიდევ უფრო სწრაფად, კიდევ უფრო უკეთესად «გავამუშაროთ» ჩვენი აპარატები, — ჩავაბათ კიდევ უფრო მეტი მუშა და მშრომელი გლეხი მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის მართვა-გამგეობაში საერთოდ, — ჩავაბათ არა მარტო ცალკეული მუშები და გლეხები, რომლებმაც თავიანთი თავი საუკეთესოდ გამოსცადეს მუშაობაში, არამედ ჩავაბათ აუცილებლად უფრო მეტად პროფესიული კავშირები, შემდეგ ჩავაბათ უპარტიო მუშათა და გლეხთა კონფერენციები, ჩავაბათ უკლებლივ ყველა ბურჟუაზიული სპეციალისტი (ვინაიდან ასეთი სპეციალისტები ჩვენ წარმოუდგენლად ცოტა გვყავს), ე. ი. სპეციალისტები, რომლებიც ბურჟუაზიულ გარემოში აღზრდილან და რომელთაც ბურ-

ჟუაზიული კულტურის ნაყოფი შეუთვისებიათ, — ისე გავაკეთოთ, რომ ჩვენმა მშრომელმა მასებმა, ჩვენი პარტიული პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად, ნამდვილად ი ს წ ა ვ ლ ო ნ მ ა თ გ ა ნ და ამავე დროს განახორციელონ «ბურჟუაზიული სპეციალისტების საერთო ამხანაგური შრომა იმ რიგითი მუშების მასასთან ხელიხელჩაკიდებით, რომელთაც შეგნებული კომუნისტები ხელმძღვანელობენ» (როგორც ლაპარაკობს ჩვენი პარტიული პროგრამა), — აი როგორია ჩვენი მთავარი პრაქტიკული ამოცანები.

ამხანაგებო! ჩვენ აქამდე უნარი შეგვწევდა გადაგველახა გაუგონარი სიძნელეები, რომლებიც ისტორიამ პირველ სოციალისტურ რესპუბლიკას გზაზე შეახვედრა, ვინაიდან პროლეტარიატს სწორად ესმოდა თავისი ამოცანები როგორც დიქტატორისა, ე. ი. ყველა მშრომელთა ხელმძღვანელის, ორგანიზატორის, აღმზრდელისა. ჩვენ შეგვწევდა გამარჯვების უნარი, რადგან სწორად განვსაზღვრავდით ყველაზე გადაუდებელ, ყველაზე საარსებო, ყველაზე საჭირბოროტო ამოცანას და ყველა მშრომელის, მთელი ხალხის ყველა ძალებს ნამდვილად ამ ამოცანის შესასრულებლად ვუყრიდით თავს.

სამხედრო გამარჯვებები უფრო ადვილია, ვიდრე სამეურნეო გამარჯვება. კოლჩაკის, იუდენიჩის, დენიკინის დამარცხება ბევრად უფრო ადვილი იყო, ვიდრე იმ ძველი წვრილბურჟუაზიული ჩვეულებების, ურთიერთობების, ჩვევების, სამეურნეო პირობების დამარცხება, რომელთაც თავგამოდებით იცავენ და აღადგენენ მილიონობით წვრილი მეპატრონენი მუშების გვერდით, მუშებთან ერთად, მუშებს შორის.

აქ რომ გავიმარჯვოთ, საჭიროა უფრო მეტი გამძლეობა, მეტი მოთმინება, მეტი დაჟინება, მეტი შეუპოვრობა, მეტი სისტემატურობა შრომაში, მეტი ორგანიზატორული და ადმინისტრაციული ოსტატობა დიდი მასშტაბით. ეს ჩვენ, ჩამორჩენილ ერს, ყველაზე მეტად გვაკლია.

დაე პარტიის ყველა წევრმა დაძაბოს მთელი ძალ-ღონე, რათა პარტიის ყრილობაზე მოიტანოს შემოწმებული, გადამუშავებული, შეჯამებული პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გამოცდილება.

თუ ჩვენ მთელ ძალ-ღონეს დავძაბავთ და შევძლებთ ყურადღებით, მოფიქრებით, საქმიანი წესით შევკრიბოთ, შევამოწმოთ, გადავამუშაოთ სწორედ პრაქტიკული გამოცდილება, სწორედ ის, რასაც თვითეული ჩვენთაგანი აკეთებდა, დაწყებულს ამთავრებდა, ხედავდა, თუ როგორ აკეთებდნენ ან დაწყებულს ამთავრებდნენ მის გვერდით, მაშინ და მხოლოდ მაშინ გადაწყვეტს ჩვენი პარტიული ყრილობა, ხოლო მის შემდეგ ყველა ჩვენი საბჭოთა დაწესებულებაც პრაქტიკულ ამოცანას: როგორ დავამარცხოთ ყველაზე უფრო სწრაფად, ყველაზე უფრო სწორად ნგრევა.

ისეთი ყრილობებიდან და კრებებიდან, რომლებიც ზოგად საკითხებს განიხილავდნენ, პრაქტიკული გამოცდილების შემაჯამებელი ყრილობებისა და კრებებისაკენ, ასეთია ჩვენი დროის ლოზუნგი. უნდა გავითვალისწინოთ პრაქტიკული გამოცდილება, რათა უკუვაგდოთ მავნე, შევაერთოთ ყოველივე ფასეული, რათა ზუსტად განვსაზღვროთ მთელი რიგი უახლოესი პრაქტიკული ღონისძიებანი და განვახორციელოთ ისინი რადაც უნდა დაგვიჯდეს, არ შევჩერდეთ არავითარი მსხვერპლის წინაშე, — აი როგორ გვესმის მომენტის ამოცანები და პარტიული ყრილობის ამოცანები.

რკპ(ბ) ც. კ-ის «იზვესტია»
№ 13, 1920 წ. 2 მარტი

**ბეჭდება ხელნაწერის**
**მიხედვით**

# მუშა ქალთა საერთაშორისო დღისათვის

კაპიტალიზმი ფორმალურ თანასწორობას აერთებს ეკონომიურ და, მაშასადამე, სოციალურ უთანასწორობასთან. ესაა კაპიტალიზმის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, რომელსაც ცრუდ აფარებენ ხელს ბურჟუაზიის მომხრეები, ლიბერალები, და რომელიც ვერ გაუგიათ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს. კაპიტალიზმის ამ თავისებურებიდან გამომდინარეობს, სხვათა შორის, იმის აუცილებლობა, რომ ეკონომიური თანასწორობისათვის გადამწყვეტი ბრძოლის დროს აშკარად იქნეს აღიარებული კაპიტალისტური უთანასწორობა და, გარკვეულ პირობებში, უთანასწორობის ეს აშკარა აღიარება საფუძვლადაც კი დაედოს პროლეტარულ სახელმწიფოებრიობას (საბჭოთა კონსტიტუცია).

მაგრამ ფორმალური თანასწორობითაც (კანონის მიხედვით თანასწორობით, მაძღარისა და მშიერის, მესაკუთრისა და უქონელის «თანასწორობით») კაპიტალიზმი ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა თანამიმდევრული იყოს. და ამ არათანამიმდევრობის ერთ-ერთი აღმაშფოთებელი გამოვლენაა ქალისა და მამაკაცის ა რ ა თ ა ნ ა ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ა. სრული თანასწორუფლებიანობა არ მოუცია არც ერთ, თვით ყველაზე პროგრესულ რესპუბლიკურ, დემოკრატიულ, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს.

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკამ კი ერთბაშად წარხოცა უკლებლივ ქალის უთანასწორობის ყოველგვარი საკანონმდებლო კვალი, ერთბაშად უზრუნველყო მისთვის სრული თანასწორობა კანონით.

ამბობენ, კულტურის დონე ყველაზე უფრო მეტად ქალის იურიდიული მდგომარეობით ხასიათდებაო. ამ გამოთქმაში არის ღრმა ჭეშმარიტების მარცვალი. და ამ თვალსაზრისით მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას, მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოს შეეძლო განეხორციელებინა და განახორციელა უმაღლესი კულტურული დონე.

ამიტომ ქალთა მუშური მოძრაობის ახალი, ჯერ არნახული ძლიერი ბიძგი აუცილებლად დაკავშირებულია პირველი საბჭოთა რესპუბლიკის დაარსებასთან (და განმტკიცებასთან), — და ამასთან ერთად და ამასთან დაკავშირებით — კომუნისტურ ინტერნაციონალთან.

რაკი სიტყვა ჩამოვარდა იმათ შესახებ, ვინც კაპიტალიზმის მიერ დაჩაგრული იყო პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მთლიანად თუ ნაწილობრივ, სწორედ საბჭოთა წყობილება და მხოლოდ საბჭოთა წყობილება უზრუნველყოფს დემოკრატიას. ამას ნათლად ადასტურებს მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხების მდგომარეობა. ამას ნათლად ადასტურებს ქალის მდგომარეობა.

მაგრამ საბჭოთა წყობილება არის უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა კლასთა მოსპობისათვის, ეკონომიური და სოციალური თანასწორობისათვის. დემოკრატია, თვით დემოკრატიაც კი კაპიტალიზმის მიერ დაჩაგრულთათვის, მათ შორის ჩაგრული სქესისათვის, — ჩვენთვის ცოტაა.

ქალთა მუშური მოძრაობა თავის მთავარ ამოცანად ისახავს ქალის არა მარტო ფორმალური, არამედ ეკონომიური და სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლას. ჩავაბათ ქალი საზოგადოებრივ-მწარმოებლურ შრომაში, ხელიდან გამოვგლიჯოთ იგი «შინაურ მონობას», გავათავისუფლოთ იგი დამაჩლუნგებელი და დამამცირებელი მორჩილებისაგან, სამზა-

რეულოს და საბავშვო ოთახის მუდმივი და განსაკუთრებული გარემოსაგან — აი მთავარი ამოცანა.

ეს ხანგრძლივი ბრძოლაა, რომელიც მოითხოვს როგორც საზოგადოებრივი ტექნიკის, ისე ზნე-ჩვეულებების ძირეულ გადაკეთებას. მაგრამ ეს ბრძოლა კომუნიზმის სრული გამარჯვებით დამთავრდება.

1920 წ. 4 მარტი

«პრავდა», 1920 წ. 8 მარტი
(სპეციალური გამოშვება)
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

# სიტყვა მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს სხდომაზე 1920 წ. 6 მარტს

ამხანაგებო, მე ძალიან ვწუხვარ, რომ, ალბათ, ვერ მოვახერხებ იმ მოვალეობათა შესრულებას, რომელთა შესახებ ახლა შენიშნა ამხანაგმა თავმჯდომარემ, როცა ჩემი მოსკოვის საბჭოს წევრობა[90] ახსენა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს მივესალმო მოსკოვის საბჭოს ახალ შემადგენლობას. ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ იმ ამოცანებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებით ეკისრება განსაკუთრებით მოსკოველ მუშებსა და ყველაზე უფრო მეტად და უწინარეს ყოვლისა მოსკოვის საბჭოს.

ამხანაგებო, ომი, რომელიც თავს მოგვახვიეს მემამულეებმა და კაპიტალისტებმა, მთელი ქვეყნის კაპიტალისტებთან კავშირში, როგორც ყველაფრით ჩანს, ძალიან დიდი იმედი გვაქვს უახლოეს მომავალში დავამთავროთ სრული წარმატებით. მე დღეს ეს-ეს არის მივიღე დეპეშა კავკასიის ფრონტის, ყველა, ჯერ კიდევ დარჩენილ ფრონტთა შორის უკანასკნელი სეიოზული ფრონტის, რევ. სამხ. საბჭოს წევრისაგან. ამ დეპეშით ის გვატყობინებს, რომ მტრის წინააღმდეგობა ყველა მიმართულებით მოტეხილია (ტ ა შ ი), ასე რომ ახლა, კოლჩაკის ფრონტისა და არხანგელსკის ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ, ჩანს, შორს აღარ არის ის დღე, როდესაც დენიკინის ფრონტიც საბოლოოდ მოისპობა. მაგრამ, ამხანაგებო, თუმცა სამოქალაქო ომის შედეგები და საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენთვის ხელსაყრელი გახდა, თუმცა იმპერიალისტური

სახელმწიფოები აშკარად იმის წინაშე იმყოფებიან, რომ საბოლოოდ მოტეხილ იქნენ, თუმცა ყველა მათი ცდა — გაეერთიანებინათ ვინც უნდა ყოფილიყო ჩვენ წინააღმდეგ საომრად— კრახით დამთავრდა, — რაც უნდა ხელსაყრელი იყოს ეს მდგომარეობა, უნდა ვთქვათ, რომ საფრთხე, თვით გარეშე საფრთხეც კი, ჯერ კიდევ არ გამქრალა. ჯერ კიდევ ცდილობენ, განსაკუთრებით იმპერიალისტური საფრანგეთის მხრივ, რომ პოლონეთი ჩააბან რუსეთის წინააღმდეგ ომში. თქვენ ყველამ იცით, რასაკვირველია, პრესიდან, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებიდან, ყველა იმ განცხადებიდან, რომლებიც გაკეთებულ იქნა კაზაკთა და მრავალ სხვა ყრილობაზე, რომ საბჭოთა რესპუბლიკამ ყოველი შესაძლებელი გააკეთა თავის მხრივ იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ეს ომი, რომ ჩვენ არა მარტო ოფიციალურად, არამედ ყოვლად მეგობრული წესითაც შევთავაზეთ პოლონელ ხალხს ზავი, ყოვლად საზეიმო წესით ვცანით პოლონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, გავაკეთეთ რა ამ მხრივ უაღრესად გარკვეული განცხადებანი. ჩვენ სამხედრო თვალსაზრისით ყველაფერი გავაკეთეთ, რათა ხელი შეგვეშალა პოლონელი მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის განეხორციელებინათ თავიანთი განზრახვები — შეიძლება, არა იმდენად თავიანთი, რამდენადაც იმპერიალისტური საფრანგეთის განზრახვები, რომელიც მათ ზურგს უკან ზის და რომლის ვალებშიც ისინი ყელამდე არიან ჩაფლული. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რათა ხელი შეგვეშალა ამ კაპიტალისტთა და მემამულეთა განზრახვების განხორციელებისათვის ჩაებათ პოლონელი ხალხი რუსეთის წინააღმდეგ ომში. თუმცა ჩვენ ყოველი შესაძლებელი ღონისძიება ვიხმარეთ, მაგრამ შემდგომი მაინც ჩვენზე არაა დამოკიდებული. პოლონელმა მემამულეებმა და კაპიტალისტებმა თვითონაც არ იციან, რას გააკეთებენ ხვალ. პოლონეთის შინაგანი მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ სწორედ კლასობრივი მდგომარეობის აშკარა საფრთხის გამო, გრძნობენ რა მხოლოდ თავიანთ დაღუპვას, მათ შეუძლიათ ამგვარ ავანტიურას მიმართონ.

ამიტომ საგარეო უშიშროების თვალსაზრისითაც, თუმცა ჩვენ უკვე მრავალი გამარჯვება მოვიპოვეთ, ჩვენ არავითარი გარანტია არა გვაქვს და ფხიზლად უნდა ვიყოთ, უნდა დავიცვათ, განვავითაროთ და გავაძლიეროთ ჩვენი სამხედრო მზადყოფნა, რათა განვახორციელოთ ის ამოცანა, რომელიც მუშათა კლასის წინაშე დგას. თუ, წინააღმდეგ მთელი ჩვენი ღონისძიებებისა, პოლონეთის იმპერიალისტები, საფრანგეთის დახმარებით, რუსეთის წინააღმდეგ გამოილაშქრებენ და თავიანთ სამხედრო ავანტიურას განახორციელებენ, მაშინ მათ უნდა მიიღონ და მიიღებენ კიდეც ისეთ საპასუხო დარტყმას, რომლითაც მათი გამოფიტული კაპიტალიზმი და იმპერიალიზმი საბოლოოდ გაცამტვერდება.

ჩვენ სრულიად არ ვუმალავთ ჩვენს თავს და პირველ რიგში მოსკოველ და სხვა რუს მუშებს, რომ ახლა ჩვენ გვჭირდება ძალთა ახალი დაძაბვა, ახალი უდიდესი მსხვერპლის გაღება, რასაც კიდევ უფრო მეტად ამძიმებს ის გარემოება, რომ ახლა სწორედ ზამთრის მიწურულია — თებერვალ-მარტი, რომელთაც თან მოგვიტანეს ჩვენი ტრანსპორტის მოშლილობასთან დაკავშირებული გაჭირვების, შიმშილისა და ტანჯვა-წამებათა ახალი გამწვავება. და უნდა გითხრათ, რომ თუ ომი სისხლიან ფრონტზე, იმპერიალისტების წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო ომი, როგორც ჩანს, მთავრდება, და, ყოველ შემთხვევაში, მტერს აღარ შეუძლია სერიოზულად დაგვემუქროს, იმიტომ რომ ანტანტამ გადამწყვეტი დამარცხება განიცადა ჩვენ წინააღმდეგ საერთო ომის მოწყობის თავის ცდაში, — სამაგიეროდ, ყოველ შემთხვევაში, გრძელდება და დიდხანს გაგრძელდება ომი უსისხლო ფრონტზე, რადგან, რაც უფრო დავშორდით ომის საფრთხეს, მით უფრო მეტად გვაწვებიან შინაგანი მშენებლობის ამოცანები, და ისინი არ შეიძლება არ იქნეს გადაჭრილი მუშათა კლასის მიერ, რომელმაც იკისრა მშრომელთა მასების ხელმძღვანელობის მისია. ეს ამოცანები — დანგრეული ქვეყნის, დანგრეული მეურნეობის აღდგენა, სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაცია — ვერ განხორციელდება უსისხლო

ფრონტზე ომის გარეშე. აი რა უნდა ჩაინერგონ ყველაზე უფრო მტკიცედ თავის შეგნებაში მოწინავე მუშებმა, რომლებიც ახლა ქმნიან მოსკოვის ახალ საბჭოს, იმიტომ რომ მოსკოველი მუშები ყოველთვის იყვნენ და აუცილებლად რამდენიმე ხანს დარჩებიან ნიმუშად, რომელსაც გაჰყვებიან სხვა ქალაქების მუშები.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვახორციელებთ სოციალისტური რევოლუციის ამოცანას ისეთ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენს გლეხობა. ახლა ჩვენ შემოგვიერთდა ციმბირის გლეხობის მასა, სადაც გლეხებს აქვთ პურის ნაჭარბი, სადაც ისინი გარყვნილი არიან კაპიტალიზმის მიერ, ვაჭრობის ძველებურ თავისუფლებას ებღაუჭებიან და თავიანთ წმინდა უფლებად თვლიან, ამ მხრივ მათ გზას უბნევენ მენშევიკები და ესერები, — ეს უკვე მათი საკალალო ხვედრია, მათ სხვა აღარაფერი დარჩენიათ საკეთებელი, — თავიანთ წმინდა უფლებად თვლიან განახორციელონ თავისუფალი ვაჭრობა პურის ნაჭარბით, და ფიქრობენ, რომ ეს უფლება მათ შეიძლება შერჩეთ. ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ ეს ვითომდა მოქალაქეობრივი თანასწორობა ნიშნავს მაძღრის მიერ მშივრის ექსპლოატაციას, ვინაიდან ის გლეხები, რომელთაც ნაჭარბი პური აქვთ და არ სურთ იგი მშივრებს მისცენ, კაპიტალისტური ურთიერთობის საფუძვლებს ახორციელებენ. ისინი წარმოადგენენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც, ასეულ წლობით მათი ექსპლოატაციის შემდეგ, პირველად ეწევიან მეურნეობას თავიანთთვის და თავიანთი ნაჭარბი პურით შეუძლიათ დაიმონონ მუშები, რომელთაც, მრეწველობის დანგრევის გამო, შესაძლებლობა არა აქვთ ეკვივალენტი მისცენ პურში. ამიტომ ჩვენი ამოცანა ამ წვრილბურჟუაზიული მესაკუთრეების მიმართ, წვრილი სპეკულანტების მიმართ დამოკიდებულებაში, რომელთა რიცხვი მილიონია და რომლებსაც, რაკი ნაჭარბი პური აქვთ, ჰგონიათ, რომ რაც უფრო წინ წავალთ ჩვენ, მით უფრო მეტად გამდიდრდებიან ისინი, და რაც უფრო ძლიერია შიმშილი, ეს მით

უფრო ხელსაყრელია პურის მქონებელთათვის, — ჩვენი ურთიერთობა მათდამი საომარი ურთიერთობა იქნება. ამას ჩვენ პირდაპირ ვაცხადებთ, და ეს საფუძვლად უდევს პროლეტარიატის დიქტატურას; პროლეტარიატი აშკარად ეუბნება ყველა მუშასა და გლეხთა მასებს: «გლეხი-მაშვრალი — ჩვენი მოკავშირეა, ჩვენი ძმა და მეგობარია, მაგრამ როდესაც გლეხი გამოდის როგორც მესაკუთრე, რომელსაც ნაჭარბი პური აქვს, რომელიც მას არ ჭირდება მეურნეობისათვის, და ჩვენ გვექცევა ისე, როგორც მესაკუთრე, როგორც მაძღარი მშიერს, ასეთი გლეხი — ჩვენი მტერია, და ჩვენ მას შევებრძოლებით მთელი გაბედულებით, მთელი დაუნდობლობით». წვრილ მესაკუთრეზე, წვრილ სპეკულანტზე გამარჯვება — ძნელია. მათი მოსპობა ერთ წელიწადში არ შეიძლება, მათ მოსასპობად საჭიროა ხანგრძლივი რიგი წლებისა, საჭიროა ორგანიზებული შეუპოვრობა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მედგარი, განუხრელი, თანდათანობითი მუშაობა, განუწყვეტელი ყოველდღიური ბრძოლა, რომელიც განსაკუთრებით ძნელია და ყოველ ნაბიჯზე სპეკულანტ გლეხს აძლევს გამარჯვებას მუშაზე. მაგრამ ჩვენ ვებრძოლებთ უსისხლო ფრონტზე, რათა მშიერმა მიიღოს მაძღრისაგან ის ნაჭარბი, რომელიც ამ უკანასკნელს აქვს, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად ესერებისა და მენშევიკების სურვილისა გაატარონ თავისუფალი ვაჭრობა და მაძღარს დაუტოვონ ეს ნაჭარბი.

ჩვენ ამ ორი წლის განმავლობაში ჩავატარეთ უდიდესი მუშაობა. ამ მუშაობაში ჩავაბით გლეხთა და მუშათა მასა, შევძელით ყველგან მიგვეღო ის, რაც გვჭირდებოდა. იმ დროს, როდესაც თეთრი ოფიცრები, მეფის ყოფილი ოფიცრები, ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდნენ ჩვენი მტრების მხარეზე, ამ სპეციალისტთა ათეულები და ასეულები ჩავაბით და გადავხარშეთ ჩვენს მუშაობაში. ისინი ჩვენ გვეხმარებოდნენ ჩვენს კომისრებთან ერთად მუშაობაში. ისინი თვითონ სწავლობდნენ ჩვენგან მუშაობას და სამაგიეროდ გვაძლევდნენ თავიანთ ტექნიკურ ცოდნას. და მხოლოდ მათი დახმარებით

შეძლო წითელმა არმიამ მოეპოვებინა ის გამარჯვებანი, რომელთაც მან მიაღწია. ამჟამად მთელი ეს მუშაობა სხვა კალაპოტში უნდა გადავიყვანოთ. ეს სამუშაო უნდა იყოს მშვიდობიანი ხასიათის სამუშაო, ჩვენ ყველაფერი უნდა გადავიტანოთ შრომის ფრონტზე მუშაობისათვის. ჩვენ უნდა ვუხელმძღვანელოთ ჩვენს ყოფილ მესაკუთრეებს, რომლებიც ჩვენი მტრები იყვნენ. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ყველა შრომისუნარიანის მობილიზაცია და ვაიძულოთ ისინი ჩვენთან ერთად იმუშაონ. ჩვენ რადაც უნდა დაჯდეს უნდა აღვგავოთ პირისაგან მიწისა კვალი მენშევიკებისა და ესერების პოლიტიკისა, რომელიც პირად და სხვ. თავისუფლებაზე ლაპარაკობს, იმიტომ რომ ეს პოლიტიკა გვწირავს საშიმშილოდ. ეს დამოკიდებულება გატარებული უნდა იქნეს მთელ ჩვენს მუშაობაში. პროლეტარიატის მოწინავე ნაწილი კისრულობს დანარჩენი მოსახლეობის ხელმძღვანელობას და ამბობს: «ჩვენ უნდა მიგიყვანოთ თქვენ ჩვენი იდეების სრულ გაგებამდე და ცხოვრებაში გატარებამდე ისე, როგორც ჩვენ მიგიყვანეთ თქვენ იქამდე, რომ თქვენ სულ უფრო და უფრო მეტად დგებით ჩვენს მხარეზე».

უწინარეს ყოვლისა აქ ჩვენ წინაშე დღის წესრიგში დგას ამოცანა — გავწმინდოთ მოსკოვი იმ ჭუჭყისა და გაევრანებისაგან, რომელშიც ის მოჰყვა. ჩვენ უნდა გავატაროთ ეს, რომ მაგალითი გავხდეთ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, რომელშიც სულ უფრო ძლიერ და ძლიერ იკიდებს ფეხს ეს ჭუჭყი, რასაც თან სდევს ეპიდემიები და სნეულებანი. უნდა ვაჩვენოთ ეს მაგალითი აქ, მოსკოვში, მაგალითი, როგორიც არა ერთხელ უჩვენებია მოსკოვს.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ წინაშე დგას ტრანსპორტის აღდგენის ამოცანა. გაზაფხულიდან ჩვენ უნდა განვახორციელოთ მუშათა მასების კონტროლი. ჩვენ უნდა გავატაროთ ეს იმ მებოსტნეების მიმართ, რომლებიც მოსკოვის ირგვლივ მოსახლეობენ და რომლებიც, სარგებლობენ რა იმით, რომ მათ გვერდით ცხოვრობს მშიერი ძმა, მილიონებით ისქელებენ ჯიბეებს. იმის წყალობით, რომ ყოველ მდიდარ

მებოსტნეს შეუძლია თავისი ღარიბი მეზობლის ხარჯზე საარაკოდ ბევრი ფული მოიხვეჭოს, იქმნება საზიზღარი უსამართლობა, რომელსაც ჩვენ ვერ დავუშვებთ.

რა უნდა გავაკეთოთ? საჭიროა, რომ სპეციალისტებმა მოგვცენ თავიანთი ცოდნა ჩვენი იდეების ცხოვრებაში გასატარებლად. საჭიროა, რომ კლასი, რომელმაც ამჟამად განახლა მოსკოვის საბჭო, დაეწაფოს ამ სამუშაოს. საჭიროა, რომ ეს სამუშაო უფრო რეალურად და უფრო დეტალურად განხორციელდეს, ვიდრე უწინ ხდებოდა.

ჩვენ ვიცით, რომ პროლეტარიატის რიცხვი არც ისე დიდია, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ პეტროგრადის მუშები, რომლებიც წითელი არმიის პირველ რიგებში მიისწრაფოდნენ, საუკეთესო ძალებს გვაძლევდნენ იმ მომენტებში, როდესაც ეს ჩვენთვის საჭირო იყო, გვაძლევდნენ მტერთან საბრძოლველად, გვაძლევდნენ იმაზე მეტს, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობდით, თუ რამდენის მოცემა შეეძლოთ მათ. ჩვენ ვამბობდით, რომ პეტროგრადმა, მოსკოვმა, ივანოვო-ვოზნესენსკმა დიდი რაოდენობით მოგვცა ადამიანები, მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არაა: მათ უნდა მოგვცენ იმდენი, რამდენიც ჩვენ გვჭირდება. ამჟამად ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა ის ბურჟუაზიული სპეციალისტი, რომელთაც წარსულში თავიანთი ცოდნა დაუგროვებიათ და ახლა ვალდებული არიან ამ ცოდნით გადაიხადონ ვალი. აი ამ სპეციალისტების დახმარებით უნდა ჩავატაროთ სწორედ ჩვენი სამუშაო, მათი დახმარებით უნდა ვძლიოთ ყველაფერი, რაც კი ჩვენთვის საჭიროა, ვძლიოთ და შევქმნათ ჩვენი მუშათა საბრძოლო რიგები, რომლებიც მათგან ისწავლიდნენ და მათ წარმართავდნენ, რომლებიც ყოველთვის მიმართავდნენ ფართო მუშათა წრეს ამ გამოცდილების განსამარტებლად. აი სწორედ მოსკოვის საბჭოს, როგორც მნიშვნელობით ერთ-ერთ ყველაზე მოწინავეს, ყველაზე უფრო დიდ პროლეტარულ საბჭოს, მოუხდება რადაც უნდა დაჯდეს მისი განხორციელება. მოსკოვის საბჭოს ათას ხუთასი წევრი, ამას მიუმატეთ მათი კანდიდატები, — აი ის აპარატი, რომლითაც თქვენ შეგიძლიათ

ფართო მასიდან მიიღოთ ძალა და დაუღალავად ჩააბათ იგი, ჯერ კიდევ გამოუცდელი, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

მუშათა და გლეხთა მასებმა, რომლებმაც უნდა შექმნან ქთელი ჩვენი სახელმწიფო, ახლა უნდა შექმნან სახელმწიფო კონტროლი. თქვენ მიიღებთ ამ აპარატს მუშათა და გლეხთა მასების საშუალებით, მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის საშუალებით, რომელშიც არნახული სიძლიერით გაიღვიძა დამოუკიდებელმა სურვილმა, მზადყოფნამ და გადაწყვეტილებამ თვითონ მოჰკიდოს ხელი სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეს. რაკიღა ომის გამოცდილებამ შეგვძინა ამის გაგება, ჩვენ დავაწინაურებთ ათასობით ადამიანებს, რომელთაც საბჭოთა სკოლა გაიარეს, უნარი შესწევთ მართონ სახელმწიფო. მუშათა ინსპექციაში თქვენ უნდა ჩააბათ ყველაზე მორიდებული და განუვითარებელი, ყველაზე მორცხვი მუშები და წინ წასწიოთ ისინი. დაე ამაღლდნენ ისინი ამ მუშაობაში. დაინახავენ რა იმას, თუ როგორ მონაწილეობს მუშათა ინსპექცია სახელმწიფო საქმეებში, დაე ისინი უმარტივესი სამუშაოებიდან, რის უნარიც კი მათ გააჩნიათ, — თავიდან მხოლოდ დამსწრეთა სახით, — შემდეგ თანდათანობით გადავიდნენ უფრო მნიშვნელოვან როლებზე სახელმწიფო საქმეებში. ფართო წყაროებიდან თქვენ მიიღებთ თანაშემწეებს, რომლებიც იკისრებენ სახელმწიფოებრივ ტვირთს, დაგეხმარებიან და იმუშავებენ. საჭიროა ათეულ ათასობით ახალი მოწინავე მუშა. დაეყრდნეთ უპარტიო მუშებს და გლეხებს, დაეყრდნეთ მათ, იმიტომ რომ ჩვენი პარტია უნდა დარჩეს ვიწრო პარტიად, რაკი ყოველი მხრიდან მტრებით არის გარშემორტყმული. იმ პერიოდში, როდესაც მტრული ელემენტები ბრძოლის, მოტყუებისა და პროვოკაციის ყოველგვარი საშუალებებით ცდილობენ მიეტმასნონ პარტიას და გამოიყენონ ის ეროგვარი შეღავათიანი მდგომარეობა, რასაც მთავრობის პარტია იძლევა, უნდა ვიმოქმედოთ უპარტიოებთან კავშირში. კანონები მუშურ-გლეხური ინსპექციის შესახებ უფლებას იძლევიან სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში ჩავაბათ უპარტიო მუშათა და გლეხთა წარმომადგენ-

ლები და მათი კონფერენციები. ამ აპარატის სახით თქვენ გაქვთ ერთ-ერთი ისეთი საშუალება, რომელიც შესაძლებლობას მოგცემთ გაადიდოთ მუშათა და გლეხთა რაოდენობა, რათა რიგი წლების განმავლობაში გამარჯვება მოვიპოვოთ შინაურ ფრონტზე. ეს გამარჯვება ჯერ კიდევ დიდხანს ვერ იჩენს თავს ისე მარტივად, ისე გადაჭრით და ცხადად, როგორც სამხედრო ფრონტზე. ეს გამარჯვება მოითხოვს სიფხიზლესა და ძალ-ღონის დახარჯვას, და თქვენ შეძლებთ მის უზრუნველყოფას იმით, რომ შეასრულებთ მოსკოვისა და მისი მიდამოების მშენებლობის ამოცანებს და დაეხმარებით ტრანსპორტის აღდგენის საერთო საქმეს, იმ საერთო სამეურნეო ორგანიზაციის აღდგენის საქმეს, რომელიც დაგვეხმარება, რომ თავი დავაღწიოთ სპეკულანტების პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას და დავამარცხოთ კაპიტალიზმის ძველი ტრადიციები. დასანანი არაა, თუ ამას რამდენიმე წელს მოვანდომებთ. ასეთი პირობების დროსაც კი ამგვარი საზოგადოებრივი გარდაქმნები ჯერ კიდევ არნახულ რამედ აღმოჩნდება, და აქ ისეთი ამოცანების დასახვა, რომლებიც მოკლე დროისთვისაა გათვალისწინებული, დიდი შეცდომა იქნებოდა.

ნება მომეცით დავამთავრო იმ იმედისა და რწმენის გამოთქმით, რომ მოსკოვის განახლებული საბჭო, გაითვალისწინებს რა მთელ იმ გამოცდილებას, რომელიც მოიპოვა წინა შემადგენლობამ სამოქალაქო ომის პროცესში, ახალ ძალებს მიიღებს ახალგაზრდობიდან და სამეურნეო მშენებლობის საქმეს ისე ენერგიულად და მტკიცედ, ისეთი შეუპოვრობით მოკიდებს ხელს, როგორითაც ჩვენ სამხედრო საქმეს ვკიდებდით ხელს, რათა მოვიპოვოთ არა ბრჭყვიალა, მაგრამ სამაგიეროდ უფრო საფუძვლიანი და არსებითი გამარჯვებანი.

დაიბეჭდა 1921 წ. წიგნში:
«მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა
დეპუტატების მოსკოვის საბჭოს პლენუმის
სხდომათა სტენოგრაფიული ანგარიშები»
მოსკოვი

იბეჭდება წიგნის
ტექსტის მიხედვით

# სიტყვა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა III ინტერნაციონალის წლისთავს, 1920 წ. 6 მარტს

ამხანაგებო, კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების დღიდან წელიწადი გავიდა. ამ წლის განმავლობაში კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ისეთ გამარჯვებებს მიაღწია, რომელთა მოლოდინი არ შეიძლებოდა გვქონოდა, და თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ელოდა ვინმე ასეთ უზარმაზარ წარმატებებს მისი დაარსების დროს.

რევოლუციის პირველ ხანებში ბევრს იმედი ჰქონდა, რომ დასავლეთ ევროპაში სოციალისტური რევოლუცია დაიწყებოდა იმპერიალისტური ომის დამთავრებასთან უშუალოდ დაკავშირებული მომენტიდან, ვინაიდან იმ მომენტში, როდესაც მასები შეიარაღებული იყვნენ, რევოლუცია უდიდესი წარმატებით შეიძლებოდა ჩატარებულიყო დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაშიც. ეს მოხდებოდა, რომ არ აღმოჩენილიყო, რომ დასავლეთ ევროპაში უფრო ღრმა განხეთქილებაა პროლეტარიატში, მეტი გამცემლობაა ყოფილი სოციალისტური ბელადების მხრივ.

ჩვენ აქამდე ზუსტად არ ვიცით, როგორ ჩატარდა დემობილიზაცია და როგორ ხდება ომის ლიკვიდაცია. ჩვენ არ ვიცით, მაგალითად, რა იყო ჰოლანდიაში, და მხოლოდ ერთი სტატიიდან, რომელშიც მოთხრობილი იყო ჰოლანდიელი კომუნისტის სიტყვის შესახებ, — ერთი სტატიიდან, — ასეთი სტატიები ბევრი იყო, — შემთხვევით გავიგე, რომ ჰოლანდიაში, ნეიტრალურ ქვეყანაში, რომელიც ნაკლებად იყო

ჩარეული იმპერიალისტურ ომში, რევოლუციურმა მოძრაობამ ისეთ ფარგლებს მიაღწია, რომ საბჭოების შექმნისათვისაც კი მოუკიდიათ ხელი, და ტრულსტრამ, ჰოლანდიის ოპორტუნისტული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა ფიგურამ, აღიარა, რომ მუშებს შეეძლოთ თავიანთ ხელში აეღოთ ძალაუფლებაო.

ინტერნაციონალი რომ გამცემლების ხელში არ ყოფილიყო, რომლებიც ბურჟუაზიას კრიზისულ მომენტში იხსნიდნენ ხოლმე, მაშინ მეტი შანსები იქნებოდა იმისა, რომ ბევრ მეომარ ქვეყანაში უშუალოდ ომის დამთავრებასთან ერთად, აგრეთვე ზოგიერთ ნეიტრალურ ქვეყანაში, სადაც ხალხი შეიარაღებული იყო, რევოლუცია შეიძლებოდა მომხდარიყო სწრაფად, და მაშინ გამოსავალიც სხვაგვარი იქნებოდა.

მაგრამ ეს არ მოხდა, რევოლუცია ასეთი ჩქარი ტემპით არ მოხერხდა, და გვიხდება განვითარების მთელი გზის გავლა, რომელიც ჯერ კიდევ პირველ რევოლუციამდე, 1905 წლამდე დავიწყეთ, და მხოლოდ იმის წყალობით, რომ 1917 წლამდე 10 წელზე მეტმა განვლო, უნარი აღმოგვაჩნდა პროლეტარიატის ხელმძღვანელობისა.

1905 წელს, ასე ვთქვათ, რევოლუციის რეპეტიცია იყო, და ნაწილობრივ ამის მეოხებით მოხერხდა რუსეთში იმპერიალისტური ომის კრახის მომენტის გამოყენება, რამაც ძალაუფლება პროლეტარიატს მიანიჭა. ისტორიული მოვლენების ძალით, თვითმპყრობელობის სრული სიდამპლის გამო ჩვენ მოვახერხეთ ადვილად დაგვეწყო რევოლუცია, მაგრამ რაც უფრო ადვილად მოხერხდა მისი დაწყება, მით უფრო გაუძნელდა მისი განგრძობა ამ განმარტოებულ ქვეყანას, და აი ამ განვლილი წლის განმავლობაში შეგვიძლია ჩვენ თავს ვუთხრათ, რომ სხვა ქვეყნებში, სადაც მუშები უფრო განვითარებული არიან, სადაც მეტია მრეწველობა, სადაც მუშები უფრო მრავალრიცხოვანი არიან, რევოლუციის განვითარება უფრო ნელი გზით წავიდა. იგი წავიდა ჩვენი გზით, მაგრამ წავიდა უფრო ნელა.

ამ ნელ გზას მუშები განაგრძობენ და გზას უკაფავენ პროლეტარიატის გამარჯვებას, რომელიც უეჭველად უფრო მეტი სისწრაფით გვიახლოვდება, ვიდრე ეს ჩვენ მოგვიხდა, ვინაიდან როდესაც III ინტერნაციონალს ხედავ, გიკვირს ის სისწრაფე, რომლითაც ვრცელდებოდა გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ მიმავალი III ინტერნაციონალი.

შეხედეთ, როგორ ვრცელდება მთელ მსოფლიოში ჩვენი გონჯი სიტყვები, ისეთი, როგორიცაა სიტყვა «ბოლშევიზმი». მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტურ პარტიად ვიწოდებით, რომ სახელწოდება «კომუნისტი» მეცნიერული, ზოგადევროპულია, იგი ევროპაში და სხვა ქვეყნებში უფრო ნაკლებად არის გავრცელებული, ვიდრე სიტყვა «ბოლშევიკი». ჩვენი რუსული სიტყვა «სოვეტ» *, ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სიტყვაა, იგი სხვა ენებზე არც კი ითარგმნება ხოლმე და ყველგან რუსულად გამოითქმება.

მიუხედავად ბურჟუაზიული პრესის სიცრუისა, მიუხედავად გაცოფებული წინააღმდეგობისა, რომელიც მთელმა ბურჟუაზიამ გაგვიწია, მიუხედავად ამისა, მუშათა მასების სიმპათიები საბჭოების მხარეზე, საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიზმის მხარეზე აღმოჩნდა. რაც უფრო მეტად ცრუობდა ბურჟუაზია, მით უფრო მეტად ეხმარებოდა იგი მთელ მსოფლიოში იმ ცდის გავრცელებას, რომელიც ჩვენ კერენსკის მიმართ ჩავატარეთ.

გერმანიიდან ჩამოსული ბოლშევიკების ნაწილს ჩვენში შეხვდნენ თავდასხმებითა და დევნით, რაც «დემოკრატიულ რესპუბლიკაში» წმინდა ამერიკულ ყაიდაზე იყო მოწყობილი, და ამ დევნას ყოველნაირად ეხმარებოდნენ კერენსკი, ესერები და მენშევიკები. ამრიგად, მათ აამოძრავეს პროლეტარიატის ფენები და აფიქრებინეს მათ, რომ თუ კი ასე დევნიან ბოლშევიკებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს რაღაც კარგი უნდა იყოსო. (ტ ა შ ი.)

და როდესაც საზღვარგარეთიდან დრო და დრო ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებს იღებ, როდესაც, არ გაქვს რა შესაძლებლობა

* — საბჭო. რ ე დ.

თვალყური ადევნო მთელ პრესას, წაიკითხავ, მაგალითად, ყველაზე მდიდარი ინგლისური გაზეთის «ტაიმსის» ნომერს, როდესაც კითხულობ, თუ როგორ მოჰყავთ იქ ბოლშევიკური სიტყვები იმისათვის, რომ დაამტკიცონ, რომ ბოლშევიკები უკვე ომის დროს ქადაგებდნენ სამოქალაქო ომსო, — მაშინ იმ დასკვნამდე მიდიხარ, რომ ბურჟუაზიის თვით უჭკვიანესმა წარმომადგენლებმაც კი სრულიად დაკარგეს გონება. თუ ინგლისური გაზეთი აღნიშნავს წიგნს «მდინარეების წინააღმდეგ», ურჩევს ინგლისელ მკითხველებს წაიკითხონ ის და მოჰყავს ციტატები, რათა ცხადყოს, რომ ბოლშევიკები არიან ცუდზე უცუდესი ადამიანები, რომლებიც ლაპარაკობენ იმპერიალისტური ომის დანაშაულებრიობაზე და სამოქალაქო ომს ქადაგებენო, — რწმუნდები, რომ მთელი ის ბურჟუაზია, რომელსაც ვძულვართ, ჩვენ გვეხმარება, — თავს ვუხრით და მადლობა მოგვიხსენებია! (ტ ა შ ი.)

ჩვენ არა გვაქვს ყოველდღიური პრესა არც ევროპაში, არც ამერიკაში, ინფორმაცია ჩვენი მუშაობის შესახებ ძალიან მცირეა, ჩვენს ამხანაგებს გააფთრებით სდევნიან. მაგრამ როდესაც ხედავ, რომ მოკავშირეთა უმდიდრესმა იმპერიალისტურმა პრესამ, საიდანაც თავიანთ ცნობებს იღებენ ასეულ ათასობით სხვა გაზეთები, იმდენად დაკარგა ზომიერების გრძნობა, რომ მას ბოლშევიკების გასაგმირავად უხვად მოჰყავს ციტატები ბოლშევიკების თხზულებებიდან, ციტატები, რომელთაც ჩხრეკს ომის დროს დაბეჭდილ გამოცემებში, რათა დაამტკიცოს, რომ ჩვენ ვლაპარაკობდით ომის დანაშაულებრიობაზე და ვცდილობდით გადაგვექცია იგი სამოქალაქო ომად,— ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი, ეს უჭკვიანესი ვაჟბატონები, ისეთივე სულელები გახდებიან, როგორც ჩვენი კერენსკი და მისი ამხანაგები. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მტკიცედ ვთქვათ, რომ ეს ადამიანები, ინგლისური იმპერიალიზმის ხელმძღვანელები, კომუნისტური რევოლუციის დახმარების თავიანთ საქმეს სუფთად და მტკიცედ გააკეთებენ. (ტ ა შ ი.)

ამხანაგებო, ომამდე ეგონათ, რომ მთავარი დაყოფა მუშათა მოძრაობაში — სოციალისტებად და ანარქისტებად დაყო-

ფაა. ეს არათუ ეგონათ, არამედ ასეც იყო. ხანგრძლივი ეპოქის განმავლობაში იმპერიალისტურ ომამდე და რევოლუციამდე — ობიექტურად რევოლუციური მდგომარეობა ევროპის ქვეყნების დიდ უმრავლესობაში არ იყო. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ გამოეყენებინათ ეს ნელი მუშაობა რევოლუციური მზადებისათვის. სოციალისტებმა დაიწყეს ეს საქმე, ანარქისტებს არ ესმოდათ ეს ამოცანა. ომმა შექმნა რევოლუციური მდგომარეობა, და ეს ძველი დაყოფა უკვე დრომოჭმული აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ანარქიზმისა და სოციალიზმის ზედაფენები შოვინისტებად იქცნენ, მათ დაგვანახვეს, თუ რას ნიშნავს თავიანთი ბურჟუაზიული მძარცველების დაცვა ბურჟუაზიის სხვა მძარცველების წინააღმდეგ, რომელთა გულისათვის ომმა მილიონობით ადამიანები დაღუპა. მეორე მხრივ, ძველი პარტიების ქვედაფენებში ჩაისახა ახალი მიმდინარეობანი, — ომის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალური რევოლუციის სასარგებლოდ. ამრიგად, უღრმესი კრიზისი წარმოიშვა ომის გამო, და ანარქისტები და სოციალისტები გაითიშნენ, იმიტომ რომ სოციალისტთა პარლამენტური ბელადების ზედაფენები შოვინისტების ფრთაზე აღმოჩნდნენ, ხოლო ქვედაფენებში სულ უფრო მზარდი უმცირესობა მათ შორდებოდა და რევოლუციის მხარეზე იწყებდა გადასვლას.

ამრიგად, ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობა ახალი ხაზით წავიდა, არა ანარქისტებისა და სოციალისტების ხაზით, არამედ იმ ხაზით, რომელსაც შეუძლია პროლეტარიატის დიქტატურამდე მიგვიყვანოს. ეს განხეთქილება მთელ მსოფლიოში აღინიშნა და დაიწყო III ინტერნაციონალის არსებობამდე.

თუ ჩვენ წარმატება მოვიპოვეთ, ეს იმიტომ, რომ ჩვენ მოვედით — მაშინ, როდესაც მდგომარეობა რევოლუციური იყო და როდესაც მუშათა მოძრაობა უკვე ყველა ქვეყანაში არსებობდა, და ამიტომ ახლა ვხედავთ, რომ სოციალიზმისა და ანარქიზმის შიგნით მოხდა განხეთქილება. ეს მთელ მსოფლიოში იწვევს კომუნისტური მუშების მონაწილეობას

ახალი ორგანიზაციების შექმნაში და მათ გაერთიანებას III ინტერნაციონალში. ასეთი მიდგომა ყველაზე სწორი მიდგომაა.

თუ კვლავ წამოიჭრება უთანხმოება, მაგალ., პარლამენტარიზმის გამოყენების შესახებ, რუსეთის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის გამოცდილების შემდეგ, მას შემდეგ, რაც მთელი მსოფლიოს წინაშე აღიმართა ლიბკნეხტის ფიგურა და გამოირკვა მისი როლი და მნიშვნელობა პარლამენტარიზმის წარმომადგენელთა შორის, უაზრობაა პარლამენტარიზმის რევოლუციური გამოყენების უარყოფა. ძველი გაგების წარმომადგენლებისათვის ცხადი გახდა, რომ სახელმწიფოს შესახებ საკითხის ძველებურად დაყენება არ შეიძლება, ამ საკითხის ძველებური, მწიგნობრული დაყენების ნაცვლად რევოლუციური მოძრაობის ძალით დღის სინათლეზე გაჩნდა ახალი პრაქტიკული დაყენება.

ბურჟუაზიის მთელ გაერთიანებულ და ცენტრალიზებულ ძალას აუცილებლად უნდა დავუპირისპიროთ პროლეტარიატის გაერთიანებული და ცენტრალიზებული ძალა. ამრიგად, ახლა საკითხი სახელმწიფოს შესახებ სხვა რელსებზე დადგა, ძველი უთანხმოება თანდათან კარგავს აზრს. მუშათა მოძრაობის ძველი დაყოფის მაგიერ წარმოიშვა ახალი დაყოფა, მთავარ საკითხად იქცა დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურისადმი.

საბჭოთა კონსტიტუციამ თვალნათლივ დაგვანახვა, თუ რა შეიმუშავა რუსეთის რევოლუციამ. ჩვენი გამოცდილებით, მისი შესწავლით გამოირკვა, რომ ძველი ამოცანების ყოველი დაჯგუფება ერთ ამოცანაში იყრის თავს: ან საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, ან მის წინააღმდეგ, — ან ბურჟუაზიული ხელისუფლების მხარეზე, იმ დემოკრატიისათვის, დემოკრატიის იმ ფორმებისათვის, რომლებიც, გვპირდებოდნენ რა მაძღართა და მშიერთა თანასწორობას, კაპიტალისტისა და მუშის თანასწორობას საარჩევნო ბიულეტენების მიცემაში, უქსპლოატატორებისა და ექსპლოატირებულთა თანასწორობას, ფარავდნენ კაპიტალისტურ მონობას, ან — პროლე-

ტარული ხელისუფლების მხარეზე, ექსპლოატატორების დაუნდობელი დათრგუნვისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს მხარეზე.

ბურჟუაზიული დემოკრატიის მხარეზე შეიძლება იდგნენ მხოლოდ კაპიტალისტური მონობის მომხრეები. ჩვენ ეს დაგვანახვა კოლჩაკისა და დენიკინის თეთრგვარდიულმა ლიტერატურამ. ამ უწმინდურებისაგან რუსეთის მრავალი ქალაქის გაწმენდის შემდეგ, მათი ლიტერატურა შეგროვებულია და მოსკოვში გადმოგვაქვს. შეგიძლიათ ნახოთ ჩირიკოვის მსგავს რუს ინტელიგენტთა, ან ე. ტრუბეცკოის მსგავს ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა ნაწერები, და საყურადღებოა ნახოთ ის, თუ როგორ მსჯელობენ ისინი დამფუძნებელი კრების, თანასწორობისა და სხვათა შესახებ, როდესაც დახმარებას უწევენ დენიკინს. ეს მსჯელობანი დამფუძნებელი კრების შესახებ დახმარებას ჩვენ გვიწევს; როდესაც ისინი ამგვარ აგიტაციას ატარებდნენ თეთრგვარდიელთა მასაში, ისინი ჩვენ გვეხმარებოდნენ სამოქალაქო ომის მთელ მსვლელობასთან, მოვლენათა მსვლელობასთან ერთად. თავიანთი არგუმენტებით ისინი თვითონვე ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე დგანან ჭეშმარიტი რევოლუციონერები, რომლებიც თანაუგრძნობენ კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლას. ეს სამოქალაქო ომის მსვლელობაში სრულიად გამოკვეთილად ჩანს.

უარყოფა ცენტრალური ხელისუფლების, დიქტატურისა და ნების ერთიანობის აუცილებლობისა იმისათვის, რომ პროლეტარიატი თავის მოწინავე ნაწილში დაირაზმოს, იმისათვის, რომ განავითაროს და ახალ ნიადაგზე დააყენოს სახელმწიფო, მტკიცედ ეპყრას ხელთ ძალაუფლება, აგრეთვე მსჯელობათა წერა ამ თემაზე შეუძლებელი ხდება მიღებული გამოცდილების შემდეგ, იმის შემდეგ, რაც იყო რუსეთში, ფინეთსა და უნგრეთში, ერთი წლის გამოცდილების შემდეგ დემოკრატიულ რესპუბლიკებში, გერმანიაში. დემოკრატიამ თვითონ ამხილა საბოლოოდ თავისი თავი. აი რატომ გაიზარდა შეუკავებლად ყველა

ქვეყანაში უაღრესად სხვადასხვაგვარი ფორმით მრავალრიცხოვანი ნიშნები კომუნისტური მოძრაობის გაძლიერებისა საბჭოთა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის სასარგებლოდ.

ეს ზრდა იქამდე მივიდა, რომ ისეთი პარტიებიც კი, როგორიც არიან გერმანელი დამოუკიდებლები და ფრანგული სოციალისტური პარტია, სადაც ბატონობენ ძველი ტიპის ბელადები, რომლებმაც ვერ გაიგეს ვერც ახალი აგიტაცია, ვერც ახალი პირობები, რომლებმაც სრულებით არ შეცვალეს საპარლამენტო მოღვაწეობა და მას აქცევენ მნიშვნელოვანი ამოცანებისაგან ყბედობით თავის დაღწევისა და საპარლამენტო კამათით მუშების გართობის საშუალებად, — თვით ეს ბელადებიც კი იძულებული არიან აღიარონ პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოების ხელისუფლება. ეს იმიტომ, რომ მუშათა მასამ, რომელიც უკვე თავს გვამცნობს, აიძულა ისინი გააკეთონ ეს.

სხვა ამხანაგების სიტყვებიდან თქვენ იცით, რომ გერმანიის დამოუკიდებელთა პარტიის ეს ჩამოცილება, პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების ეს აღიარება უკანასკნელი გადამწყვეტი ლახვარი იყო, რომელიც II ინტერნაციონალს ჩასცეს. თუ საქმის მდგომარეობას გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ II ინტერნაციონალი მოკლულია, და მუშათა მასები გერმანიაში, ინგლისსა და საფრანგეთში კომუნისტების მხარეზე გადადიან. ინგლისშიც აგრეთვე არის დამოუკიდებელთა პარტია, რომელიც განაგრძობს ლეგალობის თვალსაზრისზე დგომას და ბოლშევიკების ძალმომრეობის დაგმობას. ამას წინათ მათ გაზეთში გაჩნდა დისკუსიის განყოფილება. დისკუსია — ეს განხილვას ნიშნავს. და აი იქ იხილავენ საბჭოების საკითხს, და იმ სტატიის გვერდით, რომელიც დაბეჭდილია მუშათა ინგლისურ გაზეთებში, ვხედავთ სტატიას ინგლისელისას, რომელსაც არ სურს სოციალიზმის თეორიას ანგარიში გაუწიოს და ინარჩუნებს თეორიის უწინდელ სულელურ ათვალწუნებას, მაგრამ ითვალისწინებს რა ინგლისის ცხოვრების პირობებს, იგი გარ-

კვეულ დასკვნამდე მიდის და ამბობს: ჩვენ არ შეგვიძლია დავგმოთ საბჭოები, არამედ მათ მხარეზე უნდა ვიყოთო.

ეს იმის ნიშანია, რომ ისეთი ქვეყნების მუშათა თვით ჩამორჩენილ ფენებშიც კი, როგორიცაა ინგლისი, დაიწყო ძვრა, და შეიძლება ითქვას, რომ სოციალიზმის ძველი ფორმები სამუდამოდ ჩაკლულია.

ევროპა რევოლუციისაკენ ისე არ მიდის, როგორც ჩვენ მივედით, მაგრამ ევროპა, არსებითად, იმასვე აკეთებს. თვითეულმა ქვეყანამ თავისებურად უნდა აწარმოოს შინაური ბრძოლა და დაიწყო კიდეც ამ ბრძოლის წარმოება როგორც თავისი მენშევიკების წინააღმდეგ, ისე თავისი ოპორტუნიზმისა და ესერობის წინააღმდეგ, რომელიც სხვა სახელწოდებით არსებობს და მეტად თუ ნაკლებად ყველა ქვეყანაში არის.

და სწორედ იმიტომ, რომ ისინი დამოუკიდებლად იძენენ ამ გამოცდილებას, შეიძლება იმის თავდებობა, რომ კომუნისტური რევოლუციის გამარჯვება ყველა ქვეყანაში გარდუვალია, და რაც უფრო მეტი მერყეობაა მტრების რიგებში, რაც უფრო მეტია რწმენის უქონლობა, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ისინი აცხადებენ, ბოლშევიკები დამნაშავეები არიან და ისინი ჩვენთან არასოდეს არ შეკრავენ ზავსო, — მით უკეთესი ჩვენთვის.

ახლა ისინი ამბობენ: თუ ვივაჭრებთ, ვივაჭროთ ისე, რომ არ ვცნოთ ბოლშევიკებიო. ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს: კეთილი, სინჯეთ, ბატონებო. რაც შეეხება იმას, რომ თქვენ არ გვცნობთ, ჩვენ ეს გვესმის. ჩვენ შეცდომად ჩავთვლიდით თქვენი მხრივ, ჩვენი თავი რომ გეცნოთ. მაგრამ თუ თქვენ ისე დაიბენით, რომ ჯერ ბოლშევიკებს აცხადებთ ყველა ღვთიურ და ადამიანურ კანონთა დამრღვევებად, აცხადებთ, რომ მათ ლაპარაკს არ დაუწყებთ და არ შეურიგდებით, ხოლო შემდეგ ამბობთ, რომ გაცვლას შეუდგებით, ოღონდ არ ცნობთ ჩვენს პოლიტიკას, — ეს ისეთი გამარჯვებაა ჩვენთვის, რომელიც ყოველი ქვეყნის ხალხთა მასებში კომუნისტურ მოძრაობას წაუბიძგებს და გააღრმავებს. ეს

კომუნისტური მოძრაობა ისე ღრმაა, რომ იმათ გარდა, ვინც ოფიციალურად ემხრობა III ინტერნაციონალს, მოწინავე ქვეყნებში აღინიშნა მთელი რიგი მოძრაობანი, რომლებიც არც სოციალიზმს ეკედლებიან, არც კომუნიზმს, ბოლშევიზმის გმობას განაგრძობენ, და ამავე დროს მას უახლოვდებიან მოვლენათა ძალით.

ომი XX საუკუნეში ცივილიზებულ ქვეყანაში მთავრობებს აიძულებს თვითონვე ამხილონ თავიანთი თავი. ფრანგულ გაზეთში ქვეყნდებოდა დოკუმენტები ავსტრიის ყოფილი იმპერატორის კარლოსისა, რომელიც 1916 წელს საფრანგეთს ზავის შეკვრას თავაზობდა. ახლა მისი წერილი გამოქვეყნებულია, და მუშები მიმართავენ სოციალისტების ლიდერს, ალბერ ტომას, და ეკითხებიან: თქვენ მაშინ მთავრობაში იყავით, და თქვენს მთავრობას ზავს თავაზობდნენ. რას აკეთებდით მაშინ? როდესაც ალბერ ტომას ამაზე შეეკითხნენ, მან კრინტიც არ დაძრა.

ეს მხილებანი მხოლოდ ახლა დაიწყო. ხალხთა მასებმა ისწავლეს და მათ აღარ შეუძლიათ ომს ძველებურად უყურონ ევროპასა და ამერიკაში. ისინი კითხვას სვამენ: რის გულისათვის გაიჟლიტა 10 მილიონი ადამიანი და დასახიჩრდა 20 მილიონი? ამ საკითხის დაყენება იმას ნიშნავს, რომ ხალხთა მასები პროლეტარიატის დიქტატურისაკენ მიაბრუნო. ამ საკითხის დასმა ნიშნავს ასეთი პასუხის გაცემას: იმისათვის გაჟლიტეს 10 მილ. ადამიანი და 20 მილ. ხეიბრად აქციეს, რომ გადაეწყვიტათ საკითხი, ვინ უფრო მეტად გამდიდრდება — გერმანელი თუ ინგლისელი კაპიტალისტები? ეს სიმართლეა, და როგორც უნდა მალავდნენ მას, ის მაინც გზას იკაფავს.

კაპიტალისტურ მთავრობათა კრახი გარდუვალია. რადგან ყველა ხედავს, რომ ახალი ასეთივე ომი გარდუვალია, თუ კი ხელისუფლების სათავეში დარჩებიან იმპერიალისტები და ბურჟუაზია. იაპონიასა და ამერიკას შორის წარმოიშობა ახალი დავა და კონფლიქტები. ეს დავა და კონფლიქტები ორივე ქვეყნის დიპლომატიური ისტორიის ათეულობით წლებმა მოამზადა. ომები გარდუვალია კერძო საკუთრების ნიადაგზე. გარდუვა-

ლია ომი ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რომელთაგან პირველმა დაიტაცა კოლონიები, ხოლო მეორეს ჰგონია, რომ არაფერი ერგო. არავინ იცის, სად და როგორ ატყდება იგი, მაგრამ ყველა ხედავს, ყველამ იცის და ყველა ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ომი გარდუვალია და იგი კვლავ მზადდება.

ეს მდგომარეობა XX საუკუნეში ისეთ ქვეყნებში, სადაც საყოველთაოდ გავრცელებულია წერა-კითხვა, უზრუნველყოფს ჩვენთვის იმას, რომ ძველ რეფორმიზმსა და ანარქიზმზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ისინი ჩაკლა ომმა. ლაპარაკი იმაზე, რომ რეფორმებით გარდაიქმნას კაპიტალისტური საზოგადოება, რომელმაც ასეულ მილიარდობით მანეთი გაიღო ომისათვის, იმაზე ლაპარაკი, რომ ეს საზოგადოება გარდაიქმნას რევოლუციური ხელისუფლებისა და ძალდატანების გარეშე, უდიდეს შერყევათა გარეშე, — შეუძლებელია. ის, ვინც ასე ლაპარაკობს და ფიქრობს, ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს.

კომუნისტური ინტერნაციონალი იმით არის ძლიერი, რომ მსოფლიო იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის გაკვეთილებს ემყარება. ყოველ ქვეყანაში მილიონობით ადამიანის გამოცდილება სულ უფრო და უფრო ადასტურებს მისი პოზიციის სისწორეს, და მოძრაობა კომუნისტური ინტერნაციონალისაკენ ახლა ასჯერ უფრო ფართო და ღრმაა, ვიდრე აქამდე იყო. მან ერთი წლის ვადაში II ინტერნაციონალის სრული კრახი გამოიწვია.

არ არის მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა — სრულიად განუვითარებელიც კი, — სადაც ყველა მოაზროვნე მუშა არ უერთდებოდეს კომუნისტურ ინტერნაციონალს, არ ემხრობოდეს მას იდეურად. ამაშია სრული გარანტია იმისა, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის გამარჯვება მთელ მსოფლიოში — არა ძალიან შორეულ ვადაში — უზრუნველყოფილია. (ტ ა შ ი.)

«კომმუნისტიჩესკი ინტერნაციონალ»
№ 10, 1920 წ.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით

# სიტყვა წყლის ტრანსპორტის მუშათა სრულიად რუსეთის III ყრილობაზე 1920 წ. 15 მარტს

წყლის ტრანსპორტის მუშაობას ამჟამად საბჭოთა რუსეთისათვის სრულიად განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა ენიჭება, და ამიტომ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ იმ ამოცანებს, რომლებიც წყლის ტრანსპორტის მუშაკებს ეკისრებათ, ყრილობა უდიდესი ყურადღებითა და მზრუნველობით მოეპყრობა. ნება მომეცით შევჩერდე იმ საკითხზე, რომელიც ახლა ყველაზე მეტად აინტერესებს კომუნისტების პარტიას, პროფკავშირებს და, უეჭველია, გაცხოველებულ კამათს იწვევს თქვენშიც, — მრეწველობის მართვა-გამგეობის საკითხზე. ეს საკითხი სპეციალურად არის დასმული პარტიული ყრილობის დღის წესრიგში. ამ საკითხზე ქვეყნდება თეზისები. აუცილებლად საჭიროა იგი წყლის ტრანსპორტზე მომუშავე ამხანაგებმაც განიხილონ.

თქვენ იცით, რომ ერთ-ერთი სადავო მუხლი, რომელიც პრესაშიც და კრებებზეც გაცხოველებულ დავას იწვევს, არის მართვა-გამგეობის ერთპიროვნულობისა და კოლეგიალობის საკითხი. ვფიქრობ, რომ ხშირად ამ საკითხში უპირატესობის მინიჭება კოლეგიალობისათვის მოწმობს იმ ამოცანათა არასაკმაო გაგებას, რომლებიც რესპუბლიკის წინაშე დგას, უფრო მეტიც, — ხშირად ეს მოწმობს კლასობრივი შეგნების არასაკმარის დონეს. როდესაც ამ საკითხზე ვფიქრობ, ყოველთვის მინდა ვთქვა: ჯერ კიდევ საკმარისად არ უსწავლიათ მუშებს ბურჟუაზიისაგან. ეს თვალნათლივ ჩანს იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული სოციალისტები ან

სოციალ-დემოკრატები ბატონობენ, რომლებიც ახლა ევროპასა და ამერიკაში სხვადასხვა საფარველით, ბურჟუაზიასთან კავშირის ამა თუ იმ ფორმით, მონაწილეობას იღებენ მართვა-გამგეობაში. მათ ღვთისაგან აქვთ ნაბრძანები ძველი ცრურწმენები გაიზიარონ, მაგრამ ჩვენში, პროლეტარიატის ბატონობის ორი წლის შემდეგ, საჭიროა არა მარტო სურვილი, არამედ საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება ბურჟუაზიის კლასობრივ შეგნებას არ ჩამორჩებოდეს. აბა შეხედეთ: როგორ მართავს სახელმწიფოს ბურჟუაზია? როგორ დარაზმა მან ბურჟუაზიის კლასი? განა მოინახებოდა უწინდელ დროში ბურჟუაზიის თვალსაზრისზე მდგომი და მისი ერთგული დამცველი თუნდაც ერთი კაცი, რომელიც ასე იმსჯელებდა: ეს რაღა მართვა-გამგეობაა სახელმწიფოში, როდესაც ერთპიროვნული ხელისუფლება არსებობსო? თუ კი ბურჟუაზიის წრიდან ვინმე ასეთი სულელი გამოვიდოდა, მას მისივე საკუთარი კლასიდან გამოსული ამხანაგები სასაცილოდ აიგდებდნენ, და იგი ვერც ლაპარაკს, ვერც მსჯელობას ვერ შეძლებდა ბატონი კაპიტალისტებისა და ბატონი ბურჟუების ვერც ერთ პასუხსაგებ კრებაზე. მას ეტყოდნენ: განა საკითხი იმის შესახებ, ერთი პიროვნების საშუალებით ვმართოთ, თუ კოლეგიის საშუალებით, განა ეს საკითხი კლასის საკითხთან არის დაკავშირებული?

ყველაზე ჭკვიანი და მდიდარი ბურჟუაზია ინგლისისა და ამერიკის ბურჟუაზიაა; ინგლისის ბურჟუაზია უფრო გამოცდილია მრავალ მხრივ და მან უფრო უკეთესად იცის მართვა-გამგეობა, ვიდრე ამერიკის ბურჟუაზიამ. და განა იგი არ გვაძლევს ჩვენ იმის ნიმუშებს, თუ როგორ იჩენს ერთპიროვნული დიქტატურის მაქსიმუმს, მართვის სისწრაფის მაქსიმუმს, და ხელისუფლებას სავსებით და მთლიანად თავისი კლასის ხელში ინახავს? აი ეს გაკვეთილი, ამხანაგებო, მე მგონია, თუ მას დაუფიქრდებით, თუ თქვენ მოიგონებთ არც თუ ისე ძალიან შორეულ ხანას, როდესაც რუსეთში ბატონობდნენ ბატონი რიაბუშინსკები, მოროზოვები და სხვა კაპიტალისტები. თუ მოიგონებთ, თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ

კერენსკის, მენშევიკებისა და ესერების ხელისუფლების რვა თვის განმავლობაში. რა საუცხოოდ, შესანიშნავი სისწრაფით შეძლეს მათ ეცვალათ ფერი, რა არ დაირქვეს, რა გარეგნული, ფორმალური დათმობა არ მოახდინეს და როგორ შეძლეს მაინც სავსებით და მთლიანად შეენარჩუნებინათ ხელისუფლება თავიანთი კლასის ხელში, — მე ვფიქრობ, რომ ინგლისის გაკვეთილზე და ამ კონკრეტულ მაგალითზე დაფიქრება მოგვცემს უფრო მეტს ერთპიროვნული მართვა-გამგეობის საკითხის გასაგებად, ვიდრე მრავალი განყენებული რეზოლუცია, თეორიის მიერ შეთხზული და წინასწარ გამოწერილი.

კოლეგიალობა ვითომ ნიშნავს მუშათა მართვა-გამგეობას, ხოლო ერთპიროვნულობა ვითომ — არამუშურ მართვა-გამგეობას. ამ საკითხის მარტო დაყენება, მარტო ამგვარი არგუმენტაცია ამტკიცებს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს საკმაოდ ნათელი კლასობრივი შეგნება, და არა მარტო საკმაოდ ნათელი შეგნება, არამედ ჩვენ უფრო ნაკლებად ნათელი კლასობრივი შეგნება გვაქვს, ვიდრე ბატონ ბურჟუებს. ეს გასაგებიცაა. ისინი მართვა-გამგეობას ორ წელიწადს კი არ სწავლობდნენ, არამედ ორას წელიწადს, ხოლო თუ ავიღებთ ევროპის ბურჟუაზიას, 200 წელიწადზე ბევრად უფრო მეტ ხანს. ჩვენ სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავვარდეთ იმის გამო, რომ ვერ შევძელით ყველაფერი ორ წელიწადში გვესწავლა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჩვენ უფრო მალე ვისწავლოთ, ვიდრე ჩვენმა მტრებმა, — ამას მოითხოვენ მოვლენები. მათ შეეძლოთ ესწავლათ ასეული წლობით, მათ აქვთ შესაძლებლობა ხელახლა ისწავლონ და გამოასწორონ თავიანთი შეცდომები, იმიტომ რომ ისინი მსოფლიო მასშტაბით უსაზღვროდ ძლიერი არიან ჩვენზე. ჩვენ სწავლის დრო არა გვაქვს, ჩვენ საკითხი მართვა-გამგეობის კოლეგიალობის შესახებ უნდა დავაყენოთ დადებითი კონკრეტული მონაცემებით. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ დაადგებით ამ საკითხში პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ ხაზს, რომელიც გამოქვეყნებულია [91], რომელსაც ყოველ პარ-

ტიულ კრებაზე იხილავენ და რომელიც საქმის ადამიანებისათვის, წყლის ტრანსპორტის მუშაკებისათვის, რომლებმაც ორი წელიწადი იმუშავეს, უდავოა. და ვიმედოვნებ, რომ აქ დამსწრეთა დიდი უმრავლესობა, რომელიც პრაქტიკულად იცნობს მართვა-გამგეობას, შეიგნებს, რომ ჩვენ არ უნდა დავჯერდეთ საკითხის ზოგად დაყენებას, არამედ უნდა ვიქცეთ სერიოზულ საქმიან ადამიანებად, რომლებიც კოლეგიებს აუქმებენ და უმათოდ მართავენ.

მართვა-გამგეობის ყოველგვარი სამუშაო განსაკუთრებულ თვისებებს მოითხოვს. შეიძლება კაცი უძლიერესი რევოლუციონერი და აგიტატორი იყოს და სრულიად უვარგისი იყოს როგორც ადმინისტრატორი. მაგრამ მან, ვინც პრაქტიკულ ცხოვრებას უკვირდება და ვისაც ცხოვრების გამოცდილება აქვს, იცის, რომ იმისათვის, რათა მართო, საჭიროა კომპეტენტური იყო, საჭიროა სავსებით და ზუსტად იცოდე წარმოების ყველა პირობა, საჭიროა იცოდე ამ წარმოების ტექნიკა მის თანამედროვე სიმაღლეზე, უნდა გქონდეს გარკვეული მეცნიერული განათლება. აი ის პირობები, რომლებიც ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ რადაც უნდა დაჯდეს. და აი, როდესაც ჩვენ ვაყენებთ ზოგად რეზოლუციებს, რომლებიც მცოდნეთა მედიდური გამომეტყველებით მსჯელობენ მართვა-გამგეობის კოლეგიალობისა და ერთპიროვნულობის შესახებ, თანდათან ვრწმუნდებით, რომ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით მართვა-გამგეობის დარგში, მაგრამ ვიწყებთ ზოგიერთი რამის შესწავლას გამოცდილების საფუძველზე, თვითეული ნაბიჯის აწონ-დაწონას, თვითეული მეტად თუ ნაკლებად უნარიანი ადმინისტრატორის წამოყენებას.

თქვენ იცით ცენტრალური კომიტეტის დებატებიდან, რომ ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ, მუშები სათავეში დავაყენოთ; მაგრამ ვამბობთ, რომ საკითხის გადაწყვეტა უნდა დაუმორჩილდეს წარმოების ინტერესებს. დაცდა აღარ შეგვიძლია. ჩვენი ქვეყანა ისეა აოხრებული, უბედურებებმა — შიმშილმა, სიცივემ და საერთო გაჭირვებამ, — ახლა ისეთ უზარმაზარ ძალას მიაღწიეს, რომ ასე შემდგომ გაგრძელება

არ შეიძლება. ვერავითარი ერთგულება, ვერავითარი თავგანწირულება ვერ გვიშველის, თუ ჩვენ მუშათა ფიზიკური არსებობა არ გადავარჩინეთ, თუ ჩვენ მათ პური არ მივეცით, თუ ვერ შევძელით დიდი რაოდენობით მარილის დამზადება, რათა გლეხებს სამაგიერო გადავუხადოთ არა ფერად-ფერადი ქაღალდებით, რომელთა მეოხებითაც დიდხანს თავს ვერ გავიტანთ, არამედ საქონლის გაცვლის წესიერად მოწყობით. აქ თვით მუშათა და გლეხთა მთელი ხელისუფლების არსებობის, თვით საბჭოთა რუსეთის არსებობის საკითხია საფრთხეში ჩავარდნილი. როდესაც მართვა-გამგეობის სათავეში არაკომპეტენტური ადამიანები დგანან, როდესაც სათბობი დროზე არაა მოზიდული, როდესაც შეკეთებული არაა ორთქლმავლები, გემები და კარჭაპები, მაშინ საბჭოთა რუსეთის თვით არსებობაც საფრთხეშია ჩავარდნილი.

ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტი გაცილებით უფრო მოშლილია, ვიდრე წყლის ტრანსპორტი. იგი ააოხრა სამოქალაქო ომმა, რომელიც უფრო მეტად სახმელეთო გზებზე წარმოებდა; უფრო მეტად ორივე მხრიდან ხიდებს ანადგურებდნენ, ამან კი გავლენა მოახდინა მთელი რკინიგზის ტრანსპორტის საშინელი ზომით მოშლაზე. ჩვენ მას აღვადგენთ. თითქმის ყოველდღე ვხედავთ, თუ როგორ აღვადგენთ მას წვრილწვრილად. მაგრამ ჩვენ მას მალე ვერ აღვადგენთ. თუ მოწინავე და კულტურული ქვეყნები ტრანსპორტის მოშლილობას განიცდიან, მაშინ როგორ უნდა აღვადგინოთ ის რუსეთში? მისი გამოსწორება კი მალეა საჭირო, იმიტომ რომ ისეთ ზამთარს, როგორიც ეს ზამთარი იყო, მოსახლეობა ვეღარ გადაიტანს. მიუხედავად მუშების მთელი გმირობისა, მიუხედავად მთელი თავგანწირულებისა, მუშები ვეღარ აიტანენ მთელ იმ ტანჯვას, რასაც მათ აყენებს შიმშილი, სიცივე, პარტახტიანი ტიფი და ა. შ.. ამიტომ მართვა-გამგეობის საკითხი დააყენეთ, როგორც საქმიანმა ადამიანებმა. ეცადეთ მიაღწიოთ იმას, რომ მართვა-გამგეობა ძალთა უმცირესი დახარჯვით ხდებოდეს, რომ ადმინისტრატორებს, იქნებიან ისინი სპეციალისტები თუ მუშები, უნარი ჰქონდეთ ჩაებან მუშაობასა და მართვა-გამგეობაში, რომ

დანაშაულად ითვლებოდეს, თუ ისინი მართვა-გამგეობაში არ მონაწილეობენ. ისწავლეთ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებით. ისწავლეთ აგრეთვე ბურჟუაზიისგანაც. მან იცოდა თავისი კლასობრივი ბატონობის შენარჩუნება, მას ჰქონდა გამოცდილება, ურომლისოდაც ჩვენ იოლად ვერ წავალთ; ამ გამოცდილებაზე ხელის ჩაქნევა იქნებოდა თავის თავზე უდიდესი წარმოდგენა და უდიდესი საფრთხე რევოლუციისათვის.

უწინდელი რევოლუციები სწორედ იმიტომ იღუპებოდა, რომ მუშები ვერ ინარჩუნებდნენ ძალაუფლებას მტკიცე დიქტატურით და არ ესმოდათ, რომ მარტო დიქტატურით, მარტო ძალმომრეობით, იძულებით შეუძლებელია გაძლება; გაძლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავეუფლებით კულტურული, ტექნიკური, პროგრესული კაპიტალიზმის მთელ გამოცდილებას, თუ ყველა ამ ადამიანს სამსახურში ავიყვანთ. როდესაც მუშები პირველად კიდებენ ხელს მართვა-გამგეობის საქმეს და მტრულად ეპყრობიან სპეციალისტს, ბურჟუას, კაპიტალისტს, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ დირექტორი იყო, მილიონებს ხვეჭდა, მუშებს ჩაგრავდა, — ჩვენ ვამბობთ, — და, ალბათ, უმრავლესობაც თქვენ შორის იმასვე ლაპარაკობს, — რომ ამ მუშებმა მხოლოდ იწყეს კომუნიზმთან მიახლოება. კომუნიზმის შენება რომ იმ სპეციალისტთაგან შეიძლებოდეს, რომლებიც ბურჟუაზიული შეხედულებებით არ არიან გამსჭვალული, ეს ძალიან ადვილი იქნებოდა, მაგრამ ეს კომუნიზმი ფანტასტიკური იქნებოდა. ჩვენ ვიცით, რომ ციდან არაფერი არ ვარდება, ვიცით, რომ კომუნიზმი კაპიტალიზმიდან აღმოცენდება, რომ მხოლოდ მისი ნაშთების საფუძველზე შეიძლება კომუნიზმის აგება, მართალია, ცუდი ნაშთების საფუძველზე, მაგრამ სხვა არ არსებობს. და ის, ვინც ოცნებობს ასეთ ფანტასტიკურ კომუნიზმზე, უნდა განიდევნოს ყოველი საქმიანი კრებიდან და ამ კრებაზე უნდა დავტოვოთ ისეთი ადამიანები, ვისაც უნარი შესწევს საქმე აკეთოს კაპიტალიზმის ნაშთების საფუძველზე. ამ საქმის სიძნელეები ვეებერთელაა, მაგრამ იგი ნაყოფიერი

სამუშაოა, და ყოველი სპეციალისტი უნდა დაფასდეს როგორც ტექნიკისა და კულტურის ერთადერთი ავლადიდება, ურომლისოდაც არაფერი, არავითარი კომუნიზმი არ შეიძლება.

თუ ჩვენმა წითელმა არმიამ სხვა დარგში გამარჯვება მოიპოვა, ეს იმიტომ, რომ ჩვენ შევძელით ეს ამოცანა გადაგვეწყვიტა წითელი არმიის მიმართ. მეფის არმიის ათასობით ყოფილი ოფიცრები, გენერლები, პოლკოვნიკები ჩვენ გვღალატობდნენ, გვმუხთლობდნენ, და ამის გამო ათასობით საუკეთესო წითელარმიელები იღუპებოდნენ, — თქვენ იცით ეს, მაგრამ ისინი ათიათასობით გვემსახურებიან, თუმცა ბურჟუაზიის მომხრეებად რჩებიან, და უიმათოდ არც იქნებოდა წითელი არმია. თქვენც იცით, როდესაც ჩვენ უიმათოდ ვცადეთ შეგვექმნა ორი წლის წინ წითელი არმია, გამოგვივიდა პარტიზანშჩინა, უთავბოლობა, გამოგვივიდა ის, რომ ჩვენ გვყავდა 10 — 12 მილიონი ჯარისკაცი, მაგრამ არ გვყავდა არც ერთი დივიზია; არ იყო ომისათვის გამოსადეგი არც ერთი დივიზია, და ჩვენ არ შეგვეძლო მილიონობით ჯარისკაცით გვებრძოლა თეთრების უმნიშვნელო რეგულარული არმიის წინააღმდეგ. ეს გამოცდილება ჩვენ სისხლიანი გზით მივიღეთ, და ეს გამოცდილება მრეწველობაში უნდა გადავიტანოთ.

აქ გამოცდილება გვეუბნება, რომ ბურჟუაზიული კულტურის, ბურჟუაზიული ცოდნის, ბურჟუაზიული ტექნიკის ყოველი წარმომადგენელი უნდა დავაფასოთ. უიმათოდ ჩვენ ვერ შევძლებთ კომუნიზმის აშენებას. მუშათა კლასი, როგორც კლასი, მართავს. და როდესაც მან შექმნა საბჭოთა ხელისუფლება, ეს ხელისუფლება არის მის, როგორც კლასის, ხელში, და მას შეუძლია ბურჟუაზიული ინტერესების ყოველ წარმომადგენელს ქეჩოში ხელი ჩაავლოს და კინწისკვრით გააგდოს იგი. ამაში მდგომარეობს პროლეტარიატის ძალაუფლება. მაგრამ იმისათვის, რომ კომუნისტური საზოგადოება ავაშენოთ, მოდით გულახდილად ვაღიაროთ, ჩვენ არ ვიცით საქმის გაძღოლა, არა ვართ ორგანიზატორები და ადმინისტრატორები, ჩვენ საქმეს უდიდესი სიფრთხილით უნდა

მოვეკიდოთ და გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ის პროლეტარია შეგნებული, რომელსაც შეუძლია მომავალი კამპანიის საქმისათვის მოამზადოს ბურჟუაზიული სპეციალისტი და არც ერთ ზედმეტ წუთს არ კარგავს ადამიანის ძალის გაფლანგვაზე, რაც ყოველთვის ზედმეტად იფლანგება ხოლმე კოლეგიალობაზე.

ვიმეორებ, შეიძლება ჩვენი ბედი წყლის ტრანსპორტის მომავალ კამპანიაზე უფრო მეტად იყოს დამოკიდებული, ვიდრე მომავალ ომზე პოლონეთთან, თუ კი ამ ომს ჩვენ თავს მოგვახვევენ. ომიც ხომ ამ დანგრეულ ტრანსპორტზეა დამოკიდებული. ჩვენ ჯარი ბევრი გვყავს, მაგრამ არ შეგვიძლია მისი გადაყვანა, არ შეგვიძლია მისი მომარაგება სურსათით, არ შეგვიძლია მოვზიდოთ მარილი, რომელიც ბლომად გვაქვს, ხოლო ამ საქონელგაცვლის გარეშე არავითარი წესიერი ურთიერთობა გლეხებთან წარმოსადგენი არ არის. აი რატომ აკისრებს მთელი რესპუბლიკა, მთელი საბჭოთა ხელისუფლება, მუშურ-გლეხური ხელისუფლების მთელი არსებობა წყლის ახლანდელ კამპანიას განსაკუთრებული, უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებს. არ შეიძლება დავკარგოთ არც ერთი კვირა, არც ერთი დღე, არც ერთი წუთი, უნდა შევაჩეროთ ეს ნგრევა და გავასამკეცოთ, გავაოთხკეცოთ შესაძლებლობანი.

ყველაფერი, შესაძლებელია, დამოკიდებულია სათბობზე, მაგრამ სათბობის მდგომარეობა ახლა უკეთესია, ვიდრე გასულ წელს. ჩვენ შეგვიძლია მეტი შეშა დავაცუროთ, თუ კი უწესრიგობას არ დავუშვებთ. ჩვენ ბევრად უკეთესად გვაქვს ნავთის საქმე, ალარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ გროზნი, უთუოდ, ახლო მომავალში ჩვენს ხელში იქნება, და თუ ეს ჯერ კიდევ მაინც საკითხია, ემბის მრეწველობა ჩვენ ხელთაა, იქ კი 10-დან 14 მილიონამდე ფუთი ნავთი ახლა უკვე გვაქვს. და თუ წყლის ტრანსპორტი დროზე და სწრაფად დაგვეხმარება, რათა უდიდესი რაოდენობით დავაცუროთ საშენი მასალა სარატოვამდე, მაშინ ჩვენც მოვაგვარებთ რკინიგზის საკითხს ემბამდე. თქვენ კი იცით, თუ რას ნიშნავს, როცა წყლის ტრანსპორტისათვის გაქვს ნავთი. მოკლე ხანში

რკინიგზების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას ჩვენ ვერ შევძლებთ. ღმერთმა ქნას, — ე. ი., რა თქმა უნდა, ღმერთმა კი არა, არამედ მუშათა ძველი ცრურწმენების გადალახვის უნარმა, — რომ ცოტა მაინც გავაუმჯობესოთ რკინიგზები 4 — 5 თვეში. და აი წყლის ტრანსპორტმა წყლის კამპანიის დროს საგმირო საქმე უნდა შეასრულოს.

ერთი შეტევით, აღმაფრენით, ენთუზიაზმით არაფრის გაკეთება არ შეიძლება; მხოლოდ ორგანიზაცია, გამძლეობა, მხოლოდ შეგნებულობა გვიშველის, როდესაც უფრო ძლიერად ილაპარაკებს არა ის, ვისაც ბურჟუაზიული სპეციალისტისა ეშინია, ვინც ზოგადი ფრაზებით გვიმასპინძლდება, არამედ ის, ვისაც უნარი შესწევს განამტკიცოს, განახორციელოს მტკიცე ხელისუფლება, თუნდაც ერთპიროვნული, მაგრამ განახორციელოს იგი პროლეტარიატის ინტერესების სახელით, და ესმის, რომ ყველაფერი დამოკიდებულია წყლის ტრანსპორტზე.

წინ რომ წავიდეთ, კიბე უნდა დავდგათ; ურწმუნო რომ კიბეზე ავიყვანოთ, საქმე უნდა მოვაგვაროთ, უნდა ამოვარჩიოთ და დავაწინაუროთ ისეთი ადამიანები, რომლებმაც იციან წყლის ტრანსპორტის მოწესრიგება. ჩვენში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სამხედრო დისციპლინის გამო ამბობენ: «აი კიდევ! ეს რაღა საჭიროა?». ასეთ ადამიანებს არ ესმით რუსეთის მდგომარეობა და არ გაეგებათ, რომ სისხლიან ფრონტზე ბრძოლას ჩვენ ვამთავრებთ, ხოლო უსისხლო ფრონტზე კი ბრძოლა იწყება, და რომ აქ არა ნაკლები დაძაბულობა, ძალები და მსხვერპლია საჭირო, და თავგანწირვა აქ ნაკლები კი არაა, არც წინააღმდეგობაა ნაკლები, არამედ გაცილებით მეტიცაა. ყოველი შეძლებული გლეხი, ყოველი კულაკი, ძველი ადმინისტრაციის ყოველი წარმომადგენელი, რომელსაც არ სურს იმოქმედოს მუშის სასარგებლოდ, — ყველა ესენი მტრები არიან. ნუ შეიქმნით ნურავითარ ილუზიებს. იმისათვის, რომ გავიმარჯვოთ, საჭიროა უდიდესი ბრძოლა, საჭიროა რკინისებური, სამხედრო დისციპლინა. ვინც ეს ვერ გაიგო, მან ვერაფერი ვერ გაიგო მუშური

ხელისუფლების დაცვა-შენარჩუნების პირობებში და თავისი მოსაზრებებით დიდ ზიანს აყენებს თვით ამ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

აი რატომ ვამთავრებ, ამხანაგებო, ჩემ სიტყვას იმ იმედითა და რწმენით, რომ იმ მომავალ ამოცანებს, რომლებიც ჩვენ წინაშე დგას წყლის ტრანსპორტის მომავალ კამპანიაში, თქვენ უდიდესი ყურადღებით მოეპყრობით და ამოცანად დაისახავთ, რომ არ დაიხევთ უკანარავითარი მსხვერპლის წინაშე, შექმნით ნამდვილ, რკინისებურ, სამხედრო დისციპლინას და ისეთივე სასწაულებს მოახდენთ წყლის ტრანსპორტზე, როგორიც მოახდინა ორი წლის განმავლობაში ჩვენმა წითელმა არმიამ. (ტ ა შ ი.)

«პრავდა» № № 59 და 60;
1920 წ. 17 და 18 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

# სიტყვა ი. მ. სვერდლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ სხდომაზე[92] 1920 წლის 16 მარტს

## მოკლე საგაზეთო ანგარიში

ამხანაგმა ლენინმა, მიუთითა რა იმაზე, რომ განსვენებულ ამხანაგ სვერდლოვს უდიდესი ორგანიზატორული ნიჭი ჰქონდა, აღნიშნა, რომ ეს გარემოება ჩვენს აზრს უნებურად მიაპყრობს საბჭოთა მშენებლობის საქმეში ორგანიზაციის მნიშვნელობისა და ორგანიზატორების როლის საკითხს. ლენინი ახასიათებს ორგანიზაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ სწორედ ორგანიზაცია წარმოადგენს მუშათა კლასის მთავარ იარაღს რევოლუციურ ბრძოლაში. მიუთითებს რა საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობაზე სხვადასხვა მომენტში ოქტომბრის რევოლუციის დროიდან, ლენინი ამბობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო მშრომელთა დარაზმულობა. ის იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყველა სამხედრო წარმატების მთავარი ძალა ჩვენ ფრონტებზე, აგრეთვე იმ წარმატებათა მთავარი ძალა, რომლებსაც ჩვენ თანდათანობით ვაღწევთ ეკონომიური ნგრევის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, სწორედ ორგანიზაციაში მდგომარეობს. ლენინი ამ თვალსაზრისით აფასებს განსვენებულ ამხ. სვერდლოვის, როგორც ორგანიზატორის, მუშაობას და აღნიშნავს, რომ ორგანიზატორთა ამგვარი ავანგარდი ჩვენ იმის წყალობით მოგვეპოვებოდა, რომ მათ ცხოვრების მძიმე სკოლა გაიარეს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იატაკქვეშ გვიხდებოდა მუშაობა. ორგანიზატორთა ასეთივე ავანგარდი განსაკუთრებით საჭიროა ახლა გერმანიაში,

რომელიც კორნილოვშჩინას განიცდის. ლენინი აღნიშნავს, რომ მშრომელთა წრეში, თვით უპარტიო მუშებისა და გლეხების წრეშიაც კი, ბლომად მოიპოვებიან ორგანიზატორული ნიჭის მქონენი, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ მათი მონახვა და შესაფერ ადგილზე დაყენება. ლენინი რწმენას გამოთქვამს, რომ მომავალში ამ წრიდან გამოვლენ უფრო და უფრო მეტი ორგანიზატორები, რომლებიც არ დაივიწყებენ ამხ. სვერდლოვის მუშაობას და მტკიცედ გაჰყვებიან მის კვალს.

«პრავდა» № 59, 1920 წ.
17 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

# ორი სიტყვა, ჩაწერილი გრამოფონის ფირფიტებზე [93]

## 1

## ტრანსპორტისათვის მუშაობის შესახებ

ამხანაგებო! წითელი არმიის დიადმა გამარჯვებებმა გვიხსნა კოლჩაკის, იუდენიჩის შემოსევისაგან და თითქმის ბოლო მოუღო დენიკინს.

შემუსრულია ჯარები მემამულეთა და კაპიტალისტთა, რომლებსაც სურდათ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტთა დახმარებით აღედგინათ თავიანთი ყოვლისშემძლეობა რუსეთში.

მაგრამ იმპერიალისტურმა ომმა, შემდეგ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ომმა საშინლად ააოხრა და დააუძლურა მთელი ჩვენი ქვეყანა.

უნდა დავძაბოთ მთელი ძალ-ღონე, რომ დავძლიოთ ნგრევა, რომ აღვადგინოთ მრეწველობა და მიწათმოქმედება, რომ მივცეთ გლეხებს პურის სამაგიეროდ მათთვის აუცილებელი პროდუქტები.

ახლა ჩვენ, როდესაც მემამულეები დავამარცხეთ, ციმბირი, უკრაინა, ჩრდილოეთ კავკასია გავათავისუფლეთ, სავსებით შეგვიძლია აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა.

ჩვენ ბევრი გვაქვს პური, ახლა გვაქვს ნახშირი, ნავთი. ახლა მთელი საქმე ტრანსპორტზეა. რკინიგზები მოშლილია. უნდა აღვადგინოთ ტრანსპორტი. მაშინ ფაბრიკებში მოვზიდავთ პურს, ნახშირსა და ნავთს, მაშინ ჩვენ მოვზიდავთ მარილს, მაშინ დაიწყება მრეწველობის აღდგენა, გათავდება ფაბრიკა-ქარხნებისა და რკინიგზის მუშების შიმშილი.

დაე ყველა მუშამ და გლეხმა ხელი მოჰკიდოს ტრანსპორტის აღდგენის საქმეს, ყველაზე შეუპოვარ და თავგანწირულ მუშაობას.

ტრანსპორტის აღსადგენად საჭირო ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს სრული მონდომებით, რევოლუციური ენერგიით, თავდადებული ერთგულებით.

ჩვენ გავიმარჯვეთ სისხლიანი ომის ფრონტზე.

ჩვენ გავიმარჯვებთ უსისხლო ფრონტზე, შრომის ფრონტზე.

ყველანი სამუშაოზე ტრანსპორტის აღსადგენად!

წარმოთქმულია 1920 წ.
მარტის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1928 წ.
21 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 18

იბეჭდება გრამოფონის
ფირფიტაზე ჩანაწერის
მიხედვით

## 2

## შრომის დისციპლინის შესახებ

რატომ დავამარცხეთ იუდენიჩი, კოლჩაკი და დენიკინი, თუმცა მათ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტები ეხმარებოდნენ?

რატომ ვართ დარწმუნებული, რომ ახლა დავძლევთ ნგრევას, აღვადგენთ მრეწველობას და მიწათმოქმედებას?

ჩვენ იმიტომ დავამარცხეთ მემამულეები და კაპიტალისტები, რომ წითელარმიელებმა, მუშებმა და გლეხებმა იცოდნენ, რომ თავიანთი საარსებო საქმისათვის იბრძვიან.

ჩვენ იმიტომ გავიმარჯვეთ, რომ მთელი მუშათა კლასისა და მთელი გლეხობის საუკეთესო ადამიანებმა ამ ომში ექსპლოატატორების წინააღმდეგ გამოიჩინეს არნახული გმირობა, მოახდინეს სიმამაცის სასწაულები, გადაიტანეს გაუგონარი გაჭირვება, თავს წირავდნენ, ულმობლად დევნიდნენ მხდალებსა და მათ, ვინც საკუთარ ტყავზე ზრუნავდა.

და ახლა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ნგრევას დავძლევთ იმიტომ, რომ მთელი მუშათა კლასის და მთელი გლეხობის საუკეთესო ადამიანები ასევე შეგნებულად, ასეთივე სიმტკიცით, ასეთივე გმირობით აღსდგნენ საბრძოლველად.

ხოლო როდესაც მშრომელთა მილიონები ერთიანდებიან, როგორც ერთი კაცი, და მიჰყვებიან თავიანთი კლასის საუკეთესო ადამიანებს, — მაშინ გამარჯვება უზრუნველყოფილია.

არმიიდან განდევნეს ისინი, ვინც საკუთარ ტყავზე ზრუნავდა. ახლა ჩვენ ყველანი ვიტყვით:

«ძირს ისინი, ვინც საკუთარ ტყავზე ზრუნავს, ძირს ისინი, ვინც თავის გამორჩენასა და სპეკულაციაზე, სამუშაოდან თავის დაძვრენაზე ფიქრობს, ვისაც ეშინია გამარჯვებისათვის აუცილებელი მსხვერპლის გაღებისა!».

გაუმარჯოს შრომის დისციპლინას, გულმოდგინებას შრომაში, მუშისა და გლეხის საქმისადმი ერთგულებას!

სამარადისო დიდება მათ, ვინც დაიღუპა წითელი არმიის პირველ რიგებში!

სამარადისო დიდება მათ, ვინც მიუძღვის ახლა მილიონობით მშრომელებს და უდიდესი თავდადებით მიისწრაფვის წინ შრომის არმიის პირველ რიგებში!

წარმოთქმულია 1920 წ.
მარტის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1928 წ.
21 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 18

იბეჭდება გრამოფონის
ფირფიტაზე ჩანაწერის
მიხედვით

# რკპ(ბ) IX ყრილობა[94]

## 1920 წ. 29 მარტი — 5 აპრილი

დაიბეჭდა წიგნში:
«რუსეთის კომუნისტური პარტიის
მეცხრე ყრილობა. სტენოგრაფიული
ანგარიში». მოსკოვი, 1920

იბეჭდება წიგნის ტექსტის
მიხედვით, რომელიც შედა-
რებულია სტენოგრამასთან

პირველი გვერდი
ვ. ი. ლენინის,
რკპ (ბ) IX ყრილობის
დელეგატის ანკეტისა. —
1920 წ. 29 მარტი
**დაპატარავებულია**

Российская Коммунистическая Партия (большевиков).

*Пролетарии всех стран, соединяйтесь!*

# Личная анкета

## для делегатов 9-го С'езда Р. К. П. (большевиков).

1. Имя, отчество и фамилия. Владимир Ивановичъ Ленинъ

2. № делегатского билета решающий совещ. 381

3. В какой организации числитесь (уезд, губерния). Минск

4. Число членов вашей организации 35 000

5. Как избраны (на губконференции, уездконференции, общем собрании и т. д.) и когда. Моск горкомпартии

6. Число представленных членов партии на губконференции, уездконференции, общем собрании, на которой вы были избраны на С'езд. 35.000

7. Возраст. 50

8. Образование. высшее

9. Бывшая профессия (указать вполне определенно), или какие специальности знаете. Адвок.; журн. изуч. новер. журналист

10. Национальность. великорусс

11. Семейное положение. женат

### Партийная работа.

12. С какого времени состоите членом Р. К. П. (год, месяц). с 1899 года

13. На каких Всероссийских партийных С'ездах вы участвовали. Второй, второй на Втор

14. Какую партийную работу исполняли, когда и где. Член ц. К. и пред. ц. к.

1

## სიტყვა ყრილობის გახსნისას 29 მარტს

უწინარეს ყოვლისა, ნება მომეცით რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მოგესალმოთ პარტიულ ყრილობაზე შეკრებილ დელეგატებს.

ამხანაგებო, მორიგ პარტიულ ყრილობას ჩვენ ვხსნით უაღრესად მნიშვნელოვან მომენტში. ჩვენი რევოლუციის შინაგანმა განვითარებამ მიგვიყვანა ყველაზე დიდ, სწრაფ გამარჯვებებამდე მოწინააღმდეგეზე სამოქალაქო ომში, ხოლო საერთაშორისო მდგომარეობის გამო ეს გამარჯვებები სხვა არა აღმოჩნდა რა, თუ არა საბჭოთა რევოლუციის გამარჯვება პირველ ქვეყანაში, რომელმაც მოახდინა ეს რევოლუცია, ყველაზე სუსტ და ჩამორჩენილ ქვეყანაში, იგი აღმოჩნდა გამარჯვება გაერთიანებულ მსოფლიო კაპიტალიზმსა და იმპერიალიზმზე. და ამ გამარჯვებათა შემდეგ ჩვენ ახლა შეგვიძლია დამშვიდებული და მტკიცე რწმენით შევუდგეთ მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის მორიგ ამოცანებს, იმ რწმენით, რომ ეს ყრილობა შეაჯამებს საბჭოთა მუშაობის ორ წელზე მეტი ხნის გამოცდილებას და შეძლებს გამოიყენოს შეძენილი გაკვეთილი სამეურნეო მშენებლობის მომავალი, მეტად მძიმე და რთული ამოცანის გადასაწყვეტად. ხოლო საერთაშორისო ურთიერთობაში ჩვენი მდგომარეობა არასოდეს ჯერ კიდევ არ ყოფილა ასე ხელსაყრელი, როგორც ახლა, და, რაც განსაკუთრებით სიხარულსა და მხნეობას გვმატებს, ეს ის ამბებია, რომელთაც ყოველდღე ჩვენ გერმანიიდან ვიღებთ და რომლებიც გვიჩვენებენ, რომ, როგორც უნდა

1

## სიტყვა ყრილობის გახსნისას
## 29 მარტს

უწინარეს ყოვლისა, ნება მომეცით რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მოგესალმოთ პარტიულ ყრილობაზე შეკრებილ დელეგატებს.

ამხანაგებო, მორიგ პარტიულ ყრილობას ჩვენ ვხსნით უაღრესად მნიშვნელოვან მომენტში. ჩვენი რევოლუციის შინაგანმა განვითარებამ მიგვიყვანა ყველაზე დიდ, სწრაფ გამარჯვებებამდე მოწინააღმდეგეზე სამოქალაქო ომში, ხოლო საერთაშორისო მდგომარეობის გამო ეს გამარჯვებები სხვა არა აღმოჩნდა რა, თუ არა საბჭოთა რევოლუციის გამარჯვება პირველ ქვეყანაში, რომელმაც მოახდინა ეს რევოლუცია, ყველაზე სუსტ და ჩამორჩენილ ქვეყანაში, იგი აღმოჩნდა გამარჯვება გაერთიანებულ მსოფლიო კაპიტალიზმსა და იმპერიალიზმზე. და ამ გამარჯვებათა შემდეგ ჩვენ ახლა შეგვიძლია დამშვიდებული და მტკიცე რწმენით შევუდგეთ მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის მორიგ ამოცანებს, იმ რწმენით, რომ ეს ყრილობა შეაჯამებს საბჭოთა მუშაობის ორ წელზე მეტი ხნის გამოცდილებას და შეძლებს გამოიყენოს შეძენილი გაკვეთილი სამეურნეო მშენებლობის მომავალი, მეტად მძიმე და რთული ამოცანის გადასაწყვეტად. ხოლო საერთაშორისო ურთიერთობაში ჩვენი მდგომარეობა არასოდეს ჯერ კიდევ არ ყოფილა ასე ხელსაყრელი, როგორც ახლა, და, რაც განსაკუთრებით სიხარულსა და მხნეობას გვმატებს, ეს ის ამბებია, რომელთაც ყოველდღე ჩვენ გერმანიიდან ვიღებთ და რომლებიც გვიჩვენებენ, რომ, როგორც უნდა

ძნელად, როგორც უნდა მძიმედ იბადებოდეს სოციალისტური რევოლუცია, პროლეტარული საბჭოთა ხელისუფლება მაინც შეუკავებლად იზრდება გერმანიაში. გერმანულმა კორნილოვ-შჩინამ გერმანიაშიც ისეთივე როლი ითამაშა, როგორც რუსეთში. კორნილოვშჩინის შემდეგ დაიწყო შემობრუნება მუშათა ხელისუფლებისაკენ არა მარტო ქალაქის მუშების მასაში, არამედ გერმანიის სოფლის პროლეტარიატშიც, და ამ შემობრუნებას მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი გვაძლევს არა მარტო ჩვენი გზის სისწორის კიდევ და კიდევ აბსოლუტურ დადასტურებას, იგი გვაძლევს იმის რწმენასაც, რომ შორს არ არის დრო, როდესაც ჩვენ გერმანიის საბჭოთა მთავრობასთან ხელიხელჩაკიდებული ვივლით. (ტ ა შ ი.)

ყრილობას გახსნილად ვაცხადებ და გთხოვთ შევუდგეთ პრეზიდიუმის არჩევას.

---

## 2

## ცენტრალური კომიტეტის მოხსენება 29 მარტს

ამხანაგებო, ვიდრე მოხსენებას დავიწყებდე, უნდა გითხრათ, რომ მოხსენება გაყოფილია, როგორც ეს იყო წინა ყრილობაზეც, ორ ნაწილად: პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ნაწილად. ეს გაყოფა უწინარეს ყოვლისა გვაფიქრებინებს იმას, თუ როგორ წარიმართა ცენტრალური კომიტეტის მუშაობა გარეგნული, ორგანიზაციული მხრივ. ჩვენმა პარტიამ ახლა უკვე ერთი წელიწადი გაატარა ი. მ. სვერდლოვის გარეშე, და ამ დანაკლისს არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა ცენტრალური კომიტეტის მთელ ორგანიზაციაზე. არავინ იცოდა ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის თავის თავში ისე გაერთიანება, როგორც ეს ამხ. სვერდლოვმა იცოდა, და ჩვენ იძულებული გავხდით გვეცადა მისი მუშაობის შეცვლა კოლეგიის მუშაობით.

ცენტრალური კომიტეტის მუშაობას საანგარიშო წლის განმავლობაში ყოველდღიური მიმდინარე მუშაობის აზრით აწარმოებდა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე არჩეული ორი კოლეგია — ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ბიურო და ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ბიურო, ამასთან, როგორც ერთი, ისე მეორე დაწესებულების გადაწყვეტილებათა შესათანხმებლად და თანამიმდევრობისათვის, მდივანი ორივე ბიუროში შედიოდა. საქმე იმგვარად მოეწყო, რომ ორგანიზაციული ბიუროს ნამდვილ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა პარტიულ ძალთა განაწილება, ხოლო პოლიტიკური ბიუროს ამოცანას პოლიტიკური საკითხები შეადგენდა.

თავისთავად გასაგებია, რომ ეს გაყოფა რამდენადმე ხელოვნურია, გასაგებია, რომ არავითარი პოლიტიკის გატარება არ შეიძლება, თუ იგი არ გამოიხატა დანიშვნებითა და გადაყვან-გადმოყვანით. მაშასადამე, ყოველგვარი ორგანიზაციული საკითხი პოლიტიკურ მნიშვნელობას იღებს, და ჩვენში პრაქტიკაშიაც ისე დადგინდა, რომ საკმარისია ცენტრალური კომიტეტის ერთი წევრის განცხადება, რომ ყოველი საკითხი, ამა თუ იმ მოსაზრებით, განხილულ იქნეს როგორც პოლიტიკური საკითხი. ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობის სხვაგვარად განსაზღვრის ცდა არა გვგონია მიზანშეწონილი იყოს და პრაქტიკაშიც მიზანს ვერ მიაღწევდა.

საქმის გაძღოლის აღნიშნულმა წესმა მეტისმეტად ხელსაყრელი შედეგები მოგვცა: ჩვენ არ გვქონია შემთხვევა, რომ ამ ორ ბიუროს შორის სიძნელეები წარმოშობილიყო. ორივე ამ ორგანოს მუშაობა საერთოდ შეთანხმებულად მიმდინარეობდა, და პრაქტიკული გამოყენება ადვილდებოდა მდივნის დასწრებით, ამასთან პარტიის მდივანი მთლიანად და განსაკუთრებით ასრულებდა ცენტრალური კომიტეტის ნებას. რათა თავიდან ავიცილოთ ესა თუ ის გაუგებრობანი, თავიდანვე უნდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ცენტრალური კომიტეტის მხოლოდ კოლეგიალურ გადაწყვეტილებებს, მიღებულთ ორგბიუროში ან პოლიტბიუროში, ან ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, მხოლოდ და მხოლოდ ასეთ საკითხებს ატარებდა ცხოვრებაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. სხვაგვარად ცენტრალური კომიტეტის მუშაობა წესიერად ვერ იწარმოებს.

ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შინაგანაწესის შესახებ მცირე შენიშვნების შემდეგ გადავალ ჩემს ამოცანაზე, ცენტრალური კომიტეტის ანგარიშზე. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მუშაობის ანგარიშის ჩაბარება ძალიან ძნელი ამოცანაა, თუ კი მას გავიგებთ სიტყვასიტყვით. ამ წლის მანძილზე პოლიტბიუროს მუშაობის უდიდეს ნაწილს შეადგენდა მიმდინარე გადაჭრა ყოველგვარი წამოჭრილი საკითხისა, რომელსაც დამოკიდებულება ჰქონდა

პოლიტიკასთან და რომელიც აერთიანებდა ყველა საბჭოთა და პარტიული დაწესებულებების, მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციის მოქმედებას, აერთიანებდა და ცდილობდა წარემართა საბჭოთა რესპუბლიკის მთელი მუშაობა. პოლიტბიურო წყვეტდა საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის ყველა საკითხს. გასაგებია, რომ ამ საკითხების დაახლოებით ჩამოთვლის მიზნად დასახვა შეუძლებელია. იმაში, რაც ცენტრალური კომიტეტის მიერ დაბეჭდილია ამ ყრილობისათვის, თქვენ იპოვით აუცილებელ მასალას შესაჯამებლად. ამ შენაჯამის განმეორების ცდა მოხსენებაში ჩემთვის შეუძლებელი იქნებოდა და, მე მგონია, არც საინტერესო იქნებოდა დელეგატებისათვის. თვითეული ჩვენთაგანი, მუშაობს რა ამა თუ იმ პარტიულ-საბჭოთა ორგანიზაციაში, ყოველდღე თვალყურს ადევნებს საგარეო და საშინაო პოლიტიკური საკითხების არაჩვეულებრივ ცვლას. ამ საკითხების თვით გადაწყვეტა, როგორც იგი გამოიხატა საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებში, პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობაში, ყოველ შემობრუნებაში, — პარტიის ცენტრალური კომიტეტის შეფასებას წარმოადგენდა. უნდა ითქვას, რომ საკითხები იმდენად ბევრი იყო, რომ მათი გადაწყვეტა ძალიან ხშირად გვიხდებოდა არაჩვეულებრივი სიჩქარის პირობებში, და სამუშაოს შესრულება შეიძლებოდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ კოლეგიის წევრები სავსებით იცნობდნენ ერთმანეთს, იცოდნენ აზრთა სახესხვაობანი, ენდობოდნენ ერთმანეთს. თორემ სხვაგვარად ეს შეუძლებელი იქნებოდა სამჯერ მეტი კოლეგიისთვისაც კი. ხშირად გვიხდებოდა რთული საკითხების გადაწყვეტა ისე, რომ კრებებს ტელეფონით დალაპარაკება ცვლიდა. ეს ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დარწმუნებული ვიყავით, რომ ზოგიერთი უთუოდ რთული, სადავო საკითხი გვერდავლილი არ იქნებოდა. ახლა, როდესაც მე საერთო მოხსენების გაკეთება მიხდება, ჩემს თავს ნებას მივცემ, ქრონოლოგიური მიმოხილვისა და საგანთა დაჯგუფების ნაცვლად, შევჩერდე მთავარ, ყველაზე უფრო არსებით მომენტებზე, ამასთან იმ მომენტებზე, რომლებიც გუშინდელი

დღის გამოცდილებას, უფრო სწორად რომ ვთქვათ, განვლილი წლის გამოცდილებას აკავშირებენ ჩვენ წინაშე მდგომ ამოცანებთან.

საბჭოთა ხელისუფლების ისტორიისათვის ჯერ კიდევ დრო არ დამდგარა. დამდგარიც რომ იყოს ეს დრო, ჩვენ, ვიტყვი ჩემდა თავად, — და, ვფიქრობ, ცენტრალური კომიტეტის საწელითაც, — ისტორიკოსობას არ ვაპირებთ; ჩვენ გვაინტერესებს აწმყო და მომავალი. გასულ საანგარიშო წელიწადს ჩვენ ვიღებთ, როგორც მასალას, როგორც გაკვეთილს, როგორც საფეხურს, საიდანაც შემდგომი ნაბიჯები უნდა გადავდგათ. ამ თვალსაზრისით ცენტრალური კომიტეტის მუშაობა იყოფა ორ დიდ დარგად: სამუშაო, რომელიც დაკავშირებული იყო სამხედრო ამოცანებთან და რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის განმსაზღვრელ ამოცანებთან, და შინაგანი, მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის სამუშაო, რომელმაც წინა რიგში წამოწევა იწყო, შესაძლებელია, მხოლოდ გასული წლის დამლევიდან თუ მიმდინარე წლის დამდეგიდან, როდესაც საკვლევით გამოირკვა, რომ ჩვენ გადამწყვეტ გამარჯვებას მივაღწიეთ სამოქალაქო ომის გადამწყვეტ ფრონტებზე. გასული წლის გაზაფხულზე ჩვენი სამხედრო მდგომარეობა უაღრესად მძიმე იყო, როგორც გახსოვთ, ჩვენ მოგვეღოდა არა ერთი დამარცხების გადატანა, კონტრრევოლუციის წარმომადგენლებისა და ანტანტის წარმომადგენლების ახალ, უდიდეს შემოტევათა გადატანა, რომლებიც წინათ არ გვქონია გათვალისწინებული და ნავარაუდევი. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ამ პერიოდის უფრო მეტი ნაწილი მიმდინარეობდა მუშაობაში სამხედრო ამოცანის, სამოქალაქო ომის ამოცანის შესასრულებლად, ამოცანისა, რომელიც გადაუწყვეტელი ეგონა ყველა სულმოკლეს, რომ აღარაფერი ვთქვათ მენშევიკების, ესერებისა და წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის სხვა წარმომადგენლების პარტიაზე, შუალედური ელემენტების მასაზე, და რომელმაც ისინი აიძულა სრულიად გულახდილად ელაპარაკათ, რომ ეს ამოცანა გადაუწყვეტელია, რომ რუსეთი ჩამორჩა და დასუსტებულია და, რაკი რევოლუ-

ცია დასავლეთში გაჭიანურდა, რუსეთს არ შეუძლია დაამარცხოს მთელი მსოფლიოს კაპიტალისტური წყობილებაო. და ამიტომ ჩვენ, ვრჩებოდით რა ჩვენს პოზიციაზე, სრული სიმტკიცითა და აბსოლუტური დარწმუნებულობის შენარჩუნებით გვიხდებოდა ლაპარაკი, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ, გვიხდებოდა გატარება ლოზუნგისა — «ყველაფერი გამარჯვებისათვის» და «ყველაფერი ომისათვის».

ამ ლოზუნგის გულისათვის ჩვენ იძულებული ვხდებოდით სრულიად შეგნებულად და აშკარად არ დაგვეკმაყოფილებინა მთელი რიგი უაღრესად არსებითი მოთხოვნილებანი, ხშირად დახმარების გარეშე დაგვეტოვებინა ძალიან ბევრნი იმის რწმენით, რომ ჩვენ მთელი ჩვენი ძალები უნდა მოგვენდომებინა ომისათვის და გაგვემარჯვა იმ ომში, რომელიც ანტანტამ თავს მოგვახვია. და მხოლოდ იმის წყალობით, რომ პარტია ფხიზლად იდგა სადარაჯოზე, რომ პარტია უაღრესად მკაცრად იყო დისციპლინირებული, და იმიტომ, რომ პარტიის ავტორიტეტი აერთიანებდა ყველა უწყებასა და დაწესებულებას, დ ა იმ ლოზუნგს, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა გადმოისროლა, როგორც ერთი კაცი მიჰყვებოდნენ ათეულნი, ასეულნი, ათასეულნი, და საბოლოო ანგარიშით მილიონები, და მხოლოდ იმიტომ, რომ გაუგონარი მსხვერპლი იქნა გაღებული, — მხოლოდ ამიტომ შეიძლებოდა მომხდარიყო ის სასწაული, რომელიც მოხდა. მხოლოდ ამიტომაა, რომ მიუხედავად ანტანტის იმპერიალისტებისა და მთელი მსოფლიოს იმპერიალისტების ორგზის, სამგზის და ოთხგზის გამოლაშქრებისა, შევძელით გაგვემარჯვა. და, რა თქმა უნდა, ჩვენ არათუ ხაზს ვუსვამთ საქმის ამ მხარეს, არამედ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ საქმის ეს მხარე წარმოადგენს იმის გაკვეთილს, რომ უდისციპლინოდ და უცენტრალიზაციოდ ჩვენ ამ ამოცანას ვერასოდეს ვერ განვახორციელებდით. კონტრრევოლუციისაგან ჩვენი ქვეყნის დასახსნელად, დენიკინზე, იუდენიჩსა და კოლჩაკზე რუსეთის რევოლუციის გასამარჯვებლად ჩვენ მიერ გაღებული გაუგონარი მსხვერპლი მსოფლიო სოციალური რევოლუციის საწინდარია. იმისათვის, რომ ეს

გაგვეხორციელებინა, საჭირო იყო პარტიის დისციპლინა, უმკაცრესი ცენტრალიზაცია, აბსოლუტური რწმენა იმისა, რომ ათეულ და ასეულ ათასობით ადამიანთა გაუგონრად მძიმე მსხვერპლი დაეხმარება ყველა ამ ამოცანის ცხოვრებაში გატარებას, რომ ეს ნამდვილად შეიძლება გაკეთდეს და უზრუნველყოფილ იქნეს. ამისათვის კი საჭირო იყო, რომ ჩვენი პარტია და ის კლასი, რომელიც დიქტატურას ახორციელებს, მუშათა კლასი, ყოფილიყვნენ ის ელემენტები, რომლებიც აერთიანებენ მშრომელთა მრავალ მილიონებს რუსეთშიც და მთელ მსოფლიოშიც.

თუ დავუფიქრდებით, რა წარმოადგენდა, ბოლოს და ბოლოს, იმის უაღრესად ღრმა საფუძველს, რომ ასეთი ისტორიული სასწაული მოხდა, რომ სუსტმა, დაუძლურებულმა, ჩამორჩენილმა ქვეყანამ დაამარცხა მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები, მაშინ დავინახავთ, რომ ეს იყო ცენტრალიზაცია, დისციპლინა და გაუგონარი თავგანწირულება. რა ნიადაგზე? ისეთ ქვეყანაში, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის აღზრდილი, მშრომელთა მილიონებმა შეძლეს მისულიყვნენ ორგანიზაციამდე, იქამდე, რომ ეს დისციპლინა და ეს ცენტრალიზაცია განხორციელებულიყო მხოლოდ იმ ნიადაგზე, რომ მუშები, რომლებმაც კაპიტალიზმის სკოლა გაიარეს, კაპიტალიზმის მიერ გაერთიანებული არიან; რომ პროლეტარიატი ყველა მოწინავე ქვეყანაში, და რაც უფრო მოწინავეა ქვეყანა, მით უფრო მეტად, ერთიანდებოდა; მეორე მხრივ, იმის წყალობით, რომ საკუთრება, კაპიტალისტური საკუთრება, წვრილი საკუთრება სასაქონლო წარმოებაში გათიშვას იწვევს. საკუთრება თიშავს, ჩვენ კი ვაერთიანებთ და ვაერთიანებთ მშრომელთა მილიონების სულ უფრო და უფრო დიდ რაოდენობას მთელ მსოფლიოში. ახლა ამას, შეიძლება ითქვას, ბრმებიც კი ხედავენ, უკიდურეს შემთხვევაში, მათ შორის ისინი, ვისაც არ სურდა ამის დანახვა. რაც უფრო წინ მივდიოდით, მით უფრო მეტად ითიშებოდნენ ჩვენი მტრები. მათ თიშავდა კაპიტალისტური საკუთრება, კერძო საკუთრება სასაქონლო წარმოების დროს, იქნებიან ესენი წვრილი მეპატრონენი,

რომლებიც სპეკულაციას ეწევიან ზედმეტი პურის გაყიდვით და მშიერი მუშების ხარჯზე მდიდრდებიან, თუ სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალისტები, თუნდაც მათ დიდი სამხედრო ძლიერება ჰქონდეთ, ქმნიდნენ «ერთა ლიგას», მსოფლიოს ყველა მოწინავე ერების «დიად ერთიან ლიგას». ასეთი ერთიანობა — თავიდან ბოლომდე ფიქციაა, თავიდან ბოლომდე მოტყუებაა, თავიდან ბოლომდე სიცრუეა. და ჩვენ დავინახეთ, რომ უდიდესი მაგალითი — ეს ყბადაღებული «ერთა ლიგა», რომელიც ცდილობდა დაერიგებინა სახელმწიფოთა მართვის უფლებები, გაეყო მსოფლიო, ეს ყბადაღებული კავშირი აღმოჩნდა ხუხულა, რომელიც მაშინვე გაცამტვერდა, იმიტომ რომ მას კაპიტალისტურ საკუთრებაზე ამყარებდნენ. ჩვენ ეს დავინახეთ უდიდესი ისტორიული მასშტაბით, ეს ადასტურებს იმ ძირითად ჭეშმარიტებას, რომლის აღიარებაზე ჩვენ ვაგებდით ჩვენს სიმართლეს, ჩვენს აბსოლუტურ დარწმუნებულობას ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებაში, იმაში, რომ ჩვენ ისეთ საქმეს ვკიდებთ ხელს, რომელსაც, მიუხედავად მთელი სიძნელისა, ყოველგვარი დაბრკოლებისა, მილიონობით მშრომელები შეუერთდებიან ყველა ქვეყანაში. ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენ მოკავშირეები გვყვანან, რომ უნდა გვქონდეს უნარი თავგანწირულება გამოვიჩინოთ ერთ ქვეყანაში, რომელსაც ისტორიამ დააკისრა საპატიო, უძნელესი ამოცანა, რათა გაუგონარი მსხვერპლი ერთი ასად ანაზღაურდეს, იმიტომ რომ ყოველი ზედმეტი თვე, რომელსაც ჩვენ ჩვენს ქვეყანაში გავატარებთ, მილიონობით მოკავშირეებს გაგვიჩენს ყველა ქვეყანაში.

თუ საბოლოო ანგარიშით დავუფიქრდებით იმას, რატომ მოხდა ისე, რომ ჩვენ შევძელით გამარჯვება, რომ ჩვენ უნდა გაგვემარჯვნა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ჩვენი მტერი, ფორმალურად დაკავშირებული ყოველნაირი კავშირით მსოფლიოში უძლიერეს მთავრობებთან და კაპიტალის წარმომადგენლებთან, — როგორც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი გაერთიანებული ფორმალურად, — გათიშული აღმოჩნდა, მათი შინაგანი კავშირი არსე-

ბითად მათვე თიშავდა, ერთმანეთს აჯახებდა, და კაპიტალისტური საკუთრება ხრწნიდა მათ, მოკავშირეებიდან გარეულ მხეცებად აქცევდა მათ, ასე რომ ისინი ვერ ხედავდნენ, რომ საბჭოთა რუსეთი ზრდის თავისი მომხრეების რიცხვს ინგლისელ ჯარისკაცთა შორის, რომლებიც არხანგელსკში გადმოსხდნენ, სევასტოპოლში გადმოსხმულ ფრანგ მეზღვაურთა შორის, ყველა ქვეყნის მუშებს შორის, უკლებლივ ყველა მოწინავე ქვეყანაში, სადაც სოციალ-შემთანხმებელნი კაპიტალის მხარეზე დადგნენ. და აი ამ ძირითადმა მიზეზმა, ყველაზე ღრმა მიზეზმა, საბოლოო ანგარიშით მოგვანიჭა ნამდვილი გამარჯვება, იგი აღმოჩნდა ის წყარო, რომელიც კვლავაც რჩება ჩვენი ძლიერების ყველაზე მთავარ, უძლეველ და უშრეტელ წყაროდ, და რომელიც ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სავსებით განვახორციელებთ პროლეტარიატის დიქტატურას, მისი ძალების უდიდეს გაერთიანებას ავანგარდის, მისი მოწინავე პარტიის საშუალებით, ჩვენ შეგვიძლია ველოდოთ მსოფლიო რევოლუციას. და ეს არის ნამდვილი ნების გამოხატულება, გამოხატულება პროლეტართა გაბედულებისა იბრძოლონ, გამოხატულება პროლეტარული გადაწყვეტილებისა მიაღწიონ კავშირს ყველა ქვეყნის მილიონობით და ათეულ მილიონობით მუშებს შორის.

ეს ბატონმა ბურჟუებმა და II ინტერნაციონალის ვითომდა სოციალისტებმა სააგიტაციო ფრაზებად გამოაცხადეს. არა, ეს ისტორიული სინამდვილეა, რომელიც დადასტურებულია სამოქალაქო ომის სისხლიანი და მძიმე გამოცდილებით რუსეთში, ვინაიდან ეს სამოქალაქო ომი მთელი მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ მიმართული ომი იყო, და ეს კაპიტალი თავისთავად იშლებოდა ჩხუბში, თავის თავს შთანთქავდა, მაშინ როდესაც ჩვენ უფრო გამოწრთობილი, უფრო გაძლიერებული გამოვდიოდით პროლეტარიატის ქვეყანაში, პროლეტარიატისა, რომელიც შიმშილისაგან, პარტახტიანი ტიფისაგან იღუპებოდა. ამ ქვეყანაში ჩვენ შემოვიერთეთ ახალი და ახალი მშრომელები. ის, რაც წინათ შემთანხმებლებს სააგიტაციო ფრაზა ეგონათ, რაზეც ბურჟუაზია სიცილს მიეჩვია, ჩვენი

რევოლუციის ამ წელიწადმა, და ყველაზე უფრო მეტად კი საანგარიშო წელიწადმა, საბოლოოდ უდავო ისტორიულ ფაქტად აქცია, რაც შესაძლებლობას გვაძლევს უაღრესად პოზიტიური დარწმუნებულობით ვთქვათ: თუ ჩვენ ეს გავაკეთეთ, ამით მტკიცდება, რომ ჩვენ გვაქვს მსოფლიო საფუძველი, უსაზღვროდ უფრო ფართო, ვიდრე რომელიმე წინანდელ რევოლუციაში იყო. ჩვენ გვაქვს საერთაშორისო კავშირი, რომელიც არსად არაა ჩაწერილი, არაა გაფორმებული, არაფერს არ წარმოადგენს «სახელმწიფო სამართლის» თვალსაზრისით, სინამდვილეში კი, ხრწნად კაპიტალისტურ სამყაროში, ყველაფერია. ყოველი თვე, როდესაც ჩვენ ბრძოლით ვიპყრობდით პოზიციებს, ანდა როდესაც მხოლოდ ვუმკლავდებოდით გაუგონრად ძლიერ მტერს. მთელ მსოფლიოს უმტკიცებდა, რომ ჩვენ მართალნი ვართ, და გვაძლევდა ადამიანთა ახალ მილიონებს.

ეს პროცესი ძნელი ჩანდა, მას თან სდევდა გიგანტური დამარცხებანი. გაუგონარ თეთრ ტერორს ფინეთში მოჰყვა სწორედ საანგარიშო წელიწადში დამარცხება უნგრეთის რევოლუციისა, რომელიც ანტანტის წარმომადგენლებმა ჩაახშვეს, რუმინეთთან დადებული საიდუმლო ხელშეკრულებით, თავიანთი პარლამენტების მოტყუებით.

ეს იყო ყველაზე სულმდაბალი ღალატი, საერთაშორისო ანტანტის შეთქმულება იმისათვის, რომ თეთრი ტერორით ჩაეხშოთ უნგრეთის რევოლუცია, აღარას ვამბობთ რა იმაზე, როგორ ყოველნაირად ცდილობდნენ ისინი შეთანხმებოდნენ გერმანელ შემთანხმებლებს, რათა ჩაეხშოთ გერმანიის რევოლუცია; როგორ იყო, რომ ეს ადამიანები, რომლებმაც ლიბკნეხტი პატიოსან გერმანელად გამოაცხადეს, გერმანელ იმპერიალისტებთან ერთად ცოფიანი ძაღლებივით ეცნენ ამ პატიოსან გერმანელს. მათ ყველაფერს გადააჭარბეს, რაც კი შეიძლებოდა, მაგრამ ყოველი ასეთი ჩახშობა მათი მხრით ჩვენ მხოლოდ გვამაგრებდა, გვაძლიერებდა, მათ კი ნიადაგს აცლიდა ფეხქვეშ.

და მე ვფიქრობ, რომ ეს ძირითადი გამოცდილება, რომელიც ჩვენ გავიარეთ, ყველაზე უფრო მეტად უნდა გავითვალისწინოთ. აქ ყველაზე უფრო მეტად იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი აგიტაციისა და პროპაგანდის საფუძვლად ვაქციოთ ანალიზი, ახსნა იმისა, თუ რატომ გავიმარჯვეთ, რატომ ანაზღაურდა ასმაგად სამოქალაქო ომის ეს მსხვერპლი, და როგორ უნდა მოვიქცეთ ამ გამოცდილების საფუძველზე, რომ გამარჯვება მოვიპოვოთ მეორე ომში, უსისხლო ომის ფრონტზე, იმ ომში, რომელმაც მხოლოდ ფორმა იცვალა, და რომელსაც ჩვენ წინააღმდეგ ეწევიან ძველი კაპიტალისტური სამყაროს იგივე ძველი წარმომადგენლები, მისი მსახურნი და მისი ბელადები, ოღონდ კიდევ უფრო მეტი გულმოდგინებით, გაცოფებითა და გაშმაგებით. ჩვენი რევოლუციის გამოცდილებამ უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა რევოლუციამ, დაამტკიცა ის კანონი, რომ რევოლუციის ძალა, შეტევის ძალა, ენერგია, გამბედაობა და მისი გამარჯვების ზეიმი ამასთან ერთად აძლიერებს წინააღმდეგობის ძალას ბურჟუაზიის მხრივ. რაც უფრო მეტად ვიმარჯვებთ, მით უფრო მეტად სწავლობენ კაპიტალისტური ექსპლოატატორები გაერთიანებას და გადმოდიან უფრო გაბედულ შეტევაზე. ვინაიდან თქვენ ყველას მშვენივრად გახსოვთ, — მას აქეთ არც ისე დიდი ხანია დროის თვალსაზრისით, მაგრამ დიდი ხანია მიმდინარე მოვლენების თვალსაზრისით, — თქვენ გახსოვთ, რომ ბოლშევიზმს ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისში კურიოზად თვლიდნენ; და თუ ძალიან მალე რუსეთში ამ შეხედულებაზე ხელის აღება მოუხდათ, ამ შეხედულებას, რომელიც პროლეტარული რევოლუციის განუვითარებლობის, სისუსტის გამოხატულებას წარმოადგენდა, ევროპაშიც გამოეთხოვენ. ბოლშევიზმი მსოფლიო მოვლენად იქცა, მუშათა რევოლუციამ თავი მაღლა ასწია. საბჭოთა სისტემა, რომელსაც ოქტომბერში ვქმნიდით, რომელშიაც 1905 წლის ნაანდერძევს მივდევდით და საკუთარ გამოცდილებას ვიმუშავებდით, ეს საბჭოთა სისტემა მსოფლიო-ისტორიული მოვლენა აღმოჩნდა.

ახლა ორი ბანაკი სრულიად შეგნებულად უპირისპირდება ერთიმეორეს, მსოფლიო მასშტაბით, სულ ოდნავი გადაჭარბების გარეშე რომ ვთქვათ. უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ამ წლის განმავლობაში დაუპირისპირდნენ ისინი ერთმანეთს გადამწყვეტ და საბოლოო ბრძოლაში, და ჩვენ ამჟამად, სწორედ ყრილობის მუშაობის დროს, განვიცდით, შესაძლოა, ერთ-ერთ უდიდეს, უმძაფრეს, დაუმთავრებელ, გარდამავალ მომენტს ომიდან მშვიდობიანობისაკენ.

თქვენ ყველამ იცით, რა დაემართათ ანტანტის იმპერიალისტური სახელმწიფოების ბელადებს, რომლებიც მთელ ქვეყანაზე გაჰყვიროდნენ: «არასოდეს არ შევწყვეტთ ომს უზურპატორებთან, ავაზაკებთან, ხელისუფლების მიმტაცებლებთან, დემოკრატიის მოწინააღმდეგეებთან, ბოლშევიკებთანო», — თქვენ იცით, თუ როგორ მოხსნეს მათ ჯერ ბლოკადა, თუ როგორ ჩაეშალათ მათ წვრილი სახელმწიფოების გაერთიანების ცდა, იმიტომ რომ ჩვენ შევძელით ჩვენს მხარეზე გადმოგვეყვანა არა მარტო ყველა ქვეყნის მუშები, არამედ ჩვენ შევძელით ჩვენს მხარეზე გადმოგვეყვანა აგრეთვე წვრილი ქვეყნების ბურჟუაზიაც, იმიტომ რომ იმპერიალისტები არა მარტო თავიანთი ქვეყნების მუშების მჩაგვრელები არიან, არამედ წვრილი სახელმწიფოების ბურჟუაზიისაც. თქვენ იცით, როგორ გადმოვიყვანეთ ჩვენს მხარეზე მერყევი ბურჟუაზია მოწინავე ქვეყნების შიგნით, და აი ახლა დადგა მომენტი, როდესაც ანტანტა არღვევს თავის წინანდელ დაპირებებს, აღთქმას, არღვევს თავის ხელშეკრულებებს, რომლებსაც ის, სხვათა შორის, ათეულობით დებდა სხვადასხვა რუს თეთრგვარდიელებთან, და ახლა ის ამ ხელშეკრულებებით ზის იმედებდამსხვრეული, იმიტომ რომ ამ ხელშეკრულებებზე მან ასეული მილიონები გაანიავა და საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა.

ახლა, მოხსნა რა ბლოკადა, მან ფაქტიურად საზავო მოლაპარაკება დაიწყო საბჭოთა რესპუბლიკასთან, და ახლა ეს მოლაპარაკება ვერ მიუყვანია ბოლომდე, ამიტომ წვრილმა სახელმწიფოებმა დაკარგეს მისი რწმენა, დაკარგეს მისი ძლიე-

რების რწმენა. ჩვენ ვხედავთ, რომ ანტანტის მდგომარეობა, მისი საგარეო მდგომარეობა სრულიად ვერ განისაზღვრება იურისპრუდენციის ჩვეულებრივ ცნებათა თვალსაზრისით. ანტანტის სახელმწიფოებს ბოლშევიკებთან არც ზავი აქვთ, არც ომი, მათ გვიცნეს და არც გვიცნეს. ეს სრული დაშლა ჩვენი მოწინააღმდეგეებისა, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ისინი რაღაცას წარმოადგენენ, ცხადყოფს, რომ ისინი არაფერს არ წარმოადგენენ, გარდა კაპიტალისტური მხეცების ხროვისა, რომლებიც ერთმანეთს დარევიან და სრულიად უძლურნი არიან ჩვენ რამე დაგვაკლონ.

ახლა მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენ ოფიციალურად საზავო წინადადებები მოგვცა ლატვიამ; ფინეთმა გამოგვიგზავნა დეპეშა, რომელშიც ოფიციალურად ლაპარაკია სადემარკაციო ხაზზე, მაგრამ არსებითად ეს არის სამშვიდობო პოლიტიკაზე გადასვლა. ბოლოს, პოლონეთმა, იმ პოლონეთმა, რომლის წარმომადგენლები განსაკუთრებით ძლიერ აყღარუნებდნენ იარაღს და განაგრძობენ ამ ყღარუნს, იმ პოლონეთმა, რომელმაც ყველაზე მეტად მიიღო და იღებს არტილერიით დატვირთულ მატარებლებს და დაპირებებს ყოველგვარი დახმარების შესახებ, ოღონდ კი პოლონეთმა განაგრძოს ბრძოლა რუსეთთან, ამ პოლონეთმაც კი, რომლის მთავრობასაც არამყარი მდგომარეობა აიძულებს ომის ყოველნაირ ავანტიურას მიმართოს, ამ პოლონეთმაც მიგვიწვია საზავო მოლაპარაკების დასაწყებად. საჭიროა უაღრესად ფრთხილი ვიყოთ. ჩვენი პოლიტიკა მოითხოვს ყველაზე მეტად ყურადღებიან დამოკიდებულებას. აქ ყველაზე ძნელია სწორი ხაზის პოვნა, იმიტომ რომ იმ რელსებს, რომლებზეც მატარებელი დგას, აგრეთვე ჯერ კიდევ არავინ იცნობს, — თვით მტერმაც არ იცის, თუ რას გააკეთებს იგი შემდეგ. ფრანგული პოლიტიკის ბატონმა წარმომადგენლებმა, რომლებიც ყველაზე მეტად გვისისიანებენ პოლონეთს, მემამულურ-ბურჟუაზიული პოლონეთის ბელადებმაც არ იციან, რა იქნება შემდეგ, არ იციან, რა სურთ მათ. ისინი დღეს ამბობენ: «ბატონებო, ზარბაზნებით დატვირთული რამდენიმე მატარებელი, რამდენიმე ასეული მილიონი,

და ჩვენ მზად ვართ ვებრძოლოთ ბოლშევიკებსო». ისინი მალავენ ამბებს იმ გაფიცვების შესახებ, რომლებიც პოლონეთში ფართოვდება, ძალას ატანენ ცენზურას, რათა სიმართლე დამალონ. რევოლუციური მოძრაობა კი იქ იზრდება. რევოლუციური ზრდა გერმანიაში, მის ახალ ფაზისში, მის ახალ საფეხურზე, როდესაც მუშები, გერმანული კორნილოვშჩინის შემდეგ, ქმნიან წითელ არმიებს, პირდაპირ მოწმობს (იქიდან მიღებული უკანასკნელი დეპეშები), რომ მუშებს სულ უფრო და უფრო ედებათ ბრძოლის ცეცხლი. თვით ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთის წარმომადგენლების ცნობიერებაში შემდეგი აზრი იჭრება: «დაგვიანებული ხომ არ არის, ხომ არ იქნება პოლონეთში საბჭოთა რესპუბლიკა უფრო ადრე, ვიდრე სახელმწიფოებრივი, საზავო თუ სამხედრო, აქტი შედგებოდეს?». მათ არ იციან, რა ქნან. მათ არ იციან, რას უქადის მათ ხვალინდელი დღე.

ჩვენ ვიცით, რომ თვითეული თვე ჩვენი ძალების გიგანტურ გაძლიერებას გვაძლევს და მოგვცემს კიდევ უფრო მეტს. ამიტომ ჩვენ ახლა საერთაშორისო თვალსაზრისით უფრო მტკიცედ ვდგავართ, ვიდრე ოდესმე. მაგრამ საერთაშორისო კრიზისს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეპყროთ და მომზადებული შევხვდეთ ყოველგვარ მოულოდნელობას. ჩვენ გვაქვს ფორმალური წინადადება ზავის შესახებ პოლონეთისაგან. ეს ვაჟბატონები სასოწარკვეთილ მდგომარეობაში არიან, იმდენად სასოწარკვეთილ მდგომარეობაში, რომ მათი მეგობრები, გერმანელი მონარქისტები, უფრო ზრდილნი, დიდი პოლიტიკური გამოცდილებისა და ცოდნის მქონენი, ავანტიურას, კორნილოვშჩინას დაადგნენ. პოლონეთის ბურჟუაზია საზავო წინადადებას გვაძლევს, რადგან იცის, რომ ავანტიურა შეიძლება პოლონური კორნილოვშჩინა იყოს. ვიცით რა, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე სასოწარკვეთილსა და მძიმე მდგომარეობაშია, — მოწინააღმდეგე, რომელმაც არ იცის, რის გაკეთება სურს მას, რას გააკეთებს იგი ხვალ, — ჩვენ მაინც სრულიად მტკიცედ უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს, რომ ომი მაინც შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ საზა-

ვო წინადადება იყო. მათი შემდგომი საქციელის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ჩვენ ეს ადამიანები ვნახეთ, ჩვენ ამ კერენსკეს, მენშევიკებსა და ესერებს ვიცნობთ. ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ დავინახეთ, როგორ აწყდებოდნენ ისინი დღეს კოლჩაკს, ხვალ თითქმის ბოლშევიკებს, შემდეგ დენიკინს, და ყოველივე ამას ისინი ფარავდნენ ფრაზებით თავისუფლებისა და დემოკრატიის შესახებ. ჩვენ ამ ვაჟბატონებს ვიცნობთ, ამიტომ ჩვენ ორივე ხელით ვებღაუჭებით საზავო წინადადებას, ვთანხმდებით მაქსიმალურ დათმობებს, დარწმუნებული ვართ, რომ ზავი პატარა სახელმწიფოებთან საქმეს უსაზღვროდ უფრო უკეთესად წაწევს წინ, ვიდრე ომი, იმიტომ, რომ ომით იმპერიალისტები ატყუებდნენ მშრომელ მასებს, მით მალავდნენ სიმართლეს საბჭოთა რუსეთზე, ამიტომ ყოველგვარი ზავი ასჯერ უფრო მეტად და ფართოდ გაუხსნის გზას ჩვენს გავლენას. იგი ისედაც დიდია ამ წლების განმავლობაში. III, კომუნისტურმა ინტერნაციონალმა გაუგონარ გამარჯვებებს მიაღწია. მაგრამ ჩვენ ვიცით ამავე დროს, რომ შეუძლიათ ომი ყოველდღე მოგვახვიონ თავს. ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ჯერ კიდევ თვითონაც არ იციან, თუ რისი უნარი აქვთ ამ მხრივ.

სამხედრო სამზადისი რომ წარმოებს, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. ამ სახელმწიფო შეიარაღებას მიმართავს ამჟამად რუსეთის მრავალი მეზობელი და, შეიძლება, ბევრი არამეზობელი სახელმწიფოც. აი რატომ გვიხდება ყველაზე უფრო მეტად მანევრირება ჩვენს საერთაშორისო პოლიტიკაში და ყველაზე უფრო მტკიცედ იმ კურსის დაცვა, რომელიც ჩვენ ავიღეთ, და ყოველი შემთხვევისათვის მზადყოფნა. არაჩვეულებრივი ენერგიით ვეწეოდით ჩვენ ომს ზავისათვის. ეს ომი საუცხოო შედეგებს იძლევა. ბრძოლის ამ ასპარეზზე ჩვენ ყველაზე უფრო უკეთესად გამოვიჩინეთ თავი, ყოველ შემთხვევაში არა იმაზე უარესად, ვიდრე წითელი არმიის მოქმედების სარბიელზე, სისხლიან ფრონტზე. მაგრამ პატარა სახელმწიფოების ნებაზე როდია დამოკიდებული ჩვენთან ზავის შეკვრა, კიდევაც რომ

მოინდომონ მათ ზავი. ისინი ყელამდე არიან ანტანტის ქვეყნების ვალებში ჩაფლული, იქ კი გაფთრებული დავა და მეტოქეობაა ერთმანეთს შორის. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ზავი, მსოფლიო-ისტორიული მასშტაბის თვალსაზრისით, სამოქალაქო ომითა და ანტანტის საწინააღმდეგო ომით დასაბუთებული, რასაკვირველია, შესაძლებელია.

მაგრამ ჩვენს ნაბიჯებს ზავისაკენ თან უნდა ახლდეს მთელი ჩვენი სამხედრო მზადყოფნის დაძაბვა ისე, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვაიარაღოთ ჩვენი არმია. ჩვენი არმია რეალური გარანტიაა იმისა, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები ოდნავ ცდასაც კი, სულ მცირე ხელყოფასაც კი ვერ მოახდენენ, ვინაიდან, კიდეც რომ იმედი ჰქონდეთ დასაწყისში ერთგვარი ეფემერული წარმატებებისა, ვერც ერთი მათგანი ვერ გადაურჩება განადგურებას საბჭოთა რუსეთის მხრივ. ეს ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ეს უნდა იყოს ჩვენი აგიტაციისა და პროპაგანდის საფუძველი, და უნდა შევძლოთ საამისოდ მოვემზადოთ და გადავწყვიტოთ ის ამოცანა, რომელიც მზარდი დაღლილობის ჟამს გვაიძულებს ერთიცა და მეორეც გავაერთიანოთ.

გადავდივარ უმნიშვნელოვანეს პრინციპულ მოსაზრებებზე, რომელნიც გვაიძულებდნენ გაბედულად დაგვეყენებინა მშრომელი მასები ძირითადი და მორიგი ამოცანების გადასაჭრელად არმიის გამოყენების გზაზე. დისციპლინის ძველი წყარო, კაპიტალი, დასუსტებულია, გაერთიანების ძველი წყარო — გაქრა. ჩვენ უნდა შევქმნათ სხვაგვარი დისციპლინა, სხვაგვარი წყარო დისციპლინისა და გაერთიანებისა. ის, რაც იძულებას წარმოადგენს, აღშფოთებასა და ყვირილს, ხმაურსა და გოდებას იწვევს ბურჟუაზიული დემოკრატიის მხრივ, რომელიც ელოლიავება სიტყვებს «თავისუფლება» და «თანასწორობა» და არ ესმის, რომ თავისუფლება კაპიტალისათვის დანაშაულია მუშების წინააღმდეგ, რომ მაძღრისა და მშივრის თანასწორობა დანაშაულია მშრომელთა წინააღმდეგ. ჩვენ სიცრუის წინააღმდეგ ბრძოლის სახელით დავადექით იმას, რომ ვახორციელებთ შრომითს ბეგარას და მშრომელთა გაერთიანებას, და

სრულიად არ გვეშინია იძულებისა, ვინაიდან არსად რევოლუ-
ცია არ მომხდარა იძულების გარეშე, და პროლეტარიატს
უფლება აქვს განახორციელოს იძულება, რათა თავისი შეინარ-
ჩუნოს, რადაც. უნდა დაჯდეს. როდესაც ბატონი ბურჟუები,
ბატონი შემთანხმებლები, ბატონი გერმანელი დამოუკიდებელ-
ნი, ავსტრიელი დამოუკიდებელნი და ფრანგი ლონგეტისტები
კამათობდნენ ისტორიულ ფაქტორზე, ისინი ყოველთვის ივიწ-
ყებდნენ ისეთ ფაქტორს, როგორიცაა პროლეტარიატის რევო-
ლუციური გამბედაობა, სიმტკიცე და შეუდრეკელობა. ესაა
სწორედ შეუდრეკელობა და გამობრძმედილობა ჩვენი ქვეყნის
პროლეტარიატისა, რომელიც თავის თავსაც და სხვებსაც ეუბ-
ნება და საქმითაც ამტკიცებს, რომ ყველანი უკანასკნელ
კაცამდე უმალ დავიღუპებით, ვიდრე მივცემთ ჩვენს ტერი-
ტორიას, ვიდრე დავთმობთ ჩვენს პრინციპს, დისციპლინისა
და მტკიცე პოლიტიკის პრინციპს, რომელსაც ჩვენ მსხვერპ-
ლად უნდა შევწიროთ ყველაფერი. კაპიტალისტური ქვეყნე-
ბის, კაპიტალისტური კლასის დაშლის მომენტში, მისი სასო-
წარკვეთილებისა და კრიზისის მომენტში, მხოლოდ ეს პოლი-
ტიკური ფაქტორი წყვეტს საქმეს. ფრაზები უმცირესობასა და
უმრავლესობაზე, დემოკრატიასა და თავისუფლებაზე არაფერს
არ წყვეტს, როგორც არ უნდა უთითებდნენ მასზე წარსული
ისტორიული პერიოდის გმირები. აქ საქმეს წყვეტს მუშათა
კლასის შეგნებულობა და სიმტკიცე. თუ კი ის მზად არის
თავგანწირვისათვის, თუ კი მან დაამტკიცა, რომ მას უნარი
შესწევს დაძაბოს მთელი თავისი ძალები, ეს წყვეტს ამოცანას.
ყველაფერი ამ ამოცანის გადასაწყვეტად. მუშათა კლასის
გადაწყვეტილება, მისი შეუდრეკელობა თავისი ლოზუნგის
განსახორციელებლად — «ჩვენ უმალ დავიღუპებით, ვიდრე
დავნებდებოდეთო» — წარმოადგენს არა მარტო ისტორიულ
ფაქტორს, არამედ აგრეთვე გადამწყვეტ, გამარჯვების მომპო-
ვებელ ფაქტორსაც.

ამ გამარჯვებიდან, ამ დარწმუნებულობიდან ჩვენ გადავ-
დივართ და მივადექით მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლო-
ბის იმ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა ჩვენი ყრილობის

მთავარ ფუნქციას შეადგენს. ამ მხრივ არ შეიძლება ვილაპარაკოთ, ჩემი აზრით, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ანგარიშზე, ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშზე; უნდა ვთქვათ პირდაპირ და გულახდილად: დიახ, ამხანაგებო, ეს ის საკითხია, რომელსაც თქვენ გადაწყვეტთ, რომელიც თქვენ უნდა აწონ-დაწონოთ უმაღლესი პარტიული ინსტანციის ავტორიტეტით. ჩვენ ეს საკითხი ნათლად მოვსახეთ თქვენ წინაშე. ჩვენ განსაზღვრული პოზიცია დავიკავეთ. თქვენი მოვალეობაა საბოლოოდ დაამტკიცოთ, შეასწოროთ ან შესცვალოთ ჩვენი გადაწყვეტილება. მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ანგარიშში უნდა თქვას, რომ მან ამ ძირითად, საჭირბოროტო საკითხში სრულიად გარკვეული პოზიცია დაიკავა. დიახ, ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სამეურნეო მშენებლობის მშვიდობიან ამოცანებს, დანგრეული წარმოების აღდგენის ამოცანებს, მოვახმაროთ ყოველივე ის, რის თავმოყრაც კი შეუძლია პროლეტარიატს, მის აბსოლუტურ ერთიანობას. აქ საჭიროა რკინისებური დისციპლინა, რკინისებური წესრიგი, ურომლისოდაც ჩვენ არათუ ორ წელიწადზე მეტ ხანს, — ორ თვესაც კი ვერ გავძლებდით. უნდა ვიცოდეთ ჩვენი გამარჯვების გამოყენება. მეორე მხრივ, უნდა გავიგოთ, რომ ეს გადასვლა მოითხოვს მრავალ მსხვერპლს, რომელიც უამისოდაც ბევრი გაიღო ჩვენმა ქვეყანამ.

საქმის პრინციპული მხარე ცენტრალური კომიტეტისათვის ნათელი იყო. მთელ ჩვენ მოღვაწეობას ამ პოლიტიკას ვუმორჩილებდით, ამ სულისკვეთებით წარვმართავდით. მაგალითად, ისეთი საკითხი, რომელიც კერძო საკითხი ჩანს, რომელიც თავისთავად, თუ საერთო კავშირიდან ამოვგლეჯთ, რასაკვირველია, ძირეულ პრინციპულ მნიშვნელობას ვერ დაიჩემებს, — კოლეგიალობისა და ერთპიროვნულობის საკითხი, რომელსაც თქვენ გადაწყვეტთ, — იგი, რადაც უნდა დაჯდეს, უნდა დავაყენოთ ჩვენი ცოდნის, ჩვენი გამოცდილების, ჩვენი რევოლუციური პრაქტიკის ძირითად მონაპოვართა თვალსაზრისით. ჩვენ, მაგალითად, გვეუბნებიან: «კოლეგიალობა არის

მართვა-გამგეობაში ფართო მასების მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმა». მაგრამ ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში ამ საკითხის გამო გვილაპარაკნია, გადაგვიწყვეტია, და ჩვენ ანგარიში უნდა ჩაგაბაროთ: ამხანაგებო, ასეთ თეორიულ არევ-დარევას არ შეიძლება შევურიგდეთ. ჩვენ რომ ჩვენი სამხედრო მოღვაწეობის, ჩვენი სამოქალაქო ომის ძირითად საკითხში დაგვეშვა ასეთი თეორიული არევ-დარევის მეათედი ნაწილიც კი, დავმარცხდებოდით და ახიც იქნებოდა.

ნება მომეცით, ამხანაგებო, ცენტრალური კომიტეტის ანგარიშთან დაკავშირებით და მართვა-გამგეობაში კოლეგიალობისა თუ ერთმმართველობის საფუძველზე ახალი კლასის მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით, ცოტაოდენი თეორია მოგაწოდოთ, აღვნიშნო, თუ როგორ მართავს კლასი, რაში გამოიხატება კლასის ბატონობა. ჩვენ ხომ ამ მხრივ გამოუცდელები არა ვართ, და ჩვენი რევოლუციაც წინანდელი რევოლუციებისაგან იმით განსხვავდება, რომ ჩვენს რევოლუციაში უტოპიზმი არ არის. თუ ძველი კლასის ნაცვლად ახალი კლასი მოვიდა, ის მხოლოდ სხვა კლასებთან გააფთრებული ბრძოლით გაძლებს, და მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს ბოლომდე, თუ შეძლებს მოსპოს კლასები საერთოდ. კლასობრივი ბრძოლის გიგანტური, რთული პროცესი საქმეს ასე აყენებს, სხვანაირად თქვენ არევ-დარევის ჭაობში ჩაეფლობით. რაში გამოიხატება კლასის ბატონობა? რაში გამოიხატებოდა ბურჟუაზიის ბატონობა ფეოდალებზე? კონსტიტუციაში წერდნენ თავისუფლებაზე, თანასწორობაზე. ეს სიცრუეა. სანამ მშრომელები არსებობენ, მესაკუთრეებს უნარი შესწევთ და, როგორც მესაკუთრეები, იძულებულიც კი არიან სპეკულაციას მიმართონ. ჩვენ ვამბობთ, რომ თანასწორობა არ არსებობს, მაძღარი არაა მშიერის თანასწორი და სპეკულანტი — მშრომელისა.

რაში გამოიხატება ამჟამად კლასის ბატონობა? პროლეტარიატის ბატონობა იმაში გამოიხატება, რომ ჩამორთმეულია მემამულური და კაპიტალისტური საკუთრება. ყველა წინანდელი კონსტიტუციის, თვით ყველაზე რესპუბლიკური, დემო-

კრატიული, კონსტიტუციის სულს, ძირითად შინაარსს შეადგენდა მხოლოდ საკუთრება. ჩვენს კონსტიტუციას იმიტომ აქვს უფლება და იმიტომ მოიპოვა მან ისტორიული არსებობის უფლება, რომ საკუთრების გაუქმება მარტო ქაღალდზე დაწერილი როდია. გამარჯვებულმა პროლეტარიატმა გააუქმა და ბოლომდე დაანგრია საკუთრება, აი რაში მდგომარეობს კლასის ბატონობა. უწინარეს ყოვლისა საკუთრების საკითხში. როდესაც პრაქტიკულად გადავწყვიტეთ საკითხი საკუთრების შესახებ, ამით უზრუნველყოფილ იქნა კლასის ბატონობა. როდესაც ამის შემდეგ კონსტიტუციამ ქაღალდზე აღბეჭდა ის, რაც ცხოვრებამ გადაწყვიტა — კაპიტალისტური, მემამულური საკუთრების გაუქმება — და დაუმატა, რომ მუშათა კლასს კონსტიტუციით უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე გლეხობას, ხოლო ექსპლოატატორებს არა აქვთ არავითარი უფლება, — ამით ჩაწერილ იქნა ის, რომ ჩვენ განვახორციელეთ ჩვენი კლასის ბატონობა, რითაც ჩვენ დავუკავშირდით ყველა ფენისა და წვრილი ჯგუფების მშრომელებს.

წვრილბურჟუაზიული მესაკუთრენი დაქუცმაცებული არიან; ისინი, ვისაც მათ შორის უფრო მეტი საკუთრება აქვს, მტრები არიან მათი, ვისაც ნაკლები აქვს, და პროლეტარები, რომლებიც საკუთრებას აუქმებენ, აშკარა ომს უცხადებენ მათ. კიდევ ბევრია შეუგნებელი, გაუნათლებელი ადამიანები, რომლებიც მთლიანად ყოველგვარი თავისუფალი ვაჭრობის მხარეზე არიან, მაგრამ რომლებსაც არ შეუძლიათ ჩვენ წინააღმდეგ ომი, როდესაც ხედავენ დისციპლინას, თავგანწირვას ექსპლოატატორებზე გამარჯვებაში, ისინი ჩვენი მომხრეები არ არიან, მაგრამ უძლურნი არიან იმისათვის, რომ ჩვენ წინააღმდეგ გამოვიდნენ. მხოლოდ კლასის ბატონობით არის განსაზღვრული საკუთრების ურთიერთობა და ის ურთიერთობა, თუ რომელი კლასია მაღლა. ვინც უკავშირებს იმ საკითხს, თუ რაში გამოიხატება კლასის ბატონობა, დემოკრატიული ცენტრალიზმის საკითხს, როგორც ამას ხშირად ვხვდებით, მას ისეთი არევ-დარევა შეაქვს, რომ ვერავითარი წარმატებითი მუშაობა ამ ნიადაგზე ვერ წარიმართება. პროპაგანდისა და

აგიტაციის სიცხადე ძირითადი პირობაა. თუ ჩვენი მოწინააღმდეგეები ამბობდნენ და აღიარებდნენ, რომ ჩვენ სასწაულები მოვახდინეთ აგიტაციისა და პროპაგანდის განვითარებაში, ეს გარეგნულად კი არ უნდა გავიგოთ, რომ ჩვენ ბევრი აგიტატორები გვყავდა და ბევრი ქაღალდი დავხარჯეთ, არამედ ეს უნდა გავიგოთ შინაგანი აზრით, რომ ის სიმართლე, რომელიც ამ აგიტაციაში იყო, ყველას თავში იჭრებოდა. და ამ სიმართლეს არ შეიძლება გადავუხვიოთ.

როდესაც კლასები ერთმანეთს ცვლიდნენ, ისინი ცვლიდნენ საკუთრებისადმი დამოკიდებულებას. ბურჟუაზიამ, ფეოდალიზმი რომ შეცვალა, საკუთრებისადმი დამოკიდებულება შეცვალა; ბურჟუაზიის კონსტიტუცია ამბობს: «ვისაც საკუთრება აქვს, თანასწორია მისი, ვინც მათხოვარიაო». ეს იყო ბურჟუაზიის თავისუფლება. ეს «თანასწორობა» ბატონობას სახელმწიფოში ანიჭებდა კაპიტალისტურ კლასს. და მერე როგორ გგონიათ, როცა ბურჟუაზია ფეოდალიზმის ადგილას მოვიდა, მან სახელმწიფო დაჰ მართვა-გამგეობა ერთმანეთში აურია? არა, ისინი ასეთი სულელები როდი იყვნენ, ისინი ამბობდნენ, იმისათვის, რომ ვმართოთ, უნდა გვყავდეს ისეთი ადამიანები, რომლებმაც იციან მართვა-გამგეობა, ამისათვის ჩვენ ავიყვანთ ფეოდალებს და გარდავქმნით მათო. და ასეც მოიქცნენ. მერე, განა ეს შეცდომა იყო? არა, ამხანაგებო, მართვა-გამგეობის უნარი ციდან არ ვარდება და არც სულიწმიდისაგან მოდის, და ესა თუ ის კლასი ერთბაშად როდი იძენს მართვა-გამგეობის უნარს იმით, რომ იგი მოწინავე კლასია. ჩვენ მაგალითზე ვხედავთ: სანამ ბურჟუაზია იმარჯვებდა, მას მართვა-გამგეობისათვის სხვა კლასიდან, ფეოდალური კლასიდან გამოსულები აჰყავდა, — სხვანაირად იგი ვერც ვერსაიდან აიყვანდა. საგნებს ფხიზელი თვალით უნდა ვუყუროთ: ბურჟუაზიას წინა კლასიდან აჰყავდა, და ამჟამად ჩვენ წინაშეც აგრეთვე ასეთი ამოცანაა — უნდა შეგვეძლოს აყვანა, დაჰმორჩილება, მისი ცოდნის, მომზადების გამოყენება, შეგვეძლოს ყოველივე ამით ვისარგებლოთ კლასის გასამარჯვებლად. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ გამარჯვებული კლასი მომწიფებულ-

უნდა იყოს, ხოლო სიმწიფე მოწმდება არა ხელის მოწერით ან მოწმობით, იგი დასტურდება გამოცდილებით, პრაქტიკით.

ბურჟუებმა გაიმარჯვეს, თუმცა არ იცოდნენ მართვა-გამგეობა, და მათ თავიანთი გამარჯვება იმით უზრუნველყვეს, რომ ახალი კონსტიტუცია გამოაცხადეს და გამოიწვიეს, აიყვანეს ადმინისტრატორები თავიანთი კლასიდან და დაიწყეს სწავლა წინა კლასის ადმინისტრატორების გამოყენებით; თავიანთ ახლებსაც დაუწყეს სწავლება, ადმინისტრატორებად მომზადება და ამისათვის აამუშავეს მთელი სახელმწიფო აპარატი, მოახდინეს ფეოდალური დაწესებულებების სეკვესტრი, სკოლებში უშვებდნენ მხოლოდ იმათ, ვინც მდიდარი იყო, და ამრიგად მრავალი წლისა და ათეული წლების შემდეგ მათ მოამზადეს ადმინისტრატორები თავიანთი კლასიდან. ამჟამად სახელმწიფოში, რომელიც მოწყობილია გაბატონებული კლასის მსგავსად და ხატად, ისევე უნდა გავაკეთოთ, როგორც ყოფილა ყოველ სახელმწიფოში. თუ არ გვინდა წმინდა წყლის უტოპიზმისა და ფუჭი ფრაზების პოზიციაზე დავდგეთ, უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ უწინდელ წელთა გამოცდილება, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ რევოლუციის მიერ მოპოვებული კონსტიტუცია, მაგრამ მართვა-გამგეობისათვის, სახელმწიფოს მოწყობისათვის უნდა გვყავდეს ადამიანები, რომლებმაც იციან მართვა-გამგეობის ტექნიკა, რომლებსაც აქვთ სახელმწიფო და სამეურნეო გამოცდილება, ხოლო ასეთ ადამიანებს ჩვენ ვერსაიდან ავიყვანთ, თუ არა წინა კლასიდან.

ხშირად მსჯელობა კოლეგიალობის შესახებ გაჟღენთილია მეტისმეტი უმეცრების სულისკვეთებით, სპეციალისტთა საწინააღმდეგო სულისკვეთებით. ასეთი სულისკვეთებით გამარჯვება არ შეიძლება. იმისათვის, რომ გავიმარჯვოთ, უნდა გავიგოთ ძველი ბურჟუაზიული სამყაროს მთელი უღრმესი ისტორია, და იმისათვის, რომ კომუნიზმი ვაშენოთ, უნდა გვქონდეს ტექნიკაც და მეცნიერებაც და ავამოქმედოთ ის უფრო ფართო წრეებისათვის, ხოლო მას ვერსაიდან ვერ მივიღებთ, თუ არა ბურჟუაზიისაგან. ეს ძირითადი საკითხი მკაფიოდ უნდა წამოვ-

წიოთ წინ, იგი სამეურნეო მშენებლობის ძირითად ამოცანათა შორის უნდა დავაყენოთ. ჩვენ უნდა ვმართოთ იმ კლასიდან გამოსულ ადამიანთა დახმარებით, რომელიც ჩვენ დავამხვეთ, — იმ ადამიანთა დახმარებით, რომლებიც გაჟღენთილი არიან თავიანთი კლასის ცრურწმენებით და რომელნიც უნდა გარდავქმნათ. ამასთან ერთად უნდა შევარჩიოთ საკუთარი მმართველები ჩვენივე კლასის რიგებიდან. მთელი სახელმწიფო აპარატი უნდა მოვახმაროთ იმას, რომ სასწავლებლები, სკოლისგარეშე განათლება, პრაქტიკული მომზადება — ყოველივე ეს წარიმართებოდეს კომუნისტების ხელმძღვანელობით, პროლეტარებისათვის, მუშებისათვის, მშრომელი გლეხებისათვის.

მხოლოდ ასე შეგვიძლია ჩვენ საქმის დაყენება. ჩვენი ორი წლის გამოცდილების შემდეგ არ შეგვიძლია ისე ვიმსჯელოთ, თითქოს პირველად ვკიდებდეთ ხელს სოციალისტურ მშენებლობას. ჩვენ საკმაოდ ბევრი სისულელე ჩავიდინეთ სმოლნის პერიოდში და სმოლნის ახლო ხანებში. ამაში სამარცხვინო არა არის რა. საიდან გვექნებოდა ჭკუა, როდესაც პირველად ვკიდებდით ხელს ახალ საქმეს! ჩვენ ისეც ვსინჯეთ და ასეც. მივსდევდით მდინარებას, იმიტომ რომ შეუძლებელი იყო გამოგვეყო სწორი ელემენტი არასწორისაგან. — ამისათვის დროა საჭირო. ახლა ეს არც ისე შორეული წარსულია, რომელსაც ჩვენ თავი დავაღწიეთ. განვლო ამ წარსულმა, როდესაც მეფობდა ქაოსი და ენთუზიაზმი. ამ წარსულის დოკუმენტს წარმოადგენს ბრესტის ზავი. ეს ისტორიული დოკუმენტია, — უფრო მეტიც — ეს ისტორიული პერიოდია. ბრესტის ზავი ჩვენ თავს მოგვახვიეს იმიტომ, რომ ჩვენ უძლურნი ვიყავით ყველა დარგში. რა პერიოდი იყო ეს პერიოდი? ეს იყო უძლურების პერიოდი, რომლიდანაც ჩვენ გამარჯვებულნი გამოვედით. ეს იყო მთლიანი კოლეგიალობის პერიოდი. ამ ისტორიულ ფაქტს ვერ გაექცევი, როდესაც ამბობენ, რომ კოლეგიალობა მართვა-გამგეობის სკოლაა. ხომ არ შეიძლება სულ მუდამ სკოლის მოსამზადებელ კლასში იჯდე! (ტ ა შ ი). ეს ოინი არ გავა. ჩვენ ახლა მოზრდილები ვართ, და ჩვენ გვცემენ და გვცემენ ყველა დარგში, თუ ჩვენ ისე მოვიქცევით, როგორც

სკოლის მოწაფეები. წინ უნდა წავიდეთ. საჭიროა ენერგიით, ერთიანი ნებით წავიდეთ ზევითა და ზევით. პროფკავშირებს გიგანტური სიძნელეები აწევთ კისრად. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მათ ეს ამოცანა აითვისონ ყბადაღებული დემოკრატიზმის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით. მთელი ეს ყვირილი დანიშნულთა შესახებ, მთელი ეს ძველი, მავნე ნაგავი, რომელიც ადგილს პოულობს სხვადასხვა რეზოლუციაში, საუბარში, უნდა გაიხვეტოს. სხვანაირად ჩვენ ვერ შევძლებთ გამარჯვებას. თუ ჩვენ ეს გაკვეთილი ორი წლის განმავლობაში ვერ შეგვითვისებია, ჩვენ ჩამოვრჩენილვართ, ხოლო ჩამორჩენილებს ცემა მოელით.

ამოცანა უაღრესად ძნელია. ჩვენმა პროფკავშირებმა უზარმაზარი დახმარება აღმოგვიჩინეს პროლეტარული სახელმწიფოს მშენებლობაში. ისინი ის რგოლი იყო, რომელიც პარტიას აკავშირებდა მილიონიან გაუნათლებელ მასასთან. კეკემალულობას ნუ ვითამაშებთ: პროფკავშირებმა თავის მხრებზე გადაიტანეს ჩვენს უბედურებებთან ბრძოლის მთელი ამოცანა, როდესაც სახელმწიფოს დახმარება სჭირდებოდა სურსათის დარგში მუშაობის დროს. განა ეს უდიდესი ამოცანა არ იყო? ამას წინათ გამოვიდა «ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბიულეტენი». იქ მოხდენილია შეჯამება ისეთი სტატისტიკოსების მიერ, რომელთაც ბოლშევიზმს ვერასგზით ვერ დასწამებთ. იქ ორი საინტერესო ციფრია: 1918 და 1919 წლებში მომხმარებელი გუბერნიების მუშები იღებდნენ 7 ფუთს, ხოლო მწარმოებელი გუბერნიების გლეხები ხმარობდნენ 17 ფუთს წელიწადში. ომამდე კი ისინი ხარჯავდნენ 16 ფუთს წელიწადში. აი ის ორი ციფრი, რომელიც გვიჩვენებს კლასთა თანაფარდობას სასურსათო ბრძოლაში. პროლეტარიატი განაგრძობდა მსხვერპლის გაღებას. ძალმომრეობაზე გაჰყვირიან! მაგრამ მან გაამართლა და დააკანონა ეს ძალმომრეობა და ამ ძალმომრეობის სისწორე იმით დაამტკიცა, რომ მან უდიდესი მსხვერპლი გაიღო. მოსახლეობის უმრავლესობამ, ჩვენი დამშეული აოხრებული რუსეთის მწარმოებელი გუბერნიების გლეხებმა პირველად იწყეს უკეთესად კვება,

ვიდრე ასეული წლების განმავლობაში მეფის, კაპიტალისტურ რუსეთში. და ჩვენ ვიტყვით, რომ მასები იშიმშილებენ მანამდე, სანამ არ გაიმარჯვებს წითელი არმია. საჭირო იყო, რომ მუშათა კლასის ავანგარდს ეს მსხვერპლი გაეღო. მას აქვს გამოცდილება ამ ბრძოლაში; გამოვდივართ რა ამ გამოცდილებიდან, ჩვენ წინ უნდა წავიდეთ. ახლა უნდა გადაიდგას ეს ნაბიჯი, რადაც უნდა დაგვიჯდეს. როგორც ყოველ პროფკავშირს, ძველ პროფკავშირებს აქვთ თავიანთი ისტორია და წარსული. ამ წარსულში ისინი იყვნენ მომგერიებელი ორგანოები იმის წინააღმდეგ, ვინც შრომას ჩაგრავდა, კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ხოლო როდესაც კლასი სახელმწიფოებრივი გახდა და როდესაც მას ახლა უხდება დიდი მსხვერპლის გაღება, დაღუპვა და შიმშილი, მდგომარეობა გამოიცვალა.

ყველას როდი ესმის ეს ცვლილება და ყველა როდი სწვდება მას. აქ ჩვენ გვეხმარება ზოგიერთი მენშევიკი და ესერი, რომლებიც მოითხოვენ ერთპიროვნულობის შეცვლას კოლეგიალობით. უკაცრავად, ამხანაგებო, ეს ოინი არ გავა! ამას ჩვენ გადავეჩვიეთ. ჩვენ წინაშე ახლა ძალიან რთული ამოცანაა: რაკი სისხლიან ფრონტზე გავიმარჯვეთ, უნდა გავიმარჯვოთ უსისხლო ფრონტზეც. ეს ომი უფრო ძნელია. ეს ყველაზე მძიმე ფრონტია. ამას ჩვენ აშკარად ვეუბნებით ყველა შეგნებულ მუშას. იმ ომის შემდეგ, რომელიც ფრონტზე გადავიტანეთ, უნდა იქნეს უსისხლო ომი. იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ რაც უფრო მეტად ვიმარჯვებდით, მით უფრო მეტი ჩნდებოდა ისეთი მხარეები, როგორიცაა ციმბირი, უკრაინა და ყუბანი. იქ მდიდარი გლეხები არიან, იქ პროლეტარები არ არიან, და თუ პროლეტარიატი არის, იგი გარყვნილია წვრილბურჟუაზიული ჩვევებით, და ჩვენ ვიცით, რომ იქ ყოველი, ვისაც კი აქვს მიწის ნაჭერი, ამბობს: «რას დავეძებ მე მთავრობას. მე მშიერს იმდენს ავაძრობ, რამდენსაც მოვინდომებ, ხოლო მთავრობისათვის კი მიმიფურთხებიაო». გლეხ-სპეკულანტს, რომელიც, დენიკინის ხელში ჩავარდნილი, ჩვენს მხარეზე გადმოიხარა, ახლა ანტანტა დაუწყებს დახმარებას. ომმა ფრონტი და ფორმები იცვალა. ახლა ის ომობს ვაჭრობით, მეტომრეობით, მან

იგი ინტერნაციონალური გახადა. ამხ. კამენევის თეზისებში, რომლებიც ც. კ-ის «იზვესტიაში»[56] იყო გამოქვეყნებული, ამის პრინციპული საფუძველი სავსებითაა გამოთქმული. მათ სურთ მეტომრეობა ინტერნაციონალური გახადონ. მათ უნდათ მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობა საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიან გახრწნად აქციონ. უკაცრავად, ბატონო იმპერიალისტებო, ჩვენ ფხიზლად ვართ. ჩვენ ვამბობთ: ჩვენ ვომობდით და გავიმარჯვეთ და ამიტომ განვაგრძობთ ძირითად ლოზუნგად იმის წამოყენებას, რაც დაგვეხმარა გამარჯვებაში. ჩვენ მთლიანად ვინარჩუნებთ მას, სახელდობრ პროლეტარიატის სიმტკიცისა და ნების ერთიანობის ლოზუნგს, და გადაგვაქვს იგი შრომის დარგში. ძველ ცრურწმენებს, ძველ ჩვეულებებს, რომლებიც დარჩა, ბოლო უნდა მოვუღოთ.

დასასრულ, შემიძლია შევჩერდე ამხ. გუსევის ბროშურაზე, რომელიც, ჩემი აზრით, ორი მხრით იმსახურებს ყურადღებას: ის კარგია არა მარტო ფორმალური მხრით, არა მარტო იმით, რომ იგი დაწერილია ჩვენი ყრილობისათვის. ჩვენ აქამდე რატომღაც ყველა მივეჩვიეთ რეზოლუციების წერას. ამბობენ, ლიტერატურის ყველა სახე კარგია, გარდა მოსაწყენისაო. რეზოლუციები, მე ვფიქრობ, ლიტერატურის მოსაწყენ სახეს უნდა მივაკუთვნოთ. უკეთესი იქნებოდა, თუ ჩვენ, ამხ. გუსევის მაგალითისამებრ, ნაკლებად დავწერთ რეზოლუციებს, ხოლო უფრო მეტად დავწერთ ბროშურებს, თუნდაც ისეთი უამრავი შეცდომებით, როგორც ეს მის ბროშურაშია. მაგრამ, მიუხედავად ამ შეცდომებისა, იგი საუკეთესო რამაა, იმიტომ რომ მასში ყურადღების ცენტრშია დასმული მთელი ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და წარმოების აღდგენის ძირითადი სამეურნეო გეგმა, იმიტომ რომ მასში ყველაფერი ემორჩილება ძირითად სამეურნეო გეგმას. ცენტრალურმა კომიტეტმა თავის თეზისებში, რომლებიც დღეს დარიგდა, სავსებით შეიტანა ამხ. გუსევის თეზისებიდან აღებული მთელი პარაგრაფი. ჩვენ შეგვიძლია, სპეციალისტების დახმარებით, კიდევ უფრო დეტალურად დავამუშაოთ ეს ძირითადი სამეურნეო გეგმა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს გეგმა მრავალი

წლისათვის არის გათვალისწინებული. ჩვენ ვერ შეგპირდებით, რომ ერთბაშად ვიხსნით ქვეყანას შიმშილისაგან. ჩვენ ვამბობთ, რომ ბრძოლა უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ომის ფრონტზე იყო, მაგრამ იგი ჩვენ უფრო მეტად გვაინტერესებს, ის შეადგენს უფრო ახლო მისვლას ჩვენს ნამდვილ, ძირითად ამოცანებთან. ის მოითხოვს ძალთა მაქსიმალურ დაძაბულობას, ნების იმ ერთიანობას, რომელსაც ადრე ვიჩენდით და რომელიც ახლა უნდა გამოვიჩინოთ. თუ ამ ამოცანას გადავწყვეტთ, მაშინ უსისხლო ფრონტზე არა ნაკლებ გამარჯვებას მოვიპოვებთ, ვიდრე ეს სამოქალაქო ომის ფრონტზე მოვიპოვეთ. (ტ ა შ ი.)

## 3

## საბოლოო სიტყვა ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო

### 30 მარტს

ამხანაგებო, მთავარი თავდასხმები გამოიწვია ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის იმ მხარემ, რომელსაც ამხ. საპრონოვმა ლანძღვა-გინება უწოდა. ამხ. საპრონოვმა მეტისმეტად განსაზღვრული ხასიათი და ელფერი მისცა იმ პოზიციას, რომელსაც ის იცავდა, და იმისათვის, რომ ცხადვყო, თუ როგორია საქმის ვითარება ფაქტიური მხრივ, მინდა დავიწყო ზოგიერთი ძირითადი თარიღის შეხსენებით. აი ჩემ წინაშეა რკპ(ბ) ც. კ-ის «იზვესტია» 2 მარტისა; ჩვენ ვბეჭდავთ ცენტრალური კომიტეტის სახელით წერილს რუსეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებისადმი ყრილობის ორგანიზაციის საკითხზე. და პირველ წერილში ვამბობთ: «საბედნიეროდ, წმინდა თეორიულ მსჯელობათა დრო, ზოგად საკითხებზე კამათის, პრინციპული რეზოლუციების გამოტანის დრო წავიდა. ეს უკვე განვლილი საფეხურია, ეს გუშინ და გუშინწინ გადაწყვეტილი ამოცანაა. საჭიროა წინ სვლა, უნდა შეგვეძლოს იმის გაგება, რომ ახლა ჩვენ წინაშე დგას პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ა მ ო ც ა ნ ა: მთელი ჩვენი ძალ-ღონით, ჭეშმარიტად რევოლუციური ენერგიით, იმავე თავდადებით, რომლითაც ჩვენი საუკეთესო ამხანაგები, მუშა და გლეხი წითელარმიელები ამარცხებდნენ კოლჩაკს, იუდენიჩს, დენიკინს, უნდა გადავწყვიტოთ ნგრევაზე უსწრაფესი გამარჯვების ს ა ქ მ ი ა ნ ი ამოცანა».

უნდა გამოგიტყდეთ, რომ აქ დამნაშავე ოპტიმიზმში მე გამოვდექი, რადგან ვფიქრობდი, რომ თეორიულ მსჯელობათა დრო წავიდა. მართლაც, 15 წლის განმავლობაში რევოლუციამდე ვთეორეტიკოსობდით, ორ წელიწადს სახელმწიფოს ვმართავდით, ახლა უნდა გამოვიჩინოთ საქმიანობა და პრაქტიკულობა, და აი 2 მარტს ჩვენ მივმართავთ ამხანაგებს, რომლებსაც აქვთ საქმიანი გამოცდილება. ამის საპასუხოდ 10 მარტს «ეკონომიჩესკაია ჟიზნში»[96] იბეჭდება ტომსკის თეზისები, 23 მარტს — ამხანაგების საპრონოვის, ოსინსკის, მაქსიმოვსკის თეზისები, 27 მარტს ქვეყნდება მოსკოვის საგუბერნიო კომიტეტის თეზისები, ე. ი. უკვე პარტიისადმი ჩვენი მიმართვის შემდეგ. და ყველა ამ თეზისში საკითხი თეორიულად არ არის სწორად დაყენებული. თუ ჩვენი თვალსაზრისი წერილში ოპტიმისტური, შემცდარი იყო, თუ ჩვენ გვეგონა, რომ ეს დრო უკვე მოვჭამეთო, თეზისები მიუთითებდნენ, რომ იგი ჯერ კიდევ არაა მოჭმული, და ამიტომ საჩივლელიც არაფერი აქვთ ამხანაგებს პროფესიული კავშირებიდან, რომ მათ უსამართლოდ ეპყრობოდნენ, და ახლა ჩვენ წინაშე დგას საკითხი: სწორია თუ არა ის თვალსაზრისი თუ ის პოზიცია, რომელსაც ჩვენი 2 მარტის მიმართვის შემდეგ ყველა ეს თეზისი იცავდა? თვითეულ მათგანში უამრავი საქმიანი მასალაა, და ეს მხედველობაში უნდა მივიღოთ. ცენტრალური კომიტეტი რომ ამას სერიოზული ყურადღებით არ უყურებდეს, მაშინ იგი ყოვლად უვარგისი დაწესებულება იქნებოდა.

მაგრამ მოისმინეთ, რას წერს ამხ. ტომსკი:

«§ 7. მრეწველობის რეგულირებისა და მართვა-გამგეობის ორგანოების აგებულებაში ძირითადი პრინციპი, რომელსაც ერთადერთს შეუძლია უზრუნველყოს მუშათა ფართო არაპარტიული მასების მონაწილეობა პროფკავშირების საშუალებით, არის ამჟამად არსებული პრინციპი მრეწველობის კოლეგიალური მართვა-გამგეობისა, დაწყებული სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმით და გათავებული ქარხნის მმართველობით. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სრულიად რუსეთის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმების ან სათანადო კავშირების ცენტრალური კომიტეტების ურთიერთ შეთანხმებით, უნდა დაეუშვათ ცალკეული

საწარმოების ერთპიროვნული მმართველობა იმ აუცილებელი პირობით, რომ ერთპიროვნულ ადმინისტრატორებს კონტროლი გაეწევათ პროფკავშირებისა და მათი ორგანოების მხრივ. § 8. სამეურნეო მშენებლობის გეგმის ერთიანობის განხორციელებისა და პროფკავშირებისა და სამეურნეო ორგანოების მოღვაწეობაში შეთანხმებულობის მიღწევის უზრუნველსაყოფად, კავშირების მონაწილეობა მრეწველობის მართვა-გამგეობისა და მისი მოწესრიგების საქმეში დამყარებული უნდა იყოს შემდეგი პრინციპების საფუძველზე: ა) ეკონომიური პოლიტიკის ზოგად საკითხებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მისი ორგანოები იხილავენ პროფკავშირების მონაწილეობით; ბ) ხელმძღვანელ სამეურნეო კოლეგიებს ადგენენ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მისი ორგანოები პროფკავშირთა სათანადო ორგანოებთან ერთად; გ) სამეურნეო ორგანოების კოლეგიები, რომლებიც პროფკავშირებთან ერთად განიხილავენ წარმოების ამა თუ იმ დარგის სამეურნეო პოლიტიკის ზოგად საკითხებს და აძლევენ მათ პერიოდულ ანგარიშებს თავიანთი მოღვაწეობის შესახებ, მხოლოდ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ორგანოებს წარმოადგენენ და ვალდებული არიან ცხოვრებაში გაატარონ მხოლოდ მისი დადგენილებები; დ) სამეურნეო ორგანოების ყველა კოლეგია ვალდებულია სიტყვაშეუბრუნებლად გაატაროს ცხოვრებაში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს უმაღლესი ორგანოების დადგენილებანი პიროვნულად და კოლეგიალურად, და მათი შესრულებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წინაშე».

ეს ელემენტარული თეორიული საკითხების საშინელი არევ-დარევაა.

სწორია, რომ მართვა-გამგეობა ერთპიროვნული ადმინისტრატორის საშუალებით ხდება, მაგრამ სახელდობრ ვინ იქნება ეს ადმინისტრატორი, სპეციალისტი თუ მუშა, — ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ადმინისტრატორი გვყავს ძველი და ახალი წყობილებიდან. მაგრამ ეს ელემენტარული თეორიული ამბებია. მოდით ვილაპარაკოთ ამაზე. ხოლო თუ თქვენ გინდათ განიხილოთ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი, მაშინ ნუ შემოგვაჩეჩებთ ნურაფერს ისეთს, რაც ჩვენ არც დაგვიყენებია და არც გვითქვამს. როდესაც ჩვენ 2 მარტს ამხანაგებს მოვუწოდეთ მოეცათ ჩვენთვის პრაქტიკული დასაბუთება, პასუხად რა მივიღეთ? პასუხად ამხანაგები ადგილებიდან გვთავაზობენ აშკარად არასწორ თეორიულ რამეებს. ამხანაგების ოსინსკის, მაქსიმოვსკის და საპრონოვის

თეზისებში, რომლებიც 23 მარტს გამოქვეყნდა, ყველაფერი თავიდან ბოლომდე თეორიული დამახინჯებაა. ისინი წერენ, რომ კოლეგიალობა ამა თუ იმ ფორმით დემოკრატიზმის აუცილებელ საფუძველს შეადგენს. მე ვამტკიცებ, რომ სოციალ-დემოკრატიის წინარევოლუციური ისტორიის 15 წლის მანძილზე ვერაფერს ამის მსგავსს თქვენ ვერ ნახავთ. დემოკრატიული ცენტრალიზმი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ წარმომადგენლები ადგილებიდან იკრიბებიან და ირჩევენ სწორედ იმ პასუხისმგებელ ორგანოს, რომელმაც უნდა მართოს. მაგრამ როგორ? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენია გამოსადეგი ადამიანი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენია იქ კარგი ადმინისტრატორი. დემოკრატიული ცენტრალიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ყრილობა ამოწმებს ცენტრალურ კომიტეტს, გადააყენებს მას და ნიშნავს ახალს. მაგრამ თუ ჩვენ განვიზრახავდით შეგვემოწმებინა ის თეორიული უმართებულობანი, რომლებიც ამ თეზისებშია ჩაწერილი, ჩვენ ამას ვერასოდეს ვერ გავათავებდით. მართალი გითხრათ, ამას მეტს აღარც კი შევეხები და ვიტყვი მხოლოდ, რომ ცენტრალური კომიტეტი ამ საკითხში დაადგა იმ ხაზს, რომელსაც არ შეიძლებოდა არ დასდგომოდა. მე მშვენივრად ვიცი, რომ ამხ. ოსინსკი და სხვები არ იზიარებენ მახნოსა და მახაევის შეხედულებებს, მაგრამ არ შეიძლება მათ არგუმენტებს არ ჩაებღაუჭონ მახნოელები. ისინი მათთან დაკავშირებული არიან. აიღეთ პარტიის მოსკოვის საგუბერნიო კომიტეტის თეზისები, რომლებიც ჩვენ დაგვირიგდა. აქ ლაპარაკია, რომ განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც გაქრება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და ადამიანების მიმაგრება პროფესიებზე, იმ ადამიანთა პერიოდული შეცვლა, რომლებიც რიგრიგობით ასრულებენ მართვა-გამგეობის ფუნქციას, შესაძლებელია მხოლოდ ფართო კოლეგიალობის საფუძველზე და ა. შ. და ა. შ.. ყოველივე ეს თავიდან ბოლომდე დომახალია!

ჩვენ მივმართეთ ადგილობრივ პრაქტიკოსებს: დაგვეხმარეთ საქმიანი მითითებებით. ამის მაგიერ გვეუბნებიან: ცენტ-

რალური კომიტეტი ანგარიშს არ უწევს ადგილებსო. რას არ უწევს ანგარიშს? სოციალისტურ საზოგადოებაზე მსჯელობას? აქ ნატამალიც კი არ არის არც პრაქტიციზმისა, არც საქმიანობისა. რა თქმა უნდა, ჩვენ გვყვანან შესანიშნავი მუშები, რომლებიც ბევრს გადმოიღებენ ხოლმე ინტელიგენციისაგან, მაგრამ ხანდახან უკეთესს კი არ იღებენ, არამედ ცუდს. მაშინ ამას უნდა ვებრძოლოთ. მაგრამ თუ თქვენ ცენტრალური კომიტეტის იმ მოწოდებაზე, რომ პრაქტიკული მითითებები მოგეცათ, პრინციპული საკითხები წამოაყენეთ, მაშინ ჩვენ მათზე უნდა ვილაპარაკოთ. მაშინ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ პრინციპულ უმართებულობათა წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია. ის თეზისები, რომლებიც 2 მარტის შემდეგაა გამოტანილი, შეიცავენ უცნაურ პრინციპულ უმართებულობათ.

ამას მე ვამტკიცებ. მოდით ამაზე ვილაპარაკოთ და ვიდავოთ. არაფერია აქ თავიდან მოსაშორებელი. აქ არ შეიძლება იმის მომიზეზება, რომ ჩვენ თეორეტიკოსები არა ვართ. უკაცრავად, ამხ. საპრონოვ, თქვენი თეზისები თეორეტიკოსის თეზისებია. თქვენ დაინახავთ, რომ თუ მათ პრაქტიკაში შემოვიღებთ, მაშინ აუცილებელია დავბრუნდეთ უკან და გადავჭრათ საკითხები არასაქმიანი დაყენებით. ისინი, ვინც ამხანაგების მაქსიმოვსკის, საპრონოვის, ტომსკის თეზისებში პრაქტიკულ მითითებებს დაუწყებდნენ ძებნას, ღრმად შეცდებოდნენ, ეს თეზისები საფუძველშივე არასწორი თეზისებია. კლასის დამოკიდებულება სახელმწიფო წყობილებასთან ძირშივე არასწორად მიმაჩნია და უკან გვეწევა ჩვენ. ამას, გასაგებია, მხარს უჭერს ყველა ის ელემენტი, ვინც უკან რჩება, ვისაც ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ გადაუტანია. და ამ თეზისების ავტორებს ბრალი უნდა დავდოთ არა იმაში, რომ ისინი შეგნებულად უჭერდნენ მხარს დოყლაპიობას, არამედ იმაში, რომ ისინი თავიანთი თეორიული შეცდომით იმ საკითხში, რომლის დასმის წინადადებაც მათ ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა, ერთგვარ დროშას, ერთგვარ გამართლებას აძლევენ ცუდ ელემენტებს. მაგრამ რატომ ხდებოდა ყოველივე ეს?

მოუსაზრებლობის გამო. ეს სრულიად უდავოდ მტკიცდება უტყუარი საბუთებით.

მე გადავალ იმ ბრალდებაზე, რომელიც ამხ. იურენევმა წამოაყენა ამხ. შლიაპნიკოვის თაობაზე. ცენტრალურ კომიტეტს რომ ამხ. შლიაპნიკოვი განედევნა, როგორც ოპოზიციის წარმომადგენელი, თვით ყრილობის წინ, მაშინ ასეთი ცენტრალური კომიტეტი უეჭველად სისაძაგლეს ჩაიდენდა. როდესაც ჩვენ გავიგეთ, რომ ამხ. შლიაპნიკოვი მიემგზავრება, ჩვენ პოლიტბიუროში ვთქვით, რომ არ ვაძლევთ მას დირექტივებს გამგზავრების წინ, და ამხ. შლიაპნიკოვი გამგზავრების წინა დღით ჩემთან მოვიდა და განაცხადა, რომ იგი ცენტრალური კომიტეტის დირექტივებით არ მიემგზავრება. ამრიგად, ამხ. იურენევის ყურამდე მხოლოდ ხმას მიუღწევია, და იგი მას ავრცელებს (ი უ რ ე ნ ე ვ ი: «შლიაპნიკოვმა მე ეს პირადად მითხრა...»).

მე არ ვიცი, როგორ შეეძლო მას ეს პირადად ეთქვა თქვენთვის, როდესაც იგი გამგზავრების წინ ჩემთან იყო და მითხრა, რომ ცენტრალური კომიტეტის დირექტივებით არ მივემგზავრებიო. დიახ, რა თქმა უნდა, ცენტრალურ კომიტეტს ოპოზიცია რომ ყრილობის წინ გადაესახლებინა, ეს დაუშვებელია. მაგრამ როდესაც საერთოდ გადასახლებაზე ლაპარაკობენ, მე ვამბობ: გაისარჯეთ მაშინ და ამოირჩიეთ ისეთი ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც შეეძლებოდა ძალთა სწორად განაწილება, მაგრამ რომელიც მოსპობდა საჩივრის შესაძლებლობას. როგორ შეიძლება ისე განაწილება, რომ ყველა კმაყოფილი იყოს? თუ ეს განაწილება არ იქნება, მაშინ რაღა საჭიროა ცენტრალიზმზე ლაპარაკი? ხოლო თუ იყო პრინციპების დამახინჯება, მაშინ მოდით ვილაპარაკოთ მათზე მაგალითებით. თუ ჩვენ ოპოზიციის წარმომადგენლებს ვასახლებდით, მაშინ მოგვეცით მაგალითი, რომელსაც განვიხილავთ; შეიძლება შეცდომებიც არის. შეიძლება გადასახლებულ იქნა ამხ. იურენევი, რომელმაც პოლიტბიუროში საჩივარი შეიტანა, რომ იგი არასწორად გადმოიყვანეს დასავლეთის ფრონტიდან? მაგ-

რამ პოლიტბიურომ საკითხი განიხილა და მიიჩნია, რომ ეს სწორად იქნა გაკეთებული. და როგორი ცენტრალური კომიტეტიც არ უნდა აირჩიოთ, იგი ხელს ვერ აიღებს ძალთა განაწილებაზე.

შემდეგ, ორგბიუროს და პოლიტბიუროს შორის საქმეების განაწილების შესახებ. ამხ. მაქსიმოვსკი ჩემზე უფრო გამოცდილია ორგანიზაციულ საკითხებში, და ის ლაპარაკობს, რომ ლენინს არევ-დარევა შეაქვს ორგბიუროს და პოლიტბიუროს საკითხებშიო. რას ვიზამთ, მოდით და გავერკვეთ. ჩვენი აზრით, ორგბიურო ანაწილებს ძალებს, ხოლო პოლიტბიურო განაგებს პოლიტიკას. თუ ასეთი განაწილება არაა სწორი, მაშინ როგორ განვსაზღვროთ ამ ორი ორგანოს მოღვაწეობა? კონსტიტუცია ხომ არ გსურთ დავწეროთ? პოლიტბიუროს და ორგბიუროს ზუსტად გაყოფა, მათი მოღვაწეობის გამიჯვნა ძნელია. ყოველი საკითხი შეიძლება პოლიტიკურ საკითხად იქცეს, კომენდანტის დანიშვნაც კი. თუ ვინმე სხვანაირ გადაწყვეტას იძლევა, მაშ კეთილინებეთ; ამხანაგებო საპრონოვ, მაქსიმოვსკი, იურენევ, მოგვეცით თქვენი წინადადებანი, ს

ვთქვათ, რომ ორგბიურო თქვენ გამიჯნეთ პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან. მე გეკითხებით, რაღაში უნდა მდგომარეობდეს მაშინ პოლიტიკური ხელმძღვანელობა? ვინ ხელმძღვანელობს, თუ არა ადამიანები, და როგორ ვუხელმძღვანელოთ, თუ არ გავანაწილეთ? განა შეიძლება აიძულოთ ადამიანი, თუ მას უნარი არ შესწევს, გაატაროს გარკვეული დირექტივები? მას აძლევენ გარკვეულ მითითებებს, მისი მუშაობა მოწმდება, ბოლოს, იგი სხვა სამუშაოზე გადაჰყავთ. კიდევ როგორღა ვასწავლოთ ამხანაგებს მაქსიმოვსკის, საპრონოვს და ოსინსკის, რომლებიც თეზისებში დიდი ხნის უარყოფილ თეორიულ შესწორებას სახავენ? ისინი პრაქტიკაში კიდევ უფრო უარეს რამეს ატარებენ და ამტკიცებენ, რომ არავითარი მასალა საქმიანი კრიტიკისათვის არ არსებობს.

მე ერთი საქმიანი მუხლი გავიგონე ამხ. საპრონოვის სიტყვაში და ამ მუხლს ჩავაფრინდი. ამხ. საპრონოვი ამბობს: საბჭოების VII ყრილობამ წერილობითი ბრძანება მოგვცა, ჩვენ კი ამ ბრძანებას ვარღვევთ, რომ დეკრეტი სელის აკრეფის შესახებ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების დარღვევას წარმოადგენსო. მე არ შემიძლია მახსოვდეს იმ დეკრეტების ერთი მეათედი ნაწილიც კი, რომლებსაც ჩვენ ვატარებთ. მაგრამ მე ვიკითხე სახკომსაბჭოს სამდივნოში სელის აკრეფის წესების შესახებ. დეკრეტი 10 თებერვალს გავატარეთ. რა აღმოჩნდა? არც პოლიტბიუროში, არც სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში არ არის არც ერთი ამხანაგი, რომელიც თვითმოქმედების დაცვის სასარგებლოდ არ იყოს განწყობილი. ჩვენ ისინი აქ ვიხილეთ ამ ტრიბუნაზე. ამხანაგებმა იციან, რომ ისინი ძალიან კარგი მოლაპარაკენი არიან. მაშ რატომ არ გაასაჩივრეს ეს დადგენილება? გვაჩვენეთ თქვენი საჩივარი! ასეთი საჩივარი არ ყოფილა 10 თებერვლის შემდეგ. ჩვენ, ამხ. რიკოვის წინადადებითა და ამხ. სერედასთან და სასურსათო სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ვიღებთ ამ დადგენილებას. ჩვენ გვეუბნებიან: «თქვენ შეცდით!». შეიძლება. გაგვისწორეთ. გადაეცით ეს საკითხი

პოლიტბიუროს. ეს იქნება ფორმალური გადაწყვეტა. მოგვეცით ოქმი. თუ ის დაამტკიცებს, რომ ჩვენ დავარღვიეთ ყრილობის დადგენილება, — მაშინ სამართალში უნდა მიგვცეთ. სად არის ეს ბრალდება? ერთი მხრივ, საყვედურები შლიაპნიკოვის გულისათვის. ხოლო, მეორე მხრივ კი, ლაპარაკია იმაზე, რომ დავარღვიეთ გადაწყვეტილება სელის შესახებ. გაისარჯეთ და მოიყვანეთ საბუთები იმის შესახებ, რომ ჩვენ დავარღვიეთ დადგენილება. მაგრამ თქვენ ფაქტები არ მოგყავთ. მთელი თქვენი სიტყვები რჩება სიტყვებად: თვითმოქმედება, დანიშვნობია და ა. შ.. მაშინ რაღა საჭიროა ცენტრალიზმი? განა შევძლებდით თუნდაც ორ თვეს გაძლებას, ჩვენ რომ ორი წლის განმავლობაში დანიშვნა არ გვეწარმოებინა, როდესაც ჩვენ სხვადასხვა ადგილას გადავდიოდით სრული გამოფიტულობიდან და ნგრევიდან ისევ გამარჯვებაზე? იმის გამო, რომ არ მოგწონთ ამხ. შლიაპნიკოვის ან ამხ. იურენევის გამოწვევა, თქვენ ამ სიტყვებს ისვრით ბრბოში, შეუგნებელ მასაში. ამხ. ლუტოვინოვი ამბობს: «საკითხი გადაწყვეტილი არ არისო». საჭიროა გადავწყვიტოთ. თუ ორი სახალხო კომისარი ერთმანეთს არ ეთანხმება ივან ივანეს-ძის შეფასებაში და ერთი ამტკიცებს, რომ აქ პოლიტიკაა, — როგორღა მოვიქცეთ, გვიჩვენეთ საშუალება! თქვენ ფიქრობთ, რომ მოსაწყენი საკითხები მხოლოდ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმშია? მე ვამბობ, რომ არ არის დაწესებულება, სადაც არ იყოს მოსაწყენი საკითხები, და ყველას უხდება საკითხის გარჩევა მარია ივანეს-ასულისა და სიდორ ივანეს-ძის შესახებ. მაგრამ იმის თქმა, რომ პოლიტიკა არაა, არ შეიძლება იმიტომ, რომ პოლიტიკა გადის თვითეულის თავში. ამხ. ლუტოვინოვს ჰქონდა... — არ ვიცი, როგორ ვთქვა, მეშინია არ შევბღალო ამხ. საპრონოვის სათუთი სმენა და ამიტომ მეშინია ვიხმარო პოლემიკური გამოთქმა, — მაგრამ მან თქვა, რომ ამხ. კრესტინსკი განხეთქილებით იმუქრებოდაო. ამის თაობაზე შედგა ბიუროს სხდომა. არსებობს ბიუროს ოქმი, და მე ვთხოვ ყრილობის ყველა წევრს აიღოს ეს ოქმი და წაიკითხოს. ჩვენ ის დასკვნა

გამოვიტანეთ, რომ ამხ. კრესტინსკი სიფიცხემ შეიპყრო, ხოლო თქვენ, ამხ. ლუტოვინოვ და ამხ. ტომსკი, გქონდათ კინკლაობა, რომელსაც ფრიად ცუდი სუნი ასდიოდა. შეიძლება, ჩვენ მართალნი არა ვართ, — გაასწორეთ ჩვენი გადაწყვეტილება, მაგრამ ამგვარად ლაპარაკი არ შეიძლება დოკუმენტების წაუკითხავად, იმის დაუმოწმებლად, რომ იყო სპეციალური სხდომა, რომ საქმე ირჩეოდა ტომსკის, ლუტოვინოვის თანდასწრებით.

მე დამრჩენია კიდევ შეევეხო ორ მუხლს, უწინარეს ყოვლისა, ამხანაგების ბუხარინისა და რადეკის დანიშვნას. ამბობენ, რომ ჩვენ ისინი პოლიტკომებად გავგზავნეთ სრულიად რუსეთის პროფესიული კავშირების ცენტრალურ საბჭოში, და აი აქ ფიქრობენ გაითამაშონ იმით, რომ ირღვევა თვითმოქმედება, ტარდება ბიუროკრატიზმიო. შეიძლება თქვენ იცით რადეკსა და ბუხარინზე უკეთესი თეორეტიკოსები, მაშ, მოგვეცით, იქნებ, თქვენ უკეთესი ადამიანები იცით, რომლებიც იცნობენ პროფესიულ მოძრაობას, მოგვეცით ისინი. როგორ, ცენტრალურ კომიტეტს უფლება არა აქვს პროფესიულ კავშირს დაუმატოს ისეთი ადამიანები, რომლებიც თეორიულად ყველაზე უკეთესად იცნობენ პროფესიულ მოძრაობას, იცნობენ გერმანულ გამოცდილებას და შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ არასწორ ხაზზე? ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ამ ამოცანას არ შეასრულებდა, ვერ შეძლებდა მართვას! რაც უფრო გარშემორტყმული ვართ გლეხებისა და ყუბანის კაზაკების მიერ, მით უფრო ძნელდება ჩვენი პროლეტარული დიქტატურის მდგომარეობა. ამიტომ უნდა გამოვასწოროთ ხაზი და გავხადოთ ის ფოლადისებური, რადაც უნდა დაჯდეს, და ჩვენ ვურჩევთ ამ ხაზს პარტიულ ყრილობას.

ამხ. ბუბნოვმა აქ თქვა, რომ ის მჭიდროდ არის დაკავშირებული უკრაინასთან, და ამით მან გაამჟღავნა თავის შეპასუხებათა ჭეშმარიტი ხასიათი. მან თქვა, რომ ცენტრალური კომიტეტი დამნაშავეა ბოროტბისტების გაძლიერებაშიო. ეს მეტად რთული და დიდი საკითხია, და მე ვფიქრობ, რომ ამ უდიდეს საკითხში, სადაც საჭირო იყო მეტად რთული მანევ-

რირება, ჩვენ გამარჯვებული გამოვედით. როდესაც ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში ვლაპარაკობდით ბოროტბისტებისადმი მაქსიმალური დათმობების შესახებ, ამას დასცინოდნენ, ამბობდნენ, რომ ჩვენ პირდაპირ არ მივდივართ; მაგრამ პირდაპირ ბრძოლა შეიძლება მაშინ, როდესაც მტერს აქვს სწორი ხაზი. რაკი მტერი ზიგზაგებით მოძრაობს და არა სწორი ხაზით, ჩვენ უნდა დავედევნოთ მას და ყოველ მიხვევ-მოხვევის დროს დავიჭიროთ. ჩვენ ბოროტბისტებს დათმობათა მაქსიმუმს დავპირდით, მაგრამ იმ პირობით, რომ ისინი კომუნისტურ პოლიტიკას გაატარებენ. ამ გზით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ჩვენ სულ მცირე შეუწყნარებლობაც კი არ გვახასიათებს. და ეს დათმობანი რომ სავსებით სწორად მოვახდინეთ, იმით მტკიცდება, რომ ბოროტბისტების ყველა საუკეთესო ელემენტი ახლა ჩვენს პარტიაში შემოვიდა. ჩვენ მოვახდინეთ ამ პარტიის ხელახალი რეგისტრაცია და ბოროტბისტების აჯანყების მაგიერ, რომელიც გარდუვალი იყო, ჩვენ ცენტრალური კომიტეტის სწორი, ამხ. რაკოვსკის მიერ დიდებულად გატარებული, ხაზის წყალობით მივიღეთ ის, რომ ყველაფერი საუკეთესო, რაც კი ბოროტბისტების წრეში იყო, ჩვენს პარტიაში შემოვიდა ჩვენი კონტროლის ქვეშ, ჩვენი აღიარებით, დანარჩენი კი გაქრა პოლიტიკური სცენიდან. ეს გამარჯვება ორ კარგ მოგებულ ბრძოლად ღირს. ამიტომ იმაზე ლაპარაკი, რომ ცენტრალური კომიტეტი დამნაშავეა ბოროტბისტების გაძლიერებაში, იმას ნიშნავს, რომ ვერ გაიგოთ პოლიტიკური ხაზი ნაციონალურ საკითხში.

მე შევეხები კიდევ იმ უკანასკნელი ამხანაგის სიტყვას, რომელმაც თქვა, რომ პროგრამიდან საჭიროა ამოვიღოთ ის, რაც ნათქვამია პროფესიულ კავშირებზეო. აი აჩქარებულობის ნიმუში. ჩვენ ასე იოლად არ ვაკეთებთ. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არაფრის ამოღება არაა საჭირო, უნდა განვიხილოთ ბროშურებში, სტატიებში, პრესაში და ა. შ.. პროფესიული კავშირები იქით მიდიან, რომ ხელში აიღონ სამეურნეო ცხოვრება, სახელდობრ მრეწველობა. ლაპარაკი იმაზე, რომ სპეციალისტები არ შევიყვანოთ პროფესიულ კავშირებში,

ცრურწმენაა. პროფესიული კავშირები აღმზრდელებს წარმოადგენენ, და მათ სასტიკად მოეთხოვებათ. ცუდ აღმზრდელს ცენტრალური კომიტეტი ვერ მოითმენს. აღზრდა გრძელი და ძნელი საქმეა. აქ დეკრეტით თავის გართმევა არ შეიძლება, საჭიროა მოთმინებით და მოხერხებით მიდგომა, და ჩვენ სწორედ აქეთ მივდივართ და წავალთ მომავალშიც. საქმე მოითხოვს, რომ ვიყოთ ძალიან ფრთხილნი, მაგრამ მტკიცენი.

---

## 4

## სიტყვა სამეურნეო მშენებლობის შესახებ 31 მარტს

ამხანაგებო, უწინარეს ყოვლისა ორი პატარა შენიშვნა. ამხ. საპრონოვი განაგრძობდა საყვედურს, რომ მე გულმავიწყი ვარ, მაგრამ საკითხი, რომელიც მან აღძრა, მაინც ვერ ახსნა. იგი განაგრძობდა დარწმუნებას, რომ დეკრეტი სელის დამზადების შესახებ წარმოადგენს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების დარღვევას. მე ვაცხადებ, რომ არ შეიძლება პარტიულ ყრილობაზე ლიტონი სიტყვებით ბრალდებათა წამოყენება, და ისიც ძალიან სერიოზული ბრალდებებისა. რასაკვირველია, სახკომსაბჭოს რომ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება დაერღვია, მაშინ ის სამართალში იქნებოდა მისაცემი. მაგრამ 10 თებერვლიდან დღემდე რატომ არ შემოსულა რაიმე საჩივარი იმაზე, რომ ეს დეკრეტი დარღვევაა? ჩვენ გვიყენებენ სრულიად უსაფუძვლო ბრალდებას, რომლის წამოსროლა ძალიან ადვილია, მაგრამ ბრძოლის ასეთი ხერხები სრულიად არაა სერიოზული.

ამხ. მილიუტინი ამბობს, რომ ჩვენ შორის თითქმის არაა უთანხმოება, და ამიტომ გამოდის იმის მსგავსი რამ, თითქოს ლენინი წინააღმდეგია ჩხუბის და თვითონვე აღვივებს ამ ჩხუბს. მაგრამ ამხ. მილიუტინი რამდენადმე ამახინჯებს, რასაც ის არ უნდა აკეთებდეს. ჩვენ გვქონდა რეზოლუციის პირველი პროექტი, ამხ. ტროცკის მიერ მოსახული, შემდეგ კოლეგიალურად ცენტრალურ კომიტეტში გადაკეთებული. ჩვენ ეს

პროექტი გავუგზავნეთ ამხანაგებს მილიუტინსა და რიკოვს. მათ იგი დაგვიბრუნეს და გვითხრეს, რომ ისინი ამ პროექტის წინააღმდეგ იბრძოლებენ. აი როგორ იყო ნამდვილად. მას შემდეგ, რაც ჩვენ აგიტაცია გავაჩაღეთ და მოკავშირეები მივიღეთ, მათ ყრილობაზე ყოველმხრივი ოპოზიცია შეადგინეს, მაგრამ რაკი დაინახეს, რომ არაფერი გამოუვიდათ, მხოლოდ მაშინღა იწყეს ლაპარაკი, რომ ისინი თითქმის თანახმა არიან. რასაკვირველია, ეს ასეა, მაგრამ საქმე ბოლომდე უნდა მივიდეს და დადგინდეს, რომ თქვენი თანხმობა ნიშნავს თქვენს სრულ მარცხს, მას შემდეგ, რაც აქ ოპოზიცია გამოვიდა და სცადა კოლეგიალობის ირგვლივ დარაზმულიყვნენ. როცა ამხ. მილიუტინის დრო მიიწურა, მხოლოდ 15 წუთის შემდეგღა გაახსენდა მას, რომ კარგი იქნებოდა, თუ საკითხი საქმიანად იქნებოდა დაყენებული. სრულიად სწორია. მაგრამ ვშიშობ, რომ დაგვიანებულია; თუმცა კიდევ დარჩა ამხ. რიკოვის საბოლოო სიტყვა, მაგრამ ოპოზიციის ხსნა არ შეიძლება. კოლეგიალობის დამცველებს რომ ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში გაეკეთებინათ ის, რისკენაც ისინი მოუწოდებენ, ერთი მაგალითი მაინც რომ მოეცათ, არა იმის მსგავსი, რომ არის ერთი დირექტორი და არის ერთი თანაშემწეო, არამედ მოეცათ ანკეტა საკითხის ზუსტი გამოკვლევით, კოლეგიალობის ერთპიროვნულობასთან შედარებით, როგორც ეს იყო დადგენილი სახალხო მეურნეობის საბჭოების ყრილობაზე და ცენტრალურ კომიტეტში, მაშინ ჩვენ ბევრად უფრო ჭკვიანი ვიქნებოდით, მაშინ ჩვენ ყრილობაზე მივიღებდით არა პრინციპულ ლაპარაკს, რომელიც შეუსაბამოა, მაშინ კოლეგიალობის მომხრეები შეძლებდნენ საქმისათვის მსვლელობა მიეცათ. მათი პოზიცია ძლიერი იქნებოდა, თუ კი ისინი მართლაც შეძლებდნენ დაესახელებინათ თუნდაც 10 ფაბრიკა, ერთნაირ პირობებში ჩაყენებული, რომელთაც კოლეგიალობის პრინციპის მიხედვით მართავენ, და შეადარებდნენ მათ საქმიანი წესით საქმის დაყენებასთან იმ ფაბრიკებში, რომლებსაც ერთპიროვნულად მართავენ. ასეთი მოხსენებისათვის ყოველ მომხსენებელს შეიძლება მიეცეს საათი, და ასეთი მომხსენე-

ბელი ჩვენ ძალიან შორს წაგვწევდა წინ; ჩვენ შეიძლება დაგვედგინა პრაქტიკული გრადაციები კოლეგიალობის ამ ნიადაგზე. მაგრამ მთელი საქმე ისაა, რომ არც ერთ მათგანს, თუმცა მათ უნდა ჰქონოდათ პრაქტიკული მასალა, — როგორც სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაკებს, ისე პროფესიონალისტებს, — არაფერი მოუცია, იმიტომ, რომ არაფერი ჰქონდათ. მათ არა გააჩნიათ რა!

აქ ამხ. რიკოვმა სიტყვა შემიბრუნა, ვითომ მე საფრანგეთის რევოლუციის გადაკეთება მინდოდეს, ვითომ მე უარვყოფდე, რომ ბურჟუაზია ფეოდალურ წყობილებას შეეზარდა. მე ეს არ მითქვამს. მე ვამბობდი, რომ, როდესაც ბურჟუაზია ფეოდალურ წყობილებას სცვლიდა, ბურჟუაზია ფეოდალებს იყვანდა და მათგან მართვა-გამგეობას სწავლობდა, ეს კი სრულიად არ ეწინააღმდეგება ბურჟუაზიის შეზრდას ფეოდალურ წყობილებაში. ხოლო ჩემი ის დებულებები, რომ მუშათა კლასი ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ თავისი პრინციპების განხორციელებას იწყებს, აბსოლუტურად არავის არ უარუყვია. ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ მუშათა კლასი ფლობს, იცავს და განამტკიცებს ხელისუფლებას, როგორც ყოველი კლასი, საკუთრებისადმი დამოკიდებულების შეცვლით და ახალი კონსტიტუციით. ესაა ჩემი პირველი ძირითადი დებულება, რომელიც უდავოა! მეორე დებულება ისაა, რომ ყოველი ახალი კლასი სწავლობს წინა კლასისაგან და მართვა-გამგეობის წარმომადგენლებს იყვანს ძველი კლასიდან — ესეც აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. დასასრულ, ჩემი მესამე დებულება ისაა, რომ მუშათა კლასმა უნდა გაადიდოს ადმინისტრატორების რიცხვი თავისი წრიდან, შექმნას სკოლები, მოამზადოს მუშაკების კადრები სახელმწიფოებრივი მასშტაბით. ეს სამი დებულება უდავოა და ძირეულად ეწინააღმდეგება პროფკავშირების თეზისებს.

მე ვუთხარი ამხ. ტომსკის ფრაქციაში, როდესაც მათ თეზისებს ვარჩევდით, როდესაც მე და ამხ. ბუხარინი დავმარცხდით, მე ვუთხარი, რომ თქვენს თეზისებში მე-7 პუნქტი

სრული თეორიული არევ-დარევის კვალად დარჩება-მეთქი. მასში ნათქვამია:

«მრეწველობის რეგულირებისა და მართვა-გამგეობის ორგანოების აგებულებაში ძირითადი პრინციპი, რომელსაც ერთადერთს შეუძლია უზრუნველყოს მუშათა ფართო არაპარტიული მასების მონაწილეობა პროფკავშირების საშუალებით, არის ამჟამად არსებული პრინციპი მრეწველობის კოლეგიალური მართვა-გამგეობისა, დაწყებული სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმით და გათავებული ქარხნის მმართველობით. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სრულიად რუსეთის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმების ან სათანადო კავშირების ცენტრალური კომიტეტების ურთიერთ შეთანხმებით, უნდა დავუშვათ ცალკეული საწარმოების ერთპიროვნული მმართველობა იმ აუცილებელი პირობით, რომ ერთპიროვნულ ადმინისტრატორებს კონტროლი გაეწევათ პროფკავშირებისა და მათი ორგანოების მხრივ».

ეს თავიდან ბოლომდე ჩმახია, იმიტომ რომ მუშათა კლასის როლი სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობაში, საშუალებათა შეფარდება, — ყველაფერი არეულია! ასეთ რამესთან შერიგება არ შეიძლება. ასეთი რამეები თეორიულად უკან გვეწევიან. იგივე შეიძლება ითქვას ამხანაგების საპრონოვის, მაქსიმოვსკის და ოსინსკის დემოკრატიული ცენტრალიზმის შესახებ. ამხ. ოსინსკი ამას ივიწყებს და იმ აზრს აყენებს, რომ მე დემოკრატიულ ცენტრალიზმს სისულელეს ვუწოდებ. არ შეიძლება ასე დამახინჯება! რა შუაშია აქ დანიშვნის, ადგილობრივ ორგანიზაციებში გატარების საკითხი? შეიძლება გავატაროთ კოლეგიებშიც და შეიძლება აგრეთვე კოლეგიების დანიშვნაც. სრულიად უადგილოდ მიტმასნილი საკითხია! ამბობენ, რომ დემოკრატიული ცენტრალიზმი მარტო ის კი არ არის, რომ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მართავს, არამედ ის, რომ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მართავს ადგილობრივი ორგანიზაციების საშუალებით. რა შუაშია აქ კოლეგიალობა თუ ერთპიროვნულობა?

ამხ. ტროცკიმ მოიგონა 1918 წლის თავისი მოხსენება, წაიკითხა მაშინ წარმოთქმული თავისი სიტყვა და აღნიშნა,

რომ მაშინ ჩვენ არათუ ვდავობდით ძირითად საკითხებზე, არამედ მიღებულიც იყო სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გარკვეული გადაწყვეტილება. მოვძებნე ჩემი ძველი ბროშურა «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები», რომელიც სრულიად დავიწყებული მქონდა, და ვხედავ, რომ საკითხი ერთპიროვნულობის შესახებ არათუ დასმული, არამედ მოწონებულიც იყო სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თეზისებში. ჩვენ ისე ვმუშაობთ, რომ ვივიწყებთ არა მარტო იმას, რასაც ვწერთ, არამედ იმასაც, რაც დადგენილია სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, და მერე ვიმოწმებთ დადგენილებას. აი ამონაწერები ბროშურიდან:

«წვრილბურჟუაზიული თავაშვებულობის შეგნებულ (უფრო მეტწილად კი, ალბათ, შეუგნებელ) წარმომადგენლებს სურდათ ცალკე პირებისათვის «განუსაზღვრელ» (ე. ი. დიქტატორულ) რწმუნებათა მინიჭებაში დაენახათ კოლეგიალობის საწყისიდან, დემოკრატიზმიდან და საბჭოთა ხელისუფლების სხვა პრინციპებიდან უკანდახევა. დიქტატორობის შესახებ მიღებული დეკრეტის[97] წინააღმდეგ მემარცხენე ესერებს შორის აქა-იქ წარმოებდა პირდაპირ ხულიგნური, ე. ი. ისეთი აგიტაცია, რომელსაც მიზნად ჰქონდა მდაბალი ინსტინქტებისა და «წაგლეჯის», წვრილმესაკუთრული მისწრაფების გაღვიძება»... «ყოველი მსხვილი მანქანური ინდუსტრია — ე. ი. სოციალიზმის სწორედ მატერიალური, საწარმოო წყარო და საძირკველი — მოითხოვს ასობით, ათასობით და ათიათასობით ადამიანთა შეერთებული მუშაობის წარმმართველი ნებისყოფის უეჭველსა და უსასტიკეს ერთიანობას. ტექნიკურადაც, ეკონომიურადაც, ისტორიულადაც ეს აუცილებლობა აშკარაა, ყველა, ვისაც კი სოციალიზმზე უფიქრია, ყოველთვის აღიარებდა მას, როგორც სოციალიზმის პირობას», — მხოლოდ ასე «შეიძლება ნებისყოფის უსასტიკესი ერთიანობის უზრუნველყოფა»...

«მაგრამ, ასეა თუ ისე, მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ტიპის მიხედვით მოწყობილი მუშაობის პროცესთა წარმატებისათვის ერთიანი ნებისყოფისადმი სიტყვაშეუბრუნებელი დამორჩილება უეჭველად აუცილებელია. ეს ორჯერ და სამჯერ უფრო აუცილებელია რკინიგზებისათვის».

«და მთელი ჩვენი ამოცანა, ამოცანა კომუნისტების (ბოლშევიკების) პარტიისა, რომელიც შეგნებული გამომხატველია ექსპლოატირებულთა მისწრაფებისა განთავისუფლებისადმი,— ის არის, რომ შევიგნოთ ეს გარდატეხა, გავიგოთ მისი აუცილებლობა, სათავეში ჩავუდგეთ მასას, რომელიც ღონემიხდილია და დაქანცული ეძებს გამოსავალს, წავიყვანოთ იგი სწორი გზით, შრომითი დისციპლინის გზით, ისეთი გზით, რომ მუშაობის პირობების **შესახებ** მიტინგობიას ამოცანები შევათანხმოთ მუშაობის **დროს** საბჭოთა ხელმძღვანელის, დიქტატორის, ნებისყოფისადმი სიტყვაშეუბრუნებელი დამორჩილების ამოცანებთან...»

«საჭირო იყო მშრომელთა სწორედ ოქტომბრის გამარჯვება ექსპლოატატორებზე, საჭირო იყო თვითონ მშრომელთა მიერ ცხოვრების ახალი პირობებისა და ახალი ამოცანების თავდაპირველი განხილვის მთელი ისტორიული ხანა იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მტკიცე გადასვლა შრომის დისციპლინის უმაღლეს ფორმებზე, პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობის იდეის შეგნებულ შეთვისებაზე, მუშაობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთპიროვნული განკარგულებებისადმი სიტყვაშეუბრუნებელ დამორჩილებაზე»...

«უნდა ვისწავლოთ მშრომელთა მასების ქარიშხლიანი, გაზაფხულის ნიაღვარივით მოვარდნილი, ყოველგვარ კალაპოტს გადაცილებული, მიტინგური დემოკრატიზმის შეერთება რკინის დისციპლინასთან შრომის დროს, ერთი პირის, საბჭოთა ხელმძღვანელის ნებისყოფისადმი სიტყვაშეუბრუნებელ დამორჩილებასთან შრომის დროს».

1918 წლის 29 აპრილს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც

გამოთქმულია ამ მოხსენებაში გადმოცემული ძირითადი დებულებების სრული მოწონება, და დაავალა თავის პრეზიდიუმს, რომ ძირითადი დებულებები ჩამოეყალიბებინა თეზისების სახით, როგორც საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ამოცანები. ამრიგად, ჩვენ ვიმეორებთ იმას, რაც ორი წლის წინათ მოწონებული იყო სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ოფიციალურ რეზოლუციაში! და ახლა უკან გვეწევიან დიდი ხნის გადაწყვეტილ საკითხში, იმ საკითხში, რომელიც სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებულია და განმარტებული, სახელდობრ ის, რომ საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ერთპიროვნულობასა და დიქტატურას, რომ კლასის ნებას ხანდახან ახორციელებს დიქტატორი, რომელიც ზოგჯერ მარტო უფრო მეტის გამკეთებელია და ხშირად უფრო აუცილებელიც. ყოველ შემთხვევაში, პრინციპული დამოკიდებულება კოლეგიალობისადმი, ერთპიროვნულობისადმი არათუ დიდი ხანია გარკვეულია, არამედ დამტკიცებულიცაა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. ამ მხრივ ჩვენი ყრილობა ადასტურებს საკუთარო ჭეშმარიტებას,—ნაცვლად იმისა, რომ წინ მივდიოდეთ პრინციპული საკითხების განმარტებიდან კონკრეტული საკითხებისაკენ, ჩვენ წინ ვმოძრაობთ კიბოს მსგავსად. თუ ჩვენ ამ შეცდომას თავიდან არ მოვიშორებთ, სამეურნეო ამოცანას ვერ გადავწყვეტთ.

მე მინდოდა კიდევ ორიოდე სიტყვა მეთქვა ამხ. რიკოვის ზოგიერთი შენიშვნის გამო. ის ამტკიცებს, რომ სახკომსაბჭო აფერხებს ეკონომიური კომისარიატების გაერთიანებასო, და როდესაც ამბობენ, რომ ამხ. რიკოვს სურს შეჭამოს ამხ. ციურუპა, ის უპასუხებს: «მე წინააღმდეგი არა ვარ, რომ ციურუპამ მე შემჭამოს, ოღონდ კი გაერთიანებულ იქნეს ეკონომიური კომისარიატებიო». მე ვიცი, საით მივყავართ ამას, და უნდა ვთქვა, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ცდა — მოეწყოს ეკონომიური კომისარიატების რაღაც ცალკე ბლოკში თავდაცვის საბჭოსა და სახკომსაბჭოს გარეშე, შეუმჩნეველი არ

დარჩა ცენტრალურ კომიტეტს და მან უარყოფითი დამოკიდებულებაც გამოიწვია. ახლა თავდაცვის საბჭო გადარქმეულია შრომისა და თავდაცვის საბჭოდ. თქვენ გინდათ გამოეყოთ სამხედრო კომისარიატს, რომელიც საუკეთესო ძალებს წირავს ომს, რომელიც ისეთი დაწესებულებაა, ურომლისოდაც თქვენ შრომის ბეგარის გატარებაც არ შეგიძლიათ, ჩვენ კი შრომის ბეგარას ვერ გავატარებთ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დაუხმარებლად. თუ კი ავიღებთ ფოსტას, ჩვენ წერილების გაგზავნას ვერ შევძლებთ ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის გარეშე. აიღეთ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი. როგორ გაატარებთ ეკონომიკას, როდესაც 70% პარტახტიანი ტიფითაა დაავადებული? გამოდის, რომ ყველა საქმე უნდა შევათანხმოთ და გამოვყოთ ეკონომიურ კომისარიატში. ეს ხომ ყოვლად შეუსაბამო გეგმაა! ამხ. რიკოვს არ გააჩნდა სერიოზული საფუძველი! ამიტომ ებრძოდნენ ამას, და ცენტრალური კომიტეტიც მხარს არ უჭერდა.

შემდეგ ამხ. რიკოვი ხუმრობდა ამხ. გოლცმანთან ბლოკის შესახებ, რომელიც ამხ. ტროცკის ესახება. მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა იმის შესახებ, რომ ყოველთვის საჭიროა ბლოკი იმ პარტიულ ჯგუფებს შორის, რომელნიც მართალნი არიან. ეს ყოველთვის სავალდებულო პირობა უნდა იყოს სწორი პოლიტიკისათვის. თუ ამხ. გოლცმანი, რომელსაც მე, სამწუხაროდ, ნაკლებად ვიცნობ, მაგრამ რომლის შესახებაც გამიგონია, რომ იგი მელითონეთა შორის წარმომადგენელია იმ მიმდინარეობისა, რომელიც განსაკუთრებული დაჟინებით იცავს გონივრული მეთოდების გამოყენებას, — რაც ჩემს თეზისებშიაც არის ხაზგასმული, — თუ ის ამ თვალსაზრისით იცავს ერთპიროვნულობას, ეს, რასაკვირველია, შეიძლება მხოლოდ უაღრესად სასარგებლო იყოს. ამ მიმდინარეობასთან ბლოკი მეტისმეტად სასარგებლო იქნებოდა. თუ ცენტრალურ კომიტეტში გაძლიერდება პროფესიული კავშირების წარმომადგენლობა, მაშინ სასარგებლო იქნება ამ მიმდინარეობის წარმომადგენლებიც გვყავდეს მასში, მიმდინარეობისა, რომელიც შეიძლება ზოგ რამეში სწორი

არაა, მაგრამ სამაგიეროდ ორიგინალურია და გარკვეული ელფერი აქვს, გვყავდეს მასში ისინი კოლეგიალობის იმ უკიდურესი წარმომადგენლების გვერდით, რომლებიც დემოკრატიზმის სახელით იბრძვიან და ცდებიან. დაე ერთნიც და მეორენიც წარმოდგენილნი იყვნენ ცენტრალურ კომიტეტში—და ბლოკიც იქნება. დაე ისე იყოს ცენტრალური კომიტეტი შედგენილი, რომ ბლოკის საშუალებით შეიძლებოდეს სამოქმედო ასპარეზის მონახვა მთელი წლის მანძილზე და არა მარტო პარტიული ყრილობის ერთი კვირის განმავლობაში. ჩვენ მუდამ უარს ვამბობდით საოლქო წარმომადგენლობის პრინციპზე, რადგან მასში ბევრი საოლქო ნათლიმამობაა. როდესაც საჭიროა პროფესიულ კავშირებთან მჭიდროდ შეერთება, მაშინ პროფესიული კავშირების ყოველ ელფერს თვალყური უნდა ვადევნოთ, კავშირი უნდა გვქონდეს, — აუცილებელია, რომ ცენტრალური კომიტეტი შედგენილი იყოს ისე, რომ პროფესიული კავშირების ფართო მასებთან (ჩვენ პარტიის 600 000 წევრი და პროფესიული კავშირების 3 000 000 წევრი გვყავს) გაბმული იყოს ღვედი, რომელიც ცენტრალურ კომიტეტს ერთსა და იმავე დროს დააკავშირებდა პარტიის 600 000 წევრისა და პროფესიული კავშირების 3 000 000 წევრის ერთიან ნებასთან. ამ ღვედის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ მართვა-გამგეობას. რაც უფრო ვიპყრობდით ციმბირს, ყუბანსა და უკრაინას მათი გლეხური მოსახლეობით, მით უფრო ძნელი ხდებოდა ამოცანა, მით უფრო მძიმედ მიდის მანქანა, იმიტომ რომ პროლეტარიატი ციმბირში მცირერიცხოვანია, ხოლო უკრაინაში იგი სუსტია. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დონეცისა და ნიკოლაევსკის მუშებმა პირდაპირ უკუაგდეს ნახევრად დემაგოგიური კოლეგიალობის დაცვა, რაშიც ამხ. საპრონოვი ვარდებოდა. უეჭველია, რომ პროლეტარული ელემენტი უკრაინაში სხვანაირია, ვიდრე პეტროგრადში, მოსკოვსა და ივანოვო-ვოზნესენსკში, და არა იმიტომ, რომ ის ცუდია, არამედ წმინდა ისტორიულ მოვლენათა გამო. იგი არ გამოწრთობილა შიმშილსა, სიცივესა და ბრძოლაში ისე, როგორც ეს მოსკოვისა და პიტერის პროლეტარებს მოუხდათ. ამიტომ

საჭიროა ისეთი კავშირი პროფესიულ კავშირებთან, ცენტრალური კომიტეტის ისეთი ორგანიზაცია, რომ მან იცოდეს ყოველი ელფერი არა მარტო პარტიის 600 000 წევრისა, არამედ პროფესიული კავშირების 3 000 000 წევრისაც, რათა მან შეძლოს ყოველ მომენტში გაიყოლიოს ყველანი, როგორც ერთი კაცი! ასეთი ორგანიზაცია აუცილებელია! ეს ძირითადი, პოლიტიკური ინტერესია, ურომლისოდაც პროლეტარიატის დიქტატურა ვერ იქნება დიქტატურა. თუ ბლოკია, ბლოკი იყოს! მას კი არ უნდა შევუშინდეთ, არამედ მივესალმოთ და განვახორციელოთ იგი მტკიცედ და ფართოდ პარტიის თვით ცენტრალურ დაწესებულებებში!

---

5

## სიტყვა კოოპერაციის შესახებ[98] 3 აპრილს

მხოლოდ გუშინ საღამოს და დღეს მოვახერხე ნაწილობრივ გავცნობოდი ორივე რეზოლუციას. მე ვფიქრობ, რომ კომისიის უმცირესობის რეზოლუცია უფრო სწორია. ამხ. მილიუტინი თავს დაესხა მას, საშინელი სიტყვების დიდი მარაგით შეიარაღებული, აღმოაჩინა მასში ნახევრულობაც და ნახევარნახევრულობაც კი, ოპორტუნიზმს აბრალებდა მას. მაგრამ მე მგონია, რომ ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც იგი წარმოუდგენიათ. თუ არსებითად გავსინჯავთ, სწორედ საბუთები მილიუტინისა, რომელიც ცდილობდა საქმე პრინციპულ პოზიციაზე დაეყენებინა, ამეღავნებენ სწორედ პრაქტიკული, საქმიანი და მარქსისტული თვალსაზრისით იმ რეზოლუციის უმართებულობასა და უვარგისობას, რომელსაც იცავდა ამხ. მილიუტინი. ეს უმართებულობა შემდეგში მდგომარეობს: მილიუტინი მიუთითებდა, რომ მის რეზოლუციაში, კომისიის უმრავლესობის რეზოლუციაში, ლაპარაკია სათემო აღმასკომთან შეერთებაზე, სათემო აღმასკომისადმი დაქვემდებარებაზე, და ამაში ის ხედავს მისი რეზოლუციის პირდაპირობასა და გაბედულობას უმცირესობის რეზოლუციის არასაკმაო რევოლუციურობასთან შედარებით. ჩვენ უკვე დავინახეთ ჩვენი რევოლუციური კამპანიის ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რომ როდესაც ჩვენი რევოლუციური მოქმედება მომზადებული იყო, იგი წარმატებით გვირგვინდებოდა ხოლმე; როდესაც

იგი მხოლოდ რევოლუციური აღტყინებით იყო გამსჭვალული, კრახით მთავრდებოდა.

რას ამბობს კომისიის უმცირესობის რეზოლუცია? უმცირესობის რეზოლუცია ამბობს: ყურადღება მიაპყარ იმას, რომ სამომხმარებლო საზოგადოებებში გაძლიერდეს კომუნისტური მუშაობა და უმრავლესობა მოვიპოვოთ მათში, მოამზადე ის ორგანოები, რომლებსაც შენ გსურს გადასცე და შემდეგაც გადასცემ. შეადარეთ ამას ის ხაზი, რომელსაც მილიუტინი ატარებს. ის ამბობს: კოოპერაცია ცუდია, ამიტომ გადაეცით ის სათემო აღმასკომებსო. მაგრამ გაქვთ კი კომუნისტური ბაზა ამ კოოპერაციაში, რომელიც გინდათ გადასცეთ? საქმის არსს — მომზადებას — გვერდს უვლიან, იძლევიან მხოლოდ უკანასკნელ ლოზუნგს. თუ ეს კომუნისტური მუშაობა მომზადებულია და შექმნილია ის ორგანოები, რომლებსაც შეუძლიათ აიღონ და გაუძღვენ მას, მაშინ გადაცემა გასაგებია, მაშინ ეს პარტიის ყრილობაზე გამოსაცხადებელი არცაა. მაგრამ თქვენ განა ნაკლებ მოგიღერებიათ ხელი გლეხების მიმართ! განა იმავე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ნაკლებ მოუღერებია ხელი გლეხობისა და კოოპერაციისათვის სელის დამზადების საქმეში! თუ თქვენ გაიხსენებთ ჩვენი ადგილობრივი და სახკომსაბჭოს მუშაობის საქმიან გამოცდილებას, მაშინ იტყვით, რომ ეს არ არის საქმისადმი სწორი მიდგომა, და სწორია ის რეზოლუცია, რომელიც ამბობს, რომ აუცილებელია კომუნისტური აღმზრდელობითი მუშაობა და მუშაკთა კადრის მომზადება, უამისოდ გადაცემა შეუძლებელია.

მეორე ძირითადი საკითხია სამომხმარებლო კოოპერაციასთან კავშირი. აქ ამხ. მილიუტინი იჩენს მეტისმეტ არათანმიმდევრობას. თუ სამომხმარებლო კოოპერაცია არ ასრულებს ყველა დავალებას, ე. ი. იმას, რაზეც ლაპარაკი იყო ორი წლის განმავლობაში მთელ რიგ დეკრეტებში, რომლებიც მიმართული იყო კულაკის წინააღმდეგ, მაშინ უნდა გავიხსენოთ, რომ ხელისუფლების ის საშუალებები, რომლებიც ჩვენ კულაკის წინააღმდეგ გვაქვს, სამომხმარებლო კოოპერაციის წინააღ-

მდეგაც არის მოცემული. ეს ტარდება კიდევაც სრული ზომით. ამჟამად ყველაზე მთავარია — გავზარდოთ პროდუქტების წარმოება და რაოდენობა. თუ სამომხმარებლო კოოპერაცია ვერ მოასწრებს ამის შესრულებას, მაშინ იგი დაისჯება ამის გამო. თუ კი იგი, საწარმოო კოოპერაციასთან დაკავშირებული, მოგვცემს პროდუქტების თუნდაც მცირე გადიდებას, მაშინ მას უნდა მივესალმოთ და განვავითაროთ მისი ინიციატივა. თუ სამომხმარებლო კოოპერაცია, მიუხედავად წარმოებასთან უფრო მჭიდრო ადგილობრივი ცოცხალი კავშირისა, ვერ მოგვცემს პროდუქტების გადიდებას, — ეს იმას ნიშნავს, რომ მან ვერ შეასრულა საბჭოთა ხელისუფლების პირდაპირი ამოცანა. თუ კი მაზრაში ორი-სამი ენერგიული ამხანაგი მაინც არის, რომლებიც მზად არიან ებრძოლონ კულაკებსა და ბურჟუაზიას, მაშინ საქმე მოგებულია. სად იყო შევიწროებული ამხ. ჩუჩინის ინიციატივა? მას ერთი მაგალითიც არ მოუყვანია. მაგრამ აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა საწარმოო კოოპერაცია დავაკავშიროთ სამომხმარებლო კოოპერაციასთან და ყოველგვარ დათმობას დავთანხმდეთ, ოღონდ კი გავზარდოთ პროდუქტების რაოდენობა ახლო მომავალში, ეს აზრი გამომდინარეობს ჩვენი ორწლიანი გამოცდილებიდან. ის სულაც არ ზღუდავს არც კომუნისტ, არც საბჭოთა მუშაკებს კოოპერაციის კულაკური, ბურჟუაზიული ტიპის წინააღმდეგ ბრძოლაში. ის არათუ არ ზღუდავს, პირიქით, იგი ახალ იარაღს აძლევს მათ ხელთ. თუ შენ შეგიძლია რაიმეს ორგანიზება, პრემიას მოგცემთ, მაგრამ თუ შენ ამ დავალებას არ შეასრულებ, მაშინ ჩვენ დაგცხებთ არა მარტო იმიტომ, რომ შენ კონტრრევოლუციური ხარ, ამისთვის არსებობს საგანგებო კომისია, როგორც აქ სწორად განაცხადეს: არა, ჩვენ დაგცხებთ იმიტომ, რომ შენ არ ასრულებ სახელმწიფო ხელისუფლების, საბჭოთა ხელისუფლების, და პროლეტარიატის დავალებას.

სამომხმარებლო კოოპერაციების გაერთიანების წინააღმდეგ ამხ. მილიუტინმა ვერ მოიყვანა ვერც ერთი საქმიანი საბუთი, — მხოლოდ აღნიშნა, რომ მას ეს ოპორტუნიზმი ან

ნახევრულობა ჰგონია. უცნაურია ამის მოსმენა ამხ. მილიუ-ტინისაგან, რომელიც ამხ. რიკოვთან ერთად აპირებდა დიდი ნაბიჯების გადადგმას და დარწმუნდა, რომ ერთი მეათედი ნაბიჯის გადადგმაც არ შეუძლია. ამ მხრივ კავშირი სამო-მხმარებლო კოოპერაციასთან — პლუსია, იგი შესაძლებლობას იძლევა ახლავე მოვკიდოთ ხელი წარმოებას. პოლიტიკურ მუშაობაში ჩარევის წინააღმდეგ ყველა საშუალება გეძლე-ვათ, ხოლო საწარმოო და სამეურნეო მხრივ დამორჩილება მთლიანად დამოკიდებულია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბ-ჭოსაგან. ყველა ეს საშუალება თქვენ გაქვთ იმდენად, რამდე-ნადაც შეგიძლიათ კონტროლი გაუწიოთ კოოპერაციას.

ახლა ჩვენ მივადექით მესამე საკითხს, გასახელმწიფოებ-რივების საკითხს, რომელსაც მილიუტინი ისე იცავდა, რომ უცნაური იყო მისი მოსმენა. შეიქმნა კომისია, და ამხ. კრეს-ტინსკი კომისიაში უმცირესობაში დარჩა, ხოლო ამხ. მილიუ-ტინი გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ ახლა ის ამბობს: «გა-სახელმწიფოებრივების თაობაზე მე თანახმა ვარ ალარ ვი-დავო». მაშ კომისია რად დავობდა? თუ თქვენ ისე უყურებთ, როგორც უყურებს ამხ. ჩუჩინი, მაშინ თქვენ არ ხართ მარ-თალი, როდესაც უარს ამბობთ გასახელმწიფოებრივებაზე. აქ ამბობდნენ: თუ კაპიტალისტების ნაციონალიზაცია მოვახდი-ნეთ, რატომ არ შეიძლება მოვახდინოთ კულაკების ნაციონალი-ზაცია? მაგრამ ამ საბუთს აქ ტყუილად როდი შეხვდნენ მხია-რული ხმაურით. მართლაც, როგორც არ უნდა თვალოთ შეძ-ლებული გლეხები, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატა-ციის გაუწევლად ოოლად ვერ მიდიან, ისინი ნახევარ მილიონ-ზე ნაკლები არ არიან, ხოლო, შესაძლებელია, ისინი დაახ-ლოებით მილიონსაც კი აღწევდნენ, როგორ უნდა შევძლოთ ჩვენ მათი ნაციონალიზაცია? ეს ფანტაზიაა. საამისოდ ჩვენ ახლა ძალა არა გვაქვს.

ამხ. ჩუჩინი სავსებით მართალია, როდესაც ამბობს, რომ კოოპერაციაში მთელი რიგი კონტრრევოლუციონერები სხე-დანო, მაგრამ ეს სულ სხვა საკითხს ეკუთვნის. აქ სამართლი-

ანად თქვეს საგანგებო კომისიაზე. თუ თქვენი სიბეცის გამო არ შეგიძლიათ ამხილოთ კოოპერაციის ცალკეული წინამძღოლები, მაშინ დასვით იქ ერთი კომუნისტი, რომ მან გამოააშკარაოს ეს კონტრრევოლუცია, და თუ ის კარგი კომუნისტია, კარგი კომუნისტი კი იმავე დროს კარგი ჩეკისტიცაა, მაშინ მან, სამომხმარებლო საზოგადოებაში დაყენებულმა, ორი კოოპერატორი — კონტრრევოლუციონერი მაინც უნდა გამოათრიოს.

აი რატომ არ არის მართალი ამხ. ჩუჩინი, როდესაც დაუყოვნებლივ გასახელმწიფოებრივებას ქადაგებს. ეს კარგი იქნებოდა, მაგრამ შეუძლებელია იმის გამო, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ კლასთან, რომელიც ჩვენთვის ნაკლებ ხელმისაწვდომია და არავითარ შემთხვევაში არ ემორჩილება ნაციონალიზაციას. სამრეწველო საწარმოთაგანაც ყველას ნაციონალიზაცია არ მოგვიხდენია. სანამ მთავარი კომიტეტებისა და ცენტრების სახელით გაგზავნილი ბრძანება ადგილზე მიაღწევდეს, იგი სრულიად ძალას კარგავს: სრულიად ინთქმება ან ქაღალდების ზღვაში, ან უგზოობის, უტელეგრაფობისა და სხვათა გამო. ამიტომ ამჟამად კოოპერაციის ნაციონალიზაციაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ამხ. მილიუტინი მართალი არ არის პრინციპულადაც: ის გრძნობს, რომ სუსტია, და ფიქრობს, რომ შეიძლება უბრალოდ მოიხსნას ეს მუხლი. მაგრამ მაშინ თქვენ, ამხ. მილიუტინ, ჰკვეცავთ თქვენს რეზოლუციას, მაშინ თქვენ იძლევით მოწმობას, რომ მართალია უმცირესობის რეზოლუცია, იმიტომ რომ თქვენი რეზოლუციის სულისკვეთება — სათემო აღმასკომისადმი დამორჩილება (პირველ მუხლში სწორედ ასეც არის ნათქვამი—«მიღებულ იქნეს ზომები»)— ჩეკისტური სულისკვეთებაა, უმართებულოდ შეტანილი სამეურნეო საკითხში. მეორე რეზოლუცია ამბობს, რომ პირველ რიგში უნდა გაიზარდოს კომუნისტების რიცხვი, გაძლიერდეს კომუნისტური პროპაგანდა და აგიტაცია, რომ უნდა შევქმნათ ბაზისი. აქ განსაკუთრებული რამ არაფერია, არ გვპირდებიან ერთბაშად რძის მდინარეებსა და თაფლის ნაპირებს.

მაგრამ თუ ადგილებზე არიან კომუნისტები, მათ იციან, რა უნდა აკეთონ, და ამხ. ჩუჩინისათვის საჭირო არ იქნება იმის გაშუქება, თუ საით უკრან თავი კონტრრევოლუციონერებს. მეორე, უნდა მოვამზადოთ ორგანო. მოამზადე ორგანო და შეამოწმე იგი საქმით, შეამოწმე, იზრდება თუ არა წარმოება, — აი რას ამბობს უმცირესობის რეზოლუცია! უწინარეს ყოვლისა შექმენი ბაზა, ხოლო შემდეგ, — შემდეგ ვნახოთ. რაც საჭიროა, ის აქედან თავისთავად გაკეთდება. საკმაოდ უხვად არის წამოყენებული დეკრეტები იმის შესახებ, რომ კონტრრევოლუციონერები უნდა გავგზავნოთ საგანგებო კომისიაში, ხოლო თუ არ არის საგანგებო კომისია, — რევკომში. საჭიროა რაც შეიძლება ნაკლები იყოს ეს ხელის ქნევა. უნდა მივიღოთ უმცირესობის რეზოლუცია, რომელიც იძლევა ძირითად ხაზს.

---

## 6

## სიტყვა ყრილობის დახურვის დროს 5 აპრილს

ამხანაგებო, ვაჯამებთ რა მოკლედ ჩვენი ყრილობის მუშაობას, ჩემი აზრით, უწინარეს ყოვლისა უნდა შევჩერდეთ ჩვენი პარტიის ამოცანებზე. ყრილობამ მიიღო ვრცელი რეზოლუცია ორგანიზაციულ საკითხზე; უმნიშვნელოვანესი ადგილი ამ რეზოლუციაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უჭირავს ჩვენი პარტიის წევრების აღზრდის, სწავლების, ორგანიზაციული გამოყენების საკითხს. სამანდატო კომისიამ მოგვახსენა, რომ დღევანდელ ყრილობაზე წარმოდგენილია ჩვენი პარტიის 600 ათასზე მეტი წევრი. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, თუ რა დიდი სიძნელეების გადატანა უხდებოდა პარტიას ამ ბრძოლების ხანაში, როდესაც ბრძოლა გვიხდებოდა იმის წინააღმდეგ, რომ მთავრობის პარტიას, — ბუნებრივად ღია პარტიას, იმიტომ რომ იგი არის მთავრობის პარტია და გზას უხსნის ხელისუფლებისაკენ, — არ ასდევნებოდნენ და არ მიტმასნოდნენ ცუდი ელემენტები, ძველი კაპიტალიზმის ნაყარ-ნუყარნი. და ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება იყო პარტიული კვირეების დანიშვნა. მხოლოდ ასეთ პირობებში, მხოლოდ ასეთ მომენტებში, როდესაც პარტია და მოძრაობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობას განიცდიდა, როდესაც დენიკინი ორიოლის ჩრდილოეთით იდგა, ხოლო იუდენიჩი 50 ვერსით იყო დაშორებული პეტროგრადს, პარტიაში შემოსვლა შეეძლოთ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც გულწრფელად ერთგულნი არიან მშრომელთა განთავისუფლების საქმისა.

ეს პირობები ახლა, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში, არ განმეორდება, და უნდა ითქვას, რომ წინა ყრილობებთან შედარებით ჩვენი პარტიის წევრების ის უდიდესი რიცხვი, რომელიც მიღწეულია და განხორციელებული, ბადებს ერთგვარ შიშს, და არსებობს სრულიად რეალური საფრთხე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი პარტიის სწრაფი ზრდა ყოველთვის ვერ მისდევდა იმ დონეს, რა დონითაც ჩვენ ეს მასა აღვზარდეთ მისი დღევანდელი ამოცანებისათვის. ჩვენ მუდამ გვიხდება მხედველობაში ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ეს 600 ათასი კაცისაგან შემდგარი არმია უნდა იყოს მუშათა კლასის ავანგარდი, რომ სხვანაირად, თუ არა რკინისებური დისციპლინის დაცვით, ჩვენი ამოცანების განხორციელება ორი წლის განმავლობაში ძნელად თუ შეიძლებოდა. ჩვენი უმკაცრესი დისციპლინის გამოყენებისა და დაცვის ძირითადი პირობაა ერთგულება: დისციპლინის გამოყენების ყველა ძველი საშუალებები და წყაროები დანგრეულია; ჩვენს მოღვაწეობას საფუძვლად ვუდებდით მოფიქრებულობისა და შეგნებულობის მხოლოდ მაღალ დონეს. ეს ჩვენ გვაძლევდა ისეთი დისციპლინის განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც სხვა სახელმწიფოს დისციპლინაზე უფრო მაღლა დგას; იგი დამყარებულია ისეთ ბაზისზე, რომელიც არა ჰგავს იმ დისციპლინას, კაპიტალისტურ საზოგადოებაში რომ განაგრძობს როგორღაც არსებობას, თუ კი კიდევ შეუძლია მას არსებობა. ამიტომ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ამოცანა უახლოეს წელს, ომში ბრწყინვალე წარმატებების შემდეგ, მდგომარეობს არა იმდენად პარტიის გაფართოებაში, რამდენადაც შინაგან მუშაობაში, ჩვენი პარტიის შემადგენლობის განვითარების აზრით. ჩვენი რეზოლუციები ორგანიზაციულ საკითხზე ტყუილად როდი უთმობენ მას ადგილის მაქსიმუმს.

უნდა მივაღწიოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, იმას, რომ პროლეტარიატის ეს ავანგარდი, 600 000 წევრისაგან შემდგარი ეს არმია იმ ამოცანების სიმაღლეზე იდგეს, რომლებიც მას ეკისრება, მას კი გიგანტური მნიშვნელობის

საერთაშორისო და საშინაო ამოცანები ეკისრება! რაც შეეხება საერთაშორისო ამოცანებს, ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა არასოდეს არ ყოფილა ისეთი ჩინებული, როგორც ამჟამად. რა იშვიათადაც უნდა აღწევდეს ჩვენამდე ცნობები საზღვარგარეთიდან იქაური მუშების ცხოვრების შესახებ, მაინც ყოველთვის, როგორც კი მივიღებთ ორიოდე წერილს ან ევროპული თუ ამერიკული მუშური სოციალისტური გაზეთების რამდენიმე ნომერს, ყველაზე დიდ სიამოვნებას განვიცდით, იმიტომ რომ ვხედავთ, თუ მასებში, რომელთაც წინათ სრულიად არ შეხებია პროპაგანდა, ან რომლებიც უბადრუკ ოპორტუნიზმში, წმინდა პარლამენტურ სოციალიზმში იყვნენ გაყინული, ყველგან, გაცილებით მეტად, ვიდრე ჩვენ ვიცით, დედამიწის ყოველ კუთხეში, ყველგან როგორ შეიმჩნევა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ახალი ამოცანებისადმი ინტერესის უდიდესი ზრდა, ყველგან ხდება ღრმა რევოლუციური მოძრაობა, დუღილი, რევოლუციური საკითხის დაყენება.

გუშინ მომიხდა გავცნობოდი ინგლისის მუშათა სოციალისტური პარტიის გაზეთის ნომერს. ინგლისელი მუშები, რომლებსაც ინტელიგენტური ბელადები ჰყავდათ, რომლებიც ათეულ წლობით გამოირჩეოდნენ თეორიისადმი სიძულვილით, სრულიად გარკვეულად ლაპარაკობენ, და გაზეთიც მოწმობს, რომ ახლა ინგლისელ მუშებს შორის არის ინტერესი რევოლუციის საკითხისადმი, წარმოიშვა და გაძლიერდა ინტერესი რევიზიონიზმის, ოპორტუნიზმის, პარლამენტური სოციალიზმის, ჩვენ მიერ ესოდენ კარგად შესწავლილი ამ სოციალ-მოღალატეობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლისადმი. ეს ბრძოლა დღის წესრიგში დგება! ჩვენ გარკვევით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სრულიად მართალი აღმოჩნდა ამერიკელი ამხანაგი რ., რომელმაც დიდტანიანი წიგნი გამოსცა; ეს წიგნი შეიცავს ტროცკისა და ჩემს მთელ რიგ სტატიებს და, ამრიგად, იძლევა რუსეთის რევოლუციის ისტორიის შეჯამებას. ეს ამხანაგი ამბობს, რომ საფრანგეთის რევოლუცია ძლევამოსილი აღმოჩნდა მსოფლიო-ისტორიული მასშტაბით,

ხოლო თუ შესაძლებელი გახდა მისი უშუალო დათრგუნვა, ეს იმიტომ, რომ მას ევროპის კონტინენტზე გარს ერტყა უფრო ჩამორჩენილი ქვეყნები, რომლებშიც მაშინვე ვერ წარმოიშვა წაბაძვის, თანაგრძნობისა და დახმარების მოძრაობა. რუსეთის რევოლუციას, რომელიც ცარიზმის მიერ ჩაგვრისა და მთელი რიგი სხვა პირობების გამო (1905 წელთან კავშირი და ა. შ.) სხვებზე უფრო ადრე წარმოიშვა, გარს არტყია კაპიტალისტური განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი ქვეყნები, რომლებიც უფრო ნელა უახლოვდებიან რევოლუციას, მაგრამ უფრო საიმედოდ, მტკიცედ, ურყევად! ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის მომხრეთა და მეგობართა რიცხვი ყოველ წელიწადს და ყოველ თვესაც კი თვითეული კაპიტალისტური ქვეყნის შიგნით იზრდება 10-ჯერ, 100-ჯერ, 1 000-ჯერ, და უნდა ითქვას, რომ მეგობრები და მოკავშირეები უფრო მეტი გვყავს, ვიდრე ეს ჩვენ ვიცით!

მსოფლიო იმპერიალიზმის ცდამ — ომის საშუალებით დავეთრგუნეთ, სრული მარცხი განიცადა! ახლა საერთაშორისო მდგომარეობამ მოგვცა გაცილებით უფრო ხანგრძლივი და მტკიცე შესვენება, ვიდრე ეს იყო რევოლუციის დასაწყისში. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მხოლოდ შესვენებაა და მეტი არაფერი. უნდა გვახსოვდეს, რომ მთელი კაპიტალისტური სამყარო თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულია და მომენტს უცდის, ირჩევს უკეთეს სტრატეგიულ პირობებს, იკვლევს თავდასხმის საშუალებებს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ამჟამად მთელი ეკონომიური ძალა და მთელი სამხედრო ძალა ჯერ კიდევ მის მხარეზეა! ჯერ კიდევ სუსტნი მსოფლიო მასშტაბით, ჩვენ სწრაფად ვიზრდებით, ვძლიერდებით, მტერს ხელიდან ვგლეჯთ ზედიზედ იარაღს იარაღზე, მაგრამ მტერი ყოველ ნაბიჯზე უთვალთვალებს საბჭოთა რესპუბლიკას! ახლა საერთაშორისო კაპიტალი გარკვეული განზრახვით, გაანგარიშებული გეგმით მოდის, რომ ბლოკადის მოხსნის დროს საერთაშორისო მეტომრეობა, საერთაშორისო თავისუფალი ვაჭრობა შეუერთოს, შეუკავშიროს ჩვენს შინაგან მეტომრეობას და გაგვიმზადოს

ამ მეტომრეობის ნიადაგზე ახალი ომი, გაგვიმზადოს მთელი რიგი ახალი საფრთხე და ხაფანგი.

აქ ჩვენ მივადექით იმ ძირითად ამოცანას, რომელიც ჩვენი ყრილობის მთავარ საკითხს, ყურადღების მთავარ საგანს წარმოადგენდა. ეს არის მშენებლობის ამოცანა. ამ მხრივ ყრილობამ ძალიან ბევრი მოგვცა, სახელდობრ, ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუცია სამეურნეო მშენებლობისა და ტრანსპორტის მთავარ საკითხზე. და ჩვენ ახლა, პარტიული აღზრდის წყალობით, მივაღწევთ იმას, რომ ეს რეზოლუცია პროფკავშირებში მყოფმა მთელმა სამმა მილიონმა მუშამ ისე გაატაროს, როგორც ერთმა კაცმა. ჩვენ მივაღწევთ, რომ ეს რეზოლუცია გახდეს საფუძველი იმისა, რათა მთელი ჩვენი ძალა, დისციპლინიანობა, ენერგია მივმართოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობის აღდგენისაკენ, პირველ რიგში — ტრანსპორტის აღდგენისაკენ, ხოლო მეორე რიგში — სასურსათო მდგომარეობის აღდგენისაკენ.

პროპაგანდისათვის ჩვენ ამჟამად მთელი რიგი საკითხები გვაქვს, და ამ მხრივ ყოველი ცნობა საზღვარგარეთიდან და პარტიის ყოველი ახალი 10 წევრი ახალ მასალას გვაძლევს პროპაგანდისათვის. პროპაგანდა თავის რიგზე უნდა მიდიოდეს, არ უნდა ფანტავდეს, არ უნდა აქუცმაცებდეს ძალებს. ჩვენ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ იმ წარმატებების, იმ სასწაულების წყარო, რომლებიც ჩვენ გამოვიჩინეთ სამხედრო საქმეში, ის იყო, რომ მთელ ჩვენ ყურადღებასა და ძალებს ყოველთვის თავს ვუყრიდით მთავარ, ძირითად საქმეზე, ჩვენ საქმე ისე გადავწყვიტეთ, როგორადაც გადაწყვეტის უნარი კაპიტალისტურ საზოგადოებას არ შესწევდა! საქმე იმაშია, რომ კაპიტალისტური საზოგადოება ყველაფერს, რაც კი განსაკუთრებით აინტერესებს მოქალაქეებს — მათი არსებობის ეკონომიური პირობები, ომი და ზავი, — ყოველივე ამას კაპიტალისტური საზოგადოება თვით საზოგადოებისაგან მალულად წყვეტს; ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს: ომს, ზავს, დიპლომატიურ საკითხებს წყვეტენ ერთი მუჭა კაპიტალისტები, რომლებიც ატყუებენ არა მარტო მასებს, არამედ

ხშირად ატყუებენ აგრეთვე პარლამენტსაც. არ არსებობს მსოფლიოში ისეთი პარლამენტი, რომელსაც ოდესმე სერიოზული რამ ეთქვას ომისა და ზავის საკითხზე! კაპიტალისტურ საზოგადოებაში მშრომელთა ეკონომიური ცხოვრების მთავარ საკითხებს, მათი მშიერი თუ კარგი არსებობის მდგომარეობას წყვეტს კაპიტალისტი, როგორც ბატონი, როგორც ღმერთი! ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, დემოკრატიულ რესპუბლიკებში, ასეთი პერიოდების დროს ხალხის ყურადღებას წარიტყუებს ის მოსყიდული ბურჟუაზიული პრესა, რომელსაც სიტყვის თავისუფლება ეწოდება, რომელიც თხზავს და ავრცელებს ყველაფერს, რათა თვალი აუხვიოს ამ მასას და მოატყუოს იგი! ჩვენში, პირიქით, სახელმწიფო ძალაუფლების მთელი აპარატი, შეგნებული მუშის მთელი ყურადღება მთლიანად და მარტოოდენ მიპყრობილი იყო მთავარ, პასუხსაგებ მომენტზე, მთავარ ამოცანაზე! სამხედრო დარგში ჩვენ ამ მხრივ გიგანტურ წარმატებას მივაღწიეთ, და ეს გამოცდილება ჩვენ უნდა გადავიტანოთ ახლა სამეურნეო დარგში.

ჩვენ ვახდენთ გადასვლას სოციალიზმზე, და ყველაზე არსებითი საკითხი — პურის, მუშაობის საკითხი — არ არის კერძო საკითხი, მეწარმის კერძო საქმე, იგი მთელი საზოგადოების საკითხია, როდესაც თვითეულმა რამდენადმე ჩაფიქრებულმა გლეხმა გარკვევით უნდა შეიგნოს და მიხვდეს, რომ თუ სახელმწიფო მთელ თავის პრესაში, თვითეულ სტატიაში, გაზეთის თვითეულ ნომერში საკითხს სვამს ტრანსპორტის შესახებ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საერთო საქმეა! ეს მშენებლობა გლეხისათვის წარმოადგენს გადასვლას იმ სიბრმავიდან და სიბნელიდან, რომელსაც იგი მონობისათვის ჰყავდა განწირული, ნამდვილ თავისუფლებაზე, იმ მდგომარეობაზე, როდესაც მშრომელებმა იციან ყველა ის სიძნელე, რაც მათ წინაშე დგას მომავალში, და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყველა ძალებს, სახელმწიფო აპარატის ყველა ძალებს, აგიტაციის ყველა ძალებს ისინი მიმართავენ ყველაზე მარტივისა და ყველაზე არსებითისაკენ, უკუაგდებენ ბრჭყვი-

ალა საჟღარუნოებსა და თამაშს ყოველგვარი რეზოლუციებითა და უგონიერესი დაპირებებით, რითაც გართული არიან ყოველი ბურჟუაზიული ქვეყნის გაზეთის აგიტატორები! საჭიროა მთელი ძალ-ღონე, მთელი ყურადღება მივაპყროთ ამ უმარტივეს სამეურნეო ამოცანებს, რომლებიც გასაგებია ყოველი გლეხისათვის, რომელთა წინააღმდეგ ვერც ერთი რამდენადმე პატიოსანი საშუალო გლეხი, თვით შეძლებულიც კი, ვერაფერს იტყვის, და რომელთა დასმის დროს ყოველ კრებაზე ჩვენ ყოველთვის აბსოლუტურად მართალნი აღმოვჩნდებით ხოლმე. მუშათა და გლეხთა ყველაზე შეუგნებელი მასა დაადასტურებს, რომ მთავარი — ესაა აღვადგინოთ ამჟამად მეურნეობა ისე, რომ იგი ხელახლა არ მოხვდეს ექსპლოატატორების ხელში, რათა არ მოხდეს არავითარი ხელის დაფარება ისეთი ადამიანისათვის, რომელსაც მშიერ ქვეყანაში ნაჭარბი პური აქვს და მას იმისათვის იყენებს, რომ თვითონ გამდიდრდეს და ღარიბ-ღატაკნი აშიმშილოს. თქვენ ვერ იპოვით ისეთ ყველაზე ბნელ, ყველაზე შეუგნებელ ადამიანს, რომელსაც არ ჰქონდეს იმის შეგნება, რომ ეს უსამართლობაა, რომელსაც ბუნდოვანი, გაურკვეველი აზრი მაინც არ უკიაფობდეს თავში იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მომხრეების მიერ მოყვანილი საბუთები სავსებით ეთანხმება მშრომელთა ინტერესებს.

ამ მარტივ ამოცანებს, რომლებიც დიდ კაპიტალისტურ საზოგადოებებში უკანა რიგშია გადაწეული და მეპატრონეთა კერძო საქმედ ითვლება, ამ საკითხებს უნდა მივაპყროთ პარტიის 600 000 წევრისაგან შემდგარი მთელი არმიის მთელი ყურადღება, ამ პარტიის წევრთა შორის არ უნდა მოვითმინოთ არც ერთი, ვინც თავის ამოცანას არ შეასრულებს, ამის გულისათვის ვაიძულოთ მუშათა მთელი მასა სავსებით შემოგვიერთდეს უდიდესი თავგანწირულებითა და ერთგულებით! ეს ძნელი საქმეა, მაგრამ ამას აქვს უდიდესი მორალური ავტორიტეტი და დარწმუნების გიგანტური ძალა, — ეს სამართლიანია მშრომელთა თვალსაზრისით! და აი იმაში დარწმუნებულთ, რომ ეს ამოცანა ყრილობის მუშაობის წყალობით

ახლაც ისევე ბრწყინვალედ შეიძლება გადაიჭრას, — თუმცა ისევე მთელი რიგი დამარცხებებისა და მთელი რიგი შეცდომების ფასად, — როგორც სამხედრო ამოცანა გადავწყვიტეთ, ამაში დარწმუნებულთ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ შემოგვყურებენ ევროპისა და ამერიკის ყველა ქვეყნის მუშები, შემოგვყურებენ მოლოდინით: გადავწყვეტთ თუ არა ამ უფრო ძნელ ამოცანას, რომელიც ჩვენ გვაქვს დაკისრებული, ვინაიდან ეს ამოცანა უფრო ძნელია, ვიდრე სამხედრო გამარჯვების ამოცანა! მისი გადაწყვეტა არ შეიძლება უბრალო ენთუზიაზმით, უბრალო თავგანწირულებითა და გმირული აღფრთოვანებით. ამ საორგანიზაციო მუშაობაში, სადაც ჩვენ, რუსები, სხვებზე სუსტნი ვიყავით, ამ თვითდისციპლინის მუშაობაში, ისეთ მუშაობაში, რომ უნარი გქონდეს უკუაგდო მეორეხარისხოვანი და მიაღწიო მთავარს, სწრაფად ვერაფერს გააკეთებ, და პურის აკრეფის, ტრანსპორტის შეკეთების, მეურნეობის აღდგენის ამ დარგში, რომელიც მხოლოდ გოჯობით მიიწევს წინ, სადაც მზადდება ნიადაგი და კეთდება მცირე, მაგრამ მტკიცედ, — ამ მუშაობაში ჩვენ შემოგვყურებენ ყველა ქვეყნის მუშები და ჩვენს ახალ გამარჯვებებს მოელიან! დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ყრილობის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით და იმის მიღწევით, რომ პარტიის 600 000 წევრი ისე მუშაობდეს, როგორც ერთი კაცი, სამეურნეო ორგანოებთან და პროფკავშირების ორგანოებთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებით, ჩვენ შევძლებთ ამ ამოცანის ისევე ძლევამოსილად გადაჭრას, როგორც გადავჭერით სამხედრო ამოცანა, და სწრაფად და მტკიცედ გავწევთ მსოფლიო სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებისაკენ! (ტ ა შ ი.)

# კომპრომისების შესახებ[99]

ამხ. ლენსბერი ჩემთან საუბარში განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მუშათა მოძრაობის ინგლისელი ოპორტუნისტი წინამძღოლების შემდეგ საბუთს:

> ბოლშევიკები კომპრომისებს დებენ კაპიტალისტებთან, თუნდაც, მაგალითად, ესტონეთთან დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებაშიც, როდესაც ტყის კონცესიებზე დათანხმდნენ; რაკი ასეა, არა ნაკლებ კანონიერია ინგლისის მუშათა მოძრაობის ზომიერი წინამძღოლების მიერ დადებული კომპრომისები კაპიტალისტებთან.

ამხ. ლენსბერი ამ საბუთს თვლის ინგლისში ძალიან გავრცელებულ საბუთად, რომელსაც მუშებისათვის მნიშვნელობა აქვს და რომელიც დაჟინებით მოითხოვს გარჩევას.

შევეცდები შევასრულო ეს სურვილი.

## I

შეუძლია თუ არა პროლეტარული რევოლუციის მომხრეს კომპრომისები დადოს კაპიტალისტებთან ან კაპიტალისტთა კლასთან?

ეს კითხვა, ჩანს, საფუძვლად უდევს ჩემ მიერ მოყვანილ მსჯელობას. მაგრამ ასეთი ზოგადი დაყენებით ეს კითხვა მოწმობს შემკითხველის ან უკიდურეს პოლიტიკურ გამოუცდელობასა და პოლიტიკურ მცირეშეგნებულობას, ანდა მის თაღლითურ განზრახვას სოფიზმის საშუალებით დაფაროს

ძარცვა-გლეჯის, ყოველგვარი კაპიტალისტური ძალმომრეობის გამართლება.

მართლაც, უარყოფითი პასუხი ამ ზოგად კითხვაზე აშკარა უაზრობა იქნებოდა. რასაკვირველია, პროლეტარული რევოლუციის მომხრეს შეუძლია დადოს კომპრომისები ან შეთანხმებანი კაპიტალისტებთან. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ *როგორი* შეთანხმება იდება და *როგორ ვითარებაში*. ამაში და მხოლოდ ამაში შეიძლება და უნდა ვეძებოთ განსხვავება პროლეტარული რევოლუციის თვალსაზრისით კანონიერ შეთანხმებასა და გამცემლურ, მოღალატურ შეთანხმებას შორის (იმავე თვალსაზრისით).

იმისათვის, რომ განვმარტოთ ეს, ჯერ გაგახსენებთ მარქსიზმის ფუძემდებელთა მსჯელობას, შემდეგ კი მოვიყვან ყველაზე მარტივ და თვალსაჩინო მაგალითებს.

მარქსი და ენგელსი ტყუილად კი არ ითვლებიან მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებად. ისინი ყოველგვარი ფრაზის დაუნდობელი მტრები იყვნენ. ისინი გვასწავლიდნენ სოციალიზმის საკითხების (მათ შორის აგრეთვე სოციალისტური ტაქტიკის საკითხების) მეცნიერულად დაყენებას. გასული საუკუნის 70-იან წლებშიც, როდესაც ენგელსს მოუხდა ფრანგი ბლანკისტების, კომუნის ლტოლვილების, რევოლუციური მანიფესტის გარჩევა, ენგელსმა მოურიდებლად უთხრა მათ, რომ მათი მკვეხარა განცხადება «არავითარი კომპრომისები» ცარიელი ფრაზაა[100]. კომპრომისებზე ხელის აღება არ შეიძლება. საქმე იმაშია, რომ ყველა იმ კომპრომისის მიუხედავად, რომელიც აუცილებლად ხანდახან თავს ეხვევა გარემოებათა ძალით თვით ყველაზე რევოლუციური კლასის თვით ყველაზე რევოლუციურ პარტიასაც კი, ყველა კომპრომისის მიუხედავად უნდა ვიცოდეთ შევინარჩუნოთ, დავიცვათ, განვამტკიცოთ, გამოვაწრთოთ, განვავითაროთ რევოლუციური ტაქტიკა და ორგანიზაცია, რევოლუციური შეგნება, გამბედაობა, მომზადებულობა მუშათა კლასისა და მისი ორგანიზებული ავანგარდის, კომუნისტური პარტიისა.

იმისათვის, ვინც იცნობს მარქსის მოძღვრების საფუძვლებს, ასეთი შეხედულება აუცილებლად გამომდინარეობს მთელი ამ მოძღვრებიდან. ვინაიდან ინგლისში, მთელი რიგი ისტორიული მიზეზების გამო, მარქსიზმი ჩარტიზმის დროიდან (რომელიც მრავალი მხრივ მარქსიზმის მომზადება, «წინარეუკანასკნელი სიტყვა» იყო მარქსიზმისათვის) უკანა რიგში იქნა გადაწეული ტრედ-უნიონებისა და კოოპერატივების ოპორტუნისტული, ნახევრადბურჟუაზიული ბელადების მიერ, ამიტომ მე შევეცდები განვმარტო გადმოცემული შეხედულების სისწორე ტიპიური მაგალითების საშუალებით ფილისტერული, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ყველასათვის ცნობილ მოვლენათა სფეროდან.

დავიწყებ მაგალითით, რომელიც მე ერთხელ უკვე მოვიყვანე ჩემს ერთ სიტყვაში. ვთქვათ, იმ ავტომობილს, რომლითაც თქვენ მგზავრობთ, თავს ესხმიან შეიარაღებული ბანდიტები. ვთქვათ, როდესაც საფეთქელზე რევოლვერი დაგადვეს, თქვენ აძლევთ ბანდიტებს ავტომობილს, ფულს, თქვენს რევოლვერს, და ბანდიტები აამუშავებენ ამ ავტომობილს და ა. შ. შემდგომი ძარცვა-გლეჯის მოსახდენად.

აქ უეჭველად არის თქვენი კომპრომისი ავაზაკებთან, თქვენი შეთანხმება ყაჩაღებთან. ხელმოუწერლად და დუმილით დადებული შეთანხმება მაინც რჩება, ეჭვს გარეშეა, სრულიად გარკვეულ და ზუსტ შეთანხმებად: «მე შენ, ავაზაკს, გაძლევ ავტომობილს, იარაღს, ფულს, შენ მე მათავისუფლებ შენი სასიამოვნო მეზობლობისაგან».

იბადება კითხვა, განა უწოდებთ თქვენ იმ ადამიანს, რომელმაც ასეთი შეთანხმება დადო ავაზაკებთან, ბანდიტიზმის მონაწილეს, იმ მესამე პირებზე ყაჩაღური თავდასხმის მონაწილეს, რომლებიც გაძარცულ იქნენ ბანდიტების მიერ ამ შეთანხმების დამდები პირისაგან მიღებული ავტომობილის, ფულისა და იარაღის მეშვეობით?

ვერა, ვერ უწოდებთ.

საქმე აქ სრულიად ცხადი და მარტივია, ტრივიალურიც კი.

და ასევე ცხადია, რომ სხვა პირობებში ყაჩაღებისათვის ავტომობილის, ფულისა და იარაღის დუმილით გადაცემა ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანის მიერ მიჩნეული იქნება ბანდიტიზმში მონაწილეობად.

დასკვნა ნათელია: ისევე უაზროა უარის თქმა ყოველგვარ შეთანხმებებსა თუ კომპრომისებზე ავაზაკებთან, როგორც ბანდიტიზმში მონაწილეობის გამართლების გამოყვანა იმ აბსტრაქტული დებულებიდან, რომ, საერთოდ თუ ვიტყვით, ავაზაკებთან შეთანხმებანი ხანდახან დასაშვები და აუცილებელიაო.

ავიღოთ ახლა პოლიტიკური მაგალითი...

**დაწერილია 1920 წ. მარტ-აპრილში**

**პირველად დაიბეჭდა 1936 წ.**

**იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით**

# დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს

2/IV 1920 წ.

კავკასიის ფრონტის რევ. სამხ. საბჭო ორჯონიკიძეს

ერთხელ კიდევ გთხოვთ იმოქმედოთ ფრთხილად და აუცილებლად გამოიჩინოთ კეთილმოსურნეობის მაქსიმუმი მუსლიმანების მიმართ, განსაკუთრებით დაღესტანში შესვლის დროს. ყოველნაირად გამოავლინეთ და მასთან უაღრესად საზეიმო სახით სიმპათიები მუსლიმანების მიმართ, მათი ავტონომიის, დამოუკიდებლობისა და სხვათა მიმართ. საქმის მსვლელობის შესახებ მაცნობეთ უფრო ზუსტად და უფრო ხშირად [101].

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა
1942 წ.

იბეჭდება მანქანაზე
გადაბეჭდილი პირის
მიხედვით

# სიტყვა სამთამადნო მუშების სრულიად რუსეთის I დამფუძნებელ ყრილობაზე [102]

ამხანაგებო! ნება მომეცით, პირველ ყოვლისა, მივესალმო სამთო და ნახშირის მრეწველობის მუშათა პირველ ყრილობას სახალხო კომისართა საბჭოს სახელით.

ამხანაგებო, ამ ყრილობისა და მრეწველობის მთელი ამ დარგის მნიშვნელობა საბჭოთა რესპუბლიკისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა. თქვენ, რასაკვირველია, ყველამ იცით, რომ ქვანახშირის მრეწველობის გარეშე არავითარი თანამედროვე მრეწველობა, არავითარი ფაბრიკები და ქარხნები არაა წარმოსადგენი. ნახშირი ნამდვილი პურია მრეწველობისათვის, ამ პურის გარეშე მრეწველობა არ მოქმედებს, ამ პურის გარეშე რკინიგზის ტრანსპორტი განწირულია ყოვლად უმწეო მდგომარეობისათვის და ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღსდგება; ამ პურის გარეშე ყველა ქვეყნის მსხვილი მრეწველობა იშლება, ირღვევა, პირველყოფილ ბარბაროსობას უბრუნდება, და ახლა რუსეთზე ბევრად უფრო მოწინავე ქვეყნებშიც კი, რომლებმაც ომისაგან გაცილებით ნაკლები ზარალი განიცადეს, ვიდრე რუსეთმა, თვით გამარჯვებულ ქვეყნებშიც კი ნახშირის შიმშილი და კრიზისი უაღრესად მწვავედ იჩენს თავს. მით უმეტეს ჩვენთვის აუცილებელია, რომ იმ ამხანაგებმა, რომლებსაც ახლა აქ თავი მოუყრიათ სამთამადნო მუშების მტკიცე, ძლიერი, უმძლავრესი და შეგნებული კავშირის შესაქმნელად, — რომ მათ მთელი სიცხადით წარმოიდგინონ, რა უზარმაზარ ამოცანებს აკის-

რებს ამ ყრილობას, აკისრებს სამთამადნო მუშებს მთელი საბჭოთა რესპუბლიკა, მთელი მუშურ-გლეხური ხელისუფლება, ვინაიდან ახლა, ორწლიანი თავგანწირული ბრძოლის შემდეგ თეთრგვარდიელებთან და კაპიტალისტებთან, რომლებსაც მხარს უჭერდნენ მთელი ქვეყნის კაპიტალისტები, ახლა, ყველა იმ გამარჯვებათა შემდეგ, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ, წინა გვაქვს კვლავ მძიმე ბრძოლა, არა ნაკლებ ძნელი, ვიდრე წინა ბრძოლა, მაგრამ უფრო მადლიანი, სახელდობრ, ბრძოლა უსისხლო ფრონტზე, შრომის ფრონტზე.

როდესაც სისხლიან ფრონტზე მემამულეები და კაპიტალისტები ცდილობდნენ გაეტეხათ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება, ეგონათ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის საქმე უიმედო იყო, რომ საბჭოთა რუსეთი, ყველაზე სუსტი, ყველაზე ჩამორჩენილი, ყველაზე გაჩანაგებული ქვეყანა, ვერ შეძლებს მთელი მსოფლიოს კაპიტალისტებს გაუძლოსო. მსოფლიოს უმდიდრესი სახელმწიფოები ამ ბრძოლაში დახმარებას უწევდნენ რუს თეთრგვარდიელებს, მათ ასეულ მილიონობით მანეთები გადაყარეს ამ დახმარებისთვის, აწვდიდნენ საჭურველს, აწყობდნენ საზღვარგარეთ სპეციალურ ბანაკებს ოფიცერთა სასწავლებლად, და აქამდე ჯერ კიდევ არსებობს საზღვარგარეთ ეს შესაკრები ბიუროები, სადაც მსოფლიოს უმდიდრესი კაპიტალისტების დახმარებით კრებენ რუს ტყვეებსა და მოხალისეებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საომრად. ბუნებრივია, ეგონათ, რომ ეს უიმედო წამოწყებაა, რომ რუსეთი ვერ გაუძლებს მსოფლიოს სამხედრო სახელმწიფოებს, რომლებიც ჩვენზე ძლიერნი არიან. მაგრამ მაინც ასეთი სასწაული შესაძლებელი აღმოჩნდა, და ამ ორი წლის განმავლობაში საბჭოთა რუსეთმა ეს სასწაული მოახდინა.

მსოფლიოს ყველა უმდიდრესი სახელმწიფოების წინააღმდეგ ომში საბჭოთა რუსეთი გამარჯვებული გამოვიდა. რატომ? რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ სამხედრო თვალსაზრისით ჩვენ უფრო ძლიერნი ვიყავით. ეს ასე არაა. არამედ იმიტომ, რომ ცივილიზებულ სახელმწიფოებში იყვნენ ისეთი

ჯარისკაცები, რომელთა მოტყუებაც უკვე აღარ შეიძლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ აურაცხელ ფურცლებში ცდილობდნენ მათთვის დაემტკიცებინათ, რომ ბოლშევიკები — გერმანიის აგენტები, უზურპატორები, მოღალატეები, ტერორისტები არიანო. ასეთი მუშაობის შედეგად ჩვენ ვხედავთ, რომ ჯარისკაცები ოდესიდან ბრუნდებოდნენ ან როგორც დარწმუნებული ბოლშევიკები, ან როგორც ისეთი ადამიანები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ «ისინი არ იომებენ მუშურ-გლეხური მთავრობის წინააღმდეგ». ჩვენი გამარჯვების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნების მუშები იმდენად გამგები და თანამგრძნობი აღმოჩნდნენ მუშათა კლასისა მსოფლიო მასშტაბით, რომ, მიუხედავად იმ ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვის სიცრუისა, რომელიც თავის გამოცემათა მილიონობით ეგზემპლარებში საზიზღარ ცილისწამებას ანთხევდა ბოლშევიკების მიმართ, მიუხედავად ამისა, მუშები ჩვენს მხარეზე აღმოჩნდნენ, და ამ გარემოებამ გადაწყვიტა ჩვენი ომი. ყველასათვის ცხადი იყო, რომ თუ ასეულ ათასობით ჯარისკაცები ჩვენ წინააღმდეგ ისევე იბრძოლებდნენ, როგორც ომობდნენ ისინი გერმანიის წინააღმდეგ, ჩვენ ვერ გავუძლებდით. ეს ცხადი იყო ყველასათვის, ვინც იცის, რა არის ომი. მიუხედავად ამისა, მაინც მოხდა ისეთი სასწაული, რომ ჩვენ მათზე გავიმარჯვეთ, რომ ისინი ურთიერთ შორის კინკლაობამ დაშალა, რომ ყბადაღებული ერთა ლიგის ნაცვლად მათ ხელში შერჩათ ცოფიანი ძაღლების ლიგა, რომლებიც ერთმანეთს პირიდან ძვლებს გლეჯენ და ვერ შეთანხმებულან ვერც ერთ საკითხზე, ხოლო ბოლშევიკების პირდაპირი და არაპირდაპირი მომხრეები, შეგნებულნი და ნაკლებშეგნებულნი ყოველ ქვეყანაში დღეობით კი არა, საათობით იზრდებიან.

ყველა, ვინც კი თანაუგრძნობს სოციალიზმს, იცნობს II ინტერნაციონალს, რომელიც 25 წლის განმავლობაში, 1889 წლიდან 1914 წლამდე, ხელმძღვანელობდა სოციალიზმის მოძრაობას ყველა ქვეყანაში, ხოლო როდესაც იმპერიალისტური ომი დაიწყო, II ინტერნაციონალის სოციალისტები

თავიანთ მთავრობათა მხარეზე გადავიდნენ, თვითეული თავის მთავრობას იცავდა; ყველანი, ვინც რესპუბლიკელებად, ესერებად და მენშევიკებად ითვლებოდნენ, ყოველ ქვეყანაში თავიანთ მთავრობათა მხარეზე დგებოდნენ, იცავდნენ თავიანთ სამშობლოს, მალავდნენ საიდუმლო ხელშეკრულებებს, არ აქვეყნებდნენ მათ; ის სოციალისტები, რომლებიც მუშათა კლასის ბელადებად ითვლებოდნენ, კაპიტალისტების მხარეზე გადადიოდნენ, რუსეთის მუშათა კლასის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. გერმანიის მთავრობას სათავეში უდგანან შეიდემანელები, რომლებიც აქამდე თავიანთ თავს სოციალ-დემოკრატებს უწოდებენ, და ნამდვილად კი ყველაზე საძაგელი ჯალათები არიან, რომლებმაც მემამულეებთან და კაპიტალისტებთან კავშირში მოკლეს გერმანიის მუშათა კლასის ბელადები, როზა ლუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტი, და 15 ათასი გერმანელი პროლეტარი ამოწყვიტეს. იმ ხნის განმავლობაში, რაც III, კომუნისტური ინტერნაციონალი შეიქმნა, ამ წლის განმავლობაში მან სავსებით გაიმარჯვა. II ინტერნაციონალი საბოლოოდ დაირღვა.

აი რა ძლიერი გავლენა მოახდინა მთელი მსოფლიოს მუშებზე რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ, მიუხედავად ყოველგვარი სიცრუისა, მიუხედავად ყოველგვარი ცილისწამებისა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჯარისკაცები და მუშები ფიქრობენ, რომ ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეთ იმათ, ვინც მუშაობს, ვინც არ მუშაობს — ის არც უნდა ჭამდეს, ვინც მუშაობს, მას აქვს ხმის უფლება სახელმწიფოში, მას აქვს გავლენა სახელმწიფოს საქმეების გადაწყვეტაზე. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა, და მუშათა კლასის მილიონებმა შეიგნეს ეს.

ახლა თქვენ წინაშე ძნელი ამოცანა დგას — ჩვენი სამხედრო გამარჯვებების შემდეგ კიდევ უფრო ძნელი გამარჯვება მოიპოვოთ. ეს გამარჯვება მით უფრო ძნელია, რომ აქ არ შეიძლება მარტო გმირობას დასჯერდე, აქ შედეგების მიღწევა

შეიძლება მხოლოდ შეუპოვარი შრომით, აქ საჭიროა წლები დაძაბული მუშაობისა.

კაპიტალისტები მთელ მსოფლიოში აგროვებენ სამუშაო ძალას და ზრდიან წარმოებას, მაგრამ მუშები მათ უპასუხებენ: ჯერ გამოკვებეთ მუშები, ჯერ შეწყვიტეთ კინკლაობა მუშების სიცოცხლის ხარჯზე, ჯერ შეწყვიტეთ ხოცვა-ჟლეტა, ვინაიდან გუშინ მაგ ხოცვა-ჟლეტაში მილიონობით ადამიანები დაიღუპნენ იმისათვის, რომ იბატონონ ინგლისელმა მტაცებლებმა თუ სხვა ვიღაცამ. სანამ ძალაუფლება კაპიტალისტების ხელშია, ჩვენ ვფიქრობთ არა წარმოების აწევაზე, არამედ იმაზე, რომ კაპიტალისტი დავამხოთ.

მაგრამ იმ მომენტიდან, როცა კაპიტალისტი დამხობილია, დაამტკიცეთ, რომ თქვენ შეგიძლიათ ნაყოფიერების აწევა უკაპიტალისტებოდ, გააბათილეთ ის სიცრუე, რომელსაც კაპიტალისტები ავრცელებენ შეგნებული მუშების წინააღმდეგ, როდესაც ამბობენ, რომ ეს რევოლუცია კი არ არის, ეს ახალი წყობილება კი არ არის, ეს მხოლოდ რბევაა, ეს მხოლოდ შურისძიებაა კაპიტალისტების მიმართ, ქვეყნის მოწყობასა და ნგრევის მდგომარეობიდან მის გამოყვანას თვითონ მუშები ვერასოდეს ვერ შეძლებენ, ისინი მხოლოდ ანარქიას შექმნიანო. აი ის სიცრუე, რომელსაც მილიონი საშუალებებით ავრცელებენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები, რომელიც არაპარტიული ადამიანების, ბოლშევიკების მოწინააღმდეგეების მეშვეობით ათასნაირი ხერხით იჭრება რუს მუშათა წრეშიც, განსაკუთრებით იმ წრეში, რომელიც ყველაზე ნაკლებ არის აღზრდილი, უფრო მეტად არის გარყვნილი კაპიტალიზმის მიერ, ან ყველაზე უფრო გაუნათლებელია. ჩვენ კი დავინახეთ, რომ, თუ საბჭოთა ხელისუფლების 2 წლის განმავლობაში ჩვენ მთელ ქვეყნიერებაზე გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ მხოლოდ და ყველაზე უფრო მეტად მუშების გმირობის წყალობით.

ჩვენ გვისაყვედურებენ პროლეტარიატის დიქტატურის გამო, მუშათა რკინისებური, დაუნდობელი, მტკიცე ხელის-

უფლების გამო, რომელიც არაფრის წინაშე არ ჩერდება და რომელიც ამბობს: ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია, და სულ მცირე წინააღმდეგობა ამ ხელისუფლების მიმართ შემუსრული იქნება. ჩვენ კი ამით ვამაყობთ და ვამბობთ: რომ არ ყოფილიყო მუშათა ასეთი რკინისებური ხელისუფლება, მუშათა ეს მოწინავე რაზმი, ჩვენ არათუ ორ წელიწადს, ორ თვესაც ვერ გავძლებდით. ეს დიქტატურა ჩვენ იმას გვაძლევდა, რომ ყოველთვის, როცა კი ძნელი მომენტი დგებოდა ომში, პარტია კომუნისტების მობილიზაციას ახდენდა, და უწინარეს ყოვლისა ისინი იღუპებოდნენ პირველ რიგებში, ათასობით დაიღუპნენ ისინი იუდენიჩისა და კოლჩაკის ფრონტზე; იღუპებოდნენ მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანები, რომლებიც თავს წირავდნენ, რადგან ესმოდათ, რომ ისინი დაიღუპებიან, მაგრამ გადაარჩენენ თაობებს, გადაარჩენენ ათასობითა და ათასობით მუშებსა და გლეხებს. ისინი დაუნდობლად არცხვენდნენ და დევნიდნენ მათ, ვინც საკუთარ ტყავს უფრთხილდებოდა, ვინც საკუთარ თავზე ზრუნავდა ომში, და დაუნდობლად ხვრეტდნენ მათ. ჩვენ ვამაყობთ ამ დიქტატურით, მუშათა ამ რკინისებური ხელისუფლებით, რომელმაც თქვა: ჩვენ დავამხვეთ კაპიტალისტები და თავს გავწირავთ, თუ კი ოდნავ მაინც შეეცდებიან ისინი კვლავ აღადგინონ თავიანთი ხელისუფლება. არავის არ უშიმშილნია ამ ორი წლის განმავლობაში ისე, როგორც პიტერის, მოსკოვისა და ივანოვო-ვოზნესენსკის მუშებმა იშიმშილეს. ახლა გამოანგარიშებულია, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ისინი იღებდნენ პურს არა უმეტეს 7 ფუთისა წელიწადში, მაშინ როდესაც პურის გუბერნიების გლეხები ჭამდნენ არა ნაკლებ 17 ფუთისა. მუშები არ მოერიდნენ დიდ მსხვერპლს, გადაჰქონდათ ავადმყოფობანი, მათ რიგებში იმატა სიკვდილიანობამ, და ისინი დაამტკიცებენ, რომ მუშები კაპიტალისტების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ არა შურისძიების გრძნობის გამო, არამედ იმისათვის, რომ მათ ურყევად გადაწყვიტეს შექმნან ისეთი სოციალური წესწყობილება, სადაც არ იქნებიან

მემამულეები და კაპიტალისტები. აი რის გულისათვის იქნა გაღებული ამდენი მსხვერპლი, მხოლოდ ამ გაუგონარი მსხვერპლით, ამასთან შეგნებული, ნებაყოფლობითი, წითელი არმიის დისციპლინით განმტკიცებული მსხვერპლით, წითელი არმიისა, რომელიც არ მიმართავდა ძველი დისციპლინის საშუალებებს, მხოლოდ ამ უდიდესი მსხვერპლით შეინარჩუნეს მოწინავე მუშებმა თავიანთი დიქტატურა და მოიხვეჭეს უფლება იმისა, რომ მათ პატივს სცემდნენ მთელი მსოფლიოს მუშები. არ უნდა დაივიწყონ მათ, ვინც განსაკუთრებით ცილს წამებს ბოლშევიკებს, რომ დიქტატურა ყველაზე უფრო მეტ მსხვერპლს, ყველაზე უფრო მეტ შიმშილს თვით იმ მუშებისათვის ნიშნავდა, რომლებიც დიქტატურას ახორციელებდნენ. ივანოვო-ვოზნესენსკის, პიტერისა და მოსკოვის მუშებმა ამ ორი წლის განმავლობაში იმდენი გადაიტანეს, რამდენიც სხვას არავის არასოდეს გადაუტანია წითელ ფრონტებზე ბრძოლაში.

ეს ყველაზე მეტად და უწინარეს ყოვლისა მხედველობაში უნდა იქონიონ და ყველაზე უფრო მტკიცედ უნდა დაიმახსოვრონ იმ ამხანაგებმა, რომლებიც ნახშირის მრეწველობაში მუშაობენ. თქვენ მოწინავე რაზმი ხართ. ჩვენ ომს განვაგრძობთ — არა სისხლიან ომს — ჩვენ იგი დავამთავრეთ, საბედნიეროდ, ახლა ვერავინ ვაბედავს თავს დაესხას საბჭოთა რუსეთს, იმიტომ რომ მათ იციან, რომ ისინი დამარცხდებიან, რადგან შეგნებულ მუშებს ჩვენ წინააღმდეგ ვერ გამოიყვანენ: ისინი ისევე ააფეთქებენ ნავსადგურებს, როგორც ინგლისელებს აუფეთქეს არხანგელსკში, როგორც ააფეთქეს ოდესაში. ეს დამტკიცებულია, ეს ჩვენ ბრძოლით მოვიპოვეთ, მაგრამ ჩვენ ომს განვაგრძობთ, მაინც განვაგრძობთ, ეკონომიურ ომს. მეტომრეებს, მუშების მცირე რიცხვს, რომლებიც წამხდარი არიან ძველი კაპიტალიზმის მიერ, რომლებიც ფიქრობენ, რომ «მე კი უნდა მომემატოს ხელფასი და დანარჩენებისათვის მიმიფურთხებიაო», აი ვის ვებრძვით ჩვენ ამჟამად. «მომეცი ორმაგი ხელფასი, მომეცი 2 — 3 გირვანქა პური დღეში», ხოლო იმაზე აღარ ფიქრობენ, რომ ისინი მუშა-

ობენ მუშებისა და გლეხების დასაცავად, რომ ისინი კაპიტალისტების დასაპყრობად ილაშქრებენ. მათ უნდა ვებრძოლოთ ამხანაგური აღზრდით, ამხანაგური ზეგავლენით, და აქ, გარდა პროფესიული კავშირებისა, ამას ვერავინ გააკეთებს. ასეთ მუშებს უნდა განვუმარტოთ, რომ თუ ისინი მეტომრეებისა და სპეკულანტების მხარეზე, იმ მდიდარი გლეხების მხარეზე გადავლენ, რომლებიც ამბობენ, რომ «რაც უფრო მეტი პური მექნება, მით უფრო გავმდიდრდებიო», რომ «ყველა თავისათვის, მხოლოდ ღმერთია ყველასათვისო», — ასეთ მუშებს უნდა განვუმარტოთ, რომ ასე მსჯელობენ ბატონი კაპიტალისტები და ყველა ისინი, ვინც ძველ კაპიტალისტურ ჩვეულებებს იცავს, ხოლო მათ, ვინც ძველებურად მსჯელობს, ჩვენ ვთვლით მოღალატეებად, გამცემლებად, რომლებიც მუშათა კლასმა უნდა დაგმოს და შეარცხვინოს. ჩვენ გარს გვარტყია კაპიტალისტური ქვეყნების უმრავლესობა, ისინი მთელ მსოფლიოში ერთდებიან ჩვენ წინააღმდეგ, ისინი უერთდებიან ჩვენს მეტომრეებს, მათ სურთ ძალით დაგვამხონ, ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენზე ძლიერნი არიან. ჩვენ ისევ წარმოვადგენთ გარემოცულ ციხე-სიმაგრეს, რომელსაც მთელი მსოფლიოს მუშები შეჰყურებენ, იციან, რომ აქედან მიდის მათთან თავისუფლება, და ამ გარემოცულ ციხე-სიმაგრეში ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ სამხედრო დაუნდობლობით, სამხედრო დისციპლინითა და თავგანწირულებით. იმათ, ვინც საკუთარ ტყავზე ზრუნავს, ვისაც არ სურს თავისი ჯგუფის ინტერესები ყველა მუშისა და გლეხის ინტერესებს შეუხამოს, მუშათა წრეში ვერ მოვითმენთ.

პროფესიული კავშირის საშუალებით უნდა შევქმნათ ისეთი ამხანაგური დისციპლინა, რომელიც ჩვენ წითელ არმიაში გვქონდა, რომელსაც ჩვენში გამოიმუშავებს ყოველი საუკეთესო პროფესიული კავშირი, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, თქვენც დაამყარებთ, შეჰქმნით რა ახლა სამთამადნო მუშების პროფესიულ კავშირს.

თქვენი კავშირი ერთ-ერთი მოწინავე კავშირი იქნება, სახელმწიფო ხელისუფლებისაგან ის ამისათვის ყოველგვარ დახმარებას მიიღებს, რის მოცემასაც კი ჩვენ შევძლებთ. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთსავე მსხვერპლს გაიღებთ თქვენც მტკიცე შრომითი დისციპლინის შექმნის საქმეში, შრომის ნაყოფიერების აწევისა და ნახშირის მრეწველობის მუშათა თავგანწირვის საქმეში, რომლებიც, შესაძლებელია, ყველაზე უფრო მძიმე, ყველაზე უფრო ჭუჭყიან, ყველაზე უფრო მომაკვდინებელ შრომას ეწევიან, რის მოსპობასაც საერთოდ ცდილობს ადამიანთა ტექნიკა.

მაგრამ იმისათვის, რომ გადავარჩინოთ საბჭოთა ხელისუფლება ამჟამად, აუცილებელია მრეწველობას მიეცეს პური, ე. ი. ნახშირი. უამისოდ შეუძლებელია აღვადგინოთ მეურნეობა, შეუძლებელია ავამოქმედოთ რკინიგზები, უამისოდ შეუძლებელია ავამუშაოთ ფაბრიკები და მივცეთ საგნები პურის სანაცვლოდ გლეხებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, მარტო ფერად-ფერად ქაღალდებს ვერ დასჯერდებიან, რომლებიც ჩვენ სესხს გვაძლევენ, რადგან ისინი ვალდებული არიან სესხი მისცენ მშიერ მუშებს. მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ დავუბრუნოთ ეს სესხი, ამიტომ უნდა გავაათკეცოთ წარმოება და ავამუშაოთ ყველა ფაბრიკა.

აი, ამხანაგებო, ის გიგანტური ამოცანა, რაც აწევს ყველა შეგნებულ მუშას, რაც აკისრიათ იმ მუშებს, რომელთაც ესმით, რომ საქმე ეხება საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, რათა ყველა შემდგომი თაობა სამუდამოდ გადავარჩინოთ მემამულეებისა და კაპიტალისტების მხრივ ჩაგვრას. ვისაც არ სურს ამის გაგება, ის განდევნილ უნდა იქნეს მუშათა წრიდან, ხოლო ვისაც ეს არასაკმაოდ ესმის, მასზე თავის ზემოქმედებას მოახდენენ პროფესიული კავშირები თავისი სწავლებით, თავისი ზეგავლენითა და პროპაგანდით, თავისი უდიდესი მზრუნველობით წარმოებასა და დისციპლინაზე. ამ გზით მოგველის ჩვენ მუშურ-გლეხური

ხელისუფლების განმტკიცება, და ამ, თუმცა ნელი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მუშაობის საშუალებით თქვენ მოიპოვებთ და უნდა მოიპოვოთ უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვებები, ვიდრე ჩვენი წითელი არმიის გამარჯვებებია ფრონტზე.

დაიბეჭდა 1920 წ. ბროშურაში:
«სამთამადნო მუშების სრულიად
რუსეთის I დამფუძნებელი
ყრილობის რეზოლუციები და
დადგენილებანი». მოსკოვი

**იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით**

# სიტყვა პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის III ყრილობაზე[103] 1920 წ. 7 აპრილს

(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის.) ამხანაგებო, ნება მომეცით, უწინარეს ყოვლისა, სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მივესალმო სრულიად რუსეთის მესამე ყრილობას. (ტაში.) ამხანაგებო, საბჭოთა ხელისუფლებას სწორედ ახლა უხდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომენტის გადატანა, რომელიც ჩვენ წინაშე მრავალი მხრივ აყენებს გარდატეხის პერიოდის ძალიან რთულ და ძალიან საინტერესო ამოცანებს. და სწორედ ამ მომენტის თავისებურება პროფკავშირებს აკისრებს განსაკუთრებულ ამოცანებსაც და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასაც სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

აი რატომ მინდოდა ამჟამად შევჩერებულიყავი არა იმდენად ახლახან დამთავრებული პარტიული ყრილობის ცალკეულ გადაწყვეტილებებზე (ამის შესახებ თქვენ უფრო დაწვრილებითი მოხსენება გექნებათ). მე მინდოდა შევჩერებულიყავი იმ ცვლილებებზე საბჭოთა პოლიტიკის პირობებში, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის ყველა ამოცანას აკავშირებენ პროფესიული კავშირების მოღვაწეობასთან. მიმდინარე მომენტის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს იმ სამხედრო ამოცანებიდან, რომლებიც აქამდე მთლიანად შთანთქავდნენ საბჭოთა ხელისუფლების ყურადღებასა და ძალ-ღონეს, მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის ამოცანებზე გადასვლა. და უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლებასა და საბჭოთა რესპუბლიკას ამ საქმეში

პირველად არ უხდება ასეთი მომენტის გადატანა. ამ საკითხის გადაწყვეტას ჩვენ მეორედ ვუბრუნდებით, — მეორედ აყენებს ისტორია პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდის მანძილზე პირველ რიგში მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანებს.

პირველად ეს იყო 1918 წლის დამდეგს, როდესაც გერმანული იმპერიალიზმის შემოტევის, დროის მიხედვით მოკლე, მაგრამ დარტყმის მიხედვით ძალიან ძლიერი შემოტევის შემდეგ ძველი კაპიტალისტური არმიის სრული რღვევის პირობებში, იმ პირობებში, როდესაც ჩვენ საკუთარი არმია არ გვყავდა და მოკლე ვადაში ჩვენ მას ვერც შევქმნიდით, გერმანული იმპერიალიზმის მტაცებლებმა თავს მოგვახვიეს ბრესტის ზავი. ეგონათ, რომ სამხედრო ამოცანები საბჭოთა ხელისუფლების რეალური ძალის სისუსტის გამო მეორე რიგში გადავიდა. ეტყობოდა, რომ ჩვენ შევძლებდით მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანებზე გადასვლას. მე მაშინაც მომიხდა მოხსენებით გამოსვლა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში 1918 წლის 29 აპრილს, თითქმის ორი წლის წინათ, ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი თეზისები, რომლებიც ჩემს მოხსენებასთან იყო დაკავშირებული და დაბეჭდილია. მე ამას თქვენ იმიტომ მოგაგონებთ, რომ მაშინაც უკვე თეზისებში ჩამოთვლილი იყო შრომის დისციპლინის მთელი რიგი საკითხები და სხვ. მისთ., რომლებიც ახლანდელი ყრილობის დღის წესრიგშიაც არის დასმული. მაშინდელ მომენტსა და ახლანდელ მიმდინარე მომენტს შორის არის მსგავსება. მე ვამტკიცებ, რომ დღესაც იმ დავისა და უთანხმოებისკენაა მიპყრობილი ჩვენი ყურადღება, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პროფესიულ მოძრაობაში ორი წლის წინათ. ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს რუსეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის გადაწყვეტილებანი ახლანდელი დავის შედეგი იყოს, — უაღრესად შემცდარია. ასეთ მტკიცებას შეუძლია დაამახინჯოს მოვლენათა ჭეშმარიტი მსვლელობა. და ამიტომ, საკითხის არსის სწორი გაგებისა და მისი გადაწყვეტისადმი სწორი მიდგომისათვის, სასარგებლო იქნება შევადაროთ და დავუფიქრდეთ იმას, თუ

როგორი იყო ვითარება 1918 წლის დამდეგს და როგორია ის ახლა.

მაშინ, გერმანიის იმპერიალიზმთან ომის მცირე ხნით შეწყვეტის შემდეგ, ჩვენ წინაშე პირველ რიგში წამოიჭრა მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანები. ვფიქრობდით, რომ შეიძლება გვექნეს მშვიდობიანი მშენებლობის ხანგრძლივი პერიოდიო. სამოქალაქო ომი ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო. კრასნოვი ჯერ კიდევ მხოლოდ გამოჩნდებოდა ხოლმე დონზე, სარგებლობდა რა გერმანელთა დახმარებით. ურალსა და ჩრდილოეთში არ იყო არავითარი გამოსვლა. საბჭოთა რესპუბლიკის ხელში იყო უზარმაზარი ტერიტორია, იმის გამოკლებით, რაც წაგვართვა ბრესტის ზავმა. მდგომარეობა ისეთი იყო, რომ შეიძლებოდა ვარაუდი გვქონოდა მშვიდობიანი მუშაობის ხანგრძლივი პერიოდისა. და აი ამ ვითარებაში, პირველი, რაც კომუნისტურმა პარტიამ დღის წესრიგში დააყენა და რაც ხაზგასმული იყო მთელ რიგ რეზოლუციებში, კერძოდ 1918 წლის 29 აპრილს, — იყო ფართო პროპაგანდის აუცილებლობა, შრომითი დისციპლინის გატარების გაძლიერებული და დაჟინებით მოთხოვნა.

დიქტატორული ძალაუფლება და ერთპიროვნულობა არ ეწინააღმდეგება სოციალისტურ დემოკრატიზმს. ეს საჭიროა გავიხსენოთ ახლა იმისათვის, რომ გავიგოთ ჩატარებული პარტიული ყრილობის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი. ეს სულაც არ წარმოადგენს პასუხს იმ საკითხებზე, რომლებიც მხოლოდ ახლა აღიძრა, არამედ დაკავშირებულია მიმდინარე ეპოქის თვით პირობებთან. და ვისაც ეს ეეჭვება, დაე შეადაროს ორი წლის წინ არსებული მდგომარეობა და მიხვდება, რომ მიმდინარე მომენტს მთელი ყურადღება გადააქვს შრომითი დისციპლინის საკითხებზე, შრომის არმიების საკითხებზე, თუმცა ორი წლის წინათ შრომის არმიებზე ლაპარაკიც არ იყო. მხოლოდ საკითხის ახლანდელი დაყენების მაშინდელ დაყენებასთან შედარებით შეგვიძლია მივიდეთ სწორ დასკვნამდე, უკუვაგდოთ წვრილმანი კერძოობანი და გამოვყოთ ზოგადი და ძირითადი. კომუნისტების პარტიისა და საბჭოთა

ხელისუფლების მთელი ყურადღება მიპყრობილია მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის საკითხზე, დიქტატურის საკითხებზე, ერთპიროვნულობის საკითხებზე. ამ საკითხთა ასეთ გადაწყვეტამდე მივყავართ არა მარტო იმ გამოცდილებას, რომელიც მივიღეთ შეუპოვარი სამოქალაქო ომის ორი წლის განმავლობაში.

როდესაც ჩვენ სულ პირველად დავაყენეთ ეს საკითხები 1918 წელს, ჩვენში არავითარი სამოქალაქო ომი არ იყო და არავითარ გამოცდილებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

მაშასადამე, არა მარტო წითელი არმიისა და ძლევამოსილი სამოქალაქო ომის გამოცდილებამ, არამედ რაღაც უფრო ღრმა, საერთოდ მუშათა კლასის დიქტატურის ამოცანებთან დაკავშირებულმა გარემოებამ გვაიძულა ახლა, ისე როგორც ორი წლის წინათაც, რომ მთელი ყურადღება მიგვექცია შრომის დისციპლინის საკითხებისათვის, დისციპლინისა, რომელიც სოციალიზმის მთელი სამეურნეო მშენებლობის არსს შეადგენს, პროლეტარიატის დიქტატურის ჩვენი გაგების საფუძველია. კაპიტალიზმის დამხობის შემდეგ ჩვენი რევოლუციის თვითეული დღე ძირფესვიანად გვაშორებს ჩვენ იმ გაგებას, რაზეც გაჰყვიროდნენ ძველი, მთლად წვრილბურჟუაზიული ინტერნაციონალისტები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ უმრავლესობის გადაწყვეტილება — მიწის, წარმოების საშუალებათა და კაპიტალის კერძო საკუთრების შენარჩუნების პირობებში — შეიძლება იყოს ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის დემოკრატიულ დაწესებულებათა შიგნით საკითხის გადაწყვეტა, მაშინ როდესაც ნამდვილად ერთადერთი გადაწყვეტილება არის მხოლოდ გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა. პროლეტარიატის დიქტატურის მნიშვნელობა, მისი ნამდვილი პრაქტიკული პირობები ჩვენ წინაშე გადაიშალა იმის მსვლელობაში, როცა, გადავწყვიტეთ რა ხელისუფლების დაპყრობის საკითხი, პრაქტიკულად მივადექით მის განხორციელებას; ჩვენ დავინახეთ, რომ კლასების ბრძოლა ამის შემდეგ არ წყდება, რომ კაპიტალისტებზე, მემამულეებზე გამარჯვებამ ვერ მოსპო ეს კლასები, მან ისინი მხოლოდ დაამარცხა, მაგრამ საბოლოოდ

ვერ მოსპო. საკმარისია დავიმოწმოთ კაპიტალის საერთაშორისო კავშირი, რომელიც გაცილებით უფრო ხანგრძლივია და მტკიცედაა გამაგრებული, ვიდრე ახლანდელ მომენტში მუშათა კლასის კავშირი.

კაპიტალი, თუ ავიღებთ მას საერთაშორისო მასშტაბით, ახლაც რჩება არა მარტო სამხედრო, არამედ ეკონომიური თვალსაზრისითაც საბჭოთა ხელისუფლებაზე და საბჭოთა წყობილებაზე უფრო ძლიერი. ამ ძირითადი დებულებიდან უნდა გამოვიდეთ და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ იგი. კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები იცვლება, ეს ფორმები ხან აშკარა საერთაშორისო ხასიათს იღებენ, ხან ერთ ქვეყანაში იყრიან თავს. ეს ფორმები იცვლება. იქნება ეს სამხედრო, სამეურნეო მდგომარეობა თუ სოციალური წყობის რომელიმე სხვა მომენტი, ბრძოლა გრძელდება, და კლასობრივი ბრძოლის ძირითადი კანონი დასტურდება ჩვენი რევოლუციით. რაც უფრო მტკიცედ ირაზმება პროლეტარიატი, ამხობს რა ბურჟუაზიულ კლასებს, მით უფრო მეტად სწავლობს იგი. რევოლუცია ვითარდება თვით ბრძოლის მსვლელობაში. და კაპიტალისტების დამხობის შემდეგაც ბრძოლა არ წყდება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს დამხობა ერთ ქვეყანაში განმტკიცდება, იგი პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს მთელი ქვეყნიერებისათვის. ოქტომბრის გადატრიალების დასაწყისში ხომ კაპიტალისტები ჩვენს რევოლუციას კურიოზად თვლიდნენ: მერე რა ვუყოთ, განა ცოტა უცნაურობა ხდება ხოლმე განაპირა მხარეებშიო.

იმისათვის, რომ პროლეტარიატის დიქტატურას მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონოდა, საჭირო იყო, რომ იგი პრაქტიკულად რომელიმე ქვეყანაში გამაგრებულიყო. მხოლოდ მაშინ დარწმუნდნენ კაპიტალისტები, და არა მარტო რუსი კაპიტალისტები, რომლებმაც მაშინვე მიაშურეს დახმარების სათხოვნელად სხვა კაპიტალისტებს, არამედ ყველა სხვა ქვეყნის კაპიტალისტებიც, რომ ამ საკითხისადმი დამოკიდებულება საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს. მხოლოდ მაშინ მიაღწია საერთაშორისო მასშტაბით კაპიტალისტთა წინააღმდეგობამ

იმ ძალას, რომელიც მას ჰქონდა. მხოლოდ მაშინ გაჩაღდა რუსეთში სამოქალაქო ომი, და ყველა გამარჯვებული ქვეყანა მთლიანად იმ გზას დაადგა, რომ ამ სამოქალაქო ომში რუს კაპიტალისტებსა და მემამულეებს დახმარებოდა.

კლასობრივი ბრძოლა რუსეთში სავსებით ჩამოყალიბდა 1900 წლისათვის, მაშინ როდესაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება 1917 წელს განხორციელდა. ეგ არაფერია, რომ დამხობილი კლასის წინააღმდეგობა ვითარდებოდა მისი დამხობის შემდეგ, მან თავისი ძალების ახალი წყარო პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთ დამოკიდებულებიდან მიიღო. ეს ყველამ იცის, ვისაც რამდენადმე შეუსწავლია მარქსიზმი, ვინც სოციალიზმს აყენებდა მუშათა კლასის საერთაშორისო მოძრაობის ნიადაგზე, როგორც მის ერთადერთ მეცნიერულ საფუძველზე. ყველამ იცის, რომ მარქსიზმი არის კლასთა მოსპობის თეორიული დასაბუთება. რას ნიშნავს ეს? სოციალიზმის გასამარჯვებლად არ კმარა კაპიტალისტების დამხობა, არამედ აუცილებელია განსხვავების მოსპობა პროლეტარიატსა და გლეხობას შორის. გლეხობა ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ იგი, ერთი მხრივ, მშრომელთა კლასია, რომლებსაც ათეულ წლობითა და საუკუნეობით ჩაგრავდნენ მემამულეები, კაპიტალისტები, და რომლებიც ამიტომ დიდხანს ვერ შეძლებენ თავიდან ამოიგდონ მოგონება იმისა, რომ ისინი ამ ჩაგვრისაგან მხოლოდ მუშებმა გაათავისუფლეს. ამაზე ათეულ წლობით შეიძლება დავა, ამ საკითხის გამო უამრავი ქაღალდი გადაუჭრელებიათ წერით, და ამ საკითხზე მრავალი ფრაქციული დაჯგუფება შექმნილა, მაგრამ ახლა ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ დაიჩრდილა ეს უთანხმოებანი ცხოვრების ფაქტების წინაშე. გლეხები, როგორც მაშვრალნი, მრავალი წლის მანძილზე ვერ დაივიწყებენ, და ნამდვილად ეს ასეც იყო, რომ ისინი მემამულეებისაგან მხოლოდ მუშებმა გაათავისუფლეს. ამაზე დავა არ მოგვიხდება, მაგრამ ისინი მაინც მესაკუთრეებად რჩებიან სასაქონლო მეურნეობის ვითარებაში. თვითეული შემთხვევა პურის გაყიდვისა თავისუფალ ბაზარზე,

მეტომრეობა და სპეკულაცია არის სასაქონლო მეურნეობის აღდგენა და, მაშასადამე, კაპიტალიზმის აღდგენაც. როდესაც ჩვენ კაპიტალისტებს ვამხობდით, ამით ვათავისუფლებდით გლეხობას, კლასს, რომელიც ძველ რუსეთში, უეჭველად, მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა. გლეხობა თავის წარმოებაში მესაკუთრედ რჩებოდა, და იგი წარმოშობდა და წარმოშობს ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ ახალ კაპიტალისტურ ურთიერთობათ. აი ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის ძირითადი ნიშნები. აი საიდან წარმოდგება ისეთი უაზრო სიტყვები, რომელნიც ჩვენ გვესმის იმათგან, ვისაც საქმის მდგომარეობა არ გაეგება. სიტყვები თანასწორობაზე, თავისუფლებასა და დემოკრატიაზე ახლანდელ ვითარებაში — ჩმახვაა. ჩვენ კლასობრივ ბრძოლას ვეწევით, და ჩვენი მიზანია კლასების მოსპობა. სანამ რჩებიან მუშები და გლეხები, მანამდე სოციალიზმი განუხორციელებელი დარჩება. და პრაქტიკაში ყოველ ნაბიჯზე ხდება შეურიგებელი ბრძოლა. საჭიროა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ და რა პირობებში შეუძლია პროლეტარიატს, რომელსაც ხელთ უპყრია იძულების ისეთი ძლიერი აპარატი, როგორიცაა სახელმწიფო ძალაუფლება, მიიმხროს გლეხი, როგორც მაშვრალი, და დაამარცხოს ან ნეიტრალიზაცია მოახდინოს, უვნებელყოს მისი წინააღმდეგობა როგორც მესაკუთრისა.

აქ კლასობრივი ბრძოლა გრძელდება, და ჩვენ წინაშე პროლეტარიატის დიქტატურის მნიშვნელობა ახალი გაგებით ვლინდება. აქ იგი გამოდის არა მარტო და არც იმდენად, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების მთელი აპარატის იძულების საშუალებათა გამოყენება ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დასათრგუნავად. რასაკვირველია, მართალნი არიან, როდესაც ლაპარაკობენ, რომ ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ ამაზე დაყრდნობითაც, მაგრამ ჩვენ, გარდა ამისა, გვრჩება აგრეთვე სხვა მეთოდიც, სადაც პროლეტარიატმა უნდა შეასრულოს როლი ორგანიზატორისა, რომელმაც გაიარა შრომის სკოლა, სწავლის, წვრთნის სკოლა, კაპიტალისტური ფაბრიკის დისციპლინა. ჩვენ უნდა შევძლოთ მოვაწყოთ მეურნეობა ახალ,

უფრო სრულქმნილ ბაზაზე კაპიტალიზმის ყველა მონაპოვართა უტილიზაციითა და აღრიცხვით. უამისოდ ჩვენ ვერავითარი სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებას ვერ შევძლებთ. ეს ამოცანა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე სამხედრო ამოცანა. სამხედრო ამოცანა ჩვენ შეგვიძლია მრავალი მხრივ უფრო ადვილად გადავწყვიტოთ. იგი შეიძლება გადავწყვიტოთ მთელი ენერგიის მოკრეფით, თავგანწირულებით. გლეხობისათვის ადვილი და გასაგები იყო, როდესაც იგი საუკუნეობრივი მტრის— მემამულის წინააღმდეგ მიდიოდა. მას არ ჭირდებოდა იმის გაგება, თუ რა კავშირია მუშათა ხელისუფლებასა და თავისუფალ ვაჭრობაზე გამარჯვების აუცილებლობას შორის. რუს თეთრგვარდიელთა, მემამულეთა და კაპიტალისტთა დამარცხება, მთელი მათი თანაშემწეებით მენშევიკების სახით, ადვილი იყო, ეს გამარჯვება კი ჩვენ უფრო ძვირად დაგვიჯდება დროის თვალსაზრისითაც და ძალთა დახარჯვის თვალსაზრისითაც.

სამეურნეო ამოცანებში ისე გამარჯვება, როგორც სამხედრო ამოცანებში, — შეუძლებელია. თავისუფალი ვაჭრობის დამარცხება ენთუზიაზმითა და თავგანწირვით არ შეიძლება. აქ საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა, აქ საჭიროა აღება გოჯობით, აქ საჭიროა პროლეტარიატის მაორგანიზებელი ძალები, აქ გამარჯვება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარიატი თავის დიქტატურას განახორციელებს, როგორც უდიდეს ორგანიზებულ, ორგანიზაციულ და მორალურ ძალას ყველა მშრომელისათვის და მათ შორის არაპროლეტარული მასის მშრომელებისათვის. რამდენადაც ჩვენ წარმატებით გადავწყვიტეთ და ასევე წარმატებით გადავწყვეტთ პირველ და უმარტივეს ამოცანას — ექსპლოატატორების დათრგუნვას, რომლებიც პირდაპირ ცდილობენ განდევნონ საბჭოთა ხელისუფლება, ამდენად ჩვენ წინაშე დგება უფრო რთული მეორე ამოცანა — პროლეტარიატის ძალთა დარაზმვა, იმის შესწავლა, რომ ვიყოთ კარგი ორგანიზატორი. ახლებურად უნდა მოვაწყოთ შრომა, უნდა შევქმნათ შრომაში ჩაბმის ახალი ფორმები, შრომის დისციპლინისადმი დამორჩილების ახალი ფორმები. ამ ამოცანას კაპიტალიზმიც კი ათეულ წლობით წყვეტდა. აქ ხში-

რად უშვებენ ყველაზე უხეშ შეცდომებს. ჩვენი მოწინააღმდეგეების რიცხვიდან ბევრია ისეთი, რომელიც ამ საკითხში სრულ ვაუგებლობას იჩენს. მათ უტოპისტებად გამოგვაცხადეს ჩვენ, როდესაც ვლაპარაკობდით, რომ შეიძლება ძალაუფლების ხელში აღებაო. მეორე მხრივ, ისინი ჩვენგან მოითხოვენ, რომ რამდენიმე თვეში მოვახდინოთ შრომის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც რამდენიმე წლის შედეგს მოგვცემდა. ეს სისულელეა. ხელისუფლება შეიძლება შეინარჩუნოთ, პოლიტიკური მომენტის გარკვეულ პირობებში, მუშათა ენთუზიაზმით, შესაძლებელია, მთელი ქვეყნიერების წინააღმდეგ. ჩვენ ეს დავამტკიცეთ. მაგრამ საზოგადოებრივი დისციპლინის ახალი ფორმების შექმნა ათეული წლების საქმეა. თვით კაპიტალიზმსაც კი მრავალი ათეული წლები დასჭირდა იმისათვის, რომ ძველი ორგანიზაცია ახალ ორგანიზაციად გადაეკეთებინა. როდესაც ჩვენგან მოელიან და როდესაც მუშებსა და გლეხებს შთააგონებენ, რომ ჩვენ შეგვიძლია მოკლე დროში გარდავქმნათ შრომის ორგანიზაცია, ეს თეორიულად თავიდან ბოლომდე სისულელეა.

და არა მარტო სისულელე, არამედ უდიდესი ბოროტებაცაა, იმიტომ რომ იგი მუშებს ხელს უშლის ნათლად შეიგნონ ახალი ამოცანების ძველისაგან განსხვავება. ახალი ამოცანაა — მრეწველობისა და, პირველ რიგში, ჩვენი ძალების ორგანიზაცია, ორგანიზაციის დარგში კი ჩვენ სუსტნი ვართ, სუსტნი ყველა მოწინავე ხალხთან შედარებით. ორგანიზაციის უნარი ვითარდება მსხვილი მანქანური ინდუსტრიიდან. და სხვა არავითარი მატერიალური ისტორიული ბაზისი არ არსებობს. მილიონობით ადამიანების წარმოება წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით და მსხვილი მანქანური ინდუსტრიის საშუალებებით — არავითარი სხვა ბაზისი არ არსებობს. და აი აქ ერთმანეთს არ ემთხვევა პროლეტარიატისა და გლეხების ინტერესები. აქ დგება ბრძოლის, — გლეხობასთან ბრძოლის, — ძნელი პერიოდი. მეორე მხრივ კი, ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ გლეხობას, რომ მისთვის სხვა გამოსავალი არ არსებობს, ან უნდა მუშებთან ერთად იაროს, დაეხმაროს პროლეტარიატს,

ანდა ხელახლა ჩაუვარდეს ხელში მემამულეებს. საშუალო რამ არ არსებობს, საშუალო რამ აქვთ მენშევიკებს, რაც სრულ სიდამპლეს წარმოადგენს, რომელიც ირღვევა ყველგან და ყოველ ადგილას, რომელიც ირღვევა გერმანიაშიც. გლეხთა მასებს არ შეუძლიათ ეს გაიგონ II და III ინტერნაციონალების თეორიიდან და დაკვირვებიდან. გლეხთა მასებს — ათეულ მილიონობით ადამიანებს — იგი შეუძლიათ გაიგონ მხოლოდ საკუთარი პრაქტიკიდან, ყოველდღიური ცხოვრებიდან. გლეხობას შეეძლო გაეგო კოლჩაკსა და დენიკინზე გამარჯვება. მან თვალნათლივ დაუპირისპირა კოლჩაკსა და დენიკინს მუშათა კლასის დიქტატურა, ისეთი რამ, რითაც ყველაზე უფრო მეტად აშინებდნენ გლეხობას და ახლაც კიდევ ცდილობენ მენშევიკები და ესერები დააშინონ იგი. მაგრამ გლეხობა ფაქტიურად თეორიას ვერ მოკიდებდა ხელს და ვერც შეძლებს მოკიდოს. გლეხთა მასები ხედავენ, რომ მენშევიკები და ესერები ყველანი ტყუიან, და გლეხები ხედავენ იმ ბრძოლას, რომელსაც ჩვენ ვეწევით სპეკულაციასთან. უნდა ვაღიაროთ, რომ მენშევიკებმაც აგიტაციაში ზოგიერთი წარმატება მოიპოვეს, ისწავლეს რა ჩვენი არმიის პოლიტგანყოფილებებისაგან. გლეხებმა ნახეს დროშა, რომელსაც ეწერა არა პროლეტარიატის დიქტატურა, არამედ დამფუძნებელი კრება, ხალხის ხელისუფლება, მათ სიტყვა «დიქტატურა» არ უნახავთ, სიტყვა «დიქტატურა» მათ არ ესმოდათ. მაგრამ მათ სინამდვილეში დაინახეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება უკეთესი აღმოჩნდა.

და აი ახლა ჩვენ წინაშეა მეორე ამოცანა — მორალური ზემოქმედება გლეხობაზე. და ჩვენი ძალდატანების საშუალებები გლეხობის მიმართ საქმეს ნაკლებად უშველის. აქ წყდება ეკონომიური განსხვავებულობის საკითხი გლეხობის შიგნით. მუშები ბრძოლაში, კაპიტალისტების დამხობის შემდეგ, ორწლიანი სამოქალაქო ომით შეკავშირდნენ, შემჭიდროვდნენ, დაირაზმნენ. გლეხობა კი, რაც დრო გადის, მით უფრო ითიშება. გლეხები მემამულეებსა და კაპიტალისტებს ვერ დაივიწყებენ, მათ ახსოვთ ისინი. მეორე მხრივ, ახლანდელი გლეხობა ერთიანი

არაა, ერთი ნაწილის ინტერესები მეორე ნაწილის ინტერესებს არ ეთანხმება. გლეხობა არაა მჭიდროდ შეკავშირებული. ყოველ გლეხს ხომ არა აქვს ნაჭარბი სურსათის მხრივ. აქ არავითარი თანასწორობა არაა. ეს ლაყბობაა. იმისათვის, რომ გლეხობა გავთიშოთ და არაკულაკური ელემენტები ჩვენ მხარეზე გადმოვიყვანოთ, დიდი დრო იქნება საჭირო. ეს ხანგრძლივი ბრძოლა იქნება, და მასში ჩვენ გამოვიყენებთ ყველა ჩვენს ძალას, ყველა ჩვენს საშუალებას. მაგრამ მარტო ძალით როდი შეიძლება გამარჯვება, უნდა ვისარგებლოთ მორალური საშუალებებითაც. აი სწორედ აქედან გამომდინარეობს ყველა ის საკითხი დიქტატორული ხელისუფლებისა და ერთპიროვნულობის შესახებ, რომლებიც ბევრს, ყოველ შემთხვევაში დარწმუნებით შეიძლება ითქვას — ზოგს, ჰგონია, რომ მხოლოდ გუშინდელი დღის ჩვენი კამათიდან ამოტივტივდა ზედაპირზე. მაგრამ ეს შეცდომაა. შეადარეთ 1918 წელს. არავითარი დავა არ ყოფილა.

როგორც კი გერმანიასთან ზავის შემდეგ ჩვენ წინაშე აღიმართა საკითხი: რაზე უნდა დაფუძნდეს ხელისუფლება, ჩვენ, კომუნისტებმა, ვუპასუხეთ: უნდა განვუმარტოთ, რომ დემოკრატიზმი საბჭოთა ხელისუფლებაში დიქტატურას არ ეწინააღმდეგება. ეს არ მოეწონა ძველი ინტერნაციონალის ბევრ ბელადს. მე მაგინებდა კაუცკიც.

გლეხები ნახევრად მაშვრალნი არიან, ნახევრად მესაკუთრენი, და იმისათვის, რომ ისინი ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ, საჭიროა ერთიანი ნება, საჭიროა, რომ თვითეულ პრაქტიკულ საკითხში ყველა მოქმედებდეს როგორც ერთი. ერთიანი ნება არ შეიძლება იყოს ფრაზა, სიმბოლო: ჩვენ მოვითხოვთ, რომ იგი პრაქტიკაში იყოს. ნების ერთიანობა ომში იმით გამოიხატა, რომ თუ ვინმე თავის საკუთარ ინტერესებს, თავისი სოფლის, ჯგუფის ინტერესებს საერთო ინტერესებზე მაღლა აყენებდა, მას დაღავდნენ საკუთარი ტყავისათვის მზრუნველის სახელით, მას ხვრეტდნენ, და ეს დახვრეტა მართლდებოდა მუშათა კლასის იმ ზნეობრივი შეგნებით, რომ იგი გამარჯვებისაკენ უნდა მიდიოდეს. ამ დახვრეტათა შე-

სახებ ჩვენ აშკარად ვლაპარაკობდით, ვამბობდით, რომ ჩვენ ძალდატანებას არ ვმალავთ, იმიტომ რომ შეგნებული გვაქვს, რომ ძველი საზოგადოებიდან გამოსვლას ჩვენ ვერ შევძლებთ პროლეტარიატის ჩამორჩენილი ნაწილის იძულების გარეშე. აი რაში გამოიხატებოდა ნების ერთიანობა. და ნების ეს ერთიანობა პრაქტიკაში ხორციელდებოდა ყოველი დეზერტირის დასჯით, ყოველ ბრძოლაში, ლაშქრობაში, როდესაც კომუნისტები წინ მიდიოდნენ და მაგალითს უჩვენებდნენ. ახლა ამოცანა ასეთია — ვცადოთ ნების ეს ერთიანობა გამოვიყენოთ მრეწველობაში, მიწათმოქმედებაში. ჩვენ გვაქვს ათასვერსიანი სივრცეები, ფაბრიკების უსაზღვრო რაოდენობა. აქ თქვენ გაიგებთ, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ ამის გატარებას მარტო ძალდატანებით, აქ თქვენ მიხვდებით, თუ რა დიდი ამოცანა დგას ჩვენ წინაშე, თქვენ გაიგებთ, რას ნიშნავს ნების ეს ერთიანობა. ეს მარტო ლოზუნგი როდია. ამას უნდა ჩავუფიქრდეთ, მოვისაზროთ. ეს ლოზუნგი ჩვენგან მოითხოვს ყოველდღიურ ხანგრძლივ მუშაობას. აიღეთ 1918 წელი, როდესაც არ იყო ეს დავა; მე მაშინაც მივუთითებდი ერთპიროვნულობის აუცილებლობაზე, ერთი პირის დიქტატორულ რწმუნებულობათა აღიარების აუცილებლობაზე საბჭოთა იდეის გატარების თვალსაზრისით. ყოველგვარი ფრაზა თანასწორუფლებიანობის შესახებ — ჩმახვაა. ჩვენ თანასწორუფლებიანობის ნიადაგზე არ ვეწევით კლასობრივ ბრძოლას. პროლეტარიატს მხოლოდ ასე შეუძლია გაიმარჯვოს. მას შეუძლია გაიმარჯვოს, იმიტომ რომ აქ ასობით ათასი დისციპლინირებული ადამიანები არიან, რომლებიც გამოხატავენ ერთ ნებას, და მას შეუძლია დაამარცხოს გლეხობის ეკონომიური დაქუცმაცებულობა; გლეხობას არა აქვს ის საერთო ბაზა, რომელიც აკავშირებს, რაზმავს პროლეტარიატს ფაბრიკაში, ქარხანაში, ქალაქებში. გლეხობა ეკონომიურად დაქსაქსულია. იგი ნაწილობრივ მესაკუთრეა, ნაწილობრივ მაშვრალი. საკუთრება მას კაპიტალიზმისაკენ ეზიდება: «რაც უფრო ხელსაყრელად გავყიდი, მით უკეთესი». «თუ შიმშილობაა, მით უფრო ძვირად გავყიდი». მაშვრალმა გლეხმა კი იცის, რომ მემამულისაგან მან

ნახა ჩაგვრა, რომლისგანაც იგი მუშამ გაათავისუფლა. აქ ორი სულისკვეთება იბრძვის, რაც გლეხობის ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ეს ორი სულისკვეთება ერთმანეთისაგან უნდა გამოვყოთ. და მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ, როდესაც გავატარებთ მტკიცე ხაზს. ყველა მშრომელი ჩვენთვის მუდამ მშრომელი იქნება. ხოლო გლეხ მესაკუთრეებთან ჩვენ ბრძოლა მოგვიხდება. გარდა იმისა, რომ ისინი ერთმანეთს ეჩხუბებიან, ისინი ამავე დროს სიბნელითაც არიან მოცულნი. «ერთა ლიგის» ვაჟბატონები, მადლობა ღმერთს, სიბნელით მოცულნი არ არიან, ისინი უფრო განათლებულნი არიან, შეიძლება, ჩვენს მენშევიკებსა და ესერებზეც უფრო განათლებულნი, მაგრამ რა ხდება იქ? იაპონია აქებს და ადიდებს «ერთა ლიგას», თვითონ კი ფეხს უდებს ამერიკას და ა. შ.

ისინი ყველანი ერთმანეთს ეჩხუბებიან, ჩვენ კი გაერთიანებული ვართ, ამიტომაც არის, რომ ყველა ქვეყნის მუშები ჩვენკენ გადმოდიან. თუ ჩვენ შევმუსრეთ ისეთი განათლებული ბატონები, როგორიც არიან საერთაშორისო პოლიტიკის ხელმძღვანელები, ისეთი მრავალი გამოცდილების მქონენი, მდიდარნი, რომელთაც ასჯერ მეტი ზარბაზნები და დრედნოუტები აქვთ, ვიდრე ჩვენ, მაშინ სასაცილოა იმაზე ფიქრი, რომ გლეხთა საკითხს ჩვენ ვერ გადავწყვეტთ. აქ გაიმარჯვებს დისციპლინა, ერთგულება, ნების ერთიანობა. ასეულ და ათეულ ათასობით ადამიანთა ნება შეიძლება გამოიხატოს ერთ პიროვნებაში. ეს რთული ნება შემუშავდება საბჭოური გზით. იმდენი გლეხთა და მუშათა ყრილობები, რამდენიც ჩვენში იყო, არ ყოფილა მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოში. ამ გზით ჩვენ ვავითარებთ შეგნებას. ის, რასაც იძლევა საბჭოთა კონსტიტუცია, არც ერთ სახელმწიფოს არ შეეძლო მოეცა 200 წლის მანძილზე. (ტ ა შ ი.) ავიღოთ მარტო ყრილობების რიცხვი, — არც ერთ სახელმწიფოს დემოკრატიზმის ასი წლის მანძილზე ამდენი არ მოუწვევია, ჩვენ კი სწორედ ამ გზით შევიმუშავებთ საერთო გადაწყვეტილებებს და ვჭედავთ საერთო ნებას.

ამ უფართოეს ბაზაზე უნდა გავიგოთ ჩვენი საბჭოთა კონსტიტუცია, ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება. იგი იძლევა იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებებს მსოფლიოში ავტორიტეტის არნახული ძალა, მუშათა და გლეხთა ძალა აქვს. მაგრამ ჩვენთვის ეს ცოტაა. ჩვენ მატერიალისტები ვართ, და ჩვენ ავტორიტეტის ძალას ვერ დავჯერდებით. არა, გაისარჯეთ გაატაროთ ეს ცხოვრებაში. და ჩვენ ვხედავთ, რომ აქ ძველი ბურჟუაზიული სტიქია გვერევა, იგი ჩვენზე ძლიერია, — ეს ჩვენ აშკარად უნდა ვაღიაროთ. ცალ-ცალკე მეურნეობის წარმოების და თავისუფალი ვაჭრობის განმტკიცების ძველი წვრილბურჟუაზიული ჩვეულებები, — ყოველივე ეს ჩვენზე ძლიერია.

პროფკავშირები კაპიტალიზმიდან აღმოცენდა, როგორც ახალი კლასის განვითარების საშუალება. კლასი არის ცნება, რომელიც ყალიბდება ბრძოლასა და განვითარებაში. კედელი არ ყოფს ერთ კლასს მეორისაგან. მუშები და გლეხები ჩინური კედლით არ არიან ერთმანეთისაგან გათიშული. როგორ სწავლობდა ადამიანი გაერთიანებას? ჯერ ამქრის, შემდეგ პროფესიის საშუალებით. როდესაც პროლეტარიატი კლასად იქცა, იმდენად გაძლიერდა, რომ ხელში აიღო მთელი სახელმწიფო მანქანა, მთელ ქვეყნიერებას ომი გამოუცხადა და აქ გამარჯვება მოიპოვა. მაშინ უკვე ამქრები და პროფესიები ჩამორჩენილი ხდებიან. იყო ხანა კაპიტალიზმის დროსაც, როდესაც პროლეტართა გაერთიანება ამქრებისა და პროფესიების გზით ხდებოდა. ეს მაშინ პროგრესული მოვლენა იყო. სხვანაირად პროლეტარიატს გაერთიანება არ შეეძლო. თქმა იმისა, რომ პროლეტარიატს შეეძლო ერთბაშად კლასად გაერთიანებულიყო, — აბსურდია. ასეთი გაერთიანება ათეულ წლობით შეიძლება ხდებოდეს. არავინ არ იბრძოდა ისე ასეთი სექტანტური ბეცური შეხედულებების წინააღმდეგ, როგორც მარქსი. კლასი იზრდება კაპიტალიზმის ვითარებაში, ხოლო როდესაც რევოლუციისათვის დგება ხელსაყრელი მომენტი, იგი თავის ხელში იღებს სახელმწიფო ძალაუფლებას. და მაშინ ყველა ამქარი და

პროფესია მოძველებული ხდება, ისინი უკვე ჩამორჩენილთა როლს თამაშობენ, ისინი უკან ეწევიან, იმიტომ კი არა, რომ იქ რაღაც ცუდი ადამიანები სხედან, არამედ იმიტომ, რომ ცუდი ადამიანები და კომუნიზმის მოწინააღმდეგეები აქ ნიადაგს ნახულობენ თავიანთი პროპაგანდისათვის. ჩვენ გარშემორტყმული ვართ წვრილი ბურჟუაზიით, რომელიც აღადგენს თავისუფალ ვაჭრობასა და კაპიტალიზმს. კარლ მარქსი ყველაზე მეტად იბრძოდა ძველი უტოპიური სოციალიზმის წინააღმდეგ და მოითხოვდა მეცნიერულ შეხედულებას, რომელიც მიუთითებს, რომ კლასთა ბრძოლის ნიადაგზე კლასი იზრდება და უნდა დავეხმაროთ მის მომწიფებას. იგივე მარქსი ბრძოლას ეწეოდა მუშათა კლასის იმ ბელადების წინააღმდეგ, რომლებიც შეცდომაში ვარდებოდნენ. ფედერალურ საბჭოში 1872 წელს მარქსს გამოუტანეს გაკიცხვის რეზოლუცია იმის გამო, რომ მან თქვა, ინგლისელი ბელადები ბურჟუაზიის მიერ არიან მოსყიდულნიო. რასაკვირველია, მარქსს ეს იმ აზრით კი არ ეთქმოდა, რომ ეს და ეს ადამიანები გამცემლები არიანო. ეს სისულელეა. იგი ლაპარაკობდა მუშათა გარკვეული ნაწილის ბურჟუაზიასთან ბლოკის შესახებ. ბურჟუაზია მხარს უჭერს მუშების ამ ნაწილს პირდაპირ და არაპირდაპირ. ამაში მჟღავნდება მისი ქრთამიც.

წარმომადგენლების გაყვანა პარლამენტებში — ამ მხრივ ინგლისის ბურჟუაზია სასწაულებს ახდენდა, ის სხვებზე წინ მიდიოდა. მარქსი და ენგელსი 1852 წლიდან 1892 წლამდე, ორმოცი წლის განმავლობაში, ამხელდნენ ბურჟუაზიას, მაგრამ ბურჟუაზია ხომ ასე იქცევა ყველა ქვეყანაში. ყველგან მსოფლიოში პროფკავშირების გადასვლა მონების როლიდან მშენებელთა როლზე გარდატეხას წარმოადგენს. ჩვენ ორი წელიწადია ვარსებობთ და რასთან არის ეს დაკავშირებული? ამჟამად ეს ნიშნავს მუშათა კლასის უფრო დიდ შიმშილს. 1918 და 1919 წელს სახელმწიფოს სამრეწველო მუშებმა მიიღეს მხოლოდ შვიდ-შვიდი ფუთი პური, ხოლო პურის გუბერნიების გლეხებმა — 17 ფუთი. მეფის დროს, უკეთეს შემთხვევაში, გლეხს ჰქონდა 16 ფუთი, ჩვენი ხელისუფლების დროს კი

მას აქვს 17 ფუთი. ამის შესახებ არის სტატისტიკური საბუთები. პროლეტარიატი ორ წელიწადს შიმშილობდა, მაგრამ ამ შიმშილში ის მჟღავნდებოდა, რომ მუშას შეუძლია მსხვერპლად შეწიროს არა მარტო თავისი ამქრული ინტერესები, არამედ თავისი სიცოცხლეც. ორი წლის განმავლობაში პროლეტარიატმა შეძლო გადაეტანა შიმშილი, იმიტომ რომ მას ჰქონდა ყველა მშრომელის ზნეობრივი მხარდაჭერა, და ისიც მიდიოდა ამ თავგანწირვაზე მუშურ-გლეხური ხელისუფლების გამარჯვების გულისათვის. მართალია, გრძელდება მუშების დაყოფა პროფესიებად, და ამ პროფესიებიდან ბევრი ისეთი პროფესიებია, რომლებიც საჭირო იყო კაპიტალისტებისათვის, მაგრამ რომლებიც ჩვენ არ გვჭირდება. და ჩვენ ვიცით, რომ ამ პროფესიების მუშები სხვებზე უფრო მეტად შიმშილობენ. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. კაპიტალიზმი გატეხილია, მაგრამ სოციალიზმი ჯერ კიდევ არაა აშენებული და შენება მისი ჯერ კიდევ დიდხანს გაგრძელდება. აქ ჩვენ ვეჯახებით ყოველგვარ გაუგებრობას, რომელიც შემთხვევითი კი არაა, არამედ პროფკავშირების ისტორიული როლის შედეგია, პროფკავშირებისა, როგორც ამქრული გაერთიანების იარაღისა კაპიტალიზმის დროს და იმ მუშათა კლასობრივი გაერთიანებისა, რომლებმაც სახელმწიფო ხელისუფლება აიღეს. ასეთი მუშები ყოველგვარ მსხვერპლზე მიდიან, ქმნიან დისციპლინას, რომელიც მათ ალაპარაკებს და ბუნდოვნად აგრძნობინებს, რომ კლასობრივი ინტერესები ამქრულ ინტერესებზე მაღლა დგას. იმ მუშებს, რომლებსაც უნარი არ შესწევთ გაიღონ ასეთი მსხვერპლი, ჩვენ ვთვლით საკუთარი ტყავისათვის მზრუნველ ადამიანებად და მათ ჩვენ ვაძევებთ პროლეტარული ოჯახიდან.

აი ის ძირითადი საკითხი შრომითი დისციპლინის, ერთპიროვნულობის შესახებ ზოგადი დაყენებით, რომელიც პარტიულმა ყრილობამ განიხილა. აი პარტიული ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა არსი, რომლებიც თქვენ ყველამ იცით და რომლებსაც უფრო დაწვრილებით მოგვითხრობენ სპეციალური მომხსენებლები. მათი აზრი იმაში გამოიხატება, რომ

მუშათა კლასი გაიზარდა და დავაჟკაცდა; მან ხელში აიღო ძალაუფლება და იგი იბრძვის მთელი ბურჟუაზიული სამყაროს წინააღმდეგ, და ბრძოლა სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება. ომში ბრძოლა უფრო ადვილი იყო. ამჟამად გვჭირდება ორგანიზაციის საქმე, მორალური აღზრდის საქმე. პროლეტარიატის რიცხობრიობა ამჟამად რუსეთში არც ისე დიდია. მისმა რიგებმა ომის დროს შეთხელება იწყეს. ჩვენი გამარჯვებების წყალობით ჩვენ გაგვიძნელდა ქვეყნის მართვა-გამგეობა. როგორც პროფესიონალისტებმა, ისე მუშათა მასებმაც ეს უნდა გაიგონ. როდესაც ჩვენ დიქტატურაზე ვლაპარაკობთ, ეს ცენტრალისტების ჟინიანობა როდია. ჩვენ მიერ დაპყრობილმა ოლქებმა მნიშვნელოვნად გააფართოეს საბჭოთა რუსეთის ტერიტორია. ჩვენ დავამარცხეთ ციმბირი, დონი, ყუბანი. იქ პროლეტარიატი პროცენტულად უმნიშვნელო რაოდენობითაა, უფრო ნაკლებია, ვიდრე აქ, ჩვენთან. ჩვენი მოვალეობაა პირდაპირ მივიდეთ მუშასთან და გულახდილად ვუთხრათ მას მუშაობის მდგომარეობის გართულების შესახებ. საჭიროა მეტი დისციპლინა, მეტი ერთპიროვნულობა და მეტი დიქტატურა. უამისოდ ოცნებაც არ შეიძლება დიდ გამარჯვებაზე. ჩვენ გვყავს სამი მილიონი კაცისაგან შემდგარი ორგანიზებული არმია. 600 000 კომუნისტი, პარტიის წევრი, მისი ავანგარდი უნდა იყოს.

მაგრამ ჩვენ რომ არა გვყავს გამარჯვებისათვის სხვა არმია, გარდა 600 000 კომუნისტისა და 3 000 000 პროფკავშირის წევრისა, ეს უნდა გავიგოთ. გლეხურ-კულაკური მოსახლეობით დასახლებული ტერიტორიების შემოერთება პროლეტარულ ძალთა ახალ დაძაბვას მოითხოვს. ჩვენ ვდგავართ პროლეტარული და არაპროლეტარული მასების, მათი სოციალური და კლასობრივი ინტერესების ახალ თანაფარდობათა წინაშე. მარტო ძალდატანებით აქ ვერაფერს გააწყობთ. განსაკუთრებით საჭიროა ორგანიზაცია და მორალური ავტორიტეტი. აქედან გამომდინარეობს ჩვენი აბსოლუტური რწმენა, რომელიც ჩვენ პარტიულ ყრილობაზე გამოვიტანეთ და რომლის დაცვასაც ჩემს მოვალეობად ვთვლი. ჩვენი ძირითადი ლოზუნ-

გია — უფრო მეტი ერთპიროვნულობა და უფრო ახლოს მასთან, უფრო მეტი შრომითი დისციპლინა, ბეჯითობა, ვიმუშაოთ სამხედრო გამბედაობით, სიმტკიცით, თავგანწირვით, უკუვაგდოთ ჯგუფების, ამქრების ინტერესები, მსხვერპლად გავიღოთ ყველა კერძო ინტერესი! უამისოდ გამარჯვებას ჩვენ ვერ შევძლებთ. ხოლო თუ პარტიის ამ გადაწყვეტილებას ცხოვრებაში გავატარებთ და გავატარებთ როგორც ერთი კაცი, ჯერ სამ მილიონ მუშათა შორის, შემდეგ კი ათეულ მილიონობით გლეხებს შორის, რომლებიც იგრძნობენ სოციალიზმის გამარჯვებისათვის თავგანწირულ ადამიანთა მორალურ ავტორიტეტსა და ძალას, ჩვენ მაშინ აბსოლუტურად და საბოლოოდ უძლეველნი ვიქნებით. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

«პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის III ყრილობის ბიულეტენი», № 2, 1920 წ. 8 აპრილი

იბეჭდება წიგნის — «პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში», 1921 — ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია «ბიულეტენის» ტექსტთან.

# საუკუნეობრივი წყობის რღვევიდან ახლის შემოქმედებისაკენ

✓ჩვენი გაზეთი[104] მიძღვნილია კომუნისტური შრომის საკითხისადმი.✓

ეს სოციალიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხია. და საჭიროა უწინარეს ყოვლისა კარგად შევიგნოთ ის, რომ ეს საკითხი პრაქტიკულად შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა დასმულიყო მხოლოდ პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ, მხოლოდ მემამულეთა და კაპიტალისტთა ექსპროპრიაციის შემდეგ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ხელისუფლებას დაპატრონებულმა პროლეტარიატმა გადამწყვეტი გამარჯვებები მოიპოვა ექსპლოატატორებზე, რომლებიც სასოწარკვეთილ წინააღმდეგობას, კონტრრევოლუციურ აჯანყებებს და სამოქალაქო ომს აწყობდნენ.

1918 წლის დამდეგს ისე ჩანდა, რომ ეს დრო დადგა — და იგი ნამდვილად დადგა რუსეთის წინააღმდეგ გერმანიის იმპერიალიზმის თებერვლის (1918 წ.) სამხედრო ლაშქრობის შემდეგ. მაგრამ ის დრო მაშინ ისეთი მოკლე ვადით დადგა, ისე სწრაფად მოვარდა კონტრრევოლუციურ აჯანყებათა და შემოსევათა ახალი და უფრო ძლიერი ტალღა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას აღარ აღმოაჩნდა შესაძლებლობა რამდენადმე გულდასმითა და შეუდრეკლად მოეკიდა ხელი მშვიდობიანი მშენებლობის საკითხებისათვის.

ახლა ჩვენ გადავიტანეთ ორი წლის გაუგონარი და წარმოუდგენელი სიძნელენი, შიმშილი, გაჭირვება, უბედურება, და ამასთან ერთად მოვიპოვეთ წითელი არმიის გაუგონარი

გამარჯვებები საერთაშორისო კაპიტალისტური რეაქციის ურდოებზე.

ახლა სერიოზული შესაძლებლობანი არსებობენ იმედი ვიქონიოთ (თუ ფრანგმა კაპიტალისტებმა პოლონეთი ომში არ ჩააბეს), რომ ჩვენ მივაღწევთ უფრო ურყევ, უფრო ხანგრძლივ მშვიდობიანობას.

ორი წლის განმავლობაში მშენებლობის ერთგვარი გამოცდილება სოციალიზმის საფუძველზე ჩვენ უკვე გვაქვს. ამიტომაც საკითხი კომუნისტური შრომის შესახებ შეიძლება და უნდა დაისვას უშუალოდ, — თუმცა, უფრო სწორი იქნება ვთქვათ: არა კომუნისტური, არამედ სოციალისტური შრომის შესახებ, ვინაიდან ლაპარაკია კაპიტალიზმიდან აღმოცენებული ახალი საზოგადოებრივი წყობილების განვითარების არა უმაღლეს, არამედ უდაბლეს, პირველდაწყებით საფეხურზე.

კომუნისტური შრომა, სიტყვის უფრო ვიწრო და უფრო ზუსტი გაგებით უსასყიდლო, უფასო შრომაა საზოგადოების სასარგებლოდ, შრომა, გაწეული არა განსაზღვრული ბეგარის მოსახდელად, არა გარკვეულ პროდუქტებზე უფლების მისაღებად, არა წინასწარ დადგენილი და დაკანონებული ნორმების მიხედვით, არამედ ნებაყოფლობითი შრომა, შრომა ნორმის გარეშე, შრომა, გაწეული არა ანაზღაურების ანგარიშით, ანაზღაურების პირობის გარეშე, შრომა, გაწეული საერთო სარგებლობისათვის შრომის ჩვევის გამო და საერთო სარგებლობისათვის გაწეული შრომის აუცილებლობისადმი (ჩვევად ქცეული) შეგნებული დამოკიდებულებით, შრომა, როგორც ჯანსაღი ორგანიზმის მოთხოვნილება.

ყველასათვის ცხადია, რომ ამგვარი შრომის ფართო, ნამდვილად მასობრივი გამოყენებისაგან ჩვენ, ე. ი. ჩვენი საზოგადოება, ჩვენი საზოგადოებრივი წყობილება, ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან შორსა ვართ.

მაგრამ ამ გზაზე წინ გადადგმულ ნაბიჯს უკვე ისიც წარმოადგენს, რომ ეს საკითხი დასმულია, რომ იგი დასმულია მთელი მოწინავე პროლეტარიატის მიერაც (კომუნისტური

პარტიისა და პროფესიული კავშირების მიერ) და სახელმწიფო ხელისუფლების მიერაც.

დიდს რომ მივაღწიოთ, მცირედით უნდა დავიწყოთ.

და, მეორე მხრივ, «დიდის» შემდეგ, იმ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რომელმაც დაამხო კაპიტალისტთა საკუთრება და პროლეტარიატს გადასცა ხელისუფლება,— სამეურნეო ცხოვრების მშენებლობა ახალ საფუძველზე შეიძლება მხოლოდ მცირედით დავიწყოთ.

შაბათობანი, შრომის არმიები, შრომითი ბეგარა — აი სოციალისტური და კომუნისტური შრომის პრაქტიკული განხორციელება სხვადასხვა ფორმით.

ამ განხორციელებაში ჯერ კიდევ უამრავი ნაკლოვანებებია. ამ ნაკლოვანებათა თავიდან მოცილება სიცილით (ან გულისწყრომით) შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებმაც სულ არ იციან ფიქრი, თუ არ ვილაპარაკებთ კაპიტალიზმის დამცველებზე.

ნაკლოვანებანი, შეცდომები, ხარვეზები ასეთ ახალ, ასეთ ძნელ, ასეთ დიდ საქმეში აუცილებელია. ვისაც ეშინია სოციალიზმის მშენებლობის სიძნელეებისა, ვინც თავს დაიფრთხობს ამ სიძნელეებით, ვინც სასოწარკვეთილებაში ვარდება ან სულმოკლე დაბნეულობას იჩენს, ის სოციალისტი არ არის.

შრომის ახალი დისციპლინის აგება, ადამიანთა შორის საზოგადოებრივი კავშირის ახალი ფორმების აგება, შრომაში ადამიანთა ჩაბმის ახალი ფორმებისა და ხერხების აგება, — ეს არის მრავალი წლისა და ათეული წლების სამუშაო.

ეს ყველაზე უფრო მადლიანი და უკეთილშობილესი სამუშაოა.

ჩვენდა საბედნიეროდ, ბურჟუაზიის დამხობისა და მისი წინააღმდეგობის დათრგუნვის შემდეგ ჩვენ შევძელით ისეთი ნიადაგის დაპყრობა, რომელზეც ასეთი მუშაობა **შესაძლებელი გახდა.**

და ჩვენ ამ სამუშაოს მთელი ენერგიით შევუდგებით. **გამძლეობა,** შეუპოვრობა, მზადყოფნა, გამბედაობა **და** იმის **უნარი, რომ ასჯერ გავსინჯოთ, ასჯერ შევასწოროთ და რადაც**

უნდა დაჯდეს მიზანს მივაღწიოთ, — ამ თვისებებს პროლეტარიატი იმუშავებდა 10, 15, 20 წლის განმავლობაში ოქტომბრის რევოლუციამდე, ამ თვისებებს პროლეტარიატი იმუშავებდა ორი წლის განმავლობაში ამ რევოლუციის შემდეგ, როდესაც იტანდა არნახულ გაჭირვებას, შიმშილს, გაჩანაგებას, უბედურებას. პროლეტარიატის ეს თვისებები თავდებია იმისა, რომ პროლეტარიატი გაიმარჯვებს.

1920 წ. 8 აპრილი.

«კომმუნისტიჩესკი სუბბოტნიკ»,
1920 წ. 11 აპრილი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ
«კომმუნისტიჩესკი სუბ-
ბოტნიკის» ტექსტის
მიხედვით

# სიტყვა საფეიქრო მრეწველობის მუშათა სრულიად რუსეთის III ყრილობაზე[105] 1920 წ. 19 აპრილს

(მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი, რ ო მ ე ლ ი ც ო ვ ა ც ი ა შ ი გ ა დ ა-
დ ი ს.) ამხანაგებო, ნება მომეცით, მოსალმებისათვის მადლობასთან ერთად გადმოგცეთ თქვენც მისალმება სახალხო კომისართა საბჭოს სახელით.

დღეს ჩვენ ყველანი ახლახან დამთავრებული პარტიული ყრილობის და მის მიერ გამოტანილი რეზოლუციების ახალ შთაბეჭდილებათა ქვეშ ვიმყოფებით. ყველამ იცის აგრეთვე, თუ რა მნიშვნელოვანი ამოცანები დააყენა პარტიულმა ყრილობამ მუშების წინაშე, გლეხობის წინაშე, საბჭოთა რესპუბლიკის მთელი მშრომელი მასების წინაშე. ეს ამოცანებია ერთიანი შრომის ფრონტის შექმნა.

ამჟამად, როდესაც ჩვენ, რუსეთის პროლეტარიატის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ, მარჯვედ დავამთავრეთ სამოქალაქო ომი, როდესაც დარჩა მხოლოდ მუქარა პოლონეთის მხრით, რომელიც ჩვენკენ მომართულია დასავლეთ ევროპის იმპერიალისტთა გულმოდგინებით, ახლა მოგველის დაუჯერებლად ძნელი გადასვლა საშინაო ცხოვრების მოწყობაზე.

იმ უზარმაზარი გარდატეხის, იმ სიძნელეთა ასახსნელად, რომლებიც ახლა მუშათა კლასის წინაშე დგას, მე ნებას მივცემ ჩემს თავს დაგისურათოთ განვითარების ყველა ის ძირითადი სტადია, რომლებიც გაიარა რუსეთის პროლეტარიატმა კომუნისტური წყობილებისაკენ.

როდესაც ბნელი, შეუგნებელი გლეხები პირველად მოხვდებოდნენ ხოლმე კარგად მოწყობილ, უახლესი ტექნიკის

საკვირველებით აღჭურვილ ფაბრიკაში, საგონებელში ვარდებოდნენ გაოგნებულნი, დაბეჩავებულად გრძნობდნენ თავს ფაბრიკის არაჩვეულებრივი ფუფუნებით. გლეხის უმეცარი სული ფაბრიკანტში ხედავდა თავის კეთილმყოფელს, მარჩენალს, რომელიც სამუშაოს აძლევს, ურომლისოდაც მუშა ვერ იცხოვრებს. როდესაც უმწეო მუშა მივარდნილი, მიყრუებული სოფლის ცხოვრებიდან ვარდებოდა ფაბრიკის ბობოქარ ქვაბში, სადაც იგი არსებობისთვის უფრო ასატან პირობებსა და ასე თუ ისე თავის გამოკვების შესაძლებლობას იღებდა, იგი კაპიტალისტური ექსპლოატაციის მძიმე უღელქვეშ ექცეოდა. ყველამ კარგად იცის, თუ როგორ განიცდიდნენ რუსეთისა და სხვა ქვეყნების მუშები ამ მძიმე დროებას. მაგრამ აი ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ თავისუფლდება თანდათან მუშა თავისი გლეხური ჩამორჩენილობისა და დაბეჩავებულობისაგან და როგორ იწყებს განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას, როგორ ჩნდება მჩაგვრელებთან ბრძოლის პირველი ცდები — გაფიცვები, დაქსაქსული პროლეტარული მასების ცდები, რომ გაერთიანდნენ პროფესიულ კავშირებში, როგორ იგრძნობა მუშაში სხვა ძალა, როგორ იძლეოდა ყოველი გაფიცვა, მიუხედავად მთელი მისი უმნიშვნელო შედეგებისა, რაღაც ფასდაუდებელს, ახალს, მნიშვნელოვანს, შინაარსიანს. გაფიცვა ასწავლიდა მუშას იმის შეგნებას, რომ მხოლოდ სხვა მუშებთან გაერთიანებაშია ძალა, ძლიერი ძალა, რომელსაც შეუძლია გააჩეროს მანქანები, თავისუფალ ადამიანად აქციოს მონა და ისარგებლოს იმ სიკეთით, რომელიც მის მწარმოებელს უფლებით ეკუთვნის. ყველამ იცის საგაფიცვო მოძრაობის განვითარების სურათი ამ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში, მისი თანდათანობითი გადასვლა წვრილი, დაქსაქსული გაფიცვებიდან ფართო ორგანიზებულ გაფიცვებზე. 1905 წელს საგაფიცვო მოძრაობამ მძლავრ ტალღად გადაიარა მთელ რუსეთზე. გაფიცვების გზით კაპიტალისტებთან ორგანიზებული ბრძოლის ზრდასთან ერთად მუშა უწინ არნახულ ძალას იძენს. ამაში ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკუთვნის პროფესიულ ორგანიზაციებს.

მუშა იმის შეგნებამდე მიდის, რომ ტექნიკის ყველა გამოგონება, ყველა მანქანა და წარმოების იარაღი, რომლებსაც კაპიტალისტები თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ და პროლეტარიატის ინტერესების საზიანოდ იყენებენ, ყოველივე ეს შეიძლება და უნდა იქცეს პროლეტარიატის კუთვნილებად. ეს ახალი ფაზა, პროფესიული კავშირების მეოხებით კაპიტალისტების მიმართ მუშათა ორგანიზებული წინააღმდეგობის ფაზა — წინ გადადგმული ახალი ნაბიჯია პროლეტარული თვითშეგნების განვითარების ისტორიაში. მუშა აღარაა უნებისყოფო, უმწეო იარაღი მჩაგვრელების ხელში. მთელი გარემო ცხოვრება არწმუნებს მას, რომ აუცილებელია განუწყვეტელი, დაუცხრომელი და შეუდრეკელი ბრძოლა. მუშა ბრძოლით აღწევს თავისი ეკონომიური მდგომარეობის ერთგვარ გაუმჯობესებას, ხელფასის გადიდებას, სამუშაო დღის შემცირებას. პროფესიული მოძრაობის ამ საფეხურზე ოცნება, იმედები მიმართულია ცოტაოდნავ ასატანი ცხოვრების მიღწევისაკენ.

მაგრამ დადგა დრო, როდესაც არასაკმარისი აღმოჩნდა პროლეტარიატის კლასობრივი გათვითცნობიერების ეს საფეხური, რომელიც თავის დროზე უზარმაზარ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ცხოვრება წინ უბიძგებდა.

ყველა ქვეყნის გათავხედებულმა კაპიტალისტებმა დათრგუნეს მუშათა მასები, საბოლოოდ შეავიწროვეს ისინი მსოფლიო ომით, რომელიც მათ მოაწყვეს როგორც განთავისუფლების გზაზე დამდგარი პროლეტარიატის შემდგომი ჩაგვრისათვის, ისე ერთმანეთის ტერიტორიების საძარცვავად. თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული იმპერიალისტური მტაცებლები ბრძოლაში ჩაებნენ. მუშას არწმუნებდნენ, რომ ეს ომი თითქოს კაცობრიობის განთავისუფლების რაღაც დიადი იდეების გულისათვის წარმოებსო. მაგრამ დიდხანს არ იყო მუშა დაბრმავებული. ბრესტის, ვერსალის ზავის ამბებმა, ინგლისისა და საფრანგეთის მიერ ყველა კოლონიის მიტაცებამ საკმარისად აუხილა თვალები მუშას საქმის ნამდვილი მდგომარეობის დასანახად. გამოირკვა, რომ მსოფლიო ომის

დროს 10 მილიონი ადამიანი დაიღუპა, 20 მილიონი დასახიჩრდა, და ყოველივე ეს მოხდა მხოლოდ მტაცებელთა კიდევ უფრო გასამდიდრებლად.

და აეხილა რა თვალი, მუშა ილაშქრებს კაპიტალის უღლის წინააღმდეგ, ხდება სოციალური რევოლუცია, რომელსაც სათავე დაუდო ოქტომბრის ამბებმა. ჩვენი ამოცანები ახლა მარტო ის კი არაა, რომ ჩვენი პროფესიული ორგანიზაციების წევრები ვიყოთ — ეს არაა საკმარისი. მუშა კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს, რათა ჩაგრული კლასიდან გაბატონებულ კლასად იქცეს. გლეხობის იმედი ჯერჯერობით არ უნდა გვქონდეს. იგი დაქსაქსულია, უმწეოა და ჯერ კიდევ მალე ვერ დააღწევს თავს სიბნელეს. უვიცობის წყვდიადიდან გლეხობის გამოყვანა შეუძლია მხოლოდ იმ კლასს, რომელიც თვითონაც გლეხობიდან გამოვიდა, ისწავლა იმის გაგება, თუ რაშია ორგანიზაციის ძალა და არა მარტო კაპიტალიზმის დროს შეძლო მიეღწია უკეთესი ცხოვრებისათვის, რადგან ამასვე მიაღწიეს დასავლეთ ევროპის მუშებმაც, რამაც ისინი მაინც ვერ იხსნა ომისაგან. მუშამ უნდა შეიგნოს, რომ მის წინაშე ახალი, განუზომლად უფრო ძნელი ამოცანაა — ხელში აიღოს სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგეობა. მუშამ უნდა უთხრას თავის თავს: სანამ არსებობს კერძო საკუთრება, სანამ კაპიტალიზმი არ არის გატეხილი, არავის მათგან, ვინც სხვის ხარჯზე ცხოვრობს, არ უნდა ეპყრას ხელისუფლება.

აი სწორედ ამის მიღწევას ცდილობს საბჭოთა ხელისუფლება, რომლის მიმართ მთელი მსოფლიო პროლეტარიატის თანაგრძნობა არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება. შექმნა რა ახალი პროლეტარული სახელმწიფო, მუშათა კლასმა გაუგონარი ტვირთი იკისრა. ექსპლოატატორული კლასების მოსპობა და სოციალიზმის შექმნა მუშას შეუძლია მხოლოდ გლეხობასთან ხელიხელჩაკიდებული სვლით. გლეხები კი უწინდებურად განცალკევებით მეურნეობენ, ნაჭარბს თავისუფალ ბაზარზე ასაღებენ და ამით კიდევ უფრო ამდიდრებენ ერთ მუჭა მტაცებლებს. გლეხები ამას შეგნებულად როდი აკეთებენ, რადგან სრულიად სხვაგვარ პირობებში ცხოვრობენ,

ვიდრე მუშა. მაგრამ თავისუფალი ვაჭრობა კაპიტალისტური მონობისაკენ დაბრუნებაა. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა ახლებურად მოვაწყოთ შრომა, ამას კი ვერავინ გააკეთებს, პროლეტარიატის გარდა.

ამჟამად მუშა მარტო თავისი პროფესიული ორგანიზაციის წევრი როდია. ეს თვალსაზრისი ძველისაკენ დაბრუნებას ნიშნავს. კაპიტალთან ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. კაპიტალიზმი აქამდე ამუხრუჭებს საბჭოთა ხელისუფლების წამოწყებებს, მეტომრეობის, სუხარევკის და სხვ. გზით. ამ ძალას შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიოს მხოლოდ მუშათა ორგანიზაციების ძალამ, რომლებიც აგებულია ახალ საწყისებზე, არა თავისი საწარმოო ინტერესების ვიწრო ჩარჩოებში, არამედ მთელი სახელმწიფოს ინტერესების ფარგლებში. მხოლოდ მაშინ, თუ მთელი მუშათა კლასი, მისი პროფესიებისაგან დამოუკიდებლად, შეძლებს გაბატონებულ კლასად გაერთიანებას, შექმნის შრომის ერთიან არმიას, მხოლოდ მაშინ ჩაუნერგავს ის თავისი თავის მიმართ პატივისცემას მთელ მსოფლიოს.

დარწმუნდა რა იმაში, რომ პროლეტარიატის ძალამ შემუსრა კოლჩაკი და დენიკინი, ახლა უკვე გლეხობამაც იგრძნო კარგი პატრონის მტკიცე ხელი. მაგრამ გლეხობა მხოლოდ მაშინ განიმსჭვალება საბოლოოდ მისდამი რწმენით, როდესაც კაპიტალიზმის აღდგენის ყოველგვარი ცდა შეუძლებელი იქნება. მხოლოდ მაშინ შეიგნებს გლეხი, რომ პროლეტარულ ქვეყანაში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ კულაკებსა და პარაზიტებს. მაგრამ გლეხს ჯერ კიდევ არ სჯერა სავსებით, რომ პროლეტარიატი თავს გაართმევს თავის დიად ამოცანას.

უკანასკნელი ორი წლის გაუგონარი გაჭირვება, რომელსაც შეგნებულად იტანდა რუსეთის პროლეტარიატი წითელი არმიის პირველ რიგებში, ჯერ კიდევ არ ამოწურულა. მოგველის ახალი გაჭირვება, ახალი ამოცანები, რომლებიც მით უფრო ძნელია, რაც უფრო მეტია მოპოვებული გამარჯვებები წითელ ფრონტზე. დაპყრობილია ციმბირისა და უკრაინის ვრცელი ოლქები, სადაც არ არის ისეთი პროლეტარი-

ატი, როგორიც არის მოსკოვის, პიტერისა და ივანოვო-ვოზნესენსკის პროლეტარიატი, რომელმაც საქმით დაამტკიცა, რომ არავითარ ფასად არ დათმობს რევოლუციის მონაპოვართ. საჭიროა, რომ შეგნებულმა მუშებმა შეძლონ შეჭრა სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ნასვრეტში, შეძლონ გლეხობასთან მისვლა, მოახდინონ მისი ორგანიზება იმ კლასის ინტერესების სასარგებლოდ, რომელმაც გადაიგდო მემამულეთა უღელი და აშენებს სახელმწიფოს უკაპიტალისტებოდ. აუცილებელია თავგანწირვა, რკინისებური დისციპლინა. აუცილებელია, რომ მთელმა პროლეტარიატმა, როგორც ერთმა კაცმა, შრომის ფრონტზე მოახდინოს ისეთივე გაუგონარი სასწაულები, როგორიც მოახდინა სისხლიან ფრონტზე. ბევრს თავდაპირველად ეგონა, რომ რევოლუციის საქმე უიმედოაო. არმიის სრული რღვევა, მასობრივი გამოქცევა ფრონტიდან, ჭურვების უქონლობა, აი რა გვერგო მემკვიდრეობად კერენსკისაგან. რუსეთის პროლეტარიატმა შეძლო გაემაგრებინა, შეემჭიდროებინა დაქსაქსული ძალები და შექმნა ერთიანი, ურყევი წითელი არმია. წითელმა არმიამ სასწაულები გვიჩვენა, შემუსრა კაპიტალისტთა შემოტევა, რომლებსაც მთელი მსოფლიოს კაპიტალისტები ეხმარებოდნენ. შრომის ფრონტის ამოცანები კიდევ უფრო განუზომლად ძნელია. მაგრამ თუ წითელი არმიისათვის საჭირო იყვნენ მხოლოდ მამაკაცები, ახლა შრომის ფრონტზე გადასროლილი უნდა იქნეს ჩვენი ქვეყნის ყველა შრომისუნარიანი ძალა, მამაკაცებიც და ქალებიც, მოზარდნიც კი. საჭიროა რკინისებური დისციპლინა — ეს ჩვენი, რუსების, სუსტი მხარეა. საჭიროა გამოვიჩინოთ შეუპოვრობა, სიმტკიცე, გამძლეობა, ერთსულოვნება. არაფრის წინაშე არ უნდა შევჩერდეთ. ყველანი და ყველაფერი მუშურ-გლეხური ხელისუფლებისა და კომუნიზმის გადასარჩენად.

ომი არ გათავებულა, იგი გრძელდება უსისხლო ფრონტზე. აქ მტრები ჯერ კიდევ ჩვენზე ძლიერები არიან, ეს უნდა ვაღიაროთ. იმ წვრილ მეპატრონეებს, რომლებიც თავისუფალ ბაზარზე თავიანთ პროდუქტებს ყიდიან, ეხმარება მსოფლიო კაპიტალი, რომელიც ერთი ხელით მზადაა განაახლოს

სავაჭრო ურთიერთობა, ხოლო მეორე ხელით მზადაა დაახრჩოს პროლეტარიატი და საბჭოთა რუსეთი.

საჭიროა, რომ მთელი ოთხმილიონიანი პროლეტარული მასა მოემზადოს ახალი მსხვერპლისათვის, ახალი გაჭირვებისა და უბედურებისათვის, რომელიც არა ნაკლები იქნება, ვიდრე ომის დროს. მხოლოდ მაშინ შეიძლება გვქონდეს იმედი, რომ მტერს საბოლოოდ შევმუსრავთ. გლეხი, რომელიც ჯერ კიდევ რაღაცას ელოდება, მერყეობს, საბოლოოდ დაიჯერებს პროლეტარიატის ძალას. გლეხს ჯერ კიდევ კარგად ახსოვს მემამულეები, დენიკინი, კოლჩაკი, მაგრამ ის ხომ ხედავს აგრეთვე სიზარმაცეს, ცუღლუტობას, უსაქმურობას და ამბობს: «ეგ შეიძლება კარგიც იყოს, მაგრამ ჩვენ სად შეგვწევს მაგის ძალაო!».

საჭიროა, რომ გლეხობამ რაღაც სხვა დაინახოს. დაე მუშათა კლასმა შექმნას წარმოება, როგორც შექმნა მან წითელი არმია. დაე ყოველი მუშა განიმსჭვალოს იმ შეგნებით, რომ ის ქვეყანას მართავს. რაც უფრო ცოტანი ვართ, მით უფრო მეტი მოგვეთხოვება. საჭიროა, რომ რუსეთი გარდაიქმნას შრომის უზარმაზარ არმიად საერთო საქმისათვის — მშრომელთა განთავისუფლებისათვის ყველაფრის მსხვერპლად გაღების გმირული შეგნებით.

ყველამ იცის, რომ საფეიქრო მრეწველობა უდიდეს ნგრევას განიცდის, იმიტომ რომ ბამბა, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოქონდათ, ახლა აღარაა, რადგან დასავლეთ ევროპაშიაც ნედლეულის მწვავე ნაკლებობა იგრძნობა. ერთადერთი წყაროა — თურქესტანი, რომელიც მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინ ბრძოლით გამოვგლიჯეთ ხელიდან თეთრგვარდიელებს, მაგრამ ტრანსპორტი არაა მოგვარებული.

ამჟამად ხსნის ერთ-ერთი საშუალებაა ტორფის სასწრაფო მოპოვება და დამუშავება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს სრული დატვირთვით ავამუშაოთ ყველა ელექტროსადგური და გავთავისუფლდეთ ცენტრალური რუსეთიდან დაშორებულ ნახშირის რაიონებზე სრული დამოკიდებულებისაგან.

შეშის სათბობის იმედი ახლანდელი ნგრევის პირობებში არ უნდა გვქონდეს. ტორფის ბუდობები უმთავრესად საფეიქრო რაიონებშია. და საფეიქრო პროლეტარიატის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა — მოაწყოს ტორფის წარმოება. მე კარგად ვიცი, რომ ეს სამუშაო მეტისმეტად მძიმეა, საჭიროა მუხლებამდე წყალში დგომა ფეხსაცმლისა და ბინების უქონლობის პირობებში — სიძნელენი განუზომელია. მაგრამ განა წითელ არმიას ყოველივე საჭირო და აუცილებელი ჰქონდა?! რამდენი მსხვერპლი გაიღეს, რამდენი უბედურება გადაიტანეს წითელარმიელებმა, რომლებიც წელამდე წყალში მიდიოდნენ წინ ორი თვის მანძილზე, როდესაც ინგლისელებს მათს ტანკებს ართმევდნენ ბრძოლით. კაპიტალისტებს იმედი აქვთ იმისა, რომ მუშები ქანცგაწყვეტილი, მშივრები არიან და ვერ შეძლებენ გამაგრებასო. კაპიტალისტები უთვალთვალებენ მუშათა ხელისუფლებას, და მთელი მათი იმედი იმაზეა დამყარებული, რომ პროლეტარიატი თავს ვერ გაართმევს თავის ერთიანი შრომის ფრონტის ამოცანას და ხელისუფლებას დაუბრუნებს მათ.

სრულიადაც არ ვფიქრობ, რომ მომავალი სამუშაო ადვილია, მაგრამ ყოველგვარი სიძნელე შეიძლება და უნდა გადალახულ იქნეს. საჭიროა, რომ თვითეული მუშა დაეხმაროს შრომის ორგანიზაციას, რომ გლეხობა მასში ორგანიზატორს ხედავდეს, რომ შრომას მოეპყრან, როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების შენარჩუნების ერთადერთ საშუალებას. როდესაც ჯერ კიდევ კერენსკის დროს ფაბრიკანტები დარწმუნდნენ, რომ მათ ფაბრიკებში აღარ ედგომებოდათ, ისინი აფუჭებდნენ წარმოებას, ხელშეკრულებებს დებდნენ სხვა ქვეყნების კაპიტალისტებთან, რომ მათ მოესპოთ რუსეთის მრეწველობა, ოღონდ კი არ გადაეცათ ის მუშების ხელში, ქანცს აცლიდნენ პროლეტარიატს სამოქალაქო ომით.

მუშათა კლასს ყველაზე დიდი გამოცდა მოელის, როდესაც თვითეულმა მუშაკმა, თვითეულმა მუშა ქალმა კიდევ უფრო დიდი საკვირველებანი უნდა მოახდინოს, ვიდრე წითელარმიელებმა ფრონტზე მოახდინეს. განუზომლად უფრო ძნელია

გამარჯვება შრომის ფრონტზე, თავგანწირვა ყოველდღიურ, ჭუჭყიან გარემოში, მაგრამ ეს ასჯერ უფრო ძვირფასია, ვიდრე სიცოცხლის შეწირვა.

ძირს ძველი კარჩაკეტილობა! მხოლოდ ის მუშა არის პროფესიული კავშირის წევრობის ღირსი, რომელმაც თავი გამოიჩინა, როგორც შრომის წითელი არმიის წევრმა. დაე იყოს ასეული შეცდომები, ათასობით დამარცხებანი, ჩვენ მათი არ გვეშინია. ჩვენ უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს, რომ მხოლოდ მედგარი პროლეტარული შეტევით მივაღწევთ გამარჯვებას.

ორი წელიწადია პროლეტარიატი თავგამოდებით იცავს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას. მთელ მსოფლიოში მწიფდება სოციალური რევოლუცია. იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ ყველანი დაკისრებული ამოცანის სიმაღლეზე ვდგავართ, ჩვენ მთელი ენერგიითა და რწმენით, რაც არ უნდა მძიმე იყოს მდგომარეობა, უნდა შევინარჩუნოთ მთელი პროლეტარული ენთუზიაზმი და შრომის მშვიდობიან ფრონტზეც მივაღწიოთ ისეთსავე სასწაულებს, როგორსაც მიაღწია წითელმა არმიამ სისხლიან ფრონტზე იმპერიალისტებთან და მათ ღამქაშებთან ბრძოლაში. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

«პრავდა» № 83, 1920 წ. 20 აპრილი

იბეჭდება ბროშურის — «ფეიქართა კავშირის სრულიად რუსეთის მე-3 ყრილობის ოქმები». მოსკოვი, 1920 — ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან

# სიტყვა კრებაზე, რომელიც მოაწყო რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტმა ვ. ი. ლენინის 50 წლისთავის აღსანიშნავად[106], 1920 წ. 23 აპრილს

(მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.) ამხანაგებო! მე უწინარეს ყოვლისა, ბუნებრივია, მადლობა უნდა მოგახსენოთ ორი რამისათვის: ჯერ-ერთი, იმ მისალმებებისათვის, რომლებიც დღეს ჩემი მისამართით იყო გამოგზავნილი, მეორე კი, უფრო მეტად იმისათვის, რომ თქვენ მე გამათავისუფლეთ საიუბილეო სიტყვების მოსმენისაგან. (ტ ა შ ი.) მე ვფიქრობ, რომ, შესაძლებელია, ამ სახით ჩვენ თანდათან, არა ერთბაშად, რასაკვირველია, შევქმნით იუბილესათვის უფრო შესაფერის წესს, ვიდრე ის, რომელსაც პრაქტიკაში აქამდე მისდევდნენ და რომელიც ხანდახან საბაბს ქმნიდა გასაოცრად კარგი კარიკატურებისათვის. აი ერთ-ერთი ასეთი კარიკატურა, რომელიც დახატა გამოჩენილმა მხატვარმა და ამგვარ იუბილეს მიუძღვნა. აე იგი დღეს მივიღე მეტისმეტად მეგობრულ წერილთან ერთად, და რადგანაც ამხანაგები იმდენად თავაზიანი იყვნენ, რომ მათ საიუბილეო სიტყვებისაგან გამათავისუფლეს, მე ამ კარიკატურას გადმოგცემთ, რათა ყველამ გასინჯოთ, იმ პირობით, რომ ამიერიდან საზოგადოდ გაგვათავისუფლონ ამგვარი საიუბილეო დღესასწაულებისაგან.

შემდეგ მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა ბოლშევიკური პარტიის ახლანდელი მდგომარეობის გამო. ეს აზრები აღმიძრა ერთი მწერლის სტრიქონებმა, რომლებიც მან დაწერა 18 წლის წინათ, 1902 წ.. ეს მწერალია კარლ კაუცკი, რომელსაც ჩვენ ახლა იძულებული გავხდით სრულიად გადაჭრით

ჩამოვშორებოდით და შევბრძოლებოდით, მაგრამ რომელიც უწინ გერმანულ ოპორტუნიზმთან ბრძოლაში პროლეტარული პარტიის ერთ-ერთი ბელადი იყო და რომელთანაც ჩვენ ოდესღაც ვთანამშრომლობდით. მაშინ ბოლშევიკები არ იყვნენ, მაგრამ ყველა მომავალი ბოლშევიკი, რომლებიც მასთან თანამშრომლობდნენ, მას დიდად აფასებდა. აი რას წერდა მაშინ, 1902 წ. ეს მწერალი: «ამჟამად კი» (წინააღმდეგ 1848 წლისა) «შეიძლება ვიფიქროთ, რომ არა მარტო სლავები ჩადგნენ რევოლუციურ ხალხთა რიგებში, არამედ, რევოლუციური აზრისა და რევოლუციური საქმის სიმძიმის ცენტრიც სულ უფრო და უფრო გადადის სლავებთან. რევოლუციური ცენტრი დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადადის. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეს ცენტრი საფრანგეთში იყო, ზოგჯერ ინგლისში. 1848 წელს გერმანიაც ჩადგა რევოლუციური ერების რიგებში... ახალი საუკუნე იწყება ისეთი მოვლენებით, რომლებიც გვაფიქრებინებენ, რომ მოხდება რევოლუციური ცენტრის შემდგომი ადგილგადანაცვლება, სახელდობრ: მისი გადასვლა რუსეთში... რუსეთი, რომელმაც ესოდენი რევოლუციური ინიციატივა აითვისა დასავლეთისაგან, ახლა, შესაძლოა, თვითონ არის მზად მისთვის რევოლუციური ენერგიის წყარო გახდეს. რუსეთში გაჩაღებული რევოლუციური მოძრაობა, შესაძლოა, ყველაზე ძლიერი საშუალება აღმოჩნდეს იმისათვის, რომ ამოწვას უნიათო ფილისტერობისა და ზომიერი პოლიტიკანობის ის სულისკვეთება, რომლის გავრცელებაც იწყება ჩვენს რიგებში, და კვლავ მძლავრად აღაგზნოს ბრძოლის წყურვილი და ჩვენი დიადი იდეალებისადმი მგზნებარე ერთგულება. რუსეთი უკვე დიდი ხანია აღარ არის დასავლეთ ევროპისათვის რეაქციისა და აბსოლუტიზმის უბრალო დასაყრდენი. ახლა საქმის ვითარება, თითქოს, სწორედ საწინააღმდეგოა. დასავლეთი ევროპა ხდება რუსეთში რეაქციისა და აბსოლუტიზმის დასაყრდენი... რუსეთის რევოლუციონერები, შესაძლოა, დიდი ხანია მოერეოდნენ მეფეს, მათ რომ ამავე დროს მისი მოკავშირის — ევროპის კაპიტალის წინააღმდეგაც არ უხდებოდეთ ბრძოლა. იმედი ვიქონიოთ,

რომ ამჯერად ისინი შეძლებენ ორივე მტრის დაძლევას, და რომ ახალი «საღვთო კავშირი» უფრო მალე დაემხობა, ვიდრე მისი წინამორბედნი. მაგრამ, როგორც უნდა დამთავრდეს ახლანდელი ბრძოლა რუსეთში, იმ წამებულთა სისხლი და ბედნიერება, რომლებსაც იგი, სამწუხაროდ, საკმაოზე მეტს წარმოშობს, ამაოდ არ ჩაივლის. ისინი გაანაყოფიერებენ სოციალური გადატრიალების ჯეჯილს მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში, გაზრდიან მას უფრო ლაღად და უფრო სწრაფად. 1848 წელს სლავები სუსხიანი ყინვა იყვნენ, რომელმაც დააზრო ხალხთა გაზაფხულის ყვავილები. შესაძლოა, ახლა მათ წილად ხვდეთ იქცნენ იმ ქარიშხლად, რომელიც დაამსხვრევს რეაქციის ყინულს და აუცილებლად მოიყვანს ახალ, ბედნიერ გაზაფხულს ხალხებისათვის». (კარლ კაუცკი. «სლავები და რევოლუცია». «ისკრა» 1902 წ., № 18, 10 მარტი).

აი როგორ წერდა 18 წლის წინათ რუსეთის რევოლუციურ ჰოძრაობაზე გამოჩენილი სოციალისტი, რომელთანაც ჩვენ ახლა ასე გადაჭრით მოგვიხდა კავშირის გაწყვეტა. ეს სიტყვები მაფიქრებინებს, რომ ჩვენი პარტია ახლა შეიძლება ძალიან სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდეს, — სახელდობრ, იმ ადამიანის მდგომარეობაში, რომელიც გაამპარტავნდა. ეს საკმაოდ სულელური, სამარცხვინო და სასაცილო მდგომარეობაა. ცნობილია, რომ პოლიტიკური პარტიების მარცხსა და დაცემას ძალიან ხშირად წინ უსწრებდა ისეთი მდგომარეობა, რომელშიც ამ პარტიებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაამპარტავნებულიყვნენ. მართლაც, ის მოლოდინი რუსეთის რევოლუციისაგან, რომელიც მე მოვიყვანე ჩვენი ახლანდელი უბოროტესი მტრის სიტყვებით, ეს მოლოდინი განუზომლად დიდია. ის ბრწყინვალე წარმატებები და ბრწყინვალე გამარჯვებები, რომლებიც ჩვენ აქამდე გვქონდა, ხომ ისეთ პირობებში ხდებოდა, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვეძლო მთავარი სიძნელეების გადაჭრა. ისინი ისეთ პირობებში ხდებოდა, როდესაც ჩვენ კისრად გვაწვა სამხედრო ამოცანები, ამოცანები ყველაზე ლრმა, ყველაზე ცხოველი ბრძოლისა მემამულეების, მეფის, გენერლების რეაქციის წინააღმდეგ; ამრიგად, ის ამოცანები, რომლე-

ბიც სოციალისტური გადატრიალების არსს შეადგენენ, იჩრ-დილებოდა წვრილბურჟუაზიული სტიქიის, დაქსაქსულობის, დაქუცმაცებულობის, ე. ი. ყოველივე იმის ყოველდღიური გა-მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის ამოცანებით, რაც უკან, კაპიტალიზმისაკენ გვეწევა. როგორც ეკონომიური აზრით, ისე პოლიტიკური აზრით ის ამოცანები ჩვენ გადადე-ბული გვქონდა: შესაძლებლობა არ გვქონდა სათანადოდ შევ-დგომოდით მათ. ამიტომ ის საფრთხე, რომელსაც მოგვაგონებენ მოყვანილი სიტყვები, განსაკუთრებით მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა ბოლშევიკმა ცალ-ცალკე და ბოლშევიკებმა ერთად, როგორც მთელმა პოლიტიკურმა პარტიამ. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენი პარტიის უკანასკნელი ყრილობის გადა-წყვეტილებანი უნდა გატარდეს ცხოვრებაში რადაც უნდა დაჯ-დეს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უზარმაზარი მუშაობა მოგველის და დაგვჭირდება იმაზე მეტი შრომის გაწევა, ვიდრე აქამდე იყო საჭირო.

ნება მომეცით დავამთავრო იმ სურვილით, რომ ჩვენი პარ-ტია არავითარ შემთხვევაში არ ჩავაყენოთ გაამპარტავნებული პარტიის მდგომარეობაში. (ტ ა შ ი.)

მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია
1920 წ. 24 აპრილს გაზეთ
«პრავდაში» № 87

მთლიანად დაბეჭდილია
1920 წ. ოქტომბერში ბროშურაში:
«ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვ-ლენინის
50 წლისთავი (1870—23 აპრილი—1920)»

იბეჭდება ბროშურის ტექსტის
მიხედვით

# შენიშვნები

1 ციმბირის მთავრობა — კონტრრევოლუციური თეთრგვარდიული მთავრობა, რომელიც შეიქმნა ომსკში 1918 წლის ზაფხულში. — 5.

2 ესტონეთში ინგლისის სამხედრო მისიის წარმომადგენლის წინადადებას ესტონეთის ბურჟუაზიული მთავრობის დამხობის შესახებ პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა. — 9.

3 ბერნის ინტერნაციონალი ეწოდებოდა სოციალ-შოვინისტური და ცენტრისტული პარტიების გაერთიანებას, რომელიც II ინტერნაციონალის აღდგენის მიზნით შეიქმნა ბერნის კონფერენციაზე 1919 წლის თებერვალში. ბერნის ინტერნაციონალის კრიტიკას ვ. ი. ლენინი იძლევა სტატიაში «III ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 29, გვ. 584 — 607) და სხვა ნაწარმოებებში. — 11.

4 ამერიკის კომუნისტური პარტია შეიქმნა 1919 წლის სექტემბერში. მისი ძირითადი ბირთვი იყო ამერიკის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთა, რომელიც ჩამოყალიბდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით. — 21.

5 ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის აღმდგენი კომიტეტი შექმნეს ფრანგმა ინტერნაციონალისტებმა 1916 წლის იანვარში. 1919 წლის მაისში ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის აღმდგენი კომიტეტი გარდაიქმნა III ინტერნაციონალის კომიტეტად, რომელმაც გაშალა აგიტაცია კომუნისტურ ინტერნაციონალთან შეერთებისათვის. 1920 წლის დასასრულს იგი შევიდა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში, რომელიც მაშინ შეიქმნა.

სინდიკალური დაცვის კომიტეტი შეიქმნა 1916 წლის შემოდგომაზე იმ სინდიკალისტთა ჯგუფის მიერ, რომლებიც გამოვიდნენ ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის აღმდგენი

კომიტეტიდან, რადგან უარყოფდნენ პარლამენტურ მოღვაწეობას. 1919 წლის მაისში სინდიკალური დაცვის კომიტეტმა დაადგინა შეერთებოდა კომუნისტურ ინტერნაციონალს; მისი ყველაზე უფრო რევოლუციური ელემენტები შეუერთდნენ III ინტერნაციონალის კომიტეტს. — **21.**

6 «ინტერნაციონალი» (**«L'Internationale»**) — ფრანგი სინდიკალისტების ყოველკვირეული გაზეთი, სინდიკალური დაცვის კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა პარიზში 1919 წელს. — **21.**

7 ბრიტანეთის სოციალისტური პარტია (**British Socialist Party**) დაარსდა 1911 წელს მანჩესტერში. ბრიტანეთის სოციალისტური პარტია ეწეოდა პროპაგანდასა და აგიტაციას მარქსისტული სულისკვეთებით და წარმოადგენდა «არა ოპორტუნისტულ, ლიბერალებისაგან ნამდვილად დამოუკიდებელ» (ლენინი) პარტიას. პარტიის მცირერიცხოვნობა და მასებისაგან მოწყვეტა მას ერთგვარ სექტანტურ ხასიათს აძლევდა.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) პარტიაში გამოისახა ორი მიმდინარეობა: ერთი — აშკარად სოციალ-შოვინისტური ჰაინდმანის მეთაურობით და მეორე — ინტერნაციონალისტური ა. ინკპინისა და სხვების მეთაურობით. 1916 წლის აპრილში პარტიაში მოხდა გათიშვა. ჰაინდმანი და მისი მომხრეები უმცირესობაში აღმოჩნდნენ და გამოვიდნენ პარტიიდან. ამ დროიდან დაწყებული, ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიას სათავეში ჩაუდგნენ ინტერნაციონალისტური ელემენტები. ბრიტანეთის სოციალისტური პარტია იყო ინიციატორი დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის შექმნისა, რომელიც ჩამოყალიბდა 1920 წელს. — **22.**

8 საფაბრიკო მამასახლისების კომიტეტები (**Shop Stewards Committees**) — არჩევითი მუშური ორგანიზაციები, რომლებიც არსებობდნენ ინგლისში მრავალ წარმოებაში პირველი მსოფლიო ომის დროიდან. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში, საფაბრიკო მამასახლისთა კომიტეტები აქტიურად გამოდიოდნენ საბჭოთა რუსეთის მხარდასაჭერად. საფაბრიკო მამასახლისთა კომიტეტების რიგი მოღვაწეები (ვ. გალახერი და სხვები) შევიდნენ ინგლისის კომუნისტურ პარტიაში. — **22.**

9 შვეიცარიის სოციალისტური პარტია შეიქმნა 1888 წელს. პარტიაში ძლიერი იყო ოპორტუნისტების გავლენა, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის პერიოდში სოციალ-შოვინისტები გახდნენ.

1916 წლის შემოდგომაზე მემარჯვენეები გამოეთიშნენ პარტიას და შექმნეს თავიანთი ორგანიზაცია. პარტიის უმრავლესობამ რ. გრიმის მეთაურობით დაიკავა ცენტრისტული, სოციალ-პაციფისტური პოზიცია. პარტიის მემარცხენე ფრთა იდგა ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე. ლენინი შვეიცარიაში ყოფნის დროს 1914 — 1917 წლებში დაკავშირებული იყო შვეიცარიის სოციალისტური პარტიის მემარცხენეთა წარმომადგენლებთან; აკრიტიკებდა რა მათ შეცდომებს, ლენინი ამავე დროს ეხმარებოდა მათ დაეკავებინათ სწორი პოზიცია. რუსეთის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთა გაძლიერდა. 1920 წლის დეკემბერში მემარცხენეები გამოვიდნენ სოციალისტური პარტიიდან და 1921 წელს გაერთიანდნენ შვეიცარიის კომუნისტურ პარტიასთან, რომელიც შეიქმნა 1919 წელს. — 22.

10 ი ტ ა ლ ი ი ს  ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი  პ ა რ ტ ი ა დაარსდა 1892 წელს როგორც «იტალიის მუშათა პარტია»; 1893 წელს მან მიიღო «იტალიის სოციალისტური პარტიის» სახელწოდება. რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იტალიის სოციალისტური პარტიის რიგებში გაძლიერდა მემარცხენე ფრთა. 1921 წლის იანვარში პარტიის ლივორნოს ყრილობაზე მემარცხენეები გაეთიშნენ სოციალისტურ პარტიას, მოაწყვეს თავიანთი ყრილობა და დააარსეს იტალიის კომუნისტური პარტია.

ფაშისტური დიქტატურის პერიოდში იტალიაში, სოციალისტურ პარტიაში კვლავ შეიქმნა გავლენიანი მემარცხენე ფრთა. 1934 წელს იტალიის სოციალისტურმა პარტიამ იტალიის კომუნისტურ პარტიასთან დადო შეთანხმება მოქმედების ერთიანობის შესახებ. ეს შეთანხმება გახდა ბაზა ორივე პარტიის თანამშრომლობისა მეორე მსოფლიო ომის დროს და ომისშემდგომ პერიოდში. 1947 წელს იტალიის სოციალისტური პარტიის რიგებიდან გამოვიდა მემარჯვენეთა ჯგუფი ამერიკის იმპერიალიზმის აგენტის სარაგატის მეთაურობით და დააარსა ეგრეთწოდებული «იტალიის მშრომელთა სოციალისტური პარტია». — 22.

11 ს პ ა რ ტ ა კ ე ლ ე ბ ი — წევრები კავშირისა «სპარტაკი», რომელიც წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, 1916 წლის იანვარში. ომის დასაწყისში გერმანელმა მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს ჯგუფი «ინტერნაციონალი» კ. ლიბკნეხტის, რ. ლუქსემბურგის, ფ. მერინგის, კ. ცეტკინის და სხვათა ხელმძღვანელობით; უფრო გვიან ამ ჯგუფს ეწოდა «სპარტაკის» კავშირი. სპარტაკელები ეწეოდნენ მასებში რევოლუციურ პროპაგანდას იმპერიალისტური

ომის წინააღმდეგ, აშკარავებდნენ გერმანიის იმპერიალიზმის დამპყრობლურ პოლიტიკას და სოციალ-დემოკრატიის ბელადების გამცემლობას. მაგრამ სპარტაკელები ვერ განთავისუფლდნენ ნახევრადმენშევიკური შეცდომებისაგან თეორიისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში. გერმანელი მემარცხენეების შეცდომების კრიტიკა მოცემულია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში: «იუნიუსის ბროშურის შესახებ», «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი, 22, გვ. 385 — 405, და ტომი 23, გვ. 22 — 90) და სხვა, და ი. ბ. სტალინის წერილში ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციას» რედაქციისადმი «ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ» (იხ. ი. ბ. სტალინი. «ლენინიზმის საკითხები», მე-11 გამოც., 1951 წ., გვ. 449 — 463). 1917 წლის აპრილში სპარტაკელები შევიდნენ გერმანიის ცენტრისტულ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, სადაც შეინარჩუნეს თავიანთი ორგანიზაციული დამოუკიდებლობა. 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ გერმანიაში სპარტაკელებმა კავშირი გაწყვიტეს «დამოუკიდებლებთან» და იმავე წლის დეკემბერში დააარსეს გერმანიის კომუნისტური პარტია. — 22.

12 «La Feuille» («ფურცელი») — გაზეთი, რომელიც გამოდიოდა ჟენევაში ფრანგულ ენაზე 1917 წლის აგვისტოდან. ფორმალურად გაზეთი არ იყო არც ერთი პარტიის ორგანო, მაგრამ ფაქტიურად იგი იდგა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტულ პოზიციებზე. — 22.

13 ლენინს მხედველობაში აქვს 1919 წლის მარტში წარმოებული წინასწარი მოლაპარაკება ბულიტთან, რომელიც გამოგზავნილი იყო საბჭოთა რუსეთში ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მიერ იმის გამოსარკვევად, თუ რა პირობების საფუძველზეა თანახმა საბჭოთა მთავრობა დაიწყოს მოლაპარაკება ზავზე. საბჭოთა რუსეთიდან ბულიტის გამგზავრების შემდეგ კოლჩაკმა მალე მოახერხა მიეღწია ერთგვარი წარმატებისათვის აღმოსავლეთის ფრონზე, და ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტურმა მთავრობებმა, რომლებიც საბჭოთა რუსეთის განადგურებას ვარაუდობდნენ, უარი თქვეს ამ უკანასკნელთან მოლაპარაკების წარმოებაზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბულიტი გამოდის როგორც საბჭოთა კავშირის გაშმაგებული მტერი და მის წინააღმდეგ ომის გამჩაღებელი. — 40.

14 ლენინს მხედველობაში აქვს იტალიის სოციალისტური პარტიის XVI ყრილობის გადაწყვეტილებანი. ეს ყრილობა მიმდინარეობდა ბოლონიაში 1919 წლის 5 — 8 ოქტომბერს. — 48.

15 «კ რ ა ს ნ ო ე  ზ ნ ა მ ი ა» («Die Rote Fahne») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო; დაარსებულ იქნა კ. ლიბკნეხტისა და რ. ლუქსემბურგის მიერ. როგორც «სპარტაკის» კავშირის ცენტრალური ორგანო. გაზეთი გამოდიოდა 1918 წლის 9 ნოემბრიდან ბერლინში; განიცდიდა რეპრესიებს, და არა ერთხელ ყოფილა აკრძალული შეიდემან — ნოსკეს მთავრობის მიერ. დაიხურა ხელისუფლების სათავეში ფაშისტების მოსვლისას 1933 წელს, მაგრამ გამოსვლას განაგრძობდა არალეგალურად. 1935 წელს გაზეთის გამოცემა გადატანილ იქნა პრაღაში (ჩეხოსლოვაკია); 1936 წლის ოქტომბრიდან 1939 წლის შემოდგომამდე «Die Rote Fahne» გამოდიოდა ბრიუსელში (ბელგია). — 48.

16 «Freiheit» («თავისუფლება») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის ცენტრისტული დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის ორგანო, გამოდიოდა ბერლინში 1918 წლის ნოემბრიდან 1922 წლის ნოემბრამდე. — 44.

17 პ ა რ ტ ი უ ლ ი  კ ვ ი რ ა ტარდებოდა იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც რკპ(ბ) VIII ყრილობამ მიიღო პარტიის რიცხობრივი შემადგენლობის გაფართოების შესახებ მუშების, მუშა და გლეხი ახალგაზრდობის ხარჯზე. პირველად პარტიული კვირა ჩატარდა პეტროგრადის ორგანიზაციაში 1919 წლის 10-დან 17 აგვისტომდე; მოსკოვის საგუბერნიო ორგანიზაციაში პარტიული კვირა ჩატარდა 20-დან 28 სექტემბრამდე; მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციაში პარტიული კვირა ჩატარდა 8-დან 15 ოქტომბრამდე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1919 წლის 26 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება პარტიული კვირის ჩატარების შესახებ სხვა ქალაქებშიც, სოფლებსა და არმიაში. პარტიაში მიღებულ იქნა 200 ათასზე მეტი წევრი. — 57.

18 პ ა რ ტ ი ი ს  წ ე ვ რ ე ბ ი ს  ხ ე ლ ა ხ ა ლ ი  რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა ჩატარდა რკპ(ბ) VIII ყრილობის დადგენილების საფუძველზე 1919 წლის მაისიდან სექტემბრის ბოლომდე. ხელახალი რეგისტრაცია ფაქტიურად იყო პარტიის რიგების პირველი წმენდა. — 57.

19 პ პ ს — პოლონეთის სოციალისტური პარტია — წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტია, რომელიც დაარსდა 1892 წელს. რუსეთის პირველი რევოლუციის გავლენით პპს 1906 წელს გაიყოფა ორ ფრაქციად: პპს-ის «ლევიცად» და პპს-ის «პრავიცად». პირველი მსოფლიო ომის წლებში «ლევიცის» დიდი ნაწილი ინტერნაციონალისტურ პოზიციას დაადგა და დაუახლოვდა პოლონეთის ს.-დ. პარტიას; 1918 წლის დეკემბერში მათ ერთად შექმნეს პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტია.

«პრავიცა», რომელსაც სათავეში ედგა პილსუდსკი, განაგრძობდა ნაციონალ-შოვინიზმის პოლიტიკას; შემდეგში მისგან აღორძინდა პპს. მას შემდეგ, რაც 1918 წელს შეიქმნა პოლონეთის ბურჟუაზიული სახელმწიფო, პპს, რომელიც მმართველი პარტია გახდა, ანტისაბჭოთა პოლიტიკას ახორციელებდა. მეორე მსოფლიო ომის დროს პპს გაითიშა ორ ჯგუფად. პპს-ის რეაქციულ-შოვინისტური ნაწილი დაადგა ფაშისტებთან თანამშრომლობის გზას. მეორე ნაწილი, რომელსაც ეწოდებოდა «პოლონელ სოციალისტთა მუშათა პარტია», პოლონეთის მუშათა პარტიის ზემოქმედებით გაერთიანდა ერთიან ფრონტში ჰიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ და ბრძოლას ეწეოდა ფაშისტური მონობისაგან პოლონეთის განთავისუფლებისა და სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის. 1948 წლის დეკემბერში, მემარჯვენე ელემენტებისაგან პპს-ის გაწმენდის შემდეგ, პოლონეთის მუშათა პარტია (პპრ) და პოლონეთის სოციალისტური პარტია (პპს) გაერთიანდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე და შექმნეს პოლონეთის ერთიანი მუშათა პარტია (პზპრ). მემარჯვენე პეპეესელების ემიგრირებული ხროვა წარმოადგენს ინგლის-ამერიკის დაზვერვის აგენტურას და ეწევა დამარღვეველ მუშაობას სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის წინააღმდეგ. — 76.

20 ლენინს მხედველობაში აქვს ფრანგი სოციალ-შემთანხმებლების გამცემლური საქციელი ჟან ლონგეს, მერჰეიმის, ჟუოს და სხვათა მეთაურობით საერთაშორისო პოლიტიკურ გაფიცვასთან დაკავშირებით, რომლის ჩატარებაც დანიშნული იყო 1919 წლის 21 ივლისს რუსეთისა და უნგრეთის რევოლუციის მხარდაჭერის ლოზუნგით და რუსეთისა და უნგრეთის საქმეებში იმპერიალისტთა ჩაურევლობის მოთხოვნით. ჟუომ, მერჰეიმმა და შრომის გენერალური კონფედერაციის სხვა ხელმძღვანელებმა მუშების მოტყუების მიზნით ჯერ მხარი დაუჭირეს გაფიცვას, ხოლო შემდეგ, მისი ჩატარების წინადღეს მოითხოვეს მისი გადადება. ამ გამცემლობის შედეგად საერთაშორისო გაფიცვა ჩაიშალა, რითაც დახმარება გაეწია იმპერიალისტურ სახელმწიფოებს მათს ინტერვენციაში საბჭოთა რუსეთისა და უნგრეთის წინააღმდეგ. — 85.

21 გერმანიის კომუნისტური პარტიის გათიშვა მოხდა მის II ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა არალეგალურად 1919 წლის 20 — 23 ოქტომბერს. ყრილობაზე გამოვიდა «მემარცხენეთა» ჯგუფი და იცავდა ანარქო-სინდიკალისტურ შეხედულებებს — პარლამენტის ბოიკოტს, პოლიტიკური ბრძოლის უარყოფას, რეაქციულ პროფკავშირებში მონაწილეობაზე უარისთქმას და ა. შ.. «მემარცხენეები» უმცირესობაში აღმოჩნდნენ და გარიცხულ იქნენ პარტიის რიგებიდან. მათ შექმ-

ნეს თავიანთი ორგანიზაცია — ეგრეთწოდებული გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია (გკმპ), რომელიც შემდეგში იქცა გადაგვარებულ კონტრრევოლუციურ ანარქო-სინდიკალისტურ ჯგუფად. — **86.**

**22** ლენინს მხედველობაში აქვს კ. მარქსის წერილი ი. ვეიდემაიერისადმი 1852 წლის 5 მარტს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949 წ., გვ. 61). — **96.**

**23** ლენინს მხედველობაში აქვს კ. მარქსის წერილი ლ. კუგელმანისადმი 1870 წლის 13 დეკემბერს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949 წ., გვ. 275). — **98.**

**24** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1948 წ., გვ. 61 — 62. — **98.**

**25** ლენინს მხედველობაში აქვს ფ. ენგელსის წერილი ა. ბებელისადმი 1875 წ. 18 — 28 მარტის თარიღით (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 319). — **99.**

**26** ლენინს მხედველობაში აქვს ფ. ენგელსის წერილი ა. ბებელისადმი 1875 წ. 18 — 28 მარტის თარიღით (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 322 — 323). — **99.**

**27** იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1950, გვ. 100 — 101. — **100.**

**28** იხ. ფ. ენგელსი. «ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 386 — 388). — **101.**

**29** ლენინს მხედველობაში აქვს მარქსისა და ენგელსის გამონათქვამები 1852 — 1892 წლების პერიოდში მუშათა კლასის ზედაფენების გაბურჟუაზიულების პროცესის შესახებ. ერთ-ერთი პირველი გამონათქვამი ენგელსისა ამ საკითხზე გამოთქმულია მის წერილში მარქსისადმი 1852 წლის 24 სექტემბერს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. წერილები, 1931, გვ. 70). აღნიშნულ საკითხზე ენგელსის ყველაზე უფრო გვიანდელ გამონათქვამთა რიცხვს მიეკუთვნება ენგელსის წიგნის — «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში» — მეორე გერმანული გამოცემის წინასიტყვაობა, რომელიც დაწერილია 1892 წელს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 488 — 506).

ამ გამონათქვამთა მნიშვნელოვანი ნაწილი ლენინს მოჰყავს თავის სტატიაში «იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამ., ტ. 23, გვ. 138 — 140). — **104.**

30 ლენინს მხედველობაში აქვს მარქსის გამოსვლა I ინტერნაციონალის ჰააგის კონგრესზე 1872 წლის სექტემბერში განცხადებით ინგლისის მუშათა ბელადების გამყიდველობის შესახებ. მარქსის ამ გამოსვლის შესახებ აცნობებდა ენგელსი ზორგეს 1872 წლის 21 სექტემბრისა და 5 ოქტომბრის წერილებში (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი. ტ. XXVI, 1935, გვ. 288 და 292). — **104.**

31 რსფსრ კონსტიტუციის 23 პარაგრაფი, რომელიც შემუშავებულია სრ. რუსეთის ცაკ-ის კომისიის მიერ ი. ბ. სტალინისა და ი. მ. სვერდლოვის ხელმძღვანელობით და მიღებულია საბჭოების სრულიად რუსეთის V ყრილობის მიერ 1918 წლის 10 ივლისს, ამბობს: «ხელმძღვანელობს რა მუშათა კლასის ინტერესებით საერთოდ, რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა ცალკეულ პირებსა და ცალკეულ ჯგუფებს ართმევს იმ უფლებებს, რომლებსაც ისინი იყენებენ სოციალისტური რევოლუციის ინტერესების საზიანოდ». — **106.**

32 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1950, გვ. 100 — 101. — **121.**

33 სტატია ლაუმთავრებელი დარჩა. — **122.**

34 «ბ ე დ ნ ო ტ ა» — ყოველდღიური გაზეთი გლეხებისათვის; გამოსვლა დაიწყო 1918 წლის 27 მარტიდან რკპ(ბ) ც.კ-ის დადგენილებით ნაცვლად გაზეთებისა: «დერევენსკაია ბედნოტა», «დერევენსკაია პრავდა» და «სოლდატსკაია პრავდა». «ბედნოტა» გამოდიოდა 1931 წლის 31 იანვრამდე, რის შემდეგ შეუერთდა გაზეთ «სოციალისტიჩესკოე ზემლედელიეს», რომელიც ახლაც გამოდის. — **130.**

35 ლენინს მხედველობაში ყავს რკინიგზელთა კავშირის სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი («ვიკჟელ»), რომლის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ ესერები და მენშევიკები. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებში «ვიკჟელი», ნეიტრალიტეტის დროშით შენიღბული, საქმით კონტრრევოლუციის ერთ-ერთი ცენტრი იყო. «ვიკჟელის» ხელში იყო რკინიგზების მმართველობის აპარატი. რკინიგზის მოსამსახურეთა, ხელოსანთა და მუშათა სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობის გადაწყვეტილებით 1918 წლის იანვარში «ვიკჟელი» ლიკვიდირებულ იქნა. — **138.**

36 წერილი «ამხანაგ თურქესტანელ კომუნისტებს» ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ 1919 წლის ოქტომბერში

თურქესტანში გაიგზავნა სრ. რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს კომისია თურქესტანის საქმეების გამო. კომისიის მიზანი იყო იმ შეცდომების გამოსწორება, რომლებიც დაუშვეს ადგილობრივმა მუშაკებმა ნაციონალური პოლიტიკის გატარებისას თურქესტანში.

ჯერ კიდევ კომისიის გაგზავნამდე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი მითითებებს აძლევდა თურქესტანის ხელმძღვანელ მუშაკებს მათ მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორების აუცილებლობის შესახებ. 1918 წლის აპრილში შუა აზიის საგანგებო კომისრის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერდა ი. ბ. სტალინი, მოცემული იყო მითითება თურქესტანის მხარისათვის ავტონომიის მიცემისა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებთან თურქესტანის ხალხთა მშრომელი ფენების დაახლოების შესახებ. საკითხი სახელმწიფო მოღვაწეობაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩაბმის შესახებ განსაკუთრებით ხაზგასმული იყო რკპ(ბ) ც.კ-ის 1919 წლის 12 ივლისის რადიოგრამაში თურქესტანის მთავრობის სახელზე.

ლენინის წერილი განხილულ იქნა თურქესტანის კომუნისტური პარტიის V საერთო-პარტიულ სამხარეო კონფერენციაზე 1920 წლის იანვარში. კონფერენციამ წერილით მიმართა ლენინს, რომელშიაც გამოთქმული იყო პირობა, რომ გამოასწორებდნენ დაშვებულ შეცდომებს სრ. რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს კომისიასთან ერთად მუშაობით. — **148.**

**87** თ ა ვ დ ა ც ვ ი ს  ს ა ბ ჭ ო (მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭო) ჩამოყალიბდა სრ. რუსეთის ცაკ-ის 1918 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით საბჭოთა რესპუბლიკის დაცვის ხელმძღვანელობისათვის. ეს დადგენილება თავდაცვის საბჭოს აკისრებდა ამოცანას ცხოვრებაში გაეტარებინა სრ. რუსეთის ცაკ-ის 1918 წლის 2 სექტემბრის დეკრეტი, რომლითაც საბჭოთა რესპუბლიკა გამოცხადებული იყო სამხედრო ბანაკად, და დადგენილებანი სურსათისა და ტრანსპორტის საქმეში, აგრეთვე სამხედრო მრეწველობაში სამხედრო რეჟიმის შემოღების შესახებ. თავდაცვის საბჭოს მიენიჭა სრული უფლებები თავდაცვის ინტერესებისათვის ქვეყნის ძალებისა და საშუალებების მობილიზაციის საქმეში. თავდაცვის საბჭო ხელმძღვანელობდა ფრონტის უზრუნველყოფას შევსებით, შეიარაღებით, სურსათით, ტანისამოსით.

თავდაცვის საბჭოს ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი; მისი ფაქტიური მოადგილე იყო ი. ბ. სტალინი, რომელიც გამოყოფილი იყო სრ. რუსეთის ცაკ-ის მიერ თავის წარმომადგენლად თავდაცვის საბჭოში. თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად, მის მიერ შექმნილი კომისიების გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ხელს აწერდნენ

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი, ჰქონდათ თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებათა ძალა.

ძირითადი ფრონტების ლიკვიდაციის შემდეგ თავდაცვის საბჭო 1920 წლის აპრილის დასაწყისში გარდაიქმნა შრომისა და თავდაცვის საბჭოდ («სტო»). სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის 1920 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით შრომისა და თავდაცვის საბჭო არსებობდა სახკომსაბჭოს კომისიის უფლებებით 1936 წლის ბოლომდე. — **148.**

**38** სრულიად რუსეთის I თათბირი სოფლად პარტიული მუშაობის შესახებ მიმდინარეობდა 1919 წლის 16—19 ნოემბერს მოსკოვში. თათბირს ესწრებოდა 99 დელეგატი პარტიის საგუბერნიო, სამაზრო და სავოლოსტო კომიტეტებიდან. ლენინი გამოვიდა თათბირის მესამე დღეს; სიტყვის დასაწყისში ლენინმა დელეგატებს მიულოცა წითელი არმიის ჯარების მიერ ქ. კურსკის განთავისუფლება. — **155.**

**39** აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1919 წლის 22 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე. ყრილობის გახსნის წინ 21 ნოემბერს ლენინის თავმჯდომარეობით და სტალინის მონაწილეობით შედგა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა წინასწარი თათბირი ყრილობის დელეგატთა ჯგუფთან. ყრილობას ესწრებოდა 80-მდე დელეგატი — თურქესტანის, აზერბაიჯანის, ხივის, ბუხარის, ყირგიზეთის, თათართა, ჩუვაშეთის, ბაშკირეთის, კავკასიის და სხვათა მუსლიმანური კომუნისტური ორგანიზაციების წარმომადგენლები. ყრილობა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით გახსნა ი. ბ. სტალინმა, რომელმაც წარმოთქვა შესავალი სიტყვა ყრილობის ამოცანების შესახებ (იხ. ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 306 — 308). ვ. ი. ლენინი გამოვიდა მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ ყრილობის პირველ დღეს.

ყრილობამ მოისმინა და განიხილა ანგარიში აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების ცენტრალური ბიუროს მუშაობის შესახებ, აირჩია ახალი ბიურო და დასახა ამოცანები პარტიული და საბჭოთა მუშაობისა აღმოსავლეთში. — **165.**

**40** «პროექტი რკპ(ბ) ც.კ-ის რეზოლუციისა უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ», რომელიც ლენინმა დაწერა, ძირითადად მიღებულ იქნა რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომაზე 1919 წლის 21 ნოემბერს და საბო-

ლოო რედაქციისათვის გადაეცა კომისიას. კომისიის რედაქციული შესწორებებითა და მე-2 პუნქტის დამატებით, რომელიც ლენინმა შეიტანა, რეზოლუციის პროექტი მიღებულ იქნა რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმის მიერ 1919 წლის 29 ნოემბერს და გამოქვეყნდა. ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია დადასტურებულ იქნა 1919 წლის 3 დეკემბერს რკპ(ბ) სრულიად რუსეთის VIII კონფერენციის მიერ. — **181.**

**41** 1919 წლის 18 მაისის რეზოლუცია სამხედრო ძალების გაერთიანების შესახებ მიღებულ იქნა უკრაინის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე. რეზოლუციაში დასახული იყო საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან შეიარაღებული ბრძოლისათვის საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ძალების გაერთიანებისა და ამისათვის აუცილებელი ყველა მატერიალური საშუალების ერთიანი ცენტრის ხელში თავმოყრის ამოცანა; ანალოგიური წინადადებანი შემოიტანეს ლატვიის, ლიტვისა და ბელორუსიის საბჭოთა მთავრობებმა.

ამ წინადადებათა შესაბამისად 1919 წლის 1 ივნისს გამოცემულ იქნა სრ. რუს. ცაკ-ის დეკრეტი «რუსეთის, უკრაინის, ლატვიის, ლიტვის, ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ მსოფლიო იმპერიალიზმთან საბრძოლველად». დეკრეტში აღნიშნული იყო ამ რესპუბლიკების სამხედრო კავშირის აუცილებლობა საბჭოთა ხელისუფლების მტრების მოსაგერიებლად. სრ. რუს. ცაკ-მა აუცილებლად ჩათვალა საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო ორგანიზაციისა და სამხედრო ხელმძღვანელობის გაერთიანება, აგრეთვე სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების ხელმძღვანელობის თავმოყრა ერთიანი ხელმძღვანელი ორგანოების ხელში. — **181.**

**42** რკპ(ბ) სრულიად რუს-ეთის VIII კონფერენცია შედგა მოსკოვში 1919 წლის 2—4 დეკემბერს. კონფერენციას ესწრებოდა 45 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 73 — სათათბირო ხმით. კონფერენციის დღის წესრიგი იყო: 1. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება (პოლიტიკური და ორგანიზაციული); 2. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, 3. საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობის დღის წესრიგის საკითხები; 4. საბჭოთა ხელისუფლების შესახებ უკრაინაში; 5. პარტიული წესდების შესახებ; 6. პარტიის ახალი წევრების შესახებ.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ვ. ი. ლენინმა. მეორე სხდომაზე ლენინი გამოვიდა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებით და საბოლოო სიტყვით მოხსენების გამო. ლენინმა მოამ-

ზადა პროექტი რეზოლუციისა საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ (იხ. ეს ტომი, გვ. 216 — 217). მესამე და მეოთხე სხდომებზე ლენინი გამოვიდა მოხსენებით საბჭოთა ხელისუფლების შესახებ უკრაინაში და საბოლოო სიტყვით ამ საკითხზე. კონფერენციაზე, თანახმად რკპ(ბ) VIII ყრილობის გადაწყვეტილებისა, მიღებულ იქნა პარტიის ახალი წესდება. — **185.**

43 «L'Humanité» («კაცობრიობა») — ყოველდღიური გაზეთი, დააარსა ჟ. ჟორესმა 1904 წელს როგორც ფრანგული სოციალისტური პარტიის ორგანო. მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914—1918) გაზეთი იყო ფრანგული სოციალისტური პარტიის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის ხელში და სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეკავა. 1920 წლის დეკემბრის ყრილობაზე სოციალისტური პარტიის გათიშვისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შექმნის ცოტა ხნის შემდეგ, ეს გაზეთი ამ უკანასკნელის ორგანო გახდა; ამჟამადაც გამოდის პარიზში როგორც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. — **178.**

44 პროექტი «ინსტრუქციისა რკპ საგუბერნიო, სამაზრო და საოლოსტო კომიტეტებს სოფლად მუშაობის შესახებ» შეიმუშავა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სოფლად მუშაობის განყოფილებამ. პროექტი მცირე შესწორებებით მიიღო სრულიად რუსეთის პირველმა თათბირმა სოფლად პარტიული მუშაობის შესახებ. — **214.**

45 ეს პროექტი რეზოლუციისა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხზე შეადგინა ლენინმა რკპ(ბ) სრულიად რუსეთის VIII კონფერენციის სხდომაზე 1919 წლის 2 დეკემბერს. უმნიშვნელო შენიშვნებით რეზოლუციის პროექტი მიიღო კონფერენციამ, ხოლო შემდეგ საჯაროდ გამოაცხადა ლენინმა 5 დეკემბერს თავის მოხსენებაში სრულიად რუსეთის საბჭოების VII ყრილობაზე (იხ. ეს ტომი, გვ. 268 — 269) და მიღებულ იქნა ყრილობის მიერ ერთხმად, როგორც სამშვიდობო წინადადება ანტანტის ქვეყნებისადმი. ყრილობის რეზოლუცია გამოქვეყნდა პრესაში 1919 წლის 6 დეკემბერს.

ყრილობის სამშვიდობო წინადადება დაეგზავნა ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს 1919 წლის 10 დეკემბერს. ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის მთავრობებმა უარი თქვეს ამ წინადადების განხილვაზე. — **216.**

46 ბოროტბისტები — უკრაინელი მემარცხენე ესერები, რომლებმაც 1918 წლის მაისში ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი პარტია. ბოროტბისტები ეწოდებოდით მათი პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ «ბოროტბას» («ბრძოლა») სახელწოდების მიხედვით. 1920 წლის

მარტში, იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინის გლეხთა მასაში გაიზარდა ბოლშევიკების გავლენა, ბოროტბისტები იძულებულნი შეიქნენ დაეშალათ თავიანთი პარტია და შეერთებოდნენ უკრაინის კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას). უკრაინის კ. პ. (ბ) IV კონფერენციამ გამოიტანა გადაწყვეტილება პარტიაში ბოროტბისტების მიღების შესახებ, ამასთან ყველა ახლად მიღებული ხელახლა იქნა გატარებული რეგისტრაციაში. მომდევნო წლებში გამოირკვა, რომ მრავალი ბოროტბისტთაგანი ხალხის ფარული მტერი, თვალთმაქცი იყო. ისინი სათავეში ჩაუდგნენ კონტრრევოლუციონერთა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ელემენტთა ანტისაბჭოთა ბრძოლას უკრაინაში და მხილებულ იქნენ როგორც ხალხის უბოროტესი მტრები. — **218.**

**47** სამიწათმოქმედო კომუნებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელების I ყრილობა მოწვეულ იქნა მიწსახკომის მიერ და მიმდინარეობდა 1919 წლის 3—10 დეკემბერს მოსკოვში. ყრილობას ესწრებოდა 140 დელეგატი, აქედან 93 კომუნისტი. ლენინი გამოვიდა ყრილობის მუშაობის მეორე დღეს. ყრილობამ მიიღო შრომითი საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების (კომუნებისა და არტელების) სრულიად რუსეთის კავშირის წესდება, რომელიც შემდეგ დაამტკიცა მიწსახკომმა. — **221.**

**48** მილიარდიანი ფონდი შეიქმნა თანახმად სახკომსაბჭოს 1918 წლის 2 ნოემბრის დეკრეტისა «სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების, განვითარებისა და სოციალისტურ საწყისებზე მისი სწრაფად გარდაქმნის მიზნით». დახმარება და სესხი ამ ფონდიდან ეძლეოდა სასოფლო-სამეურნეო კომუნებს, შრომითს ამხანაგობებს და სოფლის საზოგადოებებს ან ჯგუფებს იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელნი გადავიდოდნენ მიწის კოლექტიურ დამუშავებაზე. — **221.**

**49** «დებულება სოციალისტური მიწათმოწყობისა და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებათა შესახებ» მიღებულ იქნა 1919 წლის თებერვალში სრულიად რუსეთის ცაკ-ის მიერ. ლენინმა უშუალო მონაწილეობა მიიღო დებულების შემუშავებასა და რედაქტირებაში. «დებულებით» დასახული იყო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნისათვის, სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების ამაღლებისა და სათესი ფართობების გადიდებისათვის. — **221.**

**50** საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობა მიმდინარეობდა 1919 წლის 5—9 დეკემბერს მოსკოვში. ყრილობას ესწრე-

ბოდა 1 366 დელეგატი, მათგან 1 278 კომუნისტი. ყრილობის დღის წესრიგში იდგა საკითხები: 1. სრულიად რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს მოხსენება; 2. სამხედრო მდგომარეობა; 3. კომუნისტური ინტერნაციონალის შესახებ; 4. სასურსათო მდგომარეობა; 5. სათბობის საკითხი; 6. საბჭოთა მშენებლობა ცენტრსა და ადგილებზე; 7. სრულიად რუსეთის ცაკ-ის არჩევნები.

ლენინი გამოვიდა ყრილობის გახსნის დღეს სრულიად რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს მოხსენებით; მეორე დღეს—საბოლოო სიტყვით მოხსენების გამო; 8 დეკემბერს — მოხსენებით ყრილობის ორგანიზაციულ სექციაში და ყრილობის დახურვის დღეს — დასკვნითი სიტყვით. — 235.

51 გერმანიის მთავრობამ 1918 წლის 5 ნოემბერს გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასთან და საბჭოთა საელჩო ბერლინიდან გამოაძევა მოჭორილი საბაბით, თითქოს ოფიციალური საბჭოთა წარმომადგენლები ეწეოდნენ აგიტაციას გერმანიის სახელმწიფო დაწესებულებათა წინააღმდეგ. დიპლომატიური ურთიერთობა 'გერმანიასა და რსფსრ-ს შორის განახლდა მხოლოდ 1922 წელს. — 242.

52 ლენინს მხედველობაში აქვს დიდი კონტრრევოლუციური შეთქმულება, რომელიც გამომეღავნებულ იქნა პეტროგრადში 1919 წლის ნოემბერში. შეთქმულებას ხელმძღვანელობდა თეთრგვარდიული ორგანიზაცია, რომელიც დაკავშირებული იყო იუდენიჩთან და ანტანტისაგან იღებდა სახსრებს. მასში შედიოდნენ მეფის მაღალი ხარისხის მოხელეები, მეფის არმიის გენერლები და ადმირალები, კონტრრევოლუციონერები, რომლებიც სამხედრო სპეციალისტების სახით შეიპარნენ წითელ არმიაში, კადეტური პარტიისა და თეთრგვარდიული ჯაშუშური ორგანიზაციის «ნაციონალური ცენტრის» წევრები, აგრეთვე ესერებისა და მენშევიკების პარტიებთან ახლო მდგომი პირები. ამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მიზანი იყო აჯანყების მომზადება პეტროგრადში იუდენიჩის მოახლოების მომენტში. შეთქმულება გამომეღავნებულ და ლიკვიდირებულ იქნა. — 273.

53 საორგანიზაციო სექცია, ანუ საბჭოთა მშენებლობის სექცია, შეიქმნა საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობაზე იმ ცვლილებათა განსახილველად, რომლებიც მოხდა საბჭოთა მშენებლობის პრაქტიკაში 1918 წლის ივნისში საბჭოების V ყრილობის მიერ რსფსრ-ის კონსტიტუციის მიღების დროიდან. სექციის სხდომაზე ლენინის გამოსვლის შემდეგ რეზოლუცია საბჭოთა მშენებლობის

შესახებ, რომელიც ადრე რკპ(ბ) სრულიად რუსეთის VIII კონფერენციამ მიიღო, საფუძვლად იქნა მიღებული. — **284.**

**54** ლენინს მხედველობაში აქვს კ. მარქსის სიტყვები მისი წერილიდან ლ. კუგელმანისადმი 1870 წ. 13 დეკემბერს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 275). — **305.**

**55** იხ. კ. მარქსი. «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» და «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 369 — 371, 552 — 555). — **310.**

**56** იგულისხმება ფინეთის ბურჟუაზიის მიერ პროლეტარული რევოლუციის ჩახშობა ფინეთში, რომელიც დაიწყო 1918 წლის იანვარში ქვეყნის სამხრეთ, სამრეწველო ნაწილში. ბურჟუაზიულმა მთავრობამ, რომელმაც მოახერხა ფინეთის ჩრდილოეთი მისი კულაკებითა და შეძლებული გლეხებითურთ გადაეფარა კონტრრევოლუციის პლაცდარმად და შეექმნა თეთრი არმია, თვითონ გამოიწვია სამოქალაქო ომი, როცა დაიწყო ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში წითელი გვარდიის რაზმებზე თავდასხმა. ფინელი მუშები და მათ მიერ შექმნილი წითელი გვარდია გმირულად იბრძოდნენ, მაგრამ ფინეთის სოციალ-დემოკრატიის გამცემლური ტაქტიკა ასუსტებდა მათი წინააღმდეგობის ძალას, ხოლო რევოლუციური პროლეტარული პარტია ფინეთში მაშინ ჯერ კიდევ არ იყო. ფინეთის თეთრგვარდიელობისა და გერმანელთა ჯარების შეერთებული ძალებით პროლეტარული რევოლუცია სასტიკად იქნა ჩახშობილი 1918 წლის აპრილ-მაისში. ფინეთში გამეფდა თეთრი ტერორი; დახვრიტეს ათი ათასობით რევოლუციური მუშა. — **322.**

**57** მისალმება, დაწერილი ლენინის მიერ «ნაშა სმენასადმი», გაეგზავნა პეტროგრადის გუბერნიის ახალგაზრდობას პეტროგრადის კომკავშირული ორგანიზაციის მიერ «ახალგაზრდობის კვირის» ჩატარებასთან დაკავშირებით. — **326.**

**58** რკპ(ბ) მოსკოვის საერთო-საქალაქო კონფერენცია მიმდინარეობდა 1919 წლის 20 — 21 დეკემბერს. კონფერენციამ განიხილა საკითხები: 1. სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის შესახებ; 2. სათბობის შესახებ; 3. შაბათობათა შესახებ; 4. მუცლის ტიფის ეპიდემიისა და მასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ; 5. მოსკოვის სასურსათო მდგომარეობის შესახებ; 6. «ვსევობუჩისა» (საყოველთაო სამხედრო სწავლება) და განსაკუთრებული დანიშნულების რაზმების შესახებ. შაბათობათა შესახებ ლენინის მოხსენების გამო მიღებულ იქნა

რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმული იყო შაბათობათა, როგორც კომუნიზმის პრაქტიკული განხორციელების პირველი ნაბიჯების უდიდესი მნიშვნელობა. — **334.**

**59** შენიშვნა «რ უ ს უ ლ ი ე ნ ი ს გ ა ნ წ მ ე ნ დ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» ლენინმა დაწერა 1919 ან 1920 წელს. — **354.**

**60** ლაპარაკია დირექტივაზე, რომელიც მიიღო რკპ(ბ) ც.კ-ის პოლიტბიურომ 1920 წლის 23 იანვარს ლენინის წინადადებით მუშურ-გლეხური ინსპექციის შექმნის საკითხზე. ც.კ-ის დირექტივისა და ლენინის იმ მითითებათა საფუძველზე, რომლებიც გადმოცემულია ამ წერილში ი. ბ. სტალინისადმი, შემუშავებულ იქნა «დებულება მუშურ-გლეხური ინსპექციის შესახებ», რომელიც შემდეგ მიღებულ იქნა VII მოწვევის სრ. რუსეთის ცაკ-ის პირველი სესიის მიერ 1920 წლის 7 თებერვალს. — **357.**

**61** «დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა თ ა პ რ ო ე ქ ტ ე ბ ი დ ა დ ი რ ე ქ ტ ი ვ ე ბ ი კ ო ო პ ე რ ა ც ი ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» ლენინმა დაწერა კოოპერაციის საკითხზე თათბირის დროს. თათბირი მიმდინარეობდა ლენინის თავმჯდომარეობით 1920 წლის 26 იანვარს ი. ბ. სტალინის, ფ. ე. ძერჟინსკის და სხვების მონაწილეობით. ლენინის დირექტივების საფუძველზე თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც საფუძვლად დაედო სახკომსაბჭოს 1920 წლის 27 იანვრის დეკრეტს ყველა სახის კოოპერაციული ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ და სახკომსაბჭოს იმავე რიცხვის დადგენილებას კოოპერატივთა ყრილობების საბჭოს ლიკვიდაციის შესახებ. — **366.**

**62** ს ა ხ ა ლ ხ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს I I I ყ რ ი ლ ო ბ ა შედგა მოსკოვში 1920 წლის 23 — 29 იანვარს. ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: საბჭოთა რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა; სამხედრო მრეწველობა და წითელი არმიის მომარაგება; სამეურნეო ცხოვრების მართვის ორგანიზაცია; შრომის ორგანიზაცია; საყოველთაო შრომითი ბეგარა; ტრანსპორტის თანამედროვე მდგომარეობა; სათბობის შესახებ და სხვა. ლენინმა თავისი სიტყვა წარმოთქვა ყრილობის პლენარულ სხდომაზე 27 იანვარს. — **368.**

**63** VII მ ო წ ვ ე ვ ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ც ა კ-ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ს ე ს ი ა მიმდინარეობდა 1920 წლის 2 — 7 თებერვალს. სესიამ მიიღო დადგენილებანი: საყოველთაო შრომითი ბეგარის წესის შესახებ, რუსეთის ელექტრიფიკაციის შესახებ, საყოველთაო აღწერის

შესახებ, მუშურ-გლეხური ინსპექციის შესახებ და სხვა. სესიაზე გამოტანილ იქნა დადგენილება სრულიად რუსეთის ცაკ-ის პრეზიდიუმთან განსაკუთრებული კომისიის ჩამოყალიბების შესახებ რსფსრ-ის ფედერაციული მოწყობის საკითხების დასამუშავებლად; კომისიას შემადგენლობაში შეეყვანილ იქნა ი. ბ. სტალინი, რომელიც ამ დროს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე იმყოფებოდა. სრულიად რუსეთის ცაკ-ის სესიამ დაამტკიცა მიმართვა პოლონელი ხალხისადმი და მიიღო დადგენილება ესტონეთთან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ. — **375.**

**64** ლენინმა წაიკითხა ცნობა, გამოქვეყნებული ცენტრალურ გაზეთებში 1920 წლის 18 იანვარს, ანტანტის ქვეყნების მთავრობათა იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომ მოეხსნათ ბლოკადა საბჭოთა რუსეთისათვის და ნება დაერთოთ რუსეთთან ვაჭრობისა. ცნობაში ხაზგასმული იყო, რომ ეს დადგენილება «არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მოკავშირეთა პოლიტიკის შეცვლას საბჭოთა მთავრობასთან დამოკიდებულებაშიო». — **376.**

**65** დოკუმენტები, რომელთა შესახებ ლაპარაკობდა ლენინი, მიღებული იყო თეთრგვარდიელ ოფიცერ ოლეინიკოვისაგან, რომელიც გადმოვიდა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. ეს დოკუმენტები მას მიჰქონდა ს. დ. საზონოვისაგან იუდენიჩთან პარიზიდან შვეიცარიაზე გავლით.

დოკუმენტებში მოხსენიებულია: საზონოვი — მეფის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი და კოლჩაკისა და დენიკინის წარმომადგენელი პარიზში; გულკევიჩი — კოლჩაკის დესპანი შვეიცარიაში; ბახმეტევი — კოლჩაკის ელჩი ვაშინგტონში; სუკინი — კოლჩაკის საგარეო საქმეთა მინისტრი ომსკში; საბლინი — კოლჩაკის საქმეთა რწმუნებული ლონდონში; ნოქსი — გენერალი, ინგლისის მთავრობის წარმომადგენელი კოლჩაკთან. — **382.**

**66** ლაპარაკია მოლაპარაკებაზე, რომელსაც ეწეოდა წითელი ჯვრის საზოგადოება ტყვეების გაცვლის, ლტოლვილთა დაბრუნებისა და სხვათა შესახებ. — **386.**

**67** ლენინს მხედველობაში აქვს რსფსრ-ის სახკომსაბჭოს ის განცხადება პოლონეთის მთავრობისა და პოლონელი ხალხისადმი, რომელიც გამოქვეყნდა ცენტრალურ გაზეთებში 1920 წლის 30 იანვარს. ამის დამატებით VII მოწვევის სრულიად რუსეთის ცაკ-ის პირველ სესიაზე 2 თებერვალს მიღებულ იქნა სრულიად რუსეთის ცაკ-ის მიმართვა პოლონელი ხალხისადმი. მიმართვაში მხილებული იყო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ცილისწამება საბჭოთა რუსეთზე, თითქოსდა

საბჭოთა რუსეთს განზრახული ჰქონოდეს პოლონეთის დაპყრობა, და ხაზგასმული იყო საბჭოთა მთავრობის განუხრელი მისწრაფება ზავისა და მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისადმი დამოუკიდებელ პოლონეთთან. — 387.

68 ბაშკირეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა შეიქმნა ცენტრალურ საბჭოთა მთავრობასა და ბაშკირეთის მთავრობას შორის შეთანხმების შედეგად საბჭოთა ავტონომიური ბაშკირეთის შესახებ. შეთანხმება ხელმოწერილ იქნა ლენინისა და სტალინის მიერ და გამოქვეყნდა 1919 წლის 23 მარტს. ამ შეთანხმების თანახმად ბაშკირეთის რესპუბლიკა შედიოდა რსფსრ-ის შემადგენლობაში ფედერაციულ საფუძველზე. — 389.

69 თათართა ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა შეიქმნა 1920 წლის 27 მაისს. სრულიად რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს დეკრეტი რესპუბლიკის შექმნის შესახებ ხელმოწერილ იქნა ლენინისა და კალინინის მიერ. — 389.

70 ლენინს მხედველობაში აქვს მთავრობის მთელი რიგი დადგენილებები, რომელთა ამოცანა იყო ბრძოლა სამეურნეო რღვევასთან და სახალხო მეურნეობის აღდგენა. დადგენილება შრომითი მიზნებისათვის ურალში III არმიის გამოყენების შესახებ, რომელსაც ეწოდა შრომის I რევოლუციური არმია, მიღებულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1920 წლის 13 იანვარს. დებულება უკრაინის საბჭოთა შრომის არმიის — «უკრსოვტრუდამ»-ის — შესახებ მიღებულ იქნა რსფსრ-ის სახკომსაბჭოს მიერ სრულიად უკრაინის რევკომთან შეთანხმებით 1920 წლის 20 იანვარს; «უკრსოვტრუდარმის» თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა ი. ბ. სტალინი. დადგენილება მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის რაიონში რკინიგზის ტრანსპორტის გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის სათადარიგო არმიის ძალებისა და სახსრების გამოყენების შესახებ მიღებულ იქნა თავდაცვის საბჭოს მიერ 1920 წლის 23 იანვარს. დადგენილება საყოველთაო შრომითი ბეგარის წესის შესახებ და დებულება საყოველთაო შრომითი ბეგარის კომიტეტების შესახებ მიღებულ იქნა სახკომსაბჭოს მიერ 1920 წლის 29 იანვარს. — 390.

71 «პროექტი (ანუ თეზისები) რუსეთის კომუნისტური პარტიის პასუხისა გერმანიის დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის წერილზე» ლენინმა დაწერა როგორც პასუხი გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული

პარტიის წინადადებაზე — დაეწყოთ მოლაპარაკება კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლის პირობებზე. — **404.**

**72** ლენინს მხედველობაში აქვს VII მოწვევის სრულიად რუსეთის ცაკ-ის პირველი სესიის მიერ მიღებული დებულება მუშურ-გლეხური ინსპექციის შესახებ. — **422.**

**73** **«Le Populaire»** (**«სახალხო გაზეთი»**) დაარსებულ იქნა 1916 წელს ფრანგი სოციალისტ-ცენტრისტების მიერ; გამოდიოდა ჯერ ლიმოჟში; 1917 წლის ივლისიდან — პარიზში. 1920 წლის დეკემბერში ტურის ყრილობაზე ფრანგული სოციალისტური პარტიის გათიშვისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ჩამოყალიბების შემდეგ, გაზეთი **«Le Populaire»** 1921 წლიდან გახდა ოფიციალური ორგანო საფრანგეთის ოპორტუნისტული სოციალისტური პარტიისა. ამჟამად გაზეთი იმყოფება მემარჯვენე სოციალისტების ხელში, რომლებიც წარმოადგენენ საფრანგეთის ბურჟუაზიის რეაქციული წრეებისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა აგენტურას. — **423.**

**74** «ინტერნაციონალის აღდგენის კომიტეტი» შეიქმნა 1919 წლის ბოლოს ფრანგული სოციალისტური პარტიის ცენტრისტული ელემენტების მიერ ე. ლონგესა და პ. ფორის ხელმძღვანელობით. — **423.**

**75** **«La Vie Ouvriére»** («მუშური ცხოვრება») — გაზეთი, საფრანგეთის რევოლუციური სინდიკალისტების ყოველკვირეული ორგანო; გამოდიოდა პარიზში 1919 წლის აპრილიდან 1939 წლამდე, შემდეგ კი დაიხურა. გაზეთის გამოცემა განახლდა 1944 წელს. ამჟამად გაზეთი **«La Vie Ouvriére»** არის შრომის საყოველთაო კონფედერაციის — საფრანგეთის მუშათა კლასის პროფესიული ორგანიზაციის — ორგანო. — **423.**

**76** «კომმუნისტიჩესკი ინტერნაციონალ» — ჟურნალი, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა 1919 წლის 1 მაისიდან 1943 წლის ივნისამდე. — **423.**

**77** **«Avanti!»** («წინ!») — ყოველდღიური გაზეთი, იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო; დაარსდა 1896 წლის დეკემბერში. გაზეთი გამოდიოდა ერთსა და იმავე დროს რომში, მილანში და ტურინში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) გაზეთმა **«Avanti!»**-მ დაიკავა არათანმიმდევრულ-ინტერნაციონალისტური

პოზიცია და არ წყვეტდა კავშირს რეფორმისტებთან. ამჟამად გაზეთი გამოდის როგორც იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. — **424.**

**78** უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკამ იარსება 1919 წლის 21 მარტიდან აგვისტომდე. — **425.**

**79** **«Die Rote Fahne** («წითელი დროშა») — გაზეთი, ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა ვენაში 1918 წლის ნოემბრიდან. ჯერ ერქვა **«Der Weckruf»** («ძახილი»); 1919 წლის იანვრიდან — **«Die Soziale Revolution»** («სოციალური რევოლუცია»); 1919 წლის ივლისიდან — **«Die Rote Fahne»**. 1933 წელს **«Die Rote Fahne»** იძულებული გახდა გადასულიყო არალეგალურ მდგომარეობაში. 1945 წლის აგვისტოდან იგი არის ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო, გამოდის სახელწოდებით **«Österreichische Volksstimme»** («ავსტრიის სახალხო ხმა»). — **425.**

**80** **«La Bataille»** («ბრძოლა»)—გაზეთი, საფრანგეთის ანარქო-სინდიკალისტთა ორგანო; გამოსვლა დაიწყო პარიზში 1915 წლის ნოემბრიდან. პირველი მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ პერიოდში გაზეთს ეჭირა შოვინისტური პოზიცია. — **427.**

**81** ლენინს მხედველობაში აქვს ვაგნერის სიტყვები გოეთეს ტრაგედიიდან «ფაუსტი»:

**«Ах, то ли дело поглощать**
**За томом том, страницу за страницей!»**

(იხ. გოეთე. რჩეული თხზულებანი, ტომი V, 1947, გვ. 87). — **434.**

**82** შეკითხვები ლენინს გადმოსცა რადიოთი ამერიკული ბურჟუაზიული გაზეთის **«New York Evening Journal»**-ის («ნიუ-იორკის საღამოს გაზეთი») ბერლინელმა წარმომადგენელმა. ლენინის პასუხის ტექსტი რადიოგრამით აცნობეს ბერლინში, საიდანაც გადასცეს ნიუ-იორკში 1920 წლის 21 თებერვალს. იმავე საღამოს ლენინის პასუხი დაიბეჭდა გაზეთში **«New York Evening Journal»**. ლენინის რადიოგრამა გადაიბეჭდა აგრეთვე გერმანიის კომუნისტურ და სოციალისტურ პრესაში. — **439.**

**83** ლონდონის კონსერვატიული გაზეთის **«Daily Express»**-ის («ყოველდღიური ექსპრესი») სპეციალურმა კორესპონდენტმა, რომელიც კოპენჰაგენში იმყოფებოდა, მიმართა ლენინს თხოვნით ეპასუხნა ოთხ

კითხვაზე. ლენინის პასუხი კოპენჰაგენში მიიღეს 22 თებერვალს და მეორე დღეს დაიბეჭდა გაზეთ «Daily Express»-ში. — **443.**

**84** ლენინს მხედველობაში აქვს ანტიმარქსისტული შეხედულებები ა. ბოგდანოვისა და სხვებისა, რომლებიც «პროლეტარული კულტურის» ნიღბით ავრცელებდნენ რეაქციულ ბურჟუაზიულ შეხედულებებს ფილოსოფიაში (მახიზმი) და შერყვნილ გემოვნებას ხელოვნების დარგში (ფუტურიზმი). ბოგდანოვი და მისი მომხრეები უარყოფდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ როლს კულტურულ მშენებლობაში და საბჭოთა კულტურის განვითარებას აშორებდნენ სოციალისტური მშენებლობის საერთო ამოცანებისაგან; ისინი უარყოფდნენ პროლეტარიატის მიერ წარსულის კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო მონაპოვართა გამოყენების აუცილებლობას. ლენინი გადაჭრით ილაშქრებდა «პროლეტკულტის» ორგანიზაციებში ბოგდანოვის ანტიმარქსისტული ბურჟუაზიული თეორიების დანერგვის ცდების წინააღმდეგ; რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წერილში «პროლეტკულტთა შესახებ», რომელიც «პრავდაში» გამოქვეყნდა 1920 წლის 1 დეკემბერს, დაგმო ეს მავნე «თეორიები». 1922 წლიდან «პროლეტკულტის» ორგანიზაციებმა დაშლა იწყეს. — **454.**

**85** ლენინს მხედველობაში აქვს დეკრეტი ზავის შესახებ, რომელიც მიიღო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობამ 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) (იხ. თხზულებანი, მე-4 გამ., ტ. 26, გვ. 287 — 291). — **461.**

**86** ლენინს მხედველობაში აქვს გაზეთები, რომლებსაც 1918—1919 წლებში სცემდნენ რკპ(ბ) საზღვარგარეთული ჯგუფები ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე ინტერვენტთა ჯარებსა და სამხედრო ტყვეებში გასავრცელებლად. ინგლისურ ენაზე გამოდიოდა გაზეთი «The Call» («მოწოდება»), რომელიც ვრცელდებოდა ჩრდილოეთის ფრონტზე. გერმანულ ენაზე გამოდიოდა ორი გაზეთი: «Der Völkerfriede» («ხალხთა მშვიდობა») და «Weltrevolution» («მსოფლიო რევოლუცია»). ორივე გამოცემა ვრცელდებოდა გერმანელ სამხედრო ტყვეებს შორის უკრაინაში. ფრანგულ ენაზე გამოდიოდა ყოველკვირეული «La Lanterne» («ლამპარი»), რომელიც ვრცელდებოდა რუსეთის სამხრეთში. — **463.**

**87** ლენინს მხედველობაში აქვს სახკომსაბჭოს 1917 წლის 18 (31) დეკემბრის დეკრეტი ფინეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. ეს დეკრეტი ლენინმა გადასცა პირადად სვინხუვუდს, ფინეთის ბურჟუაზიული მთავრობის მეთაურს. 1917 წლის 22 დეკემბერს (1918 წლის

4 იანვარს) დეკრეტი ფინეთის დამოუკიდებლობის შესახებ დამტკიცებულ იქნა სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე, სადაც ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ი. ბ. სტალინი (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 4, გვ. 24 — 26). — **467**.

**88** ლენინს მხედველობაში აქვს გერმანიაში სამხედრო-მონარქიული გადატრიალების მომზადება. ეს გადატრიალება, ეგრეთწოდებული «კაპის ბუნტი», მოახდინა გერმანიის რეაქციულმა სამხედრო ხროვამ კაპის მეთაურობით. შეთქმულები ამზადებდნენ გადატრიალებას ებერტის სოციალ-დემოკრატიული მთავრობის აშკარა წაყრუებით. 1920 წლის 13 მარტს მათ ბერლინისაკენ დაძრეს სამხედრო ნაწილები და, რაკი არ წააწყდნენ წინააღმდეგობას მთავრობის მხრივ, გადაყენებულად გამოაცხადეს იგი და ჩამოაყალიბეს ახალი მთავრობა. ბერლინელმა მუშებმა გადატრიალებას საყოველთაო გაფიცვით უპასუხეს. მუშების შეტევის გამო კაპის მთავრობა დაეცა 17 მარტს; ხელისუფლების სათავეში კვლავ სოციალ-დემოკრატები მოვიდნენ, რომლებიც ატარებდნენ მუშების წინააღმდეგ რეპრესიების პოლიტიკას. — **473**.

**89** რკპ(ბ) IX ყრილობის დღის წესრიგი გამოქვეყნდა 1920 წლის 11 თებერვალს გაზეთ «პრავდაში» № 30. — **485**.

**90** ლენინი 1920 წლის თებერვალში არჩეულ იქნა მოსკოვის საბჭოს დეპუტატად ორი ორგანიზაციისაგან: სახელმწიფო № 3 საკონდიტრო ფაბრიკისაგან (ამჟამად ფაბრიკა «ბოლშევიკი») და ნიკოლაევსკის რკინიგზის სადგურ ხოვრინოს მუშა-მოსამსახურეებისაგან. — **494**.

**91** ლენინს მხედველობაში აქვს რკპ(ბ) ც. კ-ის თეზისები პარტიის IX ყრილობისათვის — «სამეურნეო მშენებლობის მორიგი ამოცანები». — **516**.

**92** ი. მ. სვერდლოვის გარდაცვალების წლისთავი აღნიშნულ იქნა საზეიმო-სამგლოვიარო სხდომით დიდ თეატრში, რომელზედაც ესწრებოდნენ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, სრულიად რუსეთის ცაკ-ის, სრულიად რუსეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს წევრები და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ლენინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოვიდა ი. მ. სვერდლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვით. — **524**.

**93** სიტყვები «ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი ს ა თ ვ ი ს მ უ შ ა ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ და «შ რ ო მ ი ს დ ი ს ც ი პ ლ ი ნ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» ლენინმა

წარმოთქვა 1920 წლის მარტის ბოლოს. ლენინის სიტყვების ჩაწერა გრამოფონის ფირფიტებზე მოაწყო «ცენტროპეჩატმა» (სრულიად რუსეთის ცაკ-ის ცენტრალურმა საგენტომ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა მომარაგება-გასაღების დარგში). სამი წლის განმავლობაში (1919 — 1921) ჩაწერილ იქნა ლენინის 13 სიტყვა. — **526.**

**94** რკპ(ბ) IX ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1920 წლის 29 მარტიდან 5 აპრილამდე. ყრილობას ესწრებოდა 554 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 162 დელეგატი სათათბირო ხმით, რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის 611 978 წევრს. ყრილობა მიეძღვნა უმთავრესად სამეურნეო მშენებლობის საკითხებს. მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში; 2. სამეურნეო მშენებლობის მორიგი ამოცანები; 3. პროფესიული მოძრაობა; 4. ორგანიზაციული საკითხები; 5. კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანები; 6. კოოპერაციასთან დამოკიდებულება; 7. მილიციურ სისტემაზე გადასვლა; 8. ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.

ყრილობა გაიხსნა დიდ თეატრში ვ. ი. ლენინის შესავალი სიტყვით. ლენინი გამოვიდა საანგარიშო მოხსენებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ და საბოლოო სიტყვით მოხსენების გამო, სიტყვებით სამეურნეო მშენებლობის შესახებ, კოოპერაციის შესახებ, დასკვნითი სიტყვით ყრილობის დახურვისას და წინადადებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატთა სიის შესახებ. IX ყრილობამ განსაზღვრა მორიგი სამეურნეო ამოცანები ტრანსპორტის დარგში, სურსათისა და სათბობის საქმესა და მრეწველობაში; ყრილობამ აღნიშნა სამეურნეო მშენებლობაში პროფკავშირთა მონაწილეობის აუცილებლობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ერთიანი სამეურნეო გეგმის საკითხს; მთავარი ადგილი მასში ეკავა ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაციის საკითხს. ყრილობამ გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწია «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ანტიპარტიულ ჯგუფს (საპრონოვი, ოსინსკი და სხვები), რომელიც გამოვიდა რიკოვთან და ტომსკისთან ერთად საწარმოთა ხელმძღვანელების ერთმმართველობისა და პირადი პასუხისმგებლობის წინააღმდეგ და რომელიც ცდილობდა ძირი გამოეთხარა მრეწველობის მმართველობისათვის. 1927 წელს «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ჯგუფი ტროცკიზმის მეთაურებთან ერთად გარიცხულ იქნა პარტიიდან საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობის მიერ.

IX ყრილობაზე არჩეულ იქნენ: რკპ(ბ) ც.კ-ის წევრებად — ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, ფ. ე. ძერჟინსკი, მ. ი. კალინინი,

ა. ა. ანდრეევი და სხვები; ცენტრალური კომიტეტის კანდიდატებად — ვ. მ. მოლოტოვი, ე. მ. იაროსლავსკი და სხვები.

ყრილობის დამთავრების შემდეგ ლენინის საპატივცემოდ გაიმართა ზეიმი მისი დაბადებიდან 50 წლისთავის მოახლოების გამო. სიტყვებით გამოვიდნენ: მ. ი. კალინინი, ე. მ. იაროსლავსკი, ფ. ი. კონი და სხვები. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა სრული კრებულის გამოცემის შესახებ. — **531.**

**95** რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის «იზვესტია» — ცენტრალური კომიტეტის საინფორმაციო ბიულეტენი; დაარსებულ იქნა რკპ(ბ) VIII ყრილობის გადაწყვეტილებით; გამოსვლა დაიწყო 1919 წლის მაისში მოსკოვში. 1929 წლის ოქტომბერში ც. კ-ის «იზვესტია» რეორგანიზებულ იქნა ჟურნალ «პარტიინოე სტროიტელსტვოდ», რომელიც გამოდიოდა 1946 წლის ივნისამდე. — **558.**

**96** «ეკონომიჩესკაია ჟიზნ» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა 1918 წლის ნოემბრიდან როგორც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და სამეურნეო სახკომატების ორგანო. გაზეთი გამოდიოდა 1937 წლის ნოემბრამდე; უკანასკნელ დროს იგი იყო სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის, სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის სხვა საფინანსო დაწესებულებებისა და ბანკის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო. — **562.**

**97** «დიქტატორობის შესახებ დეკრეტს» მენშევიკები და ესერები დემაგოგიურად უწოდებდნენ სახკომსაბჭოს დეკრეტს «რკინიგზების მართვის ცენტრალიზაციის, მათი დაცვისა და გამტარუნარიანობის ამაღლების შესახებ», რომელიც გამოქვეყნდა პრესაში 1918 წლის მარტში. — **577.**

**98** რკპ(ბ) IX ყრილობამ გამოყო კოოპერაციული სექცია, რომელიც 1920 წლის 2 აპრილის სხდომაზე იხილავდა კოოპერაციის შესახებ ყრილობისათვის განსახილველად წარდგენილი თეზისების რამდენიმე ვარიანტს. სექციის სხდომაზე ჯერ საფუძვლად მიიღეს თეზისები მილიუტინისა, რომელიც წინადადებას იძლეოდა კოოპერაციების გასახელმწიფოებრივების შესახებ. მილიუტინის თეზისების წინააღმდეგ ლენინის გამოსვლის შემდეგ ყრილობამ უდიდესი უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელსაც ლენინი იცავდა. — **588.**

**99** დოკუმენტი «კომპრომისების შესახებ» წარმოადგენს ლენინის სტატიის დასაწყისს, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა. ამ დოკუმენტში გადმოცემული აზრები ლენინმა შემდეგ უფრო დაწვრილებით

განავითარა შრომაში ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში». — **597.**

**100** იხ. ფ. ენგელსი «კომუნის ბლანკისტურ ემიგრანტთა პროგრამა» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 224—230). — **598.**

**101** დეპეშის ტექსტი შეადგინა ვ. ი. ლენინმა ი. ბ. სტალინთან ერთად. — **601.**

**102** სამთამადნო მუშების სრულიად რუსეთის I დამფუძნებელი ყრილობა შედგა 1920 წლის 1 — 6 აპრილს მოსკოვში. ყრილობას ესწრებოდა 173 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ სამთამადნო მრეწველობის დაახლოებით 200 000 მუშას. ლენინი გამოვიდა ყრილობაზე 4 და 6 აპრილს შუა. — **602.**

**103** პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის III ყრილობა შედგა 1920 წლის 6 — 13 აპრილს მოსკოვში კავშირთა სახლში. ყრილობას ესწრებოდა 1 600-მდე დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ კავშირის 4 მილიონზე მეტ წევრს. კომუნისტები და მათი თანამგრძნობნი იყვნენ 1 180. ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ანგარიში პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს მოღვაწეობის შესახებ; ანგარიში შრომის სახალხო კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ; კავშირთა ამოცანები; ორგანიზაციული საკითხი; სატარიფო პოლიტიკა; მუშათა მატერიალური მომარაგება; პროფკავშირები და სახალხო მეურნეობა; საერთაშორისო პროფესიული მოძრაობა; კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა.

ლენინმა სიტყვა წარმოთქვა ყრილობის მეორე პლენარულ სხდომაზე. მოისმინა რა ლენინის სიტყვა, ყრილობამ მიიღო რეზოლუცია: მიმართოს საბჭოთა რუსეთის მუშებსა და ყველა მშრომელებს მოწოდებით ენერგიულად ჩაებან ბრძოლაში სამეურნეო ნგრევის წინააღმდეგ, გაატარონ პროფკავშირთა წევრებს შორის მკაცრი შრომის დისციპლინა და გააძლიერონ მუშათა მასების ჩაბმა კომუნისტურ მშენებლობაში პროფკავშირთა მეშვეობით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. — **612.**

**104** ლაპარაკია ერთდღიურ გაზეთ «კომმუნისტიჩესკი სუბბოტნიკზე», რომელიც მოამზადეს 1920 წლის 10 აპრილის შაბათობაზე მოსკოვის გაზეთების რედაქციებმა და რუსეთის დეპეშათა სააგენტოს («როსტას») თანამშრომლებმა. — **630.**

**105** საფეიქრო მრეწველობის მუშათა სრულიად რუსეთის III ყრილობა შედგა მოსკოვში 1920 წლის 16 — 20 აპრილს. ყრილობას ესწრებოდა 358 დელეგატი. მათგან: 199 კომუნისტი და მათი თანამგრძნობნი, 156 უპარტიო და 3 მენშევიკი. ლენინი გამოვიდა ყრილობის მეექვსე პლენარულ სხდომაზე. პრეზიდიუმმა მთელი ყრილობის სახელით მიულოცა ლენინს დაბადებიდან 50 წლისთავის იუბილე, დელეგატები მიესალმნენ ლენინს მქუხარე ოვაციებით. — **634.**

**106** ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავად რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტმა მოაწყო საღამო, რომელზედაც ესწრებოდნენ მოსკოვის პარტიული მუშაკები. საღამოზე ლენინის შესახებ სიტყვებით გამოვიდნენ ი. ბ. სტალინი, ა. მ. გორკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, მ. ს. ოლმინსკი და სხვები. ვ. ი. ლენინი, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ მქუხარე ტაშით, გამოვიდა საპასუხო სიტყვით. — **643.**

# ვ. ი. ლენინის
# ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1919* წლის სექტემბერი — *1920* წლის აპრილი)

## 1919

**სექტემბერი, 3.** ლენინი გამოდის სიტყვით მიმდინარე მომენტის შესახებ ქ. მოსკოვის ბასმანის, ლეფორტის, ალექსეევისა და სოკოლნიკის რაიონების უპარტიო მუშათა და წითელარმიელთა კონფერენციაზე.

**სექტემბერი, 5.** ლენინი დეპეშას უგზავნის ბაშკირეთის რევკომს პეტროგრადის დასაცავად ბაშკირთა ნაწილების სასწრაფოდ გადმოსროლის აუცილებლობის შესახებ; უძღვნის სალამს ბაშკირ-წითელარმიელებს.

**სექტემბერი, 12.** ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: მოსკოვ-ახლო ქვანახშირის აუზის მუშაობის შედეგების შესახებ; სურსათის გაცემის შესახებ პეტროგრადისა და კრონშტადტის მუშებისათვის, რომლებიც ასრულებდნენ მეტად მნიშვნელოვან სამუშაოს თავდაცვის ხაზით, და სხვა.

ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს უგზავნის სმოლნის (პეტროგრადი) მუშა-მოსამსახურეთა განცხადებას უცხო ადამიანებით პეტროგრადის საბჭოს დანაგვიანების შესახებ და თხოვს დანიშნოს მკაცრი რევიზია განცხადებაში მოყვანილი ფაქტების გამოძიებისათვის.

**სექტემბერი, 16.** ლენინი წერს წერილს ს. ი. გუსევს, რომელშიც იქ-ლევა რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს მხრივ სამხედრო ოპერაციებისადმი ხელმძღვანელობის მკაცრ კრიტიკას, ტროცკის კრიტიკას, რომელმაც ჩაშალა მუშაობა სამხრეთის ფრონტზე.

| | |
|---|---|
| **სექტემბერი, 18 — 20.** | ლენინი წერს სტატიას «როგორ იყენებს ბურჟუაზია რენეგატებს». |
| **სექტემბერი, 23.** | ლენინი წერს წერილს «ამერიკელ მუშებს». |
| | ლენინი გამოდის სიტყვით მუშა-ქალთა მოსკოვის IV საერთო-საქალაქო უპარტიო კონფერენციაზე. |
| **სექტემბერი, 24.** | ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: დენიკინის შემოტევასთან დაკავშირებით სამხედრო მდგომარეობის რაიონის განსაზღვრისა და თავდაცვისათვის ამ რაიონის მომზადების შესახებ; საყოველთაო სამხედრო სწავლების ორგანიზაციის შესახებ; სასურსათო არმიის იარაღითა და ტანსაცმლით მომარაგების შესახებ და სხვა. |
| **სექტემბერი, 26.** | ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. პლენუმზე იხილავენ საკითხებს: პარტიული კვირის ჩატარების შესახებ, კაზაკობასთან დამოკიდებულების შესახებ და სხვა. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება გაგზავნოს ი. ბ. სტალინი სამხრეთის ფრონტზე დენიკინის განადგურების ორგანიზაციისათვის. |
| **სექტემბერი — ოქტომბერი.** | ლენინი მუშაობს ბროშურის «პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ» გეგმებსა და კონსპექტებზე. |
| **ოქტომბერი, 2.** | ლენინი უგზავნის დეპეშას პეტროგრადის მუშებს, რომელშიც მიესალმება მათს ენერგიულ მუშაობას სამხრეთის ფრონტისათვის მობილიზაციის ჩატარების მიზნით. |
| **ოქტომბერი, 3.** | ლენინი წერს სტატიას «პეტროგრადის მუშების მაგალითი». |
| **ოქტომბერი, 5.** | ლენინი წერს პასუხს ამერიკული გაზეთის «The Chicago Daily News»-ის («ჩიკაგო დეილი ნიუს») კორესპონდენტის შეკითხვებზე. |
| **ოქტომბერი, 6.** | ლენინი უგზავნის მისალმებას ახალგაზრდობის რუსეთის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის II ყრილობას. |

ოქტომბერი, 8. ლენინი დირექტივას აძლევს ორენბურგის საგუბერნიო კომიტეტს და საგუბერნიო აღმასკომს დაეხმარონ სამხრეთის ფრონტს საბრძოლო შევსებით.

ოქტომბერი, 10. ლენინი წერს სტატიას «სალამი იტალიელ, ფრანგ და გერმანელ კომუნისტებს».

ლენინი დეპეშაში უფის იმ მუშებს, რომლებიც აღადგენდნენ ხიდს მდინარე ბელაიაზე, უცხადებს მადლობას სამუშაოს ვადამდე შესრულებისათვის.

ოქტომბერი, 11. ლენინი წერს სტატიას «მუშათა სახელმწიფო და პარტიული კვირა».

ოქტომბერი, 13. ლენინი V არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს და თურქესტანის ფრონტის სარდალს მ. ვ. ფრუნზეს უგზავნის ცენტრალური კომიტეტის დირექტივასთან ერთად დეპეშას სამხრეთის ფრონტისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ოქტომბერი, 14. ლენინი პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დეპეშით აძლევს დირექტივას — ჩაატაროს საბჭოთა დაწესებულებების მუშაკთა მობილიზაცია ფრონტზე, მოიგერიოს იუდენიჩის შემოტევა და განაგრძოს დახმარების გაწევა სამხრეთის ფრონტისათვის.

ოქტომბერი, 15. ლენინი განკარგულებას აძლევს რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს სასწრაფოდ გავზავნოს სამხრეთის ფრონტზე, ი. ბ. სტალინის მოთხოვნით, რადიოსადგურები.

ლენინი მითითებას აძლევს ნ. ა. სემაშკოს გამოიმუშაოს პროექტი დეკრეტისა სრულიად რუსეთის ცაკთან დაპრილთა დამხმარე კომიტეტის შექმნის შესახებ.

ოქტომბერი, 16. ლენინი მოსკოვის საბჭოს აივნიდან წარმოთქვამს მისასალმებელ სიტყვას იაროსლავლისა და ვლადიმირის გუბერნიის მუშა-კომუნისტთა რაზმების წინაშე, რომლებიც მიემგზავრებიან დენიკინის ფრონტზე.

ოქტომბერი, 17. ლენინი წერს მოწოდებას «პეტროგრადის მუშებისა და წითელარმიელებისადმი».

**ოქტომბერი, 17 — 18.** ლენინი მოითხოვს ცნობებს სასურსათო სახალხო კომისარიატისაგან პეტროგრადისათვის სურსათის გაგზავნის შესახებ და ამ ცნობებს უგზავნის პეტროგრადის საბჭოს.

**ოქტომბერი, 18.** ლენინი დირექტივას აძლევს რკპ(ბ) პეტროგრადის კომიტეტს დააჩქაროს იუდენიჩის განადგურება; აცნობებს ჯარის გაგზავნის შესახებ პეტროგრადის ფრონტზე.

**ოქტომბერი, 19.** ლენინი წერს მოწოდებას «ამხანაგ-წითელარმიელებისადმი».

**ოქტომბერი, 20.** ლენინი დირექტივას აძლევს ტულის გუბერნიის აღმასკომის თავმჯდომარეს და სამხედრო კომისარს დარაზმონ მთელი ძალები სამხედრო და სამხედრო-სამომარაგებლო საქმისათვის, გარდაქმნან მთელი მუშაობა სამხედრო ყაიდაზე.

**ოქტომბერი, 21.** ლენინი წერს სტატიას «პარტიული კვირის შედეგები მოსკოვში და ჩვენი ამოცანები».

**ოქტომბერი, 22.** ლენინი მითითებას აძლევს რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს გაატაროს დამატებითი მობილიზაცია 20 ათასი პიტერელი მუშისა იუდენიჩის საბოლოო განადგურებისათვის.

**ოქტომბერი, 24.** ლენინი გამოდის კავშირების სახლის ცისფერ დარბაზში მისალმებით ფრონტისათვის მობილიზებული ივანოვო-ვოზნესენსკის მუშა-კომუნისტების წინაშე.

ლენინი გამოდის სიტყვით ი. მ. სვერდლოვის სახ. უნივერსიტეტის მსმენელთა წინაშე, რომლებიც ფრონტზე მიემგზავრებიან.

**ოქტომბერი, 28.** ლენინი გამოდის სიტყვით სკოლის გარეშე განათლების კურსების მსმენელების წინაშე, რომლებიც ფრონტზე მიემგზავრებიან.

ლენინი წერილებს წერს საზღვარგარეთელ კომუნისტებს: ფრანგებს, იტალიელებს, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს

| | |
|---|---|
| | და გერმანიის კომუნისტურ პარტიას ჩამოცილებულ კომუნისტთა ჯგუფს. |
| ოქტომბერი, 30. | ლენინი წერს სტატიას «ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში». |
| ნოემბერი, 1. | ლენინი პირდაპირი მავთულით მითითებას აძლევს პეტროგრადში, რათა თავმოყრილ იქნეს პეტროგრადთან დიდი ძალები იუდენიჩის გასანადგურებლად. |
| ნოემბერი, 5. | ლენინი საბჭოთა ხელისუფლების ორი წლისთავთან დაკავშირებით წერს სტატიას «სალამი პეტროგრადის მუშებს». |
| ნოემბერი, 6. | გამოქვეყნდა ლენინის სტატია «საბჭოთა ხელისუფლება და ქალის მდგომარეობა», რომელიც მან დაწერა საბჭოთა ხელისუფლების ორი წლისთავთან დაკავშირებით. |
| | ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომას, რომელზედაც წყდება საკითხი სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციისა და სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის მოწვევის შესახებ. ი. ბ. სტალინის წინადადებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამხრეთის ფრონტისათვის შევსებების შესახებ. |
| ნოემბერი, 7. | გამოქვეყნდა ლენინის სტატია «საბჭოთა ხელისუფლების ორი წელი». |
| | ლენინი გამოდის სრულიად რუსეთის ცაკ-ის, მოსკოვის საბჭოს, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოსა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორი წლისთავისადმი მიძღვნილი სიტყვით. |
| ნოემბერი, 10. | გამოქვეყნდა ლენინის წერილი «ამხანაგ თურქესტანელ კომუნისტებს». |
| ნოემბერი, 11. | ლენინი უდეპეშებს აღმოსავლეთის ფრონტის განსაკუთრებული სასურსათო კომისიის თავმჯდომარეს ურალის მუშების სურსათით მომარაგების მოწესრიგების აუცილებლობის შესახებ. |

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ერთიანი სატყეო ორგანოს შექმნის შესახებ — ადგენს დადგენილების პროექტს; საბჭოთა მოსამსახურეების მობილიზაციის შესახებ შეშის დასამზადებლად; ტრეტიაკოვის გალერეის, ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სათბობით მომარაგების შესახებ; ამხანაგური დისციპლინარული სასამართლოების შესახებ და სხვ.

**ნოემბერი, 13.** გამოქვეყნდა ლენინის მიერ დაწერილი ცირკულარული წერილი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა პარტიული ორგანიზაციებისადმი «ვებრძოლოთ სათბობის კრიზისს».

**ნოემბერი, 18.** ლენინი გამოდის სიტყვით სოფლად პარტიული მუშაობის სრულიად რუსეთის I თათბირზე.

**ნოემბერი, 21.** ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინის მონაწილეობით ატარებს იმ დელეგატთა ჯგუფის წინასწარ თათბირს, რომლებიც ჩამოვიდნენ აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე.

ლენინი თავმჯდომარეობს პოლიტბიუროს სხდომას, რომელზედაც განხილულ და მიღებულ იქნა მის მიერ დაწერილი პროექტი რეზოლუციისა საბჭოთა ხელისუფლების შესახებ უკრაინაში.

**ნოემბერი, 22.** ლენინი გამოდის მოხსენებით აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე; ყრილობა გახსნა ი. ბ. სტალინმა.

**ნოემბერი, 27.** ლენინი დირექტივას აძლევს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს აღძრას საკითხი გაზეთ «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» ფურცლებზე სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებისათვის ჩატარებული მუშაობის შედეგებზე პერიოდული ანგარიშების ბეჭდვის შესახებ.

**ნოემბერი, 29.** ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომელზედაც იხილავენ საკით-

ხებს: სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციისა და სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის მომზადების შესახებ, უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ და სხვა.

**დეკემბერი, 2 — 4.** რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სრულიად რუსეთის VIII კონფერენცია. ლენინი ხელმძღვანელობს კონფერენციის მუშაობას.

**დეკემბერი, 2.** ლენინი შესავალი სიტყვით ხსნის კონფერენციას. მას ირჩევენ პრეზიდიუმის შემადგენლობაში და თავმჯდომარეობს კონფერენციის პირველ (დილის) სხდომას.

ლენინი გამოდის კონფერენციის მეორე (საღამოს) სხდომაზე მოხსენებით ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ და საბოლოო სიტყვით მოხსენების გამო.

ლენინი წერს რეზოლუციის პროექტს საერთაშორისო პოლიტიკის საკითხზე; კონფერენციამ მიიღო ეს პროექტი.

**დეკემბერი, 3.** ლენინი გამოდის კონფერენციის მესამე (დილის) სხდომაზე სიტყვით საბჭოთა ხელისუფლების შესახებ უკრაინაში.

ლენინი გამოდის კონფერენციის მეოთხე (საღამოს) სხდომაზე საბოლოო სიტყვით უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების საკითხზე.

**დეკემბერი, 4.** ლენინი გამოდის სიტყვით სამიწათმოქმედო კომუნებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელების I ყრილობაზე.

**დეკემბერი, 5 — 9.** მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობა. ლენინი ხელმძღვანელობს ყრილობის მუშაობას.

**დეკემბერი, 5.** ლენინს ყრილობის პირველ სხდომაზე ირჩევენ პრეზიდიუმის შემადგენლობაში. იგი გამოდის სრულიად რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს მოხსენებით და შეაქვს რეზოლუციის პროექტი საერთაშორისო

პოლიტიკის შესახებ, რომელსაც ყრილობა იღებს ერთხმად.

**დეკემბერი, 6.** ლენინი ყრილობის მეორე სხდომაზე გამოდის საბოლოო სიტყვით სრულიად რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს მოხსენების გამო.

**დეკემბერი, 8.** ლენინი ყრილობის ორგანიზაციული სექციის მეორე სხდომაზე გამოდის კამათში საბჭოთა მშენებლობის შესახებ მოხსენების გამო.

**დეკემბერი, 9.** საბჭოების VII ყრილობის მეხუთე სხდომაზე ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს ირჩევენ სრულიად რუსეთის ცაკ-ის წევრებად. ლენინი გამოდის საბოლოო სიტყვით ყრილობის დახურვისას.

**დეკემბერი, 11.** ლენინი ორიოლის გუბერნიის სასურსათო კომისარს დეპეშით წინადადებას აძლევს გამოარკვიოს ლავროვის ვოლოსტის გლეხთა საჩივარი პურის მაღალი განაწესის შესახებ და დადასტურების შემთხვევაში შეამციროს იგი.

**დეკემბერი, 16.** ლენინი წერს სტატიას «დამფუძნებელი კრების არჩევნები და პროლეტარიატის დიქტატურა».

**დეკემბერი, არა უადრეს 17-ისა.** ლენინი იუსტიციის სახალხო კომისარს დ. ი. კურსკის ორ ბარათში მიუთითებს საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებზე.

**დეკემბერი, 18.** გაზეთ «სმენაში» დაიბეჭდა ლენინის მისალმება პეტროგრადის კომკავშირის მიერ «ახალგაზრდობის კვირის» ჩატარებასთან დაკავშირებით.

**დეკემბერი, 19.** ლენინი გამოდის სიტყვით პრესნიას რაიონში, პროხოროვოს (ახლანდელი ტრიოხგორნის) მანუფაქტურის შენობაში, მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა მოსკოვში 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების წლისთავს.

**დეკემბერი, 20.** ლენინი გამოდის რკპ(ბ) მოსკოვის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე მოხსენებით შაბათობათა შესახებ.

ლენინი განკარგულებას აძლევს აღმოსავლეთის ფრონტისა და V არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოებს, აგრეთვე გზათა სახალხო კომისარიატის ყველა დაწესებულებას, მიიღონ სასწრაფო ზომები ცენტრში არა ნაკლებ 200 ორთქლმავლის გასაგზავნად, რაც აუცილებელი იყო სამხედრო და სასურსათო მარშრუტის მატარებლების გადაყვანისათვის.

**დეკემბერი, 21.** ლენინი დირექტივას უგზავნის რკპ(ბ) ტულის საგუბერნიო კომიტეტს და საგუბერნიო აღმასკომს მოსკოვისათვის სასწრაფო სასურსათო დახმარების ორგანიზაციის შესახებ.

**დეკემბერი, 23.** ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: მეცნიერთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ; საბჭოების VI ყრილობის მიერ მიღებული კანონების ცხოვრებაში განუხრელად გატარების შესახებ და სხვა.

**დეკემბერი, 26.** ლენინი დეპეშას უგზავნის ხარკოვის საგუბერნიო აღმასკომს განკარგულებით — დაძაბოს მთელი ძალები ცენტრში ნახშირის გამოსავზავნად და ორთქლმავლების გაძლიერებული შეკეთებისათვის.

**დეკემბერი, 28.** ლენინმა დაწერა «წერილი უკრაინის მუშებსა და გლეხებს დენიკინზე გამარჯვების გამო».

**დეკემბერი.** ლენინი წერს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს რეზოლუციის პროექტს ბოროტბისტების შესახებ; საკითხს სვამს დაიშალოს ეს პარტია, რომელიც პროლეტარიატის ინტერესების წინააღმდეგ გამოდიოდა.

**დეკემბრის მეორე ნახევარი.** ლენინი ადგენს შეფარდებითი ცხრილის პროექტს კვების პროდუქტებზე რსფსრ-ის მოსახლეობის მოთხოვნილების შესახებ იმპერიალისტურ ომამდე და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ; პროექტს გზავნის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში აზრის გამოსათქმელად.

**დეკემბერი, 31.** ლენინი ბასმანის რაიონში (პურის ბირჟის შენობაში) საახალწლო საღამოზე გამოდის სიტყვით წითელი არმიის მიერ მოპოვებული გამარჯვებებისა და ეკონომიურ რღვევასთან მომავალი ბრძოლის შესახებ.

## 1920

**იანვარი, 5.** ლენინი დავალებას აძლევს სასურსათო სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს ა. ი. სვიდერსკის მიიღოს ბალაშინის ფაბრიკის მუშათა წარმომადგენლები სურსათით მუშების მომარაგების საკითხზე და თხოვს აცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

**იანვარი, 9.** ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს ურალში ქვანახშირის მრეწველობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და სხვა.

**იანვარი, 10.** ლენინი წერს მისალმების წერილს პეტროგრადის გუბერნიის მუშა და გლეხი ქალების ყრილობას.

**იანვარი, 12.** ლენინი III და V არმიების რევოლუციური სამხედრო საბჭოებისადმი გაგზავნილ დეპეშებში მიესალმება III არმიას, შრომის არმიად მის გარდაქმნასთან დაკავშირებით; ბარათში სასურსათო სახალხო კომისრის ა. დ. ციურუპასადმი სახავს სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების პროექტს ამ საკითხზე.

ლენინი გამოდის სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე სიტყვით დისციპლინის მნიშვნელობის შესახებ, ერთპიროვნულობისა და კოლეგიალობის შესახებ სამეურნეო დაწესებულებათა მმართველობაში.

**იანვარი, 13.** ლენინი გამოდის სრულიად რუსეთის ცაკ-ის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე შრომითი ბეგარის საკითხზე.

**იანვარი, 16.** ლენინი წერილში სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოში ტომსკისადმი მკაცრად აკრიტიკებს საქმის გაჭიანურებას, ბიუროკრატიზმს და უილაჯობას, რასაც იჩენენ სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელები ტრანსპორტის აღდგენის სამუშაოზე კვალიფიციური კადრების გამოყენების საქმეში; ლენინი მოითხოვს პრაქტიკული ზომების მიღებას ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში.

**იანვარი, 17.** ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სათესი ფართობის გადიდების შესახებ; ფოსტისა და ტელეგრაფის მუშაობის მდგომარეობის შესახებ — შეაქვს შესწორებები დადგენილების პროექტში; სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ; ა. ი. გერცენის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ; საბჭოთა მოსამსახურეების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და სხვა.

ლენინი დირექტივას აძლევს თურქესტანის ფრონტის სარდალს მ. ვ. ფრუნზეს დააჩქაროს ალექსანდროვგაი — ემბას რკინიგზის მშენებლობა და ნავთის გამოტანა ცენტრში.

**იანვარი, 20.** ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ ი. ბ. სტალინის მიერ შეტანილ დებულებას შრომის არმიის უკრაინის საბჭოს შესახებ. («უკრსოვტრუდარმ»). სახკომსაბჭოს დადგენილებით ი. ბ. სტალინი ინიშნება «უკრსოვტრუდარმის» თავმჯდომარედ.

**იანვარი, 23.** ლენინი ხელმძღვანელობს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომას; შეაქვს პროექტი დირექტივისა მუშურ-გლეხური ინსპექციის შესახებ დებულების შესამუშავებლად. ლენინი წერილში გ. მ. კრჟიჟანოვსკის მითითებას აძლევს რსფსრ-ის ელექტრიფიკაციის გეგმის შედგენის შესახებ.

**იანვარი, 24.** ვ. ი. ლენინი წერს და ი. ბ. სტალინს უგზავნის შენიშვნებს დებულებაზე მუშურ-გლეხური ინსპექციის შესახებ.

ლენინი გამოდის სიტყვით პრესნიას რაიონის მუშებისა და წითელარმიელების უპარტიო კონფერენციაზე.

**იანვარი, 25.** ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს აზრის გამოსათქმელად უგზავნის სასურსათო არმიის მომარაგების მთავარი სამმართველოს თხოვნას — გადასინჯულ იქნეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება დასავლეთის ფრონტის სასურსათო მუშაკთა გადანაცვლების შესახებ და ეთათბირება მას ამ საკითხზე.

**იანვარი, 26.** ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობს თათბირს კოოპერაციის საკითხზე, რომელიც მიმდინარეობდა ი. ბ. სტალინის მონაწილეობით; თათბირზე იხილავენ საკითხებს: სხვადასხვა სახის კოოპერაციების გაერთიანებისა და კოოპერატივთა ყრილობების საბჭოს გაუქმების შესახებ, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის როლის შესახებ დამზადების საქმეში; ლენინი წერს კოოპერაციის შესახებ დადგენილებებისა და დირექტივების პროექტებს.

**იანვარი, 27.** ლენინი გამოდის სიტყვით სახალხო მეურნეობის საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობაზე.
ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას; განსახილველად შეაქვს პროექტი პოლონეთის მთავრობისადმი მიმართვისა იმასთან დაკავშირებით, რომ მზადდებოდა ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთის თავდასხმა საბჭოთა რუსეთზე. სხდომაზე მიიღეს დეკრეტები კოოპერაციის შესახებ, აგრეთვე განიხილეს საკითხები: საბჭოთა მეურნეობების მართვის შესახებ, საგარეო ვაჭრობის შესახებ და სხვა.

**იანვარი, 31.** ლენინი ხელმძღვანელობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას, რომელზედაც მტკიცდება რეზოლუცია მუშურ-გლეხური ინსპექციის შესახებ.

**თებერვალი, 1.** ლენინი წერილს წერს თავდაცვის საბჭოს წევრებს, რომელშიც სახავს მთელ რიგ სასწრაფო ზომებს რკინიგზის ტრანსპორტის კატასტროფულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ლენინი წერს შენიშვნას მუშებისა და მოსამსახურეებისათვის პრემიების მიცემის შესახებ დადგენილების პროექტის გამო.
ლენინი გამოდის საგუბერნიო და სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეების თათბირზე აღმასკომების ამოცანების შესახებ.

**თებერვალი, 2.** ლენინი გამოდის VII მოწვევის სრულიად რუსეთის ცაკ-ის პირველ სესიაზე მოხსენებით სრულიად რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს მუშაობის შესახებ.

**თებერვალი, 3.** ლენინი განკარგულებას აძლევს ნიჟნი-ნოვგოროდის საგუბერნიო აღმასკომს ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორიისათვის მუშაობაში ხელისშეწყობის შესახებ.

**თებერვალი, 4.** ვ. ი. ლენინი პირდაპირი მავთულით მიმართავს ი. ბ. სტალინს თხოვნით დაძაბოს მთელი თავისი ყურადღება და ენერგია კავკასიის ფრონტისათვის დასაბმარებლად.

**5 თებერვლამდე.** ლენინმა დაწერა «პროექტი (ანუ თეზისები) რუსეთის კომუნისტური პარტიის პასუხისა გერმანიის დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის წერილზე».

**თებერვალი, 5.** ლენინი გამოდის სიტყვით მოსკოვის კვანძის რკინიგზელთა კონფერენციაზე.

**თებერვალი, 7.** ლენინი წერს სტატიას «თუ ომია, ომი იყოს».

**თებერვალი, 9.** ლენინი გამოდის სიტყვით ბლაგუშე-ლეფორტის რაიონის მუშებისა და წითელარმიელების უპარტიო კონფერენციაზე.

**თებერვალი, 14.** ლენინი წერს სტატიას «პუბლიცისტის შენიშვნები».

**თებერვალი, 16.** ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინისადმი ხარკოვში გაგზავნილ დეპეშაში იწონებს ი. ბ. სტალინის მიერ მიღებულ ზომებს სასურსათო გაწერის შემცირებისა და შეგროვებული პურის ღარიბთათვის გაცემის საქმეში.

**თებერვალი, 17.** ლენინი დეპეშით ეკითხება გ. კ. ორჯონიკიძეს კავკასიის ფრონტზე საბჭოთა ჯარების მდგომარეობის შესახებ; მოითხოვს სასწრაფო ზომების გატარებას მათი ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებისათვის.

**თებერვალი, 18.** ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინისადმი ხარკოვში გაგზავნილ დეპეშაში იწონებს ი. ბ. სტალინის მიერ უკრაინაში გატარებულ ღონისძიებებს და მითითებას აძლევს სასწრაფოდ გაუგზავნოს მაშველი ძალები კავკასიის ფრონტს, აგრეთვე გააძლიერონ პურითა და ნახშირით მომარაგება და სხვა.

ლენინი წერს პასუხებს ამერიკული გაზეთის **«New York Evening Journal»**-ის («ნიუ-იორკის საღამოს გაზეთი») და ინგლისური გაზეთის **«Daily Express»**-ის («ყოველდღიური ექსპრესი») კორესპონდენტთა შეკითხვებზე.

**თებერვალი, 20.** ვ. ი. ლენინი პირდაპირი მავთულით უგზავნის ი. ბ. სტალინს ხარკოვში დეპეშას და თხოვს მიიღოს

სასწრაფო ზომები სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიდან კავკასიის ფრონტზე ორი დივიზიის დაუყოვნებლივ გადასროლისათვის.

საპასუხო დეპეშით ი. ბ. სტალინი სიტყვას აძლევს ლენინს, რომ გააკეთებს ყოველივეს, რაც კი შესაძლებელია.

**თებერვალი, 21.** ლენინი წერს მიმართვას «მუშა ქალებს» მოსკოვის საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით.

ლენინი განკარგულებას აძლევს ალექსანდროვ-გაი — ემბას რკინიგზის მშენებლობის ხელმძღვანელებს, მიიღონ ენერგიული ზომები რკინიგზის მშენებლობის დაჩქარებისათვის; მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს წინადადებას აძლევს უზრუნველყონ მშენებლობა აუცილებელი ფულადი სახსრებით, ტრანსპორტით, საწვავითა და სხვა მასალებით.

**თებერვალი, 22.** ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინისადმი ხარკოვში გაგზავნილ დეპეშაში მიუთითებს, რომ აუცილებლად იყოლიონ მთარგმნელები ყველა სამხედრო დაწესებულებაში და მიიღონ განცხადებები და საბუთები უკრაინულ ენაზე.

ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინისადმი ხარკოვში გაგზავნილ დეპეშაში იძლევა მითითებებს ღარიბი და საშუალო გლეხების ორგანიზაციის საკითხზე; წინადადებას აძლევს მიიღოს ყველა ზომები დენიკინის განადგურების დაჩქარებისათვის.

ი. ბ. სტალინი 23 თებერვლის საპასუხო დეპეშით აცნობებს ვ. ი. ლენინს დენიკინის განადგურების დამთავრების მიზნით ჯარების თავმოყრისათვის მიღებული ზომების შესახებ.

**თებერვალი, 25.** ლენინი გამოდის სიტყვით სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებათა სკოლის გარეშე ქვეგანყოფილებების გამგეთა სრულიად რუსეთის III თათბირზე.

ლენინი წერილში სასურსათო სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრებს წინადადებას აძლევს სასწრაფოდ განიხილონ საკითხი მოსკოვის გუბერნიის უხტომსკის (ლიუბერეცკის) ქარხნის მუშებისათვის სასურსათო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

**თებერვალი, 27.** ლენინი მითითებას აძლევს რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს მთელი ყურადღება მიმართოს დასავლეთის ფრონტის გასაძლიერებლად იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია მომზადება პანურ პოლონეთთან ომისათვის იმ შემთხვევაში, თუ იგი თავს დაესხმის საბჭოთა რუსეთს.

ლენინი წერილში სასურსათო სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრებს თხოვს მისცენ ცნობა ტვერის გუბერნიის ვესეგონის მაზრის მასწავლებელთათვის სასურსათო ულუფის გადიდების შესაძლებლობის შესახებ.

**თებერვალი, 28.** ფრანგული სოციალისტური პარტიის სტრასბურგის კონგრესზე წაიკითხეს ლენინის საპასუხო წერილი ჟ. ლონგეესადმი, რომელშიც ლენინი იტყობინება, რომ ფრანგული სოციალისტური პარტიის მიღება III ინტერნაციონალში შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ პარტიიდან გაირიცხებიან ოპორტუნისტები.

**თებერვალი.** ლენინს ირჩევენ დეპუტატად მოსკოვის საბჭოში № 3 სახელმწიფო საკონდიტრო ფაბრიკიდან (ახლანდელი ფაბრიკა «ბოლშევიკი») და სადგურ ხოვრინოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**მარტი, 1.** ლენინი იღებს გლუხოვის მანუფაქტურის მუშათა დელეგაციას; ეკითხება სასურსათო სახალხო კომისარიატს, გლავტექსტილს და მიწსახკომს ამ საწარმოს მუშათა სასურსათო მდგომარეობის შესახებ.

ლენინი გამოდის მოხსენებით მშრომელი კაზაკების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე. ლენინი გამოდის სიტყვით მედიკურ-სანიტარული შრომის მუშაკთა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე.

**მარტი, 2.** გამოქვეყნდა ლენინის მიერ დაწერილი წერილი ცენტრალური კომიტეტისა რკპ(ბ) ორგანიზაციებისადმი პარტიული ყრილობისათვის მზადების შესახებ.

**მარტი, 4.** ლენინი წერს სტატიას «მუშა ქალთა საერთაშორისო დღისათვის».

**მარტი, 6.** ლენინი გამოდის სიტყვით მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს სხდომაზე.

ლენინი გამოდის სიტყვით მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო III ინტერნაციონალის პირველი წლისთავისადმი.

მარტი, 9. ლენინი დირექტივას აძლევს ციმბირის რევკომს არ დაუთმოს რაიმე მენშევიკებსა და ესერებს მოლაპარაკებაში შორეული აღმოსავლეთის მთავრობაში მათ მონაწილეობაზე.

მარტი, 10. ლენინი განკარგულებას აძლევს სახალხო კომისარიატებს მოიწვიონ თათბირი ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიის მუშათა სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სასწრაფო ზომების მისაღებად.

ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ; თავდაცვის საბჭოს განმკარგულებელი სხდომის ორგანიზაციის შესახებ — შეაქვს დამატებები დადგენილებათა პროექტში; კაშირის ელექტროსადგურის მშენებლობის მუშახელით უზრუნველყოფის შესახებ; ივანოვო-ვოზნესენსკის მუშების სურსათით მომარაგების შესახებ და სხვ.

მარტი, 11. ვ. ი. ლენინი დეპეშით გ. კ. ორჯონიკიძეს კავკასიის ფრონტზე მითითებას აძლევს გადაისროლოს ჯარები დასავლეთის ფრონტზე იმის გამო, რომ მოსალოდნელია ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთის თავდასხმა საბჭოთა რუსეთზე; დეპეშის ასლს უგზავნის ი. ბ. სტალინს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე.

მარტი, 14. ლენინი ბარათს სწერს გ. მ. კრჟიჟანოვსკის «გ ო ე ლ რ ო ს» (რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისია) მუშაობის შესახებ საპროგრამო განცხადების პირველი მონახაზის გამო.

ლენინი ს. მ. კიროვისათვის ასტრახანში გაგზავნილ დეპეშაში ეკითხება მას, თუ როგორ შეიძლება ნავთის გადმოზიდვა.

მარტი, 15. ლენინი გამოდის სიტყვით სამდინარო ტრანსპორტის მუშათა სრულიად რუსეთის III ყრილობაზე.

ლენინი გამოდის სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის

სხდომაზე, იცავს ერთმმართველობის პრინციპს სამეურნეო დაწესებულებათა მართვის საქმეში.

**მარტი, 16.** ლენინი გამოდის ი. მ. სვერდლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვით საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე დიდ თეატრში.

**მარტი, 17.** ლენინი დეპეშას უგზავნის გ. კ. ორჯონიკიძეს კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოში დირექტივით — დაძაბოს მთელი ძალები ბაქოს აღებისათვის.

**მარტი, 19.** ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: რესპუბლიკის საზღვრების დაცვის გაძლიერებისათვის სასწრაფო ზომების შესახებ; სამდინარო ტრანსპორტის შესახებ; იმპერიალისტურ სახელმწიფოთა თავდასხმითა და ბლოკადით საბჭოთა რესპუბლიკისათვის მიყენებული ზარალის გამომრკვევი კომისიის შექმნის შესახებ.

ლენინი დეპეშით ა. მ. გორკის პეტროგრადში აცნობებს მისი თხოვნის შესრულებას მეცნიერთა მომარაგების გაძლიერების შესახებ.

**მარტი, 22.** ლენინი იღებს აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების ცენტრალური ბიუროს წარმომადგენლებს და ესაუბრება მათ თათართა რესპუბლიკის ჩამოყალიბების შესახებ.

**მარტი, 23.** ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისიის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცება; იმ დაწესებულებების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (სმუს) ცენტრალურ ორგანოებს, — წერს დადგენილების პროექტს; ესტონეთის სატყეო კონცესიის შესახებ და სხვ.

**მარტი, 25.** ლენინს რკპ(ბ) მოსკოვის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე ირჩევენ რკპ(ბ) სრულიად რუსეთის IX ყრილობის დელეგატად.

ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოსა და სახკომსაბჭოს სხდომებს, რომლებზედაც იხილავენ საკით-

ხებს: სამდინარო ტვირთზიდვის შესახებ; ცენტრში პურისა და თევზის შემოტანის გაძლიერების შესახებ; მეცნიერთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტის ჩამოყალიბების შესახებ და სხვა.

**მარტის ბოლო.** ლენინი წარმოთქვამს ორ სიტყვას გრამოფონის ფირფიტაზე ჩასაწერად: «ტრანსპორტისათვის მუშაობის შესახებ» და «შრომის დისციპლინის შესახებ».

**მარტი, 29 — აპრილი, 5.** რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) IX ყრილობა. ლენინი ხელმძღვანელობს ყრილობის მუშაობას.

**მარტი, 29.** ვ. ი. ლენინი ყრილობას ხსნის შესავალი სიტყვით. ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს ირჩევენ ყრილობის პრეზიდიუმის წევრებად.

ლენინი გამოდის საანგარიშო მოხსენებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ.

**მარტი, 30.** ლენინი გამოდის ყრილობის მეორე (დილის) სხდომაზე საბოლოო სიტყვით ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო.

**მარტი, 31.** ლენინი გამოდის ყრილობის მეოთხე (დილის) სხდომაზე სიტყვით სამეურნეო მშენებლობის შესახებ.

**მარტი — აპრილი.** ლენინი წერს სტატიას «კომპრომისების შესახებ».

**აპრილი, 2.** ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი დეპეშას უგზავნიან გ. კ. ორჯონიკიძეს კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოში დირექტივებით მუსლიმანებთან დამოკიდებულების შესახებ, განსაკუთრებით დაღესტანში შესვლისას.

**აპრილი, 3.** ლენინი გამოდის სიტყვით კოოპერაციის შესახებ რკპ(ბ) IX ყრილობის მერვე (საღამოს) სხდომაზე.

**აპრილი, 4 — 8.** ლენინი გამოდის სიტყვით სამთამადნო მუშების სრულიად რუსეთის I დამფუძნებელ ყრილობაზე.

**აპრილი, 5.** ყრილობის მეათე (დილის) სხდომაზე ცხადდება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის არჩევის შესახებ.

ლენინი წარმოთქვამს საბოლოო სიტყვას ყრილობის დახურვისას.

ლენინი გამოდის მოკლე სიტყვით ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატთა სიის შესახებ.

ყრილობის დელეგატები პატივს სცემენ ვ. ი. ლენინს მისი დაბადებიდან 50 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით; სიტყვებით გამოდიან მ. ი. კალინინი, ე. მ. იაროსლავსკი, ფ. ი. კონი და სხვები. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის შესახებ.

აპრილი, 6. ლენინი წერილს სწერს ყაზანში ვ. ვ. ადორატსკის და ეკითხება, შეუძლია თუ არა მას შეაგროვოს მასალები სამოქალაქო ომისა და საბჭოთა რესპუბლიკის ისტორიისათვის.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: წიგნის მარაგის ნაციონალიზაციისა და მოსკოვისა და პეტროგრადის წიგნების მეტად გამოყენების შესახებ პროვინციებისა და სოფლების საჭიროებისათვის.

აპრილი, 7. ლენინი გამოდის სიტყვით პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის III ყრილობაზე.

აპრილი, 8. ლენინი წერს სტატიას «საუკუნეობრივი წყობის რღვევიდან ახლის შემოქმედებისაკენ».

აპრილი, 14. ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დასამტკიცებლად შეაქვთ პროექტი დეკრეტისა დონეცის ქვანახშირის მრეწველობის მილიტარიზაციის შესახებ, დამუშავებული ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით.

აპრილი, 16. ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ნავთის გამოზიდვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ; რკინიგზების მიერ სათბობის ხარჯვაზე კონტროლის დაწესების შესახებ; დონეცის აუზში ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ (საკითხი შეტანილია ი. ბ. სტალინის მიერ) და სხვა.

**აპრილი, 19.** ლენინი გამოდის სიტყვით საფეიქრო მრეწველობის მუშათა სრულიად რუსეთის III ყრილობაზე.

**აპრილი, 20.** ლენინი ბალტიის ფლოტისადმი პეტერბურგში გაგზავნილ დეპეშაში განკარგულებას იძლევა დაუყოვნებლივ შეუდგნენ პეტროგრადის ნავსადგურის წესრიგში მოყვანას ხე-ტყის ექსპორტის ორგანიზაციისათვის.

**აპრილი, 23.** ლენინის დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის მიერ მოწყობილ კრებაზე ვ. ი. ლენინი გამოდის სიტყვით ბოლშევიკური პარტიის ამოცანების შესახებ. კრებაზე ვ. ი. ლენინის შესახებ სიტყვებით გამოვიდნენ ი. ბ. სტალინი, ა. მ. გორკი და სხვ.

# შინაარსი


წინასიტყვაობა . . . . . IX

*1919 წ.*

სიტყვა გასმანის, ლეფორტის, ალექსეევისა და სოკოლნიკის რაიონების უპარტიო მუშათა და წითელარმიელთა კონფერენციაზე 1919 წ. 3 სექტემბერს . . . . . 1 — 9

როგორ იყენებენ ბურჟუაზია რენეგატებს . 10 — 24

ამერიკელ მუშებს . . . . . 25 — 26

საბჭოთა რესპუბლიკაში მუშა-ქალთა მოძრაობის ამოცანების შესახებ. სიტყვა მუშა-ქალთა მოსკოვის IV საერთო-საქალაქო უპარტიო კონფერენციაზე 1919 წ. 23 სექტემბერს . . 27 — 35

პეტროგრადის მუშების მაგალითი . . . . . 36 — 39

პასუხი ამერიკული გაზეთის «THE CHICAGO DAILY NEWS»-ის კორესპონდენტის კითხვებზე . . . 40 — 41

სალამი იტალიელ, ფრანგ და გერმანელ კომუნისტებს . . . . . 42 — 56

მუშათა სახელმწიფო და პარტიული კვირა . . 57 — 60

სიტყვა მოგბილიზებული მუშა-კომუნისტების წინაშე მოსკოვის მუშ. და გლ. დეპ. საბჭოს აივნიდან 1919 წ. 16 ოქტომბერს. საქრონიკო ჩანაწერი . 61 — 62

პეტროგრადის მუშებისა და წითელარმიელებისადმი . . . . . 63 — 64

ამხანაგ-წითელარმიელებისადმი . . . . . 65 — 66

პარტიული კვირის შედეგები მოსკოვში და ჩვენი ამოცანები . . . . . 67 — 72

სიტყვა ფრონტზე მიმავალ სვერდლოვის უნივერსიტეტის მსმენელთა წინაშე 1919 წ. 24 ოქტომბერს . 73 — 83

ამხანაგ ლოზოვსკს და ყველა ფრანგ მეგობარს, რომლებიც III ინტერნაციონალს მიემხრნენ . . . 84 — 85

წერილი გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გათიშვის გამო. ამხანაგ პავლ ლევის, კლარა ცეტკინს, ებერლეინსა და გერმანიის კომუნისტური პარტიის ც. კ-ის ყველა წევრს . . . . . 86 — 87

ამხანაგ კომუნისტებს, რომლებიც შედიან საერთო «გერმანიის კომუნისტურ პარტიაში» და რომლებმაც ახლა ახალი პარტია შეადგინეს . . . . . 88 — 89

ამხანაგ სერატის და საერთოდ იტალიელ კომუნისტებს . . . . . 90 — 91

პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ . . . 93 — 106

I (A) პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმები . . . . . 95

II (B) პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიის დანგრევა და პროლეტარული დემოკრატიის შექმნა . . . 99

III (C) პროლეტარიატის დიქტატურა და იმპერიალიზმის თავისებურებანი . . . . . 103

IV (D) პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოთა ხელისუფლება . . . . . 105

ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში . . . . . 109 — 122

1 . . . . . 109

2 . . . . . 110

3 . . . . . 113

4 . . . . . 114

5 . . . . . 118

სალამი პეტროგრადის მუშებს . . . . . 123 — 124

საბჭოთა ხელისუფლება და ქალის მდგომარეობა . 125 — 129

საბჭოთა ხელისუფლების ორი წელი . . . . 130 — 133

საბჭოთა ხელისუფლების ორი წელი. სიტყვა ოქტომბრის რევოლუციის ორი წლისთავისადმი მიძღვნილ სრ. რუს. ცაკ-ის, მოსკოვის მუშ. და გლეხ. დეპ. საბჭოს, პროფ. კავშ. სრ. რუს.

ცენტრ. საბჭოს დაფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა გაერთიანებულ სხდომაზე 1919 წ. 7 ნოემბერს . . . . . 134 — 147

ამხანაგ თურქესტანელ კომუნისტებს . . . . 148 — 149

ვებრძოლოთ სათბოგბის ქრიზისს. ცირკულარული წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი 150 — 154

სიტყვა სოფლად პარტიული მუშაობის სრულიად რუსეთის I თათბირზე 1919 წ. 18 ნოემბერს . . . 155 — 164

მოხსენება აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1919 წ. 22 ნოემბერს . . . . . 165 — 180

პროექტი რკპ(ბ) ც. კ-ის რეზოლუციისა უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ . . . . 181 — 184

რკპ(ბ) სრულიად რუსეთის VIII კონფერენცია 1919 წ. 2 — 4 დეკემბერი . . . . . 185 — 220

1. სიტყვა კონფერენციის გახსნისას 2 დეკემბერს . . . . . 187
2. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება 2 დეკემბერს . . . . . 189
3. საბოლოო სიტყვა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების გამო 2 დეკემბერს . . . . . 214
4. პროექტი რეზოლუციისა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხზე . . . . . 216
5. საბოლოო სიტყვა უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების საკითხის გამო 3 დეკემბერს . . . . . 218

სიტყვა სამიწათმოქმედო კომუნებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელების I ყრილობაზე 1919 წ. 4 დეკემბერს . . . . . 221 — 233

საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობა 1919 წ. 5 — 9 დეკემბერი . . . . 235 — 295

1. სრ. რუს. ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს მოხსენება 5 დეკემბერს . . 237
2. საბოლოო სიტყვა სრ. რუს. ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს მოხსენების გამო 6 დეკემბერს . 270

3. სიტყვა ორგანიზაციულ სექციაში 8 დეკემბერს . . . . . 284

4. საბოლოო სიტყვა ყრილობის დახურვისას 9 დეკემბერს . . . . . 291

დამფუძნებელი კრების არჩევნები და პროლეტარიატის დიქტატურა . . . . . 296 — 325

I . . . . . 296
II . . . . . 300
III . . . . . 304
IV . . . . . 307
V . . . . . 313
VI . . . . . 320

ჩვენს ცვლას . . . . . 326

სიტყვა 1905 წლის დეკემბრის აჯანყების წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგზე პრესნიის რაიონში 1919 წ. 19 დეკემბერს . . . . . 327 — 333

მოხსენება შაბათოობების შესახებ რკპ(ბ) მოსკოვის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე 1919 წ. 20 დეკემბერს . . . . . 334 — 341

წერილი უკრაინის მუშებსა და გლეხებს დენიკინზე გამარჯვების გამო . . . . . 345 — 353

რუსული ენის გაწმენდის შესახებ (ფიქრები მოცლილობისას, ე. ი. კრებებზე სიტყვების მოსმენის დროს) . . . . . 354 — 355

## *1920 წ.*

პეტროგრადის გუბერნიის ქალთა ყრილობის ბიუროს . . . . . 356

ი. ბ. სტალინს 24 იანვარს . . . . . 357 — 359

სიტყვა პრესნიის რაიონის მუშათა და წითელარმიელთა უპარტიო კონფერენციაზე 1920 წ. 24 იანვარს. საგაზეთო ანგარიში . . . . . 360—365

დადგენილებათა პროექტები და დირექტივები კოოპერაციის შესახებ . . . . . 366 — 367

სიტყვა სახალხო მეურნეობის საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობაზე 1920 წ. 27 იანვარს. საგაზეთო ანგარიში . . . . . 368 — 373

თავდაცვის საბჭოს წევრებს . . . . . 374

მოხსენება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის შესახებ VII მოწვევის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სესიაზე 1920 წ. 2 თებერვალს . . . 375 — 403

პროექტი (ანუ თეზისები) რუსეთის კომუნისტური პარტიის პასუხისა გერმანიის დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის წერილზე . . . . . 404 — 413

სიტყვა მოსკოვის კვანძის რკინიგზელთა კონფერენციაზე 1920 წლის 5 თებერვალს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 414 — 416

თუ ომია, ომი იყოს . . . . . 417 — 418

სიტყვა ბლაგუშე-ლეფორტის რაიონის უპარტიო კონფერენციაზე 1920 წ. 9 თებერვალს. საგაზეთო ანგარიში. . . . . 419 — 422

პუბლიცისტის შენიშვნები . . . . . 423 — 436

I . . . . . 423

II . . . . . 425

III . . . . . 430

IV . . . . . 432

დეპეშა ი. ბ. სტალინს 16 თებერვალს . . . . . 437

დეპეშა ი. ბ. სტალინს 18 თებერვალს . . . . . 438

პასუხი ამერიკული გაზეთის «NEW YORK EVENING JOURNAL»-ის კორესპონდენტის კითხვებზე . . 439 — 442

პასუხი ინგლისური გაზეთის «DAILY EXPRESS»-ის კორესპონდენტის კითხვებზე . . . . . 443 — 444

დეპეშების გაცვლა ი. ბ. სტალინთან 20 თებერვალს . 445

მუშა ქალებს . . . . . 446 — 447

დეპეშა ი. ბ. სტალინს 22 თებერვალს . . . . . 448

სიტყვა სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებების სკოლისგარეშე ქვეგანყოფილებათა გამგეების სრულიად რუსეთის III თათბირზე 1920 წ. 25 თებერვალს . . . . . 449 — 455

მოხსენება მშრომელ ქაჯაკთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1920 წ. 1 მარტს . . . . . 456 — 482

სიტყვა მედიკურ-სანიტარული შრომის მუშაკთა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1920 წ. 1 მარტს. საოქმო ჩანაწერი . . . . . 483 — 484

წერილი რუსეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებს პარტიული ყრილობისათვის მზადების შესახებ . . . . . 485 — 490

მუშა ქალთა საერთაშორისო დღისათვის . . . 491 — 493

სიტყვა მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს სხდომაზე 1920 წ. 6 მარტს . . 494 — 502

სიტყვა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა III ინტერნაციონალის წლისთავს, 1920 წ. 6 მარტს . . . . . 503 — 513

სიტყვა წყლის ტრანსპორტის მუშათა სრულიად რუსეთის III ყრილობაზე 1920 წ. 15 მარტს . . . 514 — 523

სიტყვა ი. მ. სვერდლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ სხდომაზე 1920 წლის 16 მარტს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 524 — 525

ორი სიტყვა, ჩაწერილი გრამოფონის ფირფიტებზე . 526 — 529

1. ტრანსპორტისათვის მუშაობის შესახებ . 526 — 527

2. შრომის დისციპლინის შესახებ . . . 528 — 529

რიგ(ბ) IX ყრილობა 1920 წ. 29 მარტი — 5 აპრილი . . . . . 531 — 596

1. სიტყვა ყრილობის გახსნისას 29 მარტს . . 533

2. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება 29 მარტს 535

3. საბოლოო სიტყვა ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო 30 მარტს . . . . 561

4. სიტყვა სამეურნეო მშენებლობის შესახებ 31 მარტს . . . . . 573

5. სიტყვა კოოპერაციის შესახებ 3 აპრილს . 583
6. სიტყვა ყრილობის დახურვის დროს 5 აპრილს . . . . . 589

კომპრომისების შესახებ . . . . . 597 — 600

I . . . . . 597
დეპეშა ბ. კ. ორჯონიკიძეს . . . . . 601

სიტყვა სამთამადნო მუშების სრულიად რუსეთის I დამფუძნებელ ყრილობაზე . . . . . 602 — 611

სიტყვა პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის III ყრილობაზე 1920 წ. 7 აპრილს . . . . . 612 — 629

საუკუნეობრივი წყობის რღვევიდან ახლის შემოქმედებისაკენ . . . . . 630 — 633

სიტყვა საფეიძრო მრეწველობის მუშათა სრულიად რუსეთის III ყრილობაზე 1920 წ. 19 აპრილს . . 634 — 642

სიტყვა კრებაზე, რომელიც მოაწყო რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტმა ვ. ი. ლენინის 50 წლისთავის აღსანიშნავად, 1920 წ. 23 აპრილს . . . . . 643 — 646

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი . . . . . 647 — 674

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა დ ა მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს თ ა რ ი ღ ე ბ ი . . . . . 675 — 696

---

## ილუსტრაციები

ვ. ი. ლენინის პორტრეტი — 1920 წ. . . . . XII — 1

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში». — 1919 წ. 30 ოქტომბერი . . . . . 107

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «წერილი უკრაინის მუშებსა და გლეხებს დენიკინზე გამარჯვების გამო». — 1919 წ. 28 დეკემბერი . . . . . .

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «დეპეშა ი. ბ. სტალინს». — 1920 წ. 18 თებერვალი . . 438 —

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის, რკპ(ბ) IX ყრილობის დელეგატის ანკეტისა. — 1920 წ. 29 მარტი . . . . . 532 —

---

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/IX-1952.
უე 05313. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 44,75.
ფასი 8 მან.

*

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.
შეკვეთის № 505.